Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)
http://ciml.250x.com

Georgian Section
www.joseph-stalin.net

SHMG Press – 2012
Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

კ. მარქსი

ზედმეტი ღირებულების თეორიები

(„კაპიტალის“ მეოთხე ტომი)

ნაწილი I

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული
პარტიის ისტორიის ინსტიტუტი — სკკპ ცენტრალურ
კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის
ინსტიტუტის ფილიალი

კ. მარქსი

ზედმეტი ღირებულების თეორიები

(„კაპიტალის“ მეოთხე ტომი)

ნაწილი პირველი

★

გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი
1966

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალისაგან

კ. მარქსის «ზედმეტი ღირებულების თეორიების» («კაპიტალის» მეოთხე ტომის) პირველი ნაწილის წინამდებარე ქართული თარგმანი შეასრულა პავლე იაშვილმა გერმანული ორიგინალიდან, რომელიც 1956 წელს ბერლინში გამოსცა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა. თავის მხრივ ხსენებული გამოცემა შესრულდა მარქსის ხელნაწერის გაშიფვრის, ნაწილთა დასათაურებისა და ცალკე წიგნებად დაყოფის იმ ნიმუშის მიხედვით, რომელიც 1954—1961 წწ. მოამზადა და რუსულ ენაზე გამოაქვეყნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა. ამ გამოცემაში გასწორებულია ის თვითნებობანი, დამახინჯებანი, შეცდომები და უზუსტობანი, რაც დაშვებული იყო კ. მარქსის «ზედმეტი ღირებულების თეორიების» ადრინდელ, კაუცკისეულ გამოცემაში.

ქართულ ენაზე 1933 წელს გამოქვეყნდა «ზედმეტი ღირებულების თეორიების» კაუცკისეული გამოცემის II ტომის 1 ნაწილი, რომლის თარგმანი პ. იაშვილმა შეასრულა, ხოლო რედაქცია — მ. ტოროფელიძემ.

წინამდებარე ქართული თარგმანის და მისი რედაქციის შესრულებისას, ხსენებული გერმანული ორიგინალისა და 1954 წ. რუსული გამოცემის გარდა, ფართოდ არის გამოყენებული «ზედმეტი ღირებულების თეორიების» («კაპიტალის» მეოთხე ტომის) პირველი ნაწილის უახლესი დაზუსტებული რუსული ტექსტი, რომელიც კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის თხზულებათა მეორე რუსული გამო-

ცემის 26-ე ტომის I ნაწილად დაიბეჭდა. ამ უკანასკნელი გამოცემის მიხედვით დაზუსტდა ქართული თარგმანის ტექსტი, სამეცნიერო-საცნობარო მასალები და სხვა.

წინამდებარე წიგნს ვურთავთ აღნიშნული რუსული გამოცემის წინასიტყვაობას, რომლიდანაც ამოღებულია რუსულ თარგმანთან და აღნიშნული 26-ე ტომის მომდევნო ნაწილებთან (II, III) დაკავშირებული რამდენიმე აბზაცი.

«ზედმეტი ღირებულების თეორიების» («კაპიტალის» მეოთხე ტომის) პირველი ნაწილის ქართული თარგმანის რედაქცია შეასრულა ვალერიან მელქაძემ.

წინასიტყვაობა

«ზედმეტი ღირებულების თეორიები» მარქსმა დაწერა 1862 წლის იანვარსა და 1863 წლის ივლისს შორის. ეს ნაწარმოები შეადგენელი ნაწილია 1861—1863 წლების იმ ვრცელი ხელნაწერისა, რომელიც მარქსმა დაასათაურა «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის» და დაწერა როგორც უშუალო გაგრძელება 1859 წელს პირველ ნაკვეთად გამოსული წიგნისა «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის». 1861—1863 წლების ხელნაწერი შედგება 23 რვეულისაგან (გვერდების უწყვეტი ნუმერაციით 1-დან 1472-მდე); ეს ხელნაწერი, რომლის საერთო მოცულობა დაახლოებით 200 ნაბეჭდ თაბახს უდრის, წარმოადგენს «კაპიტალის» ყველა ოთხი ტომის პირველ ცოტად თუ ბევრად სისტემატურ—თუმცა ჯერ კიდევ შავად ნაწერ და დაუმთავრებელ — დამუშავებას. «ზედმეტი ღირებულების თეორიები» შეადგენენ ამ ხელნაწერის მოცულობით ყველაზე დიდ (დაახლოებით 110 ნაბეჭდ თაბახს) და ყველაზე უფრო დამუშავებულ ნაწილს; შრომა წარმოადგენს «კაპიტალის» მეოთხე, დასკვნითი ტომის პირველ და ერთადერთ მონახაზს. ამ ტომს, სამი თეორიული ტომისაგან განსხვავებით, მარქსი უწოდებდა თავისი შრომის ისტორიულ, ისტორიულ-კრიტიკულ ანუ ისტორიულ-ლიტერატურულ ნაწილს.

«ზედმეტი ღირებულების თეორიების» წერა მარქსმა დაიწყო თავისი «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის» იმ თავდაპირველი გეგმის ფარგლებში, რომელიც მას დასახული ჰქონდა 1858—1862 წლებში. იმის საფუძველზე, რასაც მარქსი გვამცნობს თავისი შრომის აღნაგობის შესახებ «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის» პირველი ნაკვეთის წინასიტყვაობაში, თავის 1858—1862 წლების

წერილებში და საკუთრივ 1861—1863 წლების ხელნაწერში, ეს ვეგმა შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სქემის სახით:

1. კაპიტალი: [შესავალი: საქონელი და ფული] ა) კაპიტალი საერთოდ:	1. კაპიტალის წარმოების პროცესი: 2. კაპიტალის მიმოქცევის პროცესი 3. ორივეს ერთიანობა, ანუ კაპიტალი და მოგება	1. ფულის გადაქცევა კაპიტალად 2. აბსოლუტური ზედმეტი ღირებულება 3. შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება 4. ორივეს შეხამება 5. ზედმეტი ღირებულების თეორიები

ბ) კაპიტალების კონკურენცია
გ) კრედიტი
დ) საკაციო კაპიტალი
II. მიწის საკუთრება
III. დაქირავებული შრომა
IV. სახელმწიფო
V. საგარეო ვაჭრობა
VI. მსოფლიო ბაზარი

ამ სქემიდან ჩანს, რომ «ზედმეტი ღირებულების თეორიები» მარქსს თავდაპირველად გააზრებული ჰქონდა როგორც ისტორიული ექსკურსი საერთოდ «კაპიტალის» შესახებ მისი თეორიული გამოკვლევის იმ განყოფილებისათვის, რომელიც მიძღვნილი იყო კაპიტალის წარმოების პროცესის პრობლემისადმი. ამ ისტორიულ ექსკურსს უნდა დაემთავრებინა განყოფილება კაპიტალის წარმოების შესახებ, მსგავსად იმისა როგორც პირველ ნაკვეთში წიგნისა «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის» თავი საქონლის შესახებ მთავრდებოდა ისტორიული ექსკურსით «საქონლის ანალიზის ისტორიისათვის», ხოლო თავი ფულის შესახებ — ისტორიული ექსკურსით «მიმოქცევის საშუალებათა და ფულის თეორიები».

ასეთი იყო მარქსის თავდაპირველი ჩანაფიქრი. მაგრამ მისი განხორციელების პროცესში ისტორიული ექსკურსი ზედმეტი ღირებულების შესახებ შორს გასცილდა ამ ჩანაფიქრის ფარგლებს. რადგან ყველა მარქსამდელი ეკონომისტი იმ შეცდომას უშვებდა, რომ ზედმეტ ღირებულებას განიხილავდა არა მისი წმინდა სახით, არამედ მხოლოდ მოგების, რენტისა და სარგებლის განსაკუთრებულ ფორმებში, ამიტომ თვით მასალა მარქსის მიერ განხილული

და გაკრიტიკებული თეორიებისა, მოითხოვდა გამოკვლევის ჩარჩოების გაფართოებას. ზედმეტ ღირებულებაზე ბურჟუაზიული ეკონომისტების შეხედულებათა კრიტიკული ანალიზი მარქსის სისტემაში გარდუვალად გადახლართული იყო მოგებაზე, მიწის რენტაზე, სარგებელზე და ა. შ. ამ ეკონომისტების წარმოდგენათა ანალიზთან. მეორე მხრივ, რათა მცდარი თეორიების კრიტიკა ყოველმხრივი და ამომწურავი ყოფილიყო, ამ თეორიებს მარქსმა დაუპირისპირა დადებითი დამუშავება ამა თუ იმ ნაწილისა თვით მის მიერვე შექმნილი ახალი ეკონომიური თეორიიდან, რომელიც უდიდეს რევოლუციურ გადატრიალებას წარმოადგენდა მთელს ეკონომიურ მეცნიერებაში.

«ზედმეტი ღირებულების თეორიების» შედგენილობისა და აღნაგობის მთელი თავისებურების გასაგებად აუცილებელია მხედველობაში ვიქონიოთ კიდევ შემდეგი გარემოება. «თეორიებზე» მუშაობის დაწყების მომენტისათვის «კაპიტალის» სამი თეორიული ნაწილიდან წერილობითი სახით ცოტად თუ ბევრად დამუშავებული იყო, და ისიც არა მთლიანად, მხოლოდ პირველი ნაწილი — «კაპიტალის წარმოების პროცესი» (ეს პრობლემა გამოკვლეულია 1861—1863 წლების ხელნაწერის პირველ ხუთ რვეულში), მეორე და მესამე ნაწილები კი — უფრო სწორად, მათი ცალკეული განყოფილებანი — არსებობდა მხოლოდ წინასწარი ფრაგმენტული მონახაზების სახით 1857—1858 წლების შავად დაწერილ ხელნაწერში, რომელიც 1939 წელს გამოაქვეყნა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა ორიგინალის ენაზე შემდეგი რედაქციული სათაურით «Grundrisse der Kritik der politischen Oekonomie (Rohentwurf)» («პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის ძირითადი ნიშნები (შავად დაწერილი მონახაზი)»). ამრიგად, როცა თავისი შრომის ისტორიულ ნაწილს ამუშავებდა, მარქსს არ შეეძლო უბრალოდ მიეთითებინა თეორიული ნაწილის ესა თუ ის გვერდი. არამედ მას იქვე უნდა მოეცა დადებითი დამუშავებაც იმ თეორიული საკითხებისა, რომლებიც წამოიჭრებოდა ხოლმე მთელი წინანდელი პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკულ განხილვასთან დაკავშირებით.

ყოველივე ამან გამოიწვია «ზედმეტი ღირებულების თეორიების» ისტორიული ექსკურსის გაზრდა უდიდეს მოცულობამდე. 1861—1863 წლების ვრცელ ხელნაწერში ისტორიულ, ანუ ისტორიულ-კრიტიკულ, ნაწილს უკავია რვეულები VI-დან XV-მდე ჩათვლით პლუს XVIII რვეული და რიგი ცალკეული ისტორიული ნარკვევები და შენიშვნები XX—XXIII რვეულებში.

«ზედმეტი ღირებულების თეორიების» ძირითადი ტექსტი მო-

თავსებულია VI—XV და XVIII რვეულებში, რომლებიც დაიწერა პერიოდში 1862 წლის იანვრიდან 1863 წლის იანვრამდე ჩათვლით. სწორედ ამ ტექსტს ეკუთვნის მარქსის მიერ შედგენილი VI—XV რვეულების გარეკანზე ჩაწერილი სარჩევი. ამ სარჩევს დიდი მნიშვნელობა აქვს მარქსის შრომის საერთო აღნაგობის, მისი შედგენილობისა და ეპის გეგმის გასაგებად. ამ გამოცემაში იგი მოცემულია პირველი ნაწილის დასაწყისში (გვ. 1—3). ისტორიულ-კრიტიკული ნარკვევები და შენიშვნები, რომლებიც შესულია ხელნაწერის უკანასკნელ რვეულებში და დაწერილია 1863 წლის გაზაფხულსა და ზაფხულზე, ძირითადი ტექსტის დამატებებს შეადგენენ.

«ზედმეტი ღირებულების თეორიებზე» მუშაობის მსვლელობაში მარქსის მიერ გამოსაკვლევი პრობლემების წრე სულ უფრო ფართოვდებოდა. სწორედ ამან მიიყვანა იგი საბოლოოდ იმ აზრამდე, რომ აუცილებელი იყო მთელი ისტორიულ-კრიტიკული მასალის გამოყოფა «კაპიტალის» განსაკუთრებული, მეოთხე წიგნის სახით. «კაპიტალზე» მარქსის მუშაობის პროცესში სულ უფრო და უფრო მეღავნდებოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა იმ სამწევრიანი დაყოფისა (1. კაპიტალის წარმოების პროცესი, 2. კაპიტალის მიმოქცევის პროცესი და 3. ორივეს ერთიანობა), რომელიც მარქსს თავდაპირველად გათვალისწინებული ჰქონდა მხოლოდ უფრო ვიწრო თვალსაზრისით განსახილველი განყოფილებისათვის «კაპიტალი საერთოდ» (იხ. მარქსის შრომის თავდაპირველი გეგმის სქემა VI გვერდზე). ეს სამწევრიანი დაყოფა იმდენად მნიშვნელოვანი და იმდენად ღრმა აღმოჩნდა, რომ აქ თანდათანობით შეტანილ იქნა აგრეთვე ის თემებიც, რომლებიც, თავდაპირველი გეგმის თანახმად, არ შედიოდნენ იმ საკითხთა წრეში, მარქსს რომ განკუთვნილი ჰქონდა განყოფილებისათვის «კაპიტალი საერთოდ» (მაგალითად, კაპიტალების კონკურენცია, კრედიტი, მიწის რენტა). „კაპიტალის“ იმ სამი თეორიული ნაწილის ჩამოყალიბების პროცესის პარალელურად, რომლებიც თანდათანობით მოიცავდნენ პოლიტიკური ეკონომიის ყველა პრობლემას, მარქსს სულ უფრო მეტად უმტკიცდებოდა იმის რწმენა, რომ ისტორიულ-კრიტიკული გამოკვლევანი უნდა მოცემული ყოფილიყო ცალკე წიგნის — «კაპიტალის» მეოთხე წიგნის სახით.

1861—1863 წლების ხელნაწერზე მუშაობის დამთავრებიდან დაახლოებით ერთი თვის შემდეგ მარქსი (1863 წლის 15 აგვისტოს წერილში) ენგელსს სწერდა ამ ხელნაწერის შესახებ: «...მე ახლა მთელ ამ ვეება ნამუშევარს ვუმზერ და მაგონდება, თუ როგორ

მომიხდა მთლად ყველაფრის თავდაყირა დაყენება და დამუშავება. ისტორიული ნაწილისაც კი, ნაწილობრივ მანამდე სრულიად უცნობი მასალის საფუძველზე...». «ისტორიულ ნაწილზე» რომ ლაპარაკობს, მარქსს მხედველობაში აქვს «ზედმეტი ღირებულების თეორიები», რომლებიც, მაშასადამე, მარქსს უკვე მაშინ ჰქონდა გააზრებული როგორც მისი შრომის განსაკუთრებული — ისტორიული — ნაწილი; ამასთან ჯერ კიდევ 1863 წლის იანვარში მარქსს განზრახვა ჰქონდა ეს ისტორიულ-კრიტიკული მასალა გაენაწილებინა «საერთოდ კაპიტალის» შესახებ თავისი გამოკვლევის თეორიულ განყოფილებათა მიხედვით, როგორც ეს ჩანს «კაპიტალის» პირველი და მეორე ნაწილებისათვის მის მიერ შედგენილი გეგმებიდან (იხ. ეს ტომი, ნაწ. 1, გვ. 508 — 510).

მარქსის განზრახვას — კრიტიკულად მიმოეხილა პოლიტიკური ეკონომიის ისტორია XVII საუკუნის შუა ხანიდან დაწყებული, მოწმობს საფუძვლიანი ისტორიულ-კრიტიკული ნარკვევი პეტის შესახებ, რომელსაც შეიცავს 1861—1863 წლების ხელნაწერის 1863 წლის მაისში დაწერილი XXII რვეული, და რომელიც ატარებს დამახასიათებელ სათაურს «ისტორიიდან: პეტი». ეს ნარკვევი, რომელიც არავითარ შინაგან კავშირში არაა არც მის წინანდელ და არც მის მომდევნო ტექსტთან, აშკარად განკუთვნილი ჰქონდა მარქსს თავისი შრომის ისტორიულ-კრიტიკული წაწილისათვის. ნარკვევში პეტის შესახებ განხილულია მისი შეხედულებანი ღირებულებაზე, ხელფასზე, მიწის რენტაზე, მიწის ფასზე, სარგებელზე და ა. შ. პეტის ეკონომიურ შეხედულებათა ასე ფართო მიმოხილვა ცხადყოფს, რომ მარქსს უკვე 1863 წლის მაისში დაეშადა ის აზრი, რომელზეც იგი სრულიად გარკვევით წერდა ოთხი წლის შემდეგ (1867 წლის 30 აპრილს) ზიგფრიდ მაიერისათვის გაგზავნილ წერილში. ამ წერილში მარქსი მაიერს თავისი «კაპიტალის» აღნაგობის შესახებ ატყობინებდა: «პირველი ტომი შეიცავს «კაპიტალის წარმოების პროცესს»... მეორე ტომში მოცემულია თეორიის გაგრძელება და დამთავრება, მესამე ტომში კი — პოლიტიკური ეკონომიის ისტორია XVII საუკუნის შუა წლებიდან...» (მარქსს მაშინ განზრახვა ჰქონდა «კაპიტალის» მეორე და მესამე წიგნები ერთ ტომად გამოეცა).

«კაპიტალის» მეოთხე, «ისტორიულ-ლიტერატურული», წიგნის პირველ პირდაპირ დასახელებას ჩვენ ვხვდებით მარქსის 1865 წლის 31 ივლისის წერილში ენგელსისადმი. მარქსი ენგელსს სწერს «კაპიტალზე» თავისი მუშაობის მსვლელობის შესახებ: «დასაწერი დამ-

რჩა კიდევ სამი თავი, რათა თეორიული ნაწილი (პირველი 3 წიგნი) დავამთავრო. შემდეგ უნდა დაიწეროს კიდევ მე-4 წიგნი, ისტორიულ-ლიტერატურული; ეს ჩემთვის შედარებით უფრო იოლი ნაწილია, რადგან ყველა საკითხი გადაწყვეტილია პირველ სამ წიგნში. მაშასადამე, უკანასკნელი წიგნი უფრო განმეორებაა ისტორიული ფორმით». აქ შეიძლება წამოიჭრას საკითხი: რატომ ლაპარაკობს მარქსი იმის შესახებ, რომ «კაპიტალის» მეოთხე წიგნი ჯერ კიდევ უნდა «დაიწეროსო»; ზემოციტირებულ 1863 წლის 15 აგვისტოს წერილში ხომ ლაპარაკობს იგი «ისტორიულ ნაწილზე» როგორც უკვე დაწერილზე. 1863 — 1865 წლების ფორმულირებათა განსხვავება იმით აიხსნება, რომ მათ შორის დროის მონაკვეთში, 1863 — 1865 წლების განმავლობაში, მარქსმა ხელახლა გადაამუშავა და გადაწერა თავისი შრომის სამივე თეორიული წიგნი, მეოთხე წიგნი კი — «ისტორიულ-ლიტერატურული» — დარჩა იმ თავდაპირველი სახით, როგორითაც იგი დაიწერა 1862 — 1863 წლებში, და ამიტომ საჭირო იყო მისი გადამუშავება «კაპიტალის» პირველი სამი წიგნის ახალი რედაქციის შესაბამისად.

მარქსის წერილიდან, რომელიც მან ზიგფუნდ შოტს გაუგზავნა 1877 წლის 3 ნოემბერს, ჩანს, რომ მარქსი შემდგომშიც «კაპიტალის» ისტორიულ ნაწილს განიხილავდა როგორც რამდენადმე უკვე დაწერილს. მარქსი აქ წერს «კაპიტალზე» თავისი მუშაობის შესახებ: «...ჩემთვის «კაპიტალი» სრულიად შებრუნებული წესით დავიწყე იმასთან შედარებით, რა სახითაც ის საზოგადოებას წარედგინება (მუშაობა დავიწყე მესამე, ისტორიული, ნაწილიდან), აღვნიშნავ მხოლოდ, რომ პირველი ტომი, რომელსაც მე უკანასკნელ რიგში შევუდექი, ერთბაშად დამზადდა დასაბეჭდად, მაშინ როდესაც ორი დანარჩენი ტომი ისეთი დაუმუშავებელი ფორმით დარჩა, რაც დამახასიათებელია თავდაპირველი სახით მოცემული ყოველი გამოკვლევისათვის». აქ ისტორიულ ნაწილს ეწოდება მესამე იმიტომ, რომ მარქსს, როგორც უკვე ნათქვამი იყო, განზრახვა ჰქონდა «კაპიტალის» მეორე და მესამე წიგნი გამოეცა ერთ ტომად — მეორე ტომის სახით, მეოთხე წიგნი კი, რომელიც «თეორიის ისტორიას» განიხილავდა, — მესამე ტომის სახით.

თუ მარქსი აქ პირველი ტომის შესახებ ამბობს, რომ მას «უკანასკნელ რიგში» შეუდგა», მას მხედველობაში აქვს ს ა ბ ო ლ ო ო, დ ა ს ა ბ ე ჭ დ ა დ გ ა მ ზ ა დ ე ბ უ ლ ი ვარიანტი ამ ტომისა, რომელიც 1866 წელს და 1867 წლის პირველ ნახევარში დაიწერა. ის მოსამზადებელი მონახაზები ფულის კაპიტალად გადაქცევისა და

აბსოლუტური და შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების წარმოების შესახებ, რომელთაც 1861 — 1863 წლების ხელნაწერის პირველი ხუთი რვეული შეიცავს, შემდეგში ძალზე საფუძვლიანად გადამუშავდა და ფრიად მნიშვნელოვნად შეივსო და გაფართოვდა. ასევე გადამუშავდა 1861 — 1863 წლების ხელნაწერის ის განყოფილებებიც, რომლებიც შეიცავენ მოსამზადებელ მონახაზებს «კაპიტალის» მომავალი II და III ტომებისათვის. ამრიგად, 1861—1963 წლების მთელი ვრცელი ხელნაწერიდან მარქსისათვის დროთა მსვლელობაში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა შეინარჩუნა მხოლოდ მისმა ისტორიულმა, ისტორიულ-კრიტიკულმა ანუ ისტორიულ-ლიტერატურულმა ნაწილმა, რომელსაც ამასთან ამ ხელნაწერში ყველაზე დიდი — შეიძლება ითქვას, ცენტრალური — ადგილი ეკავა და რომელიც ყველაზე სრულად იყო დამუშავებული. სწორედ ამან მისცა მარქსს საფუძველი ზიგმუნდ შოტისათვის გაგზავნილ წერილში ეთქვა, რომ თავისი «კაპიტალის» წერა მან დაიწყო უკანასკნელი, ისტორიული ნაწილიდან, რამდენადაც პირველ ნაკვეთს წიგნისა «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის», რომელიც 1859 წელს გამოვიდა, მარქსი განიხილავდა მხოლოდ როგორც კაპიტალის გამოკვლევის შესავალს. 1861—1863 წლების ხელნაწერის პირველი ხუთი რვეულის შინაარსი კი, რაც მხოლოდ წინასწარ, მოსამზადებელ მონახაზებს წარმოადგენდა, უკვე აღარ იყო მხედველობაში მისაღები მას შემდეგ, რაც 1866 — 1867 წლებში «კაპიტალის» პირველი ტომი დაიწერა.

იმ გარემოებას, რომ მარქსმა, არსებითად, თავისი უდიდესი ეკონომიური შრომის წერა ბოლოდან დაიწყო, ღრმა მიზეზები ჰქონდა. 60-იანი წლების დასაწყისისათვის მარქსს პ რ ი ნ ც ი პ ში უკვე გამომუშავებული ჰქონდა თავისი ეკონომიური მოძღვრების ბევრი ძირითადი დებულება. მაგრამ სისტემატურად დამუშავებული ფორმით ამ დროისათვის დამთავრებული და გამოქვეყნებული იყო მხოლოდ პირველი ორი შესავალი თავი: თავი საქონლის შესახებ და თავი ფულის შესახებ; ეს თავები შეადგენდა წიგნის «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის» პირველი ნაკვეთის შინაარსს. ის, რასაც თვით მარქსი უწოდებდა მთელი შრომის «ძ ი რ ი თ ა დ თ ა ვ ს», ე. ი. გამოკვლევა კაპიტალის შესახებ, ჯერ კიდევ მხოლოდ 1857 — 1858 წლების შავად დაწერილი, სრულიად დაუნაწილებელი და დაულაგებელი ხელნაწერის სახით არსებობდა. «მასალა ხელთ მქონდა, მრჩებოდა მხოლოდ გაფორმება», — სწერდა მარქსი ლასალს 1858 წლის 12 ნოემბერს. მაგრამ იმისათვის,

რომ თავისი ეკონომიური მოძღვრების შემუშავება დაემთავრებინა და დაგროვილი უდიდესი მასალისათვის სათანადო მეცნიერული ფორმა მიეცა, მარქსს უნდა მოეხდინა გენერალური გამიჯვნა მთელი მანამდე არსებული პოლიტიკური ეკონომიისაგან. მარქსის ეკონომიური მოძღვრება ცარიელ ადგილზე კი არ წარმოშობილა, არამედ იგი შეექმნა ყოველივე იმის შემოქმედებითი გადამუშავებისა და ღრმა ყოველმხრივი კრიტიკის საფუძველზე, რაც მარქსამდელმა ეკონომისტებმა დაწერეს. ამიტომ, როცა მარქსი 1861 წლის აგვისტოში თავისი შრომის მთავარი და ძირითადი განყოფილების — კაპიტალის შესახებ განყოფილების — წერას შეუდგა, მან სულ მალე შეწყვიტა გადმოცემა ზედმეტი ღირებულების შესახებ თავისი მოძღვრებისა, ამ, ვ. ი. ლენინის განსაზღვრის თანახმად, მარქსის მთელი ეკონომიური თეორიის ქვაკუთხედისა, და დაიწყო დაწვრილებით დამუშავება აქ მოცემული ისტორიული ექსკურსისა, რომელსაც მან სათაურად მისცა «ზედმეტი ღირებულების თეორიები» და რომელიც ისეთ მოცულობამდე გაიზარდა, რომ 1861 — 1863 წლები მთელი ხელნაწერის ძირითადი ნაწილი გახდა.

1861 — 1863 წლების ხელნაწერის ამ ისტორიული ნაწილის მთელ მანძილზე ჩვენ ვხედავთ ისტორიულ-კრიტიკული გამოკვლევისა და ეკონომიური მეცნიერების მთელი რიგი კარდინალური პრობლემების თეორიული დამუშავების მჭიდრო შეხამებასა და გადახლართვას. ისტორიულ-კრიტიკული გამოკვლევა ჩვენ თვალწინ გადაგვიშლის ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის წარმოშობის, განვითარებისა და დეგრადაციის სურათს XVII საუკუნის შუა ხანიდან მოკიდებული XIX საუკუნის შუა ხანამდე. თავისი ახლობელი ამხანაგების წრეში მარქსი თავის თავზე ამბობდა: «მე გამომაქვს ისტორიის მსჯავრი და ყველას დამსახურებისამებრ მივუზღავ» («მოგონებანი მარქსსა და ენგელსზე», რუს. გამ., მ., 1956, გვ. 70). «ზედმეტი ღირებულების თეორიებში» მარქსი გვიჩვენებს, თუ «რა ისტორიულად გაპირობებული ფორმებით იყო პირველად გამოთქმული და შემდგომ განვითარებული პოლიტიკური ეკონომიის კანონები» (იხ. ეს ტომი, ნაწ. 1, გვ. 414). მარქსი ალნიშნავს ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კლასიკოსების დამსახურებას და ამასთანავე ერთად იძლევა მათი კლასობრივი შეზღუდულობისა და იმ კონკრეტული ეკონომიური შეცდომების ღრმა კრიტიკას, რომელთაც ისინი უშვებდნენ თავიანთ თეორიებში. მარქსი უდიდესი ოსტატობით ააშკარავებს მცდარი ეკონომიური კონცეფციების როგორც მეთოდოლოგიურ, ისე კლასობრივ

ფესვებს და ამით გვაძლევს იმის შესანიშნავ ნიმუშებს, თუ როგორ უნდა ვებრძოლოთ მეცნიერული კომუნიზმისადმი მტრულად განწყობილ შეხედულებებსა და თეორიებს.

მეორე მხრივ, მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ეკონომიური პრობლემების ის დადებითი დამუშავება, რომელიც აქ მოცემულია მარქსამდელი ეკონომიური თეორიების ისტორიულ-კრიტიკულ ანალიზთან მჭიდრო კავშირში, უდიდესი მნიშვნელობის მქონეა ორი მხრივ: ჯერ ერთი, აქ ჩანს, თუ როგორ მივიდა მარქსი თავისი ეკონომიური თეორიის ამა თუ იმ შემადგენელ ნაწილებამდე, მეორე კი, აქ ხშირად უფრო გაშლილი სახით არის გაშუქებული მთელი რიგი საკითხები, ვიდრე მოგვიანებით დაწერილ «კაპიტალის» პირველ სამ ტომში (მაგალითად, მწარმოებლური შრომის საკითხი, აბსოლუტური მიწის რენტისა და მიწის ნაციონალიზაციის საკითხი, საქონელთა ინდივიდუალურ და საბაზრო ფასს შორის არსებული თანაფარდობის საკითხი და ა. შ.).

ყოველივე ეს «ზედმეტი ღირებულების თეორიებს» ხდის განსაკუთრებით მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად მარქსიზმის ეკონომიური მოძღვრების სისტემაში. მათ წარუვალი მნიშვნელობა აქვთ არა მარტო ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ისტორიის გაგებისათვის, არამედ აგრეთვე ბევრი აქტუალური ეკონომიური პრობლემის შემოქმედებითი დამუშავებისათვის და თანამედროვე ვულგარული ბურჟუაზიული ეკონომისტებისა და რევიზიონისტების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

თანამედროვე ვულგარულ პოლიტიკურ ეკონომიაში გავრცელებული მთელი რიგი ანტიმეცნიერული კონცეფციები ამა თუ იმ ზომით იმეორებენ იმ ანტიმეცნიერულ შეხედულებებს, რომლებიც გამანადგურებლად იქნა გაკრიტიკებული უკვე მარქსის «ზედმეტი ღირებულების თეორიებში». მაგალითების სახით აქ შეიძლება დავასახელოთ ყველა პროფესიის მუშაკის შრომის მწარმოებლობის კონცეფცია, ანტიმეცნიერული თეორიები კაპიტალიზმის უკრიზისო განვითარების შესაძლებლობის შესახებ, არამწარმოებლური მოხმარების მხსნელი როლის შესახებ, კაცმოძულე თეორიები ხალხთა ფართო მასების სიღატაკის ვითომდა ფატალური აუცილებლობის შესახებ, დედამიწის მოსახლეობის რიცხვსა და არსებულ ბუნებრივ რესურსებს შორის გარდუვალი შეუსაბამობის შესახებ, ღირებულების სხვადასხვაგვარი ვულგარული თეორიები და ა. შ.

ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ისტორიის ღრმა და მრავალმხრივი ანალიზის ძირითადი დასკვნები მარქსმა შემოკლე-

ბული და განზოგადებული სახით ჩამოაყალიბა «კაპიტალის» 1 ტომის მეორე გამოცემის (1873 წლის იანვარი) ბოლოსიტყვაობაში: «რამდენადაც პოლიტიკური ეკონომია ბურჟუაზიულია,... მას შეუძლია მეცნიერებად დარჩეს მხოლოდ მანამდე, ვიდრე კლასობრივი ბრძოლა ფარულ მდგომარეობაში რჩება, ან მხოლოდ ცალკეულ გამოვლენებში მჟღავნდება». ინგლისის კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის შესახებ მარქსი წერს, რომ იგი «იმ პერიოდს ეკუთვნის, როცა კლასობრივი ბრძოლა განუვითარებელი იყო». პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის კლასობრივი ბრძოლის განვითარებასთან ერთად მკვეთრად იცვლება ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ხასიათი. საფრანგეთსა და ინგლისში ბურჟუაზიის მიერ ძალაუფლების დაპყრობის დროიდან დაწყებული «კლასობრივი ბრძოლა, პრაქტიკულად და თეორიულად, სულ უფრო მკაფიო და საშიშ ფორმებს იღებს. მასთან ერთად მეცნიერული ბურჟუაზიული ეკონომიის სასიკვდილო ზარმაც დაჰკრა... უანგარო კვლევა-ძიების ადგილს დაქირავებული მჯღაბნელების მყვირალა პოლემიკა იჭერს, მიუდგომელი მეცნიერული გამოკვლევის ადგილს კი — არაკეთილსინდისიერი, მლიქნელური აპოლოგეტიკა» (იხ. «კაპიტალი», ტ. 1, 1954 წ. გამ., გვ. 13, 15).

ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ამ საერთო დეგრადაციის ფონზე გამოირჩეოდნენ ცალკეული ეკონომისტების ფიგურები, რომლებიც ცდილობდნენ, როგორც მარქსი ამბობს «შეეთანხმებინათ კაპიტალის პოლიტიკური ეკონომია პროლეტარიატის მოთხოვნებთან, რომელთა უგულებელყოფა უკვე აღარ შეიძლებოდა». ასეთი ცდა «შეურიგებელის შერიგებისა» XIX საუკუნეში მოახდინა ჯონ სტიუარტ მილმა. მარქსი აღნიშნავს მსგავსი ცდების სრულ უიმედობას; ეს ცდები მთლიანად რჩებოდნენ ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ფარგლებში და მის გაკოტრებას მოწმობდნენ. ამასთან დაკავშირებით მარქსი განსაკუთრებულად უსვამს ხაზს „დიდი რუსი მეცნიერისა და კრიტიკოსის“ ნ. გ. ჩერნიშევსკის დამსახურებას, რომელმაც თავის ნაწარმოებში «Очерки из политической экономии (по Миллю)», როგორც მარქსი აღნიშნავს, «ოსტატურად გააშუქა» ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის გაკოტრება (იქვე, გვ. 15).

ჩერნიშევსკი ჯონ სტიუარტ მილის წიგნის «Principles of Political Economy» კრიტიკულ მიმოხილვას წერდა 1860—1861 წლებში, ე. ი. თითქმის იმ დროს, როცა მარქსი თავის «ზედმეტი ღირებულების თეორიებზე» მუშაობდა.

ჩერნიშევსკის ყველა ეკონომიურ ნაწარმოებში გატარებულია ის ძირითადი აზრი, რომ აუცილებელია ახალი პოლიტიკური ეკონომიის შექმნა; ამ უკანასკნელს ჩერნიშევსკი, განსხვავებით წინანდელი პოლიტიკური ეკონომიისაგან, რომელსაც იგი ახასიათებს როგორც «კაპიტალისტების თეორიას», სრულიად გარკვევით მშრომელთა თეორიას უწოდებს.

ახალი, ჭეშმარიტად მეცნიერული, ეკონომიურ მეცნიერებაში ძირეული რევოლუციური გადატრიალების მომასწავებელი პოლიტიკური ეკონომიის შექმნა შეეძლო მხოლოდ რევოლუციური პროლეტარიატის ბელადსა და მასწავლებელს — კარლ მარქსს. და მხოლოდ მარქსს, რომელიც პრინციპულად ახალ საწყისებზე აგებდა «კაპიტალის» გრანდიოზულ შენობას, შეეძლო შეექმნა ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ის მეცნიერული ისტორია, რომელიც მოცემულია მისი გენიალური შრომის ისტორიულ-კრიტიკულ ნაწილში — «ზედმეტი ღირებულების თეორიებში».

* * *

როგორც ცნობილია, მარქსმა ვერ მოასწრო „ზედმეტი ღირებულების თეორიების“ ხელნაწერის დასაბეჭდად გადამუშავება. მისი სიკვდილის შემდეგ ეს ხელნაწერი, ისევე როგორც ყველა დანარჩენი ხელნაწერი მემკვიდრეობაც, გადავიდა მისი ერთგული მეგობრისა და დიდი თანამებრძოლის — ფ. ენგელსის ხელში. ამ მომენტიდან დაწყებული ენგელსს თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საქმედ ის მიაჩნდა, რომ გადაემუშავებინა დასაბეჭდად და გამოეცა მარქსის შემდეგ ხელნაწერის სახით დარჩენილი შრომები და პირველ რიგში — მარქსის მიერ დაუმთავრებელი «კაპიტალის» სამი უკანასკნელი წიგნი.

«ზედმეტი ღირებულების თეორიების» ხელნაწერი ენგელსის მიერ პირველად მოხსენიებულია წერილებში, რომლებიც მან მისწერა ლაურა ლაფარგს 1883 წლის 22 მაისს და კაუცკის 1884 წლის 16 თებერვალსა და 24 მარტს. ამ წერილებიდან უკანასკნელში ენგელსი იტყობინება, რომ იგი შეუთანხმდა «კაპიტალის» გამომცემელ მაისნერს იმ თანამიმდევრობის შესახებ, რომლითაც გამოვა «კაპიტალის» მეორე და მესამე წიგნი — და — როგორც მთელი შრომის დასკვნითი ნაწილი — «ზედმეტი ღირებულების თეორიები».

«კაპიტალის» ამ დასკვნითი ნაწილის შესახებ უფრო დაწვრილებით ენგელსი ლაპარაკობს 1884 წლის აგვისტოს წერილში ბერნშტეინისადმი. აქ ჩვენ ვკითხულობთ: «... «თ ე ო რ ი ი ს ი ს ტ ო-

რია», ჩვენ შორის დარჩეს, აგრეთვე ძირითადად დაწერილია. ხელნაწერი «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის»..., როგორც, მგონი, აქ უკვე გიჩვენე, შეიცავს დაახლოებით 500 გვერდს ერთი მეოთხედი ფურცლის ფორმატისა, მიძღვნილს «ზედმეტი ღირებულების თეორიებისადმი», სადაც, რა თქმა უნდა, ბევრი რამ უნდა ამოვშალოთ, რადგან შემდეგში ეს სხვანაირად გადამუშავდა, მაგრამ მაინც საკმაო რაოდენობით დარჩება».

ყველაზე დაწვრილებითი ცნობები «ზედმეტი ღირებულების თეორიების» ხელნაწერისა და იმის შესახებ, თუ რა სახით ფიქრობდა ენგელსი მის გამოცემას, მოცემულია «კაპიტალის» II ტომის ენგელსის წინასიტყვაობაში (ეს წინასიტყვაობა დაწერილია 1885 წლის 5 მაისს). ენგელსი აღნიშნავს, რომ «ზედმეტი ღირებულების თეორიები» შეადგენენ 1861—1863 წლებში დაწერილი ვრცელი ხელნაწერის — «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის» — მთავარ ნაწილს და განაგრძობს: «ეს განყოფილება შეიცავს პოლიტიკური ეკონომიის ცენტრალური პუნქტის, ზედმეტი ღირებულების თეორიის, დაწვრილებითს კრიტიკულ ისტორიას, და, გარდა ამისა, წინამორბედებთან პოლემიკის სახით გადმოგვცემს იმ პუნქტების უდიდეს ნაწილს, რომლებიც შემდგომ სპეციალურად და ლოგიკურ კავშირშია გამოკვლეული II და III წიგნის ხელნაწერში. მე შემდგომისათვის ვიტოვებ ამ ხელნაწერის კრიტიკული ნაწილის გამოქვეყნებას «კაპიტალის» IV წიგნის სახით, იმ მრავალი ადგილის გამოკლებით, რაც უკვე ამოწურულია II და III წიგნებში. თუმცა ეს ხელნაწერი უაღრესად ძვირფასია, მაგრამ ამ II წიგნის გამოცემისათვის მისი გამოყენება ნაკლებად მოხერხდა» (იხ. «კაპიტალი», ტ. II, სახელგამი, 1957, გვ. 2—3).

თავის წერილებში 80-იანი წლების დასასრულსა და 90-იანი წლების დამდეგს ენგელსი რამდენჯერმე იხსენიებს თავის განზრახვას იმის შესახებ, რომ «კაპიტალის» III ტომის გამოცემის შემდეგ იგი უნდა შედგომოდა IV ტომის, «ზედმეტი ღირებულების თეორიების», მომზადებას. ამასთან იგი უკვე ნაკლებ კატეგორიულად გამოთქვამს აზრს «თეორიების» ხელნაწერში შესული თეორიული ექსკურსების ტექსტიდან ამოღების საკითხზე.

უკანასკნელად — დროის მიხედვით — «ზედმეტი ღირებულების თეორიების» ხელნაწერი მოხსენიებული აქვს ენგელსს თავის 1895 წლის 10 აპრილის წერილში სტეფან ბაუერისადმი. როგორც ამ წერილიდან ჩანს, ენგელსი ჯერ კიდევ 1895 წელს ვარაუდობდა, რომ მარქსის ამ ნაწარმოების გამოქვეყნებას მოახერხებდა. მაგრამ

«კაპიტალის» დასკვნითი ტომის დასაბეჭდად დამზადება ენგელსმა ვეღარ მოასწრო: იგი გარდაიცვალა ისე, რომ ამ წერილის დაწერიდან სრული ოთხი თვე არც კი იყო გასული. ენგელსმა მხოლოდ ის მოასწრო, რომ «ზედმეტი ღირებულების თეორიების» ხელნაწერში შეასწორა ავტორის რამდენიმე შეცდომა, რაც მას თვალში მოხვდა.

ენგელსის ზემოაღნიშნული გამონათქვამებიდან ნათლად ჩანს, რომ იგი «ზედმეტი ღირებულების თეორიების» ხელნაწერს ძლიერ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და მას «კაპიტალის» IV წიგნად — ანუ IV ტომად — განიხილავდა. მაგრამ ამ გამონათქვამებიდან ჩანს აგრეთვე ისიც, რომ 1884 — 1885 წლებში ენგელსს განზრახვა ჰქონდა ტექსტიდან ამოეღო «ის მრავალი ადგილი, რაც უკვე ამოწურული იყო II და III წიგნში».

ამასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, ისმის საკითხი: როგორ მოვექცეთ ენგელსის განზრახვას?

«ზედმეტი ღირებულების თეორიების» ხელნაწერიდან მთელი რიგი ადგილების ამოღების უფლება ჰქონდა მხოლოდ ენგელსს, მარქსის დიდ თანამებრძოლსა და თანამოღვაწეს. რომელიც გარკვეული აზრით «კაპიტალის» თანაავტორია. იმისათვის, რომ ამ ადგილების ამოღების შემდეგ დარჩენილი ნაწილები ხელნაწერისა არ დარჩენილიყვნენ ერთმანეთთან დაუკავშირებელ ფრაგმენტებად, საჭირო იქნებოდა მათი მნიშვნელოვნად გადამუშავება და ერთიმეორესთან დაკავშირება სპეციალურად დაწერილი ჩანართებით. მარქსის ტექსტის ამგვარი გადამუშავების უფლება კი კვლავ მარტო ენგელსს ჰქონდა.

არსებობს კიდევ ერთი მოსაზრება «ზედმეტი ღირებულების თეორიების» ტექსტში აღნიშნული «მრავალი ადგილის» შენარჩუნების სასარგებლოდ. ენგელსის განზრახვა ხელნაწერიდან ადგილების ამოღების შესახებ იყო მხოლოდ მისი თავდაპირველი განზრახვა, რომელიც მას მანამდე დაებადა, სანამ «ზედმეტი ღირებულების თეორიების» ხელნაწერის უფრო დეტალურ შესწავლას შეუდგებოდა. და ჩვენ ვიცით «კაპიტალის» III ტომის ენგელსის წინასიტყვაობიდან, რომ დასაბეჭდად მარქსის ხელნაწერების მომზადებაზე უშუალო მუშაობის მსვლელობაში ენგელსი ზოგჯერ გადასინჯავდა ხოლმე თავის თავდაპირველ განზრახვებსა და ვარაუდებს. ასე, მაგალითად, «კაპიტალის» III ტომის V განყოფილება თავდაპირველად ენგელსს უნდოდა მოეცა თავისი საკუთარი გადამუშავების მიხედვით, რამდენადაც მარქსის ხელნაწერში ეს გან-

ყოფილება დაუმუშავებელი სახით დარჩა. თავის წინასიტყვაობაში ენგელსი გვამცნობს, რომ სულ ცოტა სამჯერ მაინც შეეცადა ამ განყოფილების ძირფესვიანად გადამუშავებას, მაგრამ საბოლოოდ ხელი აიღო ამ განზრახვაზე და გადაწყვიტა დაკმაყოფილებულიყო «იმის წესრიგში მოყვანით, რაც მოიპოვებოდა, და მხოლოდ ყველაზე აუცილებელი დამატებანი გაეკეთებინა» (იხ. «კაპიტალი», ტ. III, ნაწ. 1, თბილისი, 1959, გვ. 8). ამის ანალოგიურად შეიძლება ვივარაუდოთ შემდეგი: ენგელსი ნამდვილად რომ შედგომოდა «ზედმეტი ღირებულების თეორიების» ხელნაწერის უშუალო მომზადებას დასაბეჭდად, იგი შეინარჩუნებდა ხელნაწერში შესულ თეორიულ ექსკურსებს. ეს ვარაუდი მით უფრო სარწმუნოა, რომ ამ ექსკურსებს შორის მოიპოვება ისეთები, რომლებშიც მოცემულია მარქსის მეტად მნიშვნელოვანი თეორიული გამოკვლევანი, რომელნიც არსებითად ავსებენ იმას, რაც გადმოცემულია, მაგალითად, «კაპიტალის» III ტომში — განსაკუთრებით მიწის რენტის განყოფილებაში.

თეორიულ გამოკვლევებს, რომლებსაც «ზედმეტი ღირებულების თეორიების» ხელნაწერი შეიცავს, ვ. ი. ლენინი ფრიად მაღალ შეფასებას აძლევს. თავის ნაწარმოებებში ვ. ი. ლენინი ხშირად მიმართავს «ზედმეტი ღირებულების თეორიებს» და ამასთან თანაბრად მაღლა აყენებს მარქსის ამ ნაშრომის როგორც ისტორიულ-კრიტიკულ, ისე წმინდა თეორიულ შინაარსს. განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს ვ. ი. ლენინი «ზედმეტი ღირებულების თეორიების» იმ განყოფილებებს, სადაც მარქსი ავითარებს თავის შეხედულებებს მიწის რენტის ბუნებაზე (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 5, გვ. 149—150; ტ. 13, გვ. 221, 338, 369. 372). ვ. ი. ლენინი მიუთითებს მარქსის «შესანიშნავ განმარტებებზე «ზედმეტი ღირებულების თეორიებში», სადაც განსაკუთრებით ნათლად არის ნაჩვენები მიწის ნაციონალიზაციის რევოლუციური მნიშვნელობაც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული აზრით» (ტ. 28, გვ. 385; იხ. აგრეთვე ტ. 13, გვ. 373, 397 — 399; ტ. 15, გვ. 195; ტ. 16, გვ. 142—და სხვ.). ვ. ი. ლენინს მოჰყავს «ზედმეტი ღირებულების თეორიებიდან» მარქსის ძირითადი დებულებანი აბსოლუტური მიწის რენტის შესახებ და აღნიშნავს, რომ ეს დებულებანი ადასტურებენ სისწორეს ამ პრობლემის განმარტებისა, რომელიც «თეორიების» გამოქვეყნებამდე რამდენიმე წლით ადრე იყო მოცემული ლენინის შრომაში «აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსები» (იხ. ტ. 5, გვ. 149).

* * *

«ზედმეტი ღირებულების თეორიების» ხელნაწერი პირველად გამოსცა კაუცკიმ 1905 — 1910 წლებში სამ ტომად; აქედან მეორე ტომი თავის მხრივ დაყოფილი იყო ორ ნაწილად. ამ გამოცემის მეოხებით მარქსის შესანიშნავი შრომა ცნობილი გახდა მკითხველთა ფართო წრისათვის და გადაითარგმნა მთელ რიგ ენებზე, მათ შორის რუსულ ენაზეც. მაგრამ თავისი ხარისხით კაუცკის გამოცემა მრავალმხრივ არადამაკმაყოფილებელი იყო, ხოლო, ზოგ რამეში პირდაპირ მანკიერი.

კაუცკიმ უარყო ის აზრი, რომ მარქსის ხელნაწერი გამოცემულიყო «კაპიტალის» IV ტომის სახით, ე. ი. ისე, როგორც ამის გაკეთება ენგელსს უნდოდა და როგორც ეს გამომდინარეობდა ხელნაწერის შინაარსიდან და მარქსის პირდაპირი გამონათქვამიდან იმის შესახებ, რომ «კაპიტალის» წერა მან დაიწყო ისტორიული ნაწილიდან. კაუცკიმ გამოაცხადა, რომ «ზედმეტი ღირებულების თეორიები» წარმოადგენს არა «კაპიტალის» IV ტომს, არამედ «კაპიტალის» პარალელურ ნაწარმოებს, თანაც ისეთ ნაწარმოებს, რომელიც თითქოს მოკლებულია ყოველგვარ შინაგან გეგმას და წესრიგს. სწორედ ეს უაღრესად მცდარი მიდგომა გახდა კიდეც წყარო ხელნაწერთან იმ თვითნებური დამოკიდებულებისა, რომლებიც კაუცკიმ დაუშვა თავის გამოცემაში. მან ვერ გაიგო მარქსის შრომის თავისებური სტრუქტურა, ვერ გაიგო ის მნიშვნელობა, რაც მასში აქვს ისტორიულ-კრიტიკულ გამოკვლევათა შეხებებასა და გადახლართვას თვით ეკონომიური პრობლემების გამოკვლევებთან. მათს დადებითს თეორიულ ასპექტში. ამიტომ ის სავსებით უყურადღებოდ მოეპყრო მარქსის შრომის სარჩევებსა და დასათაურებებს, რომელთაც მარქსი თავისი რვეულების გარეკანზე წერდა და რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევენ უკეთ გავიგოთ ცალკეული თავებისა და განყოფილებების არა მარტო გარეგანი, არამედ შინაგანი თანამიმდევრობა. კაუცკიმ ყოველივე ეს უკუაგდო და თვითნებურად შეცვალა მარქსის შრომის სტრუქტურა, მოახდინა მასში ტექსტის ნაწილების გაუმართლებელი გადაადგილებანი, თავისებურად გამოჭრა თავისი გამოცემის პირველი და განსაკუთრებით მეორე ტომი.

მარქსი «ზედმეტი ღირებულების თეორიების» ხელნაწერს იწყებს მოკლე ზოგადი შენიშვნით იმის შესახებ, რომ დღემდე ყველა ეკონომისტი ზედმეტ ღირებულებას და მის განსაკუთრებულ ფორმებს — მოგებასა და რენტას — ერთმანეთში ურევდა, და

პატარა შესავალი თავით ჯემს სტიუარტის შესახებ, რომელმაც პირველმა შეიცნო გაცვლიდან მოგების გამოყვანის შეუძლებლობა. ეს პატარა თავი წარმოადგენს ფიზიოკრატების მოძღვრების განხილვის შესავალს; ფიზიოკრატები პირველნი შეეცადნენ იმას, რომ ზედმეტი ღირებულება წარმოების პროცესის ანალიზის მეოხებით აეხსნათ. შემდეგ მარქსი გადადის ადამ სმიტის მოძღვრების განხილვაზე, მერე კი ისევ უბრუნდება ფიზიოკრატებს და განიხილავს მათი მოძღვრების იმ ნაწილს, რომელშიც მათ თავი გამოიჩინეს როგორც უფრო ღრმა მკვლევარებმა, ვიდრე მათ შემდეგ გამოსული ადამ სმიტი იყო, სახელდობრ იგი განიხილავს კენეს ცნობილ «ეკონომიურ ცხრილს». «ზედმეტი ღირებულების თეორიათა» პირველი თავების ასეთი თანმიმდევრობა შეესაბამება ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის წინააღმდეგობრივ, ზიგზაგურ მსვლელობას. სადაც წინგადადგმულ ნაბიჯს ერთი რიგი საკითხების გაგებაში ზოგჯერ თან ახლდა ნაბიჯის უკან გადადგმა სხვა პრობლემების გაგებაში.

კაუცკიმ უხეშად დაარღვია მარქსის მიერ მოცემული თავების ეს თანამიმდევრობა. თავისი გამოცემის დასაწყისში მან მოათავსა 1861 — 1863 წლების ხელნაწერის უკანასკნელი თავებიდან აღებული ოთხი პატარა ნაწყვეტი, აურია მარქსის მიერ VI — VIII რვეულებში მოცემული დაწყობილი გადმოცემა XX—XXIII რვეულებიდან აღებულ დამატებითს მონახაზებთან, ამოიღო ძირითადი ტექსტიდან მარქსის თეორიული გამოკვლევანი, უშუალოდ დაკავშირებულნი სმიტისა და კენეს შეხედულებათა კრიტიკულ გარჩევასთან, და მოათავსა ისინი ცალკე დამატებათა სახით, რითაც ჩამოაშორა ისინი მარქსის ისტორიულ-კრიტიკულ გამოკვლევებს.

კიდევ უფრო უცერემონიოდ გადააადგილა მან ტექსტის სხვადასხვა ნაწილი თავისი გამოცემის მეორე ტომში. ეს ტომი მან თვითნებურად გაყო ორ ცალკე წიგნად, ამასთან თავი «რიკარდოსეული მოგების თეორია», რომელიც მარქსის ხელნაწერში მოგების საშუალო ნორმასა და მისი დაცემის მიზეზებზე რიკარდოს შეხედულებათა მწყობრ და ზედმიწევნით თანამიმდევრულ კრიტიკას შეიცავს, გათიშა სხვადასხვა ნახევარტომში მოთავსებულ და ერთიმეორისაგან 350 გვერდით დაშორებულ ორ თანაბარ ნაწილად. მარქსი გვიჩვენებს, რომ რიკარდოს შეცდომებმა რენტის თეორიის საკითხში ღრმა ბეჭედი დააჩნიეს რიკარდოსეულ მოძღვრებას მოგების შესახებ. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ მარქსის ხელნაწერში რიკარდოსეული რენტის თეორიის ანალიზი წინ უსწრებს თავს

«რიკარდოსეული მოგების თეორია». კაუცკიმ ეს ვერ გაიგო და თვითნებურად გადააკეთა ტექსტი, შეეცადა დაექვემდებარებინა იგი გადმოცემის. იმ წესისათვის, რომელიც მარქსმა გამოიყენა «კაპიტალის» III ტომში, სადაც მოცემულია არა რიკარდოს შეხედულებათა ისტორიულ-კრიტიკული გამოკვლევა, არამედ თვით მარქსის თეორიის სისტემატური გადმოცემა.

ხელნაწერის ტექსტის დანაწევრება თავებად და პარაგრაფებად მთელ რიგ შემთხვევებში კაუცკიმ ისე მოახდინა, რომ მარქსის მსჯელობათა მსვლელობას საკმაო ყურადღება არ მიაქცია. რედაქციული სათაურები ხშირად თავდება სახელების უბრალო ჩამოთვლით, ესინი ატარებენ სრულიად ზოგად, აბსტრაქტულ ხასიათს და არ იძლევიან არავითარ მითითებას იმის შესახებ, თუ რა კავშირში განიხილება ესა თუ ის პრობლემა, რისთვის აკრიტიკებს მარქსი ამა თუ იმ ეკონომისტს, რა შეცდომებს ამჟღავნებს მარქსი ამა თუ იმ კონცეფციაში. ზოგჯერ კაუცკი ისეთ სათაურებს იძლევა, რომლებსაც შეუძლიათ მკითხველს შეუქმნან სრულიად მცდარი წარმოდგენა, თითქოს ისეთ ბურჟუაზიულ ეკონომისტებს, როგორიც რიჩარდ ჯონსი იყო, უკვე მოეპოვებოდათ მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის ცალკეული ელემენტები. «თეორიათა» ტომების თავის წინასიტყვაობებში კი კაუცკი საერთოდ ჩქმალავს პრინციპულ განსხვავებას ბურჟუაზიულ და მარქსისტულ პოლიტიკურ ეკონომიას შორის და სრულიად არაფერს ამბობს იმ დიდ რევოლუციურ გადატრიალებაზე, რომელიც მარქსმა მოახდინა ეკონომიურ მეცნიერებაში და რომლის გაგებისთვისაც ესოდენ ბევრ თვალსაჩინო, კონკრეტულ მასალას იძლევა სწორედ მარქსის ეს ნაწარმოები.

კაუცკის გამოცემაში ძლიერ ბევრია სრულიად გაუმართლებელი კუპიური, როგორც მცირე, ისე საკმაოდ დიდი მოცულობისა. საბოლოო ანგარიშით კაუცკიმ ტექსტიდან ამოიღო არანაკლებ 5—6 ნაბეჭდი თაბახისა. კაუცკის მიერ ტექსტიდან ამოღებული ადგილებიდან ზოგიერთს განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგალითის სახით შეიძლება დავასახელოთ ის ნაწყვეტი ნარკვევიდან რამსეის შესახებ, სადაც მარქსი ლაპარაკობს კაპიტალის დაგროვების კვალობაზე მუშათა კლასის მდგომარეობის გაუარესების აუცილებლობის შესახებ (მარქსის ხელნაწერის 1098 გვერდი), და ის ადგილი შერბიულიესადმი მიძღვნილი თავიდან, სადაც ლაპარაკია ცვალებადი კაპიტალის აბსოლუტურ შემცირებაზე კაპიტალისტუ-

რი წარმოების უფრო განვითარებულ დარგებში (მარქსის ხელნაწერის 1112—1113 გვერდები).

მარქსის ხელნაწერის გაშიფვრა კაუცკიმ მთელ რიგ შემთხვევებში უაღრესად დაუდევრად მოახდინა. ეს კი მით უფრო მიუტევებელია კაუცკისათვის, რომ იგი თავის დროზე სარგებლობდა ენგელსის რჩევებითა და მითითებებით, რომელიც მას ასწავლიდა, თუ როგორ გაერჩია მარქსის ძნელად საკითხავი ნაწერი. იმ ადგილებშიც კი, სადაც მარქსის ხელნაწერი საკმაოდ გარკვევით იყო დაწერილი, კაუცკი დაუდევრობის გამო უხეშ შეცდომებსა და დამახინჯებებს უშვებდა იმის აღდგენისას, რაც მარქსს დაწერილი ჰქონდა. ამის მაგალითს წარმოადგენს უხეში შეცდომა სიტყვა «Prozess»-ის გაშიფვრისას იმ თავში, სადაც ლაპარაკია რიკარდოსეულ დაგროვების თეორიაზე (მარქსის ხელნაწერის 703 გვერდი). მარქსს ნათქვამი აქვს: «...მთლიანად აღებული პროცესის განხილვისას ნათელია, რომ საარსებო საშუალებათა მწარმოებლებს თავიანთი მუდმივი კაპიტალის ასანაზღაურებლად არ შეუძლიათ იყიდონ მანქანები ან ნედლეული, თუ მუდმივი კაპიტალის ანაზღაურებისათვის საჭირო ელემენტების მწარმოებლები არ იყიდიან მათგან მათ მიერ წარმოებულ საარსებო საშუალებებს, თუ, მაშასადამე, ეს მიმოქცევის პროცესი არ წარმოადგენს არსებითად გაცვლას საარსებო საშუალებებსა და მუდმივ კაპიტალს შორის». ხელნაწერში აქ გარკვევით სწერია: «den allgemeinen Prozess betrachtet...». კაუცკიმ სიტყვა «Prozess» თავის გამოცემაში შეცვალა სიტყვით «Profit» («მოგება») და ამით სრულიად გაუგებარი გახადა მარქსის მკაფიო აზრი.

ხელნაწერის გაშიფვრისას კაუცკის მიერ დაშვებულ უხეშ შეცდომებს უნდა დაემატოს კიდევ მრავალი უზუსტობა ხელნაწერის იმ ადგილების თარგმანში, რომლებიც დაწერილია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე და რომლებიც კაუცკის გამოცემაში გერმანულადაა თარგმნილი, და ასევე ზოგიერთი უმართებულო სარედაქციო ჩანართები და მარქსის ტექსტის დაუსაბუთებელი, უმართებულო «შესწორებანი».

კაუცკისეულ «შესწორებათა» საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ შემდეგი მაგალითი. იმ თავის დასასრულს, სადაც რიკარდოსეულ მოგების თეორიაზეა ლაპარაკი, მარქსი აკრიტიკებს რიკარდოს შეხედულებებს იმ გავლენის საკითხში, რასაც მოგების საშუალო ნორმაზე და შესაბამისად წარმოების ფასებზე ახდენენ კოლონიური ვაჭრობით მიღებული უფრო მაღალი, ვიდრე მეტროპოლია-

ში, მოგებანი და ამბობს: «...მაღალი მოგებანი... იწვევენ იმას, რომ საქონელთა მასის ერთი ნაწილის ფასები ამ საქონელთა ღირებულებაზე უფრო მაღლა იწევს, ვიდრე ეს საშუალო მოგების უფრო დაბალი დონის დროს ხდება, მაშინ როდესაც საქონელთა მეორე ნაწილის ფასები მათს ღირებულებაზე დაბლა იწევს უფრო ნაკლები ოდენობით, ვიდრე დაბალი მოგების დროს» (მარქსის ხელნაწერის 694 გვერდი). კაუცკიმ ვერ გაიგო, რომ მარქსი აქ ლაპარაკობს იმ გავლენაზე, რასაც მოგების ნორმაზე მეტროპოლიასა და კოლონიებს შორის არაეკვივალენტური გაცვლა ახდენს, და მარქსის ნათქვამი შემდეგნაირად შეასწორა: «...მაღალ მოგებათა მეოხებით საქონელთა გარკვეული ნაწილის ფასები დიდად აღემატება მათს ღირებულებას, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა საშუალო მოგება დაბალია, მაშინ როდესაც საქონელთა მეორე ნაწილის ფასები მათს ღირებულებაზე კიდევ უფრო დაბლა დაიწევს» («ზედმეტი ღირებულების თეორიები», ტ. II, ნაწ. 2, რუს. გამოც., 1936, გვ. 144). გამოვიდა სრული დამახინჯება მარქსის აზრისა იმის შესახებ, რომ კოლონიათა ძარცვიდან გამომდინარე მაღალი მოგებანი ადიდებენ მოგების საშუალო ნორმას მეტროპოლიაში და ამით იქ წარმოების ფასების საერთო გადიდებას იწვევენ.

გარდა იმ მიუტევებელი დაუდევრობისა, რაც კაუცკიმ ხელნაწერის ტექსტის აღდგენისას გამოიჩინა, მან ნება მისცა აგრეთვე თავის თავს მარქსის ერთი ტერმინი მეორით შეეცვალა. ასე, მაგალითად, ტერმინი «Arbeitsbedingungen» («შრომის პირობები») კაუცკიმ შეცვალა ტერმინით «Produktionsmittel» («წარმოების საშუალებანი»), ტერმინი «Arbeitsinstrument» («შრომის იარაღი»)— ტერმინით «Arbeitsmittel» («შრომის საშუალება»), ტერმინები «Kostenpreis» («ხარჯთფასი») და «Durchschnittspreis» («საშუალო ფასი») — ტერმინით «Produktionspreis» («წარმოების ფასი») და ა შ.

ნაწილი გამოქვეყნდა 1957 წელს, III ნაწილი — 1961 წლის დასაწყისში).

«ზედმეტი ღირებულების თეორიების» ახალ გამოცემას საფუძვლად დაედო საკუთრივ მარქსის ხელნაწერი, რომლის გაშიფვრა გულდასმით შემოწმდა და ბევრ შემთხვევაში დაზუსტდა. ძირითადი ტექსტის შედგენილობის, მისი დანაგებისა და დანაწევრების დასადგენად გამოყენებულ იქნა თვით მარქსის მიერ მოხაზული სარჩევი, რომელიც უკვე მოხსენიებული იყო ზემოთ.

ახალი გამოცემის დაყოფა სამ ნაწილად გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, ნაწარმოების დიდი მოცულობით, მეორე მხრივ კი — მისი შინაარსით: პირველი ნაწილი იხილავს, ძირითადად, რიკარდომდელ პოლიტიკურ ეკონომიას, მეორე ნაწილი — რიკარდოს, მესამე — რიკარდოს შემდეგდროინდელი პერიოდის ეკონომისტებს.

«ზედმეტი ღირებულების თეორიების» პ ი რ ვ ე ლ ი ნაწილი შეიცავს უმთავრესად ფიზიოკრატებისა და ადამ სმიტის შეხედულებათა ანალიზსა და კრიტიკას. მარქსი აღნიშნავს ფიზიოკრატების ორ დიდ დამსახურებას ეკონომიური მეცნიერების ისტორიაში: 1) მათ პირველებმა გადაიტანეს ზედმეტი ღირებულების წარმოშობის საკითხი მიმოქცევის სფეროდან წარმოების სფეროში; 2) ისინი პირველად შეეცადნენ აესახათ კაპიტალის კვლავწარმოებისა და მიმოქცევის ერთობლივი პროცესი მთელი ქვეყნის მასშტაბით. მარქსი იკვლევს ფიზიოკრატების ეკონომიურ შეხედულებებს და ამჟღავნებს მათთვის, ისევე როგორც ყველა შემდგომი ეკონომისტისათვის, ჩვეულ შეზღუდულობას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მათ წარმოების ბურჟუაზიული ფორმები მარადიულ, ბუნებრივ ფორმებად მიაჩნიათ. მარქსი ავლენს აგრეთვე ფიზიოკრატების მერყეობას ზედმეტი ღირებულების გაგებაში; ზედმეტი ღირებულება გვევლინება მათთან ხან როგორც ბუნების ნაბოძები, ხან კი როგორც მიწათმოქმედების ზედმეტი შრომის პროდუქტი, რომელსაც მიწის მესაკუთრე ითვისებს.

უმნიშვნელოვანესი ეკონომიური კატეგორიების — ღირებულების, ზედმეტი ღირებულების, მწარმოებლური შრომის და ა. შ. — გაგებაში წინააღმდეგობებსა და მერყეობას მარქსი ამჟღავნებს აგრეთვე ადამ სმიტის მოძღვრებაშიც, რომელიც ზოგჯერ ძლიერ ახლოს მიდიოდა სწორ, მეცნიერულ წარმოდგენებამდე ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების წყაროს შესახებ, თუმცა მან ვერ შეძლო ამ მეცნიერული ხაზის თანამიმდევრობით გატარება თავის თეორიაში. მარქსი კრიტიკულად არჩევს სმიტის თეორიას და დიდი

ოსტატობით ავლენს მასში არსებულ ვულგარულ ელემენტს, რომელიც შემდეგში ვულგარული ეკონომისტების, სმიტის ეპიგონების აპოლოგეტიკურ თეორიებად გადაიზარდა. სმიტის ეგრეთწოდებული დოგმის კრიტიკასთან დაკავშირებით, რომელსაც საზოგადოებრივი პროდუქტის მთელი ღირებულება შემოსავალზე დაჰყავდა. მარქსი ამუშავებს მთელი საზოგადოებრივი კაპიტალის კვლავწარმოების საკითხს და განსაკუთრებით დაწვრილებით ჩერდება მუდმივი კაპიტალის ანაზღაურების პრობლემაზე. მწარმოებლურ და არამწარმოებლურ შრომაზე სმიტის შეხედულებათა ანალიზისას მარქსი აშუქებს აგრეთვე იმ ვულგარიზაციის პროცესს, რაც ამ შეხედულებებმა მომდევნო ეკონომისტების ხელში განიცადეს. ამასთან მარქსი ყოველთვის ამჟღავნებს ამა თუ იმ კონცეფციების არა მარტო მეთოდოლოგიურ, არამედ კლასობრივ ფესვებსაც.

«ზედმეტი ღირებულების თეორიების» მ ე ო რ ე ნაწილში ცენტრალური ადგილი უკავია რიკარდოს ეკონომიურ შეხედულებათა სისტემის კრიტიკულ ანალიზს. ეს სისტემა ის კულმინაციური წერტილია, რომელზე უფრო მაღლა ასვლაც კლასიკურმა ბურჟუაზიულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ ვერ შეძლო. რიკარდო ცდილობდა მთელი ბურჟუაზიული ეკონომიკა გაეგო და აეხსნა შრომითი ღირებულების თეორიის საფუძველზე. ამასთან მის შეხედულებებში ძლიერ დიდ როლს ასრულებდა მიწის რენტის თეორია, ამ თეორიის ერთ-ერთი ძირითადი წანამძღვარი კი იყო რიკარდოს მცდარი იდეა ღირებულების და წარმოების ფასის, ან, როგორც აქ მარქსი ამბობს, «ხარჯთფასის», იგივეობის შესახებ. რიკარდოს სისტემის ამ თავისებურებებმა გამოიწვია სწორედ ის, რომ ამ სისტემის თავის ანალიზს მარქსი იწყებს ღირებულებისა და ხარჯთფასის მცდარი გაგების კრიტიკით. ამის წინ კი მარქსი იძლევა «გადახვევის» სახით როდბერტუსის მიწის რენტის თეორიის კრიტიკულ გარჩევას; როდბერტუსმა მოახდინა ცდა, — რომელიც, მართალია, მარცხით დამთავრდა, — დაესაბუთებინა აბსოლუტური მიწის რენტის არსებობა, რასაც რიკარდო უარყოფდა.

მარქსი აღნიშნავს რიკარდოს დიდ თეორიულ დამსახურებას და ამასთანავე ხაზს უსვამს მისი მეთოდის პრინციპულ ნაკლოვანებებს, იმ გარემოებას, რომ რიკარდოს არ შესწევს უნარი დააკავშიროს მოგების საშუალო ნორმის კანონი ღირებულების კანონთან, იგი ხაზს უსვამს რიკარდოს მოგების თეორიაში ვულგარული ელემენტის არსებობას, წარმოების რომელიმე დარგის შიგნით საბაზრო ღირებულების წარმოქმნის პროცესის არევას ხარჯთფასის

წარმოქმნის პროცესთან, ზედმეტი ღირებულების კანონებისა და მოგების კანონების ერთმანეთში არევას და ა. შ. როცა რიკარდოს თეორიულ შეცდომებს აკრიტიკებს და მის კლასობრივ შეზღუდულობას ააშკარავებს, მარქსი იქვე ავითარებს თავის საკუთარ შეხედულებებს ღირებულებასა და წარმოების ფასს შორის არსებულ თანაფარდობაზე, აბსოლუტურ და დიფერენციულ მიწის რენტაზე, მოგების საშუალო ნორმის წარმოქმნაზე და მისი ცვლილების მიზეზებზე, კაპიტალის დაგროვების პროცესზე და მის ეკონომიურ შედეგებზე, კრიზისების პრობლემაზე და ა. შ.

«ზედმეტი ღირებულების თეორიების» მ ე ს ა მ ე ნაწილში განხილულია ის კრიტიკა, რომელიც რიკარდოს სისტემამ განიცადა როგორც მარჯვნიდან — მალთუსის მხრივ, რომელიც მიწათმფლობელური არისტოკრატიისა და ბურჟუაზიის ყველაზე რეაქციული ელემენტების ინტერესების გამომხატველი იყო, — ისე მარცხნიდან — ინგლისელ უტოპიურ სოციალისტ-რიკარდოელთა მხრივ; გაშუქებულია თანამიმდევრობით რიკარდოს სკოლის დაშლის პროცესი; ნაჩვენებია, თუ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან ერთად როგორ ეუფლება ვულგარიზაციის პროცესი პოლიტიკური ეკონომიის თვით საფუძვლებს, მის ამოსავალ დებულებებს, მის ძირითად კატეგორიებს.

თავში მალთუსის შესახებ მარქსი გვიჩვენებს, თუ რა უაზრო და უაღრესად რეაქციულია მალთუსისეული დაცვა არმწარმოებელი კლასების მფლანგველობისა, რომელსაც მალთუსი ხოტბას ასხამდა როგორც ჭარბწარმოების საწინააღმდეგო სამუალებას. თავში რიკარდოს სკოლის დაშლის შესახებ მარქსი ააშკარავებს ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის დეგრადაციის პროცესს, რომელშაც ეს ბურჟუაზიული ეკონომია მიიყვანა რიკარდოსეული სისტემის ყველა მნიშვნელოვანი ელემენტის უარყოფამდე, უნაყოფო სქოლასტიკამდე, კაპიტალისტური წარმოების წესის უსირცხვილო აპოლოგეტიკამდე, სულ უფრო ვულგარულ თეორიებსა და კონცეფციებამდე. თავში სოციალისტ-რიკარდოელების შესახებ მარქსი აღნიშნავს მათს დამსახურებას კაპიტალიზმის კრიტიკის სფეროში და იმავე დროს გვიჩვენებს, რომ მათ არ შესწევთ უნარი გადალახონ რიკარდოსეული თეორიის ბურჟუაზიული წინამძღვრები და რომ უსუსურია მათი ცდები ააგონ ამ თეორიის საფუძველზე მოძღვრება სოციალიზმის შესახებ.

«თეორიების» მესამე ნაწილი მთავრდება რამსეის, შერბიულიეს და რიჩარდ ჯონსის კონცეფციათა კრიტიკული გარჩევით, რომ-

ლებთანაც მარქსი, კაპიტალსა და მოგების წყაროზე ვულგარულ შეხედულებებთან ერთად, აღნიშნავს კაპიტალისტური წარმოების წესის ისტორიულად წარმავალი ხასიათის შესახებ წარმოდგენის გარკვეულ ჩანასახებს, — და ვრცელი დამატებითი ექსკურსით «შემოსავალი და მისი წყაროები. ვულგარული პოლიტიკური ეკონომია», სადაც მარქსი იძლევა ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის დედაარსისა და კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიისაგან მისი განსხვავების შესანიშნავ ანალიზს.

რადგან «ზედმეტი ღირებულების თეორიებზე» მუშაობის მსვლელობაში მარქსის გამოკვლევა, როგორც ამაზე უკვე ნათქვამი იყო, შორს გასცილდა ავტორის თავდაპირველი ჩანაფიქრის საზღვრებს და 1861—1863 წლების ხელნაწერის უკანასკნელ რვეულებში მარქსმა მოგვცა რიგი დამატებითი ნარკვევები და შენიშვნები XVII და XVIII საუკუნეთა ეკონომისტების შესახებ, ამიტომ ეს დამატებითი ნარკვევები და შენიშვნები ბუნებრივად შევიდა პირველი ნაწილის დამატებებში; ისინი შეადგენენ იმ ძირითადი ტექსტის მერმინდელ დამატებებს, რომელიც თავდაპირველად უფრო ვიწრო გეგმის მიხედვით იწერებოდა. პირველი ნაწილის დამატებებში მოთავსებულია აგრეთვე მარქსის თეორიული გამოკვლევა მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის შესახებ (1861—1863 წლების XXI რვეულიდან), რაც მეტად მნიშვნელოვანი დამატებაა ისტორიულ-კრიტიკული თავისა «მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის თეორიები», შენიშვნა ყველა პროფესიის შრომის მწარმოებლობის აპოლოგეტიკური კონცეფციის შესახებ (1861—1863 წლების ხელნაწერი V რვეულიდან) და «კაპიტალის» I და III ნაწილების გეგმების მონახაზები 1863 წლის იანვრისა (იმავე ხელნაწერის XVIII რვეულიდან).

მეორე ნაწილის დამატებებში მოცემულია მარქსის მოკლე შენიშვნები, რომლებიც ეხება მეორე ნაწილში განხილულ საკითხებს და დაწერილია მარქსის მიერ XI, XII და XIII რვეულების გარეკანზე.

მესამე ნაწილის დამატების სახით მოცემულია ზემოაღნიშნული დიდი ექსკურსი «შემოსავალი და მისი წყაროები. ვულგარული პოლიტიკური ეკონომია», რომელიც ძირითადად თეორიულ ხასიათს ატარებს, მაგრამ რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ისტორიულ-კრიტიკული მხრივაც. დამატების სახით მისი მოთავსება საჭირო გახდა იმიტომ, რომ «ზედმეტი ღირებულების თეორიების» უკანასკნელი თავების სარჩევ-გეგმაში, რომე-

ლიც მარქსს XIV რვეულის გარეკანზე მიუწერია, თავს «რიჩარდ ჯონსი» თან ახლავს ჩანანიშნი «დასასრული ამ მე-5 ნაწილისა». ე. ი. კაპიტალის წარმოების პროცესის შესახებ მოცემული განყოფილების დასკვნითი, ისტორიულ-კრიტიკული ნაწილისა, რომლის სახითაც თავდაპირველად «ზედმეტი ღირებულების თეორიები» იწერებოდა. იქვე ამის შემდეგ აღნიშნულ სარჩევ-გეგმაში მოდის სიტყვები «ეპიზოდი: შემოსავალი და მისი წყაროები», რომელთაც XV რვეულის სარჩევში დამატებული აქვს: «ვულგარული პოლიტიკური ეკონომია» (იხ. ეს ტომი, ნაწ. 1, გვ. 3). «ეპიზოდად» მარქსი გულისხმობდა ისეთ ექსკურსს, რომელიც წარმოადგენს ჩანართს ძირითად ტექსტში ანუ მის დამატებას. რადგან ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ იგი შემოსავლისა და მისი წყაროების გაფეტიშებული ფორმების ზერელე გარეგნობას ებღაუჭება, ეს «ეპიზოდი» წარმოადგენს მარქსის ისტორიულ-კრიტიკული გამოკვლევის დამატებას, რომელიც მთელ ტომს აგვირგვინებს.

«ზედმეტი ღირებულების თეორიების» ტექსტი მოცემულია იმ თანამიმდევრობით, რომელსაც მარქსის რვეულები შეიცავს. ცალკეული გადაადგილებანი მოხდა მხოლოდ იმ შემთხვევებში, სადაც მათი აუცილებლობა თვით ავტორის მითითებებიდან გამომდინარეობდა. ასე, მაგალითად, XII რვეულში მარქსი, როცა იგი მწარმოებლური შრომის სმიტისეულ კონცეფციაზე მსჯელობს და ამასთან დაკავშირებით სმიტის შეხედულებათა ვულგარიზატორს ჟერმენ გარნიეს იხსენიებს, აკეთებს დიდ გადახვევას, რომელიც ჯონ სტიუარტ მილს შეეხება. იგი იწყება შემდეგი სიტყვებით: «ვიდრე გარნიეს შეხედულებებს გავარჩევდეთ, გადმოვცემთ აქ ეპიზოდურად (ე. ი. ექსკურსის სახით) ზოგიერთ რამეს ზემოთციტირებული უ მ ცრ ო ს ი მ ი ლ ი ს შესახებ. ის, რის თქმაც აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს, ეკუთვნის, არსებითად, შემდეგში სათქმელს, სადაც ლაპარაკი იქნება ზედმეტი ღირებულების რიკარდოსეულ თეორიაზე, და არა აქ მოცემულ ადგილს, სადაც ჩვენ ჯერ კიდევ ა. სმიტს განვიხილავთ». მარქსის ამ მითითებისა და XIV რვეულის იმ სარჩევის შესაბამისად, რომელიც მარქსმა მოგვიანებით «შეადგინა, ექსკურსი ჯონ სტიუარტ მილის შესახებ გადატანილია «თეორიების» მესამე ნაწილში, თავში რიკარდოს სკოლის დაშლის შესახებ, სადაც ჯონ სტიუარტ მილისათვის მარქსს გამოყოფილი აქვს სპეციალური განყოფილება. გადასმის მეორე მაგალითი: X რვეულში მოცემულია პატარა დაუმთავრებელი თავი ინგლისელი

სოციალისტის ბრეის შესახებ (ხელნაწერის 441—444 გვერდები); ნამდვილად კი «ზედმეტი ღირებულების თეორიების» უკანასკნელი თავების მოგვიანებით შედგენილ სარჩევ-გეგმაში (XIV რვეულის გარეკანზე) განყოფილება „«ბრეი როგორც ეკონომისტების მოწინააღმდეგე» მარქსს განკუთვნილი აქვს თავისათვის: «ეკონომისტების მოწინააღმდეგენი»; მარქსის ამ მითითების შესაბამისად 441—444 გვერდები ბრეის შესახებ გადატანილია თავში «ეკონომისტების მოწინააღმდეგენი».

ტექსტის დანაწევრება თავებად და პარაგრაფებად გაკეთებულია მარქსის იმ მითითებების შესაბამისად, რომლებიც მოცემულია ხელნაწერის სარჩევში და თვით ხელნაწერის სხვადასხვა ცალკეულ ადგილას. ხელნაწერის შემადგენელი ნაწილების სათაურებად გამოყენებულია: 1) სათაურები მარქსის სარჩევიდან, 2) ის სათაურები «კაპიტალის» I და II ნაწილებისათვის მარქსის მიერ შედგენილი გეგმათა მონახაზებიდან, რომლებსაც კავშირი აქვთ «თეორიების» ხელნაწერის ამა თუ იმ განყოფილებასთან, 3) ის მცირერიცხოვანი სათაურები, რომლებიც თვით «თეორიების» ტექსტში მოიპოვება. მაგრამ ყოველივე ეს, ერთად აღებული, შედარებით მხოლოდ მცირე ნაწილია ყველა იმ სათაურისა, რომლებიც აუცილებლად უნდა დართოდა ხელნაწერის განყოფილებებსა და ქვეგანყოფილებებს. სათაურების დანარჩენი, უმეტესი ნაწილი ჩამოყალიბებულია რედაქციის მიერ ხელნაწერის შესაბამისი ნაწილების ტექსტის საფუძველზე თვით მარქსის ტერმინებისა და დაფორმულებათა მაქსიმალური გამოყენებით. რედაქციის მიერ მოცემული სათაურები, — როგორც საერთოდ ყველაფერი ის, რაც რედაქციას ეკუთვნის, — მოთავსებულია კვადრატულ ფრჩხილებში, იმისათვის, რომ ადვილად შეიძლებოდეს მათი გარჩევა მარქსის მიერ მოცემული სათაურებისაგან. ამასთან დაკავშირებით ის კვადრატული ფრჩხილები, რომლებიც ზოგჯერ მარქსის ხელნაწერში გვხვდება, შეცვლილია ფიგურული ფრჩხილებით.

მარქსის ხელნაწერის რვეულების ნომრები ყველგან აღნიშნულია კვადრატულ ფრჩხილებში რომაული ციფრებით, ხელნაწერის გვერდების ნომრები — არაბული ციფრებით. ამასთან, თუ ტექსტი მოცემულია ყოველგვარი გადაადგილების გარეშე, მაშინ გვერდის ნომერი დასმულია მხოლოდ ერთხელ, ხელნაწერის ყოველი გვერდის სულ თავში. თუკი ტექსტი დაბეჭდილია არა თანმიყოლებით, არამედ ამა თუ იმ გადაადგილებით, მაშინ ხელნაწერის გვერდის ნომე-

რი (მეორე რვეულზე გადასვლის შემთხვევაში კი რვეულის ნომერიც) დასმულია როგორც ნაწყვეტის თავში, ისე მის ბოლოშიც.

ახალი გამოცემის მომზადებისას დიდ სიძნელეს წარმოადგენდა «ზედმეტი ღირებულების თეორიების» ზუსტი და იმავე დროს ადვილსაკითხავი თარგმანის მოცემა. საქმე ისაა, რომ ხელნაწერის ტექსტი ბევრ ადგილას ლიტერატურულად დაუმუშავებელია. მარქსის აზრი ხშირად გამოხატულია შემოკლებული და მხოლოდ შავად მოხაზული ფორმით. ცოტა შრომა როდი დასჭირდა იმას, რომ გამონახულიყო, რაიმე თვითნებური გამოთქმის შეუტანლად, ადეკვატური გამოხატვა ხელნაწერის ნამდვილი აზრის გადმოსაცემად. თუმცა ხელნაწერის მეტი ნაწილი მარქსმა გერმანულად დაწერა, მაგრამ თავისი აზრების გამოსახატავად იგი ხშირად იყენებს ინგლისურ და ფრანგულ კონსტრუქციებს, ზოგჯერ, კი მთლიანად გადადის ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე. ხელნაწერის რუსულ ენაზე თარგმნისას საჭირო იყო ყოველივე ამის უნიფიცირება იმგვარად, რომ სხვადასხვა ენაზე მარქსის მიერ გამოთქმულ აზრს მიეღო ერთი მნიშვნელობის მქონე და მაქსიმალურად ზუსტი გამოხატულება რუსული თარგმანის ტექსტში.

ხელნაწერის თარგმნაზე მუშაობის მსვლელობაში გამოვლინდა და შეესწორდა ყოველგვარი მექანიკური შეცდომა და უზუსტობანი ციფრობრივ გაანგარიშებებში, მოყვანილ ციტატებში და ა. შ., შემოწმდა ფაქტიური მონაცემები, წყაროების დამოწმებანი, დაზუსტდა ტერმინოლოგია.

«ზედმეტი ღირებულების თეორიების» სამი ნაწილიდან თვითეულს დართული აქვს სამეცნიერო-საცნობარო აპარატი, რომელშიც შედის: შენიშვნები, ციტირებული და მოხსენიებული ლიტერატურის საძიებელი, მარქსის მიერ ციტირებული წიგნების რუსულ ენაზე არსებული თარგმანების საძიებელი და სახელთა საძიებელი.

1954—1961 წლების რუსული გამოცემის ნიმუშის მიხედვით გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მომზადდა და გამოვიდა «ზედმეტი ღირებულების თეორიების» ანალოგიური გამოცემა ორიგინალის ენაზე (ბერლინი, 1956—1962).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი

კ. მარქსი

ზედმეტი ღირებულების თეორიები

(«კაპიტალის» IV ტომი)

ნაწილი პირველი (თავები I—VII)

[«ზედმეტი ღირებულების თეორიების» ხელნაწერის შინაარსი][1]

[VI—219b] VI რვეულის შინაარსი:

5) ზედმეტი ღირებულების თეორიები[2]

a) სერ ჯემს სტიუარტი

b) ფიზიოკრატები

c) ა. სმიტი [VI—219b]

[VII—272b] [VII რვეულის შინაარსი]

5) ზედმეტი ღირებულების თეორიები

c) ა. სმიტი (გაგრძელება)

(გამოკვლევა იმისა, თუ როგორაა შესაძლებელი, რომ წლიური მოგება და წლიური ხელფასი ყიდულობენ წლის განმავლობაში წარმოებულ საქონელთა მასას, რომელიც გარდა მოგებისა და ხელფასისა კიდევ მუდმივ კაპიტალსაც შეიცავს) [VII—272b]

[VIII—331b] [VIII რვეულის შინაარსი]

5) ზედმეტი ღირებულების თეორიები

c) ა. სმიტი (დასასრული)[3] [VIII—331b]

[IX—376b] [IX რვეულის შინაარსი]

5) ზედმეტი ღირებულების თეორიები

c) ა. სმიტი. დასასრული

d) ნეკერი [IX—376b]

[X—421c] [X რვეულის შინაარსი]
5) ზედმეტი ღირებულების თეორიები
გადახვევა. კენეს ეკონომიური ცხრილი
e) ლენგე
f) ბრეი
g) ბატონი როდბერტუსი. გადახვევა. მიწის რენტის ახალი თეორია [X—421c]

[XI—490a] [XI რვეულის შინაარსი]
5) ზედმეტი ღირებულების თეორიები
g) როდბერტუსი
გადახვევა. შენიშვნები ეგრეთწოდებული რიკარდოს კანონის აღმოჩენის ისტორიის შესახებ
h) რიკარდო
რიკარდოსა და ა. სმიტის ხარჯთფასის თეორია (უარყოფა)
რიკარდოს რენტის თეორია
დიფერენციული რენტის ცხრილები ახსნა-განმარტებებით [XI—490a]

[XII—580b] [XII რვეულის შინაარსი]
5) ზედმეტი ღირებულების თეორიები
h) რიკარდო
დიფერენციული რენტის ცხრილი ახსნა-განმარტებებით (განხილვა იმ გავლენისა, რომელსაც საარსებო საშუალებათა და ნედლეულის ღირებულების — მაშასადამე, აგრეთვე მანქანების ღირებულების — ცვლილება ახდენს კაპიტალის ორგანულ შედგენილობაზე)
რიკარდოს რენტის თეორია
ა. სმიტის რენტის თეორია
რიკარდოს ზედმეტი ღირებულების თეორია
რიკარდოს მოგების თეორია [XII—580b]

[XIII—670a] [XIII რვეულის შინაარსი]
5) ზედმეტი ღირებულების თეორიები და სხვა
h) რიკარდო
რიკარდოს მოგების თეორია
რიკარდოს დაგროვების თეორია. მისი კრიტიკა. (კრიზისების განვითარება კაპიტალის ძირითადი ფორმიდან)

სხვა საკითხები რიკარდოს მოძღვრებაში. დასასრული რიკარდოსადმი მიძღვნილი განყოფილებისა. (ჯონ ბარტონი)

i) მალთუსი [XIII—670a]

[XIV—771a] [XIV რვეულის შინაარსი და «ზედმეტი ღირებულების თეორიების» მომდევნო თავების გეგმა]

5) ზედმეტი ღირებულების თეორიები

i) მალთუსი

k) რიკარდოს სკოლის დაშლა (ტორენსი, ჯემს მილი, პრევოსტ. პოლემიკური თხზულებები, მაკ-კულოხი, უეიკფილდი, სტირლინგი, ჯ. სტ. მილი)

l) პოლიტიკური ეკონომიის ავტორთა მოწინააღმდეგენი [4] (ბრეი როგორც პოლიტიკური ეკონომიის ავტორთა მოწინააღმდეგე) [5]

m) რამსეი

n) შერბულიე

o რიჩარდ ჯონსი.[6] (ამ მე-5 ნაწილის დასასრული)

ეპიზოდი: შემოსავალი და მისი წყაროები [7] [XIV—771a]

[XV—862a] [XV რვეულის შინაარსი]

5) ზედმეტი ღირებულების თეორიები

l) პროლეტარული მოწინააღმდეგენი რიკარდოსეულ საფუძველზე

2) რევენსტონი. დასასრული [8]

3) და 4) ჰოდსკინი [9]

(არსებული სიმდიდრე მის მიმართებაში წარმოების მოძრაობასთან)

ეგრეთწოდებული დაგროვება [Aufhäufung] როგორც მარტოოდენ მიმოქცევის მოვლენა (მარაგი და სხვ. — მიმოქცევის რეზერვუარები)

(სარგებლის სარგებელი; მასზე დაფუძნებული ახსნა მოგების ნორმის შემცირებისა)

ვულგარული პოლიტიკური ეკონომია [10]

(სარგებელმომტანი კაპიტალის განვითარება კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე)

(სარგებელმომტანი კაპიტალი და სავაჭრო კაპიტალი მათს მიმართებაში სამრეწველო კაპიტალთან. უფრო ძველი ფორმები. წარმოებული ფორმები)

(შევახშეობა. ლუთერი და სხვ.) [11] [XV—862a]

[ზოგადი შენიშვნა]

[VI—220] პოლიტიკურ ეკონომიაში ყველა მკვლევარი იმ შეცდომას უშვებს, რომ ზედმეტ ღირებულებას განიხილავს არა როგორც ასეთს წმინდა სახით, არამედ მოგებისა და რენტის განსაკუთრებულ ფორმებში. თუ რა თეორიული შეცდომები უნდა წარმომდგარიყო აუცილებლად აქედან, ეს სრულად ნაჩვენები იქნება მესამე თავში, სადაც მოცემულია ანალიზი იმ უაღრესად გარდაქმნილი ფორმისა, რომელსაც მიიღებს ზედმეტი ღირებულება, როცა იგი მოგების სახით გამოდის[12].

5) [illegible]

[illegible]

[illegible]

[

[თავი პირველი]

სერ ჯემს სტიუარტი

განსხვავება «განსხვისებით მილებულ მოგებასა» და სიმდიდრის დადებითს გადიდებას შორის

ფიზიოკრატებამდე ზედმეტ ღირებულებას,—ე. ი. მოგებას, ზედმეტ ღირებულებას მოგების სახით, — ხსნიდნენ მარტოოდენ გაცვლით, საქონლის გაყიდვით მის ღირებულებაზე მეტად. სერ ჯემს სტიუარტი საერთოდ ამ შეზღუდული შეხედულების ფარგლებს ვერ გასცილდა; უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ სწორედ სტიუარტმა აღადგინა მეცნიერულად ეს შეხედულება. ვამბობ: «მეცნიერულად» აღადგინა. საქმე ისაა, რომ სტიუარტი არ იზიარებს იმ ილუზიას, რომ ზედმეტი ღირებულება, რომელსაც ცალკეული კაპიტალისტი ღებულობს საქონლის გაყიდვით მის ღირებულებაზე მეტად, თითქოს ახალი სიმდიდრის შექმნა იყოს. ამიტომ იგი ერთმანეთისაგან განასხვავებს დადებითსა და შეფარდებითს მოგებას:

«დადებითი მოგება არავისთვის არ ნიშნავს დანაკარგს; იგი შრომის, გულმოდგინეობის ან დახელოვნების გადიდების შედეგია და საზოგადოებრივი სიმდიდრის გადიდებას ანუ ზრდას იწვევს... შეფარდებითი მოგება ნიშნავს ვინმესთვის დანაკარგს; იგი აღნიშნავს სიმდიდრის სასწორის რაღაცის მონაწილე მხარეებს შორის, მაგრამ არ გულისხმობს არავითარ მიმატებას ერთობლივი ფონდებისადმი... შერეული მოგების გაგება ძნელი არ არის: ეს ისეთი მოგებაა,... რომელიც ნაწილობრივ შეფარდებითია, ნაწილობრივ კი დადებითი. ორივე სახეობა შეიძლება განუყოფლად არსებობდეს ერთსა და იმავე გარიგებაში» («Principles of Political Economy», vol. I. The Works of Sir James Steuart etc., ed. by General Sir James Steuart, his son etc. in 6 volumes. London, 1805, стр. 275—276).

დადებითი მოგება წარმოიქმნება «შრომის, გულმოდგინეობისა და დახელოვნების გადიდებით». სტიუარტი არ ცდილობს თავის

თავს ანგარიში მისცეს იმის შესახებ, თუ როგორ წარმოიშვება მოგება ამ გადიდებიდან. მისი დამატება იმის შესახებ, რომ ეს მოგება «ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ს ი მ დ ი დ რ ი ს» გადიდებას და ზრდას იწვევსო, ეტყობა, იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა. რომ სტიუარტი ამით გულისხმობს სახმარ ღირებულებათა მასის გადიდებას, რაც გაპირობებულია შრომის მწარმოებლური ძალების განვითარებით, და რომ იგი ამ დადებით მოგებას განიხილავს სრულიად განცალკევებულად კაპიტალისტების მოგებისაგან, რომელიც ყოველთვის საცვლელი ღირებულების გადიდებას გულისხმობს. ასეთ გაგებას მთლიანად ადასტურებს მისი შემდგომი მსჯელობა.

სახელდობრ, ის ამბობს:

«საქონლის ფ ა ს ი ში მე განვიხილავ ორ ნამდვილად არსებულ და ერთიმეორისაგან ს რ უ ლ ი ა დ გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ რაიმეს: საქონლის ნამდვილ ღირებულებას და გ ა ს ხ ვ ი ს ე ბ ი თ მ ი ღ ე ბ უ ლ მ ო გ ე ბ ა ს [Profit upon alienation]» (გვ. 244).

მაშასადამე, საქონლის ფასი შეიცავს ერთიმეორისაგან სრულიად განსხვავებულ ორ ელემენტს: ჯერ ერთი, მის ნ ა მ დ ვ ი ლ ღ ი რ ებ უ ლ ე ბ ა ს, მეორე — «გ ა ს ხ ვ ი ს ე ბ ი თ მ ი ღ ე ბ უ ლ მ ო გ ე ბ ა ს», მოგებას, რომელიც რეალიზდება საქონლის გასხვისებისას, გაყიდვისას.

[221] ეს «გ ა ს ხ ვ ი ს ე ბ ი თ მ ი ღ ე ბ უ ლ ი მ ო გ ე ბ ა», მაშასადამე, იქიდან წარმოიშვება, რომ საქონლის ფასი მის ნამდვილ ღირებულებაზე უფრო მეტია, სხვაგვარად რომ ვთქვათ — იქიდან, რომ საქონელი მის ღირებულებაზე უ ფ რ ო მ ე ტ ა დ იყიდება. მოგება აქ ერთი მხარისათვის ყოველთვის ნიშნავს დანაკარგს მეორისათვის. არავითარი «დამატება ერთობლივი ფონდისადმი» არ იქმნება. მოგება, — უნდა თქმულიყო ზედმეტი ღირებულება, — შეფარდებითია და წარმოადგენს «სიმდიდრის სასწორის რყევას მონაწილე მხარეებს შორის». სტიუარტი თვით უარყოფს იმ წარმოდგენას, თითქოს ამ გზით შეიძლებოდეს ზედმეტი ღირებულების ახსნა. მის თეორიას «მონაწილე მხარეთა შორის სიმდიდრის სასწორის რყევის» შესახებ, თუმცა ეს თეორია ნაკლებად ეხება თვით ზედმეტი ღირებულების ბუნებას და წარმოშობას, დიდი მნიშვნელობა აქვს იმის განხილვისას, თუ როგორ ნაწილდება ზედმეტი ღირებულება სხვადასხვა კლასებს შორის და იმ სხვადასხვა რუბრიკების მიხედვით, როგორიცაა მოგება, სარგებელი, რენტა.

სტიუარტი რომ ცალკეული კაპიტალისტის მთელ მოგებას ამ «შეფარდებითი მოგებით», «გასხვისებით მიღებული მოგებით» შემოსაზღვრავს, ეს შემდეგიდან ჩანს:

«ნამდვილი ღირებულება», ამბობს იგი, განისაზღვრება საშუალოდ შრომის იმ «რაოდენობითა», რომელიც «მოცემული ქვეყნის შომუშავეს შეუძლია ჩვეულებრივ შეასრულოს... დღის, კვირის, თვის განმავლობაში და ა. შ.». მეორე, იგი განისაზღვრება «მომუშავის საარსებო საშუალებათა და იმ ხარჯების ღირებულებით, რაც აუცილებელია როგორც მისი პირადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ისე... მისი პროფესიისათვის საჭირო ინსტრუმენტების შესაძენად; ყოველივე ეს კვლავ საშუალად აიღება»... მესამე, «მასალების ღირებულებითა» (გვ. 244—245). «თუ ეს სამი მუხლი ცნობილია, მაშინ პროდუქტის ფასი განსაზღვრულია. იგი არ შეიძლება ყველა ამ სამი მუხლის ჯამზე, ე. ი. ნ ა მ დ ვ ი ლ ღ ი რ ებ უ ლ ებ ა ზ ე ნაკლები იყოს. ყ ო ვ ე ლ ფ ე რ ი, რ ა ც ა მ უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ს ა ღ ე მ ა ტ ებ ა, მ ე ფ ა ბ რ ი კ ი ს მ ო გ ებ ა ა. ეს მოგება ყოველთვის შესაბამისობაში იქნება მ ო თ ხ ო ვ ნ ებ თ ა ნ, და ამიტომ გარემოებების მიხედვით შეიცვლება» (ციტირ. თხზ., გვ. 245). «აქედან წარმოიქმნება დიდი მოთხოვნის აუცილებლობა მანუფაქტურათა აყვავებისათვის... მრეწველები თავიანთი ცხოვრების რაგვარობასა და თავიანთი ხარჯებს იმ მოგებას უფარდებენ, რომლის მიღებაშიც ისინი დარწმუნებული არიან» (ციტირ. თხზ., გვ. 246).

აქედან ნათელია: «მეფაბრიკის» ცალკეული კაპიტალისტის მოგება ყოველთვის «შეფარდებითი მოგებაა», ყოველთვის «გასხვისებით მიღებული მოგებაა». ყოველთვის იქიდან გამომდინარეობს, რომ საქონლის ფასი მის ნამდვილ ღირებულებას აღემატება, რომ ს ა ქ ო ნ ე ლ ი მ ი ს ღ ი რ ებ უ ლ ებ ა ზ ე მ ე ტ ა დ ი ყ ი დ ე ბ ა. მაშასადამე, ყველა საქონლის გაყიდვა რომ მისი ღ ი რ ებ უ ლ ებ ი ს მიხედვით ხდებოდეს, მაშინ არავითარი მოგება არ იარსებებდა.

სტიუარტმა ამის შესახებ საგანგებო თავი დაწერა. იგი დაწვრილებით განიხილავს, თუ

«როგორ ხდება მოგებათა შეერთება ერთ მთელად წარმოების ხარჯებთან» (ციტირ. თხზ., ტ. III, გვ. 11 და შემდ.).

სტიუარტი, ერთი მხრივ, უკუაგდებს მონეტარული და მერკანტილისტური სისტემის იმ შეხედულებას, რომლის მიხედვით საქონლის გაყიდვა მის ღირებულებაზე მეტად და აქედან მომდინარე მოგება ქმნის ზედმეტ ღირებულებას, სიმდიდრის დადებითს გადიდებას *;

* სხვათა შორის, მონეტარულ სისტემასაც კი მიაჩნია, რომ ეს მოგება წარმოიქმნება არა ქვეყნის შიგნით, არამედ მხოლოდ სხვა ქვეყნებთან გაცვლაში. მერკანტილისტური სისტემა ვერ ხედავს იმაზე შორსა და მეტს, რომ ეს ღირებულება თავის გამოხატულებას ფულით სალდირებულ სავაჭრო ბალანსში პოულობს.

მეორე მხრივ, იგი მათი შეხედულების მიმდევრად რჩება, თითქოს ცალკეული კაპიტალის მოგება სხვა არაფერია, თუ არა ფასის ეს გადანამეტი [222] ღირებულებაზე — «გასხვისებით მიღებული მოგება», რომელიც, მისი აზრით, მხოლოდ შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი ა, რადგან მოგებას ერთ მხარეზე შეესაბამება დანაკარგი მეორე მხარეზე და ამიტომ მოგების მოძრაობა წარმოადგენს «სიმდიდრის სასწორის რყევას მონაწილე მხარეებს შორის».

ამ მხრივ სტიუარტი, მაშასადამე, მონეტარული და მერკანტილისტური სისტემის რ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი გ ა მ ო მ ხ ა ტ ვ ე ლ ი ა.

მისი დამსახურება კაპიტალის გაგებაში იმას ემყარება, რომ მან ცხადყო, თუ როგორ მიმდინარეობს წარმოების პირობების, როგორც განსაზღვრული კლასის საკუთრების, სამუშაო ძალისაგან გათიშვის პროცესი [13]. კაპიტალის წ ა რ მ ო შ ობ ი ს ამ პ რ ო ც ე ს ს სტიუარტი დიდ ყურადღებას უთმობს; მართალია, მას ჯერ კიდევ არ ესმის ეს პროცესი პირდაპირ როგორც კაპიტალის წარმოშობის პროცესი, მაგრამ მაინც მასში მსხვილი მრეწველობის არსებობის პირობას ხედავს. სტიუარტი ამ პროცესს განიხილავს განსაკუთრებით მიწათმოქმედებაში და მართებულად მიაჩნია, რომ მხოლოდ ამ ჩამოშორების პროცესის მეოხებით, რასაც ადგილი ჰქონდა მიწათმოქმედებაში, წარმოიშვა სწორედ მანუფაქტურული მრეწველობა როგორც ასეთი. ა. სმიტთან ეს ჩამოშორების პროცესი იგულისხმება როგორც უკვე მზა სახით მოცემული.

(სტიუარტის წიგნი [გამოვიდა] ლონდონში 1767 წელს, ტ ი უ რ გ ო ს წიგნი [დაიწერა] 1 7 6 6 წელს, ა. სმიტის წიგნი — 1 7 7 5 წელს.)

[თავი მეორე]

ფიზიოკრატები

[1) ზედმეტი ღირებულების წარმოშობის საკითხის გადატანა მიმოქცევის სფეროდან წარმოების სფეროში. შეხედულება მიწის რენტაზე როგორც ზედმეტი ღირებულების ერთადერთ ფორმაზე]

კაპიტალის ანალიზი ბურჟუაზიული ჰორიზონტის ფარგლებში არსებითად ფიზიოკრატებს ეკუთვნის. სწორედ ეს დამსახურება ხდის მათ თანამედროვე პოლიტიკური ეკონომიის ნამდვილ მამებად. უწინარეს ყოვლისა მათ მოგვცეს ანალიზი იმ სხვადასხვა ნივთიერი შემადგენელი ნაწილებისა, როელთა სახითაც კაპიტალი არსებობს და რომლებადაც იგი დაიშლება შრომის პროცესის დროს. ფიზიოკრატებს ვერ ვუსაყვედურებთ იმას, რომ ისინი, ისევე როგორც მათი მემკვიდრენი, კაპიტალის არსებობის ამ ნივთიერ ფორმებს — ინსტრუმენტებს, ნედლეულს და ა. შ. — განიხილავენ როგორც კაპიტალს იმ საზოგადოებრივი პირობებისაგან მოწყვეტით, სადაც ისინი გვეკლინებიან კაპიტალისტურ წარმოებაში, მოკლედ, განიხილავენ იმ ფორმით, რომლითაც ისინი საერთოდ შრომის პროცესის ელემენტებად გამოდიან მისი საზოგადოებრივი ფორმისაგან დამოუკიდებლად. ამით ფიზიოკრატები წარმოების კაპიტალისტურ ფორმას წარმოების რაღაც მარადიულ ბუნებრივ ფორმად აქცევენ. მათ წარმოების ბურჟუაზიული ფორმები აუცილებლად წარმოუდგებათ წარმოების ბუნებრივ ფორმებად. ფიზიოკრატების დიდი დამსახურება ის იყო, რომ ისინი ამ ფორმებს განიხილავდნენ როგორც საზოგადოების ფიზიოლოგიურ ფორმებს: როგორც ფორმებს, რომელნიც თვით წარმოების ბუნებრივი აუცილებლობიდან გამომდინარეობენ და დამოუკიდებელნი არიან ნე-

ბისყოფისაგან, პოლიტიკისაგან და ა. შ. ეს მატერიალური კანონებია; შეცდომა აქ მხოლოდ ისაა, რომ საზოგადოების განსაზღვრული ისტორიული საფეხურის მატერიალური კანონი განიხილება როგორც აბსტრაქტული კანონი, რომელიც თანაბრად ბატონობს საზოგადოების ყველა ფორმაზე.

გარდა იმ ნივთიერი ელემენტების ანალიზისა, რომელთაგანაც კაპიტალი შედგება შრომის პროცესის ფარგლებში, ფიზიოკრატები იკვლევენ იმ ფორმებს, რომელთაც კაპიტალი ღებულობს მიმოქცევაში (ძირითადი კაპიტალი, საბრუნავი კაპიტალი, თუმცა ფიზიოკრატები ჯერ კიდევ სხვა ტერმინებს ხმარობენ), და საერთოდ გარკვეულ კავშირს ამყარებენ კაპიტალის მიმოქცევის პროცესსა და კვლავწარმოების პროცესს შორის. ამას უნდა დავუბრუნდეთ თავში მიმოქცევის შესახებ [14].

ამ ორივე მთავარ პუნქტში ა. სმიტი გამოდიოდა ფიზიოკრატების მემკვიდრეობიდან. მისი დამსახურება — ამ მხრივ — იმით შემოიისაზღვრება, რომ მან ფიქსაცია გაუკეთა აბსტრაქტულ კატეგორიებს, უფრო მეტი სიმტკიცე მიანიჭა იმ სახელწოდებებს, რომლებითაც მან ფიზიოკრატების მიერ გაანალიზებული სხვაობანი მონათლა.

[223] როგორც დავინახეთ [15], კაპიტალისტური წარმოების განვითარების საფუძველი საერთოდ ისაა, რომ ს ა მ უ შ ა ო ძ ა ლ ა, როგორც მუშების კუთვნილი ს ა ქ ო ნ ე ლ ი, უპირისპირდება შრომის პირობებს, როგორც საქონელთ, რომელნიც კაპიტალის სახით მტკიცედ არიან გამოცალკევებული და მუშებისაგან დამოუკიდებლად არსებობენ. სამუშაო ძალის — როგორც საქონლის — ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს განსაზღვრას უაღრესად არსებითი მნიშვნელობა აქვს. ეს ღირებულება უდრის სამუშაო დროს, რომელიც საჭიროა სამუშაო ძალის კვლავწარმოებისათვის აუცილებელ საარსებო საშუალებათა შესაქმნელად, ანდა უდრის მუშის — როგორც ასეთის — არსებობისათვის აუცილებელ საარსებო საშუალებათა ფასს. მხოლოდ ამ საფუძველზე წარმოიქმნება სხვაობა სამუშაო ძალის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს ა და ი მ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ს შ ო რ ი ს, რ ო მ ე ლ ი ც ამ სამუშაო ძალის გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ი ს გ ზ ი თ იქმნება, — სხვაობა, რომელიც არც ერთი სხვა საქონლისათვის არ არსებობს. რადგან ყოველი სხვა საქონლის სახმარ ღირებულებას, მაშასადამე. მოხმარებასაც არ შეუძლია გაადიდოს მისი ს ა ც ვ ლ ე ლ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ან ის საცვლელი ღირებულებანი, რომლებიც მისგან მიიღება.

ამრიგად, თანამედროვე პოლიტიკურ ეკონომიას, რომელიც კაპიტალისტურ წარმოებას ანალიზს უკეთებს, საფუძვლად უდევს შეხედულება სამუშაო ძალის ღირებულებაზე როგორც მუდმივ რაიმეზე, როგორც მოცემულ სიდიდეზე, რასაც იგი კიდეც წარმოადგენს ყოველ განსაზღვრულ შემთხვევაში. ამიტომ ხელფასის მინიმუმი მართებულად შეადგენს ფიზიოკრატების მოძღვრების ღერძს. თუმცა მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შეცნობილი თვით ღირებულების ბუნება, მაგრამ ხელფასის მინიმუმის ცნების დადგენა მათ შესძლეს იმიტომ, რომ სამუშაო ძალის ეს ღირებულება გამოიხატება აუცილებელ საარსებო საშუალებათა ფასით, მაშასადამე, განსაზღვრულ საზომარ ღირებულებათა გარკვეული ჯამით. საერთოდ ღირებულების ბუნება ფიზიოკრატებს არ ჰქონდათ გარკვეული, მაგრამ მათ მაინც შეძლეს განეხილათ სამუშაო ძალის ღირებულება როგორც განსაზღვრული სიდიდე, რამდენადაც ეს საჭირო იყო მათი გამოკვლევებისათვის. თუ მათ, შემდეგ, ის შეცდომა დაუშვეს, რომ ამ მინიმუმს განიხილავდნენ როგორც უცვლელ სიდიდეს, რასაც, მათი აზრით, მთლიანად განსაზღვრავს ბუნება და არა ისტორიული განვითარების საფეხური, რომელიც თვით არის ცვალებადი სიდიდე, — ეს გარემოება სრულიად არ ეხება მათი დასკვნების აბსტრაქტულ სისწორეს, რადგან სხვაობა სამუშაო ძალის ღირებულებასა და იმ ღირებულებას შორის, რომელიც ამ სამუშაო ძალის გამოყენებით იქმნება, სრულიადაც არაა დამოკიდებული იმაზე, როგორი სიდიდე, მეტი თუ ნაკლები, მიეწერება სამუშაო ძალის ღირებულებას.

ზედმეტი ღირებულების წარმოშობის გამოკვლევა ფიზიოკრატებმა მიმოქცევის სფეროდან უშუალო წარმოების სფეროში გადაიტანეს და ამით საფუძველი ჩაუყარეს კაპიტალისტური წარმოების ანალიზს.

ისინი სავსებით მართებულად აყენებენ იმ ფუნდამენტალურ დებულებას, რომ მწარმოებლურია მხოლოდ ისეთი შრომა, რომელიც ზედმეტ ღირებულებას ქმნის, ე. ი. მხოლოდ ისეთი შრომა, რომლის პროდუქტიც შეიცავს ღირებულებას, რომელიც აღემატება ამ პროდუქტის წარმოების დროს მოხმარებულ ღირებულებათა ჯამს. და რადგანაც ნედლეულისა და მასალის ღირებულება მოცემულია, სამუშაო ძალის ღირებულება კი ხელფასის მინიმუმს უდრის, ცხადია, რომ ეს ზედმეტი ღირებულება შეიძლება

შედგებოდეს მხოლოდ შრომის ნაჭარბიდან, რომელსაც მუშა კაპიტალისტს აძლევს შრომის იმ რაოდენობაზე გადამეტებით, რასაც იგი თავის ხელფასის სახით ღებულობს. მართალია, სახელდობრ ასეთი ფორმით ზედმეტი ღირებულება ჯერ კიდევ არ გვევლინება ფიზიოკრატების მოძღვრებაში, რადგან მათ ჯერ კიდევ ვერ დაუყვანიათ ღირებულება საერთოდ მის მარტივ სუბსტანციამდე: შრომის რაოდენობამდე, ანუ სამუშაო დრომდე.

[224] ფიზიოკრატების მიერ საგნის გადმოცემის წესს, აუცილებლად განსაზღვრავს, რასაკვირველია, მათი საერთო შეხედულება ღირებულების ბუნებაზე; ღირებულება კი მათი გაგებით ადამიანის მოღვაწეობის (შრომის)არსებობის განსაზღვრული საზოგადოებრივი წესი კი არ არის, არამედ შედგება მიწის, ბუნების მიერ მოცემული ნივთიერებისაგან, და ამ ნივთიერების სხვადასხვა სახეცვალებისაგან.

სხვაობა სამუშაო ძალის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს ა და ი მ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს შორის, რომელიც ამ სამუშაო ძალის გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ი თ ი ქ მ ნ ე ბ ა, — ე. ი. ზედმეტი ღირებულება, რომელსაც სამუშაო ძალის ყიდვის შედეგად მისი გამომყენებელი მიისაკუთრებს, წ ა რ მ ო ე ბ ი ს არც ერთ დ ა რ გ შ ი არ გვევლინება ისე ხელშესახებად და უდავოდ, როგორც მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა შ ი, წარმოების ამ პირველადს დარგში. მუშის მიერ წლიდან წლამდე მოხმარებულ საარსებო საშუალებათა ჯამი, ანუ მის მიერ მოხმარებული ნივთიერების მასა უფრო ნაკლებია საარსებო საშუალებათა იმ ჯამზე, რასაც იგი აწარმოებს. მრეწველობაში უშუალოდ არა ჩანს საერთოდ არც ის, რომ მუშა თავის საარსებო საშუალებებს აწარმოებს, დაარც ის, რომ გარდა ამ საშუალებებისა იგი აწარმოებს კიდევ ნამეტს. პროცესის მოსაშუალეა აქ ყიდვა-გაყიდვა, მიმოქცევის სხვადასხვა აქტი, და მისი გაგებისათვის აუცილებელია საერთოდ ღირებულების ანალიზი. მიწათმოქმედებაში ეს პროცესი უშუალოდ მეღვინეობა იმით, რომ წარმოებული სახმარი ღირებულება აღემატება მუშის მიერ მოხმარებულ სახმარ ღირებულებას, და ამიტომ მისი გაგება შეიძლება საერთოდ ღირებულების ანალიზის გარეშეც, ღირებულების ბუნების ცხადი გაგების გარეშეც. მაშასადამე, ეს პროცესი გასაგებია იმ შემთხვევაშიც, როცა ღირებულება დაპყავთ საცვლელ ღირებულებაზე, უკანასკნელი კი — ნივთიერებაზე საერთოდ. ამიტომ ფიზიოკრატებისათვის სამიწათმოქმედო შრომა ერთადერთი მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი შ რ ო მ ა ა, რადგან, მათი აზრით, ეს ერთადერთი შრომაა, რომელიც ზ ე დ მ ე ტ ღ ი რ ე ბ უ ლ ე-



კ. მარქსის «ზედმეტი ღირებულების თეორიების» ხელნაწერის გვერდი
ფ. ენგელსის შესწორებით (გვერდის ბოლოს)

ბას ქმნის, მიწის რენტა კი ზედმეტი ღირებულების მათთვის ცნობილი ერთადერთი ფორმაა. მრეწველობაში, ფიქრობენ ისინი, მუშა კი არ ადიდებს ნივთიერების რაოდენობას: იგი მხოლოდ ცვლის ამ ნივთიერების ფორმას. მასალას — ნივთიერების მასას — მას მიწათმოქმედება აწვდის. მართალია, ის ნივთიერებას შეუერთებს დამატებითს ღირებულებას, მაგრამ არა თავისი შრომით, არამედ თავისი შრომის წარმოების ხარჯებით: იმ საარსებო საშუალებებით, რომელთაც იგი მოიხმარს თავისი მუშაობის განმავლობაში და რომელთა ჯამიც უდრის ხელფასის იმ მინიმუმს, რასაც იგი მიწათმოქმედებისაგან იღებს. რადგან სამიწათმოქმედო შრომა განიხილება როგორც ერთადერთი მწარმოებლური შრომა, ამიტომ ზედმეტი ღირებულების ის ფორმა, რომელიც სამიწათმოქმედო შრომას სამრეწველო შრომისაგან განასხვავებს, — მიწის რენტა, — განიხილება როგორც ზედმეტი ღირებულების ერთადერთი ფორმა.

ამიტომაც ფიზიოკრატებისათვის არც არსებობს საკუთრივ კაპიტალის მოგება, რომლის მიმართაც თვით მიწის რენტა ერთ-ერთი მისი განშტოებაა მხოლოდ. მოგება ფიზიოკრატებს წარმოუდგება მხოლოდ როგორც თავისებური უფრო მაღალი ხელფასი, რომელსაც მიწის მესაკუთრენი იხდიან და კაპიტალისტები შემოსავლის სახით მოიხმარენ (მაშასადამე, იგი სრულიად იმგვარადვე შედის წარმოების ხარჯებში, როგორადაც ჩვეულებრივი მუშების ხელფასის მინიმუმი) და რომელიც ნედლეულის ღირებულებას ადიდებს, რადგან იგი შედის კაპიტალისტის, მრეწველის, მოხმარების ხარჯებში იმ დროის მონაკვეთზე, როცა ეს უკანასკნელი პროდუქტს აწარმოებს, ნედლეულს ახალ პროდუქტად აქცევს.

ამიტომ ზოგიერთი ფიზიოკრატი, მაგალითად, მირაბო უფროსი, ზედმეტ ღირებულებას ფულადი სარგებლის ფორმით — მოგების სხვა განშტოებას — აცხადებს მევახშეობად, რომელიც ბუნების საწინააღმდეგო რამ არის. ტიურგოს, პირიქით, ფულადი სარგებლის ზოგადი კანონზომიერება იქიდან გამოჰყავს, რომ ფულად კაპიტალისტს შეუძლია მიწის, ე. ი. მიწის რენტის ყიდვა და, მაშასადამე, მისი ფულადი კაპიტალი მას იმდენსავე ზედმეტ ღირებულებას უნდა აძლევდეს, რამდენსაც იგი მიიღებდა, თუ კაპიტალს მიწის საკუთრებად გადააქცევდა. ამრიგად, ამ შეხედულების თანახმად, ფულადი სარგებელიც არ არის ახლადშექმნილი ღირებულება, არ არის ზედმეტი ღირებულება; აქ მხოლოდ იმის ახსნაა მოცემული, თუ რატომ მოედინება ფულად კაპიტალისტთან სარგებლის ფორმით

მიწის მესაკუთრეთა მიერ მიღებული ზედმეტი ღირებულების ნაწილი, მსგავსად იმისა, როგორც სხვა მიზეზებით [225] ისაა ახსნილი, თუ რატომ მოედინება მრეწველ კაპიტალისტთან მოგების ფორმით ამ ზედმეტი ღირებულების ნაწილი. რადგან სამიწათმოქმედო შრომა, ფიზიოკრატების აზრით, ერთადერთი მწარმოებლური შრომაა, ერთადერთი შრომაა, რომელიც ზედმეტ ღირებულებას ქმნის, ამიტომ ზედმეტი ღირებულების ის ფორმა, რომელიც სამიწათმოქმედო შრომას ყველა სხვა დარგისაგან განასხვავებს, ე. ი. მიწის რენტა, მათთვის წარმოადგენს ზედმეტი ღირებულების საყოველთაო ფორმას. სამრეწველო მოგება და ფულადი სარგებელი მხოლოდ სხვადასხვა რუბრიკებია, რომელთა მიხედვით მიწის რენტა ნაწილდება და განსაზღვრული ოდენობით მიწის მესაკუთრეთა ხელიდან სხვა კლასების ხელში გადადის. ეს შეხედულება მთლიანად უპირისპირდება იმ შეხედულებას, რომელსაც იცავდნენ, ადამ სმიტიდან მოყოლებული, შემდგომდროინდელი ეკონომისტები, რადგან ეს უკანასკნელნი მართებულად განიხილავენ სამრეწველო ჯოგებას როგორც იმ ფორმას, რომლითაც კაპიტალი თავდაპირველად ზედმეტ ღირებულებას მიითვისებს, მაშასადამე, განიხილავენ როგორც ზედმეტი ღირებულების თავდაპირველ საყოველთაო ფორმას, სარგებელი და მიწის რენტა კი, მათი გაგებით, მხოლოდ განშტოებანია იმ სამრეწველო მოგებისა, რომელსაც მრეწველი კაპიტალისტები ანაწილებენ ზედმეტი ღირებულების თანამფლობელ სხვადასხვა კლასებს შორის.

გარდა უკვე მოყვანილი საფუძვლისა, — რაც იმაში მდგომარეობს, რომ სამიწათმოქმედო შრომა ისეთი შრომაა, სადაც ზედმეტი ღირებულების შექმნა მატერიალურად ხელშესახები სახით გვეევლინება და მიმოქცევის პროცესების მიღმა მყოფნდება, — ფიზიოკრატებს ჰქონდათ სხვა მოტივებიც, რომლებიც მათს თვალსაზრისს გვიხსნიან.

ჯერ ერთი, მიწათმოქმედებაში მიწის რენტა გამოდის როგორც მესამე ელემენტი, როგორც ზედმეტი ღირებულების ისეთი ფორმა, რომელიც მრეწველობაში ან სრულიად არ არსებობს, ანდა რომელსაც მხოლოდ სწრაფწარმავალი არსებობა აქვს. ეს იყო ზედმეტი ღირებულება ზედმეტი ღირებულების გადამეტებით (მოგების გადამეტებით), მაშასადამე — ზედმეტი ღირებულების ყველაზე ხელშესახები და ყველაზე თვალსაჩინო ფორმა, ზედმეტი ღირებულება კვადრატში.

«სოფლის მეურნეობა», როგორც ამბობს შინგამოჩეკილი ეკონომისტი კ ა რ ლ ა რ ნ დ ი [«Die Naturgemässe Volkswirtschaft» etc. Hanau, 1845, გვ. 461 — 462], «ქმნის — მიწის რენტის სახით — ისეთ ღირებულებას, რომელიც არ გვხვდება მრეწველობასა და ვაჭრობაში: ღირებულებას, რომელიც დარჩება მთელი გასტუმრეული ხელფასისა და მთელი გაძოყენებული კაპიტალის რენტის ანაზღაურების შემდეგ».

მ ე ო რ ე. თუ მხედველობაში არ მივიღებთ საგარეო ვაჭრობას, — რასაც ფიზიოკრატები სრულიად მართებულად აკეთებდნენ და რაც მათ უნდა გაეკეთებინათ ბურჟუაზიული საზოგადოების აბსტრაქტული განხილვის მიზნით, — მაშინ ცხადია, რომ მანუფაქტურაში და ა. შ. დასაქმებული და მიწათმოქმედებას სრულიად მოწყვეტილი მუშების («თავისუფალი ხელების», როგორც მათ სტიუარტი უწოდებს) რაოდენობა განისაზღვრება სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმ რაოდენობით, რომელსაც მიწათმოქმედი მუშაკები აწარმოებენ საკუთარი მოხმარების გადამეტებით.

«ცხადია, რომ იმ ადამიანთა შეფარდებითი რიცხვი, რომელთაც სამიწათმოქმედო შრომაში მონაწილეობის გარეშე შეუძლიათ იარსებონ, მთლიანად განისაზღვრება მიწათმოქმედთა შრომის მწარმოებლური ძალით» (R. Jones. On the Distribution of Wealth. London. 1831, გვ. 159 — 160).

ამრიგად, სამიწათმოქმედო შრომა შეადგენს ბუნებრივ საფუძველს [იხ. ამის შესახებ ერთ-ერთ წინა რვეულში][16] არა მარტო ზედმეტი შრომისათვის თვით მიწათმოქმედების სფეროში, არამედ შრომის ყველა სხვა დარგის დამოუკიდებელ დარგებად გადაქცევისათვისაც, მაშასადამე, მათში ზედმეტი ღირებულების შექმნისათვისაც; ამიტომ ნათელია, რომ სწორედ სამიწათმოქმედო შრომა მანამდე უნდა განეხილათ როგორც ზედმეტი ღირებულების შემქმნელი, ვიდრე ღირებულების სუბსტანციად საერთოდ ითვლებოდა განსაზღვრული, კონკრეტული შრომა და არა აბსტრაქტული შრომა და მისი საზომი, სამუშაო დრო.

[226] მ ე ს ა მ ე. ყოველი ზედმეტი ღირებულება, არა მარტო შეფარდებითი, არამედ აბსოლუტურიც, შრომის მოცემულ ნაყოფიერებას ემყარება. თუ შრომის ნაყოფიერება განვითარების მხოლოდ ისეთ საფეხურს მიაღწევდა, რომ ერთი ადამიანის სამუშაო დრო საკმარისი იქნებოდა მხოლოდ მისი საკუთარი სიცოცხლის შენახვისა და კვლავწარმოებისათვის, მაშინ არ იქნებოდა არავითარი ზედმეტი შრომა და არავითარი ზედმეტი ღირებულება,

არ იარსებებდა საერთოდ არავითარი სხვაობა სამუშაო ძალის ღირებულებასა და იმ ღირებულებას შორის, რომელიც ამ სამუშაო ძალის გამოყენებით იქმნება. ამიტომ ზედმეტი შრომისა და ზედმეტი ღირებულების შესაძლებლობა გაპირობებულია შრომის რაიმე მოცემული მწარმოებლური ძალით, ისეთი მწარმოებლური ძალით, რომელიც სამუშაო ძალას იმის უნარს ანიჭებს, რომ შექმნას ახალი ღირებულება, რომელიც მის საკუთარ ღირებულებას აღემატება, აწარმოოს იმაზე მეტი, რაც აუცილებელია არსებობის პროცესის შენარჩუნებისთვის. ამასთან, როგორც უკვე მ ე ო რ ე პუნქტში დავინახეთ, ეს ნაყოფიერება, ეს დონე ნაყოფიერებისა, რომელიც ამოსავალ წანამძღვარს წარმოადგენს, მოცემული უნდა იყოს უწინარეს ყოვლისა სამიწათმოქმედო შრომაში, და ამიტომ იგი გვეჩვენება ბ უ ნ ე ბ ი ს ნ ა ბ ო ძ ე ბ ა დ, ბ უ ნ ე ბ ი ს მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ძ ა ლ ა დ. აქ, მიწათმოქმედებაში, იმთავითვე მოცემულია ფართო ოდენობით ბუნების ძალთა დახმარება, ადამიანის სამუშაო ძალის [Arbeitskraft] გადიდება ბუნების ავტომატურად მოქმედი ძალების გამოყენებისა და ექსპლოატაციის გზით. მრეწველობაში ბუნების ძალთა ეს გამოყენება თავს იჩენს დიდი მასშტაბით მხოლოდ მსხვილი მრეწველობის განვითარებასთან ერთად. კაპიტალის განვითარების ბაზისს წარმოადგენს მიწათმოქმედების განვითარების განსაზღვრული დონე, საკუთარ ქვეყანაში იქნება ეს თუ უცხო ქვეყნებში. ამდენად აბსოლუტური ზედმეტი ღირებულება ემთხვევა აქ შეფარდებითს. (ფიზიოკრატების სასტიკი მოწინააღმდეგე ბ ი უ კ ე ნ ე ნ ი ც კი აყენებს ამას ა. სმიტის წინააღმდეგ და ცდილობს დამტკიცოს, რომ თანამედროვე საქალაქო მრეწველობის განვითარებასაც წინ უსწრებდა მიწათმოქმედების განვითარება).

მ ე ო თ ხ ე. რადგან ფიზიოკრატიის დამსახურება და განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ მას ღირებულება და ზედმეტი ღირებულება მიმოქცევიდან კი არ გამოჰყავს, არამედ წარმოებიდან, ამიტომ იგი, წინააღმდეგ მონეტარული და მერკანტილისტური სისტემისა, აუცილებლად წარმოების იმ დარგით იწყებს, რომელშიც საერთოდ შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც მიმოქცევისაგან, გაცვლისაგან გამოცალკევებულად, დამოუკიდებლად არსებული და რომელიც გულისხმობს არა გაცვლას ადამიანსა და ადამიანს შორის, არამედ გაცვლას ადამიანსა და ბუნებას შორის.

[2) წინააღმდეგობანი ფიზიოკრატების სისტემაში: სისტემის ფეოდალური გარეგნობა და მისი ბურჟუაზიული არსება; ზედმეტი ღირებულების ორგვარი გაგება]

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარეობს წინააღმდეგობანი ფიზიოკრატიის სისტემაში.

ფაქტიურად ეს პირველი სისტემაა, რომელიც კაპიტალისტურ წარმოებას ანალიზს უკეთებს და წარმოების მარადიული ბუნებრივი კანონების სახით გვიხატავს იმ პირობებს, რომლებშიც კაპიტალი იწარმოება და კაპიტალი აწარმოებს. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს სისტემა უფრო ფეოდალური სისტემის, მიწის საკუთრების ბატონობის ბურჟუაზიულ განმეორებას წარმოადგენს; სამრეწველო დარგები კი, სადაც კაპიტალი ყველაზე უწინ ვითარდება, მას შრომის „არამწარმოებლურ“ დარგებად, მიწათმოქმედების უბრალო დანამატად ეჩვენება. კაპიტალის განვითარების პირველი პირობა არის მიწის საკუთრების გათიშვა შრომისაგან, ეს არის ის, რომ მიწა — შრომის ეს პირველადი პირობა — უპირისპირდება თავისუფალ მუშაკს როგორც დამოუკიდებელი ძალა, როგორც განსაკუთრებული კლასის ხელში მყოფი ძალა. ამიტომ ფიზიოკრატული გაგებით მიწის მესაკუთრე გამოდის როგორც ნამდვილი კაპიტალისტი, ე. ი. როგორც ზედმეტი შრომის მიმთვისებელი. ამრიგად, ფეოდალიზმი დასურათებული და ახსნილია აქ ბურჟუაზიული წარმოების sub specie*, მიწათმოქმედება კი მიჩნეულია წარმოების ისეთ დარგად, სადაც მარტოოდენ ადგილი აქვს კაპიტალისტურ წარმოებას, ე. ი. ზედმეტი ღირებულების წარმოებას. მაშინ როდესაც ფეოდალიზმი ამის მეოხებით ბურჟუაზიულ ხასიათს იძენს, ბურჟუაზიული საზოგადოება გარეგნულად ფეოდალურ სახეს ღებულობს.

ამ გარეგნობამ შეიყვანა შეცდომაში დოქტორ კენეს მომხრენი, წარმოშობით აზნაურნი, როგორიც იყო, მაგალითად, პატრიარქალური უცნაური მ ი რ ა ბ ო უფროსი. ფიზიოკრატული სისტემის ისეთი წარმომადგენლების მოძღვრებაში [227], რომელნიც უფრო შორს იხედებოდნენ, განსაკუთრებით ტ ი უ რ გ ო ს მოძღვრებაში, ეს ილუზია სრულიად ქრება და ფიზიოკრატული სისტემა იმ ახალი კაპიტალისტური საზოგადოების გამოხატულებად გვევლინება, რომელიც გზას იკაფავს ფეოდალური საზოგადოების ფარგლებში. მაშასადამე, ფიზიოკრატული სისტემა იმ ეპოქის ბურჟუაზიულ საზოგადოებას

* — თვალსაზრისით. რ ე დ.

შეესაბამება, როცა ეს საზოგადოება ფეოდალიზმიდან იჩეკება. ამიტომ ამოსავალი პუნქტი იმყოფება საფრანგეთში, უმთავრესად მიწათმოქმედების ქვეყანაში, და არა ინგლისში, ქვეყანაში, სადაც გაბატონებულია მრეწველობა, ვაჭრობა და ზღვაოსნობა. ინგლისში ყურადღებას ბუნებრივად იპყრობს მიმოქცევის პროცესი, ის გარემოება, რომ პროდუქტი ღირებულებას იძენს, საქონელი ხდება მხოლოდ როგორც გამოხატულება საყოველთაო საზოგადოებრივი შრომისა, როგორც ფული. ამიტომ, ვიდრე საქმე შეეხება არა ღირებულების ფორმას, არამედ ღირებულების სიდიდეს და ღირებულების გადიდებას, აქ უწინარეს ყოვლისა თვალში გვეცემა «გ ა ს ხ ვ ი ს ე ბ ი თ მ ი ღ ე ბ უ ლ ი მ ო გ ე ბ ა», ე. ი. სტიუარტის მიერ აღწერილი შეფარდებითი მოგება. მაგრამ როცა საქმე ეხება იმის ცხადყოფას, რომ ზედმეტი ღირებულება თვით წარმოების სფეროში იქმნება, მაშინ აუცილებელი იყო უწინარეს ყოვლისა შრომის იმ დარგისთვის მიემართათ, სადაც ეს ზედმეტი ღირებულება თვალსაჩინოდ მეღვანდება მიმოქცევის პროცესისაგან დამოუკიდებლად. ამიტომ ინიციატივამ ამ მხრივ იმ ქვეყანაში იჩინა თავი, სადაც მიწათმოქმედება ჭარბობდა. ფიზიოკრატების მონათესავე იდეები ფრაგმენტარული სახით მათს წინამორბედ ძველ მწერლებსაც ჰქონდათ, როგორც, მაგალითად, თვით საფრანგეთში ბუაგილბერს. მაგრამ ეს იდეები მხოლოდ ფიზიოკრატებთან ყალიბდება ეპოქისშემქმნელ მეცნიერულ სისტემად.

მიწათმოქმედების მუშაკი, რომელიც იძულებულია დაკმაყოფილდეს ხელფასის მინიმუმით, «აუცილებლად საჭიროთი», აკვლავწარმოებს ამ «აუცილებლად საჭიროზე» მეტს, და ეს ნამეტი არის მიწის რენტა, ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ებ უ ლ ე ბ ა, რომელსაც ითვისებენ შრომის ძირითადი პირობის — ბუნების — მესაკუთრენი. ამიტომ ფიზიოკრატები ორ ამბობენ: მუშაკი იმ სამუშაო დროზე მეტს მუშაობს, რაც მისი სამუშაო ძალის კვლავწარმოებისათვის არის საჭირო, ამიტომაც ღირებულება, რასაც ის ქმნის, მისი სამუშაო ძალის ღირებულებას აღემატებაო; ანდა, სხვა სიტყვებით, შრომა, რასაც ის ხარჯავს, მეტია შრომის იმ რაოდენობაზე, რასაც იგი ხელფასის ფორმით ღებულობს. მაგრამ ისინი ამბობენ: იმ სახმარ ღირებულებათა ჯამი, რომელთაც მუშა წარმოების დროს მოიხმარს, ნაკლებია სახმარ ღირებულებათა იმ ჯამზე, რომელსაც ის აწარმოებს, და ამრიგად რჩება სახმარ ღირებულებათა ნამეტი. მუშა რომ მხოლოდ იმ დროის განმავლობაში მუშაობდეს, რაც აუცილებელია მისი საკუთარი სამუშაო ძალის კვლავწარმოებისათვის, მაშინ ვერა-

ვითარ ნამეტს ვერ მივიღებდით. მაგრამ ფიზიოკრატები აღნიშნავენ და ფიქსაციას უკეთებენ მხოლოდ იმ გარემოებას, რომ მიწის მწარმოებლური ძალა შესაძლებლობას აძლევს მუშაკს მისი სამუშაო დღის განმავლობაში, რომლის სიდიდეც მოცემულად იგულისხმება, იმაზე მეტი აწარმოოს, რაც მას სჭირდება თავისი არსებობის შესანარჩუნებლად. ამრიგად, ეს ზედმეტი ღირებულება გვევლინება როგორც ბ უ ნ ე ბ ი ს ნ ა ბ ო ძ ე ბ ი, რომლის მეშვეობითაც ორგანული ნივთიერების განსაზღვრული მასა — მცენარეთა თესლი, ზოგიერთი ცხოველი — შრომას ანიჭებს იმის უნარს, რომ არაორგანული ნივთიერების უფრო დიდი რაოდენობა ორგანულ ნივთიერებად გადააქციოს.

მეორე მხრივ, იგულისხმება როგორც თავისთავად გასაგები, რომ მიწის მესაკუთრე უპირისპირდება მუშაკს კაპიტალისტის სახით. მიწის მესაკუთრე მუშაკს უნაზღაურებს მის სამუშაო ძალას, რასაც მუშა საქონლის სახით აწვდის მას, — და ამის სანაცვლოდ იგი არა მარტო ეკვივალენტს ღებულობს, არამედ მითვისებს კიდეც ამ სამუშაო ძალის გამოყენებით შექმნილ ღირებულების ნამეტს. ამ გაცვლისას იგულისხმება შრომის ნივთიერი პირობისა და თვით სამუშაო ძალის ერთიმეორისგან გათიშულობა. ამოსავალ წერტილად აღებულია ფეოდალური მიწის მესაკუთრე, მაგრამ იგი გამოდის როგორც კაპიტალისტი, გამოდის უბრალოდ როგორც საქონელმფლობელი, რომელიც ადიდებს მის მიერ შრომაზე გაცვლილ საქონელთა ღირებულებას და უკან ღებულობს არა მარტო მათს ეკვივალენტს, არამედ ნამეტსაც ამ ეკვივალენტის გარდა, რადგან იგი ანაზღაურებს სამუშაო ძალას როგორც მხოლოდ საქონელს. საქონელმფლობელის სახით ის უპირისპირდება თავისუფალ მუშას. სხვა სიტყვებით, ეს მიწის მესაკუთრე არსებითად კაპიტალისტია. ფიზიოკრატული სისტემა ამ მხრივაც მართალია იმდენად, რამდენადაც მუშაკის გათიშვა მიწისაგან და მიწის საკუთრებისაგან ძირითად პირობას წარმოადგენს [228] კაპიტალისტური წარმოებისა და კაპიტალის წარმოებისათვის.

აქედან იმავე სისტემაში შემდეგი წინააღმდეგობანი: ამ სისტემისათვის, რომელიც პირველი ცდილობდა აეხსნა ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა სხვისი შრომის მითვისებით, თანაც საქონელგაცვლის საფუძველზე მითვისებით, ღირებულება საერთოდ არ არის საზოგადოებრივი შრომის ფორმა, ზედმეტი, ღირებულება კი არ არის ზედმეტი შრომა; მისთვის ღირებულება მხოლოდ სახმარი ღირებულებაა, მხოლოდ ნივთიერებაა, ზედმეტი ღირებულება კი —

მხოლოდ ბუნების ნაბოძებია, რომელიც უბრუნებს შრომას ორგანული ნივთიერების მოცემული რაოდენობის ნაცვლად მის უფრო მეტ რაოდენობას. ერთი მხრივ, მიწის რენტა, — ე. ი. მიწის საკუთრების ნამდვილი ეკონომიური ფორმა, — მიწის საკუთრების ფეოდალური გარსიდან გათავისუფლებულია, გადაქცეულია უბრალოდ ზედმეტ ღირებულებად, ხელფასზე გადანამეტად. მეორე მხრივ, ეს ზედმეტი ღირებულება — კვლავ ფეოდალურ ყაიდაზე — გამოყვანილია ბუნებიდან და არა საზოგადოებიდან, მიწასთან ურთიერთობიდან და არა საზოგადოებრივი ურთიერთობიდან. თვით ღირებულება დაყვანილია უბრალოდ სახმარ ღირებულებაზე, მაშასადამე, ნივთიერებაზე. მაგრამ იმავე დროს ამ ნივთიერებაში ფიზიოკრატებს აინტერესებს მხოლოდ რაოდენობრივი მხარე, წარმოებული სახმარი ღირებულების გადანამეტი მოხმარებულზე, მაშასადამე, სახმარ ღირებულებათა მხოლოდ რაოდენობრივი მიმართება ერთიმეორისადმი, მხოლოდ მათი საცვლელი ღირებულება, რომელიც საბოლოო ანგარიშით სამუშაო დროზე დაიყვანება.

ყოველივე ეს კაპიტალისტური წარმოების იმ პერიოდის წინააღმდეგობანია. როცა ეს წარმოება, ბრძოლით გამოდის რა ფეოდალური საზოგადოების წიაღიდან, ჯერ მხოლოდ თვით ამ ფეოდალურ საზოგადოებას ბურჟუაზიულ ინტერპრეტაციას აძლევს, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მოუნახავს თავის საკუთარი ფორმა; სწორედ იმის მსგავსად. როგორც ფილოსოფია ჯერ შემეცნების რელიგიური ფორმის ფარგლებში გამომუშავდება და ამით, ერთი მხრივ, სპობს რელიგიას როგორც ასეთს, მეორე მხრივ კი, თავისი დადებითი შინაარსის მიხედვით თვითონ მოძრაობს ჯერ კიდევ მხოლოდ ამ იდეალიზებულ, აზრთა ენაზე გადატანილ რელიგიურ სფეროში.

ამიტომ იმ დასკვნებშიც, რომლებიც თვით ფიზიოკრატებს გამოჰყავთ, მიწის საკუთრების მოჩვენებითი განდიდება გადადის მის ეკონომიურ უარყოფაში და კაპიტალისტური წარმოების დასაბუთებაში. ერთი მხრივ, ყველა გადასახადი გადააქვთ მიწის რენტაზე, ანუ, სხვა სიტყვებით, ხდება მიწის საკუთრების ნაწილობრივი კონფისკაცია — ღონისძიება, რომლის განხორციელებასაც ცდილობდა საფრანგეთის რევოლუციის კანონმდებლობა, და ამ ღონისძიებამდე, როგორც დამამთავრებელ დასკვნამდე, მიდის სავსებით განვითარებულ ფორმას მიღწეული თანამედროვე რიკარდოსეული პოლიტიკური ეკონომია[17]. რადგან ერთადერთ ზედმეტ ღირებულებად მიწის რენტა ითვლება და ყველა გადასახადი, აქედან გამომდინარე, მიწის რენტას ეკისრება, ამიტომ შემოსავლის სხვა ფორმების ყო-

ველგვარი დაბეგვრა არის მიწის საკუთრების დაბეგვრის მხოლოდ არაპირდაპირი, და ამდენად ეკონომიურად მავნე, წარმოების შემაფერხებელი გზა. ამის გამო გადასახადთა ტვირთი და ამით ყოველგვარი სახელმწიფოებრივი ჩარევა სცილდება მრეწველობას, და იგი ამრიგად თავისუფლდება სახელმწიფოს ყოველგვარი ჩარევისაგან. ეს ხდება თითქოს მიწის საკუთრების საკეთილდღეოდ, არა მრეწველობის, არამედ მიწის საკუთრების ინტერესებისათვის.

ამასთან დაკავშირებულია: laissez faire, laissez aller *, შეუზღუდველი თავისუფალი კონკურენცია, მრეწველობის გათავისუფლება სახელმწიფოს ყოველგვარი ჩარევისაგან, მონოპოლიათა გაუქმება და ა. შ. რადგან მრეწველობა, ფიზიოკრატების აზრით, არაფერს არ ქმნის, არამედ მარტოოდენ სხვა ფორმად გარდაქმნის იმ ღირებულებას, რასაც მას მიწათმოქმედება აძლევს; რადგან იგი ამ ღირებულებას არავითარ ახალ ღირებულებას არ მატებს, არამედ მხოლოდ სხვა ფორმით, ეკვივალენტის სახით, აბრუნებს უკან მისთვის მიწოდებულ ღირებულებას, ამიტომ სრულიად ბუნებრივი და სასურველია, რომ ეს გარდაქმნის პროცესი დაუბრკოლებლად მიმდინარეობდეს და რაც შეიძლება იაფი ჯდებოდეს; ამის მიღწევა კი შეიძლება მხოლოდ თავისუფალი კონკურენციით, იმით, რომ კაპიტალისტური წარმოება თავის ნებაზე იქნება მიშვებული. გამოდის, რომ ბურჟუაზიული საზოგადოების გათავისუფლება ფეოდალური საზოგადოების ნანგრევებზე აღმართული აშსოლუტური მონარქიისაგან მხოლოდ ფეოდალური მიწის მესაკუთრის სასარგებლოდ [229] ხდება, მესაკუთრისა, რომელიც კაპიტალისტად იქცა და მხოლოდ გამდიდრებას ესწრაფვის. კაპიტალისტები კაპიტალისტებს წარმოადგენენ მხოლოდ მიწის მესაკუთრის ინტერესებისათვის, სრულიად ისე, როგორც თავის შემდგომ განვითარებაში პოლიტიკური ეკონომია აიძულებს მათ კაპიტალისტები იყვნენ მხოლოდ მუშათა კლასის ინტერესებისათვის.

ყოველივე აქედან ჩანს, თუ როგორ ნაკლებად ესმით თანამედროვე ეკონომისტებს ფიზიოკრატები, — მსგავსად ფიზიოკრატების გამომცემლის ბატონ ეჟენ დერისა, რომლის ნარკვევს ფიზიოკრატების შესახებ პრემიაც კი ხვდა წილად,—როცა ისინი ფიქრობენ, რომ ფიზიოკრატების სპეციფიკური დებულებანი სამიწათმოქმედო შრომის განსაკუთრებული ნაყოფიერების შესახებ, რომ მიწის რენტა

* მოქმედების სრული თავისუფლების მოთხოვნა (სიტყვა-სიტყვით: «დაანებეთ იმოქმედონ, ნება მიეცით მოვლენებს იარონ თავისი გზით»). რ ე დ.

ერთადერთი ფორმაა ზედმეტი ღირებულებისა, რომ მიწის მესაკუთრეებს თვალსაჩინო მდგომარეობა უკავიათ წარმოების სისტემაში — არავითარ კავშირში არ არიან და ისინი მხოლოდ შემთხვევით აქვთ შეხამებული ფიზიოკრატებს კონკურენციის თავისუფლების გამოცხადებასთან, მსხვილი მრეწველობის, კაპიტალისტური წარმოების პრინციპთან. ამასთანავე გასაგებია ისიც, თუ ამ სისტემის ფეოდალურ გარეგნობას — სრულიად ისევე, როგორც განმანათლებელთა ეპოქის არისტოკრატიულ ტონს — როგორ უნდა გაეხადა ფეოდალური ბატონების დიდი რაოდენობა ისეთი თეორიული სისტემის აღფრთოვანებულ მომხრეებად და გამძარცველებად, რომელიც ფეოდალიზმის ნანგრევებზე არსებითად წარმოების ბურჟუაზიული სისტემის მებაირახტრედ გამოდიოდა.

[3) კენე საზოგადოების სამი კლასის შესახებ. ფიზიოკრატული თეორიის შემდგომი განვითარება ტიურგოს მიერ: კაპიტალისტური ურთიერთობის უფრო ღრმა ანალიზის ელემენტები]

განვიხილოთ ახლა რიგი ადგილები ნაწილობრივ ზემოაღნიშნულ დებულებათა განმარტებისათვის, ნაწილობრივ კი მათი დამტკიცებისათვის.

თვით კენეს მიხედვით, «Analyse du Tableau èconomique»-ში, ერი შედგება მოქალაქეთა სამი კლასისაგან:

«მწარმოებელი კლასი» (მიწათმოქმედების მუშაკები), «მიწის მესაკუთრეთა კლასი» და «უნაყოფო კლასი» (ყველა მოქალაქე, ვინც ყოველგვარ სხვა სამსახურს და ყოველგვარ სხვა სამუშაოს ასრულებს, გარდა მიწათმოქმედებისა») («Physiocrates» etc, èditin Euqène Daire Paris, 1846, I partie, გვ. 58).

მწარმოებელ კლასს, ზედმეტი ღირებულების შემქმნელ კლასს წარმოადგენენ მხოლოდ მიწათმოქმედების მუშაკები და არა მიწის მესაკუთრენი. მნიშვნელობა ამ კლასისა, მიწის მესაკუთრეთა კლასისა, რომელიც არაა «უნაყოფო», რადგან იგი «ზედმეტი ღირებულების» წარმომადგენელია, იქიდან კი არ გამომდინარეობს, რომ ის ზედმეტ ღირებულებას ქმნის, არამედ მხოლოდ იქიდან, რომ ამ ზედმეტ ღირებულებას ისაკუთრებს.

ტიურგომ ფიზიოკრატულ სისტემას უფრო განვითარებული სა-

ხე მისცა. ალაგ-ალაგ იგი „ბუნების წმინდა ნაბოძებს“ ზ ე დ მ ე ტ ი შ რ ო მ ი ს სახითაც კი წარმოგვიდგენს. მეორე მხრივ, ის გარემოება, რომ მუშისათვის აუცილებელია სხვას მისცეს ის, რაც მისი არსებობისათვის საჭირო ხელფასს აღემატება, აიხსნება მუშისა და შრომის პირობების გათიშვით, იმით, რომ ეს პირობები უპირისპირდებიან მუშას სხვა კლასის საკუთრების სახით, კლასისა, რომელმაც ეს პირობები ყიდვა-გაყიდვის საგნად აქცია.

პირველი მოსაზრება იმის სასარგებლოდ, რომ აწარმოებლურია მარტოოდენ სამიწათმოქმედო შრომა, ის არის, რომ სამიწათმოქმედო შრომა წარმოადგენს შრომის ყველა სხვა სახეობის თავისთავადი არსებობის საფუძველსა და წანამძღვარს.

«მისი» (მიწათმოქმედის) «შრომა ინარჩუნებს საზოგადოების სხვადასხვა წევრებს შორის განაწილებული შრომის ყველა სახეობებში ისეთივე უპირველეს ადგილს, როგორიც ეკავა საზრდოს მოსაპოვებლად საჭირო შრომას იმ სხვადასხვა სამუშაოთა შორის, რომლებიც ადამიანს შრომის საზოგადოებრივ დანაწილებამდე უნდა შეესრულებინა თავისი სხვადასხვა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ეს არ არის პირველობა პატივისა და ღირსების მნიშვნელობით; ეს არის ფ ი ზ ი კ უ რ ი ა უ ც ი ლ ებ ლ ო ბ ი თ გაპირობებული პირველობა... ის, რაც მიწათმოქმედის შრომას მიწიდან გამოაქვს იმაზე ზედმეტად, რაც აუცილებელია მის პირად მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, შეადგენს საზოგადოების ყველა სხვა წევრის მიერ თავის შრომაზე გაცვლის გზით მიღებული ხელფასის ერთადერთ ფონდს. საზოგადოების წევრები, თავის მხრივ, ამ გაცვლის გზით მიღებული ხელფასის მიწათმოქმედის პროდუქტების საყიდლად გამოყენებით, — მიწათმოქმედს უკან უბრუნებენ სწორედ » (ნიუთიერი გამოხატულებით) «მხოლოდ იმას, რაც მათ მიიღეს. ასეთია არსებითი [230] განსხვავება შრომის ამ ორ სახეობას შორის» «Réflexions sur la Formation et la Distribution des Richesses» (1766, **Turgot**, Oeuvres, édition Daire, Tome I, Paris. 1844, გვ, 9 — 10).

როგორღა წარმოიშვება ზედმეტი ღირებულება? იგი არ წარმოიშვება მიმოქცევიდან, მაგრამ მისი რეალიზაცია ხდება მიმოქცევაში. პროდუქტი იყიდება თავისი ღირებულების მიხედვით და არა თავის ღირებულებაზე მეტად. არ არის ნამეტი ღირებულებასთან შედარებით. მაგრამ რადგან პროდუქტი თავისი ღირებულების მიხედვით იყიდება, გამყიდველი ზედმეტი ღირებულების რეალიზაციას ახდენს. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ მან მთლიანად როდი აანაზღაურა ფასი იმ ღირებულებისა, რომელსაც ყიდის, სხვაგვარად რომ ვთქვათ, — იმიტომ, რომ პროდუქტი ღირებულების ისეთ შემადგენელ ნაწილს შეიცავს, რომლის ფასი გამყიდველს არ გადაუხდია, რომელიც არაა ანაზღაურებული ეკვივალენტით. სწორედ ასეთია საქმის ვითარება სამიწათმოქმედო შრომის მიმართ.

გამყიდველი იმას ყიდის, რაც უყიდია. აი ამას, რაც ნაყიდი არაა, ტიურგო თავდაპირველად გვიხატავს როგორც «ბ უ ნ ე ბ ი ს წ მ ი ნ - დ ა ნ ა ბ ო ძ ე ბ ს». მაგრამ ჩვენ დავინახავთ, რომ ეს «ბუნების წმინდა ნაბოძები» ტიურგოს მსჯელობაში შეუმჩნევლად გადაიქცევა მიწათმოქმედის ზედმეტ შრომად, რაც მიწის მესაკუთრეს არ უყიდია, მაგრამ რასაც იგი მიწათმოქმედების პროდუქტების სახით ყიდის.

«როგორც კი მიწათმოქმედი თავისი შრომით იწყებს იმაზე მეტის წარმოებას, რაც აუცილებელია მის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, იგი იმის შესაძლებლობას იღებს, რომ ამ ნაჭარბით, რასაც მას ბუნება აძლევს წმინდა ნაბოძების სახით მისი შრომის საფასურზე ზედმეტად, საზოგადოების სხვა წევრების შრომა იყიდოს. და ეს წევრები კი, როცა მას თავის შრომას მიჰყიდიან, ამით მხოლოდ საარსებო საშუალებებს ძენენ; მიწათმოქმედი კი, თავის საარსებო საშუალებათა გარდა, ისეთ სამდიდრესაც იმკის, რომლის გამგებლობაც მას დამოუკიდებლად და თავისუფლად შეუძლია, სამდიდრეს, რომელიც მას არ უყიდია, მაგრამ რომელსაც იგი ყიდის. ამრიგად, იგი ერთადერთი წყაროა იმ სიმდიდრისა, რომელიც თავისი მიმოქცევით ასულდგმულებს ყველა სახეობის შრომას საზოგადოებაში, ო ა დ გ ა ნ მ ხ ო ლ ო დ მ ი ს ი შ რ ო მ ა ა წ ა რ მ ო ე ბ ს შ რ ო მ ი ს ს ა ფ ა - ს უ რ ი ს. გ ა დ ა ნ ა მ ე ტ ს» (ციტირ. თხზ., გვ. 11).

ამ პირველ გააზრებაში მიგნებულია, ჯერ ერთი, ზედმეტი ღირებულების რაობა, მიგნებულია სწორედ ის, რომ იგი ისეთი ღირებულებაა, რომლის რეალიზაციაც გაყიდვისას ხდება, მაგრამ რომელშიც გამყიდველს არავითარი ეკვივალენტი არ მიუცია, ე. ი. რომელიც მას არ უყიდნია, გ ა დ ა უ ხ დ ე ლ ი ღ ი რ ებ უ ლ ე ბ ა. მაგრამ, მეორე, ეს გადანამეტი «შ რ ო მ ი ს ს ა ზ ღ ა უ რ ზ ე» გაზხილულია როგორც «ბუნების წმინდა ნაბოძები», ვინაიდან საერთოდ ბუნების ნაბოძებს, რაიმე ისეთს, რაც ბუნების ნაყოფიერებაზეა დამოკიდებული, ის გარემოება წარმოადგენს, რომ მუშაკს შეუძლია თავის სამუშაო დღის განმავლობაში იმაზე მეტი აწარმოოს, რაც აუცილებელია მისი სამუშაო ძალის კვლავწარმოებისათვის, იმაზე მეტი, რაც მის ხელფასს შეადგენს. ამ პირველი გააზრების მიხედვით, მთელ პროდუქტს ჯერ კიდევ მუშაკი ისაკუთრებს და მთელი ეს პროდუქტი დაიყოფა ორ ნაწილად. პირველი ნაწილი შეადგენს მუშაკის ხელფასს, — ეს მუშაკი წარმოდგენილია თავის თავის მიმართ როგორც დაქირავებული მუშაკი, რომელიც თავის თავს უხდის პროდუქტის იმ ნაწილს, რაც აუცილებელია მისი სამუშაო ძალის კვლავწარმოებისათვის, მისი სიცოცხლის შენარჩუნებისათვის. მეორე ნაწილი, რაც ამის გარდა რჩება, ბ უ ნ ე ბ ი ს ნ ა - ბ ო ძ ე ბ ი ა და ზედმეტ ღირებულებას შეადგენს. მაგრამ ამ ზედ-

მეტი ღირებულების, ამ «ბუნების წმინდა ნაბოძების» არსება უფრო ნათლად გვეხატება, როგორც კი მოიხსნება წანამძღვარი «მიწათ-მოქმედი-მიწის მესაკუთრის» შესახებ და პროდუქტის ორი ნაწილი, ხელფასი და ზედმეტი ღირებულება, წილად ხვდება სხვადასხვა კლასებს, ერთი — დაქირავებულ მუშაკს, მეორე — მიწის მესაკუთრეს.

იმისათვის, რომ დაქირავებული მუშაკების კლასი შეიქმნას, — მრეწველობაში იქნება ეს თუ თვით მიწათმოქმედებაში (თავდაპირველად მრეწველობაში დასაქმებულნი ყველანი გვევლინებიან როგორც stipendiès, როგორც «მიწათმოქმედი-მესაკუთრის» დაქირავებული მუშაკები), — საჭიროა შრომის პირობები გამოეთიშოს სამუშაო ძალას, ამ ჩამოშორების საფუძველს კი ის შეადგენს, რომ თვით მიწა გვევლინება როგორც საზოგადოების ერთი ნაწილის კერძო საკუთრება. ასე რომ საზოგადოების მეორე ნაწილი მოწყვეტილია თავისი შრომის გამოყენების ამ ნივთიერ პირობებს.

«თავდაპირველად არ იყო მიწის მესაკუთრის მიწათმოქმედისაგან განსხვავების საჭიროება... იმ შორეულ დროში, როცა ყოველი შრომისმოყვარე ადამიანი იმდენ მიწას პოულობდა, რამდენსაც [231] მოისურვებდა, შეუძლებელი იყო ვინმეს მოეწადინებინა სხვის სასარგებლოდ მუშაობა... მაგრამ სადღაც ოდესღაც ყოველ მიწის ნაკვეთს თავისი პატრონი გამოუჩნდა, და იმას, ვინც მიწის საკუთრებად მოპოვება ვერ შეძლო, დასაწყისში მხოლოდ ის გამოსავალი რჩებოდა, რომ გაეცვალა დაქირავებული კლასის» (ე. ი. ხელოსანთა კლასის, მოკლედ — ყველა არამიწათმოქმედი მუშაკის) «მოსაქმეობის სახით განხორციელებული თავისი მარჯვენის შრომა მიწათმოქმედ-მესაკუთრის პროდუქტების ნამატზე» (გვ. 12). «მიწათმოქმედ-მესაკუთრეს, რაკი მის განკარგულებაში იყო ის მნიშვნელოვანი ნამატი», რასაც მიწა აძლევდა მისი შრომის ჯილდოდ, შეეძლო «ამ ნამატით ადამიანების ხელფასის გასტუმრება, რათა მათ მისი მიწა დამუშავებინათ; მისთვის, ვინც ხელფასით ცხოვრობს, ხომ საკმაოდ სულერთია, რა სახის შრომისათვის მიიღებს ამ ხელფასს. მიწის საკუთრება უნდა გამოთიშოდა სამიწათმოქმედო შრომას, და ეს მალე მოხდა... მიწის მესაკუთრენი... თავს ითავისუფლებენ მიწის დამუშავებასთან დაკავშირებული შრომისაგან და ამ შრომას დაქირავებულ მიწათმოქმედთ აკისრებენ» (ციტირ. თხზ., გვ. 13).

ამით კაპიტალისა და შრომის ურთიერთობა შეიჭრება თვით მიწათმოქმედებაში. ეს ურთიერთობა იმ მომენტიდან ჩნდება, როგორც კი ადამიანთა გარკვეული მასა შრომის პირობების — უწინარეს ყოვლისა მიწის — საკუთრებას მოკლებული აღმოჩნდება და როცა მათ გასაყიდად აღარაფერი დარჩენიათ, გარდა თავიანთი საკუთარი შრომისა.

ახლა დაქირავებული მუშისათვის, რომელსაც არ შეუძლია უკვე რაიმე სხვა საქონელი აწარმოოს, არამედ იძულებულია თვით თავისი შრომა გაყიდოს, ხელფასის მ ი ნ ი მ უ მ ი, აუცილებელ საარსებო საშუალებათა ეკვივალენტი გარდუვალი კანონი ხდება ამ გაცვლისას შრომის პირობების მესაკუთრესთან.

«უბრალო მუშას, რომელსაც გარდა ხელებისა და მუშაობის უნარისა არაფერი გააჩნია, იმდენი აქვს, რამდენის მიღებასაც იგი ახერხებს, როცა თავის შრომას სხვებს მიჰყიდის... შრომის ყველა დარგში ადგილი უნდა ჰქონდეს და ნამდვილად აქვს ადგილი იმ ფაქტს, რომ მუშის ხელფასი იმით შემოისაზღვრება, რაც მისთვის უთუოდ აუცილებელია სიცოცხლის შესანარჩუნებლად» (ციტირ. თხზ., გვ. 10).

და აი როგორც კი დაქირავებული შრომა ჩნდება,

«მიწის პროდუქტი ორ ნაწილად იყოფა: ერთი მათგანი შეიცავს მიწათმოქმედის საარსებო საშუალებებს და მოგებას, რომლებიც წარმოადგენენ მისი შრომის გასამრჯელოს და იმ პირობას, რომლითაც იგი კისრულობს მესაკუთრის მიწების დამუშავებას; ნაშთი შეადგენს იმ დამოუკიდებელ და თავისუფალ ნაწილს, რასაც მ ი წ ა მ ი ს დ ა მ მ უ შ ა ვ ე ბ ე ლ ს ა ძ ლ ე ვ ს წ მ ი ნ დ ა ნ ა ბ ო ძ ე ბ ი ს ს ა ხ ი თ, მის მიერ დახარჯულ საშუალებათა და მისი შრომის საზღაურზე გადამეტებით, და ეს არის მესაკუთრის წილი, ანუ შემოსავალი, რომლითაც მას შეუძლია იცხოვროს ისე, რომ არ იმუშაოს, და რომელსაც ისე გამოიყენებს, როგორც მოისურვებს» (ციტირ. თხზ., გვ. 14).

მაგრამ ეს «მიწის წმინდა ნაბოძები» გვევლინება ახლა უკვე გარკვევით როგორც ისეთი საჩუქარი, რომელსაც მიწა აძლევს «იმას, ვინც მას ამუშავებს», ე. ი. როგორც შრომისადმი მიძღვნილი საჩუქარი მიწისა, როგორც მიწის დასამუშავებლად გამოყენებული შრომის მწარმოებლური ძალა, როგორც ისეთი მწარმოებლური ძალა, რომელიც შრომას გააჩნია ბუნების მწარმოებლური ძალის გამოყენების შედეგად და რომელსაც იგი იღებს, ამრიგად, მიწისაგან, მაგრამ იღებს მისგან მხოლოდ როგორც შრომა. ამიტომ მიწის მესაკუთრის ხელში ნამეტი გვევლინება უკვე არა როგორც «ბუნების ნაბოძები», არამედ როგორც მითვისება — უეკვივალენტოდ — სხვისი შრომისა, რომელსაც ბუნების ნაყოფიერების მეოხებით შეუძლია საკუთარ მოთხოვნილებებზე მეტი საარსებო საშუალებანი აწარმოოს, მაგრამ რომელიც, — იმის გამო, რომ იგი დაქირავებული შრომაა, — იძულებულია დაკმაყოფილდეს შრომის მთელი პროდუქტიდან მხოლოდ «იმის» მითვისებით, «რაც აუცილებლად საჭიროა მისი არსებობის «შესანარჩუნებლად».

«მიწათმოქმედი აწარმოებს თავის საკუთარ ხელფასს და, გარდა ამისა, შემოსავალს, რომელიც ხმარდება ხელოსნებისა და ყველა სხვა დაქირავებულ პირთა მთელი კლასის ხელფასის გასტუმრებას. მესაკუთრე დებულობს ყველაფერ იმას, რაც მას აქვს, მხოლოდ მიწათმოქმედის შრომის მეოხებით» (მაშასადამე, არა ბუნების წმინდა ნაბოძების მეოხებით); «იგი ღებულობს მიწათმოქმედისაგან [232] საარსებო საშუალებებს თავისთვის და იმას, რითაც იგი სხვა დაქირავებულ პირთა შრომის საფასურს იხდის... მიწათმოქმედს მესაკუთრე სჭირდება მხოლოდ არსებული შეთანხმებებისა და კანონების გამო» (ციტირ. თხზ., გვ. 15).

მაშასადამე, აქ ზედმეტი ღირებულება პირდაპირ წარმოდგენილია როგორც მიწათმოქმედის შრომის ის ნაწილი, რომელსაც მიწის მესაკუთრე უეკვივალენტოდ ითვისებს და რომლის პროდუქტსაც ამიტომ ისე ყიდის, რომ მას იგი არც კი უყიდნია. მაგრამ ტიურგოს მხედველობაში აქვს არა ზედმეტი ღირებულება როგორც ასეთი; არა თვით სამუშაო დრო, არამედ პროდუქტთა ნამეტი, რასაც მიწათმოქმედის შრომა მის საკუთარ ხელფასზე გადამეტებით აწვდის მიწის მესაკუთრეს; მაგრამ პროდუქტთა ეს ნამეტი დროის მხოლოდ იმ რაოდენობის გასაგნობრივებაა, რომლის განმავლობაშიც მიწათმოქმედი მუშაობს უსასყიდლოდ, იმ დროზე გადამეტებით, რომლის განმავლობაშიც იგი მუშაობს თავისი ხელფასის კვლავწარმოებისათვის.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ სამიწათმოქმედო შრომის ფარგლებში ფიზიოკრატებს სწორად ესმით ზედმეტი ღირებულება, რომ ისინი მას დაქირავებული მუშაკის შრომის პროდუქტად განიხილავენ, თუმცა თვით ამ შროპას კვლავ განიხილავენ იმ კონკრეტული ფორმით, რომლითაც იგი წარმოდგენილია სახმარ ღირებულებებში.

გაკვრით შევნიშნავთ, რომ მიწათმოქმედების ექსპლოატაციის კაპიტალისტური წესი — «მიწის იჯარით გაცემა» — ტიურგოს მიაჩნია

«ყველაზე ხელსაყრელ წესად, მაგრამ ამ წესის წამოყენება მხოლოდ ისეთ ქვეყანაში შეიძლება, რომელიც უკვე საკმაოდ მდიდარია» (ციტირ. თხზ., გვ. 21).

ზედმეტი ღირებულების განხილვისას მიმოქცევის სფეროდან აუცილებლად უნდა გადავიდეთ წარმოების სფეროში, ე. ი. ზედმეტი ღირებულება უნდა გამოვიყვანოთ არა უბრალოდ საქონლის საქონელზე გაცვლიდან, არამედ იმ გაცვლიდან, რომელიც თვით წარმოების ფარგლებში ხდება შრომის პირობების მესაკუთრეთა და მუშებს შორის. ისინიც, შრომის პირობების მესაკუთრენი და მუშები,

ასევე უპირისპირდებიან ერთმანეთს როგორც საქონელმფლობელნი, და ამიტომ აქ სულაც არ იგულისხმება გაცვლისაგან დამოუკიდებელი წარმოება.

ფეოდალურ სისტემაში მიწის მესაკუთრენი წარმოადგენენ «დამქირავებლებს», მუშები და მეწარმენი კი წარმოების ყველა სხვა დარგში «ხელფასის მიმღებნი», ანუ «დაქირავებული პირები» არიან. აქედან აგრეთვე — «მმართველნი» და «მმართველობას დაქვემდებარებულნი».

ტიურგო შრომის პირობებს შემდეგ ანალიზს უკეთებს:

«შრომის ყოველ დარგში მუშაკს წინასწარ უნდა ჰქონდეს შრომის იარაღი და ამ მასალის საკმარ რაოდენობა, რომელიც მისი შრომის საგანს შეადგენს; შემდეგ მას უნდა ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ თავი შეინახოს თავისი ნაწარმის გაყიდვამდე» (ციტირ. თხზ., გვ. 34).

მიწა თავდაპირველად მუქთად იძლევა ყველა ამ „ავანსს“: ამ პირობებს, რომელთა გარეშე შრომა შეუძლებელია, რომლებიც, მაშასადამე, შრომის პროცესის წანამძღვრებია:

«ის აწოდებდა ადამიანს ავანსების პირველ ფონდს ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე მიწის რაიმე დამუშავება დაიწყებოდა», ხილის, თევზის, ცხოველების და სხვათა სახით, იარაღების სახით, — როგორიცაა, მაგალითად, როკი და ქვა, შინაური ცხოველები, რომელთა რიცხვი იზრდება გამრავლების პროცესის მეოხებით და რომელნიც, გარდა ამისა, ყოველწლიურად იძლევიან ისეთ პროდუქტებს, როგორიცაა «რძე, მატყლი, ტყავი და სხვა მასალა, რაც, ტყეში მოპოვებულ ხეებთან ერთად, შეადგენდა სამრეწველო წარმოების თავდაპირველ ფონდს» (ციტირ. თხზ., გვ. 34).

და აი ეს შრომის პირობები, ეს «ავანსები» კაპიტალად იქცევა, როგორც კი ისინი ავანსად უნდა მისცეს მუშას მესამე პირმა, ეს კი იმ მომენტიდან იწყება, როცა მუშას არაფერი აღარ გააჩნია, გარდა თავისი სამუშაო ძალისა.

«მას შემდეგ, რაც საზოგადოების წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილისათვის მათი საკუთარი ხელები არსებობის ერთადერთი წყარო გახდა, მათ, ვინც ამგვარად ცხოვრობდა თავისი ხელფასით, უნდა მიეღოთ რაიმე წინასწარ როგორც იმისათვის, რომ გადასამუშავებელი ნედლეული ჰქონოდათ, ისე იმისთვისაც, რომ ხელფასის მიღებამდე თავი ერჩინათ» (ციტირ. თხზ., გვ. 37—38).

[233] ტიურგო განსაზღვრავს «კაპიტალს» როგორც

«დაგროვილ მოძრავ ფასეულობას» (ციტირ. თხზ., გვ. 38). თავდაპირველად მიწის მესაკუთრე ან მიწათმოქმედი ყოველ დღე პირდაპირ აძლევს, მაგალითად, სელის შრომელ ქალს, ხელფასსა და მასალას. მრეწველობის განვითარებასთან

ერთად, აუცილებელი ხდება უფრო მნიშვნელოვანი «ავანსების» გამოყენება და წარმოების ამ პროცესის მუდმივობის უზრუნველყოფა. სწორედ ამას კისრულობენ «კაპიტალის მფლობელები». ასეთმა «კაპიტალის მფლობელმა» თავისი პროდუქტების ფასით უნდა აინაზღაუროს მის მიერ გაღებული ყველა «ავანსი», აგრეთვე მოგება, ტოლი იმ მოგებისა, «რასაც მოუტანდა მას თავისი ფული, თუკი მას მიწის ნაკვეთის საყიდლად გამოიყენებდა», და თავისი «ხელფასი», «ეინაიდან უეჭველია, რომ თანაბარი მოგების პირობებში ის ამჯობინებდა ისე ეცხოვრა, რომ სრულიად არ ემუშავნა, იმ მიწის შემოსაელით, რომლის შეძენაც იმავე კაპიტალით შეეძლო» (გვ. 38—39).

«მრეწველი დაქირავებული კლასი», თავის მხრივ, იყოფა

«მეწარმე-კაპიტალისტებად და უბრალო მუშებად» და ა. შ. (გვ. 39).

«მეწარმე-ფერმერების» მიმართ საქმის ვითარება ისეთივეა, როგორც მეწარმე-კაპიტალისტების მიმართ. იმათაც აგრეთვე უკან უნდა მიიღონ ყველა «ავანსი» და ამასთანავე მოგება, როგორც ზემოაღნიშნულ შემთხვევაში.

«ყოველივე ეს წინასწარ უნდა გამოაკლდეს მიწის პროდუქტების ფასს; ნამატს მიწათმოქმედი იმისთვის იყენებს, რომ შესაკუთრეს საფასური მისცეს მისი მიწით სარგებლობის ნებართვაში, მიწისა, რომელზეც მიწათმოქმედი თავის საწარმოს აარსებს. ეს არის საიჯარო ქირა, მესაკუთრის შემოსავალი, წმინდა პროდუქტი, რადგან ყოველივე ის, რასაც მიწა აწარმოებს ყოველგვარი ავანსებისა და იმის მოგებათა ასანაზღაურებლად, ვინც ამ ავანსებს გაიღებს, არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც შემოსავალი, არამედ იგი უნდა განიხილებოდეს მხოლოდ როგორც მიწის დამუშავების ხარჯების ანაზღაურება; მიწათმოქმედი რომ ამ ხარჯებს არ ინაზღაურებდეს, იგი არ დახარჯავდა თავის სახსრებსა და თავის შრომას სხვისი მინდვრების დამუშავებაზე» (ციტირ. თხზ., გვ. 40).

ბოლოს:

«თუმცა კაპიტალი ნაწილობრივ მომუშავე კლასების მოგებათა დანაზოგიდან წარმოიქმნება, მაგრამ რადგან ეს მოგება ყოველთვის მიწიდან მიიღება, ეინაიდან ყველა მოგების გასტუმრება ან შემოსაელიდან ხდება ანდა ამ შემოსავლის წარმოების ხარჯებიდან, ამიტომ ნათელია, რომ კაპიტალიც, სრულიად ისევე, როგორც შემოსავალი, მიწიდან მომდინარეობს; ანდა, უფრო ზუსტად, იგი სხვა არაფერია, თუ არა მიწის მიერ წარმოებულ ფასეულობათა იმ ნაწილის დაგროვება, რომელიც შემოსავლის მფლობელთ ან იმათ, ვისაც ისინი თავიანთ შემოსავალს უნაწილებენ, შეუძლიათ ყოველწლიურად გადაინახონ, არ დახარჯონ ის თავიანთ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად» (გვ. 65).

სრულიად ბუნებრივია, რომ რაკი მიწის რენტა ზედმეტი ღირებულების ერთადერთ ფორმას წარმოადგენს, კაპიტალის დაგროვებასაც თავის წყაროდ მარტოოდენ მიწის რენტა აქვს. ის, რასაც კა-

პიტალისტები ამ რენტის გარდა აგროვებენ, გამოაკლდება მათ «ხელფასს» (მათი მოხმარებისათვის განკუთვნილ შემოსავალს, რადგან მოგება განიხილება სწორედ როგორც ასეთი სახის შემოსავალი).

რადგან მოგება, ხელფასის მსგავსად, მიწის დამუშავების ხარჯებს მიეკუთვნება და მიწის მესაკუთრის შემოსავალს მხოლოდ ნამეტი შეადგენს, ამიტომ სინამდვილეში მიწის მესაკუთრე, მისთვის მიკუთვნებული საპატიო ადგილის მიუხედავად, ჩამოშორებულია მიწის დამუშავების ხარჯებში ყოველგვარ მონაწილეობას და ამით უკვე აღარ არის წარმოების აგენტი — სრულიად ისე, როგორც ეს რიკარდოელებს აქვთ წარმოდგენილი.

ფიზიოკრატიის წარმოშობა დაკავშირებული იყო როგორც კოლბერტიზმის წინააღმდეგ მიმართულ ოპოზიციასთან, ისე, განსაკუთრებით, ლოს სისტემის სკანდალურ კრახთან.

[4) ღირებულების და ბუნების ნივთიერების ერთმანეთში არევა (პაოლეტი)]

[234] ღირებულების არევა, ანუ, უფრო სწორად, გაიგივება ბუნების ნივთიერებასთან, აგრეთვე ამ შეხედულების კავშირი ფიზიოკრატების შეხედულებათა მთელ სისტემასთან ნათლად ჩანს ქვემომოყვანილ ამონაწერებში, რომლებიც ამოღებულია ფერდინანდო პაოლეტის თხზულებიდან «I veri mezzi di render felici le società» (ნაწილობრივ მიმართულია ვერის წინააღმდეგ, რომელმაც თავის «Meditazioni sulla Economia politica» (1771) ფიზიოკრატების წინააღმდეგ გაილაშქრა) (პაოლეტი ტოსკანელი, აღნიშნული თხზულება—კუსტოდის გამოცემის XX ტომში, Parte Moderna).

«ნივთიერების ისეთ გადიდებას», როგორსაც «მიწის ნაწარმი» წარმოადგენს, «ეუქვილია არა აქვს და არც შეიძლება ოდესმე ადგილი ჰქონდეს მრეწველობაში, რომელიც ნივთიერებას მხოლოდ ფორმას აძლევს, მხოლოდ სახეს უცვლის მას; ამიტომ მრეწველობა არაფერს არ ქმნის. მაგრამ მრეწველობა, შემომეკამათებიან მე, ნივთიერებას ფორმას აძლევს, მაშასადამე, იგი მწარმოებლურია; ვინაიდან იგი თუ ნივთიერების წარმოებას არა, ფორმის წარმოებას მაინც წარმოადგენს. კარგი, მე ამას არ უარვყოფ; მაგრამ ეს სიმდიდრის შექმნა როდია. არამედ პირიქით იგი სხვა არაფერია, თუ არა ხარჯი... პოლიტიკური ეკონომია გულისხმობს და თავისი კვლევის საგნად იხდის ფიზიკურ და რეალურ წარმოებას, რასაც ადგილი აქვს მხოლოდ მიწათმოქმედებაში, რადგან მხოლოდ მიწათმოქმედება აღიდებს სიმდიდრის შემადგენელი მატერიალური საგნებისა და პროდუქტების რაოდენობას... მრეწველობა მიწათმოქმედებისაგან ყიდულობს ნედლეულს, რათა იგი გადაამუშაოს. სამრეწველო შრომა, როგორც

უქვე ითქვა, მარტო ფორმას აძლევს ამ ნედლეულს, მაგრამ არაფერს მატებს და არც ამრავლებს მას» (გვ. 196—197). «მიეცით მზარეულს ბარდის გარკვეული რაოდენობა სადილის დასამზადებლად; იგი მოხარშავს მას, როგორც საჭიროა, და მზად მოგართმევთ სუფრაზე, მაგრამ მოგართმევთ იმავე რაოდენობით, რაც მიიღო; პირიქით, იმავე რაოდენობის ბარდა მიეცით მებოსტნეს, რათა იგი მიწას მიაბაროს, და თავის დროზე ის უკან დაგიბრუნებთ სულ ცოტა ოთხჯერ მეტს მიღებულთან შედარებით. სწორედ ესაა ნამდვილი და ერთადერთი წარმოება» (გვ. 197). «ნივთები ღირებულებას იძენენ ადამიანთა მოთხოვნილებებია მეოხებით. ამიტომ საქონელთა ღირებულება — ან ამ ღირებულების გადიდება — წარმოადგენს არა სამრეწველო შრომის, არამედ მოუშავებელთა ხარჯების შედეგს» (გვ. 198). «როგორც კი რაიმე ახალი სამრეწველო საქონელი გამოჩნდება, იგი სწრაფად ერეკლდება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთაც; და აი სულ მალე სხვა მრეწველთა და ვაჭართა კონკურენცია ამცირებს მის ფასს სათანადო დონემდე, რომელიც... ნედლეულისა და მუშების საარსებო საშუალებათა ღირებულებით განისაზღვრება» (გვ. 204—205).

[5) ფიზიოკრატული თეორიის ელემენტები ადამ სმიტის სისტემაში]

მიწათმოქმედებაში უფრო ადრე ხდება ბუნების ძალების დიდი მასშტაბით გამოყენება წარმოების პროცესისათვის, ვიდრე წარმოების ყველა სხვა დარგში. ბუნების ძალთა გამოყენება მრეწველობაში შესამჩნევი ხდება მრეწველობის განვითარების მხოლოდ უფრო მაღალ საფეხურზე. ქვემოთ მოყვანილი ციტატიდან შეიძლება დავინახოთ, თუ როგორ ასახავს ჯერ კიდევ აქ ა. სმიტი მსხვილი მრეწველობის წინა ისტორიას და ამიტომ გამოხატავს ფიზიოკრატების შეხედულებებს, მაშინ როდესაც რიკარდო მას თანამედროვე მრეწველობის თვალსაზრისით უპასუხებს.

[235] ა. სმიტი თავისი ნაწარმოების («გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ») მეორე წიგნის მეხუთე თავში მიწის რენტის შესახებ ამბობს:

«მიწის რენტა ბუნების ნაწარმოებია, რომელიც რჩება ყოველივე იმის გამოკლების ან ანაზღაურების შემდეგ, რაც ადამიანის ნაწარმად შეიძლება ჩაითვალოს. იგი იშვიათად შეადგენს მთელი პროდუქტის მეოთხედზე ნაკლებს და ხშირად აღემატება მის მესამედს. მანუფაქტურებში დახარჯული მწარმოებლური შრომის თანატოლი რაოდენობა ვერასოდეს ვერ მოგვცემს ახლადშექმნილი პროდუქტის ესოდენ დიდ მასას. მანუფაქტურაში ბუნება არაფერს არ აკეთებს, ყველაფერს აკეთებს ადამიანი; მიღებული პროდუქტი კი ყოველთვის უნდა იყოს პროპორციული წარმოების იმ აგენტების ძალისა, რომელნიც ამ პროდუქტს ქმნიან».

ამის საპასუხოდ რიკარდო თავის «საფუძვლებში» (1819 წლის მეორე გამოცემა, შენიშვნა 61—62 გვ.) მიუთითებს:

«განა ბუნება არაფერს არ აკეთებს ადამიანისათვის მრეწველობაში? განა ქარისა და წყლის ძალები, რომელთაც ეხმარობაში მოპყავთ ჩვენი მანქანები და ხომალდები, ნულის ტოლია? განა ატმოსფეროს წნევა და ორთქლის დრეკადობა, რაც ჩვენ შესაძლებლობას გვაძლევს ყველაზე განსაცვიფრებელი მანქანები ავამუშაოთ, ბუნების ნაბოძები არაა? აღარაფერს ვამბობ სითბოს მოქმედებაზე ლითონის დარბილებისა და გათბობისას, ატმოსფეროს მოქმედებაზე შეღებვისა და დუღილის პროცესებში. ვერ დავასახელებთ მრეწველობის ვერც ერთ დარგს, სადაც ადამიანს ბუნება დახმარებას არ უწევდეს, თანაც უხვსა და მუქთ დახმარებას».

იმის შესახებ, რომ ფიზიოკრატები მოგებას განიხილავენ მხოლოდ როგორც რენტიდან გამონაკლებს:

«ფიზიოკრატები ამბობენ, მაგალითად, მაქმანის ნაქრის ფასზე, რომ მისი ერთი ნაწილი უბრალოდ ანაზღაურებს მუშის მიერ მოხმარებულ ნივთიერებებს, მეორე ნაწილი კი ერთი ადამიანის» [სახელდობრ, მიწათმოქმედის] «ჯიბიდან მეორის ჯიბეში გადადისო» («An Inquiry into those Principles, respecting the Nature of Demand and the Necessity of Consumption, lately advocated by Mr. Malthus» etc. London, 1821, გვ. 96).

ფიზიოკრატების შეხედულებიდან, რომელნიც მოგებას (სარგებლის ჩათვლით) განიხილავენ მხოლოდ როგორც კაპიტალისტის მოხმარებისათვის განკუთვნილ შემოსავალს, გამომდინარეობს აგრეთვე ა. სმიტისა და შემდგომი ეკონომისტების ის შეხედულება, რომ კაპიტალის დაგროვებას წარმოშობს კაპიტალისტის მხრივ ზოგჯერ პირადი მოხმარებისაგან თავშეკავება, მოშვირნეობა — და დამთმენლობა. ფიზიოკრატებს ამის მტკიცება შეეძლოთ იმიტომ, რომ ისინი მხოლოდ მიწის რენტას განიხილავდნენ დაგროვების ნამდვილ, ეკონომიურ, ასე ვთქვათ, კანონიერ წყაროდ.

«ეგი», ე. ი. მიწათმოქმედის შრომა, — ამბობს ტიერგო, — ერთადერთი შრომაა, რომელიც ი მ ა ზ ე მ ე ტ ს აწარმოებს, «რ ა ც შ რ ო მ ი ს ს ა ფ ა ს უ რ ს შ ე ა დ გ ე ნ ს» (ტიერგო, ციტირ. თხზ., გვ. 11).

ამრიგად, მოგება აქ მთლიანად შეტანილია «შრომის საფასურში».

[236] «მიწათმოქმედი ამ ანაზღაურების» (თავისი საკუთარი ხელფასის) «გარდა ქმნის მიწის მესაკუთრის შემოსავალს, ხელოსანი კი არავითარ შემოსავალს არ ქმნის არც თავისთვის და არც სხვებისთვის» (ციტირ. თხზ., გვ. 16). «ყველაფერი, რასაც მიწა აწარმოებს ყოველგვარი ავანსებისა და მათი გამღები პირების მოგე-

ბათა ასანაზღაურებლად, არ შეიძლება განვიხილოთ როგორც შემოსავალი, არამედ უნდა განვიხილოთ მხოლოდ როგორც მიწის დამუშავების ხარჯების ანაზღაურება» (ციტირ. თხზ., გვ. 40).

ა. ბლანკი თავის ნაშრომში «Histoire de l'économie politique», Bruxelles, 1839, გვ. 139, ფიზიოკრატების შესახებ ამბობს:

«მათ მიაჩნდათ, რომ მიწის დამუშავებაზე გამოყენებული შრომა აწარმოებს არა მარტო იმას, რაც აუცილებელია მუშაკისათვის მის სასაზრდოოდ მთელი სამუშაო დროის განმავლობაში, არამედ აგრეთვე ღირებულების გარკვეულ ნამეტსაც» (ზედმეტ ღირებულებას), «რომელიც შეიძლება შეუერთდეს უკვე არსებული სიმდიდრის მასას. ამ ნამეტს ისინი უწოდებდნენ წმინდა პროდუქტს.»

(მაშასადამე, ზედმეტ ღირებულებას ისინი განიხილავენ იმ სახმარ ღირებულებათა სახით, რომლებითაც იგი წარმოდგენილია.)

«წმინდა პროდუქტი, მათი თვალსაზრისით, აუცილებლად მიწის მესაკუთრის კუთვნილება იყო და მის ხელში შეადგენდა შემოსავალს, რომელიც მას შეეძლო მთლიანად თავის განკარგულებაში ჰქონოდა. და რაღა იყო მრეწველობის სხვა დარგების წმინდა პროდუქტი?.. მრეწველები, ვაჭრები, მუშები, ყველანი განიხილებოდნენ როგორც მოსამსახურენი, როგორც მიწათმოქმედების დაქირავებული მუშაკები, მიწათმოქმედებისა, რომელიც ყველა დოვლათის უმაღლესი შემქმნელი და გამამაწყლებელია. ეკონომისტების 18 სისტემის თანახმად, ყველა ამ ადამიანის შრომის პროდუქტი მხოლოდ იმის ეკვივალენტს წარმოადგენდა, რაც მათ თავიანთი მუშაობის განმავლობაში მოიხმარეს, ასე რომ მუშაობის დასრულების შემდეგ სიმდიდრეთა ჯამი სავსებით ისეთივე რჩებოდა, რაც მანამდე იყო, თუკი მხოლოდ მუშები ან პატრონები არ გადასდებდნენ, ე. ი. დანაზოგს არ გაიკეთებდნენ იქიდან, რის მოხმარების უფლება მათ ჰქონდათ. ამრიგად, მხოლოდ მიწის დასამუშავებლად გამოყენებული შრომა ითვლებოდა სიმდიდრის მწარმოებელ შრომად, წარმოების სხვა დარგებში გამოყენებული შრომა კი განიხილებდა როგორც უნაყოფო, რადგან იგი საზოგადოებრივი კაპიტალის არავითარ გადიდებას არ იწვევსო».

ამრიგად, კაპიტალისტური წარმოების არსებას ფიზიოკრატები ხედავდნენ ზედმეტი ღირებულების წარმოებაში. სწორედ ეს მოვლენა უნდა აეხსნათ მათ. ეს იყო სწორედ პრობლემა, მას შემდეგ, რაც მათ უარყვეს მერკანტილისტური სისტემის «გასხვისებით მიღებული მოგება».

«იმისათვის, რომ ფული გქონდეს»,- ამბობს მერსიე დე ლა რივიერი, — «საჭიროა იგი იყიდო, და ამ ყიდვის შემდეგ ადამიანი არ ხდება უწინდელზე უფრო მდიდარი; მან ფულით მხოლოდ იგივე ღირებულება მიიღო,

რაც საქონლის სახით გასცა» (Mercier de la Rivière. Ordre naturel et essentiel des societés politiques, ტ. II, გვ. 338).

ეს შეეხება როგორც (237) ყიდვას, ისე გაყიდვასაც, ასევე საქონლის მთელი მეტამორფოზის შედეგსაც, ე. ი. გაყიდვისა და ყიდვის შედეგს, სხვადასხვა საქონლის გაცვლას მათი ღირებულების მიხედვით, ე. ი. ეკვივალენტების გაცვლას. მაგრამ საიდან მიიღება ასეთ შემთხვევაში ზედმეტი ღირებულება, ე. ი. საიდან მიიღება კაპიტალი? ასეთი იყო ფიზიოკრატების წინაშე მდგომი პრობლემა. მათი შეცდომა ის იყო, რომ ნივთიერების ნამატს, რაც მცენარეთა ბუნებრივი ზრდისა და ცხოველთა ბუნებრივი გამრავლების გამო მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას განასხვავებს მრეწველობისაგან, ისინი საცვლელი ღირებულების ნამატში ურევდნენ. მათთვის საფუძველი იყო სახმარი ღირებულება. ყველა საქონლის სახმარი ღირებულება კი, დაყვანილი, თუ სქოლასტიკოსების ტერმინს ვიხმართ, უნივერსალურ არსამდე, მათთვის იყო ბუნების ნივთიერება როგორც ასეთი, რომლის გადიდებაც მისი მოცემული ფორმით მხოლოდ სოფლის მეურნეობაში ხდება.

ა. სმიტის მთარგმნელი ჟ. გარნიე, რომელიც თვითონ ფიზიოკრატი იყო, სწორად გადმოგვცემს ფიზიოკრატულ დაზოგვის თეორიას და სხვ. უწინარეს ყოვლისა ის გვეუბნება, რომ მრეწველობას, — როგორც ამას მერკანტილისტები ამტკიცებდნენ ყოველი წარმოების მიმართ, — შეუძლია ზედმეტი ღირებულების შექმნა მხოლოდ «გასხვისებით მიღებული მოგების» მეშვეობით, საქონლის გაყიდვით მის ღირებულებაზე მეტად, ასე რომ ხდება უკვე შექმნილ ღირებულებათა მხოლოდ ახალი განაწილება, მაგრამ არა უწინ შექმნილისადმი ახალი ღირებულების მიმატება.

«ხელოსანთა და მრეწველთა შრომა, რომელიც სიმდიდრის ვერავითარ ახალ წყაროს ვერ აღმოაჩენს, შეიძლება მომგებიანი იყოს მხოლოდ ხელსაყრელი გაცვლის პირობებში და მას მხოლოდ წმინდა შეფარდებითი ღირებულება აქვს, — ღირებულება, რომელსაც შემდგომში აღარ ექნება ადგილი, თუ არ განმეორდება გაცვლით მოგების მიღების შემთხვევა» (ტ. V, გვ. 266, მისი თარგმანი ა. სმიტის შრომისა «Recherches sur la nature et les causes de la richesse des nations», Paris, 1802)[19].

ანდა დანაზოგი, რასაც ისინი აკეთებენ, — ღირებულება, რაც მათ დარჩებათ თავიანთი დანახარჯის გამოკლების შემდეგ, — მათი საკუთარი მოხმარების ხარჯზე უნდა ხდებოდეს.

«თუმცა ხელოსანთა და მრეწველთა შრომა საზოგადოების სიმდიდრის ერთობლივ მასას სხვას ვერაფერს დაუმატებს, გარდა იმ დანაზოგისა, რასაც დაქირავებული მუშები და კაპიტალისტები აკეთებენ, მაგრამ ასეთი დანაზოგით მას შეუძლია ხელი შეუწყოს საზოგადოების გამდიდრებას» (იქვე, გვ. 266).

და უფრო დაწვრილებით:

«მიწათმოქმედების მუშაკები სახელმწიფოს ამდიდრებენ თვით თავიანთი შრომის პროდუქტით; პირიქით, მრეწველობისა და ვაჭრობის მუშაკებს სახელმწიფოს გამდიდრება შეუძლიათ მხოლოდ თავიანთი საკუთარი მოხმარების ხარჯზე გაწეული დანაზოგით. ეკონომისტების ეს მტკიცება იმ განსხვავების შედეგია, რასაც ისინი ხედავენ სამოწათმოქმედო და სამრეწველო შრომას შორის და რაც იმდენადვე უდავოდ გვეჩვენება, რამდენადაც უდავოა თვით ეს განსხვავებაც. მართლაც, ხელოსანთა და მრეწველთა შრომას შეუძლია ნივთიერების ღირებულებას მიუმატოს მხოლოდ მათი საკუთარი შრომის ღირებულება, ე. ი. ხელფასთა და მოგებათა ღირებულება, რომელიც უნდა მოეცა ამ შრომას ხელფასისა [238] და მოგების იმ ნორმის შესაბამისად, რაც ჩვეულებრივია მოცემულ ქვეყანასა და მოცემულ დროში. ეს ხელფასი, რაგინდ მცირე ან დიდი იყოს იგი, შეადგენს შრომის გასამრჯელოს; ესაა ის, რისი მოხმარების უფლებაც მუშას აქვს და რასაც იგი ვარაუდის თანახმად მოიხმარს; ვინაიდან მხოლოდ მოხმარების გზით ძალუძს მას თავისი შრომის ნაყოფით ისარგებლოს და ესაა სწორედ სინამდვილეში მთელი მისი გასამრჯელო. სწორედ ასე მოგებაც, როგორიც არ უნდა იყოს იგი, მცირე თუ დიდი, განიხილება ისეთ რამედ, რასაც ყოველდღიურად მოიხმარს კაპიტალისტი, ამასთან ბუნებრივად იგულისხმება, რომ თავის განცხრომას იგი უფარდებს კაპიტალისგან მიღებული შემოსავლის ოდენობას. ამრიგად, თუ მუშა უარს არ იტყოდა პირადი კეთილდღეობის გარკვეულ ნაწილზე, რის მიმართაც მას უფლება აქვს თავისი შრომისათვის კუთვნილი ხელფასის ჩვეულებრივი ნორმის შესაბამისად; თუ კაპიტალისტი არ დაზოგავდა კაპიტალიდან მიღებული შემოსავლის ნაწილს, — მაშინ ერთიც და მეორეც მუშაობის დამთავრების მომენტისათვის ამ მუშაობიდან მიღებულ მთელ ღირებულებას მოიხმარდნენ. ამრიგად, მათი შრომის დამთავრების შემდეგ საზოგადოების სიმდიდრის მთელი მასა იგივე დარჩება, რაც მანამდე იყო, — თუკი ისინი არ დაზოგავენ იმის ნაწილს, რის მოხმარებაც უფლებაც ეძლევა მათ ჰქონდათ და რაც მათ შეეძლოთ მოეხმარათ მფლანგველობის დაბრალების რისკის გარეშე. ამ შემთხვევაში საზოგადოების სიმდიდრის მთელი მასა გაიზრდება ამ დანაზოგთა მთელი ღირებულების ოდენობით. მაშასადამე, სრული უფლებით შეიძლება იმის თქმა, რომ მრეწველობასა და ვაჭრობაში დასაქმებულ პირთ შეუძლიათ მოცემულ საზოგადოებაში არსებული სიმდიდრის ერთობლივი მასა გაადიდონ მხოლოდ მოხმარებისაგან თავშეკავების გზით» (იქვე, გვ. 263—264).

გარნიემაც სრულიად მართებულად მიაგნო, რომ ა. სმიტის თეორია დანაზოგის მეშვეობით დაგროვების შესახებ ამ ფიზიოკრატულ

აღფუძველს ემყარება. (ა. სმიტი ძალიან იყო შეპყრობილი ფიზიოკრატიის სენით და არსად იგი ამას ისე მკაფიოდ არ ამჟღავნებს, როგორც ფიზიოკრატიის კრიტიკაში). გარნიე ამბობს:

«დასასრულ, თუ ეკონომისტები ამტკიცებდნენ, მრეწველობას და ვაჭრობას ეროვნული სიმდიდრის გადიდება მხოლოდ მოხმარებისგან თავშეკავების გზით შეუძლიათო, — სმიტიც ზუსტად ასევე ამბობს, რომ მრეწველობა ამოდ იშუშავებდა და ქვეყნის კაპიტალი ვერასოდეს ვერ გადიდდებოდა, მას რომ თავისი დანაზოგით ეკონომია არ ადიდებდესო (წიგნი II, თავი 3). ამრიგად, სმიტი საკ-სებით ეთანხმება ეკონომისტებს» და ა. შ. (იქვე, გვ. 270).

[ბ) ფიზიოკრატები როგორც მსხვილი კაპიტალისტური მიწათმოქმედების მომხრენი]

[239] როგორც ერთ-ერთი უშუალო ისტორიული გარემოება, რამაც ხელი შეუწყო ფიზიოკრატიის გავრცელებას და თვით მის წარმოშობასაც კი, ა. ბლანკის ზემოციტირებულ თხზულებაში მოჰ-ყავს შემდეგი:

«ყველა იმ ფასეულობიდან, რაც უხვად გაიშალა (ლოს) სისტემის ციებ-ცხელების ვითარებაში», «ალარაფერი დარჩა, გარდა განადგურების, გაპარტახების და გაყოტრებისა. შარტოოდენ მიწის საკუთრება გადაურჩა ამ ქარტეხილს».

{ ამიტომაა, ალბათ, რომ ბატონ პრუდონის «Philosophie de la Misère»-ში მიწის საკუთრება მხოლოდ კრედიტის' ქვალდაქვალ გამოჩნდება ხოლმე. }

«მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა კიდეც, რადგან მან, შეიძლება პირველად ფეოდალიზმის დროიდან, ხელიდან ხელში გადასვლა და ფართო მასშტაბით დაქუცმაცება დაიწყო» (ციტირ. თხზ., გვ. 138).

სახელდობრ:

«ხელიდან ხელში უთვალავმა გადასვლამ, რაც სისტემის ზეგავლენით ხდებოდა, დასაბამი მისცა მიწის საკუთრების დაქუცმაცებას... პირველად იყო, რომ მიწის საკუთრება გამოვიდა უძრაობის იმ მდგომარეობიდან, რომელშიც ასე დიდხანს აჩერებდა მას ფეოდალური სისტემა. ეს იყო ჭეშმარიტად მიწის საკუთრების ბაღვიძება მიწათმოქმედებისათვის... იგი» (მიწა) «მკვდარი ხელის რეჟიმიდან მიმოქცევის რეჟიმში გადავიდა» (გვ. 137 — 138).

ტიურგო — ისევე როგორც კენე და მისი სხვა მიმდევრები — მხარს უჭერს კაპიტალისტურ წარმოებას მიწათმოქმედებაში. ასე, მაგალითად, ტიურგო ლაპარაკობს:

«მიწის იჯარით გაცემა... ეს უკანასკნელი წესი» (იჯარის თანამედროვე სისტემის საფუძველზე დამყარებული მიწათმოქმედება მსხვილი მასშტაბით) «ყველაზე ხელსაყრელი წესია, მაგრამ ამ წესის გამოყენება მხოლოდ ისეთ ქვეყანაში შეიძლება, რომელიც საკმაოდ მდიდარია» (იხ. ტიურგო, ციტირ. თხზ., გვ. 21).

კენე კი თავის ნაწარმოებში «Maximes générales du gouvernement économique d'un royaume agricole» ამბობს:

«მარცვლეულის მოსაყვანად განკუთვნილი მიწები უნდა გაკაერთიანოთ, რამუნდადაც კი ეს შესაძლებელია, მსხვილ ფერმეადად, რომელთაც ექსპლოატაციას გაუწევენ მდიდარი მიწათმოქმედნი» (ე. ი. კაპიტალისტები), «იმიტომ რომ მსხვილ სამიწათმოქმედო საწარმოებში — წვრილთან შედარებით — შენობათა შენახვის, და რემონტის ხარჯები მცირდება, წარმოების ხარჯები აქ პროპორციულად გაცილებით ნაკლებია, წმინდა პროდუქტი კი ბევრად მეტია» [Physiocrates», დერის გამოცემა, ნაწილი I, გვ. 96—97].

ამასთანავე კენე აღნიშნულ ადგილას აღიარებს, რომ სამიწათმოქმედო შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგები წილად ხვდება «წმინდა შემოსავალს» და, მაშასადამე, პირველ რიგში ერგება მიწის მესაკუთრეს, ე. ი. ზედმეტი ღირებულების მფლობელს, და რომ ზედმეტი ღირებულების შეფარდებითი ზრდა გამომდინარეობს არა მიწიდან, არამედ შრომის ნაყოფიერების გამადიდებელი საზოგადოებრივი და სხვა მსგავსი ღონისძიებებიდან. [240] ვინაიდან იგი ამბობს აღნიშნულ ადგილას:

«ყოველი ხელსაყრელი» (ე. ი. ხელსაყრელი «წმინდა პროდუქტისათვის» ; «დანაზოგი იმ შრომისა, როძლის შესრულებაც ცხოველების, მანქანების, წყლის ძალისა და სხვ. დახმარებით შეიძლება, ხალხის სასარგებლოდ მიდის [და სახელმწიფოს სასარგებლოდაც, იმიტომ, რომ უფრო მნიშვნელოვანი წმინდა პროდუქტი უზრუნველყოფს მეტი ხელფასის მიღებას სხვა პროფესიებითა და სამუშაოებით დასაქმებულ პირთათვის]».

ამავე დროს მერსიე დე ლა რივიერი (ციტირ. თხზ., ტ. II, გვ. 407) ბუნდოვანად მიმხვდარია, რომ ზედმეტ ღირებულებას, ყოველ შემთხვევაში მრეწველობაში (ტიურგო, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ამას წარმოების ყველა დარგზე აკრცელებს), რაღაც დამოკიდებულება აქვს თვით მრეწველობის მუშებთან. აღნიშნულ ადგილას ის წამოიძახებს:

«შეანელეთ თქვენი აღტაცება, მრეწველობის მაცთური პროდუქტების ბრმა თაყვანისმცემლნო! სანამ ხოტბას შეასხამდეთ მრეწველობის სასწაულს, თვალები გაახილეთ და შეხედეთ, თუ რამდენად ღარიბი ან, ყოველ შემთხვევაში, ხელ-

მოკლენი არიან სახსრების თვალსაზრისით სწორედ ის მუშები, რომელნიც ფლობენ ო�us სუს ათასი ეიოუს ტოლ ღირებულებად ვადაცვეეის ხელოვნებას! ღ ვის ხვდება წილად ღირებულების ეს კოლოსალური გადიდება? შეხედეთ: მათ, ვისი მარჯვენითაც იგი იქმნება, არ გააჩნიათ შეძლება! ფრთხილად მოექეცით ამ კონტრასტს!».

[7) წინაალმდეგობანი ფიზიოკრატების პოლიტიკურ შეხედულებებში. ფიზიოკრატები და საფრანგეთის რევოლუცია]

ეკონომისტების მთელი სისტემის წინაალმდეგობანი. აბსოლუტური მონარქიის მომხრეთა რიცხვში იყო კენე.

«ძალაუფლება უნდა იყოს ერთიანი... მმართველობის საქმეში ერთიმეორის წინაალმდეგმოქმედი ძალების სისტემა დამღუველია, იგი მოწმობს უთანხმოებას მაღალთა შორის და დაბალთა ჩაგვრას» (ზემოთ ციტირებულ «Maximes générales» etc-ში [«Physiocrates», დერის გამოცემა, ნაწილი, 1, გვ. 81]).

მერსიე დე ლა რივიერი წერს:

«უკვე იმით, რომ ადამიანი განკუთვნილია საზოგადოებაში საცხოვრებლად, წინასწარ განსაზღვრულია, რომ მან დესპოტიზმის პირობებში უნდა იცხოვროს» («Ordre naturel et essentiel des sociétés politiques,» ტ. 1, გვ. 281).

და აქ კიდევ «ხალხის მეგობარი»[20], მარკიზ დე მირაბო, მირაბო მამა! და სწორედ ეს სკოლა თავისი laissez faire, laissez aller-ით უარყოფს კოლბერტიზმს და საერთოდ მთავრობის ყოველგვარ ჩარევას სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობაში. იგი ნებას აძლევს სახელმწიფოს მხოლოდ ამ საზოგადოების სვრეტებში იცხოვროს, მსგავსად იმისა როგორც ეპიკურეს მოძღვრების თანახმად ღმერთები სამყაროს სვრეტებში ბინადრობენ! მიწის საკუთრების ქება-დიდება პრაქტიკაში იმის მოთხოვნად იქცევა, რომ გადასახადები მარტოოდენ მიწის რენტას დაეკისროს, ეს კი შესაძლებელს ხდის სახელმწიფოს მხრივ მიწის საკუთრების კონფისკაციას, — სავსებით ისე, როგორც ეს რიკარდოელთა ნაწილს ესმოდა[21]. საფრანგეთის რევოლუციამ, რედერერისა და სხვათა საწინააღმდეგო მოსაზრებათა მიუხედავად, მიიღო გადასახადთა ეს თეორია.

თვით ტიურგო ბურჟუაზიული რადიკალი მინისტრია, რომლის მოღვაწეობაც საფრანგეთის რევოლუციის შესავალი იყო. მიუხედა-

ვად მთელი თავიანთი ყალბი ფეოდალური გარეგნობისა, ფიზიოკრატები ენციკლოპედისტებთან ხელიხელჩაკიდებულნი მუშაობენ. [240]

[241] ტიურგო ცდილობდა დაესწრო საფრანგეთის რევოლუციის ღონისძიებათათვის. 1776 წლის თებერვლის ედიქტით მან გააუქმა საამქროები. (ეს ედიქტი გაუქმებულ იქნა მისი გამოქვეყნებიდან სამი თვის გასვლის შემდეგ.) ტიურგომ ასევე გაათავისუფლა გლეხები საგზაო ბეგრისაგან და ცდილობდა შემოეღო ერთიანი გადასახადი მიწის რენტაზე [22].

[241]. შემდგომ ჩვენ ერთხელ კიდევ დავუბრუნდებით ფიზიოკრატების დიდ დამსახურებას კაპიტალის ანალიზის საქმეში [23].

აქ, მაშასადამე, ჯერჯერობით ჩვენ გვაქვს შემდეგი. ფიზიოკრატების აზრით, ზედმეტ ღირებულებას წარმოშობს განსაკუთრებული სახეობის შრომის, ე. ი. მიწათმოქმედების, ნაყოფიერება. ეს განსაკუთრებული ნაყოფიერება კი თავის არსებობას უნდა უმადლოდეს საერთოდ და მთლიანად თვით ბუნებას.

მერკანტილისტური სისტემის თანახმად, ზედმეტი ღირებულება მხოლოდ შეფარდებითია: რასაც ერთი იგებს, მას მეორე კარგავს. «გასხვისებით მიღებული მოგება», ანუ «სიმდიდრის სასწორის რყევა მონაწილე მხარეთა შორის»*. ამიტომ, თუ რომელიმე ქვეყნის ერთობლივ კაპიტალს განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ ქვეყნის შიგნით სინამდვილეში ზედმეტი ღირებულების არავითარი წარმოქმნა არ ხდება. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ ერთი რომელიმე ერის სხვა ერებთან ურთიერთობის დროს. და ნამეტი, რასაც ერთი ერი მიიღებს მეორისაგან, გამოიხატება ფულით (ვაჭრობის ბალანსი), რადგან სწორედ ფული წარმოადგენს საცვლელი ღირებულების უშუალო და დამოუკიდებელ ფორმას. ამის საპირისპიროდ, — ვინაიდან მერკანტილისტური სისტემა სინამდვილეში უარყოფს აბსოლუტური ზედმეტი ღირებულების წარმოქმნას, — ფიზიოკრატიას სურს ახსნას უკანასკნელი: «წმინდა პროდუქტი». ხოლო რადგან ფიზიოკრატების ყურადღება მიპყრობილია სახმარი ღირებულებისადმი, ამიტომ მათთვის მიწათმოქმედება ამ «წმინდა პროდუქტის» ერთადერთი შემქმნელია.

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 7—10. რედ.

[8) ფიზიოკრატული მოძღვრების ვულგარიზაცია პრუსიელი რეაქციონერის შმალცის მიერ]

ფიზიოკრატის ერთ-ერთ ყველაზე გულუბრყვილო წარმომადგენელს — როგორ შორსაა იგი ტიურგოსაგან! — ჩვენ ვხედებით დემაგოგთა[24] დაზვერვის საქმის ძველი სპეციალისტის, პრუსიის მეფის საიდუმლო მრჩევლის შმალცის სახით. შმალცი ლაპარაკობს, მაგალითად, შემდეგს:

«თუ ბუნება მას» (მიწის მესაკუთრეს) «ორჯერ უფრო მეტს უხდის, ვიდრე კანონით დაწესებული ფულადი სარგებელია, მაშინ რა გონიერული საფუძვლით შეიძლება წაგვეკითხოს მისთვის ეს შემოსავალი?» («Economie politique», traduit par Henri Jouffroy etc., tome i, Paris, 1826, გვ. 90)[25].

ხელფასის მინიმუმი ფორმულირებულია ფიზიოკრატების მიერ ისე, რომ მუშების მოხმარება (ანუ ხარჯები) უდრის ხელფასს, რასაც ისინი იღებენ. ან, როგორც ბატონი შმალცი გამოხატავს ამას ზოგადი ფორმით:

«ამა თუ იმ პროფესიის მამაკაცის საშუალო ხელფასი უდრის იმას, რასაც ამ პროფესიის ადამიანი მოიხმარს საშუალოდ თავისი მუშაობის დროს». (ციტირ. თხზ., გვ. 120).

[შემდეგ შმალცი ამბობს:]

«მიწის რენტა ეროვნული შემოსავლის ერთადერთი ელემენტია; [242] როგორც დაბანდებული კაპიტალის პროცენტს, ისე ყოველი სახეობის შრომის ხელფასსაც მხოლოდ ხელიდან ხელში გადაქცეს ამ მიწის რენტის პროდუქტი» (ციტირ. თხზ., გვ. 309—310).

«ერის სიმდიდრე მხოლოდ ისაა, რომ ნიადაგს უნარი შესწევს ყოველწლიურად მიწის რენტა აწარმოოს» (ციტირ. თხზ., გვ. 310).

«თუ დაუბრუნდებით ყველა საგნის ღირებულების თვით საფუძვლების, პირველადი ელემენტების განხილვას, სულ ერთია, როგორიც უნდა იყვნენ ეს საგნები, იძულებული ვიქნებით ვაღიაროთ, რომ ეს ღირებულება სხვა არაფერია, თუ არა ბუნების უბრალო პროდუქტების ღირებულება. ეს ნიშნავს, რომ თუმცა შრომა საგნებს ახალ ღირებულებას მატებს და ამით მათს ფასებს ადიდებს, მაგრამ მაინც ეს ახალი ღირებულება, ანუ ეს გადიდებული ფასი, შედგება მხოლოდ ბუნების ყველა იმ პროდუქტის ღირებულებათა ჯამისაგან, რომელნიც მუშამ მოიხმარა ანუ ასე თუ ისე გამოიყენა მათთვის ახალი ფორმის მისაცემად» (ციტირ. თხზ., გვ. 313).

«ამ სახის შრომა» (მიწათმოქმედება სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით) «ერთადერთია, რომელსაც რამდენადმე შეიძლება ეწოდოს მწარმოებლური, რადგან მხოლოდ ეს უწყობს ხელს ახალ სხეულთა წარმოებას... შრომა გადამამუშავებელ მრეწველობაში ბუნების მიერ წარმოებულ სხეულებს მხოლოდ ახალ ფორმას ანიჭებს» (ციტირ. თხზ., გვ. 15 — 16).

[9) მიწათმოქმედების საკითხში ფიზიოკრატული ცრურწმენის ადრინდელი კრიტიკა (ვერი)]

ფიზიოკრატების ცრურწმენის წინააღმდეგ.

ვ ე რ ი (პ ი ე ტ რ ო) «Meditazioni suila Economia politica» (პირველად დაიბეჭდა 1771 წელს), XV ტომი კუსტოდის გამოცემისა, Parte Moderna.

«სამყაროს ყველა მოვლენა, სულ ერთია ადამიანის ხელითაა იგი შექმნილი თუ ბუნების საყოველთაო კანონებით, არ იძლევა მატერიის ნამდვილი შ ე ქ მ ნ ის იდეას, იგი იძლევა მხოლოდ მატერიის ს ა ხ ე ც ვ ლ ი ლ ებ ის იდეას. შ ე ე რ თ ე ბ ა და დ ა ყ ო ფ ა — აი ერთადერთი ელემენტები, რომელთაც ადამიანის გონება ამქვეყნებს, როცა ის ანალიზს უკეთებს წ ა რ მ ო ებ ი ს იდეას. ღ ი რ ებ უ ლ ებ ი ს ა და ს ი მ დ ი დ რ ის წ ა რ მ ო ებ ა თანაბრად ხდება როგორც იმ შემთხვევაში, როცა მიწა, ჰაერი და წყალი მინდორზე ხორბლად გადაიქცევა, ისე იმ შემთხვევაშიც, როცა მწერების წუბოვანი გამონაყოფი ადამიანის მუშაობის წყალობით აბრეშუმის ქსოვილად გადაიქცევა ანდა როცა ლითონის ცალკეული ნაპრები ერთ მთელად ერთიანდებიან და საათის მექანიზმს ქმნიან» (გვ. 21—22).

შემდეგ:

ფიზიოკრატებს მიაჩნიათ, რომ «მრეწველობის მუშაკთა კლასი უ ნ ა ყ ო ფ ო ა, რადგან, მათი აზრით, ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ო ნ ა წ ა რ მ ის ღ ი რ ებ უ ლ ებ ა უ დ რ ის ნ ე დ ლ ე ულ ს პლუს კ ვ ე ბ ის ს ა შ უ ა ლ ებ ა ნ ი, რ ა ს ა ც მ რ ე წ ვ ე ლ ობ ის მ უ შ ა კ ებ ი ხ მ ა რ ობ ენ ა მ ნ ე დ ლ ე ულ ის გ ა დ ა მ უ შ ა ვ ებ ის დ რ ოს» (გვ. 25).

[243] ვერი, პირიქით, უარადღებას აქცევს მიწათმოქმედთა მუდმივ სიღარიბეს მრეწველობის მუშაკთა მზარდი გამდიდრების საპირისპიროდ და შემდეგ განაგრძობს:

«ეს გვიჩვენებს, რომ მრეწველის მიერ მიღებული ფასი შეიცავს არ მ ა რ ტ ო ი მ ის ა ნ ა ზ ღ ა ვ რ ებ ა ს, რ ა ც მ ო ხ მ ა რ ებ უ ლ ი ქ ნ ა, ა რ ა მ ე დ გ ა რ დ ა ა მ ის ა გ ა რ კ ვ ე ულ თ ა ნ ხ ა ს ა ც, და ეს თ ა ნ ხ ა წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ს ღ ი რ ებ უ ლ ებ ის ა ხ ა ლ რ ა ო დ ე ნ ო ბ ა ს, რ ა ც წ ლ ის მ ა ნ ძ ი ლ ზ ე წ ა რ მ ო ებ ა ში შ ე ი ქ მ ნ ».» (გვ. 26). «წარმოებული ღირებულება სოფლის მეურნეობის ან მრეწველობის პროდუქტის ფასის ის ნაწილია, რომელიც შ ე ა დ გ ე ნ ს ნ ა მ ე ტ ს მასალათა და მათი გადამუშავებისათვის აუცილებელ მოხმარების ხარჯთა თ ა ვ ი დ ა ბ ი რ ებ ელ ღ ი რ ებ უ ლ ებ ებ ა ს თ ა ნ ვ ე ლ ა დ ა ე ბ ი თ. სოფლის მეურნეობაში გამოსაკლებია თესლი და სოფლის მეურნეობის მ უ შ ა კ თ ა მ ო ხ მ ა რ ებ ა; მრეწველობაში ასევე გამოაკლდება ნედლეული და მ უ შ ა ი ს ს მ ო ხ მ ა რ ებ ა და ა ხ ა ლ ი ღ ი რ ებ უ ლ ებ ა ყ ო ვ ე ლ წ ლ ი ურ ად იქმნება სწორედ იმ დ ე ნ ი, რ ა მ დ ე ნ ი ც ა ს ე თ ი გ ა მ ო კ ლ ებ ებ ის შ ე მ დ ე გ რ ჩ ებ ა» (გვ. 26 — 27).

[თავი მესამე]

ადამ სმიტი

[1) სმიტის მიერ ღირებულების ორი სხვადასხვა განსაზღვრა: ღირებულების განსაზღვრა საქონელში მოქცეული დახარჯული შრომის რაოდენობით და ღირებულების განსაზღვრა ამ საქონელზე გაცვლის გზით საყიდელი ცოცხალი შრომის რაოდენობით]

ა. სმიტმა, ისე როგორც ყველა საყურადღებო ეკონომისტმა, ფიზიოკრატებისაგან გადმოიღო ცნება საშუალო ხელფასისა, რომელსაც მან «ხელფასის ბუნებრივი ფასი» უწოდა:

«ადამიანს მუდამ უნდა ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ თავისი შრომით იარსებოს, და მისი ხელფასი ყოველ შემთხვევაში საკმარისი უნდა იყოს მისი არსებობისათვის. უმრავლეს შემთხვევაში ეს ხელფასი რამდენიმედ უნდა აღემატებოდეს კიდეც ამ დონეს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მუშა ვერ შეძლებდა ოჯახის შენახვას, და ამ მუშების რასა ამოწყდებოდა პირველსავე მოდგმაში» ([გარნიეს თარგმანი] ტომი I, წიგნი I, თავი 8, გვ. 136).

ა. სმიტი სრულიად გარკვევით აღნიშნავს, რომ შრომის მწარმოებლურ ძალთა განვითარებას თვით მუშისათვის სარგებლობა არ მოაქვს. ასე, მაგალითად, ჩვენ ვკითხულობთ მის ნაწერებში (წიგნი 1, თავი 8, მაკ-კულოხის გამოცემა, ლონდონი, 1828):

«შრომის პროდუქტი შეადგენს შრომის ბუნებრივ გასამრჯელოს, ანუ მის ხელფასს. საზოგადოების იმ პირველყოფილ მდგომარეობაში, რომელიც წინ უძღვის მიწის კერძო საკუთრების წარმოშობას და კაპიტალის დაგროვებას, შრომის მთელი პროდუქტი მუშაკს ეკუთვნის. მას არ უხდება პროდუქტის განაწილება არც მიწათმფლობელისათვის და არც მეპატრონისათვის. საზოგადოების ასეთ მდგომარეობას რომ არსებობა განეგრძო, მაშინ შრომის საფასური გაიზრდებოდა შრომის მწარმოებლურ ძალთა

გ ა დ ი დ ე ბ ა ს თ ა ნ ე რ თ ა დ, რასაც შრომის დანაწილება წარმოშობს. ყველა საგანი თანდათანობით აუცილებლად უფრო გაიაფდებოდა».

{ ყოველ შემთხვევაში ყველა ის საგანი, რომელიც თავისი კვლავწარმოებისათვის შრომის ნაკლებ რაოდენობას მოითხოვს. მაგრამ ეს საგნები არა მარტო «აუცილებლად თანდათანობით გაიაფდებოდა», არამედ სინამდვილეში კიდეც გაიაფდა. }

«მათი წარმოებისათვის სულ უფრო ნაკლები შრომა იქნებოდა საჭირო; ხოლო რადგანაც სხვადასხვა საქონელი, რომელთა წარმოებაზეც შრომის ერთი და იგივე რაოდენობაა დახარჯული, საქმის ასეთი ვითარებისას ერთი მეორეზე გაიცვლებოდა, ამიტომ შესაბამისად ამ საქონელთა ყიდვაც [244] უფრო ნაკლები რაოდენობის შრომის პროდუქტით იქნებოდა შესაძლებელი... მაგრამ საზოგადოების ასეთი პირველყოფილი მდგომარეობა, როცა მუშაკი თავისი შრომის მთელ პროდუქტს ღებულობს, არ შ ე ი ძ ლ ებ ო დ ა დ ა რ ჩ ე ნ ი ლ ი ყ ო მ ი წ ი ს ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს წ ა რ მ ო შ ო ბ ი ს ა დ ა კ ა პ ი ტ ა ლ ი ს დ ა გ რ ო ვ ებ ი ს შ ე მ დ ე გ. მაშასადამე, საქმის ასეთი მდგომარეობა წარსულს ჩაბარდა ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, სანამ მიღწეული იქნებოდა მნიშვნელოვანი წარმატებანი შრომის მწარმოებლურ ძალთა გადიდებაში, და ამიტომ უსარგებლო იქნებოდა შემდგომი გამოკვლევა იმისა, თუ როგორ გავლენას მოახდენდა საქმის ასეთი ვითარება შრომის გასამრჯელოზე, ანუ ხელფასზე» (ტომი I, გვ. 107—109).

აქ ა. სმიტი მეტად მოხდენილად შენიშნავს, რომ შრომის მწარმოებლური ძალის განვითარება ნამდვილად დიდი მასშტაბით მხოლოდ იმ მომენტიდან იწყება, როცა შრომა გადაქცეულია დაქირავებულ შრომად და როცა შრომის პირობები უკვე უპირისპირდება მას, ერთი მხრივ, მიწის საკუთრების სახით, მეორე მხრივ კი — კაპიტალის სახით. შრომის მწარმოებლური ძალის განვითარება. მაშასადამე, მხოლოდ ისეთ პირობებში იწყება, როცა თვით მუშაკს აღარ შეუძლია უკვე ამ განვითარების შედეგების მითვისება. ამიტომ სრულიად უსარგებლოა იმის გამოკვლევა, თუ რა შედეგები ექნებოდა (ანდა უნდა ჰქონოდა) მწარმოებლურ ძალთა ამ გადიდებას «ხელფასისათვის», — რომელიც აქ შრომის პროდუქტს უდრის, — იმ ვარაუდით, რომ შრომის პროდუქტი (ანუ ამ პროდუქტის ღირებულება) თვით მუშას ეკუთვნის.

ა. სმიტი ძალიან არის შეპყრობილი ფიზიოკრატული წარმოდგენებით და მის ნაწარმოებს ხშირად მთელ ფენებად გასდევს ისეთი აზრები, რაც ფიზიოკრატებს ეკუთვნის და თვით ა. სმიტის მიერ წამოყენებულ შეხედულებებს მთლიანად ეწინააღმდეგება. ასეთია, მაგალითად, მოძღვრება მიწის რენტის შესახებ და ა. შ. ჩვენი მიზნისათვის შეიძლება სრულიად მხედველობის გარეშე დავტოვოთ შრო-

მის ეს, ა. სმიტისათვის არადამახასიათებელი, შემადგენელი ნაწილები, სადაც ა. სმიტი უბრალოდ ფიზიოკრატად გვევლინება [26].

ამ თხზულების პირველ ნაწილში, საქონლის ანალიზთან დაკავშირებით, მე უკვე ცხადვყავი [27], თუ როგორ მერყეობს ა. სმიტი საცვლელი ღირებულების სხვადასხვა განსაზღვრას შორის; სახელდობრ ესაა, ჯერ ერთი, ს ა ქ ო ხ ლ ი ს ღირებულების განსაზღვრა მისი წარმოებისათვის აუცილებელი შრომის რაოდენობით და, მეორე, ამ ღირებულების განსაზღვრა ცოცხალი შრომის იმ რაოდენობით, რომლითაც საქონლის ყიდვა შეიძლება, ანდა, რაც იმავეს ნიშნავს, საქონლის იმ რაოდენობით, რომლითაც ცოცხალი შრომის გარკვეული რაოდენობის ყიდვა შეიძლება; პირველი განსაზღვრა სმიტს ხშირად არეული აქვს მეორეში, ზოგჯერ კი ეს პირველი განსაზღვრა გამორიცხულია მეორე განსაზღვრით. მეორე განსაზღვრაში სმიტი საქონელთა ღირებულების საზომად ხდის შრომის ს ა ც ვ ლ ე ლ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს, ფაქტიურად — ხ ე ლ ფ ა ს ს; ვინაიდან ხელფასი უდრის საქონელთა იმ რაოდენობას, რომელიც შეიძინება ცოცხალი შრომის განსაზღვრული რაოდენობის ნაცვლად, ანდა უდრის შრომის იმ რაოდენობას, რომლის ყიდვაც შეიძლება საქონელთა განსაზღვრული რაოდენობით. მაგრამ შრომის, ანუ, უფრო სწორად, სამუშაო ძალის ღირებულება, ისე როგორც ყველა სხვა საქონლის ღირებულებაც, ცვლილებებს განიცდის და სპეციფიკურად არაფრით არ განსხვავდება სხვა საქონელთაგან. აქ ღირებულების მასშტაბად და მისი ახსნის საფუძვლად გამოცხადებულია თვით ღირებულება, — გამოდის, მაშასადამე, გამოუვალი წრე.

მაგრამ შემდგომი გადმოცემიდან დავინახავთ, რომ სხვადასხვაგვარ განსაზღვრათა ეს მერყეობა და აღრევა სრულიად ვერ უბნევს გზას სმიტს ზედმეტი ღირებულების ბუნებისა და წარმოშობის გამოკვლევაში, რადგან ყველგან, სადაც სმიტი თავის დებულებებს ავითარებს, იგი სინამდვილეში, ისე რომ ვერც კი გრძნობს ამას, იცავს საქონელთა საცვლელი ღირებულების მართებულ განსაზღვრას, სახელდობრ მის განსაზღვრას საქონელში მოთავსებული და მასზე დახარჯული შრომის რაოდენობით, ანუ სამუშაო დროით. [244]

[VII—283a] ბევრ მაგალითზე შეიძლება იმის ჩვენება, რომ ძალიან ხშირად ა. სმიტი თავის თხზულების ფურცლებზე, — იქ, სადაც იგი ნამდვილი ფაქტების ახსნა-განმარტებას იძლევა, — პროდუქტში განსახიერებული შრომის რაოდენობას განიხილავს როგორც ღირებულებას და როგორც ღირებულების განმსაზღვრელ ფაქტორს. ამ

მასალის ნაწილი ციტირებულია რიკარდოს თხზულებაში [28]. ამაზეა დაფუძნებული სმიტის მთელი მოძღვრება იმის შესახებ, თუ როგორ გავლენას ახდენს საქონლის ფასზე შრომის დანაწილება და მანქანათა გაუმჯობესება. აქ საკმარისია დავასახელოთ მხოლოდ ერთი ადგილი. პირველი წიგნის მე-11 თავში ა. სმიტი ლაპარაკობს მის დროს ბევრი სამრეწველო საქონლის გაიაფებაზე წინანდელ საუკუნეებთან შედარებით, და ამის შესახებ დაასკვნის:

«საჭირო იყო შრომის გაცილებით უფრო დიდი რაოდენობა [283b] ამ საგნების დასამზადებლად და, მაშასადამე, ბაზარზე მიტანილი ასეთი საქონლის გაყიდვა ან გაცვლა შრომის უფრო დიდი რაოდენობის ფასად უნდა მომხდარიყო» (ტ. II, გვ. 156). [VII—283b].

[VI — 245] მეორე მხრივ კი, აღნიშნულ წინააღმდეგობას და ახსნა-განმარტების ერთი წესიდან მეორეზე გადასვლას ა. სმიტის სისტემაში უფრო ღრმა საფუძველი აქვს. (რიკარდომ სმიტის წინააღმდეგობის გამომეღავნებისას ვერ შეამჩნია ეს უფრო ღრმა საფუძველი, ვერ მისცა მართებული შეფასება მის მიერ გამომეღავნებულ წინააღმდეგობას, და ამიტომაც ვერ გადაწყვიტა იგი.) დავუშვათ, რომ ყველა მუშაკი საქონელმწარმოებელია, რომ ყველანი არა მარტო აწარმოებენ თავიანთ საქონელს, არამედ ყიდიან კიდეც მას. ამ საქონელთა ღირებულება განსაზღვრულია მათში მოქცეული აუცილებელი სამუშაო დროით. მაშასადამე, თუ საქონელი მისი ღირებულების მიხედვით იყიდება, მაშინ საქონლით, რომელიც თორმეტსაათიანი სამუშაო დროის პროდუქტია, მუშაკი ყიდულობს ისევ თორმეტსაათიან სამუშაო დროს სხვა საქონლის ფორმით, ე. ი. ყიდულობს სხვა სახმარ ღირებულებაში გასაგნობრივებულ თორმეტსაათიან სამუშაო დროს. ამრიგად, მისი შრომის ღირებულება უდრის მისი საქონლის ღირებულებას, ე. ი. უდრის თორმეტსაათიანი სამუშაო დროის პროდუქტს. გაყიდვა და მის მომდევნო ყიდვას, ერთი სიტყვით, გაცვლის მთელ პროცესს — საქონლის მეტამორფოზს — არავითარი ცვლილებები არ შეაქვს საქმის ვითარებაში. იგი მხოლოდ სახეს უცვლის იმ სახმარ ღირებულებას, რომელშიც წარმოდგენილია ეს თორმეტსაათიანი სამუშაო დრო. მაშასადამე, შრომის ღირებულება უდრის შრომის პროდუქტის ღირებულებას. ჯერ ერთი, სხვადასხვა საქონელში, — რამდენადაც მათი ერთმანეთზე გაცვლა მათი ღირებულების შესაბამისად წარმოებს, — გასაგნობრივებული შრომის ტოლი რაოდენობანი გაიცვლება. მეორე, ცოცხალი შრომის გარკვეული რაოდენობა გაიცვლება გასაგნობრივებუ-

ლი შრომის ტოლ რაოდენობაზე, იმიტომ რომ, ერთი მხრივ, ცოცხალი შრომა საგნობრივდება პროდუქტში, საქონელში, რომელიც მუშაკს ეკუთვნის, მეორე მხრივ კი, ეს საქონელი გაიცვლება სხვა საქონელზე, რომელიც შრომის თანატოლ რაოდენობას შეიცავს. მაშასადამე სინამდვილეში ცოცხალი შრომის განსაზღვრული რაოდენობა გაიცვლება გასაგნობრივებული შრომის თანატოლ რაოდენობაზე. ამრიგად, არა მარტო საქონელი გაიცვლება საქონელზე იმ თანაფარდობით, რომლითაც მათში წარმოდგენილია, გასაგნობრივებული სახით, სამუშაო დროის თანატოლი რაოდენობანი, არამედ ცოცხალი შრომის გარკვეული რაოდენობაც გაიცვლება საქონელზე, რომელშიც წარმოდგენილია, გასაგნობრივებული სახით, შრომის იგივე რაოდენობა.

ასეთი ვარაუდისას შრომის ღირებულებას (საქონლის რაოდენობა, რომლის ყიდვაც შრომის მოცემული რაოდენობით შეიძლება, ანუ შრომის რაოდენობა, რომლის ყიდვაც საქონლის მოცემული რაოდენობით შეიძლება) შეეძლო შეეძინა საქონლის ღირებულების საზომის მნიშვნელობა, სრულიად ისევე, როგორც საქონელში გასაგნობრივებული შრომის რაოდენობასაც. ეს შესაძლებელი იქნებოდა იმის გამო, რომ შრომის ღირებულება გამოხატავდა, გასაგნობრივებული სახით, მის ისეთ რაოდენობას, რომელიც ყოველთვის ტოლი იქნებოდა ცოცხალი შრომის იმ რაოდენობისა, რაც აუცილებელია ამ საქონლის საწარმოებლად, — სხვა სიტყვებით: ცოცხალი სამუშაო დროის გარკვეული რაოდენობა მუდამ მიიღებდა თავის განკარგულებაში საქონლის ისეთ რაოდენობას, რომელშიც წარმოდგენილი იქნებოდა, გასაგნობრივებული სახით, იმდენივე სამუშაო დრო. მაგრამ ყველა იმ წარმოების წესების დროს — განსაკუთრებით კაპიტალისტური წარმოების წესის დროს, — როცა შრომის ნივთიერი პირობები ეკუთვნის ერთ (რამდენიმე) კლასს, მეორე კლასს კი, მუშათა კლასს, პირიქით, მარტოოდენ სამუშაო ძალა ეკუთვნის, ადგილი აქვს სრულიად საპირისპირო მოვლენას. შრომის პროდუქტი, ანუ შრომის პროდუქტის ღირებულება, არ ეკუთვნის მუშას. ცოცხალი შრომის გარკვეული რაოდენობა არ ღებულობს თავის განკარგულებაში გასაგნობრივებული შრომის ასეთსავე რაოდენობას; სხვა სიტყვებით, საქონელში გასაგნობრივებული შრომის გარკვეული რაოდენობა თავის განკარგულებაში ღებულობს ცოცხალი შრომის უფრო მეტ რაოდენობას, ვიდრე ის რაოდენობაა, რასაც თვით საქონელი შეიცავს.

მაგრამ რადგან ა. სმიტი სრულიად მართებულად ღებულობს

ამოსავალ წერტილად საქონელს და საქონელთა გაცვლას და მის სისტემაში, მაშასადამე მწარმოებელნი თავდაპირველად ერთმანეთს უპირისპირდებიან მხოლოდ როგორც საქონელმფლობელნი — როგორც საქონლის გამყიდველნი და საქონლის მყიდველნი, — ამიტომ იგი ამყოვანებს (ასე წარმოუდგება მას საქმის ვითარება), რომ კაპიტალსა და დაქირავებულ შრომას, [246] გასაგნობრივებულსა და ცოცხალ შრომას შორის გაცვლაში ზოგადი კანონი მაშინვე კარგავს ძალას და საქონელთა გაცვლა (იმიტომ რომ შრომაც საქონელია, რამდენადაც მას ყიდულობენ ან ყიდიან) ხდება უკვე არა მათში განხორციელებული შრომის რაოდენობათა შესაბამისად. აქედან ის აკეთებს დასკვნას, რომ როგორც კი შრომის პირობები უპირისპირდება დაქირავებულ მუშას მიწის საკუთრებისა და კაპიტალის სახით, სამუშაო დრო უკვე აღარ წარმოადგენს საქონელთა საცვლელი ღირებულების მარეგულირებელ იმანენტურ საზომს. სმიტს, პირიქით, უნდა გაეკეთებინა, — როგორც ეს სამართლიანად შენიშნა მისი მისამართით რიკარდომ,—პირუკუ დასკვნა, რომ გამოთქმები «შრომის რაოდენობა» და «შრომის ღირებულება» უკვე აღარ არიან იდენტურნი და, მაშასადამე, საქონელთა შეფარდებითი ღირებულება, თუმცა იგი მათში მოთავსებული სამუშაო დროით რეგულირდება, უკვე აღარ რეგულირდება შრომის ღირებულებით, რადგან ეს უკანასკნელი გამოთქმა მართებული რჩებოდა მხოლოდ მანამდე, სანამ იგი პირველის იდენტური იყო. შემდგომში, მალთუსთან დაკავშირებით [29], შესაძლებელი იქნება იმის ცხადყოფა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მუშაკი თავის საკუთარ პროდუქტს, ე. ი. საკუთარი პროდუქტის ღირებულებას მიითვისებდა, თავისთავად უმართებულო და უაზრო იქნებოდა ეს ღირებულება, ანუ შრომის ღირებულება მიგვეღო ღირებულებათა საზომად იმავე აზრით, რა აზრითაც ღირებულებათა საზომს და ღირებულების შემქმნელ ელემენტს წარმოადგენს სამუშაო დრო, ანუ თვით შრომა. ამ შემთხვევაშიც კი შრომას, რომელსაც რომელიმე საქონლით ყიდულობენ, არ ექნებოდა საზომის მნიშვნელობა იმავე აზრით, როგორითაც ეს მნიშვნელობა ახასიათებს შრომას, რომელსაც ესა თუ ის საქონელი შეიცავს. ერთი მხოლოდ მეორის მაჩვენებელი იქნებოდა.

ყოველ შემთხვევაში, ა. სმიტი გრძნობს, რომ საქონელთა გაცვლის განმსაზღვრელი კანონიდან ძნელია გამოვიყვანოთ კაპიტალსა და შრომას შორის გაცვლა, რომელსაც, ცხადია, საფუძვლად უდევს ამ კანონის სრულიად საპირისპირო და საწინააღმდეგო პრინციპები. და ეს წინააღმდეგობა აუხსნელი რჩებოდა, ვიდრე კაპიტალი უპი-

რისპირდებოდა პირდაპირ შრომას და არა სამუშაო ძალას. ა. სმიტმა კი კარგად იცოდა, რომ სამუშაო ძალის კვლავწარმოებასა და შენახვაზე დახარჯული სამუშაო დრო ფრიად განსხვავდება იმ შრომისაგან, რომლის შესრულებაც თვით სამუშაო ძალას შეუძლია. ამ საკითხში სმიტი იწონებს კიდეც კანტილიონის ნაშრომს: «Essai sur la nature du commerce».

«ეს ავტორი», — წერს სმიტი კანტილიონის შესახებ,—«უმატებს, რომ ძლიერი მონის შრომა მიჩნეულია ისეთ შრომად, რომელსაც ორჯერ მეტი ღირებულება აქვს, ვიდრე მისი შენახვის ხარჯებს, ყველაზე სუსტი მუშის შრომა კი, როგორც იგი ფიქრობს, არ შეიძლება უფრო ნაკლები ღირდეს, ვიდრე ძლიერი მონის შრომა» (წიგნი I, თავი 8, გვ. 137. თარგმანი გ ა რ ნ ი ე ს ი, ტ. I).

მეორე მხრივ, საკვირველია, რომ ა. სმიტმა ვერ გაიგო, თუ რამდენად ცოტა რამ აქვს საერთო მის დამაეჭვებელ გარემოებას იმ კანონთან, რომელიც ერთი საქონლის მეორეზე გაცვლას არეგულირებს. *A* და *B* საქონელთა გაცვლა მათში მოთავსებული სამუშაო დროის პროპორციულად სულაც არ ირღვევა იმ პროპორციებით, რომლებითაც ამ საქონელთა მწარმოებელნი ერთმანეთს შორის ინაწილებენ *A* და *B* პროდუქტებს, ანუ, უფრო ზუსტად, მათს ღირებულებას. თუ *A* პროდუქტის ერთი ნაწილი მიწის მესაკუთრეს ხვდება, მეორე — კაპიტალისტს, მესამე — მუშას, მაშინ როგორიც არ უნდა იყოს მათ მიერ მისაღები წილი, ეს სრულიად არ ცვლის საქმის იმ ვითარებას, რომ თვით *A* გაიცვლება *B*-ზე თავისი ღირებულების შესაბამისად. თვითეულ ამ საქონელში — *A* და *B*-ში — მოქცეული სამუშაო დროის თანაფარდობა სრულიად არაა იმაზე დამოკიდებული, თუ როგორ მიითვისებს სხვადასხვა პირი *A*-სა და *B*-ში მოთავსებულ სამუშაო დროს.

«როცა ბოხდება მაუდის გაცვლა ტილოზე, მაუდის მწარმოებელთა იმდენივე წილი ექნებათ ტილოში, რამდენიც მათ უწინ ჰქონდათ მაუდში» («Misère de la philosophie», გვ. 29) [30].

ასეთსავე მოსაზრებას სრულიად სამართლიანად აყენებდნენ რიკარდოელები შემდგომში ა. სმიტის წინააღმდეგ [247]. ასევე მალთუსელი ჯონ კეიზნოვიც წერს:

«საქონელთა გაცვლა და განაწილება ერთიმეორისაგან განცალკევებით უნდა განვიხილოთ... ბარემოებანი, რომლებიც გავლენას ახდენენ ერთზე, ყოველთვის როდი მოქმედებენ მეორეზე. მაგალითად, ერთი რომელიმე საქონლის წარმოების

ხარჯების შემცირება შეცვლის მის შეფარდებას ყველა დანარჩენთან; მაგრამ სრულიადაც არაა აუცილებელი, რომ მან შეცვალოს თვით ამ საქონლის განაწილება ანდა რაიმე სახით გავლენა მოახდინოს სხვა საქონელთა განაწილებაზე. მეორე მხრივ, ღირებულების საერთო შემცირება, თუ იგი თანაბრად ვრცელდება ყველა საქონელზე, ვერ შეცვლის მათს თანაფარდობას ერთმანეთს შორის. მან შეიძლება გავლენა იქონიოს, — მაგრამ შეიძლება არც იქონიოს გავლენა, — საქონელთა განაწილებაზე» და ა. შ. (ჯონ კეიზნი, წინასიტყვაობაში მის მიერ გამოცემული მალთუსის წიგნისა — «Definitions in Political Economy», London, 1853).

მაგრამ რადგან პროდუქტის ღირებულების «განაწილება» კაპიტალისტსა და მუშას შორის თვითონ დამყარებულია საქონელთა გაცვლაზე — საქონელსა და სამუშაო ძალას შორის გაცვლაზე, — ამიტომ ეს, ბუნებრივია, არევ-დარევას იწვევს ა. სმიტის აზროვნებაში. იმ გარემოებამ, რომ ა. სმიტს ღირებულების საზომად მიაჩნდა აგრეთვე შრომის ღირებულება, ანუ ამა თუ იმ საქონლის (თუ ფულის) მყიდველობითი ძალა შრომის მიმართ, დაარღვია მისი აზრის მსვლელობა იქ, სადაც იგი იძლევა ფასების თეორიას, იკვლევს კონკურენციის ზემოქმედებას მოგების ნორმაზე და ა. შ., საერთოდ მის თხზულებას დაუკარგა ყოველგვარი ერთიანობა და იმის მიზეზიც კი გახდა, რომ ძირითადი საკითხების დიდი რაოდენობა მისი გამოკვლევის გარეთ დარჩა. მაგრამ ზედმეტი ღირებულების შესახებ მისი აზრის საერთო მსვლელობაზე ამას, როგორც ახლავე დავინახავთ, გავლენა არ მოუხდენია, რადგან სმიტი აქ მუდამ იცავს იმ სწორ შეხედულებას, რომ ღირებულება განისაზღვრება დახარჯული სამუშაო დროით, რასაც სხვადასხვა საქონელი შეიცავს.

ამრიგად, გადავიდეთ ახლა იმაზე, თუ როგორ განიხილავს იგი საკითხს.

მაგრამ წინასწარ საჭიროა მოვიხსენიოთ კიდევ ერთი გარემოება. ა. სმიტი ერთმანეთში ურევს სხვადასხვა რაიმეს. ჯერ ერთი, პირველი წიგნის მეხუთე თავში ის ამბობს:

«ადამიანი მდიდარი ან ღარიბია იმისდა მიხედვით, თუ რამდენად გააჩნია მას საშუალება, რომ უზრუნველყოს თავისი თავი პირველი საჭიროების, კეთილმოწყობისა და განცხრომის საგნებით. მაგრამ, მას შემდეგ, რაც ყველა დარგში შრომის დანაწილება დამყარდა, ადამიანს ამ საგნების მხოლოდ მეტად მცირე ნაწილის მოპოვება შეუძლია საკუთარი შრომით; მათი ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი მან სხვა ადამიანთა შრომიდან უნდა მიიღოს; და იგი მდიდარი ან ღარიბი იქნება იმისდა მიხედვით, თუ რაოდენ დიდია ამ შრომის რაოდენობა, რომელიც მას შეუძლია ჰქონდეს თავის განკარგულებაში ან რომელიც მას შეუძლია იყიდოს. ამიტომ ყოველი საქონლის ღირებულება

ამისთვის, ვინც ამ საქონელს ფლობს და მხედველობაში აქვს მისი სხვა საგნებზე გაცვლა და არა მისი გამოყენება ან პირადად მოხმარება, უდრის შრომის იმ რაოდენობას, რომელიც ამ საქონელს შეუძლია იყიდოს, ან მიიღოს თავის განკარგულებაში. ამრიგად, შრომა წარმოადგენს ყველა საქონლის საცვლელი ღირებულების ნამდვილ საზომს» (ტომი I, გვ. 59 — 60).

შემდეგ:

«ისინი» (საქონელნი) «შეიცავენ შრომის იმ გარკვეულ რაოდენობის ღირებულებას, რომელსაც ჩვენ ეცვლით იმაზე, რაც, ჩვენი ვარაუდით, [248] შეიცავს მოცემულ მომენტში შრომის იმავე რაოდენობის ღირებულებას... მსოფლიოს მთელი სიმდიდრე თავდაპირველად შექმენილ იქნა არა ოქროთი და ვერცხლით, არამედ მხოლოდ შრომით; და ამ სიმდიდრის ღირებულება იმისთვის, ვინც მას ფლობს და ვისაც რაიმე ახალ პროდუქტზე მისი გაცვლა სურს, ზუსტად შრომის იმ რაოდენობას უდრის, რომელიც მას შეუძლია ამ სიმდიდრით იყიდოს ან თავის განკარგულებაში მიიღოს» (წიგნი I, თავი 5, გვ. 60 — 61).

დასასრულ:

«როგორც ბატონი ჰობსი ლაპარაკობს, სიმდიდრე არის ძალა; მაგრამ ადამიანი, რომელიც იძენს ან მემკვიდრეობით ღებულობს დიდ ქონებას, აუცილებლად როდი იძენს მასთან ერთად პოლიტიკურ ძალაუფლებას, სამოქალაქო ძალაუფლება იქნება ეს თუ სამხედრო... ძალა, რასაც მას დაუყოვნებლივ და პირდაპირ ანიჭებს ეს სიმდიდრე, სხვა არაფერია, თუ არა მყიდველობითი უნარი; ესაა უფლება განკარგულებისა სხვა ადამიანის ყოველი შრომის მიმართ ანუ ბაზარზე არსებული ყოველი შრომის პროდუქტის მიმართ». (იქვე, გვ. 61).

ჩვენ ვხედავთ, რომ ყველა ზემოაღნიშნულ ადგილას, სმიტი ერთმანეთში ურევს «სხვა ადამიანის შრომას» და «ამ შრომის პროდუქტს». მას შემდეგ, რაც შრომის დანაწილება დამყარდა, ამა თუ იმ პირის კუთვნილი საქონლის საცვლელი ღირებულება გამოიხატება იმ სხვისი საქონლით, რომლის ყიდვაც მოცემულ პირს შეუძლია, ე. ი. გამოიხატება სხვისი შრომის რაოდენობით, რომელსაც ეს საქონელი შეიცავს, გასაგნობრივებული სხვისი შრომის რაოდენობით. და სხვისი შრომის ეს რაოდენობა უდრის შრომის იმ რაოდენობას, რომელსაც მისი საკუთარი საქონელი შეიცავს. სმიტი სრულიად გარკვევით აცხადებს:

«საქონელნი შეიცავენ შრომის იმ გარკვეული რაოდენობის ღირებულებას, რომელსაც ჩვენ ვცვლით იმაზე, რაც ჩვენი ვარაუდით, შეიცავს მოცემულ მომენტში შრომის იმავე რაოდენობის ღირებულებას».

აქ ყურადღება გამახვილებულია შ რ ო მ ი ს დ ა ნ ა წ ი ლ ებ ი თ გამოწვეულ ცვლილებაზე; ეს ცვლილება კი იმით გამოიხატება, რომ სიმდიდრეს შეადგენს უკვე არა საკუთარი შრომის პროდუქტი, არამედ სხვისი შრომის ის რაოდენობა, რასაც ეს საქონელი თავის განკარგულებაში ღებულობს, — საზოგადოებრივი შრომის ის რაოდენობა, რომლის ყიდვაც მას შეუძლია და რომელიც თვით მასში მოქცეული შრომის რაოდენობით განისაზღვრება. სინამდვილეში აქ იმალება მხოლოდ ცნება საცვლელი ღირებულების — აზრი იმის შესახებ, რომ ჩემი შრომა განსაზღვრავს ჩემს სიმდიდრეს მხოლოდ როგორც საზოგადოებრივი შრომა, რომ ეს სიმდიდრე, მაშასადამე, განისაზღვრება ჩემი შრომის პროდუქტით, რომელიც ჩემს განკარგულებაში იძლევა საზოგადოებრივი შრომის თანატოლ რაოდენობას. ჩემი საქონელი, რომელიც აუცილებელი სამუშაო დროის გარკვეულ რაოდენობას შეიცავს, შესაძლებლობას მაძლევს ჩემს განკარგულებაში ვიქონიო ტოლი ღირებულების ყველა სხვა საქონელი, მაშასადამე, სხვა სახმარ ღირებულებებში გასაგნობრივებული სხვისი შრომის ტოლი რაოდენობა. ყურადღება აქ გამახვილებულია შრომის დანაწილებით და საცვლელი ღირებულებით გამოწვეულ ჩ ე მ ი შრომის სხ ვ ი ს შრომასთან გათანაბრებაზე, სხვა სიტყვებით, საზოგადოებრივ შრომასთან გათანაბრებაზე (ადამს მხედველობიდან გამორჩა, რომ ჩ ე მ ი შრომაც, ანუ შრომა, რასაც ჩემი საქონელი შეიცავს, უკვე ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ა დ განსაზღვრულია და რომ მან არსებითად შეიცვალა თავისი ხასიათი), და არა განსხვავებაზე გ ა ს ა გ ნ ო ბ რ ი ვ ებ უ ლ შრომასა და ც ო ც ხ ა ლ შრომას შორის და არა მათი გაცვლის სპეციფიკურ კანონებზე. სინამდვილეში ა. სმიტი აქ მხოლოდ იმას ამბობს, რომ საქონელთა ღირებულება განსაზღვრულია მათში განხორციელებული სამუშაო დროით და რომ საქონელმფლობელის სიმდიდრეს შეადგენს საზოგადოებრივი შრომის ის რაოდენობა, როელიც მის განკარგულებაშია.

ყოველ შემთხვევაში შ რ ო მ ი ს ა და შ რ ო მ ი ს პ რ ო დ უ ქ ტ ი ს [249] გაიგივება, მართლაც, იძლევა უკვე აქ იმის პირველ საბაბს, რომ ერთიმეორეში აირიოს საქონელთა ღირებულების განსაზღვრა მათში მოთავსებული შრომის რაოდენობით და მათი ღირებულების განსაზღვრა ცოცხალი შრომის იმ რაოდენობით, რომლის ყიდვაც ამ საქონელთა მეოხებით შეიძლება, ე. ი. აირიოს საქონელთა ღირებულების განსაზღვრა და შრომის ღირებულების განსაზღვრა. თუ ა. სმიტი ამბობს:

«ადამიანის სიმდიდრე უფრო დიდია ან მცირეა ზუსტად ამ ძალის სიდიდის შესაბამისად, ე. ი. სხვა ადამიანთა შრომის იმ რაოდენობის შესაბამისად, რაც მას შეუძლია სრულ განკარგულებაში ჰქონდეს თავისი სიმდიდრის მეოხებით, ანუ, რაც იგივეა» (ი ი ი, ეს მცდარი გაიგივებას!), «ს ხ ვ ა ა დ ა მ ი ა ნ თ ა ი მ პ რ ო დ უ ქ ტ ი ს შესაბამისად, რომელიც მას შეუძლია იყიდოს» (იქვე. გვ. 61), —

მაშინ ზუსტად ასევე მას შეეძლო ეთქვა: ადამიანის სიმდიდრე შეესაბამება საზოგადოებრივი შრომის იმ რაოდენობას, რომელსაც შეიცავს მისი «სიმდიდრის» შემადგენელი მისივე საკუთარი საქონელი. სმიტი სწორედ ამას აღნიშნავს:

«ისინი» (საქონელი) «შეიცავენ შრომის იმ გარკვეული რაოდენობის ღირებულებას, რომელსაც ჩვენ ვცვლით იმაზე, რაც, ჩვენი ეარაუდით, შეიცავს მოცემულ მომენტში შ რ ო მ ი ს ი მ ა ვ ე რ ა ო დ ე ნ ო ბ ი ს ღირებულებას». (სიტყვა «ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა» აქ ზედმეტი და უაზროა).

მცდარი დასკვნა უკვე ამ მეხუთე თავში მეღავნდება, როცა იგი, მაგალითად, ამბობს:

«ამრიგად, შრომა, რაც თ ა ვ ი ს ა კ უ თ ა რ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს არ ასოდეს არ იცვლის, ერთადერთი ნამდვილი და საბოლოო საზომია, რომელიც ყოველ დროსა და ყველგან შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყველა საქონლის ღირებულების შეფასებისა და შედარებისათვის» (იქვე, გვ. 66).

ის, რაც მართებულია თვით შრომის მიმართ, მაშასადამე, მისი საზომის, ე. ი. სამუშაო დროის მიმართაც, — სახელდობრ ის დასკვნა, რომ საქონელთა ღირებულება მუდამ პროპორციულია მათში გასაგნობრივებული სამუშაო დროისა. სულ ერთია, როგორც უნდა იცვლებოდეს შ რ ო მ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა, — აქ თვით ამ ცვალებადი შრომის ღირებულების ნიშანთვისებადაა აღიარებული.

აქ ა. სმიტი განიხილავს ჯერ კიდევ მხოლოდ საქონელგაცვლას საერთოდ: საცვლელი ღირებულების, შრომის დანაწილების, აგრეთვე ფულის ბუნებას. გაცვლის მონაწილენი ერთიმეორეს უპირისპირდებიან ჯერ კიდევ როგორც საქონელმფლობელნი. ისინი ყიდულობენ სხვის შრომას საქონლის ფორმით, მსგავსად იმისა, როგორც საქონლის ფორმით გამოდის მათი საკუთარი შრომაც. ამიტომ საზოგადოებრივი შრომის რაოდენობა, რომელიც მათს განკარგულებაშია, უდრის იმ საქონელში განხორციელებული შრომის რაოდენობას, რომლის საშუალებითაც თვით ისინი ყიდულობენ. მაგრამ როცა

ა. სმიტი შემდგომ თავებში მსჯელობს გაცვლაზე გასაგნობრივებულ შრომასა და ცოცხალ შრომას შორის, გაცვლაზე კაპიტალისტსა და მუშას შორის, და აქ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ახლა საქონლის ღირებულება განისაზღვრება უკვე არა შრომის იმ რაოდენობით, რასაც თვით საქონელი შეიცავს, არამედ ამ სიდიდისაგან განსხვავებული სხვისი ცოცხალი შრომის რაოდენობით, რომელიც შეიძლება ამ საქონლის საშუალებით სრულ განკარგულებაში მიიღო, ე. ი. იყიდოო, — ეს სინამდვილეში სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ თვით საქონელთა ერთმანეთზე გაცვლა ახლა ხდება უკვე არა მათში მოთავსებული სამუშაო დროის შესაბამისად. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ გამდიდრება, საქონელში მოთავსებული ღირებულების გადიდება და ამ გადიდების დონე დამოკიდებულია იმ ცოცხალი შრომის მეტ თუ ნაკლებ რაოდენობაზე, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს გასაგნობრივებულ შრომას. და სწორედ ამ გაგებით ეს მართებულია. მაგრამ სმიტი აქ გაურკვევლობასაც ტოვებს.

[2) ზედმეტი ღირებულების სმიტისეული ზოგადი კონცეფცია. შეხედულება მოგებასა, მიწის რენტასა და სარგებელზე როგორც მუშის შრომის პროდუქტიდან გამონაკლებზე]

[250] პირველი წიგნის მეექვსე თავში ა. სმიტი იმ ურთიერთობიდან, რომლის დროსაც იგულისხმება, რომ მწარმოებელნი ერთიმეორეს უპირისპირდებიან მხოლოდ როგორც საქონელთა გამყიდველნი და საქონელმფლობელნი, გადადის შრომის პირობების მფლობელთა და მარტოოდენ სამუშაო ძალის მფლობელთა შორის არსებული გაცვლის ურთიერთობაზე.

«ხაზოგადოების იმ პირველყოფილ, განუვითარებელ მდგომარეობაში, რომელიც წინ უსწრებს კაპიტალის დაგროვებას და მიწის კერძო საკუთრების წარმოშობას, ერთადერთი საფუძველი, რომელსაც შეეძლო მოეცა გაცვლის წესი, ეტყობა, შრომის ის რაოდენობა იყო, რომელიც აუცილებელი სხვადასხვა გასაცვლელი საგნების შესაძენად... სრულიად ბუნებრივია, რომ პროდუქტს, რომლის დამზადებასაც ჩვეულებრივ ორი დღის ან ორი საათის შრომა სჭირდება, ორჯერ უფრო მეტი ღირებულება ექნება, ვიდრე იმ პროდუქტს, რომლის დამზადებას ჩვეულებრივ ერთი დღის ან ერთი საათის შრომა სჭირდება» (ტომი I, წიგნი I, თავი 6, გვ. 94—95. თარგმანი გარნიესი).

ამრიგად, სამუშაო დრო, რომელიც აუცილებელია სხვადასხვა საქონლის საწარმოებლად, განსაზღვრავს იმ თანაფარდობას, რომ-

ლის მიხედვით ეს სხვადასხვა საქონელი ერთიმეორეზე გაიცვლება, სხვა სიტყვებით: განსაზღვრავს მათს საცვლელ ღირებულებას.

«ასეთი ურთიერთობის დროს შრომის მთელი პროდუქტი ეკუთვნის მუშაკს, და შრომის რაოდენობა, რაც ჩვეულებრივ რომელიმე საქონლის შეძენაზე ან წარმოებაზე იხარჯება, ერთადერთი გარემოებაა, რაც განსაზღვრავს შრომის იმ რაოდენობას, რომელიც შეიძლება კაცმა იყიდოს, შეიძინოს სრულ განკარგულებაში ან გაცვალოს ამ საქონელზე» (იქვე, გვ. 96).

მაშასადამე: ასეთი წანამძღვრის პირობებში მუშაკი საქონელთა უბრალო გამყიდველია, და ერთი ადამიანის შრომა მხოლოდ მაშინ გადადის მეორის განკარგულებაში, როცა ეს უკანასკნელი თავისი საქონლით ამ პირველის საქონელს ყიდულობს. ამრიგად, თავისი საქონლის საშუალებით იგი თავის განკარგულებაში ღებულობს სხვა ადამიანის შრომის მხოლოდ იმდენ რაოდენობას, რამდენსაც მისი საკუთარი საქონელი შეიცავს, რადგან ისინი ერთმანეთს შორის მხოლოდ საქონელს ცვლიან, საქონელთა საცვლელი ღირებულება კი განისაზღვრება მათში მოთავსებული სამუშაო დროით ანუ შრომის რაოდენობით.

მაგრამ, — განაგრძობს ადამი:

«როგორც კი ცალკეულ პირთა ხელში მარაგი დაგროვდება, ზოგიერთი მათგანი, ბუნებრივია, იწყებს ამ მარაგის გამოყენებას იმ მიზნით, რომ სამუშაო მისცეს შრომისმოყვარე ადამიანებს, მომარაგებს მათ მასალითა და საარსებო საშუალებებით, იმ განგარიშით, რომ მოგება მიიღოს მათი შრომის პროდუქტების გაყიდვით, ანუ იმით, რასაც ამ მუშების შრომა დასამუშავებელი მასალის ღირებულებას მიუმატებს» (იქვე, გვ. 96).

ვიდრე შემდგომ მსჯელობაზე გადავიდოდეთ, შეეჩერდებით ამ ციტატზე. უწინარეს ყოვლისა, საიდან ჩნდებიან «შრომისმოყვარე ადამიანები», რომელთაც არც საარსებო საშუალებანი გააჩნიათ, არც მასალა შრომისათვის, — ადამიანები, რომელთაც ფეხქვეშ ნიადაგი აქვთ გამოცლილი? თუ სმიტის გეოთქმას გავთავისუფლებთ მისი გულუბრყვილო ფორმისაგან, მისი აზრი იქნება შემდეგი: კაპიტალისტური წარმოება იმ მომენტიდან იწყება, როცა შრომის პირობები ერთი კლასის საკუთრება ხდება, ხოლო მეორე კლასის განკარგულებაში რჩება მარტოოდენ სამუშაო ძალა. სწორედ შრომის ეს მოწყვეტა შრომის პირობებისაგან შეადგენს კაპიტალისტური წარმოების წანამძღვარს.

მაგრამ, მეორე, რა აქვს მხედველობაში ა. სმიტს, როცა ამტკიცებს, რომ «დამქირავებელნი» იყენებენ მუშებს «იმ ანგარაშით, რომ მოგება მიიღონ მათი შრომის პროდუქტების გაყიდვით, ანუ იმით, რასაც ამ მუშების შრომა [251] დასამუშავებელი მასალის ღირებულებას მიუმატებს»? ხომ არა სურს მას ამით იმის თქმა, რომ მოგებას გაყიდვა წარმოშობს, რომ საქონელი მის ღირებულებაზე უფრო მაღლა იყიდება, რომ მოგება, მაშასადამე, ის არის, რასაც სტიუარტი «გასხვისებით მიღებულ მოგებას» უწოდებს, და რაც სხვა არაფერია, თუ არა «სიმდიდრის სასწორის რყევა მონაწილე მხარეებს შორის» *? აი რა პასუხს იძლევა იგი თვითონ:

«მზა ნაწარმის გაცვლისას ფულზე ან შრომაზე» (აქ ახალი შეცდომის წყაროა) «ანდა სხვა საქონელზე გაცვლისას, მასალის ფასისა და მუშაობა ხელფასის ანაზღაურებას უნდა მიემატოს კიდევ გარკვეული თანხა, რაც მოგებას შეადგენს მეწარმისათვის, რომელიც თავისი კაპიტალით რისკს ეწევა ამ საქმეში» (იქვე).

ამ «რისკს» შემდგომ მსჯელობაში კიდევ დავუბრუნდებით იმ თავში, სადაც ლაპარაკია მოგების აპოლოგეტურ კონცეფციაზე (იხ. რვეული VII, გვ. 173) [31]. წარმოშობს თუ არა საქონლის გაყიდვა მის ღირებულებაზე უფრო მაღლა ამ «გარკვეულ თანხას, რაც მეწარმის მოგებას შეადგენს მზა ნაწარმის გაცვლისას» წარმოადგენს თუ არა იგი სტიუარტისეულ «გასხვისებით მიღებულ მოგებას»?

«ამიტომ», — განაგრძობს იქვე უშუალოდ ადამი, — «ის ღირებულება, რასაც მუშები მასალას უმატებენ, დაიყოფა ახლა» (მას შემდეგ, რაც კაპიტალისტური წარმოება წარმოიშვა) «ორ ნაწილად, რომელთაგან ერთი იხდის მათს ხელფასს, მეორე კი ისტუმრებს მეწარმის მოგებას იმ კაპიტალის მთელ თანხაზე, რომელიც ავანსებულია ხელფასისა და დასამუშავებელი მასალის სახით» (იქვე, გვ. 96—97).

ამრიგად, სმიტი აქ სრულიად გარკვევით აცხადებს: მოგებას, რომელიც «მზა ნაწარმის» გაყიდვისას მიიღება, არ წარმოშობს თვით გაყიდვა, არ წარმოშობს ის გარემოება, რომ საქონელი მის ღირებულებაზე მეტად იყიდება, — იგი არ არის «გასხვისებით მიღებული მოგება». საქმის ვითარება სწორედ პირიქითაა. ღირებულე-

* იხ. ეს ტომი, გვ. 7—10. რედ.

ბა, ე. ი. შრომის რაოდენობა, რასაც მუშები მასალას მატებენ, ორ ნაწილად იყოფა. ერთი ნაწილი იხდის მუშების ხელფასს ან უკვე გადახდილია მუშების მიერ მიღებული ხელფასით. ამ ნაწილის სახით მუშები შრომის მხოლოდ ისეთ რაოდენობას იძლევიან, რამდენიც მათ ხელფასის ფორმით მიიღეს. მეორე ნაწილი შეადგენს კაპიტალისტის მოგებას, ე. ი. იგი წარმოადგენს შრომის გარკვეულ რაოდენობას, რომელსაც კაპიტალისტი ყიდის, თუმცა მას იგი არ უყიდია. მაშასადამე, თუ კაპიტალისტი საქონელს ყიდის მისი ღირებულების მიხედვით, ე. ი. მასში მოთავსებული სამუშაო დროის რაოდენობის მიხედვით, სხვა სიტყვებით, თუ ამ საქონლის გაცვლა სხვა საქონელზე ღირებულების კანონის თანახმად ხდება, მაშინ კაპიტალისტის მოგება იქიდან მომდინარეობს, რომ იგი ყიდის საქონელში გასაგნობრივებული შრომის ნაწილს, რომელშიც მას ფასი არ გადაუხდია. ამით ა. სმიტმა თვით უარყო თავისი აზრი, რომ თუკი მუშას უკვე არ ეკუთვნის მისი შრომის მთელი პროდუქტი და იგი იძულებულია ეს პროდუქტი — ან მისი ღირებულება — კაპიტალის მესაკუთრეს გაუზიაროს, მაშინ ამით უქმდება ის კანონი, რომლის მიხედვითაც საქონელთა ერთიმეორეზე გაცვლის თანაფარდობა ანუ მათი საცვლელი ღირებულება — განისაზღვრება მათში გასაგნობრივებული სამუშაო დროის რაოდენობით. კიდევ მეტი, კაპიტალისტის მოგება მას იქიდან გამოჰყავს, რომ კაპიტალისტს არ გადაუხდია საქონელზე მიმატებული შრომის ერთი ნაწილის ფასი, და სწორედ აქედან წარმოდგება მოგებაც, რასაც კაპიტალისტი საქონლის გაყიდვისას ღებულობს. ჩვენ დავინახავთ, რომ შემდგომში სმიტს კიდევ უფრო ზუსტი მნიშვნელობით გამოჰყავს მოგება იმ შრომიდან, რომელსაც მუშა ასრულებს ხელფასის ანაზღაურებისათვის, ე. ი. თავისი ხელფასის ეკვივალენტის შექმნისათვის გაწეული შრომის რაოდენობაზე გადამეტებით. ამით სმიტმა მიაგნო ზედმეტი ღირებულების ნამდვილ წყაროს. ამასთანავე მან სრულიად გარკვევით აღნიშნა, რომ ზედმეტი ღირებულება წარმოიშვება არა [252] ავანსებული ფონდიდან, რომლის ღირებულებაც, — რაგინდ სასარგებლოც არ უნდა იყოს იგი შრომის რეალურ პროცესში, — უბრალოდ მხოლოდ ხელახლა გვევლინება პროდუქტში, არამედ მისი წარმომშობია მარტოოდენ ის ახალი შრომა, რასაც «მუშები მასალას მატებენ» ახალი წარმოების პროცესში, სადაც ეს ფონდი შრომის საშუალებათა ან შრომის იარაღების სახით გამოდის.

პირიქით, უმართებულოა (და ზემოაღნიშნულ აღრევაზეა დამყა-

რებული) გამოთქმა: «მზა ნაწარმის ფულზე ან შრომაზე ანდა სხვა საქონელზე გაცვლისას...»

როცა კაპიტალისტი საქონელს ფულზე ან საქონელზე ცვლის, მისი მოგება იქიდან წარმოდგება, რომ იგი ნაყიდ რაოდენობაზე უფრო მეტ შრომას ყიდის, იგი წარმოდგება იქიდან, რომ კაპიტალისტი გასაგნობრივებული შრომის განსაზღვრულ რაოდენობას ცოცხალი შრომის ამდენსავე რაოდენობაზე როდი ცვლის. ამიტომ ა. სმიტი მართებულად არ იქცევა, როცა «ფულზე ან სხვა საქონელზე გაცვლას» უთანაბრებს «მზა ნაწარმის შრომაზე გაცვლას». ეს იმიტომ, რომ პირველი სახის გაცვლაში ზედმეტი ღირებულება იქიდან წარმოიშვება, რომ საქონელთა გაცვლა ხდება მათი ღირებულების მიხედვით, მათში გასაგნობრივებული სამუშაო დროის მიხედვით, რომელიც ნაწილობრივ ფასგადაუხდელია. აქ იგულისხმება, რომ კაპიტალისტი არ ცვლის წარსული შრომის განსაზღვრულ რაოდენობას ცოცხალი შრომის ამდენსავე რაოდენობაზე; რომ მის მიერ მითვისებული ცოცხალი შრომის რაოდენობა მეტია, ვიდრე მის მიერ ფასგადახდილი ცოცხალი შრომის რაოდენობა. წინააღმდეგ შემთხვევაში მუშის ხელფასი მისი პროდუქტის ღირებულების ტოლი იქნებოდა. მოგება, რომელიც მიიღება «მზა ნაწარმის» ფულზე ან საქონელზე გაცვლისას,—როცა საქონელთა გაცვლა მათი ღირებულების მიხედვით ხდება, — წარმოიქმნება, ამრიგად, იქიდან, რომ «მზა ნაწარმის» გაცვლა ცოცხალ შრომაზე სხვა კანონებს ემორჩილება. წარმოიქმნება იქიდან, რომ აქ არ ხდება ეკვივალენტების გაცვლა. მაშასადამე, ეს შემთხვევები არ შეიძლება ერთმანეთში აერიოთ.

ამრიგად, მოგება არის მხოლოდ გამონაკლები იმ ღირებულებიდან, რომელიც მუშებმა შრომის მასალას მიუმატეს. მაგრამ მასალას ისინი უმატებენ მხოლოდ შრომის ახალ რაოდენობას. ამიტომ მუშის სამუშაო დრო იყოფა ორ ნაწილად: ერთია ის, რაშიაც იგი კაპიტალისტისაგან ეკვივალენტს, თავის ხელფასს, ღებულობს; მეორე კი ის ნაწილია, რასაც იგი უსასყიდლოდ აძლევს კაპიტალისტს და რაც მოგებას შეადგენს. ა. სმიტი მართებულად შენიშნავს, რომ ხელფასად და მოგებად ნაწილდება შრომის (ღირებულების) მხოლოდ ის ნაწილი, რასაც მუშა ახლად მიუმატებს მასალას; მაშასადამე, ახლადშექმნილ ზედმეტ ღირებულებას თავისთავად არაფერი საერთო არა აქვს კაპიტალის იმ ნაწილთან, რომელიც მასალებსა და იარაღებზე დაიხარჯება.

მას შემდეგ, რაც ა. სმიტმა მოგება ამრიგად დაიყვანა გადაუხდელი სხვისი შრომის მითვისებაზე, იგი უშუალოდ იქვე ამბობს:

«მაგრამ, შეიძლება თქვა, რომ კაპიტალის მოგება მხოლოდ სხვაგვარი სახელწოდებაა განსაკუთრებული სახის შრომის ხელფასისა, სახელდობრ, ზედამხედველობისა და მართვის შრომის ხელფასისა» (გვ. 97).

და იგი უკუაგდებს ამ მცდარ შეხედულებას «ზედამხედველობისა და მართვის შრომის» შესახებ. ამას ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით ერთ-ერთ შემდგომ თავში[32]. აქ საჭიროა მხოლოდ აღინიშნოს, რომ ა. სმიტი ნათლად ხედავს და გადაჭრით აღნიშნავს ხაზგასმით იმას, რომ მისი შეხედულება მოგების წარმოშობაზე უპირისპირდება ამ აპოლოგეტურ შეხედულებას. ამ დაპირისპირებულობის ხაზგასმით აღნიშვნის შემდეგ სმიტი განაგრძობს:

[253] «ასეთ ვითარებაში მუშაკს ყოველთვის როდი ეკუთვნის მისი შრომის მთელი პროდუქტი. მეტწილ შემთხვევებში მან შრომის პროდუქტი უნდა გაუზიაროს კაპიტალის მესაკუთრეს, რომელიც მას ქირაობს. ასეთ შემთხვევაში შრომის რაოდენობა, რომელიც ჩვეულებრივ რომელიმე საქონლის შესაძენად ან საწარმოებლად იხარჯება, არ წარმოადგენს ერთადერთ გარემოებას, რომელიც განსაზღვრავს შრომის იმ რაოდენობას, რაც ჩვეულებრივ შეიძლება კაცმა იყიდოს, მიიღოს სრულ განკარგულებაში ან გაცვალოს ამ საქონელზე. ცხადია, რომ აქ შრომის დამატებითი რაოდენობა მიდის მოგებაზე, რასაც ღებულობს კაპიტალი, რომელმაც ავანსად გაიღო მუშის ხელფასი და მასალა მიაწოდა მუშას» (იქვე, გვ. 99).

ეს სავსებით სწორია. თუ კაპიტალისტურ წარმოებას ავიღებთ, გასაგნობრივებული შრომა, — ფულით ან საქონლით წარმოდგენილი, — ყოველთვის ყიდულობს შრომის იმ რაოდენობაზე გადამეტებით, რასაც თვით იგი შეიცავს, ცოცხალი შრომის კიდევ «დამატებით რაოდენობას», რაც იმ «მოგებაზე მიდის, რომელსაც კაპიტალი ღებულობს», მაგრამ ეს, სხვა სიტყვებით, მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ გასაგნობრივებული შრომა უსასყიდლოდ ითვისებს ცოცხალი შრომის ნაწილს, ითვისებს ისე, რომ მასში ფასს არ იხდის. სმიტის უპირატესობას რიკარდოსთან შედარებით წარმოადგენს იმ გარემოების ენერგიული ხაზგასმა, რომ ეს გადატრიალება კაპიტალისტური წარმოების წარმოშობასთან ერთად იწყება. მაგრამ სმიტი რიკარდოს იმ მხრივ ჩამორჩება, რომ არას გზით არ შეუძლია განთავისუფლდეს თვით მის მიერ გამოკვლევის მსვლელობაში უარყოფილი შეხედულებისაგან, თითქოს ამ ახალ უპირიერთობას, რასაც ადგილი აქვს გასაგნობრივებულ და ცოცხალ შრომას შორის გაცვლისას, ცვლი-

ლება შეჰქონდეს იმ საქონელთა შეფარდებითი ღირებულების განსაზღვრაში, რომლებიც ერთიმეორის მიმართ მხოლოდ მატერიალიზებული შრომის, მხოლოდ გასაგნობრივებული შრომის მოცემულ რაოდენობათა გამომხატველი არიან.

მას შემდეგ, რაც ზედმეტი ღირებულება მისი ერთ-ერთი ფორმით, მოგების ფორმით, სმიტმა [illegible]ადგინა როგორც შრომის ნაწილი, რომელსაც მუშა ასაზღვრულებს შრომის იმ ნაწილზე ზედმეტად, რაც მისი ხელფასის ანაზღაურებას ხმარდება, სმიტი ასევე იქცევა ზედმეტი ღირებულების მეორე ფორმის — მ ი წ ი ს რ ე ნ ტ ი ს მიმართაც. შრომის იმ ნივთობრივი პირობებიდან, რომლებიც შრომას წაერთვა და ამიტომ მას სხვისი საკუთრების სახით დაუპირისპირდა, ერთ-ერთს წარმოადგენს კ ა პ ი ტ ა ლ ი; მეორე კი თვით მიწაა, მიწა როგორც მ ი წ ი ს ს ა კ უ თ რ ე ბ ა. ამიტომ «კაპიტალის მესაკუთრეზე» მსჯელობის დამთავრების შემდეგ ა. სმიტი განაგრძობს:

«მას შემდეგ, რაც მთელი მიწა ამა თუ იმ ქვეყანაში კერძო საკუთრებად გადაიქცა, მიწის მესაკუთრეებს, ყ ო ე ლ ა ს ხ ვ ა ა დ ა მ ი ა ნ ი ს მსგავსად, სურთ მოიმკან იქ, სადაც არ უთესიათ, და მიწის **ბუნებრივ ნაყოფშიც კი** რ ე ნ ტ ი ს მოთხოვნას იწყებენ... მან» (მუშამ) «უნდა დაუთმოს მიწის მესაკუთრეს ნ ა წ ი ლ ი ი მ ი ს, **რ ა ს ა ც ი გ ი კ რ ე ფ ს ან ა წ ა რ მ ო ე ბ ს თ ა ვ ი ს ი შ რ ო მ ი თ.** ეს ნაწილი, ანუ, რაც იგივეა, ამ ნაწილის ფასი, შეადგენს მ ი წ ი ს რ ე ნ ტ ა ს...» (იქვე, გვ. 99 — 100).

ამრიგად, მსგავსად საკუთრივ სამრეწველო მოგებისა, მიწის რენტა იმ შრომის ნაწილია მხოლოდ, რომელსაც მუშა მასალებს მატებს, ის ნაწილი, რომელსაც «ი გ ი უ თ მ ო ბ ს», უფასოდ აძლევს მიწის მესაკუთრეს; მაშასადამე, იგი მხოლოდ ნაწილია ზედმეტი შრომისა, რომელიც აღემატება სამუშაო დროის იმ ნაწილს, რომლის განმავლობაშიც მუშა ანაზღაურებს თავის ხელფასს, ანუ ქმნის ამ ხელფასში მოთავსებული სამუშაო დროის ეკვივალენტს.

ამრიგად, ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა, ე. ი. ზედმეტი შრომა, — შესრულებული და საქონელში გასაგნობრივებული შრომის გადანამეტი ფასგადახდილ შრომაზე, მაშასადამე, იმ შრომაზე, **რომელმაც თავისი ეკვივალენტი ხელფასით მიიღო, — ა. სმიტს ეს-**
მის როგორც ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო კ ა ტ ე გ ო რ ი ა, [254] **რომლის**
მიმართაც საკუთრივ მოგება და მიწის რენტა მხოლოდ მისი განშტოებანია. მაგრამ ამასთან ა. სმიტს ზედმეტი ღირებულება როგორც

ასეთი არ გამოუცალკევებია. განსაკუთრებული კატეგორიის სახით, იმ განსაკუთრებული ფორმებისაგან, რომელთაც ეს ზედმეტი ღირებულება ღებულობს მოგებასა და მიწის რენტაში. აქედან მომდინარეობს მისი — და კიდევ უფრო მეტად რიკარდოს — ბევრი შეცდომა და ნაკლი საგნის გამოკვლევაში.

ზედმეტი ღირებულების გამოვლინების მეორე ფორმას წარმოადგენს **კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ს ა რ გ ებ ე ლ ი**, სასესხო სარგებელი (**ფულის სარგებელი**). **მაგრამ ეს**

«**ფ ე ლ** ის **ს ა რ გ ებ ე ლ ი**» (ამბობს სმიტი იმავე თავში) «**ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს** წარმოადგენს **მ ე ო რ ა დ შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ს**, რომელიც, — თუ მისი გადახდა **არ ხდება** ამ ფულის გამოყენებით მიღებული **მ ო გ ებ ი დ ა ნ**, — გასტუმრებულ უნდა იქნეს შემოსავლის რაიმე სხვა **წყაროდან**».

(მაშასადამე, ან მიწის რენტიდან ან ხელფასიდან; უკანასკნელ შემთხვევაში — მოცემული საშუალო ხელფასის დროს — სარგებელი წარმოდგება არა ზედმეტი ღირებულებიდან, არამედ თვით ხელფასიდან, როგორც გამონაკლები მისგან, რაც მოგების მხოლოდ სხვა ფორმას წარმოადგენს, და ამ ფორმით, როგორც ჩვენ დავინახავთ შემდგომ — გამოკვლევის მსვლელობაში, — სარგებელი გვხვდება განუვითარებელ კაპიტალისტურ წარმოებაში) [33],

«**თუკი** მსესხებელი **არაა** მფლანგველი, **რომელიც** ახალ **სესხს** იღებს **თავდაპირველი** ვალის **სარგებლისა** **გასასტუმრებლად**» (იქვე, გვ. 105—106).

ამ[illegible] **სარგებელი** არის ან ნაწილი **მ ო გ ებ ი ს ა**, **რასაც** **სესხად** **აღებული** **კაპიტალი** იძლევა; ამ შემთხვევაში იგი, მაშასადამე, თვით მოგების წარმოებული ფორმაა, მისი განშტოებაა, ე. ი. მოგების ფორმით მითვისებული ზედმეტი ღირებულების მხოლოდ შემდგომი განაწილება სხვადასხვა პირებს შორის. ან სარგებელს იხდიან რენტიდან. მაშინ იმავე მოვლენას აქვს ადგილი. ანდა, ბოლოს, მსესხებელი სარგებელს იხდის თავისი საკუთარი ან სხვისი კაპიტალიდან. ასეთ შემთხვევაში სარგებელი საერთოდ არ წარმოადგენს ზედმეტ ღირებულებას, არამედ ის არის უკვე არსებული სიმდიდრის სხვაგვარი **განაწილება**, «სიმდიდრის სასწორის რხევა მონაწილე მხარეთა **შორის**», როგორც ეს ხდება «გასხვისებით მიღებული მოგების» შემთხვევაში. გარდა უკანასკნელი შემთხვევისა, როცა **სარ**გებელი საერთოდ წარმოადგენს ზედმეტი ღირებულების ფორმას

(და გარდა იმ შემთხვევისა, როცა სარგებელი წარმოადგენს გამონაკლებს ხელფასიდან, ანდა თავისთავად მოგების ერთ-ერთი ფორმაა; ამ უკანასკნელ შემთხვევაზე ადამი სრულიად არ ლაპარაკობს), სარგებელი შეადგენს ზედმეტი ღირებულების მხოლოდ წარმოებულ ფორმას, მოგების ან რენტის მხოლოდ ნაწილს (რასაც დამოკიდებულება აქვს მხოლოდ მოგებისა და რენტის განაწილებასთან); მაშასადამე, სარგებელიც მხოლოდ და მხოლოდ ფასგადაუხდელი შრომის ნაწილია.

«სარგებლით გასესხებული ფულადი სახსრები გამსესხებელს ყოველთვის კაპიტალად მ ი ა ჩ ნ ი ა. იგი მოელის, რომ დაწესებულ ვადაში ეს სახსრები მას უკან დაუბრუნდება და რომ მსესხებელი მთელი ამ დროის განმავლობაში ფულადი სახსრებით სარგებლობისათვის მას განსაზღვრულ ყოველწლიურ რენტას გადუხდის. მსესხებელს შეუძლია ეს სახსრები გამოიყენოს ან როგორც კ ა პ ი ტ ა ლ ი ან როგორც უ შ უ ა ლ ო მ ხ მ ა რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს გ ა ნ კ უ თ ვ ნ ი ლ ი ფ ო ნ დ ი. თუ იგი ამ სახსრებს კაპიტალად გამოიყენებს, იგი მოიხმარს მათ მწარმოებელი მუშების შესანახად, რ ო მ ე ლ ნ ი ც ა კ ე ლ ა ვ წ ა რ მ ო ე ბ ე ნ მ ა თ ს ღ ი რ ე ბ უ ლ ებ ას და მ ო გ ებ ას ი ძ ლ ე ვ ი ა ნ. ამ შემთხვევაში მას შეუძლია უკან დაუბრუნოს კაპიტალი და გადახიადოს სარგებელი ისე, რომ არ გაასხვისოს და არ შეეხოს შემოსავლის არავითარ სხვა წყაროს. თუ იგი მათ უშუალო მოხმარებისათვის გამოიყენებს, ის მოიქცევა როგორც მფლანგველი, გაფლანგავს უსაქმურობით მას, რაც განკუთვნილი იყო შრომისმოყვარე ადამიანთა შესანახად. ამ შემთხვევაში მას უკვე აღარ შეუძლია არც კაპიტალის უკან დაბრუნება, არც სარგებლის გადახდა, თუ არ გაასხვისებს ან არ შეეხება შემოსავლის რაიმე სხვა წყაროს, როგორიცაა, მაგალითად, მიწის საკუთრება ან მიწის რენტა» (ტომი II, წიგნი II, თავი 4, გვ. 127, გამოც. მაკ-კულოხისა).

[255] მაშასადამე, ის, ვინც ფულს სესხულობს — ე. ი. ამ შემთხვევაში კაპიტალს სესხულობს, — ის ან თვითონ ხმარობს მას კაპიტალის სახით და მოგებას ღებულობს. ამ შემთხვევაში სარგებელი, რასაც იგი გამსესხებელს უხდის, მხოლოდ ნაწილია მოგებისა, რამაც აქ გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა მიიღო. ანდა იგი ფლანგავს სესხად აღებულ ფულს. მაშინ ის გამსესხებლის სიმდიდრეს ადიდებს, თავისას კი ამცირებს. აქ ხდება მხოლოდ სხვაგვარი განაწილება სიმდიდრისა, როგორიც მფლანგველის ხელიდან შევახშის ხელში გადადის, მაგრამ აქ ჩვენ არა გვაქვს ზედმეტი ღირებულების შექმნის პროცესი. ამრიგად, რამდენადაც სარგებელი საერთოდ ზედმეტ ღირებულებას წარმოადგენს, იგი სხვა არაფერია, თუ არა ნაწილი მოგებისა, ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ სხვა არაფერია, თუ არა ზედმეტი ღირებულების, ე. ი. გადაუხდელი შრომის განსაზღვრული ფორმა.

ბოლოს, ა. სმიტი აღნიშნავს, რომ· გადასახადების ხარჯზე მცხოვრებ პირთა ყველა შემოსავალი აგრეთვე ან ხელფასიდანაა გადახდილი, ე. ი. თვით ხელფასიდან გამონაკლებია, ანდა მის წყაროს შეადგენს მოგება და მიწის რენტა, მაშასადამე, იგი იმას ნიშნავს მხოლოდ, რომ სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ მოგებისა და მიწის რენტის მოხმარებაში, თვით ეს მოგება და მიწის რენტა კი სხვა არაფერია, თუ არა ზედმეტი ღირებულების განსხვავებული ფორმები.

«ყველა გადასახადი და მათზე დამყარებული ყველა შემოსავალი — ჯამაგირები, პენსიები და ყოველგვარი ყოველწლიური სარენტო შემოსავალი — საპოლო ანგარიშით მიიღება შემოსავლის რომელიმე ამ სამი პირველადი წყაროდან და გადაიხდება პირდაპირ ან არაპირდაპირ ხელფასიდან, კაპიტალის მოგებიდან ანდა მიწის რენტიდან» (გარნიეს თარგმანი, წიგნი I, თავი 6, გვ. 105).

მაშასადამე, ფულის სარგებელი, ისევე როგორც გადასახადები ან გადასახადებიდან მისაღები შემოსავალი, — რამდენადაც ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს გამონაკლებს თვით ხელფასიდან, მხოლოდ მოგებასა და მიწის რენტაში მონაწილეობის წილია, მოგება და მიწის რენტა კი, თავის მხრივ, ზედმეტ ღირებულებაზე, ე. ი. ფასგადაუხდელ სამუშაო დროზე დაიყვანება.

ასეთია ა. სმიტის ზედმეტი ღირებულების ზოგადი თეორია.

ა. სმიტი ერთხელ კიდევ იძლევა დასკვნის სახით თავის შეხედულებას მთლიანად. ამასთან განსაკუთრებით ნათელი ხდება, თუ როგორ ნაკლებად ცდილობს სმიტი რამდენადმე მაინც დაამტკიცოს ის, რომ ღირებულება, რასაც მუშა პროდუქტს მატებს (წარმოების ხარჯების — ნედლეულისა და შრომის იარაღის, ღირებულების გამოკლებით), უკვე არ განისაზღვრება პროდუქტში მოთავსებული **სამუშაო დროით**, რადგან მუშა მთლიანად როდი მიითვისებს ამ ღირებულებას, არამედ იძულებულია ეს ღირებულება — ანუ პროდუქტი — კაპიტალისტს და მიწის მესაკუთრეს გაუზიაროს. ის წესი, რომლითაც საქონლის ღირებულება მის მწარმოებელთა შორის ნაწილდება, რა თქმა უნდა, სრულიად არ ცვლის არც ამ ღირებულების ბუნებას, არც ღირებულებით თანაფარდობას ერთსა და მეორე საქონელს შორის.

«როგორც კი მიწა კერძო საკუთრება ხდება მიწის მესაკუთრე მოითხოვს გარკვეულ წილს თითქმის ყოველ პროდუქტიდან, რომელიც კი მუშაკს შეუძლია ამ მიწაზე მოიყვანოს ან შეაგროვოს. მისი რენტა შეადგენს პირველ გამონაკლებს მიწის დამუშავებაზე დახარჯული შრომის პროდუქტიდან. მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში აქვს მიწის დამმუშავებელ

პირს თავის შენახვის საშუალებანი მოსალელის აღებამდე. შენახვის ხარჯი ჩვეულებრივ ავანსად ეძლევა მუშაკს დამქირავებლის, ფერმერის, კაპიტალიდან, რომელსაც არავითარი ინტერესი არ ექნებოდა მისი დაქირავებისა, თუკი იგი, ფერმერი მუშაკის შრომის პროდუქტის ნაწილს არ მიიღებდა, ანდა თუკი მას თავისი კაპიტალი გარკვეული მოგებით არ აუნაზღაურდებოდა. ეს მოგება შეადგენს მეორე გამონაკლებს [256] მიწის დამუშავებაზე დახარჯული შრომის პროდუქტიდან. ასეთივე გამოკლება ხდება მოგებაც მისაღებად თითქმის ყოველი სხვა შრომის პროდუქტიდან. ყველა ხელობასა და მანუფაქტურაში მუშაკთა უმრავლესობა საჭიროებს დამქირავებელს, რომელიც ავანსად მისცემს მათ მასალას სამუშაოსათვის, და ასევე ხელფასს და საარსებო საშუალებებს სამუშაოს დამთავრებამდე. ეს დამქირავებელი ღებულობს მათი შრომის პროდუქტის წილს, ანუ იმ ღირებულების წილს, რასაც მათი შრომა მიუმატებს მათ მიერ დამუშავებულ მასალას; სწორედ ეს წილი შეადგენს დამქირავებლის მოგებას» (მაკ-კულოხის გამოცემა, ტომი I, წიგნი I, თავი 8, გვ. 109 — 110).

ამრიგად, ა. სმიტი პირდაპირ, აშკარად უწოდებს აქ მიწის რენტასა და კაპიტალის მოგებას უბრალო გამონაკლებს მუშის პროდუქტიდან ან მისი პროდუქტის იმ ღირებულებიდან, რომელიც უდრის მუშის მიერ ნედლეულზე მიმატებული შრომის რაოდენობას. მაგრამ ეს გამონაკლები, როგორც წინათ თვით ა. სმიტი ამტკიცებდა, შეიძლება შედგებოდეს შრომის მხოლოდ იმ ნაწილისაგან, რასაც მუშა ნედლეულს მიუმატებს შრომის იმ რაოდენობაზე ზედმეტად, რომელიც მხოლოდ მის ხელფასს ანაზღაურებს, ანუ მისი ხელფასის მხოლოდ ეკვივალენტს ქმნის; მაშასადამე, ეს გამონაკლები შედგება ზედმეტი შრომისაგან, მუშის შრომის ფასგადაუხდელი ნაწილისაგან. (ასე რომ, შევნიშნავთ გაკვრით, მოგება და რენტა, ანუ კაპიტალი და მიწის საკუთრება, არასოდეს არ შეიძლება იყოს «ღირებულების წყარო».)

[3) ზედმეტი ღირებულების ცნებას სმიტი აგრძელებს საზოგადოებრივი შრომის ყველა სფეროზე]

ჩვენ ვხედავთ, თუ რა დიდი ნაბიჯი გადადგა წინ ა. სმიტმა ფიზიოკრატებთან შედარებით ზედმეტი ღირებულების ანალიზში, მაშასადამე, კაპიტალის ანალიზშიც. ფიზიოკრატების შეხედულებით ზედმეტ ღირებულებას ქმნის რეალური შრომის მხოლოდ ერთი განსაზღვრული სახეობა — სამიწათმოქმედო შრომა. ამრიგად, ფიზიოკრატები განიხილავენ შრომის სახმარ ღირებულებას და არა სამუშაო დროს, არა საყოველთაო საზოგადოებრივ შრომას, ღირებულების

ამ ერთადერთ წყაროს. მაგრამ შრომის ამ განსაკუთრებული საზეობის დროს, მართლაც, ბ უ ნ ე ბ ა, მიწა ქმნის ზედმეტ ღირებულებას იმ აზრით, რომ დიდდება (ორგანული) მატერიის რაოდენობა, იმ აზრით, რომ წარმოებული ნივთიერება აღემატება მოხმარებულ ნივთიერებას. ისინი საგანს ჯერ კიდევ სრულიად შეზღუდული, და ამიტომ ფანტასტიკური წარმოდგენებით დამახინჯებული, ფორმით განიხილავენ. ა. სმიტის შეხედულებით კი, პირიქით, ღირებულებას ქმნის საყოველთაო საზოგადოებრივი შრომა,—სულ ერთია, რა სახმარ ღირებულებებშიც არ უნდა იყოს წარმოდგენილი ეს შრომა, — ქმნის მხოლოდ და მხოლოდ აუცილებელი შრომის რაოდენობა. ზედმეტი ღირებულება, მოგების ფორმით გამოდის იგი, მიწის რენტისა თუ სარგებლის მეორადი ფორმით, — სხვა არაფერის, თუ არა ამ შრომის ნაწილი, რასაც ნივთიერი პირობების მესაკუთრენი მიითვისებენ ცოცხალ შრომასთან გაცვლის პროცესში. ამიტომ ფიზიოკრატების მსჯელობაში ზედმეტი ღირებულება მხოლოდ მიწის რენტის ფორმით გვევლინება. ა. სმიტის მიხედვით კი მიწის რენტა, მოგება და სარგებელი ზედმეტი ღირებულების მხოლოდ სხვადასხვა ფორმებია.

თუ მე ავანსებული კაპიტალის მთელ ჯამთან შეფარდებულ ზედმეტ ღირებულებას კ ა პ ი ტ ა ლ ი ს მ ო გ ე ბ ა ს ვუწოდებ, ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ წარმოებაში უშუალოდ მონაწილე კაპიტალისტი უ შ უ ა ლ ო დ ითვისებს ზედმეტ შრომას, ამასთან სულ ერთია, [illegible] **მიხედ**ვით უხდება მას შემდეგ ეს ზედმეტი [illegible] **ვიდს, ვთქვათ** მიწის მესაკუთრეს თუ კაპიტალის **გამსესხებელს, ანუ, მაგალითად,** მოიჯარე უშუალოდ უხდის მიწის **მესაკ**უთრეს. მეფაბრიკე კი მის მიერ მითვისებული ზედმეტი ღირებულებიდან მიწის რენტას უხდის იმ მიწის მესაკუთრეს, ვის მიწაზეც მისი ფაბრიკა დგას, და სარგებელს — კაპიტალისტს, რომელმაც სესხად მისცა კაპიტალი.

[257] { ახლა განსახილველი გვაქვს კიდევ: 1) ზედმეტი ღირებულებისა და მოგების ერთმანეთში არევა ა. სმიტის მიერ; 2) სმიტის შეხედულებანი მწარმოებლურ შრომაზე; 3) როგორ გადაიქცევა რენტა და მოგება მისი შეხედულებით, ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს წ ყ ა რ ო ე ბ ა დ და რამდენად მცდარია მისი ანალიზი საქონელთა «ბუნებრივი ფასისა», რომელშიც, მისი აზრით, ნედლეულისა და შრომის იარაღთა ღირებულება არ არსებობს და მხედველობაში არ მიიღება, სამი «შემოსავლის წყაროს» «ფასისაგან» განცალკევებულად.

[4) სმიტმა ვერ გაიგო ღირებულების კანონის სპეციფიკური მოქმედება კაპიტალსა და დაქირავებულ შრომას შორის გაცვლისას]

ხელფასს, — ანუ ეკვივალენტს, რითაც კაპიტალისტი განსაზღვრული ვადით სამუშაო ძალაზე განკარგულებას ყიდულობს, — წარმოადგენს არა საქონელი მისი უშუალო ფორმით, არამედ საქონელი, რომელმაც უკვე განიცადა მეტამორფოზი, ე. ი. ფული — საქონელი მისი თავისთავადი ფორმით, როგორც საცვლელი ღირებულება, როგორც საზოგადოებრივი შრომის, საყოველთაო საძუშაო დროის უშუალო მატერიალიზაცია. ამ ვალით მუშა, რა თქმა უნდა, საქონელს ყიდულობს იმავე ფასად აქ უყურადღებოდ უნდა დავტოვოთ ისეთი დეტალები, როგორც, მაგალითად, ის ფაქტი, რომ მუშა ყიდულობს მისთვის უფრო ნაკლებად ხელსაყრელ პირობებსა და გარემოებებში და ა. შ., როგორც ყოველი სხვა ფულის მფლობელი. მუშა, მსგავსად ყოველი სხვა ფულის მფლობელისა, საქონელთა გამყიდველებს უპირისპირდება როგორც მყიდველი. თვით საქონელმიმოქცევის პროცესში იგი გამოდის არა როგორც მუშა, არამედ როგორც პოლუს-ფული პოლუს-საქონლის საპირისპიროდ, როგორც მფლობელი საქონლისა მისი საყოველთაო, გაცვლისათვის მუდამ მზადმყოფი ფორმით. მისი ფული ხელახლა გადაიქცევა საქონლად, რომელიც მას სახმარი ღირებულების სახით ემსახურება, და ამ გაცვლის პროცესში იგი საქონელს იმ ფასად ყიდულობს, რა ფასადაც ეს საქონელი ბაზარზე იყიდება, — საერთოდ რომ ვთქვათ. ყიდულობს მისი ღირებულების მიხედვით. ის აქ ასრულებს აქტს ფ — ს, რაც ნიშნავს ფორმის შეცვლას, მაგრამ სრულიადაც არ ნიშნავს ღირებულების ოდენობის შეცვლას, თუ ამ აქტს მისი ზოგადი სახით განვიხილავთ. მაგრამ რადგანაც მუშამ პროდუქტში მატერიალიზებული თავისი შრომით სამუშაო დროის არა მარტო ის რაოდენობა მიუმატა, რასაც შეიცავდა მის მიერ მიღებული ფული, არა მარტო ეკვივალენტი გადაიხადა, არამედ უსასყიდლოდ მისცა აგრეთვე ზედმეტი შრომა, რომელიც სწორედ ზედმეტი ღირებულების წყაროს შეადგენს,—ამიტომ ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ (შუალედური მოძრაობა, რასაც სამუშაო ძალის გაყიდვა შეიცავს, მოხსნილია, როცა საქმე გვაქვს შედეგთან) მან მისცა ღირებულება, რომელიც აღემატება ფულის იმ თანხის ღირებულებას, რაც მან ხელფასის სახით მიიღო. სამუშაო დროის მეტი რაოდენობით მან იყიდა შრომის ის რაოდენობა, რაც გასაგნობრივებულია ფულში, რომელიც მასთან ხელფასის სახით

მოედინება. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ასევე ყველა იმ საქონელს, რადაც მის მიერ გამომუშავებული ფული გადაიქცევა (ეს ფული კი საზოგადოებრივი სამუშაო დროის განსაზღვრული რაოდენობის დამოუკიდებელი გამოხატულებაა მხოლოდ), იგი ყიდულობს — არაპირდაპირ — სამუშაო დროის უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე საქონელში მოქცეული სამუშაო დროს რაოდენობაა, თუმცა იგი საქონელს იმავე ფასში ყიდულობს, რა ფასშიც მას ყიდულობს ყოველი სხვა მყიდველი, ანუ მფლობელი საქონლისა, რომელმაც თავისი პირველი გარდაქმნა განვლო. და პირიქით: ფული, რომლითაც კაპიტალისტი შრომას ყიდულობს, შეიცავს შრომის ნაკლებ რაოდენობას, ნაკლებ სამუშაო დროს, ვიდრე მუშის შრომის ანუ სამუშაო დროის ის რაოდენობაა, რასაც წარმოებული საქონელი შეიცავს. შრომის იმ რაოდენობაზე ზედმეტად, რასაც ხელფასად გაცემული ფულის ეს თანხა შეიცავს, კაპიტალისტი ყიდულობს, ოღონდ აუნაზღაურებლად, შრომის დამატებითს რაოდენობას — გადანაშეტს შრომის იმ რაოდენობაზე, რასაც მის მიერ გადახდილი ფული შეიცავს. და სწორედ ეს დამატებითი შრომის რაოდენობა შეადგენს კაპიტალის მიერ შექმნილ ზედმეტ ღირებულებას.

მაგრამ რადგან ფული. [258] რომლითაც კაპიტალისტი შრომას ყიდულობს (ფაქტიურად, შედეგის მიხედვით აქ ყიდულობენ შრომას, თუმცა ეს ხორციელდება არა პირდაპირ შრომაზე, არამედ სამუშაო ძალაზე გაცვლის მეშვეობით), სხვა არაფერია, თუ არა ყ ვ ე ლ ა სხ ვ ა საქ ო ნ ლ ი ს გარდაქმნილი ფორმა, მათი თავისთავადი ყოფიერება საცვლელი ღირებულების სახით, — ამიტომ შეიძლება აგრეთვე ითქვას, რომ ყოველი საქონელი, ცოცხალ შრომაზე გაცვლისას, უფრო მეტ შრომას ყიდულობს, ვიდრე თვით მასშია მოთავსებული. ეს დამატებითი რაოდენობა ქმნის სწორედ ზედმეტ ღირებულებას.

ა. სმიტის დიდი დამსახურება ისაა, რომ სწორედ პირველი წიგნის იმ თავებში (თავები 6, 7, 8), სადაც ის მარტივი საქონელგაცვლიდან და ამ უკანასკნელის დამახასიათებელი ღირებულების კანონიდან გადადის გასაგნობრივებულ და ცოცხალ შრომას შორის, კაპიტალსა და დაქირავებულ შრომას შორის გაცვლაზე, გადადის მოგებისა და მიწის რენტის ზოგადად განხილვაზე, ერთი სიტყვით ზედმეტი ღირებულების წარმოშობის საკითხზე, — რომ ამ თავებში მან შეიგრძნო ნაპრალის წარმოშობა, იგი გრძნობს, რომ, — როგორიც არ უნდა იყოს მისთვის გაუგებარი შუალედი რგოლები, — კანონი,

შედეგების მიხედვით, ფაქტიურად ირღვევა: შრომის მეტი რაოდენობა გაიცვლება შრომის ნაკლებ რაოდენობაზე (მუშის თვალსაზრისით), შრომის ნაკლები რაოდენობა — მეტ რაოდენობაზე (კაპიტალისტის თვალსაზრისით). სმიტის დამსახურებაა იმის ხაზგასმით აღნიშვნა, — მაგრამ სწორედ ეს უბნევს მას თავგზას, — რომ კაპიტალის დაგროვებასთან და მიწის საკუთრების აღმოცენებასთან ერთად, მაშასადამე, შრომის პირობების თვით შრომისაგან გამოცალკევებასთან, მისდამი დაპირისპირებასთან ერთად, ხდება შემობრუნება, ღირებულების კანონის მოჩვენებითი (თავისი შედეგით — ფაქტიურიც) გადაქცევა მის დაპირისპირებულობად. თუ ა. სმიტის თეორიული ძალა ისაა, რომ იგი გრძნობს და ხაზგასმით აღნიშნავს ამ წინააღმდეგობას, სამაგიეროდ მისი თეორიული სისუსტე ისაა, რომ ეს წინააღმდეგობა თავგზას უბნევს მას მაშინაც კი, როცა ზოგად კანონს მარტივი საქონელგაცვლის მიმართ განიხილავს; რომ მას არ ეშმის, როგორ წარმოიშვება ეს წინააღმდეგობა, გაპირობებული იმით, რომ თვით სამუშაო ძალა საქონელი ხდება და რომ ამ სპეციფიკური საქონლის სახმარი ღირებულება, რომელსაც, მაშასადამე, არაფერი აქვს საერთო მის საცვლელ ღირებულებასთან, თვითონ წარმოადგენს ენერგიის, რომელიც საცვლელ ღირებულებას ქმნის. რიკარდოს ის უპირატესობა აქვს ა. სმიტთან შედარებით, რომ მას ვერ აბნევენ ეს მოჩვენებითი — თავისი შედეგით კი ნამდვილი — წინააღმდეგობანი. მაგრამ რიკარდო იმ მხრივ ჩამორჩება ა. სმიტს, რომ მას აზრადაც არ მოსდის შეამჩნიოს აქ პრობლემის არსებობა და ამიტომ ის სპეციფიკური განვითარება, რასაც ღირებულების კანონი კაპიტალის წარმოშობასთან ერთად განიცდის, მას ერთი წუთითაც არ დააფიქრებს და სულაც არ აინტერესებს. შემდგომ ჩვენ დავინახავთ, რომ ის, რაც ა. სმიტის შეხედულებაში გენიალურია, რეაქციული ხდება მალთუსის შეხედულებაში, რომელიც რიკარდოს თვალსაზრისის წინააღმდეგ ილაშქრებს[34].

[1] მაგრამ, რასაკვირველია, ა. სმიტის სწორედ ეს შეხედულება იმავე დროს იწვევს მის მერყეობას, ყოყმანს, აცლის მას ფეხქვეშ მტკიცე ნიადაგს და — რიკარდოსაგან განსხვავებით — არ აძლევს მას ბურჟუაზიული სისტემის აბსტრაქტული ზოგადი საფუძვლის მომცველი მწყობრი თეორიული თვალსაზრისის გამომუშავების შესაძლებლობას.

[2] [59] ა. სმიტის ზემოთ განხილული დებულება იმის შესახებ,

რომ საქონელი მეტ შრომას ყიდულობს, ვიდრე თვით მასშია მოთავსებული, ანდა რომ მუშა საქონელში უფრო მეტ ღირებულებას იხდის, ვიდრე საქონელი შეიცავსო, — ეს დებულება გამოთქმული აქვს ჰოდსკინს მის «Popular Political Economy»-ში შემდეგნაირად:

«ბ უ ნ ებ რ ი ვ ი ფ ა ს ი (ანუ ა უ ც ი ლ ებ ე ლ ი ფასი) ნიშნავს შ რ ო მ ი ს იმ საერთო რ ა ო დ ე ნ ო ბ ა ს, რასაც ბუნება მოითხოვს ადამიანისაგან რაიმე საქონლის საწარმოებლად... შრომა იყო პირველი და მუდამ დარჩება ერთადერთ ყიდვის საშუალებად ჩვენს ურთიერთობაში ბუნებასთან. შრომის რა რაოდენობაც არ უნდა იყოს საჭირო რომელიმე საქონლის საწარმოებლად, მუშამ, — იმისთვის, რომ ეს საქონელი შეიძინოს და მას ფლობდეს, — ყოველთვის უნდა გაიღოს, საზოგადოების დღევანდელი მდგომარეობისას, მნიშვნელოვნად უფრო მეტი შრომა, ვიდრე ეს საჭიროა მაშინ, როცა იგი ამ საქონელს უშუალოდ ბუნებისაგან ყიდულობს. ამრიგად მუშისთვის გადიდებული ბუნებრივი ფასი, არის ს ა ზ ო გ ა დ ო ებ რ ი ვ ი ფ ა ს ი. საჭიროა ყოველთვის განვასხვავებდეთ ამ ორ ფასს ერთმეორისაგან». (T h o m a s H o d g s k i n. Popular Political Economy etc. London, 1827, გვ. 219 — 220).

ჰოდსკინის ეს მსჯელობა კვლავ წარმოგვიდგენს იმას, რაც სწორი იყო ა. სმიტის კონცეფციაში, და იმასაც, რაც მას არეულ-დარეული ჰქონდა და სხვების მსჯელობაშიც არევ-დარევას იწვევდა.

[ნ) სმიტი აიგივებს ზედმეტ ღირებულებას და მოგებას. ვულგარული ელემენტი სმიტის თეორიაში]

ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ განიხილავს ა. სმიტი ზ ე დ მ ე ტ ღ ი რ ებ უ ლ ებ ა ს საერთოდ, რომლის მიმართაც მიწის რენტა და მოგება მხოლოდ სხვადასხვა ფორმები და შემადგენელი ნაწილებია. სმიტის თვალსაზრისის თანახმად, კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც ნედლეულისა და წარმოების საშუალებებისაგან შედგება, არავითარი უშუალო დამოკიდებულება არა აქვს ზედმეტ ღირებულების შექმნასთან. ზედმეტ ღირებულებას წარმოშობს მხოლოდ შრომის ის დამატებითი რაოდენობა, რასაც მუშა იძლევა მისი შრომის იმ ნაწილის გ ა დ ა მ ე ტ ე ბ ი თ, რომელიც მხოლოდ მისი ხელფასის ეკვივალენტს შეადგენს. მაშასადამე, ზედმეტ ღირებულებას უშუალოდ წარმოშობს კაპიტალის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ხელფასზეა დახარჯული, რადგან ეს კაპიტალის ერთადერთი ნაწილია, რომელიც არა მარტო აკვლავწარმოებს თავის თავს, არამედ «ნაჭარბსაც» აწარმოებს. პირიქით, მოგებაში ზედმეტი ღირებულება გამოიანგარიშება ავანსებული კაპიტალის მთელ თან-

ხაზე, და, გარდა ამისა, ამ სახეცვალებას ემატება კიდევ სხვა ახალიც. რაც გაპირობებულია მოგებათა გათანატოლებით კაპიტალისტური წარმოების სხვადასხვა სფეროში.

თუმცა ადამი არსებითად ზედმეტ ღირებულებას განიხილავს, მაგრამ მას იგი წარმოდგენილი არა აქვს ნათლად გამოხატული სახით როგორც განსაზღვრული, მისივე განსაკუთრებული ფორმებისაგან განსხვავებული კატეგორია, — ამიტომ იგი მომდევნო გადმოცემისას უშუალოდ აიგივებს ზედმეტ ღირებულებას, ყოველგვარი შუალედი რგოლის საურთველად, უფრო განვითარებულ ფორმასთან, მოგებასთან. ამ შეცდომას იმეორებს რიკარდო და ყველა მომდევნო ეკონომისტი. აქედან წარმოიქმნება (უფრო მკვეთრი ფორმით ამას ადგილი აქვს რიკარდოს ნაწერებში, რომლის სისტემაშიც ღირებულების ძირითადი კანონი უფრო მეტი სისტემატური ერთიანობითა და თანმიმდევრობით ტარდება, რის გამოც უფრო მკვეთრია აგრეთვე მისი არათანმიმდევრობანი და წინააღმდეგობანი) მთელი რიგი არათანმიმდევრობანი, გადაუწყვეტელი წინააღმდეგობანი და უაზრობანი, რომელთა გადაჭრას რიკარდოელები (როგორც ამას დავინახავთ ქვემოთ განყოფილებაში მოგების შესახებ) ცდილობენ სქოლასტიკური გზით, სიტყვიერი ხრიკების მეოხებით[35]. უხეში ემპირიზმი გადაიქცევა ყალბ მეტაფიზიკად, სქოლასტიკად, რომელიც დიდი ვაივაგლახით ცდილობს ურღვევი ემპირიკული მოვლენები გამოიყვანოს უშუალოდ ზოგადი კანონიდან, უბრალო ფორმალური აბსტრაქციის გზით, ანდა მოხერხებულად შეუგუოს ისინი ამ კანონს. ჩვენ დავასახელებთ ამის ერთ მაგალითს უკვე აქ, ზედმეტ ღირებულებაზე ა. სმიტის შეხედულებათა ანალიზის დროს, იმიტომ რომ სმიტის არევ-დარევა იწყება არა იქ, სადაც იგი ex professo * განიხილავს მოგებასა და მიწის რენტას, ზედმეტი ღირებულების ამ განსაკუთრებულ ფორმებს, არამედ იქ, სადაც იგი მოგებასა და მიწის რენტას განიხილავს მხოლოდ როგორც საერთოდ ზედმეტი ღირებულების ფორმებს, როგორც «გ ა მ ო ნ ა კ ლ ე ბ ს იმ შრომიდან, რაც მუშამ მასალებს მიუმატა».

[260] მას შემდეგ, რაც ა. სმიტმა პირველი წიგნის მე-6 თავში თქვა:

«ამიტომ ის ღირებულება, რასაც მუშები მასალას უ მ ა ტ ე ბ ე ნ, დაიყოფა ახლა ორ ნაწილად, რომელთაგან ერთი იხდის მათს ხელფასს, მეორე კი იხდის

* — სპეციალურად. რ ე დ.

მეწარმის მოგებას იმ კაპიტალის მთელ თანხაზე, რომელიც ავანსებულია ხელფასისა და დასამუშავებელი მასალის სახით» [გარნიეს თარგმან., ტ. I, გვ. 96—97].

იგი განაგრძობს:

«მას» (მეწარმეს) «არავითარი ინტერესი არ ექნებოდა ეს მუშები დაექირავებინა, თუკი მას ვარაუდი არ ექნებოდა, რომ მუშების მიერ დამზადებული ნაწარმის გაყიდვიდან მიიღებდა — იმის გადამეტებით, რაც აუცილებელია მისი კაპიტალის ასანაზღაურებლად, — კიდევ გარკვეულ ნამეტს; ასევე მას არავითარი ინტერესი არ ექნებოდა დაეხარჯა კაპიტალის უფრო მეტი და არა უფრო ნაკლები თანხა, თუკი მისი მოგება გარკვეულ შესაბამისობაში არ იქნებოდა სამუშაოში გამოყენებული კაპიტალის ოდენობასთან» (იქვე, გვ. 97).

უწინარეს ყოვლისა შევნიშნავთ შემდეგს. ზედმეტი ღირებულება—ის «ნამეტი», რასაც «მეწარმე» ღებულობს «მისი კაპიტალის ასანაზღაურებლად» საჭირო ღირებულების მასის გადამეტებით, ა. სმიტს დაჰყავს შრომის იმ ნაწილზე. რასაც მუშები მასალას უმატებენ მათი ხელფასის ამნაზღაურებელი შრომის გადამეტებით; ამრიგად, ა. სმიტს ეს ნამეტი კაპიტალის მხოლოდ იმ ნაწილიდან გამოჰყავს, რომელიც ხელფასზეა დახარჯული. მაგრამ ამის შემდეგ სმიტი იქვე განიხილავს ამ ნამეტს მოგების ფორმით, ე. ი. კაპიტალის იმ ნაწილს კი არ მიაკუთვნებს, რომელიც მას წარმოშობს, არამედ წარმოგვიდგენს როგორც გადანამეტს ავანსებული კაპიტალის ერთობლივ ღირებულებაზე, «იმ კაპიტალის მთელ თანხაზე, რომელიც ავანსებულია ხელფასისა და დასამუშავებელი მასალის სახით» (უყურადღებობის გამო აქ გამოტოვებულია წარმოების იარაღები). მაშასადამე, იგი განიხილავს ზედმეტ ღირებულებას უშუალოდ მოგების ფორმით. აქედან დაუყოვნებლივ წარმოიშვება სიძნელენი.

კაპიტალისტს, ამბობს ა. სმიტი, «არავითარი ინტერესი არ ექნებოდა ეს მუშები დაექირავებინა, თუკი მას ვარაუდი არ ექნებოდა, რომ მუშების მიერ დამზადებული ნაწარმის გაყიდვიდან მიიღებდა — იმაზე გადამეტებით, რაც აუცილებელია მისი კაპიტალის ასანაზღაურებლად, — კიდევ გარკვეულ ნამეტს;». რაკი კაპიტალისტური ურთიერთობის არსებობა ნაგულისხმევია, ეს სავსებით მართებულია. კაპიტალისტი იმიტომ როდი აწარმოებს, რომ წარმოებული პროდუქტით თავისი მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილოს, — მოხმარება, საერთოდ, არ წარმოადგენს მისთვის წარმოების უშუალო მიზანს. იგი იმისათვის აწარმოებს, რომ ზედმეტი ღირებულება აწარმოოს. მაგრამ ამ წანამძღვარით, რომელსაც მხოლოდ ის აზრი

აქვს, რომ კაპიტალისტური წარმოების პირობებში კაპიტალისტი ზედმეტი ღირებულებისთვის აწარმოებს, ა. სმიტი არ გ ა ნ მ ა რ ტ ა ვ ს ზ ე დ მ ე ტ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს — როგორც ამას ბევრი მისი შემდგომდროინდელი უნიჭო მიმდევარი აკეთებდა. ეს ნიშნავს: სმიტი არ ხსნის ზედმეტი ღირებულების არსებობას კაპიტალისტის ინტერესით, ზედმეტი ღირებულებისადმი მისი მისწრაფებით. პირიქით, მან უკვე გამოიყვანა ეს ზედმეტი ღირებულება იმ ღირებულებიდან, რასაც მუშები «მასალას მატებენ მიღებული ხელფასის ამნაზღაურებელ ღირებულებაზე გადამეტებით». მაგრამ იქვე უშუალოდ იგი განაგრძობს: კაპიტალისტს არავითარი ინტერესი არ ექნებოდა მცირე კაპიტალის ნაცვლად უფრო დიდი კაპიტალი გამოეყენებინა, თუკი მისი მოგება განსაზღვრულ შეფარდებაში არ იქნებოდა ავანსებული კაპიტალის სიდიდესთან. აქ მოგება ახსნილია უკვე არა ზედმეტი ღირებულების ბუნებით, არამედ კაპიტალისტის «ინტერესით». ეს კი სრული უაზრობაა.

ა. სმიტი ვერ გრძნობს, რომ, როცა ის ამრიგად უშუალოდ ურევს ზედმეტ ღირებულებას მოგებაში და მოგებას ზედმეტ ღირებულებაში, ამით თავდაყირა აყენებს ზედმეტი ღირებულების წარმოშობის მის მიერვე ახლახან დადგენილ კანონს (261). თუ ზედმეტი ღირებულება მარტოოდენ ის «ნაწილია ღირებულებისა» (ანუ შრომის რაოდენობისა), «რომელსაც მუშა მასალას უმატებს იმის გადამეტებით, რაც მას ხელფასით უნაზღაურდება, — მაშინ ეს მეორე ნაწილი რატომ უნდა იზრდებოდეს უშუალოდ იმის გამო, რომ ავანსებული კაპიტალის ღირებულება ერთ შემთხვევაში მეტია, ვიდრე მეორეში? კიდევ უფრო ცხადად მოჩანს ეს წინააღმდეგობა მაგალითში, რომელიც ამის შემდეგ იქვე მოჰყავს ა. სმიტს იმ შეხედულების უარსაყოფად, თითქოს მოგება წარმოადგენდეს ხელფასს ეგრეთწოდებული «ზედამხედველობის შრომისათვის».

სახელდობრ, ის ამბობს:

«მაკრამ ის» (კაპიტალის მოგება) «ძირფესვიანად განსხვავდება ხელფასისაგან; იგი განისაზღვრება სრულიად სხვა კანონების მიხედვით და არავითარ მიმართებაში არ იმყოფება ზედამხედველობისა და მართვისათვის ამ ნავარაუდევი შრომის რაოდენობასა და ხასიათთან. მ ო გ ე ბ ა ს ა ე რ თ ო დ გ ა ნ ი ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა ს ა ქ მ ე ში გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ღ ი რ ებ უ ლ ებ ი თ და იგი უფრო მეტი ან უფრო ნაკლებია ამ კაპიტალის ოდენობისდა მიხედვით. ეიგულისხმოთ, მაგალითად, რომ რომელიმე ადგილას, სადაც მრეწველობაში გამოყენებული კ ა პ ი ტ ა ლ ი ს მ ო გ ებ ა ჩ ვ ე უ ლ ებ რ ი ვ ათ პ რ ო ც ე ნ ტ ს შ ე ა დ გ ე ნ ს წ ე ლ ი წ ა დ ში, არსებობს ორი მანუფაქტურა და თვითეულ

მათგანში მუშაობს ოცი-ოცი მუშა 15 გირვ. სტერლინგ ხელფასით წელიწადში, ასე რომ თვითეული მანუფაქტურა ხელფასზე ხარჯავს 300 გირვ. სტერლინგს წელიწადში. ვიგულისხმით შემდეგ, რომ ერთ მანუფაქტურაში მუშავდება უფრო დაბალი ხარისხის მასალა, რომელიც წელიწადში სულ ჯდება 700 გირვ. სტერლინგი, მაშინ როდესაც მეორე მანუფაქტურაში ამუშავებენ უფრო მაღალი ხარისხის მასალას, რომელიც 7 000 გირვ. სტერლინგი ღირს. ასეთ შემთხვევაში პირველ მანუფაქტურაში ყოველწლიურად დახარჯული კაპიტალი შეადგენს სულ მხოლოდ 1 000 გირვ. სტერლინგს, მეორე მანუფაქტურაში დახარჯული კაპიტალი კი 7 300 გირვ. სტერლინგამდე. 10% ნორმის არსებობისას მანუფაქტურათა მფლობელებს იმის ვარაუდი ექნებათ, რომ პირველი მიიღებს წლიურ მოგებას, დაახლოებით 100 გირვ. სტერლინგის რაოდენობით, მეორე კი — დაახლოებით 730 გირვ. სტერლინგის რაოდენობით. თუმცა მათი მოგება ასე სხვადასხვაა, მაგრამ მათი შრომა მეთვალყურეობისა და მართვისათვის შეიძლება თანაბარი ან თითქმის თანაბარი იყოს». (გარნიეს ფრანგული თარგმანის ტომი I, გვ. 97—98).

ზედმეტი ღირებულებიდან მისი ზოგადი ფორმით ჩვენ მაშინვე მივდივართ მოგების საერთო ნორმასთან, რომელსაც უშუალოდ არავითარი დამოკიდებულება არა აქვს მოცემულ საკითხთან. მაგრამ განვაგრძოთ! ამ ორი ფაბრიკიდან თვითეულში გამოყენებულია ოცი მუშის შრომა; მათი ხელფასი ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა — 300 გირვ. სტერლინგი. მაშასადამე, საქმის ვითარება ისეთი როდია, რომ ერთ ამ ფაბრიკაში უფრო მაღალი ხარისხის შრომაა გამოყენებული, ვიდრე მეორეში, ასე რომ საათი შრომისა, მაშასადამე, ზედმეტი შრომისაც, ერთში უდრიდეს ზედმეტი შრომის რამდენიმე საათს მეორეში. პირიქით, ორივე შემთხვევაში იგულისხმება ერთი და იგივე საშუალო შრომა, როგორც ამას გვიჩვენებს ხელფასის ტოლობა ორივე ფაბრიკაში. როგორღა არის ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი, რომ ერთ ფაბრიკაში ზედმეტი შრომა, რასაც მუშები უმატებენ მათი ხელფასის საზღაურზე გადამეტებით, შვიდჯერ მეტი იყოს, ვიდრე მეორეში? ანდა რატომ ერთ ფაბრიკაში — მხოლოდ იმიტომ, რომ იქ გადასამუშავებელი მასალა შვიდჯერ უფრო ძვირია, ვიდრე მეორეში, — მუშებმა უნდა მოგვცეს შვიდჯერ მეტი ზედმეტი შრომა, თუმცა ორივე შემთხვევაში ისინი თანაბარ ხელფასს ღებულობენ და, მაშასადამე, თანაბარი დროის განმავლობაში მუშაობენ ხელფასის [262] კვლავწარმოებისათვის?

ის გარემოება, რომ ერთ ფაბრიკაში მიღებული მოგება შვიდჯერ აღემატება მეორე ფაბრიკაში მიღებულ მოგებას, — ანუ, საერთოდ, კანონი მოგების პროპორციულობისა ავანსებული კაპიტალის სიდიდისადმი — ეწინააღმდეგება, ამრიგად, prima facie * ზედ-

* — ერთი შეხედვით. რ ე დ.

მეტი ღირებულების ანუ მოგების კანონს (ა. სმიტი ხომ უშუალოდ აიგივებს ზედმეტ ღირებულებასა და მოგებას), რომლის მიხედვით ზედმეტი ღირებულება მხოლოდ მუშების ფასგადაუხდელ, ზედმეტ შრომას გამოხატავს. ა. სმიტი ამას სრულიად გულუბრყვილოდ და ჩაუფიქრებლად გვთავაზობს, მას შორეული წარმოდგენაც კი არა აქვს იმისა, რომ აქ წინააღმდეგობა წარმოიშვება. ყველა მომდევნო ეკონომისტი — რამდენადაც არც ერთი მათგანი არ განიხილავს ზედმეტ ღირებულებას მისი ზოგადი სახით, მისი განსაზღვრული ფორმებისაგან განცალკევებით — სმიტის ერთგული დარჩა ამ მხრივ. რიკარდო, ამას, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, კიდევ უფრო მკვეთრი ფორმით ააშკარავებს.

რადგან ა. სმიტს ზედმეტი ღირებულება დაჰყავს არა მარტო მოგებაზე, არამედ აგრეთვე მიწის რენტაზეც, — ზედმეტი ღირებულების ამ ორ განსაკუთრებულ სახეობაზე, რომელთა მოძრაობასაც სავსებით განსხვავებული კანონები განსაზღვრავენ, — ამიტომ უკვე მარტო ამ გარემოებას უნდა მიეყვანა იგი იმ აზრამდე, რომ არ შეიძლება უშუალოდ, შუალედი რგოლების მონაწილეობის გარეშე, საყოველთაო აბსტრაქტული ფორმა ავურიოთ ერთ-ერთ მის განსაკუთრებულ ფორმაში. როგორც მას, ისე ყველა შემდგომდროინდელ ბურჟუაზიულ ეკონომისტს, როგორც წესი ემჩნევათ იმ თეორიული გაგების ნაკლებობა, რაც აუცილებელია ეკონომიური ურთიერთობების ფორმების განსხვავების გასარკვევად. ისინი უხეშად ჩასჭიდებიან ემპირიკულად მოცემულ მასალას და მარტო ეს მასალა აინტერესებს მათ. ამით აიხსნება აგრეთვე ისიც, რომ მათ არ შესწევთ უნარი სწორად გაიგონ ფულის რაობა, სადაც საკითხი შეეხება საცვლელი ღირებულების ფორმათა სხვადასხვა გარდაქმნას ღირებულების სიდიდის უცვლელობისას.

[6) სმიტის მცდარი შეხედულება მოგებასა, მიწის რენტასა და ხელფასზე როგორც ღირებულების წყაროებზე]

ლოდერდელი ნაშრომში «Recherches sur la nature et l'origine de la richesse publique» (traduit par Lagentie de Lavaïsse. Paris, 1808) ზედმეტი ღირებულების სმიტისეული გაგების წინააღმდეგ, — ამ გაგებაზე ის ამბობს, რომ იგი შეესაბამება უკვე ლოკის მიერ გამოთქმულ შეხედულებებს, — აღნიშნავს, რომ ამ გა-

გების თანახმად კაპიტალი სიმდიდრის პირველადი წყარო კი არ არის, თუმცა სმიტს იგი ასეთად მიაჩნია, არამედ მხოლოდ მეორადი წყაროა. ი რას ამბობს ამის გამო ლოდერდელი:

«ეს წელზე მეტია მას შემდეგ, რაც ლოკმა თითქმის ისეთივე შეხედულება გამოთქვა» (როგორც ა. სმიტმა)... «ფული, — ამბობს ლოკი, — ურაყოფია და არაფერს არ აწარმოებს; მთელი სარგებლობა, რაც ფულისაგან მიიღება, ისაა, რომ ურთიერთშეთანხმების ძალით ფულს ის მოგება, რომელიც ერთი ადამიანის შრომის გასამრჯელო იყო, მეორის ჯიბეში გადაავა» (ლ ო დ ე რ დ ე ლ ი, გვ. 116). «კაპიტალის მოგების ეს გაგება საეჭვებით მართებული რომ იყოს, მაშინ აქედან ის დასკვნა უნდა გამოგვეტანა, რომ მოგება არის შემოსავლის არა პირველადი, არამედ მხოლოდ მეორადი წყარო, და შეუძლებელი იქნებოდა კაპიტალი გაგვეხილა როგორც სიმდიდრის ერთ-ერთი წყარო, რადგან მისი მოტანილი მოგება, იქნებოდა მხოლოდ შემოსავლის გადატანა მუშის ჯიბიდან კაპიტალისტის ჯიბეში», (იქვე, გვ. 116—117).

რამდენადაც კაპიტალის ღირებულება ხელახლა გვევლინება პროდუქტში, კაპიტალს არ შეიძლება ეწოდოს «სიმდიდრის წყარო». კაპიტალი აქ პროდუქტს უმატებს თავის საკუთარ ღირებულებას უბრალოდ როგორც დაგროვილი შრომა, როგორც გასაგნობრივებული შრომის განსაზღვრული რაოდენობა.

კაპიტალი ღირებულების მწარმოებელია მხოლოდ როგორც ურთიერთობა. რამდენადაც იგი, როგორც იძულებითი ძალა, რომელიც დაქირავებულ შრომაზე ბატონობს, ძალას ატანს მას ზედმეტი შრომა გაიღოს ანდა მიერეკება შრომის მწარმოებლურ ძალას და აიძულებს შექმნას შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება. ორივე შემთხვევაში კაპიტალი აწარმოებს ღირებულებას მხოლოდ [263] როგორც შრომისადმი უცხო და მასზე გაბატონებული ძალა მისი საკუთარი ნივთიერი პირობებისა, საერთოდ მხოლოდ როგორც ერთ-ერთი ფორმა თვით დაქირავებული შრომისა, როგორც დაქირავებული შრომის პირობა. ეკონომისტების ჩვეულებრივი აზრით, კაპიტალი, როგორც ფულისა და საქონლის სახით არსებული დაგროვილი შრომა, — მსგავსად შრომის ყველა პირობისა, მათ შორის აგრეთვე ბუნების მუქთი ძალებისა, — მწარმოებლურად მოქმედებს შრომის პროცესში, სახმარ ღირებულებათა შექმნისას, მაგრამ არასოდეს არ ხდება ღირებულების წყარო. კაპიტალი არავითარ ახალ ღირებულებას არა ქმნის, და საერთოდ იგი პროდუქტს უმატებს საცვლელ ღირებულებას მხოლოდ იმდენად, რამდენადაც თვითონ აქვს საცვლელი ღირებულება, ე. ი. რამდენადაც თვით წარმოადგენს

ვასაგნობრივებულ სამუშაო დროს და, რამდენადაც, მაშასადამე, მისი ღირებულების წყარო შრომაა.

ლოდერდელი მართალია იმ მხრივ, რომ ა. სმიტი, მას შემდეგ, რაც მან ზედმეტი ღირებულებისა და ღირებულების ბუნება გამოიკვლია, შეცდომაში ვარდება, როცა კაპიტალსა და მიწას საცვლელი ღირებულების დამოუკიდებელ წყაროებად სახავს. კაპიტალი და მიწა შემოსავლის წყაროებია მათი მფლობელებისათვის, რამდენადაც ისინი საფუძველს წარმოადგენენ ზედმეტი შრომის იმ გარკვეულ რაოდენობის მისაღებად, რაც მუშამ იძულებითი წესით უნდა შეასრულოს იმ სამუშაო დროზე გადამეტებით, რომელიც აუცილებელია მისი ხელფასის ასანაზღაურებლად. ასე, მაგალითად, ა. სმიტი ამბობს:

«ხელფასი, მოგება და რენტა სამი პირველადი წყაროა ყოველი შემოსავლისა, ისევე როგორც ყოველი საცვლელი ღირებულებისაც» (წიგნი I, თავი 6).

რამდენადაც მართებულია ის, რომ ისინი «ყოველი შემოსავლის სამი პირველადი წყაროა», იმდენადვე მცდარია ის, რომ ისინი «ასევე ყოველი საცვლელი ღირებულების სამი პირველადი წყაროა», რადგან საქონლის ღირებულება განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ მასში მოქცეული სამუშაო დროით. ა. სმიტმა ხომ ახლახან წარმოგვიდგინა მიწის რენტა და მოგება როგორც უბრალო «გამონაკლები» ღირებულებიდან, ან შრომიდან, რომელსაც მუშები ნედლეულს უმატებენ, — მაშ როგორღა 'შეუძლია მას ამის შემდეგ მათ უწოდოს «საცვლელი ღირებულების პირველადი წყაროები»? (ამ როლის შესრულება მათ მხოლოდ იმ აზრით შეუძლიათ, რომ მოძრაობაში მოჰყავთ «პირველადი წყარო», ე. ი. აიძულებენ მუშას ზედმეტი შრომა შეასრულოს.) რამდენადაც ისინი საფუძველს (პირობებს) წარმოადგენენ ღირებულების, ე. ი. საქონელში გასაგნობრივებული შრომის ნაწილის მისათვისებლად, ამდენად ისინი შემოსავლის წყაროებია მათი მესაკუთრეებისათვის. მაგრამ ღირებულების განაწილება, ანუ მისი მითვისება სრულიადაც არ წარმოადგენს მისათვისებელი ღირებულების წყაროს. ამ მითვისებას რომ ადგილი არ ჰქონდეს და მუშა რომ თავისი შრომის მთელ პროდუქტს ღებულობდეს ხელფასის სახით, მაშინ წარმოებული საქონლის ღირებულება წინანდელი დარჩებოდა, თუმცა მის განაწილებაში მიწის მესაკუთრე და კაპიტალისტი მონაწილეობას არ მიიღებდნენ.

მიწის საკუთრება და კაპიტალი, რომლებიც შემოსავლის წყაროებია თავიანთი მფლობელებისათვის, ე. ი. მათ უფლებას ანიჭებენ შრომით შექმნილ ღირებულებათა ნაწილი მიითვისონ, არ ხდებიან ამის გამო ღირებულების წყაროდ. მაგრამ სავსებით ასევე უმართებულო იქნება იმის თქმა, რომ ხელფასი შეადგენს საცვლელი ღირებულების პირველადს წყაროს, თუმცა ხელფასი — ანუ, უფრო სწორად, სამუშაო ძალის მუდმივი გაყიდვა — შეადგენს სწორედ შემოსავლის წყაროს მუშისათვის. ღირებულებას ქმნის შრომა და არა მუშის ხელფასი. ხელფასი სხვა არაფერია, თუ არა უკვე არსებული ღირებულება ანუ, — თუ წარმოებას მთლიანად განვიხილავთ, — მუშის მიერ შექმნილი ღირებულების ის ნაწილი, რასაც თვით იგი ითვისებს. მაგრამ ეს მითვისება არ ქმნის ღირებულებას. ამიტომ მუშის ხელფასი შეიძლება მატულობდეს ან ეცემოდეს ისე, რომ ამით გავლენას არ ახდენდეს მის მიერ წარმოებული საქონლის ღირებულებაზე. [263]

[265] ¦ ნათქვამს საჭიროა დაემატოს შემდეგი ციტატი, რომელიც ადასტურებს, რომ ა. სმიტმა ის რუბრიკები, რომლებითაც საქონლის ღირებულების მითვისება ხდება, ამ ღირებულების წყაროებად გამოაცხადა. მას შემდეგ, რაც სმიტმა გააბათილა ის შეხედულება, **რომლის** თანახმად მოგება მხოლოდ სხვა სახელწოდებაა კაპიტალისტის ხელფასისათვის, ანუ «მეთვალყურეობის შრომის ხელფასისათვის [illegible] ეწოდებოდა:»

[illegible] ფასში მოგება, რომელიც ფონდებს ანუ კაპიტალს [illegible] წარმოადგენს ღირებულების წყაროს, სრულიად განსხვავებულ ხელფასისგან, და იგი სრულიად სხვა პრინციპებით რეგულირდება» (წიგნი I, თავი 6).

ამავე დროს, სმიტის ზემოაღნიშნული მტკიცებით, ღირებულება, რასაც მუშები მასალას მატებენ, მათსა და კაპიტალისტებს შორის ნაწილდება ხელფასისა და მოგების სახით; ამრიგად, შრომა წარმოადგენს ღ ი რ ებ უ ლ ებ ი ს ერთადერთ წ უ ყ ა რ ო ს, და ღირებულების ამ წყაროდან წარმოიშვება «ხელფასის ფასი» და «მოგების ფასი». მაგრამ თვით ეს «ფასები»—როგორც ხელფასი, ისე მოგებაც — სულაც არ წარმოადგენენ ღ ი რ ებ უ ლ ებ ი ს წ უ ყ ა რ ო ს. ¦ [265]

[7) ღირებულებისა და ზემოსავლის ურთიერთდამოკიდებულებაზე სმიტის შეხედულებათა ორაზროვნება. მცდარი წრე სმიტის კონცეფციაში, როგორც თანახმად «ბუნებრივი ფასი» წარმოდგენილია როგორც ხელფასის, მოგებისა და რენტის ჯამი]

[263] ჩვენ აქ სრულიად არ შევეხებით იმას, თუ რამდენად განიხილავს ა. სმიტი მიწის რენტას როგორც საქონელთა ფასის ჩამომყალიბებელ ელემენტს. ეს საკითხი, ამჯერად, მით უფრო უმნიშვნელოა ჩვენი გამოკვლევისათვის, რომ მიწის რენტა, სრულიად ისე როგორც მოგებაც, სმიტს მიაჩნია უბრალოდ ზედმეტი ღირებულების ნაწილად, «გამონაკლებად იმ შრომიდან, რომელიც მუშებმა ნედლ მასალას მიუმატეს». მაშასადამე, [264] სმიტის აზრით მიწის რენტა, არსებითად, არის აგრეთვე «მოგებიდან გამონაკლები», რამდენადაც მთელ ფასგადაუხდელ, ზედმეტ შრომას უ შ უ ა ლ ო დ ითვისებს შრომისადმი დაპირისპირებული კაპიტალისტი, სულ ერთია — რა რუბრიკებითაც არ უნდა უხდებოდეს მას შემდგომ ამ ზედმეტი ღირებულების გაზიარება წარმოების პირობების სხვა მფლობელებთან, როგორიცაა, მაგალითად, მიწის მესაკუთრე ან კაპიტალის გამსესხებელი. ამიტომ ჩვენ, სიმარტივისათვის, ვილაპარაკებთ მხოლოდ ხელფასსა და მოგებაზე როგორც იმ ორ რუბრიკაზე, რადაც ახლადშექმნილი ღირებულება ნაწილდება.

ვიგულისხმოთ, რომ რომელიმე საქონელში მატერიალიზებულია (მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ ი ს გ ა რ ე შ ე ვ ტ ო ვ ე ბ თ მასში მოხმარებული ნედლეულისა და შრომის იარაღთა ღირებულებას) თორმეტსაათიანი სამუშაო დრო. ამ საქონლის ღირებულება როგორც ასეთი ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ფ უ ლ ი თ გამოვხატოთ. ამრიგად, ვთქვათ 5 შილინგში მატერიალიზებულია აგრეთვე თორმეტსაათიანი სამუშაო დრო. ამ შემთხვევაში საქონლის ღირებულება უდრის 5 შილინგს. «საქონელთა ბუნებრივ ფასად» ა. სმიტი გულისხმობს მხოლოდ, მათს ღირებულებას, გამოხატულს ფულით. (საქონლის საბაზრო ფასი, რა თქმა უნდა, შეიძლება მის ღირებულებაზე მაღალი ან დაბალი იყოს. საქონელთა საშუალო ფასიც კი [der Durchschnittspreis], როგორც ამას შემდეგში ცხადყოფ, ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს გ ა ნ ს ხ ვ ა ვ დ ე ბ ა მათი ღირებულებისაგან[36]. მაგრამ ა. სმიტი, «ბუნებრივი ფასის» განხილვისას, ამას სრულიად არ ეხება. გარდა ამისა, ჩვენ ვერ გავიგებთ ვერც საქონელთა საბაზრო ფასს, ვერც, მით

8. კ. მარქსი, ტ. IV, ნაწ. I.

უმეტეს, საშუალო ფასის რყევას მანამდე, ვიდრე მათ საფუძვლად არ დაედება სწორი შეხედულება ღირებულების ბუნებაზე.)

თუ საქონელში მოთავსებული ზედმეტი ღირებულება შეადგენს მთელი მისი ღირებულების 20%, ანუ — რაც იმავეს ნიშნავს — მასში მოთავსებული აუცილებელი შრომის 25%, მაშინ ეს 5 შილინგის ღირებულება, საქონლის «ბუნებრივი ფასი», შეიძლება დაიშალოს 4 შილინგ ხელფასად და 1 შილინგ ზედმეტ ღირებულად (გავყვეთ სმიტის აზრთა მსვლელობას და ამ უკანასკნელს აქ მოგება ვუწოდოთ). სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ საქონლის ღირებულების სიდიდე, რომელიც განსაზღვრულია ხელფასისა და მოგებისაგან დამოუკიდებლად, — ანუ საქონლის «ბუნებრივი ფასი», — შეიძლება დაიშალოს 4 შილინგ ხელფასად («შრომის ფასი») და 1 შილინგ მოგებად («მოგების ფასი»). მაგრამ შეცდომა იქნებოდა იმის თქმა, რომ საქონლის ღირებულება წარმოიქმნება ხელფასის ფასისა და მოგების ფასის შეკრებით ან შეერთებით, ვინაიდან ამათი რეგულირება საქონლის ღირებულებისაგან დამოუკიდებლად ხდება. უკანასკნელ შემთხვევაში არავითარი საფუძველი არ იქნებოდა იმის ასახსნელად, თუ რატომ არ შეადგენდა საქონლის მთელი ღირებულება 8, 10 შილინგს და ა. შ»., — იმისდა მიხედვით, თუ ხელფასს 5 შილინგად ვიგულისხმებთ, ხოლო მოგებას — 3 შილინგად და ა. შ.

რითი ხელმძღვანელობს ა. სმიტი ხელფასის «ბუნებრივი ნორმის», ანუ ხელფასის «ბუნებრივი ფასის» გამოკვლევისას? სამუშაო ძალის კვლავწარმოებისათვის აუცილებელ საარსებო საშუალებათა ბუნებრივი ფასით. და რით განსაზღვრავს იგი ამ საარსებო საშუალებათა ბუნებრივ ფასს? რამდენადაც იგი საერთოდ ამ ფასს განსაზღვრავს, ის კვლავ მიმართავს ღირებულების სწორ განსაზღვრას, სახელდობრ მის განსაზღვრას ამ საარსებო საშუალებათა წარმოებისათვის აუცილებელი სამუშაო დროით. მაგრამ როგორც კი სმიტი ამ სწორ გზას ასცდება ხოლმე, იგი გამოუვალ წრეში ვარდება. რით განსაზღვრავს სმიტი საარსებო საშუალებათა ბუნებრივ ფასს, რომელნიც, თავის მხრივ, ხელფასის ბუნებრივ ფასს განსაზღვრავენ? «ხელფასის», «მოგების», «მიწის რენტის» ბუნებრივი ფასით, რომელნიც შეადგენენ ამ საარსებო საშუალებათა, ისევე როგორც საერთოდ ყველა საქონლის, ბუნებრივ ფასს. და ასე in infinitum*. მოთხოვნისა და მიწოდების კანონის შესახებ ლაყბობა, რა თქმა უნდა,

* — უსასრულობამდე. რ ე დ.

არ შველის იმას, რომ კაცმა თავი დააღწიოს ამ გამოუვალ წრეს. «ბუნებრივ ფასს», ანუ ფასს, რომელიც საქონლის ღირებულებას შეესაბამება, ხომ სწორედ მაშინ უნდა ჰქონდეს ადგილი, როცა მოთხოვნა და მიწოდება ერთმანეთს ფარავს, ე. ი. როცა საქონლის ფასი არ გადაიხრება მისი ღირებულების ზევით ან ქვევით მოთხოვნისა და მიწოდების რყევის გამო, — სხვა სიტყვებით, როცა საქონლის ხარჯთფასი[37] (ანუ გამყიდველის მიერ მოწოდებული საქონლის ღირებულება) ამასთანავე ის ფასიცაა, რასაც მოთხოვნა იხდის.

[265] მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ხელფასის ბუნებრივი ფასის გამოკვლევისას ა. სმიტი კვლავ უბრუნდება სინამდვილეში — ყოველ შემთხვევაში ალაგ-ალაგ, — საქონლის ღირებულების სწორ განსაზღვრას. პირიქით, იმ თავში, სადაც ლაპარაკია მოგების ბუნებრივ ნორმაზე, ანუ მოგების ბუნებრივ ფასზე, სმიტი იბნევა — რამდენადაც საქმე ნამდვილ გადასაწყვეტ ამოცანას ეხება — უშინაარსო საერთო ფრაზებსა და ტავტოლოგიებში. მართლაც, პირველად ხელფასს, მოგებას და მიწის რენტას, სმიტის მიხედვით, არეგულირებს საქონლის ღირებულება. შემდეგ კი სმიტი საგანს საპირისპირო მხრიდან უდგება (რაც უფრო ახლოა ემპირიულ გარეგნობასა და ჩვეულებრივ წარმოდგენასთან) და ცდილობს საქონლისა ბუნებრივი ფასი განსაზღვროს ხელფასის, მოგებისა და მიწის რენტის ბუნებრივ ფასთა შეკრებით. რიკარდოს ერთ-ერთი მთავარი დამსახურება ისაა, რომ მან ბოლო მოუღო ამ არევ-დარევას. როცა რიკარდოზე გვექნება ლაპარაკი, ჩვენ ისევ დავუბრუნდებით მოკლედ ამ პუნქტს[38].

აქ შევნიშნავთ კიდევ მხოლოდ შემდეგს: საქონლის ღირებულების — ხელფასისა და მოგების გადახდის ფონდის — მ ო ც ე მ უ ლ ი ს ი დ ი დ ე ემპირიულად გამოდის მრეწველის წინაშე იმ ფორმით, რომ საქონლის განსაზღვრული საბაზრო ფასი გარკვეული დროის განმავლობაში ერთ დონეზე ჩერდება, და ამავე დროს ხელფასი განუწყვეტლივ მერყეობს.

ამრიგად, საჭიროა ყურადღება მიექცეს აზრთა უცნაურ მსვლელობას. ა. სმიტის წიგნში: ჯერ ის იკვლევს საქონლის ღირებულებას და რიგ შემთხვევაში მართებულად განსაზღვრავს მას, იმდენად მართებულად, რომ მის წინაშე ზოგადად მკაფიოდ ისახება ზედმეტი ღირებულებისა და მისი განსაკუთრებული ფორმების წყარო, — საქონლის ღირებულებიდან სმიტს კიდევაც გამოჰყავს ხელფასი და მოგება. მაგრამ შემდგომ ის ადგება საპირისპირო გზას და ცდი-

ლობს, პირიქით, საქონელთა ღირებულება (რომლიდან მან უკვე გამოიყვანა ხელფასი და მოგება) გამოიყვანოს ხელფასის, მოგებისა და მიწის რენტის ბუნებრივ ფასთა შეკრებიდან. ეს უკანასკნელი გარემოება მიზეზია იმისა, რომ ა. სმიტმა, რომელსაც არ ჰქონდა თვით საფუძველი, ვერსად ვერ მოგვცა სწორი ანალიზი ხელფასის, მოგებისა და ა. შ. რაკვეის გავლენისა საქონელთა ფასებზე. [VI—265]

* * *

[VIII—364] { ა. სმიტი. ღირებულება და მისი შემადგენელი ნაწილები. სმიტის მცდარი წარმოდგენა, — იხილეთ ზემოთ, — რასაც ის მისივე თავდაპირველი სწორი შეხედულების წინააღმდეგ ავითარებს, თავს იჩენს აგრეთვე შემდეგ დებულებაში:

«რენტა საქონელთა ფასის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ სრულიად სხვაგვარად, ვიდრე მოგება და ხელფასი. მაღალი ან დაბალი მოგება და ხელფასი პურის მაღალი ან დაბალი ფასის მიზეზს წარმოადგენს, რენტის უფრო დიდი ან უფრო მცირეოდენობა კი ამ ფასის შედეგია» («Wealth of Nations», წიგნი I, თავი II)[39]. } [VIII—364].

[8) შეცდომა სმიტისა, რომელსაც საზოგადოებრივი პროდუქტის მთელი ღირებულება შემოსავლებზე დაჰყავს. მთლიან და წმინდა შემოსავალზე სმიტის შეხედულებათა წინააღმდეგობანი]

[VI—265] გადავდივართ ახლა მეორე პუნქტზე, რომელიც დაკავშირებულია საქონლის ფასის თუ ღირებულების (ერთიც და მეორეც აქ ჯერ კიდევ იდენტურად იგულისხმება) დაშლასთან. დავუშვათ, რომ ა. სმიტი სწორად ახდენდა გაანგარიშებას, ე. ი. ვიგულისხმოთ, რომ მან ამოსავალ პუნქტად აიღო საქონლის ღირებულება და იგი დაშალა ისეთ შემადგენელ ნაწილებად, რომელთა სახითაც ეს ღირებულება ნაწილდება წარმოების სხვადასხვა აგენტებს შორის. დავუშვათ, რომ სმიტი, პირიქით, არ ცდილობდა ღირებულება ამ შემადგენელი ნაწილების ფასიდან გამოეყვანა,—ნუ მივაქცევთ აქ ამას ყურადღებას. უყურადღებოდ დავტოვოთ ასევე მისი ის ცალმხრივი წარმოდგენის წესი, რომლის შედეგადაც ხელფასი და მოგება აღებული იყო მხოლოდ როგორც განაწილების ფორმები, რის გამოც ისინი ერთნაირი გაგებით იყვნენ წარმოდგენილი როგორც მათი

მფლობელების მოხმარებისათვის განკუთვნილი შემოსავლები. თუ ყოველივე ამას მხედველობის გარეშე დავტოვებთ, უნდა შევნიშნოთ, რომ ა. სმიტი თვით გამოთქვამს ერთგვარ ეჭვს [პროდუქტის მთელი ღირებულების სხვადასხვა შემოსავალზე დაყვანის შესახებ]; და აქ მისი უპირატესობა რიკარდოსთან შედარებით კვლავ ის როდია, რომ იგი მართებულად გადაწყვეტს წარმოშობილ ეჭვს, არამედ ისაა, რომ იგი ამ ეჭვს საერთოდ გამოთქვამს.

[266] სახელდობრ, ა. სმიტი ამბობს შემდეგს:

«ეს სამი ნაწილი» (ხელფასი, მოგება, მიწის მესაკუთრის რენტა) «უშუალოდ ან საბოლოო ანგარიშით შეადგენს, როგორც ჩანს, პურის მთელ ფასს» (საერთოდ საქონლისას. ა. სმიტი აქ პურს იმიტომ იღებს, რომ მთელ რიგ საქონელთა ფასში, მისი აზრით, მიწის რენტა არ შედის როგორც ჩამომყალიბებელი შემადგენელი ნაწილი). «შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ამ სამ ნაწილს უნდა დაემატოს კიდევ მ ე ო თ ხ ე ნ ა წ ი ლ ი, რომელიც აუცილებელია ფერმერის კაპიტალის ასანაზღაურებლად, ე. ი. მისი მუშა პირუტყვისა და სამიწათმოქმედო მეურნეობის სხვა იარაღების გაცვეთის ასანაზღაურებლად. მაგრამ მხედველობაში მისაღებია, რომ ყოველი იარაღის ფასი ამ მეურნეობაში, მაგალითად, მუშა ცხენის ფასი, თვით შედგება იმავე სამი ნაწილისაგან: იმ მიწის რენტისაგან, რომელზეც ცხენი გამოიკვება, შ რ ო მ ი ს ა გ ა ნ, რომელიც ცხენის მოვლასა და შენახვაზე დაიხარჯა, და იმ მოჯარის მოგებისაგან, რომელმაც ავანსად გაიღო როგორც ეს რენტა, ისე ხელფასიც»; [აქ მოგება გამოდის როგორც პირველადი ფორმა, რომელიც რენტასაც შეიცავს.] «ამიტომ, თუმცა პურის ფასმა ნამდვილად უნდა გადაიხადოს ცხენის ფასი და შენახვა, მიუხედავად ამისა, მისი ს რ უ ლ ი ფასი დაიშლება, უშუალოდ ან საბოლოო ანგარიშით, იმავე სამ ნაწილად: რენტად, შრომად და მოგებად» (წიგნი I, თავი 6). (სრული უაზრობაა ის, რომ «ხელფასისა» ნაცვლად ა. სმიტი უცებ ამბობს «შრომაზ», მაშინ როდესაც მას გამოაყენებს «რენტა» და «მოგება» და არა «მიწის საკუთრება» და «კაპიტალი».)

მაგრამ არანაკლებ ცხადია შემდეგი მოსაზრება: მსგავსად იმისა, როგორც ფერმერს შეაქვს ცხენისა და გუთნის ფასი ხორბლის ფასში, ისე ცხენთსაშენის მფლობელმაც და გუთნების მეფაბრიკემაც, რომელთაგანაც ფერმერმა ცხენი და გუთანი იყიდა, შეიტანეს ცხენისა და გუთნის ფასში წარმოების საშუალებათა ფასი (კერძოდ, ცხენთსაშენის მფლობელმა შეიტანა, ალბათ, მეორე ცხენის ფასი) და ნედლეულის (საკვებისა და რკინის) ფასი, მაშინ როდესაც ის ფონდი, საიდანაც ცხენთსაშენის მფლობელი და გუთნების მეფაბრიკე ხელფასსა და მოგებას (რენტასაც) ი ხ დ ი ა ნ, მხოლოდ იმ ახალი შრომისაგან შედგება, რომელიც მათ თავიანთ წარმოების სფეროში მ ი უ მ ა ტ ე ს მათი მუდმივი კაპიტალის ღირებულების არსებულ ჯამს. მაშასადამე, თუ ა. სმიტი

ფერმერის მიმართ აღიარებს, რომ მისი პურის ფასში, გარდა იმ ხელფასისა, მოგების და რენტისა, რაც მან თავის თავს და სხვა პირებს გადაუხადა, შედის კიდევ მეოთხე და მათგან განსხვავებული შემადგენელი ნაწილიც — მის მიერ მოხმარებული მუდმივი კაპიტალის ღირებულება, როგორც, მაგალითად, ცხენების, სამიწათმოქმედო იარაღების და სხვ. ღირებულება, — მაშინ ეს ძალაში რჩება აგრეთვე ცხენთსაშენის მფლობელისა და სამიწათმოქმედო იარაღების მეფაბრიკის მიმართაც, და სმიტი სრულიად ამაოდ გვაგზავნის ჩვენ პონტეიდან პილატესთან. ამასთან პონტეიდან პილატესთან გაგზავნის აზრით განსაკუთრებით უხეიროდაა შერჩეული მაგალითი ფერმერის შესახებ, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მუდმივი კაპიტალის ნაწილთა შორის არის ისეთი ნაწილი, რომლის ვინმესაგან ყიდვა სულაც არაა სავალდებულო, სახელდობრ თესლი, — და განა ღირებულების ეს შემადგენელი ნაწილი დაიშლება ვინმესათვის ხელფასად, მოგებად და რენტად?

მაგრამ ჯერ განვაგრძოთ და ვნახოთ, თანმიმდევრულად იცავს თუ არა სმიტი თავის შეხედულებას, რომ ყოველი საქონლის ღირებულება შეიძლება დაყვანილ იქნეს შემოსავლის რომელიმე ერთ წყაროზე ანდა ყველა მათზე ერთად: ხელფასზე, მოგებაზე, მიწის რენტაზე, — მაშასადამე, იმ შეხედულებას, რომ ყველა საქონელი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც მოხმარებისათვის განკუთვნილი პროდუქტები ანდა, ყოველ შემთხვევაში, შეიძლება მათი ასე თუ ისე გამოყენება პირადი საჭიროებისათვის (და არა საწარმოო მოხმარებისათვის). მაგრამ წინასწარ (267) კიდევ ერთი შენიშვნა. შეიძლება დავუშვათ, რომ, მაგალითად, კენკრისა და სხვ. მოკრეფისას მისი ღირებულება დაიყვანება მარტოოდენ ხელფასზე, თუმცა აქაც უმრავლეს შემთხვევაში გვჭირდება, როგორც შრომის საშუალება, რაიმე ხელსაწყო, მაგალითად კალათები და ა. შ. მაგრამ მოცემულ ვითარებაში, როცა ლაპარაკია კაპიტალისტურ წარმოებაზე, მსგავსი მაგალითები საერთოდ არაფერს არ ხსნიან.

ჯერ კვლავ მეორდება I წიგნის მე-6 თავში გამოთქმული შეხედულება.

II წიგნის მეორე თავში (ტომი II გარნიეს თარგმანისა, გვ. 212—213) ნათქვამია:

«ნაჩვენები იყო, რომ საქონელთა უმეტესობის ფასი დაიშლება სამ ნაწილად, საიდანაც, ერთი იხდის ხელფასს, მეორე — კაპიტალის მოგებას, მესამე კი — მიწის რენტას».

ამის თანახმად, ყოველი საქონლის ღირებულება ნაწილდება სხვადასხვა შემოსავლად და, მაშასადამე, მოხმარების ფონდის სახით შეხვდება ამა თუ იმ კლასს, რომელიც მოცემული შემოსავლით ცხოვრობს. მაგრამ რადგანაც ამა თუ იმ ქვეყნის ერთობლივი პროდუქცია, მაგალითად წლიური პროდუქცია, მხოლოდ წარმოებულ საქონელთა ღირებულების ჯამისაგან შედგება, ცალკეულად აღებული თვითეული ამ საქონლის ღირებულება კი სხვადასხვა შემოსავლად დაიშლება, ამიტომ გამოდის, რომ მათი ჯამიც — შრომის წლიური პროდუქტი, საერთო შემოსავალი — შეიძლება წლის განმავლობაში ამ ფორმით იქნეს მოხმარებული. და აი სმიტი უმალვე შეეკამათება თავის თავს:

«გამოითქვა ასეთი სახის შენიშვნა: რაკი ეს ძალაშია ცალკე აღებული ერთეული საქონლის მიმართ, მაშინ ეს აუცილებლად უნდა შეეხებოდეს იმ საქონელთა მთელ ერთობლიობასაც, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყნის მიწისა და შრომის პროდუქტთა მასას შეადგენენ. ამ წლიური პროდუქტის ერთობლივი ფასი ანუ საცველი ღირებულება უნდა იშლებოდეს ასეთივე სამ ნაწილად და ნაწილდებოდეს ქვეყნის სხვადასხვა მცხოვრებლებს შორის როგორც მათი შრომის საფასური, მათი კაპიტალის მოგება ან მათი მიწის რენტა» (იქვე, გვ. 213).

ეს, მართლაც, აუცილებელი დასკვნაა. რაც მართებულია ერთი საქონლის მიმართ, ის აუცილებლად ძალაში რჩება საქონელთა მთელი ჯამისათვისაც. მაგრამ ეს ასე არააო, ამბობს ადამი. იგი განაგრძობს:

«თუმცა რომელიმე ქვეყნის მიწისა და შრომის წლიური პროდუქტის მთელი ღირებულება ნაწილდება, ამრიგად, ქვეყნის სხვადასხვა მცხოვრებლებს შორის და მათს შემოსავალს შეადგენს, მაგრამ, მსგავსად იმისა, როგორც კერძო მამულიდან მიღებულ შემოსავალში ჩვენ განასხვავებთ მთლიან შემოსავალს და წმინდა შემოსავალს, ასეთივე განსხვავება შეიძლება დავინახოთ დიდი ქვეყნის ყველა მცხოვრებთა შემოსავალშიც» (იქვე, გვ. 213).

(შესდექ! ზემოთ მან პირდაპირ ამის საწინააღმდეგო გვითხრა: ცალკეული ფერმერის პროდუქტში — მაგალითად, მის ხორბალში— ჩვენ განვასხვავებთ კიდევ მეოთხე ნაწილს იმ ნაწილთა შორის, რომლებადაც ამ პროდუქტის ღირებულება იშლება, სახელდობრ იმ ნაწილს, რომელიც მხოლოდ ანაზღაურებს გამოყენებულ მუდმივ კაპიტალს; ეს უშუალოდ მართებულია ცალკეული ფერმერის მიმართ, მაგრამ თუ ჩვენ შემდგომ განვაგრძობთ, დავინახავთ, რომ ის ნაწილი, რაც ფერმერისათვის მუდმივ კაპიტალს წარმოადგენს,

დაიშლება უფრო ადრინდელ სტადიაში — სხვის ხელში, სანამ ეს ნაწილი კაპიტალი გახდებაო ფერმერის ხელში, — ხელფასად, მოგებად და ა. შ., ერთი სიტყვით სხვადასხვა შემოსავლად. ამიტომ, თუმცა მართალია, რომ საქონელი, განხილული როგორც ცალკეულ მწარმოებელთა ხელში მყოფი, ღირებულების ისეთ ნაწილს შეიცავს, რომელიც არ შეადგენს შემოსავალს, — მაგრამ ეს მართებული არ არისო «დიდი ქვეყნის ყველა მცხოვრებისა» მიმართ, რადგან ის, რაც ერთის ხელში მუდმივ კაპიტალს წარმოადგენს, თავის ღირებულებას იმ გარემოებას უნდა უმადლოდეს, რომ იგი გამოვიდა სხვისი ხელიდან როგორც ხელფასის, მოგებისა და რენტის ერთობლივი ფასი. ახლა იგი პირდაპირ საწინააღმდეგოს ლაპარაკობს.

ა. სმიტი განაგრძობს:

[268] «მ თ ლ ი ა ნ ი შემოსავალი კერძო მამულიდან მოიცავს ყველაფერს, რასაც ფერმერი იხდის, წ მ ი ნ დ ა შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი — ეს არის ყველაფერი ის, რაც მ ი წ ის მ ე ს ა კ უ თ რ ე ს რჩება მმართველობის და რემონტის ხარჯებისა და ყველა სხვა ა უ ც ი ლ ებ ელ ი ხ ა რ ჯ ებ ი ს გამოკლების შემდეგ, ანუ, სხვა სიტყვებით, ყველაფერი ის, რაც მას შეუძლია, თავისი მამულისათვის ზიანის მიუყენებლად, შეიტანოს თავის უშუალო მოხმარებისათვის განკუთვნილ ფონდში, ვ. ი. დახარჯოს თავის სასმელ-საჭმელზე და ა. შ. მიწის მესაკუთრის ნამდვილი სიმდიდრე დამოკიდებულია არა მის მიერ მიღებულ მ თ ლ ი ა ნ შემოსავალზე, არამედ წ მ ი ნ დ ა შემოსავალზე».

(ჯერ ერთი, სმიტი ლაპარაკობს აქ ისეთ რამეზე, რაც საგანს არ შეეხება. ის, რასაც ფერმერი მიწის მესაკუთრეს უხდის რენტის სახით, — სავსებით ისევე, როგორც ის, რასაც ფერმერი მუშებს უხდის ხელფასის სახით, — წარმოადგენს, როგორც მისი საკუთარი მოგებაც, საქონელთა ღირებულების თუ ფასის იმ ნაწილს, რომელიც სხვადასხვა შემოსავლად დაიყოფა. საკითხი კი ისაა, შეიცავს თუ არა საქონელი კიდევ ღირებულების რაიმე სხვა შემადგენელ ნაწილს. აქ სმიტი იმას ვარაუდობს, როგორც მას უნდა ევარაუდნა ეს ფერმერის მიმართ, თუმცა ასეთი ვარაუდი ხელს არ უშლის სმიტს განაცხადოს, რომ ფერმერის მიერ წარმოებული პური (ე. ი. მისი პურის ფასი ა ნ უ საცვლელი ღირებულება) მხოლოდ სხვადასხვა შემოსავლად დაიყოფა. მეორე, გაკვრით შევნიშნავთ შემდეგს. რეალური სიმდიდრე, რომელიც თავის განკარგულებაში აქვს ფერმერს რ ო გ ო რ ც ა ს ე თ ს, დამოკიდებულია მის მოგებაზე. მაგრამ, მეორე მხრივ, როგორც საქონელმფლობელს, მას შეუძლია გაყიდოს თავის მიწის ნაკვეთი ანდა, თუ მიწა მას არ ეკუ-

თვნის, მთელი მასზე მყოფი მუდმივი კაპიტალი, როგორიცაა: მუშაპირუტყვი, სამიწათმოქმედო იარაღები და სხვ.. ღირებულება, რომელსაც იგი შეიძლებს ამ გზით რეალიზაცია გაუკეთოს, მაშასადამე, სიმდიდრე, რომელიც მას შეუძლია თავის განკარგულებაში ჰქონდეს, გაპირობებულია მისი კუთვნილი მუდმივი კაპიტალის ღირებულებით, და, მაშასადამე, ოდენობითაც. მაგრამ მას შეუძლია ეს მიჰყიდოს ისევ მხოლოდ სხვა ფერმერს, რომლის ხელშიც ეს არ წარმოადგენს სიმდიდრეს, რომლის თავისუფლად გამგებლობაც შეიძლებოდეს, არამედ მუდმივი კაპიტალია. ამრიგად, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ დავიძარით ადგილიდან).

«დიდი ქვეყნის ყველა მცხოვრების ს ა ე რ თ ო შემოსავალი მოიცავს მათი მიწისა და მათი შრომის წლიური პროდუქტის მ თ ე ლ მ ა ს ა ს».

(წინათ ჩვენ გვესმოდა, რომ მთელი ეს მასა — მისი ღირებულება — დაიყოფა ხელფასად, მოგებად და რენტად, ე. ი. მხოლოდ და მხოლოდ წმინდა შემოსავლის სხვადასხვა ფორმებად);

«მათი წ მ ი ნ დ ა შემოსავალი მოიცავს ყველაფერს, რაც მათ განკარგულებაში რჩება იმ ხარჯების გამოკლების შემდეგ, რაც სჭირდება ჯერ ერთი, მათი ძ ი რ ი თ ა დ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს, მეორე, მათი ს ა ბ რ უ ნ ა ვ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს შენახვას».

(მაშასადამე, სმიტი გამოაკლებს ახლა შრომის იარაღებს და ნედლეულს),

«ე. ი. წმინდა შემოსავალი მოიცავს იმას, რაც მათ შეუძლიათ, უ შ უ ა ლ ო მ ო ხ მ ა რ ე ბ ი ს ფ ო ნ დ ა დ აქციონ, ისე რომ თავიანთ კაპიტალს არ შეეხონ».

(ამრიგად, ახლა ჩვენ ვგებულობთ, რომ საქონელთა ერთობლივი ჯამის ფასი ანუ საცვლელი ღირებულება შეიცავს როგორც ცალკეული კაპიტალისტისათვის, ისე მთელი ქვეყნისთვისაც, კიდევ მეოთხე ნაწილსაც, რომელიც არავისთვის არ შეადგენს შემოსავალს და იგი არ შეიძლება დაყვანილ იქნეს არც ხელფასზე, არც მოგებაზე, არც რენტაზე.)

«ცხადია, რომ ძ ი რ ი თ ა დ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს მოვლისათვის საჭირო ყველა ხარჯი უნდა გამოაკლდეს საზოგადოების წმინდა შემოსავალს. არც სასარგებლო მანქანების საშრეწველო იარაღების შემოსავლის მომცემ შენობათა და სხვ. გამართულ მდგომარეობაში შესანახად ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი მ ა ს ა ლ ა, არც ამ მასალისთვის სათანადო ფორმის მისაცემად ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი შ რ ო მ ის პ რ ო დ უ ქ ტ ი, არასოდეს არ შეიძლება შეადგენდეს წ მ ი ნ დ ა შემოსავლის რაიმე ნაწილს.

მართალია, ამ შრომის ფასი შეიძლება შეადგენდეს წმინდა შემოსავლის ნაწილს, რადგან ამ შრომით დასაქმებულ მუშებს შეუძლიათ თავიანთი ხელფასის მთელი ღირებულება [269] უშუალო მოხმარების ფონდად აქციონ. მაგრამ, ამისაგან განსხვავებით, შრომის სხვა დარგებში შრომის ფასიც და მისი პროდუქტიც უშუალო მოხმარების ფონდში შედიან: სახელდობრ — შრომის ფასი შედის მუშების ფონდში, პროდუქტი კი — სხვა პირთა ფონდში, რომელთაც აარსებობის, განცხრომისა და სიამოვნების საშუალებანი უდიდდებათ ამ მუშების შრომის მეოხებით» (იქვე, გვ. 214 — 215)*.

აქ ა. სმიტი კვლავ გვერდს უვლის საკითხს, რომელსაც პასუხი უნდა გასცეს, — საკითხს საქონლის ერთობლივი ფასის იმ მეოთხე ნაწილის შესახებ, რომელიც არ დაიყვანება არც ხელფასზე, არც მოგებაზე, არც რენტაზე. უწინარეს ყოვლისა აღვნიშნოთ დიდი შეცდომა. ფაქტია, რომ მანქანათა მეფაბრიკესთან, ისევე როგორც სხვა მრეწველ კაპიტალისტთანაც, შრომა, რომელიც სათანადო ფორმას აძლევს მანქანათა და სხვ. ნედლ მასალას, დაიყოფა აუცილებელ შრომად და ზედმეტ შრომად, მაშასადამე, არა მარტო მუშების ხელფასად, არამედ კაპიტალისტის მოგებადაც. ხოლო მასალათა ღირებულება და იმ ინსტრუმენტების ღირებულება, რომელთა შემწეობით მუშები მასალას სათანადო ფორმას აძლევენ, არ დაიყვანება არც ერთზე და არც მეორეზე. ამ საკითხთან არავითარი კავშირი არა აქვს იმ გარემოებას, რომ თავისი ბუნებით არა ინდივიდუალური მოხმარებისათვის, არამედ სამრეწველო მოხმარებისათვის განკუთვნილი პროდუქტები არ შედიან უშუალო მოხმარების ფონდში. მაგალითად, თესლი (ხორბლეულის ნაწილი, რომელიც დასათესადაა განკუთვნილი) თავისი ბუნებით შეიძლება აგრეთვე მოხმარების ფონდშიც შედიოდეს, მაგრამ ეკონომიურად იგი წარმოების ფონდში უნდა შევიდეს. შემდეგ კი სრულიად უმართებულოა, თითქოს ინდივიდუალური მოხმარებისათვის განკუთვნილი პროდუქტების მთელი ფასი პროდუქტთან ერთად მოხმარების ფონდში შედიოდეს. მაგალითად, ტილო, თუ ის იალქნად ან რაიმე სხვა საწარმოო მიზნისთვის არ გამოიყენება, პროდუქტის სახით მთლიანად შედის მოხმარებაში; მაგრამ ამას ვერ ვიტყვით მის ფასზე, რადგან ამ ფასის ერთი ნაწილი ანაზღაურებს სელის ნართს, მეორე — საქსოვ დაზგებს და ა. შ., და ტილოს ფასის მხოლოდ ნაწილი დაიყვანება ამა თუ იმ სახის შემოსავალზე.

---

* ამ ადგილას მარქსის ხელით მიწერილია ფანქრით: «ეს მაინც უფრო ახლოა სწორ შეხედულებასთან, ვიდრე სხვა ეკონომისტების წარმოდგენანი». რ ე დ.

ადამმა ეს-არის გვითხრა, რომ მანქანების, შემოსავლის მომცემ შენობათა აგებისათვის აუცილებელი მასალა, — სავსებით ისევე როგორც ამ მასალისაგან აგებული მანქანები და სხვ., — «ვერასოდეს ვერ შეადგენენ წმინდა შემოსავლის რაიმე ნაწილს»; მაშასადამე, ისინი შედიან მთლიან შემოსავალში. მაგრამ სულ მალე ამის შემდეგ, II წიგნის იმავე მე-2 თავში, გვ. 220, იგი საწინააღმდეგოს ამბობს:

«მანქანები და სამუშაო ინსტრუმენტები და ა. შ., რომელნიც ცალკეული პირის თუ საზოგადოების ძირითად კაპიტალს შეადგენენ, არ ქმნიან არც მათი მთლიანი შემოსავლის, არც მათი წმინდა შემოსავლის არავითარ ნაწილს, სწორედ ისევე, როგორც ფულიც» და ა. შ.

ადამის ეს აღმა-დაღმა ხეტიალი, მისი წინააღმდეგობანი, საქმის შინაარსისაგან გადახვევები ადასტურებენ, რომ ის აქ ჩიხში მოემწყვდა და გარდუვალად უნდა თავგზა აბნეოდა, რაკი მან ხელფასი, მოგება და რენტა პროდუქტის საცვლელი ღირებულების ანუ ერთობლივი ფასის ჩამომყალიბებელ შემადგენელ ნაწილებად გადააქცია.

[9) ხელ როგორც სმიტის თეორიის ვულგარიზატორი. ხელ აიგივებს საზოგადოებრივ მთლიან პროდუქტს და საზოგადოებრივ შემოსავალს. ფტორხი და რამსელ ცდილობენ განასხვაონ ისინი]

სელისთან, რომელიც ცდილობს თავისი უგვანო ზერელობა დაფაროს ა. სმიტის არათანმიმდევრულობისა და ჩავარდნების სრულიად ბანალურ ფრაზებში შეზავებით, ჩვენ ვკითხულობთ:

„ერს, მთლიანად აღებულს, სრულიად არა აქვს წმინდა პროდუქტი. რადგან პროდუქტების ღირებულება მათი წარმოების ხარჯებს უდრის, ამიტომ ამ ხარჯების გამოკლებით ჩვენ გამოვაკლებთ პროდუქტების მთელ ღირებულებას... წლიური შემოსავალი მთლიანი შემოსავალია» («Traité d'économie politique», მე-3 გამოცემა, პარიზი, 1817, ტომი II, გვ. 469).

წლის განმავლობაში წარმოებულ პროდუქტთა ჯამის ღირებულება უდრის მათში მატერიალიზებული [270] სამუშაო დროის რაოდენობას. თუ წლის განმავლობაში წარმოებული პროდუქტიდან გამოვაკლებთ ამ ერთობლივ ღირებულებას, მაშინ, მართლაც, —

რამდენადაც ღირებულებაზეა ლაპარაკი,—არავითარი ღირებულება არ რჩება, და ამით ბოლო ეღება როგორც წმინდა, ისე მთლიან შემოსავალს. მაგრამ სეი ფიქრობს, რომ ყოველწლიურად წარმოებული ღირებულების ჯამი ყოველწლიურადვე მოიხმარება. ამიტომ მთლიანად ერისათვის სრულიად არ არსებობს წმინდა პროდუქტი. არამედ მხოლოდ მთლიანი პროდუქტი არსებობსო. ჯერ ერთი, არაა სწორი, რომ ყოველწლიურად წარმოებული ღირებულებანი ყოველწლიურადვე მოიხმარება. ძირითადი კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილის მიმართ საქმის ვითარება ასეთი არაა. წლის განმავლობაში წარმოებულ ღირებულებათა მნიშვნელოვანი ნაწილი შრომის პროცესში შედის, მაგრამ ღირებულების წარმოქმნის პროცესში არ შედის; ეს ნიშნავს: ამ საგნების ერთობლივი ღირებულება მთლიანად როდი მოიხმარება წლის განმავლობაში. მეორეც, ყოველწლიურად მოსახმარ ღირებულებათა განსაზღვრულ ნაწილს შეადგენენ ის ღირებულებანი, რომელნიც მოხმარებაში შეუსვლელად მოიხმარებიან როგორც წარმოების საშუალებანი და უკან უბრუნდებიან — ან მათი საკუთარი ნატურალური ფორმით, ანდა ეკვივალენტების სახით — წარმოების პროცესს, საიდანაც ისინი გამოვიდნენ. მეორე ნაწილს შეადგენენ ის ღირებულებანი, რომელთაც — აღნიშნული პირველი ნაწილის გამოკლების შემდეგ — შეუძლიათ ინდივიდუალურ მოხმარებაში შესვლა. ისინი შეადგენენ «წმინდა პროდუქტს».

სეის ამ აბდაუბდის გამო შტორხი ამბობს:

«ცხადია, რომ წლიური პროდუქტის ღირებულება დაიშლება ნაწილობრივ კაპიტალად და ნაწილობრივ მოგებებად და რომ წლიური პროდუქტის ღირებულების თვითეული ეს ნაწილი რეგულარულად ყიდულობს პროდუქტებს, რომელთაც ერი საჭიროებს როგორც თავისი კაპიტალის შენარჩუნებისათვის, ისე თავის მოხმარების ფონდის განახლებისათვის» Storch. Cours d'économie politique, ტომი V: Considérations sur la nature du revenu national. Paris, 1824, გვ. 134 — 135). «დავაყენოთ ასეთი კითხვა: უდრის თუ არა იმ ოჯახის შემოსავალი, რომელიც ყველა თავის მოთხოვნილებას თავისი საკუთარი შრომით იკმაყოფილებს — ამის მაგალითი კი მრავალია რუსეთში,... უდრის თუ არა ასეთი ოჯახის შემოსავალი მისი მიწის, მისი კაპიტალისა და მისი შრომის საერთო პროდუქტს? შეუძლია თუ არა მას იცხოვროს თავის ბეღლებსა და გომურებში, შეეკმოს თავისი სათესლე ფონდი და პირუტყვისათვის განკუთვნილი საკვები, შეიმოსოს თავისი მუშა პირუტყვის ტყავით, გამოიყენოს თავისი სამიწათმოქმედო იარაღები ჯანსაღობად? ბატონ სეის თეზისის თანახმად, ყველა ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა მოგვიხდებოდა» (იქვე, გვ. 135 — 136). «საერთო პროდუქტს სეი განიხილავს როგორც საზოგადოების შემოსავალს და აქედან ის დასკვნა გამოჰყავს, რომ საზოგადოებას შეუძლია ამ პროდუქტის ტოლი ღირე-

ბულება მოიხმაროს» (იქვე, გვ. 145). «ერის წმინდა შემოსავალს შეადგენს არა წარმოებულ ღირებულებათა გადანამეტი მ ო ხ მ ა რ ებ ულ ღ ი რ ებ ულ ებ ა თ ა მ თ ელ ჯ ა მ ზ ე, როგორც ამას სეი გვიხატავს, არამედ მხოლოდ წარმოებულ ღირებულებათა გადანამეტი წ ა რ მ ო ებ ის მ ი ზ ნ ებ ი ს ა თ ვ ის მ ო ხ მ ა რ ებ ულ ღ ი რ ებ ულ ებ ა თ ა ჯ ა მ ზ ე. ამიტომ, თუ ერი წლის განმავლობაში მთელ ამ ნამეტს მოიხმარს, იგი მოიხმარს მთელ თავის წმინდა შემოსავალს» (იქვე, გვ. 146). «თუ დავუშვებდით იმას, რომ ერის შემოსავალი მის მთლიან პროდუქტს უდრის, ე. ი. რომ ამ შემოსავალს არ გამოაკლდება არავითარი კ ა პ ი ტ ა ლ ი, მაშინ უნდა დაეუშვათ ისიც, რომ ერს შეუძლია არამწარმოებლურად მოიხმაროს თავისი წლიური პროდუქტის მთელი ღირებულება, ისე რომ ამით ოდნავადაც არ შეამციროს თავისი მომავალი შემოსავალი» (იქვე, გვ.147). «პ რ ო დ უ ქ ტ ებ ი, რ ო მ ლ ებ ი ც ერ ის კ ა პ ი ტ ა ლ ს» (მ უ დ მ ი ვ კ ა პ ი ტ ა ლ ს) «შ ე ა დ გ ე ნ ენ, ვ ე რ მ ო ი ხ მ ა რ ებ ი ა ნ» (იქვე, გვ. 150).

რ ა მ ს ე ი (ჯ ო რ ჯ ი) «An Essay on the Distribution of Wealth»-ში (Edinburgh, 1836) შემდეგ შენიშვნას აკეთებს იმავე საგანზე, ე. ი. იმაზე, რასაც ა. სმიტი უწოდებს «ერთობლივი ფასის მეოთხე შემადგენელ ნაწილს», მე კი—მუდმივ კაპიტალს, ხელფასზე დახარჯული კაპიტალისაგან განსხვავებით.

[271] «რიკარდოს», — ამბობს იგი «ავიწყდება, რომ მთელი პროდუქტი დაიყოფა არა მარტო ხელფასად და მოგებად, არამედ ის, რომ ერთი ნაწილი აუცილებელია კიდევ ძირითადი კაპიტალის ასანაზღაურებლად» (გვ. 174, შენიშვნა).

«ძირითად კაპიტალად» რამსეი გულისხმობს არა მარტო წარმოების იარაღებს და ა. შ., არამედ ნედლეულსაც, მოკლედ — იმას, რასაც მე ძირითად კაპიტალს ვუწოდებ წარმოების ყოველი სფეროს ფარგლებში. როცა რიკარდო ლაპარაკობს პროდუქტის დაყოფაზე მოგებად და ხელფასად, იგი ყოველთვის გულისხმობს, რომ წარმოებისათვის ავანსად გაცემული და წარმოებაში მოხმარებული კაპიტალი უკვე გამოკლებულია. და, მიუხედავად ამისა, რამსეი ძირითადად მაინც მართალია. როცა რიკარდო კაპიტალის ძირითად ნაწილს შემდგომ ანალიზს არ უკეთებს და მას უგულებელყოფს, ამით იგი უხეშ შეცდომებს უშვებს და, კერძოდ, ერთმანეთში ურევს მოგებასა და ზედმეტ ღირებულებას, შემდეგ შეცდომებს უშვებს ძოგების ნორმის რყევათა გამოკვლევისას და ა. შ.

მაგრამ მოვუსმინოთ, რას ამბობს თვით რამსეი:

«როგორ შეიძლება პროდუქტის შედარება მასზე დახარჯულ კაპიტალთან?.. თუ მხედველობაში ვიქონიებთ მთლიანად ერს..., მაშინ ცხადია, რომ უნდა მოხ-

დეს დახარჯული კაპიტალის ყველა სხვადასხვა ელემენტის კვლავწარმოება მეურნეობის ამა თუ იმ დარგში, რადგან წინაადგილ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა ქვეყნის წარმოების შემდგომი წარმართვა წინანდელი მასშტაბით. მრეწველობის ნედლი მასალა, მასში და ასევე სოფლის მეურნეობაში გამოყენებული იარაღები, მრავალრიცხოვანი და რთული მანქანები მრეწველობაში, პროდუქტების წარმოებისა და შენახვისათვის საჭირო შენობები, — ყოველივე ეს, შემადგენელი ნაწილების სახით, უნდა შედიოდეს როგორც ქვეყნის ერთობლივ პროდუქტში, ისე კაპიტალისტურ მეწარმეთა ყველა ავანსში. ერთობლივი პროდუქტის რაოდენობა შეიძლება ამიტომ შედარდეს ავანსების რაოდენობას — იმის შეიზებით, რომ ყოველი საგანი შეიძლება წარმოვიდგინოთ მსგავსი სახეობის სხვა საგნის გვერდით» (იქვე გვ. 137 — 139). «რაც შეეხება ცალკეულ კაპიტალისტს, რადგან იგი არ ანაზღაურებს თავის დანახარჯს ნატურით, არამედ ამ დანახარჯთა უდიდესი ნაწილი გაცვლის მეშვეობით უნდა მიიღოს, რისთვისაც საჭიროა პროდუქტის განსაზღვრული წილი, — ამ გარემოების გამო ყოველი ცალკეული კაპიტალისტური მეწარმე იძულებულია გაცილებით მეტი ყურადღება მიაქციოს თავისი პროდუქტის საცვლელ ღირებულებას, ვიდრე პროდუქტის რაოდენობას» (იქვე, გვ. 145 — 146). «რაც უფრო აღემატება მისი პ რ ო დ უ ქ ტ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ავანსებული კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს, მით უფრო დიდი იქნება მოგება. ამრიგად, კაპიტალისტი მოგებას იანგარიშებს ღირებულების ღირებულებასთან და არა რაოდენობის რაოდენობასთან შედარებით... მოგება უნდა მატულობდეს ან კლებულობდეს ზუსტად იმდენადვე, რამდენადაც კლებულობს ან მატულობს მთლიანი პროდუქტის ანუ მისი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ის ნაწილი, რომელიც საჭიროა ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ა ვ ა ნ ს ე ბ ი ს ა ნ ა ზ ღ ა უ რ ებ ლ ად. ამიტომ მოგების ნორმა დამოკიდებულია ორ გარემოებაზე: ჯერ ერთი, მთელი პროდუქტის იმ ნაწილზე, რომელიც შეშებს ერგება; მეორე, იმ ნაწილზე, რომელიც გადადებულ უნდა იქნეს ძირითადი კაპიტალის ასანაზღაურებლად ნატურით ან გაცვლის გზით» (იქვე, გვ. 146—148).

ის, რასაც რამესი აქ მოგების ნორმაზე ლაპარაკობს, განსახილველია III თავში (მოგების შესახებ)[40]. მნიშვნელოვანია ის, რომ იგი მართებულად აღნიშნავს ზიზგასმით ამ ელემენტს. ერთი მხრივ, მართალია რიკარდო, როცა ამბობს, რომ მუდმივი კაპიტალის შემადგენელ საქონელთა გაიაფება (ესა აქვს სწორედ მხედველობაში რამსეის, «ძირითად კაპიტალზე» რომ ლაპარაკობს) მუდამ იწვევს ირსებული კაპიტალის ღირებულების განსაზღვრული ნაწილის შემცირებას. ეს განსაკუთრებით შეეხება საკუთრივ ძირითად კაპიტალს — მანქანებს და ა. შ. ცალკეული კაპიტალისტისათვის სრულიად არაა ხელსაყრელი, რომ ზედმეტი ღირებულება მატულობს შედარებით მთელ მის კაპიტალთან, თუ ზედმეტი ღირებულების დონის ეს გადიდება გამოწვეულია მისი მუდმივი კაპიტალის ღირებულების ჯამის შემცირებით (რომელიც კაპიტალისტს ჯერ კიდევ გაუფასურებამდე ჰქონდა). მაგრამ ეს მხოლოდ მეტად უმნიშვნელოდ შეეხება კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც ნედლეულისა და მზა საქო-

ნელთაგან შედგება (ესენი კი ძირითადად კაპიტალში არ შედიან). მათი ეს არსებული მასა, რომელსაც შეუძლია ასეთი გაუფასურება განიცადოს, მუდამ მხოლოდ უმნიშვნელო ოდენობას შეადგენს ერთობლივ პროდუქციასთან შედარებით. ყოველ ცალკეულ კაპიტალისტთან ეს მხოლოდ უმნიშვნელოდ შეეხება მისი კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც დაბანდებულია საბრუნავ კაპიტალში. მეორე მხრივ, ცხადია, რადგან მოგება უდრის ზედმეტი ღირებულების შეფარდებას ერთობლივ ავანსებულ კაპიტალთან და რადგან შრომის ის რაოდენობა, რომლის შთანთქმაც შესაძლებელია, დამოკიდებულია არა ნედლეულის ღირებულებაზე, არამედ მის მასაზე და წარმოების საშუალებათა ეფექტიანობაზე, არა მათს საცვლელ ღირებულებაზე, არამედ მათს სახმარ ღირებულებაზე, — ამიტომ: რაც უფრო დიდია შრომის მწარმოებლური ძალა იმ დარგებში, რომელთა ნაწარმიც [272] მუდმივი კაპიტალის წარმოქმნაში მონაწილეობს, რაც უფრო ნაკლებია ზედმეტი ღირებულების გარკვეული რაოდენობის წარმოებისათვის საჭირო მუდმივი კაპიტალის დანახარჯი, — მით უფრო დიდია ამ ზედმეტი ღირებულების შეფარდება მთელ ავანსებულ კაპიტალთან, მაშასადამე, მით უფრო დიდია, ზედმეტი ღირებულების მოცემული მასის პირობებში, მოგების ნორმა.

(ის, რასაც რამსეი ორ დამოუკიდებელ მოვლენად განიხილავს — პროდუქტის ანაზღაურება პროდუქტით კვლავწარმოების პროცესში, როცა ლაპარაკია მთელ ქვეყანაზე, და ღირებულების ანაზღაურება ღირებულებით, როცა ლაპარაკია ცალკეულ კაპიტალისტზე, — არის ორი ასპექტი, და ორივე ეს ასპექტი, ცალკეული კაპიტალის მიმართაც კი, უნდა მხედველობაში იქნეს მიღებული, როცა ანალიზს ვუკეთებთ კაპიტალის მიმოქცევის პროცესს, რომელიც იმავდროულად კვლავწარმოების პროცესიცაა).

რამსეიმ ვერ გადაწყვიტა ის ნამდვილი სიძნელე, რაც ა. სმიტს აწუხებდა და რამაც იგი ყოველგვარ წინააღმდეგობებში გახლართა. ეს სიძნელე ყველაზე მკვეთრი ფორმით რომ წარმოვიდგინოთ, ჩამოვაყალიბოთ იგი შემდეგნაირად. მთელი კაპიტალი (ღირებულების სახით) დაიყვანება შრომაზე, კაპიტალი სხვა არაფერია, თუ არა გასაგნობრივებული შრომის გარკვეული რაოდენობა. მაგრამ გადახდილი შრომა უდრის მუშების ხელფასს, გადაუხდელი შრომა კი უდრის კაპიტალისტების მოგებას. მაშასადამე, მთელი კაპიტალი შეიძლება დაყვანილ იქნეს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ხელფასსა და მოგებაზე. ანდა, იქნებ სადმე სრულდება ისეთი შრომა, რომე-

ლიც არ დაიყვანება არც ხელფასზე, არც მოგებაზე და რომლის მიზანი მხოლოდ წარმოების პროცესში მოხმარებულ ღირებულებათა ანაზღაურებაა, ღირებულებათა, რომლებიც იმავე დროს კვლავწარმოების პირობებს წარმოადგენენ? მაგრამ ვინ ასრულებს ამ შრომას? მუშის ყოველი შრომა ხომ იყოფა ორ ნაწილად, საიდანაც ერთი მის საკუთარ სამუშაო ძალას აღადგენს, ხოლო მეორე კაპიტალის მოგებას შეადგენს.

[10)] გამოკვლევა იმისა, თუ როგორ შეიძლება, რომ წლიური მოგება და წლიური ხელფასი ყიდულობდნენ წლის განმავლობაში წარმოებულ საქონელთ, რომელნიც, მოგებისა და ხელფასის გარდა, კიდევ მუდმივ კაპიტალსაც შეიცავენ [41]

[ა) შეუძლებელია მოხმარების საგნების მწარმოებელთა მუდმივი კაპიტალის ანაზღაურება ამ მწარმოებელთა შორის გაცვლის გზით]

რათა პრობლემას ყოველგვარი ყალბი შენარევი ჩამოვაშოროთ, შევნიშნავთ წინასწარ კიდევ შემდეგს. როცა კაპიტალისტი თავისი მოგების, თავისი შემოსავლის ნაწილს კაპიტალად, შრომის საშუალებებად და შრომის მასალად აქცევს, იგი ერთსაც და მეორესაც შრომის იმ ნაწილით ისტუმრებს, რომელიც მუშამ მისთვის უსასყიდლოდ შეასრულა. აქ მოცემულია შრომის გარკვეული ახალი რაოდენობა, რომელიც ქმნის ეკვივალენტს საქონელთა გარკვეული ახალი რაოდენობისათვის — სახელდობრ ისეთ საქონელთათვის, რომელნიც თავიანთი სახმარი ღირებულების მიხედვით შრომის საშუალებებსა და შრომის მასალას წარმოადგენენ. ეს შემთხვევა შეეხება, მაშასადამე, კაპიტალის დაგროვებას და არავითარ სიძნელეებს არ შეიცავს; ჩვენ აქ საქმე გვაქვს მუდმივი კაპიტალის ისეთ ზრდასთან, რაც წინანდელ საზღვრებს სცილდება, ანუ ახალი მუდმივი კაპიტალის წარმოქმნასთან მისი იმ მასის გადამეტებით, რომელიც უკვე არსებობს და ასანაზღაურებელია. სიძნელე შეეხება უკვე არსებული მუდმივი კაპიტალის კვლავწარმოებას და არა ახალი მუდმივი კაპიტალის წარმოქმნას მისი საკვლავწარმოებელი მასის გადამეტებით. ახალ მუდმივ კაპიტალს აშკარად მოგება წარმოშობს; იგი არსებობდა ერთ წამს შემოსავლის ფორმით, რომელიც სულ მალე კაპიტალად იქცა. მოგების ეს ნაწილი დაიყვანება

იმ ზედმეტ სამუშაო დროზე, რომელიც საზოგადოებას, კაპიტალი კიდეცრომ არ არსებობდეს, მაინც გამუდმებით უნდა ეხარჯა, რათა თავის განკარგულებაში ჰქონოდა, ასე ვთქვათ, შემდგომი განვითარების ფონდი— ფონდი, რომლის აუცილებლობაც გამოწვეულია უკვე მოსახლეობის ზრდით.

{ მუდმივი კაპიტალის კარგ განმარტებას, მაგრამ მხოლოდ მისი სახმარი ღირებულების მხრივ, ჩვენ ვხვდებით რამსეის წიგნის 166 გვერდზე, სადაც ის ამბობს:

«როგორც არ უნდა იცვლებოდეს მთლიანი პროოუქტის» (მაგალითად, ფერმერის შემოსავლის) «სიდიდე, მისი ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა წარმოების პროცესში სხვადასხვა ფორმით მოხმარებული ელემენტების ასანაზღაურებლად, სრულიად არ განიცდის ცვლილებას. ეს რაოდენობა უნდა განიხილებოდეს როგორც მუდმივი, ვიდრე წარმოება წინაწდელი მასშტაბით წარიმართება». }

ამრიგად, უწინარეს ყოვლისა უნდა გამოვდიოდეთ შემდეგი ფაქტიდან: ახალი მუდმივი კაპიტალის წარმოქმნის წყარო, უკვე არსებული მუდმივი კაპიტალის კვლავწარმოებისაგან განსხვავებით არის მოგება; ამასთან იგულისხმება, რომ, ერთი მხრივ, ხელფასი საკმარისია მხოლოდ სამუშაო ძალის კვლავწარმოებისათვის და რომ, მეორე მხრივ, მთელი ზედმეტი ღირებულება უკლებლივ შედის «მოგების» კატეგორიაში, რადგან მთელ ზედმეტ ღირებულებას უშუალოდ ითვისებს მხოლოდ მრეწველი კაპიტალისტი, დამოუკიდებლად იმისა, თუ ვის და სად უნდა მისცეს მან შემდეგში ამ ზედმეტი ღირებულების ნაწილი.

{ «კაპიტალისტური მეწარმე სიმდიდრის საყოველთაო გამანაწილებელია: ის უხდის მუშებს ხელფასს, კაპიტალისტს (ფულის გამსესხებელს) — სარგებელს, მიწის ძესაკუთრეს — რენტას» (რამსეი, გვ. 218—219).

რაკი ზედმეტ ღირებულებას მოგებას ვუწოდებთ, კაპიტალისტს განვიხილავთ ისეთ პიროვნებად, რომელიც 1) უშუალოდ ითვისებს მთელ შექმნილ ზედმეტ ღირებულებას და 2) ანაწილებს ამ ზედმეტ ღირებულებას თავის თავსა, ფულიან კაპიტალისტსა და მიწის მესაკუთრეს შორის. }

[VII—273] მაგრამ ის გარემოება, რომ ამ ახალ მუდმივ კაპიტალს მოგება წარმოშობს, მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ იგი თავის წარმოშობას უნდა უმადლოდეს მუშების ზედმეტი შრომის განსაზღვრულ ნაწილს. ეს იმის ანალოგიურია, რომ, მაგალითად, ველუ-

ი — ნადირობაზე დახარჯული დროის გარდა, — კიდევ უნდა ხარ-ჯავდეს გარკვეულ დროს შვილდის დამზადებაზე, გლენი კი, პატ-რიარქალური მიწათმოქმედების დროს, — გარდა იმ დროისა, რაც მიწის დამუშავებაზე მიდის, — უნდა ხარჯავდეს კიდევ სამუშაო დროის გარკვეულ რაოდენობას თავისი იარაღების უმეტესობის დამზადებაზე.

მაგრამ საკითხი აქ ისაა, თუ სახელდობრ ვინ მუშაობს იმისათვის, რომ მუდმივი კაპიტალის წარმოებაში უკვე დახარჯული ნაწილის ეკვივალენტი აანაზღაურეს? შრომის ის ნაწილი, რომელსაც მუშა თავისთვის ასრულებს, ანაზღაურებს მის ხელფასს, ანუ, თუ წარმო-ებას მთლიანად განვიხილავთ, ქმნის მის ხელფასს. პირიქით, მისი ზედმეტი შრომა, რომელიც მოგებას ქმნის, ნაწილობრივ მოხმარე-ბის ფონდს შეადგენს კაპიტალისტისათვის, ნაწილობრივ კი დამატე-ბით კაპიტალად იქცევა. მაგრამ კაპიტალისტი ამ ზედმეტი შრომით, ანუ მოგებით, კი არ ანაზღაურებს იმ კაპიტალს, რომელიც უკვე და-იხარჯა მის საკუთარ წარმოებაში. საქმის ვითარება რომ ასეთი იყოს, მაშინ ზედმეტი ღირებულება იქნებოდა არა ახალი კაპიტა-ლის წარმოქმნის ფონდი, არამედ ძველი კაპიტალის შენარჩუნების ფონდი. მაგრამ ხელფასის წარმომქმნელი აუცილებელი შრომა და მოგების წარმომქმნელი ზედმეტი შრომა მთელ სამუშაო დღეს ავსებენ და სხვა რაიმე შრომისათვის ადგილს აღარ ტოვებენ («ზე-დამხედველობის შრომა», — თუ ვივარაუდებთ, რომ მას კაპიტა-ლისტი ასრულებს, — შესულია ხელფასში. ამ მხრივ კაპიტალისტი დაქირავებული მუშაა, თუმცა არა სხვა კაპიტალისტისა, არამედ თავისივე საკუთარი კაპიტალისა). მაშ საიდანღა მომდინარეობს ის წყარო, სად არის ის შრომა, რომელიც მუდმივ კაპიტალს ანაზღაუ-რებს?

კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც ხელფასზეა დახარჯული, ანა-ზღაურებს (თუ აღარას ვიტყვით ზედმეტ შრომაზე) ახალი წარმოე-ბა. მუშა მოიხმარს ხელფასს, მაგრამ იგი იმდენსავე ახალ შრომას მიუმატებს, რამდენიც მან ძველი მოსპო, ხოლო თუ ჩვენ მთლიანად აღებულ მუშათა კლასს განვიხილავთ, დავინახავთ, რომ მუშა აკ-ვლავწარმოებს არა მარტო იმავე ღირებულებას, არამედ იმავე სახმარ ღირებულებებსაც, ასე რომ — მისი შრომის ნაყოფიერების მიხედვით — ერთი და იგივე ღირებულება, შრომის ერთი და იგივე რაოდენობა აკვლავწარმოებს თავის თავს იმავე სახმარ ღირებულე-ბათა მეტი თუ ნაკლები მასის სახით.

დროის რომელ ნებისმიერ მომენტშიც არ უნდა ავიღოთ საზოგა-

დოება, დავინახავთ, რომ ერთდროულად წარმოების ყველა სფეროში არსებობს, თუმცა მეტად სხვადასხვა შეფარდებით, განსაზღვრული მუდმივი კაპიტალი, რომელიც იგულისხმება როგორც წარმოების პირობა, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ წარმოებას ეკუთვნის და მას უნდა უბრუნდებოდეს — მსგავსად იმისა, როგორც თესლი უბრუნდება ნიადაგს. ამ მუდმივი ნაწილის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა, მართალია, კლებულობს ან მატულობს იმისდა მიხედვით, უფრო იაფი თუ უფრო ძვირი ჯდება იმ საქონელთა კვლავწარმოება, რომელთაგანაც ეს ნაწილი შედგება. მაგრამ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ასეთი ც ვ ლ ი ლ ე ბ ა არასოდეს არ უშლის ხელს იმას, რომ კაპიტალის მუდმივი ნაწილი, რაც წარმოების პროცესში წარმოების პირობის სახით შედის, წარმოადგენდეს ამ პროცესში წინასწარ მოცემულ ღირებულებას, რომელიც ხელახლა უნდა გვევლინებოდეს პროდუქტის ღირებულებაში. მაშასადამე, თვით მუდმივი კაპიტალის ღირებულების ეს ცვლილება შეიძლება აქ უყურადღებოდ დავტოვოთ. ყველა გარემოებაში მუდმივი კაპიტალი გამოდის აქ რ ო გ ო რ ც წ ა რ ს უ ლ ი, გ ა ს ა გ ნ ო ბ რ ი ვ ე ბ უ ლ ი შრომის განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც პროდუქტის ღირებულებაში გადადის ერთ-ერთი მისი განმსაზღვრელი ფაქტორის სახით. ამიტომ ჩვენ, — პრობლემა რომ უფრო მკვეთრად მოვხაზოთ, — დავუშვათ, რომ კაპიტალის მუდმივი ნაწილის წარმოების ხარჯები[42], ანუ ღირებულება, ასევე არ იცვლება, მუდმივი რჩება. საქმე სრულიად არ იცვლება აგრეთვე არც იმით, რომ, მაგალითად, ერთი წლის განმავლობაში მუდმივი კაპიტალის მთელი ღირებულება როდი გადადის პროდუქტებში, რომ იგი, — რამდენადაც ძირითადი კაპიტალის ღირებულებაზეა ლაპარაკი, — მხოლოდ მთელი რიგი წლების მანძილზე გადადის ამ დროის განმავლობაში წარმოებულ პროდუქტთა მასაში. ვინაიდან აქ ლაპარაკია მხოლოდ მუდმივი კაპიტალის იმ ნაწილზე, რომელიც ნამდვილად მოიხმარება წლის განმავლობაში და, მაშასადამე, იმავე წლის განმავლობაში უნდა ანაზღაურდეს კიდეც.

სავსებით ნათელია, რომ მუდმივი კაპიტალის კვლავწარმოების საკითხი ეკუთვნის განყოფილებას კაპიტალის კვლავწარმოების პროცესის ანუ მიმოქცევის პროცესის შესახებ, მაგრამ ეს ხელს არ უშლის იმას, რომ ძირითადი პრობლემა აქ განვიხილოთ.

[274] ავიღოთ ჯერ მუშის ხელფასი. ის ღებულობს ფულის გარკვეულ თანხას, რომელშიც მატერიალიზებულია, ვთქვათ, ათი საათის შრომა, ხოლო სამუშაო დღე, რასაც მუშა კაპიტალისტს აძლევს, შეადგენს 12 საათს. ეს ხელფასი გადაიქცევა საარსებო სა-

შუალებად. ყველა ეს საარსებო საშუალება საქონელია. იგულისხმება, რომ ამ საქონელთა ფასი უდრის მათს ღირებულებას. მაგრამ მათს ღირებულებაში არის ისეთი შემადგენელი ნაწილი, რომელიც ფარავს მათში მოთავსებულ ნედლეულისა და გაცვეთილ წარმოების საშუალებათა ღირებულებას. მაგრამ ამ საქონელთა ღირებულების ყველა შემადგენელი ნაწილი, შეიცავს, ისევე როგორც მუშის მიერ დახარჯული ხელფასი, მხოლოდ 10 საათის შრომას. — ვიგულისხმოთ, რომ ამ საქონელთა ღირებულების $^2/_3$ შედგება მათში მოქცეული მუდმივი კაპიტალის ღირებულებისაგან, ხოლო $^1/_3$, პირიქით, — შრომისაგან, რომელმაც წარმოების პროცესი დაამთავრა და პროდუქტი მოხმარების საგნად აქცია. ამრიგად, მუშა თავისი ცოცხალი შრომის 10 საათით ანაზღაურებს მუდმივი კაპიტალის $^2/_3$-ს და ცოცხალი შრომის (წლის განმავლობაში რომ საგანს მიემატა) $^1/_3$-ს. მუშის მიერ ნაყიდი საარსებო საშუალებანი — საქონელი — რომ სრულიად არ შეიცავდნენ მუდმივ კაპიტალს; მათი წარმოებისათვის აუცილებელი ნედლეული რომ არაფერი ღირდეს და შრომის არავითარი იარაღი არ იყოს საჭირო, — მაშინ შესაძლებელი იქნებოდა ორიდან ერთი. ან საქონელი იქნებოდა, უწინდებურად, 10 საათის შრომის შემცველი. ასეთ შემთხვევაში მუშა ანაზღაურებდა ცოცხალი შრომის 10 საათს ცოცხალი შრომისავე 10 საათით. ანდა სახმარ ღირებულებათა იგივე მასა, რადაც მუშის ხელფასი გადაიქცევა და რაც აუცილებელია მისი სამუშაო ძალის კვლავწარმოებისათვის, შრომის მხოლოდ 3 $^1/_3$ საათი ეღირებოდა (იგულისხმება, რომ არ არსებობს შრომის იარაღები და ისეთი ნედლეული, რომელიც თვით უკვე შრომის პროდუქტია). უკანასკნელ შემთხვევაში მუშის აუცილებელი შრომა შეადგენდა მხოლოდ 3 $^1/_3$ საათს, მისი ხელფასი კი დაიწევდა სინამდვილეში გასაგნობრივებული სამუშაო დროის 3 $^1/_3$ საათამდე.

ვიგულისხმოთ, რომ საქონელს წარმოადგენს ტილო — 12 არშინი ტილო (ჩვენ, რა თქმა უნდა, აქ სრულიად არ გვაინტერესებს, როგორია ნამდვილი ფასი) = 36 შილ., ანუ 1 გირვ. სტერლ. 16 შილინგს. ვთქვათ, ამ თანხის $^1/_3$ შეადგენს მიმატებულ შრომას, $^2/_3$ კი უწევს ნედლეულს (ნართს) და მანქანების გაცვეთას დავუშვათ, რომ აუცილებელი სამუშაო დრო უდრის 10 საათს; მაშასადამე, ზედმეტი შრომა უდრის 2 საათს. ვთქვათ, ფულით გამოხატული ერთი საათის შრომა უდრის 1 შილინგს. ასეთ შემთხვევაში 12 საათის შრომა = 12 შლინგს; ხელფასი = 10 შილ., მოგება = 2 შილინგს. ვიგულისხმოთ, რომ მთელი ხელფასი

და მთელი მოგება, რაც ერთად 12 შილინგს შეადგენს, სხვა სიტყვებით მთელი ღირებულება, ნედლეულსა და მანქანებს რომ მიემატა, ახალი სამუშაო დროის მთელი რაოდენობა, ნართის ტილოდ გადაქცევის პროცესში მატერიალიზებული, მუშამ და კაპიტალისტმა დახარჯეს ამავე ტილოს საყიდლად მოხმარების საგნის სახით. (შესაძლოა, რომ შემდგომში მუშა მის მიერვე ნაწარმოები პროდუქტის საყიდლად ერთ სამუშაო დღეზე მეტს დახარჯავს). არშინი ტილო ღირს 3 შილინგი. 12 შილინგით, თუ ხელფასსა და მოგებას შევაჯამებთ, მუშასა და კაპიტალისტს ერთად შეუძლიათ მხოლოდ 4 არშინი ტილოს ყიდვა. მაგრამ ეს 4 არშინი ტილო შეიცავს 12 საათის შრომას, საიდანაც მხოლოდ 4 წარმოადგენს ახლადმიმატებულ შრომას, 8 კი წარმოადგენს მუდმივ კაპიტალში გასაგნობრივებულ შრომას. 12 საათის შრომით ხელფასი და მოგება ერთად ყიდულობენ თავიანთი ერთობლივი პროდუქტის მხოლოდ ერთ მესამედს, რადგან ამ ერთობლივი პროდუქტის ორი მესამედი მუდმივ კაპიტალს წარმოადგენს. 12 საათის შრომა დაიშლება 4+8-ად, საიდანაც 4 ანაზღაურებს თავის ოავს, 8 კი ანაზღაურებს იმ შრომას, რომელიც, ქსოვის პროცესში მიმატებული შრომისაგან დამოუკიდებლად, ამ ქსოვის პროცესში შევიდა უკვე მატერიალიზებული ფორმით, ნართისა და მანქანის სახით.

ამრიგად, რაც შეეხება პროდუქტის, ანუ საქონლის, იმ ნაწილს, რომელსაც გაცვლიან ან იყიდიან ხელფასსა და მოგებაზე მოხმარების საგნის სახით (ან სხვა რაიმე მიზნისათვის, რაც დაკავშირებულია თვით კვლავწარმოებასთან, რადგან მიზანი, რომლისთვისაც საქონელს ყიდულობენ, სრულიად არ ცვლის საქმის მდგომარეობას), — ცხადია, რომ ამ პროდუქტის ღირებულების ნაწილს, რომელიც მუდმივ კაპიტალს შეესაბამება, იხდიან ახლადმიმატებული შრომის ფონდიდან, რაც ხელფასად და მოგებად დაიყოფა. ბევრ თუ ცოტა მუდმივ კაპიტალს, ბევრ თუ ცოტა შრომას, მიმატებულს უკანასკნელ წარმოების პროცესში, იყიდიან ხელფასითა და მოგებით, ერთად აღებულით; რა პროპორციით გადაიხლიან წარმოების უკანასკნელ სტადიაში მიმატებულ შრომას და რა პროპორციით გადაიხდიან მუდმივ კაპიტალში გასაგნობრივებულ შრომას, — ყველაფერი ეს დამოკიდებულია იმ თავდაპირველ პროპორციაზე, რომლითაც ისინი, როგორც ღირებულების შემადგენელი ნაწილები, შევიდნენ მზა საქონელში. გამარტივების მიზნით ჩვენ ვგულისხმობთ მუდმივ კაპიტალში გასაგნობრივებული შრომის ორი მესამედის შეფარდებას ახლადმიმატებული შრომის ერთ მესამედთან.

[275] ამასთან დაკავშირებით ირკვევა ორი შემდეგი მომენტი:

ჯერ ერთი. შეფარდება, რომელიც ჩვენ ვიგულისხმეთ ტილოსათვის, ე. ი. იმ შემთხვევისათვის, როცა მუშა და კაპიტალისტი ხელფასისა და მოგების რეალიზაციას ახდენენ საკუთარი წარმოების საქონელში, როცა ისინი უკანვე ყიდულობენ თავიანთი საკუთარი პროდუქტის ნაწილს, — ეს შეფარდება არ იცვლება, თუ ისინი ღირებულების იმავე თანხას სხვა პროდუქტებზე ხარჯავენ. იმ ვარაუდის თანახმად, რომ ყოველი საქონელი შეიცავს მუდმივი კაპიტალის $^2/_3$-ს და ახლადმიმატებული შრომის $^1/_3$-ს, ერთად აღებულ ხელფასსა და მოგებას მუდამ შეუძლიათ პროდუქტის მხოლოდ $^1/_3$ იყიდონ. 12 საათის შრომა=4 არშინ ტილოს. თუ ეს 4 არშინი ტილო ფულად იქცევა, იგი იარსებებს 12 შილინგის სახით. თუ ეს 12 შილინგი, თავის მხრივ, გადაიქცევა არა ტილოდ, არამედ სხვა საქონლად, მაშინ იგი იყიდის საქონელს, რომლის ღირებულება იქნება 12 საათის შრომა, საიდანაც 4 საათი შეადგენს ახლადმიმატებულ შრომას, 8 კი — მუდმივ კაპიტალში გასაგნობრივებულ შრომას. მაშასადამე, ეს შეფარდება საყოველთაო ხასიათისაა იმ ვარაუდის პირობებში, რომ სხვა საქონელში, ისევე როგორც ტილოშიც, არსებობს იგივე თავდაპირველი შეფარდება წარმოების უკანასკნელ სტადიაში მიმატებულ შრომასა და მუდმივ კაპიტალში გასაგნობრივებულ შრომას შორის.

მეორე. თუ დღის განმავლობაში ახლადმიმატებული შრომა 12 საათს უდრის, მაშინ ამ 12 საათიდან 4 ანაზღაურებს თავის თავს, ე. ი. ანაზღაურებს ახლადმიმატებულ ცოცხალ შრომას, მაშინ როდესაც 8 იხდის მუდმივ კაპიტალში გასაგნობრივებულ შრომას. მაგრამ ვინ იხდის ამ 8 საათის ცოცხალ შრომას, რაც არ ანაზღაურდება ამავე ცოცხალი შრომით? მას იხდის გასაგნობრივებული შრომის სწორედ ის 8 საათი, რასაც მუდმივი კაპიტალი შეიცავს და რაც ცოცხალი შრომის 8 საათზე გაიცვლება.

მაშასადამე, ეჭვს გარეშეა, რომ მზა საქონლის ის ნაწილი, რასაც ხელფასთა და მოგებათა მთელი ჯამით (ხელფასი და მოგება ერთად სხვა არაფერია, თუ არა მუდმივი კაპიტალისადმი ახლადმიმატებული შრომის ერთობლივი რაოდენობა) ყიდულობენ, მთელი თავისი ელემენტებით ნაზღაურდება. ნაზღაურდება ახლადმიმატებული შრომა, რომელსაც ეს ნაწილი შეიცავს, და ასევე შრომის ის რაოდენობაც, რასაც მუდმივი კაპიტალი შეიცავს. შემდეგ, სავსებით ეჭვს გარეშეა, რომ მუდმივ კაპიტალში გასაგნობრივებულმა შრომამ თავისი ეკვივალენტი მიიღო ცოცხალი, მისადმი ახლადმიმატებული შრომის ფონდიდან.

მაგრამ სწორედ აქ იწყება სიძნელე. 12 საათიანი საფეიქრო შრომის ერთობლივი პროდუქტი, — ეს ერთობლივი პროდუქტი კი ძლიერ განსხვავდება იმისგან, რაც აწარმოვა თვით საფეიქრო შრომამ, — უდრის 12 არშინ ტილოს, რომლის ღირებულებაც შეადგენს 36 საათის შრომას ანუ 36 შილინგს. მაგრამ ხელფასსა და მოგებას, ერთად აღებულს, ანუ 12 საათის ერთობლივ სამუშაო დროს შეუძლია ამ 36 საათის შრომიდან გამოისყიდოს მხოლოდ 12; სხვა სიტყვებით, ერთობლივი პროდუქტიდან ხელფასსა და მოგებას შეუძლიათ გამოისყიდონ სულ მხოლოდ 4 არშინი. არც ერთი არშინით მეტი. რაღა მოუვა დანარჩენ 8 არშინს? (ფორკადი, პრუდონი[43]).

შევნიშნავთ უწინარეს ყოვლისა, რომ 8 არშიხი სხვას არაფერს წარმოადგენს, თუ არა დახარჯულ მუდმივ კაპიტალს. მაგრამ ამ უკანასკნელმა მიიღო სახმარი ღირებულების შეცვლილი ფორმა. იგი არსებობს ახალი პროდუქტის სახით, უკვე არა ნართის, არა საქსოვი დაზგისა და სხვათა სახით, არამედ ტილოს სახით. ეს 8 არშინი ტილო, ისევე როგორც დანარჩენი 4 არშინიც, რაც ხელფასითა და მოგებით არის ნაყიდი, ღირებულების მიხედვით შედგება ერთი მესამედით ქსოვის პროცესში მიმატებული შრომისაგან და ორი მესამედით წინათ არსებული, მუდმივ კაპიტალში მატერიალიზებული შრომისაგან. მაგრამ თუ წინათ, 4 არშინის შემთხვევაში, ახლადმიმატებული შრომის ერთი მესამედი ფარავდა 4 არშინში მოთავსებულ საფეიქრო შრომას, ე. ი. თავის თავს, საფეიქრო შრომის დანარჩენი ორი მესამედი კი ფარავდა 4 არშინ ტილოში მოთავსებულ მუდმივ კაპიტალს, ახლა, პირიქით, 8 არშინ ტილოში მოთავსებულ მუდმივ კაპიტალს ფარავს მუდმივი კაპიტალის ორი მესამედი, მათში ᲐᲮᲚᲐ მოთავსებულ ახლადმიმატებულ შრომას კი — მუდმივი კაპიტალის ერთი მესამედი.

რა მოუვა ახლა ამ 8 არშინ ტილოს, რომელშიც შესულია, შეწოვილია მთელი მუდმივი კაპიტალის ღირებულება, ღირებულება, რომელიც 12 საათიანი საფეიქრო შრომის განმავლობაში პროდუქტზე გადადიოდა, მისი წარმოების პროცესში შედიოდა, ახლა კი ისეთი პროდუქტის ფორმით არსებობს, რომელიც განკუთვნილია უშუალო, ინდივიდუალური (არა საწარმოო) მოხმარებისათვის?

ეს 8 არშინი ეკუთვნის კაპიტალისტს. თუ იგი მოისურვებდა ეს 8 არშინი თვითვე მოეხმარა, — მსგავსად იმისა, როგორც მან მოიხმარა ის $^2/_3$ არშინი, რომელიც მის მოგებას წარმოადგენს, — [276] მაშინ ის ვერ შეძლებდა იმ მუდმივი კაპიტალის კვლავწარმო-

ებას, რომელიც 12 საათიან ქსოვის პროცესში მონაწილეობს; იგი საერთოდ — რამდენადაც ამ თორმეტსაათიან პროცესში მონაწილე კაპიტალზეა ლაპარაკი, — უკვე ვეღარ იმოქმედებდა როგორც კაპიტალისტი. ამრიგად, იგი ყიდის 8 არშინ ტილოს, გადააქცევს მათ ფულად, რომელიც შეადგენს 24 შილინგს, ანუ 24 სამუშაო საათს. მაგრამ სწორედ აქ ვაწყდებით სიძნელეს. ვის მიჰყიდის მათ? ვის ფულად გადააქცევს იგი მათ? ამას ჩვენ მალე დავუბრუნდებით. ჯერჯერობით კი დავაკვირდეთ პროცესის შემდეგ მსვლელობას.

როგორც კი კაპიტალისტმა ფულად აქცია, გაყიდა, საცვლელი ღირებულების ფორმაში გადაიტანა 8 არშინი ტილო, — ე. ი. თავისი პროდუქტის ღირებულების ის ნაწილი, რომელიც მის მიერ ავანსად გაღებულ კაპიტალს უდრის, — იგი მიღებული ფულით ხელახლა ყიდულობს საქონელს, რომელიც (თავისი სახმარი ღირებულებით) იმ საქონელთა გვარეობისაა, რომელთაგანაც თავდაპირველად მისი მუდმივი კაპიტალი შედგებოდა: იგი ყიდულობს ნართს, საქსოვ დაზგას და ა. შ. იგი ანაწილებს 24 შილინგს ნედლეულისა და წარმოების საშუალებათა საყიდლად ისეთი პროპორციით, როგორიც ახალი ტილოს დასამზადებლად არის საჭირო.

ამრიგად, მისი მუდმივი კაპიტალი, სახმარი ღირებულების მიხედვით, ანაზღაურებულია ისეთივე შრომის ახალი პროდუქტებით, როგორიც იყო ის პროდუქტები, რომელთაგანაც იგი თავდაპირველად შედგებოდა. კაპიტალისტმა აკვლავწარმოვა მუდმივი კაპიტალი. მაგრამ ეს ახალი ნართი, ახალი საქსოვი დაზგა და ა. შ. ისევ შედგება (ვარაუდის თანახმად) ორი მესამედით მუდმივი კაპიტალისაგან და ერთი მესამედით ახლადმიმატებული შრომისაგან. მაშასადამე, თუ პირველი 4 არშინი ტილო (ახლადმიმატებული შრომა და მუდმივი კაპიტალი) გადახდილი იყო მხოლოდ ახლადმიმატებული შრომით, ეს 8 არშინი ტილო ნაზღაურდება მოცემული წარმოებისათვის აუცილებელი ახლადწარმოებული ელემენტებით, რომლებიც შედგება ნაწილობრივ ახლადმიმატებული შრომისაგან, ნაწილობრივ მუდმივი კაპიტალისაგან. ამრიგად, როგორც ჩანს, მუდმივი კაპიტალის ნაწილი მაინც გაიცვლება სხვა ფორმით არსებულ მუდმივ კაპიტალზეე. პროდუქტების ანაზღაურება რეალური რამ არის, რადგან ნართის ტილოდ გადამუშავების იმავდროულად სელი გადამუშავდება ნართად, სელის თესლი კი — სელად; სრულიად ასევე საქსოვი დაზგის გაცვეთის იმავდროულად მზადდება ახალი საქსოვი დაზგა, ამ უკანასკნელის დამზადების დროს კი ხელახლა იწარმოება ხის მასალა და რკინა. ერთსა და იმავე დროს ხდება გარკვეული

ელემენტების წარმოება წარმოების ერთ რომელიმე სფეროში და მათი გადამუშავება მეორე სფეროში. მაგრამ ყველა ამ იმავ-დროულად მიმდინარე წარმოების პროცესში, თუმცა თვითეული მათგანი პროდუქტის დამზადების უფრო მაღალ სტადიას წარმოადგენს, მუდმივი კაპიტალი იმავდროულად მოიხმარება სხვადასხვა პროპორციით.

ამგვარად, მზა პროდუქტის, ტილოს ღირებულება იყოფა ორ ნაწილად, რომელთაგან ერთი კვლავ ყიდულობს მუდმივი კაპიტალის იმავდროულად წარმოებულ ელემენტებს, მეორე კი მოხმარების საგნებზე იხარჯება. გამარტივებისათვის ჩვენ აქ სრულიად არ ვღებულობთ მხედველობაში მოგების ნაწილის უკუგადაქცევას კაპიტალად, ე. ი. ვვარაუდობთ — როგორც მთელ ამ გამოკვლევაში, — რომ ხელფასი პლუს მოგება, ე. ი. ძირითადი კაპიტალისადმი მიმატებული შრომის მთელი რაოდენობა, მოიხმარება როგორც შემოსავალი.

რჩება მხოლოდ ერთი კითხვა: სახელდობრ ვინ ყიდულობს ერთობლივი პროდუქტის იმ ნაწილს, რომლის ღირებულებაც იმაზე იხარჯება, რომ ხელახლა იყიდონ ამ ხნის განმავლობაში ახლადწარმოებული ელემენტები მუდმივი კაპიტალისა? ვინ ყიდულობს 8 არშინ ტილოს? რათა სიძნელიდან თავის დაძვრენის ცდა გამოვრიცხოთ, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ეს ისეთი სახის ტილოა, რომელიც განკუთვნილია სპეციალურად ინდივიდუალური მოხმარებისათვის, და არა საწარმოო მოხმარებისათვის, როგორც, მაგალითად, იალქნის ტილო. აქ ჩვენ სრულიად მხედველობის გარეშე უნდა დავტოვოთ აგრეთვე წმინდა შუალედური სავაჭრო ოპერაციები, რამდენადაც ისინი მხოლოდ შუამდგომლობითი ოპერაციებია. მაგალითად, თუ 8 არშინ ტილოს მიჰყიდიან ვაჭარს და ეს ტილო გაიცვლის არა ერთი, არამედ ოცი მყიდველის ხელში, ოცჯერ მოხდება მისი ყიდვა და ხელახლა გაყიდვა, მაშინ მეოცეჯერ, იგი, ბოლოს, ვაჭარმა უნდა მიჰყიდოს ნამდვილ მომხმარებელს, — ეს უკანასკნელი, ამგვარად, სინამდვილეში ფასს უხდის ან მწარმოებელს, ანდა უკანასკნელ. მეოცე ვაჭარს, რომელიც მომხმარებლის მიმართ პირველ ვაჭარს, ე. ი. ნამდვილ მწარმოებელს წარმოადგენს. ეს შუალედური გარიგებანი გადასწევენ ანდა, თუ გნებავთ, განაშუალებენ საბოლოო გარიგებას, მაგრამ ვერ აგვიხსნიან მას. საკითხი უცვლელი რჩება იმისდა მიუხედავად, ვიკითხავთ: ვინ ყიდულობს 8 არშინ ტილოს მეფაბრიკისაგან? — თუ ვიკითხავთ: [277] ვინ ყიდულობს

მას მეოცე ვაჭრისაგან, რომლის ხელშიც იგი მთელი რიგი გაცვლითი გარიგებების მეოხებით მოხვდა?

ეს 8 არშინი ტილო სავსებით ისევე, როგორც პირველი 4 არშინიც, უნდა გადავიდეს მოხმარების ფონდში. ეს ნიშნავს, რომ მათი ფასის გადახდა შეიძლება მხოლოდ ხელფასიდან და მოგებიდან, რადგან ხელფასი და მოგება შემოსავლის ერთადერთი წყაროა მწარმოებელთათვის, რომელნიც აქ ერთადერთნი გამოდიან აგრეთვე პომხმარებელთა როლშიც. 8 არშინი ტილო შეიცავს 24 საათის შრომას. დავუშვათ (წინასწარ ჩავთვალოთ 12 საათის შრომა საყოველთაოდ მიღებულ ნორმალურ სამუშაო დღედ), რომ ორი სხვა დარგის მუშა და კაპიტალისტი მთელ თავიანთ ხელფასსა და მოგებას ხარჯავენ ტილოზე, მსგავსად იმისა, როგორც საფეიერო მრეწველობაში მუშამ და კაპიტალისტმა მთელი თავიანთი სამუშაო დღე ტილოზე დახარჯეს (მუშამ — თავისი 10 საათი, კაპიტალისტმა — მუშის მიერ ათი საათის შრომის დროს შექმნილი 2 საათი ზედმეტი ღირებულება). ასეთ შემთხვევაში ტილოს ფაბრიკანტი გაყიდდა თავის 8 არშინს; ამით ანაზღაურებული იქნებოდა მისი მუდმივი კაპიტალის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა, რომელიც 12 არშინს უწევს, და ეს ღირებულება შეიძლებოდა ხელახლა დახარჯულიყო იმ გარკვეულ საქონლებზე, რომელთაგანაც მუდმივი კაპიტალი შედგება, რადგან ბაზარზე მყოფი ეს საქონელნი — ნართი, საქსოვი დაზგა და სხვ. — იწარმოებოდა იმავე დროის განმავლობაში, როცა ნართისა და საქსოვი დაზგის ტილოდ გადამუშავება ხდებოდა. ის გარემოება, რომ წარმოება ნართისა და საქსოვი დაზგისა როგორც პროდუქტებისა იმ წარმოების პროცესის ი მ ა ვ დ რ ო უ ლ ად ხდება, რომელშიც ისინი შედიან როგორც პროდუქტები, მაგრამ რომლიდანაც გამოდიან უკვე არა დამოუკიდებელი პროდუქტების სახით, — იძლევა იმის ახსნას, თუ რატომ შეუძლია ტილოს ღირებულების იმ ნაწილს, რომელიც მასში გადამუშავებული მასალის, საქსოვი დაზგისა და სხვ. ღირებულებას უდრის, ხელახლა გარდაიქმნას ნართად, საქსოვ დაზგად და სხვ. ტილოს ელემენტების ეს წარმოება თვით ტილოს წარმოების იმავდროულად რომ არ ხდებოდეს, მაშინ არ მოხდებოდა 8 არშინი ტილოს უკუგარდაქმნა ფულიდან ტილოს მუდმივ ელემენტებად — იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი გაყიდული, ფულად გადაქცეული იქნებოდა*.

* — როგორც ეს მოსდის, მაგალითად, ამჟამად, ამერიკაში წარმოებული სამოქალაქო ომის გამო, ბამბეულის ფაბრიკანტებს ნართსა და ჩითს. მარტოოდენ მათი პროდუქტის გაყიდვა ვერ უზრუნველყოფს მათთვის აღნიშნულ უკუგარდაქმნას, რადგან ბაზარზე ბამბა არ არის.

მაგრამ, მეორე მხრივ, თუმცა ბაზარზე მოიპოვება ახალი ნართი, ახალი საქსოვი დაზგა და ა. შ., მაშასადამე, ნართის, ახალი საქსოვი დაზგის წარმოების პროცესი მზა ნართის და მზა საქსოვი დაზგის ტილოდ გარდაქმნის იმავდროულად მიმდინარეობდა; თუმცა ნართი და საქსოვი დაზგა, ამრიგად, ტილოსთან ერთდროულად იწარმოებოდა, — მიუხედავად ამისა, 8 არშინი ტილოს უკუგარდაქმნა საფეიქრო მრეწველობის მუდმივი კაპიტალის ამ ნივთიერ ელემენტებად შეუძლებელია მანამდე, ვიდრე იგი არ გაიყიდება, ვიდრე იგი ფულად არ გადაიქცევა. მაშასადამე, ტილოს ელემენტების უწყვეტ რეალურ წარმოებას, რაც მუდამ თვით ტილოს წარმოების პარალელურად მიმდინარეობს, ჯერ კიდევ არ შეუძლია აგვიხსნას მუდმივი კაპიტალის კვლავწარმოება, ვიდრე არ გვეცოდინება, თუ საიდან მოდის ფონდი, რომელიც საჭიროა იმისთვის, რომ ვიყიდოთ 8 არშინი ტილო და დავუბრუნოთ მას ფულის, თავისთავადი საცვლელი ღირებულების ფორმა.

ამ უკანასკნელი სიძნელის გადასაწყვეტად ჩვენ ვივარაუდეთ, რომ *B* და *C*, — ვთქვათ, მეწაღე და მეხორცე, — მთლიანად ხარჯავენ ტილოზე თავიანთი ხელფასისა და მოგების მთელ თანხას, ე. ი. სამუშაო დროის 24 საათს, რაც მათს განკარგულებაშია. რაც შეეხება *A*-ს, ტილოს მქსოველს, ჩვენ ამ გზით სიძნელე ავიცილეთ. მთელი მისი პროდუქტი, 12 არშინი ტილო, რაშიც რეალიზებულია 36 საათის შრომა, ანაზღაურებულია მხოლოდ ხელფასითა და მოგებით, ე. ი. *A*, *B*, *C* წარმოების სფეროებში მუდმივი კაპიტალისადმი ახლადმიმატებული სამუშაო დროის მთელი რაოდენობით. მთელი სამუშაო დრო, რასაც ტილო შეიცავს, — როგორც უკვე უწინ მის მუდმივ კაპიტალში არსებული, ისე ქსოვის პროცესში ახლადმიმატებულიც, — ახლა გაცვლილია სამუშაო დროზე, რომელიც წინათ არ არსებობდა მუდმივი კაპიტალის სახით რომელიმე წარმოების სფეროში, არამედ ერთსა და იმავე დროს მიემატა მუდმივ კაპიტალს წარმოების უკანასკნელ სტადიაში აღნიშნულ სამ — *A*, *B* და *C* — სფეროში.

ამრიგად, თუ უწინდებურად შეცდომა იქნებოდა გვეთქვა, რომ ტილოს თავდაპირველი ღირებულება დაიყოფა მხოლოდ ხელფასად და მოგებად, — რადგან სინამდვილეში იგი იყოფა ღირებულებად, რომელიც უდრის ხელფასისა და მოგების ჯამს, ე. ი. ქსოვის 12 საათს, და 24 საათის შრომად, რომელსაც, ქსოვის პროცესის მიუხედავად, ნართი, საქსოვი დაზგა, მოკლედ, მუდმივი კაპიტალი შეიცავდა, — სამაგიეროდ, პირიქით, სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ 12

არშინი ტილოს ეკვივალენტი, ე. ი. 36 შილინგი, რა ფასადაც აღნიშნული 12 არშინი გაიყიდა, დაიყოფა მხოლოდ ხელფასად და მოგებად, რომ, მაშასადამე, არა მარტო მქსოველის შრომა, არამედ ის შრომაც, რასაც ნართი და საქსოვი დაზგა შეიცავენ, ანაზღაურებულია მხოლოდ ახლადმიმატებული შრომით, სახელდობრ: 12 საათის შრომით *A*-ში, 12 საათის *B*-ში და 12 საათის *C*-ში.

თვით გაყიდული საქონლის ღირებულება იყოფა [278]ახლადმიმატებულ შრომად (ხელფასად და მოგებად) და წინათ შესრულებულ შრომად (მუდმივი კაპიტალის ღირებულებად); ასეთია საქონლის ღირებულება გამყიდველისათვის (და ეს არის კიდეც საქონლის ნამდვილი ღირებულება). პირიქით, ღირებულება, რომელიც ამ საქონელს აყიდულობს, — ეკვივალენტი, რასაც მყიდველი გამყიდველს აძლევს, დაყვანილია ჩვენს მაგალითში მხოლოდ ახლადმიმატებულ შრომაზე, ხელფასსა და მოგებაზე. მაგრამ რადგან ყოველი საქონელი მანამდე, სანამ იგი გაიყიდება, გასაყიდი საქონელია და ფულად მხოლოდ ფორმის უბრალო შეცვლით გადაიქცევა, ამიტომ ყოველი საქონელი როგორც გასაყიდი საქონელი უნდა შედგებოდეს ასეთ შემთხვევაში ღირებულების სხვა შემადგენელი ნაწილებისაგან, ვიდრე ის ნაწილებია, რომელთაგანაც იგი შედგება როგორც მყიდველი საქონელი (როგორც ფული). ეს კი უაზრობაა. შემდეგ საზოგადოების მიერ, მაგალითად, ერთი წლის განმავლობაში შესრულებული შრომა არა მარტო დაფარავდა თავის თავს, — ისე რომ, თუ საქონელთა მთელ მასას ორ თანაბარ ნაწილად დავყოფდით, წლიური შრომის ერთი ნახევარი შეადგენდა ეკვივალენტს მეორე ნახევრისათვის, — მაგრამ შრომის ის ერთი მესამედი, რასაც ერთობლივ შრომაში, რომელსაც წლიური პროდუქტი შეიცავს, მიმდინარე წლის შრომა შეადგენს, დაფარავდა შრომის სამ მესამედს, ე. ი. თვით მასთან შედარებით სამჯერ უფრო მეტი სიდიდის იქნებოდა. ეს კიდევ მეტი უაზრობაა.

ზემოაღნიშნულ მაგალითში ჩვენ ადგილი გადავუნაცვლეთ სიძნელეს, გადავიტანეთ იგი *A*-დან *B*-სა და *C*-ზე. მაგრამ ამით იგი მხოლოდ გაიზარდა, სრულიადაც არ გამარტივებულა. ჯ ე რ -ე რ თ ი, ვიდრე საქმე მარტო *A*-სთან გვქონდა, ჩვენთვის ის გამოსავალი ახსებობდა, რომ 4 არშინი ტილო, რომელიც იმდენსავე სამუშაო დროს შეიცავს, რამდენიც ნართის მიემატა, — ეს კი მოგებისა და ხელფასის ჯამს შეადგენს *A* სფეროში, — რომ 4 არშინი მოიხმარება თვით ტილოსავე სახით, საკუთარი შრომის პროდუქტის სახით. სხვაგვარადაა საქმის ვითარება *B*-სა და *C*-ს მიმართ, რადგან

მათ მიერ მიმატებული სამუშაო დროის რაოდენობას — ხელფასისა და მოგების ჯამს — ისინი მოიხმარენ *A* სფეროს პროდუქტში, ტილოში, მაშასადამე, არა *B*-სა და *C*-ს პროდუქტში. ამრიგად, მათ უნდა გაყიდონ თავიანთი პროდუქტის არა მარტო ის ნაწილი, რომელიც მუდმივ კაპიტალში მოთავსებულ 24 საათის შრომას წარმოადგენს, არამედ თავიანთი პროდუქტის ის ნაწილიც, რომელიც მუდმივი კაპიტალისადმი ახლადმიმატებული სამუშაო დროს, 12 საათს წარმოადგენს. *B* სფერომ უნდა გაყიდოს 36 სამუშაო საათი და არა მხოლოდ 24, როგორც ეს *A* სფეროში იყო. ასევეა *C*-ს მიმართაც. მ ე ო რ ე, იმისათვის, რომ *A* სფეროს მუდმივი კაპიტალი გავყიდოთ, გავასაღოთ, ფულად ვაქციოთ, საჭიროა ძველი ახლადმიმატებული შრომა არა მარტო *B* სფეროსი, არამედ *C* სფეროსიც. მ ე ს ა მ ე, *B*-სა და *C*-ს არ შეუძლიათ მიჰყიდონ A სფეროს თავიანთი პროდუქტის არც ერთი ნაწილი, რადგან *A* სფეროს პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც შემოსავალს წარმოადგენს, უკვე დახარჯულია თვით *A* სფეროში *A*-ს პროდუქტის მწარმოებელთა მიერ. *B*-სა და *C*-ს არ შეუძლიათ ავრეთვე *A*-ს მუდმივი ნაწილის ანაზღაურება თავიანთი საკუთარი პროდუქტის არც ერთი ნაწილით, რადგან, ნავარაუდევის თანახმად, მათი პროდუქტები წარმოადგენენ არა *A* წარმოების ელემენტებს, არამედ ინდივიდუალურ მოხმარებაში შემავალ საქონელს. რაც უფრო შორს მივდიკართ, სიძნელეც უფრო იზრდება.

იმისათვის, რომ 36 საათი, რასაც *A* პროდუქტი შეიცავს (სახელდობრ, $^2/_3$, ანუ 24 საათი, რასაც მუდმივი კაპიტალი შეიცავს, და $^1/_3$, ანუ 12 საათი ახლადმიმატებული შრომისა) შეგვძლებოდა გაგვეცვალა მხოლოდ იმ შრომაზე, რაც მუდმივ კაპიტალს მიემატა,—ამისათვის საჭირო იყო *A*-ს ხელფასსა და მოგებას ე. ი. *A*-ში მიმატებულ 12 სამუშაო საათს, თვით მოეხმარათ ამავე სფეროს პროდუქტის $^1/_3$. ერთობლივი პროდუქტის დახარჩენი $^2/_3$, ე. ი. 24 საათი, წარმოადგენდა მუდმივ კაპიტალში მოქცეულ ღირებულებას. ეს ღირებულება გაცვლილ იქნა *B* და *C* სფეროების ხელფასისა და მოგების მთელ ჯამზე, ე. ი. *B* და *C* სფეროებში ახლად მიმატებულ შრომაზე. მაგრამ *B* და *C* სფეროებმა ტილოს ყიდვა რომ შეძლონ მათს პროდუქტებში მოთავსებულ იმ 24 საათის ოდენობით, რომელიც ხელფასს [და მოგებას] წარმოადგენს, მათ უნდა გაყიდონ ეს 24 საათი თავიანთი საკუთარი პროდუქტების სახით. გარდა ამისა, 48 საათი თავიანთი საკუთარი წარმოების პროდუქტების სახით უნდა გაყიდონ მუდმივი კაპიტალის ასანაზღაურებლად. ამრიგად, მათ უნდა გაყიდონ *B* და *C*-ს პრო-

დუქტები 72 საათის რაოდენობით წარმოების სხვა სფეროთა — D, E და სხვ. მოგებისა და ხელფასის ერთობლივი ჯამის ნაცვლად ამასთან (თუ ვიგულისხმებთ, რომ ნორმალური სამუშაო დრო 12 საათს უდრის) B და C-ს პროდუქტების საყიდლად უნდა დაიხარჯოს 12×6, ე. ი. 72 საათი,—ე. ი. წარმოების ექვს სხვა სფეროში ახლადმიმატებული შრომა; [279] მაშასადამე, უნდა დაიხარჯოს D, E, F, G, H, I, სფეროთა მოგება და ხელფასი, სხვა სიტყვებით—ამ სფეროებში საათანადო მუდმივი კაპიტალებისადმი მიმატებული შრომის მთელი რაოდენობა.

ამ პირობებში $B + C$-ს ერთობლივი პროდუქტის ღირებულება ანაზღაურებული იქნებოდა მარტოოდენ ახლადმიმატებული შრომით, ე. ი. ხელფასისა და მოგების ჯამით წარმოების ექვს სფეროში — D, E, F, G, H, I მაგრამ ამ ექვს სფეროში მთელი ერთობლივი პროდუქტი ისევ უნდა გაიყიდოს (რადგან პროდუქტების არც ერთი ნაწილი არ მოიხმარება თვით მათი მწარმოებლების მიერ, რომლებშაც მთელი თავიანთი შემოსავალი უკვე B და C-ს პროდუქტებში მოათავსეს), და ამ ერთობლივი პროდუქტის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება რეალიზებულ იქნეს ამავე სფეროების შიგნით. მაშასადამე, ლაპარაკია 6 × 36 საათის შრომის, ე. ი. 216 საათის შრომის პროდუქტზე, რომელთაგანაც 144 საათი უწევს მუდმივ კაპიტალს და 72 (ე. ი. 6×12)—ახლადმიმატებულ შრომას. იმისათვის, რომ D-სა და სხვათა პროდუქტები ახლა, თავის მხრივ, მსგავსი წესით გადავაქციოთ ხელფასად და მოგებად, ე. ი. ახლადმიმატებულ შრომად, საჭირო იქნებოდა მთელი ახლადმიმატებული შრომა წარმოების 18 სფეროში K^1—K^{18}, ე. ი. ამ სფეროების ხელფასისა და მოგების ერთობლივი ჯამი მთლიანად D, E, F, G, H, I სფეროების პროდუქტებზე დახარჯულიყო. ამ 18 სფეროს K^1—K^{18}, რომელთაც თვით არ მოუხმარიათ თავიანთი პროდუქტის მცირეოდენი ნაწილიც კი, არამედ პირიქით, მთელი თავიანთი პროდუქტი უკვე დახარჯეს ექვს სფეროში D—I, უნდა გაყიდონ, თავის მხრივ, 18×36 საათის შრომა, ე. ი. 648 საათის შრომა, რომელთაგან 18 × 12 (216 საათი) გამოხატავდა ბოლოს მიმატებულ შრომას, 432 საათი კი — შრომას, რომელსაც მუდმივი კაპიტალი შეიცავს. მაშასადამე K^1—K^{18} სფეროების ეს ერთობლივი პროდუქტი რომ დავიყვანოთ სხვა სფეროებში ახლად მიმატებულ შრომაზე, სხვა სიტყვებით, ხელფასსა და მოგების ჯამზე, — ამისათვის საჭირო იქნებოდა L^1 — L^{54} სფეროების ახლადმიმატებული შრომა, სახელდობრ 12 × 54 = 648 საათის შრომა. L^1 — L^{54} სფეროებს, — იმისა-

თვის, რომ გაეცვალათ ახლადმიმატებულ შრომაზე თავიანთი ერთობლივი პროდუქტი, რომელიც უდრის 1 944 საათს (საიდანაც 648 = 12 × 54 უდრის ახლადმიმატებულ შრომას, 1 294 საათის შრომა კი უდრის მუდმივ კაპიტალში მოთავსებულ შრომას), — უნდა შთაენთქათ $M^1 - M^{162}$ სფეროების ახლადმიმატებული შრომა, რადგან 162 × 12 = 1 944: ამ უკანასკნელ სფეროებს უნდა შთაენთქათ, თავის მხრივ, $N^1 - N^{486}$ სფეროების ახლადმიმატებული შრომა, და ა. შ.

ასეთია ის შესანიშნავი progressus in infinitum *, რომელთანაც ჩვენ მივყავართ იმის ვარაუდს, თითქოს ყველა პროდუქტის ღირებულება დაიყვანება ხელფასსა და მოგებაზე, ე. ი. ახლადმიმატებულ შრომაზე, და თითქოს არა მარტო შრომა, რომელიც საქონელს ახლად მიემატა, არაპირდ მუდმივი კაპიტალიც, რომელსაც ეს საქონელი შეიცავს, უნდა ანაზღაუროს წარმოების რომელიმე სხვა სფეროში ახლადმიმატებულმა შრომამ.

იმისათვის, რომ A-ს პროდუქტში მოთავსებული სამუშაო დრო, 36 საათი (1/3 — ახლადმიმატებული შრომა, 2/3 — მუდმივი კაპიტალი), ახლადმიმატებულ შრომაზე დაგვეყვანა, ე. ი. გვეგარაუდნა, რომ მას ანაზღაურებს ხელფასი და მოგება, ჩვენ, პირველ რიგში, ვიგულისხმეთ, რომ პროდუქტის 1/3-ს (ამ მესამედის ღირებულება უდრის ხელფასისა და მოგების ჯამს) მოიხმარენ ან, რაც იგივეა, ყიდულობენ თვით A სფეროს მწარმოებლები. შემდგომი მსჯელობა ასეთი იყო [44]:

1) წარმოების სფერო A. პროდუქტი = 36 საათის შრომას. 24 საათის შრომა მუდმივი კაპიტალია. 12 საათი ახლადმიმატებული შრომაა. პროდუქტის 1/3-ს ძოიხმარენ ამ 12 საათის გახაწილებაში მონაწილე მხარეები — ხელფასი და მოგება, მუშები და კაპიტალისტები. გასაყიდი რჩება კიდევ A-ს პროდუქტის 2/3, რაც უდრის 24 საათის შრომას, რომელსაც მუდმივი კაპიტალი შეიცავს.

2) წარმოების სფეროები $B^1 - B^2$. პროდუქტი = 72 საათის შრომას; აქედან 24 მიმატებული შრომაა, 48 კი — მუდმივი კაპიტალი. მიმატებული შრომით ეს სფეროები ყიდულობენ A-ს პროდუქტის იმ ორ მესამედს, რომელიც ანაზღაურებს A-ს კაპიტალის ღირებულებას. მაგრამ საერთოდ $B^1 - B^2$ სფეროებმა უნდა გაყიდონ 72 სამუშაო საათი, რაც მათი ერთობლივი პროდუქტის ღირებულებას შეადგენს.

3), წარმოების სფეროები $C^1 - C^6$. პროდუქტი = 216

* — პროგრესი უსასრულობაში. რ ე დ.

საათის შრომას; აქედან 72 ახლადმიმატებული შრომაა (ხელფასი და მოგება). მიმატებული შრომით ისინი ყიდულობენ B^1 — B^2 სფეროების მთელ პროდუქტს. მაგრამ უნდა გაყიდონ მათ 216, საიდანაც 144 მუდმივი კაპიტალია.

[280] 4) წარმოების სფეროები D^1 — D^{18}. პროდუქტი = 648 საათის შრომას; 216 მიმატებული შრომაა და 432 — მუდმივი კაპიტალი. მიმატებული შრომით ისინი ყიდულობენ C^1 — C^6 წარმოების სფეროთა ერთობლივ პროდუქტს. მაგრამ მათ გასაყიდი აქვთ 648.

5) წარმოების სფეროები E^1 — E^{54}. პროდუქტი = 1944 საათის შრომას; 648 მიმატებული შრომაა და 1296 — მუდმივი კაპიტალი. ისინი ყიდულობენ D^1 — D^{18} წარმოების სფეროთა ერთობლივ პროდუქტს. მაგრამ გასაყიდი აქვთ 1 944.

6) წარმოების სფეროები F^1 — F^{162}. პროდუქტი = 5 832. აქედან 1 944 მიმატებული შრომაა და 3 888—მუდმივი კაპიტალი. 1 944-ით ისინი ყიდულობენ E^1 — E^{54} სფეროების პროდუქტს. გასაყიდი აქვთ 5 832.

7) წარმოების სფეროები G^1— G^{486}.

გამარტივებისათვის თვითეულ წარმოების სფეროში იგულისხმება ყოველთვის მხოლოდ ერთი 12 საათიანი სამუშაო დღე, რომელიც ნაწილდება კაპიტალისტსა და მუშას შორის. ამ სამუშაო დღეთა რიცხვის გადიდება არ წყვეტს საკითხს, არამედ ტყუილუბრალოდ ართულებს მას.

ამრიგად, ამ მწკრივის კანონის უფრო ნათლად წარმოდგენისათვის:

1) A. პროდუქტი=36 საათს; მუდმივი კაპიტალი=24 საათს. ხელფასისა და მოგების ჯამი ანუ ახლადმიმატებული შრომა = 12 საათს. ამ უკანასკნელს მოიხმარენ კაპიტალი და შრომა თვით A სფეროს პროდუქტის სახით.

A სფეროს გასაყიდი პროდუქტი = მის მუდმივ კაპიტალს = 24 საათს.

2) B^1 — B^2. აქ გვჭირდება ჩვენ 2 სამუშაო დღე, მაშასადამე, ორი წარმოების სფერო, იმისათვის, რომ ანაზღაურდეს A სფეროს 24 საათი.

პროდუქტი = 2 × 36 = 72 საათს, საიდანაც 24 საათი მიმატებული შრომაა, 48 კი — მუდმივი კაპიტალი.

B^1 და B^2 სფეროების გასაყიდი პროდუქტი = 72 სამუშაო საათს; არც ერთი მისი ნაწილი არ მოიხმარება თვით ამ სფეროებში.

6) $C^1 - C^6$. აქ გვჭირდება 6 სამუშაო დღე, რადგან 72 = 12 × 6 და $B^1 - B^2$-ის მთელი პროდუქტი უნდა მოიხმაროს $C^1 - C^6$ სფეროებში მიმატებულმა შრომამ. პროდუქტი = 6 × 36 = 216 სამუშაო საათს, საიდანაც 72 ახლადმიმატებული შრომაა, 144 კი — მუდმივი კაპიტალი.

18) $D^1 - D^{18}$. აქ გვჭირდება 18 სამუშაო დღე, რადგან, 216 = 12 × 18. რადგან სამუშაო დღეს მუდმივი კაპიტალის $^2/_3$ უწევს, ამიტომ ერთობლივი პროდუქტი = 18 × 36 = 648 (432 მუდმივი კაპიტალია).

და ა. შ.

აბზაცების დასაწყისში დასმული ციფრები 1, 2 დ. ა. შ. აღნიშნავენ სამუშაო დღეების ან სხვადასხვა სახის შრომის რაოდენობას წარმოების სხვადასხვა სფეროში, რადგან თვითეული სფეროსათვის ჩვენ ვვარაუდობთ ერთ სამუშაო დღეს.

ამრიგად: 1) *A*. პროდუქტი = 36 საათს. მიმატებული შრომა 12 საათია, გასაყიდი პროდუქტი (მუდმივი კაპიტალი) = 24 საათს.

ანდა:

1) A. გასაყიდი პროდუქტი, ანუ მუდმივი კაპიტალი = 24 საათს, ერთობლივი პროდუქტი = 36 საათს. მიმატებული შრომა = 12 საათს. ეს უკანასკნელი მოხმარებულია თვით *A* სფეროში.

2) $B^1 - B^2$. მიმატებული შრომით ეს სფეროები ყიდულობენ *A* სფეროს 24 საათს. მუდმივი კაპიტალი — 48 საათი. ერთობლივი პროდუქტი — 72 საათი.

6) $C^1 - C^6$. მიმატებული შრომით ისინი ყიდულობენ $B^1 - B^2$ სფეროების 72 საათს (= 12×6). მუდმივი კაპიტალი — 144, ერთობლივი პროდუქტი — 216. და ა. შ.

[281] ამრიგად:

1) *A*. პროდუქტი = 3 სამუშაო დღეს (36 საათს). 12 საათს შეადგენს ახლადმიმატებული შრომა, 24 საათს — მუდმივი კაპიტალი.

2) B^{1-2}. პროდუქტი = 2 × 3 = 6 სამუშაო დღეს (72 საათს). მიმატებული შრომა = 12 × 2 = 24 საათს. მუდმივი კაპიტალი = 48 = 2 × 24 საათს,

6) C^{1-6}. პროდუქტი = 3 × 6 სამუშაო დღეს = 3 × 72 საათს = 216 საათის შრომას. მიმატებული შრომა =

6 × 12 სამუშაო საათს (= 72 საათის შრომას). მ უ დ მ ი ვ ი კ ა-პ ი ტ ა ლ ი = 2 × 72 = 144.

18) D^{1-18}. პ რ ო დ უ ქ ტ ი = 3 × 3 × 6 სამუშაო დღეს = 3 × 18 სამუშაო დღეს = 54 სამუშაო დღეს = 648 საათის შრომას. მიმატებული შრომა = 12 × 18 = 216. მუდმივი კაპიტალი = 432 საათის შრომას.

54) E^{1-54}. პ რ ო დ უ ქ ტ ი = 3 × 54 სამუშაო დღეს = 162 სამუშაო დღეს = 1944 საათის შრომას. მიმატებული შრომა = 54 სამუშაო დღეს = 648 საათის შრომას; მუდმივი კაპიტალი = 1296 საათის შრომას.

162) F^1 — F^{162}. პ რ ო დ უ ქ ტ ი = 3 × 162 სამუშაო დღეს = 486 სამუშაო დღეს = 5832 საათის შრომას; აქედან 162 სამუშაო დღე, ე. ი. 1944 საათის შრომა, მიმატებული შრომაა, 3888 საათის შრომა კი — მუდმივი კაპიტალი.

486) G^{486}. პ რ ო დ უ ქ ტ ი = 3 × 486 ს ა მ უ შ ა ო დ ღ ე ს საიდანაც 486 სამუშაო დღე, ე. ი. 5832 საათის შრომა, მიმატებული შრომაა, 11664 საათის შრომა კი — მუდმივი კაპიტალი.

და ა. შ.

აქ ჩვენ გვექნებოდა საკმაოდ დიდი ჯამი, რომელიც შედგება 1+2+6+18+54+162+486 სხვადასხვა სამუშაო დღიდან წარმოების სხვადასხვა სფეროებში, 729 სხვადასხვა სფეროში, რაც უკვე მნიშვნელოვნად დანაწევრებულ საზოგადოებას გულისხმობს.

A სფეროს ერთობლივი პროდუქტიდან, — სადაც 2 სამუშაო დღის ოდენობის მუდმივ კაპიტალს მიემატება მხოლოდ 12 საათის შრომა, ე. ი. 1 სამუშაო დღე, ხელფასი და მოგება კი თავიანთ საკუთარ პროდუქტს მოიხმარენ, — მარტო 24 საათის ოდენობის მუდმივი კაპიტალის გასაყიდად, თანაც მხოლოდ ახლადმიმატებულ შრომაზე, ხელფასსა და მოგებაზე გასაცვლელად, ჩვენ გვჭირდება: 2 სამუშაო დღე B^1 და B^2 სფეროებში. ძაგრამ ამ ორ დღეს უწევს მუდმივი კაპიტალის 4 სამუშაო დღე, ასე რომ ერთობლივი პროდუქტი B^{1-2} უდრის 6 სამუშაო დღეს. ეს უკანასკნელი უნდა გაიყიდოს მ თ ლ ი ა ნ ა დ, რადგან ა ქ ე დ ა ნ დ ა ნ წ ე ვ რ ე ბ უ ლ ი იგულისხმება, რომ ყოველი მომდევნო სფერო არაფერს არ მოიხმარს თავისი საკუთარი პროდუქტიდან, თავის მოგებასა და ხელფასს კი ხარჯავს მარტო წინა სფეროს პროდუქტზე. ამ 6 სამუშაო დღის ასანაზღაურებლად, რასაც B^{1-2}-ს პროდუქტი შეიცავს, საჭიროა 6 სამუშაო დღე, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს 12 სამუშაო დღის ოდენობის მუდმივ კაპიტალს. ამიტომ C^{1-6}-ის ერთობლივი პრო-

დუქტი უდრის 18 სამუშაო დღეს. იმისათვის, რომ ისინი ახლად-მიმატებული შრომით ავანაზღაუროთ, აუცილებელია 18 სამუშაო დღე (D^{1-18}), ეს უკანასკნელი კი კვლავ გულისხმობს მუდმივ კაპიტალს 36 სამუშაო დღის ოდენობით. მაშასადამე, იგულისხმება 54 სამუშაო დღის პროდუქტი. ამ უკანასკნელთა ასანაზღაურებლად საჭიროა E^{1-54}-ის 54 სამუშაო დღე, რომელიც გულისხმობს მუდმივ კაპიტალს 108-ის ოდენობით. პროდუქტი უდრის 162 სამუშაო დღეს. დასასრულ, ამ უკანასკნელთა ასანაზღაურებლად საჭიროა 162 სამუშაო დღე, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს მუდმივ კაპიტალს 324 სამუშაო დღის ოდენობით; მაშასადამე, საჭიროა 486 სამუშაო დღის ერთობლივი პროდუქტი. ასეთია F^1-F^{162} სფეროების პროდუქტი. ბოლოს, იმისათვის, რომ F^{1-162} სფეროს ეს პროდუქტი ანაზღაურდეს, საჭიროა 486 სამუშაო დღე (G^{1-486}), რაც გულისხმობს მუდმივ კაპიტალს 972 სამუშაო დღის ოდენობით. მაშასადამე, G^{1-486} სფეროს ერთობლივი პროდუქტი = 972 + 486 = = 1458 სამუშაო დღეს.

მაგრამ ვიგულისხმოთ ახლა, რომ G სფეროს მიმართ მივაღწიეთ საზღვარს, რომლის იქით წასვლა აღარ შეიძლება, — [282] ყველა საზოგადოებაში ხომ ზემოაღნიშნული გადასვლა ერთი სფეროდან მეორეზე მალე უნდა წააწყდეს საზღვარს. როგორია ასეთ შემთხვევაში საქმის ვითარება? ჩვენ გვაქვს პროდუქტი, რომელიც შეიცავს 1458 სამუშაო დღეს, ამასთან ამ დღეებიდან 486 უწევს ახლადმიმატებულ შრომას, 972 კი — მუდმივ კაპიტალში რეალიზებულ შრომას. ახლადმიმატებული შრომის 486 დღე შეიძლება გაიცვალოს წინა სფეროში F^{1-162}-ში მაგრამ რით შეიძლება იმ 972 სამუშაო დღის ყიდვა, რასაც მუდმივი კაპიტალი შეიცავს? G^{486}-ს საზღვრებს იქით უკვე არ არსებობს წარმოების არავითარი ახალი სფერო, მაშასადამე, გაცვლის არავითარი ახალი სფეროც. მის წინა სფეროებში კი, გარდა F^{1-162}-ისა, არაფერის გაცვლა არ შეიძლება. თვით G^{1-486} სფერომაც მთელი მასში მოთავსებული ხელფასი და მოგება უკანასკნელ სანტიმამდე F^{1-162} სფეროში დაანარჯა. ამრიგად, G^{1-486} სფეროს ერთობლივ პროდუქტში რეალიზებული 972 სამუშაო დღე, რაც მასში ჰოთავსებული მუდმივი კაპიტალის ღირებულებას უდრის, გაუყიდავი რჩება. მაშასადამე, ჩვენ სრულიად არ გვიშველია იმან, რომ სიძნელე, რასაც წავაწყდით,—8 არშინი ტილო A სფეროში, ანუ 24 საათის შრომა, 2 სამუშაო დღე, რაც ამ სფეროს პროდუქტში მუდმივი კაპიტალის ღირებულებას წარმოადგენს. თითქმის 800 წარმოების დარგით გადავწიეთ.

სრულიად არ უშველის საქმეს ის ვარაუდიც, თითქოს სხვა შედეგს მივიღებდით, თუ, ვთქვათ, *A* სფერო მთელ თავის მოგებასა და ხელფასს ტილოზე კი არ დახარჯავდა, არამედ მათი ნაწილით *B* და *C* სფეროების პროდუქტებს შეიძენდა. ხარჯების საზღვარს წარმოადგენს შრომის საათების რაოდენობა, რასაც *A*, *B*, *C* სფეროები შეიცავენ, რის გამოც ამ სფეროებს შეუძლიათ ყველა გარემოებაში თავიანთ განკარგულებაში ჰქონდეთ სამუშაო დროის მხოლოდ ისეთი რაოდენობა, რომელიც მათ მიერ მიმატებულ შრომას უდრის. თუ ერთ რომელიმე პროდუქტს ისინი უფრო მეტი რაოდენობით იყიდულობენ, მეორე პროდუქტი სამაგიეროდ უფრო ცოტა რაოდენობით უნდა იყიდონ. ეს მხოლოდ გაანგარიშების არევ-დარევას გამოიწვევდა, მაგრამ ვერასგზით ვერ შეცვლიდა შედეგს.

ამრიგად, როგორ მოვიქცეთ?

ზემომოყვანილ გაანგარიშებაში ჩვენ გვაქვს:

	პროდუქტი სამუშაო დღეებით	მიმატებული შრომა	მუდმივი კაპიტალი
A) =	3	1	2
B) =	6	2	4
C) =	18	6	12
D) =	54	18	36
E) =	162	54	108
F) =	486	162	324
სულ:	729	243	486

(A სფეროს პროდუქტის 1/3 მოიხმარება იმავე სფეროში) ამ გაანგარიშებაში უკანასკნელი 324 სამუშაო საათი (მუდმივი კაპიტალი *F*-ში) ის მუდმივი კაპიტალის მსგავსი რომ იყოს, რომელსაც მიწათმოქმედი თვით ინახლაურებს, რაკი მას თავის პროდუქტს აკლებს და მიწას უბრუნებს, რომელიც, მაშასადამე, არ უნდა ანახლაურდეს ახალი შრომით, — მაშინ გაანგარიშება მართებული იქნებოდა. მაგრამ გამოცანა ამოხსნილი იქნებოდა მხოლოდ იმით, რომ მუდმივი კაპიტალის ნაწილი თვითონ ანახლაურებს თავის თავს.

ამრიგად, ჩვენს გაანგარიშებაში, მართლაც მოხმარებაზე წავიდა 243 სამუშაო დღე, რაც ახლადმიმატებულ შრომას შეესაბამება. უკანასკნელი პროდუქტის ღირებულება, რომელიც 486 სამუშაო დღეს უდრის, უდრის *A—F*-ში მოთავსებული ერთობლივი კაპიტალის ღირებულებას, რაც აგრეთვე 486 სამუშაო დღეს უდრის. იმისათვის, რომ ეს ავხსნათ, ჩვენ ვვარაუდობდით, რომ *G*-ში ახალი შრომის 486 დღეა. მაგრამ ამით ჩვენ მხოლოდ იმას ვაღწევთ, რომ ნაცვლად იმ საკითხის განხილვისა, რომელიც მუდმივი კაპიტალის 486 დღეს ეხება, [283] ის სიამოვნება მოგველის, რომ განვიხი-

ლოთ 972 სამუშაო დღის შემცველი მუდმივი კაპიტალი, რაც 1458 სამუშაო დღის შემცველი G სფეროს პროდუქტში შედის (972 მუდმივი კაპიტალისა + 486 შრომისა). თუ მოვინდომებდით თავი დაგვეღწია სიძნელისათვის იმ ვარაუდით, რომ G სფეროში შრომის პროცესი მუდმივი კაპიტალის გარეშე მიმდინარეობს, ისე რომ პროდუქტი უდრის ახლადმიმატებული შრომის მხოლოდ 486 დღეს. მაშინ ჩვენი გაანგარიშება უნაშთოდ დასრულდებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ იხდის პროდუქტის ღირებულების იმ შემადგენელ ნაწილს, რაც მუდმივ კაპიტალს შეესაბამება, გადაწყვეტილი აღმოჩნდებოდა მხოლოდ ისეთი შემთხვევის ვარაუდით, როცა მუდმივი კაპიტალი უდრის ნულს, როცა იგი, მაშასადამე, პროდუქტის ღირებულების არავითარ შემადგენელ ნაწილს არ შეადგენს.

იმისათვის, რომ A-ს ერთობლივი პროდუქტი მთლიანად გაიყიდოს ახლადმიმატებულ შრომაზე გაცვლით; იმისათვის, რომ იგი ხელფასსა და მოგებამდე დავიდეს, — A, B, და C სფეროებში მ ი მ ა ტ ებ უ ლ ი მ თ ე ლ ი შ რ ო მ ა [45] უნდა დაიხარჯოს A სფეროს შრომის პროდუქტის სახით. სწორედ ასევე, იმისათვის, რომ $B+C$ სფეროების მთელი პროდუქტი გაიყიდოს, მასზე უნდა გაიცვალოს $D^1 — D^{18}$ სფეროებში მიმატებული მთელი შრომა [46]. ამგვარადვე, $D^1 — D^{18}$ სფეროების მთელი პროდუქტის საყიდლად საჭიროა E^{1-54} სფეროში მიმატებული მთელი შრომა. E^{1-54} სფეროს მთელი პროდუქტის საყიდლად საჭიროა F^{1-162} სფეროში მიმატებული მთელი შრომა. და, ბოლოს, F^{1-162} სფეროს მთელი პროდუქტის საყიდლად საჭიროა G^{1-486} სფეროში მიმატებული მთელი სამუშაო დრო. დასასრულ, წარმოების ამ 485 სფეროში, რომლებიც წარმოდგენილია G^{1-486} სფეროთი, მთელი მიმატებული სამუშაო დრო უდრის F-ის 162 სფეროს მთელ პროდუქტს, ამასთან მთელი ეს პროდუქტი, რომელსაც შრომა ანაზღაურებს, A, B^{1-2}, C^{1-6}, D^{1-18}, E^{1-54}, F^{1-162} სფეროების მუდმივი კაპიტალის თანატოლია. მაგრამ G სფეროს მუდმივი კაპიტალი, რომელიც ორჯერ მეტია $A — F^{1-162}$ სფეროებში გამოყენებულ მუდმივ კაპიტალზე, აუნაზღაურებელი დარჩა, და არც შეიძლება ანაზღაურდეს.

მართლაც, ჩვენ დავინახეთ, — რამდენადაც, ჩვენი ვარაუდის თანახმად, ყოველ წარმოების სფეროში ახლადმიმატებული შრომის-შეფარდება წარსულ შრომასთან უდრის 1:2,—რომ წინა სფეროების პროდუქტის საყიდლად საჭიროა ყოველთვის იმ ახალი სფეროების ახლადმიმატებული შრომა, რომელთა რიცხვი ორჯერ მე-

ტია (ერთად აღებულ ყველა წინა სფეროზე) [47]. A სფეროს ერთობლივი პროდუქტის საყიდლად საჭიროა A და B^{1-2} სფეროების მიმატებული შრომა, C^{1-6} სფეროს პროდუქტის საყიდლად საჭიროა 18 D-ს, ანუ D^{1-18}-ს მიმატებული პროდუქტი (ე. ი. 2×9) და ა. შ. მოკლედ რომ ვთქვათ, მუდამ საჭიროა [კიდევ] — ახლადმიმატებული შრომის ორმაგი რაოდენობა იმ შრომასთან შედარებით, რომელსაც თვით პროდუქტი შეიცავს. ასე რომ წარმოების უკანასკნელი სფეროს, G-ს, მიმართ საქმის ვითარება ისეთია, რომ ამ სფეროს მთელი პროდუქტის საყიდლად საჭირო იქნებოდა [კიდევ] ორმაგი რაოდენობა ახლადმიმატებული შრომისა აქ მოცემულ შრომასთან შედარებით. ერთი სიტყვით, ბოლო პუნქტში, G-ში ჩვენ სწორედ იგივე მდგომარეობა გვაქვს, რაც უკვე ამოსავალ პუნქტში, A-ში, გვქონდა, — სახელდობრ ის მდგომარეობა, რომ ახლადმიმატებულ შრომას არასგზით არ შეუძლია იყიდოს თავისი საკუთარი პროდუქტიდან ისეთი წილი, რაც თვით ამ ახლადმიმატებული შრომის ოდენობას აღემატება, და ოომ მას არ შეუძლია იყიდოს წარსული შრომა, რომელსაც მუდმივი კაპიტალი შეიცავს.

მაშასადამე, შეუძლებელია, რომ შემოსავლის ღირებულება მთელი პროდუქტის ღირებულებას ფარავდეს. და რადგანაც გარდა შემოსავლისა არარსებობს არავითარი ფონდი, საიდანაც შეიძლებოდეს იმ პროდუქტის გადახდა, რომელსაც მწარმოებელი (ინდივიდუალურ) მომხმარებელს მიჰყიდის, ამიტომ შეუძლებელია, რომ მთელი პროდუქტის ღირებულება მინუს შემოსავლის ღირებულება საერთოდ გაიყიდოს, ანაზღაურებულ ან (ინდივიდუალურად) მოხმარებულ იქნეს. მაგრამ, მეორე მხრივ, ყოველი პროდუქტი უნდა გაიყიდოს და ანაზღაურდეს თავისი ფასის მიხედვით (ნავარაუდევია, რომ ფასი აქ უდრის ღირებულებას).

სხვათა შორის უკვე იმთავითვე შეიძლებოდა იმის გათვალისწინება, რომ შუალედური გაცვლითი აქტების ჩართვა — წარმოების სხვადასხვა სფეროების სხვადასხვა საქონელთა, ანუ პროდუქტთა ყიდვა და გაყიდვა, — ერთი ნაბიჯითაც ვერ წაგვწევს წინ. A სფეროს, პირველი საქონლის, ტილოს. განხილვისას ჩვენ გვქონდა ახლადმიმატებული შრომის ½, ანუ [283 a] 12 საათი და [მუდმივ] კაპიტალში მოთავსებული წარსული შრომის 2 × 12 (ანუ 24) საათი. ხელფასსა და მოგებას შეეძლოთ გამოესყიდათ მხოლოდ ისეთი ნაწილი A სფეროს საქონლისა, — მაშასადამე, აგრეთვე მისი ეკვივალენტისაც სხვა რომელიმე პროდუქტში, — რომელიც 12 საათის შრომას უდ-

რის. მათ არ შეეძლოთ გამოესყიდათ თავიანთი საკუთარი მუდმივი კაპიტალი, რომელიც 24 საათს შეიცავს, მაშასადამე, არ შეეძლოთ გამოესყიდათ ამ მუდმივი კაპიტალის ეკვივალენტიც სხვა რომელიმე საქონელში.

შესაძლოა, რომ *B*-ს საქონელში სხვა თანაფარდობაა მიმატებულ შრომასა და მუდმივ კაპიტალს შორის. მაგრამ რაგინდ განსხვავებულიც არ უნდა იყოს წარმოების სხვადასხვა სფეროში თანაფარდობა მუდმივ კაპიტალსა და ახლადმიმატებულ შრომას შორის, ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ ამ თანაფარდობის საშუალო ოდენობა. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთელი საზოგადოების ან კაპიტალისტთა მთელი კლასის პროდუქტში, კაპიტალის ერთობლივ პროდუქტში, ახლადმიმატებული შრომა უ დ რ ი ს a-ს. წარსული შრომა კი, მუდმივი კაპიტალის სახით არსებული, უდრის b-ს. სხვა სიტყვებით, შეფარდება 1:2, რაც ჩვენ *A* სფეროსათვის. ე. ი. ტილოსათვის მივიღეთ, მხოლოდ სიმბოლური გამოხატულებაა შეფარდებისა a:b და აღნიშნავს მხოლოდ იმას, რომ არსებობს რაღაც, ასე თუ ისე განსაზღვრული და განსაზღვრას დაქვემდებარებული თანაფარდობა ამ ორ ელემენტს შორის, მიმდინარე წელს ან დროის რომელიც გნებავთ მონაკვეთის მანძილზე მიმატებულ შრომასა და მუდმივი კაპიტალის სახით არსებულ წარსულ შრომას შორის. თუ ნართისადმი მიმატებული 12 საათით იყიდება არა მარტო ტილო, თუ ტილო იყიდება, მაგალითად, მხოლოდ 4 საათით, მაშინ დარჩენილი 8 საათით შეიძლება ვიყიდოთ ყოველგვარი სხვა პროდუქტი; მაგრამ ნაყიდის საერთო ჯამი არასოდეს არ შეიძლება იყოს 12 საათზე მეტი. და თუ 8 სამუშაო საათით იყიდიან სხვა პროდუქტს, მაშინ *A*-მ უნდა გაყიდოს 32 საათის შრომის შემცველი ტილო. ამრიგად, მაგალითი, რომელიც ჩვენ ავირჩიეთ *A*-სთვის, შეიძლება მივუყენოთ მთელი საზოგადოების ერთობლივ კაპიტალს, ხოლო სხვადასხვა საქონელთა შუალედური გაცვლითი აქტების შემოტანას სინამდვილეში შეუძლია პრობლემის არევ-დარევა გამოიწვიოს, მაგრამ საქმის დედაარსს იგი სრულიად ვერ შეცვლის.

დავუშვათ, რომ *A* არის საზოგადოების ერთობლივი პროდუქტი: ასეთ შემთხვევაში ამ ერთობლივი პროდუქტის ერთი მესამედის ყიდვა საკუთარი მოხმარებისათვის შეუძლიათ მწარმოებლებს, რომლებიც მას გადაიხდიან თავიანთი ხელფასისა და მოგების ჯამით, რომელიც უდრის ახლადმიმატებულ შრომას, მათს ერთობლივ შემოსავალს. მაგრამ დანარჩენი ორი მესამედის გადასახდელად, საყიდლად და მოსახმარად მათ არა აქვთ საჭირო ფონდი. მაშასადამე,

მსგავსად იმისა, როგორც ახლადმიმატებული შრომა,—რომელიც ერთობლივი პროდუქტის ერთ მესამედს შეადგენს და მთლიანად ხელფასსა და მოგებაზე დაიყვანება, — თვითონ ფარავს თავის თავს თავისი პროდუქტით, ანდა უკან მიიზიდავს პროდუქტის ღირებულების იმ ნაწილს, რომელიც ერთობლივი პროდუქტის $^1/_3$-ს, ე. ი. ახლადმიმატებულ შრომას ან მის ეკვივალენტს შეიცავს, — ამის მსგავსად ის ორი მესამედიც, რაც წარსულ შრომას უჭევს, უნდა დაფაროს ამ წარსული შრომის საკუთარმა პროდუქტმა. სხვა სიტყვებით, მუდმივი კაპიტალი რჩება თავისი თავის ტოლი და თვით ინაზღაურებს თავის თავს ღირებულების იმ ნაწილიდან, რომელიც მას შეესაბამება ერთობლივ პროდუქტში. გაცვლას სხვადასხვა საქონელს შორის, მთელ რიგ ყიდვა-გაყიდვას წარმოების სხვადასხვა სფეროს შორის, მხოლოდ იმ აზრით შემოაქვს გარკვეული განსხვავება ფორმისა, რომ წარმოების სხვადასხვა სფეროთა ძუდმივი კაპიტალები ერთმანეთს ფარავენ იმ პროპორციით, რა პროპორციითაც მათ თავდაპირველად წარმოების ეს სფეროები შეიცავდნენ.

სწორედ ეს უნდა განვიხილოთ ახლა უფრო დაწვრილებით. [283 a]

[ბ) შეუძლებელია საზოგადოების მთელი მუდმივი კაპიტალის ანაზღაურება მოხმარების საგნების მწარმოებელთა და წარმოების საშუალებათა მწარმოებლებს შორის გაცვლის გზით]

[283b] იმავე შეხედულებას, რომ ყოველი ქვეყნის წლიური პროდუქტი იყოფა ხელფასად და მოგებად (მიწის რენტა, სარგებელი და სხვ. მოგებაში შედის), ადამ სმიტი გამოთქვამს II წიგნის მე-2 თავში ფულადი მიმოქცევისა და საკრედიტო სისტემის განხილვისას (შემდეგში — შეად. ტუკის ფორმულირებას), სადაც იგი ამბობს შემდეგს:

«ყოველი ქვეყნის მიმოქცევა შეიძლება განვიხილოთ როგორც ორ სხვადასხვა დარგად დაყოფილი: მიმოქცევა საქმიან ადამიანებს შორის» (dealers) (აქ განმარტებულია, რომ სიტყვით dealers ნაგულისხმევია «ყველა ვაჭარი, მანუფაქტურისტი, ხელოსანი და ა. შ., ერთი სიტყვით, ქვეყნის ეკონომიისა და მრეწველობის ყველა აგენტი») «და მიმოქცევა საქმიან ადამიანებსა და მომხმარებლებს შორის. თუმცა ერთი და იგივე ფულადი ნიშნების, ქაღალდის იქნება თუ ლითონის, გამოყენება შეიძლება ამ ორი დარგიდან ხან ერთში, ხან მეორეში, მაგრამ ძალიან, რამდენადაც მიმოქცევის ეს ორივე პროცესი ერთსა და იმავე დროს მიმდინარეობს, თვითეული მათგანის შესრულებისათვის საჭიროა ამა თუ იმ სახის

ფულის გარკვეული თანხა. იმ საქონელთა ღირებულება, რომლებიც სხვადასხვა საქმიან ადამიანებს შორის მიმოიცვლება, არასოდეს არ შეიძლება აღემატებოდეს იმ საქონელთა ღირებულებას, რომლებიც საქმიან ადამიანებსა და მომხმარებლებს შორის, მიმოიცვლება. რამდენადაც ყველაფერი, რასაც საქმიანი ადამიანები ყიდულობენ, საბოლოოდ ანგარიშით განკუთვნილია მომხმარებელთათვის მისაყიდლად» (ტომი II, წიგნი II, თავი 2, გვ. 292 — 293) [48].

ამას, და აგრეთვე ტუკს შემდგომში კვლავ შევეხებით [49].

დავუბრუნდეთ ჩვენს მაგალითს. დღიური პროდუქტი *A* სფეროსი, რომელიც სელის ნართს ტილოდ აქცევს, უდრის 12 არშინს ანუ 36 შილინგს = 36 საათის შრომას. ამ 36 საათიდან ახლადმიმატებული შრომის 12 საათი იყოფა ხელფასად და მოგებად, 24 საათი კი, ანუ 2 დღე, უდრის მუდმივი კაპიტალის ღირებულებას. მაგრამ მუდმივი კაპიტალი არსებობს ახლა უკვე არა ნართისა და საქსოვი დაზგის წინანდელი ფორმით, არამედ ტილოს ფორმით, თანაც ტილოს ისეთი რაოდენობით, რომელიც უდრის 24 საათს = 24 შილინგს. ტილოს ეს რაოდენობა შეიცავს შრომის იმავე რაოდენობას, რასაც შეიცავდნენ ნართი და საქსოვი დაზგა, რომლებიც ახლა ტილომ შეცვალა. ტილოს ამ რაოდენობაზე გაცვლით შეიძლება, მაშასადამე, ნართისა და საქსოვი დაზგების იმავე რაოდენობის ყიდვა (იგულისხმება, რომ ნართისა და საქსოვი დაზგის ღირებულება იგივე დარჩა, რომ შრომის ნაყოფიერება მრეწველობის ამ დარგებში არ შეცვლილა). მრთველმა და საქსოვი დაზგის ფაბრიკანტმა მთელი თავიანთი წლიური თუ დღიური პროდუქტი (ეს აქ, ჩვენი მიზნისათვის, სულ ერთია) უნდა მიჰყიდონ მქსოველს, რადგან მათ საქონელს მხოლოდ მქსოველისათვის აქვს სახმარი ღირებულება. ამ საქონლის ერთადერთი მომხმარებელი მქსოველია.

თუ მქსოველის მუდმივი კაპიტალი (მუდმივი კაპიტალი, რომელსაც იგი ყოველდღიურად მოიხმარს) 2 სამუშაო დღეს უდრის, მაშინ მქსოველის ერთ სამუშაო დღეს უწევს მრთველისა და მანქანების ფაბრიკანტის 2 სამუშაო დღე, რაც, თავის მხრივ, კვლავ დაიშლება, მეტად სხვადასხვა პროპორციით, ახლადმიმატებულ შრომად და მუდმივ კაპიტალად. მაგრამ მრთველისა და მანქანების ფაბრიკანტის ერთობლივი დღიური პროდუქტი, მათი ორთავესი ერთად (იმ პირობით, რომ მანქანათა ფაბრიკანტი მხოლოდ საქსოვ დაზგებს აწარმოებს), ე. ი. მუდმივი კაპიტალი და მიმატებული შრომა, ერთად აღებული, არ შეიძლება შეადგენდეს ორ სამუშაო დღეზე

მეტს, მაშინ როდესაც მქსოველის დღიური პროდუქტი, — იმის გამო, რომ მქსოველმა ახლად მიუმატა 12 საათის შრომა, — 3 სამუშაო დღეს უდრის. შესაძლოა, რომ მრთველი და მანქანათა ფაბრიკანტი იმდენსავე ცოცხალ სამუშაო დროს მოიხმარენ, რამდენსაც მქსოველი. ასეთ შემთხვევაში სამუშაო დრო, რასაც მათი მუდმივი კაპიტალი შეიცავს, ნაკლები უნდა იყოს. ასეა თუ ისე, მრთველსა და მანქანების ფაბრიკანტს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათ გამოიყენონ შრომის, გასაგნობრივებულის და ცოცხალის (summa summarum*), იგივე რაოდენობა, რასაც იყენებს მქსოველი. შესაძლებელია, რომ მქსოველი შედარებით ნაკლებ ცოცხალ სამუშაო დროს იყენებს, ვიდრე მრთველი (ეს უკანასკნელი, მაგალითად, უეჭველად უფრო ნაკლებს, ვიდრე მესელე); ასეთ შემთხვევაში მისი მუდმივი კაპიტალის ნამეტი კაპიტალის ცვალებად ნაწილთან შედარებით მით უფრო დიდი იქნება.

[284] ამრიგად, მქსოველის მუდმივი კაპიტალი ანაზღაურებს მრთველისა და საქსოვი დაზგების ფაბრიკანტის მთელ კაპიტალს, ანაზღაურებს არა მარტო მათს საკუთარ მუდმივ კაპიტალს, არამედ რთვისა და მანქანათა წარმოების პროცესში ახლადმიმატებულ შრომასაც. მაშასადამე, ახალი მუდმივი კაპიტალი აქ მთლიანად ანაზღაურებს სხვა მუდმივ კაპიტალებს და, გარდა ამისა, მთელ მათდამი ახლადმიმატებულ შრომას. მქსოველს რომ თავიანთი საქონელი მიჰყიდეს, მრთველმა და საქსოვი დაზგების ფაბრიკანტმა ამით არა მარტო თავიანთი მუდმივი კაპიტალი, არამედ თავიანთი ახლადმიმატებული შრომის საზღაურიც მიიღეს. მქსოველის მუდმივი კაპიტალი მრთველსა და საქსოვი დაზგების ფაბრიკანტს უნაზღაურებს მუდმივ კაპიტალს და ანაღდებს მათს შემოსავალს (ხელფასისა და მოგების ჯამს). რამდენადაც მქსოველის მუდმივი კაპიტალი მრთველისა და საქსოვი დაზგების ფაბრიკანტს უნაზღაურებს მხოლოდ საკუთარ მუდმივ კაპიტალს, რომელიც მათ ნართისა და საქსოვი დაზგის ფორმით მქსოველს გადასცეს, ამდენად ადგილი აქვს მხოლოდ ერთი ფორმით არსებული მუდმივი კაპიტალის გაცვლას მეორე ფორმით არსებულ მუდმივ კაპიტალზე. სინამდვილეში მუდმივი კაპიტალის ღირებულების არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

მაგრამ დავიხიოთ უკან უფრო შორს. მრთველის პროდუქტი დაიყოფა ორ ნაწილად: სელი, თითისტრები, ნახშირი და სხვ., ერთი სიტყვით მრთველის მუდმივი კაპიტალი და ახლადმიმატებული

* — ერთად აღებული. რ ე დ.

შრომა. სწორედ ასეთივე მდგომარეობაა მანქანათა ფაბრიკანტის ერთობლივი პროდუქტის მიმართაც. როცა მრთველი ინაზღაურებს თავის მუდმივ კაპიტალს, იგი არა მარტო თითისტართა და სხვ. ფაბრიკანტის მთელ კაპიტალს გადაიხდის, არამედ მესელის მთელ კაპიტალსაც. რაც შეეხება მესელეს, მისი მუდმივი კაპიტალი — სასოფლო-სამეურნეო იარაღების და სხვ. გამოკლებით, — არსებობს თესლის, სასუქის და ა. შ. სახით. დავუშვათ, რომ ფერმერის მუდმივი კაპიტალის ეს ნაწილი — როგორც ეს, ცოტად თუ ბევრად გამეშვეობითებული სახით, მუდამ უნდა ხდებოდეს მიწათმოქმედებაში, — შეადგენს მისი საკუთარი პროდუქტიდან, ყოველწლიურ გამონაქვითს, რომელიც ყოველწლიურად ფერმერის საკუთარი პროდუქტიდან უბრუნდება მიწას, ე. ი. თვით წარმოებას. აქ ჩვენ ვხედავთ მუდმივი კაპიტალის ისეთ ნაწილს, რომელიც თვით ანაზღაურებს თავის თავს და არასოდეს არ ხდება გაყიდვის, მაშასადამე, არც გადახდის საგანი, არასოდეს არ მოიხმარება, არ შედის ინდივიდუალურ მოხმარებაში. თესლი და ა. შ. უდრის სამუშაო დროის ამა თუ იმ რაოდენობას. თესლის და სხვ. ღირებულება შედის ერთობლივი პროდუქტის ღირებულებაში; მაგრამ იგივე ღირებულება. — იმიტომ რომ ლაპარაკია პროდუქტთა იმავე მასაზე (თუ ვივარაუდებთ, რომ შრომის ნაყოფიერება არ შეცვლილა), — კვლავ გამოაკლდება ერთობლივ პროდუქტს და უბრუნდება წარმოებას, არ შედის მიმოქცევაში.

აქ ჩვენ ვხედავთ, რომ მუდმივი კაპიტალის ნაწილი მაინც, — ის, რაც მიწათმოქმედების ნედლეულად შეიძლება განვიხილოთ, — ანაზღაურებს თავის თავს. ამრიგად, აქ ჩვენ გვაქვს წლიური წარმოების მნიშვნელოვანი. — მოცულობითა და მასში დაბანდებული კაპიტალის სიდიდის მიხედვით მეტად მნიშვნელოვანი — დარგი, სადაც მუდმივი კაპიტალის დიდი ნაწილი, რომელიც ნედლი მასალისაგან (კარდა ხელოვნური სასუქისა და ა. შ.) შედგება, თავის თავს ინაზღაურებს და არ შედის მიმოქცევაში, მაშასადამე, ვერ ანაზღაურდება შემოსავლის ვერც ერთი ფორმით. ამრიგად, ძუდმივი კაპიტალის ამ ნაწილის (რომელიც თვით **მესელემ აუნაზღაურა** და გადაუხადა თავის თავს) ასანაზღაურებლად **მრთველმა** არ **უნდა** გადაუხადოს იგი მესელეს, ასევე მქსოველმაც **არ უხდა** გადაუხადოს მრთველს, ხოლო ტილოს მყიდველმა — მქსოველს.

დავუშვათ, რომ ყველანი, ვინც 12 **არშინ** ტილოს წარმოებაში (= 36 შილ. = 3 სამუშაო დღეს, ე. ი. 36 საათის შრომას) მონაწილეობს, ანაზღაურებას ღებულობენ იმავე ტილოს სახით. უწინარეს

ყოვლისა ნათელია, რომ ტილოს ელემენტების, ტილოს მუდმივი კაპიტალის მწარმოებლებს არ შეუძლიათ მოიხმარონ თავიანთი საკუთარი პროდუქტი, რადგან ეს პროდუქტი წარმოებულია შემდგომი წარმოებისათვის და უშუალო [285] მოხმარებაში არ შედის. მაშასადამე, მათ თავიანთი ხელფასი და მოგება უნდა დახარჯონ ტილოს საყიდლად, იმ პროდუქტის საყიდლად, რომელიც, ბოლოს, ინდივიდუალურ მოხმარებაში შედის. ყოველივე ის კი, რასაც ისინი ტილოს სახით არ მოიხმარენ, მათ უნდა მოიხმარონ მოხმარებისათვის გამოსადეგი სხვა პროდუქტის სახით, რომელიც ტილოზე გაცვალეს. მაშასადამე, სხვა პროდუქტების მწარმოებლები იმდენსავე ტილოს მოიხმარენ, რამდენსაც (ღირებულების მიხედვით) ტილოს ელემენტების მწარმოებლები მის ნაცვლად მოხმარებისათვის გამოსადეგ სხვა პროდუქტს მოიხმარენ. გაძოდის იგივე შედეგი, რაც იმ შემთხვევაში, ტილოს ელემენტების მწარმოებლებს თვით რომ მოეხმარათ ეს ტილოს სახით, იმიტომ რომ რამდენსაც ისინი სხვა პროდუქტის სახით მოიხმარენ, სწორედ იმდენს მოიხმარენ სხვა პროდუქტების მწარმოებლები ტილოს სახით. მაშასადამე, მთელი გამოცანა უნდა აიხსნას ისე, რომ გაცვლას არ მივმართოთ; იგი უნდა ამოიხსნას იმის განხილვით, თუ როგორ ნაწილდება 12 არშინი ტილო ყველა იმათ შორის, ვინც მონაწილეობა მიიღო თვით ტილოს ან მისი ელემენტების წარმოებაში.

ნართსა და საქსოვ დაზგაში ერთ მესამედს შეადგენს მრთველისა და საქსოვი დაზგის ფაბრიკანტის მიერ მიმატებული შრომა, — ვიგულისხმოთ, რომ ეს ფაბრიკანტი იმავე დროს სართავი მანქანის ფაბრიკანტიცაა, — ორ მესამედს კი შეადგენს მათი მუდმივი კაპიტალი. მაშასადამე, 8 არშინი ტილოდან (ე. ი. 24 საათიდან) ანუ 24 შილინგიდან, რაც მთელ მათს პროდუქტს ანაზღაურებს, მათ შეუძლიათ მოიხმარონ $^8/_3$ არშ. ტილო ($2^2/_3$) ე. ი. 8 საათის შრომა ანუ 8 შილინგი. მაშასადამე, გასარკვევი გვრჩება საქმის ვითარება 5 $^1/_3$ არშინის ანუ 16 სამუშაო საათის შესახებ.

5 $^1/_3$ არშინი ტილო ანუ 16 სამუშაო საათი წარმოადგენს მრთველისა და საქსოვი დაზგის ფაბრიკანტის მუდმივ კაპიტალს. თუ ვიგულისხმებთ, რომ მრთველის მუდმივ კაპიტალში ნედლეული, რომელიც აქ სელისაგან შედგება, $^2/_3$-ს შეადგენს, მაშინ მესელეს შეუძლია მთლიანად მოიხმაროს ეს $^2/_3$ ტილოს სახით, იმიტომ რომ მუდმივ კაპიტალს { მაგრამ ამასთან ჩვენ ვგულისხმობთ, რომ მისი შრომის იარაღების და სხვ. გაცვეთა = O } იგი საერთოდ არ უშვებს მიმოქცევაში; პირიქით. თავისი მუდმივი კაპიტალი მან უკვე გამოაკ-

ლო პროდუქტს და შეინახა კვლავწარმოებისათვის. ამრიგად, $^2/_3$ მას შეუძლია იყიდოს $5^1/_2$ არშ. ტილოდან[50] ანდა — რაც იგივეა — 16 საათის შრომიდან; ეს შეადგენს 3 $^5/_9$ არშინს ანუ 10 $^2/_3$ საათის შრომას. მაშასადამე, გასარკვევი რჩება მხოლოდ 5 $^1/_2$ არშინი მინუს 3 $^5/_9$ არშინი ანუ 16 საათის შრომა მინუს 10 $^2/_3$ საათის შრომა, ე. ი. 1 $^7/_9$ არშინი ანუ 5 $^1/_2$ საათის შრომა. ეს 1 $^7/_9$ არშინი, ე. ი. 5 $^1/_2$ საათის შრომა იყოფა: საქსოვი დაზგის ფაბრიკანტის მუდმივ კაპიტალად და სართავი მანქანის ფაბრიკანტის ერთობლივ პროდუქტად, ამასთან იგულისხმება, რომ დაზგის ფაბრიკანტი და მანქანის ფაბრიკანტი ერთი და იგივე პიროვნებაა.

[286] ამრიგად, ერთხელ კიდევ:

	ერთობლივი პროდუქტი	მუდმივი კაპიტალი	მქსოველის მიმატებული შრომა	მოხმარება
მქსოველი	12 არშ.ტილო (36 შილინგი) (36 საათის შრომა)	8 არშ. (24 საათ.) (24 შილ.)	12 საათი	12 საათი= =12 შილინგი=4 არშინი

ვიგულისხმოთ, რომ მქსოველის მუდმივი კაპიტალის $^3/_4$-ს შეადგენს ნართი, $^1/_4$-ს კი — საქსოვი დაზგა (წარმოების საშუალებანი საერთოდ). მაშასადამე, მქსოველი უხდის 6 არშინს ანუ 18 საათს მრთველს და 2 არშინს ანუ 6 საათს მანქანათმშენებელს და სხვ.

მრთველი				მანქანათმშენებელი			
ერთობლივი პროდუქტი	მუდმივი კაპიტალი	მიმატებული შრომა	მოხმარება	ერთობლივი პროდუქტი	მუდმივი კაპიტალი	მიმატებული შრომა	მოხმარება
6 არშინი	4 არშინი	2 არშინი	2 არშ.	2 არშ	$^1/_2$ არშ.	$^1/_2$ არშ.	$^1/_2$ არშ.
18 შილ.	12 შილ.	6 შილ.	6 შილ.	6 შილ.			
18 საათი	12 საათი	6 საათი		6 საათი			

ამრიგად, 8 არშინიდან, რომელიც მუდმივ კაპიტალს ანაზღაურებს, 2 არშინს (=6 შილინგს =6 საათს) მოიხმარს მრთველი, $^2/_3$ არშინს (2 შილ., 2 საათის შრომა) კი — საქსოვი დაზგისა და წარმოების სხვა იარაღების ფაბრიკანტი.

მაშასადამე, გასარკვევი გვრჩება საქმის ვითარება 8 მინუს 2 $^2/_3$, ე. ი. $5^1/_3$ არშინის (=16 შილინგს = 16 საათის შრომას) შესახებ. ეს დარჩენილი $5^1/_3$ არშინი (=16 შილინგს=16 საათის შრომას) ნაწილდება შემდეგნაირად. დავუშვათ, რომ 4 არშინში, რომელიც მრთველის მუდმივ კაპიტალს, — მაშასადამე, მისი ნართის ელემენტებს წარმოადგენს, — $^3/_4$ უდრის სელს და $^1/_4$ — სართავ მანქანას. სართავი მანქანის ელემენტებს [287] ჩვენ გამოვიანგარიშებთ შემდეგ, — სწორედ მაშინ, როცა საქსოვი დაზგის ფაბრიკანტის მუდმივი კაპიტალის განხილვაზე გადავალთ. სართავი მანქანის ფაბრიკანტი და საქსოვი დაზგის ფაბრიკანტი ერთი და იგივე პიროვნებაა.

მრთველის მუდმივი კაპიტალის ამნაზღაურებელი 4 არშინიდან $^3/_4$ რაც 3 არშინს შეადგენს, უწევს, მაშასადამე, სელს. მაგრამ სელის წარმოებაში გამოყენებული მუდმივი კაპიტალის შნიშვნელოვანი ნაწილი არ არის ასანაზღაურებელი, რადგან იგი სასოფლო-სამეურნეო წარმოებას უკვე თვით მესელემ დაუბრუნა თესლის, სასუქის, პირუტყვის საკვების, პირუტყვისა და სხვ. ფორმით. ამიტომ მესელის პროდუქტის იმ ნაწილში, რომელსაც იგი ყიდის, ჩვენი გაანგარიშებისას მუდმივი კაპიტალის სახით უნდა შევიტანოთ მხოლოდ მისი შრომის იარაღებისა და ა. შ. გაცვეთა. მიმატებული შრომა ჩვენ აქ ისე უნდა ვიანგარიშოთ, რომ იგი ტოლია არა ნაკლებ ორი მესამედისა, ასანაზღაურებელი მუდმივი კაპიტალი კი — არა უმეტეს ერთი მესამედისა.

ამრიგად:

	ერთობლივი პროდუქტი	მუდმივი კაპიტალი	მიწათმოქმედებაში მიმატებული შრომა	მოსახმარი
სელი	3 არშინი 9 შილინგი 9 საათის შრომა	1 არშინი 3 შილინგი 3 საათის შრომა	2 არშინი 6 შილინგი 6 საათის შრომა	2 არშინი 6 შილინგი 6 საათის შრომა

მაშასადამე, გასაანგარიშებელი გვრჩება კიდევ:

1 არშინი (3 შილ., 3 საათის შრომა) = მესელის მუდმივ კაპიტალს;

1 $^1/_3$ არშ. (4 შილ., 4 საათის შრომა) = საქსოვი დაზგის მუდმივ კაპიტალს;

ბოლოს, 1 არშინი (3 შილ., 3 საათის შრომა), რაც მანქანათმშენებელს უწევს ერთობლივი პროდუქტის იმ ნაწილისათვის, რომელიც სართავ მანქანაშია მოქცეული.

მაშასადამე, უწინარეს ყოვლისა აქ გამოსაკლებია ის, რასაც მანქანათმშენებელი მოიხმარს მის მიერვე დამზადებული სართავი მანქანის სანაცვლოდ.

	ერთობლივი პროდუქტი	მუდმივი კაპიტალი	მანქანათმშენებლობაში მიმატებული შრომა	მოსახმარია
სართავი მანქანა	1 არშინი 3 შილინგი 3 საათის შრომა	$^1/_3$ არშინი 2 შილინგი 2 საათის შრომა	$^1/_3$ არშინი 1 შილინგი 1 საათის შრომა	$^1/_3$ არშინი 1 შილინგი 1 საათის შრომა

შემდეგ დავყოთ სამიწათმოქმედო მანქანის ღირებულება, მესელის მუდმივი კაპიტალი, მოსახმარ ნაწილად და სხვა ნაწილად.

	ერთობლივი პროდუქტი	მუდმივი კაპიტალი	მანქანათმშენებლობაში მიმატებული შრომა	მოსახმარია
სამიწათმოქმედო მანქანა	1 არშინი 3 შილინგი 3 საათის შრომა	$^2/_3$ არშინი 2 შილინგი 2 საათის შრომა	$^1/_3$ არშინი 1 შილინგი 1 საათის შრომა	$^1/_3$ არშინი 1 შილინგი 1 საათის შრომა

თუ ერთად ავიღებთ მესელის ერთობლივი პროდუქტის იმ ნაწილს, რაც მანქანათმშენებლობას უწევს, მივიღებთ: საქსოვი დაზგის წილ 2 არშინს, სართავი მანქანის წილ 1 არშინსა და სამიწათმოქმედო მანქანის წილ 1 არშინს; სულ გვექნება 4 არშინი (12 შილინგი, 12 საათის შრომა, ანუ $^1/_3$ მთელი პროდუქტისა, რომელიც 12 არშინ ტილოს უდრის). ამ 4 არშინიდან საქსოვი დაზგის ფაბრიკანტმა შეიძლება მოიხმაროს $^2/_3$ არშინი, სართავი მანქანის ფაბრიკანტმა — $^1/_3$ და სამიწათმოქმედო მანქანის ფაბრიკანტმა — ასევე $^1/_3$, სულ 1 $^1/_3$ არშინი. რჩება 2 $^2/_3$ არშინი, სახელდობრ: $^4/_3$

არშინი უწევს საქსოვი ღაზგის მუდმივ კაპიტალს, $^2/_3$ — სართავი მანქანის მუდმივ კაპიტალს; სულ $^8/_3 = 2^2/_3$ არშ. (= 8 შილ. = 8 საათის შრომას). ეს ნაშთი შეადგენს, მაშასადამე, მანქანათმშენებლის ასანაზღაურებელ მუდმივ კაპიტალს. რა ნაწილებადღა იყოფა ეს მუდმივი კაპიტალი? ერთი მხრივ, ნედლეულად — რკინა, ხე-ტყე, ღვედები და ა. შ. მეორე მხრივ, მისი იმ სამუშაო მანქანის (ვთქვათ, ეს მანქანა თვით მანქანათმშენებელმა ააგო) გაცვეთილ ნაწილად. რომელიც მას მანქანების საწარმოებლად სჭირდება. ვიგულისხმოთ, რომ ნედლეული შეადგენს მუდმივი კაპიტალის ორ მესამედს, მანქანათმშენებელი მანქანის გაცვეთა კი — ერთ მესამედს (ამ მესამედს შემდგომ განვიხილავთ). $^2/_3$, რაც ხე-ტყესა და რკინას უწევს, [288] $2^2/_3$ არშინის ორი მესამედია ($2^2/_3 = {}^8/_3 = {}^{24}/_9$). ერთი მესამედი $2^2/_3$-დან შეადგენს $^8/_9$. მაშასადამე, ორი მესამედი შეადგენს $^{16}/_9$ არშინს.

დავუშვათ, რომ აქ [ხე-ტყისა და რკინის წარმოებაში] მანქანებს უწევს ერთი მესამედი, მიმატებულ შრომას კი — ორი მესამედი (რადგან ნედლეულს აქ არაფერი არ უწევს). ასეთ შემთხვევაში $^{16}/_9$ არშინის ორი მესამედი ანაზღაურებს მიმატებულ შრომას, მისი ერთი მესამედი კი — ანაზღაურებს მანქანებს. მაშასადამე, მანქანების ანაზღაურებას უწევს $^{16}/_{27}$ არშინი. ხე-ტყისა და რკინის, მოკლედ, მოპოვებითი მრეწველობის მუდმივი კაპიტალი შედგება მხოლოდ წარმოების იარაღებისაგან, რომელთაც ჩვენ აქ საერთოდ მანქანებს ვუწოდებთ, და მასში სრულად არ შედის ნედლეული.

ამრიგად, $^8/_9$ არშინი მიდის მანქანათმშენებელი მანქანის ანაზღაურებაზე, $^{16}/_{27}$ არშინი — იმ მანქანათა ანაზღაურებაზე, რომელთაც რკინისა და ხე-ტყის მწარმოებელი იყენებს. მაშასადამე, $\frac{24}{27} + \frac{16}{27} = \frac{40}{27} = 1\frac{13}{27}$ არშინს. ტილოს ეს რაოდენობა უწევს, მაშასადამე, **ისევ მანქანათმშენებელს.**

მ ა ნ ქ ა ნ ე ბ ი. $^{24}/_{27}$ არშინი წარმოადგენს მანქანათმშენებელი მანქანის ანაზღაურებას. მაგრამ ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, იყოფა ნედლეულად (რკინა, ხე-ტყე და სხვ.), მანქანური მოწყობილობის იმ ნაწილად, რომელიც გაცვდა მანქანათმშენებელი მანქანის წარმოებისას, და მიმატებულ შრომად. მაშასადამე, თუ ვიგულისხმებთ, რომ თვითეული ამ ელემენტებიდან ერთ მესამედს უდრის. მაშინ $^8/_{27}$ არშინი მოუწევს მიმატებულ შრომას, $^{16}/_{27}$ არშინი კი რჩება მანქანათმშენებელი მანქანის მ უ დ მ ი ვ კ ა პ ი ტ ა ლ ი ს

ასანაზღაურებლად, — მაშასადამე, $^{8}/_{27}$ არშინი უწევს ნედლეულს და $^{8}/_{27}$ არშინი — ღირებულების იმ შემადგენელი ნაწილის ანაზღაურებას, რომელიც წარმოადგენს ამ ნედლეულის დამუშავებაზე გამოყენებულ მანქანათა გაცვეთას (სულ $^{16}/_{27}$ არშინი).

მეორე მხრივ, ის $^{16}/_{27}$ არშინი, რაც რკინისა და ხე-ტყის მწარმოებელთა მანქანებს ანაზღაურებს, იყოფა აგრეთვე ნედლეულად, მანქანებად და მიმატებულ შრომად. თუ ეს უკანასკნელი $^{1}/_{3}$-ს შეადგენს, იგი უდრის $\frac{16}{27 \times 3} = \frac{16}{81}$ არშინს, მუდმივ კაპიტალს კი მანქანათა ამ ნაწილში გამოხატავს $^{32}/_{81}$ არშინი; აქედან $^{16}/_{81}$ არშინი უწევს ნედლეულს, $^{16}/_{81}$ არშინი კი ანაზღაურებს მანქანათა გაცვეთას.

ამრიგად, მანქანათმშენებლის ხელში — მისი მანქანების გაცვეთის ასანაზღაურებლად — მუდმივი კაპიტალის სახით რჩება $^{8}/_{27}$ არშინი, რითაც იგი ინაზღაურებს თავისი მანქანათმშენებელი მანქანის გაცვეთას, და $^{16}/_{81}$ არშინი, რაც წილად უწევს იმ მანქანების გაცვეთას, რომლებიც რკინისა და ხე-ტყის მწარმოებლებმა უნდა აანაზღაურონ.

მეორე მხრივ, მანქანამშენებელმა თავისი მუდმივი კაპიტალიდან უნდა აანაზღაუროს: $^{8}/_{27}$ არშინით — ნედლეული, რომელსაც მანქანათმშენებელი მანქანა შეიცავს, $^{16}/_{81}$ არშინით — ნედლეული, რომელსაც რკინისა და ხე-ტყის მწარმოებელთა მანქანები შეიცავენ. ტილოს ამ რაოდენობიდან $^{2}/_{3}$, თავის მხრივ, მიმატებულ შრომას წარმოადგენს და $^{1}/_{3}$ — მანქანების გაცვეთას. ამრიგად, $\frac{24}{81} + \frac{16}{81}$ $\left(= \frac{40}{81}\right)$ ორი მესამედი მაშასადამე, $\frac{26^{2}/_{3}}{81}$ — გადაიხდეა შრომისათვის. ამ ნედლეულიდან რჩება [289] კვლავ მანქანების ასანაზღაურებლად $\frac{13^{1}/_{3}}{81}$ არშინი. ეს $\frac{13^{1}/_{3}}{81}$ არშინი ტილო უბრუნდება, მაშასადამე, მანქანათმშენებელს.

ახლა მანქანათმშენებლის ხელში კვლავ აღმოჩნდება: $^{8}/_{27}$ არშინი მანქანათმშენებელი მანქანის გაცვეთის ასანაზღაურებლად, $^{16}/_{81}$ არშინი რკინისა და ხე-ტყის მწარმოებელთა მიერ გამოყენებული მანქანების გაცვეთის ასანაზღაურებლად; $\frac{13^{1}/_{3}}{81}$ უწევს ღირებულების იმ შემადგენელ ნაწილს, რომელიც მანქანათმშენებლის ნედლეულში (რკინაში და ა. შ.) მანქანათა ანაზღაურებაზე მიდის.

და ასე შეგვიძლია განვაგრძოთ ჩვენი გაანგარიშება უსასრულობამდე, მივიღებთ რა სულ უფრო მცირე წილადებს, მაგრამ ჩვენი 12 არშინი ტილო მთლიანად, უნაშთოდ არასოდეს არ განაწილდებოდა.

შევაჯამოთ მოკლედ ჩვენი გამოკვლევის ზემოხსენებული მსვლელობა.

ჯერ ჩვენ ვთქვით, რომ წარმოების სხვადასხვა სფეროში არსებობს სხვადასხვა თანაფარდობა ახლადმიმატებულ შრომასა (რომელიც ნაწილობრივ ანაზღაურებს ხელფასზე დახარჯულ ცვალებად კაპიტალს, ნაწილობრივ კი შეადგენს მოგებას, ფასგადაუხდელ ზედმეტ შრომას) და მუდმივ კაპიტალს შორის, რომელსაც ეს შრომა ემატება. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ავიღოთ საშუალო შეფარდება *a*-სა — მიმატებულ შრომასა — და *b*-ს — მუდმივ კაპიტალს — შორის; შეგვიძლია, მაგალითად, მივიღოთ, რომ საშუალოდ უკანასკნელი შეეფარდება პირველს როგორც 2:1, როგორც $^2/_3 : ^1/_3$. შემდეგ ჩვენ ვთქვით, თუ ასეთია შეფარდება კაპიტალის წარმოების ყოველ სფეროში, მაშინ წარმოების რომელიმე გარკვეულ სფეროში მიმატებულ შრომას (ხელფასი და მოგება, ერთად აღებული) შეუძლია ყოველთვის იყიდოს თავისი საკუთარი პროდუქტის მხოლოდ $^1/_3$, იმიტომ რომ ხელფასი და მოგება ერთად შეადგენენ პროდუქტში გახარჯულებული ერთობლივი სამუშაო დროის მხოლოდ $^1/_3$-ს. კაპიტალისტს ეკუთვნის აგრეთვე, რა თქმა უნდა, პროდუქტის ის $^2/_3$-იც, რომელიც მის მუდმივ კაპიტალს ანაზღაურებს. მაგრამ თუ კაპიტალისტს სურს წარმოება განაგრძოს, მან უნდა აანაზღაუროს თავისი მუდმივი კაპიტალი, მაშასადამე, თავისი პროდუქტის $^2/_3$ ისევ უნდა გადააქციოს მუდმივ კაპიტალად. ამისათვის მან უნდა გაყიდოს ეს $^2/_3$.

მაგრამ ვის მიჰყიდოს? პროდუქტის ის მესამედი, რომლის ყიდვაც მოგებისა და ხელფასის ჯამით შეიძლება, ჩვენ უკვე გამოვაკლეთ. თუ ეს ჯამი წარმოადგენს 1 სამუშაო დღეს, ანუ 12 საათს, მაშინ პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც მუდმივ კაპიტალს უდრის, წარმოადგენს 2 სამუშაო დღეს, ანუ 24 საათს. ამიტომ ჩვენ ვივარაუდეთ, რომ პროდუქტის [მეორე] მესამედს ყიდულობს წარმოების სხვა დარგი მოგებისა და ხელფასის ჯამით, უკანასკნელ მესამედს კი ყიდულობს წარმოების მესამე დარგი, ასევე მოგებისა და ხელფასის ჯამით. მაგრამ ასეთ შემთხვევაში I პროდუქტის მუდმივი კაპიტალი ჩვენ გავცვალეთ მხოლოდ ხელფასსა და მოგებაზე, ე. ი. ახლადმიმატებულ შრომაზე, იმ გზით, რომ მთელ ახლადმიმატე-

ბულ შრომას, რასაც II და III პროდუქტები შეიცავენ, მოვახმარინეთ I პროდუქტი. 6 სამუშაო დღიდან, რასაც II და III სფეროების პროდუქტები შეიცავენ როგორც ახლადმიმატებული, ისე წარსული შრომის სახით, არც ერთი არ ანაზღაურებულა, არ ყოფილა ნაყიდი არც იმ შრომით, რომელსაც I პროდუქტი შეიცავს, და არც იმ შრომით, რომელსაც II და III პროდუქტები შეიცავენ. ამიტომ ჩვენ კვლავ უნდა გვევარაუდნა, რომ სხვა პროდუქტების მწარმოებლები მთელ თავიანთ ახლადმიმატებულ შრომას II და III სფეროების პროდუქტების საყიდლად ხარჯავენ. ბოლოს ჩვენ უნდა შევჩერებულიყავით რომელიღაც X სფეროს პროდუქტზე, რომელშიც მიმატებული შრომა უდრის ყველა წინათ განხილულ სფეროთა პროდუქტების მუდმივი კაპიტალების ჯამს; მაგრამ გაუყიდავი რჩებოდა ამ პროდუქტის საკუთარი მუდმივი კაპიტალი, რომელიც მის ორ მესამედს შეადგენს; ამრიგად, პრობლემის გადაწყვეტა ერთი ნაბიჯითაც ვერ წაიწევდა წინ. X პროდუქტის მიმართ, ისევე როგორც I პროდუქტის მიმართაც, ძალაში რჩება იგივე კითხვა: ვის მიეყიდება პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც მუდმივ კაპიტალს ანაზღაურებს? ანდა, იქნებ, მიმატებული ახალი შრომა, რომელიც პროდუქტში ერთ მესამედს შეადგენს, ანაზღაურებს პროდუქტში მოთავსებულ ახალი შრომის ერთ მესამედს პლუს წარსული შრომის ორი მესამედი? ე. ი. იქნებ $^1/_3 = {}^3/_3$?

მაშასადამე, აქ აღმოჩნდა, რომ სიძნელის გადანაცვლება I პროდუქტიდან II პროდუქტზე და ა. შ., მოკლედ — მარტოოდენ საქონლის გაცვლის მოსაშუალეობა ვერაფერს ვერ აგვიხსნის.

[290] მაშასადამე, საკითხი უნდა დაგვესვა სხვაგვარად.

ჩვენ ვიგულისხმეთ, რომ 12 არშინი ტილო (= 36 შილ. = 36 საათის შრომას) ისეთი პროდუქტია, რომელიც შეიცავს მქსოველის 12 საათის შრომას, ანუ მის ერთ სამუშაო დღეს (ერთად აღებული აუცილებელი და ზედმეტი შრომა, ე. ი. მოგებისა და ხელფასის ჯამი), $^2/_3$ კი ტილოში მოთავსებული მუდმივი კაპიტალის — ნართის, მანქანების და სხვ. ღირებულებას წარმოადგენს. შემდეგ, — რათა ხრიკებისა და შუალედურ გარიგებათა მეშვეობით სიძნელისაგან თავის დაძვრენის შესაძლებლობა აღგვეკვეთა, ჩვენ ვივარაუდეთ, რომ ჩვენი ტილო ისეთი ხარისხისაა, რომ იგი განკუთვნილია მხოლოდ ინდივიდუალური მოხმარებისათვის და, მაშასადამე, არ გამოდგება, თავის მხრივ, ნედლეულად სხვა რომელიმე ახალი პროდუქტისათვის. ამით ჩვენ მივიღეთ, რომ ეს ისეთი პროდუქტია, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს ხელფასით და მოგებით, რომელიც

უნდა გაიცვალოს შემოსავალზე. ბოლოს, გამარტივებისათვის ჩვენ ვიგულისხმეთ, რომ მოგების არც ერთი ნაწილი არ გადაიქცევა ხელ-ახლა კაპიტალად, არამედ მთელი მოგება იხარჯება შემოსავლის სახით.

რაც შეეხება პირველ 4 არშინს, პროდუქტის პირველ მესამედს, რომელიც უდრის ფეიქრის მიერ მიმატებულ 12 საათის შრომას, მის მიმართ ჩვენ იოლად გავასწორეთ ანგარიში, იგი იყოფა ხელფასად და მოგებად; მისი ღირებულება უდრის მქსოველის მოგებისა და ხელ-ფასის ჯამს. მას მოიხმარენ, მაშასადამე, თვით მფლობელები საქსო-ვი საწარმოსი და მისი მუშები. 4 არშინის მიმართ ეს გადაწყვეტა საბოლოოა. მართლაც, თუ მოგება და ხელფასი მოიხმარება არა ტი-ლოს, არამედ რომელიმე სხვა პროდუქტის სახით, ეს ხდება მხო-ლოდ იმიტომ, რომ ამ სხვა პროდუქტის მწარმოებელნი საკუთარი მოხმარებისათვის განკუთვნილ ნაწილს მოიხმარენ ტილოს სახით და არა თავიანთი საკუთარი პროდუქტის სახით. თუ, მაგალითად, 4 არშინი ტილოდან თვით მქსოველი მოიხმარს მხოლოდ 1 არშინს, 3 არშინს კი მოიხმარს ხორცის, პურის, მაუდის სახით, მაშინ 4 არშ. ტილოს ღირებულება მაინც მოხმარებულია უწინდებურად თვით მქსოველთა მიერ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მათ ამ ღირებუ-ლების $^3/_4$ მოიხმარეს სხვა საქონელთა სახით, მაშინ როდესაც ამ სხვა საქონელთა მწარმოებლებმა ტილოს სახით მოიხმარეს ის ხორ-ცი, ის პური და ის მაუდი, რომელთა მოხმარებაც მათ შეუძლიათ ხელფასისა და მოგების სახით. { რა თქმა უნდა, აქ, როგორც მთელ გამოკვლევაში, მუდამ იგულისხმება, რომ საქონლის გაყიდვა ხერხ-დება, და თანაც — მისი ღირებულების მიხედვით. }

მაგრამ ახლა იწყება ნამდვილი პრობლემა. მქსოველის მუდმივი კაპიტალი ახლა არსებობს 8 არშინი ტილოს ფორმით (=24 საათის შრომას = 24 შილინგს). თუ მქსოველს სურს წარმოება განაგრძოს, მან ეს 8 არშინი ტილო უნდა გადააქციოს ფულად, 24 შილინგად, და ამ 24 შილინგით იყიდოს ბაზარზე გამოტანილი ის ახლადწარმო-ებული საქონელნი, რომელთაგანაც მისი მუდმივი კაპიტალი შედგე-ბა. საკითხის გამარტივებისათვის დავუშვათ, რომ მქსოველი თავის მანქანებს აღადგენს არა ერთბაშად, გარკვეული რიგი წლების გავ-ლის შემდეგ, არამედ იგი ყოველდღიურად იმ ფულით, რომელიც მან თავისი პროდუქტის გაყიდვიდან ამოიგო, უნდა აღადგენდეს in natura* მანქანათა ისეთ ნაწილს, რომელიც უდრის ამ მანქანათა

* — ნატურით, ნატურალური ფორმით. რ ე დ.

ღირებულების ყოველდღიურად მოსპობილ ნაწილს. პროდუქტის ის ნაწილი, რაც ამ პროდუქტის წარმოების პროცესში მოხმარებული მუდმივი კაპიტალის ღირებულებას უდრის, მქსოველმა უნდა აანაზღაუროს ამ მუდმივი კაპიტალის ელემენტებით, ე. ი. წარმოების იმ ნივთობრივი პირობებით, რომლებიც აუცილებელია მქსოველის შრომისათვის. მეორე მხრივ, მქსოველის პროდუქტი, ტილო, არ შედის წარმოების არც ერთ სხვა სფეროში როგორც წარმოების პირობა, არამედ შედის მხოლოდ ინდივიდუალურ მოხმარებაში. ამრიგად, მქსოველს შეუძლია აანაზღაუროს მუდმივი კაპიტალის სახით წარმოდგენილი ნაწილი თავისი პროდუქტისა მხოლოდ იმ გზით, რომ მას გაცვლის შემოსავალზე, ე. ი. სხვა მწარმოებელთა პროდუქტის ღირებულების იმ ნაწილზე, რომელიც დაიყვანება ხელფასსა და მოგებაზე, მაშასადამე, ახლად მიმატებულ შრომაზე. ამ სახით პრობლემა სწორადაა დასმული. საკითხავია მხოლოდ, რა პირობებში შეიძლება მისი გადაწყვეტა?

ერთი სიძნელე, რომელიც საკითხის ჩვენი პირველი დასმის დროს წარმოიშვა, ახლა ნაწილობრივ უკვე დაძლეულია. თუმცა წარმოების თვითეულ სფეროში მიმატებული შრომა უდრის $^1/_3$-ს, მუდმივი კაპიტალი კი, ვარაუდის თანახმად, უდრის $^2/_3$-ს, მაინც ეს მესამედი, რომელიც მიმატებული შრომისაგან შედგება, ანუ შემოსავლის (ხელფასისა და მოგების; როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ჩვენ აქ მხედველობის გარეშე ვტოვებთ მოგების იმ ნაწილს, რომელიც ხელახლა კაპიტალად გადაიქცევა) ღირებულების ჯამია, შეიძლება მოხმარებულ იქნეს წარმოების იმ დარგთა პროდუქტების სახით, რომლებიც უშუალოდ ინდივიდუალური მოხმარებისათვის მუშაობენ. წარმოების ყველა დანარჩენი დარგის პროდუქტთა მოხმარება შეიძლება მხოლოდ კაპიტალის სახით, ეს პროდუქტები შეიძლება შევიდნენ მხოლოდ საწარმოო მოხმარებაში.

[291] 8 არშინით (= 24 საათს = 24 შილინგს) წარმოდგენილი მუდმივი კაპიტალი შედგება ნართისა (ნედლეულისა) და მანქანებისაგან; იგი შედგება, ვთქვათ, $^3/_4$-ით ნედლეულისაგან და $^1/_4$-ით მანქანებისაგან. (ნედლეულს აქ შეიძლება მიეკუთვნოს, ზემოხსენებულის გარდა, ყველა დამხმარე საშუალება, როგორიცაა წასაცხები ზეთი, ნახშირი და ა. შ.; მაგრამ გამარტივებისათვის უმჯობესია ისინი სულ არ მივიღოთ მხედველობაში). ნართი ეღირებოდა ამ შემთხვევაში 18 შილინგი, ანუ 18 საათის შრომა = 6 არშინს, მანქანები კი ეღირებოდა 6 შილინგი = 6 საათის შრომას = 2 არშინს.

მაშასადამე, თუ მქსოველი თავისი 8 არშინიდან 6 არშინით ყიდულობს ნართს და 2 არშინით — მანქანებს, თავისი მუდმივი კაპიტალით — 8 არშინით — იგი გადაიხდის არა მარტო მრთველისა და საქსოვი დაზგის ფაბრიკანტის მუდმივ კაპიტალს, არამედ მათ მიერ ახლადმომატებულ შრომასაც. ამროგად, იმ ღირებულების ნაწილი, რომელიც მქსოველის მუდმივი კაპიტალის სახით გამოდის, მრთველისა და საქსოვი დაზგის ფაბრიკანტის მხარეზე გამოდის როგორც ახლადმომატებული შრომა და ამიტომ მათთვის დაიყვანება არა კაპიტალზე, არამედ შემოსავალზე.

6 არშინი ტილოდან მრთველს შეუძლია თვითონ მოიხმაროს ერთი მესამედი, ე. ი. 2 არშინი (=ახლადმომატებულ შრომას — მოგებასა და ხელფასს). 4 არშინი კი მას უნაზღაურებს მხოლოდ სელსა და მანქანებს. ვთქვათ, 3 არშინი უწევს სელს და 1 არშინი — მანქანებს. ამ ოთხი არშინით მან უნდა გაისტუმროს თავისი ახალი ნაყიდი საქონელი. [მქსოველისაგან მიღებული] 2 არშინიდან მანქანათმშენებელს შეუძლია თვითონ მოიხმაროს $^2/_3$ არშინი, დანარჩენი $^4/_3$ არშინი კი მხოლოდ უნაზღაურებს მას რკინასა და ხე-ტყეს, მოკლედ, ნედლეულს და აგრეთვე მანქანის საწარმოებლად გამოყენებულ მანქანურ მოწყობილობას. ვთქვათ, $^4/_3$ არშინიდან ნედლეულს უწევს 1 არშინი, მანქანებს კი — $^1/_3$ არშინი.

12 არშინიდან დღემდე მოიხმარეს: $^1/_4$ — მქსოველმა, $^2/_4$ — მრთველმა $3^2/_3$ — მანქანათმშენებელმა. სულ $6^2/_3$ არშინი. რჩება, მაშასადამე, კიდევ $5^1/_3$ არშინი. ისინი ნაწილდება შემდეგნაირად:

მრთველმა 4 არშინის ღირებულებიდან უნდა აანაზღაუროს სამი არშინით სელი და ერთით — მანქანები.

მანქანათმშენებელმა $^4/_3$ არშინის ღირებულებიდან უნდა აანაზღაუროს ერთი არშინით რკინა და ა. შ., ერთი მესამედი არშინით კი — მანქანები (რომლებიც თვითონ მან გამოიყენა მანქანათმშენებლობაში).

ამრიგად, 3 არშინს მრთველი უხდის სელში მესელეს. მაგრამ მესელისათვის დამახასიათებელია ის თავისებურება, რომ მისი მუდმივი კაპიტალის ერთი ნაწილი (სახელდობრ, თესლი, სასუქი და სხვ., ერთი სიტყვით მიწის ყველა ის პროდუქტი, რომელთაც იგი უკან უბრუნებს მიწას) სრულიად არ შედის მიმოქცევაში და, მაშასადამე, არ გამოაკლდება მის მიერ გაყიდულ პროდუქტს; ამ პროდუქტში

(გარდა მისი იმ ნაწილისა, რომელიც ანაზღაურებს მანქანებს, ხელოვნურ სასუქს და ა. შ.) წარმოდგენილია მხოლოდ მიმატებული შრომა, და ამიტომ ეს პროდუქტი იყოფა მხოლოდ ხელფასად და მოგებად. მაშასადამე, თუ ჩვენ აქ ვივარაუდებთ, ისე როგორც აქამდე ვვარაუდობდით, რომ ერთობლივი პროდუქტის ერთ მესამედს შეადგენს მიმატებული შრომა, მიმატებული შრომის კატეგორიას მიეკუთვნება ერთი არშინი სამიდან. დანარჩენი 2 არშინის მიმართ ვიგულისხმოთ, რომ — როგორც უწინ — მისი ერთი მეოთხედი უწევს მანქანებს; ეს შეადგენს $^2/_4$ არშინს. დარჩენილი $^6/_4$ არშინი, პირიქით, მოუწევდა კვლავ მიმატებულ შრომას, რადგან მესელის პროდუქტის ეს ნაწილი არ შეიცავს მუდმივ კაპიტალს, — ეს უკანასკნელი მან უკვე უწინ გამოაკლო. მაშასადამე, ხელფასსა და მოგებაზე მესელემ დახარჯა $2^2/_4$ არშინი. მანქანების ასანაზღაურებლად დარჩა $^2/_4$ არშინი. ამრიგად, $5^1/_3$ არშინიდან, რაც ჩვენი გაანგარიშებით კიდევ მოხმარებისათვის იყო განკუთვნილი, უკვე გამოყენებულია $2^2/_4$ $\left(5\frac{4}{12} - 2\frac{6}{12} = 2\frac{10}{12} = 2\frac{5}{6} \text{ არშინი} \right)$. ეს უკანასკნელი $^2/_4$ არშინი მესელეს უნდა გამოეყენებინა, მაშასადამე, მანქანების საყიდლად.

მანქანათმშენებლის ანგარიში მიიღებდა ახლა შემდეგ სახეს: საქსოვი დაზგის სახით არსებული მუდმივი კაპიტალიდან მან დახარჯა 1 არშინი რკინაზე და ა. შ., $^1/_3$ არშინი მანქანათმშენებელი მანქანის გაცვეთაზე საქსოვი დაზგის წარმოებისას.

მაგრამ, შემდეგ, მანქანათმშენებლისაგან მრთველი ყიდულობს 1 არშინით სართავ მანქანას, მესელე კი — $^2/_4$ არშინით სასოფლო-სამეურნეო იარაღებს. ამ $^6/_4$ არშინიდან მანქანათმშენებელმა უნდა დახარჯოს $^1/_3$ მის მიერ მიმატებული შრომის ანაზღაურებაზე, $^2/_3$ კი — სართავ მანქანასა და სასოფლო-სამეურნეო იარაღებში დაბანდებული მუდმივი კაპიტალის ანაზღაურებაზე. მაგრამ $^6/_4 = {}^{18}/_{12}$. ამრიგად, მანქანათმშენებელმა [292] ხელახლა უნდა მოიხმაროს $^6/_{12}$ არშინი, $^{12}/_{12}$, ანუ 1 არშინი მუდმივ კაპიტალად გადაიქციოს. (მაშასადამე, ჯერ კიდევ მოუხმარებელ $2\,^5/_6$ არშ. ტილოს გამოაკლდება $^1/_2$ არშინი; რჩება $^{14}/_6$ არშინი, ე. ი. $2^2/_6$ ანუ $2^1/_3$ არშინი).

მისი მუდმივი კაპიტალის ასანაზღაურებლად დარჩენილი 1 არშინი ტილოდან მანქანათმშენებელმა $^3/_4$ უნდა დახარჯოს ნედლეულზე — რკინაზე, ხე-ტყეზე და სხვ., $^1/_4$ კი გადაუხადოს თავის თავს მანქანათმშენებელი მანქანის ასანაზღაურებლად.

მთელი გაანგარიშება წარმოგვიდგება შემდეგი სახით:

მანქანათმშენებლის მუდმივი კაპიტალი	საქსოვი დაზგის წილად მოდის: 1 არშინი ნედლეულზე, $^1/_3$ არშინი მისი (მანქანათმშენებლის) საკუთარი მანქანების გაცვეთაზე. სართავი მანქანის და სახოფლო-სამეურნეო იარაღების წილად მოდის: $^3/_4$ არშინი ნედლეულზე, $^1/_4$ არშინი მისი საკუთარი მანქანების გაცვეთაზე.

მაშასადამე: 1 $^3/_4$ არშ. უწევს ნედლეულს, $^1/_3 + ^1/_4$ არშინი— მისი საკუთარი მანქანების გაცვეთას.

ამრიგად, 1 $^3/_4$ არშინი ანუ $^7/_4$ არშინი ტილოთი ყიდულობენ რკინის მწარმოებლისაგან და ხე-ტყის მრეწველობისაგან ამავე ღირებულების რკინასა და ხე-ტყეს. $^7/_4 = ^{21}/_{12}$. მაგრამ აქ წარმოიჩრება ახალი კითხვა. მესელესთან მუდმივი კაპიტალის ნაწილი — ნედლეული — არ შედიოდა მის მიერ გაყიდულ პროდუქტში, რადგან წინასწარ იყო გამოკლებული. ამ შემთხვევაში ჩვენ მთელი პროდუქტი უნდა დავყოთ მიმატებულ შრომად და მანქანებად. მაშინაც კი, თუ ვიგულისხმებდით, რომ მიმატებული შრომა აქ შეადგენს პროდუქტის ორ მესამედს, მანქანები კი — ერთ მესამედს, მოსახმარი იქნებოდა მხოლოდ $^{14}/_{12}$ არშინი, $^7/_{12}$ არშინი კი მუდმივი კაპიტალის სახით დარჩებოდა მანქანების წილად. ეს $^7/_{12}$ არშინი დაუბრუნდებოდა მანქანათმშენებელს.

მაშასადამე, 12 არშინიდან დარჩა ნაშთი $^1/_3 + ^1/_4$ არშინი, რითაც მანქანათმშენებელს უნდა გაესტუმრებინა თავისი თავი საკუთარი მანქანების გაცვეთისათვის, და $^7/_{12}$ არშინი, რასაც მას მანქანებისათვის უბრუნებენ რკინის მწარმოებელი და ხე-ტყის მრეწველი. ამრიგად, $\frac{1}{3} + \frac{1}{4} = \frac{4}{12} + \frac{3}{12} = \frac{7}{12}$. ამას უნდა მივმატოს რკინის მწარმოებლისა და ხე-ტყის მრეწველის მიერ დაბრუნებული $^7/_{12}$. (საბოლოოდ $^{14}/_{12}$, რაც შეადგენს $1^2/_{12}$, ანუ $1^1/_6$).

რკინის მწარმოებელმა და ხე-ტყის მრეწველმა მანქანები და სამუშაო ინსტრუმენტები უნდა იყიდონ მანქანათმშენებლისაგან სავსებით ისევე, როგორც მისგანვე უნდა იყიდონ მქსოველმა, მრთველმა და მესელემ მანქანები და სამუშაო ინსტრუმენტები. ვთქვათ, $^7/_{12}$ არშინში ერთ მესამედს — $^2/_{12}$ არშინს — შეადგენს ახლადშიმატებული შრომა. მაშასადამე, ამ $^2/_{12}$ არშინის მოხმარებაც შეიძლება. დანარჩენ $^5/_{12}$-ში (კერძოდ, $^4/_{12}$ და $\frac{2/3}{12}$-ში, მაგრამ ასეთი სიზუსტე

ამ შემთხვევაში არაა საჭირო) წარმოდგენილია მუდმივი კაპიტალი. რომელსაც შეიცავს შეშის მჭრელის ნაჯახი და რკინის მწარმოებლის მანქანა, ამასთან $^3/_4$ უწევს თუჯს, ხე-ტყეს და სხვ. და $^1/_4$ — მანქანების გაცვეთას. ($^{14}/_{12}$ არშინიდან რჩება $^{12}/_{12}$ არშინი, ე. ი. 1 არშინი = 3 საათის შრომას = 3 შილინგს.) მაშასადამე, 1 არშინიდან მეოთხედი არშინი მიდის მანქანათმშენებელი მანქანის ანაზღაურებაზე და სამი მეოთხედი არშინი — ხე-ტყესა, რკინასა და სხვაზე.

ამრიგად, მანქანათმშენებელი მანქანის გაცვეთას უწევს $\frac{7}{12}$ არშინი $+ \frac{1}{4}$ არშინი $= \frac{7}{12} + \frac{3}{12} = \frac{10}{12}$ არშინს. მეორე მხრივ, სრულიად უსარგებლო იქნებოდა $^3/_4$ არშინი, რაც ხე-ტყესა და რკინას უწევს, კვლავ დაგვეშალა მათს შემადგენელ ნაწილებად და ერთი ამ ნაწილთაგანი ხელახლა დაგვებრუნებინა მანქანათმშენებლისათვის, რომელიც, თავის მხრივ, ამ ნაწილის ნაწილს უკან უბრუნებს რკინის მწარმოებელსა [293] და ხე-ტყის მრეწველს. მუდამ დარჩებოდა ნაშთი და progressus in infinitum.

[ბ) კაპიტალის გაცვლა კაპიტალზე წარმოების საშუალებათა მწარმოებლებს შორის. შრომის წლიური პროდუქტი და ამ წელს ახლადმიმატებული შრომის პროდუქტი]

ამრიგად, განვიხილოთ საგანი იმ სახით, რა სახითაც იგი ამჟამად ჩვენ თვალწინაა.

$^{10}/_{12}$ (ანუ $^5/_6$) არშინის ღირებულებას მანქანათმშენებელი იტოვებს თავისი მანქანების გაცვეთის ასანაზღაურებლად. $^3/_4$ (ანუ $^9/_{12}$) არშინში წარმოდგენილია ხე-ტყისა და რკინის სათანადო ღირებულება. მანქანათმშენებელმა ისინი მისცა რკინის მწარმოებელსა და ხე-ტყის მრეწველს თავისი ნედლეულის ასანაზღაურებლად, დარჩა $^{19}/_{12}$ (ანუ $^{17}/_{12}$) არშინი ტილოს საერთო ნაშთი [რომელიც აღარ დაიშლება თავის შემადგენელ ნაწილებად].

$^5/_6$ არშინი, რომელსაც მანქანათმშენებელი ნაშთის სახით იტოვებს თავისი მანქანების გაცვეთის ასანაზღაურებლად, უდრის $^{15}/_6$ შილინგს = $^{15}/_6$ საათის შრომას; მაშასადამე, ის უდრის $^{23}/_6 = 2\ ^1/_2$ შილინგს, ანუ $2^1/_2$ საათის შრომას. ეს ღირებულება არ შეიძლება ანაზღაურდეს მანქანათმშენებელს ტილოს სახით; მას ხომ ამ ტი-

ლოს კვლავ გადაყიდვა დასჭირდებოდა იმისათვის, რომ ამ 2 $^1/_2$ შილინგით აენაზღაურებინა თავისი მანქანების გაცვეთა, ერთი სიტყვით, იმისათვის, რომ ახალი მანქანათმშენებელი მანქანა ეწარმოებინა. მაგრამ ვისთვის შეუძლო მას ამ ტილოს მიყიდვა? სხვა პროდუქტების (გარდა რკინისა და ხე-ტყისა) მწარმოებელთათვის? ამ მწარმოებლებმა ხომ უკვე მოიხმარეს ტილოს სახით ყველაფერი, რის მოხმარებაც ამ სახით მათ შეუძლიათ. მხოლოდ ის 4 არშინი, რომელიც ხელფასსა და მოგებას შეადგენს საფეიქრო საწარმოში, შეიძლება გაიცვალოს სხვა პროდუქტებზე (გარდა იმ პროდუქტებისა, რომლებიც საფეიქრო წარმოების მუდმივ კაპიტალში შედიან, ანდა გარდა იმ შრომისა, რომელსაც ეს მუდმივი კაპიტალი წარმოადგენს). ეს 4 არშინი კი ჩვენ უკვე მივიღეთ სათვალავში. ანდა, შესაძლოა, მანქანათმშენებელმა ამ ტილოთი უნდა გადაუხადოს მუშებს? მაგრამ ჩვენ ხომ მის პროდუქტს გამოვაკელით ყველაფერი, რაც შრომამ პროდუქტს მიუმატა, და ყოველივე ეს, ჩვენი ვარაუდის თანახმად, მოხმარებულია ტილოს სახით.

წარმოვიდგინოთ საქმის ვითარება სხვა სახით:

მქსოველმა უნდა დახარჯოს				
მანქანების ასანახლებლად .	2	არშ. = 6	შილ. = 6	საათის შრომას
მრთველმა	1	» =	» = 3	» »
მესელემ.	$^2/_4$	» = $1^1/_2$	» = $1^1/_2$	» »
რკინისა და ხე-ტყის მწარმოებელმა	$^7/_{12}$	» = $1^3/_4$	» = $1^3/_4$	» »
მანქანებზე დახარჯული არშინების რაოდენობა, ე. ი. ტილოს ღირებულების ის ნაწილი, რომლითაც წარმოდგენილია მანქანათა ღირებულება	4 $^1/_{12}$	არშ. = $12^1/_4$	შილ. = $12^1/_4$	საათის შრომას

გაანგარიშების გამარტივებისათვის დავუშვათ: 4 არშ. = 12 შილინგს = 12 საათის შრომას, საიდანაც შრომაზე (მოგებასა და ხელფასზე) მოდის ერთი მესამედი, ე. ი. $^4/_3$ არშინი, ანუ 1 $^1/_3$ არშინი.

მუდმივი კაპიტალის წილად რჩება 2 $^2/_3$ არშინი; აქედან $^3/_4$ მიდის ნედლეულზე, $^1/_4$ კი — მანქანების ანაზღაურებაზე. 2 $^2/_3$ = $^8/_3$ = $^{32}/_{12}$. ამ რაოდენობის ერთი მეოთხედი უდრის $^8/_{12}$ არშინს.

მანქანების გაცვეთის ანაზღაურებისთვის განკუთვნილ ამ $^8/_{12}$ არშინზე მეტი მანქანათმშენებლის ხელში არაფერი რჩება, რადგან $^{24}/_{12}$ არშინს (2 არშ.) იგი ხარჯავს რკინისა და ხე-ტყის მწარმოებელთაგან ნედლეულის შესაძენად.

[294] შეცდომა იქნებოდა იმის ვარაუდი, რომ რკინისა და ხე-

ტყის მწარმოებლებს ხელახლა ეზღოთ მანქანების ფასი, რადგან ყველაფერი, რაც მათ მანქანების სახით უნდა აანაზღაურონ, სახელდობრ $^7/_{12}$ არშინი, უკვე ჩათვლილია ანგარიშში. ამ მუხლში უკვე შეტანილია ყველა მანქანა, რომლებიც საჭიროა მათთვის რკინისა და ხე-ტყის საწარმოებლად, და ამიტომ ამ მანქანების ხელმეორედ შეტანა ანგარიშში არ შეიძლება. ამრიგად, უკანასკნელი 2 არშინი, რითაც რკინისა და ხე-ტყის ღირებულებას იხდიან (2 $^8/_{12}$-ის ნაშთი), დაიყვანება, — რადგან აქ ნედლეული არაა, — მთლიანად შრომაზე და მისი მოხმარება შეიძლება ტილოს სახით.

ამრიგად. მთელი დარჩენილი ნაშთი გამოიხატება $^8/_{12}$ არშინით ($^2/_3$ არშინით), რომელიც მანქანათმშენებლის მიერ გამოყენებულ მანქანათა გაცვეთას შეესაბამება.

პრობლემამ, მთლიანად აღებულმა თავისი გადაწყვეტა ნაწილობრივ იმით მიიღო, რომ მიწათმოქმედის მუდმივი კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც არ დაიყვანება არც ახლადმიმატებულ შრომაზე, არც მანქანებზე, სრულიად არ შედის მიმოქცევაში, არამედ წინასწარ გამოკლებულია: ეს ნაწილი თვით ანაზღაურებს თავის თავს საკუთარ წარმოებაში, და მაშასადამე ,მიწათმოქმედის მთელი პროდუქტი, რომელიც მ ი მ ო ქ ც ე ვ ა შ ი შ ე დ ი ს, მანქანების გამოკლებით, დაიყვანება ხელფასსა და მოგებაზე და ამიტომ მისი მოხმარება შეიძლება ტილოს სახით. ეს იყო გადაწყვეტის ერთი ნაწილი.

გადაწყვეტის მეორე ნაწილი იყო შემდეგი: ის, რაც წარმოების ერთ სფეროში გამოდის როგორც მუდმივი კაპიტალი, წარმოების სხვა სფეროებში გამოდის როგორც ამავე წლის განმავლობაში მიმატებული ახალი შრომა. ის, რაც მქსოველის ხელში მუდმივი კაპიტალის სახით გამოდის, მეტწილად დაიყვანება მრთველის, მანქანათმშენებლის, მესელის, რკინისა და ხე-ტყის მწარმოებლის შემოსავალზე (ქვანახშირის მრეწველობის შემოსავალზე და ა. შ.; მაგრამ საკითხის გამარტივებისათვის ეს უკანასკნელი ჩვენს სათვალავში არ შეგვყავს). (ეს მთელი სიცხადით მჟღავნდება იმით, რომ როცა, მაგალითად, ერთი და იგივე ფაბრიკანტი ართავს და ქსოვს, მისი მუდმივი კაპიტალი უფრო მცირეა, ვიდრე მქსოველის მუდმივი კაპიტალი, მის მიერ მიმატებული შრომა კი, ე. ი. მისი პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც წარმოადგენს მიმატებულ შრომას, შემოსავალს — მოგებასა და ხელფასს, — მეტია, ვიდრე მქსოველისა. ამრიგად, მქსოველის შემოსავალი უდრიდა 4 არშინს = 12 შილინგს; მუდმივი კაპიტალი უდრიდა 8 არშინს = 24 შილინგს. თუკი იგი ერთსა და იმავე დროს ართავს და ქსოვს, მაშინ

მისი შემოსავალი = 6 არშინს, მისი მუდმივი კაპიტალი = ასევე 6 არშინს, სახელდობრ 2 არშინი უწევს საქსოვ დაზგას, 3 არშინი — სელს, 1 არშინი — სართავ მანქანას).

მესამე, დღემდე მიგნებული გადაწყვეტა ის იყო, რომ ყველა მწარმოებელი, ვინც ნედლეულსა და წარმოების იარაღებს იძლევა საბოლოო ინდივიდუალური მოხმარებისათვის განკუთვნილი პროდუქტის საწარმოებლად, თავის შემოსავალს — მოგებასა და ხელფასს, რაც ახლადმიმატებულ შრომას წარმოადგენს, — მოიხმარს არა საკუთარი პროდუქტის სახით. თავიანთ პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც შემოსავალს წარმოადგენს, მწარმოებლებს შეუძლიათ მოიხმარონ მხოლოდ უშუალო მოხმარებისათვის გამოსადეგი იმ პროდუქტის სახით, რომელზეც აქ ლაპარაკია, ანდა — რაც იგივეა — სხვა მწარმოებელთა ისეთი უშუალო მოსახმარი პროდუქტის სახით, რომელიც გაცვლის გზით მიიღება და რომელსაც იგივე ღირებულება აქვს. ნედლეულისა და შრომის იარაღების მწარმოებელთა ახლადმიმატებული შრომა შედის როგორც ღირებულების შემადგენელი ნაწილი საბოლოო პროდუქტში, რომლის სახითაც იგი მხოლოდ მოხმარებას ემსახურება, მაშინ როდესაც თავისი სახმარი ღირებულების მიხედვით ამ ახლადმიმატებულ შრომას შეიცავს საბოლოო პროდუქტი ნედლეულის სახით, ანდა მოხმარებული მანქანების სახით.

ამრიგად, პრობლემის ის ნაწილი, რომელიც კიდევ გადასაწყვეტი რჩება, დაყვანილია შემდეგ საკითხამდე: რა მოუვა $^2/_3$ არშინს, რომელიც მანქანათმშენებლის მანქანათმშენებელი მანქანის გაცვეთას უწევს? (აქ ლაპარაკია სწორედ ამ მანქანის გაცვეთაზე და არა მქსოველის, მესელის, რკინისა და ხე-ტყის მწარმოებლის მიერ გამოყენებულ სამუშაო მანქანათა გაცვეთაზე, რადგან ეს უკანასკნელნი დაყვანილია ახალ შრომაზე, სახელდობრ ახალ შრომაზე, რომელიც ახალი მანქანების ფორმას აძლევს ისეთ ნედლეულს, რომელსაც, თავის მხრივ, უკვე არ გააჩნია თავისი წინასწარი ხარჯების მომთხოვნი ნედლეული). ანდა, სხვანაირად რომ ვთქვათ: რა პირობებში შეუძლია მოცემულ მანქანათმშენებელს მოიხმაროს ტილოს სახით ეს $^2/_3$ არშინი, რომელიც უდრის 2 შილინგს, ანუ 2 საათის შრომას, და იმავე დროს აანაზღაუროს თავისი მანქანები? ესაა საკითხის დედაარსი. ამ ფაქტს ნამდვილად აქვს ადგილი. იგი არსებობს როგორც აუცილებელი რაიმე. მაშასადამე, პრობლემა ისაა, თუ როგორ აიხსნას ეს მოვლენა.

[295] მოგების იმ ნაწილს, რომელიც გადაიქცევა ახალ კაპიტა-

ლად (მაშასადამე, როგორც საბრუნავ კაპიტალად, ისე ძირითად კაპიტალად; როგორც ცვალებად, ისე მუდმივ კაპიტალად), ჩვენ აქ სრულიად უყურადღებოდ ვტოვებთ. მას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ჩვენს პრობლემასთან, რადგან ამ შემთხვევაში ახალ ცვალებად კაპიტალს, როგორც ახალ მუდმივ კაპიტალსაც, ქმნის და ანაზღაურებს ახალი შრომა (ზედმეტი შრომის ესა თუ ის ნაწილი).

ამრიგად, თუ ამ შემთხვევას გვერდს ავუვლით, მიმატებული (მაგალითად, წლის განმავლობაში) ახალი შრომის რაოდენობა, რომელიც უდრის მოგებისა და ხელფასის ჯამს, ე. ი. წლიური შემოსავლის ჯამს, იხარჯება ინდივიდუალურ მოხმარებაში შემავალ პროდუქტებზე, — კვების საგნებზე, ტანსაცმელზე, გათბობაზე, ბინაზე, ავეჯზე და სხვ.

მოხმარებაში შემავალი ამ პროდუქტების ჯამი თავისი ღირებულებით უდრის წლის განმავლობაში მიმატებული შრომის ჯამს (შემოსავლის ღირებულების ჯამს). შრომის ეს რაოდენობა უნდა უდრიდეს ამ პროდუქტებში მოთავსებული შრომის, როგორც ახლადმიმატებული, ისე წარსული შრომის, ჯამს. ამ პროდუქტების ყიდვისას უნდა გადახდილ იქნეს არა მარტო მათში მოთავსებული ახლადმიმატებული შრომა, არამედ მათში მოქცეული მუდმივი კაპიტალიც. მათი ღირებულება უდრის, როგორც ითქვა, მოგებათა და ხელფასთა ჯამს. როცა ჩვენ მაგალითის სახით ტილოს ვიღებთ, იგი ჩვენ წარმოგვიდგენს წლის განმავლობაში ინდივიდუალურ მოხმარებაში შემავალი პროდუქტების ჯამს. ეს ტილო არა მარტო უნდა უდრიდეს თავისი ღირებულებით ყველა თავის ღირებულებითს ელემენტს, არამედ მისი სახმარი ღირებულებაც უნდა ვარგისი იყოს იმისათვის, რომ იგი მოიხმარონ სხვადასხვა მწარმოებლებმა, რომლებიც ამ ტილოში თავიანთ წილს ღებულობენ. მთელი მისი ღირებულება უნდა იყოფოდეს მოგებად და ხელფასად, ე. ი. წლის განმავლობაში ახლადმიმატებული შრომის შემადგენელ ნაწილებად, თუმცა ეს ტილო შედგება მიმატებული შრომისა და მუდმივი კაპიტალისაგან.

ეს, როგორც ითქვა, ნაწილობრივ აიხსნება შემდეგით:

ჯ ე რ-ე რ თ ი: ტილოს წარმოებისათვის საჭირო მუდმივი კაპიტალის ნაწილი არ შედის ტილოში არც სახმარი ღირებულების სახით, არც საცვლელი ღირებულების სახით. ეს არის სელის ის ნაწილი, რომელიც წარმოადგენს თესლს და ა. შ., მიწათმოქმედების პროდუქტის მუდმივი კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც არ შედის მიმოქცევაში, არამედ პირდაპირ თუ არაპირდაპირ უბრუნდება წარ-

მოებას, მიწას. ეს ნაწილი ანაზღაურებს თავის თავს; მაშასადამე, იგი არ საჭიროებს თავის აღსადგენად ტილოთი უკუგადახდას. { გლეხს შეუძლია გაყიდოს მთელი თავისი პურის მოსავალი, ვთქვათ, 120 კვარტერი. მაგრამ ასეთ შემთხვევაში მან უნდა იყიდოს თესლი (მაგალითად, 12 კვარტერი) სხვა გლეხისაგან. ამ უკანასკნელმა მაშინ თავისი პროდუქტიდან (120 კვარტერიდან) თესლად უნდა აქციოს არა 12 კვარტერი, არამედ 24, არა ერთი მეათედი ნაწილი, არამედ ერთი მეხუთედი. მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც 240 კვარტერიდან თესლის სახით მიწას უკან უბრუნდება 24 კვარტერი. მართალია, მიმოქცევის სფეროში აქ ნამდვილად არსებობს განსხვავება. პირველ შემთხვევაში, როცა თვითეული ერთ მეათედ ნაწილს იტოვებს, მიმოქცევაში შედის 216 კვარტერი. მეორე შემთხვევაში მიმოქცევაში შედის პირველი გლეხის 120 კვარტერი და მეორისა 108, ე. ი. 228 კვარტერი. ნამდვილ მომხმარებლებს უწევს, როგორც უწინ, მხოლოდ 216 კვარტერი. აქ, მაშასადამე, ჩვენ უკვე გვაქვს იმის მაგალითი, რომ «საქმიან ადამიანებს» შორის მიმოქცევაში მყოფ ღირებულებათა ჯამი შეიძლება უფრო დიდი იყოს, ვიდრე «საქმიან ადამიანებსა» და მომხმარებლებს შორის მიმოქცევაში მყოფ ღირებულებათა ჯამი [51]. { (შემდეგ, ასეთივე განსხვავება არსებობს ყველა იმ შემთხვევაში, როცა მოგების ნაწილი ახალ კაპიტალად გადაიქცევა; მაშინაც, როცა გარიგებანი «საქმიან ადამიანებს» შორის მთელ რიგ წლებზე ვრცელდება, — და ა. შ.)

ამრიგად, მნიშვნელოვანი ნაწილი მუდმივი კაპიტალისა, რომელიც საჭიროა ტილოს, ე. ი. ინდივიდუალური მოხმარებისათვის ვარგისი პროდუქტის საწარმოებლად, არ საჭიროებს ტილოთი ანაზღაურებას.

მ ე ო რ ე: მნიშვნელოვანი ნაწილი მუდმივი კაპიტალისა, რომელიც საჭიროა ტილოსათვის, ე. ი. წლის განმავლობაში წარმოებული საგნისათვის, ერთ საფეხურზე გვევლინება როგორც მუდმივი კაპიტალი, მეორეზე კი — როგორც ახლადმიმატებული შრომა და ამიტომ ნამდვილად იყოფა მოგებად და ხელფასად, რაც ერთისთვის შემოსავალს შეადგენს, მაშინ როდესაც ღირებულების იგივე ჯამი სხვებისთვის გამოდის როგორც კაპიტალი. ამრიგად, [მქსოველის] მუდმივი კაპიტალის ნაწილი დაყვანილია მრთველის [ახლადმიმატებულ] შრომაზე და ა. შ.

[296] მ ე ს ა მ ე: წარმოების ყველა შუალედურ საფეხურზე, რომლებიც საჭიროა მოხმარებისათვის ვარგისი პროდუქტის დასამზადებლად, პროდუქტთა მნიშვნელოვანი ნაწილი — ნედლეულისა და

ზოგიერთი დამხმარე მასალის გამოკლებით — არასოდეს არ შედის მოხმარების საგნის სახმარ ღირებულებაში, არამედ მასში შედის მხოლოდ როგორც მისი ღირებულების შემადგენელი ნაწილი; ეს შეეხება მანქანებს, ნახშირს, ზეთს, ცხიმს, ღვედს და ა. შ. პროდუქტი თვითეული ამ საფეხურისა, რომელნიც სინამდვილეში ყოველთვის მხოლოდ მუდმივ კაპიტალს აწარმოებენ მომდევნო საფეხურისათვის, — რამდენადაც ისინი საზოგადოებრივი შრომის დანაწილების გამო განსაკუთრებულ დარგებად გვევლინებიან, — დაიყოფა ორ ნაწილად: ერთში წარმოდგენილია ახლადმიმატებული შრომა (ეს ნაწილი დაიყვანება მოგებასა და ხელფასზე, დაიყვანება ზემოაღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით [52], შემოსავალზე), მეორე ნაწილში კი წარმოდგენილია მოხმარებული მუდმივი კაპიტალის ღირებულება. ამრიგად, ნათელია, რომ წარმოების თვითეულ ამ სფეროში საკუთარმა მწარმოებელმა შეიძლება მოიხმაროს აგრეთვე პროდუქტის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ხელფასად და მოგებად იყოფა, მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც რჩება ამ სფეროს პროდუქტში მოთავსებული მუდმივი კაპიტალის ღირებულების შესაბამისი პროდუქტთა მასის გამოკლების შემდეგ. მაგრამ არც ერთი ამ მწარმოებელთაგანი არ მოიხმარს რაიმე ნაწილს წინა საფეხურის პროდუქტებიდან, ყველა იმ საფეხურის პროდუქტებიდან, რომლებიც სინამდვილეში აწარმოებენ მხოლოდ მუდმივ კაპიტალს შემდგომი საფეხურისათვის.

ამრიგად, თუმცა საბოლოო პროდუქტი (ტილო, რომელიც აქ მოხმარებისათვის გამოსადეგი ყველა პროდუქტის წარმომადგენლის როლს ასრულებს) ახლადმიმატებული შრომისა და მუდმივი კაპიტალისაგან შედგება, ასე რომ მოხმარების ამ საგნის უკანასკნელ მწარმოებლებს შეუძლიათ მოიხმარონ მისი მხოლოდ ის ხაწილი, რომელიც წარმოადგენს უკანასკნელ სტადიაში მიმატებულ შრომას. ხელფასისა და მოგების ჯამს, მათს შემოსავალს, — მიუხედავად ამისა მაინც მუდმივი კაპიტალის ყველა მწარმოებელი მოიხმარს, განაბორციელებს თავის ახლადმიმატებულ შრომას მხოლოდ მოხმარებისათვის ვარგის პროდუქტში. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი მიმატებული შრომისა და მუდმივი კაპიტალისაგან შედგება, მისი საყიდელი ფასი გამოხატავს, — გარდა პროდუქტის იმ ნაწილისა, რომელიც უდრის უკანასკნელ სტადიაში ახლადმიმატებული შრომის რაოდენობას, — შრომის მთელ იმ რაოდენობას, რომელიც მიმატებულია ამ პროდუქტის მუდმივი კაპიტალის წარმოების პროცესში. მუდმივი კაპიტალის მწარმოებლები მთელ მათ მიერ მიმა-

ტებულ შრომას ახორციელებენ არა თავიანთ საკუთარ პროდუქტში, არამედ მოხმარებისათვის ვარგის პროდუქტში, — ასე რომ ეა იგივეა, თითქოს ეს პროდუქტი შედგებოდეს მარტო ხელფასისა და მოგებისაგან, მარტო მიმატებული შრომისაგან.

მოხმარების საგნიდან, ტილოდან, ტილოს მწარმოებლები, რომლებიც მას თავიანთი წარმოების სფეროდან მზა სახით უშვებენ, თვითონ იტოვებენ პროდუქტის იმ ნაწილს, რომელიც უდრის მათ შემოსავალს, უდრის წარმოების უკანასკნელ სტადიაში მიმატებულ შრომას, უდრის ხელფასთა და მოგებათა ჯამს (მოხმარების საგნების ურთიერთგაცვლა და საქონელთა წინასწარი გადაქცევა ფულად სრულიად არ ცვლის საქმის ვითარებას). მათ მიერ წარმოებული მოხმარების საგნის მეორე ნაწილით ისინი გადაიხდიან ღირებულების შემადგენელ ნაწილს, რომელიც უწევს მათ მიერ გამოყენებული მუდმივი კაპიტალის უშუალო მწარმოებლებს. მთელი ეს ნაწილი მათ მიერ წარმოებული მოხმარების საგნისა ფარავს, მაშასადამე, ამ მუდმივი კაპიტალის უახლოეს მწარმოებელთა შემოსავლისა და მუდმივი კაპიტალის ღირებულებას. მაგრამ ეს უკანასკნელნი იტოვებენ თავისთვის მოსახმარი პროდუქტის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც უდრის მათ შემოსავალს. მეორე ნაწილით ისინი, თავის მხრივ, გადაუხდიან მწარმოებლებს მათ მუდმივ კაპიტალს, რომელიც, თავის მხრივ, კვლავ უდრის შემოსავალს პლუს მუდმივი კაპიტალი. მ ა გ რ ა მ გ ა ა ნ გ ა რ ი შ ე ბ ა შ ე ი ძ ლ ე ბ ა უ ნ ა შ თ ო დ დ ა ს რ უ ლ დ ე ს მ ხ ო ლ ო დ ი მ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი, თუ ტილოს — მოხმარებისათვის გამოსადეგი პროდუქტის — უკანასკნელი ნაწილით ასანაზღაურებელია მხოლოდ შემოსავალი, ახლადმიმატებული შრომა, და არა მუდმივი კაპიტალი. სწორედ ტილო, ჩვენი ვარაუდის თანახმად, შედის მხოლოდ მოხმარებაში და არ შეადგენს, თავის მხრივ, წარმოების რომელიმე სხვა ფაზის მუდმივ კაპიტალს.

მიწათმოქმედების პროდუქტის ერთი ნაწილის მიმართ ეს უკვე დამტკიცებულია.

საერთოდ მხოლოდ იმ პროდუქტებზე, რომლებიც საბოლოო პროდუქტში ნედლეულის სახით შედიან, შეიძლება ითქვას, რომ ისინი მოიხმარებიან როგორც პროდუქტები. სხვები კი მოსახმარ პროდუქტში შედიან მხოლოდ ღირებულების შემადგენელი ნაწილების სახით. მოხმარებისათვის ვარგის პროდუქტს ყიდულობენ შემოსავლით, ე ი. ხელფასითა და მოგებით. მაშასადამე, მისი ღირებულების ჯამი უნდა იყოფოდეს ხელფასად და მოგებად, ე. ი. იმ

შრომის სხვადასხვა რაოდენობად, რომელიც მიემატა ამ პროდუქტს ყველა განვლილ საფეხურზე. და აი აქ ისმის კითხვა: არსებობს თუ არა, გარდა მიწათმოქმედების პროდუქტის იმ ნაწილისა, რომელსაც თვით მწარმოებელი წარმოებას უბრუნებს [297] (თესლი. პირუტყვი, ნაკელი და ა. შ.), მუდმივი კაპიტალის კიდევ სხვა რომელიმე ნაწილი, რომელიც არ შედის როგორც ღირებულების შემადგენელი ნაწილი მოხმარებისათვის ვარგის პროდუქტში, არამედ თავის თავს ანაზღაურებს in natura თვით წარმოების პროცესში?

აქ, რა თქმა უნდა, ძირითად კაპიტალზე ყველა მისი ფორმით ლაპარაკი შეიძლება იყოს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მისი ღირებულება თვით შედის წარმოებაში და მასში მოიხმარება.

არა მარტო მიწათმოქმედებაში (აქ შედის მესაქონლეობა, მეთევზეობა, მეტყეველობა, სადაც კვლავწარმოების პროცესი ხელოვნურად ხდება), — მაშასადამე, არა მარტო ტანსაცმლისათვის საჭირო ყოველგვარი ნედლეულის, კვების საგნებისა და ისეთი პროდუქტების მნიშვნელოვანი ნაწილის წარმოებაში, როგორიცაა, მაგალითად, იალქნები, ბაგირი, ღვედები და ა. შ., — არამედ სამთამადნო საქმეშიც ხდება მუდმივი კაპიტალის ნაწილობრივი ანაზღაურება in natura საკუთარი წარმოების პროდუქტიდან. ასე რომ მუდმივი კაპიტალის ეს ნაწილი არ უნდა ანაზღაურდეს პროდუქტის იმ ნაწილით, რომელიც მიმოქცევაში შედის. ასე, მაგალითად, ქვანახშირის წარმოებაში ნახშირის ნაწილი იხმარება იმისათვის, რომ ამოძრავდეს ორთქლის მანქანა, რომელიც წყალს ამოტუმბავს ან ნახშირს ზედაპირზე ამოიტანს.

წლიური პროდუქტის ღირებულება უდრის, მაშასადამე, ნაწილობრივ ქვანახშირის საბით წინათ არსებულ და ქვანახშირისავე წარმოებაში მოხმარებულ წარსულ შრომას, ნაწილობრივ კი — ახლადმიმატებული შრომის რაოდენობას (მანქანებისა და სხვ. გაცვეთა აქ მხედველობაში არ მიიღება). მაგრამ ამ ერთობლივ პროდუქტს უშუალოდ გამოაკლდება და წარმოებას უბრუნდება მუდმივი კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც [illegible] ნახშირისაგან შედგება. ამ ნაწილის ანაზღაურება არავის არ უხდება, [illegible] მწარმოებელი თვით ინაზღაურებს მას. თუ შრომის ნაყოფიერება [illegible] გადიდებულა, არც შემცირებულა, მაშინ ღირებულების ის ნაწილიც, რომელიც აქ პროდუქტის ნაწილითაა წარმოდგენილი, უცვლელი რჩება, და იგი უდრის შრომის იმ რაოდენობის გარკვეულ, მის შესაბამის ნაწილს, რომელიც პროდუქტში არსებობს როგორც წარსული შრომის, ისე წლის განმავლობაში ახლადმიმატებული შრომის

სახით. ასევე სამთამადნო მრეწველობის სხვა დარგებშიც ხდება მუდმივი კაპიტალის ნაწილობრივი ანაზღაურება in natura.

პროდუქტთა ნარჩენები, როგორც, მაგალითად, ბამბის და სხვ. ნარჩენები, უბრუნდება ნიადაგს სასუქის სახით და გამოიყენება ნედლეულის სახით წარმოების სხვა დარგებში; ასე, ძონძებად ქცეული ტილო გამოიყენება ქაღალდის წარმოებაში. პირველ აღნიშნულ შემთხვევაში წარმოების ერთი დარგის მუდმივი კაპიტალის ნაწილი უშუალოდ გაიცვლება მეორე დარგის მუდმივ კაპიტალზე. მაგალითად: ბამბა —ბამბის ნარჩენებზე, რომელთაც სასუქად იყენებენ.

საერთოდ კი მთავარი განსხვავება არსებობს მანქანების წარმოებასა და ნედლეულის (ნახშირის, რკინის, ხე-ტყის) წარმოებას შორის, ერთი მხრივ, და წარმოების სხვა ფაზებს შორის, მეორე მხრივ. ამ უკანასკნელებში არ არის ურთიერთქმედება. ტილო აო შეიძლება გახდეს მრთველის მუდმივი კაპიტალის ნაწილი; ნართი (როგორც ასეთი) არ შეიძლება გახდეს მესელის ან მანქანების ფაბრიკანტის მუდმივი კაპიტალის ნაწილი. მაგრამ მანქანისათვის ნედლი მასალა არის არა მარტო სასოფლო-სამეურნეო ნედლეულიდან მიღებული ისეთი პროდუქტები, როგორიცაა ღვედი, ბაგირი და ა. შ., არაძედ ხე-ტყეც, რკინაც, ნახშირიც; მეორე მხრივ კი, მანქანა, თავის მხრივ, შედის ხე-ტყის, რკინის, ნახშირის და ა. შ. მწარმოებლის მუდმივ კაპიტალში წარმოების საშუალებათა სახით. ამრიგად, ორივე ეს დარგი ნამდვილად უნაზღაურებს ერთიმეორეს თავისი მუდმივი კაპიტალის ნაწილს in natura. აქ ხდება მუდმივი კაპიტალის გაცვლა მუდმივ კაპიტალზე.

აქ საქმე მარტო ბუღალტრულ ანგარიშწარმოებაში როდია. რკინის მწარმოებელი წაუყენებს მანქანათმშენებელს რკინის წარმოებაში გამოყენებული მანქანების გაცვეთის ანგარიშს, მანქანების ფაბრიკანტი კი წაუყენებს რკინის მწარმოებელს მანქანათმშენებლობაში გამოყენებული თავისი მანქანების გაცვეთის ანგარიშს. ვთქვათ, რკინის მწარმოებელი და ნახშირის მწარმოებელი ერთი და იგივე პიროვნებაა. ჯერ-ერთი, როგორც უკვე დავინახეთ, იგი თვითონ ინაზღაურებს ნახშირს. მეორე, მისი ერთობლივი პროდუქტის — რკინისა და ნახშირის — ღირებულება უდრის ახლადმიმატებული შრომით შექმნილ ღირებულებას პლუს ის ღირებულება, რომელიც შექმნა მანქანათა გაცვეთილ ნაწილში მოქცეულმა წარსულმა შრომამ. მას შემდეგ, რაც ამ ერთობლივ პროდუქტს გამოაკლდა რკინის ის რაოდენობა, რომელიც მანქანათა ღირებულებას ანაზღაურებს, რჩება რკინის სწორედ ის რაოდენობა,

რომელიც დაიყვანება მიმატებულ შრომაზე. უკანასკნელი ნაწილი შეადგენს ნედლ მასალას მანქანების ფაბრიკანტისათვის, ინსტრუმენტების მწარმოებლისათვის და ა. შ. ამ უკანასკნელ ნაწილს მანქანათა ფაბრიკანტი რკინის მწარმოებელს უხდის ტილოთი, პირველი ნაწილის ნაცვლად კი მას აწვდის მანქანას, რომელიც ანაზღაურებს მისი მოწყობილობის გაცვეთას.

მეორე მხრივ, ჩვენ გვაქვს მანქანათმშენებლის ძირითადი კაპიტალის ისეთი ნაწილი, რომელიც მისი მანქანათმშენებელი მანქანის, ინსტრუმენტებისა და სხვ. გაცვეთას შეესაბამება, რომელიც, მაშასადამე, არ შეიძლება დაყვანილ იქნეს არც ნედლეულზე (აქ ჩვენ მხედველობაში არ ვიღებთ [ნახშირისა და რკინის წარმოებაში] გამოყენებულ მანქანას [298] და ნახშირის იმ ნაწილს, რომელიც თავის თავს ანაზღაურებს), არც ახლადმიმატებულ შრომაზე, მაშასადამე, — არც ხელფასზე, არც მოგებაზე; ეს გაცვეთა ფაქტიურად ანაზღაურდება იმით, რომ მანქანათმშენებელი საკუთარი მანქანებიდან თავისთვის იტოვებს ერთ ან რამდენიმე მანქანის მანქანათმშენებელი მანქანების სახით. მისი პროდუქტის ამ ნაწილის მიმართ საქმე თავდება უბრალოდ იმით, რომ მის დასაშზადებლად საჭიროა ნედლეულის დამატებითი რაოდენობა. პროდუქტის ამ ნაწილში არაა წარმოდგენილი ახლადმიმატებული შრომა, რადგან შრომის ერთობლივ პროდუქტში მანქანათა გარკვეული რაოდენობა უდრის მიმატებული შრომით შექმნილ ღირებულებას, მათ მეორე რაოდენობა კი — ნედლეულის რაოდენობას, მესამე— ღირებულების იმ შემადგენელ ნაწილს, რასაც მანქანათმშენებელი მანქანა შეიცავდა. მართალია, ეს უკანასკნელი შემადგენელი ნაწილი სინამდვილეში მიმატებულ შრომასაც შეიცავს, მაგრამ ღირებულების მხრივ ეს შრომა უდრის ნულს, რადგან მანქანათა იმ ნაწილში, რომლითაც წარმოდგენილია მიმატებული შრომა, სათვალავში არ მიიღება შრომა, რომელსაც ნედლეული და გაცვეთილი მანქანები შეიცავენ. ნედლეულის ამნაზღაურებელ მეორე ნაწილში სათვალავში არაა მიღებული ის ნაწილი, რომელიც ახალ შრომასა და მანქანებს ანაზღაურებს; მაშასადამე, მესამე ნაწილი. თუ მას ღირებულების მხრივ განვიხილავთ, არ შეიცავს არც მიმატებულ შრომას, არც ნედლეულს; მანქანათა ამ ნაწილით წარმოდგენილია მხოლოდ მანქანების გაცვეთა.

თვით მანქანების ფაბრიკანტისათვის საჭირო მანქანები არ იყიდება. იგი მათ ანაზღაურებს in natura, ისინი გამოაკლდება ერთობლივ პროდუქტს. მაშასადამე, იმ მანქანებით, რომლებსაც იგი ყი-

დის, წარმოდგენილია მხოლოდ ნედლი მასალა (რომელიც დაყვანილია მხოლოდ შრომაზე, რაკი მანქანათა ფაბრიკანტს უკვე უანგარიშეს ნედლეულის მწარმოებლის მანქანათა გაცვეთა) და მიმატებული შრომა; მაშასადამე, ეს მანქანები დაყვანილია ტილოზე როგორც თვით მისთვის, ისე ნედლეულის მწარმოებლისთვისაც. რაც შეეხება სპეციალურ ურთიერთობას მანქანათა ფაბრიკანტსა და ნედლეულის მწარმოებელს შორის, ამ უკანასკნელმა თავისი მანქანების გაცვეთილი ნაწილის ასანაზღაურებლად რკინის ისეთი რაოდენობა გამოაკლო, რომელიც გაცვეთილი ნაწილის ღირებულებას შეესაბამება. რკინის ამ რაოდენობას იგი უცვლის ფაბრიკანტს მანქანებზე, ასე რომ ორივე ერთიმეორეს უხდის in natura, და ამ პროცესს საერთო არაფერი აქვს მათ შორის შემოსავლის განაწილებასთან.

ასეთია საქმის ვითარება ამ საკითხის შესახებ, რომელსაც ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით კაპიტალის მიმოქცევის განხილვისას[53].

სინამდვილეში მუდმივი კაპიტალის ანაზღაურება იმით ხდება, რომ იგი მუდამ ხელახლა იწარმოება და ნაწილობრივ თვით აკლავწარმოებს თავის თავს. მაგრამ მუდმივი კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც მოსახმარ პროდუქტში შედის, ნაზღაურდება იმ პროდუქტებში შემავალი ცოცხალი შრომით, რომლებიც არ წარმოადგენენ მოხმარების საგნებს. სწორედ იმიტომ, რომ ეს შრომა ნაზღაურდება არა თავისი საკუთარი პროდუქტებით, მთელი მოსახმარი პროდუქტი შეიძლება დაყვანილ იქნეს შემოსავალზე. მუდმივი კაპიტალის ერთი ნაწილი, განხილული როგორც წლიური პროდუქტის ნაწილი, მარტოოდენ მოჩვენებითი მუდმივი კაპიტალია. მეორე ნაწილი, თუმცა იგი შედის ერთობლივ პროდუქტში, მაგრამ — არც ღირებულების შემადგენელი ნაწილის სახით, არც სახმარი ღირებულების სახით — არ შედის მოხმარებისათვის ვარგის პროდუქტში, არამედ ნაზღაურდება **in natura** და ყოველთვის წარმოების განუყოფელ ელემენტად რჩება.

ჩვენ აქ განვიხილეთ, როგორ ნაწილდება და დაიყოფა მოხმარებისათვის განკუთვნილი მთელი პროდუქტი მასში შემავალ ღირებულების შემადგენელ ნაწილებად და წარმოების პირობებად.

მაგრამ ყოველთვის არსებობენ ერთსა და იმავე დროს, ერთიმეორის გვერდით: მოსახმარი პროდუქტი (რომლის ერთი ნაწილთაგანიც ხელფასზე დაიყვანება და ამდენად კაპიტალის ცვალებად ნაწილს უდრის), მოსახმარი პროდუქტის წარმოება და **მუდმივი კაპიტალის ყველა** იმ ნაწილის წარმოება, რომელიც საჭიროა ამ პრო-

დუქტის საწარმოებლად, იმისდა მიუხედავად, შედის ეს მუდმივი კაპიტალი მოსახმარ პროდუქტში თუ არა. აპრიგად, ყოველი კაპიტალი მუდამ იყოფა მუდმივ და ცვალებად კაპიტალად, რომლებისგანაც იგი ერთდროულად შედგება, და, თუმცა მისი მუდმივი ნაწილი, მსგავსად ცვალებადისა, განუწყვეტლივ ნაზღაურდება ახალი პროდუქტებით, იგი მუდამ განაგრძობს არსებობას ერთი და იმავე ფორმით, ვიდრე წარმოება იმავე სახით გრძელდება.

[299] ურთიერთობა მანქანების ფაბრიკანტსა და ნედლეულის — რკინის, ხე-ტყის და ა. შ. — მწარმოებელს შორის ისეთია, რომ ისინი ნამდვილად უცვლიან ერთიმეორეს თავიანთი მუდმივი კაპიტალის ნაწილს (რასაც არაფერი საერთო არა აქვს ერთის მუდმივი კაპიტალის მეორის შემოსავლად გადაქცევასთან [54]), და თვითეული ამ ურთიერთდაკავშირებული მწარმოებლის პროდუქტი, თუმცა ერთი პროდუქტი მეორე პროდუქტისათვის წინასწარი საფეხურია, შედის როგორც წარმოების საშუალება ამ ორი მწარმოებლის ურთიერთდაკავშირებულ მუდმივ კაპიტალში. რკინის, ხე-ტყის და ა. შ. მწარმოებლები მანქანათმშენებელს მათთვის საჭირო მანქანების სანაცვლოდ აძლევენ რკინას, ხე-ტყეს და ა. შ. ასანაზღაურებელი მანქანის ღირებულების ოდენობით. მანქანათმშენებლის მუდმივი კაპიტალის ეს ნაწილი მისთვის იგივეა, რაც თესლი — გლეხისათვის. იგი მისი წლიური პროდუქტის ის ნაწილია, რომელსაც ის ინაზღაურებს **in natura** და რომელიც მისთვის შემოსავალს არ წარმოადგენს. მეორე მხრივ, ამ გაცვლის გზით მანქანათმშენებელს ნედლი მასალის ფორმით უნაზღაურდება არა მარტო ნედლეული, რასაც რკინის მწარმოებლის მანქანა შეიცავს, არამედ ამ მანქანის ღირებულების ის ნაწილიც, რომელიც შედგება მიმატებული შრომისა და მისი საკუთარი მანქანების გაცვეთისაგან. ამრიგად, მანქანათმშენებელს უნაზღაურდება არა მარტო ის, რაც მისი საკუთარი მანქანების გაცვეთას შეესაბამება, არამედ ისიც, რაც შეიძლება მიეკუთვნოს (ანაზღაურების სახით) მეორე მანქანის გაცვეთილ ნაწილს.

მართალია, ეს მანქანაც, რომელიც რკინის მწარმოებელს მიჰყიდეს, შეიცავს ღირებულების ისეთ შემადგენელ ნაწილებს, რომლებიც ნედლეულსა და მიმატებულ შრომას უდრის. მაგრამ სამაგიეროდ მეორე მანქანას გაცვეთის ანგარიშში შესაბამისად ნაკლები უნდა ჩაეთვალოს. მაშასადამე, რკინისა და სხვ. მწარმოებელთა მუდ-

მივი კაპიტალის ეს ნაწილი, ე. ი. მათი წლიური შრომის პროდუქტის ეს ნაწილი, რაც მუდმივი კაპიტალის ღირებულების იმ შემადგენელ ნაწილს ანაზღაურებს, რომლითაც წარმოდგენილია გაცვეთა, არ შედის მანქანებში, რომელთაც მანქანათმშენებელი სხვა მრეწველებს მიჰყიდის. რაც შეეხება ამ სხვა მანქანების გაცვეთას, იგი, **რა თქმა უნდა, მანქანათმშენებელს უნაზღაურდება ზემომოხსენებული $^2/_3$ არშ. ტილოთი,** რაც 2 საათის შრომას უდრის. **მანქანათმშენებელი ყიდულობს** ამით თუჯს, ხე-ტყეს ღირებულების იმავე **ჯამის ოდენობით** და თავისი მუდმივი კაპიტალის გაცვეთას სხვა **ფორმით,** თუჯის ფორმით ინაზღაურებს. ამრიგად, მანქანათმშენებელს მისი ნედლეულის ნაწილი უნაზღაურებს, გარდა ნედლეულის ღირებულებისა, აგრეთვე მისი მანქანების გაცვეთის ღირებულებასაც. მაგრამ თუჯისა და ა. შ. მწარმოებლის მხარეზე ეს ნედლეული დაყვანილია მხოლოდ მიმატებულ შრომაზე, რადგან ნედლეულის (რკინის, ხე-ტყის, ნახშირის და ა. შ.) ამ მწარმოებელთა მანქანები უკვე წინათ იყო მიღებული სათვალავში.

ამრიგად, ტილოს ყველა ელემენტი დაიყვანება შრომის გარკვეულ რაოდენობათა ისეთ ჯამზე, რომელიც უდრის ახლადმიმატებული შრომის ოდენობას. მაგრამ სრულიადაც არ უდრის იმ ერთობლივი შრომის ჯამს, რასაც მუდმივი კაპიტალი შეიცავს და რაც უკვდავყოფილია კვლავწარმოებით.

უნდა ითქვას, რომ დებულება, რომელიც გვეუბნება, შრომის— ნაწილობრივ ცოცხალის, ნაწილობრივ წარსულის — ის რაოდენობა, რომელიც წლის მანძილზე ინდივიდუალურ მოხმარებაში შემავალ საქონელთა ჯამს ქმნის, და რომელიც, მაშასადამე, შემოსავლის საზით მოიხმარება, არ შეიძლება წლის განმავლობაში მიმატებულ შრომას აღემატებოდესო — ეს დებულება ტავტოლოგიაა. ეს იმიტომ, რომ შემოსავალი უდრის მოგებისა და ხელფასის ჯამს, უდრის ახლადმიმატებული შრომის ჯამს, უდრის საქონელთა ჯამს, რომელიც შრომის იმავე რაოდენობას შეიცავენ.

რკინის მწარმოებლისა და მანქანათმშენებლის მაგალითი ცალკეული მაგალითია მხოლოდ. სწორედ ასევე წარმოების სხვადასხვა სფეროებს შორისაც, რომლებიც ერთმანეთს აწვდიან წარმოების საშუალებებს თავიანთი პროდუქტების სახით, ხდება მათი მუდმივი კაპიტალების გაცვლა in natura (თუმცაღა ეს დაფარულია რიგი ფულადი გარიგებებით). რამდენადაც ამას ადგილი აქვს, იმდენად

მოხმარებაში შემავალი საბოლოო პროდუქტის მომხმარებლებს არ უხდებათ ამ მუდმივი კაპიტალის ანაზღაურება, რადგან იგი უკვე ანაზღაურებულია. [299]

[304] | მაგალითად, ორთქლმავალთა წარმოების დროს ყოველ-დღიურად რკინის ბურბუშელას მთელი ვაგონები რჩება. მათ აგროვებენ და ხელახლა მიჰყიდიან (ან ანგარიშში ჩაუთვლიან) იმავე რკინასაკეთებელი ქარხნის მფლობელს, რომელიც ორთქლმავალ-მშენებელი ქარხნის მფლობელს მის მთავარ ნედლეულს აწვდის. რკინასაკეთებელი ქარხნის მფლობელი კვლავ მყარ ფორმას აძლევს ამ ბურბუშელას, ახალ შრომას უმატებს მას. და ამ ფორმით, რომ-ლითაც იგი უკან უგზავნის მას ორთქლმავალმშენებელი ქარხნის მფლობელს, ეს ლითონის ბურბუშელა ქმნის პროდუქტის ღირებუ-ლების იმ ნაწილს, რომელიც ნედლეულს ანაზღაურებს. ასე მიდი-მოდის ამ ორ ქარხანას შორის ბურბუშელა, — რა თქმა უნდა, არა იგივე ბურბუშელა, მაგრამ ყოველთვის მისი გარკვეული რაოდენო-ბა. ეს ნაწილი რიგრიგობით ასრულებს მრეწველობის ორივე დარგისათვის ნედლეულის როლს და, თუ ღირებულების მხრივ განვიხილავთ, განუწყვეტლივ მოძრაობს მხოლოდ ერთი საწარმოდან მეორეში. ამიტომ იგი არ შედის **საბოლოო პროდუქტში, არამედ** მუდმივი კაპიტალის ანაზღაურებაა **in natura**.

სინამდვილეში მანქანათმშენებელი ქარხნის მფლობელის მიერ მიწოდებული ყოველი მანქანა იყოფა, — თუ მის ღირებულებას განვიხილავთ, — ნედლეულად, მიმატებულ შრომად და მანქანების **გაცვეთად.** მაგრამ სხვა სფეროების წარმოებაში შემავალი ამ მან-ქანების ერთობლივი ჯამი თავისი ღირებულებით შეიძლება უდრი-დეს მხოლოდ მანქანათა ერთობლივ ღირებულებას მინუს მუდმივი კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც განუწყვეტლივ მიდი-მოდის — ხან იქით, ხან აქეთ — მანქანათმშენებელი ქარხნის მფლობელსა და რკინასაკეთებელი ქარხნის მფლობელს შორის.

ერთი რომელიმე კვარტერი ხორბალი, რომელსაც გლეხი ყიდის, იმდენივე ღირს, რამდენიც ყოველი სხვა კვარტერი. გაყიდული კვარტერი ხორბალი სრულიად არაა იმ კვარტერზე უფრო იაფი, რო-მელიც თვსლის სახით ნიადაგს დაუბრუნდა. მიუხედავად ამისა, თუ პროდუქტი ექვს კვარტერს უდრის, კვარტერი კი სამ გირვანქა სტერლინგს, — ამასთან თვითეული კვარტერი შეიცავს ღირებულე-ბის შემადგენელ ნაწილებს, რომლებიც უწევს მიმატებულ შრომას, ნედლეულსა და მანქანებს, — და თუ გლეხმა ერთი კვარტერი თეს-

ლად უნდა დახარჯოს, მაშინ იგი მომხმარებლებს მიჰყიდის მხოლოდ 5 კვარტერს და მათში მიიღებს 15 გირვ. სტერლინგს. მომხმარებელთ არ უხდებათ, მაშასადამე, ღირებულების იმ შემადგენელი ნაწილის გადახდა, რომელსაც ერთი კვარტერი თესლი შეიცავს. სწორედ ესაა საკითხის არსი: როგორაა შესაძლებელი, რომ გაყიდული ესაა საკითხის არსი: როგორაა შესაძლებელი, რომ გაყიდული პროდუქტის ღირებულება მასში შემავალ ღირებულების ყველა ელემენტს უდრიდეს — ახლადმიმატებულ შრომას და უძველეს კაპიტალს, — მომხმარებელი კი, თუმცალა იგი არ იხდის მუდმივ კაპიტალის თანხას, მაინც ყიდულობს ამ პროდუქტს? ‖ [304]

[300] ‖ ზემოთქმულის დამატება.

თუ როგორ ნაკლებად ესმოდა უგვანო სეის თვით საკითხიც კი, ამას გვიჩვენებს შემდეგი ციტატი:

«შემოსავლის საკითხის სრული ვაგებისათვის საჭიროა მხედველობაში მივიღოთ, რომ პროდუქტის მთელი ღირებულება იყოფა სხვადასხვა პირთა შემოსავლად, რადგან ყოველი პროდუქტის ერთობლივი ღირებულება შედგება მისი შექმნის ხელშემწყობ მიწის მესაკუთრეთა, კაპიტალისტთა და შრომაში დახელოვნებულ ადამიანთა მოგებათაგან. ამის გამო საზოგადოების შემოსავალი უდრის წარმოებულ მთლიან ღირებულებას და არა მარტო მიწის წმინდა პროდუქტს, როგორც ამას ფიქრობდა ეკონომისტების სექტა ერის შემოსავალი მხოლოდ წარმოებულ ღირებულებათა ნამეტი რომ იყოს მოხმარებულთან შედარებით, მაშინ აქედან ჭეშმარიტად იმ აბსურდულ დასკვნას მივიღებდით, რომ ერს, რომელიც წლის განმავლობაში იმდენსავე ღირებულებას მოიხმარს, რამდენსაც აწარმოებს, არავითარი მემოსავალი არა აქვს» (ციტირ. თხზ., ტომი II, გვ. 63 — 64).

ასეთ ერს სინამდვილეში ესა თუ ის შემოსავალი ექნებოდა უკვე გასულ წელს, მაგრამ შემდგომ წელს მას არავითარი შემოსავალი არ ექნებოდა, სწორი არაა, თითქოს წლიური შრომის პროდუქტი, რომელშიც მოცემულ წელს ახლადმიმატებული შრომის პროდუქტი მხოლოდ ნაწილს შეადგენს, შემოსავალზე დაიყვანება. ეს სწორია მხოლოდ პროდუქტის იმ ნაწილის მიმართ, რომელიც წლიურ-ინდივიდუალურ მოხმარებაში შედის. შემოსავალს, რომელიც მარტოოდენ მიმატებული შრომისაგან შედგება, შეუძლია აანაზღაუროს პროდუქტი, რომელიც ნაწილობრივ მიმატებული შრომისაგან შედგება, ნაწილობრივ კი—წარსული შრომისაგან, — სხვა სიტყვებით: მიმატებულ შრომას შეუძლია ამ პროდუქტებში აანაზღაუროს არა მარტო თავისი თავი, არამედ წარსული შრომაც, — იმის გამო, რომ ასევე მიმატებული და წარსული

შრომისაგან შემდგარი პროდუქტის მეორე ნაწილი ანაზღაურებს მხოლოდ წარსულ შრომას, მხოლოდ მუდმივ კაპიტალს.}

[11. დამატებანი: სმიტის არევ-დარევა ღირებულების საზომის საკითხში; სვიტის წინააღმდეგობათა ზოგადი ხასიათი]

{ადამ სმიტის თეორიის აქ განხილულ პუნქტებს უნდა დაემატოს კიდევ, რომ მის რყევას ღირებულების განსაზღვრაში — გარდა აშკარა წინააღმდეგობისა ხელფასის საკითხში — ზედ ერთვის კიდევ ცნებათა შემდეგი აღრევა: ღირებულებათა საზომი როგორც იმანენტური საზომი, რომელიც ამასთანავე ღირებულების სუბსტანციას შეადგენს, და ღირებულებათა საზომი იმ აზრით, რა აზრითაც ღირებულებათა საზომი ფულს ეწოდება, არეულია ერთმანეთში. აქედან ცდა — თავისებური წრის კვადრატურა — იმისა, რომ გამოინახოს მეორე აზრით აღებული საზომისათვის უცვლელი ღირებულების მქონე საქონელი, რომელიც სხვა საქონელთა მუდმივ საზომად გამოდგებოდა. იმის შესახებ, თუ როგორ მიმართებაშია ღირებულებათა საზომი, ფულის აზრით, სამუშაო დროით ღირებულების განსაზღვრასთან, — იხილე ჩემი თხზულების პირველი ნაწილი [58]. ეს არევა ალაგ-ალაგ გვხვდება ავრეთვე რიკარდოს ნაწერებშიც.} [300]

* * *

[299] ა. სმიტის წინააღმდეგობანი მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ ისინი შეიცავენ პრობლემებს, რომლებსაც ის, მართალია, ვერ წყვეტს, მაგრამ რომელთაც იგი უკვე იმით აყენებს, რომ თავის თავს ეწინააღმდეგება. მის სწორ ალღოს ამ მიმართებით ყველაზე უკეთ ის გარემოება ამტკიცებს, რომ მისი მომდევნო ეკონომისტები, როცა ერთმანეთს ედავებიან, ღებულობენ სმიტის მოძღვრების ხან ერთ, ხან მეორე მხარეს [59].

[თავი მეოთხე]

მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის თეორიები

გადავდივართ ახლა უკანასკნელ სადავო პუნქტზე, რომელიც ჩვენ უნდა განვიხილოთ ა. სმიტის შეხედულებათა ანალიზის დროს, — [300] მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი და ა რ ა მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი შ რ ო მ ი ს გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა ზ ე.

იმის განსაზღვრისას, თუ რას უწოდებს ის მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ შ რ ო მ ა ს ა რ ა მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი ს ა გ ა ნ განსხვავებით, ა. სმიტი ისევ გაორებულია, როგორც ჩვენ მას აქამდე ვხედავდით ყველაფერში. ჩვენ ვხედავთ, რომ მას მუდამ არეული აქვს ერთმანეთში ორი განსაზღვრა იმისა, თუ რას უწოდებს იგი მწარმოებლურ შრომას. განვიხილოთ ჯერ პირველი, სწორი განსაზღვრა.

[1) მწარმოებლური შრომა კაპიტალისტური წარმოების თვალსაზრისით როგორც ზედმეტი ღირებულების შემქმნელი შრომა]

მწარმოებლური შრომა კაპიტალისტური წარმოების თვალსაზრისით არის ის დაქირავებული შრომა, რომელიც კაპიტალის ცვალებად ნაწილზე (კაპიტალის იმ ნაწილზე, რომელიც ხელფასზე იხარჯება) გაიცვლება და არა მარტო აკვლავწარმოებს კაპიტალის ამ ნაწილს (ე. ი. თავისი საკუთარი სამუშაო ძალის ღირებულებას), არამედ, გარდა ამისა, აწარმოებს აგრეთვე ზედმეტ ღირებულებას კაპიტალისტისათვის. მხოლოდ ამით გადაიქცევა საქონელი ან ფული კაპიტალად, იწარმოება იგი კაპიტალის სახით. მწარმოებლურია

მხოლოდ ის დაქირავებული შრომა, რომელიც აწარმოებს კაპიტალს. (ეს ნიშნავს, რომ ამ შრომაზე დახარჯულ ღირებულებათა ჯამს, იგი აკვლავწარმოებს გადიდებული ოდენობით, სხვა სიტყვებით, აბრუნებს უფრო მეტ შრომას, ვიდრე ხელფასის ფორმით იღებს. მაშასადამე, მწარმოებლურია მხოლოდ ის სამუშაო ძალა, რომლის გამოყენებაც უფრო მეტ ღირებულებას იძლევა, ვიდრე ის ღირებულება, რაც მას გააჩნია.)

თვით კაპიტალისტთა კლასის და, მაშასადამე, კაპიტალის არსებობა დამყარებულია შრომის ნაყოფიერებაზე, მაგრამ არა მის აბსოლუტურ, არამედ მის შეფარდებითს ნაყოფიერებაზე. მაგალითად, სამუშაო დღე რომ მარტო მუშის სიცოცხლის შენარჩუნებისათვის, ე. ი. მხოლოდ მისი სამუშაო ძალის კვლავწარმოებისათვის კმაროდეს, [301], მაშინ, აბსოლუტურად რომ ვთქვათ, შრომა მწარმოებლური იქნებოდა, რადგან იგი აკვლავწარმოებდა, ე. ი. მუდამ აანაზღაურებდა, მის მიერ მოხმარებულ ღირებულებებს (რომელთა ჯამი მისი საკუთარი სამუშაო ძალის ღირებულებას უდრის). მაგრამ იგი არ იქნებოდა მწარმოებლური კაპიტალისტური თვალსაზრისით, რადგან არავითარ ზედმეტ ღირებულებას არ აწარმოებდა. (სინამდვილეში იგი არ აწარმოებდა არავითარ ახალ ღირებულებას, არამედ აანაზღაურებდა მხოლოდ წინანდელს; იგი მოიხმარდა ღირებულებას ერთი ფორმით, რათა ეკვლავწარმოებინა იგი მეორე ფორმით. სწორედ ამ აზრით იყო ნათქვამი, რომ მწარმოებელია ის მუშა, რომლის პროდუქცია მის საკუთარ მოხმარებას უდრის, და არამწარმოებელია ის, რომელიც უფრო მეტს მოიხმარს, ვიდრე აკვლავწარმოებს).

ეს მწარმოებლობა დამყარებულია შეფარდებითს მწარმოებლობაზე, იმაზე, რომ მუშა არა მარტო ანაზღაურებს წინანდელ ღირებულებას, არამედ ახალსაც ქმნის; დამყარებულია იმაზე, რომ იგი ასაგნობრივებს თავის პროდუქტში უფრო მეტ სამუშაო დროს, ვიდრე გასაგნობრივებულია იმ პროდუქტში, რომელიც სიცოცხლეს უნარჩუნებს მას როგორც მუშას. სწორედ მწარმოებლური დაქირავებული შრომის ეს სახეა კაპიტალის არსებობის საფუძველი.

{ მაგრამ ვიგულისხმოთ, რომ არ არსებობს არავითარი კაპიტალი და რომ მუშა თვითონ ისაკუთრებს თავის ზედმეტ შრომას, მის მიერ შექმნილ ღირებულებათა ნამეტს იმ ღირებულებასთან შედარებით, რაც მან მოიხმარა. მხოლოდ საქმის ასეთი ვითარებისას შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ასეთი მუშის შრომა ნამდვილად მწარმოებლურია, ე. ი. ახალ ღირებულებას ქმნის. }

[2) ფიზიოკრატებისა და მერკანტილისტების შეხედულებანი მწარმოებლურ შრომაზე]

მწარმოებლური შრომის ეს გაგება თავისთავად გამომდინარეობს ა. სმიტის წარმოდგენიდან ზედმეტი ღირებულების წარმოშობაზე. მაშასადამე, მისი წარმოდგენიდან კაპიტალიზმის რაობაზე. რამდენადაც იგი მწარმოებლურ შრომაზე ამ შეხედულების მომხრეა, იგი მისდევს ერთ-ერთ იმ მიმართულებას, რომელიც ფიზიოკრატებმა და თვით მერკანტილისტებმაც კი აიღეს, მხოლოდ ათავისუფლებს მას წარმოდგენის მცდარი წესისაგან და, მაშასადამე, ავლენს მის შინაგან ბირთვს. ფიზიოკრატები, რომელთაც შეცდომით მიაჩნდათ მწარმოებლურ შრომად მარტო სამიწათმოქმედო შრომა, იმ სწორ შეხედულებას ადგენენ, რომ კაპიტალისტური თვალსაზრისით მწარმოებლურია მხოლოდ ის შრომა, რომელიც ქმნის ზედმეტ ღირებულებას, და თანაც არა თავისთვის, არამედ წარმოების პირობების მესაკუთრისათვის; მხოლოდ ის შრომა, რომელიც ქმნის «წმინდა პროდუქტს», არა თავისთვის, არამედ მიწის მესაკუთრისათვის. ეს იმიტომ, რომ ზედმეტი ღირებულება, ანუ ზედმეტი სამუშაო დრო. საგნობრივდება ზედმეტ პროდუქტში, ანუ «წმინდა პროდუქტში». (ამ უკანასკნელზე ფიზიოკრატებს კვლავ არასწორი წარმოდგენა აქვთ. მათ იგი წმინდა პროდუქტად იმიტომ მიაჩნიათ, რომ, მაგალითად, ხორბალი იმაზე მეტი მოდის, რასაც მუშა და მოიჯარე ჭამენ; მაგრამ მაუდიც ხომ იმაზე მეტი იწარმოება, ვიდრე იგი მაუდის მწარმოებლებს — მუშასა და მეწარმეს ტანსაცმლისათვის ესაჭიროებათ.) თვით ზედმეტი ღირებულება მათ მცდარად ესმით, რადგან მათ მცდარი წარმოდგენა აქვთ ღირებულებაზე, რომელიც დაჰყავთ შრომის სახმარ ღირებულებაზე და არა სამუშაო დროზე, არა საზოგადოებრივ, თვისებრივად განურჩეველ შრომაზე. და მაინც, თუ ყოველივე ამას გამოვაკლებთ, მათ რჩებათ სწორი განსაზღვრა, რომ მწარმოებლურია მხოლოდ ის დაქირავებული შრომა, რომელიც უფრო მეტ ღირებულებას ქმნის, ვიდრე თვითონ ღირს. ა. სმიტი ათავისუფლებს ამ განსაზღვრას იმ მცდარი წარმოდგენისაგან, რომელთანაც იგი ფიზიოკრატებმა დააკავშირეს.

ფიზიოკრატებიდან დავიხიოთ უკან, მივმართოთ მერკანტილისტებს. ჩვენ დავინახავთ, რომ ამ უკანასკნელთა თვალსაზრისით ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს იგივე შეხედულება მწარმოებლურ შრომაზე, თუმცა ეს მათთვის შეუცნობელი დარჩა. მერკანტილისტების შეხედულებებს საფუძვლად ედო ის წარმოდგენა, რომ შრომა მწარ-

შოებლურია მხოლოდ წარმოების იმ დარგებში, რომელთა პროდუქტები, როცა საზღვარგარეთი იგზავნებიან, უფრო მეტ ფულს უბრუნებენ უკან ამა თუ იმ ქვეყანას, ვიდრე მათი წარმოებისათვის დიახარჯა (ანდა ვიდრე საჭირო იყო მათ მაგივრად საზღვარგარეთ გატანილიყო), — რომლებიც, მაშასადამე, ქვეყანას იმის შესაძლებლობას აძლევენ, რომ გაძლიერებული მონაწილეობა მიიღოს ახლახან აღმოჩენილი ოქროსა და ვერცხლის მაღაროების პროდუქტთა მითვისებაში. ისინი ხედავდნენ, რომ ასეთ ქვეყნებში სწრაფად იზრდებოდა სიმდიდრე და საშუალო კლასები. რით იყო გაპირობებული სინამდვილეში ოქროს ეს გავლენა? ხელფასის ზრდა ჩამორჩებოდა საქონელთა ფასების ზრდას; მაშასადამე, ხელფასი დაბლა იწევდა, ამით კი იზრდებოდა შეფარდებითი ზედმეტი შრომა, დიდდებოდა მოგების ნორმა, მაგრამ არა იმიტომ, რომ მუშა უფრო მწარმოებლური გახდა, არამედ იმიტომ, რომ აბსოლუტური ხელფასი (ე. ი. იმ საარსებო საშუალებათა ჯამი, რომელთაც მუშა იღებს) შემცირდა, ერთი სიტყვით — იმიტომ, რომ მუშების მდგომარეობა გაუარესდა. ამრიგად, ამ ქვეყნებში შრომა მართლა გახდა უფრო მწარმოებლური შის გამომყენებელ მეწარმეთათვის. ეს ფაქტი დაკავშირებული იყო ძვირფასი ლითონების მოდინებასთან, რ ც გახდა კიდეც მოტივი, — თუმცა მხოლოდ ბუნდოვნად შეცნობილი, — რომელმაც აიძულა მერკანტილისტები ერთადერთ მწარმობლურ შრომად გამოეცხადებინათ ამგვარ წარმოების დარგებში გამოყენებული შრომა.

[302] «მოსახლეობის საოცარი ზრდა, რაც თითქმის მთელ ევროპაში ხდებოდა უკანასკნელი 50 თუ 60 წლის მანძილზე, გამოწვეულია, შეიძლება, უმთავრესად ამერიკის მაღაროების გადიდებული მწარმოებლობით. ძვირფასი ლითონების ჭარბად მოდინება» (რა თქმა უნდა, მათი ჩვეულური ღირებულების შემცირების გამო) «ადიდებს საქონელთა ფასს უფრო მეტად, ვიდრე შრომის ფასს; იგი აუარესებს მუშის მდგომარეობას და იმავე დროს ადიდებს მისი დამქირავებლის მოგებას, რომელიც ამის შედეგად მეტ საბრუნავ კაპიტალს იყენებს მუშახელის დასაქირაველად, ეს კი ხელს უწყობს მოსახლეობის ზრდას... მალთუსი შენიშნავს, რომ ამერიკული მაღაროების აღმოჩენამ ხორბლის ფასი გაადიდა სამჯერ-ოთხჯერ, შრომის ფასი კი — მხოლოდ ორჯერ. ქვეყნის შიგნით მოხმარებისათვის განკუთვნილ საქონელთა ფასები (მაგალითად, ხორბლის ფასი) ფულის მოდინების შედეგად იიწევს არა ერთბაშად; მაგრამ რადგან ამის გამო მოგების ნორმა მიწათმოქმედებაში მცირდება შედარებით მოგების ნორმასთან მრეწველობაში, ამიტომ კაპიტალი მიწათმოქმედებიდან მრეწველობაში გადადის. და, ამრიგად, საბოლოოდ ყველა კაპიტალი უწინდელთან შედარებით უფრო მაღალ მოგებას იძლევა, მოგების გადიდება კი ხელფასის შემცირებას უდრის» (j o h n B a r t o n. Observations on the Circumstances

which influence the Condition of the Labouring Classes of Society. London, 1817, გვ. 29 და შემდ. .

ამრიგად, ჯერ-ერთი, ბარტონის მიხედვით, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში იგივე მოვლენა განმეორდა, რომელმაც XVI საუკუნის უკანასკნელ მესამედში და XVII საუკუნეში ბიძგი მისცა მერკანტილურ სისტემას. მეორე, რადგან საექსპორტო საქონელი მხოლოდ ოქროსა და ვერცხლის დაწეული ღირებულების მიხედვით იზომება, მაშინ როდესაც იმ საქონლის გაზომვა, რომელიც განკუთვნილია ქვეყნის შიგნით მოხმარებისათვის, ჯერ კიდევ ოქროსა და ვერცხლის წინანდელი ღირებულების მიხედვით გრძელდება. (მანამდე, ვიდრე კონკურენცია კაპიტალისტებს შორის არ მოსპობს ამ გაზომვას ორი განსხვავებული საზომით), ამიტომ წარმოების იმ დარგებში, რომლებიც ექსპორტისათვის მუშაობენ, შრომა გვევლინება უშუალოდ როგორც მწარმოებლური, ე. ი. როგორც ზედმეტი ღირებულების შემქმნელი, იმის გამო, რომ ხელფასი მცირდება მის წინანდელ დონესთან შედარებით.

[ბ) მწარმოებლური შრომის სმიტისეული კონცეფციის. გაორება. საკითხის პირველი გაგება: შეხედულება მწარმოებლურ შრომაზე, როგორც კაპიტალზე. გასაცვლელ შრომაზე]

მეორე, მცდარი შეხედულება მწარმოებლურ შრომაზე, რომელსაც სმიტი ავითარებს, იმდენად გადახლართულია სწორ შეხედულებასთან, რომ ორივე ეს შეხედულება კვალდაკვალ მისდევს ერთმეორეს ერთი და იმავე ნაწყვეტის მანძილზე. ამიტომ პირველი შეხედულების საილუსტრაციოდ ჩვენ მოგვიხდება აქა-იქ ციტატების გაწყვეტა.

«ერთი სახის შრომა გაადიდებს იმ საგნის ღირებულებას, რომელსაც ის ხმარდება. მეორე სახის შრომა კი ვერ ახდენს ასეთ მოქმედებას. პირველს, რადგან იგი ღირებულებას აწარმოებს, შეიძლება ეწოდოს მწარმოებლური შრომა, მეორეს — არამწარმოებლური. ასე, მაგალითად, მანუფაქტურის მუშის შრომა მის მიერ გადამუშავებული მასალის ღირებულებას ჩვეულებრივ მიუმატებს თავისი საკუთარი შენახვის ღირებულებას და თავისი მეპატრონის მოგებას. შინამოსამსახურის შრომა, პირიქით, ღირებულების არავითარ გადიდებას არ იძლევა. თუმცა მეპატრონე ავანსად აძლევს მანუფაქტურის მუშას ხელფასს, მაგრამ ამ უკანასკნელზე ის სინამდვილეში არავითარ ხარჯს არ ეწევა, რადგან ამ ხელფასის ღირებულება ჩვეულებრივ

უკან უბრუნდება მეპატრონეს მ ო გ ე ბ ა ს ა და იმ საგნის გადიდებულ ღირებულებასთან ე რ თ ა დ, რომელსაც ხუშის შრომა მოხმარდა, პირიქით, შინამოსამსახურის შესანახი ხარჯები მას არასოდეს უკან არ უბრუნდება. «ადამიანი მ დ ი დ რ დ ე ბ ა, როცა ბევრ მანუფაქტურის მუშას ქირაობს; იგი ღირიბდება, თუ ბევრ შინამოსამსახურეს ინახავს» (წიგნი II, თავი 3, გვ. 93 და 94 მაკ-კულოხის გამოცემის II ტომში).

ამ ადგილას, — მის გაგრძელებაში კი, რომელიც ქვემოთ იქნება ციტირებული, ურთიერთ საწინააღმდეგო განსაზღვრანი კიდევ უფრო შორეული სახითაა მოცემული ერთიმეორის გვერდით, — მწარმოებლურ შრომად იგულისხმება უმთავრესად ისეთი შრომა, რომელიც აწარმოებს ზედმეტ ღირებულებას — «თავისი დამქირავებლის მოგებას» — გარდა «თავისი საკუთარი» (ე. ი. დაქირავებული მუშის) «შენახვის» ღირებულების კვლავწარმოებისა. მრეწველს ხომ არ შეეძლო გ ა მ დ ი დ რ ე ბ უ ლ ი ყ ო «ბევრი მანუფაქტურის მუშის დაქირავებით», თუ ეს მუშები თავიანთი საკუთარი შენახვის ღირებულების გადამეტებით არ შექმნიდნენ კიდევ ზედმეტ ღირებულებასაც.

მაგრამ, მეორე, ა. სმიტი აქ მწარმოებლურ შრომად ისეთ შრომას გულისხმობს, რომელიც საერთოდ «ღირებულებას აწარმოებს». ნუ მივაქცევთ ჯერჯერობით ყურადღებას ამ [303] უკანასკნელ ახსნას და მოვიყვანოთ პირველყოვლისა სხვა ადგილები, სადაც ა. სმიტის პირველი შეხედულება ნაწილობრივ მეორდება, ნაწილობრივ უფრო მკვეთრად ყალიბდება, უმთავრესად კი, ამავე დროს, შემდგომ ვითარდება.

«საარსებო საშუალებათა და ტანსაცმლის ის რაოდენობა, რაც... არამწარმოებელმა მუშაკებმა მოიხმარეს, მწარმოებელ მუშაკებს შორის რომ განაწილებულიყო, ეს უკანასკნელნი ა მ ა თ უ ი მ მ ო გ ე ბ ი თ აკვლავწარმოებდნენ იმის სრულ ღირებულებას, რაც მათ მოიხმარეს» (ციტირ. თხზ., გვ. 109, წიგნი II, თავი 3).

აქ მწარმოებელი მუშაკი სრულიად გარკვევით ეწოდება ისეთ მუშაკს, რომელიც არა მარტო აკვლავწარმოებს კაპიტალისტისათვის ხელფასის სახით წარმოდგენილ საარსებო საშუალებათა სრულ ღირებულებას, არამედ აკვლავწარმოებს მისთვის ამ ღირებულებას აგრეთვე «ამა თუ იმ მოგებით».

მწარმოებლურია მხოლოდ ის შრომა, რომელიც კაპიტალს აწარმოებს. მაგრამ საქონელი ან ფული კაპიტალად იქცევა მხოლოდ იმის მეოხებით, რომ იგი უშუალოდ გაიცვლება სამუშაო ძალაზე, თა-

ნაც გაიცვლება მხოლოდ იმისთვის, რომ ანაზღაურდეს შრომის უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე თვით მასშია მოთავსებული. ეს იმიტომაა, რომ სამუშაო ძალის სახმარ ღირებულებას კაპიტალისტისათვის როგორც ასეთისათვის წარმოადგენს არა ამ ძალის ნ ა მ დ ვ ი ლ ი სახმარი ღირებულება, არა კონკრეტული შრომის მოცემული სახის სარგებლიანობა, არა ის, რომ ეს არის მრთველის, მქსოველის და სხვათა შრომა, — სავსებით ისევე, როგორც კაპიტალისტს არ აინტერესებს ამ შრომის პროდუქტის სახმარი ღირებულება როგორც ასეთი, რადგან პროდუქტი მისთვის საქონელია (ამასთან, მის პირველ მეტამორფოზამდე) და არა მოხმარების საგანი. კაპიტალისტს საქონელში აინტერესებს მხოლოდ ის, რომ საქონელს ეანაჩნია უფრო მეტი საცვლელი ღირებულება, ვიდრე კაპიტალისტმა მასში ჯადაიხადა, და, ამრიგად, შრომის საცვლელი ღირებულება მისთვის ის არის, რომ იგი უკან მიიღებს სამუშაო დროის უფრო მეტ რაოდენობას, ვიდრე მან ხელფასის სახით გადაიხადა. ამ მწარმოებელ მუშაკთა რიცხვს ეკუთვნის, რასაკვირველია, ყველა ის, ვინც ასე თუ ისე საქონლის წარმოებაში მონაწილეობს, დაწყებული მუშიდან ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით და გათავებული დირექტორით, ინჟინრით (კაპიტალისტისაგან განსხვავებით). ამიტომაცაა, რომ ინგლისის ფაბრიკათა უკანასკნელი ოფიციალური ანგარიში «ს რ უ ლ ი ა დ გ ა რ კ ვ ე ვ ი თ» დაქირავებული მუშაკების ამ კატეგორიას მიაკუთვნებს ყველა იმ პირს, ვინც ფაბრიკებსა და ფაბრიკის კანტორებშია დასაქმებული, გარდა თვით ფაბრიკანტისა (იხ. ანგარიშის სიტყვები ამ სისაძაგლის დასკვნითი ნაწილის წინ).

მწარმოებლური შრომა განსაზღვრულია აქ კაპიტალისტური წარმოების თვალსაზრისით, და ა. სმიტი ამ შემთხვევაში ჩასწვდა თვით საქმის დედაარსს, ზუსტად სწვდა მიზანს. ერთ-ერთი მისი დიდი მეცნიერული დამსახურება (როგორც მართებულად აღნიშნა მალთუსმა[60], ეს სმიტისეული განსხვავება მწარმოებლურ და არამწარმოებლურ შრომას შორის რჩება მთელი ბურჟუაზიული ეკონომიის საფუძვლად) ისაა, რომ იგი განსაზღვრავს მწარმოებლურ შრომას როგორც ისეთ შრომას, რ ო მ ე ლ ი ც უ შ უ ა ლ ო დ გ ა ი ც ვ ლ ე ბ ა კ ა პ ი ტ ა ლ ზ ე, ე. ი. განსაზღვრავს მას იმ გაცვლით, რომლის მეოხებითაც შრომის პირობები და ღირებულება საერთოდ, ფული ან საქონელი, ნამდვილად გადაიქცევა კაპიტალად (შრომა კი — დაქირავებულ შრომად ამ სიტყვის მეცნიერული აზრით).

ამით აბსოლუტურად დადგენილია აგრეთვე, თუ რა არის **ა რ ა მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი შ რ ო მ ა**. ეს არის ისეთი შრომა, რომელიც გაიცვლება არა კაპიტალზე, არამედ **უ შ უ ა ლ ო დ** შემოსავალზე, ე. ი. ხელფასზე ან მოგებაზე (და აგრეთვე, რა თქმა უნდა, კაპიტალისტის მოგების ხარჯზე არსებულ სხვადასხვა რუბრიკაზე, როგორიცაა სარგებელი და რენტა). იქ, სადაც ყოველი შრომა ნაწილობრივ ჯერ კიდევ ანაზღაურებს თავის თავს (როგორც, მაგალითად, საბატონო გლეხის სამიწათმოქმედო შრომა), ნაწილობრივ კი უშუალოდ გაიცვლება შემოსავალზე (როგორც მანუფაქტურული შრომა აზიის ქალაქებში), იქ არ არსებობს კაპიტალი და დაქირავებული შრომა ბურჟუაზიული ეკონომიის თვალსაზრისით. ეს განსაზღვრანი აღებულია, მაშასადამე, არა შრომის ნივთობრივი დახასიათებიდან (არა შრომის პროდუქტის ბუნებიდან და არა იმ გარკვეული თვისებებიდან, რომლებიც შრომას ახასიათებს როგორც კონკრეტულ შრომას,) არამედ გარკვეული საზოგადოებრივი ფორმიდან, იმ გარკვეული საზოგადოებრივი წარმოებითი ურთიერთობიდან, რომელშიც ეს შრომა ხორციელდება. მაგალითად, მსახიობი, კლოუნიც კი, ამის შესაბამისად, მწარმოებელი მუშაკია, თუ იგი ქირით მუშაობს კაპიტალისტთან (ანტრეპრენიორთან), რომელსაც იგი მეტ შრომას უბრუნებს, ვიდრე მისგან ხელფასის ფორმით იღებს; ხოლო წვრილი თერძი, რომელიც კაპიტალისტთან შინ მიდის და შარვალს დაუკერებს, რითაც მხოლოდ სახმარ ღირებულებას ქმნის, არამწარმოებელი მუშაკია. პირველის შრომა გაიცვლება კაპიტალზე, მეორის შრომა — შემოსავალზე. პირველი სახის შრომა ქმნის ზედმეტ ღირებულებას; მეორე შემთხვევაში — შემოსავალი მოიხმარება.

მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომა აქ განირჩევა მუდამ **ფ უ ლ ის მ ფ ლ ო ბ ელ ი ს, კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ი ს**, და არა **მ უ შ ის** პოზიციებიდან, და აქედან წარმოდგება განილის და სხვების უაზრობა, რომლებიც იმდენად დაშორებული არიან საქმის დედაარსის გაგებას, რომ კითხულობენ: იძლევა თუ არა მეძავის, ლაქიის და ა. შ. მუშაობა — ანუ მომსახურება ანდა ფუნქცია — ფუნ[illegible]. [303]

[304] მწერალი მწარმოებელი მუშაკია არა იმიტომ, რომ იგი იდეებს აწარმოებს, არამედ იმიტომ, რომ იგი ამდიდრებს წიგნის გამყიდველს, რომელიც მის თხზულებებს გამოსცემს, ე. ი. იგი მწარმოებელია იმდენად, რამდენადაც რომელიმე კაპიტალისტის დაქირავებული მუშაკი.

სახმარი ღირებულება საქონლისა, რომელშიც მწარმოებელი მუშის შრომა ხორციელდება, შეიძლება სრულიად უმნიშვნელო

იყოს. შრომის ეს ნივთობრივი განსაზღვრა სრულიად არაა დაკავშირებული მის მწარმოებლურ თვისებასთან, რომელიც, პირიქით, მხოლოდ გარკვეულ საზოგადოებრივ წარმოებითს ურთიერთობას გამოხატავს. აქ ჩვენ გვაქვს შრომის ისეთი დახასიათება, რომელიც გამომდინარეობს არა მისი შინაარსიდან ანდა მისი შედეგიდან, არამედ მისი გარკვეული საზოგადოებრივი ფორმიდან.

მეორე მხრივ, თუ ვიგულისხმებთ, რომ კაპიტალი მთელ წარმოებას დაეუფლა, რომ, მაშასადამე, ს ა ქ ო ნ ე ლ ს (რომელიც უნდა განვასხვავოთ უბრალო სახმარი ღირებულებისაგან) უკვე აღარ აწარმოებს ამ საქონლის წარმოების პირობების მფლობელი მუშაკი, რომ, მაშასადამე, ს ა ქ ო ნ ე ლ თ ა (ერთადერთი საქონლის — სამუშაო ძალის გამოკლებით) მწარმოებელი მხოლოდ კაპიტალისტია, მაშინ ასეთ შემთხვევაში შემოსავალი უნდა გაიცვალოს ა ნ საქონელზე, რომელსაც აწარმოებს და ყიდის მხოლოდ კაპიტალი, ა ნ დ ა ისეთი სახის შრომაზე, რომელსაც ისევე, როგორც ამ საქონელს, ყიდულობენ მოხმარებისათვის, ე. ი. მარტო მისი დამახასიათებელი გარკვეული ნივთობრივი თვისებების გამო, მისი სახმარი ღირებულების გამო, იმ მ ო მ ს ა ხ უ რ ე ბ ა თ ა გამო, რასაც იგი თავისი ნივთობრივი გარკვეულობით მის მყიდველებსა და მომხმარებლებს უწევს. ამ მომსახურებათა მწარმოებლისათვის ეს მომსახურებანი საქონელია. მათ აქვთ გარკვეული სახმარი ღირებულება (წარმოსახვითი ან ნამდვილი) და გარკვეული საცვლელი ღირებულება. მაგრამ მყიდველისათვის ეს მომსახურებანი — მხოლოდ სახმარი ღირებულებანია. საგნებია, რომელთა სახით [305] იგი თავის შემოსავალს მოიხმარს. ეს არამწარმოებელი მუშაკები უსასყიდლოდ როდი იღებენ თავიანთ წილს შემოსავლიდან (ხელფასიდან და მოგებიდან), თავიანთ წილს მწარმოებლური შრომის მიერ შექმნილ საქონელთაგან, — ეს თავიანთი წილი მათ უნდა იყიდონ,— მაგრამ ამ საქონელთა წარმოებასთან მათ არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ.

მაგრამ ყველა გარემოებაში ნათელია: რაც უფრო მეტი შემოსავალი (ხელფასი და მოგება) იხარჯება კაპიტალის მიერ წარმოებულ სხვადასხვა საქონელზე, მით უფრო ნაკლები შეიძლება დაიხარჯოს არამწარმოებელი მუშაკების მომსახურებათა საყიდლად, და პირიქით.

ამა თუ იმ შრომის, მაშასადამე, მისი პროდუქტის, ნივთობრივ განსაზღვრულობას თავისდათავად არაფერი აქვს საერთო ამ განსხვავებასთან მწარმოებლურ და არამწარმოებლურ შრომას შორის.

მაგალითად, მზარეულები და ოფიციანტები რესტორანში მწარმოებელი მუშაკები არიან, რამდენადაც მათი შრომა გადაიქცევა კაპიტალად რესტორნის მფლობელისათვის. იგივე პირები არამწარმოებელი მუშაკები არიან შინამოსამსახურეთა სახით, რამდენადაც მე მათი მომსახურებიდან კაპიტალს კი არა ვქმნი, არამედ მათზე ჩემს შემოსავალს ვხარჯავ. მაგრამ ფაქტიურად იგივე პირები რესტორანშიც ჩემთვის, როგორც მომხმარებლისათვის, არამწარმოებელი მუშაკები არიან.

«რ ო მ ე ლ ი მ ე ქ ვ ე ყ ნ ი ს მიწისა და შრომის წლიური პროდუქტის ის ნაწილი, რ ო მ ე ლ ი ც კ ა პ ი ტ ა ლ ს ა ნ ა ზ ღ ა უ რ ე ბ ს, ყოველთვის უ შ უ ა ლ ო დ მოიხმარება მხოლოდ მწარმოებელი მუშაკების შესანახად. იგი გ ა დ ა ი ხ დ ი ს მხოლოდ მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი შ რ ო მ ი ს ხ ე ლ ფ ა ს ს. ის ნაწილი კი, რომელიც უ შ უ ა ლ ო დ გ ა ნ კ უ თ ვ ნ ი ლ ი ა ა შემოსავლის წარმოსაქმნელად, იქნება ეს მოგების თუ რენტის სახით, შეიძლება თანაბრად მოხმარდეს როგორც მწარმოებელი, ისე არამწარმოებელი მუშაკების შენახვას. თავისი ფონდების რა ნაწილსაც არ უნდა ხარჯავდეს კაპიტალის სახით ადამიანი, იგი ყოველთვის მოელის, რომ ის მას მოგებით აუნაზღაურდება. ამიტომ ამ ნაწილს იგი მხოლოდ მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი მ უ შ ა კ ე ბ ს შენახვაზე ხარჯავს; კაპიტალის ფუნქციის შესრულებით ეს ნაწილი ქმნის შემოსავალს მწარმოებელი მუშაკებისათვის. ყოველთვის, როცა იგი თავის ფონდების ნაწილს ამა თუ იმ სახის ა რ ა მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი მ უ შ ა კ ე ბ ი ს შ ე ნ ა ხ ვ ა ზ ე მოიხმარს, ამ მომენტიდან ეს ნაწილი ამოიღება მისი კაპიტალიდან და შედის უშუალო მოხმარებისათვის განკუთვნილ ფონდებში» (ციტირ. თხზ. [მაკ-კულოხის გამოც., ტომი II], გვ. 98).

ნათელია, რომ იმდენად, რამდენადაც კაპიტალი მთელ წარმოებას ეუფლება, რამდენადაც ამიტომ ქრება მრეწველობის ისეთი ფორმები, როგორიცაა შინამრეწველობა და წვრილი მრეწველობა, ერთი სიტყვით, ის მრეწველობა, რომელიც საკუთარი მოხმარებისათვის აწარმოებს და რომლის პროდუქტები არ წარმოადგენენ საქონელს, — არამწარმოებელი მუშაკები, ე. ი. მუშაკები, რომელთა მომსახურება უშუალოდ გაიცვლება შემოსავალზე, მეტწილად ასრულებენ უკვე მარტოოდენ პ ი რ ა დ ი ხ ა ს ი ა თ ი ს მომსახურებას, და მხოლოდ მათი უმნიშვნელო ნაწილი (მაგალითად, მზარეული, მკერავი ქალი, თერძი, რომელიც შეკეთებაზე მუშაობს, და ა. შ.) აწარმოებს საგნობრივ სახმარ ღირებულებებს. ის გარემოება, რომ ისინი ს ა ქ ო ნ ე ლ ს არ აწარმოებენ, თვით საქმის ბუნებიდან გამომდინარეობს. იმიტომ, რომ საქონელი, როგორც ასეთი, არასოდეს არ არის უშუალოდ მოხმარების საგანი, არამედ საცვლელი ღირებულების მატარებელია. ამიტომ ამ არამწარმოებელი მუშაკე-

ბის მხოლოდ მეტად უმნიშვნელო ნაწილს შეუძლია განვითარებული კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში მონაწილეობა მიიღოს მატერიალურ წარმოებაში. ეს ნაწილი მატერიალურ წარმოებაში მონაწილეობას იღებს თავის მომსახურებათა შემოსავალზე გაცვლის გზით. ეს, როგორც ა. სმიტი აღნიშნავს, ხელს არ უშლის იმას, რომ ამ არამწარმოებელი მუშაკების მომსახურებათა ღირებულება განისაზღვრება — და შეიძლება განისაზღვროს — იმავე (ანდა ანალოგიური) წესით, რა წესითაც განისაზღვრება მწარმოებელი მუშაკების სამუშაო ძალის ღირებულება. სახელდობრ — მათ შესანახად და საწარმოებლად აუცილებელი წარმოების ხარჯებით. ამას ემატება აგრეთვე სხვა გარემოებანიც, რომლებიც აქ არ განიხილება.

[306] მწარმოებელი მუშაკის სამუშაო ძალა თვით მისთვის საქონელია. ასეთივე ვითარებაა არამწარმოებელი მუშაკის სამუშაო ძალის მიმართაც. მაგრამ მწარმოებელი მუშაკი აწარმოებს საქონელს მისი სამუშაო ძალის მყიდველისათვის. არამწარმოებელი მუშაკი კი მისთვის აწარმოებს უბრალოდ სახმარ ღირებულებას, წარმოსახვითის ან ნამდვილს, იგი სრულიად არ აწარმოებს საქონელს. არამწარმოებელი მუშაკისათვის დამახასიათებელია ის, რომ იგი თავისი მყიდველისათვის არ აწარმოებს საქონელს, თუმცა მისგან საქონელს იღებს.

«საზოგადოების ზოგიერთი ყველაზე საპატივცემლო წოდების შრომა, მსგავსად შინამსახურთა შრომისა, არ ქმნის არავითარ ღირებულებას. მაგალითად, ხელმწიფე მთელი თავისი სასამართლოს მოხელეებითა და ოფიცრებით, მთელი არმია და ფლოტი არამწარმოებელი მუშაკებია. ისინი საზოგადოების მსახურნი არიან და სხვა ადამიანთა შრომის წლიური პროდუქტის ნაწილით ცხოვრობენ. ამავე კატეგორიას ეკუთვნიან... სასულიერო პირნი, იურისტები, ექიმები, ყველა სახის მწერლები; მსახიობები, ხუმარები, მუსიკოსები, ოპერის მომღერლები, ბალეტის მოცეკვაეენი და ა. შ.» (ციტირ. თხზ., გვ. 94-95).

თავისთავად ამ განსხვავებას მწარმოებლურ და არამწარმოებლურ შრომას შორის, როგორც უკვე ითქვა, საერთო არაფერი აქვს შრომის არც ამა თუ იმ განსაკუთრებულ სპეციალობასთან, არც იმ განსაკუთრებულ სახმარ ღირებულებასთან, რომელშიც შრომის ეს სპეციალური სახე ხორციელდება. ერთ შემთხვევაში შრომა გაიცვლება კაპიტალზე, მეორე შემთხვევაში — შემოსავალზე. ერთ შემთხვევაში შრომა იქცევა კაპიტალად და კაპიტალისტს მოგებას უქმნის; მეორე შემთხვევაში ის არის ხარჯი, შემოსავლის ხარჯვის ერთი ობიექტთაგანი. მაგალითად, ფორტეპიანოს ფაბრიკანტის მუშა

მწარმოებელი მუშაკია. მისი შრომა არა მარტო ანაზღაურებს მის მიერ მოხმარებულ ხელფასს, არამედ მისი პროდუქტი, ფორტეპიანო, საქონელი, რომელსაც ფაბრიკანტი ყიდის, — გარდა ხელფასის ღირებულებისა შეიცავს კიდევ ზედმეტ ღირებულებას. ვიგულისხმოთ, პირიქით, რომ მე ვყიდულობ მთელ მასალას, რომელიც საჭიროა ფორტეპიანოს დასამზადებლად (ანდა დავუშვათ, თვით მუშასაც კი აქვს ეს მასალა), და ნაცვლად იმისა, რომ ფორტეპიანო მაღაზიაში ვიყიდო. მე დაკვეთას ვაძლევ იგი ჩემთან—შინ დაამზადონ. ამ შემთხვევაში ფორტეპიანოს ოსტატი არამწარმოებელი მუშაკია, რადგან მისი შრომა უშუალოდ გაიცვლება ჩემს შემოსავალზე.

[4) სმიტის მეორე შეხედულება ამ საკითხზე: მწარმოებლური შრომა როგორც საქონელში გასაგნოგრივებული შრომა]

ნათელია, ამასთანავე, რომ იმდენად, რამდენადაც კაპიტალი მთელ წარმოებას იმორჩილებს, — ასე რომ ყველა საქონელი იწარმოება გასაყიდად და არა უშუალო მოხმარებისათვის, და ამის შესაბამისად იზრდება შრომის ნაყოფიერება, — ჩნდება და სულ უფრო ძლიერდება აგრეთვე ნივთობრივი განსხვავებაც მწარმოებელ და არამწარმოებელ მუშაკებს შორის, რადგან პირველნი, მცირე გამონაკლისის გარდა, აწარმოებენ მხოლოდ ს ა ქ ო ნ ე ლ ს, მეორენი კი, ასევე მცირე გამონაკლისის გარდა, ასრულებენ მხოლოდ პირად მომსახურებას. ამიტომ პირველთა კატეგორია აწარმოებს უშუალო, მატერიალურ, საქონელთაგან შემდგარ სიმდიდრეს, ყველა საქონელს, რამდენადაც ეს უკანასკნელი შედგება არა საკუთრივ სამუშაო ძალისაგან. და ეს არის ერთი იმ მოსაზრებათაგანი, რამაც საბაბი მისცა სმიტს პირველი differentia specifica-სთვის *, რომელიც ძირითად განსაზღვრას წარმოადგენს, კიდევ სხვებიც მიემატებინა.

ამრიგად, სხვადასხვა აზრის ერთმანეთთან დაკავშირების შედეგად სმიტს გამოუდის შემდეგი:

«შინამსახურის შრომა» (განსხვავებით მანუფაქტურის მუშისაგან) «... არ ი ძ ლ ე ვ ა ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ა რ ა ვ ი თ ა რ გ ა დ ი დ ე ბ ა ს... შინამსახურის შესანახი ხარჯი არ ა ს ო დ ე ს ა რ ბ რ უ ნ დ ე ბ ა უ კ ა ნ. ადამიანი მდიდრდება,

* სპეციფიკური განმასხვავებელი ნიშანი, სპეციფიკური განსხვავება. რ ე დ.

როცა ბევრ მანუფაქტურის მუშას ქირაობს; იგი ღარიბდება, თუ ბევრ შინამსახურს ინახავს. მიუხედავად ამისა, უკანასკნელთა შრომას თავისი ღირებულება აქვს და იგი გასამრჯელოს ისევე, იმსახურებს, როგორც პირველთა შრომა. მაგრამ მანუფაქტურის მუშის შრომა ფიქსირდება და საგნობრივდება რომელიმე ცალკეულ საგანში, ანუ საქონელში, რომელიც შეიძლება გაიყიდოს და რომელიც ყოველ შემთხვევაში, გარკვეული დროის განმაღლობაში არსებობს მას შემდეგ, რაც თვით ეს შრომა უკვე შეწყდა. ეს არის, ასე ვთქვათ, გარკვეული რაოდენობა შრომისა, რომელიც მისი გასაგნობრივების პროცესში დაგროვდა და მარაგად ინახება, რადგან გამოყენებულ იქნეს, თუ საჭირო იქნება, რომელიმე სხვა შემთხვევაში. ამ საგანს, ანუ, რაც იგივეა, ამ საგნის ფასს, შეუძლია შემდეგში, თუ საჭირო იქნება, მოძრაობაში მოიყვანოს შრომის ისეთი რაოდენობა, რომელიც უდრის მის წარმოებაზე თავდაპირველად დახარჯულ რაოდენობას. შინამსახურის შრომა კი [307], პირიქით, არ ფიქსირდება ან არ საგნობრივდება რომელიმე ცალკეულ საგანში, ან გასაყიდად ვარგის საქონელში. მისი მომსახურება ჩვეულებრივ თვით მისი შესრულების მომენტში ქრება და იშვიათად ტოვებს თავის შემდეგ რაიმე კვალს ან რაიმე ღირებულებას, რაშიც შესაძლებელი იქნებოდა შემდეგში თანაბარი რაოდენობის მომსახურებათა მიღება. საზოგადოების ზოგიერთი ყველაზე საპატივცემლო წოდების შრომა, მსგავსად შინამსახურთა შრომისა, არ აწარმოებს არავითარ ღირებულებას და არ ფიქსირდება ან არ საგნობრივდება არც ერთ ხანგრძლივად არსებულ საგანში, ან გასაყიდად ვარგის საქონელში» (ციტირ. თხზ., გვ. 93-94).

არამწარმოებელი მუშაკის დასახასიათებლად ჩვენ აქ გვაქვს შემდეგი განსაზღვრანი, რომლებშიც ამასთანავე მეღაენდება ა. სმიტის აზრთა შინაგანი მსვლელობის რგოლები.

არამწარმოებელი მუშაკის შრომა «არ აწარმოებს არავითარ ღირებულებას», «არ იძლევა ღირებულების არავითარ გადიდებას», (არამწარმოებელი მუშაკის). «შესანახი ხარჯი არასოდეს არ ბრუნდება უკან», «იგი არ ფიქსირდება ან არ საგნობრივდება რომელიმე ცალკეულ საგანში, ან გასაყიდად ვარგის საქონელში». პირიქით «მისი მომსახურება ჩვეულებრივ თვით მისი შესრულების მომენტში ქრება და იშვიათად ტოვებს თავის შემდეგ რაიმე კვალს ან რაიმე ღირებულებას, რაშიც შესაძლებელი იქნებოდა შემდეგში თანაბარი რაოდენობის მომსახურებათა მიღება». ბოლოს, «იგი არ ფიქსირდება ან არ საგნობრივდება არც ერთ ხანგრძლივად არსებულ საგანში, ან გასაყიდად ვარგის საქონელში».

აქ ტერმინები «მწარმოებლური» და «არამწარმოებლური» აღე-

ბულია სხვა აზრით, ვიდრე მათ თავდაპირველად ჰქონდათ. ლაპარაკი: უკვე არა ზედმეტი ღირებულების წარმოებაზე, რომელიც თავისთავად გულისხმობს მოხმარებული ღირებულების ეკვივალენტის კვლავწარმოებას. მუშაკის შრომა აქ მწარმოებლურ შრომად ითვლება იმდენად, რამდენადაც მუშაკი მოხმარებული ღირებულების ნაცვლად იძლევა ეკვივალენტს იმით, რომ თავისი შრომით რაიმე მასალას ღირებულების იმავე რაოდენობას მიუმატებს, რამდენსაც მისი ხელფასი შეიცავდა. აქ ჩვენ ვცილდებით საზოგადოებრივი ფორმა-განსაზღვრულობის ფარგლებს, მწარმოებელი და არამწარმოებელი მუშაკების განსაზღვრას კაპიტალისტური წარმოებისადმი მათი დამოკიდებულებით. IV წიგნის მე-9 თავიდან (სადაც ა. სმიტი ფიზიოკრატების მოძღვრებას აკრიტიკებს) ჩანს, რომ იგი ამ აბერაციამდე მივიდა იმ გზით, რომ თავის შეხედულებებს ავითარებდა ნაწილობრივ ფიზიოკრატების საპირისპიროდ, ნაწილობრივ კი მათი ზეგავლენით. თუ მუშა წლის განმავლობაში მხოლოდ თავისი ხელფასის ეკვივალენტს ქმნის, იგი არ არის მწარმოებელი მუშაკი კაპიტალისტისათვის. მართალია, ის უნაზღაურებს კაპიტალისტს თავის ხელფასს, თავის შრომაში გადახდილ ფასს. მაგრამ ეს ისეთივე გარიგებაა, თითქოს, კაპიტალისტს ამ მუშის მიერ წარმოებული საქონელი ეყიდოს. კაპიტალისტი გადაიხდის იმ შრომის საზღაურს, რომელსაც შეიცავს ამ საქონლის საწარმოებლად გამოყენებული მუდმივი კაპიტალი და ხელფასი. მას ახლა აქვს შრომის იგივე რაოდენობა საქონლის ფორმით, რაც უწინ ჰქონდა ფულის სახით. მისი ფული ამის გამო კაპიტალად არ გადაიქცევა. ამ შემთხვევაში იგივე მდგომარეობაა, როგორიც გვექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მუშა თვითონ იქნებოდა თავისი წარმოების პირობების მფლობელი. თავისი წლიური პროდუქტის ღირებულებას მან უნდა გამოაკლოს წარმოების პირობების ღირებულება, რათა ისინი აანაზღაუროს. წლის განმავლობაში მას შეეძლო მოეხმარა თავისი პროდუქტის ღირებულების ის ნაწილი, რომელიც უდრის ახალ შრომას, რაც მან წლის მანძილზე თავის მუდმივ კაპიტალს მიუმატა. ამ შემთხვევაში, მაშასადამე, ადგილი არ ექნებოდა კაპიტალისტურ წარმოებას.

პირველი საფუძველი იმისა, თუ რატომ უწოდებს ა. სმიტი ამ სახის შრომას «მწარმოებლურს», ისაა, რომ ფიზიოკრატები მას უწოდებენ «უნაყოფოს» და «არამწარმოებლურს».

სახელდობრ, აღნიშნულ თავში სმიტი გვეუბნება:

«ჯერ-ერთი, [ფიზიოკრატები] აღიარებენ, რომ ეს კლასი» (სახელდობრ, მრეწველი კლასები, რომლებიც მიწათმოქმედებას არ მისდევენ) ყოველწლიურად აკვლავწარმოებს თავისი საკუთარი წლიური მოხმარების ღირებულებას და კვლავ აღადგენს, სულ ცოტა, იმ ფონდს, ანუ კაპიტალს, რომელიც მის დასაქმებასა და არსებობას უზრუნველყოფს. მართალია, ფერმერები და სოფლის მეურნეობის მუშები გარდა იმ კაპიტალისა, რომელიც მათ სამუშაოსა და საარსებო საშუალებებს აძლევს, ყოველწლიურად აკვლავწარმოებენ კიდევ წმინდა პროდუქტს, წმინდა რენტას მიწის მესაკუთრისათვის... ფერმერებისა და სოფლის მეურნეობის მუშების შრომა, უეჭველია, ეაჭრების, ხელოსნებისა და მანუფაქტურისტების შრომაზე უფრო მეტს აწარმოებს. მაგრამ ის გარემოება, რომ ერთი კლასის პროდუქტი მეორე კლასის პროდუქტს აღემატება, არ ხდის ჯერ კიდევ მეორე კლასს უნაყოფო და არაშემწარმოებლურ კლასად» (ციტირ. თხზ., ტ. III, გვ. 530 [გარნიეს თარგმანისა]).

აქ, მაშასადამე, ა. სმიტი უბრუნდება ფიზიოკრატულ [308] შეხედულებას. საკუთრივ «მწარმოებლური შრომა». შრომა, რომელიც აწარმოებს ზედმეტ ღირებულებას და ამიტომ «წმინდა პროდუქტსაც», თურმე არის სამიწათმოქმედო შრომა. სმიტი უარყოფს თავის საკუთარ შეხედულებას ზედმეტ ღირებულებაზე და იზიარებს ფიზიოკრატების შეხედულებას. ამავე დროს ფიზიოკრატების წინააღმდეგ იგი იმ დებულებას აყენებს, რომ მანუფაქტურული შრომა (მისი აზრით — კომერციულიც) მაინც მწარმოებლურია, თუმცა სიტყვის არა ამ უმაღლესი მნიშვნელობით. მაშასადამე, სმიტი სცილდება საზოგადოებრივი ფორმაგანსაზღვრების ფარგლებს, «მწარმოებლური მუშაკის» განსაზღვრას კაპიტალისტური წარმოების თვალსაზრისით; ფიზიოკრატების წინააღმდეგ ის იმ თეზისს აყენებს, რომ არამიწათმოქმედი, მრეწველი კლასი აკვლავწარმოებს თავის საკუთარ ხელფასს, მაშასადამე, მაინც აწარმოებს მის მიერ მოხმარებული ღირებულების თანაბარ ახალ ღირებულებას, და ამით „აღადგენს იმ ფონდს, ანუ კაპიტალს მაინც, რომელიც მის დასაქმებას უზრუნველყოფს». ასე წარმოიქმნება ფიზიოკრატების ზეგავლენით და მათ საპირისპიროდ სმიტის მეორე განსაზღვრა იმისა, თუ რა არის «მწარმოებლური შრომა».

«მეორე», — ამბობს ა. სმიტი, — «ამის გამო სრულიად უმართებულო იქნებოდა ხელოსნები, მანუფაქტურისტები და ეაჭრები იმავე თვალსაზრისით გვეფიქრა, როგორც შინამსახურნი. შინამსახურის შრომა არ აღადგენს იმ ფონდს, რომელიც მას დასაქმებით და საარსებო საშუალებებით უზრუნველყოფს. ამ მსახურის დასაქმება და რჩენა მთლიანად მისი პატრონის ხარჯების მეშვეობით წარმოებს, და მის მიერ შესრულებული სამუ-

შაოარაა ისეთი სახის, რომ ეს ხარჯები აანაზღაურონ. ეს სამუშაო მდგომარეობს მომსახურებაში, რაც ჩვეულებრივ თვით მისი შესრულების მომენტში ქრება; იგი არ ფიქსირდება და არ საგნობრივდება რომელიმე გასაყიდად ვარგის საქონელში, რომელსაც შეეძლოს მათი ხელფასისა და შენახვის ღირებულების ანაზღაურება. ამის საპირისპიროდ, ხელოსნების, მანუფაქტურისტების და ვაჭრების შრომა ბუნებრივად ფიქსირდება და საგნობრივდება ისეთ საგანში, რომელიც შეიძლება გაიყიდოს ან გაიცვალოს. აი ამ საფუძვლით იმ თავში, სადაც ლაპარაკია მწარმოებლურ და არამწარმოებლურ შრომაზე, ხელოსნები, მანუფაქტურისტები და ვაჭრები მე მივაკუთვნე მწარმოებელ მუშაკებს, შინამსახურნი კი — უნაყოფო და არამწარმოებელ მუშაკებს» (ციტირ. თხზ., გვ. 531).

როგორც კი კაპიტალი მთელ წარმოებას ეუფლება, შემოსავალი, რამდენადაც იგი საერთოდ შრომაზე გაიცვლება, გაიცვლება არა უშუალოდ საქონლის მწარმოებელ შრომაზე, არამედ მარტოოდენ მომსახურებაზე. იგი გაიცვლება ნაწილობრივ ისეთ საქონელზე, რომელიც მას სახმარი ღირებულების სახით ემსახურება, ნაწილობრივ მომსახურებაზე, რაც, როგორც ასეთი, სახმარი ღირებულების სახით მოიხმარება.

საქონელი, თვით სამუშაო ძალისაგან განსხვავებით, ისეთი საგანია, რომელიც ადამიანს უპირისპირდება ნივთობრივი ფორმით, საგანი, რომელსაც გააჩნია გარკვეული სარგებლიანობა ადამიანისათვის და რომელშიც ფიქსირებულია, მატერიალიზებულია შრომის გარკვეული რაოდენობა.

ამრიგად, ჩვენ მივდივართ ისეთ განსაზღვრამდე, რომელსაც უკვე შეიცავს პირველი პუნქტი: მწარმოებელია ის მუშა, რომლის შრომაც საქონელს აწარმოებს, ამასთან ეს მუშა არ მოიხმარს იმაზე მეტ საქონელს, რასაც აწარმოებს, რადაც მისი შრომა ღირს. მისი შრომა ფიქსირდება და საგნობრივდება «ისეთ საგანში, რომელიც შეიძლება გაიყიდოს ან გაიცვალოს», «რომელიმე გასაყიდად ვარგის საქონელში, რომელიც შეძლებდა აანაზღაურებინა მათი» (ე. ი. მუშების, რომლებმაც ეს საქონელი დამზადეს) «ხელფასისა და შენახვის ღირებულება». როცა საქონელს აწარმოებს მწარმოებელი მუშა, ამით იგი განუწყვეტლივ აკვლავწარმოებს ცვალებად კაპიტალს, რომელსაც განუწყვეტლივ მოიხმარს ხელფასის ფორმით. იგი მუდამ აწარ-

მოებს იმ ფონდს, რომელიც მას საზღაურს აძლევს, «რომელიც მას დაასაქმებს და საარსებო საშუალებებით უზრუნველყოფს».

ჯერ-ერთი, შრომას, «ფიქსირებულს და გასავნობრივებულს ისეთ საქონელში, რომელიც შეიძლება გაიყიდოს და გაიცვალოს», ა. სმიტი, ბუნებრივია, მიაკუთვნებს გონებრივი შრომის ყველა სახეობას, რომელიც უშუალოდ მოიხმარება მატერიალურ წარმოებაში. სმიტს აქ მხედველობაში აქვს არა მარტო იმ მუშის შრომა, რომელიც მუშაობს უშუალოდ ხელით ანდა მუშაობს მანქანით, არამედ აგრეთვე ზედამხედველის, ინჟინრის, დირექტორის, ნოქრის და სხვათა შრომაც, ერთი სიტყვით, მთელი იმ პერსონალის შრომა, რომელსაც საჭიროებს მატერიალური წარმოების გარკვეული სფერო გარკვეული საქონლის საწარმოებლად, — პერსონალისა, რომლის ერთობლივი შრომაც (კოოპერაცია) აუცილებელია საქონელთა დასამზადებლად. მართლაც, ისინი მუდმივ კაპიტალს მიუმატებენ თავიანთ ერთობლივ შრომას და ამ ოდენობით გაადიდებენ პროდუქტის ღირებულებას. (რამდენად მართებულია ეს ბანკირებისა[61] და სხვ. მიმართ?)

[309] მეორე, ა. სმიტი ამბობს, რომ ჩვეულებრივ ეს არ ხდება ხოლმე არამწარმოებელი მუშაკების შრომის მიმართ. ა. სმიტმა მშვენივრად იცის, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როცა კაპიტალი მატერიალურ წარმოებას დაეუფლა, როცა ძირითადად გაქრა შინამრეწველობა, გაქრა იმ წვრილი ხელოსნის შრომა, რომელიც მომხმარებლის სახლში ამ უკანასკნელს სახმარ ღირებულებას უქმნის, — ამ შემთხვევაშიც კი მკერავი ქალი, რომელიც შინ მომყავს პერანგების შესაკერად, ან ავეჯის შემკეთებელი მუშები, ან მოსამსახურე, რომელიც რეცხს, ალაგებს სახლს და ა. შ., ანდა მზარეული, რომელიც ხორცსა და ა. შ. მოხმარებისათვის გამოსადეგ ფორმას აძლევს, თავიანთი შრომის ფიქსაციას ახდენენ ამა თუ იმ ნივთში და ნამდვილად ადიღებენ ამ ნივთთა ღირებულებას სწორედ ისევე, როგორც მკერავი ქალი, რომელიც ფაბრიკაში კერავს, როგორც მანქანის შემკეთებელი მექანიკოსი, როგორც მანქანის მწმენდავი მუშები, როგორც მზარეული, რომელიც საჭმელს ამზადებს რესტორანში კაპიტალისტის მიერ დაქირავებული მუშის სახით. მათ მიერ წარმოებული სახმარი ღირებულება აგრეთვე პოტენციური საქონელია: პერანგი შეიძლება დაგირავდეს ლომბარდში, სახლი შეიძლება გაიყიდოს, ავეჯი შეიძლება საჯარო ვაჭრობით გაიყიდოს და ა. შ. ამრიგად, ჩამოთვლილმა პირებმაც პოტენციურად საქონელი აწარმოეს და თავიან-

თი შრომის საგნებს ღირებულება მიუმატეს. მაგრამ არამწარმოებელ მუშაკებს შორის ისინი მეტად მცირე კატეგორიას შეადგენენ და ის, რაც მათზე ითქვა, არ შეიძლება ითქვას შინამსახურთა, ხუცებისა, მთავრობის მოხელეთა, ჯარისკაცთა, მუსიკოსთა და ა. შ. მასის შესახებ.

მაგრამ რაგინდ დიდი ან მცირე არ უნდა იყოს ამ «არამწარმოებელი მუშაკების» რიცხვი, ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ — და სმიტი აღიარებს ამას თავისი შემზღუდველი გამოთქმით: «ეს მომსახურება ჩ ვ ე უ ლ ებ რ ი ვ თვით მისი შესრულების მომენტში ქრება» და ა. შ., — რომ შრომას «მწარმოებლურ» ან «არამწარმოებლურ» შრომად ხდის არა უეჭველად ამ შრომის სპეციალური სახეობა და არც ამ შრომის გამოვლინების ფორმა. ერთი და იგივე შრომა შეიძლება იყოს მწარმოებლური, როცა მას ვყიდულობ მე როგორც კაპიტალისტი, როგორც მწარმოებელი, იმ მიზნით, რომ მისმა გამოყენებამ მომცეს გადიდებული ღირებულება, და არამწარმოებლური, როცა მას ვყიდულობ როგორც მომხმარებელი, როცა ჩემს შემოსავალს ვხარჯავ მისი (შრომის) სახმარი ღირებულების მოხმარების მიზნით, იმისდა მიუხედავად, ქრება ეს სახმარი ღირებულება თვით სამუშაო ძალის მოქმედების შეწყვეტასთან ერთად, თუ იგი საგნობრივდება, ფიქსირდება რომელიმე ნივთში.

მისთვის, ვინც მზარეულის შრომა იყიდა როგორც კაპიტალისტმა, რესტორანის პატრონისათვის, მზარეული რესტორანში საქონელს აწარმოებს. ცხვრის კატლეტის მომხმარებელმა უნდა აანაზღაუროს მზარეულის შრომა, ეს შრომა კი უნაზღაურებს რესტორანის პატრონს (გარდა მოგებისა) იმ ფონდს, საიდანაც იგი განაგრძობს მზარეულის ხელფასის გადახდას. პირიქით, თუ მზარეულის შრომას, რომელიც ხორცს და სხვ. მიხარშავს, მე იმ მიზნით კი არ ვყიდულობ, რომ ეს შრომა გამოვიყენო როგორც შრომა საერთოდ ზედმეტი ღირებულების მისაღებად, არამედ იმისათვის, რომ ვისარგებლო ამ შრომით სწორედ როგორც გარკვეული კონკრეტული შრომით, მაშინ ამ შემთხვევაში მისი შრომა არამწარმოებლურია, თუმცა მისი ფიქსაცია ხდება კიდეც მატერიალურ პროდუქტში, და მას თავისუფლად შეეძლო (თავისი შედეგის სახით) ისეთივე გასაყიდი საქონელი გამხდარიყო, როგორიც იგი სინამდვილეში არის კიდეც რესტორანის პატრონისათვის. მაგრამ რჩება დიდი განსხვავება (განსხვავება თვით საქმის დედაარსის მიხედვითაც): მე (ყერძო პირს) მზარეული არ მინაზღაურებს იმ ფონდს, საიდანაც მე მას ხელფასს ვუხდი. ვინაიდან მე მის

შრომას ვყიდულობ არა როგორც ღირებულების შემქმნელ ელემენტს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ამ შრომის სახმარი ღირებულების გამო. მისი შრომა სწორედ ისევე არ მინაზღაურებს იმ ფონდს, საიდანაც მე მას ხელფასს ვუხდი, ე. ი. არ მინაზღაურებს მის ხელფასს, როგორც, მაგალითად, სადილი, რესტორანში რომ ვჭამ, არ მაძლევს, როგორც ასეთი, იმის შესაძლებლობას, რომ ერთხელ კიდევ ვიყიდო და შევჭამო ასეთივე სადილი. მაგრამ ეს განსხვავება არსებობს საქონელთა შორისაც. საქონელი, რომელსაც კაპიტალისტი ყიდულობს თავისი მუდმივი კაპიტალის ასანაზღაურებლად (მაგალითად, ბამბის ქსოვილი, თუ მას საჩითავი ფაბრიკა აქვს), უნაზღაურებს მას თავის ღირებულებას დაჩითულ ჩითში. პირიქით, თუ კაპიტალისტი ამავე საქონელს თვით ჩითის მოხმარების მიზნით ყიდულობს, მაშინ საქონელი არ უნაზღაურებს მას მის ხარჯებს.

საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა, — ე. ი. მუშათა კლასმა, — სხვათა შორის, თვითონ უნდა შეასრულოს თავისთვის ეს არამწარმოებლური შრომა; მაგრამ ამის შესრულება მას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ მან წინასწარ «მწარმოებლურად» იმუშავა. მუშას შეუძლია თავისთვის ხორცი მოიხარშოს მხოლოდ მაშინ, თუ მან აწარმოვა ხელფასი, რომლითაც ხორცის ფასის გადახდა შეიძლება; მას შეუძლია სუფთად შეინახოს თავისი ავეჯი და თავისი საცხოვრებელი ბინა, გაიწმინდოს ფეხსაცმელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან წინასწარ აწარმოვა ავეჯის, ბინის ქირის, ფეხსაცმლის ღირებულება. ამრიგად, თვით მწარმოებელი მუშების ამ კლასისათვის «არამწარმოებლურ შრომას» წარმოადგენს ის შრომა, რომელსაც ისინი საკუთრივ თავისთვის ასრულებენ. ეს არამწარმოებლური შრომა არასდროს არ აძლევს მათ შესაძლებლობას [310] ხელახლა გაიმეორონ იგივე არამწარმოებლური შრომა, თუ მათ წინასწარ არ იმუშავეს მწარმოებლურად.

მ ე ს ა მ ე. მეორე მხრივ: თეატრების, კონცერტების ანტრეპრენიორი, საროსკიპოს პატრონი და ა. შ. ყიდულობენ მსახიობთა, მუსიკოსთა, მეძავთა და სხვ. სამუშაო ძალაზე დროებითი განკარგულების უფლებას (სინამდვილეში — არაპირდაპირი გზით, რაც საინტერესოა მხოლოდ ეკონომიური ფორმის თვალსაზრისით და რაც პროცესის შედეგებზე გავლენას არ ახდენს); ისინი ყიდულობენ ამ ეგრეთწოდებულ «არამწარმოებლურ შრომას», რომლის «მომსახურება თვით მისი შესრულების მომენტში ქრება» და არ ფიქსირდება ანდა არ საგნობრივდება რომელიმე «ხანგრძლივად

არსებულ» (ან, სხვანაირად, «განსაკუთრებულ») «საგანში, ანუ გასაყიდად ვარგის საქონელში» (გარდა თვით ამ მომსახურებისა). ხალხისათვის ამ მომსახურებათა მიყიდვა ანტრეპრენიორს უნაზღაურებს ხელფასს და აძლევს მოგებას. და ეს მომსახურებანი, რომელთაც ის ამ გზით ყიდულობს, შესაძლებლობას აძლევენ მას ხელახლა იყიდოს ისინი, ე. ი. ისინი თვით ანაზღაურებენ იმ ფონდს, საიდანაც მათ საფასურს უხდიან. იგივე ითქმის, მაგალითად, იმ მწერალთა შრომის შესახებ, რომლებიც ადვოკატის კანტორაში მუშაობენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ კანცელარიის მწერალთა მომსახურება მეტწილად საგნობრივდება მეტად ვრცელ «განსაკუთრებულ საგნებში», დოკუმენტების უზარმაზარი დასტების ფორმით.

სწორია, რომ თვით ანტრეპრენიორს ეს მომსახურებანი უნაზღაურდება ხალხის შემოსავლიდან. მაგრამ არანაკლებ სწორია ისიც, რომ ასეთივე მდგომარეობა გვაქვს ყველა პროდუქტის მიმართ, რამდენადაც ისინი ინდივიდუალური მოხმარების საგნებია. რომელიმე ქვეყანას, მართალია, არ შეუძლია ექსპორტის საგნად გახადოს ეს მომსახურებანი როგორც ასეთნი; მაგრამ მას შეუძლია ექსპორტის საგნად აქციოს მათი შემსრულებელნი. ასე, მაგალითად, საფრანგეთი ეწევა ცეკვის მასწავლებელთა, მზარეულთა და ა. შ. ექსპორტს, გერმანია კი — სკოლის მასწავლებელთა ექსპორტს. რა თქმა უნდა, ცეკვისა და სკოლის მასწავლებელთა ექსპორტთან ერთად მათი შემოსავლის ექსპორტირებაც ხდება, მაშინ როდესაც საცეკვაო ფეხსაცმლისა და წიგნების ექსპორტი ქვეყანას მათ ამნაზღაურებელ ღირებულებას აძლევს.

ამრიგად, თუ, ერთი მხრივ, ეგრეთწოდებული არამწარმოებლური შრომის ნაწილი საგნობრივდება ამა თუ იმ მატერიალურ სახმარ ღირებულებაში, რომელსაც თავისუფლად შეეძლო ყოფილიყო საქონელი («გასაყიდად ვარგისი საქონელი»), მეორე მხრივ, ნაწილი იმ მომსახურებათა, რომელნიც წმინდა სახით არსებობენ, არ იღებენ საგნობრივ ფორმას, არ იღებენ ნივთის სახით დამოუკიდებელ, თავიანთ შემსრულებელთაგან გამოცალკევებულ მყოფობას და არ შედიან ძირითადი ნაწილის სახით რომელიმე საქონლის ღირებულებაში, — არამწარმოებლური შრომის ეს ნაწილი შეიძლება კაპიტალით იყიდონ (შრომის უ შ უ ა ლ ო მყიდველმა), იგი შეიძლება თავის საკუთარ ხელფასს ანაზღაურებდეს და მოგებას იძლეოდეს. ერთი სიტყვით, ამ მომსახურებათა წარმოება შეიძლება გარკვეულ მის ნაწილში დაექვემდებაროს კაპიტალს, —

ისევე, როგორც, მეორე მხრივ, სასარგებლო საგნებში გასაგნობრივებული შრომის ნაწილს უშუალოდ შემოსავლით ყიდულობენ და შრომის ეს ნაწილი კაპიტალისტურ წარმოებას არ ექვემდებარება.

მ ე ო თ ხ ე. «საქონელთა» მთელი სამყარო შეიძლება გაიყოს ორ დიდ ჯგუფად. ჯერ-ერთი, სამუშაო ძალა; მეორე, საკუთრივ სამუშაო ძალისაგან განსხვავებული საქონელი. ისეთ მომსახურებათა ყიდვა კი, რომლებიც სამუშაო ძალის სწავლებას წარმოადგენენ, რომლებიც ამ სამუშაო ძალას ინახავენ, სახეს უცვლიან და ა. შ., ერთი სიტყვით, მცს სპეციალობას აძლევენ ანდა მხოლოდ მის შენახვას ემსახურებიან, მაშასადამე, მაგალითად, მომსახურება სკოლის მასწავლებლისა, რამდენადაც იგი «ინდუსტრიულად აუცილებელია“ ან სასარგებლოა, მომსახურება ექიმისა, რამდენადაც იგი ჯანმრთელობის შენარჩუნებას უწყობს ხელს, ე. ი. ინახავს ყველა ღირებულების წყაროს — თვით სამუშაო ძალას, — ყოველივე ეს ისეთ მომსახურებათა ყიდვაა, რომელნიც თავის სანაცვლოდ იძლევიან «გასაყიდად ვარგის საქონელს და ა. შ.», სახელდობრ თვით სამუშაო ძალას, რომლის წარმოების ან კვლავწარმოების ხარჯებშიც ეს მომსახურებანი შედიან. თუმცა ა. სმიტმა იცოდა, თუ რა უმნიშვნელო როლს ასრულებენ მუშათა მასის წარმოების ხარჯებში «განათლების» ხარჯები. და ექიმის მომსახურებანი ყველა გარემოებაში წარმოების faux frais.* ეკუთვნიან. ისინი შეიძლება მიეკუთვნოს სამუშაო ძალის რემონტის ხარჯებს. დავუშვათ, რომ ამა თუ იმ მიზეზით ერთსა და იმავე დროს მცირდება ხელფასი და მოგება, როგორც თავისი ერთობლივი ღირებულების მიხედვით,—მაგალითად, იმის გამო. რომ ერთი უფრო გაზარმაცდა,— ისე თავისი სახმარი ღირებულების მიხედვითაც, თუ შრომა ნაკლებ ნაყოფიერი გახდა ცუდი მოსავლის გამო და ა. შ.; ერთი სიტყვით, დავუშვათ, რომ პროდუქტის ის ნაწილი, რომლის ღირებულება შემოსავალს უდრის, მცირდება იმ მიზეზის გამო, რომ უკანასკნელი წლის განმავლობაში ნაკლები ახალი შრომა მიემატა და მიმატებული შრომა ნაკლებნაყოფიერია. თუ კაპიტალისტი და მუშა მოისურვებდნენ ახლა მატერიალური პროდუქტების სახით მოეხმარათ ღირებულებათა იგივე ჯამი, რასაც უწინ ხმარობდნენ, მათ მოუხდებოდათ ექიმის, მასწავლებლის და სხვ. მომსახურებათა

* არამწარმოებლური ხარჯები, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ წარმოების პროცესში, მაგრამ მოცემულ პირობებში აუცილებელნი არიან. რ ე დ.

უფრო ნაკლები ოდენობით ყიდვა. თუკი ისინი იძულებული იქნებოდნენ ექიმსა და მასწავლებელზე იმდენივე დაეხარჯათ, რამდენსაც უწინ ხარჯავდნენ, მაშინ მათ უნდა შეეკვეცათ სხვა საგნების მოხმარება. ამრიგად, ცხადია, რომ ექიმისა და მასწავლებლის შრომა არ ქმნის უშუალოდ იმ ფონდს, საიდანაც მათ გადაუხდიან, თუმცა მათი შრომა შედის იმ ფონდის წარმოების ხარჯებში, რომელიც საერთოდ ქმნის ყველა ღირებულებას, სახელდობრ შედის სამუშაო ძალის წარმოების ხარჯებში.

[311] ა. სმიტი განაგრძობს:

«მესამე, ყველა თვალსაზრისით უმართებულოდ გვეჩვენება იმის მტკიცება, რომ ხელოსნების, მანუფაქტურისტების და ვაჭრების შრომა არ ადიდებს საზოგადოების ნამდვილ შემოსავალს. კიდეც რომ ვივარაუდოთ, მაგალითად, როგორც ამას ვარაუდობს აქ განხილული თეორია, რომ ამ კლასის დღიური, თვიური და წლიური მოხმარების ღირებულება ზუსტად უდრის მის მიერ მოცემული დღის, თვის და წლის განმავლობაში წარმოებულ ღირებულებას, მაინც აქედან ის დასკვნა არ გამომდინარეობს, რომ მისი შრომა არაფერს არ უმატებს საზოგადოების ნამდვილ შემოსავალს, მიწისა და საზოგადოების შრომის წლიური პროდუქტის ნამდვილ ღირებულებას. ასე, მაგალითად, ხელოსანი, რომელიც მოსავლის აღების შემდეგ პირველი ექვსი თვის განმავლობაში 10 გირვ. სტერლინგის სამუშაოს ასრულებს, კიდევაც *რომ მოიხმაროს ამ ხნის* განმავლობაში 10 გირვ. სტერლ. ღირებულების პური და სხვა საარსებო საშუალებანი, სინამდვილეში იგი მიწისა და საზოგადოების შრომის წლიურ პროდუქტს მიუმატებს 10 გირვ. სტერლ. ღირებულებას. როცა პურისა და სხვა საარსებო საშუალებათა სახით 10 გირვ. სტერლ. ღირებულების ნახევარწლიური შემოსავალი მოიხმარა, მან აწარმოვა იმავე დროის განმავლობაში თავისი მუშაობით თანატოლი ღირებულება, რომლითაც თვით მისთვის ან სხვა ვინმესთვის ზუსტად ისეთივე ნახევარწლიური შემოსავლის ყიდვა შეიძლება. ამიტომ ღირებულება იმისა, რაც მოხმარებულ და წარმოებულ იქნა ამ ექვსი თვის განმავლობაში, უდრის არა 10, არამედ 20 გირვ. სტერლინგს. რა თქმა უნდა, სავსებით შესაძლებელია, რომ ყოველ მოცემულ მომენტში გვქონდეს ამ ღირებულების არა უმეტეს 10 გირვ. სტერლინგისა. მაგრამ თუ 10 გირვ. სტერლ. ღირებულების პურსა და სხვა საარსებო საშუალებებს, რაც ხელოსანმა მოიხმარა, ჯარისკაცი ან შინამსახური მოიხმარდა, მაშინ ექვსი თვის დასასრულს ამ წლიური პროდუქტის ნაწილის ღირებულება 10 გირვ. სტერლინგით ნაკლები აღმოჩნდებოდა იმასთან შედარებით, რაც სინამდვილეში ხელოსნის შრომის შედეგად გვქონდა. ამრიგად, კიდევაც რომ დაეუშვათ, რომ ხელოსნის მიერ წარმოებული ღირებულება არასოდეს არ აღემატება მის მიერ მოხმარებულ ღირებულებას, მაინც ყოველ მოცემულ მომენტში ბაზარზე არსებულ საქონელთა ერთობლივი ღირებულება ხელოსნას შრომის შედეგად იმაზე მეტია, რაც ის იქნებოდა, ხელოსანს რომ არ ემუშავნა» (ციტირ. თხზ., წიგნი IV, თავი 9, გვ. 531 — 533 [1802 წლის გარნიეს ფრანგული თარგმანის III ტომი]).

და განა ყოველ მოცემულ მომენტში ბაზარზე არსებულ საქონელთა [ერთობლივი] ღირებულება «არამწარმოებლური შრომის» შედეგად იმაზე მეტი არ იქნება, რაც ამ შრომის არარსებობისას იქნებოდა? განა ყოველ მომენტში, ხორბალთან, ხორცთან და სხვ. ერთად ბაზარზე არ მოიპოვებიან აგრეთვე მეძავენი, ადვოკატები, ქადაგებანი, კონცერტები, თეატრები, ჯარისკაცები, პოლიტიკური მოღვაწენი და ა. შ.? ეს კომპანია პურსა და სხვა საარსებო საშუალებებს ან გართობებს მუქთად როდი ღებულობს. ამის სანაცვლოდ იგი იძლევა ან თავს მოახვევს სხვებს თავის მომსახურებას, რასაც, როგორც ასეთს, სახმარი ღირებულება გააჩნია, ხოლო მისი წარმოების ხარჯების შედეგად — საცვლელი ღირებულებაც. ყოველ მოცემულ მომენტში მოხმარების საგანთა რიცხვში, საქონელთა სახით არსებულ მოხმარების საგნებთან ერთად, არსებობს მომსახურებათა სახით არსებულ მოხმარების საგანთა გარკვეული რაოდენობა. ამრიგად, მოხმარების საგანთა საერთო ჯამი მუდამ მეტია ხოლმე იმაზე, რაც გვექნებოდა მოხმარებისათვის გამოსადეგი მომსახურებანი რომ არ არსებულიყო. მეორე მხრივ, უფრო მეტია აგრეთვე ღირებულებაც, რადგან იგი უდრის მომსახურების შესრულებისათვის განკუთვნილ საქონელთა ღირებულებას და თვით ამ მომსახურებათა ღირებულებას. აქ ხომ სავსებით ისევე, როგორც ყოველთვის საქონლის საქონელზე გაცვლისას, ეკვივალენტი გაიღება ეკვივალენტისათვის, მაშასადამე, ერთი და იგივე ღირებულება ორმაგად არსებობს: ერთჯერ მყიდველის მხარეზე და ერთჯერ — გამყიდველის მხარეზე.

| ა. სმიტი განაგრძობს ფიზიოკრატების შესახებ:

«როცა ამ სისტემის მომხრენი ამტკიცებენ, რომ ხელოსნების, მანუფაქტურისტების და ვაჭრების მ ო ხ მ ა რ ე ბ ა უ დ რ ი ს ი მ ი ს ღ ი რ ებ უ ლ ებ ა ს, რ ა ს ა ც ი ს ი ნ ი ა წ ა რ მ ო ე ბ ე ნ, მათ, ალბათ, მხედველობაში აქვთ მხოლოდ ის გირემოება, რომ ამ მუშაკთა შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი, ანუ მ ა თ ი მ ო ხ მ ა რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს გ ა ნ კ უ თ ვ ნ ი ლ ი ფ ო ნ დ ი, უ დ რ ი ს ა მ ღ ი რ ებ უ ლ ებ ა ს» (ე. ი. იმის ღირებულებას, რასაც ისინი აწარმოებენ) (იქვე, გვ. 533).

ამაში ფიზიოკრატები მართალნი იყვნენ, თუ მხედველობაში ვიქონიებთ მუშებსა და მეწარმეებს, ერთად აღებულთ; ამ უკანასკნელთა მოგება შეიცავს რენტას უბრალოდ როგორც თავის განსაკუთრებულ რუბრიკას. |

[312] | იმავე საკითხთან დაკავშირებით, ე. ი. ფიზიოკრატების

კრიტიკასთან დაკავშირებით, ა. სმიტი — წიგნი IV, თავი 9 (გარნიეს თარგმანი, ტომი III) — შენიშნავს:

«ამა თუ იმ საზოგადოების მიწისა და შრომის წლიური პროდუქტის გადიდება შეიძლება მხოლოდ ორი გზით: ან, ჯერ-ერთი, მოცემულ დროს მოცემულ საზოგადოებაში მოქმედი სასარგებლო შრომის მწარმოებლური უნარის გაუმჯობესებით; ანდა, მეორე, ამ შრომის რაოდენობის გაზიდებით. იმისათვის, რომ სასარგებლო შრომის მწარმოებლური უნარის რაიმე გაუმჯობესება მოხდეს, აუცილებელია ან მუშის დახელოვნების გაუმჯობესება, ან იმ მანქანათა გაუმჯობესება, რომელთა შემწეობითაც იგი მუშაობს... საზოგადოებაში ამა თუ იმ დროს გამოყენებული სასარგებლო შრომის რაოდენობის გადიდება დამოკიდებულია მხოლოდ იმ კაპიტალის გადიდებაზე, რომელიც მას ამოქმედებს, ამ კაპიტალის გადიდება კი, თავის მხრივ, უნდა ზუსტად უდრიდეს იმ დანაზოგთა თანხას. რასაც თავისი შეფოსავლიდან აკეთებენ ამ კაპიტალის გამგებელნი ანდა სხვა პირები, რომლებიც მათ კაპიტალს სესხად აძლევენ» (გვ. 534 — 535).

აქ ორმაგი გამოუვალი წრეა. ჯერ-ერთი: წლიური პროდუქტი დიდდება შრომის ნაყოფიერების გადიდების შედეგად. ამ ნაყოფიერების გადიდების ყველა საშუალება (რამდენადაც ეს გადიდება არაა გამოწვეული ბუნების შემთხვევითობით, მაგალითად, განსაკუთრებულად ხელსაყრელი ამინდით და ა. შ.) მოითხოვს კაპიტალის გადიდებას. პირველი გამოუვალი წრე. მეორე, წლიური პროდუქტის გადიდება შეიძლება გამოყენებული შრომის რაოდენობის გადიდებით. მაგრამ გამოყენებული შრომის რაოდენობა შეიძლება გადიდდეს მხოლოდ იმ კაპიტალის წინასწარი გადიდების შედეგად, რომელიც «ამოქმედებს მას (შრომას)». მეორე გამოუვალი წრე. სმიტი ცდილობს თავი დააღწიოს ორივე ამ გამოუვალ წრეს «დანაზოგთა» საშუალებით. ამ გამოთქმით იგი გულისხმობს შეფოსავლის გადაქცევას კაპიტალად.

უკვე თავისთავად მცდარი იქნება, თუ მთელ მოგებას განვიხილავთ როგორც კაპიტალისტის «შემოსავალს». კაპიტალისტური წარმოების კანონი, პირიქით, იმას მოითხოვს, რომ მუშის მიერ შესრულებული ზედმეტი, გადაუხდელი შრომის ნაწილი კაპიტალად გადაიქცეს. როცა ცალკეული კაპიტალისტი მოქმედებს როგორც კაპიტალისტი, ე. ი. როგორც კაპიტალის ფუნქციათა შემსრულებელი, მოგების ეს გადაქცევა კაპიტალად, რა თქმა უნდა, შეიძლება თვით მას დანაზოგად მოეჩვენოს, მაგრამ მასაც კი იგი სარეზერვო ფონდის შენახვის აუცილებლობად წარმოუდგება. მაგრამ შრო-

მის რაოდენობის გადიდება დამოკიდებულია არა მარტო მუშების რიცხვზე, არამედ სამუშაო დღის ხანგრძლიობაზეც. მაშასადამე, შრომის რაოდენობის გადიდება შეიძლება კაპიტალის ხელფასად ქცეული ნაწილის გაუდიდებლად. ამ წანამძღვრის პირობებში არ არის აგრეთვე აუცილებელი, რომ მანქანათა და სხვ. რაოდენობა გადიდდეს (თუმცა მანქანები უფრო სწრაფად გაცვდება; მაგრამ ეს საქმეს არ ცვლის). აუცილებელი იქნებოდა მხოლოდ ნედლეულის იმ ნაწილის გადიდება, რომელიც ხმარდება თესლს და ა. შ. ამასთან სწორია ის, რომ ყოველ მოცემულ ქვეყანაში (თუ მხედველობის გარეშე დავტოვებთ საგარეო ვაჭრობას) ზედმეტი ღირებულება ჯერ უნდა შეიქმნას მიწათმოქმედებაში, რათა იგი შესაძლებელი გახდეს მრეწველობის იმ დარგებში, რომლებიც ნედლეულს იღებენ მიწათმოქმედებისაგან. ნედლეულის ნაწილი, როგორიცაა ნახშირი, რკინა, ხე-ტყე, თევზი და ა. შ. (უკანასკნელი, მაგალითად, სასუქის სახით), არაცხოველური წარმოშობის ყველა სასუქი შეიძლება მივიღოთ შრომის უბრალო გადიდების შედეგად (მუშების რიცხვის გაუდიდებლად). ამ მხრივ, მაშასადამე, საქმე არ დაბრკოლდება. მეორე მხრივ, წინათ უკვე ნაჩვენები იყო, რომ მწარმოებლობის გადიდება თავდაპირველად მუდამ გულისხმობს მხოლოდ კაპიტალის კონცენტრაციას და არა მის დაგროვებას[52]. მაგრამ შემდეგში ორივე ეს პროცესი ერთიმეორეს ავსებს. }

{ სმიტმა მომდევნო ნაწყვეტში მართებულად აღნიშნა, ის მიზეზი, რომელიც აიძულებდა ფიზიოკრატებს ექადაგნათ laissez faire, laissez passer *, ე. ი. თავისუფალი კონკურენცია:

«ვაჭრობა, რომელიც წარმოებს მოსახლეობის ამ ორ სხვადასხვა ჯგუფს შორის» (ქალაქსა და სოფელს შორის), «საბოლოო ანგარიშით იმაში მდგომარეობს, რომ ნედლი პროდუქტების გარკვეული რაოდენობა გაიცვლება მანუფაქტურული ნაწარმის გარკვეულ რაოდენობაზე. ამიტომ, რაც უფრო ძვირია უკანასკნელი, მით უფრო იაფია პირველი, და ყოველივე ის, რაც რომელიმე ქვეყანაში მანუფაქტურული ნაწარმის ფასის გადიდებას იწვევს, ამით იწვევს მიწის ნედლი პროდუქტის ფასის შემცირებას და, მაშასადამე, ანელებს მიწათმოქმედების განვითარებას». მაგრამ მანუფაქტურათა და საგარეო ვაჭრობის ყოველგვარი შეკავწროვება და შეზღუდვა აძვირებს მანუფაქტურულ ნაწარმს და ა. შ. მაშასადამე, და ა. შ. (სმიტი, ციტირ. თხზ: [გარნიეს ფრანგული თარგმანის III-ტომი] გვ. 554-556). }

* მოქმედებათა სრული თავისუფლების მოთხოვნა (სიტყვასიტყვით: «ნება მიეცით იმოქმედოს, დაე მოვლენები თავისი გზით ვითარდებოდნენ»). **რ ე დ.**

* * *

[313] ამრიგად, სმიტის მეორე (ანუ, უფრო სწორად, ზემოაღნიშნულ მის სხვა შეხედულებასთან გადანასკვული) შეხედულება «მწარმოებლურ» და «არამწარმოებლურ შრომაზე» ისაა, **რომ** მწარმოებლურია შრომა, რომელიც საქონელს აწარმოებს, და არამწარმოებლურია შრომა, რომელიც «არაავითარ საქონელს» არ აწარმოებს. სმიტი არ უარყოფს იმას, რომ როგორც ერთი, ისე მეორე სახის შრომა საქონელია. იხ. ზემოთ*: «უკანასკნელთა შრომას თავისი ღირებულება აქვს და იგი გასამრჯელოს იმსახურებს ისევე, როგორც პირველთა შრომა» (სახელდობრ, ეკონომიურად. მორალურ და ა. შ. თვალსაზრისზე არაა ლაპარაკი არც პირველი სახის, არც მეორე სახის შრომის მიმართ). საქონლის ცნება კი გულისხმობს, რომ ხდება შრომის განხორციელება, მატერიალიზაცია, გასაგნობრივება თავის პროდუქტში. თვით შრომა მის უშუალო მყოფობაში, მის ცოცხალ არსებობაში არ შეიძლება განიხილებოდეს უშუალოდ როგორც საქონელი, — საქონლის სახით შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ სამუშაო ძალა, რომლის დროებითი გამოვლენაც არის თვით შრომა. მხოლოდ ასეთი შეხედულებით ირკვევა როგორც საკუთრივ დაქირავებული შრომის ცნება, ისე ცნებაც «არამწარმოებლური შრომა», რომელსაც ა. სმიტი ყველგან განსაზღვრავს «არამწარმოებელი მუშაკის» საწარმოებლად საჭირო წარმოების ხარჯებით. ამრიგად, საქონელი უნდა განვიხილოთ როგორც ისეთი რამ, რასაც თვით შრომისაგან განსხვავებული არსებობა გააჩნია. მაგრამ მაშინ საქონელთა სამყარო დაიყოფა ორ დიდ კატეგორიად:

ერთ მხარეზეა სამუშაო ძალა.

მეორე მხარეზეა თვით საქონელი.

მაგრამ შრომის მატერიალიზაცია და ა. შ. არ უნდა გავიგოთ ისე შოტლანდიურად, როგორც ის ა. სმიტს ესმის. თუ ჩვენ ვლაპარაკობთ საქონელზე როგორც შრომის მატერიალიზებულ გამოხატულებაზე — საქონლის საცვლელი ღირებულების აზრით, — აქ ლაპარაკია საქონლის არსებობის მხოლოდ წარმოსახვითს, ე. ი. მარტოოდენ სოციალურ წესზე, რომელსაც მის სხეულებრივ რეალობასთან საერთო არაფერი აქვს; საქონელი წარმოგვიდგება როგორც საზოგადოებრივი შრომის ან ფულის გარკვეული რაოდენობა. შესაძლოა, რომ კონკრეტული შრომა, რომლის შედეგიც

* იხ. ეს ტომი, გვ. 166. რ ე დ.

იგია, არ ტოვებს მასში არავითარ კვალს. მანუფაქტურულ საქონელში ეს კვალი შენარჩუნებულია ნედლეულისათვის გარეგანი ფორმის სახით. მიწათმოქმედებაში კი და ა. შ., — თუმცა ფორმა, რაც საქონელმა, მაგალითად, ხორბალმა, ხარმა და სხვ. მიიღო. ასევე ადამიანის შრომის პროდუქტია, თანაც მემკვიდრეობით მიღებული და თაობიდან თაობამდე შევსებული შრომისა, — ეს პროდუქტზე არა ჩანს. არის სამრეწველო შრომის ისეთი დარგიც, სადაც შრომის მიზანია სრულებითაც არა ნივთის ფორმის შეცვლა, არამედ მხოლოდ მისი სივრცებრივი მდებარეობის შეცვლა. მაგალითად, თუ საქონელი გააქვთ ჩინეთიდან ინგლისში და ა. შ., თვით საქონელზე ვერავინ ვერ შეამჩნევს იმ შრომის რაიმე ნიშანწყალს, რომელიც მის გადატანაზე დაიხარჯა (გარდა ისეთი შემთხვევისა, როცა ვინმე გაიხსენებს, რომ ესა თუ ის ნივთი ინგლისური წარმოშობის არაა). მაშასადამე, ზემოაღნიშნული წესით შეუძლებელია გავიგოთ შრომის მატერიალიზაცია საქონელში. (აქ შეცდომაში შევყავართ იმ გარემოებას, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობა გვევლინება ნივთის ფორმით).

მიუხედავად ამისა, სწორია ის, რომ საქონელი გვევლინება როგორც წარსული, გასაგნობრივებული შრომა და, მაშასადამე, თუ იგი ნივთის ფორმით არ გვევლინება, მაშინ მას შეუძლია მოგვევლინოს მხოლოდ სამუშაო ძალის ფორმით, ცოცხალი შრომა კი როგორც ასეთი არასოდეს არ შეიძლება იყოს უშუალოდ საქონელი (ასეთად იგი შეიძლება გახდეს მხოლოდ ამა თუ იმ შემოვლილ გზაზე, რომელიც პრაქტიკულად უმნიშვნელოდ გვეჩვენება, მაგრამ თავის მნიშვნელობას ამჟღავნებს სხვადასხვა ხელფასის დადგენისას). ამრიგად, მწარმოებლური შრომად სმიტს უნდა ჩაეთვალა ისეთი შრომა, რომელიც ან საქონელს აწარმოებს, ანდა უშუალოდ აწარმოებს, აყალიბებს, ავითარებს, ინახავს, აკვლავწარმოებს თვით სამუშაო ძალას. შრომის ამ უკანასკნელ სახეობას ა. სმიტი გამორიცხავს მწარმოებლური შრომის თავისი რუბრიკიდან; ამას იგი აკეთებს თვითნებურად, მაგრამ ამასთან ხელმძღვანელობს გარკვეული სწორი ინსტინქტით, რომელიც მას უკარნახებს, რომ თუ იგი ამ შრომასაც აქ შეიტანს, მაშინ ფართოდ გაუღებს კარს ყოველგვარ დაუსაბუთებელ პრეტენზიას მწარმოებლური შრომის წოდების მოსაპოვებლად.

ამრიგად, რამდენადაც ჩვენ მხედველობაში არ ვიღებთ თვით სამუშაო ძალას, მწარმოებლური შრომა დაიყვანება ისეთ შრომაზე, რომელიც აწარმოებს საქონელს, მატერიალურ პროდუქ-

ტებს, რომელთა დამზადებაც შრომის ან სამუშაო დროის გარკვეული რაოდენობა დაჯდა. ამ მატერიალური პროდუქტების რიცხვში შეტანილია ხელოვნებისა და მეცნიერების ყველა ნაწარმოები, წიგნები, სურათები, ქანდაკებანი და ა. შ., რამდენადაც ისინი ნივთების სახით არსებობენ. მაგრამ, შემდეგ, შრომის პროდუქტი უნდა იყოს ს ა ქ ო ნ ე ლ ი «გასაყიდად ვარგისი საქონელი» აზრით, ე. ი. საქონელი მის პირველ ფორმაში, საქონელი, რომელმაც ჯერ კიდევ უნდა განვლოს თავისი მეტამორფოზი. (დავუშვათ, რომ ფაბრიკანტი, რომელსაც შესაძლებლობა არა აქვს საკუთარი მანქანა იყიდოს, თვით ააგებს ამ მანქანას, არა გასაყიდად, არამედ იმისათვის, რომ გამოიყენოს იგი როგორც სახმარი ღირებულება. მაგრამ ასეთ შემთხვევაში იგი მოიხმარს მას როგორც თავისი მუდმივი კაპიტალის ნაწილს, მაშასადამე, გაყიდის მას ნაწილ-ნაწილ იმ პროდუქტის ფორმით, რომლის დამზადებასაც მან ხელი შეუწყო.)

[314] ამრიგად, თუმცა შინამსახურთა შრომის გარკვეული სახეობანი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ს ა ქ ო ნ ე ლ ი (potentia *) და, თუ მათ ნივთობრივად განვიხილავთ, იმავე სახმარ ღირებულებებშიც კი, მაგრამ ეს არ არის მწარმოებლური შრომა, რადგან სინამდვილეში შრომის ეს სახეობანი აწარმოებენ არა «საქონელს», არამედ უშუალოდ «სახმარ ღირებულებას». ხოლო რაც შეეხება შრომის იმ სახეობებს, რომლებიც მწარმოებლურნი არიან მათი მყიდველისა თუ დამქირავებლისათვის, როგორც. მაგალითად, მსახიობის შრომა თეატრის ანტრეპრენიორისათვის, ისინი იმიტომ იქნებოდნენ შრომის არამწარმოებლური სახეობანი, რომ მათ მყიდველს შეუძლია ისინი მიჰყიდოს საზოგადოებას არა საქონლის ფორმით, არამედ მხოლოდ თვითონ მოქმედების ფორმით.

თუ ამას მხედველობის გარეშე დავტოვებთ, მწარმოებლური შრომა [სმიტის მეორე კონცეფციის მიხედვით] არის ისეთი შრომა, რომელიც აწარმოებს ს ა ქ ო ნ ე ლ ს, ა რ ა მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი შ რ ო მ ა კი — ისეთი, რომელიც აწარმოებს პირად მომსახურებას. პირველი სახის შრომა წარმოდგენილია გასაყიდად ვარგის რომელიმე ნივთში; მეორე სახის შრომა კი მოიხმარება მისი შესრულების დროს. პირველი სახის შრომა (გარდა თვით სამუშაო ძალის შემქმნელი შრომისა) მოიცავს ნივთიერ ფორმაში არსებულ მთელ მატერიალურ და ინტელექტუალურ სიმდიდრეს — ხორცსაც ისევე,

* — შესაძლებლობის სახით. რ ე დ.

როგორც წიგნებსაც; მეორე სახის შრომა მოიცავს ყველა სახის შრომას, რომელიც კი აკმაყოფილებს ინდივიდის რაიმე წარმოსახვითს თუ ნამდვილ მოთხოვნილებას ანდა რომელსაც თავს მოახვევენ ხოლმე ინდივიდს მისი სურვილის წინააღმდეგ.

საქონელი ბურჟუაზიული სიმდიდრის ყველაზე ელემენტარული ფორმაა. ამიტომ «მწარმოებლური შრომის» განმარტებაც, როგორც «საქონლის» მწარმოებელი შრომისა, შეესაბამება გაცილებით უფრო ელემენტარულ თვალსაზრისს, ვიდრე განმარტება მწარმოებლური შრომისა როგორც კაპიტალის მწარმოებელი შრომისა.

ა. სმიტის მოწინააღმდეგეებმა უყურადღებოდ დატოვეს მისი პირველი, საქმის დედაარსის შესაბამისი, განმარტება, ხელი ჩასჭიდეს მეორეს და აქ ხაზგასმით აღნიშნეს წინააღმდეგობანი და არათანმიმდევრობანი. მაგრამ აქაც მათ პოლემიკა იმით გაიადვილეს, რომ უურადღება გაამახვილეს შრომის ნივთობრივ შინაარსზე, განსაკუთრებით იმ განსაზღვრაზე, რომ შრომის ფიქსირება უნდა ხდებოდეს რომელიმე ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივ პროდუქტში. ჩვენ ახლავე დავინახავთ, სახელდობრ რამ გამოიწვია განსაკუთრებულად მწვავე პოლემიკა.

წინასწარ კიდევ ერთი შენიშვნა. ა. სმიტს ფიზიოკრატული სისტემის დიდ დამსახურებად მიაჩნია მისი ის დებულება, რომ

«ხალხთა სიმდიდრე მდგომარეობს არა მოხმარებისათვის გამოუსადეგარ ოქროსა და ვერცხლში, არამედ მოხმარებისათვის გამოსადეგ დოვლათში, რომელსაც ყოველწლიურად აკვლავწარმოებს საზოგადოების შრომა» (ტომი III [ბარნიეს ფრანგული თარგმანი], წიგნი IV, თავი 9, გვ. 536).

აქ ჩვენ გვაქვს მწარმოებლური შრომის სმიტისეული მეორე განსაზღვრის გენეალოგია. ზედმეტი ღირებულების განსაზღვრა დამოკიდებული იყო, ბუნებრივია, იმ ფორმაზე, თუ როგორ ესმოდათ თვით ღირებულება. ამიტომ მონეტარულ და მერკანტილურ სისტემაში ზედმეტი ღირებულება გვევლინება ფულის სახით; ფიზიოკრატებთან იგი გვევლინება როგორც მიწის პროდუქტი, როგორც მიწათმოქმედების პროდუქტი; ბოლოს, ა. სმიტთან — როგორც საქონელი საერთოდ. ფიზიოკრატებს, იმდენად, რამდენადაც ისინი ღირებულების სუბსტანციას ეხებიან, ღირებულება დაჰყავთ უბრალოდ სახმარ ღირებულებაზე (მატერიაზე, ნივთიერებაზე), სავსებით ისევე, როგორც მერკანტილისტებს იგი დაჰყავთ უბრალოდ ღირებულების ფორმაზე, — იმ ფორმაზე, რომელშიც პროდუქტი ვლინდება, როგორც საყოველთაო საზოგადოებრივი შრომა, როგორც ფული. ა. სმიტს საქონლის ორივე პირობა,

სახმარი ღირებულება და საცვლელი ღირებულება, აღებული აქვს ერთად; ამიტომ მისთვის მწარმოებლურია ყოველი შრომა, რომელიც წარმოდგენილია რომელიმე სახმარ ღირებულებაში, სასარგებლო პროდუქტში. ის გარემოება, რომ ამ უკანასკნელში წარმოდგენილია სწორედ მწარმოებლური შრომა, უკვე გულისხმობს იმას, რომ ეს პროდუქტი ამასთანავე უდრის საყოველთაო საზოგადოებრივი შრომის გარკვეულ რაოდენობას. ფიზიოკრატების საპირისპიროდ ა. სმიტი აღადგენს პროდუქტის ღირებულებას როგორც ისეთ რაიმეს, რაც ბურჟუაზიული საზოგადოების რაობას შეადგენს; მაგრამ მეორე მხრივ, იგი ათავისუფლებს მას იმ წმინდა ფანტასტიკური ფორმისაგან — ოქროსა და ვერცხლის ფორმისაგან, — რომლითაც მერკანტილისტებს ღირებულება წარმოუდგებათ. ყოველი საქონელი არის an sich* ფული. არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ა. სმიტი აქ ამასთანავე მეტ-ნაკლებად უკან უბრუნდება აგრეთვე მერკანტილისტების შეხედულებას შრომის ამა თუ იმ პროდუქტების «ხანგრძლიობაზე» (ფაქტიურად — «უშუალო მოხმარებისათვის უვარგისობაზე») აქ უნდა გავიხსენოთ პეტის ის ადგილი (იხ. ჩემი გამოშვება I, გვ. 109[63], სადაც ციტირებულია პეტის «Political Arithmetick»), სადაც სიმდიდრე შეფასებულია იმის შესაბამისად, თუ რამდენად წარუვალი, ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივია იგი და სადაც, საბოლოოდ, ყველაზე მაღლა დაყენებულია ოქრო და ვერცხლი როგორც «უჭკნობი სიმდიდრე».

«შეიმოსაზღვრა რა სიმდიდრის სფერო», — ამბობს ა. ბლანკი, — «ბოლოდ იმ ღირებულებებით, რომლებიც ფიქსირებულია მატერიალურ სუბსტანციებში, სმიტმა ამომალა წარმოების წიგნიდან არამატერიალურ ღირებულებათა, ცივილიზებული ერების მორალურ-კაპიტალის ქალიშვილთა უმშვენიერესი რაოდენობა» და ა. შ. («Histoire de l'économie politique, Bruxelles, 1839, გვ. 152).

[5) ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ფულგარიზაციის პროცესი მწარმოებლური შრომის განსაზღვრის საკითხში]

პოლემიკას მწარმოებლურ და არამწარმოებლურ შრომას შორის ა. სმიტის მიერ წამოყენებული განსხვავების წინააღმდეგ აწარმოებდნენ უმთავრესად dii minorum gentium** (რომელთა

---

*— «თავისთავად, შესაძლებლობის სახით», პოტენციურად. რ ე დ.

**— დაბალი თანრიგის ღმერთები. რ ე დ.

შორის შტორხი მართლაც ყველაზე გამოჩენილია); ამ პოლემიკას ჩვენ ვერ ვუპოვით ვერც ერთ მნიშვნელოვან ეკონომისტს [315], ვერავის, ვისზეც შეიძლებოდა გვეთქვა, რომ მან რაღაც აღმოჩენა მოახდინა პოლიტიკურ ეკონომიაში; მაგრამ სამაგიეროდ ეს პოლემიკა აჩემებული საგანია მეორეხარისხოვანი კომპანიისათვის, განსაკუთრებით მენტორული სულისკვეთებით გაჟღენთილი კომპილატორებისა და კომპენდიუმთა შემდგენელთათვის, ასევე ბელეტრისტულ ყაიდაზე შემთხზველი დილეტანტებისა და ვულგარიზატორებისათვის ამ დარგში. ეს პოლემიკა ადამ სმიტის წინააღმდეგ გამოწვეული იყო უმთავრესად შემდეგი გარემოებებით.

ეგრეთწოდებული «უმაღლესი» მუშაკების უდიდესი მასისათვის, — ისეთი მუშაკებისა, როგორიც არიან სახელმწიფო მოხელეები, სამხედრო პირნი, ვირტუოზები, ექიმები, ხუცები, მოსამართლენი, ადვოკატები და სხვები, რომელთა შრომაც ნაწილობრივ ართუთ მწარმოებლური არაა, არამედ არსებითად დამანგრეველია, და რომელნიც, მიუხედავად ამისა, მაინც ახერხებენ «მატერიალური» სიმდიდრის უაღრესად დიდი ნაწილის მითვისებას ან თავიანთი «არამატერიალური» საქონლის გაყიდვით, ანდა იმით, რომ ამ საქონელს სხვებს ნაძალადევად თავს მოახვევენ, — მთელი ამ მასისათვის სრულიადაც არ იყო სასიამოვნო, რომ იგი ეკონომიური თვალსაზრისით ტაკიმასხარებთან და შინამსახურებთან ერთად ჩარიცხული ყოფილიყო ერთ კლასში და გამოსულიყო უბრალოდ მუქთამჭამელების, პარაზიტების როლში, რომლებიც ნამდვილ მწარმოებელთა ხარჯზე (ანდა, უფრო სწორად, წარმოების აგენტთა ხარჯზე) ცხოვრობენ. ეს იყო თავისებური შებღალვა სწორედ იმ ფუნქციებისა, რომლებიც მანამდე სიწმინდის შარავანდედით იყვნენ მოსილი და ცრურწმენითი პატივისცემით სარგებლობდნენ. თავის კლასიკურ პერიოდში პოლიტიკური ეკონომია სავსეთით ისევე, როგორც იმ პერიოდის ბურჟუაზიაც, როცა ის საზოგადოებრივ სარბიელზე გამოდიოდა, მკაცრად და კრიტიკულად ექცეოდა სახელმწიფოებრივ მანქანას და ა. შ. შემდეგში მან გაიგო, — და ეს მეტადვნდება აგრეთვე მის პრაქტიკაში, — გამოცდილებით დარწმუნდა, რომ მისი საკუთარი ორგანიზაციიდან წარმოიქმნება ყველა ამ ნაწილობრივ სრულიად არამწარმოებელი კლასების შემკვიდრეობით მიღებული საზოგადოებრივი კომბინაციის აუცილებლობა.

რაკი ზემოაღნიშნული «არამწარმოებელი მუშაკები» არ აწარ-

მოებენ განცხრომებს და ამიტომ მათი მომსახურების მოთხოვნა მთლიანად იმაზე როდია დამოკიდებული, თუ როგორ სურს დახარჯოს თავისი ხელფასი და თავისი მოგება წარმოების ამა თუ იმ აგენტს; რაკი ისინი, პირიქით, აუცილებელნი ხდებიან ანდა თვითონ ხდიან თავიანთ თავს აუცილებელს ნაწილობრივ იმის გამო, რომ არსებობს ფიზიკური სნეულებანი (მაგალითად, ექიმები) ან სულიერი უძლურებანი (მაგალითად, ხუცები) ანდა იმის გამო, რომ ხდება კერძო პირთა ინტერესებისა და ეროვნული ინტერესების შეჯახებანი (მაგალითად, სახელმწიფო მოხელენი, ყველა იურისტი, პოლიციელი, ჯარისკაცი), — ამიტომ ა. სმიტს, ისევე როგორც თვით მრეწველ კაპიტალისტებსა და მუშათა კლასს, ხსენებული მუშაკები წარმოუდგებათ წარმოების faux frais-ად რაც, მაშასადამე, შეძლებისამებრ დაყვანილ უნდა იქნეს აუცილებლად საჭირო მინიმუმამდე და რამდენადაც შესაძლებელია უნდა გაიაფდეს. ბურჟუაზიული საზოგადოება კვლავ ადადგენს მისთვის დამახასიათებელი ფორმით ყოველივე იმას, რის წინააღმდეგაც იგი იბრძოდა, როცა ეს ფეოდალური ან აბსოლუტური ფორმით იყო შემოსილი. და ამიტომ ამ საზოგადოების, განსაკუთრებით მის მაღალ წოდებათა, სიკოფანტებს * თავიანთ მთავარ საქმედ უწინარეს ყოვლისა მიაჩნიათ ამ «არამწარმოებელი მუშაკების» წინდა პარაზიტული ნაწილის თეორიული რესტავრაცია, ანდა მათი აუცილებლად საჭირო ნაწილის უზომო პრეტენზიების დასაბუთება. სინამდვილეში ეს იყო იდეოლოგიური და სხვა მსგავსი კლასების კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ებ ზ ე დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი ს საქვეყნოდ აღიარება.

მაგრამ, მ ე ო რ ე, ხან ერთი, ხან მეორე ეკონომისტი აცხადებდა, რომ წარმოების (თვით მატერიალური წარმოების) აგენტების ესა თუ ის ნაწილი «არამწარმოებელია». ასე, მაგალითად, ეკონომისტების ის ნაწილი, რომელიც სამრეწველო კაპიტალის ინტერესების წარმომადგენელი იყო (რიკარდო), აცხადებდა, რომ მიწის მესაკუთრე «არამწარმოებელია». სხვები (მაგალითად, კერი) «არამწარმოებელ მუშაკად» აცხადებდა კომერსანტს. შემდეგ გამოჩნდნენ ისეთი ეკონომისტებიც კი, რომლებმაც უკვე თვით კაპიტალისტი გამოაცხადეს არამწარმოებელ მუშაკად, ანდა, ყოველ შემთხვევაში, იმას ცდილობდნენ, რომ კაპიტალისტის პრეტენზიები მატერიალური სიმდიდრის მიმართ დაეყვანათ «ხელფასამდე», ე. ი. გასამრჯელომდე, რომელსაც «მწარმოებელი მუშაკი» იღებს. გონებრივი

* — მლიქვნელნი, ლაქიები. რ ე დ.

შრომის მუშაკებიდან ბევრი, ეტყობა, ეთანხმებოდა ამ სკეპტიკურ შეხედულებას კაპიტალისტის მწარმოებლობაზე. ამიტომ უკვე დადგა დრო კომპრომისზე წასვლისა და ყველა იმ კლასის მწარმოებლობის აღიარებისა, რომლებიც პირდაპირ არ შედიან მატერიალური წარმოების აგენტთა რიცხვში. ხელი ხელს ბანსო, და, როგორც «ფუტკრის იგავ-არაკში»[64], საჭირო იყო იმის დამტკიცება, რომ «მწარმოებლური», ეკონომიური თვალსაზრისით ბურჟუაზიული სამყარო ყველა მისი «არამწარმოებელი მუშაკით» საუკეთესოა სამყაროთა შორის; «მით უმეტეს, რომ თვით «არამწარმოებელმა მუშაკებმა» თავის მხრივ კონკრეტული მოსაზრებანი წამოაყენეს იმ კლასების მწარმოებლობის შესახებ, რომლებიც საერთოდ არიან «fruges consumere nati»*, ანდა წარმოების ისეთი აგენტების შესახებ, რომლებიც, როგორც, მაგალითად, მიწის მესაკუთრენი, სრულიად არაფერს არ აკეთებენ, და ა. შ. როგორც უ ს ა ქ მ უ რ ე ბ ს, ისე მათ პ ა რ ა ზ ი ტ ე ბ ს ა ც უნდა ეპოვნათ თავიანთი ადგილი სამყაროთა შორის ამ საუკეთესო სამყაროში.

მ ე ს ა მ ე. იმდენად, რამდენადაც კაპიტალის ბატონობა ვითარდებოდა და სინამდვილეში მასზე სულ უფრო დამოკიდებული ხდებოდნენ აგრეთვე წარმოების ის სფეროებიც, რომელთა დანიშნულება როდია უშუალოდ მატერიალური სიმდიდრის შექმნა, — განსაკუთრებით კი როცა მატერიალური წარმოების სამსახურში ჩადგნენ პოზიტიური (საბუნებისმეტყველო) მეცნიერებანი, — [316] პოლიტიკური ეკონომიის მოსიკოფანტე წვრილმა მოხელეებმა თავის მოვალეობად მიიჩნიეს განედიდებინათ და გაემართლებინათ ყოველგვარი საქმიანობის სფერო იმაზე მითითებით, რომ იგი «დაკავშირებულია» მატერიალური სიმდიდრის წარმოებასთან, რომ იგი სიმდიდრის საშუალებას წარმოადგენს; და თვითეულს ისინი პატივს სცემდნენ იმით, რომ მას «მწარმოებელ მუშაკად» აცხადებდნენ «პირველი» გაგებით, ე. ი. ისეთ მუშაკად, რომელიც კაპიტალის სამსახურში მუშაობს, სასარგებლოა ამა თუ იმ მხრივ კაპიტალისტის გასამდიდრებლად, და ა. შ.

აქ უკვე უპირატესობას იმსახურებენ ისეთი ადამიანები, როგორც მალთუსი, რომლებიც პირდაპირ იცავენ «ძარამწარმოებელი მუშაკების» და აშკარა პარაზიტების აუცილებლობას და მარგებლობას.

---

* — «დაბადებულნი ნაყოფის საგემებლად» (ჰორაციუსი, «ეპისტოლენი»).

[ბ) სმიტის შეხედულებათა მომხრენი მწარმოებლური შრომის საკითხში. საკითხის ისტორიისათვის]

[ა) პირველი გაგების მომხრენი: რიკარდო, სისმონდი]

არ ღირს დრო დავკარგოთ იმისათვის, რომ დაწვრილებით განვიხილოთ ჟ. გარნიეს (სმიტის მთარგმნელის), გრაფ ლოდერდელის, ბრუმის, სეის, შტორხის, ხოლო უფრო გვიან სენიორის, როსის და ა. შ. უხამსობანი ამ პუნქტის შესახებ. საკმარისი იქნება რამდენიმე დამახასიათებელი ადგილის დასახელება.

წინასწარ აღვნიშნავთ კიდევ ერთ ადგილს რიკარდოდან, სადაც ის ამტკიცებს, რომ «მწარმოებელი მუშისათვის» ბევრად უფრო სასარგებლოა, როცა ზედმეტი ღირებულების (მოგების, მიწის რენტის) მესაკუთრენი ამ ზედმეტ ღირებულებას მოიხმარენ «არამწარმოებელ მუშაკებზე» (მაგალითად, შინამსახურებზე), ვიდრე როცა ისინი მას «მწარმოებელი მუშების» მიერ შექმნილ ფუფუნების საგნებზე ხარჯავენ.

სისმონდი «Nouveaux Prinkipes»-ში (ტომი I, გვ. 148) იზიარებს სმიტისეული სწორი გაგებით დადგენილ განსხვავებას (როგორც ეს თავისთავად იგულისხმება რიკარდოსთანაც): ნამდვილი განსხვავება მწარმოებელ და არამწარმოებელ კლასს შორის ისაა, რომ

«პირველი ყოველთვის ცვლის თავის შრომას ერის კაპიტალზე, მეორე კი ყოველთვის ცვლის მას ეროვნული შემოსავლის ნაწილზე».

ზედმეტ ღირებულებასაც სისმონდი განიხილავს ასევე ა. სმიტის მიხედვით:

«თუმცა მუშა თავისი დღიური შრომით გაცილებით მეტს ქმნის, ვიდრე მისი დღიური შემოსავალი შეადგენს, მაინც მუშის მიერ შექმნილის მიწათმოქმედთან და კაპიტალისტთან განაწილების შემდეგ მას იშვიათად რჩება ისეთი წილი, რომელიც საკმაოდ აღემატებოდეს ჯანსაღობისათვის აუცილებლად საჭიროს» (Sismondi. Nouveaux Principes და ა. შ.. ტომი I, გვ. 37).

რიკარდო ამბობს:

«თუ მიწათმოქმედი ან კაპიტალისტი თავის შემოსავალს ძველი დროის ბარონის მაგალითის მიხედვით, მრავალრიცხოვანი ამალისა და შინამსახურთა შესანახად ხარჯავს, მაშინ იგი ადამიანთა გაცილებით მეტ რიცხვს დაასაქმებს, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ იგი თავის შემოსავალს ძვირფასი ტანსაცმლის ან ძვირად-

ღირებული ავეჯის, კარეტის, ცხენების ანდა ფუფუნების სხვა საგნების საყიდ-ლად დახარჯავს. ორივე შემთხვევაში წმინდა შემოსავალი, და ასევე მთლიანიც, ერთი და იგივე იქნება, მაგრამ თვითეულ ამ შემთხვევაში წმინდა შემოსავლის რეალიზაცია სხვადასხვა საქონელში ხდება. თუ ჩემი შემოსავალი 10.000 გირვ. სტერლინგს შეადგენს, მაშინ მწარმოებლური შრომის დაახლოებით იმდენივე რაოდენობა გამოიყენება, რამდენიც იმ შემთხვევაში, თუ ამ შემოსავალს და-ვახარჯავდი მდიდრულ ტანსაცმელზე, ძვირფას ავეჯზე და ა. შ., და იმ შემთხვე-ვაშიც, თუ მას დავახარჯავდი იმავე ღირებულების მქონე გარკვეული რაოდე-ნობის სურსათ-სანოვაგესა და ჩვეულებრივ ტანსაცმელზე. მაგრამ თუ მე ჩემს შემოსავალს ვხარჯავ პირველი სახის საქონელზე, ამის შედეგად არ გვექნება შრომის ახალი მოთხოვნა: მე მოვიხმარ ჩემს ავეჯსა და ტანსაცმელს და ამით ამოიწურება მთელი საქმე; თუკი, პირიქით, ჩემს შემოსავალს დავხარჯავ სურსათ-სანოვაგესა და ჩვეულებრივ ტანსაცმელზე და შინამსახურთ დავიქირავებ, მაშინ მუშებზე წინანდელ მოთხოვნას მიემატება კიდევ მოთხოვნა ყველა იმათზე, ვისი დასაქმებაც მე შემიძლია ჩემი 10 000 გირვ. სტერლ. ოდენობის შემოსავლით, ანდა იმ სურსათ-სანოვაგითა და ჩვეულებრივი ტანსაცმლით, რის ყიდვაც მე ამ შემოსავლით შემიძლია, და მოთხოვნის ასეთი გადიდება მხოლოდ ამიტომ მოხდებოდა, რომ მე ავირჩიე ჩემი შემოსავლის და-ხარჯვის ეს მეორე წესი, და რადგან მუშები დაინტერესებული არიან შრო-მაზე მოთხოვნით, ამიტომ, ბუნებრივია, მათი სურვილი უნდა იყოს, რაც შეიძლება მეტი შემოსავალი ჩამოშორდეს ფუფუნების საგნების შეძენას და მოხმარდეს შინამსახურთა შენახვას» (Ricardo. Principles, 3 rd edition, 1821, გვ. 475 — 476).

[ბ) მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის განსხვა-ვების ადრინდელი ცდები (დავენანტი, პეტი)]

დავენანტი იძლევა ცხრილს ერთი ძველი სტატისტიკოსის, გრეგორი კინგის ნაშრომიდან, რომლის სათაურია: «ინგლისის სხვა-დასხვა ოჯახის შემოსავალ-გასავლის ცხრილი 1688 წელს». განსწავ-ლული კინგი მთელ ხალხს ჰყოფს ორ მოავარ კლასად: კლასი, რო-მელიც «ამრავლებს სამეფოს სიმდიდრეს», შედგება 2 675 520 სულისაგან, და კლასი, რომელიც «ამცირებს სამეფოს სიმდიდრეს». შედგება 2 825 000 სულისაგან; პირველი კლასი, მაშასადამე, «მწარ-მოებელია», მეორე კი—«არამწარმოებელი». «მწარმოებელ» კლასს შეადგენენ ლორდები, ბარონეტები, რაინდები, ესკვაირები, დიდგვაროვანნი, მაღალი და დაბალი მოხელეები, ვაჭრები, საზღვაო ვაჭრობას რომ ეწევიან, იურისტები, ხუცები, მიწათმფლობელნი, ფერმერები, თავისუფალ პროფესიათა ადამიანები, წვრილი და მსხვილი ვაჭრები, ხელოსნები, საზღვაო ფლოტისა და არმიის ოფიცე-რები. პირიქით, «არამწარმოებელ» კლასში შედიან: მატროსები (common seamen), მიწათმოქმედი მუშები და მანუფაქტურათა ღი-

ური მუშები (labouring people and out servants), გლეხები [cottagers] (რომლებიც დავენანტის დროს ჯერ კიდევ შეადგენდნენ ინგლისის მთელი მოსახლეობის 1/5), [317] რიგითი ჯარისკაცები, პაუპერები, ბოშები, ქურდები, მთხოვრები და საერთოდ მაწანწალები. დავენანტი შემდეგნაირად განმარტავს დიდად განსწავლული კინგის ამ ხარისხების ტაბელს:

«ამით მას სურს თქვას, რომ ამ ორი კლასიდან პირველი თვითონ ინახავს თავის თავს მიწით, ხელოვნებით და მუყაითობით და ყოველწლიურად გარკვეულ ოდენობას უმატებს ეროვნულ კაპიტალს და გარდა ამისა ყოველწლიურად თავისი გადანამეტიდან გარკვეულ ნაწილს იძლევა სხვების შესანახად. იმ პირთაგან კი, რომლებიც მეორე კლასს ეკუთვნიან, ზოგიერთი ნაწილობრივ თავისი შრომით ირჩენს თავს, დანარჩენნი კი, ასევე მათი ცოლშვილი, თავს ირჩენენ სხვების ხარჯზე; — ეს ტვირთია საზოგადოებისათვის, რადგან ისინი ყოველწლიურად მოიხმარენ იმას, რაც წინაადმდეგ შემთხვევაში ერის ერთობლივ კაპიტალს მიემატებოდა» (D' Avenant. An Essay upon the Probable Methods of making a People Gainers in the Ballance of Trade. London 1699, გვ. 23 და 50).

გარდა ამისა, ზედმეტ ღირებულებაზე მერკანტილისტების შეხედულებათა დამახასიათებელია შემდეგი ადგილი დავენანტიდან:

«ჩვენი საკუთარი პროდუქტის გაზიდვამ უნდა გაამდიდროს ინგლისი; იმისათვის, რომ ხელსაყრელი სავაჭრო ბალანსი გვქონდეს, ჩვენ უნდა გაგვქონდეს ჩვენი საკუთარი პროდუქტი, ამით საზღვარგარეთ ვყიდულობდეთ იქ წარმოებულ, ჩვენი საკუთარი მოხმარებისათვის საჭირო საგნებს, ამასთან ჩვენ უნდა გვრჩებოდეს ნამეტი ან ძვირფასი ლითონების სახით ანდა ისეთი საქონლის სახით, რომლის გაყიდვასაც ჩვენ შევძლებდით სხვა ქვეყნებში; ეს ნამეტი შეადგენს იმ მოგებას, რასაც ერი ვაჭრობით იღებს. მისი ოდენობა დამოკიდებულია ექსპორტიორი ხალხის ბუნებრივ მომზრნეობაზე» (მოშჭირნეობაზე, რითაც გამოირჩევიან ჰოლანდიელები, მაგრამ არა ინგლისელები — იხ. ციტირებული თხზულების 46 და 47 გვერდები) «და მისი შრომისა და მისი მანუფაქტურული ნაწარმის დაბალ ფასზე, რაც მას შესაძლებლობას აძლევს ყველა თავის კონკურენტზე უფრო იაფად გაყიდოს ეს ნაწარმი უცხოეთის ბაზრებზე» (დავენანტი, ციტირ. თხზ., გვ. 45-46).

«როცა პროდუქტები ქვეყნის შიგნით მოიხმარება, ერთი იგებს მხოლოდ იმას, რასაც კარგავს მეორე, და მთლიანად აღებული ერი სრულიად არ მდიდრდება; მაგრამ ყოველივე ის, რაც საზღვარგარეთ მოიხმარება, აშკარა და უეჭველ მოგებას წარმოადგენს» («An Essay on the East-India Trade» etc, London, 1697, [გვ. 31]).

ეს შრომა, დაიბეჭდა დამატებად დავენანტის იმ მეორე თხზულებისა, რომელიც ამის დასაცავად[65] დაიწერა; ეს თხზულება არაა იგივე, რაც «Considerations on the East-India Trade». 1701 წლისა, რომელიც მაკ-კულოხს მოჰყავს.

მაგრამ არ უნდა წარმოვიდგინოთ ეს მერკანტილისტები ისეთ სულელებად, როგორც მათ გვიხატავდნენ შემდეგში თავისუფალი ვაჭრობის ფულგარული მომხრენი. თავისი ნაწარმოების «Diskourses on the Publick Revenues and on the Trade of England» etc., London, 1698, დავენანტი სხვათა შორის ამბობს:

«ოქრო და ვერცხლი მარადიაა ვაჭრობის საზომია, მაგრამ ვაჭრობის პირველწყარო და წარმომშობი ყველა ხალხში არის ქვეყნის ბუნებრივი და ხელოვნური ნაწარმი, ე. ი. ის, რასაც ამ ქვეყნის ხალხის მიწა ან მისი შრომა და მუყაითობა აწარმოებს. და ეს იმდენად სწორია, რომ ამა თუ იმ ხალხსა რომე ელარეშოვნებას გაჰხ შეიძლება მთლიანად დაკარგოს კიდეც ყოველგვარი ფული, მაგრამ თუ ეს ხალხი მრავალრიცხოვანი, შრომისმოყვარე, ეაჭრობაში გამოცდილი, ხელგაოსნობაში დახელოვნებულია, თუ მას კარგი ნავსადგურები და ისეთი მიწა-წყალი აქვს, რომელიც ბევრ სხვადასხვანაირ პროდუქტს იძლევა, იგი მაინც შეძლებს ივაჭროს და მალე გახდება ბევრი ოქროსა და ვერცხლის მფლობელი. ასე რომ ქვეყნის ეშშარიტი და ნამდვილი სიმდიდრე—ეს მისი საკუთარი ნაწარმია» (გვ. 15). «ოქრო და ვერცხლი სრულიად არ წარმოადგენენ იმ ერთადერთ საგანს, რომელიც ამა თუ იმ ერის განძისა თუ სიმდიდრის სახელწოდებას იქსახურებს, ფული ეშშარიტად სხვა არაფერია, თუ არა საანგარიშო მარკები, რომელთა შემწეობით ადამიანები შეჩვეულნი არიან ანგარიშის წარმოებას თავიანთ საქმიან ურთიერთობაში» (გვ. 16). «სიმდიდრედ ჩეენ ვგულისხმობთ იმას, რაც ხელმწიფეს და მის ხალხს სიუხვეს, ეკეთილდღეობას და უშიშროებას უქმნის; განძია ასევე ისიც, რაც ადამიანთა საჭიროებისათვის, ოქროსა და ვერცხლზე გაცვლის გზით, გადაქცეულია შეზობად და ნაიდაგის გაუმჯობესებად, და აგრეთვე სხვა საგნებადაც, რ ო მ ლ ე ბ ი ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა გ ა ი ც ვ ა ლ ო ს ამ ლითონებზე, როგორც, მაგალითად, მიწის ნაყოფი და მანუფაქტურული საქონელი ანდა საზღვარგარეთელი საქონელი და საეაჭრო გემები... წარმავალი დოვლათიც კი შეიძლება ითვალოს ერის სიმდიდრედ, თუკი შ ე ს ი ძ ლ ე ბ ე ლ ი ა მ ი ს გ ა ც ვ ლ ა,— თუნდაც რომ იგი გაეცალოს ჩრდილოეთ, — ოქროსა და ვერცხლზე; და ეს ფულია ჩვენი აზრით, სიმდიდრეა ანა მარტო ერთი ანდა ორი ან მეორე ინდივიდის შორის ურთიერთობაში, არამედ ერთ ქვეყანასა და მეორე ქვეყანას შორის ურთიერთობაშიც» (გვ. 60—61). «ბრძანდა ხალხი * ხალხელმწიფო სპეულის კუნძეი. ესპანეთში ეს კუნძი არ იღებდა ფულს სათანადოდ, [318] ვერ ინელებდა მას... ვაჭრობა და მრეწველობა ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს ოქროსა და ვერცხლის ისეთი მონელება და განაწილება, რომელიც ხალხელმწიფო კუნძს საერთო საკეკრე ნივთიერებას მიაწვდის» (გვ. 62—63).

სხვათა შორის, პეტიც ხმარობს ცნებას მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი მ უ შ ა კ ე ბ ი (მხოლოდ იგი მათ ჯარისკაცებსაც მიაკუთვნებს):

---

* გამოთქმა «ბრძანდა ხალხი» («common people») ნიშნავს იმას, რასაც რევოლუციამდელ საფრანგეთში ეწოდებოდა «ძესამე წოდება», ე. ი. მთელ მოსახლეობას, რომელიც სამღვდელოებისა და თავადაზნაურობის ეპირისპირ-დებოდა. რ ე დ.

«მიწათმოქმედნი, მეზღვაურები, ჯარისკაცები, ხელოსნები და ვაჭრები ყოველი საზოგადოების ბურჯს წარმოადგენენ; ყველა სხვა დიდ პროფესიას წარმოშობს ამ ადამიანთა სისუსტე და წარუმატებლობა; მეზღვაური კი ერთი ალერთიანებს თავის პიროვნებაში სამს ამ ოთხეულიდან» (მეზღვაურს, ვაჭარს და ჯარისკაცს) («Political Arithmeticks», London, 1699, გვ. 177). «მეზღვაურის შრომა და ხომალდის ფრახტი თავისი ბუნებით შედგმ საექსპორტო საქონელია, რომლის ნამეტი იმპორტთან შედარებით ფულს მოუტანს ქვეყანას და ა. შ.» (ციტირ. თხზ., გვ. 179).

ამასთან დაკავშირებით პეტი კვლავ ამტკიცებს შრომის დანაწილების უპირატესობას:

«მათ, ვინც საზღვაო ეაკრობაში ბატონობს, შეუძლიათ უფრო იაფი ფრახტის პირობებშიც მეტი მოგებით იმუშაონ, ვიდრე სხვებს უფრო დიდის (უფრო ძვირი ფრახტის) პირობებში; ეს იმიტომ, რომ, მსგავსად იმისა, როგორც ტანსაცმელი უფრო იაფი ჯდება, თუ ერთი ერთ ოპერაციას ასრულებს, მეორე კი — მეორეს და ა. შ., ასევე მათაც, ვინც საზღვაო ეაკრობაში ბატონობს, შეუძლიათ ისეთი სხვადასხვა დანიშნულების მქონე გემები აშენონ, რიგორიცაა. მაგალითად, საზღვაო, სამდინარო, სავაჭრო, სამხედრო ვემები და ა. შ. — და ეს ერთ-ერთი მთავარი მიზეზია იმისა, რომ ჰოლანდიელებს უფრო იაფ ფასში შეუძლიათ ტვირთის გადაზიდვა, ვიდრე მათს მეზობლებს, რადგან მათ შესაძლებლობა აქვთ ეაკრობის ყოველ განსაკუთრებულ დარგს გადასცენ მის განკარგულებაში განსაკუთრებული სახის გემები» (ციტირ. თხზ., გვ. 179 — 180).

ამასთან აქ პეტის შრომაში, მის შემდგომ მსჯელობაში, სავსებით სპეციალიზაციური ჰანგები გაისმის:

«თუ გადასახადს იღებენ მრეწველებისაგან და ა. შ., რათა ფულით მოიმარაგონ ისინი, ვინც თავისი საქმიანობის ხასიათის გამო არ აწარმოებს მატერიალურ საგნებს, ანუ საგნებს, რომლებიც ნამდვილად სასარგებლო და მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის, მაშინ ასეთ შემთხვევაში საზოგადოების კეთილდღეობა მცირდება. სხვაგვარად უნდა შევხედოთ გარეთობებსა და ადამიანის სულის გამოცოცხლების ისეთ სახეობებს, რომლებიც, ზომიერი გამოყენებისას, ადამიანს ანიჭებენ უნარსა და მიდრეკილებას თავისთავად უფრო დიდი მნიშვნელობის მქონე საგნებისადმი» (ციტირ. თხზ., გვ. 198). «როცა გამოანგარიშებულია, რამდენი ადამიანია საჭირო მრეწველობაში სიმუშაოდ, ყველა დანარჩენი შეგვიძლია გულდამშვიდებით და საზოგადოებისათვის ზიანის მიუყენებლად გამოიყენონ ხელოვნებაში და მოსაქმეობის ისეთ დარგებში, რომლებიც სიამოვნებასა და დამშვენებას ემსახურებიან და რომელთა შორის უდიდესი ბუნებისმეტყველების პროგრესი» (ციტირ. თხზ., გვ. 199). «უფრო მეტი შეიძლება მოვიიოთ მრეწველობისაგან, ვიდრე სოფლის მეურნეობისაგან, და უფრო მეტი — ვაჭრობისაგან, ვიდრე მრეწველობისაგან» (გვ. 172). «ერთი მეზღვაური ს

* * *

[VIII—346] პეტი. ზედმეტი ღირებულება. პეტის ნაწერების ერთი ადგილიდან შეიძლება დავინახოთ, რომ იგი თითქმის მიმხვდარია ზედმეტი ღირებულების ბუნებას, თუმცა პეტი მას მხოლოდ მიწის რენტის ფორმით განიხილავს. განსაკუთრებით, თუ ამ ადგილს შევადარებთ მომდევნო ადგილს, სადაც იგი ვერცხლისა და ხორბლის შეფარდებითს ღირებულებას განსაზღვრავს მათი იმ შეფარდებითი რაოდენობით, რომელთა წარმოებაც ერთსა და იმავე სამუშაო დროს მოითხოვს:

«თუ ერთი უნცი ვერცხლის პერუს მაღაროში მოპოვება და ლონდონში ჩამოტანა იმავე დროის დახარჯვით შეიძლება, რაც ერთი ბუშელი ხორბლის წარმოებას სჭირდება, მაშინ ამ პროდუქტებიდან პირველი შეადგენს მეორის ბუნებრივ ფასს; და თუ ახალი, უფრო მდიდარი მაღაროების აღმოჩენის გამო ორი უნცი ვერცხლის მოპოვება ისევე ადვილი იქნება, როგორც ამჟამად ერთისა, მაშინ cateris paribus * ბუშელი ხორბლის ფასიც 10 შილინგი ისევე იყოს იქნება, როგორც ახლანდელი 5 შილინგია».

«დავუშვათ, რომ ასი ადამიანი ათი წლის განმავლობაში ხორბალს აწარმოებს და რომ ადამიანთა ასეთივე რიცხვი იმდენსავე დროს ხარჯავს ვერცხლის მოპოვებაზე; მე ვამბობ, რომ ვერცხლის წმინდა მოპოვება ხორბლის მთელი წმინდა მოსავლის ფასი იქნება და პირველის თანაბარი ნაწილები შეადგენენ მეორის თანაბარი ნაწილების ფასს». «ხორბალი ორჯერ უფრო ძვირი იქნება იქ, სადაც 200 მიწათმოქმედი იმავე სამუშაოს ასრულებს, რის შესრულებაც 100 კაცს შეეძლო» («On Taxes and Contributihions, 1662) (1679 წლის გამოცემის 32,24, 67 გვერდები).

იმ ადგილას [ზედმეტი ღირებულების ბუნების შესახებ], რომელიც მე ზემოთ მხედველობაში მქონდა, ნათქვამია:

«თუ ეაკრობა, მრეწველობა და მხატვრული ხელოვნებანი იზრდება, მიწათმოქმედება უნდა ქვეითდებოდეს, — ანდა მიწათმოქმედთა შემოსავალი უნდა იზრდებოდეს, მიწის რენტა კი, ამის გამო, მცირდებოდეს... თუ ეაკრობა და მრეწველობა ინგლისში გაიზარდა, ე. ი. თუ მათში მოსახლეობის უფრო დიდი ნაწილია დასაქმებული, ვიდრე ეს წინათ იყო, და თუ ხორბლის ფასი ამჟამად არაა უფრო მაღალი, ვიდრე იგი იმ დროს იყო, როცა მიწათმოქმედებას უფრო მეტი ადამიანი ეწეოდა, ხოლო მრეწველობასა და ეაკრობას — უფრო ნაკლები, მაშინ უკვე მარტო ამის გამო... მიწის რენტა უნდა შემცირდეს. დავუშვათ, მაგალითად, რომ ბუშელი პურეული იყიდება 5 შილინგად, ანუ 60 პენსად; თუ რენტას იმ მიწიდან, სადაც ეს პურეული იზრდება, შეადგენს ყოველი მესამე ძნა» (ე. ი. მოსავლის მესამედი ნაწილი, მესამედი წილი მასში), «მაშინ 60 პენსიდან 20 უწევს მიწას და 40 — მიწათმოქმედს; მაგრამ თუ უკანასკნელის

* — სხვა თანაბარ პირობებში. რ ე დ.

დღიური ხელფასი აიწევს 1/8-ით, ანუ 8-დან 9 პენსამდე, მაშინ მიწათმოქმედის წილი ბუშელ ხორბალში აიწევს 40-დან 45 პენსამდე, და ამის გამო მიწის რენტა აუცილებლად უნდა დაეცეს 20-დან 15 პენსამდე. ეინიციდან ჩვენ ვვარაუდობთ, რომ პურეულის ფასი ძუდამ უცვლელი რჩება; ეს მით უფრო უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია იგი გავადიდოთ, რადგან, თუ ამის გაკეთებას შევეცდებოდით მაშინ ჩვენს ქვეყანაში (როგორც ეს პოლანდიაში ხდება) დაიწყებოდა ხორბლის შემოტანა საზღვარგარეთიდან, სადაც სოფლის მეურნეობის მდგომარეობა არ შეცვლილა» («Political Arithmetick» etc.. London 1699, გვ. 193—194). [VIII — 347]

* * *

[VIII—364] პეტი. პეტის ნაშრომის ზემოციტირებულ ადგილს უნდა შევადაროთ შემდეგი ადგილი, სადაც რენტა წარმოგვიდგება საერთოდ ზედმეტ ღირებულებად, «წმინდა პროდუქტად»:

«დავუშვათ, რომ რომელიმე ადამიანი საკუთარი ხელით ამუშავებს გარკვეულ რიწის ნაკვეთს ხორბლეულის მოსაყვანად, ე. ი. მოხნავს მას, დათესავს, დაფარცხავს, მოსავალს აიღებს, მოიტანს ძნებს საცეხველში, გაცეხვავს მათ, ერთი სიტყვით გაკეთებს ყველაფერ იმას, რასაც მიწათმოქმედება მოითხოვს. მე ვამტკიცებ, რომ როცა ეს ადამიანი მიღებულ მოსავალს გამოაკლებს თავის თესლს და ასევე ყოველივე იმას, რაც მან შეკამა და რაც სხვებს გაუცვალა ტანსაცმელში. და საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად აუცილებელ სხვა საგნებში, დარჩენილი ხორბალი შეადგენს ამ წლის ნამდვილ მიწის რენტას; საშუალო კი შვიდ წელიწადში ანდა, უფრო სწორად, იმ წლებას მანძილზე, რომელთა განმავლობაშიც მოუსავლიანობა და კარგი მოსავალი ერთმანეთს ენაცვლებიან, იძლევა ჩვეულებრივ რენტას ხორბლეულის მოსაყვანად დამუშავებული მიწიდან. მაგრამ აქ შეიძლება წამოიჭრას შემდგომი, თუმცაღა მეორეხარისხოვანი, საკითხი: რამდენი ფულადი თანხა ღირს ეს ხორბალი, ანდა ეს რენტა? მე ვუპასუხებს: იმდენი ფულადი თანხა, რამდენიც დარჩება მეორე ინდივიდს. რომელიც მთელ თავის დროს იმისთვის იყენებს, რომ გაემგზავროს ევრეტლის ქვეყანაში, მოიპოვოს იქ ეს ლითონი, გაწმინდოს ის, გამოჭრას მისგან მონეტები და მიიტანოს ისინი იქ, სადაც პირველი ინდივიდი თესდა და მოიმკოდა თავის ხორბალს. თანხა, რომელიც მეორე ინდივიდს რჩება მთელი მისი ხარჯების გამოკლების შემდეგ, თავისი ღირებულებით ზუსტად იმ ხორბლის ტოლი იქნება, რომელიც მიწათმოქმედს დარჩება» («Traité des taxes» [60], გვ. 23). [VIII — 364]

[6) მწარმოებლური შრომის სპეციფიკური მეორე გაგების მომხრე—ჯონ სტიუარტ მილი]

[VII—318] ბატონი ჯონ სტიუარტ მილი, «Essays on some Unsettled Questions of Political Economy»-ში, London, 1844, ასევე თავს იმტკივნეულ მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის

15. კ. მარქსი, ტ. IV, ნაწ. I.

პრობლემაზე; მაგრამ სინამდვილეში იგი არაფერს არ უმატებს სმიტისეულ (მეორე) განსაზღვრას, გარდა იმის მტკიცებისა, რომ მწარმოებლურია აგრეთვე შრომის ის სახეობანიც, რომელნიც თვით სამუშაო ძალას აწარმოებენ.

«შეიძლება დავაგროვოთ და მარაგად შევინახოთ გ ა ნ ც ხ რ ო მ ი ს წ ყ ა რ ო ე ბ ი, მაგრამ არა თვით განცხრომა. ქვეყნის სიმდიდრეს შეადგენს განცხრომის იმ წყაროთა ერთობლიობა, რომელნიც მასში ხანგრძლივად არსებობენ, სულ ერთია მატერიალური იქნება ეს წყაროები თუ არამატერიალური; ხოლო ამ შრომას ან ხარჯს, რომელსაც მიზნად აქვს ამ ხანგრძლივად არსებული წყაროების გამრავლება ან შენარჩუნება, უნდა ეწოდოს «ამ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი» (ციტირ. თხზ., გვ. 82). «ის, რასაც მექანიკოსი ან მრთველი მოიხმარს, როცა ისინი თავიანთ ხელობას სწავლობენ, მოიხმარება მწარმოებლურად, სხვა სიტყვებით, მათი მოხმარების მიზანია კი არ შეამცირონ, არამედ გაამრავლონ განცხრომის ხანგრძლივად არსებული წყაროები ქვეყანაში იმით, რომ ახლად შექმნას ეს წყაროები მოხმარებულზე გადამეტებული ოდენობით» (იქვე, გვ. 83).

* * *

ახლა მოკლედ განვიხილოთ ა. სმიტის წინააღმდეგ მიმართული აბდა-უბდა მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის შესაბებ.

[7)] ჟერმენ გარნიე [სმიტისა და ფიზიოკრატების თეორიათა ვულგარიზაცია]

[319] სმიტის «ხალხთა სიმდიდრის» ჟერმენ გარნიეს თარგმანის V ტომში (პარიზი, 1802) დაბეჭდილია მთარგმნელის შენიშვნები ამ ნაწარმოების შესახებ.

«მწარმოებლური შრომის» საკითხში—უადრესად მწარმოებლური შრომის აზრით—გარნიე იზიარებს ფიზიოკრატების შეხედულებას, მხოლოდ ოდნავ არბილებს მას. იგი ეკამათება სმიტს შემდეგი მტკიცების გამო:

«მწარმოებლურია ის შრომა, რომელიც, ხორციელდება ამა თუ იმ საგანში, თავისი მოქმედების კვალს ტოვებს და რომლის პროდუქტიც შეიძლება იყოს გაყიდვის ან გაცვლის საგანი» (ციტირ. თხზ., ტ. V, გვ. 169) 67. [VII—319]

[ა) კაპიტალზე გასაცვლელი შრომისა და შემოსავალზე გასაცვლელი შრომის ერთმანეთში არევა. მომხმარებელთა შემოსავლით მთელი კაპიტალის ანაზღაურების მცდარი კონცეფცია]

[VIII—347] გარნიე ა. სმიტის წინააღმდეგ აყენებს სხვადასხვა მოსაზრებებს (რომლებიც ნაწილობრივ იმეორებენ მერმინდელი ავტორები).

ჯ ე რ-ე რ თ ი, ასეთი მოსაზრება:

«ეს განსხვავება მცდარია, რადგან იგი ემყარება არარსებულ სხვაობას. ყ ო ვ ე-ლ ი შ რ ო მ ა მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი ა, იმ აზრით, რა აზრითაც ავტორს ესმის სიტყვა მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი. როგორც ერთი სახის, ისე მეორე სახის შრომა მწარმოებლურია იმ აზრით, რომ იგი ქმნის რაიმე განცხრომას, რაიმე კეთილ-ნოწყობილობას ან რაიმე საჭვალობას იმ პირისათვის, რომელიც ამ შრომას ანაზღაურებს. უამისოდ არც ერთი შრომა არ ანაზღაურდებოდა».

{ მაშასადამე, იგი მწარმოებლურია იმიტომ, რომ აწარმოებს რაიმე სახმარ ღირებულებას და იყიდება, აქვს საცვლელი ღირებულება, ე. ი. თვით არის საქონელი.}

მაგრამ როცა ამ აზრს ავითარებს, გარნიეს მის საილუსტრაციოდ ისეთი მაგალითები მოპყავს, რომელთა მიხედვითაც «არამწარმოებელი მუშაკები» ი მ ა ს ვ ე აკეთებენ, იმავე ან იმავე სახის სახმარ ღირებულებას აწარმოებენ, რასაც «მწარმოებელი მუშაკები». მაგალითად,

«ლაქია, რომელიც მე მემსახურება, ჩემს ღუმელებს ახურებს, თმას მიხუ-ჭუჭებს, წმენდს და წესრიგში ინახავს ჩემს ტანსაცმელსა და ავეჯს, მიმზადებს საჭმელს და ა. შ.,—ეს ლაქია ს რ უ ლ ი ა დ ი მ ა ვ ე ს ა ხ ი ს მ ო მ ს ა ხ უ რ ე ბ ა ს ე წ ე ვ ი ს, როგორსაც ეწევა მრეცხავი ან თეთრეულის მკერავი ქალი, რომელიც თაეიანთი კლიენტების თეთრეულს რეცხავენ და წესიერ მდგომარეობაში ინახავენ,... როგორსაც ეწევა მეკიტანი ან ტრაქტირის მეპატრონე, რომელიც სპეციალურად ამზადებს საჭმელს ამითვის, ვისთვისაც უფრო მოხერხებულია მასთან სადილობა, ვიდრე თავის სახლში; როგორსაც ეწევა დალაქი, პარიკმახერი და ა. შ.»

(მაგრამ ამ პირთა უმრავლესობას ა. სმიტი ისევე ნაკლებად მიაკუთვნებს მწარმოებელი მუშაკების რიცხვს, როგორც შინამსახურებს),

«რომლებიც უშუალო მომსახურებას ეწევიან; ბოლოს, როგორსაც ეწევიან კალატოზი, მხურავი, ფერგალი, მეშუშე, მეღუმელე და ა. შ. და ა. შ. და მთელი ის უამრავი მშენებელი მუშა, რომელებსაც მოიწვევენ ხოლმე შეკეთებებსა და რემონტებზე სამუშაოდ და რომელთა წლიური შემოსავალი იმდენადვე მიიღება მარტივ სარემონტო სამუშაოთაგან და შეკეთებათაგან, რამდენადაც ახალ მშენებლობათაგან».

(ა. სმიტი არსად არ ლაპარაკობს, რომ რემონტზე დახარჯული შრომის ფიქსირება არ შეიძლება ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად არსებულ საგანში სავსებით ისე, როგორც მასში ფიქსირდება ახალი ნივთის წარმოებაზე დახარჯული შრომა.)

«ამ სახის შრომის დანიშნულებაა არა იმდენად ნივთების წარმოება, რამდენადაც მათი შენახვა; მისი მიზანია არა იმდენად იმ საგნების ღირებულების გადიდება, რომელთაც ის ხმარდება, რამდენადაც მათი დაშლა-დარღვევის თავიდან

ცილება. ეს მუშაკები ყველანი, შინამსახურების ჩათვლით, იმ ეს; ვინც მათ შრომას უნაზღაურებს, უზოგავენ მისი საკუთარი ქონების მოვლა-შენახვისათვის საჭირო შრომას.

(მაშასადამე, ისინი შეიძლება განვიხილოთ როგორც ღირებულების ან, უფრო ზუსტად, სახმარ ღირებულებათა, შემნახავი მანქანები. შრომის «დაზოგვის» ამავე თვალსაზრისს ავითარებს შემდგომ დესტიუტ დე ტრასი. ამაზე შემდეგ. არამწარმოებლური შრომა ერთისა მწარმოებლური არ ხდება იმის გამო, რომ იგი მეორეს ათავისუფლებს არამწარმოებლური შრომისაგან. მას ერთ-ერთი მათგანი ასრულებს. სმიტისეული არამწარმოებლური შრომის ნაწილი აუცილებელი ხდება შრომის დანაწილების გამო, — მაგრამ მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც აბსოლუტურად აუცილებელია ნივთების მოხმარებისათვის და მიეკუთვნება, ასე ვთქვათ, მოხმარების ხარჯებს, ამ შემთხვევაშიც იგი აუცილებელი ხდება მხოლოდ მაშინ, როცა მწარმოებელ მუშაკს ამ დროს უზოგავს. მაგრამ ა. სმიტი არ უარყოფს ამ «შრომის დანაწილებას». თუ თვითეული ადამიანი იძულებული იქნებოდა შეესრულებინა როგორც მწარმოებლური, ისე არამწარმოებლური შრომა, შრომის ამ სახეობათა ორ პიროვნებას შორის დაყოფისას კი როგორც ერთი, ისე მეორე სახის შრომა უფრო წარმატებით შესრულდებოდა, მაშინ, სმიტის თანახმად, ეს სრულიად ვერ შეცვლიდა იმ გარემოებას, რომ შრომის ამ სახეობათაგან ერთი მწარმოებლურია, მეორე კი — არამწარმოებლური.)

«უმრავლეს შემთხვევაში მათ ამისათვის — და მხოლოდ ამისათვის — დაიქირავებენ კიდეც»

(შრომის «დაზოგვის» ორიგინალური წესი: იმისათვის, რომ ერთმა თავისი მომსახურებისათვის საჭირო შრომა დაზოგოს, მას უნდა მოემსახუროს ათი კაცი; გარდა ამისა, ასეთი სახის «არამწარმოებლური შრომით» მეტწილად სწორედ ისინი სარგებლობენ, ვინც არაფერს არ აკეთებს);

«მაშასადამე, ან ისინი ყველანი მწარმოებელნი არიან ანდა არც ერთი მათგანი არ არის მწარმოებელი» (ციტირ. თხზ., გვ. 171 — 172).

[348] მეორე. ფრანგს არ შეუძლია დაივიწყოს «ponts et chaussées *. რატომაა, ამბობს იგი, რომ მწარმოებლური უნდა ეწოდოს.

* — სიტყვასიტყვით «ხიდები და გზატკეცილები». ასე ეწოდებოდა საფრანგეთში მიმოსვლის გზათა უწყებას. რედ.

«ეკრძო სავაჭრო თუ სამრეწველო საწარმოს ინსპექტორის, ან დირექტორის შრომას, ხოლო არამწარმოებლური მთავრობის მოხელის შრომას, რომელიც თავლაყურს აღევნებს იმას, რომ სათანადო წესით იყოს მოფლილ-შენახული საზოგადოებრივი გზები, სანაოსნო არხები, ნავსადგურები, ფულადი სისტემა და ვაჭრობის გაცხოველების სხვა მნიშვნელოვანი იარაღები, რომელიც თვალყურს ადევნებს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების უშიშროებას, და ხელშეკრულებათა შესრულებას და ა. შ. და რომელიც სრული უფლებით შეგვიძლია ჩავთვალოთ დიდი საზოგადოებრივი მანუფაქტურის, ასე ვთქვათ, ინსპექტორად? ეს ხომ სავსებით იმავე სახის შრომაა, მხოლოდ უფრო დიდი მასშტაბით შესრულებული» (გვ. 172—173).

რამდენადაც ასეთი ადამიანი ისეთი მატერიალური ნივთების წარმოებაში (ან შენახვასა და კვლავწარმოებაში) მონაწილეობს, რომელთა გაყიდვაც შესაძლებელი იქნებოდა, ისინი რომ სახელმწიფოს ხელში ყოფილიყვნენ, სმიტს შეეძლო მისი შრომისათვის ეწოდებინა «მწარმოებლური». «დიდი საზოგადოებრივი მანუფაქტურის ინსპექტორები» — წმინდა ფრანგული ქმნილებაა.

მესამე. აქ გარნიეს იტაცებს «მორალი». რატომაა, რომ «მეპარფიუმერიე, რომელიც ჩემს ყნოსვას ატკბობს», მწარმოებელ მუშაკად უნდა ითვლებოდეს, მუსიკოსი კი, რომელიც «ჩემს სმენას აჯილდოებს», — არამწარმოებელ მუშაკად? (გვ. 173). იმიტომ, გვიპასუხებდა სმიტი, რომ ერთი იძლევა მატერიალურ პროდუქტს, მეორე კი — არა. მორალს, ისევე როგორც ერთისა და მეორის «დამსახურებას», არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ამ განსხვავებასთან.

მეოთხე. განა ეს წინააღმდეგობა არაა, რომ «ვიოლინოს და ორღანის ოსტატი, მუსიკალური ინსტრუმენტებით მოვაჭრე, მექანიკოსი და ა. შ.» მწარმოებელი მუშაკებია, პროფესიები კი, რომელთა მიმართ მათი შრომა მხოლოდ «მოსამზადებელი სტადიაა», არამწარმოებლური არიან?

I

«ერთსაც და მეორესაც თავიანთი შრომის საბოლოო მიზნად ერთი და იმავე სახის მოხმარება აქვს. თუ ერთი სახის შრომის საბოლოო შედეგი არ იმსახურებს იმას, რომ იგი საზოგადოების პროდუქტთა რიცხვს მივაკუთნოთ, მაშინ რატომ ეძლევა ასეთი უპირატესობა იმას, რაც მხოლოდ საშუალებას წარმოადგენს ამ შედეგის მისაღწევად?» (ციტირ. თხზ., გვ. 173).

ასე თუ ეიმსჯელებთ, უნდა დავასკვნათ, რომ ის, ვინც პურს ჭამს, ისეთივე მწარმოებელია, როგორც ის, ვინც ამ პურს აწარმოებს. იმიტომ რომ რისთვის იწარმოება პური? შესაჭმელად. ჭაშა-

ადამე, თუ ჭამა არამწარმოებლური შრომაა, მაშინ რატომღა უნდა იყოს მწარმოებლური ხვნა-თესვა, რომელიც მხოლოდ საშუალებაა ამ მიზნის მისაღწევად? გარდა ამისა, ის, ვინც ჭამს, აწარმოებს ტვინს, კუნთებს და ა. შ., და განა ეს ისეთივე კეთილშობილი პროდუქტები არაა, როგორც ქერი ან ხორბალი? — ასეთი კითხვა შეეძლო დაესვა ა. სმიტისათვის რომელიმე აღშფოთებულ კაცთმოყვარეს.

ჯერ-ერთი, ა. სმიტი არ უარყოფს, რომ არამწარმოებელი მუშაკი აწარმოებს რაიმე პროდუქტს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის საერთოდ არ იქნებოდა მუშაკი. მეორე შეიძლება უცნაურადაც მოგვჩვენებოდა, რომ ექიმი, რომელიც აბებს გამოწერს, არ არის მწარმოებელი მუშაკი, მეაფთიაქე კი, რომელიც აბებს დაამზადებს — მწარმოებელი მუშაკია. ასევე მწარმოებელი მუშაკია ინსტრუმენტების ოსტატი, რომელიც ვიოლინოს აკეთებს, მაგრამ არა ამ ვიოლინოს დამკვრელი. ეს მხოლოდ იმის დამამტკიცებელი იქნებოდა, რომ ზოგიერთი «მწარმოებელი მუშაკი» აწარმოებს პროდუქტებს, რომელთაც მხოლოდ ის დანიშნულება აქვთ, რომ წარმოების საშუალებას წარმოადგენდნენ არამწარმოებელი მუშაკებისათვის. მაგრამ ეს უფრო უცნაური როდია, ვიდრე ის, რომ, ბოლოს და ბოლოს, ყველა მწარმოებელი მუშაკი, ჯერ-ერთი, იძლევა არამწარმოებელი მუშაკების შრომის ანაზღაურების საშუალებას, მეორე კი, იძლევა პროდუქტებს, რომლებსაც ისინი მოიხმარენ, ვინც არაფითარ შრომასარ ეწევა.

ამ კრიტიკული შენიშვნებიდან მეორე პუნქტი სავსებით ფრანგების ყაიდაზეა, რომლებსაც არასგზით არ შეუძლიათ დაივიწყონ თავიანთი «ponts et chaussées»; მესამე დაიყვანება მორალზე; მეოთხე ან შეიცავს იმ უაზრობას, რომ მოხმარება ისევე მწარმოებლურია, როგორც წარმოება (რაც მცდარია ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის, სადაც ერთი აწარმოებს, მეორე კი მოიხმარს), ანდა იმას ნიშნავს, რომ მწარმოებლური შრომის ნაწილი მხოლოდ მასალას იძლევა შრომის არამწარმოებლურ სახეობათათვის, რასაც ა. სმიტი არსად არ უარყოფს. მხოლოდ პირველი პუნქტი შეიცავს იმ მართებულ აზრს, რომ ა. სმიტი თავის მეორე განსაზღვრაში მწარმოებლურს და არამწარმოებლურს უწოდებს ერთი დაიმავე სახის შრომას. [349] ანდა, უფრო ზუსტად, რომ მას თავისი საკუთარი განსაზღვრის შესაბამისად მწარმოებლური უნდა ეწოდებინა თავისი «არამწარმოებლური» შრომის გარკვეული, შე-

დარებით უმნიშვნელო, ნაწილისათვის. — მაგრამ ეს ლაპარაკობს არა თვით განსხვავების წინააღმდეგ, არამედ ამ განსხვავებისადმი შრომის ამა თუ იმ სახეობის მიკუთვნების წინააღმდეგ, ანუ ამ განსხვავების გამოყენების წინააღმდეგ.

ყველა ამ შენიშვნის შემდეგ ფრიად განსწავლული გარნიე, ბოლოს, საქმეზე გადადის:

«ერთადერთი საერთო განსხვავება, რაც, როგორც ჩანს, შეიძლება აღმოვაჩინოთ სმიტის მიერ გამოგონილ კლასებს შორის, ისაა, რომ იმ კლასს, რომელსაც იგი მწარმოებელს უწოდებს, ჰყავს და მუდამ შეუძლია ჰყავდეს შუამავალი საგნის დამამზადებელსა და მის მომხმარებელს შორის, მაშინ როდესაც იმ კლასს, რომელსაც იგი არამწარმოებელს უწოდებს, არავითარი შუამავალი არ შეიძლება ჰყავდეს, და ურთიერთობა მუშაკსა დამომხმარებელს შორის აქაც ელადპირდაპირი და უშუალო. ცხადია, რომ ის ვინც ექმის გამოციდილებით, ქირურგის დახელოვნებით, ადვოკატის ცოდნით, მუსიკოსის ან მსახიობის ტალანტით ანდა, ბოლოს, შინამსახურის მომსახურებით სარგებლობს, აუცილებლად პირდაპირ და უშუალო ურთიერთობაში იმყოფება თვითეულ ამ სხვადასხვა მუშაკთან მათ მიერ თავიანთი შრომის შესრულების მომენტში; პირიქით, პროფესიებისათვის, რომლებიც სხვა კლასს შეადგენენ, მოხმარებისათვის განკუთვნილი საგანი მატერიალურია და ხელშესახები და ამიტომ შეიძლება ვახდეს გაცვლის მთელი რიგი მეშვეობითი აქტების საგანი, ვიდრე იგი თავისი დამმზადებლიდან თავის მომხმარებლამდე მიაღწევს» (გვ. 174).

ამ უკანასკნელი სიტყვებით გარნიე, თავისდა შეუმჩნევლად, გვიჩვენებს, როგორი ფარული იდეური კავშირი არსებობს შრომის პირველ სმიტისეულ განსხვავებასა (შრომა, რომელიც კაპიტალზე გაიცვლება, და შრომა, რომელიც შემოსავალზე გაიცვლება) და მეორე განსხვავებას (შრომა, რომელიც მატერიალურ, გასაყიდად ვარგის საქონელში ფიქსირდება, და შრომა, რომელიც ასეთ საქონელში არ ფიქსირდება) შორის. შრომის ის სახეობანი, რომელთა ფიქსირებაც საქონელში არ ხდება, თავისი ბუნების მიხედვით უმრავლეს შემთხვევაში არ შეიძლება დაექვემდებაროს კაპიტალისტური წარმოების წესს; შრომის სხვა სახეობანი კი შეიძლება დაექვემდებაროს მას. ჩვენ უკვე აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე, რომლის დროსაც მატერიალურ საქონელთა — «მატერიალური და ხელშესახები საგნების» — უდიდეს ნაწილს კაპიტალის ბატონობის პირობებში

დაქირავებული მუშები აწარმოებენ, შრომის [არამწარმოებლური] სახეობანი (ან მომსახურებანი, მეძავის მომსახურება იქნება ეს თუ რომის პაპისა) შეიძლება ანაზღაურდეს მხოლოდ მწარმოებელი მუშების ხელფასიდან ან მათ დამქირავებელთა მოგებიდან (და ამ მოგების გაყოფაში თანამონაწილეთა მოგებიდან); აღარ ვლაპარაკობთ აგრეთვე იმ გარემოებაზეც, რომ ეს მწარმოებელი მუშები ქმნიან არამწარმოებელი მუშაკების შენახვისა და, მაშასადამე, არსებობის მატერიალურ ბაზისს. მაგრამ დამახასიათებელია ამ ყბედი ფრანგი ქოფაკისათვის, რომ მას, რომელსაც თავი პოლიტიკური ეკონომიის მცოდნედ და, მაშასადამე, კაპიტალისტური წარმოების მკვლევარად მოაქვს, ა რ ა ა რ ს ე ბ ი თ ა დ მიაჩნია ის, რაც ამ წარმოებას კაპიტალისტურ წარმოებად ხდის, სახელდობრ ის გარემოება, რომ შემოსავალი პირდაპირ გაიცვალოს დაქირავებულ შრომაზე ანდა მუშაკმა თავის თავს პირდაპირ გადაუხადოს შემოსავალი. ამით, გარნიეს მიხედვით, ირკვევა, რომ თვით კაპიტალისტური წარმოება არარსებითი ფორმაა, ნაცვლად იმისა, რომ იგი იყოს აუცილებელი, თუნდაც მხოლოდ ისტორიულად აუცილებელი, ე. ი. წარმავალად აუცილებელი ფორმა შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალის განვითარებისათვის და შრომის საზოგადოებრივ შრომად გადაქცევისათვის.

«მისი მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი კლასიდან უნდა გამოგვერიცხა, გარდა ამისა, ის მუშები ყველანი, რომელთა შრომას მხოლოდ ის შეადგენს, რომ ისინი წმენდენ. ინახავენ და შეაკეთებენ საგნებს და მიმოქცევაში არავითარი ახალი პროდუქტი არ შეაქვთ» (გვ. 175).

(სმიტი არსად არ ამტკიცებს, რომ შრომა ან მისი პროდუქტი აუცილებლად უნდა შედიოდეს საბრუნავ კაპიტალში. იგი შეიძლება პირდაპირ ძირითად კაპიტალში შევიდეს, როგორც, მაგალითად, იმ მექანიკოსის შრომა, რომელიც ფაბრიკაში მანქანებს არემონტებს. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ამგვარი შრომის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა შედის პროდუქტის, საქონლის მიმოქცევაში. თუკი მუშაკები, რომლებიც რემონტზე მუშაობენ და ა. შ., ამ სამუშაოს შინ უსრულებენ შემკვეთს, მაშინ ისინი [350] თავიანთ შრომას ცვლიან არა კაპიტალზე, არამედ შემოსავალზე.)

«სწორედ ამ განსხვავების გამო ა რ ა მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი კლასი არსებობს, როგორც ეს სმიტმა შენიშნა, მხოლოდ შემოსავლის ხარჯზე. მართლაცდა, რადგან ამ კლასს არ შეიძლება ჰყავდეს შუამავალი თავისთავსა და მისი პროდუქ-

ტის მომხმარებელს, მისი შრომით მოსარგებლეს შორის, ამიტომ მას გადაუხდის უშუალოდ მომხმარებელი, ეს. უკანასკნელი კი მხოლოდ თავისი შემოსავლიდან იხდის. პირიქით, მწარმოებელი კლასის შუშუბს ჩვეულებრივ საზღაურს აძლევს შუამავალი, რომლის მიზანიც ისაა, რომ მათი შრომიდან მოგება მიიღოს; ამიტომ მათ უფრო ხშირად კაპიტალიდან უხდიან ხელფასს. მაგრამ ამ კაპიტალს საბოლოო ანგარიშით ყოველთვის მომხმარებლის შემოსავალი ანაზღაურებს; წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ მიმოიქცეოდა და ამიტომ თავის მფლობელს მოგებას ვერ მოუტანდა» (გვ. 175).

ეს უკანასკნელი «მაგრამ» სრულიად ბავშვურია. ჯერ-ერთი, კაპიტალის ნაწილს ხომ კაპიტალი ანაზღაურებს და არა შემოსავალი — სულ ერთია, შედის ეს ნაწილი თუ არ შედის მიმოქცევაში (უკანასკნელი ხდება, მაგალითად, თესლის ანაზღაურებისას).

[ბ) მუდმივი კაპიტალის ანაზღაურება კაპიტალის კაპიტალზე გაცვლით]

როცა ქვანახშირის მაღაროს ნახშირს აწვდის რკინასაკეთებელ ქარხანას და მისგან იღებს რკინას, რომელიც წარმოების საშუალების სახით ქვანახშირის მაღაროს წარმოების პროცესში შედის, ნახშირი იცვლება კაპიტალზე ამ რკინის ღირებულების ოდენობით და. პირიქით, რკინა, თავისი საკუთარი ღირებულების ოდენობით, იცვლება როგორც კაპიტალი ნახშირზე. ნახშირიც და რკინაც (როგორც სახმარი ღირებულებანი) ახალი შრომის პროდუქტებია, თუმცა ეს შრომა უკვე არსებულ წარმოების საშუალებათა მეოხებით სრულდებოდა. მაგრამ წლის განმავლობაში წარმოებული შრომის პროდუქტის ღირებულება არ არის იგივე, რაც ამ წლის მანძილზე ახლადმიმატებული შრომის პროდუქტია. იგი ანაზღაურებს აგრეთვე იმ წარსული შრომის ღირებულებასაც, რომელიც გასავნობრივებული იყო წარმოების საშუალებებში. ბაშასადამე, ერთობლივი პროდუქტის ის ნაწილი, რაც ამ ღირებულებას უდრის, არ არის მოცემული წლის შრომას პროდუქტის ნაწილი, არამედ წარსული შრომის გადატანის შედეგი.

ავიღოთ მაგალითისათვის ქვანახშირის მაღაროს, რკინასაკეთებელი ქარხნის, ხე-ტყის სამრეწველო საწარმოს და მანქანათმშენებელი ქარხნის დღიური შრომის პროდუქტი. დავუშვათ, რომ მუდმივი კაპიტალი ყველა ამ საწარმოში უდრის პროდუქტის ღირებულების ყველა შემადგენელი ნაწილის ერთ მესამედს, ე. ი. წარსული შრომის შეფარდება ცოცხალ შრომასთან უდრის 1:2. ვთქვათ, ამ

საწარმოთა ერთი დღის პროდუქტი არის x, x', x'', x'''. ეს პროდუქტები წარმოადგენენ ნახშირს, ხე-ტყის და მანქანათა გარკვეულ რაოდენობას. როგორც ასეთნი ისინი ერთი დღის შრომის პროდუქტებია (მაგრამ აგრეთვე პროდუქტები დღის განმავლობაში მოხმარებული ნედლი მასალის, სათბობის, მანქანური მოწყობილობისა და ა. შ., რომლებმაც ხელი შეუწყვეს დღიურ წარმოებას). ვთქვათ, მათი ღირებულებაა z, z', z'', z'''. ეს ღირებულებანი არაა მოცემული დღის შრომის პროდუქტები, რადგან $\frac{z}{3}$, $\frac{z'}{3}$, $\frac{z''}{3}$, $\frac{z'''}{3}$ უბრალოდ იმ ღირებულების ტოლია, რომელიც ამ z, z', z'', z'''-ის მუდმივ ელემენტებს ჰქონდათ, ვიდრე ისინი ამ დღის შრომის პროცესში შევიდოდნენ. მაშასადამე, ასევე $\frac{x}{3}$, $\frac{x'}{3}$, $\frac{x''}{3}$, $\frac{x'''}{3}$, ანუ წარმოებულ სახმარ ღირებულებათა მესამედი, წარმოადგენენ მხოლოდ წარსული შრომის ღირებულებას და მუდამ ანაზღაურებენ მას. { გაცვლა, რომელიც აქ ხდება წარსულ შრომასა და ცოცხალი შრომის პროდუქტს შორის, თავისი ბუნებით სრულიად განსხვავდება სამუშაო ძალისა და კაპიტალის სახით არსებული შრომის პირობების გაცვლისაგან. }

$x = z$: მაგრამ ეს z არის ღირებულება მთელი z-ისა ^{6}, $^{1}/_{3}$ z კი არის მთელ x-ში მოთავსებული ნედლეულის და სხვა. ღირებულება. ამრიგად, $\frac{x}{3}$ შრომის დღიური პროდუქტის ის ნაწილია { მაგრამ არა დღიური შრომის პროდუქტი, არამედ, პირიქით, მასთან დაკავშირებული წინადღის შრომის პროდუქტი, საერთოდ წარსული შრომის პროდუქტი }, რომელშიც კვლავ გვევლინება და ნაზღაურდება დღიურ შრომასთან დაკავშირებული წარსული შრომა. მართალია, ამ x-ის ყოველი მოცემული ნაწილი, რომელიც მხოლოდ ნამდვილი პროდუქტების (რკინის, ნახშირის და ა. შ.) რაოდენობას აღნიშნავს, თავისი ღირებულების კრთი მესამედით წარსულ შრომას წარმოადგენს, ორი მესამედით კი — მოცემული დღის მანძილზე შესრულებულ და მიმატებულ შრომას. წარსული შრომა და მოცემული დღის შრომა თანაბარი პროპორციით შედიან როგორც პროდუქტების ჯამში, ისე ყოველ ცალკეულ პროდუქტში, რომელიც ამ ჯამის შემადგენელი ნაწილია. მაგრამ თუ მე მთელ პროდუქტს ორ ნაწილად გავყოფ, ერთ მხარეზე მოვათავსებ მის $^{1}/_{3}$, ხოლო მეორე მხარეზე — $^{2}/_{3}$, ეს იგივეა, პირველი $^{1}/_{3}$ მხოლოდ წარსულ შრომას რომ გამოხატავდეს, ხოლო დანარჩენი $^{2}/_{3}$ კი — მარტო-

ოდენ მოცემული დღის შრომას. მართლაც, პირველი $^1/_3$ წარმოადგენს ერთობლივ პროდუქტში შესულ მთელ წარსულ შრომას, მოხმარებულ წარმოების საშუალებათა მთელ ღირებულებას. მაშასადამე ამ $^1/_3$-ის გამოკლების შემდეგ დარჩენილი $^2/_3$ შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ დღიური შრომის პროდუქტს. ისინი ნამდვილად წარმოადგენენ კიდეც შრომის მთელ იმ რაოდენობას, რაც დღის განმავლობაში წარმოების საშუალებებს მიემატა.

ამრიგად, უკანასკნელი $^2/_3$ უდრის მწარმოებლის შემოსავალს (ხელფასსა და მოგებას). მწარმოებელს შეუძლია მოიხმაროს იგი, ე. ი. დახარჯოს თავისი ინდივიდუალური მოხმარების საგნებზე. დავუშვათ, რომ დღის განმავლობაში ამოღებული ქვანახშირის ამ $^2/_3$-ს ყიდულობენ მომხმარებლები, ანუ მყიდველები არა ფულით, არამედ იმ საქონელზე გაცვლის გზით, რომელიც წინასწარ გადააქციეს ფულად ნახშირის ყიდვის მიზნით. ამ $^2/_3$-იდან ნახშირის ნაწილი შეეა თვით ნახშირის მწარმოებელთა ინდივიდუალურ მოხმარებაში — ბინის გასათბობად და ა. შ. მაშასადამე, ეს ნაწილი არ შედის მიმოქცევაში ანდა, თუ იგი უკვე შეეიდა მიმოქცევაში, მას იქიდან უკანვე ამოიღებენ [351] მისივე მწარმოებლები. ნახშირის $^2/_3$-დან თვით ნახშირის მწარმოებლების მიერ მოხმარებული ნაწილის გამოკლების შემდეგ, მთელი დარჩენილი რაოდენობა (თუ მისი მოხმარება სურთ) მათ უნდა გაცვალონ ინდივიდუალურ მოხმარებაში შემავალ საგნებზე.

ამ გაცვლისას ნახშირის მწარმოებელთათვის სავსებით სულ ერთია, სახელდობრ რას გაცვლიან ნახშირზე მოხმარების საგნების გამყიდველნი: თავიანთ კაპიტალს თუ თავიანთ შემოსავალს; სხვა სიტყვებით, გაცვლის, მაგალითად, მაუდის ფაბრიკანტი თავის მაუდს ნახშირზე, რათა თავისი საცხოვრებელი ბინა გაათბოს (ამ შემთხვევაში ნახშირი, თავის მხრივ, მისთვის მოხმარების საგანს წარმოადგენს და იგი მის ფასს იხდის შემოსავლით, მაუდის გარკვეული რაოდენობით, რომელიც მოგებას წარმოადგენს), თუ ჯემსი, მაუდის ფაბრიკანტის ლაქია, ნახშირზე გაცვლის იმ მაუდს, რომელიც მან ხელფასის სახით მიიღო (ამ შემთხვევაში ნახშირი კვლავ მოხმარების საგანია და გაიცვლება მაუდის ფაბრიკანტის შემოსავალზე, ფაბრიკანტისა, რომელმაც, თავის მხრივ, თავისი შემოსავალი ლაქიის არამწარმოებლურ შრომაზე გაცვალა), ანდა, ბოლოს, მაუდის ფაბრიკანტი მაუდს გაცვლის ნახშირზე იმ მიზნით, რომ აანაზღაუროს მისი ფაბრიკისათვის აუცილებელი, მაგრამ უკვე მოხმარებული ნახშირი. (ამ უკანასკნელ შემთხვევაში მაუდი, რომელსაც მაუდის ფაბ-

რიკანტი ნახშირზე გაცვლის, წარმოადგენს მისთვის მუდმივ კაპიტალს, მისი ერთ-ერთი წარმოების საშუალების ღირებულებას; ნახშირი კი მისთვის არა მარტო ღირებულებაა, არამედ გარკვეული წარმოების საშუალებაც in natura *. ქვანახშირის მრეწველისათვის კი მაუდი მოხმარების საგანია, ამასთან როგორც მაუდი, ისე ნახშირიც მისთვის შემოსავალია: ნახშირი — შემოსავალია მისი არარეალიზებული ფორმით, მაუდი — შემოსავალია მისი რეალიზებული ფორმით.)

რაც შეეხება ნახშირის უკანასკნელ 1/3-ს, ქვანახშირის მრეწველს არ შეუძლია დახარჯოს ის თავისი ინდივიდუალური მოხმარების საგნებზე, არ შეუძლია დახარჯოს ის როგორც შემოსავალი. იგი ეკუთვნის წარმოების პროცესს (ან კვლავწარმოების პროცესს) და უნდა გადაიქცეს რკინად, ხე-ტყედ, მანქანებად, იმ საგნებად, რომლებიც შეადგენენ მისი მუდმივი კაპიტალის შემადგენელ ნაწილებს და რომელთა გარეშეც არ შეიძლება განახლდეს ან გაგრძელდეს ნახშირის წარმოება. რასაკვირველია, მას შეეძლო ეს 1/3-იც გაეცვალა მოხმარების საგნებზე (ან, რაც იგივეა, ამ საგნების მწარმოებელთა ფულზე), მაგრამ მხოლოდ იმ ვარაუდით, რომ ეს მოხმარების საგნები ხელახლა გაეცვალა რკინაზე, ხე-ტყეზე, მანქანებზე. ასე რომ ისინი არ შევლენ არც მის საკუთარ მოხმარებაში, არც მისი შემოსავლის დახარჯვაში, არამედ შევლენ ხე-ტყის, რკინის, მანქანების მწარმოებელთა შემოსავალსა და დახარჯვაში, ამასთან ხე-ტყის, რკინის, მანქანების ეს მწარმოებლები ყველანი, თავის მხრივ, თვითონ იმყოფებიან ისეთ მდგომარეობაში, რომ არ შეუძლიათ თავიანთი პროდუქტის 1/3 ინდივიდუალური მოხმარების საგნებზე დახარჯონ.

მაგრამ დავუშვათ ახლა, რომ ნახშირი შედის რკინის მწარმოებლის, ხე-ტყის მწარმოებლის, მანქანათმშენებლის მუდმივ კაპიტალში. მეორე მხრივ, რკინა, ხე-ტყე, მანქანები შედის ქვანახშირის მრეწველის მუდმივ კაპიტალში. მაშასადამე, რამდენადაც ეს მათი პროდუქტები ერთიმეორის სანაცვლოდ შედიან ღირებულების თანაბარი ოდენობით [მათს მუდმივ კაპიტალებში], ამდენად ისინი ერთმანეთს ანაზღაურებენ in natura, და ერთ რომელიმე კონტრაგენტს მხოლოდ ისღა დარჩენია, რომ მეორეს გადაუხადოს გაყიდულისა და ნაყიდის ბალანსის განსხვავება. და მართლაც, ფული აქ გამოდის პრაქტიკულად (თამასუქებისა და სხვ. მეშვეობით) მხო-

* — ნატურით, თავისი ნატურალური ფორმით. რ ე დ.

ლოდ როგორც გადახდის საშუალება, და არა როგორც მონეტა, არა როგორც მიმოქცევის საშუალება, და მხოლოდ ყიდვა-გაყიდვის ბალანსის განსხვავების გადახდას ემსახურება. ნახშირის ამ $^1/_3$-ის გარკვეული ნაწილი ქვანახშირის მწარმოებელს დასჭირდება მისი საკუთარი კვლავწარმოებისათვის, სწორედ ისევე, როგორც $^2/_3$-ის გარკვეული ნაწილი მან თავისი საკუთარი მოხმარებისათვის დაიტოვა.

იმ ნახშირის, რკინის, ხე-ტყისა და მანქანების მთელ რაოდენობას, რომლებიც ამ გზით ერთიმეორეს ანაზღაურებენ მუდმივი კაპიტალის მუდმივ კაპიტალზე გაცვლით, ერთი ნატურალური ფორმით არსებული მუდმივი კაპიტალის მეორე ნატურალური ფორმით არსებულ მუდმივ კაპიტალზე გაცვლით, აბსოლუტურად არაფერი აქვს საერთო არც შემოსავლის გაცვლასთან მუდმივ კაპიტალზე, არც შემოსავლის გაცვლასთან შემოსავალზე. პროდუქტის ეს ნაწილი სრულიად იმავე როლს ასრულებს, რასაც ასრულებს თესლი მიწათმოქმედებაში ან პირუტყვის ძირითადი ფონდი მეცხოველეობაში. ეს წლის განმავლობაში წარმოებული შრომის პროდუქტის ის ნაწილია, — ლაპარაკია არა წლის განმავლობაში ახლადმიმატებული შრომის პროდუქტზე, არამედ როგორც ამ შრომის, ისე აგრეთვე წარსული შრომის პროდუქტზე, — რომელიც (წარმოების უცვლელ პირობებში) ყოველწლიურად ანაზღაურებს თავის თავს როგორც წარმოების საშუალება, როგორც მუდმივი კაპიტალი, — ანაზღაურებს ისე, რომ არ შედის არც ერთ სხვა მიმოქცევაში, გარდა «საქმიან ადამიანებს» შორის არსებული მიმოქცევისა, და არავითარ გავლენას არ ახდენს პროდუქტის იმ ნაწილის ღირებულებაზე, რომელიც შედის «საქმიან ადამიანებსა» და «მომხმარებლებს» შორის არსებულ მიმოქცევაში *.

დავუშვათ, რომ ნახშირის მთელი ეს $^1/_3$ გაიცვლება ამოიგად in natura თავის საკუთარ წარმოების საშუალებათა ელემენტებზე, რკინაზე, ხე-ტყეზე, მანქანებზე. მაგრამ შეიძლებოდა ისიც, რომ იგი უშუალოდ გაცვლილიყო, მაგალითად, მხოლოდ მანქანებზე, მაგრამ მანქანათმშენებელი, თავის მხრივ, გაცვლის მას როგორც მუდმივ კაპიტალს არა მარტო თავის საკუთარ მუდმივ კაპიტალზე, არამედ რკინის მწარმოებლისა და ხე-ტყის მრეწველის

* იხ. ეს ტომი, გვ. 120—121, 142.

მუდმივ კაპიტალზეც. } ასეთ შემთხვევაში თვითეული ცენტნერი ნახშირი ქვანახშირის მრეწველის პროდუქტის იმ ორი მესამედიდან [352] რომელიც მან მოხმარების საგნებზე გაცვალა, ე. ი. გაცვალა, როგორც შემოსავალი, უნდა შემდგარიყო, მართალია, თავისი ღირებულების მიხედვით — როგორც მთელი პროდუქტიც — ორი ნაწილისაგან: $^1/_3$ ცენტნერი იქნებოდა ერთ ცენტნერ ნახშირზე მოხმარებულ წარმოების საშუალებათა ღირებულების ტოლი, $^2/_3$ ცენტნერი კი იმ შრომის თანაბარი, რაც ქვანახშირის მწარმოებლებმა ამ $^1/_3$-ს ახლად მიუმატეს. მაგრამ თუ ქვანახშირის მწარმოებლის მთელი პროდუქტი, მაგალითად, 30000 ცენტნერს შეადგენს, შემოსავლის სახით ქვანახშირის მწარმოებელი გაცვლის მხოლოდ 20000 ცენტნერს. დანარჩენ 10000 ცენტნერს, ნაგულისხმევის თანახმად, ანაზღაურებენ რკინა, ხე-ტყე, მანქანები და ა. შ. და ა. შ., მოკლედ 30000 ცენტნერში შესულ წარმოების საშუალებათა მთელ ღირებულებას ანაზღაურებენ in natura იმავე სახის და იმავე ღირებულების წარმოების საშუალებანი.

ამრიგად, 20000 ცენტნერის მყიდველები სინამდვილეში არც ერთ ფარტინგს არ იხდიან იმ წარსული შრომის ღირებულებისათვის, რასაც 20000 ცენტნერი შეიცავს, რადგან 20000 ცენტნერი წარმოადგენს ერთობლივი პროდუქტის ღირებულების მხოლოდ იმ $^2/_3$-ს, რომელშიც ახლადმიმატებული შრომა საგნობრივდება. გამოდის იგივე, 20000 ცენტნერი მხოლოდ ახლადმიმატებულ (მაგალითად, წლის განმავლობაში) შრომას რომ წარმოადგენდეს და სრულიად არ წარმოადგენდეს წარსულ შრომას. მყიდველი იხდის, ამრიგად, თვითეული ცენტნერის მთელ ღირებულებას: წარსულ შრომას პლუს ახლადმიმატებული შრომა, და მაინც იგი იხდის მხოლოდ ახლადმიმატებულ შრომას; და ეს სწორედ იმიტომ, რომ იგი ყიდულობს მხოლოდ 20000 ცენტნერს, ე. ი. მთელი პროდუქტის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც მთელი ახლადმიმატებული შრომის ღირებულებას უდრის. ასევე მყიდველი არ იხდის მიწათმოქმედის თესლისათვის იმ ხორბლის გარდა, რომელსაც იგი საჭმელად მოიხმარს. რკინის, ხე-ტყის, მანქანების და ა. შ. მწარმოებლებმა ერთმანეთს აუნაზღაურეს პროდუქტის ეს ნაწილი; მაშასადამე, საჭირო არაა მყიდველთა მიერ მისი ხელმეორედ ანაზღაურება. მწარმოებლებმა იგი აანაზღაურეს თავისი საკუთარი პროდუქტის იმ ნაწილით, რომელიც თუმცა მათი წლიური შრომის მზა პროდუქტია, მაგრამ სულაც არაა მათ მიერ ამ წელს მიმატებული შრომის პროდუქტი, არამედ, პირიქით, მათი წლიური პროდუქტის ის ნაწილია, რომე-

ლიც წარსულ შრომას წარმოადგენს. ახალი შრომის **გარეშე** არ იქნებოდა პროდუქტი; მაგრამ იგი არ იქნებოდა არც იმ შრომის გარეშე, რომელიც გასაგნობრივებულია წარმოების საშუალებებში. ის რომ მხოლოდ ახალი შრომის პროდუქტი იყოს, მისი ღირებულება უფრო ნაკლები იქნებოდა, ვიდრე ახლაა, და მაშინ საჭირო არ იქნებოდა პროდუქტის არც ერთი ნაწილის დაბრუნება წარმოებისათვის. მაგრამ შრომის მეორე წესი (ე. ი. წარმოების საშუალებათა გამოყენებაზე დამყარებული წესი) უფრო მწარმოებლური რომ არ იყოს და პროდუქტის უფრო მეტ რაოდენობას რომ არ იძლეოდეს, — მიუხედავად იმისა, რომ პროდუქტის ნაწილი უნდა დაუბრუნდეს წარმოებას, — მაშინ მას არავინ არ გამოიყენებდა.

თუმცა ამ $^1/_3$ ნახშირის ღირებულების არც ერთი შემადგენელი ნაწილი არ შედის იმ 20000 ცენტნერ ნახშირში, შემოსავლის სახით რომ იყიდება, მაგრამ მაინც ამ მესამედით, ანუ 10000 ცენტნერით, წარმოდგენილი მუდმივი კაპიტალის ყოველგვარი ცვლილება გამოიწვევდა იმ დანარჩენი $^2/_3$-ის ღირებულების ცვლილებას, რომელიც შემოსავლის სახით იყიდება. დავუშვათ, რომ რკინის, ხე-ტყის, მანქანების და სხვ., ერთი სიტყვით, წარმოების იმ ელემენტების წარმოება, რომლებადაც პროდუქტის აღნიშნული $^1/_3$ გადაიქცა, უფრო ძვირდება. ქვანახშირის მომპოვებელი შრომის ნაყოფიერება უცვლელი რჩება. რკინის, ხე-ტყის, ნახშირის, მანქანების და შრომის იმავე რაოდენობის დახარჯვის პირობებში უწინდებურად 30000 ცენტნერი ნახშირი იწარმოება. მაგრამ რადგან რკინა, ხე-ტყე და მანქანები უფრო გაძვირდა, მეტ სამუშაო დროს შეიცავენ, ვიდრე უწინ, ამიტომ მათ სანაცვლოდ ახლა მეტი ნახშირი უნდა მისცენ, ვიდრე უწინ.

[ᲡᲐ3] ვთქვათ, უწინდებურად პროდუქტი შეადგენს 30000 ცენტნერ ᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ. შრომის ნაყოფიერება ქვანახშირის მაღაროში ისეთივე დარჩა, როგორიც ის წინათ იყო. ცოცხალი შრომის იმავე რაოდენობით და ხე-ტყის, რკინის, მანქანათა და ა. შ. იმავე მასის გამოყენებით იწარმოება, როგორც უწინ, 30000 ცენტნერი ნახშირი. ცოცხალი შრომა, როგორც უწინ, წარმოდგენილია იმავე ღირებულებით, ვთქვათ — 20000 გირვ. სტერლინგით (ფულადი გამოხატულებით). პირიქით, ხე-ტყე, რკინა და ა. შ., მოკლედ, მუდმივი კაპიტალი, ახლა ღირს 16000 გირვ. სტერლინგი ნაცვლად 10000 გირვ. სტერლინგისა, ე. ი. მათში მოთავსებული სამუშაო დრო გადიდდა 6/10-ით, ანუ **60%**-ით.

ამრიგად, მთელი პროდუქტის ღირებულება უდრის ახლა 36000

გირვ. სტერლინგს, ნაცვლად წინანდელი 30000 გირვ. სტერლინგისა; მაშასადამე, იგი გაიზარდა $^1/_5$-ით, ანუ 20%-ით. ამრიგად. პროდუქტის ყოველი მოცემული ნაწილიც ახლა ღირს $^1/_5$-ით, ანუ 20%-ით უფრო მეტი, ვიდრე უწინ ღირდა. თუ წინათ ცენტნერი ქვანახშირი 1 გირვ. სტერლინგი ღირდა, ახლა იგი ღირს 1 გირვ. სტერლინგი + $^1/_5$ გირვ. სტერლ. = 1 გირვ. სტერლ. 4 შილინგს. უწინ ერთობლივი პროდუქტიდან ერთი მესამედი, ანუ $^3/_9$, უდრიდა მუდმივ კაპიტალს, ორი მესამედი კი უდრიდა მიმატებულ შრომას. ახლა მუდმივი კაპიტალი შეეფარდება ერთობლივი პროდუქტის ღირებულებას როგორც 16000 : 36000 = $^4/_9$. მუდმივი კაპიტალი შეადგენს ახლა, მაშასადამე, [ერთობლივი პროდუქტის ღირებულების] $^1/_9$-ით უფრო მეტს, ვიდრე უწინ. პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც მიმატებული შრომის ღირებულებას უდრის, უწინ შეადგენდა პროდუქტის $^2/_3$-ს, ანუ $^6/_9$, ახლა შეადგენს $^5/_9$-ს.

ამრიგად, ჩვენ გვაქვს:

ღირებულება = 36 000	მუდმივი კაპიტალი	მიმატებული შრომა
გირვ. სტერლინგს	16 000 გირვ სტერლ. (პროდუქტის $^4/_9$)	20 000 გირვ. სტერლ. (იგივე ღირებულება, რაც უწინ; პროდუქტის $^5/_9$)
პროდუქტი = 30 000 ცენტნერს	13 333 $^1/_3$ ცენტნერი	16 666 $^2/_3$ ცენტნერი

ნახშირის ამომღებთა შრომა არ გამხდარა ნაკლებნაყოფიერი, მაგრამ ნახშირის ამოღებაზე დახარჯული ერთობლივი შრომა (ნახშირის ამომღებთა შრომა პლუს წარსული შრომა) ნაკლებნაყოფიერი გახდა; სახელდობრ, ღირებულების იმ შემადგენელი ნაწილის ასანაზღაურებლად, რომელიც მუდმივ კაპიტალს უწევს [354], ახლა საჭიროა ერთობლივი პროდუქტის $^1/_9$-ით მეტი, ახლადმიმატებული შრომის ღირებულება კი შეადგენს პროდუქტის $^1/_9$-ით ნაკლებს. რკინის, ხე-ტყის და ა. შ. მწარმოებლები ახლა უწინდებურად ანაზღაურებენ მხოლოდ 10000 ცენტნერ ნახშირს. წინათ ნახშირის ეს რაოდენობა მათ უღირდა 10000 გირვ. სტერლინგი. ახლა ეს მათ დაუჯდება 12000 გირვ. სტერლინგი. მუდმივი კაპიტალის დანახარჯთა ნაწილი ანაზღაურდებოდა, მაშასადამე, იმის შედეგად, რომ ნახშირის იმ ნაწილისათვის, რასაც ისინი რკინის და სხვ. ნაცვლად იღებენ, გადიდებული ფასის გადახდა მოუხდებოდათ. მაგრამ ნახშირის მწარმოებელმა უნდა იყიდოს მათგან 16000 გირვ. სტერლ. ნედლეული და ა. შ. მაშასადამე, მან უნდა გადაიხადოს ბალანსის სხვაობა 4000 გირვ. სტერლ. რაოდენობით, ე. ი. 3333 $^1/_3$ ცენტნე-

რი ნახშირი. მაშასადამე, იგი, როგორც უწინ, მომხმარებლებს აწვდის 16666 ²/₃ + 3333 ¹/₃ = 20000 ცენტნერ ნახშირს, ე. ი. პროდუქტის ²/₃-ს. მაგრამ მომხმარებლებმა ახლა 20000 გირვ. სტერლინგის ნაცვლად უნდა გადაიხადონ 24000 გირვ. სტერლინგი. ამ თანხით მათ უნდა აუნაზღაურონ მას არა მარტო ახლადმიმატებული შრომა, არამედ მუდმივი კაპიტალის ნაწილიც.

მომხმარებელთა მიმართ საქმის ვითარება მეტად მარტივი იქნება. თუ ისინი მოისურვებენ ნახშირის მოხმარებას წინანდელი რაოდენობით, მათ უნდა გადაიხადონ მასში ¹/₅-ით მეტი და, მაშასადამე, ისინი იძულებულნი იქნებიან ამ ¹/₅-ის ოდენობით ნაკლები დახარჯონ თავიანთი შემოსავლიდან სხვა საგნების საყიდლად, თუკი წარმოების თვითეული დარგისათვის წარმოების ხარჯები უცვლელი დარჩა. აქ შემდეგი სიძნელეა: როგორ ხდება, რომ ნახშირის მწარმოებელი 4000 გირვ. სტერლინგს იხდის იმ რკინისათვის, იმ ხე-ტყისათვის, რომელთა მწარმოებლებიც მათი გაცვლისას არავითარ ნახშირს არ საჭიროებენ? თავისი 3333 ¹/₃ ცენტნერი ნახშირი, რაც ამ 4000 გირვ. სტერლინგს უდრის, მან მიჰყიდა ნახშირის მომხმარებელს და მასში მიიღო ყოველნაირი საქონელი. მაგრამ ეს საგნები ვერ შევლენ ვერც მის პირად მოხმარებაში, ვერც მისი მუშების მოხმარებაში, არამედ ისინი უნდა მოიხმარონ რკინის, ხე-ტყის და სხვ. მწარმოებლებმა, რადგან ამ საგნებით ნახშირის მწარმოებელმა უნდა აინაზღაუროს თავისი 3333 ¹/₃ ცენტნერი ნახშირის ღირებულება. იტყვიან: საქმე მეტად მარტივიაო. ახლა ნახშირის ყველა მომხმარებელმა უნდა მოიხმაროს ყველა სხვა საქონელი ¹/₅-ით ნაკლები ანდა თვითეული თავისი საქონლიდან გაიღოს ნახშირში ¹/₅-ით მეტი. სწორედ ეს ¹/₅ ხმარდება ხე-ტყის, რკინისა და სხვ. მწარმოებელთა მოხმარების გადიდებას. მაგრამ გაუგებარია prima facie*, თუ როგორ აძლევს მწარმოებლობის შემცირება რკინასაკეთებელ ქარხანაში, მანქანათმშენებლობაში, ხე-ტყის მრეწველობაში და ა. შ. რკინის, მანქანების, ხე-ტყის მწარმოებელთ იმის შესაძლებლობას, რომ წინანდელთან შედარებით მეტი შემოსავალი მოიხმარონ; ჩვენ ხომ ვგულისხმობთ, რომ მათი პროდუქტების ფასი ამ უკანასკნელთა ღირებულებას უდრის და, მაშასადამე, მხოლოდ მათი შრომის ნაყოფიერების შემცირების პროპორციულად დიდდება.

ჩვენ ვიგულისხმეთ, რომ რკინის, ხე-ტყის, მანქანების ღირებუ-

*—პირველი შეხედვით. რ ე დ.

ლება გადიდდა $^3/_5$-ით, 60%-ით. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მხოლოდ ორი მიზეზით. ან რკინის, ხე-ტყის და ა. შ. წარმოებას ახლა ნაკლები მწარმოებლობა აქვს იმიტომ, რომ შემცირდა წარმოების ამ დარგებში გამოყენებული ცოცხალი შრომის ნაყოფიერება, ასე რომ საჭიროა შრომის უფრო მეტი რაოდენობით გამოყენება იმავე პროდუქტის საწარმოებლად. ამ შემთხვევაში რკინის, ხე-ტყის, მანქანების მწარმოებელთ მოუხდებოდათ $^3/_5$-ით მეტი შრომის გამოყენება უწინდელთან შედარებით. ხელფასის ნორმა იგივე დარჩა, იმიტომ რომ შრომის მწარმოებლური ძალის შემცირება მხოლოდ დროებით შეეხო ცალკეულ პროდუქტებს. მაშასადამე, უცვლელი დარჩა ზედმეტი ღირებულების ნორმაც. მწარმოებელს ახლა სჭირდება 24 სამუშაო დღე იქ, სადაც უწინ 15 სჭირდებოდა, მაგრამ მუშებს იგი უხდის უწინდებურად მხოლოდ 10 სამუშაო საათისათვის ყოველ დღეს ამ 24 სამუშაო დღიდან და უწინდებურად ყოველდღიურად 2 საათს უფასოდ ამუშავებს. ამრიგად, თუ უწინ 15 მუშა 150 საათს მუშაობდა თავისთვის და 30 საათს მეწარმისათვის, ახლა 24 მუშა მუშაობს 240 საათს თავისთვის და 48 საათს მეწარმისათვის. (მოგების ნორმა აქ ჩვენ არ გვაინტერესებს.) ხელფასი დაიწევდა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი დაიხარჯებოდა რკინაზე, ხე-ტყეზე, მანქანურ მოწყობილობაზე და ა. შ., რაც არ ხდება. 24 მუშა ახლა $^3/_5$-ით უფრო მეტს მოიხმარს, ვიდრე წინათ 15 მუშა მოიხმარდა. მაშასადამე, ნახშირის მწარმოებლებს ახლა შეუძლიათ გაუსაღონ მათ (ე. ი. მათს მეწარმეს, რომელიც მათ ხელფასს უხდის) შესაბამისად 3333 $^1/_3$ ცენტნერის ღირებულების უფრო დიდი ნაწილი.

ანდა მწარმოებლობის შემცირება რკინის, ხე-ტყის მრეწველობაში, და ა. შ. იქიდან წარმოსდგება, რომ გაძვირდა მათი მუდმივი კაპიტალის, მათი წარმოების საშუალებების ნაწილები. მაშინ [წარმოების სხვა დარგების წინაშე] კვლავ დგება იგივე ალტერნატივა, და საბოლოო ანგარიშით მწარმოებლობის შემცირებას შედეგად უნდა მოჰყვეს გამოყენებული ცოცხალი შრომის გადიდება, მაშასადამე, ხელფასის გადიდებაც, რაც ნახშირის მომხმარებლებმა ნაწილობრივ გადაუხადეს ქვანახშირის მრეწველს ზემოხსენებული 4000 გირვ. სტერლინგის სახით.

წარმოების იმ დარგებში, სადაც გამოყენებულია შრომის დამატებითი რაოდენობა, იზრდება ზედმეტი ღირებულების მასაც, რადგან გაიზარდა დასაქმებული მუშების რიცხვი. მეორე მხრივ, მოგე-

ბის ნორმა დაიწევს მათი მუდმივი კაპიტალის ყველა იმ ელემენტის [ღირებულების გადიდების] შესაბამისად, რომლებშიც შედის მათი საკუთარი პროდუქტი, როგორც იმ შემთხვევაში, როცა ისინი თავისი საკუთარი პროდუქტის ნაწილს წარმოების საშუალებათა სახით მოიხმარენ, ისე იმ შემთხვევაშიც, — როგორც ეს, მაგალითად, ნახშირის მიმართაა, — როცა მათი პროდუქტი წარმოების საშუალებათა სახით შედის მათს საკუთარ წარმოების საშუალებებში. მაგრამ თუ ხელფასზე დახარჯული მათი საბრუნავი კაპიტალი უფრო მეტად გადიდდა, ვიდრე მუდმივი კაპიტალის ასანაზღაურებელი ნაწილი, მაშინ გადიდდება მათი მოგების ნორმაც, და ისინი [355] მონაწილეობას მიიღებენ ზემოხსენებული 4000 გირვ. სტერლინგის გარკვეული ნაწილის მოხმარებაში.

მუდმივი კაპიტალის ღირებულების გადიდება (იმის გამო, რომ მცირდება მწარმოებლობა მუდმივი კაპიტალის მომწოდებელი შრომის დარგებში) ადიდებს პროდუქტის ღირებულებას, რომელშიც შედის ეს მუდმივი კაპიტალი, და ამცირებს პროდუქტის იმ ნაწილს (in natura), რომელიც ანაზღაურებს ახლადმიმატებულ შრომას, — იგი, მაშასადამე, ამ შრომას ხდის ნაკლებნაყოფიერ შრომად, თუ მას მისი საკუთარი პროდუქტით გამოვხატავთ. მუდმივი კაპიტალის იმ ნაწილისათვის, რომელიც გაიცვლება in natura, ყველაფერი უცვლელად რჩება. უწინდებურად რკინის, ხე-ტყის, ნახშირის იგივე რაოდენობა გაიცვლება in natura გამოყენებული რკინის, ხე-ტყის, ნახშირის ასანაზღაურებლად, და ფასების აწევა აქ ერთიმეორეს აწონასწორებს. ნახშირის ის ნამეტი, რომელიც ახლა ქვანახშირის მრეწველისათვის მისი მუდმივი კაპიტალის ნაწილს შეადგენს და ამ ნატურალურ გაცვლაში არ შედის, გაიცვლება, როგორც უწინ, შემოსავალზე (ზემოხსენებულ შემთხვევაში მისი ნაწილი გაიცვლება არა მარტო ხელფასზე, არამედ მოგებაზეც), მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს შემოსავალი ეკუთვნის უკვე არა უწინდელ მომხმარებლებს, არამედ წარმოების ისეთ სფეროებში მომქმედ მწარმოებლებს, სადაც გამოყენებული იყო შრომის უფრო მეტი რაოდენობა, ე. ი. გაიზარდა მუშების რიცხვი.

თუ წარმოების რომელიმე დარგი ისეთ პროდუქტებს აწარმოებს, რომლებიც მხოლოდ ინდივიდუალურ მოხმარებაში შედიან, მაგრამ არ შედიან წარმოების საშუალებათა სახით წარმოების არც ერთ სხვა დარგში (წარმოების საშუალებანი აქ უნდა გავიგოთ როგორც მუდმივი კაპიტალი), არც თავიანთ საკუთარ კვლავწარმოებაში (რაც ხდება ხოლმე, მაგალითად, მიწათმოქმედებაში, მესაქონლეობაში,

ქვანახშირის მრეწველობაში, სადაც ნახშირი შედის წარმოებაში დამხმარე მასალის სახით), მაშინ ამ დარგის წლიური პროდუქტი | წლიური პროდუქტის შესაძლებელ გადანამეტს არა აქვს მნიშვნელობა მოცემული საკითხისათვის. | ყოველთვის უნდა ანაზღაურდეს შემოსავლიდან, ე. ი. ხელფასიდან ან მოგებიდან.

ავიღოთ ზემოთგანხილული * მაგალითი ტილოს შესახებ. 3 არშინი ტილო შედგება $^2/_3$-ით მუდმივი კაპიტალისაგან და $^1/_3$-ით მიმატებული შრომისაგან. მაშასადამე, 1 არშინი ტილო წარმოადგენს მიმატებულ შრომას. თუ ზედმეტი ღირებულება 25%-ს შეადგენს, ერთი არშინის $^1/_5$ წარმოადგენს მოგებას. დანარჩენი $^4/_5$ არშინი წარმოადგენს კვლავწარმოებულ ხელფასს. $^1/_5$-ს მოიხმარს თვით ფაბრიკანტი ან, რაც იგივეა, მას მოიხმარენ სხვები და ფაბრიკანტს გადაუხდიან მის ღირებულებას, რომელსაც იგი მოიხმარს მათი საკუთარი ან რომელიმე სხვა საქონლის სახით. | გამარტივებისათვის მთელი მოგება აქ უმართებულოდ განიხილება როგორც შემოსავალი. | დანარჩენ $^4/_5$ არშინს კი იგი კვლავ იხდის ხელფასის სახით; მისი მუშები ამ $^4/_5$ არშინს მოიხმარენ როგორც თავის შემოსავალს — ან უშუალოდ, ანდა მოხმარების იმ სხვა საგნებზე გაცვლის წესით, რომელთა მფლობელები ტილოს მოიხმარენ.

ორივე ეს ნაწილი ერთად შეადგენს მთელ იმ ნაწილს 3 არშინ ტილოში, — 1 არშ. ტილოს, — რომელიც თვით ტილოს მწარმოებლებს შეუძლიათ მოიხმარონ როგორც შემოსავალი. დანარჩენი 2 არშინი წარმოადგენს ფაბრიკანტის მუდმივ კაპიტალს; იგი ხელახლა უნდა გადაიქცეს ტილოს წარმოების პირობებად — ნართად, მანქანებად და ა. შ. მისი თვალსაზრისით 2 არშინი ტილოს გაცვლა მუდმივი კაპიტალის გაცვლაა, მაგრამ მას შეუძლია იგი გაცვალოს ძხოლოდ სხვა პირთა შემოსავალზე. ამრიგად, იგი იხდის ნართისათვის, ვთქვათ, $^4/_5$-ს 2 არშინიდან, ანუ $^8/_5$ არშინს, მანქანებისათვის კი — $^2/_5$ არშინს. მრთველსა და მანქანათმშენებელს შეუძლიათ, თავის მხრივ, მოიხმარონ ტილოს ამ რაოდენობათაგან $^1/_3$ თვითეულმა, ე. ი. ერთს შეუძლია $^8/_5$ არშინიდან მოიხმაროს $^8/_{15}$ არშინი, მეორეს კი $^2/_5$-დან $^2/_{15}$. ერთად — $^{10}/_{15}$, ანუ $^2/_3$, არშინი. დანარჩენმა $^{20}/_{15}$, ანუ $^4/_3$, არშინმა კი უნდა აუნაზღაუროს მათ ნედლეული — ცელი, რკინა, ნახშირი და ა. შ., და თვითეული ამ საგანთაგანი, თავის მხრივ, თვით იყოფა ნაწილად, რომელიც შემოსავალს (ახლადმიმატებულ

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 100—101 და შემდ. რ ე დ.

შრომას) წარმოადგენს, და მეორე ნაწილად, რომელიც მუდმივ კაპიტალს (ნედლეულს და ძირითად კაპიტალს და ა. შ.) წარმოადგენს.

მაგრამ ეს უკანასკნელი 4/5 არშინი ტილო შეიძლება მოხმარებულ იქნეს მხოლოდ შემოსავლის სახით. მაშასადამე, ის, რაც, ბოლოს, ნართსა და მანქანაში მუდმივ კაპიტალად გვევლინება და რითაც მრთველი და მანქანათმშენებელი ანაზღაურებენ სელს, რკინას, ნახშირს და ა. შ. (ჩვენ აქ მხედველობაში არ ვიღებთ რკინის, ნახშირის და ა. შ. იმ ნაწილს, რომელსაც მანქანათმშენებელი მანქანებით ანაზღაურებს), შეიძლება წარმოადგენდეს სელის, რკინის. ნახშირის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც ქმნის სელს, რკინის, ნახშირის მწარმოებელთა შემოსავალს და რომლისთვისაც, მაშასადამე, არ ხდება მუდმივი კაპიტალის ანაზღაურება; სხვა სიტყვებით, ის, რაც ნართსა და მანქანაში მუდმივი კაპიტალის სახით გამოდის, უნდა ეკუთვნოდეს სელის, რკინის, ნახშირის და ა. შ. მწარმოებელთა პროდუქტის იმ ნაწილს, რომელიც არ შეიცავს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მუდმივი კაპიტალის არც ერთ ნაწილს. მაგრამ თავიანთ შემოსავალს, წარმოდგენილს რკინაში, ნახშირში, სელში და ა. შ., რკინის, ნახშირის და ა. შ. მწარმოებლები მოიხმარენ ტილოს ან მოხმარების სხვა საგნების სახით, რადგან მათი საკუთარი პროდუქტები როგორც ასეთები სრულიად არ შედიან ანდა მხოლოდ უმნიშვნელო ზომით შედიან მათს ინდივიდუალურ მოხმარებაში. ამრიგად, რკინის, სელის და სხვ. ნაწილი შეიძლება გაიცვალოს მხოლოდ ინდივიდუალურ მოხმარებაში შემავალ პროდუქტზე, — ტილოზე — და ამ პროდუქტის სანაცვლოდ მას შეუძლია აუნაზღაუროს მრთველს მთლიანად, მანქანათმშენებელს კი ნაწილობრივ მათი მუდმივი კაპიტალი, მაშინ როდესაც მრთველი და მანქანათმშენებელი, თავის მხრივ, მოიხმარენ ტილოს და მის სანაცვლოდ გაიღებენ თავიანთი ნართისა და თავიანთი მანქანების იმ ნაწილს, რომლითაც წარმოდგენილია მათი შემოსავალი, და ამით აანაზღაურებენ მსქოველის მუდმივ კაპიტალს.

ამრიგად, სინამდვილეში მთელი ტილო დაიყვანება მქსოველის, მრთველის, მანქანათმშენებლის, მესელის, ნახშირისა და რკინის მწარმოებლის მოგებასა და ხელფასზე; ამავე დროს ისინი უნაზღაურებენ ტილოს ფაბრიკანტსა და მრთველს მთელ მათს მუდმივ კაპიტალს. გაანგარიშება არ გამოვიდოდა უნაშთოდ, თუ ნედლეულის უკანასკნელი მწარმოებლები იძულებულნი იქნებოდნენ თავიანთი საკუთარი მუდმივი კაპიტალი აენაზღაურებინათ ტილოზე გაცვლის

გზით, რადგან ეს ინდივიდუალური მოხმარების საგანია, რომელიც არც ერთ წარმოების სფეროში არ შედის წარმოების საშუალებათა სახით, მუდმივი კაპიტალის [356] ნაწილის სახით. ანგარიში სწორდება უნაშთოდ იმიტომ, რომ ტილო, რომელიც მესელემ, ქვანახშირის მრეწველმა, რკინის მწარმოებელმა, მანქანათმშენებელმა და ა. შ. იყიდეს თავიანთ პროდუქტებზე გაცვლის წესით, უნაზღაურებს მათ თავიანთი პროდუქტის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც მ ა თ თ ვ ი ს შეადგენს შემოსავალს, მათი მყიდველებისათვის კი — მუდმივ კაპიტალს. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ მათი პროდუქტების იმ ნაწილს, რომელიც შემოსავალს არ წარმოადგენს და რომელიც, მაშასადამე, არ შეიძლება გაიცვალოს მოხმარების საგნებზე, ისინი ანაზღაურებენ in natura, ე. ი. მუდმივი კაპიტალის მუდმივ კაპიტალზე გაცვლით.

ზემოაღნიშნულ მაგალითში შეიძლება უცნაურად გვეჩვენოს იმის ვარაუდი, რომ შრომის ნაყოფიერება მოცემულ წარმოების დარგში უცვლელი დარჩა და მიუხედავად ამისა მაინც შემცირდა, თუ წარმოების ამ დარგში გამოყენებული შრომის ნაყოფიერებას მისი საკუთარი პროდუქტით გამოვხატავთ. მაგრამ საქმე სულ მარტივად აიხსნება.

ვიგულისხმოთ, რომ მრეველის შრომის პროდუქტი შეადგენს 5 გირვანქა ნართს. დავუშვათ, რომ მის საწარმოებლად მრეველს სჭირდება მხოლოდ 5 გირვანქა ბამბა (მაშასადამე, ნარჩენები სრულიად არაა); ვთქვათ, გირვანქა ნართი ღირს ერთი შილინგი (მხედველობაში არ ვიღებთ მანქანურ მოწყობილობას, ე. ი. ვვარაუდობთ, რომ მისი ღირებულება არც შემცირებულა, არც გადიდებულა; მაშასადამე, განსახილველი შემთხვევისათვის იგი უდრის ნულს). გირვანქა ბამბა ღირს 8 პენსი. 5 შილინგიდან, რომელიც 5 გირვანქა ნართის ღირებულებას გამოხატავს, 40 პენსი (5×8 პენსი), ანუ 3 შილ. 4 პენსი. უწევს ბამბას, 5 × 4 პენსი კი—ანუ 1 შილინგი 8 პენსი, — ახლადმიმატებულ შრომას. მთელი პროდუქტიდან $3^1/_3$ გირვ. ნართი (3 შილ. 4 პენსის ღირებულებისა) მოდის, მაშასადამე, მუდმივი კაპიტალის წილად, $1^2/_3$ გირვანქა ნართი კი — შრომის წილად. მაშასადამე, ხუთი გირვანქა ნართის $^2/_3$ ანაზღაურებს მუდმივ კაპიტალს, ხოლო ხუთი გირვანქა ნართის $^1/_3$, ანუ 1 $^2/_3$ გირვანქა, შეადგენს პროდუქტის იმ ნაწილს, რომელიც შრომას ანაზღაურებს.

დავუშვათ ახლა, რომ გირვანქა ბამბის ფასმა აიწია 50%-ით, 8 პენსიდან 12 პენსამდე, ე. ი. ერთ შილინგამდე. მაშინ 5 გირვანქა

ნართი ეღირება: 5 შილინგი 5 გირვანქა ბამბისა ღა 1 შილინგი 8 პენსი — მიმატებული შრომისა, რომლის რაოდენობაც, და ამიტომ ფულით გამოხატული ღირებულებაც, წინანდელი რჩება. ამრიგად, 5 გირვანქა ნართი ღირს ახლა 5 შილ. + 1 შილ. 8 პენსი = 6 შილინგს 8 პენსს. ამ 6 შილინ. 8 პენსიდან ახლა ნედლეულს უწევს 5 შილინგი, შრომას კი — 1 შილ. 8 პენსი.

6 შილ. 8 პენსი — 80 პენსს, აქედან 60 პენსი უწევს ნედლეულს, 20 პენსი კი — შრომას. შრომა შეადგენს ახლა მხოლოდ 20 პენსს 5 გირვანქა ნართის საერთო ღირებულებაში (80 პენსი), ანუ $^1/_4$-ს, ე. ი. 25%-ს; წინათ — 33 $^1/_3$%-ს. მეორე მხრივ, ნედლეული შეადგენს 60 პენსს, ე. ი. $^3/_4$-ს, ანუ 75%-ს, უწინ კი იგი შეადგენდა მხოლოდ 66$^2/_3$%-ს. რადგან 5 გირვანქა ნართი ახლა 80 პენსი ღირს, ამიტომ 1 გირვანქა ღირს $^{80}/_5$, ე. ი. 16 პენსი. 5 გირვანქა ნართიდან 20 პენსზე, რომელიც [ახლადმიმატებული] შრომით შექმნილ ღირებულებას გამოხატავს, უწევს, ამრიგად, 1$^1/_4$ გირვანქა ნართი; დანარჩენი 3 $^3/_4$ გირვანქა ნართი უწევს ნედლეულს. წინათ შრომას (მოგებასა და ხელფასს) უწევდა 1 $^2/_3$ გირვანქა, მუდმივ კაპიტალს კი — 3 $^1/_3$ გირვანქა. შრომა, მისი საკუთარი პროდუქტით შეფასებული, გახდა, მაშასადამე, ნაკლებნაყოფიერი, თუმცა მისი ნაყოფიერება არ შეცვლილა, არამედ გაძვირდა მხოლოდ ნედლეული. შრომამ შეინარჩუნა თავისი წინანდელი ნაყოფიერება, რადგან იგივე შრომა იმავე დროის განმავლობაში 5 გირვანქა ბამბას გადააქცევს 5 გირვანქა ნართად და რადგან ამ შრომის ნამდვილ პროდუქტს (სახმარი ღირებულების მიხედვით) წარმოადგენს მხოლოდ ბამბისაგან მიღებული ნ ა რ თ ი ს ფ ო რ მ ა. 5 გირვანქა ბამბამ, უწინდებურად, ნართის ფორმა იმავე შრომის შედეგად მიიღო. მაგრამ ნამდვილი პროდუქტი შედგება არა მარტო ამ ნართის ფორმისაგან, არამედ აგრეთვე ბამბის ბოჭკოსაგანაც — იმ ნივთიერებისაგან, რომელსაც ეს ფორმა მიეცა, ამ ნივთიერების ღირებულება კი ახლა შეადგენს ამ ფორმამიმცემი შრომის მიმართ ერთობლივი პროდუქტის უფრო დიდ ნაწილს, ვიდრე უწინ შეადგენდა. ამიტომ მრთველის შრომის იგივე რაოდენობა ახლა ნართის უფრო მცირე რაოდენობით ნაზღაურდება, სხვა სიტყვებით — მცირდება პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც ამ შრომას ანაზღაურებს.

აი როგორაა საქმის ვითარება ამ საკითხში.

[გ) ᲗᲣᲚᲒᲐᲠᲣᲚᲘ ᲬᲐᲜᲐᲛᲫᲚᲕᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲠᲜᲘᲔᲡ ᲞᲝᲚᲔᲛᲘᲙᲘᲡᲐ ᲡᲛᲘᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ. ᲒᲐᲠᲜᲘᲔᲡ ᲣᲒᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ ᲤᲘᲖᲘᲝᲚᲝᲒᲘᲙᲠᲐᲢᲣᲚ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲓᲒᲔᲜᲔᲑᲡ. ᲣᲙᲐᲜᲒᲐᲓᲐᲓᲒᲛᲣᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲤᲘᲖᲘᲝᲚᲝᲒᲘᲙᲠᲐᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ: ᲨᲔᲑᲘᲓᲣᲚᲘᲐ ᲐᲠᲐᲛᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲑᲔᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝᲖᲔ]

ამრიგად, ჯერ ერთი, მცდარია გარნიეს მტკიცება, რომ მთელი კაპიტალი საბოლოო ანგარიშით მუდამ ნაზღაურდება მომხმარებლის შემოსავლით; ვინაიდან კაპიტალის ნაწილი შეიძლება ანაზღაურდეს მხოლოდ კაპიტალით და არა შემოსავლით. მეორე, ეს თავისთავადაც უაზრობაა, რადგან თვით შემოსავალი, რამდენადაც ის არ არის ხელფასი (ანდა ხელფასიდან გადასახდელი ხელფასი, ე. ი. მისგან წარმოებული შემოსავალი), იგი კაპიტალის მოგებაა (ან კაპიტალის მოგებიდან წარმოებული შემოსავალი). ბოლოს, უაზრობაა გარნიეს მტკიცება *, რომ კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც არ მიმოიქცევა (იმ აზრით, რომ იგი არ ნაზღაურდება მომხმარებლის შემოსავლით), «თავის მფლობელს მოგებას ვერ მოუტანდა». ეს ნაწილი — წარმოების უცვლელ პირობებში — მართლაც არ იძლევა მოგებას (უფრო ზუსტად — ზედმეტ ღირებულებას). მაგრამ ამ ნაწილის უქონლად კაპიტალი საერთოდ ვერ აწარმოებდა თავის მოგებას.

[357] «ამ სხვაობიდან მხოლოდ იმ დასკვნის გამოყვანა შეიძლება, რომ მწარმოებელი მუშაკების დასაჭირავებლად საჭიროა ანა მარტო იმის შემოსავალი, ვინც მათს შრომას იყენებს, არამედ კიდევ კაპიტალიც, რომელიც შეამავლებს მოგებას აძლევს, მაშინ როდესაც არამწარმოებელი მუშაკების დასაქირავებლად უმრავლეს შემთხვევაში საკმარისია იმ პირის შემოსავალი, რომელიც მათ ხელფასს უხდის» (ციტირ. თხზ., გვ. 175).

უკვე მარტო ეს ფრაზა უაზრობათა ისეთი ხლართია, საიდანაც ნათელი ხდება, რომ გარნიემ, ა. სმიტის მთარგმნელმა, არსებითად ა. სმიტი სრულიად ვერ გაიგო და არავითარი წარმოდგენა არა აქვს იმაზე, რაც მის «ხალხთა სიმდიდრეში» ყველაზე არსებითია, სახელდობრ იმ შეხედულებაზე, რომ კაპიტალისტური წარმოების წესი ყველაზე მწარმოებლურია (ისეთი იგი უთუოდ კიდეც არის ადრინდელ ფორმებთან შედარებით).

უწინარეს ყოვლისა, უაღრესად დიდი უაზრობაა, როცა სმიტის

* იხ. ეს ტომი, გვ. 200—201. რ ე დ.

წინააღმდეგ, რომელსაც არამწარმოებლურ შრომად ის შრომა მიაჩნია, რომელსაც უშუალოდ შემოსავალი ანაზღაურებს, წამოყენებულია ის მოსაზრება, რომ «არამწარმოებელი მუშაკების დასაქირავებლად უმრავლეს შემთხვევაში საკმარისია იმ პირის შემოსავალი, რომელიც მათ ხელფასს უხდის». შემდეგ კი — ანტითეზა: «მწარმოებელი მუშაკების დასაქირავებლად საჭიროა არა მარტო იმის შემოსავალი, ვინც მათს შრომას იყენებს, არამედ კიდევ კაპიტალიც, რომელიც შუამავლებს მოგებას აძლევს»! (რაოდენ მწარმოებლურია ამ შემთხვევაში, ბატონ გარნიეს მიხედვით, სამიწათმოქმედო შრომა, რომლისთვისაც, გარდა მიწის პროდუქტის მომხმარებელთა შემოსავლისა, საჭიროა კიდევ კაპიტალიც, რომელიც იძლევა არა მარტო მოგებას შუამავალთათვის, არამედ მიწის რენტასაც მიწათმფლობელისათვის!)

არაა სწორი, რომ «მწარმოებელი მუშაკების დასაქირავებლად» საჭიროა, ჯერ-ერთი, კაპიტალი, რომელიც მათ იყენებს, და, მეორე, შემოსავალი, რომელიც მათს შემოსავალს მოიხმარს; ამისათვის საჭიროა მხოლოდ კაპიტალი, რომელიც ქმნის მათი შრომის ნაყოფის მომხმარებელ შემოსავალს. თუ მე, როგორც თერძი-კაპიტალისტი, 100 გირვ. სტერლინგს ვხარჯავ ხელფასზე, ამ 100 გირვ. სტერლინგს ჩემთვის მოაქვს, ვთქვათ, 120 გირვ. სტერლინგი. 100 გირვ. სტერლინგი მე მიქმნის 20 გირვ. სტერლინგ შემოსავალს, რომლითაც მე, თუ სურვილი მექნება, შემიძლია ახლა მოვიხმარო აგრეთვე თერძის შრომა, რომელიც მასალას «სერთუკის» ფორმას აძლევს. თუკი მე, პირიქით, 20 გირვ. სტერლინგით ვიძენ სხვადასხვა ტანსაცმელს, რათა იგი ვატარო, მაშინ სავსებით ნათელია, რომ ამ ტანსაცმელს არ შეუქმნია ჩემთვის მის საყიდლად დახარჯული 20 გირვ. სტერლინგი. იგივე იქნებოდა, თუ მე თერძს ჩემთან დავუძახებდი შინ და 20 გირვ. სტერლინგად ტანსაცმელს შევაკერინებდი. პირველ შემთხვევაში მე მივიღე 20 გირვ. სტერლინგით მეტი, ვიდრე მანამდე მქონდა, მეორე შემთხვევაში კი მე გარიგების შემდეგ 20 გირვ. სტერლინგით ნაკლები მაქვს, ვიდრე მანამდე მქონდა. გარდა ამისა, მალე შევამჩნევდი, რომ თერძი, რომელსაც მე უშუალოდ ჩემი შემოსავლიდან ვუხდი, სერთუკს ისეთ იაფ ფასში როდი ამზადებს, როგორსაც მე გადავიხდიდი, თუ სერთუკს «შუამავლისაგან» ვიყიდდი.

გარნიეს წარმოუდგენია, რომ მოგებას იხდის მომხმარებელი. მომხმარებელი იხდის საქონლის «ღირებულებას»; და თუმცა საქო-

ნელი კაპიტალისტის მოგებას შეიცავს. მაგრამ ეს საქონელი მას, მომხმარებელს, უფრო იაფი უჯდება, ვიდრე მაშინ, თუ იგი შემოსავალს უშუალოდ შრომის საყიდლად დახარჯავდა იმ ანგარიშით, რომ დაქირავებულ მუშაკს აწარმოებინოს მცირე მასშტაბით ესა თუ ის საგანი თავის პირად მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. აქ აშკარად მეღავნდება, რომ გარნიეს არავითარი წარმოდგენა არა აქვს იმაზე, თუ რა არის კაპიტალი.

იგი განაგრძობს:

«შემდეგ, განა ბევრი არამწარმოებელი მუშაკი, როგორიცაა მსახიობები, მუსიკოსები და ა. შ., თავის ხელფასს არ ღებულობს უმრავლეს შემთხვევაში დირექტორის მეშვეობით, რომელიც ამგვარ საწარმოში დაბანდებული კაპიტალიდან მოგებას იღებს?» (ციტირ. თხზ., გვ. 175—176).

ეს შენიშვნა სწორია. მაგრამ იგი მხოლოდ იმას გვიჩვენებს, რომ იმ მუშაკების ნაწილი, რომელთაც ა. სმიტი თავისი მეორე განსაზღვრის თანახმად არამწარმოებელ მუშაკებს უწოდებს, მისი პირველი განსაზღვრის მიხედვით მწარმოებელი მუშაკებია.

«ამის გამო უნდა ვიგულისხმოთ, რომ საზოგადოებაში, სადაც მრავალრიცხოვანი მწარმოებელი კლასია, კაპიტალი დიდი რაოდენობითაა დაგროვილი შუამავალთა ან მეწარმეთა ხელში» (ციტირ. თხზ., გვ. 176).

მართლაც: დაქირავებული შრომის მასობრივი არსებობა მხოლოდ კაპიტალის მასობრივი არსებობის სხვა გამოხატულებაა.

«მაშასადამე, მწარმოებელ კლასსა და არამწარმოებელ კლასს შორის შეფარდებას, სმიტის შეხედულებისაგან განსხვავებით, არ განსაზღვრავს კაპიტალსა და შემოსავალს შორის შეფარდება. ამ ორ კლასს შორის შეფარდება გაცილებით უფრო მეტად დამოკიდებულია, როგორც ჩანს, ხალხის ზნეჩვეულებებზე, მისი მრეწველობის განვითარების მეტად თუ ნაკლებად მაღალ დონეზე» (გვ. 177).

თუ მწარმოებელი მუშაკები ისინია, ვისი ხელფასიც კაპიტალიდან გადაიხდება, არამწარმოებელი მუშაკები კი — ისინი, ვისაც ხელფასს შემოსავლიდან უხდიან, მაშინ სავსებით ნათელია, რომ მწარმოებელი კლასი ისე შეეფარდება არამწარმოებელ კლასს, როგორც კაპიტალი შემოსავალს. მაგრამ ორივე კლასის პროპორციული ზრდა დამოკიდებული იქნება არა მარტო კაპიტალის მასასა და შემოსავლის მასას შორის არსებულ შეფარდებაზე. იგი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა პროპორციით გარდაიქმნება მზარდი შემოსავალი (შოგება) კაპიტალად და რა პროპორციით ანაწილდება იგი როგორც შემოსავალი. თუმცა თავდაპირველად ბურჟუაზია

მეტად მომჭირნეა, მაგრამ კაპიტალის მწარმოებლობის, ე. ი. მუშის მწარმოებლობის ზრდასთან ერთად იგი თანდათან ჰბაძავს [358] ფეოდალებს და მთელ ამალებს იჩენს. უკანასკნელი (1861 თუ 1862 წლის) საფაბრიკო ანგარიშის თანახმად, იმ პირთა საერთო რიცხვი (ადმინისტრაციული პერსონალის ჩათვლით), რომლებიც დასაქმებული არიან ფაბრიკებში ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, შეერთებულ სამეფოში შეადგენდა მხოლოდ 775534 * კაცს, მაშინ როდესაც შინამსახური ქალების რიცხვი მარტო ინგლისში 1 მილიონს შეადგენდა. კარგია, თქვენმა მზემ, ის წესწყობილება, რომელიც ახალგაზრდა ქალიშვილს ღონემიხდილობამდე ამუშავებს ფაბრიკაში ყოველდღე 12 საათს იმისათვის, რათა მისი ფასგადაუხდელი შრომის ნაწილით მეფაბრიკემ შეძლოს თავისი პირადი მომსახურებისათვის სამსახურში აიყვანოს მისი და მოახლედ, მისი ძმა გრუმად, მისი ბიძაშვილი კი ჯარისკაცად ან პოლიციელად!

გარნიეს უკანასკნელი დამატება უმსგავსო ტავტოლოგიაა. მწარმოებელ კლასსა და არამწარმოებელ კლასს შორის შეფარდება დამოკიდებული არ არისო, ამბობს იგი, კაპიტალისა და შემოსავლის შეფარდებაზე ანდა, უფრო ზუსტად, კაპიტალის ფორმით დასახარჯ საქონელთა მასისა და შემოსავლის ფორმით დასახარჯ საქონელთა მასის შეფარდებაზე, — არამედ (!?) ხალხის ზნეობასა და ჩვეულებებზე, მისი მრეწველობის განვითარების დონეზე. მართლაც, კაპიტალისტური წარმოება ჩნდება მრეწველობის განვითარების მხოლოდ გარკვეულ საფეხურზე.

როგორც ბონაპარტისტი სენატორი, გარნიე ოცნებობს, რასაკვირველია, ლაქიებზე და საერთოდ მსახურებზე:

«პირთა თანაბარი რიცხვის პირობებში შინამსახურნი ყველა სხვა კლასზე უფრო მეტად უწყობენ ხელს შ ე მ ო ს ა ვ ლ ი დ ა ნ მიღებული თანხების კაპიტალად გადაქცევას» (გვ. 181).

სინამდვილეში არც ერთი კლასი არ გამოყოფს წვრილი ბურჟუაზიის უფრო ულირს ნაწილს, ვიდრე შინამსახურნი. გარნიეს არ ესმის, თუ როგორ მოხდა, რომ სმიტი, «ასეთი განმეორებელობის მქონე ადამიანი», არ აძლევს უფრო მაღალ შეფასებას

«ამ შუამავალს, რომელიც მიჩენილი ჰყავს მდიდარს, რათა ა კ რ ი ფ ო ს ნარჩენები ამ შემოსავლისა, რასაც მდიდარი ასე უდარდელად ფლანგავს» და ა. შ. (ციტირ. თხზ., გვ. 183).

* 1861 წლის 24 აპრილის „Return to an Address of the House of Commons» (დაიბეჭდა 1862 წლის 11 თებერვალს).

მაგრამ გარნიე თვითვე ლაპარაკობს აქ, რომ შუამავალი «კრეფს» მხოლოდ «შემოსავლის» ნარჩენებს. რისგან შედგება ეს შემოსავალი? მწარმოებელი მუშების ფასგადაუხდელი შრომისაგან.

სმიტის წინააღმდეგ მიმართული მთელი ამ ყოვლად უვარგისი პოლემიკის შემდეგ გარნიე ფიზიოკრატიზმში ვარდება და ერთადერთ მწარმოებლურ შრომად საჭიწათმოქმედო შრომას აცხადებს! და რატომ? იმიტომ, რომ იგი

«ქმნის კიდევ ახალ ღირებულებას, ღირებულებას, რომელიც არ არსებობდა საზოგადოებაში — ეკვივალენტის სახითაც კი — იმ მომენტში, როცა აღნიშნული შრომის მოქმედება დაიწყო, და სწორედ ეს ღირებულება აძლევს მიწის შესაკუთრეს რენტას» (ციტირ. თხზ., გვ. 184).

მაშასადამე, რა არის მწარმოებლური შრომა? ეს არის შრომა, რომელიც ქმნის ზედმეტ ღირებულებას, ახალ ღირებულებას იმ ეკვივალენტის გარდა, რომელსაც იგი ხელფასის სახით ღებულობს. და სმიტი არაა დამნაშავე, თუ გარნიეს არ ესმის, რომ კაპიტალის გაცვლა შრომაზე მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ საქონელი მოცემული ღირებულებისა, რომელიც შრომის მოცემულ რაოდენობას უდრის, გაიცვლება შრომის უფრო მეტ რაოდენობაზე, ვიდრე თვით ამ საქონელშია მოქცეული, და ამ გზით «იქმნება ახალი ღირებულება, რომელიც არ არსებობდა საზოგადოებაში — ეკვივალენტის სახითაც კი — იმ მომენტში, როცა ამ შრომის მოქმედება დაიწყო». [VIII—358]

* * *

[IX — 400] ბატონმა ე. გარნიემ 1796 წელს პარიზში გამოსცა «Abrégé élémentaire des Principes de l'Economie Politique». იმ ფიზიოკრატულ შეხედულებასთან ერთად, რომ მხოლოდ მიწათმოქმედებაა მწარმოებლური, ჩვენ ვხვდებით აქ მეორე შეხედულებასაც (რომელიც კარგად გვიხსნის მის პოლემიკას ა. სმიტის წინააღმდეგ), სახელდობრ, რომ მოხმარება (უხვად წარმოდგენილი «არამწარმოებელი მუშაკების მიერ») წყაროა წარმოებისა და რომ უკანასკნელის ოდენობა პირველის ოდენობით იზომება. არამწარმოებელი მუშაკები აკმაყოფილებენ «ხელოვნურ მოთხოვნილებებს» და მოიხმარენ მატერიალურ პროდუქტებს, — ამრიგად, ისინი ყოველმხრივ სასარგებლონი არიანო. ამიტომ იგი კამათობს აგრეთვე ეკონომიის (მომჭირნეობის) წინააღმდეგ. მისი წინასიტყვაობის XIII გვერდზე ვკითხულობთ:

«ცალკეული პირის სიმდიდრე დიდდება დაშზოგველობის მეშვეობით, საზოგადოებრივი სიმდიდრე, პირიქით, იზრდება მოხმარების გადიდების შედეგად».

240 გვერდზე კი, იმ თავში, სადაც სახელმწიფო ვალებზეა ლაპარაკი, გარნიე აცხადებს:

«მიწათმოქმედების გაუმჯობესებასა და გაფართოებას, მაშასადამე, მრეწველობისა და ვაჭრობის პროგრესსაც არავითარი სხვა მიზეზი არა აქვთ, ეარდა ხელოვნურ მოთხოვნილებათა გაფართოებისა».

აქედან იგი დაასკვნის, რომ სახელმწიფო ვალები მეტად სასარგებლოა, რადგან ისინი ადიდებენ ამ მოთხოვნილებებს[69]. (IX—400)

* * *

[IX—421] შმალცი. მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის სმიტისეული განსხვავების წინააღმდეგ მიმართულ თავის კრიტიკაში ფიზიოკრატიის ეს გერმანელი ნაბოლარა ამბობს (მისი წიგნის გერმანული გამოცემა გამოვიდა 1818 წელს):

«შევნიშნავ მხოლოდ,.. მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის სმიტისეული განსხვავება არ უნდა განვიხილოთ როგორც არსებითი და უაღრესად ზუსტი, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საერთოდ სხვა ადამიანთა შრომა ჩვენთვის მუდამ მხოლოდ დროის ეკონომიას აწარმოებს და ეს დროის ეკონომია არის ყველაფერი, რაც შრომის ღირებულებასა და მის ფასს შეადგენს».

[აქ მისი მსჯელობა არეულ-დარეულია: საქმის ვითარება ისეთი კი არაა, რომ შრომის დანაწილებით გამოწვეული დროის ეკონომია განსაზღვრავს საგნის ღირებულებასა და ფასს, არამედ ისეთია, რომ იგივე ღირებულება მოიცავს მეტ სახმარ ღირებულებას, შრომა უფრო მწარმოებლური ხდება, რადგან ერთსა და იმავე დროს პროდუქტის უფრო მეტი რაოდენობა იქმნება; მაგრამ მას, როგორც ფიზიოკრატიზმის ნაგვიანებ გამოძახილს, არ შეუძლია ღირებულება თვით სამუშაო დროში მონახოს.]

«დურგალი, მაგალითად, მაგიღას: რომ მიკეთებს, და მოსამსახურე, ჩვენი წერილები რომ მიაქვს ფოსტაში, ტანსაცმელს რომ მიწმენდს და ჩემთვის საჭირო ნივთებს რომ შოულობს, — ისინი ორთავენი ანსოლუტურად ერთგვარი ხასიათის სამსახურს მიწევენ: ერთიც და მეორეც მიზოგავს როგორც იმ დროს, რომელიც ამ ამ საქმეზე უნდა დამეხარჯა, ისე იმ დროსაც, რომელიც უნდა დამეხარჯა ამგვარი საქმის შესასრულებლად საჭირო ჩვეულა და უნარის შესა-

ძენად" (Schmalz. Economie Politique, traduit par Henri Jouffroy etc., 1826, ტომი I, გვ. 304).

ამ მჯღაბნელ შმალცთან* ჩვენ ვნახულობთ კიდევ შემდეგ შენიშვნას, რომელიც მნიშვნელოვანია იმის გასაგებად, თუ — მაგალითად, გარნიესთან — როგორ უკავშირდება მოხმარებისა (და მფლანგველობის ეკონომიური სარგებლიანობის) მისი სისტემა ფიზიოკრატიას:

«ეს სისტემა» (კენეს სისტემა) «დამსახურებად უთვლის ხელოსნებს და იმათაც კი, ვინც მხოლოდ მოიხმარს, მათს მოხმარებას იმ საფუძველით, რომ იგი ხელს უწყობს, თუმცაღა არაპირდაპირი გზით, ეროვნული შემოსავლის გადიდებას, რადგან ამ მოხმარების გარეშე მიწა მოხმარებულ საგნებს ვერ აწარმოებდა და მათი მიმატება მიწის მესაკუთრის შემოსავლისადმი შეუძლებელი იქნებოდა» (იქვე, გვ. 321[70]. (IX—421).

[8)] შარლ განილი [მერკანტილისტური შეხედულება გაცვლასა და საცვლელ ღირებულებაზე. ყოველი დაქირავებული შრომის შეტანა მწარმოებლური შრომის ცნებაში]

[VIII—358] მეტად სუსტი და ზერელედ შეთითხნილია შ. განილის «Des Systémes d'économie politique». პირველი გამოცემა გამოვიდა პარიზში 1809 წელს; მეორე — 1821 წელს (ციტატებს ვიძლევი ამ უკანასკნელის მიხედვით). მისი უაზრო ყბედობა უშუალოდ უერთდება გარნიესას, რომლის წინააღმდეგაც იგი კამათობს.

{ კანარი შრომაში «Principes d'économie politique» განსაზღვრავს «სიმდიდრეს როგორც ნამეტი შრომის დაგროვებას»[71]. მას რომ ეთქვა, სიმდიდრე არის შრომა, რომელიც შეადგენს მუშის როგორც ასეთის სიცოცხლის შესანარჩუნებლად საჭირო შრომაზე გადანამეტსო, მაშინ ეს განსაზღვრა სწორი იქნებოდა. }

ბატონ განილის ამოსავალი წერტილი ის ელემენტარული დებულებაა, რომ საქონელი წარმოადგენს ბურჟუაზიული სიმდიდრის ელემენტს, ე. ი. იმისათვის, რომ სიმდიდრე აწარმოოს, შრომამ უნდა

* ორიგინალში უთარმგნელი კალამბური გვ-ქვს გვ-რის — შმალცის მიმართ: Schmalzschmiertopf (Schmalz — ქონი, Schmiertopf — მოითხვნელი, თხუანია). რედ.

აწარმოოს საქონელი, უნდა გაყიდოს თავისი თავი ან თავისი პროდუქტი.

«ცივილიზაციის თანამედროვე მდგომარეობაში შრომა ცნობილია ჩვენთვის მხოლოდ გაცვლის მეშვეობით» (დასახელ. თხზ., ტომი 1, გვ. 79). «გაცვლის გარეშე შრომას არ შეუძლია არავითარი სიმდიდრის წარმოება» (გვ. 81).

აქედან ბატონი განილი მყისვე აკეთებს ნახტომს მერკანტილისტურ სისტემაში. რადგან გაცვლის გარეშე შრომა ბურჟუაზიულ სიმდიდრეს არ აწარმოებს, ამიტომ «სიმდიდრეს წარმოშობს მხოლოდ ვაჭრობა» (გვ. 84). ანდა, როგორც ის შემდეგ ლაპარაკობს:

«მხოლოდ გაცვლა, ანუ ვაჭრობა, ანიჭებს ნივთებს ღირებულებას» (გვ. 98). ამ «ღირებულებისა და სიმდიდრის იგივეობის პრინციპზეა... დამყარებული მოძღვრება საყოველთაო შრომის ნაყოფიერებაზე», (ციტირ. თხზ., გვ. 93).

განილი თვით აცხადებს, რომ

[359] «სავაჭრო სისტემას, რომელსაც განილი მონეტარული სისტემის უბრალო «სახეცვლებას» უწოდებს, «კერძო და საერთო სიმდიდრე გამოჰყავს შრომის საცვლელ ღირებულებათაგან, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ღირებულებანი ფიქსირებული მატერიალურ, ხანგრძლივ და უცვლელ საგნებში» (გვ. 95).

ამრიგად, იგი უბრუნდება მერკანტილისტური სისტემის წარმოდგენებს, მსგავსად იმისა, როგორც გარნიე უბრუნდება ფიზიოკრატული სისტემის წარმოდგენებს. მისი ყოვლად უვარგისი ლაყბობა ფრიად გამოსადეგია ამიტომ მერკანტილისტური სისტემისა და «ზედმეტ ღირებულებაზე» ამ სისტემის შეხედულებათა დახასიათებისათვის, განსაკუთრებით იმიტომ, რომ განილი ამ შეხედულებებს აყენებს სმიტის, რიკარდოს და ა. შ. წინააღმდეგ.

სიმდიდრე საცვლელი ღირებულებაა; ამიტომ ყოველი შრომა, რომელიც საცვლელ ღირებულებას აწარმოებს ანდა რომელსაც თვით გააჩნია საცვლელი ღირებულება, აწარმოებს სიმდიდრეს. ერთადერთი სიტყვა, რომელიც გვიჩვენებს, რომ განილი ცოტა უფრო ღრმად იხედება მოვლენებში, ვიდრე სხვა მერკანტილისტები, ესაა ტერმინი «ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო შრომა» [travail général]. ცალკეული პირის შრომამ, ანუ, უფრო სწორად, პასი შრომის პროდუქტმა უნდა მიიღოს საყოველთაო შრომის ფორმა. მხოლოდ ამ გზით იქცევა შრომის პროდუქტი საცვლელ ღირებულებად, ფ უ ლ ა დ ფაქტიურად განილი უბრუნდება იმ შეხედულებას, რომ სიმდიდრე არის ფული; მაგრამ განილისათვის სიმდიდრეა უკვე არა მარტო ოქ-

რო და ვერცხლი, არამედ თვით საქონელიც, რამდენადაც იგი წარმოადგენს ფ ულ ს. განილი ამბობს:

«ს ა ვ ა ჭ რ ო ს ი ს ტ ე მ ა, ანუ ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო შ რ ო მ ი ს ღირებულებათა გაცვლა» (გვ. 98).

უკანასკნელი გამოთქმა უაზროა: პროდუქტი არის ღირებულება როგორც საყოველთაო შრომის მყოფობა, როგორც ამ შრომის განსახიერება და არა როგორც «საყოველთაო შრომის «ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა», რაც არსებითად უდრის გამოთქმას: ღირებულების ღირებულება. მაგრამ დავუშვათ, რომ საქონელი ჩამოყალიბებულია როგორც ღირებულება, ვთქვათ, მან მიიღო კიდეც, თუ გნებავთ, ფულის ფორმა, განვლო თავისი მეტამორფოზი. ახლა იგი საცვლელი ღირებულებაა. მაგრამ როგორია მოცემული საქონლის ღირებულების სიდიდე? საცვლელი ღირებულებაა ყველა საქონელი. ამით არ განსხვავდება ერთი საქონელი მეორისაგან. მაგრამ რა განსაზღვრავს მოცემული საქონლის საცვლელ ღირებულებას? აქ განილი ვეღარ შორდება მოვლენათა ყველაზე უხეშ გარეგნულ ფორმას. საქონელი *A* არის უფრო დიდი საცვლელი ღირებულება, თუ იგი *B*, *C*, *D* და ა. შ. საქონელთა დიდ რაოდენობაზე იცვლება.

სავსებით მართებულია რიკარდოსა და პოლიტიკური ეკონომიის სხვა მკვლევართა უმრავლესობის წინააღმდეგ მიმართული შენიშვნა განილისა, რომ ისინი, შრომის განხილვისას უყურადღებოდ ტოვებენ გაცვლას, თუმცა მათი სისტემა, როგორც მთელი ბურჟუაზიული სისტემაც, საცვლელ ღირებულებაზეა დამყარებული. მაგრამ ისინი ასე იქცეოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ პროდუქტის საქონ ლური ფ ო რ მ ა მათ თავისთავად გასაგებად ეჩვენებოდათ და ისინიც ამიტომ მხოლოდ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ს ი დ ი დ ე ს განიხილავდნენ. ცალკეულ ინდივიდთა პროდუქტები გაცვლაში ავლენენ თავიანთ თავს როგორც პროდუქტები საყოველთაო შრომისა მხოლოდ იმის მეოხებით, რომ ისინი წარმოგვიდგებიან ხოლმე ფ ულ ი ს სახით. ეს შეფარდებითობა კი უკვე იქიდან გამომდინარეობს, რომ ამ პროდუქტებმა თავიანთი თავი უნდა გამოავლინონ საყოველთაო შრომის მყოფობის სახით და ისინი დაყვანილ უნდა იქნენ ამ შრომაზე მხოლოდ როგორც შეფარდებითი, მხოლოდ რაოდენობრივად განსხვავებული გამოხატულებანი საზოგადოებრივი შრომისა. მაგრამ თვით გაცვლა როდი აძლევს მათ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ს ი დ ი დ ე ს. გაცვლაში ისინი წარმოდგენილი არიან როგორც საყოველთაო საზოგადოებრივი შრომა, ხოლო თუ რამდენად შეუძლიათ მათ ასეთად

თავიანთი თავის გამოვლენა, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ზომით ძალუძთ მათ გამოავლინონ თავიანთი თავი როგორც საზოგადოებრივი შრომა, ე. ი. დამოკიდებულია იმ საქონელთა რიცხვზე, რომლებზეც მათი გაცვლა შეიძლება, მაშასადამე, ბაზრის, ვაჭრობის მოცულობაზე, საქონელთა იმ წყებაზე, რომლითაც ისინი გამოხატავენ თავიანთ თავს საცვლელი ღირებულების სახით. მაგალითად, წარმოების მხოლოდ ოთხი სხვადასხვა დარგი რომ არსებობდეს, მაშინ თვითეული ამ ოთხი მწარმოებლიდან თავისი პროდუქტების მნიშვნელოვან ნაწილს თავისთვის აწარმოებდა. თუკი წარმოების ათასი დარგი არსებობს, თვითეულს შეუძლია მთელი თავისი პროდუქტი საქონლის სახით აწარმოოს. მთელი მისი პროდუქტი შეიძლება მთლიანად შევიდეს გაცვლაში.

მაგრამ განილს მერკანტილისტებთან ერთად წარმოუდგენია, რომ ღ ი რ ებ უ ლ ებ ი ს ს ი დ ი დ ე თ ვ ი თ ა რ ი ს გ ა ც ვ ლ ი ს პ რ ო დ უ ქ ტ ი, მაშინ როდესაც სინამდვილეში პროდუქტები გაცვლის მეშვეობით იღებენ მხოლოდ ღირებულების ფორმას, ანუ ს ა ქ ო ნ ლ ი ს ფორმას.

«გაცვლა აძლევს ნ ი ვ თ ე ბ ს ღირებულებას, რაც უმისოდ მათ არ ექნებოდათ» (გვ. 102).

თუ ეს უნდა ნიშნავდეს: ნ ი ვ თ ე ბ ი, სახმარი ღირებულებანი, ხდებიან ღირებულებად, იღებენ ამ ფორმას მხოლოდ როგორც საზოგადოებრივი შრომის შეფარდებითი გამოხატულებანი, — ეს ტავტოლოგიაა. ხოლო თუ ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ისინი გაცვლის მეშვეობით იღებენ უფრო მეტ ღირებულებას, ვიდრე უმისოდ ექნებოდათ, მაშინ ეს აშკარა უაზრობაა, იმიტომ რომ გაცვლას შეუძლია A საქონლის ღირებულების სიდიდე ასწიოს მხოლოდ მაშინ, თუ დასწევს B საქონლის ღირებულების სიდიდეს. რამდენადაც იგი ადიდებს A საქონლის ღირებულებას შედარებით იმასთან, რაც იგი გაცვლამდე იყო, ამდენადვე ამცირებს იგი B საქონლის ღირებულებას. მაშასადამე, $A+B$ ა ქ ვ თ, რ ო გ ო რ ც გ ა ც ვ ლ ა მ დ ე, ი ს ე გ ა ც ვ ლ ი ს შ ე მ დ ე გ ა ც, ე რ თ ი დ ა ი გ ი ვ ე ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა.

«ყველაზე სასარგებლო პროდუქტებს შეიძლება არ ჰქონდეთ არავითარი ღირებულება, თუ მას გაცვლა არ აძლევს მათ,...».

(უწინარეს ყოვლისა, თუ ეს ნივთები «პროდუქტებია», მაშინ ისინი იმთავითვე შრომის პროდუქტებია და არა ბუნების საყოველ-

თაო ნაბოძები, როგორიცაა ჰაერი და სხვ. თუ ისინი «ყველაზე სასარგებლონი» არიან, მაშინ ისინი სახმარი ღირებულებანია ამ სიტყვის უაღრესი მნიშვნელობით, ისეთი სახმარი ღირებულებანი, რომელნიც ყველას სჭირდება. თუ გაცვლა მათ არავითარ ღირებულებას არ აძლევს, ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, რომ მათ თვითეული თვითონ აწარმოებს თავისავის; მაგრამ ეს ეწინააღმდეგება [360] იმ წანამძღვარს, რომ ისინი იწარმოება გაცვლისათვის; ამრიგად, მთელი წანამძღვარი უაზროა.)

...«ყველაზე უსარგებლო პროდუქტებს კი შეუძლიათ ჰქონდეთ მეტად დიდი ღირებულება, თუ მათ ხელს უწყობს გაცვლა» (გვ. 104).

«გაცვლა» ბატონ განილს რაღაც მისტიკურ პიროვნებად წარმოუდგება. თუ «ყველაზე უსარგებლო პროდუქტები» ყოვლად უვარგისნი არიან, თუ მათ არავითარი სახმარი ღირებულება არ გააჩნიათ, მაშინ ვინღა იყიდის მათ? მყიდველისათვის მათ, მაშასადამე, უნდა ჰქონდეთ ყოველ შემთხვევაში რაიმე, თუნდაც მხოლოდ წარმოსახვითი, «სარგებლიანობა». და ის თუ სულელი არაა, რატომ იყიდის მათ უფრო ძვირად? მაშასადამე, მათს სიძვირეს უნდა იწვევდეს ისეთი გარემოება, რაც ყოველ შემთხვევაში მათი «უსარგებლობიდან» არ გამომდინარეობს. ხომ არაა ეს უკანასკნელი «იშვიათობით» გამოწვეული? მაგრამ განილი მათ «ყველაზე უსარგებლო პროდუქტებს» უწოდებს. ხოლო რაკი ისინი პროდუქტებია, რატომ არ აწარმოებენ მათ უფრო მასობრივი მასშტაბით, მიუხედავად მათი დიდი «საცვლელი ღირებულებისა»? თუ უწინ სულელი იყო მყიდველი, რომელიც ბევრ ფულს იძლეოდა ისეთ რამეში, რასაც თვით მისთვის არც ნამდვილი, არც წარმოსახვითი სახმარი ღირებულება არა აქვს, ახლა სულელის როლშია გამყიდველი, რომელიც არ აწარმოებს ამ უსარგებლო ნივთებს, რომელთა საცვლელი ღირებულებაც დიდია, ნაცვლად სასარგებლო ნივთებისა, რომლებსაც უმნიშვნელო საცვლელი ღირებულება აქვთ. ამრიგად, თუ მათი საცვლელი ღირებულება ასე დიდია მიუხედავად მათი სახმარი ღირებულების უმნიშვნელოობისა (როცა ნავარაუდევია, რომ სახმარი ღირებულება განისაზღვრება ადამიანთა ბუნებრივი მოთხოვნილებებით), მაშინ ეს გაპირობებული უნდა იყოს ისეთი გარემოებით, რომელიც გამომდინარეობს არა ბატონი გაცვლდან, არამედ თვით პროდუქტიდან. მაშასადამე, მისი მაღალი საცვლელი ღირებულება არ არის გაცვლის პროდუქტი, არამედ მხოლოდ გაცვლაში ვლინდება.

«ნამდვილ ღირებულებას შეადგენს ის ღირებულება, რომლის მიხედვით ნივთები უკვე გაცვლილია [Valeur échangée], და არა ის, რომლის მიხედვით მათი გაცვლა ჯერ კიდევ შეიძლება მოხდეს [Valeur échangeable]. ნამდვილი ღირებულება იმასვე ნიშნავს, რასაც სიმდიდრე» (ციტირ. თხზ., გვ. 104).

მაგრამ Valeur échangeable წარმოადგენს მოცემული ნივთის მიმართებას სხვა ნივთებისადმი, რომლებზეც იგი შეიძლება გაიცვალოს. | ამ მსჯელობათა მართებულ საფუძველს წარმოადგენს შემდეგი: საქონლის ფულად გადაქცევის მაძიებელია ის გარემოება, რომ საქონელი შედის გაცვლაში როგორც Valeur échangeable, როგორც საცვლელი ღირებულება, მაგრამ ასეთია იგი მხოლოდ გაცვლის არსებობის შედეგად. | პირიქით, ღირებულება, რომლის მიხედვით *A* უკვე გაიცვალა, არის *B*, *C*, *D* და ა. შ. პროდუქტების გარკვეული რაოდენობა. მაშასადამე, ეს უკვე (ბატონ განილის მიხედვით) ღირებულება კი არაა, არამედ «ნივთი გაცვლის გარეშე». *B*, *C*, *D* და ა. შ. *A*-ზე გაცვლამდე არ იყვნენ «ღირებულებანი». *A* ღირებულება გახდა იმის მეოხებით, რომ მისი ადგილი (როგორც გაცვლილი ღირებულებისა) დაიკავეს ამ არაღირებულებებმა. გამოდის, რომ ეს «ნივთები» ერთბაშად გახდნენ ღირებულებანი ადგილის უბრალო ვამოცვლის გამო, რის შემდეგ ისინი, გამოდიან გაცვლიდან და იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, როგორშიაც უწინ იყვნენ.

«ამრიგად, არც ნამდვილი სარგებლობა ნივთების და არც მათი შინაგანი ღირებულება არ ხდის მათ სიმდიდრეს; მხოლოდ გაცვლა უკეთებს მათ ფიქსაციას და განსაზღვრავს მათს ღირებულებას, და სწორედ ეს ღირებულება უთანატოლებს მათ სიმდიდრეს» (ციტირ. თხზ., გვ. 105).

ბატონი გაცვლა ფიქსაციას უკეთებს და განსაზღვრავს ან ისეთ რამეს, რაც უკვე არსებობდა, ანდა ისეთ რამეს, რაც არ არსებობდა. თუ იგი პირველად ქმნის ნივთთა ღირებულებას, მაშინ ეს ღირებულება, ეს პროდუქტი გაცვლისა, ქრება გაცვლის გაქრობისთანავე. მაშასადამე, რასაც იგი ქმნის, მასვე იმავე ზომით სპობს კიდეც. მე ვცვლი *A*-ს $B+C+D$-ზე. ამ გაცვლის აქტში *A* იძენს ღირებულებას. როგორც კი ეს აქტი დამთავრდა, $B+C+D$ დგანან *A*-ს მხარეზე, *A* კი დგას $B+C+D$-ს მხარეზე. და ისინი დგანან, თვითეული მხარე. თავისთავად, ბატონ გაცვლის გარეშე, რომელიც მხოლოდ ამ ადგილცვლაში მდგომარეობდა. $B+C+D$ არიან ახლა «ნივთები». მაგრამ არა ღირებულება. ასევეა *A*-ც. ანდა გაცვლა «ფიქსაციას უკეთებს და განსაზღვრავს» ამ სიტყვების ნამდვილი აზრით, — იმ აზრით,

რა აზრითაც ძალსაზომი ფიქსაციას უკეთებს და განსაზღვრავს, მაგრამ არ ქმნის, ჩემი კუნთების ძალას. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ღირებულებას არ ქმნის ვაცვლა.

«ცალკეულ პირთათვის და ხალხებისათვის სიმდიდრე ნამდვილად მხოლოდ მაშინ არსებობს, როცა თვითეული ყველასთვის მუშაობს» —

(ე. ი. როცა თვითეულის შრომა წარმოგვიდგება როგორც ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი შ რ ო მ ა. სხვანაირად ეს ფრაზა უაზრობა იქნებოდა, რადგან თუ მხედველობის გარეშე დავტოვებთ საყოველთაო საზოგადოებრივი შრომის ამ ფორმას, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ რკინის მწარმოებელი მუშაობს არა ყველასათვის, არამედ მ ხ ო ლ ო დ რკინის მომხმარებელთათვის) —

«და ყველანი მუშაობენ თვითეულისათვის».

(ეს კვლავ უაზრობაა, თუ ლაპარაკია სახმარ ღირებულებაზე, იმიტომ რომ ყველას პროდუქტები მხოლოდ განსაკუთრებული პროდუქტებია და თვითეულს სჭირდება მხოლოდ გარკვეული განსაკუთრებული პროდუქტები; მაშასადამე, ამის აზრი კვლავ მხოლოდ ისაა, რომ ყოველი განსაკუთრებული პროდუქტი ისეთ ფორმას იღებს, რომლითაც ის ა რ ს ე ბ ობ ს თ ვ ი თ ე უ ლ ი ს ა თ ვ ი ს. ამ ფორმით კი არსებობს არა როგორც «თვითეულის» პროდუქტისაგან განსხვავებული განსაკუთრებული პროდუქტი, არამედ რამდენადაც იგი ცალკეული პროდუქტების იდენტურია; აქ ჩვენ თვალწინ კვლავ საზოგადოებრივი შრომის ის ფორმაა, რომელიც საქონლური წარმოების საფუძველზე წარმოდგება (ციტირ. თხზ., გვ. 108).

[361] ამ განსაზღვრიდან: საცვლელი ღირებულება არის იზოლირებული ინდივიდის შრომის — როგორც საყოველთაო საზოგადოებრივი შრომის — გამოხატულება, — განილი კვლავ უბრუნდება ყველაზე უხეშ წარმოდგენას: საცვლელი ღირებულება არის ის შეფარდება, რომლითაც საქონელი *A* იცვლება *B*, *C*, *D* და ა. შ. საქონელზე. საქონელ *A*-ს საცვლელი ღირებულება დიდია, თუ მასში ბევრ *B*-ს, *C*-ს, *D*-ს იძლევიან; მაგრამ ასეთ შემთხვევაში *B*-ში, *C*-ში, *D*-ში ცოტა *A*-ს იძლევიან. სიმდიდრე შედგება საცვლელი ღირებულებისაგან. საცვლელი ღირებულება ის შეფარდებაა, რომლის მიხედვითაც პროდუქტები ერთიმეორეზე გაიცვლება. ყველა პროდუქტის საერთო ჯამს არა აქვს, მაშასადამე, არავითარი საცვლელი ღირებულება, რადგან იგი არაფერზე არ გაიცვლება. გამოდის, რომ საზოგადოება, რომლის სიმდიდრე სახმარ ღირებულება-

თაგან შედგება, არავითარი სიმდიდრე არ გააჩნია. აქედან კი გამომდინარეობს არა მარტო ის დასკვნა, რომ, — როგორც თვით განილი დაასკვნის, — «ეროვნული სიმდიდრე, რომელიც საცვლელ ღირებულებათაგან შედგება» (გვ. 108), ვერასოდეს ვერ შეძლებს ვერც გადიდებას, ვერც შემცირებას თავისი საცვლელი ღირებულების მიხედვით (მაშასადამე, ა რ ა ი ს ა რ ა ვ ი თ ა რ ი ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა), არამედ აგრეთვე ის დასკვნაც, რომ ამ სიმდიდრეს საერთოდ არა აქვს საცვლელი ღირებულება, მაშასადამე, იგი არც სიმდიდრეს წარმოადგენს, რადგან სიმდიდრე მხოლოდ საცვლელ ღირებულებათაგან შედგება.

«თუ ხორბლის სიუხვის გამო მ ი ს ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა შ ე მ ც ი რ დ ე ბ ა. მაშინ შემცირდება მიწათმოქმედთა სიმდიდრე, რადგან მათ ახლა ნაკლები საცვლელი ღირებულებანი ექნებათ ისეთი ნივთების შესაძენად, რომლებიც საჭირო, სასარგებლო და სასიამოვნო არიან ცხოვრებისათვის; მაგრამ ხორბლის მომხმარებელნი სწორედ იმდენსავე მოიგებენ, რამდენსაც მიწათმოქმედნი დაკარგავენ; ერთთა დანაკარგი ანაზღაურდება მეორეთა მოგებით, და საერთო სიმდიდრე არავითარ ცვლილებას არ განიცდის» (გვ. 108—109).

უკაცრავად! ხორბლის მომხმარებელნი მოიხმარენ ხორბალს და არა ხორბლის საცვლელ ღირებულებას. ისინი გახდნენ უფრო მდიდარნი კვების საგნებით, მაგრამ არა საცვლელი ღირებულებით. მაო ხორბალზე გაცვალეს მცირე რაოდენობა თავიანთი პროდუქტებისა, რომელთაც მაღალი საცვლელი ღირებულება აქვთ იმის გამო, რომ ისინი შეფარდებით ნაკლებია ხორბლის იმ რაოდენობასთან შედარებით, რომელზეც მათი გაცვლა წარმოებს. მიწათმოქმედებმა მიიღეს ახლა მ ა ღ ა ლ ი ს ა ც ვ ლ ე ლ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა, მომხმარებლებმა კი — ბევრი ხორბალი მცირე საცვლელი ღირებულებისა. ასე რომ ახლა ისინი ღარიბები არიან, მიწათმოქმედნი კი — მდიდრები.

შემდეგ, გამოდის, რომ ჯამი (საცვლელ ღირებულებათა საზოგადოებრივი ჯამი) კარგავს თავის თვისებას, საცვლელ ღირებულად ყოფნის თვისებას, იმდენად, რამდენადაც იგი საცვლელ ღირებულებათა ჯამი ხდება. საგნებს *A*, *B*, *C*, *D*, *E*, *F* საცვლელი ღირებულება აქვთ, რამდენადაც ისინი ერთმანეთზე გაიცვლებიან. რაკი მათი გაცვლა უკვე მოხდა, ისინი ყველანი პროდუქტებია თავიანთი მომხმარებლებისათვის, მყიდველთათვის. ერთის ხელიდან მეორის ხელში გადასვლის შედეგად ისინი უკვე აღარ არიან საცვლელი ღირებულებანი. ამით გაქრა საზოგადოების სიმდიდრე, «რომელიც საცვლელ ღირებულებათაგან შედგება». საქონელ *A*-ს

ღირებულება შეფარდებითია; ეს ღირებულება მისი საცვლელი შეფარდებაა B-სთან, C-სთან და ა. შ. $A+B$-ს ნაკლები საცვლელი ღირებულება აქვთ, რადგან მათი საცვლელი ღირებულება უკვე მხოლოდ მათს შეფარდებაშია C-სთან, D-სთან, E-სთან, F-თან. A-ს, B-ს, C-ს, D-ს. E-ს, F-ს ჯამს კი სრულიად არავითარი საცვლელი ღირებულება არა აქვს, რადგან იგი არავითარ შეფარდებას არ გამოხატავს. საქონელთა ჯამი არ იცვლება სხვა საქონელზე. მაშასადამე, საზოგადოების სიმდიდრეს, საცვლელ ღირებულებათა-გან რომ შედგება, არავითარი საცვლელი ღირებულება არა აქვს და ამიტომ იგი არ არის სიმდიდრე.

«აქედან წარმოდგება ის, რომ ქვეყნისათვის ძნელია და, იქნებ, შეუძლებელიც კი, შინავაჭრობის მეშვეობით გამდიდრება. რამდენადმე სხვა მდგომარეობაში იმყოფებიან ხალხები, რომლებიც საგარეო ვაჭრობას ეწევიან» (ციტირ. თხზ., გვ. 109).

ეს არის ძველი მერკანტილიზმი. ღირებულებას შეადგენს ის, რომ მე ვღებულობ არა უბრალოდ ეკვივალენტს, არამედ ეკვივალენტზე მეტს. მაგრამ ამავე დროს განილისათვის არ არსებობს არავითარი ეკვივალენტი, — ეკვივალენტი ხომ იმას გულისხმობს, რომ საქონელ A-ს ღირებულება და საქონელ B-ს ღირებულება განისაზღვრება არა A-ს მიმართებით B-სთან ან B-ს მიმართებით A-სთან, არამედ ისეთი რაიმე მესამეთ, რაშიც A და B იდენტურნი არიან. თუკი ეკვივალენტი არ არის, მაშინ არ არის არც ეკვივალენტის გადანამეტი. რკინაში უფრო ნაკლებ ოქროს ვიღებ, ვიდრე ოქროში რკინას. ახლა მე მაქვს მეტი რკინა, რაშიც ნაკლებ ოქროს ვიღებ. მაშასადამე, თუ მე თავდაპირველად იმის გამო ვიგებდი, რომ ოქროს უფრო ნაკლები რაოდენობა რკინის უფრო მეტ რაოდენობას უთანაბრდება, ახლა მე იმდენსავე ვკარგავ, რადგან რკინის უფრო მეტი რაოდენობა ოქროს უფრო ნაკლებ რაოდენობას უთანაბრდება.

* * *

«ყოველი შრომა, როგორიც არ უნდა იყოს მისი ბუნება, სიმდიდრეს აწარმოებს, თუ ვიგულისხმებთ მხოლოდ, რომ მას აქვს საცვლელი ღირებულება» (ციტირ. თხზ., გვ. 111). «გაცვლა ანგარიშს არ უწევს არც პროდუქტების რაოდენობას, არც მათს მატერიალურობას, არც მათს ხანგრძლივობას» (ციტირ. თხზ., გვ. 121). «ყველა» (სახეობა შრომისა) «თანაბრად მწარმოებლურია იმ აზრით, რომ ისინი აწარმოებენ იმ ჯამს, რაზეც მათი გაცვლა მოხდა» (გვ. 121—122).

ჯერ ისინი გამოცხადებულია როგორც თანაბრად მწარმოებლურნი აღნიშნული ჯამის, ე. ი. მათში გადახდილი ფასის (მათი ხელფასის ღირებულების) ანაზღაურების აზრით. მაგრამ განილი მაშინვე კიდევ შემდგომ ნაბიჯს დგამს. არამატერიალური შრომა, აცხადებს ის, აწარმოებს იმ მატერიალურ პროდუქტს, რომელზეც იგი გაიცვლება, ასე რომ გვეჩვენება, რომ მატერიალურმა შრომამ არამატერიალური შრომის პროდუქტი აწარმოვა.

[362] «არ არის არავითარი განსხვავება იმ მუშის შრომასა, რომელიც კარადას ამზადებს და მასზე გაცვლით შეფელ ხორბალს იღებს, და იმ მოხეტიალე მუსიკოსის შრომას შორის, რომელიც თავის შრომაში შეფელ ხორბალს იღებს. ერთ შემთხვევაში გვაქვს შეფელი ხორბალი, რომელიც აწარმოვეს კარადის ასანაზღაურებლად, მეორე შემთხვევაში კი — შეფელი ხორბალი, წარმოებული იმ სიამოვნების ასანაზღაურებლად, რასაც მოხეტიალე მუსიკოსი მოგვგვრის. მართალია, დურგლის მიერ შეფელი ხორბლის მოხმარების შემდეგ რჩება კარადა, მას შემდეგ კი, რაც მუსიკოსმა თავისი შეფელი ხორბალი მოიხმარა, ეროფერი არ რჩება. მაგრამ ასეთსავე მდგომარეობაშია ბეური შრომა, რომლებიც მწარმოებლურად ითვლება!... ამა თუ იმ შრომის ნაყოფიერების თუ უნაყოფობის შესახებ მსჯელობენ არა იმის მიხედვით, თუ რა რჩება მოხმარების შემდეგ, არამედ გაცვლის ან იმ წარმოების მიხედვით, რასაც ეს შრომა დასაბამს აძლევს. და რადგან მუსიკოსის შრომა, ისევე როგორც დურგლის, შეფელი ხორბლის წარმოების მიზეზია, ამიტომ ორთავეს შრომის ნაყოფიერება თანაბრად იწომება ერთი შეფელი ხორბლით, თუმცა ერთი მათგანის შრომა, მისი დამთავრების შემდეგ, არ ფიქსირდება და არ საგნობრივდება რაიმე ხანგრძლივ საგანში, მეორის შრომა კი ასეთ საგანში ფიქსირდება და საგნობრივდება» (ციტირ. თხზ., გვ. 122—123).

«ა. სმიტს სურდა შეეცილებინა იმ მუშაკების რიცხვი, რომელთა შრომას სარგებლობა არ მოაქვს, იმისათვის, რომ გაედიდებინა სასარგებლო შრომით დასაქმებული მუშაკების რიცხვი; მაგრამ ასეთი შეხედულების მომხრეებმა მხედველობიდან გაუშვეს, რომ თუ ეს სურვილი განხორციელდებოდა, მაშინ შეუძლებელი გახდებოდა ყოველგვარი სიმდიდრე, რადგან მწარმოებლებს არ ეყოფოდათ მომხმარებლები და მოუხმარებელი გადანამეტი ალარ იკვლაეწარმოებოდა. მწარმოებელი კლასები უსასყიდლოდ როდი აძლევენ თავიანთი შრომის პროდუქტებს იმ კლასებს, რომელთა შრომაც მატერიალურ პროდუქტებს არ ქმნის».

(ამრიგად, აქ იგი მაინც თვითონ განასხვავებს მატერიალური პროდუქტების მწარმოებელ შრომასა და შრომის ისეთ სახეობებს, რომლებიც ასეთ პროდუქტებს არ აწარმოებენ).

«ისინი აძლევენ მათ თავიანთ პროდუქტებს, რომლებსაც . ცვლიან მათგან მისაღებ კეთილმოწყობის საგნებზე, სიამოვნებაზე, განცხრომაზე, ხოლო იმისათვის, რომ თავიანთი პროდუქტების მიცემის შესა-

ძლებლობა ჰქონდეთ, ისინი იძულებულნი არიან ეს პროდუქტები აწარმოონ. შრომის მატერიალური პროდუქტები რომ შრომის იმ სახეობათა ანაზღაურებას არ ხმარდებოდეს, რომლებიც მატერიალურ პროდუქტებს არ ქმნიან, მაშინ ისინი ვერ მოინახავენ თავიანთ მომხმარებლებს, და მათი კეთილდღეობა შეწყდებოდა. ამიტომ შრომის ის სახეობანი, რომლებიც სიამოვნებებს აწარმოებენ, ისევე ქმედითად მონაწილეობენ წარმოებაში, როგორც ის შრომა, რომელიც ყველაზე მწარმოებლური შრომად ითვლება» (ციტირ. თხზ., გვ. 123—124).

«კეთილმოწყობილი ცხოვრება, სიამოვნებანი ან განცხრომანი, რომელთაც ისინი» (ხალხები) «ესწრაფვიან, თითქმის ყოველთვის მიჰყვებიან მათი ანაზღაურებისათვის საჭირო პროდუქტებს, და ისინი წინ არ მიუძღვიან მათ» (ციტირ. ადგ., გვ. 125).

(მაშასადამე, ისინი, ჩანს, უფრო შედეგი არიან, ვიდრე მიზეზი «მათი ანაზღაურებისათვის საჭიროს» პროდუქტებისა.)

«სხვაგვარადაა საქმის ვითარება, როცა შრომის ის სახეობანი, რომლებიც სიამოვნებას, ფუფუნებას ან მდიდრულ ცხოვრებას ემსახურებიან, არაა გამოწვეული მწარმოებელი კლასების მოთხოვნით» (აქ განილი, მაშასადამე, თვით აკეთებს ამ განსხვავებას), «მაგრამ ეს კლასები მიუხედავად ამისა იძულებულნი არიან ანაზღაურონ შრომის ეს სახეობანი და სათანადო ოდენობით შეკვეცონ თავიანთი მოთხოვნილებანი. ასეთ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, რომ ასეთი იძულებითი გადახდა არ იწვევს პროდუქტთა რაოდენობის არავითარ გადიდებას» (გვ. 125). «ამ შემთხვევის გამოკლებით... ყოველი შრომა აუცილებლობით მწარმოებლურია და მეტნაკლებად ხელს უწყობს საერთო სიმდიდრის შექმნასა და ზრდას, რადგან იგი აუცილებლად იწვევს იმ პროდუქტების წარმოებას, რომლებიც მას ანაზღაურებენ» (ციტირ. თხზ., გვ. 126).

{ ამრიგად, «შრომის არამწარმოებლური სახეობანი», ამის მიხედვით, მწარმოებლურნი არიან არა იმიტომ, რომ ისინი რაიმედ ღირან, ე. ი. არა მათი საცვლელი ღირებულების გამო, და არა იმიტომ, რომ ისინი აწარმოებენ გარკვეულ სიამოვნებას, ე. ი. არა მათი სახმარი ღირებულების გამო, არამედ იმიტომ, რომ ისინი მწარმოებლურ შრომას ეწევიან. }

} თუ, ა. სმიტის მიხედვით, მწარმოებლურია ის შრომა, რომელიც უშუალოდ კაპიტალზე გაიცვლება, მაშინ მხედველობაში მისაღებია, გარდა ფორმისა, აგრეთვე შრომაზე გასაცვლელი კაპიტალის ნივთობრივი შემადგენელი ნაწილებიც. ეს კაპიტალი დაიყვანება აუცილებელ საარსებო საშუალებებზე — მაშასადამე, მეტწილად საქონელზე, მატერიალურ ნივთებზე. ის, რაც მუშამ ამ ხელფასიდან სახელმწიფოს დი ეკლესიას უნდა გადაუხადოს, გამონაკლებია იმ მომსახურებისათვის, რაც მას თავს მოახვიეს; ის კი, რასაც იგი

აღზრდაზე ხარჯავს, სრულიად უმნიშვნელოა; იმ შემთხვევებში, როცა ის ამ ხარჯს ეწევა, ეს დანახარჯი მწარმოებლურია, რადგან აღზრდა აწარმოებს სამუშაო ძალას; ის, რასაც იგი ექმიების, ადვოკატების, ხუცების მომსახურებაზე ხარჯავს, — ეს მისი ბედუკუღმართობაა; რჩება კიდევ არამწარმოებლური შრომის თუ მომსახურებათა მცირეოდენი სხვა სახეობანი, რაზეც მუშის ხელფასი იხარჯება, მაგრამ ისინი ძალზე ცოტაა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ მოხმარებასთან დაკავშირებულ სამუშაოებს (საჭმლის მომზადება, საცხოვრებელი ბინის სუფთად შენახვა, უმრავლეს შემთხვევაში ყოველი სახის რემონტიც კი) მუშა თვითონ ასრულებს.

უაღრესად დამახასიათებელია განილის შემდეგი გამოთქმები:

«თუ გაცვლა შინამსახურის შრომას 1000 ფრანკის ღირებულებას ანიჭებს, იმ დროს, როდესაც მიწათმოქმედის ან მრეწველობის მუშის შრომას იგი მხოლოდ 500 ფრანკის ღირებულებას ანიჭებს, მაშინ აქედან უნდა დავასკვნათ, რომ შინამსახურის შრომა ორჯერ უფრო მეტად უწყობს ხელს სიმდიდრის წარმოებას, ვიდრე მიწათმოქმედის ან მრეწველობის მუშის შრომა; სხვანაირად არც შეიძლება, სანამ შინამსახურის შრომა საზღვრად ორჯერ უფრო მეტ მატერიალურ პროდუქტებს იღებს, ვიდრე მიწათმოქმედის ან მრეწველობის მუშის შრომა. როგორღა შეიძლება იმის დაჯერება, რომ სიმდიდრეს წარმოშობს შრომა, რომელსაც ყველაზე მცირე ღირებულება აქვს და რომელშიც ყველაზე დაბალ. საზღაურს იძლევიანს» (ციტირ. თხზ., გვ. 293—294).

[363] თუ მრეწველობის ან მიწათმოქმედების მუშის ხელფასი 500 ფრანკს უდრის, მის მიერ შექმნილი ზედმეტი ღირებულება კი (მოგება და რენტა) 40%-ს შეადგენს, მაშინ ასეთი მუშის «წმინდა პროდუქტი» 200 ფრანკს უდრის და საჭირო იქნებოდა 5 ასეთი მუშის შრომა, რათა 100 ფრანკის რაოდენობის მსახურის ხელფასი ეწარმოებინა. თუკი ბატონი გაცვლა იმას მოისურვებდა, რომ შინამსახურის ნაცვლად ხასა ეყოლა თავისთვის 10000 ფრანკად წელიწადში, მაშინ ამისათვის საჭირო იქნებოდა 50 ასეთი მწარმოებელი მუშის «წმინდა პროდუქტი». მაგრამ რადგან ხასას მისი არამწარმოებლური შრომა მოუტანს საცვლელ ღირებულებას, ხელფასს, ოცჯერ უფრო მეტს, ვიდრე მწარმოებელი მუშაკების ხელფასია, ამიტომ, განილის აზრით, ეს პიროვნება ოცჯერ უფრო მეტად უწყობს ხელს «სიმდიდრის წარმოებას», და ესა თუ ის ქვეყანა მით უფრო მეტ სიმდიდრეს აწარმოებს, რაც უფრო მაღალ ხელფასს აძლევს იგი თავის შინამსახურებსა და ხასებს. ბატონ განილს ავიწყდება, რომ მხოლოდ სამრეწველო და სამიწათმოქმედო შრომის ნაყოფიერება, რომ საერთოდ მხოლოდ ის გადანამეტი, რასაც

მწარმოებელი მუშაკები ქმნიან, მაგრამ რაშიც მათ ფასს არ უხდიან, იძლევა არამწარმოებელი მუშაკების ასანაზღაურებელ ფონდს. მაგრამ განილის გაანგარიშება ასეთია: 1000 ფრანკი ხელფასი და მისი ეკვივალენტი შინამსახურის ან ხასის შრომის ფორმით ერთად შეადგენენ 2000 ფრანკს. სინამდვილეში კი შინამსახურთა და ხასათა ღირებულება, ე. ი. მათი წარმოების ხარჯები, მთლიანად დამოკიდებულია მწარმოებელი მუშაკების «წმინდა პროდუქტზე». მასზეა დამოკიდებული თვით არსებობა შინამსახურთა და ხასათა როგორც ადამიანთა განსაკუთრებული კატეგორიისა. მათს ფასსა და მათს ღირებულებას შორის ცოტა რამ არის საერთო.

მაგრამ დავუშვათ თუნდაც, რომ შინამსახურის ღირებულება (წარმოების ხარჯები) ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე მწარმოებელი მუშის ღირებულება, ანუ წარმოების ხარჯები. მაშინ უნდა შევნიშნოთ, რომ მუშის მწარმოებლობა (ისევე როგორც მანქანის მწარმოებლობაც) და მუშის ღირებულება — სრულიად განსხვავებული საგნებია, რომელნიც ერთმანეთთან პირუკუ მიმართებაშიც კი იმყოფებიან. ღირებულება, რაც ესა თუ ის მანქანა ჯდება, ყოველთვის მინუსია მისი მწარმოებლობის მიმართ.

«ამაოდ აყენებენ აქ შემდეგ საწინააღმდეგო მოსაზრებას: თუ შინამსახურთა შრომა იმდენადვე მწარმოებლურია, რამდენადაც მიწათმოქმედთა და მრეწველობის მუშაკთა შრომა, მაშინ გაუგებარია, რატომ არ შეიძლებოდა ქვეყნის საერთო დანაზოგის მოხმარება შინამსახურთა შესანახად, ისე, რომ ეს დანაზოგი არა თუ არ იფლანგებოდეს, არამედ მისი ღირებულება მუდამ დიდდებოდეს კიდეც. ეს შედავება მხოლოდ იმიტომ გვეჩვენება მართებულად, რომ იგი ემყარება იმის ეარაუდს, თითქოს ყოველი შრომის ნაყოფიერება შედეგია მისი თანმდევნაწილეობისა მატერიალური საგნების წარმოებაში, თითქოს მატერიალური წარმოება ქმნის სიმდიდრეს და თითქოს წარმოება და სიმდიდრე სავსებით იდენტური არიან. ივიწყებენ, რომ ყოველი წარმოება რომელიც გნებავთ პროდუქტებისა სიმდიდრეა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს პროდუქტები მოიხმარება»*, «და რომ

* [ამიტომ იგივე ვაჟბატონი ერთი გვერდით ქვემოთ ამბობს, რომ «ყოველი შრომა აწარმოებს სიმდიდრეს: იმ თავისი საცველი ღირებულების პროპორციულად, რომელსაც განსაზღვრავს მიწოდება და მოთხოვნა» (გამოდის, რომ შრომა აწარმოებს სიმდიდრეს არა იმის პროპორციულად, თუ რამდენ საცველ ღირებულებას აწარმოებს იგი, არამედ იმის პროპორციულად, თუ რამდენს შეადგენს მისი საკუთარი საცველი ღირებულება, ე. ი. არა იმის მიხედვით, თუ რამდენს აწარმოებს იგი, არამედ იმის მიხედვით, თუ თვითონ რამდენი ღირს იგი), «და მის ღირებულებას შეუძლია ხელი შეუწყოს კაპიტალის დაგროვებას მხოლოდ დაზოგვით და იმ პროდუქტების არმოხმარე-

გაცვლა განსაზღვრავს, რამდენად უწყობს ხელს წარმოება სიმდიდრის შექმნას. თუ გავიხსენებთ, რომ ყოველ ქვეყანაში ყველა სახეობის შრომა პირდაპირ თუ არაპირდაპირ ხელს უწყობს მთლიანად აღებულ წარმოებას, რომ გაცვლა იმით, რომ ყოველი სახეობის შრომის ღირებულებას აწესებს, განსაზღვრავს წარმოებაში მისი მონაწილეობის წილს, რომ პროდუქტის მოხმარებით ხდება რეალიზაცია იმ ღირებულებისა, რაც მას გაცვლამ მიანიჭა, და რომ მოხმარებასთან შედარებით წარმოების ნამეტი ან დეფიციტი განსაზღვრავს ხალხთა სიმდიდრის თუ სიღარიბის ხარისხს, — მაშინ ნათელი გახდება, რამდენად არათანამიმდევრულია ის, რომ იზოლირებულად ავიღოთ შრომის ყოველი სახეობა და გავზომოთ მისი ეფექტიანობა და ნაყოფიერება იმის მიხედვით, თუ როგორია მისი მონაწილეობა მატერიალურწარმოებაში, არ მივაქციოთ ყურადღება ამ შრომის [364] მოხმარებას, რომელიც სწორედ ერთადერთი ანიჭებს მას ღირებულებას, იმ ღირებულებას, ურომლისოდაც სიმდიდრე ვერ შეძლებდა არსებობას» (ციტირ. თხზ., გვ. 294—295).

ერთი მხრივ, ჩვენი ვაჟბატონის მიხედვით ისე გამოდის, რომ სიმდიდრე დამოკიდებულია წარმოების ნამეტზე მოხმარებასთან შედარებით, მეორე მხრივ კი — მხოლოდ მოხმარება იძლევა ღირებულებას. და შინამსახური, რომელიც 1000 ფრანკს მოიხმარს, ამ შენედულების თანახმად, ორჯერ მეტად უწყობს ხელს ღირებულების შექმნას, ვიდრე გლეხი, რომელიც 500 ფრანკს მოიხმარს.

განილი, ერთი მხრივ, აღიარებს, რომ შრომის ეს არამწარმოებლური სახეობანი უშუალოდ არ მონაწილეობენ მატერიალური სიმდიდრის შექმნაში. ამაზე მეტს არც სმიტი ამტკიცებს. მეორე მხრივ, იგი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ისინი, პირიქით, ქმნიან მატერიალურ სიმდიდრეს, — იმავე ზომით, რა ზომითაც ისინი, მისივე საკუთარი აღიარებით, ამას არ აკეთებენ.

ყველა ეს მოკამათენი, რომლებიც ა. სმიტის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, ერთი მხრივ იჩენენ ქედმაღლურ დამოკიდებულებას მატერიალური წარმოებისადმი, მეორე მხრივ კი, ცდილობენ გაამართლონ არამატერიალური წარმოება — ანდა სრულიად არავითარი წარმოება, როგორც, მაგალითად, ლაქიის შრომა, — როგორც მატერიალური წარმოება. სრულიად არა აქვს მნიშვნელობა — «წმინდა შემოსავლის» მფლობელი ამ შემოსავალს ლაქიებზე ხარჯავს, ხასებზე თუ პაშტეტებზე. მაგრამ სასაცილოა იმის წარმოდგენა, თითქოს ნამეტი უთუოდ მსახურებმა უნდა მოიხმარონ და იგი არ შეიძლება მოიხმარონ თვით მწარმოებელმა მუშებმა ისე, რომ ღირებულებამ

ბით, რომელთა პროდუქტის საერთო ჯამიდან გამოტანის უფლებაც მას აქვს ამ ღირებულების მიხედვით».

ფუჭად არ ჩაიაროს. მალთუსიც ზუსტად ასევე აღიარებს არამწარმოებელ მომხმარებელთა არსებობის აუცილებლობას, რასაც ნამდვილად აქვს ადგილი, რაკი ნამეტი «უქმი ადამიანების» ხელშია. [364]

[9) განილი და რიკარდო «წმინდა შემოსავლის» შესახებ. განილი როგორც მწარმოებელი მოსახლეობის შემცირების მომხრე; რიკარდო როგორც კაპიტალის დაგროვებისა და მწარმოებლური ძალების ზრდის მომხრე]

[364] განილი ამტკიცებს, რომ თავის «Théorie de l'économie politique»-ში (ჩემთვის უცნობ წიგნში) მან წამოაყენა თეორია, რომელიც მის შემდეგ რიკარდომ აღადგინა [72]. ეს თეორია ისაა, რომ სიმდიდრე დამოკიდებულია არა მთლიან, არამედ წმინდა პროდუქტზე, ე. ი. მოგებისა და რენტის სიდიდეზე. (ეს, რა თქმა უნდა, არ არის განილის აღმოჩენა; მაგრამ მას მართლაც განასხვავებს სხვა ეკონომისტებისაგან ამ დებულების წამოყენების მანერა.)

ზედმეტი ღირებულება წარმოდგენილია (მას რეალური არსებობა აქვს) ზედმეტ პროდუქტში, პროდუქტის ნამეტში მის იმ მასასთან შედარებით, რომელიც ანაზღაურებს მხოლოდ მის თავდაპირველ ელემენტებს და, მაშასადამე, შედის მისი წარმოების ხარჯებში; თუ მუდმივსა და ცვალებად კაპიტალს შევაჯამებთ, პროდუქტის ეს ნაწილი საერთოდ იმ კაპიტალს უდრის, რომელიც ავანსად მიეცა წარმოებას. კაპიტალისტური წარმოების მიზანია ზედმეტი ღირებულება და არა პროდუქტი. აუცილებელი სამუშაო დრო მუშისა — და ამასთანავე ის ეკვივალენტი პროდუქტში, რითაც ამ სამუშაო დროის ანაზღაურება ხდება, — აუცილებელია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი დამატებითს შრომას იძლევა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი *არამწარმოებლურია* კაპიტალისტისათვის.

ზედმეტი ღირებულება ტოლია ზედმეტი ღირებულების ნორმას $\frac{m}{v}$, გამრავლებულს ერთდროულ სამუშაო დღეთა რიცხვზე ან დასაქმებული მუშების რიცხვზე, n-ზე. მაშასადამე, $M = \frac{m}{v} \times n$. ეს ზედმეტი ღირებულება შეიძლება, მაშასადამე, დიდდებოდეს ან მცირდებოდეს ორგვარი წესით. მაგალითად: $\frac{m}{\frac{v}{2}} \times n$ უდრის $\frac{2m}{v} \times n$, ე. ი.

2 M-ს. აქ M გადიდდა [365] ორჯერ, იმიტომ რომ ორჯერ გადიდ-

და ზედმეტი ღირებულების ნორმა, რადგან $\frac{m}{\frac{v}{2}}$ შეადგენს $\frac{2m}{v}$. ეს კი ორჯერ მეტია, ვიდრე $\frac{m}{v}$. მეორე მხრივ, $\frac{m}{v} \times 2\ n$ სწორედ ასევე $\frac{2\,mn}{v}$-ის ტოლი იქნებოდა, მაშასადამე, აგრეთვე 2 M-ის ტოლი იქნებოდა. ცვალებადი კაპიტალი, V, უდრის ცალკეული სამუშაო დღის ფასს, გამრავლებულს დასაქმებული მუშების რიცხვზე. თუ დასაქმებულია 800 მუშა, რომელთაგან თვითეული ჯდება 1 გირვ. სტერლინგი, მაშინ $V = 800$ გირვ. სტერლ., ე. ი. 1 გირვ. სტერლ. $\times$ 800, სადაც $n = 800$. თუ ზედმეტი ღირებულება შეადგენს 160, მაშინ მისი ნორმა $= \frac{160}{1 \text{ გირვ. სტერ.} \times 800} = \frac{160}{800} = \frac{16}{80} = \frac{1}{5} = 20\%$, მაგრამ თვით ზედმეტი ღირებულება შეადგენს $\frac{160}{1 \text{ გირვ. სტერ.} \times 800} \times 800$ ე. ი. $\frac{M \text{ გირვ. სტერ.}}{1 \text{ გირვ. სტერ.} \times n} \times n$.

ეს ზედმეტი ღირებულება შეიძლება გადიდდეს სამუშაო დღის მოცემული სიდიდის დროს, მხოლოდ შრომის ნაყოფიერების გადიდებით ანდა, თუ შრომის ნაყოფიერება მოცემულია, მხოლოდ სამუშაო დროის გაგრძელებით.

მაგრამ აქ მნიშვნელოვანია შემდეგი: $2\,M = \frac{m}{\frac{v}{2}} \times n$, და $2\,M = \frac{m}{v} \times 2n$. ზედმეტი ღირებულება (მისი საერთო ჯამი) იგივე რჩება, როცა მუშების რიცხვი ორმაგად მცირდება, — $2n$-ის ნაცვლად შეადგენს n-ს—მაგრამ მათი ყოველდღიური ზედმეტი შრომა ორჯერ უფრო მეტია უწინდელთან შედარებით. ასეთი ვარაუდის დროს უცვლელი დარჩებოდა ორი რამ: ჯერ-ერთი, წარმოებული პროდუქტების მთელი მასა; მეორეც, ზედმეტი პროდუქტის, ანუ «წმინდა პროდუქტის», მთელი მასა. მაგრამ შეიცვლებოდა შემდეგი: ჯერ-ერთი, ცვალებადი კაპიტალის ჯამი, ანუ ხელფასზე დახარჯული ნაწილი საბრუნავი კაპიტალისა, შემცირდებოდა სანახევროდ. მუდმივი კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც ნედლეულისაგან შედგება, ასევე უცვლელი დარჩებოდა, რადგან უწინდებურად წარმოებს ნედლეულის იმავე მასის გადამუშავება, თუმცაღა მუშების ორმაგად შემცირებული რიცხვის მიერ. პირიქით, გადიდდებოდა ძირითადი კაპიტალისაგან შემდგარი ნაწილი.

თუ ხელფასზე დახარჯული კაპიტალი 300 გირვ. სტერლინგს (1 გირვ. სტერლინგს მუშაზე) შეადგენდა, ახლა ის შეადგენს 150 გირვ. სტერლინგს. თუ ნედლეულზე დახარჯული კაპიტალი შეადგენდა 310 გირვ. სტერლინგს, იგი ახლაც 310 გირვ. სტერლინგს შეადგენს. თუ ვიგულისხმებთ, რომ მანქანების ღირებულება ოთხჯერ მეტია კაპიტალის დანარჩენ ნაწილზე, ახლა იგი შეადგენს 1600 გირვ. სტერლინგს [73]. მაშასადამე, თუ მანქანები 10 წლის განმავლობაში ცვდება, მაშინ ყოველწლიურად პროდუქტში შემავალი ღირებულება მანქანებისა 160 გირვ. სტერლინგს შეადგენს. დავუშვათ, რომ წინათ წარმოების იარაღებზე ყოველწლიურად იხარჯებოდა 40 გირვ. სტერლ. კაპიტალი, ე. ი. ახლანდელის მხოლოდ $^1/_4$.

ასეთ პირობებში ანგარიში იქნება შემდეგი:

	წინანდელი კაპიტალი	ახალი კაპიტალი
მანქანები	40	160
ნედლეული	310	310
ხელფასი	300	150
ჯამი	650	620
ზედმეტი ღირებულება	150, ანუ 50%	150, ანუ 100%
მოგების ნორმა	$23\,^1/_{13}$%	$24\,^6/_{31}$%
მთელი პროდუქტი	800	770

ამ შემთხვევაში მოგების ნორმა იმიტომ გადიდდა, რომ ერთობლივი კაპიტალი შემცირდა: მაშინ როდესაც ხელფასზე დახარჯული კაპიტალი 150-ით შემცირდა, ძირითადი კაპიტალის ღირებულების ჯამი გადიდდა მხოლოდ 120-ით, ე. ი. სულ დაიხარჯა 30 გირვ. სტერლინგით ნაკლები წინანდელთან შედარებით.

თუ დარჩენილი 30 გირვ. სტერლინგი ამავე წესით დაიხარჯება, სახელდობრ ამ თანხის $^{31}/_{62}$ (ანუ $^1/_2$) ნედლეულზე, $^{16}/_{62}$ — მანქანებზე და $^{15}/_{62}$ — ხელფასზე, მაშინ გვექნება:

მანქანები	7 გირვ.	სტერლ.	14 შილ.	6 პენსი
ნედლეული	15 »	»		
ხელფასი	7 »	»	5 შილ.	6 პენსი
ზედმეტი ღირებულება	7 »	»	5 »	6 »

სულ, მაშასადამე:

ახალი კაპიტალი:

მანქანები	167 გირ.	სტერ.	14 შილ.	6 პენსი
ნედლეული	325 »	»		
ხელფასი	157 »	»	5 შილ.	6 პენსი
ზედმეტი ღირებულება	157 »	»	5 »	6 »
მოგების ნორმა	$24\,^6/_{31}$%			

დახარჯული კაპიტალის მთელი ჯამი: 650 გირვ. სტერლ., რაგორც უწინ, მთელი პროდუქტი — 807 გირვ. სტერლ. 5 შილ. 6 პენსი.

პროდუქტის ერთობლივი ღირებულება გადიდდა, დახარჯული კაპიტალის ერთობლივი ღირებულება იგივე დარჩა; ამასთან გადიდდა ერთობლივი პროდუქტის არა მარტო ღირებულება, არამედ მასაც, რადგან პროდუქტად გადაიქცა უწინდელთან შედარებით 15 გირვ. სტერლინგით უფრო მეტი ღირებულების ნედლეული.

[366] განილის შრომაში ჩვენ ვკითხულობთ:

«როცა ამა თუ იმ ქვეყანას მანქანები არ გააჩნია და მისი შრომა მხოლოდ ხელის ძალაზეა დამყარებული, მშრომელი კლასები თავიანთი პროდუქტების თითქმის მთელ მასას თვითონ მოიხმარენ ხოლმე. მრეწველობის პროგრესის კვალობაზე, შრომის დანაწილების, მუშების კვალიფიკაციის ამაღლებისა და მანქანების გამოგონების მეოხებით მრეწველობის სრულყოფის კვალდაკვალ, მცირდება წარმოების ხარჯები, ანუ, სხვა სიტყვებით, მუშების უფრო ნაკლები რიცხვი ხდება საჭირო უფრო მეტი პროდუქციის მისაღებად» (ციტირ. თხზ. [«Des systèmes d'économie politique», მე-2 გამოც., 1821], ტ. I, გვ. 211 — 212).

ეს კი, მაშასადამე, ნიშნავს, რომ იმდენად, რამდენადაც მრეწველობა უფრო მწარმოებლური ხდება, მცირდება ხელფასთან დაკავშირებული წარმოების ხარჯები. მუშების რიცხვი პროდუქტთან შედარებით მცირდება; მაშასადამე, მუშებ• ამ პროდუქტის უფრო მცირე ნაწილსაც მოიხმარენ.

თუ ერთ მუშას თავის საკუთარ საარსებო საშუალებათა საწარმოებლად 10 საათი სჭირდება, როცა ის უმანქანოდ მუშაობს, და მხოლოდ 6 საათი, როცა მანქანის დახმარებით მუშაობს, მაშინ, პირველ შემთხვევაში იგი (თორმეტსაათიანი სამუშაო დღის პირობებში) მუშაობს 10 საათი თავისთვის და 2 საათი კაპიტალისტისათვის, და ეს უკანასკნელი თორმეტსაათიანი სამუშაო დღის მთელი პროდუქტიდან $^1/_6$-ს იღებს. პირველ შემთხვევაში 10 მუშა იმუშავებს 100 საათს თავისთვის (ისინი აწარმოებენ პროდუქტს 10 მუშისათვის) და 20 საათს კაპიტალისტისათვის. 120 ერთეული ღირებულებიდან კაპიტალისტი იღებს მეექვსედ ნაწილს, ე. ი. 20-ს. მეორე შემთხვევაში 5 მუშა იმუშავებს 30 საათს თავისთვის (ისინი აწარმოებენ პროდუქტს 5 მუშისათვის) და 30 საათს კაპიტალისტისათვის. ახლა 60 საათიდან კაპიტალისტი მიიღებს 30, ე. ი. $^1/_2$-ს, სამჯერ მეტს წინანდელთან შედარებით. გადიდდება აგრეთვე ზედმეტი ღირებულების მასაც, სახელდობრ 20-იდან 30-მდე, $^1/_3$-ით. 60 დღე, საიდა-

ნაც მე $^1/_2$-ს ვისაკუთრებ, იძლევა ზედმეტ ღირებულებას ერთი მესამედით მეტს, ვიდრე 120 დღე, საიდანაც მე $^1/_6$-ს ვისაკუთრებ.

შემდეგ, ერთობლივი პროდუქტის ნახევარი, რასაც კაპიტალისტი იღებს, აგრეთვე რაოდენობრივად გაიზრდება იმასთან შედარებით, რასაც იგი წინათ იღებდა. ეს იმიტომ, რომ 6 საათი ახლა იმდენსავე პროდუქტს იძლევა, რამდენსაც უწინ 10 საათი იძლეოდა; მაშასადამე, ერთი საათი იძლევა წინანდელის $^{10}/_6$-ს, ანუ $1\ ^4/_6 = 1\ ^2/_3$. ამრიგად, 30 ზედმეტი საათი გამოიხატება ახლა პროდუქტის ისეთივე რაოდენობით, როგორითაც წინათ გამოიხატებოდა 30 $(1 + {}^2/_3) = 30 + {}^{60}/_3 = 50$ საათი. 6 საათი იმდენსავე პროდუქტს იძლევა, რამდენსაც წინათ 10 საათი იძლეოდა; მაშასადამე, 30 (ანუ 5×6) — იმდენს, რამდენსაც წინათ 5×10.

ამრიგად, გაიზრდება კაპიტალისტის ზედმეტი ღირებულება და მისი ზედმეტი პროდუქტი (თუ იგი თვით მოიხმარს პროდუქტს in natura, ანუ იმ ზომით, რა ზომითაც იგი მას მოიხმარს in natura). ზედმეტი ღირებულება შეიძლება გაიზარდოს ერთობლივი პროდუქტის რაოდენობის გაუდიდებლადაც კი. მართლაცდა, ზედმეტი ღირებულების ზრდა ნიშნავს, რომ მუშას შეუძლია აწარმოოს თავისი საარსებო საშუალებანი უფრო მცირე დროში, ვიდრე უწინ; რომ, მაშასადამე, მის მიერ მოხმარებულ საქონელთა ღირებულება მცირდება, ნაკლებ სამუშაო დროს გამოხატავს და რომ, მაშასადამე, გარკვეული ღირებულება, მაგალითად, 6 საათს რომ უდრის, სახმარ ღირებულებათა უფრო მეტ რაოდენობას გამოხატავს, ვიდრე უწინ გამოხატავდა. მუშა პროდუქტის იმავე რაოდენობას იღებს, რასაც უწინ იღებდა, მაგრამ ეს რაოდენობა ერთობლივი პროდუქტის უფრო მცირე ნაწილს შეადგენს, ამ რაოდენობის ღირებულება კი გამოხატავს სამუშაო დღის პროდუქტის უფრო მცირე ნაწილს. მიუხედავად იმისა, რომ მწარმობლური ძალების არავითარ გადიდებას წარმოების იმ დარგებში, რომელთა პროდუქტებიც არც პირდაპირ, არც არაპირდაპირ არ შედიან მუშის მოხმარების საგნების წარმოებაში, არ შეიძლებოდა ასეთი შედეგი ჰქონოდა, რადგან მწარმოებლობის გადიდება ან შემცირება ამ დარგებში არ ცვლის თანაფარდობას აუცილებელსა და ზედმეტ შრომას შორის, — მიუხედავად ამისა წარმოების ამ დარგებისათვის იგივე შედეგი მიიღებოდა, თუმცა ამ შედეგს მათი საკუთარი მწარმოებლობის ცვლილებანი როდი გამოიწვევდნენ. მათი პროდუქტების შეფარდებითი ღირებულება (თუ მათი საკუთარი მწარმოებლობა უცვლელი დარჩა) იმდენადვე გაიზრდებოდა, რამდენადაც შემცირდებოდა სხვა საქონელთა შე-

ფარდებითი ღირებულება; მაშასადამე, ამ პროდუქტების პროპორციულად უფრო მცირე ნაწილი, ანუ მათში მატერიალიზებული, მუშის მიერ დახარჯული სამუშაო დროის უფრო მცირე ნაწილი მისცემდა მას საარსებო საშუალებათა წინანდელ რაოდენობას. მაშასადამე, ზედმეტი ღირებულება გადიდდებოდა ამ დარგებში სრულიად ისევე, როგორც სხვა დარგებშიც.

მაგრამ რა დაემართება ხუთ დათხოვნილ მუშას? გვეტყვიან, რომ გათავისუფლდა აგრეთვე კაპიტალიც, სახელდობრ ის, რითაც გადაუხდიდნენ 5 დათხოვნილ მუშას, რომლებიც ხელფასს იღებდნენ თვითეული 10 საათის ოდენობით, რისთვისაც ისინი დღეში 12 საათს მუშაობდნენ, ე. ი. გათავისუფლდა 50 საათის თანხის კაპიტალი; ეს წინათ 5 მუშის ანაზღაურების შესაძლებლობას იძლეოდა, ახლა კი, როცა ხელფასმა 6 საათამდე დაიწია, ეს იძლევა $^{50}/_{6}$, ე. ი. $8^{1}/_{3}$ სამუშაო დღის ანაზღაურების შესაძლებლობას. ამრიგად, გათავისუფლებული კაპიტალით, რაც 50 სამუშაო საათს უდრის, შეიძლება ახლა მუშათა უფრო დიდი რიცხვის დასაქმება, ვიდრე დათხოვნილთა რიცხვია.

მაგრამ მთელი 50 სამუშაო საათის კაპიტალი როდი განთავისუფლებულა. ვინაიდან, კიდეც რომ ვიგულისხმოთ, რომ მასალა გაიაფდა იმავე ზომით, რა ზომითაც მისი უფრო მეტი გადამუშავება ხდება ახლა იმავე სამუშაო დროის განმავლობაში, ე. ი. რომ წარმოების ამ დარგშიც მწარმოებლური ძალის ისეთივე გადიდება მოხდა, მაინც რჩება ახალი მანქანებისათვის გაწეული ხარჯები. დაკუშვათ, რომ ეს მანქანები ღირს ზუსტად 50 სამუშაო საათი; მაშინ მათი წარმოება ვერასგზით ვერ მისცემდა სამუშაოს მუშების იმდენსავე რიცხვს, რამდენიც დათხოვნილ იქნა. ეს 50 სამუშაო საათი ხომ მთლიანად იხარჯებოდა ხელფასზე, 5 მუშის დაქირავებაზე. მანქანის ღირებულება კი, 50 სამუშაო საათს რომ უდრის, შეიცავს მოგებასა და ხელფასს, ფასგადახდილ და ფასგადაუხდელ სამუშაო ეროს. გარდა ამისა, მანქანის ღირებულებაში შედის მუდმივი კაპიტალი. ამასთან მანქანათმშენებელი მუშებიდან ისინი, რომლებიც ახალი მანქანის დამზადებაზე მუშაობენ და რომელთა რიცხვი დათხოვნილთა რიცხვზე ნაკლებია, — ესენი არ არიან იგივე მუშები, [367] რომლებიც დათხოვნილ იქნენ. მანქანათმშენებლობაში მუშებზე მოთხოვნილების გადიდებას შეუძლია უკეთეს შემთხვევაში გავლენა იქონიოს მუშათა მასის შემდგომ განაწილებაზე იმ მიმართულებით, რომ ამ დარგს მიაშურებს უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი მუშაობის დამწყები ახალი თაობისა, — უფრო მნიშვნელოვანი ნა-

წილი. ვიდრე წინათ იყო. ეს არ მოახდენს გავლენას დათხოვნილ მუშებზე. გარდა ამისა, მანქანათმშენებელ მუშებზე წლიური მოთხოვნის გადიდება სრულიადაც არ უდრის მანქანებზე დახარჯულ ახალ კაპიტალს. მანქანა სამსახურს ეწევა, მაგალითად, 10 წლის განმავლობაში. მაშასადამე, მის მიერ შექმნილი მუდმივი მოთხოვნა უდრის ყოველწლიურად მასში მოთავსებული ხელფასის 1/10-ს. ამ 1/10-ს უნდა დაემატოს კიდევ რემონტზე გაწეული შრომა მთელი ამ 10 წლის განმავლობაში და ნახშირის, საცხები ზეთის, საერთოდ დამხმარე მასალის ყოველდღიური მოხმარება; ყოველივე ეს, ერთად აღებული, შეადგენს, შეიძლება, კიდევ 2/10-ს.

}განთავისუფლებული კაპიტალი 60 საათს რომ უდრიდეს, ეს უკანასკნელი წარმოგვიდგენდა ახლა 10 საათის ზედმეტ შრომას და მხოლოდ 50 საათის აუცილებელ შრომას. მაშასადამე, თუ წინათ ეს 60 საათი ხელფასზე იხარჯებოდა და მათი საშუალებით დაქირავებული იყო 6 მუშა, ახლა დაქირავებულია მხოლოდ 5. }

}შრომისა და კაპიტალის გადაადგილება, რასაც წარმოების რომელიმე დარგში მანქანების შემოღებისა და ა. შ. შედეგად გადიდებული მწარმოებლური ძალა იწვევს, შესაძლებელია მხოლოდ მომდევნო პერიოდში. ეს ნიშნავს, რომ სხვაგვარად გ ა ნ ა წ ი ლ დ ე ბ ა მ უ შ ა თ ა ნ ა მ ა ტ ი, მ ა თ ი ა ხ ლ ა დ მ ო დ ე ნ ი ლ ი მ ა ს ა, რომელიც, შესაძლებელია, შედგება ქუჩაში გაგდებულთა შვილებისაგან, და არა თვით ამ გაგდებულთაგან. თვით ისინი კი დიდხანს შერჩებიან ხოლმე თავიანთ ძველ პროფესიას, რომელსაც ყველაზე არახელსაყრელ პირობებში ასრულებენ, რადგან მათი აუცილებელი სამუშაო დრო საზოგადოებრივად აუცილებელ დროზე უფრო დიდია; ისინი ხდებიან პაუპერები ანდა სამუშაოს შოულობენ ისეთ დარგებში, სადაც ყველაზე დაბალი ხარისხის შრომა გამოიყენება. }

}პაუპერი, სწორედ ისევე როგორც კაპიტალისტი (რანტიე), ქვეყნის შემოსავლით ცხოვრობს და იგი არ შედის პროდუქტის წარმოების ხარჯებში. ამიტომ ბატონ განილს იგი უნდა გამოეცხადებინა საცვლელი ღირებულების წარმომადგენლად, სავსებით ასევე დამნაშავეც, რომელსაც საპატიმროში კეებავენ. დიდი ნაწილი «არამწარმოებელი მუშაკებისა» — სახელმწიფო სინეკურათა მფლობელნი და ა. შ. — მხოლოდ მეოცდურობით აღსავსე პაუპერებია. }

}დავუშვათ, რომ შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში იმდენად გადიდდა, რომ თუ წინათ მატერიალურ წარმოებაში უშუალოდ მონაწილეობდა მოსახლეობის $^2/_3$, ახლა მონაწილეობს მხოლოდ $^1/_3$. წინათ მოსახლეობის $^2/_3$ იძლეოდა საარსებო საშუალებს. მოსახ-

ლეობის $^3/_3$-ისათვის; ახლა $^1/_3$ იძლევა $^3/_3$-ისათვის. წინათ «წმინდა შემოსავალი» (მუშაკის შემოსავლისაგან განსხვავებით) შეადგენდა $^1/_3$-ს; ახლა შეადგენს $^2/_3$-ს. ახლა ერს — თუ მხედველობაში არ მივიღებთ [კლასობრივ] წინააღმდეგობებს — უშუალო წარმოებისათვის დასჭირდებოდა თავისი დროის $^1/_3$ ნაცვლად წინანდელი $^2/_3$-ისა. თანაზომიერი განაწილების პირობებში ყველას ექნებოდა მეტი დრო — $^2/_3$ — არამწარმოებლური შრომისა და მოცალეობისათვის. მაგრამ კაპიტალისტური წარმოების პირობებში ყველა წარმოგვიდგება წინააღმდეგობრივი ხასიათის მქონედ და სინამდვილეში ასეც არის. ჩვენი ეარაუდი იმას არ გულისხმობს, რომ მოსახლეობა ერთ წერტილზე გაყინული რჩება. თუ იზრდება $^3/_3$, იზრდება $^1/_3$-იც, და ამრიგად თავისი მასის მიხედვით ადამიანთა უფრო მეტი რიცხვი შეიძლებოდა ყოფილიყო დასაქმებული მწარმოებლური შრომით. მაგრამ რელატიურად, პროპორციულად მთელი მოსახლეობის მიმართ, იგი მაინც 50%-ით უფრო ნაკლები იქნებოდა, ვიდრე **უწინ** იყო. ახლა მოსახლეობის ეს $^2/_3$ შედგება ნაწილობრივ მოგებისა. და რენტის მფლობელთაგან, ნაწილობრივ კი არამწარმოებელი მუშაკებისაგან (კონკურენციის გამო აგრეთვე მცირე ხელფასს რომ იღებენ), რომლებიც ეხმარებიან მათ **შემოსავლის შეჭმაში** და აძლევენ ან, — თუ ლაპარაკია, მაგალითად, პოლიტიკურ არამწარმოებელ მუშაკებზე, — თავს აბვევენ მათ ამის ნაცვლად ეკვივალენტს მომსახურებათა სახით. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გარდა ამ შინამსახურებისა, ჯარისკაცებისა, მატროსებისა, დაბალი მოხელეებისა და ა. შ., გარდა ხასებისა, მეჯინიბეებისა, კლოუნებისა და ოინბაზებისა, ეს არამწარმოებელი მუშაკები საერთოდ განათლების უფრო მაღალ საფეხურზე დადგებიან, ვიდრე წინათ იდგნენ, და რომ განსაკუთრებით გადიდდება მცირეხელფასიან მხატვართა, მუსიკოსთა, ადვოკატთა, ექიმთა, მეცნიერთა, მასწავლებელთა, გამომგონებელთა და ა. შ. რიცხვი.

თვით მწარმოებელი კლასის შიგნით გაიზრდება კომერციულ შუამავალთა რიცხვი, განსაკუთრებით კი იმ პირთა რიცხვი, რომლებიც მუშაობენ მანქანათმშენებლობაში, რკინიგზების მშენებლობაზე, სამთამადნო მრეწველობაში; შემდეგ, გაიზრდება იმ მუშების რიცხვი, რომლებიც სოფლის მეურნეობაში მესაქონლეობას მისდევენ, ქიმიურ, მინერალურ სასუქებს აწარმოებენ და სხვ. შემდეგ, გაიზრდება მრეწველობისათვის ნედლეულის მწარმოებელ მიწათმოქმედთა რიცხვი იმ **მიწათმოქმედთა** რიცხვთან შედარებით, რომლებიც კვების პროდუქტებს აწარმოებენ; მათი რიცხვი კი, ვინც პირუტყვის

საკვებს აწარმოებს, გადიდდება იმათთან შედარებით, ვინც ადამიანთათვის სურსათ-სანოვაგეს აწარმოებს. მუდმივი კაპიტალის ზრდასთან ერთად იზრდება მისი კვლავწარმოებით დასაქმებული ერთობლივი შრომის შეფარდებითი მასაც. მიუხედავად ამისა, მუშების ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ აწარმოებს საარსებო საშუალებებს, ახლა ჭწინდელზე [368] უფრო მეტ პროდუქტებს აწარმოებს, თუმცა ამ მუშების რიცხვი შემცირდა. მათი შრომა უფრო ნაყოფიერი გახდა. მსგავსად იმისა, როგორც ცალკეულ კაპიტალში მისი ცვალებადი ნაწილის შემცირება მუდმივ ნაწილთან შედარებით უშუალოდ გვევლინება როგორც შემცირება კაპიტალის იმ ნაწილისა, რომელიც ხელფასზე იხარჯება, ასევე კაპიტალის ერთობლივი მასისთვისაც — მისი კვლავწარმოების დროს — ცვალებადი კაპიტალის წილის შემცირება უნდა გამოიხატოს იმით, რომ გამოყენებული მუშათა მასის შედარებით უფრო დიდი ნაწილი დასაქმებულია წარმოების საშუალებათა კვლავწარმოებით და არა თვით პროდუქტების კვლავწარმოებით, ე. ი. დასაქმებულია მანქანური მოწყობილობის (ამაში შედის კომუნიკაციისა და ტრანსპორტის საშუალებანი და აგრეთვე შენობა-ნაგებობანი), დამხმარე მასალათა (ნახშირის, გაზის, საცხები ზეთის, ამძრავი ღვედების და ა. შ.) და იმ მცენარეთა კვლავწარმოებით, რომლებიც სამრეწველო პროდუქტების ნედლეულს შეადგენენ. სოფლის მეურნეობის მუშათა რაოდენობა შემცირდება მრეწველობის მუშების რაოდენობასთან შედარებით. ბოლოს, გადიდდება იმ მუშების რაოდენობა, რომლებიც ფუფუნების საგნების წარმოებაზე მუშაობენ, რადგან გაზრდილი შემოსავალი ახლა ფუფუნების საგნების მეტ რაოდენობას მოიხმარს. }

* * *

{ ცვალებადი კაპიტალი გადაიქცევა შემოსავლად: ჯერ-ერთი — ხელფასად, მეორეც — მოგებად. ამიტომ თუ ავიღებთ კაპიტალს მის დაპირისპირებულობაში შემოსავალთან, მუდმივი კაპიტალი გვევლინება როგორც კაპიტალი სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, როგორც ის ნაწილი ერთობლივი პროდუქტისა, რომელიც წარმოებას ეკუთვნის და წარმოების ხარჯებში შედის, ისე რომ ინდივიდუალურად მას არავინ არ მოიხმარს (გამონაკლისს შეადგენს მუშა პირუტყვი). ვთქვათ, ცალკეულ შემთხვევებში ეს ნაწილი კიდეც წარმოიქმნება მთლიანად მოგებიდან და ხელფასიდან. საბოლოო

ანგარიშით იგი არასოდეს არ შეიძლება მარტოოდენ ამ წყაროდან წარმოიშვას; იგი შრომის პროდუქტია, მაგრამ ისეთი შრომისა, რომელსაც თვით წარმოების საშუალებანი შემოსავლად მიაჩნია, სწორედ ისევე, როგორც ველურს თავისი მშვილდი. მაგრამ რაკი ერთხელ მუდმივ კაპიტალად გადაიქცა, პროდუქტის ეს ნაწილი აღარ დაიყვანება ხელფასსა და მოგებაზე, თუმცა მისი კეთილდღეობა ხელფასსა და მოგებას იძლევა. ამ ნაწილს ეკუთვნის პროდუქტის გარკვეული წილი. ყოველი მომდევნო პროდუქტი წარსული შრომისა და ახლანდელი შრომის პროდუქტია. ახლანდელი შრომა შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი ერთობლივი პროდუქტის გარკვეულ ნაწილს წარმოებას უბრუნებს. მან უნდა აანაზღაუროს მუდმივი კაპიტალი in natura. თუ შრომა უფრო ნაყოფიერი ხდება, იგი ანაზღაურებს შესაბამის პროდუქტს, მაგრამ არა მის ღირებულებას, რომელიც ამის შედეგად მცირდება. თუ იგი ნაკლებნაყოფიერი ხდება, პროდუქტის ღირებულება დიდდება. პირველ შემთხვევაში მცირდება ერთობლივი პროდუქტის ის პროცენტული წილი, რასაც წარსული შრომა მოითხოვს თავის ასანაზღაურებლად; მეორე შემთხვევაში ეს წილი დიდდება. პირველ შემთხვევაში ცოცხალი შრომა უფრო ნაყოფიერი ხდება, მეორე შემთხვევაში — ნაკლებნაყოფიერი. }

{ იმ გარემოებათა რიცხვს, რომლებიც მ უ დ მ ი ვ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ხარჯებს ამცირებენ, განეკუთვნება აგრეთვე ნედლეულის გაუმჯობესებაც. ასე, მაგალითად, მოცემული დროის განმავლობაში შეუძლებელია ნართის ერთი და იმავე რაოდენობის გამომუშავება როგორც კარგი, ისე აგრეთვე ცუდი ბამბისაგან, თუ აღარფერს ვიტყვით ნარჩენების შეფარდებითს მასაზე და ა. შ. ასეთივე მნიშვნელობა აქვს თესლის ხარისხსაც და ა. შ.

მაგალითები კომბინაციისა, სადაც ფაბრიკანტი თვითონ აწარმოებს თავისი წინანდელი მუდმივი კაპიტალის ნაწილს ან თვითონ აძლევს შემდგომ ფორმას იმ ნედლ პროდუქტს, რომელიც უწინ მუდმივი კაპიტალის სახით მისი წარმოების სფეროდან სხვა სფეროში გადადიოდა (ყოველივე ეს მუდამ მხოლოდ მოგებათა კონცენტრაციას გულისხმობს, როგორც ეს ზემოთ იყო ნაჩვენები*). პ ი რ ვ ე ლ ი ს მ ა გ ა ლ ი თ ი: რთვისა და ქსოვის გაერთიანება. მ ე ო რ ე ს მ ა გ ა ლ ი თ ი: მაღაროების მფლობელები ბირმინგამის მიდამოებ-

* იხ. ეს ტომი, გვ. 139—140 და აგრეთვე ამ შრომის ნაწილი III, თავი XX, § 7 (მარქსის ხელნაწერის 332 — 334 გვერდები). რ ე დ.

ში, რომლებიც სათავეში ეაუდგნენ რკინის წარმოების მთელ პროცესს, რაც წინათ სხვადასხვა მეწარმეებსა და მფლობელებს შორის იყო განაწილებული.

* * *

განილი განაგრძობს:

«ვიდრე შრომის დანაწილება ყველა დარგში არ არის შემოღებული, ვიდრე ხელოსნობაში დაოსტატებული მშრომელი მოსახლეობის ყველა კლასს სრული განვითარებისათვის არ მიუღწევია, მანამდე ჩანქანების გამოგონება და გამოყენება მრეწველობის ზოგიერთ დარგში მხოლოდ იმას იწვევს, რომ მანქანის მიერ გათავისუფლებული კაპიტალი და მუშები მიისწრაფვიან შრომის სხვა დარგებისაკენ, სადაც სასარგებლო გამოყენებას ჰპოვებენ. მაგრამ სავსებით ნათელია, რომ როცა შრომის ყველა დარგს საკმარო კაპიტალი და მუშები მოეპოვება, ყოველი შემდგომი გაუმჯობესება, ყველა ახალი მანქანა, რომელიც შრომას ამოკლებს, აუცილებლად შეამცირებენ მშრომელ მოსახლეობას; და რადგან მისი შემცირება სრულიად არ შეამცირებს წარმოებას, ამიტომ პროდუქტის ის ნაწილი, რაც ამის შედეგად საზოგადოების განკარგულებაში რჩება, ადიდებს ან კაპიტალის მოგებას, ან მიწის რენტას; ამიტომ მანქანების შემოღების ბუნებრივი და აუცილებელი შედეგია დაქირავებულ ადამიანთა იმ კლასების რიცხვის შემცირება, რომლებიც მთლიანი პროდუქტის ხარჯზე ცხოვრობენ, და იმ კლასების რიცხვის გადიდება, რომლებიც წმინდა პროდუქტის ხარჯზე ცხოვრობენ» (ციტირ. თხზ., გვ. 212).

[369] «ქვეყნის მოსახლეობის შემადგენლობის ცვლილება, რაც მრეწველობის პროგრესის გარდუვალი შედეგია, თანამედროვე ხალხთა აყვავების, ძალისა და ცივილიზაციის ჭეშმარიტ მიზეზს წარმოადგენს. რაც უფრო მეტად შემცირდებიან საზოგადოების დაბალი კლასები რიცხობრივად, მით უფრო ნაკლებად საგანგაშოა საზოგადოებისათვის საშიშროებანი, რაც ამ ბედკრული კლასების გაჭირვებიდან, უვიცობიდან, გულუბრყვილობიდან და ცრუმორწმუნეობიდან წარმოდგება. რაც უფრო მრავალრიცხოვანი ხდებიან მაღალი კლასები, მით უფრო დიდია იმ ქვეშევრდომთა რიცხვი, რომლებიც სახელმწიფოს შეუძლია თავის განკარგულებაში ჰყავდეს, მით უფრო ძლიერი და ძლევამოსილია სახელმწიფო, მით უფრო მეტად არის გავრცელებული მთელს მოსახლეობაში განათლება, გონიერება და ცივილიზაცია» (ციტირ. თხზ., გვ. 213).

სეის შემდეგნაირად დაპყავს შემოსავალზე პროდუქტის ერთობლივი ღირებულება. რიკარდოს «საფუძვლების» (კონსტანსიოს ფრანგული თარგმანი) 26-ე თავისადმი შენიშვნაში სეი ლაპარაკობს:

«კერძო პირის წმინდა შემოსავალს შეადგენს იმ პროდუქტის ღირებულება, რომლის წარმოებაშიც ის მონაწილეობდა,... მინუს მისი ხარჯები. მაგრამ რადგან ყველა მისი ხარჯი შემოსავლის ნაწილებია, რომლებიც მან სხვა პირებს გადაუხადა, ამიტომ პროდუქტის ღირებულების მთელი ჯამი შემოსავალთა გადახდას ხმარდება. ერის ერთობა-

ლივ შემოსავალს შეადგენს მისი მთლიანი პროდუქტი, ე. ი. მთლიანი ღირებულება ყველა მისი პროდუქტისა, რომლებიც მწარმოებლებს შორის ნაწილდება».

უკანასკნელი დებულება სწორი იქნებოდა, იგი ასე რომ გამოგვეთქვა: ერის ერთობლივ შემოსავალს შეადგენს მისი მთლიანი პროდუქტის ის ნაწილი, — ე. ი. ყველა პროდუქტის იმ ნაწილის მთლიანი ღირებულება, — რომელიც მწარმოებლებს შორის შემოსავლის სახით ნაწილდება, სხვა სიტყვებით, იგი უდრის მთლიან პროდუქტს ყველა პროდუქტის იმ ნაწილის გამოკლებით, რომელმაც წარმოების თვითეულ სფეროში წარმოების საშუალებანი აანაზღაურა. მაგრამ ამგვარად ჩამოყალიბებული ეს სეისეული დებულება თვით გაამათილებდა თავის თავს.

სეი განაგრძობს:

«ეს ღირებულება, რაც გაცვლითი აქტების შემდეგ, შეიძლება მთლიანად იქნეს მოხმარებული თავისი წარმოშობის ერთი წლის მანძილზე, მაგრამ იგი მაინც ერის შემოსავალს შეადგენს, მსგავსად ამისა, როგორც კერძო პირი, რომელსაც 20000 ფრანკი წლიური შემოსავალი აქვს, მაინც რჩება ამ 20000 ფრანკი წლიური შემოსავლის მფლობელი, თუნდაც რომ მთლიანად მოიხმაროს მან მთელი ეს შემოსავალი წლის განმავლობაში. მისი შემოსავალი მარტოოდენ მისი დანაზოგისაგან როდი შედგება».

მისი შემოსავალი არასოდეს არ შედგება მისი დანაზოგისაგან, თუმცა ეს დანაზოგი ყოველთვის შედგება მისი შემოსავლისაგან. იმის დასამტკიცებლად, რომ ერს შეუძლია წლის განმავლობაში მოიხმაროს როგორც თავისი კაპიტალი, ისე თავისი შემოსავალიც, სეი ადარებს მას კერძო პირს, რომელიც ხელუხლებლად ტოვებს თავის კაპიტალს და წლის განმავლობაში მხოლოდ თავის შემოსავალს მოიხმარს. ეს კერძო პიროვნება რომ ერთი წლის განმავლობაში ხარჯავდეს როგორც თავის კაპიტალს 200 000 ფრანკის ოდენობით, ისე თავის შემოსავალსაც 20 000 ფრანკის ოდენობით, შემდგომი წლისათვის მას შესაჭმელი აღარაფერი ექნებოდა. ერის მთელი კაპიტალი და, მაშასადამე, ერის პროდუქტების მთლიანი ღირებულებაც რომ შემოსავლად იშლებოდეს, მაშინ სეი მართალი იქნებოდა. კერძო პირი ხარჯავს თავის 20 000 ფრანკ შემოსავალს. მისი კაპიტალი 200 000 ფრანკის რაოდენობით, რომელსაც იგი არ ხარჯავს, შედგენილი იქნებოდა სხვა პირთა შემოსავლისაგან, რომელთაგან თვითეული ხარჯავს თავის ნაწილს, ისე რომ წლის ბოლოსათვის მთელი ეს კაპიტალი დახარჯული იქნებოდა. სეის შეეძლო შემოდავება: განა ამ კაპიტალის კვლავწარმოება არ მოხდებოდა იმავე დროის განმავლობაში, როცა მას მოიხმარდნენ, და ამრიგად იგი ანაზღაურებუ-

ლი არ იქნებოდა? მაგრამ ჩვენი კერძო პირი ხომ იმიტომ აკვლევწარმოებს ყოველწლიურად თავის შემოსავალს 20 000 ფრანკის რაოდენობით, რომ მას არ დაუხარჯავს თავისი 200 000 ფრანკი კაპიტალი. თუ ამ კაპიტალს სხვა პირები მოიხმარდნენ, მათ უკვე აღარ ექნებოდათ კაპიტალი შემოსავლის კვლავწარმოებისათვის.

«მხოლოდ წმინდა პროდუქტი», — ამბობს განილი, — «და ისინი, ვინც მას მოიხმარს, შეადგენენ მის» (სახელმწიფოს) «სიმდიდრეს და ძალას და ხელს უწყობენ მის აყვავებას, მის სახელსა და მის სიდიადეს» (ციტირ. თხზ., გვ. 218).

შემდეგ განილს მოჰყავს სეის შენიშვნები კონსტანსიოს ბიერ თარგმნილი რიკარდოს «საფუძვლების» 26-ე თავისადმი, სადაც რიკარდო ამბობს, რომ თუ ქვეყნის მოსახლეობა 12 მილიონს ითვლის. მისი სიმდიდრისათვის უფრო ხელსაყრელია, როცა ამ 12 მილიონის სარჩენად მუშაობს 5 მილიონი მწარმოებელი მუშა, ვიდრე 7 მილიონი მწარმოებელი მუშა. პირველ შემთხვევაში «წმინდა პროდუქტი» შედგება ზედმეტი პროდუქტისაგან, რომლის ხარჯზე 7 მილიონი არამწარმოებელი მოსახლეობა ცხოვრობს, მეორე შემთხვევაში კი — ზედმეტი პროდუქტისაგან, რომლის ხარჯზე 5 მილიონი ცხოვრობს. სეი შენიშნავს ამის გამო:

«ეს ძლიერ მოგვაგონებს XVIII საუკუნის ეკონომისტების მოძღვრებას[75], რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მანუფაქტურები სრულიად არ უწყობენ ხელს სახელმწიფოს სიმდიდრეს, რადგან ხელფასზე მყოფი კლასი, რომელიც იმდენსავე ღირებულებას მოიხმარს [370], რამდენსაც აწარმოებს, არაფერს არ მატებს მათს [ეკონომისტების] ცნობილ წმინდა პროდუქტს».

ამის შესახებ განილი შენიშნავს (გვ. 219—220):

«ადვილი არაა დავინახოთ კავშირი ეკონომისტების იმ მტკიცებისა, რომ მრეწველი კლასი იმდენსავე ღირებულებას მოიხმარს, რამდენსაც აწარმოებს, და ბატონ რიკარდოს იმ თეორიას შორის, რომლის მიხედვით მუშების ხელფასი არ შეიძლება მიეიღებოდეს სახელმწიფოს შემოსავალს».

განილი აქაც ვერ ჩაწვდა საქმის დედაარსს. ეკონომისტები ცდებიან იმაში, რომ მრეწველობის მუშაკებს ისინი განიხილავენ მხოლოდ როგორც «ხელფასზე მყოფ კლასს». ეს განასხვავებს მათ რიკარდოსაგან. შემდეგ, ისინი ცდებიან, როცა ფიქრობენ, თითქოს «ხელფასზე მყოფნი» მხოლოდ იმას აწარმოებენ, რასაც მოიხმარენ. მათ საწინააღმდეგოდ რიკარდო მართებულად აღნიშნავს, რომ «წმინდა პროდუქტს» აწარმოებენ სწორედ დაქირავებული მუ-

შები, მაგრამ აწარმოებენ მას სწორედ იმიტომ, რომ მათი მოხმარება (ე. ი. მათი ხელფასი) უდრის არა მთელ მათ სამუშაო დროს, არამედ მხოლოდ იმ სამუშაო დროს, რაც მათ დახარჯეს თავიანთი ხელფასის საწარმოებლად; ანდა, სხვა სიტყვებით, იმიტომ, რომ თავიანთი პროდუქტიდან ისინი იღებენ მხოლოდ ნაწილს, რომელიც უდრის მათს აუცილებელ მოხმარებას, ე. ი. თავიანთი საკუთარი პროდუქტიდან იღებენ თავიანთი საკუთარი აუცილებელი მოხმარების ეკვივალენტს. ეკონომისტები ფიქრობდნენ, რომ მათ მიერ აღნიშნულ მდგომარეობაში იმყოფება მთელი მრეწველი კლასი (მეპატრონენი და მუშები) მარტოოდენ მიწის რენტას განიხილავდნენ ისინი როგორც წარმოებული პროდუქტის ნამეტს ხელფასთან შედარებით. ამიტომ მათ მიწის რენტა ერთადერთ სიმდიდრედ წარმოუდგებოდათ. და თუ რიკარდო ლაპარაკობს, რომ მოგება და რენტა ქმნიან ამ ნამეტს, მაშასადამე, ერთადერთ სიმდიდრესაც, მაშინ, მიუხედავად მისი და ფიზიოკრატების შეხედულებათა სხვადასხვაობისა, იგი ეთანხმება ფიზიოკრატების აზრს, რომ მხოლოდ «წმინდა პროდუქტი», ის პროდუქტი, რომელშიც განსახიერებულია ზედმეტი ღირებულება, შეადგენს ეროვნულ სიმდიდრეს (თუმცა რიკარდოს ფიზიოკრატებზე უკეთ ესმის ამ ზედმეტი ღირებულების ბუნება). მისთვისაც ასევე სიმდიდრე შემოსავლის მხოლოდ ის ნაწილია, რომელიც ხელფასის ნამეტს წარმოადგენს. ეკონომისტებისაგან მას განასხვავებს არა «წმინდა პროდუქტის» გაგება, არამედ გაგება ხელფასისა, იმ კატეგორიისა, რომელშიც ეკონომისტები უმართებულოდ ათავსებენ აგრეთვე მოგებასაც.

სეი შემდეგ შენიშნავს რიკარდოს წინააღმდეგ:

«შვიდ მილიონ მთლიანად დასაქმებულ მუშას უფრო მეტი დანაზოგი ექნება, ვიდრე ხუთ მილიონს».

ამის წინააღმდეგ განილი მართებულად შენიშნავს:

«ეს ნიშნავს იმის ვარაუდს, რომ ხელფასიდან გაკეთებულ დანაზოგს უპირატესობა მიენიჭოს იმ დანაზოგთან შედარებით, რომელსაც ხელფასის ანაზღაურების შეწყვეტა წარმოშობს»... «აბსურდი იქნებოდა 400 მილიონი ფრანკი ხელფასის გადახდა ისეთი მუშებისათვის, რომლებიც არავითარ წმინდა პროდუქტს არ აწარმოებენ, მხოლოდ იმისათვის, რომ ამ მუშებს შესაძლებლობა და საშუალება მიეცეთ თავიანთი ხელფასიდან დანაზოგი გააკეთონ» (ციტირ. თხზ., გვ. 221).

«ცივილიზაციის ყოველ წინგადადგმულ ნაბიჯთან ერთად შრომა ნაკლებად მძიმე და უფრო ნაყოფიერი ხდება; კლასები, რომელთა ხვედრი წარმოება და ძოხმარებაა, მცირდებიან რიცხობრივად, ის კლასები კი, რომლებიც შრომას გამ-

გებლობენ, რომლებიც მთელ მოსახლეობას შემსუბუქებას (!), ნუგეშს (!) და განათლებას აძლევენ, მრავლდებიან, უფრო მრავალრიცხოვანი ხდებიან და ისაკუთრებენ ყველა სარგებლობას, რაც კი შრომის ხარჯების შემცირებით, პროდუქტების სიუხვითა და მოხმარების სიიაფით მიიღება. ამნაირად მაღლდება აღმამანთა მოდგმა... იმის მეოხებით, რომ ასე განუწყვეტლივ მცირდება საზოგადოების დაბალი კლასების რიცხვი და იზრდება მაღალი კლასების რიცხვი... სამოქალაქო საზოგადოება ხდება უფრო ბედნიერი, უფრო ძლევამოსილი» და ა. შ. (ციტირ. თხზ., გვ. 224). «თუ... დასაქმებული მუშების რიცხვი 7 მილიონს შეადგენს, მათი ხელფასი 1 400 მილიონ ფრანკამდე ავა, მაგრამ თუ ეს 1 400 მილიონი ფრანკი... უფრო მეტ წმინდა პროდუქტს არ იძლევა, ვიდრე მილიარდი ფრანკი, რომელსაც 5 მილიონი მუშა ღებულობს, მაშინ ნამდვილი დანაზოგი ის იქნებოდა, რომ შემწყდარიყო ხელფასის ანაზღაურება 400 მილიონი ფრანკის რაოდენობით იმ ორი მილიონი მუშისათვის, რომლებიც არავითარ წმინდა პროდუქტს არ იძლევიან, და არა ის დანაზოგი, რომლის გაკეთებასაც თავიანთი 400 მილიონი ფრანკი ხელფასიდან ეს ორი მილიონი მუშა შეძლებდა» (გვ. 221).

26-ე თავში რიკარდო შენიშნავს:

«ადამ სმიტი მუდამ აზვიადებს იმ სარგებლობას, რასაც ქვეყანა მთლიანი შემოსავლიდან იღებს, იმ სარგებლობასთან შედარებით, რასაც დიდი წმინდა შემოსავალი იძლევა... რაღა არის ის სარგებლობა, რომელსაც ქვეყნისათვის მწარმოებელური შრომის დიდი რაოდენობით გამოყენება წარმოშობს, თუ ქვეყნის წმინდა რენტა და მოგება, ერთად აღებული, იგივე რჩება იმისდა მიუხედავად, შრომის ამ რაოდენობას გამოიყენებს ქვეყანა თუ უფრო ნაკლებს?.. ხუთ მილიონ მწარმოებელ მუშას გამოიყენებს ერი თუ 7 მილიონს [371] იმ წმინდა შემოსავლის სწარმოებლად, რომლთაც დანარჩენი 5 მილიონი ცხოვრობს,... საჭმელი და ტანსაცმელი ამ 5 მილიონი კაცისათვის უწინდებურად წმინდა შემოსავალს შეადგენენ. ადამიანთა უფრო დიდი რაოდენობის გამოყენება ჩვენ ვერ მოგვცემდა ვერც იმის შესაძლებლობას, რომ თუნდაც ერთი კაცით გაგვეღიდებინა ჩვენი არმია და ჩვენი ფლოტი, და ვერც იმისას, რომ თუნდაც ერთი დამატებითი გინეა შეგვეტანა გადასახადის სახით» (ციტირ. თხზ., გვ. 215) [7].

ეს მოგვაგონებს ძველ გერმანელებს, რომლებთანაც მოსახლეობის ერთი ნაწილი რიგრიგობით ომში მიდიოდა, მეორე კი მინდვრებს ამუშავებდა. რაც უფრო ნაკლები იყო მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც მიწის დასამუშავებლად უნდა დარჩენილიყო, მით უფრო მეტი იყო ის ნაწილი, რომელიც საომრად მიდიოდა. მათ ვერავითარ სარგებლობას ვერ მოუტანდა მოსახლეობის ზრდა 1/3-ით, ვთქვათ, 1 000 1 500-მდე, თუ ამასთან მიწის დასამუშავებლად საჭირო იქნებოდა 1 000 კაცი ნაცვლად წინანდელი 500-ისა. ჯარი, რომელიც მათ განკარგულებაში შეიძლებოდა ყოფილიყო, უწინდე-

ბურად მხოლოდ 500 კაციისაგან შემდგარი იქნებოდა. პირიქით, თუ მათი შრომის მწარმოებლური ძალა გაიზრდებოდა, ასე რომ ხვნა-თესვისათვის საკმარისი იქნებოდა 250 კაცი, ამ შემთხვევაში 1000 კაციდან საომრად წასვლას შეძლებდა 750 კაცი, მაშინ როდესაც შრომის მწარმოებლური ძალის შემცირების პირობებში 1 500 კაციდან საომრად წასვლას შეძლებდა მხოლოდ 500 კაცი.

აქ, ჯერ-ერთი, უნდა აღინიშნოს, რომ «წმინდა შემოსავალი», ანუ «წმინდა პროდუქტი» რიკარდოს ესმის არა როგორც ნამეტი მთელი პროდუქტისა მის იმ ნაწილთან შედარებით, რომელიც წარმოებას უნდა დაუბრუნდეს წარმოების საშუალებათა — ნედლეულისა და იარაღების — სახით. იგი, პირიქით, იმ მცდარ შეხედულებას იზიარებს, რომ მთლიანი პროდუქტი მთლიან შემოსავალზე დაიყვანება. «წმინდა პროდუქტი», ანუ «წმინდა შემოსავალი», მას ესმის როგორც ზედმეტი ღირებულება, როგორც ერთობლივი შემოსავლის ნამეტი მის იმ ნაწილთან შედარებით, რომელიც შედგება მუშის ხელფასისაგან, შემოსავლისაგან. მუშის ეს შემოსავალი კი უდრის ცვალებად კაპიტალს, საბრუნავი კაპიტალის იმ ნაწილს, რომელსაც მუშა მუდამ მოიხმარს და მუდამ აკვლავწარმოებს როგორც თავისი პროდუქციის მის მიერვე მოსახმარ ნაწილს.

თუ რიკარდოს კაპიტალისტები არ მიაჩნია სრულიად უსარგებლო ადამიანებად, ე. ი. თუ იგი თვით მათ წარმოების აგენტთა რიცხვს მიაკუთვნებს და ამიტომ მათი მოგების ნაწილი ხელფასზე დაჰყავს, მაშინ «წმინდა შემოსავალს» მან უნდა გამოაკლოს მათი შემოსავლის ნაწილი და გამოაცხადოს, რომ ყველა ეს პირი სიმდიდრის გადიდებას ხელს უწყობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათი ხელფასი მათი მოგების რაც შეიძლება მცირე ნაწილს შეადგენს. ასეა თუ ისე, ამ ადამიანთა, როგორც წარმოების აგენტთა, დროის ნაწილი მაინც განუყოფელი დეტალის სახით თვით წარმოებას ეკუთვნის. და რამდენადაც მათი დრო წარმოებას ეკუთვნის, მათი გამოყენება არ შეიძლება საზოგადოების თუ სახელმწიფოს სხვა მიზნებისათვის. რაც უფრო მეტი თავისუფალი დრო რჩებათ მათ იმ მოსაქმეობიდან, რასაც ისინი წარმოების ხელმძღვანელთა სახით ეწევიან, მით უფრო ნაკლებად არის დამოკიდებული მათი მოგება მათს ხელფასზე. მათ საპირისპიროდ ის კაპიტალისტები, რომლებიც მხოლოდ მიღებული სარგებლით ცხოვრობენ, ასევე ის ადამიანებიც, რომლებიც მიწის რენტით ცხოვრობენ, მთლიანად შეიძლება გამოყენებულ იქნენ საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიზნებისათვის, და მათი შემოსავლის არც ერთი ნაწილი არ შედის წარმოების ხარჯებში, გარ-

და იმ ნაწილისა, რაც მათი საკუთარი ძვირფასი პიროვნების კვლავწარმოებას ხმარდება. ამრიგად, ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ინტერესების თვალსაზრისით რიკარდოს უნდა მოესურვებინა აგრეთვე რენტის (ნამდვილი «წმინდა შემოსავლის») ზრდა მოგების ხარჯზე; მაგრამ იგი ძალზე შორს იყო ამ შეხედულებიდან. და რატომ? იმიტომ, რომ ეს ვნებს კაპიტალის დაგროვებას, ანუ, რაც ნაწილობრივ იგივეა, იმიტომ, რომ ეს ადიდებს არამწარმოებელი მუშაკების რაოდენობას მწარმოებელი მუშაკების ხარჯზე.

რიკარდო მთლიანად იზიარებს სმიტის მიერ გატარებულ განსხვავებას მწარმოებლურ და არამწარმოებლურ შრომას შორის იმ გაგებით, რომ პირველი გაიცვლება უშუალოდ კაპიტალზე, [მეორე კი] უშუალოდ შემოსავალზე. მაგრამ მას უკვე არა აქვს სმიტისეული სინაზე მწარმოებელი მუშების მიმართ და სმიტისეული ილუზიები მათ შესახებ. მწარმოებელ მუშებად ყოფნა — ეს უბედობაა. მწარმოებელი მუშა ის მუშაა, რომელიც ს ხ ვ ი ს სიმდიდრეს აწარმოებს. მის არსებობას აზრი აქვს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი სხვისი სიმდიდრის წარმოების ასეთ იარაღს წარმოადგენს. ამიტომ თუ სხვისი სიმდიდრის იგივე რაოდენობა შეიძლება შექმნას მწარმოებელი მუშების უფრო მცირე რიცხვმა, მაშინ სავსებით მართებულია ზედმეტი მწარმოებელი მუშების თავიდან მოცილება. Vos, non vobis [77]. თუმცაღა ეს თავიდან მოცილება რიკარდოს ესმის არა ისე, როგორც განილს; არა იმ აზრით, რომ მხოლოდ მათი თავიდან მოცილება ადიდებს შემოსავალს და საშუალებას იძლევა შ ე მ ო ს ა ვ ლ ი ს ს ა ხ ი თ მოვიხმაროთ ის, რ ა ც წ ი ნ ა თ ც ვ ა ლ ე ბ ა დ კ ა პ ი ტ ა ლ ა დ (ე. ი. ხელფასის ფორმით) მოიხმარებოდა. მწარმოებელი მუშების რიცხვის შემცირებასთან ერთად მოიხსნება პროდუქტის ის რაოდენობაც, რომელსაც თვითონ მოიხმარდნენ და აწარმოებდნენ ეს გაძევებული მუშები, მოიხსნება ეკვივალენტი მუშათა ამ რიცხვისათვის. რიკარდო არ გულისხმობს, როგორც განილი, რომ უწინდებურად პროდუქტის იგივე რაოდენობა იწარმოება. მაგრამ უცვლელი დარჩება «წმინდა პროდუქტის» რაოდენობა. თუ მუშები მოიხმარდნენ 200, მათ მიერ წარმოებული ზედმეტი პროდუქტი კი შეადგენდა 100-ს, მაშინ ერთობლივი პროდუქტი იქნებოდა 300, ზედმეტი პროდუქტი კი შეადგენდა ერთობლივი პროდუქტის ერთ მესამედს. თუკი მუშები მოიხმარენ 100-ს, მათ მიერ წარმოებული პროდუქტი კი უწინდებურად 100 იქნება, მაშინ ერთობლივი პროდუქტი შეადგენს 200-ს, ზედმეტი პროდუქტი კი უდრის ერთობლი-

ვი პროდუქტის ნახევარს, ამასთან ერთობლივი პროდუქტი შემცირდებოდა $^1/_3$-ით, პროდუქტთა იმ რაოდენობით, რასაც ასი დათხოვნილი მუშა უწინ მოიხმარდა, «წმინდა [372] პროდუქტი» კი დარჩებოდა უ ც ვ ლ ე ლ ი, რადგან $^{200}/_2 = {}^{300}/_3$. ამიტომ რიკარდოსთვის მნიშვნელობა არა აქვს მთლიანი პროდუქტის მასას, თუ ვიგულისხმებთ მხოლოდ, რომ მთლიანი პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც «წმინდა პროდუქტს» შეადგენს, უცვლელი დარჩება ანდა გადიდდება, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არ შემცირდება.

ასე, მაგალითად, იგი ამბობს [78]:

«ადამიანისათვის, რომელსაც 20.000 გირვანქა სტერლინგი კაპიტალი აქვს და ამ კაპიტალს მისთვის ყოველწლიურად 2 000 გირვ. სტერლინგი მოგება მოაქვს, სავსებით სულ ერთია, 100 კაცს აძლევს მისი კაპიტალი სამუშაოს თუ 1 000 კაცს, 10.000 გირვანქა სტერლინგად იყიდება წარმოებული პროდუქტი თუ 20.000 გირვ. სტერლინგად, თუკი ვიგულისხმებთ, რომ მის მიერ მიღებული მოგება ყველა შემთხვევაში 2.000 გირვ. სტერლინგზე დაბლა არ ეცემა. და განა ასეთი არაა აგრეთვე მთელი ერის რეალური ინტერესიც?» [79] [VIII — 372]

* * *

[IX — 377] რიკარდოს «საფუძვლების» 26-ე თავიდან ზემოციტირებულ ადგილას ნათქვამია:

«ადამ სმიტი შუდამ აზვიადებს იმ სარგებლობას, რასაც ქვეყანა მთლიანი შემოსავლიდან იღებს, იმ სარგებლობასთან შედარებით, რასაც დიდი წმინდა შემოსავალი იძლევა» (რადგან, ამბობს ადამი, «მით უფრო მეტი იქნება კაპიტალის მიერ ამოქმედებული მწარმოებლური შრომის რაოდენობა»)... «რაღა არის ის სარგებლობა, რომელსაც ქვეყნისათვის მწარმოებლური შრომის დიდი რაოდენობით გამოყენება წარმოშობს, თუ ქვეყნის წმინდა რენტა და მოგება, ერთად აღებული, იგივე რჩება იმისდა მიუხედავად, შრომის ამ რაოდენობას გამოიყენებს ქვეყანა თუ უფრო ნაკლებს?»...

ეს, მაშასადამე, მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ შრომის უფრო დიდი რაოდენობით წარმოებული ზედმეტი ღირებულება ისეთივე რჩება, როგორც შრომის უფრო ნაკლები რაოდენობით წარმოებული ზედმეტი ღირებულება. ეს კი კვლავ მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ქვეყნისთვის სულ ერთია, იყენებს იგი მუშების დიდ რიცხვს ზედმეტი ღირებულების უფრო მცირე ნორმის პირობებში თუ მუშების უფრო მცირე რიცხვს ზედმეტი ღირებულების უფრო დიდი ნორმის პირობებში. $n \times {}^1/_2$ უდრის $2n \times {}^1/_4$, სადაც n ნიშნავს მუშების რიცხვს, $^1/_2$ და $^1/_4$ კი — ზედმეტ შრომას. «მწარმოებელი მუშა» თა-

ვისთავად არის მხოლოდ წარმოების იარაღი ზედმეტი ღირებულების შესაქმნელად, და ერთნაირი შედეგის დროს ამ «მწარმოებელი მუშების» უფრო დიდი რიცხვი მხოლოდ ზედმეტი ბარგი იქნებოდა.

...«ადამიანისათვის, რომელსაც 20.000 გირვანქა სტერლინგი კაპიტალი აქვს და ამ კაპიტალს მისთვის ყოველწლიურად 2 000 გირვ. სტერლინგი მოგება მოაქვს. სავსებით სულ ერთია, 100 კაცს აძლევს მისი კაპიტალი სამუშაოს თუ 1000 კაცს, 10 000 გირვანქა სტერლინგად იყიდება წარმოებული პროდუქტი თუ 20 000 გირვ. სტერლინგად, თუკი ეგზულისხმებთ, რომ მის მიერ მიღებული მოგება ყველა შემთხვევაში 20 000 გირვ. სტერლინგზე დაბლა არ ეცემა».

ამას, როგორც ერთი მერმინდელი ადგილიდან ცხადად ჩანს, სრულიად ბანალური აზრი აქვს. მაგალითად, ღვინით მოვაჭრე, რომელიც საქმეში აბანდებს 20 000 გირვანქა სტერლინგს და ყოველწლიურად სარდაფში ტოვებს 12 000 გირვ. სტერლინგის ღვინოს, 8 000-ისას კი ყიდის და ამ გაყიდულ ღვინოში 10 000 გირვ. სტერლინგს იღებს, — ასეთი ღვინით მოვაჭრე იყენებს ადამიანთა მცირე რაოდენობას და 10% მოგებას იღებს. და ა. შ. და თუ კიდევ ბანკირებს ავიღებთ!

«განა ასეთი არაა აგრეთვე მთელი ერის რეალური ინტერესი? თუკი მისი წმინდა რეალური შემოსავალი, მისი რენტა და მოგება, არ იცვლება, მაშინ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, 10 მილიონი მცხოვრებისაგან შედგება ეს ერი თუ 12 მილიონისაგან. მისი უნარი ფლოტისა და არმიის და არამწარმოებლური შრომის ყველა სახეობის შენახვისა».

(ეს ადგილი ცხადყოფს სხვათა შორის, რომ რიკარდო იზიარებდა ა. სმიტის შეხედულებას მწარმოებლურ და არამწარმოებლურ შრომაზე, თუმცა უკვე არ იზიარებდა ილუზიებზე დამყარებულ მის სინაზეს მწარმოებელი მუშის მიმართ).

«უნდა იყოს მისი წმინდა შემოსავალს და არა მთლიანი შემოსავლის პროპორციული. თუ 5 მილიონი კაცი შეძლებდა იმდენი საზრდო და ტანსაცმელი ეწარმოებინა, რამდენიც აუცილებელია 10 მილიონი კაცისათვის, მაშინ 5 მილიონი კაცის საზრდო და ტანსაცმელი წმინდა შემოსავალი იქნებოდა. განა ქვეყანა რაიმე სარგებლობას მიიღებდა იმის გამო, რომ იმავე წმინდა შემოსავლის საწარმოებლად საჭირო ყოფილიყო 7 მილიონი კაცი, ანუ, სხვა სიტყვებით, 7 მილიონი კაცის შრომა გამოეყენებინათ 12 მილიონი კაცისათვის საკმარისი საზრდოსა და ტანსაცმლის საწარმოებლად? 5 მილიონი კაცის საზრდო და ტანსაცმელი უწინდებურად წმინდა შემოსავალი იქნებოდა. ადამიანთა უფრო დიდი რაოდენობის გამოყენება ჩვენ ვერ მოგვცემდა ვერც იმის შესაძლებლობას,

რომ თუნდაც ერთი კაცით გაგვეღიდებინა ჩვენი არმია და ჩვენი ფლოტი, და ვერც იფისას; ოომ თუხდაც ერთი დაპატებითი გინეა შეგვეტანა გადასაადის სახით» (Ricardo. On the Principles of Political Economy, and Taxation. 3 rd edition. London. 1821, გვ. 415 — 417).

ქვეყანა მით უფრო მდიდარია, რაც უფრო მცირეა მისი მწარმოებელი მოსახლეობა ერთობლივ პროდუქტთან შეფარდებით, სავსებით ისევე როგორც ცალკეული კაპიტალისტისათვისაც მით უკეთესია, რაც უფრო ნაკლები მუშა სჭირდება მას იმავე ზედმეტი ღირებულების საწარმოებლად. ქვეყანა მით უფრო მდიდარია, რაც უფრო ნაკლებია, პროდუქტთა ერთი და იმავე რაოდენობის პირობებში, მწარმოებელი მოსახლეობა არამწარმოებელთან შეფარდებით. მწარმოებელი მოსახლეობის შეფარდებითი მცირერიცხოვნობა ხომ შრომის ნაყოფიერების შეფარდებითი სიმაღლის მხოლოდ სხვა გამოხატულება იქნებოდა.

ერთი მხრივ, კაპიტალის ტენდენცია ისაა, რომ სულ უფრო კლებად მინიმუმამდე დაიყვანოს საქონლის საწარმოებლად საჭირო სამუშაო დრო, მაშასადამე, მწარმოებელი მოსახლეობის რაოდენობაც პროდუქტის მოცულობასთან შეფარდებით. მაგრამ, მეორე მხრივ, კაპიტალისტური წარმოების წესის ტენდენცია ისაა, პირიქით, რომ დაგროვოს, კაპიტალად აქციოს მოგება, მიითვისოს სხვისი შრომის რაც შეიძლება დიდი რაოდენობა. კაპიტალისტური წარმოების წესი ესწრაფვის დასწიოს აუცილებელი შრომის ნორმა, ხოლო მოცემული ნორმის პირობებში გამოიყენოს მწარმოებლური შრომის რაც შეიძლება მეტი რაოდენობა. პროდუქტების შეფარდება მოსახლეობასთან ამასთან სულ ერთია. ხორბალი და ბამბა შეიძლება გაიცვალოს ღვინოზე, ბრილიანტებზე და ა. შ. [378] ანდა მუშები შეიძლება გამოყენებულ იქნენ ისეთი ნწარმოებლური შრომისათვის, რომელიც უშუალოდ არაფერს არ უმატებს მოხმარების საგნებს (როგორც, მაგალითად, რკინიგზების აგება და ა. შ.).

რაიმე აღმოჩენის გამო კაპიტალისტს რომ შესაძლებლობა მიეცემოდეს თავის საწარმოში წინანდელი 20 000 გირვ. სტერლინგის ნაცვლად მხოლოდ 10 000 გირვ. სტერლინგი დაებანდოს, რადგან ეს 10 000 გირვ. სტერლინგი საკმარისი იქნებოდა, და ეს თანხა რომ მას 10-ის ნაცვლად 20 პროცენტს მოუტანდეს, მაშასადაძე, იმდენსავე, რამდენიც უწინ 20 000 გირვ. სტერლინგს მოჰქონდა, ეს არ იქნებოდა მისთვის იმის საფუძველი, რომ ეს 10 000 გირვ. სტერლინგი დაეხარჯა როგორც შემოსავალი, იმის ნაცვლად, რომ იგი, როგორც აქამდე, კაპიტალის სახით მოეხმარა. (შემოსავლად კაპიტალის პირ-

დაპირ გადაქცევაზე საკუთრივ მხოლოდ სახელმწიფო სესხთა შემთხვევაში შეიძლებოდა ლაპარაკი). იგი მას სხვა რომელიმე საწარმოში დაბანდებდა; გარდა ამისა, იგი თავისი მოგების ნაწილის კაპიტალიზაციასაც მოახდენდა.

ეკონომისტების მსჯელობაში (მათ რიცხვში ნაწილობრივ რიკარდოს შეხედულებებშიც) ჩვენ ვხედავთ იმავე ანტინომიას, რასაც ადგილი აქვს სინამდვილეში. მანქანები აძევებენ შრომას და ადიდებენ «წმინდა შემოსავალს» (განსაკუთრებით ისინი ყოველთვის ადიდებენ იმას, რასაც რიკარდო აქ «წმინდა შემოსავალს» უწოდებს, ე. ი. პროდუქტების მასას, რომელთა სახითაც შემოსავალი მოიხმარება); ისინი ამცირებენ მუშების რიცხვს და ამრავლებენ პროდუქტებს (რომლებიც ახლა ნაწილობრივ არამწარმოებელი მუშაკების მიერ მოიხმარება, ნაწილობრივ კი საზღვარგარეთის ქვეყნებში გაიცვლება.) თითქოს ეს სასურველიც უნდა ყოფილიყო. მაგრამ არა, ხომ საჭიროა იმის დამტკიცება, რომ მანქანები არ ტოვებენ მუშებს ულუკმაპუროდ. და რით მტკიცდება ეს? იმით, რომ მანქანები ცოტაოდენი შერყევის შემდეგ (რასაც, შესაძლოა, სწორედ მოსახლეობის ყველაზე დაზარალებული ფენა ვერ გაუწევს წინააღმდეგობას) კვლავ დაასაქმებენ ადამიანთა უფრო დიდ რიცხვს, ვიდრე მათ შემოლებამდე იყო დასაქმებული, ასე რომ «მწარმოებელი მუშების» მასა კვლავ გადიდდება და წინანდელი დისპროპორცია ხელახლა აღდგება.

ასე ხდება კიდეც სინამდვილეში. და ამრიგად, მიუხედავად შრომის ნაყოფიერების ზრდისა, მუშა-მოსახლეობას შეუძლია განუწყვეტლივ გაიზარდოს, არა პროდუქტთან შეფარდებით, რომელიც მასთან ერთად და მასზე უფრო სწრაფად იზრდება, არამედ მთელ მოსახლეობასთან შეფარდებით, თუ: მაგალითად, ერთსა და იმავე დროს ხდება კაპიტალის კონცენტრაცია და, მაშასადამე, მწარმოებელი კლასების წინანდელი შემადგენელი ნაწილები პროლეტარიატის რიგებს შეავსებენ, პროლეტარიატის მცირე ნაწილი საშუალო კლასის რიგებში გადადის. მაგრამ არამწარმოებელი კლასები ზრუნავენ, რათა პროლეტარიატს წილად არ ხვდეს ძალიან ბევრი საარსებო საშუალება. მოგების განუწყვეტელი უკუგადაქცევა კაპიტალად მუდამ აღადგენს იმავე წრებრუნვას უფრო ფართო საფუძველზე.

რიკარდოსთვის კი დაგროვება გაცილებით უფრო მეტად საზრუნავია, ვიდრე წმინდა მოგება, რომელიც მას გულწრფელად ხიბლავს როგორც დაგროვების საშუალება. აქედან წარმოდგება აგრეთვე წინააღმდეგობრივი დარწმუნებანი და ნუგეში მუშების მისამართით. ისინი ყველაზე მეტად არიან კაპიტალის დაგროვებით დაინტერესე-

ბული, რადგან ამაზეა დამოკიდებული მუშახელის მოთხოვნაო. თუ მოთხოვნა იზრდება, იზრდება შრომის ფასიც. მაშასადამე, მათ თვითონ უნდა სურდეთ ხელფასის დაწევა, რათა მათგან მითვისებულმა ზედმეტმა ღირებულებამ, კვლავ კაპიტალის ფილტრში გავლილმა, აუნაზღაუროს მათ ახალი შრომა და გაადიდოს მათი ხელფასი. მაგრამ ხელფასის ეს გადიდება ამავე დროს საზარალოა, რადგან იგი დაგროვებას აფერხებს. ერთი მხრივ, მათ არ უნდა ამრავლონ ბავშვები. ამის შედეგად შემცირდება შრომის მიწოდება და, მაშასადამე, აიწევს მისი ფასი. მაგრამ შრომის ფასის აწევა ამცირებს დაგროვების ნორმას, ამცირებს, მაშასადამე, მუშების მოთხოვნას და დაბლა სწევს შრომის ფასს. კიდევ უფრო სწრაფად, ვიდრე შრომის მიწოდება მცირდება, შემცირდება მასთან ერთად აგრეთვე კაპიტალის [დაგროვება]. თუკი მუშები ბავშვებს გაამრავლებენ, ამით ისინი გაადიდებენ შრომის მიწოდებას და შეამცირებენ შრ–მის ფასს, რის შედეგადაც გაიზრდება მოგების ნორმა და მასთან ერთად კაპიტალის დაგროვება. მაგრამ მუშა-მოსახლეობა უნდა მიჰყვებოდეს pari passu * კაპიტალის დაგროვებას; ე. ი. მუშა-მოსახლეობა ზუსტად ისეთი რაოდენობით უნდა მოიპოვებდეს, რამდენიც საჭიროა კაპიტალისტისათვის, — რაც ისედაც ხდება სინამდვილეში.

ბატონი განილი არ არის მთლად თანმიმდევრული, როცა თაყვანს სცემს «წმინდა პროდუქტს». მას მოჰყავს სეის შემდეგი ადგილი:

«მე სავსებით უეჭველად მიმაჩნია, რომ მონური შრომის დროს პროდუქტების ნამეტი მოხმარებასთან შედარებით უფრო მეტია, ვიდრე თავისუფალი ადამიანის შრომის პირობებში... მონის შრომას არა აქვს სხვა საზღვარი, გარდა მისი სხეულის ძალის უნარისა... მონა» (ასევე თავისუფალი მუშაც) «მუშაობს თავისი ბატონის უსაზღვრო მოთხოვნილების — მისი გეუმაძღრობის დასაკმაყოფილებლად» (სეი, 1-ლი გამოცემა, გვ. 216).

[379] ამის გამო განილი შენიშნავს:

«თავისუფალ მუშას არ შეუძლია მონაზე მეტი დახარჯოს და ნაკლები აწარმოოს,... ყოველი ხარჯი გულისხმობს ეკვივალენტს, წარმოებულს ამ ხარჯის გასასტუმრებლად. თუ თავისუფალი მუშა უფრო მეტს ხარჯავს, ვიდრე მონა, მაშინ მისი შრომის პროდუქტებიც უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს, ვიდრე მონური შრომის პროდუქტები» (განილი, ტომი I, გვ. 234).

თითქოს ხელფასის სიდიდე დამოკიდებული იყოს მხოლოდ მუშაკის შრომის ნაყოფიერებაზე და არა პროდუქტის განაწილებაზე —

* — ფეხდაფეხ. რედ.

მოცემული ნაყოფიერების პირობებში — მუშასა და მეპატრონეს შორის.

«მე ვიცი», — განაგრძობს განილი, — «რომ გარკვეული საფუძვლით შეიძლება ითქვას, რომ ის ეკონომია, რასაც მონის ხარჯზე ბატონი აკეთებს» (აქ, მაშასადამე, მაინც «ეკონომია მონის ხელფასიდან»), «მისი პირადი ხარჯების გადიდებას ემსახურება» და ა. შ. ...«მაგრამ საერთო სიმდიდრისათვის უფრო ხელსაყრელია, რომ საზოგადოების ყველა კლასში კეთილდღეობა სუფევდეს, ვიდრე ის, რომ ინდივიდთა მცირე რიცხვს უზომო სიმდიდრე ჰქონდეს» (გვ. 234—235).

როგორ შევათანხმოთ ეს «წმინდა პროდუქტთან»? თუმცა განილს მყისვე უკან მიაქვს თავისი ლიბერალური ტირადები (იქვე, გვ. 236—237), იგი მომხრეა შავკანიანთა მონობისა კოლონიებში. იგი ლიბერალურია მხოლოდ იმდენად, რომ არა სურს მონობის ხელახლა შემოღება ევროპაში, რაკი ნათლად აქვს გაგებული, რომ თავისუფალი მუშები აქ მონებია, რომლებიც მხოლოდ იმისთვის არსებობენ, რათა «წმინდა პროდუქტი» აწარმოონ კაპიტალისტებისათვის, მიწის მესაკუთრეებისა და მათი მსახურებისათვის.

«იგი (ქენე) გადაჭრით უარყოფს, რომ ხელფასზე მყოფი კლასების დანაზოგს შესწევდეს კაპიტალის გადიდების უნარი; ეს ამას იმით ასაბუთებს, რომ ამ კლასებს არ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა ასეთი დანაზოგის გაკეთებისა და თუ ბით აქვთ რაიმე ნამეტი, ნაკარბი. ამის მიღება შეიძლება მხოლოდ შეცდომის ან საზოგადოებრივ მეურნეობაში არსებული უწესრიგობის გამო» (იქვე, გვ. 274).

ამის დასამტკიცებლად განილს მოჰყავს ქენედან შემდეგი ადგილი:

«თუ უნაყოფო კლასი დანაზოგს აკეთებს თავისი ნაღდი ფულის რაოდენობის გადიდების მიზნით,... მაშინ იმავე პროპორციით მცირდება მისი სამუშაო და მისი შემოსავალი, და იგი ეაქვეითებას განიცდის» («Physiocratie», გვ. 321).

რეგვენი! მან ვერ გაიგო ქენე.

ბატონი განილი უკანასკნელ აგურს დებს შემდეგი ფრაზით:

«რაც უფრო მნიშვნელოვანია იგი» (ხელფასი), «მით უფრო მცირეა საზოგადოების შემოსავალი».

(«საზოგადოების» საფუძველს შეადგენენ დაქირავებული მუშები, მაგრამ თვით ისინი არ შედიან «საზოგადოებაში»),

«და მთავრობათა მთელი ოსტატობა ხელფასის ჯამის შემცირებისაკენ უნდა იყოს მიმართული... ამოცანა... ღირსი განათლებული საუკუნისა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ» (ციტირ. თხზ., ტომი II, გვ. 24).

* * *

მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის საკითხის შესახებ საჭიროა კიდევ მოკლედ განვიხილოთ ლოდერდელი (ბრუმის უგვანო ოხუნჯობათა განხილვა ამის შემდეგ არა ღირს), (ფერიე?), ტოკვილი, შტორხი, სენიორი და როსი.

[10)] შემოსავლისა და კაპიტალის გაცვლა [წლიური პროდუქტის მთელი მასის ანაზღაურება: ა) შემოსავლის გაცვლა შემოსავალზე; ბ) შემოსავლის გაცვლა კაპიტალზე; გ) კაპიტალის გაცვლა კაპიტალზე]

{უნდა განვასხვაოთ: 1) შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც ახალ კაპიტალად გადაიქცევა; მაშასადამე, მოგების ის ნაწილი, რომელიც თვით ხელახლა კაპიტალი ხდება. ამ ნაწილს ჩვენ აქ სრულიად უყურადღებოდ ვტოვებთ. ეს განეკუთვნება იმ განყოფილებას, სადაც დაგროვებაზეა ლაპარაკი. 2) შემოსავალი, რომელიც გაიცვლება წარმოებაში მოხმარებულ კაპიტალზე; ასე რომ, ამ გაცვლის მეოხებით წარმოებს არა ახალი კაპიტალის შექმნა, არამედ ძველი კაპიტალის ანაზღაურება, ერთი სიტყვით — ძველი კაპიტალის შენახვა. ამრიგად, შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც ახალ კაპიტალად გადაიქცევა, ჩვენ შეგვიძლია ამ გამოკვლევისათვის ნულს გავუთანაბროთ და საქმე ისე განვიხილოთ, თითქოს ყოველი შემოსავალი ან შემოსავალს ფარავს, ანდა მოხმარებულ კაპიტალს.

წლიური პროდუქტის მთელი მასა დაიყოფა. მაშასადამე, ორ ნაწილად: ერთი ნაწილი მოიხმარება როგორც შემოსავალი, მეორე კი ანაზღაურებს in natura * მოხმარებულ მუდმივ კაპიტალს.

შემოსავლის გაცვლა შემოსავალზე ხდება მაშინ, როცა, მაგალითად, ტილოს მწარმოებლები თავიანთი პროდუქტის, ტილოს, იმ ნაწილიდან, რომელიც მათს მოგებასა და ხელფასს, მათს შემოსავალს შეესაბამება, ამა თუ იმ ნაწილს გაცვლიან ხორბალზე, რომელიც მიწათმოქმედის მოგებასა და [380] ხელფასის ნაწილს შეესაბამება. აქ, მაშასადამე, ტილო გაიცვლება ხორბალზე, გაიცვლება ორი საქონელი, რომელთაგანაც თვითეული შედის ინდივიდუალურ მოხმარებაში, გაიცვლება შემოსავალი ტილოს ფორმით შემოსავალზე ხორბ-

* — ნატურით, ნატურალური ფორმით. რედ.

ლის ფორმით. აქ არ არის არავითარი სიძნელე. თუ ინდივიდუალური მოხმარებისათვის ვარგისი პროდუქტები წარმოებულია მოთხოვნილებათა შესატყვისი პროპორციებით, მაშასადამე, თუ პროპორციულადაა ავრეთვე განაწილებული ამ პროდუქტთა საწარმოებლად საჭირო საზოგადოებრივი შრომის მასებიც, [რაც, რა თქმა უნდა, ზუსტად არ ხდება ხოლმე; ყოველთვის აქვს ადგილი გადახვევებს, დისპროპორციებს, რომელნიც როგორც ასეთნი თანაბრდებიან, მაგრამ ისე, რომ გათანაბრების მუდმივი მოძრაობა თვით გულისხმობს მუდმივ დისპროპორციას]1, — მაშინ შემოსავალი, მაგალითად, ტილოს ფორმით, სწორედ იმ რაოდენობით არსებობს, რამდენიც საჭიროა მოხმარების საგნის სახით, ე. ი. რამდენსაც ანაზღაურებენ სხვა მწარმოებელთა მოხმარების საგნები. რასაც ტილოს მწარმოებელი ხორბლის და სხვ. სახით მოიხმარს, გლეხი და ა. შ. მოიხმარს ტილოს სახით. მაშასადამე, მისი პროდუქტის იმ ნაწილს, რომელიც შემოსავალს შეესაბამება და სხვა საქონელზე (მოხმარების საგნებზე) იცვლება, ამ სხვა საქონელთა მწარმოებლები მიიღებენ გაცვლის გზით როგორც მოხმარების საგანს. რასაც იგი სხვა პროდუქტის სახით მოიხმარს, სხვები მისი პროდუქტის სახით მოიხმარენ.

შევნიშნავთ გაკვრით შემდეგს: ის გარემოება, რომ ერთეულ პროდუქტზე არ იხარჯება იმაზე მეტი სამუშაო დრო, რაც საზოგადოებრივად აუცილებელია, ე. ი. არ იხარჯება იმაზე მეტი დრო, რაც საჭიროა საშუალოდ ამ საქონლის საწარმოებლად, — შედეგია კაპიტალისტური წარმოებისა, რომელიც მუდამ ამცირებს კიდეც აუცილებელი სამუშაო დროის მინიმუმს. მაგრამ ამისათვის იგი მუდამ უნდა აწარმოებდეს შზარდი მასშტაბით.

თუ ერთი არშინი ტილოს დირებულება მხოლოდ ერთ საათს უდრის და თუ ეს აუცილებელ სამუშაო დროს შეადგენს, რაც საზოგადოებამ უნდა დახარჯოს ერთ არშინ ტილოზე თავისი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის, აქედან ჯერ კიდევ სულაც არ გამომდინარეობს, რომ თუ წარმოებულია 12 მილიონი არშინი, მაშასადამე დახარჯულია 12 მილიონი სამუშაო საათი, ანუ, რაც იგივეა, 1 მილიონი სამუშაო დღე, გამოყენებულია 1 მილიონი მუშა ტილოს მქსოველთა სახით, მაშინ საზოგადოება «აუცილებლად» უნდა ხარჯავდეს ტილოს ქსოვაზე თავისი სამუშაო დროის სწორედ ასეთ ნაწილს. თუ მოცემულია აუცილებელი სამუშაო დრო, ე. ი. მოცემულია, რომ დღის განმავლობაში შეიძლება წარმოება ტილოს გარკვეული რაოდენობისა, მაშინ საკითხავია, რამდენი ასეთი დღე უნდა

დაიხარჯოს ტილოს საწარმოებლად. სამუშაო დრო, რომელიც დაიხარჯა გარკვეული პროდუქტების მთელი ჯამის საწარმოებლად, ვთქვათ, ერთი წლის განმავლობაში, უდრის ამ სახმარი ღირებულების გარკვეულ რაოდენობას, მაგალითად, ერთ არშინ ტილოს (ვთქვათ, ეს რაოდენობა = 1 სამუშაო დღეს), გამრავლებულს საერთო დახარჯული სამუშაო დღეთა რიცხვზე. პროცენტული შეფარდება წარმოების გარკვეულ დარგში დახარჯული სამუშაო დროის ერთობლივი რაოდენობისა საზოგადოების განკარგულებაში არსებულ მთელ სამუშაო დროსთან შეიძლება იყოს ჯეროვან შეფარდებაზე დაბლა ან მაღლა მიუხედავად იმისა, რომ პროდუქტის ყოველი ნაწილი შეიცავს მხოლოდ მის დასამზადებლად საჭირო სამუშაო დროს, ანდა მიუხედავად იმისა, რომ დახარჯული სამუშაო დროის ყოველი ნაწილი აუცილებელი იყო ერთობლივი პროდუქტის შესაბამისი ნაწილის შესაქმნელად.

ამ თვალსაზრისით აუცილებელი სამუშაო დრო სხვა აზრს იღებს. ისმება საკითხი, რა რაოდენობით ნაწილდება თვით აუცილებელი სამუშაო დრო წარმოების სხვადასხვა სფეროში. კონკურენცია მუდამ არეგულირებს ამ განაწილებას, ისევე, როგორც მუდამ არღვევს მას. თუ წარმოების რომელიმე დარგში დახარჯულია საზოგადოებრივი სამუშაო დროის ძლიერ დიდი რაოდენობა, მაშინ ეკვივალენტის გადახდა შეიძლება იმ ვარაუდით, თითქოს დახარჯული ყოფილიყოს შესაბამისი რაოდენობა. ერთობლივი პროდუქტი — ე. ი. ერთობლივი პროდუქტის ღირებულება — მაშინ უდრის, მაშასადამე, უკვე არა იმ სამუშაო დროს, რასაც იგი შეიცავს, არამედ იმას, რომელიც პროპორციულად იქნებოდა დახარჯული, თუკი მოცემული სფეროს ერთობლივი პროდუქტი სათანადო შეფარდებაში იქნებოდა სხვა სფეროების პროდუქციასთან. მაგრამ იმდენად, რამდენადაც ერთობლივი პროდუქტის ფასი მის ღირებულებაზე უფრო დაბლა ეცემა, ეცემა მისი ყოველი ცალკეული ნაწილის ფასიც. თუ წარმოებულია 6 000 არშინი ტილო ნაცვლად 4 000-ისა და თუ 12 000 შილ. 6 000 არშინის ღირებულებას შეადგენს, მაშინ წარმოებული ტილო გაიყიდება 8 000 შილინგად. თვითეული არშინის ფასი იქნება $1^1/_3$ შილინგი ნაცვლად 2-ისა, ე. ი. $^1/_3$-ით უფრო დაბლა მის ღირებულებაზე. ეს, მაშასადამე, ივივეა, ერთი არშინის წარმოების აუცილებელ დროზე $^1/_3$-ით უფრო მეტი სამუშაო დრო რომ დახარჯულიყო. როცა საქონელს სახმარი ღირებულება აქვს, მისი ფასის დაცემა მის ღირებულებაზე დაბლა იმას მოწმობს, მაშასადამე, რომ, თუმცა პროდუქტის ყოველ ნაწილზე მხოლოდ საზოგადოებრივად-აუცი-

ლებელი სამუშაო დრო დაიხარჯა { აქ იგულისხმება, რომ წარმოების პირობები უცვლელი რჩება }, მაგრამ წარმოების მთელ ამ დარგზე დაიხარჯა საზოგადოებრივი შრომის ზედმეტი ერთობლივი ძალა, რომელიც აუცილებელს აღემატება.

სულ სხვაა საქონლის შეფარდებითი ღირებულების დაწევა წარმოების შეცვლილი [381] პირობების გამო. ტილოს მოცემული ნაჭერი, ბაზარზე რომ იმყოფება, ღირდა 2 შილინგი, რაც უდრის, ვთქვათ, 1 სამუშაო დღეს. მაგრამ მისი კვლავწარმოება 1 შილინგად ყოველ დღეს შეიძლება. რადგან ღირებულებას განსაზღვრავს საზოგადოებრივად-აუცილებელი სამუშაო დრო და არა ის სამუშაო დრო, რომელიც ცალკეულ მწარმოებელს სჭირდება, ამიტომ დღე, რომელიც მწარმოებელს დასჭირდა 1 არშინის საწარმოებლად, უდრის საზოგადოებრივად-განსაზღვრული დღის მხოლოდ ნახევარს. მისი არშინი ტილოს ფასის დაწევა 2 შილინგიდან 1 შილინგამდე, ე. ი. არშინი ტილოს ფასის დაცემა იმ ღირებულებაზე დაბლა, რაც მას იგი დ ა უ ჯ დ ა, გვიჩვენებს მხოლოდ წარმოების პირობების შეცვლას, გვიჩვენებს იმას, რომ შეიცვალა თვით აუცილებელი სამუშაო დრო. თუ, მეორე მხრივ, ტილოს წარმოების ხარჯები უცვლელი დარჩებოდა, ხოლო გადიდდებოდა წარმოების ხარჯები სხვა საგნებისა ოქროსი, ე. ი. ფულადი მასალის, გამოკლებით, ანდა გადიდდებოდა წარმოების ხარჯები მხოლოდ გარკვეული საგნებისა, მაგალითად, პურის, სპილენძისა და ა. შ., ერთი სიტყვით, საგნებისა, რომლებიც ტილოს შემადგენელ ნაწილებში არ შედიან, მაშინ 1 არშინი ტილოს ფასი უწინდებურად 2 შილინგი იქნებოდა. მისი ფ ა ს ი არ დაიწევდა, მაგრამ დაიწევდა მისი შეფარდებითი ღირებულება, გამოხატული პურით, სპილენძითა და ა. შ.

* * *

შემოსავლის იმ ნაწილის შესახებ (ინდივიდუალური მოხმარებისათვის ვარგისი საქონლის მწარმოებელ რომელიმე დარგში), რომელიც წარმოების რომელიმე სხვა დარგის შემოსავლის სახით მოიხმარება, ძალაშია დებულება, რომ მოთხოვნა უდრის მის საკუთარ მოწოდებას (რამდენადაც იგი პ რ ო პ ო რ ც ი უ ლ ა დ იწარმოება). ეს იგივეა. წარმოების მოცემული დარგებიდან თვითეულს თვითონ რომ მოეხმარა თავისი შემოსავლის ნაწილი. აქ არის საქონლის მხოლოდ ფორმალური მეტამორფოზი: ს—ფ—ს[1]. ტილო — ფული — ხორბალი.

ერთმანეთზე გასაცვლელი ორივე საქონელი აქ წარმოადგენს

წლის განმავლობაში მიმატებული ახალი შრომის მხოლოდ ნაწილს. მაგრამ ცხადია, ჯერ-ერთი, რომ ეს გაცვლა, რომლის დროსაც ორი მწარმოებლიდან თვითეული მეორის საქონელში თავისი პროდუქტის იმ ნაწილს მოიხმარს, რომელიც შემოსავალს წარმოადგენს, ხდება წარმოების იმ დარგებში, სადაც მზადდება მოხმარების საგნები, ე. ი. ისეთი საგნები, რომლებიც უშუალოდ შედიან ინდივიდუალურ მოხმარებაში და რომლებზეც ამიტომ შემოსავალი შეიძლება დაიხარჯოს როგორც შემოსავალი. მეორე, ასევე ნათელია შემდეგიც: პროდუქტების გაცვლის ჭეშლოდ ა მ ნ ა წ ი ლ ი ს ა თ ვ ი ს არის მართებული, რომ მიწოდება მწარმოებლის მხრივ უდრის მის მოთხოვნას სხვა პროდუქტებზე, რომელთა მოხმარებაც მას სურს. აქ სინამდვილეში საქმე ეხება მხოლოდ მარტივ საქონელგაცვლას. ნაცვლად იმისა, რომ თვით აწარმოოს თავისი საარსებო საშუალებანი, იგი აწარმოებს საარსებო საშუალებებს სხვისთვის, ეს სხვა კი საარსებო საშუალებებს აწარმოებს მისთვის. აქ ადგილი არა აქვს არავითარ ურთიერთობას შემოსავალსა და კაპიტალს შორის. შემოსავალი მოხმარების საგანთა ერთი ფორმით გაიცვლება შემოსავალზე მოხმარების საგანთა მეორე ფორმით, ე. ი. სინამდვილეში მოხმარების საგნები გაიცვლება მოხმარების საგნებზე. მათი გაცვლის პროცესი განისაზღვრება არა იმით, რომ ისინი ორივენი შემოსავალია, არამედ იმით, რომ ისინი ორივე მოხმარების საგნებია. ეს გარემოება, რომ თავიანთი ფორმაგანსაზღვრულობით ისინი შემოსავალს წარმოადგენენ, აქ არავითარ როლს არ ასრულებს. მართალია, ეს გარემოება მეცდავნდება ურთიერთ გასაცვლელ საქონელთა სახმარ ღირებულებაში. იმაში, რომ ისინი ორთავენი შედიან ინდივიდუალურ მოხმარებაში, მაგრამ ეს კვლავ მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მოხმარების საგნების ერთი ნაწილი იცვლება მოხმარების საგნების მეორე ნაწილზე.

შემოსავლის ფორმას შეუძლია გამოავლინოს თავისთავი ან გამოვიდეს წინა პლანზე მხოლოდ იქ, სადაც მას კაპიტალის ფორმა უპირისპირდება. მაგრამ აქ განხილულ შემთხვევაშიც კი მცდარია სეის [80] და სხვა ვულგარული ეკონომისტების მტკიცება, სახელდობრ ის, რომ თუ A-ს არ შეუძლია გაყიდოს თავისი ტილო, ე. ი. თავისი ტილოს ის ნაწილი, რომელიც თვითონ სურს მოიხმაროს როგორც შემოსავალი, ანდა, თუ მას შეუძლია ტილოს გაყიდვა მხოლოდ მის ფასზე დაბლა, ეს იმიტომ ხდება, რომ B-მ, C-მ და ა. შ. ძლიერ ცოტა მარცვლეული, ხორცი და სხვ. აწარმოეს. ეს შეიძლება მოხდეს იმიტომ, რომ მათ აწარმოეს ისინი არასაკმაო რაოდენობით.

მაგრამ ეს შეიძლება მოხდეს იმიტომაც, რომ *A*-მ ძლიერ ბევრი ტილო აწარმოვა; ვინაიდან კიდეც რომ ვიგულისხმოთ, რომ *B*-ს, *C*-ს და ა. შ. საკმაო მარცვალი და სხვ. აქვთ, რათა *A*-სგან მთელი მისი ტილო იყიდონ, მაინც ისინი არ ყიდულობენ მას იმ მიზეზით, რომ მათ ტილოს მხოლოდ გარკვეული რაოდენობა უნდა მ ო ი ხ მ ა რ ო ნ. ანდა ეს შეიძლება მოხდეს კიდევ იმიტომაც, რომ *A*-მ აწარმოვა ტილო ისეთი რაოდენობით, რომელიც აღემატება მათი შემოსავლის იმ ნაწილს, რაც საერთოდ შეიძლება დაიხარჯოს ტანსაცმლის მასალაზე, მაშასადამე, იმიტომ რომ თვითეულს შეუძლია ხარჯოს შემოსავლის სახით თავისი პროდუქტის მხოლოდ გარკვეული რაოდენობა, *A*-სთან ტილოს წარმოება კი იმახე უფრო დიდ შემოსავალს გულისხმობს, რაც საერთოდ მოცემულია. მაგრამ იქ, სადაც საქმე მხოლოდ შემოსავლის შემოსავალზე გაცვლას ეხება, სასაცილო იქნებოდა გვეეარაუდნა, რომ მიწოდების საგანია არა პროდუქტის სახმარი ღირებულება, არამედ ამ სახმარი ღირებულების რაოდენობა, ე. ი. კვლავ დაგვევიწყნა, რომ ა მ გაცვლაში საქმე ეხება მხოლოდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და არა რაოდენობას, რომელიც იგულისხმება, როცა ლაპარაკია საცვლელ ღირებულებაზე.

მაგრამ თვითეული ამჯობინებს მეტი პროდუქტი ჰქონდეს, ვიდრე ნაკლები! თუ ამ მოსაზრებამ უნდა გადაჭრას სიძნელე; მაშინ [382] აბსოლუტურად გაუგებარია, თუ რატომაა, რომ ტილოს მწარმოებელი, ნაცვლად იმისა, რომ თავისი ტილო სხვა მოხმარების საგნებზე გაცვალოს და ეს უკანასკნელი en masse* დააგროვოს, არ მიმართავს უფრო მარტივ პროცესს — თავის შემოსავლის ნაწილის მოხმარებას ნაჭარბი ტილოს სახით. რატომ უნდა გადააქციოს მან საერთოდ თავისი შემოსავალი ტილოს ფორმიდან სხვა ფორმებად? იმიტომ, რომ გარდა ტილოს მოთხოვნილებისა მან უნდა დაიკმაყოფილოს სხვა მოთხოვნილებანიც. რატომ მოიხმარს თვითონ იგი ტილოს მხოლოდ გარკვეულ ნაწილს? იმიტომ, რომ ტილოს მხოლოდ რაოდენობრივად გარკვეულ ნაწილს აქვს მისთვის სახმარი ღირებულება. მაგრამ იგივე ითქმის აგრეთვე *B*-ს, *C*-ს და სხვ. შესახებ: თუ *B* ყიდის ღვინოს, *C* — წიგნებს, *D* კი — სარკეებს, მაშინ თვითეული მათგანი, შესაძლოა, იმას ამჯობინებს, რომ მოიხმაროს ნაჭარბი ნაწილი თავისი შემოსავლისა თავისი საკუთარი პროდუქტის — ღვინის, წიგნების, სარკეების —

* — დიდი რაოდენობით. რ ე დ.

სახით და არა ტილოს სახით. მაშასადამე, არ შეიძლება ითქვას, რომ თუ *A*-ს თავისი შემოსავალი, რომელიც ტილოსაგან შედგება, სრულიად არ შეუძლია გადააქციოს (ანდა არ შეუძლია გადააქციოს მისი ღირებულების შესაბამისად) ღვინოდ, წიგნებად, სარკეებად, თითქოს ეს აბსოლუტური აუცილებლობით იმას ნიშნავდეს, რომ წარმოებულია ძლიერ ცოტა ღვინო, წიგნები და სარკეები. მაგრამ კიდევ უფრო სასაცილოა შემოსავალზე შემოსავლის გაცვლის — საქონელგაცვლის მხოლოდ ერთი ნაწილის — მთელ საქონელგაცვლად წარმოდგენა.

ამრიგად, პროდუქტის ერთ ნაწილს ჩვენ მივუჩინეთ ადგილი. მოხმარების საგანთა ერთი ნაწილი ხელიდან ხელში გადადის თვით ამ მოხმარების საგნების მწარმოებელთა შორის. თვითეული ამ მწარმოებელთაგანი თავისი შემოსავლის (მოგებისა და ხელფასის) ნაწილს მოიხმარს არა საკუთარი პროდუქტის სახით, არამედ მეორის პროდუქტის სახით, და ამის გაკეთება მას შეუძლია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მეორეც ასევე მოიხმარს თავისი საკუთარი პროდუქტის ნაცვლად მოხმარებისათვის ვარგის სხვის პროდუქტს. ეს იგივეა თვითეულს თავისი მოსახმარი პროდუქტის ის ნაწილი რომ მოეხმარა, რომელიც მის საკუთარ შემოსავალს შეესაბამება.

მაგრამ რაც შეეხება ყველა დანარჩენ პროდუქტს, აქ თავს იჩენს უფრო რთული ურთიერთობა, და მხოლოდ აქ უპირისპირდებიან ერთმანეთს გასაცვლელი საქონელნი როგორც შემოსავალი და კაპიტალი — მაშასადამე, არა მარტო როგორც შემოსავალი.

უწინარეს ყოვლისა უნდა განვასხვავოთ შემდეგი. წარმოების ყველა დარგში ერთობლივი პროდუქტის ნაწილი წარმოადგენს შემოსავალს, ე. ი. (წლის განმავლობაში) მიმატებულ შრომას: მოგებასა და ხელფასს. რენტა, სარგებელი და ა. შ. — ეს მოგების ნაწილებია; არამზადა მოხელის შემოსავალი შეადგენს მოგებისა და ხელფასის ნაწილს; სხვა არამწარმოებელი მუშაკების შემოსავალი მოგებისა და ხელფასის ის ნაწილია, რომელსაც ისინი ყიდულობენ თავიანთი არამწარმოებლური შრომით; იგი, მაშასადამე, არ ადიდებს მოგებისა და ხელფასის სახით ირსებულ პროდუქტს, არამედ მხოლოდ განსაზღვრავს ამ პროდუქტის რა ნაწილს მოიხმარენ ეს არამწარმოებელი მუშაკები და რა ნაწილს — თვით მუშები და კაპიტალისტები. } მაგრამ წარმოების მხოლოდ ზოგიერთ სფეროში შეიძლება პროდუქტის ნაწილი, რომელიც შემოსავალს წარმოადგენს, უშუალოდ in natura შემოსავალში შევიდეს, ე. ი. თავისი სახმარი ღირებულების მიხედვით შეიძლება მოხმარებულ იქნეს

როგორც შემოსავალი. ყველა პროდუქტი, რომლებიც მ ხ ო ლ ო დ წარმოების საშუალებებს წარმოადგენენ, შეიძლება მოხმარებულ იქნეს როგორც შემოსავალი არა in natura, არა მათი უშუალო ფორმით, არამედ მხოლოდ მათი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს მიხედვით. მაგრამ ეს ღირებულება უნდა მოხმარებულ იქნეს წარმოების იმ დარგებში, რომლებიც უშუალო მოხმარების საგნებს აწარმოებენ. წარმოების საშუალებათა ნაწილი შეიძლება წარმოადგენდეს უშუალო მოხმარების ამა თუ იმ საგანს იმისდა მიხედვით, თუ როგორ გამოიყენება იგი: მაგალითად, ცხენი, საზიდავი და ა. შ. უშუალო მოხმარების საგანთა ნაწილი შეიძლება წარმოადგენდეს წარმოების საშუალებებს, როგორც, მაგალითად, მარცვალი არაყის გამოსახდელად, ხორბალი თესლის სახით და ა. შ. მოხმარების თითქმის ყველა საგანი შეიძლება თვითონ შედიოდეს ხელახლა წარმოების პროცესში მოხმარების ნარჩენების სახით, როგორც, მაგალითად, ტილოს გაცვეთილი და ნახევრადდამპალი ჩვრები, რომელთაც ქაღალდის წარმოებაში იყენებენ. მაგრამ არავინ არ აწარმოებს ტილოს იმისათვის, რომ ჩვრების სახით წარმოადგენდეს ქაღალდის წარმოებისათვის საჭირო ნედლეულს. ამ ფორმას იგი მხოლოდ მას შემდეგ იძენს, რაც ქსოვის პროდუქტი როგორც ასეთი მოხმარებაში შევიდა. ამ მოხმარების მხოლოდ ნარჩენების სახით, მოხმარების პროცესის ნაშთისა და პროდუქტის სახით შეუძლია მას შემდეგ ხელახლა შევიდეს წარმოების სხვა სფეროში როგორც წარმოების საშუალება. მაშასადამე, ეს შემთხვევა აქ განსახილველი არაა.

ამრიგად, არსებობს ისეთი პროდუქტები, რომელთა ნაწილი, შემოსავალს რომ შეესაბამება, შეიძლება მოიხმარონ ამ პროდუქტების საკუთარმა მწარმოებლებმა მხოლოდ მათი ღირებულების მიხედვით, მაგრამ არა მათი სახმარი ღირებულების მიხედვით, ასე რომ ამ მწარმოებლებმა თავიანთი პროდუქტების, მაგალითად, მანქანების, იმ ნაწილის მოხმარება რომ შეძლონ, რომელიც ხელფასსა და მოგებას გამოხატავს, უნდა გაყიდონ იგი, რამდენადაც ამ მანქანებით როგორც ასეთით მათ არ შეუძლიათ არც ერთი ინდივიდუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ეს პროდუქტები ასევე არ შეიძლება სხვა პროდუქტების მწარმოებლებმა მოიხმარონ, ისინი ვერ შევლენ მათს ინდივიდუალურ მოხმარებაში, მათ ვერ მივაკუთვნებთ იმ პროდუქტების რიცხვს, რომლებზეც მწარმოებლები თავიანთ შემოსავალს ხარჯავენ, რადგან ეს ეწინააღმდეგება ამ საქონელთა სახმარ ღირებულებას, რომელიც თავისი ბუნების მიხედვით ინდივიდუალურ მოხმარებას გ ა მ ო რ ი ც ხ ა ვ ს. ამრიგად, უშუალო

მოხმარებისათვის ამ გამოუსადეგარი პროდუქტების მწარმოებლებს შეუძლიათ მოიხმარონ მხოლოდ მათი საცვლელი ღირებულება, ე. ი. მათ ეს პროდუქტები წინასწარ ფულად უნდა გადააქციონ, რათა შემდეგ ეს ფული ხელახლა უშუალო მოხმარებისათვის ვარგის საქონლად აქციონ. მაგრამ ვის უნდა მიჰყიდონ [383] მათ ეს პროდუქტები? ინდივიდუალური მოხმარებისათვის სხვა უვარგისი პროდუქტების მწარმოებლებს? ასეთ შემთხვევაში ისინი მიიღებდნენ მხოლოდ უშუალო მოხმარებისათვის ერთ უვარგის პროდუქტს მეორის ნაცვლად. მაგრამ ჩვენ ხომ ვიგულისხმეთ, რომ პროდუქტების ეს ნაწილი შეადგენს მათს შემოსავალს, რომ ისინი ამ პროდუქტებს იმისთვის ყიდიან, რომ მათი ღირებულება მოხმარების საგნების სახით მოიხმარონ. მაშასადამე, მათ შეუძლიათ ეს პროდუქტები მიჰყიდონ მხოლოდ ინდივიდუალური მოხმარებისათვის ვარგისი პროდუქტების მწარმოებლებს.

საქონელგაცვლის ეს ნაწილი წარმოადგენს ერთი პირის კაპიტალის გაცვლას მეორის შემოსავალზე ან ერთი პირის შემოსავლის გაცვლას მეორის კაპიტალზე. მოხმარების საგნების მწარმოებლის ერთობლივი პროდუქტის მხოლოდ ერთი ნაწილი წარმოადგენს შემოსავალს; მეორე ნაწილი წარმოადგენს მუდმივ კაპიტალს. ამ უკანასკნელ ნაწილს იგი ვერც თვითონ მოიხმარს, ვერც სხვა მწარმოებელთა უშუალო მოხმარებისათვის ვარგის პროდუქტებზე გაცვლის. მას არ შეუძლია არც თავისი პროდუქტის ამ ნაწილის მოხმარება სახმარი ღირებულების სახით in natura, არც მისი ღირებულების მოხმარება სხვა პროდუქტებზე გაცვლის გზით. პირიქით, იგი მან ხელახლა უნდა გადააქციოს თავისი მუდმივი კაპიტალის ნატურალურ ელემენტებად. მან თავისი პროდუქტის ეს ნაწილი უნდა მოიხმაროს მწარმოებლურად, ე. ი. მოიხმაროს როგორც წარმოების საშუალებანი. მაგრამ მის პროდუქტს თავისი სახმარი ღირებულების მიხედვით შეუძლია შევიდეს მხოლოდ ინდივიდუალურ მოხმარებაში; ამიტომ ამ პროდუქტის მწარმოებელს არ შეუძლია ხელახლა გადააქციოს იგი in natura მის საკუთარ წარმოების ელემენტებად. ამ პროდუქტის სახმარი ღირებულების ბუნება გამორიცხავს საწარმოო მოხმარებას. ამიტომ ასეთი პროდუქტის მწარმოებელს შეუძლია მწარმოებლურად მოიხმაროს მხოლოდ ღირებულება თავისი პროდუქტისა იმ გზით, რომ მას მიჰყიდის ამ პროდუქტის ზემოაღნიშნული წარმოების ელემენტების მწარმოებლებს. თავისი პროდუქტის ეს ნაწილი მას არ შეუძლია მოიხმაროს in natura; არ შეუძლია მას აგრეთვე მოიხმაროს მისი

ღირებულება ინდივიდუალურად მოსახმარ სხვა პროდუქტებზე გაცვლის საშუალებით. სავსებით ისევე, როგორც მისი პროდუქტის ამ ნაწილს არ შეუძლია შევიდეს მის საკუთარ შემოსავალში, იგი არ შეიძლება აგრეთვე ანაზღაურდეს სხვა ინდივიდუალურად მოსახმარი პროდუქტების მწარმოებელთა შემოსავლიდანაც, რადგან ეს შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი თავის პროდუქტს მათს პროდუქტზე გაცვლიდა, ე. ი. თუ იგი თავისი პროდუქტის ღირებულებას მოხმარებაზე დახარჯავდა. რაც, ვარაუდის თანახმად, არ შეიძლება მოხდეს. მაგრამ რადგან მისი პროდუქტის ეს ნაწილი, მსგავსად მისი მეორე ნაწილისა, რომელსაც იგი შემოსავლის სახით მოიხმარს, თავისი სახმარი ღირებულების მიხედვით შეიძლება მოხმარებულ იქნეს მხოლოდ როგორც შემოსავალი, უნდა შევიდეს ინდივიდუალურ მოხმარებაში და ვერ აანაზღაურებს მუდმივ კაპიტალს, ამიტომ იგი უნდა შევიდეს უშუალო მოხმარებისათვის უვარგისი პროდუქტების მწარმოებელთა შემოსავალში, უნდა გაიცვალოს მათი პროდუქტების იმ ნაწილზე, რომლის ღირებულებაც მათ შეუძლიათ მოიხმარონ, ანდა რომელიც მათ შემოსავალს წარმოადგენს.

თუ ამ გაცვლას მისი ყოველი ცალკეული მონაწილის თვალსაზრისით განვიხილავთ, *A*-სთვის, მოხმარების საგნების მწარმოებლისათვის, ეს გაცვლა წარმოადგენს კაპიტალის კაპიტალად გადაქცევას. თავისი ერთობლივი პროდუქტის ნაწილს, რომელიც ამ პროდუქტში მოთავსებული მუდმივი კაპიტალის ღირებულებას უდრის, მწარმოებელი *A* ამ გაცვლის გზით ხელახლა გადააქცევს იმ ნატურალურ ფორმად, რომლითაც მას შეუძლია იმოქმედოს როგორც მუდმივმა კაპიტალმა. როგორც გაცვლამდე, ისე გაცვლის შემდეგ იგი თავისი ღირებულებით მხოლოდ მუდმივ კაპიტალს წარმოადგენს. პირიქით, *B*-სთვის, უშუალო მოხმარებისათვის უვარგისი პროდუქტის მწარმოებლისთვის, ზემოაღნიშნული გაცვლა წარმოადგენს მხოლოდ შემოსავლის გადაქცევას ერთი ფორმიდან მეორე ფორმად. თავისი ერთობლივი პროდუქტის ნაწილს, მის შემოსავალს რომ შეადგენს, ე. ი. ერთობლივი პროდუქტის იმ ნაწილს, რომლითაც წარმოდგენილია წარმოების ამ სფეროს ახლადმიმატებული შრომა (აუცილებელი და ზედმეტი), მწარმოებელი *B* პირველად გადააქცევს აქ ისეთ ნატურალურ ფორმად, რომლითაც მას შეუძლია იგი მოიხმაროს როგორც შემოსავალი. როგორც გაცვლამდე, ისე გაცვლის შემდეგაც პროდუქტის ეს ნაწილი თავისი ღირებულებით მხოლოდ მის შემოსავალს წარმოადგენს.

თუ ამ ურთიერთობას განვიხილავთ ერთსა და იმავე დროს ორივე მონაწილის თვალსაზრისით, მაშინ *A* თავის მუდმივ კაპიტალს ცვლის *B*-ს შემოსავალზე, *B* კი თავის შემოსავალს ცვლის *A*-ს მუდმივ კაპიტალზე. *B*-ს შემოსავალი ანაზღაურებს *A*-ს მუდმივ კაპიტალს, *A*-ს მუდმივი კაპიტალი კი ანაზღაურებს *B*-ს შემოსავალს.

თვით გაცვლაში { თუ არ ვილაპარაკებთ გაცვლის მონაწილეთა მიზნებზე } ერთმანეთს უპირისპირდებიან მხოლოდ საქონელნი და ხდება მარტივი გაცვლა საქონლებისა, რომელნიც ერთიმეორისადმი მიმართებაში არიან მხოლოდ როგორც საქონელნი და რომლებისთვისაც განსაზღვრებებს «შემოსავალი» და «კაპიტალი» მნიშვნელობა არა აქვთ. მხოლოდ ამ საქონელთა სახმარი ღირებულებ ის განსხვავებული ხასიათი გვიჩვენებს, რომ ერთნი შეიძლება გამოდგნენ მხოლოდ საწარმოო მოხმარებისათვის, მეორენი კი — შეიძლება გამოდგნენ მხოლოდ ინდივიდუალური მოხმარებისათვის და შევიდნენ ამ მოხმარებაში. მაგრამ სხვადასხვა საქონლის სხვადასხვა სახმარ ღირებულებათა გამოყენების წესის სხვაობა მიეკუთვნება მოხმარების სფეროს და სრულიად არ ეხება მათს — როგორც საქონელთა — გაცვლის პროცესს. სულ სხვა ვითარებაა, როცა კაპიტალისტის კაპიტალი ხელფასად გადაიქცევა, შრომა კი კაპიტალად იქცევა. აქ საქონელნი ერთმანეთს უპირისპირდებიან არა როგორც უბრალო საქონელნი, არამედ კაპიტალი გამოდის როგორც კაპიტალი. ზემოთ განხილულ გაცვლაში გამყიდველი და მყიდველი ერთმანეთს უპირისპირდებიან მხოლოდ როგორც გამყიდველი და მყიდველი, მხოლოდ როგორც უბრალო საქონელმფლობელნი.

შემდეგ, ცხადია: მხოლოდ ინდივიდუალური მოხმარებისათვის განკუთვნილი ყოველი პროდუქტი, ან ინდივიდუალურ მოხმარებაში შემავალი ყოველი პროდუქტი — იმდენად, რამდენადაც ის ამ მოხმარებაში შედის, — შეიძლება გაიცვალოს მხოლოდ შემოსავალზე. ის გარემოება, რომ მისი საწარმოო მოხმარება შეუძლებელია, სწორედ იმას ნიშნავს, რომ მისი მოხმარება შეიძლება მხოლოდ შემოსავლის სახით, ე. ი. მხოლოდ ინდივიდუალურად. { როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჩვენ აქ მხედველობის გარეშე ვტოვებთ მოგების კაპიტალად გადაქცევას. }

დავუშვათ, რომ *A* ისეთი პროდუქტის მწარმოებელია, რომელიც მხოლოდ ინდივიდუალურად მოიხმარება, და რომ მისი შემოსავალი უდრის მისი ერთობლივი პროდუქტის ერთ მესამედს, მისი მუდმივი კაპიტალი კი — ორ მესამედს. პირველ მესამედს იგი, ვარაუდის

თანახმად, თვითონ მოიხმარს, — სულ ერთია [384] მთლიანად in natura მოიხმარს, თუ მხოლოდ ნაწილობრივ ანდა სრულიად არ მოიხმარს მას in natura, არამედ მოიხმარს მის ღირებულებას სხვა მოხმარების საგნების სახით; უკანასკნელ შემთხვევაში ამ მოხმარების საგნების გამყიდველები თავის საკუთარ შემოსავალს მოიხმარენ A-ს პროდუქტის სახით. აბრიგად, მოხმარების საგნების ის ნაწილი, რომლითაც წარმოდგენილია მათი მწარმოებლების შემოსავალი, მოიხმარება მათ მიერ ან უშუალოდ, ანდა არაპირდაპირ, მათთვის საჭირო მოხმარების საგნების ურთიერთგაცვლის მეშვეობით. ამ ნაწილის მიმართ ხდება, მაშასადამე, შ ე მ ო ს ა ვ ლ ი ს შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ზ ე გ ა ც ვ ლ ა. აქ ივივე მდგომარეობა გვაქვს, თითქოს A ყველა მოხმარების საგნის მწარმოებელთა წარმომადგენელი იყოს. ამ პროდუქტთა მთელი მასის ერთ მესამედს, — ე. ი. ნაწილს, რომელიც მის შემოსავალს წარმოადგენს, — იგი თვითონ მოიხმარს. მაგრამ ეს ნაწილი ზუსტად შრომის იმ რაოდენობას წარმოადგენს, რომელიც A კატეგორიამ წლის განმავლობაში თავის მუდმივ კაპიტალს მიუმატა, ეს რაოდენობა კი უდრის იმ ხელფასთა და მოგებათა მთელ ჯამს, რაც A კატეგორიამ წლის განმავლობაში აწარმოვა.

A კატეგორიის ერთობლივი პროდუქტის დანარჩენი ორი მესამედი უდრის მუდმივი კაპიტალის ღირებულებას; ეს ორი მესამედი, მაშასადამე, უნდა აანაზღაუროს B კატეგორიის წლიური შრომის პროდუქტმა, კატეგორიისა, რომელიც იძლევა ინდივიდუალური მოხმარებისათვის უვარგის და მხოლოდ საწარმოო მოხმარებაში შემავალ, წარმოების პროცესში წარმოების საშუალებათა სახით შემავალ პროდუქტებს. მაგრამ რადგან A-ს ერთობლივი პროდუქტის ეს ორი მესამედი სავსებით ისევე, როგორც მისი პირველი მესამედი, ინდივიდუალურ მოხმარებაში უნდა შევიდეს, ამიტომ მას B კატეგორიის მწარმოებლები გადაცვლიან თავიანთი პროდუქტის იმ ნაწილზე, რომლითაც წარმოდგენილია მათი შემოსავალი. ამრიგად, A კატეგორიამ თავისი ერთობლივი პროდუქტის მუდმივი ნაწილი გაცვალა პროდუქტებზე, რომელთაც ამ მუდმივი ნაწილის თავდაპირველი ნატურალური ფორმა აქვთ, უკუგადააქცია იგი B კატეგორიის ახლადშექმნილ პროდუქტებად, B კატეგორიამ კი გადაიხადა თავისი პროდუქტის მხოლოდ იმ ნაწილით, რომლითაც წარმოდგენილია მისი შემოსავალი, მაგრამ რომელიც მას თვითონ შეუძლია მოიხმაროს მხოლოდ A კატეგორიის პროდუქტების სახით. მან, მაშასადამე, სინამდვილეში გადაიხადა თავისი ახლადმიმატებული შრომით; ეს უკანასკნელი სრულადაა წარმოდგენილი B-ს პროდუქტის იმ ნაწი-

ლით, რომელიც A-ს პროდუქტის უკანასკნელ ორ მესამედზე გაიცვლება. ამრიგად, A-ს მთელი პროდუქტი გაიცვლება შემოსავალზე, ანუ მთლიანად შედის ინდივიდუალურ მოხმარებაში. მეორე მხრივ (რადგან, ვარაუდის თანახმად, შემოსავალის გადაქცევა კაპიტალად აქ განხილვის გარეშე რჩება, ნაგულისხმევია ნულის ტოლად), საზოგადოების მთელი შემოსავალი იხარჯება A-ს პროდუქტზე; რადგან A-ს მწარმოებლები თავიანთ შემოსავალს მოიხმარენ A-ს პროდუქტების სახით, და ამასვე აკეთებენ B კატეგორიის მწარმოებლები. სხვა კატეგორია კი, გარდა ამ კატეგორიებისა, არ არსებობს.

A-ს პროდუქტი მთლიანად მოიხმარება, მიუხედავად იმისა, რომ მისი ორი მესამედი შეიცავს მუდმივ კაპიტალს და იგი არ შეიძლება გამოიყენონ A-ს მწარმოებლებმა, არამედ უნდა მოხდეს მისი უკუგარდაქმნა ამ პროდუქტის წარმოების ელემენტების ნატურალურ ფორმად. A-ს ერთობლივი პროდუქტი უდრის საზოგადოების ერთობლივ შემოსავალს. საზოგადოების ერთობლივი შემოსავალი კი წარმოადგენს იმ სამუშაო დროის ჯამს, რაც საზოგადოებამ წლის განმავლობაში არსებულ მუდმივ კაპიტალს მიუმატა. ამრიგად, თუმცა A-ს ერთობლივი პროდუქტი მხოლოდ $^1/_3$-ით შედგება ახლადმიმატებული შრომისაგან, $^2/_3$-ით კი — წარსული და ასანაზღაურებელი შრომისაგან, მაგრამ მაინც შეიძლება მისი ყიდვა მთლიანად ახლადმიმატებული შრომით, რადგან ამ ერთობლივი წლიური შრომის $^2/_3$ უნდა მოხმარებულ იქნეს არა მათი საკუთარი პროდუქტების სახით, არამედ A-ს პროდუქტების სახით. A-ს პროდუქტი ნაზღაურდება ახლადმიმატებული შრომით, რომელიც $^2/_3$-ით აღემატება იმ ახლადმიმატებულ შრომას, რასაც თვით იგი შეიცავს, იმიტომ, რომ ეს $^2/_3$ წარმოადგენს B-ს ახლადმიმატებულ შრომას, B-ს კი ეს $^2/_3$ შეუძლია მოიხმაროს მხოლოდ ინდივიდუალურად, A-ს პროდუქტების სახით, მსგავსად იმისა, როგორც A-ს შეუძლია მოიხმაროს იგივე $^2/_3$ მხოლოდ მწარმოებლურად B-ს პროდუქტის სახით. ამრიგად, A-ს ერთობლივი პროდუქტი, ჯერ-ერთი, შეიძლება მთლიანად იქნეს მოხმარებული როგორც შემოსავალი, და ამასთანავე ანაზღაურდეს მისი მუდმივი კაპიტალი. ანდა, უფრო ზუსტად, A-ს ერთობლივი პროდუქტი მთლიანად მოიხმარება როგორც შემოსავალი მხოლოდ იმიტომ, რომ მის $^2/_3$-ს ანაზღაურებენ მუდმივი კაპიტალის მწარმოებლები, რომელთაც არ შეუძლიათ in natura მოიხმარონ თავიანთი პროდუქტის ის ნაწილი, მათს შემოსავალს რომ წარმოადგენს, არამედ ეს ნაწილი მათ უნდა მოიხმარონ A-ს პროდუქტების სახით, ე. ი. A-ს $^2/_3$-ზე გაცვლის საშუალებით.

ამრიგად, ჩვენ ადგილი მივუჩინეთ A-ს უკანასკნელ $^2/_3$-ს.

ცხადია, რომ საქმის ვითარება სრულიად არ იცვლება, თუ არსებობს მესამე — C კატეგორია, რომლის პროდუქტები ვარგისია როგორც საწარმოო, ისე ინდივიდუალური მოხმარებისათვის; ასე, მაგალითად, ჭვავი, რომელიც ადამიანის საზრდოს ან პირუტყვის საკვებს წარმოადგენს, ანდა თესლად ან პურად მოიხმარება, და აგრეთვე საზიდავი, ცხენი, პირუტყვი და ა. შ. ამ პროდუქტების ის ნაწილი, რომლითაც ისინი ინდივიდუალურ მოხმარებაში შედიან, პირდაპირ ან არაპირდაპირ უნდა მოიხმარონ როგორც შემოსავალი მათმა მწარმოებლებმა ანდა მუდმივი კაპიტალის იმ ნაწილის მწარმოებლებმა (პირდაპირ ან არაპირდაპირ), რასაც ისინი შეიცავენ. ამ შემთხვევაში ისინი, მაშასადამე, ეკუთვნიან A კატეგორიას. იმ ნაწილით, რომლითაც ეს პროდუქტები ინდივიდუალურ მოხმარებაში არ შედიან, ისინი ეკუთვნიან B კატეგორიას.

ამ მეორე სახის გაცვლის პროცესი, სადაც შემოსავალი კი არ გაიცვლება შემოსავალზე. არამედ კაპიტალი შემოსავალზე და სადაც მთელი მუდმივი კაპიტალი დაყვანილ უნდა იქნეს საბოლოო ანგარიშით შემოსავალზე, მაშასადამე, ახლადმიმატებულ შრომაზე, — შეიძლება წარმოვიდგინოთ ორნაირად. ვთქვათ, A-ს პროდუქტია, მაგალითად, ტილო. ტილოს ორი მესამედით, რაც A-ს მუდმივ კაპიტალს უდრის (ან მათი ღირებულებით), გადაიჭდება ნართი, მანქანები, დამხმარე მასალა. მაგრამ ნართის ფაბრიკანტს და მანქანების ფაბრიკანტს [385] შეუძლიათ ამ პროდუქტიდან მოიხმარონ მხოლოდ ისეთი რაოდენობა. რომელიც მათს საკუთარ შემოსავალს შეესაბამება. ტილოს ფაბრიკანტი ნართისა და მანქანების სრულ ფასს იხდის თავისი პროდუქტის ორი მესამედით. ამით მან აუნაზღაურა მრთველს და მანქანათმშენებელს მთელი მათი პროდუქტი, რაც მუდმივი კაპიტალის სახით ტილოში შევიდა. მაგრამ მრთველისა და მანქანათმშენებლის ეს ერთობლივი პროდუქტი თვითონ უდრის მუდმივ კაპიტალსა და შემოსავალს, უდრის ორი ნაწილის ჯამს: მრთველისა და მანქანათმშენებლის მიერ მიმატებულ შრომას პლუს მეორე ნაწილი, რომელიც მათ საკუთარ წარმოების საშუალებათა ღირებულებას წარმოადგენს, ე. ი. მრთველისათვის — სელის, საცხები ზეთის, მანქანების, ნახშირის და ა. შ. ღირებულებას, მანქანათმშენებლისათვის კი — ნახშირის, რკინის, მანქანების და სხვ. ღირებულებას. ამრიგად, ტილოს ორმა მესამედმა, რაც A-ს მუდმივ კაპიტალს უდრის, აანაზღაურა მრთველისა და მანქანათმშენებლის ერთობლივი პროდუქტი, მათი მუდმივი კაპიტალი პლუს მათ მიერ მიმატებული

შრომა, მათი კაპიტალი პლუს მათი შემოსავალი. მაგრამ მრთველსა და მანქანათმშენებელს შეუძლიათ მოიხმარონ A-ს პროდუქტების სახით მხოლოდ თავიანთი შემოსავალი. A-ს $^2/_3$-ის იმ ნაწილის გამოკლების შემდეგ, რომელიც მათს შემოსავალს უდრის, ისინი ნაშთით იხდიან თავიანთი ნედლეულისა და თავიანთი მანქანების საფასურს. მაგრამ ამ ნედლეულისა და ამ მანქანების მწარმოებლებს, ნაგულისხმევის თანახმად, უკვე აღარ უხდებათ არავითარი მუდმივი კაპიტალის ანაზღაურება. მათი პროდუქტიდან A-ს პროდუქტში, მაშასადამე, იმ პროდუქტებშიც, რომლებიც A-ს წარმოების საშუალებას წარმოადგენენ, შეიძლება შევიდეს მხოლოდ იმდენი, რამდენის გადახდაც A-ს შეუძლია. მაგრამ თავისი პროდუქტის ორი მესამედით A-ს შეუძლია გადიხადოს მხოლოდ იმდენი, რამდენიც, B-ს შეუძლია იყიდოს თავისი შემოსავლით, ე. ი. იმდენი, რამდენი შემოსავალიც, ახლადმიმატებული შრომა. წარმოდგენილია B-ს მიერ გასაცვლელ პროდუქტში. A-ს წარმოების უკანასკნელი ელემენტების მწარმოებლები რომ იძულებულნი იყვნენ მრთველს [და მანქანათმშენებელს] მიჰყიდონ თავიანთი პროდუქტის ისეთი რაოდენობა, რომელიც გამოხატავდა მათი საკუთარი მუდმივი კაპიტალის ნაწილს, გამოხატავდა უფრო მეტს, ვიდრე მათ მიერ თავიანთი მუდმივი კაპიტალისადმი მიმატებული შრომაა, მაშინ მათ არ შეეძლებოდათ გადახდის საფასურად მიეღოთ A-ს პროდუქტი, იმიტომ რომ ამ პროდუქტის ნაწილის მოხმარებას ისინი ვერ შეძლებდნენ. მაშასადამე, აქ გვაქვს საპირისპირო შემთხვევა.

წავიდეთ ახლა პირუკუ მიმართულებით. დავუშვათ, რომ მთელი ტილო უდრის 12 დღეს. სელის, რკინისა და სხვ. მწარმოებელთა პროდუქტი უდრის 4 დღეს; ამ პროდუქტს მიჰყიდიან მრთველს და მანქანათმშენებელს, რომლებიც მიუმატებენ მას კიდევ 4 დღეს; ისინი, თავის მხრივ, მიჰყიდიან მას მქსოველს, რომელიც მას მიუმატებს კიდევ 4 დღეს. თავისი პროდუქტის ერთი მესამედი მქსოველს, რომელიც ტილოს ამზადებს, შეუძლია თვითონ მოიხმაროს; 8 დღე უნაზღაურებს მას მუდმივ კაპიტალს და იხდის მრთველისა და მანქანათმშენებლის პროდუქტის საფასურს; მრთველსა და მანქანათმშენებელს შეუძლიათ ამ 8 დღიდან მოიხმარონ 4, დანარჩენი 4 დღით კი ისინი ისტუმრებენ სელის მწარმოებელს და ა. შ. და ამ გზით ანაზღაურებენ თავიანთ მუდმივ კაპიტალს; სელის, რკინის და ა. შ. მწარმოებლებმა უკანასკნელი 4 დღით, ტილოში რომ არის გასაგნობრივებული, უნდა აინაზღაურონ მხოლოდ თავიანთი შრომა.

მიუხედავად იმისა, რომ შემოსავალი სამივე შემთხვევაში ნაგუ-

ლისხმევია როგორც თანასწორი (4 დღის ტოლი), იგი სხვადასხვა პროპორციით შედის *A*-ს პროდუქტის წარმოების მონაწილე სამი კლასის მწარმოებელთა პროდუქტებში. მქსოველთან იგი შეადგენს მისი პროდუქტის $^1/_3$-ს ($^1/_3$-ს 12-დან), მრთველთან და მანქანათმშენებელთან — მისი პროდუქტის $^1/_2$-ს ($^1/_2$-ს 8-დან), მესელესთან იგი უდრის მის პროდუქტს, უდრის 4 დღეს. ერთობლივი პროდუქტის მიმართ ყველა ამ მწარმოებლის შემოსავალი სრულიად თანაბარია: იგი უდრის $^1/_3$-ს 12-დან, ე. ი. 4 დღეს. მაგრამ მქსოველთან მრთველის, მანქანათმშენებლისა და მესელის ახლადმიმატებული შრომა გვევლინება როგორც მუდმივი კაპიტალი; მრთველთან და მანქანათმშენებელთან მათ მიერვე და მესელის მიერ ახლადმიმატებული შრომა გვევლინება როგორც ერთობლივი პროდუქტი, მესელის სამუშაო დრო კი — როგორც მუდმივი კაპიტალი. მუდმივი კაპიტალის ასეთ გამოვლინებას მესელესთან უკვე აღარა აქვს ადგილი. ამიტომ, მაგალითად, მრთველს შეუძლია გამოიყენოს მანქანები, საერთოდ მუდმივი კაპიტალი, ისეთივე პროპორციით, როგორც მქსოველს. მაგალითად, პროპორციით $^1/_3 : ^2/_3$. მაგრამ, ჯერ-ერთი, რთვაში გამოყენებული კაპიტალის ჯამი (ერთობლივი ჯამი) უფრო მცირე უნდა იყოს, ვიდრე ქსოვაში გამოყენებული კაპიტალის ჯამი, იმიტომ რომ ქსოვაში შედის რთვის მთელი პროდუქტი როგორც მუდმივი კაპიტალი. მეორეც, თუ მრთველთან ზუსტად იგივე $^1/_3 : ^2/_3$ შეფარდებაა, მაშინ მისი მუდმივი კაპიტალი იქნება $^{16}/_3$, მისი მიმატებული შრომა კი — $^8/_3$. პირველი უდრის $5^1/_3$ სამუშაო დღეს, მეორე კი — $2^2/_3$ სამუშაო დღეს. ამ შემთხვევაში უფრო მეტი სამუშაო დღე იქნება მოთავსებული იმ დარგში, რომელიც მას აწვდის სელს და ა. შ. ამიტომ იგი აქ იძულებული იქნება 4 დღის ნაცვლად ახლადმიმატებულ სამუშაო დროში $5^1/_3$ დღე გადაიხადოს.

თავისთავად გასაგებია, რომ აბალმა შრომამ უნდა აანაზღაუროს *A* კატეგორიის მუდმივი კაპიტალის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც *A*-სთან ღირებულების შექმნის პროცესში შედის, ე. ი. ამ *A*-ს შრომის პროცესის დროს მოიხმარება. ღირებულების შექმნის პროცესში მთლიანად შედის: ნედლეული, დამხმარე მასალა და ძირითადი კაპიტალის გაცვეთა. ძირითადი კაპიტალის დანარჩენი ნაწილი არ შედის ამ პროცესში, მაშასადამე იგი არცაა ასანაზღაურებელი.

არსებული მუდმივი კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი, — მის ოდენობას განსაზღვრავს ძირითადი კაპიტალის შეფარდება ერთობლივ კაპიტალთან, — არ არის, მაშასადამე, ყოველწლიურად ასანაზღაურებელი ახალი შრომით. ამიტომ [ძირითადი კაპიტალის ყოველ-

წლიურად ასანაზღაურებელი ღირებულების] მასა, თუმცა იგი შეიძლება დიდიც იყოს (აბსოლუტური ციფრებით), მაინც არ არის დიდი ერთობლივ (წლიურ) პროდუქტთან შეფარდებით. *A* და *B* კატეგორიების ძირითადი კაპიტალის ზემოადნიშნული ნაწილი, რომელიც მონაწილეობს მოგების ნორმის განსაზღვრაში (მოცემული ზედმეტი ღირებულების დროს), არ შედის განმსაზღვრელი ელემენტის სახით ძირითადი კაპიტალის მიმდინარე კვლავწარმოებაში. რაც უფრო მეტია ეს ნაწილი ერთობლივ კაპიტალთან შეფარდებით, მით უფრო დიდი მასშტაბით გამოიყენება წარმოებაში მყოფი, უკვე არსებული ძირითადი კაპიტალი, — მით უფრო მეტი იქნება კვლავწარმოების აქტიური მასა, რომელიც გაცვეთილი ძირითადი კაპიტალის ანაზღაურებას ხმარდება; მაგრამ ამ კვლავწარმოების პროპორციული მასა ერთობლივ კაპიტალთან შედარებით შეიძლება შეფარდებით მცირე იყოს.

დავუშვათ, რომ ძირითადი კაპიტალის ყველა სახეობის კვლავწარმოების დრო (საშუალო) უდრის 10 წელიწადს. [386] ვთქვათ, ძირითადი კაპიტალის სხვადასხვა სახეობა ასრულებს ბრუნვას 20, 17, 15, 12, 11, 10, 8, 6 წელიწადში, 4, 3, 2, 1, $^4/_6$ და $^2/_6$ წელიწადში (სულ 14 სახეობა), — მაშინ ძირითადი კაპიტალი საშუალოდ 10 წელიწადში ერთჯერ გადაბრუნდებოდა[81].

მაშასადამე, საშუალოდ ძირითადი კაპიტალი ასანაზღაურებელი იქნებოდა 10 წელიწადში. თუ მთელი ძირითადი კაპიტალი ერთობლივი კაპიტალის $^1/_{10}$-ს შეადგენს, მაშინ ძირითადი კაპიტალის ყოველწლიურად ასანაზღაურებელი ერთი მეათედი ნაწილი შეადგენდა ერთობლივი კაპიტალის მხოლოდ $^1/_{100}$-ს.

თუ ძირითადი კაპიტალი ერთობლივი კაპიტალის $^1/_3$-ს შეადგენს, მაშინ ყოველწლიურად ასანაზღაურებელი იქნება ერთობლივი კაპიტალის $^1/_{30}$.

მაგრამ შევადაროთ ახლა ერთმანეთს სხვადასხვა ძირითადი კაპიტალი, რომელთაც კვლავწარმოების განსხვავებული პერიოდები აქვთ, მაგალითად, ძირითადი კაპიტალი, რომელიც თავის კვლავწარმოებისათვის 20 წელიწადს საჭიროებს, საწინაალმდეგოდ კაპიტალისა, რომელიც ამისთვის $^1/_3$ წელს საჭიროებს.

ძირითადი კაპიტალიდან, რომელიც 20 წლის განმავლობაში იკვლავწარმოება, ყოველწლიურად ასანაზღაურებელია მხოლოდ $^1/_{20}$. ამიტომ, თუ იგი ერთობლივი კაპიტალის $^1/_2$-ს შეადგენს, ყოველწლიურად უნდა ანაზღაურდეს ამ ერთობლივი კაპიტალის $^1/_{40}$,

ხოლო თუ იგი მთელი კაპიტალის თუნდაც $^4/_5$-ს შეადგენს, მაშინ ყოველწლიურად ასანაზღაურებელია მხოლოდ $^4/_{100}$, ე. ი. მთელი კაპიტალის $^1/_{25}$. პირიქით, თუ ძირითადი კაპიტალი, რომელიც თავისი კვლავწარმოებისათვის $^2/_6$ წელს მოითხოვს, ე. ი. სამჯერ გადაბრუნდება წელიწადში, კაპიტალის მხოლოდ $^1/_{10}$-ს შეადგენს, მაშინ ძირითადი კაპიტალი უნდა ნაზღაურდებოდეს სამჯერ წელიწადში; ამით ყოველწლიურად ნაზღაურდება $^3/_{10}$, ე. ი. თითქმის $^1/_3$ ერთობლივი კაპიტალისა. საშუალოდ, რაც უფრო დიდია ძირითადი კაპიტალი ერთობლივ კაპიტალთან შეფარდებით, მით უფრო ხანგრძლივია მისი კვლავწარმოების შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი (არა აბსოლუტური) დრო, ხოლო რაც უფრო მცირეა იგი, მით უფრო მოკლეა მისი კვლავწარმოების შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი დრო. ხელით წარმოების პირობებში ინსტრუმენტი კაპიტალის გაცილებით უფრო მცირე ნაწილს შეადგენს, ვიდრე მანქანები მანქანური წარმოების პირობებში. მაგრამ ხელოსნური ინსტრუმენტი გაცილებით უფრო მალე ცვდება, ვიდრე მანქანა.

თუმცა ძირითადი კაპიტალის აბსოლუტური სიდიდის ზრდასთან ერთად იზრდება მისი კვლავწარმოების აბსოლუტური სიდიდე — ანუ მისი გაცვეთა, — მაგრამ მისი კვლავწარმოების შეფარდებითი სიდიდე უმრავლეს შემთხვევაში მცირდება, რამდენადაც ძირითადი კაპიტალის გადაბრუნების დრო, მისი არსებობის ხანგრძლიობა, მეტწილად მისი მოცულობის პროპორციულად იზრდება. ეს ამტკიცებს სხვათა შორის, რომ მანქანების კვლავმწარმოებელი შრომის მასა, ანუ ძირითადი კაპიტალი, სრულიადაც არაა იმ შრომის პროპორციული, რომელმაც თავდაპირველად აწარმოვა ეს მანქანები (წარმოების უცვლელ პირობებში), რადგან ასანაზღაურებელია მხოლოდ ყოველწლიური გაცვეთა. თუ შრომის ნაყოფიერება დიდდება, როგორც ეს მუდამ ხდება ამ დარგში, მაშინ კიდევ უფრო მცირდება მუდმივი კაპიტალის ამ ნაწილის კვლავწარმოებისათვის აუცილებელი შრომის რაოდენობა. მართალია, სათვალავში მისაღებია აგრეთვე თვით მანქანის ყოველდღიური მოხმარების საშუალებები (რომელთაც, თუმცა, უშუალოდ საერთო არაფერი აქვთ თვით მანქანათმშენებლობაში დახარჯულ შრომასთან). მაგრამ მანქანა, რომელიც მხოლოდ ნახშირს და ცოტა საცხებ ზეთს ან ქონს საჭიროებს, გაცილებით უფრო მკაცრ დიეტაზეა, ვიდრე მუშა, — არა მარტო ის მუშა, რომელსაც იგი შეცვლის, არამედ ისიც, რომელიც ამ მანქანას აშენებს.

* * *

ამრიგად, ჩვენ ადგილი მივუჩინეთ *A* კატეგორიის მთელ პროდუქტს და *B* კატეგორიის პროდუქტის ნაწილს. *A* პროდუქტი მოიხმარება მთლიანად: $^1/_3$-ს მოიხმარენ მისი საკუთარი მწარმოებლები, $^2/_3$-ს — *B*-ს მწარმოებლები, რომლებსაც არ შეუძლიათ მოიხმარონ თავიანთი საკუთარი შემოსავალი თავიანთი საკუთარი პროდუქტის სახით. *A* კატეგორიის პროდუქტის $^2/_3$, რომლის სახითაც *B*-ს მწარმოებლები თავიანთი პროდუქტის ღირებულების შემოსავლის წარმომადგენელ ნაწილს მოიხმარენ, უნაზღაურებენ ამასთანავე *A*-ს მწარმოებლებს in natura ძათს მუდმივ კაპიტალს, ე. ი. აწვდიან მათ იმ საქონელს, რომელსაც ისინი მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ა დ მ ო ი ხ მ ა რ ე ნ. მაგრამ იმით, რომ *A* პროდუქტი მთლიანად შეჭმულია და რომ *A*-ს $^2/_3$ ანაზღაურებულია *B* პროდუქტით მუდმივი კაპიტალის სახით, — ადგილი მიჩენილი აქვს აგრეთვე პროდუქტის მ თ ე ლ იმ ნაწილსაც, რომლითაც წარმოდგენილია წლის განმავლობაში ახლადმიმატებული შრომა. ამ შრომას არ შეუძლია, მაშასადამე, ერთობლივი პროდუქტის არავითარი სხვა ნაწილის ყიდვა. მართლაც, წლის განმავლობაში მიმატებული მთელი შრომა (თუ მხედველობის გარეშე დავტოვებთ მოგების კაპიტალიზაციას) უდრის შ რ ო მ ა ს, რ ო მ ე ლ ს ა ც შ ე ი ც ა ვ ს *A*. ვინაიდან *A* პროდუქტის $^1/_3$, რასაც მისი საკუთარი მწარმოებლები მოიხმარენ, წარმოადგენს შრომას, რომელიც მათ ახლად მიუმატეს წლის განმავლობაში *A*-ს $^2/_3$-ს, ეს $^2/_3$ კი *A* კატეგორიის მუდმივ კაპიტალს შეადგენს. გარდა იმ შრომისა, რასაც ისინი მათი საკუთარი პროდუქტის სახით მოიხმარენ, მათ არავითარი სხვა შრომა არ შეუსრულებიათ. *A*-ს დანარჩენი $^2/_3$ კი, რასაც *B* კატეგორიის პროდუქტი ანაზღაურებს და რასაც პროდუქტის მწარმოებლები მოიხმარენ, წარმოადგენს მთელ იმ სამუშაო დროს, რომელიც *B*-ს მწარმოებლებმა მიუმატეს თავიანთ საკუთარ მუდმივ კაპიტალს. მეტი მათ არავითარი შრომა არ მიუმატებიათ, და მეტი მათ მოსახმარი არაფერი [387] აქვთ.

თავისი ს ა ხ მ ა რ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს მიხედვით *A* პროდუქტი წარმოადგენს ერთობლივი წლიური პროდუქტის იმ ნაწილს, რომელიც ყოველწლიურად შედის ინდივიდუალურ მოხმარებაში. თავისი ს ა ც ვ ლ ე ლ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი თ იგი წარმოადგენს წლის განმავლობაში მწარმოებლების მიერ ახლადმიმატებული შრომის ერთობლივ რაოდენობას.

მაგრამ ყოველივე ამის შემდეგ ჩვენ მაინც კიდევ გვაქვს ნ ა შ-

თ ი ს სახით ერთობლივი პროდუქტის გარკვეული მესამე ნაწილი, რომლის შემადგენელ ნაწილებს თავიანთი გაცვლისას არ შეუძლიათ წარმოადგენდნენ არც შემოსავლის შემოსავალზე გაცვლას, არც შემოსავალზე კაპიტალის ან კაპიტალზე შემოსავლის გაცვლას. ეს *B* პროდუქტების ის ნაწილია, რომელიც *B*-ს მუდმივ კაპიტალს წარმოადგენს. ეს ნაწილი არ შედის *B*-ს შემოსავალში; მაშასადამე, იგი არ შეიძლება ანაზღაურდეს *A* პროდუქტებით ანდა გაიცვალოს მათზე, არ შეიძლება, მაშასადამე, აგრეთვე შევიდეს *A*-ს მუდმივ კაპიტალში როგორც შემადგენელი ნაწილი. ეს ნაწილიც მოიხმარება, მოიხმარება მწარმოებლურად, იმდენად, რამდენადაც იგი—*B* კატეგორიის შიგნით—შედის არა მარტო შრომის პროცესში, არამედ ღირებულების შექმნის პროცესშიც. ამრიგად, ეს ნაწილიც სავსებით ისევე, როგორც ყველა სხვა ნაწილიც ერთობლივი პროდუქტისა, უნდა ანაზღაურდეს ი მ პ რ ო პ ო რ ც ი ი თ, რ ა პ რ ო პ ო რ ც ი ი თ ა ც ი გ ი ე რ თ ო ბ ლ ი ვ ი პ რ ო დ უ ქ ტ ი ს შ ე მ ა დ გ ე ნ ე ლ ი ნ ა წ ი ლ ი ა, ამასთან იგი უნდა ანაზღაურდეს in natura იმავე სახეობის ა ხ ა ლ ი პროდუქტებით. მეორე მხრივ, იგი არ ანაზღაურდება არავითარი ახალი შრომით. ვინაიდან ახლადმიმატებული შრომის ერთობლივი რაოდენობა უდრის სამუშაო დროს, რასაც *A* პროდუქტი შეიცავს და რაც მთლიანად ანაზღაურდება მხოლოდ იმიტომ, რომ *B* თავის შემოსავალს ხარჯავს *A* პროდუქტის ორ მესამედში და *A*-ს აწვდის — გაცვლის პროცესში — წარმოების საშუალებებს იმ საშუალებათა ნაცვლად, რომლებიც მოხმარებულია *A* სფეროში და ანაზღაურებულ უნდა იქნენ. ამავე დროს *A* პროდუქტის პირველი მესამედი, რომელსაც მისი საკუთარი მწარმოებლები მოიხმარენ, შედგება—თავისი საცვლელი ღირებულების მიხედვით — მხოლოდ თვით მათ მიერვე ახლადმიმატებული შრომისაგან და არავითარ მუდმივ კაპიტალს არ შეიცავს.

განვიხილოთ ახლა ეს ნაშთი.

იგი შედგება, ჯერ-ერთი, ნედლეულში შემავალი მუდმივი კაპიტალისაგან, მეორეც, ძირითადი კაპიტალის წარმოქმნის პროცესში შემავალი მუდმივი კაპიტალისაგან, და, მესამე, დამხმარე მასალებში შემავალი მუდმივი კაპიტალისაგან.

ჯ ე რ-ე რ თ ი, ნ ე დ ლ ე უ ლ ი. მის წარმოებაზე დახარჯული მუდმივი კაპიტალი იშლება, ჯერ-ერთი, ძირითად კაპიტალად, მანქანებად, სამუშაო ინსტრუმენტებად, შენობებად და იმ დამხმარე მასალებად, რომლებიც მოხმარების საშუალებებს წარმოადგენენ მანქანების გამოყენებისათვის. ნედლეულის უშუალო მოხმარებისათვის

ვარგისი ნაწილის მიმართ (ისეთი ნედლეულისა, როგორიცაა, მაგალითად, პირუტყვი, მარცვლეული, ყურძენი და ა. შ.) აღნიშნულ სიძნელეს ადგილი არა აქვს. ამ მხრივ ისინი განეკუთვნებიან *A* კლასს. ამ ნედლეულში მოთავსებული მუდმივი კაპიტალის ნაწილი შედის *A*-ს იმ მუდმივი ნაწილის $^2/_3$-ში, რომელიც კაპიტალის სახით გაიცვლება *B*-ს უშუალო მოხმარებისათვის უვარგის პროდუქტებზე, ანდა რომლის სახითაც *B* მოიხმარს თავის შემოსავალს. ეს ითქმის საერთოდ უშუალო მოხმარებისათვის უვარგისი ისეთი ნედლეულის შესახებ, რომელიც **in natura** შედის თვით მოხმარების საგანში, იმისგან დამოუკიდებლად, თუ წარმოების პროცესის რამდენ შუალედურ საფეხურს გაივლის იგი. სელის ის ნაწილი, რომელიც გარდაიქმნება ნართად, შემდეგ კი ტილოდ, მთლიანად შედის მოხმარების საგანში.

მაგრამ ნაწილი ამ ორგანული ნედლეულისა (ისეთისა, როგორიცაა ხე-ტყე, სელი, კანაფი, ტყავი და ა. შ.) ნაწილობრივ შედის პირდაპირ თვით ძირითადი კაპიტალის შემადგენელ ელემენტებში, ნაწილობრივ კი — ამ კაპიტალის დამხმარე მასალებში. მაგალითად, საცხები ზეთის, ქონის და ა. შ. ფორმით.

შემდეგ, ნედლეულის წარმოებაზე დახარჯულ მუდმივ კაპიტალს ეკუთვნის თესლი. მცენარეული და ცხოველური ნივთიერებანი თავის თავს თვითონ აღადგენენ: მცენარეთა აღმოცენება და ცხოველთა გამრავლება. თესლად უნდა ვიგულისხმოთ როგორც საკუთრივ თესლი, ისე პირუტყვის საკვები, რაც ნაკელის სახით ნიადაგს უბრუნდება, საჯიშე პირუტყვი და ა. შ. ეს მნიშვნელოვანი ნაწილი წლიური პროდუქტისა — ან წლიური პროდუქტის მუდმივი ნაწილისა — უშუალოდ ემსახურება თავის თავს როგორც აღდგენის [Regeneration] მასალა, თვითონ აკვლავწარმოებს თავის თავს.

არაორგანული ნედლეული — ლითონები, ქვები და ა. შ. ამ ნედლეულის ღირებულება შედგება მხოლოდ ორი ნაწილისაგან, რადგან აქ მოხსნილია თესლი, რომელიც ნედლეულს წარმოადგენს მიწათმოქმედებაში. არაორგანული ნედლეულის ღირებულება შედგება მხოლოდ მიმატებული შრომისა და მოხმარებული მანქანებისაგან (მანქანათა მოხმარების საშუალებათა ჩათვლით). ამრიგად, გარდა პროდუქტის იმ ნაწილისა; ახლადმიმატებულ შრომას რომ წარმოადგენს და ამიტომ *B*-სა და *A*-ს $^2/_3$-ს შორის გაცვლაში რომ შედის, ასანაზღაურებელია მხოლოდ ძირითადი კაპიტალისა და მისი მოხმარების საშუალებათა (როგორიცაა ნახშირი, საცხები ზეთი და ა. შ.) გაცვეთა. მაგრამ ამ არაორგანული ნედლეულისაგან იქმნება

მუდმივი კაპიტალის მთავარი შემადგენელი ნაწილი — ძირითადი კაპიტალი (მანქანები, სამუშაო ინსტრუმენტები, შენობები და ა. შ.). ამიტომ არაორგანული ნედლეული ანაზღაურებს თავის მუდმივ კაპიტალს in natura [კაპიტალის კაპიტალზე] გაცვლის საშუალებით.

[388] მეორე, ძირითადი კაპიტალი (მანქანები, შენობები, სამუშაო ინსტრუმენტები, ყოველგვარი ჭურჭელ-სათავსოები).

მათ მუდმივ კაპიტალს შეადგენს: 1) ნედლეული, ლითონები, ქვები, ორგანული ნედლეული (როგორიცაა ხე-ტყე, ღვედები, ბაგირები და ა. შ.). მაგრამ თუ ეს მათი ნედლეული შეადგენს მათს (მანქანების, შენობათა და ა. შ.) ნედლ მასალაა, მაშინ თვით ისინი, შრომის იარაღების სახით, ამ ნედლი მასალის მოპოვების პროცესში შედიან. ამიტომ ისინი ერთმანეთს ანაზღაურებენ in natura. რკინის მწარმოებელმა უნდა აანაზღაუროს მანქანა, მანქანათმშენებელმა — რკინა. ქვის სამტეხლოში ცვდება მანქანები, საფაბრიკო შენობაში კი — სამშენებლო ქვა და ა. შ. 2) მანქანათმშენებელი მანქანების გაცვეთა, რომლებიც თვითონ უნდა იქნენ ანაზღაურებული დროის გარკვეულ პერიოდში იმავე სახის ახალი პროდუქტით. იმავე სახის პროდუქტს კი შეუძლია, რა თქმა უნდა, თვით აანაზღაუროს თავის თავი. 3) მოხმარების საშუალებანი მანქანისათვის (დამხმარე მასალა). მანქანები მოიხმარენ ნახშირს, მაგრამ ნახშირიც მოიხმარს მანქანებს და ა. შ. ჭურჭლის, მილების, სახელოების და სხვ. ფორმით ყოველგვარი მანქანები შედიან მანქანების მოხმარების საშუალებათა წარმოებაში, როგორც, მაგალითად, ქონის, საპნის, გაზის { განათებისათვის { წარმოებაში. მაშასადამე, აქაც თვითეული ამ სფეროს პროდუქტები ურთიერთ შედიან თვითეული სხვა შესაბამისი სფეროს მუდმივ კაპიტალში და ამიტომ ერთმანეთს ანაზღაურებენ in natura.

თუ მუშა-პირუტყვს მანქანებს მივაკუთვნებთ, მაშინ აქ ასანაზღაურებელი იქნება საკვები და, გარკვეულ პირობებში, ბაგა (შენობა). მაგრამ თუ საკვები პირუტყვის წარმოებაში შედის, მაშინ პირუტყვიც შედის საკვების წარმოებაში.

მესამე, დამხმარე მასალა. ამ მასალის ნაწილი, როგორც, მაგალითად, საცხები ზეთი, საპონი, ქონი, გაზი და ა. შ., საჭიროებს ნედლეულს. მეორე მხრივ, სასუქის ფორმით და ა. შ. დამხმარე მასალა ნაწილობრივ ხელახლა შედის ამ ნედლეულის შექმნის პროცესში. ნახშირი აუცილებელია გაზის გამოსამუშავებლად, მაგრამ გაზის განათება, თავის მხრივ, მოიხმარება ნახშირის

წარმოებისას, და ა. შ. სხვა დამხმარე მასალა შედგება მხოლოდ ახლადმიმატებული შრომისა და ძირითადი კაპიტალისაგან (მანქანები, ჭურჭელ-სათავსოები და ა. შ.). ნახშირმა უნდა აანაზღაუროს იმ ორთქლის მანქანის გაცვეთა, რომელიც მისი წარმოების დროს გამოიყენება. მაგრამ ორთქლის მანქანა მოიხმარს ნახშირს. ნახშირი თვით შედის ნახშირის წარმოების საშუალებებში. ამრიგად, იგი აქ თვით ანაზღაურებს თავის თავს in natura. მისი გადაზიდვა რკინიგზით ნახშირის წარმოების ხარჯებში შედის, მაგრამ ნახშირი, თავის მხრივ, ორთქლმავალთა წარმოების ხარჯებში შედის.

შემდგომში კიდევ ზოგი რამ უნდა დაემატოს სპეციალურად ქიმიური ქარხნების შესახებ, რომელნიც ამა თუ იმ ოდენობით ამზადებენ დამხმარე მასალას, ნედლეულს ჭურჭლისათვის (მაგალითად, მინას, ფაიფურს), და აგრეთვე უშუალო მოხმარებაში შემავალ საგნებს.

ყველა საღებავი ნივთიერება დამხმარე მასალაა. მაგრამ ეს ნივთიერებანი შედიან პროდუქტში არა მარტო თავიანთი ღირებულებით, როგორც, მაგალითად, ფაბრიკაში მოხმარებული ნახშირი შედის ბამბის ქსოვილში, არამედ აკვლავწარმოებენ თავის თავს პროდუქტის მიერ შეძენილი ფორმით (მისი შეღებვით).

დამხმარე მასალა ან მოხმარების საშუალებაა მანქანებისათვის, — და აქ იგი ან საწვავია ძრავასთვის, ან საშუალება, რომელიც სამუშაო მანქანის და ა. შ. ხახუნის შემცირების მიზნით გამოიყენება, — როგორც, მაგალითად, ქონი, საპონი, საცხები ზეთი და ა. შ., — ანდა იგი წარმოადგენს დამხმარე მასალას მშენებლობისათვის, როგორც, მაგალითად, ცემენტი და სხვ. ანდა. ბოლოს, იგი წარმოადგენს დამხმარე მასალას, რომელიც საერთოდ აუცილებელია წარმოების პროცესების განსახორციელებლად, როგორიცაა. მაგალითად, განათება, გათბობა და ა. შ. (ამ შემთხვევაში თვით მუშებისათვის აუცილებელი დამხმარე მასალაა, რათა მათ მუშაობა შეეძლოთ).

ანდა ეს ისეთი დამხმარე მასალაა, რომელიც ნედლეულის წარმოქმნის პროცესში შედის, როგორიცაა, მაგალითად, ყოველგვარი სასუქი და ყველა ქიმიური პროდუქტი, რომელთაც ნედლეული ნთქავს.

ანდა ეს ისეთი დამხმარე მასალაა, რომელიც მზა პროდუქტში შედის: საღებავი, ლაქი და ა. შ.

* * *

მაშასადამე, შედეგი ასეთია:

A ანაზღაურებს თავის საკუთარ მუდმივ კაპიტალს, რომელიც პროდუქტის $^2/_3$-ს შეადგენს, *B*-ს ინდივიდუალური მოხმარებისათვის უვარგისი პროდუქტების იმ ნაწილზე გაცვლით, რომლითაც წარმოდგენილია *B*-ს შემოსავალი. ე. ი. *B* კატეგორიაში წლის განმავლობაში ახლადმიმატებული შრომა. მაგრამ *A* არ ანაზღაურებს *B*-ს მუდმივ კაპიტალს. *B* კატეგორიამ, თავის მხრივ, უნდა აანაზღაუროს in natura ეს მუდმივი კაპიტალი იმავე სახეობის ახალი პროდუქტებით. მაგრამ მას არ რჩება არავითარი სამუშაო დრო მათი ანაზღაურებისათვის. ვინაიდან მის მიერ მთელი ახლადმიმატებული სამუშაო დრო შეადგენს მის შემოსავალს და, მაშასადამე, წარმოდგენილია *B*-ს პროდუქტის იმ ნაწილით, რომელიც შედის *A*-ში როგორც მუდმივი კაპიტალი. როგორ ნაზღაურდება *B*-ს მუდმივი კაპიტალი?

იგი ნაზღაურდება ნაწილობრივ საკუთარი (მცენარეთა თუ ცხოველთა) კვლავწარმოების საშუალებით, როგორც ეს ხდება მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის დარგში; ნაწილობრივაც — ერთი მუდმივი კაპიტალის ნაწილების მეორე მუდმივი კაპიტალის ნაწილებზე in natura გაცვლის მეშვეობით; ამასთან ერთი სფეროს პროდუქტი შედის მეორეში როგორც ნედლეული ან წარმოების საშუალება. და პირიქით. აქ, მაშასადამე წარმოების სხვადასხვა სფეროს პროდუქტები [389], სხვადასხვა სახის მუდმივი კაპიტალები, შედიან ერთიმეორეში in natura როგორც წარმოების პირობები.

ინდივიდუალური მოხმარებისათვის უვარგისი პროდუქტების მწარმოებლები ინდივიდუალურად მოსახმარი პროდუქტების მწარმოებელთათვის მუდმივი კაპიტალის მწარმოებლები არიან. მაგრამ იმავე დროს მათი პროდუქტები შენაცვლებით წარმოადგენენ მათი საკუთარი მუდმივი კაპიტალის ელემენტებს ან ფაქტორებს. ეს ნიშნავს, რომ ისინი წარმოებისათვის მოიხმარენ ერთიმეორის პროდუქტებს.

მთელი პროდუქტი მოიხმარება ინდივიდუალურად. მაშასადამე, მთელი მუდმივი კაპიტალიც, რომელსაც იგი შეიცავს. *A*-ს $^1/_3$-ს მოიხმარენ A-ს მწარმოებლები, A-ს $^2/_3$-ს კი — მწარმოებლები *B*-ს პროდუქტებისა, რომლებიც ინდივიდუალური მოხმარებისათვის უვარგისნი არიან. *A*-ს მუდმივ კაპიტალს ანაზღაუ-

რებენ *B*-ს პროდუქტები, *B*-ს შემოსავალს რომ შეადგენენ. სინამდვილეში ეს მუდმივი კაპიტალის ერთადერთი ნაწილია, რასაც ახლადმიმატებული შრომა ანაზღაურებს, და მას ანაზღაურებს ეს შრომა იმიტომ, რომ *B*-ს პროდუქტების ის რაოდენობა, რომელიც *B* კატეგორიაში ახლადმიმატებულ შრომას წარმოადგენს, არ მოიხმარება *B* კატეგორიის მიერ, არამედ, პირიქით, იგი მოიხმარება წარმოებაში *A* კატეგორიის მიერ, მაშინ როდესაც *B* კატეგორია *A*-ს $^2/_3$-ს ინდივიდუალურად მოიხმარს.

ვთქვათ, *A* უდრის 3 სამუშაო დღეს; ბაშინ, ვარაუდის თანახმად, მისი მუდმივი კაპიტალი უდრის 2 სამუშაო დღეს. *B* ანაზღაურებს *A*-ს პროდუქტის $^2/_3$-ს, იძლევა, მაშასადამე, ინდივიდუალური მოხმარებისათვის უვარგის პროდუქტებს, რომლებიც 2 სამუშაო დღის ტოლია. ახლა ჩვენ მოხმარებული გვაქვს 3 სამუშაო დღე, რჩება 2. სხვა სიტყვებით, ორი წარსული სამუშაო დღე *A*-ში ანაზღაურებულია *B*-ში ახლადმიმატებული ორი სამუშაო დღით, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ *B*-ში ახლადმიმატებული ორი სამუშაო დღე მოიხმარება ღირებულების მიხედვით *A*-ს პროდუქტში და არა თვით *B*-ს პროდუქტში.

B კატეგორიის მუდმივი კაპიტალი იმ ოდენობით, რა ოდენობითაც იგი *B*-ს ერთობლივ პროდუქტში შევიდა, ასევე უნდა ანაზღაურდეს **in natura** იმავე სახეობის ახალი პროდუქტებით, მაშასადამე, *B* კატეგორიის საწარმოო მოხმარებისათვის საჭირო პროდუქტებით. მაგრამ იგი არ ანაზღაურდება ახალი სამუშაო დროით, თუმცა ანაზღაურდება წლის განმავლობაში ახლადდახარჯული სამუშაო დროის პროდუქტებით.

ვთქვათ, *B*-ს ერთობლივ პროდუქტში მთელი კაპიტალი შეადგენს $^2/_3$. მაშინ, თუ ახლადმიმატებული შრომა (რაც ხელფასისა და მოგების ჯამს უდრის) უდრის 1-ს, წარსული შრომა, მისთვის რომ შრომის მასალას და შრომის საშუალებას წარმოადგენდა, 2-ის ტოლი იქნება. როგორ ნაზღაურდება ეს 2? შეფარდება ცვალებადსა და მუდმივ კაპიტალს შორის შეიძლება მეტად განსხვავებული იყოს *B* კატეგორიის წარმოების სხვადასხვა სფეროს შორის. მაგრამ საშუალო შეფარდება, ნაგულისხმევის თანახმად, უდრის $^1/_3 : ^2/_3$, ანუ 1 : 2. *B* კატეგორიის თვითეულ მწარმოებელს აქვს $^2/_3$ თავისი პროდუქტისა — მაგალითად, ნახშირის, რკინის, სელის, მანქანების, პირუტყვის, ხორბლისა (სახელდობრ, პირუტყვისა და ხორბლის იმ ნაწილისა, რომელიც ინდივიდუალურ მოხმარებაში არ შედის) და ა. შ., — რომელთა წარმოების ელემენტები უნდა ანაზღაურდეს, ან-

და რომლებიც უნდა უკუგარდაიქმნან წარმოების თავისი ელემენტების ნატურალურ ფორმად. მაგრამ ყველა ეს პროდუქტი თვით შედის კვლავ საწარმოო მოხმარებაში. ხორბალი (თესლის სახით) ამასთანავე კვლავ თავის საკუთარ ნედლეულად გვევლინება, გაზრდილი პირუტყვის ნაწილი ანაზღაურებს მოხმარებულ პირუტყვს, ე. ი. ანაზღაურებს თავის თავს. ამრიგად, *B* კატეგორიის ამ წარმოების სფეროებში (მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაში) მათი პროდუქტის ნაწილი თავისი საკუთარი ნატურალური ფორმით აანაზღაურებს თავის საკუთარ მუდმივ კაპიტალს. ამ პროდუქტის ნაწილი, მაშასადამე, არ შედის მიმოქცევაში (ყოველ შემთხვევაში, აუცილებელი არაა მისი მიმოქცევაში შესვლა, იგი შეიძლება მიმოქცევაში შევიდეს მხოლოდ ფორმალურად). სხვები ამ პროდუქტებიდან, როგორც, მაგალითად, სელი, კანაფი და ა. შ., ნახშირი, რკინა, ხე-ტყე, მანქანები, შედიან ნაწილობრივ როგორც წარმოების საშუალებანი საკუთარ წარმოებაში. მსგავსად თესლისა მიწათმოქმედებაში, ნახშირი შედის ნახშირის წარმოებაში, მანქანა კი — მანქანის წარმოებაში. მანქანებისა და ნახშირისაგან შემდგარი პროდუქტის ნაწილი, სახელდობრ ის ნაწილი, რომლითაც მისი მუდმივი კაპიტალია წარმოდგენილი, ანაზღაურებს, მაშასადამე, თავის თავს და მხოლოდ ადგილს იცვლის წარმოების პროცესში. იგი უკვე აღარ არის პროდუქტი და თავის საკუთარ წარმოების საშუალებად იქცევა.

ამ და სხვა პროდუქტების სხვა ნაწილები შენაცვლებით შედიან ერთიმეორეში როგორც წარმოების ელემენტები: მანქანა — რკინასა და ხე-ტყეში, ხე-ტყე და რკინა — მანქანაში, საცხები ზეთი — მანქანაში, მანქანა კი — საცხებ ზეთში, ნახშირი — რკინაში, რკინა (სელიანდგარ გზის სახით და ა. შ.) — ნახშირში და ა. შ. ამრიგად, რამდენადაც *B* კატეგორიის ამ პროდუქტების $^2/_3$ არ ანაზღაურებენ თავის თავს, ე. ი. არ შედიან თავისი ნატურალური ფორმით კვლავ თავიანთ საკუთარ წარმოებაში, — ისე რომ, მაშასადამე, *B* პროდუქტების ნაწილს უშუალოდ მოიხმარენ წარმოებაში მისი საკუთარი მწარმოებლები, მსგავსად იმისა, როგორც *A* პროდუქტების ნაწილს უშუალოდ მოიხმარენ ინდივიდუალურად მისი საკუთარი მწარმოებლები, — იმდენად, მაშასადამე, რამდენადაც ეს აქ არ ხდება, *B* კატეგორიის მწარმოებელთა პროდუქტები ურთიერთ ანაზღაურებენ ერთიმეორეს როგორც წარმოების საშუალებანი. პროდუქტი *a* მწარმოებლისა შედის *b* მწარმოებლის საწარმოო მოხმარებაში, *b* მწარმოებლის პროდუქტი კი — *a* მწარმოებლის საწარმოო მოხმარებაში, ანდა არაპირდაპირი გზით: *a* მწარმოებლის პროდუქტი შე-

დის *b* მწარმოებლის საწარმოო მოხმარებაში, ამ უკანასკნელის პროდუქტი — *c* მწარმოებლის საწარმოო მოხმარებაში, *c* მწარმოებლის პროდუქტი კი — *a* მწარმოებლის საწარმოო მოხმარებაში. ამრიგად, ის, რაც *B* კატეგორიის ერთ წარმოების სფეროში მუდმივ კაპიტალად მოიხმარება, მეორე სფეროში ხელახლა იწარმოება, ხოლო ის, რაც ამ უკანასკნელში მოიხმარება, იწარმოება პირველში. ის, რაც წარმოების ერთ სფეროში მანქანისა და ნახშირის ფორმიდან რკინის ფორმაში გადავიდა, მეორე სფეროში რკინისა და ნახშირის ფორმიდან მანქანებისა და სხვ. ფორმაში გადავიდა.

[390] აუცილებელია *B* კატეგორიის კაპიტალის ანაზღაურება თავისი ნატურალური ფორმით. თუ განვიხილავთ *B* კატეგორიის ერთობლივ პროდუქტს, იგი წარმოადგენს სწორედ მუდმივ კაპიტალს ყველა მისი ნატურალური ფორმით. იმ შემთხვევებშიც კი, როცა *B* კატეგორიის რომელიმე განსაკუთრებული სფეროს პროდუქტს არ შეუძლია აანაზღაუროს in natura თავისი საკუთარი მუდმივი კაპიტალი, — ყიდვა და გაყიდვა, ხელიდან ხელში გადასვლა აქ ყველაფერს კვლავ თავის ადგილზე აყენებს.

ამრიგად, აქ წარმოებს მუდმივი კაპიტალის ანაზღაურება მუდმივი კაპიტალით; რამდენადაც ეს არ ხდება უშუალოდ, გაცვლის გარეშე, ამდენად აქ ჩვენ გვაქვს კ ა პ ი ტ ა ლ ი ს კ ა პ ი ტ ა ლ ზ ე გ ა ც ვ ლ ა, ე. ი. — სახმარი ღირებულების მიხედვით — პროდუქტების გაცვლა პროდუქტებზე, რომლებიც შენაცვლებით შედიან თავიანთ შესაბამის წარმოების პროცესებში, ასე რომ თვითეული ამ პროდუქტთაგანი წარმოებაში მოიხმარება შესაბამისი მეორე პროდუქტის მწარმოებლების მიერ.

კაპიტალის ეს ნაწილი არ დაიყვანება არც მოგებაზე და არც ხელფასზე. იგი სრულიად არ შეიცავს ახლადმიმატებულ შრომას. იგი არ გაიცვლება შემოსავალზე. მას არც პირდაპირ, არც არაპირდაპირ არ გადაიხდიან მომხმარებლები. საქმის ვითარებას სრულიად არ ცვლის ის გარემოება, მოსაშუალეობენ თუ არა კაპიტალების ამ ურთიერთანაზღაურებას ვაჭრები (ე. ი. სავაჭრო კაპიტალი).

მაგრამ რაკი ეს პროდუქტები (მანქანები, რკინა, ნახშირი, ხე-ტყე და ა. შ., რომლებიც ერთიმეორეს ანაზღაურებენ) ახალი პროდუქტებია, რაკი ისინი უკანასკნელი წლის შრომის პროდუქტებია, — თესლად გამოყენებული ხორბალი ხომ ახალი შრომის პროდუქტია სავსებით ისევე, როგორც ინდივიდუალურ მოხმარებაში შემავალი ხორბალი და ა. შ., — როგორ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ეს პროდუქტები არავითარ ახლადმიმატებულ შრომას არ შეიცავენ? და

განა, გარდა ამისა, მათი ფორმა მეტად დამაჯერებლად არ გვიჩვენებს სწორედ საწინააღმდეგო მოვლენას? თუ ეს არ ემჩნევა ხორბალს ან პირუტყვს, მანქანაში, მის ფორმაში ხომ შესამჩნევია ის შრომა, რომელმაც იგი რკინიდან და ა. შ. მანქანად გადააქცია. და ა. შ.

ეს პრობლემა გადაწყვეტილია ზემოთ *. საჭირო არაა აქ კვლავ ამ საკითხს დავუბრუნდეთ.

{მცდარია, მაშასადამე, ა. სმიტის თეზისი, რომ ამა თუ იმ «საქმიან ადამიანებს» შორის არსებული ვაჭრობის მოცულობა უნდა უდრიდეს «საქმიან ადამიანებსა» და მომხმარებლებს შორის არსებული ვაჭრობის მოცულობას (მომხმარებლად აქ უნდა ვიგულისხმოთ უშუალო მომხმარებელნი და არა წარმოებაში მომხმარებელნი, რომლებსაც სმიტი «საქმიან ადამიანთა» კატეგორიას მიაკუთვნებს). ეს თეზისი ეყრდნობა მის იმ მცდარ დებულებას, რომლის თანახმად მთელი პროდუქტი შემოსავალზე დაიყვანება, და სინამდვილეში მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ საქონელთა გაცვლის ნაწილი, რომელსაც კაპიტალსა და შემოსავალს შორის გაცვლა წარმოქმნის, საქონელთა ერთობლივ გაცვლას უდრის. ამიტომ მცდარია როგორც ეს თეზისი, ასევე ის პრაქტიკული დასკვნებიც, რომლებსაც იქიდან ტუკი აკეთებს ფულის მიმოქცევის მიმართ (განსაკუთრებით, ერთი მხრივ, «საქმიან ადამიანებს» შორის და, მეორე მხრივ, «საქმიან ადამიანებსა» და მომხმარებლებს შორის მიმოქცევადი ფულის მასათა შეფარდების მიმართ).

თუ მომხმარებლის პირისპირ მდგომი უკანასკნელი «საქმიანი ადამიანის» სახით ავიღებთ ვაჭარს, რომელიც A-ს პროდუქტებს ყიდულობს, ამ პროდუქტებს მისგან ყიდულობენ A-ს მწარმოებელთა შემოსავლით (A-ს $^1/_3$-ს რომ უდრის) და B-ს მწარმოებელთა შემოსავლით (A-ს $^2/_3$-ს რომ უდრის). ეს შემოსავალი უნაზღაურებს მას სავაჭრო კაპიტალს. ამ შემოსავალთა ჯამმა უნდა დაფაროს მისი კაპიტალი. (მოგება, რასაც ეს გარეწარი იღებს, იმის შედეგად უნდა მიიღებოდეს, რომ A-ს ნაწილს იგი თავისთვის იტოვებს და A-ს უფრო მცირე რაოდენობას ყიდის A-ს მთელი ღირებულების მიხედვით. საქმის ვითარება სრულიად არ იცვლება იმით, წარმოების აუცილებელ აგენტად ჩაკვეთილი ამ გარეწარს თუ პარაზიტულად შეჭრილ სიბარიტად.) ეს გაცვლა, რომელიც A-ს პროდუქტით მოვაჭრე «საქმიან კაცსა» და ამ პროდუქტის მომხმარებელს შორის წარმოებს,

* იხ. ეს ტომი, გვ. 96—153, 201—215 და 244—245. რ ე დ.

ფარავს თავისი ღირებულების მიხედვით გაცვლას, A-ს პროდუქტით მოვაჭრესა, და ყველა იმათ შორის, ვინც A-ს პროდუქტის წარმოებაში მონაწილეობდა, ფარავს, მაშასადამე, ყველა გარიგებას, რაც კი ამ მწარმოებლებს შორის ხდება მათს საკუთარ წრეში.

ვაჭარი ყიდულობს ტილოს. ეს არის უკანასკნელი გარიგება ერთ «საქმიან კაცსა» და მეორეს შორის. ტილოს დამამზადებელი მქსოველი ყიდულობს ნართს, მანქანებს, ნახშირს და ა. შ. ეს არის უკანასკნელისწინა გარიგება ერთ «საქმიან კაცსა» და მეორეს შორის. მრთველი ყიდულობს სელს, მანქანებს, ნახშირს და ა. შ. ეს არის გარიგება ორ «საქმიან ადამიანს» შორის, უკანასკნელისწინას რომ წინ უძღვის. მესელე და მანქანათმშენებელი ყიდულობენ მანქანებს, რკინას და ა. შ., და ა. შ. მაგრამ გარიგებანი სელის, მანქანების, რკინის, ნახშირის მწარმოებლებს შორის, რაც მათი მუდმივი კაპიტალის ანაზღაურების მიზნით ხდება, და ამ გარიგებათა ღირებულება არ შედის იმ გარიგებებში, რომლებსაც გაივლის A-ს პროდუქტი, შემოსავალზე შემოსავლის გაცვლა იქნება ეს გარიგება თუ მუდმივ კაპიტალზე შემოსავლის გაცვლა. ეს გარიგებანი, — რაც ხდება არა B-ს მწარმოებლებსა და A-ს მწარმოებლებს შორის, არამედ მხოლოდ B-ს მწარმოებლებს შორის, — ასევე სრულიად არაა ასანაზღაურებელი A-ს პროდუქტის მყიდველის მხრივ A-ს პროდუქტის გამყიდველის სასარგებლოდ, ისევე როგორც B-ს პროდუქტის ამ ნაწილის ღირებულება სრულიად არ შედის A-ს პროდუქტის ღირებულებაში. ეს გარიგებანიც აგრეთვე ფულს საჭიროებენ, მათაც აგრეთვე განაშუალებენ ვაჭრები. მაგრამ ფულის მიმოქცევის ის ნაწილი, რომელიც მხოლოდ ამ სფეროს ეკუთვნის, სრულიად მოწყვეტილია იმ ფულის მიმოქცევისაგან, რაც «საქმიან ადამიანებსა» და მომხმარებლებს შორის წარმოებს. }

[391] გადასაწყვეტი რჩება კიდევ ორი საკითხი:

1) აქამდე ხელფასს განვიხილავდით როგორც შემოსავალს მოგებასთან ერთად და მისგან განუსხვავებლად. გამოსარკვევია მნიშვნელობა იმ გარემოებისა, რომ ხელფასი ამავე დროს გვევლინება როგორც ნაწილი კაპიტალისტის საბრუნავი კაპიტალისა.

2) აქამდე ჩვენ ვეულისხმობდით, რომ მთელი შემოსავალი იხარჯება როგორც შემოსავალი. ამიტომ განსახილველია ის ცვლილებანი, რაც თავს იჩენს შემოსავლის, მოგების, ნაწილის კაპიტალიზაციის შემთხვევაში. ეს სინამდვილეში ეპთხვევა დაგროვების პროცესის განხილვას, მაგრამ არა მისი ფორმალური მხრივ. ის გარემოება,

რომ პროდუქტის ნაწილი, რომლითაც წარმოდგენილია ზედმეტი ღირებულება, უკუგადაიქცევა ნაწილობრივ ხელფასად, ნაწილობრივ მუდმივ კაპიტალად, საკმაოდ მარტივია. მაგრამ აქ საჭიროა გამოვიკვლიოთ, როგორ გავლენას ახდენს ეს საქონელგაცვლაზე იმ ზემოგანხილულ რუბრიკებში, რომლებშიც უნდა განიხილებოდეს ეს გაცვლა მის მატარებელთა მიმართ, სახელდობრ რუბრიკებში: გაცვლა შემოსავლისა შემოსავალზე, გაცვლა შემოსავლისა კაპიტალზე და, ბოლოს, გაცვლა კაპიტალისა კაპიტალზე. }

} ეს ინტერმეცო, მაშასადამე, საჭიროა ბოლომდე მივიყვანოთ ამ ისტორიულ-კრიტიკულ ნაწილში, უნდა დავუბრუნდეთ მას სათანადო შემთხვევებში". }

[11)] ფერიე [პროტექციონისტული სასიათი ფერიეს პოლემიკისა, რომელიც მიმართულია მწარმოებლური შრომისა და კაპიტალის დაგროვების შესახებ სმიტის თეორიის წინააღმდეგ. სმიტის არევ-დარევა დაგროვების საკითხში. ფულგარული ელემენტი სმიტის შეხედულებებში «მწარმოებელ მუშაკებზე»]

ფ. ლ. ო. ფერიეს (ს ა ბ ა ჟ ო ს ს უ ბ ი ნ ს პ ე ქ ტ ო რ ი ს) წიგნს ეწოდება: «Du gouvernement considéré dans ses rapports avec le commerce» ,Paris, 1805. (ეს მთავარი წყაროა ფ. ლისტის იდეებისა) ეს სუბიექტი ბ ო ნ ა პ ა რ ტ ი ს ტ უ ლ ი აკრძალვითი სისტემის პანეგირისტია და ა. შ. მართლაც, მთავრობას (მაშასადამე, აგრეთვე სახელმწიფო მოხელეებსაც, ამ არამწარმოებელ მუშაკებს) იგი დიდ მნიშვნელობას აკუთვნებს, აცხადებს რა მას ხელმძღვანელად, რომელიც უშუალოდ ერევა წარმოებაში. ეს საბაჟოს მოხელე ამიტომ მეტად გაანჩხლებულა იმით, რომ ა. სმიტი სახელმწიფო მოხელეებს არამწარმოებელ მუშაკებს უწოდებს.

«ე რ ე ბ ი ს მ ო მ ჭ ი რ ნ ე ო ბ ი ს პრინციპებს სმიტმა საფუძვლად დაუდო განსხვავება მწარმოებლურ და არამწარმოებლურ შრომას შორის...»

} სახელდობრ იმიტომ, რომ სმიტს სურს პროდუქტის რაც შეიძლება დიდი ნაწილი იხარჯებოდეს როგორც კაპიტალი, ე. ი. იცვლებოდეს მწარმოებლურ შრომაზე და რაც შეიძლება მცირე ნაწილი — როგორც შემოსავალი, ე. ი. იცვლებოდეს არამწარმოებლურ შრომაზე. }

«ეს განსხვავება მცდარია არსებითად. არამწარმოებლური შრომა სრულიად არ არსებობს» (გვ. 141). «ამრიგად, არსებობს ერების მომჭირნეობა და მფლანგველობა; მაგრამ მფლანგველი ან მომჭირნე ერი არის მხოლოდ თავის ურთიერთობაში სხვა ხალხებთან, და საკითხი სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა განხილულიყო» (ციტრ. თხზ., გვ. 143).

ჩვენ ახლა შევადარებთ ამას ა. სმიტის იმ მსჯელობას, რომლითაც შეძრწუნებულია ფერიე.

«არსებობს», — ამბობს ფერიე, — ერების მომჭირნეობა, მაგრამ სრულიად განსხვავებული სმიტისეულისაგან. იგი მდგომარეობს იმაში, რომ საზღვარგარეულ პროდუქტებს უნდა ვყიდულობდეთ მხოლოდ ისეთი რაოდენობით, რომლის გადახდაც შეგვიძლია საკუთარი პროდუქტებით. ზოგჯერ კი იგი იმაში მდგომარეობს, რომ საესებით თავი შევიკავოთ საზღვარგარეთული პროდუქტების შეძენისაგან» (იქვე, გვ. 174—175).

I წიგნის მე-6 თავში (გარნიეს თარგმანის I ტომი, გვ. 108—109), ამ თავის დასასრულს, სადაც განხილულია «საქონელთა ფასის შემადგენელი ნაწილები», ა. სმიტი ამბობს:

«რადგან ციელილზებულ ქვეყანაში ძლიერ ცოტა რაოდენობით მოინახება ისეთი საქონელი, რომლის მთელი საცვლელი ღირებულება მარტოოდენ შრომიდან წარმოდგება, და რადგან საქონელთა უდიდესი ნაწილის საცვლელ ღირებულებაში მნიშვნელოვანი წილით შედიან რენტა და მოგება, ამიტომ ამ ქვეყნის შრომის წლიური პროდუქტი ყოველთვის საკმარისი იქნება იმისათვის, რომ იყიდოს და განკარგულებაში იქონიოს შრომის გაცილებით უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე საჭირო იყო ამ პროდუქტის დასამზადებლად, დასამუშავებლად და ბაზარზე გასატანად. საზოგადოება რომ ყოველწლიურად მთელ იმ შრომას იყენებდეს, რომელიც მას ყოველწლიურად შეუძლია იყიდოს, მაშინ იმის გამო, რომ ამ შრომის რაოდენობა ყოველწლიურად მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა, ყოველი შემდგომი წლის პროდუქტს შეუდარებლად უფრო მეტი ღირებულება ექნებოდა, ვიდრე წარსული წლის პროდუქტს. მაგრამ არ არსებობს არც ერთი ისეთი ქვეყანა, სადაც მთელი წლიური პროდუქტი მუშების შესანახად მოიხმარებოდეს. ყველგან პროდუქტის მნიშვნელოვან ნაწილს მოიხმარენ უსაქმო ადამიანები, და სხვადასხვა შეფარდების მიხედვით, რომლითაც ეს პროდუქტი ადამიანთა ამ ორ განსხვავებულ კლასს შორის ნაწილდება, მისი ჩვეულებრივი, ანუ საშუალო, ღირებულება აუცილებლად უნდა იზრდებოდეს, მცირდებოდეს ანდა წლიდან წლამდე უცვლელი რჩებოდეს».

ამ ადგილას, სადაც სმიტი არსებითად ცდილობს ამოხსნას დაგროვების გამოცანა, ბლომადაა ყოველგვარი არევ-დარევა.

უწინარეს ყოვლისა ჩვენ აქ კვლავ ის მცდარი წანამძღვარი გვაქვს, რომ შრომის წლიური პროდუქტის «საცვლელი ღირებულება», მაშასადამე, «შ რ ო მ ი ს წ ლ ი უ რ ი პ რ ო დ უ ქ ტ ი ც», მთლიანად დაიყვანება ხელფასსა და მოგებაზე (მიწის რენტის ჩათვლით). აღარ დავუბრუნდებით ამ უაზრობას. აღვნიშნავთ მხოლოდ შემდეგს. წლიური პროდუქტის მასა — ანუ საქონელთა ფონდები, მარაგი, შრომის წლიურ პროდუქტს რომ შეადგენენ, — მნიშვნელოვანწილად [392] შედგება თავისი ნატურალური ფორმის მიხედვით ისეთ საქონელთაგან, რომელთაც შეუძლიათ შევიდნენ მხოლოდ მუდმივ კაპიტალში მისი ელემენტების სახით } ყოველგვარი ნედლეული. თესლი, მანქანები და ა. შ.{, ე. ი. რომელთა მოხმარება შეიძლება მ ხ ო ლ ო დ წარმოებაში. ამ საქონელთა შესახებ (ეს კი მუდმივ კაპიტალში შემავალ საქონელთა მეტი ნაწილია) უკვე თვით მათი ს ა ხ მ ა რ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა გვიჩვენებს, რომ ისინი უვარგისნი არიან ინდივიდუალური მოხმარებისათვის, რომ, მაშასადამე, შემოსავალი, ხელფასი იქნება ეს, მოგება თუ რენტა, არ შეიძლება მათზე დაიხარჯოს. მართალია, ნედლი მასალის ნაწილი (რამდენადაც იგი არაა საჭირო თვით ამ ნედლი მასალის კვლავწარმოებისათვის ანდა არ შედის ძირითად კაპიტალში როგორც დამხმარე მასალა ან როგორც უშუალო შემადგენელი ნაწილი) შემდეგში შეიძენს მოხმარებისათვის ვარგის ფორმას, მაგრამ ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ მიმდინარე წლის შრომის შედეგად. წარსული წლის შრომის პროდუქტის სახით ეს ნედლი მასალაც კი შემოსავლის არავითარ ნაწილს არ შეადგენს. პროდუქტის მხოლოდ მოხმარებისათვის ვარგისი ნაწილი შეიძლება მოხმარებულ იქნეს, შეიძლება შევიდეს ინდივიდუალურ მოხმარებაში და, მაშასადამე, შეიძლება შეადგენდეს შემოსავალს. მაგრამ მოხმარებისათვის ვარგისი პროდუქტის გარკვეული ნაწილი არ შეიძლება მოხმარებულ იქნეს, თუ არ სურთ შეუძლებელი გახადონ კვლავწარმოება. ამრიგად, მოხმარებისათვის ვარგის საქონელთა მასასაც კი გამოაკლდება ისეთი ნაწილი, რომელიც უნდა შევიდეს ს ა წ ა რ მ ო ო მ ო ხ მ ა რ ე ბ ა შ ი, ე. ი. უნდა წარმოადგენდეს შრომის მასალას, თესლს და ა. შ. და არა მუშების ან კაპიტალისტების საარსებო საშუალებას. მაშასადამე, პროდუქტის ეს ნაწილი იმთავითვე უნდა გამოაკლდეს ა. სმიტის გაანგარიშებას ანდა, უფრო სწორად, უნდა მიემატოს მას. რაკი შ რ ო მ ი ს ნ ა ყ ო ფ ი ე რ ე ბ ა უ ც ვ ლ ე ლ ი რ ჩ ე ბ ა, ამიტომ ყოველწლიურად უცვლელი რჩება პ რ ო დ უ ქ ტ ი ს ის ნაწილი, რომელიც არ დაიშლება შემოსავლად, — თუკი მხოლოდ შრომის ნაყოფიერების უცვლელობის

პირობებში წარმოებაზე იხარჯება სამუშაო დროის ისეთივე რაოდენობა, რამდენიც უწინ იხარჯებოდა.

თუ ვიგულისხმებთ, რომ ყოველწლიურად შრომის უფრო მეტი რაოდენობა გამოიყენება, ვიდრე უწინ, მაშინ მოგვიხდება იმის განხილვა, თუ როგორია საქმის ვითარება მუდმივი კაპიტალის მიმართ. ერთი სიტყვით: იმისათვის, რომ შეგვეძლოს შრომის მეტი რაოდენობის გამოყენება, საკმარისი არაა ჩვენს განკარგულებაში იყოს შრომის მეტი რაოდენობა და ვიხდიდეთ ამ მეტი რაოდენობისათვის, ე. ი. მეტ თანხებს ვხარჯავდეთ ხელფასზე, — ამისათვის აუცილებელია კიდევ ზემოხსენებულის გარდა გვქონდეს შრომის საშუალებანიც (ნედლეული და ძირითადი კაპიტალი), რომლებიც შეძლებდნენ შრომის ამ მეტი რაოდენობის შეწოვას. ეს პუნქტი, მაშასადამე, კიდევ განსახილველი იქნება ა. სმიტის მიერ განხილული პუნქტების გარკვევის შემდეგ.

ამრიგად, ავიღოთ ერთხელ კიდევ მისი პირველი ფრაზა:

«რადგან ცივილიზებულ ქვეყანაში ძალიერ ცოტა რაოდენობით მოინახება ისეთი საქონელი, რომლის მთელი საცვლელი ღირებულება მარტოოდენ შრომიდან წარმოდგება, და რადგან საქონელთა უდიდესი ნაწილის საცვლელ ღირებულებაში მნიშვნელოვანი წილით შედიან რენტა და მოგება, ამიტომ ამ ქვეყნის შრომის წლიური პროდუქტი ყოველთვის საკმარისი იქნება იმისათვის, რომ იყიდოს და განკარგულებაში იქონიოს შრომის გაცილებით უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე საჭირო იყო ამ პროდუქტის დასამზადებლად, დასამუშავებლად და ბაზარზე გასატანად» (სხვა სიტყვებით, მის საწარმოებლად).

აქ აშკარად ერთმანეთში არეულდარეულია სხვადასხვა საგანი. ერთობლივი წლიური პროდუქტის საცვლელ ღირებულებაში შედის არა მარტო ცოცხალი შრომა, არა მარტო მოცემული წლის განმავლობაში დახარჯული შრომა, არამედ წარსული შრომაც, წარსული წლების შრომის პროდუქტი. არა მარტო შრომა ცოცხალი ფორმით, არამედ შრომაც გასაგნობრივებული ფორმით. პროდუქტის საცვლელი ღირებულება უდრის მასში მოთავსებული იმ სამუშაო დროის ჯამს, რომლის ნაწილს ცოცხალი შრომა შეადგენდა, ნაწილს კი — გასაგნობრივებული შრომა.

დავუშვათ, რომ ცოცხალი შრომა შეეფარდება გასაგნობრივებულს როგორც $^1/_3 : ^2/_3$, ე. ი. როგორც 1 : 2. მაშინ მთელი პროდუქ-

ტის ღირებულება იქნება 3, საიდანაც 2 გასაგნობრივებული შრომაა და 1 — ცოცხალი. მთელი პროდუქტის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს შეუძლია, მაშასადამე, უფრო მეტი ცოცხალი შრომა იყიდოს, ვიდრე თვითონ შეიცავს, უკეთუ იმ წანამძღვრიდან გამოვალთ, რომ გასაგნობრივებული და ცოცხალი შრომა ერთმანეთზე გაიცვლება როგორც ეკვივალენტები, რომ გასაგნობრივებული შრომის გარკვეული რაოდენობის განკარგულებაშია ცოცხალი შრომის მხოლოდ ის რაოდენობა, რომელიც თვით მისი ტოლია. ეს იმიტომ, რომ პროდუქტი უდრის 3 სამუშაო დღეს, ცოცხალი სამუშაო დრო კი, რასაც ეს პროდუქტი შეიცავს, უდრის 1 სამუშაო დღეს. ცოცხალი შრომის ერთი დღე საკმარისი იყო პროდუქტის საწარმოებლად (სინამდვილეში — საკმარისი იყო მხოლოდ იმისათვის, რომ მისი ელემენტებისათვის საბოლოო ფორმა მიეცა). მაგრამ პროდუქტი შეიცავს 3 სამუშაო დღეს. მაშასადამე, თუ იგი მთლიანად გაიცვლებოდა ცოცხალ სამუშაო დროზე, თუ იგი მხოლოდ იმისთვის მოიხმარებოდა, რომ «ეყიდა და განკარგულებაში მიეღო» ცოცხალი შრომის ესა თუ ის რაოდენობა, მაშინ მას შეეძლო განკარგულებაში მიეღო, ეყიდა 3 სამუშაო დღე.

მაგრამ ა. სმიტს, აშკარაა, ეს არა აქვს მხედველობაში; და ეს მისთვის სრულიად უსარგებლო წანამძღვარიც იქნებოდა. მას სურს თქვას შემდეგი: საცვლელი ღირებულების მნიშვნელოვანი ნაწილი არ დაიშლება («დაიშლებას» ნაცვლად სმიტი ხმარობს კიდევ მეორე, მ ც დ ა რ გამოთქმას, ცნებათა იმ არევიდან გამომდინარეს, რომელიც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ *) ხელფასად, არამედ იგი დაიშლება მოგებად და რენტად, ანუ, როგორც ჩვენ გამარტივებისათვის ვიტყვით, მოგებად. სხვა სიტყვებით: პროდუქტის ღირებულების ის ნაწილი, რომელიც უკანასკნელი წლის განმავლობაში მიმატებული შრომის რაოდენობას უდრის, — ე. ი. სინამდვილეში პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც უკანასკნელი წლის შრომის პროდუქტია, სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, — ისტუმრებს, ჯერ-ერთი, მუშებს და, მეორეც, შედის კაპიტალისტის შემოსავალში, მისი მოხმარების ფონდში. ერთობლივი პროდუქტის მთელი ეს ნაწილი წარმოდგება შრომისაგან და თანაც მხოლოდ მისგან; მაგრამ იგი შედგება ფასგადახდილი და ფასგადაუხდელი შრომისაგან. ყველა ხელფასი უდრის ფასგადახდილი შრომის ჯამს, მოგებანი კი [393] — ფასგადაუხდელი შრომის ჯამს. ამიტომ მთელი ეს პროდუქტი ხელფასზე რომ დახარ-

* იხ. ეს ტომი, გვ. 81—84. რ ე დ.

ჯულიყო, მაშინ მას, ბუნებრივია, შრომის უფრო მეტი რაოდენობის ამოქმედება შეეძლო, ვიდრე შრომის ის რაოდენობა, რომლის პროდუქტსაც იგი წარმოადგენს; ამასთან შეფარდება იმ უფრო მეტი დროისა, რომლის ამოქმედებაც პროდუქტს შეუძლია, სამუშაო დროის იმ რაოდენობასთან, რომელსაც თვით პროდუქტი შეიცავს, ზუსტად დამოკიდებული იქნება იმ შეფარდებაზე, რა შეფარდებითაც სამუშაო დღე დაიყოფა ფასგადახდილ და ფასგადაუხდელ სამუშაო დროდ.

ვთქვათ, შეფარდება ფასგადახდილ და ფასგადაუხდელ სამუშაო დროს შორის ისეთია, რომ მუშა აწარმოებს, ანუ აკვლავწარმოებს, თავის ხელფასს 6 საათში, ე. ი. სამუშაო დღის ნახევარში. მაშინ დანარჩენი 6 საათი, ანუ სამუშაო დღის ნახევარი, ზედმეტი დრო იქნება. მაშასადამე, პროდუქტიდან, რომელიც, მაგალითად, 100 სამუშაო დღეს შეიცავს, რაც 50 გირვ. სტერლინგს უდრის (თუ სამუშაო დღე უდრის 10 შილინგს, 100 სამუშაო დღე უდრის 1 000 შილინგს, ანუ 10 გირვ. სტერლინგს), 25 გირვ. სტერლინგი შეადგენდა ხელფასს და 25 გირვ. სტერლინგი — მოგებას (რენტას). 25 გირვ. სტერლინგით, რაც 50 სამუშაო დღეს უდრის, გასტუმრებული იქნებოდა 100 მუშა, რომლებიც თავიანთი სამუშაო დროის ნახევარს იმუშავებდნენ მუქთად, სხვა სიტყვებით — თავიანთ დამქირავებელთათვის. მაშასადამე, თუ მთელი პროდუქტი (ამ 100 სამუშაო დღისა) ხელფასზე დაიხარჯებოდა, მაშინ 50 გირვ. სტერლინგით შეიძლებოდა 200 მუშის ამოქმედება, რომელთაგან თვითეული, როგორც უწინ, ხელფასის სახით მიიღებდა 5 შილინგს, ანუ თავისი შრომის პროდუქტის ნახევარს. ამ მუშების პროდუქტი შეადგენდა 100 გირვ. სტერლინგს (სახელდობრ, 200 სამუშაო დღე უდრის 2 000 შილინგს, ე. ი. 100 გირვ. სტერლინგს). რომლითაც 400 მუშის ამოქმედება შეიძლებოდა (თვითეული მუშა იღებს 5 შილინგს, 400 მუშა — 2 000 შილინგს), რომელთა პროდუქტი უდრის 200 გირვ. სტერლინგს, და ა. შ.

აი რა აქვს მხედველობაში ა. სმიტს, როცა ლაპარაკობს, რომ «შრომის წლიური პროდუქტი» ყოველთვის იქნება საკმარისი «იმისათვის, რომ იყიდო და განკარგულებაში იქონიო შრომის გაცილებით უფრო მეტი რაოდენობა», ვიდრე პროდუქტის საწარმოებლად მოხმარებული შრომის რაოდენობაა. (მუშას რომ მთლიანად უნახლაურდებოდეს მისი შრომის პროდუქტი, ე. ი. მას რომ 100 სამუშაო დღეში 50 გირვ. სტერლინგს უხდიდნენ, მაშინ ამ 50 გირვ. სტერ-

ლინგს შეეძლო აგრეთვე აემოქმედებინა მხოლოდ 100 სამუშაო დღე.) სწორედ ამ აზრით ლაპარაკობს ა. სმიტი შემდეგს:

«საზოგადოება რომ ყოველწლიურად მთელ იმ შრომას იყენებდეს, რომელიც მას ყოველწლიურად შეუძლია იყიდოს, მაშინ იმის გამო, რომ ამ შრომის რაოდენობა ყოველწლიურად მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა, ყოველი შემდგომი წლის პროდუქტს შეუდარებლად უფრო მეტი ღირებულება ექნებოდა, ვიდრე წარსული წლის პროდუქტს».

ბაგრამ ამ პროდუქტის ნაწილს მოგებისა და რენტის მესაკუთრენი ჭამენ, ნაწილს კი — მათი მუქთახორები. ამიტომ პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც შეიძლება კვლავ დაიხარჯოს შრომაზე (მწარმოებლურზე), განისაზღვრება მისი იმ ნაწილით, რომელსაც არ ჭამენ თვით კაპიტალისტები, რენტის მიმღებნი და მათი მუქთახორები (რომლებიც ამასთანავე არამწარმოებელი მუშაკები არიან).

მაგრამ ამრიგად აქ ასე თუ ისე მუდამ არის ხოლმე რაღაც ახალი ფონდი (ხელფასის ახალი ფონდი) — იმისათვის, რომ წარსული წლის პროდუქტმა აამოქმედოს მოცემულ წელს მუშების უფრო დიდი მასა. და რადგან წლიური პროდუქტის ღირებულება დახარჯული სამუშაო დროის რაოდენობით განისაზღვრება, წლიური პროდუქტის ღირებულება ყოველწლიურად გაიზრდება.

რა თქმა უნდა, უსარგებლო იქნებოდა ისეთი ფონდის არსებობა, რომელსაც შეუძლია «ი ყ ი დ ო ს და გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა შ ი ი ქ ო ნ ი ო ს» შრომის გაცილებით უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე გასულ წელს, თუ ბაზარზე არ იქნებოდა შრომის მეტი რაოდენობა. მე არავითარი სარგებლობა არა მაქვს იმის გამო, რომ უფრო მეტი ფული მაქვს რომელიმე საქონლის საყიდლად, თუკი ბაზარზე ეს საქონელი ასევე მეტი რაოდენობით არ მოიპოვება. დავუშვათ, რომ 50 გირვ. სტერლინგიდან დაიხარჯება თანხა, რომელიც აამოქმედებს წინანდელი 100 მუშის ნაცვლად (25 გირვ. სტერლინგს რომ იღებდნენ) არა 200, არამედ მხოლოდ 150 მუშას, მაშინ როდესაც თვით კაპიტალისტები ხარჯავენ $12^1/_2$ გირვ. სტერლინგს ნაცვლად 25 გირვ. სტერლინგისა. ასეთ შემთხვევაში 150 მუშა ($37^1/_2$ გირ. სტერლინგს რომ იღებენ) მოგვცემდა 150 სამუშაო დღეს, რაც 1 500 შილინგს, ანუ 75 გირვ. სტერლინგს შეადგენს. მაგრამ თუ უწინდებურად მუშების რაოდენობა მხოლოდ 100 კაცი იქნებოდა, ეს 100 კაცი ახლა ხელფასის სახით მიიღებდა წინანდელი 25 გირვ. სტერლინგის ნაცვლად $37^1/_2$ გირვ. სტერლინგს, მაგრამ მათი პროდუქტი

უწინდებურად შეადგენდა მხოლოდ 50 გირვ. სტერლინგს. მაშასადამე, კაპიტალისტის შემოსავალი შემცირდებოდა 25 გირვ. სტერლინგიდან $12^1/_2$ გირვ. სტერლინგამდე, რადგან ხელფასი 50%-ით გადიდდებოდა. მაგრამ ა. სმიტმა იცის, რომ გადიდებული რაოდენობით შრომის შოვნა შესაძლებელი იქნება ნაწილობრივ მოსახლეობის რიცხვის ყოველწლიური ზრდის შედეგად (ამ ზრდას, მართალია. სმიტის აზრით, თავის წანამძღვრად აქვს ხელფასის წინანდელი თანხა). ნაწილობრივ კი პაუპერების, ნახევრადუმუშევარი მუშების და ა. შ. არსებობის გამო. შემდეგ, ეს შესაძლოა იმის გამოც, რომ არსებობს უამრავი არამწარმოებელი მუშაკი, რომლებიც ზედმეტი პროდუქტის სხვაგვარი გამოყენების შედეგად შეიძლება მწარმოებელ მუშებად გადაიქცნენ. ბოლოს, მუშების იმავე რაოდენობას შეუძლია გასწიოს შრომა უფრო მეტი რაოდენობით. განა სულ ერთი არ არის დავიქირავებ მე 100-ის ნაცვლად 125 მუშას თუ 100 მუშა ყოველდღიურად 12 საათის ნაცვლად 15 საათს იმუშავებს.

გარდა ამისა, ის შეხედულება, რომ მწარმოებლური კაპიტალის ზრდასთან ერთად — ანდა წლიური პროდუქტის იმ ნაწილის ზრდასთან ერთად, რომელიც კვლავწარმოებისათვის არის განკუთვნილი, — იმავე შეფარდებით უნდა იზრდებოდეს გამოყენებული შრომაც (ცოცხალი შრომა, ხელფასზე დახარჯული ნაწილი კაპიტალისა), ა. სმიტის შეცდომაა; ეს შეცდომა მჭიდროდ არის დაკავშირებული მის იმ შეხედულებასთან, თითქოს მთელი პროდუქტი შემოსავლებად დაიშლება.

[394] ამრიგად, სმიტი უწინარეს ყოვლისა ამტკიცებს, რომ არსებობს ინდივიდუალური მოხმარებისათვის ვარგის საარსებო საშუალებათა ფონდი, რომელსაც შეუძლია მოცემულ წელს შრომის უფრო მეტი რაოდენობა «იყიდოს და განკარგულებაში იქონიოს», ვიდრე გასულ წელს. არის უფრო მეტი შრომა და ამასთანავე უფრო მეტი საარსებო საშუალებანი ამ შრომისათვის. ახლა ვნახოთ, როგორ ხდება შრომის ამ დამატებითი რაოდენობის რეალიზაცია.

ა. სმიტი სავსებით შეგნებულად და თანამიმდევრულად რომ მისდევდეს ზედმეტი ღირებულების იმ ანალიზს, რომელიც არსებითად მას მოეპოვება და რომლის თანახმად ზედმეტი ღირებულება წარმოიშვება მხოლოდ კაპიტალისა და დაქირავებული შრომის გაცვლის საფუძველზე, მაშინ მწარმოებლური აღმოჩნდებოდა მხოლოდ ის შრომა, რომელიც კაპიტალზე გაიცვლება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ის შრომა, რომელიც გაიცვლება შემოსავალზე როგორც

ასეთზე. იმისათვის. რომ შემოსავალი მწარმოებლურ შრომაზე გაიცვალოს, იგი წინასწარ კაპიტალად უნდა გადაიქცეს.

მაგრამ რადგან სმიტი იმავე დროს ამოსავალ პუნქტად იღებს ცალმხრივ ტრადიციულ წარმოდგენას, რომ მწარმოებლურია ისეთი შრომა, რომელიც საერთოდ უშუალოდ აწარმოებს მატერიალურ სიმდიდრეს, და ამ წარმოდგენას განიხილავს კომბინირებულად თავის მეორე გაგებასთან, რომელიც ემყარება კაპიტალსა და შრომას შორის ანდა შემოსავალსა და შრომას შორის გაცვლის განსხვავებას, — მის კონცეფციას შესაძლებლად მიაჩნია შემდეგი განსაზღვრებანი: შრომის ის სახეობა, რომელზეც კაპიტალი გაიცვლება, მუდამ მწარმოებლურია (მუდამ ქმნის მატერიალურ სიმდიდრეს და ა. შ.); შრომის ის სახეობა კი, რომელზეც შემოსავალი გაიცვლება, შეიძლება იყოს როგორც მწარმოებლური, ისე არამწარმოებლურიც; მაგრამ ადამიანი, რომელიც თავის შემოსავალს ხარჯავს, უმრავლეს შემთხვევაში ამჯობინებს გამოიყენოს, მწარმოებლური შრომის ნაცვლად, ესა თუ ის პირდაპირ არამწარმოებლური შრომა. აქ ჩანს, თუ ამ ორი თავისი განსხვავების ერთმანეთში არევით როგორ ძალიან ასუსტებს და ბანალურს ხდის ა. სმიტი მთავარ განსხვავებას.

ა. სმიტს რომ შრომის ფიქსირება მთლიანად არ დაჰყავს წმინდა გარეგნულ ფიქსირებაზე, ამას გვიჩვენებს შემდეგი ციტატი, სადაც ძირითადი კაპიტალის სხვადასხვა შემადგენელ ნაწილებს შორის ჩამოთვლილია:

«4) მცხოვრებთა ანუ საზოგადოების წევრთა მიერ შეძენილი სხვადასხვა სასარგებლო უნარი. ამ სხვადასხვა უნარის შეძენას მუდამ თან ახლავს რეალური დანახარჯი იმის შესანახად, ვინც მას იძენს, მისი აღზრდის, მისი მოწაფეობის ან სასწავლო მეცადინეობის დროს, და ეს დანახარჯი არის კაპიტალი, ფიქსირებული და გასაგნობრივებული, ისე ვთქვათ, მის პიროვნებაში. ეს უნარი, რომელიც მისი ქონების ნაწილს შეადგენს, ამასთანავე იმ საზოგადოების ქონების ნაწილსაც შეადგენს, რომელსაც უნარის მქონე ეკუთვნის. მუშის სიმარჯვის ამაღლება შეიძლება იმავე თვალსაზრისით იქნეს განხილული, რა თვალსაზრისითაც განიხილება მანქანები და ინსტრუმენტები, რომლებიც აადვილებენ და ამოკლებენ შრომას და, მათზე გაწეული დანახარჯის მიუხედავად, ამ დანახარჯს ანაზღაურებენ მოგებით» (გარნიეს თარგმანი, ტ. II, გვ. 204—205).

დაგროვებისა და მისი აუცილებლობის უცნაური წარმოშობა:

«საზოგადოების იმ პირველყოფილ მდგომარეობაში, როდესაც შრომის არავითარი დანაწილება არ არსებობს, როდესაც თითქმის არ წარმოებს გაცვლა და როდესაც თვითეული ინდივიდი თავისი საკუთარი ხელით მოიპოვებს ყველაფერს,

რაც მას სჭირდება, არ არის აუცილებელი, რომ არსებობდეს დაგროვილი ან წინასწარ თავმოყრილი მარაგი საზოგადოების სამეურნეო ცხოვრების შესანარჩუნებლად»

(აქ ხომ უკვე იმთავითვე ნაგულისხმევია, რომ არავითარი საზოგადოება არ არსებობს).

«თვითეული ადამიანი ცდილობს თავისი საკუთარი საქმიანობით იშოვოს საშუალებანი თავის მომდინარე მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, ასეთ მოთხოვნილებათა წარმოშობის კვალდაკვალ, როცა იგი შიმშილს განიცდის, ის ტყეში მიდის სანადოროდ», და ა. შ. (იქვე, ტომი II, გვ. 191—192) (ფიგნი II, შესავალი). «მაგრამ როგორც კი შრომის დანაწილება საყოველთაოდ ერცელდება, ცალკეულ ადამიანს მარტოოდენ თავისი პირადი შრომით შეუძლია დაიკმაყოფილოს თავის მოთხოვნილებათა მეტად მცირე ნაწილი. ამ მოთხოვნილებათა გაცილებით უფრო დიდ ნაწილს იგი იკმაყოფილებს სხვების შრომით წარმოებული პროდუქტებით, რომლებიც მან უნდა იყიდოს თავისი საკუთარი შრომის პროდუქტით, ანდა, რაც იმავეს ნიშნავს, თავისი საკუთარი პროდუქტის ფასით. მაგრამ ასეთი ყიდვა მას შეუძლია მოახდინოს მხოლოდ იმ დროის გავლის შემდეგ, რომელიც აუცილებელია თავისი შრომის პროდუქტის არა მარტო სრული დამზადებისათვის, არამედ აგრეთვე მისი გაყიდვისათვისაც».

(ასევე პირველ შემთხვევაშიც მას არ შეეძლო კურდღლის შეჭმა, თუ წინასწარ არ მოკლავდა მას, და არ შეეძლო მისი მოკვლა, თუ წინასწარ არ დაიმზადებდა კლასიკური «მშვილდს» ან სხვა რაიმე მსგავსს. ამიტომ ერთადერთ ახალ პირობას მეორე შემთხვევაში წარმოადგენს არა აუცილებლობა რაიმე «მარაგისა», არამედ თავისი შრომის პროდუქტის გასაყიდად აუცილებელი «დრო».)

«ამიტომ აუცილებლად საჭიროა, რომ ყოველ შემთხვევაში იმ მომენტამდე, ვიდრე იგი ამ ორივე საქმის დამთავრებას შეძლებს, არსებობდეს სადმე სხვა-დასხვა სახის საგანთა გარკვეული, წინასწარ შეგროვილი მარაგი მის შესანახად და, გარდა ამისა, მის მოსამარაგებლად იმ ნედლეულითა და იარაღებით, რაც აუცილებელია მისი მუშაობისათვის. მესაოველს არ შეუძლია ხელი მოჰკიდოს მთლიანად თავის სპეციალურ სამუშაოს, თუ არ არსებობს სადმე, ან მის საკუთარ გამგებლობაში ან სხვა რომელიმე პირის მფლობელობაში, წინასწარ დაგროვილი მარაგი, რომელშიც იგი პოულობს საარსებო საშუალებებს, აგრეთვე თავისი ხელობის იარაღებს და მასალას თავის სამუშაოსთვის იმ მომენტამდე, როცა მისი ტილო არა მარტო დამზადებული იქნება, არამედ აგრეთვე გაყიდული. სავსებით ნათელია, რომ დაგროვება წინ უნდა უძღოდეს იმ მომენტს, როცა იგი შეძლებს თავისი შრომა ამ საქმეს მოახმაროს და იგი ბოლომდე მიიყვანოს... ბუნებრივი ამბავია, რომ კაპიტალის დაგროვება შრომის დანაწილების აუცილებელი წინასწარი პირობაა» (იქვე, გვ. 192—193).

(მეორე მხრივ, სმიტს, იმის თანახმად, რასაც იგი შესავალ ფრაზაში ამტკიცებდა, თითქოს ისე გამოუდის, რომ შრომის დანაწილებამდე კაპიტალის არავითარი დაგროვება არ არსებობს, — სავსებით ისევე, როგორც ახლა იგი, პირიქით, ამტკიცებს, რომ კაპიტალის დაგროვებამდე შრომის არავითარი დანაწილება არ არსებობს.)

სმიტი განაგრძობს:

«შრომის დანაწილება შეიძლება სულ უფრო და უფრო შორს მიდიოდეს კაპიტალების სულ უფრო მეტი დაგროვების კვალობაზე. შრომის შემდგომი დანაწილების წინსვლის კვალობაზე ნედლეულის რაოდენობა, რომლის გადამუშავებაც ადამიანთა ერთსა და იმავე რიცხვს შეუძლია, მეტად მნიშვნელოვანი ოდენობით დიდდება; და რადგან თვითეული მუშის მუშაობა ამის გამო სულ უფრო მარტივ ოპერაციებამდე დაიყვანება, ხდება უამრავი ახალი მანქანის გამოგონება ამ საქმეთათვის შესამსუბუქებლად და [395] და შესამოკლებლად. ამიტომ შრომის დანაწილებასთან ერთად, იმისათვის, რომ მუდმივად მუშების წინანდელი რაოდენობა იყოს დასაქმებული, აუცილებელია წინასწარ დაგროვდეს საარსებო საშუალებათა იგივე რაოდენობა და ნედლი მასალისა და იარაღების უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე იმ საქონრ იქნებოდა უფრო ნაკლებად განკითარებულ პირობებში» (იქვე, გვ. 192—194). «მსგავსად იმისა, როგორც შრომის მწარმოებლური ძალის ზრდა არ შეიძლება ხდებოდეს კაპიტალის წინასწარი დაგროვების გარეშე, ასევე კაპიტალის დაგროვებაც ბუნებრივად იწვევს ამ ზრდას. ‑ას, ვინც თავის კაპიტალს მუშების დასაქირავებლად ხარჯავს, ბუნებრივია, სურს ისე გააკეთოს ეს, რომ მუშებმა რაც შეიძლება მეტი სამუშაო შეასრულონ. ამიტომ იგი ცდილობს რაც შეიძლება უფრო მიზანშეწონილად გაანაწილოს შრომა თავის მუშებს შორის, აგრეთვე მოამარაგოს ისინი საუკეთესო მანქანებით, რომლებიც კი მას შეუძლია გამოიგონოს ან იყიდოს. მისი შესაძლებლობანი ორივე ამ მომენტის თვალსაზრისით დამოკიდებულია საერთოდ მისი კაპიტალის ოდენობაზე, ანუ იმისაგან, იმ რიცხვზე, რომლის დასაქმებაც ამ კაპიტალს შეუძლია. ამიტომ არა მარტო შრომის რაოდენობა იზრდება ქვეყანაში — შრომის მოძრაობაში მომყვანი კაპიტალის ამ გადიდების გამო, არამედ, გარდა ამისა, კაპიტალის ან გადიდების შედეგად შრომის ერთი და იგივე რაოდენობა აწარმოებს პროდუქტთა გაცილებით უფრო მეტ რაოდენობას (იქვე, გვ. 194—195).

საგნებს, რომლებიც უკვე მოხმარების ფონდშია, ა. სმიტი განიხილავს სრულიად ისევე, როგორც მწარმოებლურ და არამწარმოებლურ შრომას. მაგალითად:

«საცხოვრებელი სახლი არავითარ შემოსავალს არ აძლევს მასში მაცხოვრებელს; და თუმცა ეს სახლი, უეჭველია, მეტად სასარგებლოა მისთვის, მაგრამ

მხოლოდ იმავე აზრით, რა აზრითაც სასარგებლოა მისი ტანსაცმელი და ავეჯი, რომლებიც ასევე ძლიერ სასარგებლოა მისთვის, მაგრამ მიუხედავად ამისა შეადგენენ მისი ხარჯების ნაწილს და არა შემოსავლის ნაწილსა» (იქვე, ტომი II, გვ. 201—202). პირიქით, ძირითად კაპიტალს ეკუთვნის ყველა შენობა, რომლებიც განკუთვნილია რაიმე სასარგებლო მიზნისათვის და წარმოადგენენ შემოსავლის ნაწილს საშუალებას არა მარტო მათი მფლობელისათვის, ეინც საიჯარო ქირას იღებს ძათ გაქირავებით, არამედ მათი დამქირავებლისათვისაც, ეინც მათში ქირას იხდის; ასეთია საავტო სადგომები, საწყობები, სახელოსნოები, საკარმიდამო ნაგებობანი ყველა მათი აუცილებელი შრომლით, თავლით, ბეღლით და ა. შ. ეს ნაგებობანი ძლიერ განსხვავდებიან უბრალო საცხოვრებელი სახლებისაგან; ისინი წარმოადგენენ თავისებურ წარმოების იარაღებს» (იქვე, გვ. 203—204) (წიგნი II, თავი 1).

«ტექნიკის ყველა წარმატება, რაც შესაძლებლობას იძლევა მუშების იმავე რიცხვით იმავე რაოდენობის სამუშაო შესრულდეს უწინდელზე უფრო მარტივი და უფრო იაფი მანქანების გამოყენებით, მუდამ მეტად ხელსაყრელად ითვლება საზოგადოებისათვის. ნედლი მასალის გარკვეული რაოდენობა და მუშების გარკვეული რიცხვი, რაც წინათ უფრო რთული და უფრო ძვირი მანქანების მოელლსათვის გამოიყენებოდა, ახლა შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ სამუშაოს რაოდენობის გასადიდებლად, რომლის გულისთვისაც ესა თუ ის მანქანები იყო გაკეთებული» (იქვე, ტომი II, გვ. 216—217) (წიგნი II, თავი 2).

«ძირითადი კაპიტალის მოვლის ხარჯი... აუცილებლად გამოაკლდება საზოგადოების წმინდა შემოსავალს» (იქვე, ტომი II, გვ. 218). «ყოველი დანზოგი ძირითადი კაპიტალის მოვლის ხარჯებიდან, თუ იგი შრომის შწარმოებლურ ძალას არ აშცირებს, უნდა ადიდებდეს საწარმოს მოძრაობაში მომყეან ფონდს, მაშასადამე, უნდა ადიდებდეს მოწოდა და შრომის წლიურ პროდუქტს, ყოველი საზოგადოების რეალურ შემოსავალს» (იქვე, ტომი II, გვ. 226—227).

საბანკო ბილეთების, საერთოდ ქაღალდის ფულის მიერ საზღვარგარეთ გაძეძებული ლიმონის ფული, — თუ ის «ქვეყნის შიგნით მოხმარებისათვის უცხოური საკონლის საყიდლად იხარჯება», — ხმარდება ან ფუფუნების საგნების ყიდვას, როგორიცაა საზღვარგარეთული ღვინოები, აბრეშუმის ქსოვილი და ა. შ., ერთი სიტყვით, «ესაქმო ადამიანთა მოხმარებისათვის განკუთვნილ საქონელთა... ყიდვას, ადამიანებისა, რომლებიც არაფერს არ აწარმოებენ.., ანდა... ნედლი მასალის, შრომის იარაღებისა და საარსებო საშუალებათა დამატებითი ფონდის ყიდვას იმ შრომისმოყვარე ადამიანთა დამატებითი რიცხვის შესანახად და დასაქირაველად, რომლებიც თავიანთი წლიური მოხმარების ღირებულებას მოგებითურთ აკვლევწარმოებენ» (იქვე, ტომი II, გვ. 231—232).

ფულის მოხმარების პირველი წესი, «ამბობს სმიტი, ადიდებს შფლანგველობას, «ადიდებს ხარჯებსა და მოხმარებას, არაფერს არ მატებს წარმოებას და არ ქმნის მუდმივ ფონდს ამ ხარჯების დასაფარავად, და იგი ყოველმხრივ საზიანოა საზოგადოებისათვის» (იქვე, ტომი II, გვ. 232). პირიქით, «მეორე წესით დახარჯული ფული შესაბამისად აფართოებს წარმოების ფარგლებს; თუმცა ფული ადიდებს

საზოგადოების მოხმარებას, მაგრამ იგი ქმნის მუდმივ წყაროს ამ მოხმარების დასაკმაყოფილებლად, რადგან ის ადამიანები, რომელნიც საარსებო საშუალებათა ამ დამატებით რაოდენობას მოიხმარენ, თავიანთი წლიური მოხმარების მთელ ღირებულებას მოგებითურთ აკვლავწარმოებენ» (ტომი II, გვ. 232).

«მწარმოებლური შრომის ის რაოდენობა, რომლის ამოქმედებაც მოცემულ კაპიტალს შეუძლია, უნდა უდრიდეს, თავისთავად ცხადია, იმ მუშათა რიცხვს, რომლებიც ამ კაპიტალს შეუძლია მოამარაგოს მათი მუშაობის ხასიათის შესაბამისი ნედლი მასალით, შრომის იარაღებით და საარსებო საშუალებებით» (იქვე. ტომი II, გვ. 235) (წიგნი II, თავი 2).

[396] II წიგნის მე-3 თავში (იქვე, ტომი II, გვ. 314 და შემდ.) ვკითხულობთ:

«მწარმოებელ და არამწარმოებელ მუშაკებს, ასევე იმათაც, ვინც სულ არ მუშაობს, ყველას ერთნაირად არჩენს ამა თუ იმ ქვეყნის მიწისა და შრომის წლიური პროდუქტი. ამ პროდუქტს... აუცილებლად თავისი საზღვრები აქვს. ამიტომ, იმისდა მიხედვით, მისი უფრო მცირე თუ უფრო მეტი წილი იხარჯება წლის განმავლობაში არამწარმოებელი მუშაკების შესანახად, მწარმოებელი მუშაკებისათვის დარჩება ერთ შემთხვევაში მეტი, მეორე შემთხვევაში ნაკლები, და ამის შესაბამისად მომდევნო წლის პროდუქტი გადიდდება ან შემცირდება...

თუმცა ამა თუ იმ ქვეყნის მიწისა და შრომის წლიური პროდუქტის მთელი ერთობლიობა... საბოლოო ანგარიშში იმისთვისაა განკუთვნილი, რომ მისი მეწოვრებლების მოხმარება დაკმაყოფილოს და მათ შემოსავალი მიუტანოს, მაგრამ იმ მომენტში, როცა ეს წლიური პროდუქტი მიწიდან და მწარმოებელი მუშების ხელიდან გამოდის, იგი იყოფა ბუნებრივად ორ ნაწილად. ერთი მათგანი — და ხშირად უფრო დიდი — განკუთვნილია პირველ რიგში კაპიტალის ასანაზღაურებლად, ანუ იმ საარსებო საშუალებათა. ნედლი მასალისა თუ დამთავრებული ნაწარმის აღსადგენად, რომლებიც აღებული იყო კაპიტალიდან; მეორე ნაწილი განკუთვნილია იმ შემოსავლის შესაქმნელად, რომელიც ერგება ამ კაპიტალის მფლობელს (როგორც მოგება) ანდა ვინმე სხვა პირს (როგორც რენტა მისი მიწიდან)...

ამა თუ იმ ქვეყნის მიწისა და შრომის წლიური პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც კაპიტალს ანაზღაურებს, არასოდეს არ მოიხმარება უშუალოდ სხვა რომელიმე დაქირავებულ პირთა შესანახად, გარდა მწარმოებელი უშუშებისა; იქიდან ნაზღაურდება ხელფასი მხოლოდ მწარმოებლური შრომისათვის. პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც განკუთვნილია უშუალოდ შემოსავლის შექმნისათვის, შეიძლება მოხმარდეს როგორც მწარმოებელი, ისე არამწარმოებელი მუშაკების შენახვას...

არამწარმოებელ მუშაკებსა და იმ ადამიანებს, რომლებიც სულ არ მუშაობენ. ყველას ინახავს შემოსავალი: ან. ჯერ-ერთი, წლიური პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც იმთავითვე განკუთვნილია რომელიმე ერძო პირთა შემოსავლის შესაქმნელად, სულ ერთია, მიწიდან მიღებული რენტის სახით იქნება ეს შემოსავალი, თუ კაპიტალიდან მიღებული მოგების სახით; ანდა, მეორე, წლიური პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც, თუმცა განკუთვნილია კაპიტალის ასანაზღაუ-

რებლად და მხოლოდ მწარმოებელი მუშების შესანახად, მაგრამ, რაკი იგი ერთ-ხელვე ამ უკანასკნელთა ხელში მოხვდება, მათი არსებობისათვის აუცილებელზე გადაბამეტი ნაწილის სახით შეიძლება დაიხარჯოს როგორც მწარმოებელ, ისე არამწარმოებელ ადამიანთა შენახვაზე. ასე, მაგალითად, უბრალო მუშას, თუ მისი ხელფასი მაღალია, შეუძლია... იყოლიოს თავისთვის პირადად შიხაძსახური ანდა წვიიდეს ხოლმე კომედიაზე ან თოკინებრივ თეატრში და ამ გზით თავისი წილი გაიღოს არამწარმოებელი მუშაკების ერთ-ერთი კლასის შესანახად. ანდა მას შეუძლია ბოლოს, გარკვეული გადასახადი იხადოს და ამით ხელი შეუწყოს ამ კლასებიდან ერთ-ერთის შენახვას,... რომელიც ასევე არამწარმოებელია. მაგრამ წლიური პროდუქტის იმ ნაწილიდან, რომელიც თავიდანვე განკუთვნილი იყო კაპიტალის ასანაზღაურებლად, არც ერთი წილი არ ხმარდება არამწარმოებელი მუშაკების შენახვას მანამდე, ვიდრე იგი მწარმოებლური შრომის მთელ იმ რაოდენობას არ აამოქმედებს, რომელიც მას შეესაბამება... მუშამ უნდა გამოიმუშაოს თავისი ხელფასი და შეასრულოს თავისი სამუშაო მანამდე, სანამ იგი შეძლებს თუნდაც მცირედენი ნაწილი დახარჯოს არამწარმოებლურ შრომაზე... მიწის რენტა და კაპიტალის მოგება... მუდამ მთავარი წყაროა, საიდანაც არამწარმოებელი მუშაკები თავიანთ სარჩოს იღებენ. ორივე ამ შემოსავალს შეუძლია თანაბრად შეინახოს როგორც მწარმოებელი, ისე არამწარმოებელი მუშაკები; მაგრამ ამ შემოსავალთა მფლობელები, ეტყობა, ერთგვარ უპირატესობას ყოველთვის უკანასკნელთ აძლევენ...

ამრიგად, თანაფარდობა მწარმოებელი და არამწარმოებელი მუშაკების რაოდენობას შორის თვითეულ ქვეყანაში დამოკიდებულია უმთავრესად თანაფარდობაზე წლიური პროდუქტის იმ ნაწილსა, რომელიც, მიწიდან და მისი მწარმოებელი მუშების ხელიდან გამოსყოლისთანავე, განკუთვნილია კაპიტალის ასანაზღაურებლად, და იმ ნაწილს შორის, რომელიც განკუთვნილია შემოსავლის შესაქმნელად რენტის ან მოგების სახით. ეს შეფარდება კი უფრიესად სხვადასხვაა მდიდარ და ღარიბ ქვეყნებში».

შემდეგ სმიტი ადარებს საქმის იმ ვითარებას, რომელიც არსებობს.

«ევროპის მდიდარ ერებში», სადაც ახლა «მიწის პროდუქტის ძლიერ დიდი, ხშირად უდიდესი ნაწილი განკუთვნილია მდიდარი და დამოუკიდებელი ფერმერის კაპიტალის ასანაზღაურებლად», და იმ პირდაპირ საპირისპირო საქმის ვითარებას, რომელიც არსებობდა «ფეოდალური რეჟიმის ბატონობისას», როცა «პროდუქტის სულ მცირე ნაწილი იყო საკმარისი მიწის დასამუშავებლად გამოყენებული კაპიტალის ასანაზღაურებლად». იგივე მდგომარეობაა ვაჭრობასა და მრეწველობაში. ამჟამად ამ დარგებში მსხვილი კაპიტალები გამოიყენება; წინათ კაპიტალები მეტად მცირე იყო, მაგრამ ისინი ძალიან დიდ მოგებას იძლეოდნენ. «ათასად სარგებელი 10%-ზე დაბალი არ იყო და კაპიტალის მოგება საკმაოდ დიდი უნდა ყოფილიყო, რათა ამ მოგებიდან შეესაძლებელი გამხდარიყო ესოდენ მაღალი სარგებლის გადახდა. ამჟამად ევროპის უფრო განვითარებულ ქვეყნებში სარგებელი არსად არ აღემატება 6%-ს, უფრო მდიდარ ქვეყნებში კი იგი უდრის 4, 3, 2%-ს. თუ მცსოვრებთა შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც მოგებიდან წარმოდგება, მდიდარ ქვეყნებში ყოველთვის მნიშ-

ვნელოვნად უფრო დიდია, ვიდრე ღარიბ ქვეყნებში, ეს იმით აიხსნება, რომ კაპიტალი იქ გაცილებით უფრო დიდი მოცულობისაა; კაპიტალთან შეფარდებით კი მოგება იქ ჩვეულებრივ გაცილებით უფრო მცირეა.

ამრიგად, წლიური პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც მიწიდან ან მწარმოებელი მუშების ხელიდან გამოსვლისთანავე, განკუთვნილია კაპიტალის [397] ასანაზღაურებლად, მდიდარ ქვეყნებში არა მარტო გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ღარიბ ქვეყნებში, არამედ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანიც პროცენტული შეფარდებით იმ ნაწილთან, რომელიც უშუალოდ არის განკუთვნილი შემოსავლად რენტის ან მოგების სახით. მწარმოებლური შრომის შესანახად განკუთვნილი ფონდი მდიდარ ქვეყნებში არა მარტო გაცილებით უფრო უხვია, ვიდრე ღარიბ ქვეყნებში, არამედ უფრო მნიშვნელოვანიც პროცენტული შეფარდებით იმ ფონდთან, რომელიც, თუმცა შესაძლოა თანაბრად ემსახურებოდეს როგორც მწარმოებელი, ისე არამწარმოებელი მუშაკების შენახვას, მაგრამ ჩვეულებრივ უკანასკნელთა შენახვაზე იხარჯება უმთავრესად».

(სმიტის შეცდომა ისაა, რომ იგი აიგივებს მწარმოებლური კაპიტალის სიდიდეს მწარმოებლური შრომის შესანახად განკუთვნილი ნაწილის სიდიდესთან. მაგრამ ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ მსხვილი მრეწველობა ფაქტიურად ცნობილი იყო მისთვის ჯერ მხოლოდ თავის ჩანასახურ მდგომარეობაში.)

«თანაფარდობა ფონდების ამ ორ სხვადასხვა სახეობას შორის გარდუვალად განსაზღვრავს ყოველ ქვეყანაში მისი მცხოვრებლების საერთო ხასიათს, მათს შრომისმოყვარეობას ან სიზარმაცეს». ასე, მაგალითად, — ამბობს სმიტი, — «ინგლისისა და ჰოლანდიის სამრეწველო რაიონებში, სადაც ხალხის დაბალი კლასები უმთავრესად გამოყენებული კაპიტალის ხარჯზე ცხოვრობენ, ისინი საერთოდ შრომისმოყვარენი, თავდაჭერილნი და მომზირნენი არიან. პირიქით, სატახტო ქალაქებში, სადაც მეფეთა სასახლეებია და სხვ. და სადაც ხალხის დაბალი კლასები მაღალი კლასების მიერ თავიანთი შემოსავლის ხარჯების მეოხებით ცხოვრობენ. ისინი, საერთო წესის მიხედვით, ზარმაცნი, გარყვნილნი და ღარიბნი არიან; ამის მაგალითია რომი, ვერსალი და ა. შ. ...»

«ამრიგად, თანაფარდობა კაპიტალების ჯამსა და შემოსავალთა ჯამს შორის, ყველგან განსაზღვრავს თანაფარდობას შრომისმოყვარეობასა და უსაქმურობას შორის: ყველგან, სადაც კაპიტალი სჭარბობს, შრომისმოყვარეობა ბატონობს: ყველგან, სადაც შემოსავალი სჭარბობს, უსაქმურობა ბატონობს. ამიტომ კაპიტალების მასის ყოველგვარი გადიდება თუ შემცირება, ბუნებრივია, იმას იწვევს, რომ რეალურად დიდდება ან მცირდება საწარმოო საქმიანობის ჯამი, მწარმოებელი მუშების რაოდენობა, მაშასადამე, მოცემული ქვეყნის მიწისა და შრომის წლიური პროდუქტის ღირებულებაც, მისი ყველა მცხოვრების სიმდიდრე და რეალური შემოსავალი...

ის, რაც წლის განმავლობაში იზოგება, ისევე რეგულარულად მოიხმარება, როგორც ის, რაც წლის განმავლობაში იხარჯება, თანაც დაახლოებით ერთსა და იმავე დროს; მაგრამ იგი მოიხმარება ადამიანთა სხვა კლასის მიერ. წლის განმავლობაში დახარჯული შემოსავლის ნაწილს მოიხმარენ შინამსახურნი, უსარგებლო მუშაკნი და ა. შ., რომლებიც თავის შემდეგ არ ტოვებენ სრულიად

არაფერს, რაც მათს მოხმარებას აანაზღაურებდა. შემოსაელის ნაწილს კი, რაც წლის განმავლობაში იზოგება, მოიხმარენ მუშები, რომლებიც თავიანთი წლიური მოხმარების ღირებულებას შემოსაელთეთონ აკვლაწარმოებენ... მოხმარება ივივეა, მომხმარებელნი კი სხვადასხვა...»

აქედან სმიტის ქადაგებანი (შემდგომ, იმავე თავში, გვ. 328, 329 და ა. შ.) მომჭირნე ადამიანის შესახებ, რომელიც თავისი ყოველწლიური დანაზოგით თითქოს საზოგადოებრივ სახელოსნოს ქმნის მწარმოებელი მუშების დამატებითი რიცხვისათვის,

«აარსებს თავისებურ მუდმივ ფონდს მწარმოებელი მუშების სათანადო რიცხვის შესანახად», მაშინ როდესაც «მფლანგველი აკცირებს მწარმოებლური შრომის შესანახად განკუთვნილი ფონდების ოღონობას... თუ საკმლისა და ტანსაცმლის ის რაოდენობა, რომელიც ამ წესით» (მფლანგველთა ბედოვლათობის გამო) «მოხმარებულია არამწარმოებელი ადამიანების მიერ, მწარმოებელ მუშებს შორის განაწილდებოდა, მაშინ ეს უკანასკნელნი აკვლაწარმოებდნენ, და თანაც მოგებით, იმის მთელ დირებულებას, რაც მათ მოიხმარეს...»

მთელ ამ მორალს სმიტი იმის მტკიცებით ამთავრებს, რომ ეს (მომჭირნეობა და მფლანგველობა) წონასწორდება კერძო პირთა წრეში და რომ ფაქტიურად «კეთილგონიერება» სჭარბობს. დიდი ერები

«არასდროს არ ღარიბდებიან კერძო პირთა მფლანგველობისა და არაკეთილგონიერების გამო, თუმცა ზოგჯერ ღარიბდებიან თავიანთი მთავრობის მფლანგველობისა და არაკეთილგონიერების გამო. მეტწილ ქვეყნებში საზოგადოება მთელი ან თითქმის მთელი შემოსავალი არაწარმოებელ ადამიანთა შენახვას ხმარდება. ამ უკანასკნელთ ეკუთვნიან კარისკაცები, ეკლესია, ფლოტი, არმია, რომლებიც მშვიდობიანობის დროს არაფერს არ აწარმოებენ, ომის დროს კი არაფერ ისეთს არ იძენენ, რასაც შეიძლოს მათი შენახვის ხარჯების ანაზღაურება თუნდაც მხოლოდ თვით ომის განმავლობაში. ამგვარი ადამიანები თვითონ არაფერს აწარმოებენ და მათ სხვა ადამიანთა პროდუქტი ინახავს. ამიტომ, როცა მათი რიცხვი აუცილებელზე ზედმეტად დიდდება, მათ შეუძლიათ წლის მანძილზე ამ პროდუქტის იმდენად მნიშვნელოვანი ნაწილი მოიხმარონ, რომ დარჩენილი ნაწილი არასაკმარისი აღმოჩნდება იმ მწარმოებელი მუშების შესანახად, რომლებსაც ეს პროდუქტი მომდევნო წელს უნდა ეკვლაწარმოებინათ...» (იქვე, ტომი II, გვ. 314—336).

II წიგნის მე-4 თავში სმიტი წერს:

«რადგან მწარმოებლური შრომის შესანახად განკუთვნილი ფონდი დღითიდღე იზრდება, ყოველდღიურად იზრდება აგრეთვე მოთხოვნილებაც ამ შრომაზე: მუშები [398] ადვილად შოულობენ სამუშაოს, კაპიტალის მფლობელებს კი უძნელდებათ იმ მუშების მონახვა, რომელთა დაქირავებასაც ისინი შეძლებდნენ. კაპიტალისტების კონკურენცია ადიდებს ხელფასს და ამცირებს მოგებას» (იქვე, ტომი II, გვ. 359).

iI წიგნის მე-5 თავში «კაპიტალების გამოყენების სხვადასხვა წესების შესახებ» სმიტი იძლევა კაპიტალის სხვადასხვა სახეობათა კლასიფიკაციას იმის მიხედვით, თუ მწარმოებლური შრომის რა რაოდენობას ასაქმებს ეს კაპიტალი და, მაშასადამე, რამდენად ადიდებს იგი წლიური პროდუქტის «საცვლელ ღირებულებას», სმიტის მიხედვით პირველ ადგილზეა მიწათმოქმედება. შემდეგ მანუფაქტურა. მას მოჰყვება ვაჭრობა. ბოლოს, საცალო ვაჭრობა. ასეთია ის თანამიმდევრული მწკრივი, რომლითაც სმიტი ალაგებს კაპიტალის გამოყენების ამ სახეობებს მათ მიერ მოძრაობაში მოყვანილი მწარმოებლური შრომის რაოდენობის შესაბამისად. ჩვენ ვღებულობთ აქ ამასთანავე «მწარმოებელი მუშაკების» სრულიად ახალ განსაზღვრასაც:

«ადამიანები, რომელთა კაპიტალებიც ამ ოთხიდან ერთი რომელიმე წესით მოიხმარება, თვით არიან მწარმოებელი მუშაკები. მათი შრომა, როცა იგი ჯეროვნად წარიმართება. ფიქსირდება და საგნობრივდება იმ საგანში, ანუ საქონელში, რომელსაც ის მოხმარდა, და ჩვეულებრივ ამ საქონლის ფასს ემატება ყოველ შემთხვევაში მათი პირადი შენახვისა და მოხმარების ღირებულება» (იქვე, ტომი II, გვ. 374).

(საერთოდ სმიტს მათი მწარმოებლობა იმაზე დაჰყავს, რომ მათ მოძრაობაში მოჰყავთ მწარმოებლური შრომა.)

ფერმერის შესახებ იგი ლაპარაკობს:

«იმავე ოდენობის არც ერთ კაპიტალს არ მოჰყავს მოძრაობაში მწარმოებლური შრომის უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე ფერმერის კაპიტალს. არა მარტო მისი მოჯამაგირენი, არამედ მისი მუშა-პირუტყვიც მწარმოებელი მუშაკებია» (იქვე, ტომი II, გვ. 376).

მაშასადამე, ბოლოს, ხარიც მწარმოებელი მუშაკი გამოდის.

[12)] გრაფი ლოდერდელი [აპოლოგეტიკური შეხედულება გაბატონებულ კლასებზე როგორც მწარმოებლური შრომის უმნიშვნელოვანეს სახეობათა წარმომადგენლებზე]

Lauderdale (Earl of). An Inquiry into the Nature and Origin of Public Wealth etc., London, 1804 (ფრანგული თარგმანი: Recherches sur la nature et l'origine de la richesse publique etc., Paris, 1808).

მოგების ლოდერდელისეული აპოლოგეტიკური დასაბუთება გან-

სანილველია მხოლოდ შემდგომ, მესამე განყოფილებაში[83]. ამ აპოლოგეტიკური შეხედულების თანახმად, მოგება წარმოიშვება თვით კაპიტალიდან, რადგან კაპიტალი «შეენაცვლება» შრომას. კაპიტალი ნაზღაურდება იმისათვის, რომ იგი ასრულებს ან იმ სამუშაოს, რომელიც სხვა შემთხვევაში თვით ადამიანს უნდა შეესრულებინა, ანდა იმ სამუშაოს, რომლის შესრულებაც ადამიანს საერთოდ არ შეეძლო კაპიტალის დაუხმარებლად:

«ახლა გასაგებია, რომ კაპიტალის მოგება მიიღება ყოველთვის ან იმიტომ, რომ კაპიტალი შეენაცვლება შრომას, რომელიც ადამიანს საკუთარი ხელით უნდა შეესრულებინა, ანდა იმიტომ, რომ იგი ასრულებს ისეთ შრომას, რომელიც ადამიანის პირად ძალღონეს აღემატება და რომლის შესრულებას ადამიანი თვითონ ვერ შეძლებდა» (ფრანგული თარგმანი, გვ. 119).

ბატონი «გრაფი» მოსისხლე მტერია სმიტის მოძღვრებისა დაგროვებისა და მომჭირნეობის შესახებ. იგი მოსისხლე მტერია აგრეთვე სმიტის მიერ დადგენილი განსხვავებისა მწარმოებელ და არამწარმოებელ მუშაკებს შორის; მაგრამ მისი აზრით ისიც, რასაც სმიტი «შრომის მწარმოებლურ ძალებს» უწოდებს, მხოლოდ «კაპიტალის მწარმოებლური ძალაა». იგი პირდაპირ უარყოფს ზედმეტი ღირებულების სმიტისეულ გაგებას და თანაც შემდეგი საფუძვლით:

«კაპიტალის მოგების ეს გაგება ნამდვილად მართებული რომ იყოს, მაშინ აქედან ის დასკვნა გამოვიდოდა, რომ მოგება შემოსავლის პირველადი წყარო კი არაა, არამედ მხოლოდ მეორადი, და კაპიტალი არ შეიძლებოდა განხილულიყო როგორც სიმდიდრის ერთ-ერთი წყარო, რადგან მისი მოგება სხვა არაფერი იქნებოდა, თუ არა შემოსავლის გადაადგილება მუშის ჯიბიდან კაპიტალისტის ჯიბეში» (ციტირ. თხზ., გვ. 116—117).

ცხადია, რომ ასეთ წანამძღვართა ნიადაგზე ლოდერდელი სმიტის წინააღმდეგ მიმართულ თავის პოლემიკაშიც ყველაზე ბანალურ მომენტებს ეჭიდება. ასე, მაგალითად, ის ამბობს:

«ამრიგად, ერთი და იგივე შრომა შეიძლება აღმოჩნდეს მწარმოებლური ან არამწარმოებლური ამ შრომით შექმნილი საგნის შემდგომი მოხმარების მიხედვით. მაგალითად, თუ ჩემი მზარეული აკეთებს ტორტს, რომელსაც მე მაშინვე ვჭამ, იგი არამწარმოებელი მუშაკია, მისი მოსაქმეობა კი უნაყოფო შრომაა, რადგან ეს შომსახურება შესრულებისთანავე მყისვე გაქრა. მაგრამ თუ იგივე შრომა საკონდიტროში სრულდება, იგი ხდება მწარმოებლური შრომა» (ციტირ. თხზ., გვ. 110).

(პატენტი აქ გარნიეს ეკუთვნის, რადგან სმიტის შრომის გამოცემა, რომელსაც გარნიეს შენიშვნები აქვს დართული, გამო-

ქვეყნდა 1802 წელს, ე. ი. ლოდერდელის წიგნის გამოსვლამდე ორი წლით ადრე.)

«ეს არაჩვეულებრივი განსხვავება, რაც მარტოოდენ მომსახურებათა ხანგრძლივობაზეა დამყარებული, არამწარმოებელი მუშაკების რიცხვი მიაკუთვნებს ისეთ ადამიანებს, რომლებიც უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს ასრულებენ საზოგადოებაში. ხელმწიფე, რელიგიისა და მართლმსაჯულების მსახურნი, საჯელმწიფოს დაცველნი, ყველა ეს ადამიანები, იმ პირთა გამოუკლებლივ, რომელთა ცოდნაც... მოქალაქეებს ჯანმრთელობის უნარჩუნებს ან გონებას უნათლებს, — ისინი ყველანი მიჩნეული არიან არამწარმოებელ მუშაკებად» (იქვე, გვ. 110—111) (ანდა, როგორც ეს მშვენიერი ფერარქია ა. სმიტთან არის ჩამოთვლილი: «ხუცები, იურისტები, ექიმები, ყოველგვარი მწერლები, მსახიობები, ჯამბაზები, მუსიკოსები, ოპერის მომღერლები, მოცეკვავენი და ა. შ.» *).

«თუ მართალია, რომ სიმდიდრის საფუძველს საცელელი ღირებულება წარმოადგენს, აუცილებელი არაა ფართოდ გავშალოთ მსჯელობა იმისათვის, რათა ცხადვყოთ ამ დოქტრინის მცდარობა. არაფერი [399] არ ამტკიცებს მის უმართებულობას იმაზე უკეთ, ვიდრე ის პატივისცემა, რითაც ადამიანები ამ მომსახურებებს ეკიდებიან, თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, როგორ ნაზღაურდება ეს ზომსახურებანი» [ლ ო დ ე რ დ ე ლ ი, ციტირ. თხზ., გვ. 111].

შემდეგ:

«მანუფაქტურის მუშის შრომა ფიქსირდება და საგნობრივდება გასაყიდად ვარგის რაიმე საქონელში... არც მ ს ა ხ ურ ი ს შ რ ო მ ა, არც საბრუნავი კაპიტალის მიერ დაზოგილი შრომა. «საბრუნავი კაპიტალი» ლოდერდელს აქ ესმის როგორც ფ უ ლ ი — «არ ქმნიან, რა თქმა უნდა, დაგროვებას, არ ქმნიან ისეთ ფონდს, რომლის გადაცემაც ხელიდან ხელში გარკვეული ღირებულების მიღებით შესაძლებელი ექნებოდა. სარგებლობა, რაც მათ მოაქვთ, თანაბრად მიიღება იმის შედეგად, რომ ისინი ზ ო გ ა ვ ე ს მ ე პ ა ტ რ ო ნ ი ს ან მ ფ ლ ო ბ ე ლ ი ს შ რ ო მ ა ს. ისინი იმდენად მსგავს შედეგებს აძლევენ, რომ მან, ვინც ერთი-მათგანი არამწარმოებელად გამოაცხადა, აუცილებლად ასეთად უნდა ჩაეთვალოს მეორეც» ; და ამის მიყოლებით მას ციტატები მოჰყავს სმიტის II წიგნის მე-2 თავიდან [84] (ლ ო დ ე რ დ ე ლ ი, ციტირ. თხზ., გვ. 144—145).

* * *

ამრიგად, შეიძლებოდა ასეთი რიგის შედგენა: ფერიე, გარნიე, ლოდერდელი, განილი. უკანასკნელი ფრაზა, რომელიც ლამობს დაგვაჯეროს «შრომის დაზოგვაში», განსაკუთრებით გაცვეთილია ტ ო კ ვ ი ლ ი ს მიერ.

---

* გარნიეს თარგმანი, ტ. II, გვ. 313.

[18) სეის «არამატერიალური პროდუქტების» კონცეფცია. არამწარმოებლური შრომის შეუჩერებელი ზრდის გამართლება]

გარნიეს შემდეგ გამოქვეყნდა უგვანო ჟ. ბ. სეის «Traité d'Economie Politique». სეი სმიტს ამას უსაყვედურებს, რომ იგი

«უარს ამბობს იმაზე, რომ პროდუქტის სახელწოდება მიენიჭოს ისეთი სახის საქმიანობის შედეგებს, როგორიცაა, ექიმის, მუსიკოსის, მსახიობის საქმიანობა. შრომას, რომელსაც ისინი ეწევიან, იგი უწოდებს არამწარმოებლურს» (შე-ვ გამოც., ტომი I, გვ. 117).

სმიტი სრულიადაც არ უარყოფს იმას, რომ «ასეთი სახის საქმიანობა» აწარმოებს ამა თუ იმ «შედეგს», ამა თუ იმ «პროდუქტს». იგი პირდაპირ იხსენიებს კიდეც

«უშიშროებას; სიმშვიდეს, სახელმწიფოს დაცვას» როგორც («სახელმწიფოს მსახურთა») «წლიური შრომის შედეგს» (სმიტი, წიგნი II, თავი 3; გარნიეს თარგმანი, ტომი II, გვ. 313).

სეი, თავის მხრივ, ემხრობა სმიტის იმ დამატებითს განსაზღვრას, რომლის მიხედვით ეს «მომსახურებანი» და მათი პროდუქტი «ჩვეულებრივ მათი შესრულების, მათი წარმოების მომენტში ქრებიან» (სმიტი იმავე თავში). ამგვარად გამოყენებულ «მომსახურებებს» ან მათს პროდუქტებს, მათს შედეგებს, მათს სახმარ ღირებულებას ბატონი სეი უწოდებს «არამატერიალურ პროდუქტებს, ანუ ღირებულებებს, რომლებიც მათი წარმოების მომენტში მოიხმარება». ნაცვლად იმისა, რომ «არამწარმოებელი» უწოდოს იმ მუშაკებს, რომლებიც ასეთი სახის მომსახურებას ასრულებენ, იგი უწოდებს მათ «არამატერიალური პროდუქტების მწარმოებელთ». იგი იძლევა სხვა სახელწოდებას. მაგრამ შემდეგ აცხადებს.

«რომ ისინი არ ემსახურებიან ეროვნული კაპიტალის გადიდებას» (ტომი I, გვ. 119). «ერი, რომელსაც დიდი რაოდენობით ჰყავს მუსიკოსები, მოხელეები, შეიძლება ძალიან სიამოვნებით ერთობოდეს, იყოს მშვენივრად ინფორმირებული ყველაფერში და ჰქონდეს საუცხოო მმართველობა; მაგრამ ამით ამოიწურებოდა კიდეც ყველაფერი. მისი კაპიტალი ვერ მიიღებდა ამ მოქმედი ადამიანების მთელი შრომიდან ვერავითარ უშუალო ნამატს, რადგან მათი პროდუქტები მათი შექმნის მომენტში მოიხმარება» (იქვე, გვ. 119).

ამრიგად, ბატონი სეი ასეთი სახის შრომას აცხადებს არამწარმოებლურ შრომად სმიტისეული განსაზღვრის ყველაზე

შეზღუდული აზრით. მაგრამ ამასთანავე მას სურს გარნიეს მიეცეს «წინგადადგმული ნაბიჯი» ბიითვისოს. აბიტომაცაა, რომ იგი იგონებს ახალ სახელწოდებას არამწარმოებლური სახის შრომისათვის. ესაა მისი განსაკუთრებული ორიგინალობა, ნაყოფიერება და მანერა აღმოჩენისა. ამასთან, თავისი ჩვეულებრივი ლოგიკით, იგი კვლავ თვითონვე უარყოფს თავის თავს. ის ამბობს:

«არ შეიძლება დავეთანხმოთ ბატონ გარნიეს აზრს, რომელიც იქიდან, რომ ეკონომების, იურისტების და სხვა მათი მსგავსი პირების შრომა მწარმოებლურია, იმ დასკვნას აკეთებს, რომ ერისათვის ისევე ხელსაყრელია ამ შრომის გადიდება, როგორც ყოველი სხვა შრომისაც» (იქვე, გვ. 120).

მაგრამ რატომ არ შეიძლება დავეთანხმოთ ამას, თუ ერთი და იმავე სახის შრომა მწარმოებლურია, როგორც მეორე სახისაც, და თუ საერთოდ მწარმოებლური შრომის რაოდენობის გადიდება «ხელსაყრელია ერისათვის»? რატომ არაა ისევე ხელსაყრელი ამ სახის შრომის გადიდება, როგორც სხვა სახის შრომისაც? იმიტომ, რომ, — იძლევა პასუხს სეი მისთვის დამახასიათებელი ღრმა აზროვნებით. — საერთოდ ხელსაყრელი არაა რომელიმე სახის მწარმოებლური შრომის რაოდენობა იმ ზომის გადამეტებით გავადიდოთ, რა ზომითაც იგი გვჭირდება. მაგრამ მაშინ ხომ მართალია გარნიე. მაშინ ერთნაირად ხელსაყრელია, — ე. ი. ერთნაირად არახელსაყრელია, — გავადიდოთ როგორც ერთი, ისე მეორე სახის შრომის რაოდენობა გარკვეული ზომის გადამეტებით.

«აქ იგივე მდგომარეობა გვაქვს», — განაგრძობს სეი, — «რაც ფიზიკური შრომის მიმართ, თუ ამ უკანასკნელს დახარჯავდნენ პროდუქტზე იმაზე მეტი რაოდენობით, რაც აუცილებელია მის დასამზადებლად».

(მაგიდის დამზადებაზე არ უნდა დაიხარჯოს იმაზე მეტი სადურგლო შრომა, რაც აუცილებელია მაგიდის საწარმოებლად. სავსებით ასევე ავადმყოფი სხეულის შეკეთებისას არ არის საჭირო იმაზე მეტი შრომის დახარჯვა, რაც მის განსაკუთრებულადაა აუცილებელი, მაშასადამე, ექიმები და ექიმები თავიანთი «არამატერიალური პროდუქტების» დასამზადებლად მხოლოდ აუცილებელ შრომას უნდა ხარჯავდნენ.)

«არამატერიალური პროდუქტების მწარმოებელი შრომა, ისევე, როგორც ყველა სხვა შრომაც, მწარმოებლურია მხოლოდ მანამდე, სანამ იგი ადიდებს პროდუქტის სარგებლიანობას და ამით მის ღირებულებას»

(ე. ი. მის სახმარ ღირებულებას, მაგრამ სეი ერთმანეთში ურევს სარგებლიანობას და საცვლელ ღირებულებას);

«თუ იგი ამ საზღვრებს სცილდება, იგი სრულიად არამწარმოებლურ შრომად იქცევა» (იქვე, გვ. 120).

მაშასადამე, სეის ლოგიკა ასეთია:

ერისათვის «არამატერიალური პროდუქტების მწარმოებელთა» რიცხვის გადიდება არაა ისე სასარგებლო, როგორც მატერიალური პროდუქტების მწარმოებელთა რიცხვის გადიდება. დამტკიცება: აბსოლუტურად უსარგებლოა რაიმე პროდუქტის, მატერიალურის თუ არამატერიალურის, მწარმოებელთა რიცხვის საჭიროზე მეტად გადიდება. მაშასადამე, უფრო სასარგებლოა გავადიდოთ მატერიალური პროდუქტების უსარგებლო მწარმოებელთა რიცხვი, ვიდრე არამატერიალური პროდუქტების უსარგებლო მწარმოებელთა რიცხვი. ორივე შემთხვევაში ის დასკვნა კი არ კეთდება, რომ უსარგებლოა საერთოდ ამ მწარმოებელთა რიცხვის გადიდება, არამედ ის, რომ უსარგებლოა რაიმე გარკვეული პროდუქტის მწარმოებელთა რიცხვის გადიდება სათანადო დარგში.

სეის აზრით, მატერიალური პროდუქტები [400] არსად არ შეიძლება ვაწარმოოთ მეტად დიდი რაოდენობით, სავსებით ასევე არამატერიალური პროდუქტებიც. მაგრამ variatio delectat *. ამიტომ საჭიროა სხვადასხვა სახის პროდუქტების წარმოება ორივე განყოფილებაში. გარდა ამისა, ბატონი სეი გვასწავლის:

«შეფერხებას ზოგიერთი პროდუქტის გასაღებაში იწვევს ზოგიერთი სხვა პროდუქტის იშვიათობა» (ციტირ. თხზ., ტომი I, გვ. 438).

მაშასადამე, არასოდეს არ შეიძლება ვაწარმოოთ მეტად ბევრი მაგიდა, არამედ მხოლოდ მეტად ცოტა, ვთქვათ, ჯამები, რომლებიც ამ მაგიდებზე დაიდგმებოდა. თუ ექიმების რიცხვი მეტისმეტად გადიდდა, მაშინ უბედურება ის კი არაა, რომ მომსახურება, რასაც ისინი ეწევიან, გადამეტებულია, არამედ, შესაძლოა, ის, რომ მეტად მცირეა მომსახურება, რასაც ეწევიან «არამატერიალური პროდუქტების» სხვა მწარმოებლები, მაგალითად, მეძავეები (იხ. იქვე, გვ. 123, სადაც გათანაბრებულია ტვირთის მზიდავთა, მეძავეთა და სხვ. შრომა და სადაც სეი გაბედულად ამტკიცებს, რომ «სწავლების დროო» მეძავისათვის «დაკარგულია ნულამდე»).

ბოლოს, სეის მიხედვით, წონასწორობის ისარი «არამწარმოებელი მუშაკების» მხარეზე გადაიხრება. წარმოების მოცემულ პირობებში ყოველთვის ზუსტადაა გარკვეული, რამდენი მუშაა საჭირო

* — მრავალფეროვნება სიამოვნებას გვგვრის. რ ე დ.

მაგიდის გასაკეთებლად, რა რაოდენობის უნდა იყოს განსაზღვრული სახის შრომა, რომ გარკვეული პროდუქტი დამზადდეს. სხვაგვარადაა საქმე ბევრი «არამატერიალური პროდუქტის» მიმართ. აქ შრომის იმ რაოდენობის განსაზღვრა, რომელიც საჭიროა გარკვეული შედეგის მისაღებად, იმდენადვე საალბათოა, რამდენადაც თვით შედეგი. ო	n ხუცესი ერთად, შეიძლება, ადვილად მიაღწევს ცოდვილის მოქცევას, რასაც ერთი ვერ მოახერხებს; ექვსი ექიმი; ერთმანეთთან მოთათბირების შემდეგ, შეიძლება, გამონახავს სამკურნალო საშუალებას, რასაც მარტო ერთი ექიმი ვერ პოულობს. სასამართლო კოლეგიაში, შეიძლება, უფრო მეტი მართლმსაჯულება სრულდება, ვიდრე ამას ცალკეული მოსამართლე ასრულებს, რომელიც მხოლოდ თავის თავს უწევს კონტროლს. რამდენი ჯარისკაცია საჭირო ქვეყნის დასაცავად, რამდენი პოლიციელია საჭირო მასში წესრიგის დასაცავად, რამდენი მოხელეა საჭირო ქვეყნის კარგი «მართვისათვის» და ა. შ., — ყოველივე ეს ისეთი პრობლემატური რამაა, რაც ძალიან ხშირად დისკუსიის საგანს წარმოადგენს, მაგალითად, ინგლისის პარლამენტში, თუმცა ინგლისში ფრიად ზუსტად იციან, მრთველთა შრომის რა რაოდენობაა საჭირო 100 გირვანქა ნართის საწარმოებლად. რაც შეეხება ამ სახის სხვა «მწარმოებელ» მუშაკებს, თვით მათი ცნება შეიცავს იმას, რომ სარგებლობა, რაც მათ მოაქვთ, სწორედ მათ რიცხვზეა მხოლოდ დამოკიდებული, თვით მათს რიცხვში მდგომარეობს. ასეთია საქმის ვითარება, მაგალითად, ლაქიების მიმართ. რომლებიც თავიანთი ბატონების სიმდიდრისა და წარჩინებულობის მოწმეები უნდა იყვნენ. რაც უფრო მეტია მათი რიცხვი, მით უფრო დიდია ეფექტი, რომელიც მათ უნდა «აწარმოონ». ამრიგად, ბატონი სეი თავის აზრზე რჩება: «არამწარმოებელი მუშაკების» რიცხვი ერასოდეს არ შეიძლება საკმარისად გადიდდეს. [400]

[14)] ბრაფი დესტიუტ დე ტრასი [მოგების წარმოშობის უსაბარული კონცეფცია. «მოქმედი კაპიტალისტების» გამოცხადება ერთადერთ მწარმოებელ მუშაკებად]

[400] Le Comte Destutt de Tracy. Elémens d'idéologie. IV-e et V-e parties. Traité de la volonté et de ses effets. Paris, 1826 (პირველი გამოცემა გამოვიდა 1815 წელს).

«ყოველი სასარგებლო შრომა ნამდვილად მწარმოებლურია, და საზოგადოების ყოველი მშრომელი კლასი ერთნაირად იმსახურებს მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი კ ლ ა ს ი ს სახელწოდებას» (გვ. 87).

მაგრამ ამ მწარმოებელ კლასში დესტიუტ დე ტრასი განასხვავებს

«მშრომელ კლასს, რომელიც უშუალოდ აწარმოებს მთელ ჩვენს სიმდიდრეს» (გვ. 88),

ე. ი. რასაც სმიტი მწარმოებელ მუშებს უწოდებს.

პირიქით, უნაყოფო კლასი შედგება მდიდრებისაგან, რომლებიც მოიხმარენ თავიანთ მიწის რენტას ან ფულად რენტას. ეს არის «უქნარათა კლასი».

«ნამდვილად უნაყოფო კლასი — ეს არის უქნარა ადამიანების კლასი, რომელთა საქმე მხოლოდ ისაა, რომ იცხოვრონ, როგორც იტყვიან, კეთილშობილურად, მათზე წინათ შესრულებული შრომის პროდუქტებით, ისეთი პროდუქტებით, რომლებიც ან გასაგნობრიეებულნი არიან მიწის ნაკვეთში, რასაც ისინი იჯარით გასცემენ, ე. ი. მიაქერავებენ ამა თუ იმ მუშაკს, ანდა შედგებიან ფულისაგან ან ნივთებისაგან, რომელთაც ისინი გაასესხებენ გარკვეული გასამრჯელოს მისაღებად, რაც ასევე გაქირავებას ნიშნავს. ეს ფუტკრის სკის ნამდვილი მუქთამჭამლები არიან (fruges consumere nati *)» (გვ. 87). ამ უქნარა ადამიანებს «შეუძლიათ ხარჯონ მხოლოდ თავიანთი შემოსავალი. თუ ისინი თავიანთ კაპიტალს ხარჯავენ [401], ეს კაპიტალი უკვე აღარ ნაზღაურდება, და მათი მოხმარება, — მას შემდეგ, რაც იგი მოკლე ვადით თავის ფარულებს გასცილდა, — სრულიად შეწყდება.» (გვ. 237).

«ეს შემოსავალი... სხვა არაფერია, თუ არა გამონაკლები მშრომელ მოქალაქეთა საქმიანობის პროდუქტებიდან» (გვ. 236).

როგორია საქმის ვითარება იმ მუშაკების მიმართ, რომელთაც უშუალოდ იყენებენ ეს «უქნარა ადამიანები?» რამდენადაც ეს უკანასკნელნი საქონელს მოიხმარენ, ისინი მოიხმარენ არა პირდაპირ შრომას, არამედ მწარმოებელი მუშების შრომის პროდუქტებს. მაშასადამე, აქ ლაპარაკია იმ მუშაკებზე. რომელთა შრომას უქნარა ადამიანები ყიდულობენ თავიანთი შემოსავლის უშუალო ხარჯვის წესით; მაშასადამე, აქ ლაპარაკია იმ მუშაკებზე, რომლებიც თავიანთ ხელფასს უშუალოდ შემოსავლიდან იღებენ და არა კაპიტალიდან.

«რადგან ადამიანები, რომელთაც იგი» (შემოსავალი) «ეკუთვნის, უქნარები არიან, ცხადია, რომ ისინი არავითარ მწარმოებლურ შრომასარ წარმართავენ. ერთადერთი დანიშნულება ყველა მუშაკისა, რომელთაც ისინი ხელფასს აძლევენ, მარტოოდენ ის არის, რომ მათ ამ უქნარებს სიამოვნება მოჰგვარონ. ეს სიამოვნებანი, რასაკვირველია, სხვადასხვა სახისაა... ადამიანთა მთელი ამ კლასის ხარჯები... ასაზრდოებენ მრავალრიცხოვან მოსახლეობას, რომლის არა-

*—დაბადებულნი ნაყოფის საგემოვნოდ (ჰორაციუსი, «ეპისტოლენი»). რ ე დ.

სებობას ისინი უზრუნველყოფენ, მაგრამ რომლის შრომა სრულიად უნაყოფოა... ამ ხარჯებიდან ზოგიერთი შეიძლება მეტაბაკლებად სასარგებლო იყოს, როგორც მაგალითად სახლის აშენება, მიწის მელიორაცია. მაგრამ ეს გამონაკლისებია, რომელთა მეოხებით უქნარა ადამიანები დროებით მწარმოებლური შრომის ხელმძღვანელები ხდებიან. ამ უმნიშვნელო გამონაკლისების გარდა, ამგვარი კაპიტალისტების მოხმარება ყოველმხრივ, კალავწარმოების თვალსაზრისით, წმინდა დანაკარგია და წარმოადგენს სათანადო ჯამონაკლებს შეძენილი სიმდიდრიდან» (გვ. 236).

} საკუთრივ სმიტის ყაიდის პოლიტიკური ეკონომია კაპიტალისტს განიხილავს მხოლოდ როგორც გაპიროვნებულ კაპიტალს, როგორც Ф — ს — Ф, როგორც წარმოების აგენტს. მაგრამ ვინ უნდა მოიხმაროს წარმოებული პროდუქტები? მუშამ? არა, მუშამ არა. თვით კაპიტალისტმა? მაგრამ მაშინ იგი გვევლინება როგორც მსხვილი მომხმარებელი, როგორც «უქნარა ადამიანი» და არა როგორც კაპიტალისტი. მიწისა და ფულადი რენტის მფლობელებმა? მაგრამ ისინი არ აკვლავწარმოებენ იმას, რასაც მოიხმარენ, და ამით ზიანს აყენებენ სიმდიდრეს. მიუხედავად ამისა, ორი რამ სწორია ამ წინააღმდეგობის შემცველ შეხედულებაში, რომელიც კაპიტალისტში ხედავს მხოლოდ განძის რეალურ დამგროვებელს და არა იმ ილუზორულ დამგროვებელს, როგორიც არის განძის დამგროვებელი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით: 1) კაპიტალი (აქედან კი კაპიტალისტიც, მისი გაპიროვნება) განიხილება მხოლოდ როგორც აგენტი, რომელიც ხელს უწყობს წარმოებლური ძალებისა და წარმოების განვითარებას; 2) აქ ვლინდება თვალსაზრისი აღმავალი კაპიტალისტური საზოგადოებისა, რომლისთვისაც მნიშვნელობა აქვს არა სახმარ ღირებულებას, არამედ საცვლელ ღირებულებას, არა მოხმარებას, არამედ სიმდიდრეს. მოხმარებითი სიმდიდრე ზედმეტ ფუფუნებად ესახებოდა აღმავალ კაპიტალისტურ საზოგადოებას, ვიდრე მან თვითონ არ ისწავლა ექსპლოატაციის შეერთება მოხმარებასთან და ვიდრე მოხმარებითი სიმდიდრე არ დაიმორჩილა. {

«იმის მისაგნებად, თუ როგორ იქმნება ეს შემოსავალი» (რითაც უქნარები ცხოვრობენ), «საჭიროა ყოველთვის დავუბრუნდეთ მ ო ქ მ ე დ კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ე ბ ს» (გვ. 237, შენიშვნა). «მ ო ქ მ ე დ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ე ბ ი» — მეორე სახის კაპიტალისტები — «მოიცავენ მეურნეობის ყოველი დარგის ყველა მეწარმეს, ე. ი. ყველა იმ ადამიანებს, რომლებიც, გ ა ა ჩ ნ ი ა თ რ ა კ ა პ ი ტ ა ლ ი,... თავის ნიჭსა და შრომას იმას ახმარენ რომ თვითონ გამოიყენონ თავიანთი კაპიტალი, ნაცვლად იმისა, რომ სესხად მისცენ იგი სხვა ადამიანებს, და რომლებიც ამიტომ ხელფასითა და შემოსავლით კი არ ცხოვრობენ, არამედ მ ო გ ე ბ ი თ» (გვ. 237).

დესტიუტი — როგორც უკვე ა. სმიტიც — ცხადად აძლევნებს, რომ მწარმოებელი მუშების მოჩვენებითი განდიდება სინამდვილეში მხოლოდ «მ ო ქ მ ე დ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ე ბ ი ს» განდიდებაა მიწის მესაკუთრეთა და იმ ფულადი კაპიტალისტების საწინააღმდეგოდ, რომლებიც უბრალოდ თავიანთი შემოსავლით ცხოვრობენ.

«მოქმედ კაპიტალისტებს... თავიანთ ხელში აქვთ საზოგადოების თითქმის მთელი სიმდიდრე... ეს ადამიანები წლის განმავლობაში ხარჯავენ არა მარტო ამ სიმდიდრეთაგან მიღებულ რენტას, არამედ თვით კაპიტალსაც, ზოგჯერ კი ისინი ამას რამდენჯერმეც კი აკეთებენ წლის განმავლობაში, თუ საქმეთა მსვლელობა საკმაოდ სწრაფია იმისათვის, რომ ეს შესაძლებელი გახდეს. ეს იმიტომ, რომ, რადგან ისინი როგორც საქმის ადამიანები ხარჯავენ მხოლოდ იმისათვის ეწევიან, რათა ეს დანაბარჯი მოგებით დაუბრუნდეთ, მათი მოგება მით უფრო მნიშვნელოვანია, რაც უფრო ამ პირობით მათ მეტის დახარჯვა შეუძლიათ» (გვ. 237—238).

რაც შეეხება მათ პირად მოხმარებას, იგი ისეთივეა, როგორც უქნარა კაპიტალისტების პირადი მოხმარება. მაგრამ იგი

«საერთოდ ზომიერია, რადგან საქმის ადამიანები ჩვეულებრივ თავდაპერილნი არიან» (გვ. 238). სულ სხვაა მათი საწარმოო მოხმარება. «იგი სულაც არაა საბოლოო; იგი უკან უბრუნდება მათ მოგებით» (იქვე). მათი მოგება საკმაოდ დიდი უნდა იყოს არა მარტო მათი «პირადი მოხმარებისათვის, არამედ აგრეთვე» იმისთვისაც, რომ გადაიხადოს «რენტა მიწისა და იმ ფულისათვის, რაც უქნარა კაპიტალისტების მფლობელობაშია» (გვ. 238).

აქ დესტიუტი მართალია. მიწის რენტა და ფულადი რენტა მხოლოდ «გ ა მ ო ნ ა კ ლ ე ბ ი ა» სამრეწველო მოგებიდან, ამ უქანასკნელის ის ნაწილებია, რომელთაც მოქმედი კაპიტალისტი თავისი საერთო მოგებიდან მიწის მესაკუთრეებსა და ფულად კაპიტალისტებს აძლევს.

«უქნარა მდიდრების შემოსავალი — ეს მხოლოდ წარმოებიდან მიღებული რენტაა; მხოლოდ წარმოება ქმნის ამ შემოსავალს» (გვ. 248). მოქმედი კაპიტალისტები «რენტაზე ქირაობენ მათს» (ე. ი. უქნარა კაპიტალისტების) «მიწებს, მათს სახლებს, სესხულობენ მათგან ფულს და ყოველივე ამით ისე სარგებლობენ, რომ აქედან ი ღ ებ ენ მ ო გ ებ ას, რ ო მ ე ლ ი ც ა მ ე რ ე ნ ტ ი ს ო დ ე ნ ობ ას ა ღ ე მ ა ტ ებ ა» (გვ. 237), ე. ი. რენტისა, რასაც ისინი უქნარებს უხდიან და რაც, მაშასადამე, ამ მოგების მხოლოდ ნაწილს შეადგენს. ეს რენტა, რასაც ისინი ამ გზით უქნარა კაპიტალისტებს უხდიან, «:ამ უქნარა ადამიანების ერთადერთი შემოსავალი და მათი ყოველწლიური ხარჯების ერთადერთი ფონდია» (გვ. 238).

აქამდე ყველაფერი წესიერად მიმდინარეობს. მაგრამ როგორია საქმის ვითარება «დ ა ქ ი რ ა ვ ებ უ ლ ი ა დ ა მ ი ა ნ ებ ი ს» მი-

მართ (მწარმოებელი მუშების მეშმართ, რომლებსაც იყენებენ მოქმედი კაპიტალისტები?).

«მათ არ გააჩნიათ არავითარი სხვა განძი, გარდა თავიანთი ყოველდღიური შრომისა. ეს შრომა მათ აძლევს ხელფასს... მაგრამ საიდან აიღება ეს ხელფასი? ცხადია, რომ იმათი ქონებიდან, [402] ვისაც დაქირავებული მუშები მიჰყიდიან თავიანთ შრომას, ე. ი. იმ ფონდებიდან, რომლებიც წინასწარ დამქირავებელთა გამგებლობაშია და რომლებიც სხვას არაფერს წარმოადგენენ, თუ არა წინათ შესრულებული შრომის დაგროვილ პროდუქტებს. აქედან გამოდის, რომ თუმცა ამ სიმდიდრეთაგან გადახდილი მოხმარება დაქირავებული მუშების მოხმარებაა იმ აზრით, რომ სწორედ ეს მოხმარება უნარჩუნებს მათ არსებობას, მაგრამ არსებითად მუშები როდი იხდიან მას, ანდა, ყოველ შემთხვევაში, ისინი იხდიან მას იმ ფონდებიდან, რომლებიც წინასწარ მათი დამქირავებლების ხელშია. ამრიგად, მათი მოხმარება უნდა განეიხილოთ როგორც მოხმარება, განხორციელებული იმათ მიერ, ვინც ამ დაქირავებულთ ხელფასით ინახავს. ისინი მხოლოდ იმას აკეთებენ, რომ ერთი ხელით იღებენ, მეორეთი კი უკან იძლევიან... არა მარტო ყველაფერი ის, რასაც ისინი» (დაქირავებული მუშები) «ხარჯავენ, არამედ ყველაფერი ისიც, რასაც ისინი იღებენ, უნდა განეიხილოთ როგორც ნამდვილი ხარჯები იმათი, ვინც მათს შრომას ყიდულობს, და როგორც ამ უკანასკნელთა საკუთარი მოხმარება. ეს იმდენად სწორია, რომ იმ საკითხის გადასაწყვეტად, აყენებს ეს მოხმარება მეტ ან ნაკლებ ზიანს არსებულ სიმდიდრეს თუ, პირიქით, ხელს უწყობს მის გადიდებას,... აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, როგორ იხმარენ კაპიტალისტები მათ მიერ ნაყიდ შრომას, რადგან ყველაფერი ამაზეა დამოკიდებული» (გვ. 234 — 235).

ძალიან კარგი. მაგრამ საიდან მომდინარეობს მეწარმეთა მოგება, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს გაუსტუმრონ შემოსავალი თავიანთ თავს და უქნარა კაპიტალისტებს და ა. შ.?

«შემეკითხებიან, როგორ აკეთებენ წარმოების სხვადასხვა დარგის ეს მეწარმენი ასეთ დიდ მოგებას და საიდან შეუძლიათ მათ მისი მიღება? მე ვუპასუხებ, რომ ამას აღწევენ ისინი იმით რომ ყოველ მათ მიერ წარმოებულ პროდუქტს ისინი უფრო ეკიერად ყიდიან, ვიდრე მათ მისი წარმოება დაუჯდათ» (გვ. 239).

და ვის მიჰყიდიან ისინი ყოველივე ამას უფრო ძვირად, ვიდრე თვით მათ ეღირთ?

«ისინი ამას მიჰყიდიან:

1) ერთიმეორეს მათი მოხმარების მთელ იმ თანხაზე, რაც განკუთვნილია მათი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და რასაც ისინი იხდიან თავიანთი მოგების ნაწილით;

2) დაქირავებულ მუშებს — როგორც მათ, რომელთაც თვით ისინი ქირაობენ,

ისე იმათაც, რომელთაც უქნარა კაპიტალისტები ქირაობენ, — ამასთან ამ წესით ისინი უკანვე იღებენ ყველა ამ დაქირავებული მუშაკისაგან ამ უკანასკნელთა ხელფასის მთელ ჯამს, იმ ცოტოდენი დანაზოგის გამოკლებით, რასაც ისინი აკეთებენ;

3) უქნარა კაპიტალისტებს, რომელებიც მათ თავისი შემოსავლის იმ ნაწილით ისტუმრებენ, რაც მათ არ მიუცია დაქირავებული მუშაკებისათვის, რომელთაც ისინი უშუალოდ ქირაობენ; ანუ რომ მთელი რენტა, რასაც ყოველწლიურად უქნარა კაპიტალისტებს მოქმედი კაპიტალისტები უხდიან, ამა თუ იმ გზით ხელახლა მოედინება ამ უკანასკნელებთან» (იქვე, გვ. 239).

განვიხილოთ უფრო დაწვრილებით ეს სამი რუბრიკა, რომელთა მიხედვით აქ განაწილებულია გაყიდვა.

1) თავიანთი პროდუქტის (ან მოგების) ნაწილს მოქმედი კაპიტალისტები თვითონ მოიხმარენ. მათ არასგზით არ შეუძლიათ იმით გამდიდრება, რომ ერთმანეთს ატყუებენ და თავიანთ პროდუქტებს ერთმანეთს მიჰყიდიან უფრო ძვირად, ვიდრე მათში გადაიხადეს. და არც არავის შეუძლია ამ გზით სხვისი მოტყუება. თუ *A* ძლიერ ძვირად ყიდის თავის პროდუქტს, რომელსაც მოქმედი კაპიტალისტი *B* მიირთმევს, სამაგიეროდ *B* ძლიერ ძვირად ყიდის თავის პროდუქტს, რომელსაც მოქმედი კაპიტალისტი *A* მიირთმევს. ეს იგივეა, *A* და *B*-მ რომ ერთიმეორეს თავიანთი პროდუქტები მათი ნამდვილი ღირებულების მიხედვით მიჰყიდონ. 1-ლი რუბრიკა გვიჩვენებს, როგორ ხარჯავენ კაპიტალისტები თავიანთი მოგების ერთ ნაწილს; იგი არ გვიჩვენებს იმას, თუ საიდან იღებენ ისინი მოგებას. ყოველ შემთხვევაში ისინი ვერ მიიღებენ ვერავითარ მოგებას იმით, რომ «ყოველ მათ მიერ წარმოებულ პროდუქტს ისინი ერთმანეთს უფრო ძვირად მიჰყიდიან, ვიდრე მისი წარმოება დაუჯდათ».

2) პროდუქტის იმ ნაწილიდან, რომელსაც ისინი თავიანთ მუშებს მიჰყიდიან ისეთ ფასში, რაც წარმოების ხარჯებს აღემატება, სავსებით ასევე მათ არ შეუძლიათ არავითარი მოგების მიღება. ნაგულისხმევის თანახმად, მუშების მთელი მოხმარება ფაქტიურად წარმოადგენს «იმათ საკუთარ მოხმარებას, ვინც მათს შრომას ყიდულობს». გარდა ამისა, დესტიუტი კიდევ უმატებს, რომ კაპიტალისტები, როცა თავიანთ პროდუქტებს დაქირავებულ მუშაკებს (თავიანთ საკუთარ და უქნარა კაპიტალისტების მუშაკებს) მიჰყიდიან, ამით მხოლოდ «უკანვე იღებენ მათი ხელფასის ჯამს», და მთელ ჯამსაც კი არა, არამედ იმ დანაზოგის გამოკლებით, რაც მუშებმა გააკეთეს. იაფად მიჰყიდიან კაპიტალისტები მუშებს პროდუქტებს თუ ძვირად, — ეს სავსებით სულ ერთია, რადგან ისინი

მუდამ უკან იღებენ მხოლოდ იმას, რაც მათ მუშებს მისცეს: როგორც ზემოთ ითქვა, დაქირავებული მუშები «მხოლოდ იმას აკეთებენ, რომ ერთი ხელით იღებენ, მეორეთი კი უკან უბრუნებენ». კაპიტალისტი ჯერ უხდის მუშას ფულს ხელფასის სახით. შემდეგ იგი მას ძალიან «ძვირად» მიჰყიდის თავის პროდუქტებს და ამით ფულს უკანვე მიიღებს. მაგრამ რადგან მუშას არ შეუძლია კაპიტალისტს იმაზე მეტი დაუბრუნოს, რაც მისგან მიიღო, ამიტომ კაპიტალისტს არასოდეს არ შეუძლია მუშას მიჰყიდოს თავისი პროდუქტები უფრო ძვირად, ვიდრე მან მის შრომაში გადაიხადა. მას ყოველთვის შეუძლია თავისი პროდუქტების გაყიდვისას მუშისაგან უკან მიიღოს მხოლოდ იმდენი ფული, რამდენსაც მისცა მას მის შრომაში. არც ერთი გროშით მეტი. მაშ როგორაა შესაძლებელი ამ «მიმოქცევის» შედეგად კაპიტალისტის ფულს რაოდენობის გადიდება?

[403] გარდა ამისა, დესტიუტს გამოუდის კიდევ მეორე უაზრობა. კაპიტალისტი ↑ უხდის მუშა მ-ს კვირეულ ხელფასს 1 გირვ. სტერლინგის ოდენობით და შემდეგ ამ ერთ გირვანქა სტერლინგს უკანვე იღებს, მიჰყიდის რა მუშას 1 გირვ. სტერლინგის საქონელს. ამ გზით, ფიქრობს ტრასი, კაპიტალისტმა უკან დაიბრუნა ხელფასის მთელი ჯამი. მაგრამ პირველად იგი მუშას აძლევს 1 გირვ. სტერლინგ ფულს, შემდეგ კი აძლევს 1 გირვ. სტერლინგის საქონელს. მაშასადამე. ის, რაც მან სინამდვილეში მუშას მისცა, შეადგენს 2 გირვ. სტერლინგს: 1 გირვ. სტერლინგის საქონელს და 1 გირვ. სტერ. ფულს. ამ 2 გირვ. სტერლინგიდან 1 გირვ. სტერლინგს უკან იღებს ფულის ფორმით. ამრიგად, 1 გირვ. სტერლ. ხელფასიდან მას ნამდვილად არც ერთი გროში არ მიუღია უკან. და თუ მისი ბედი ის იქნებოდა, რომ გამდიდრებულიყო ხელფასის ამგვარი «უკუმიღების» საშუალებით (და არა იმის საშუალებით, რომ მუშამ მას უკან დაუბრუნა შრომით ის, რაც მან მუშას საქონლის სახით ავანსად მისცა), მაშინ ის მალე მშრალზე დარჩებოდა.

კეთილშობილი დესტიუტი აქ ერთმანეთში ურევს ფულის მიმოქცევასა და ნამდვილ საქონელმიმოქცევას. რადგან კაპიტალისტი, ნაცვლად იმისა, რომ პირდაპირ მისცეს მუშას 1 გირვ. სტერლინგის საქონელი. ფულად აძლევს 1 გირვ. სტერლინგს, რის გამოც მუშას ახლა თვითონ შეუძლია განსაზღვროს, რომელი საქონელი იყიდოს ამ ფულით, და რადგან მუშა, რაკი საკუთრებად მიიღო თავისი წილი საქონელი, უკან უბრუნებს კაპიტალისტს ფულის ფორმით იმ ასიგნებას, რაც კაპიტალისტმა მას თავისი საქონლისთვის მისცა, — ამი-

ტომ დესტიუტს წარმოუდგენია, რომ კაპიტალისტი «უკან იღებს» ხელფასს, როცა მასთან უკუმოედინება იგივე ფული. და იმავე გვერდზე ბატონი დესტიუტი შენიშნავს, რომ მიმოქცევის ფენომენი «ცუდადაა გაგებული» (გვ. 239). ეს ფენომენი, მართლაც, თვით მან სრულიად ვერ გაიგო. დესტიუტს რომ ასეთი ორიგინალური წესით არ ეეხსნა «ხელფასის მთელი ჯამის უკუმიღება», ეს უაზრობა კიდევ წარმოსადგენი იქნებოდა ყოველ შემთხვევაში იმ სახით, რა სახითაც ჩვენ მას ახლავე განვიხილავთ.

(მაგრამ წინასწარ კიდევ შემდეგი შენიშვნა მისი სიბრძნის საილუსტრაციოდ. თუ მე დუქანში შევდივარ და მედუქნე მაძლევს 1 გირვ. სტერლინგს, მე კი ამ 1 გირვ. სტერლინგით 1 გირვ. სტერლინგის საქონელს ვყიდულობ მის დუქანში, მედუქნე უკანვე იღებს ამ 1 გირვ. სტერლინგს. არავინ არ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ ამ ოპერაციის შედეგად მედუქნე გამდიდრდა. ნაცვლად 1 გირვ. სტერლინგი ფულისა და 1 გირვ. სტერლინგის საქონლისა ახლა მას აქვს მხოლოდ 1 გირვ. სტერლინგი ფული. თუნდაც რომ მისი საქონლის ღირებულება მხოლოდ 10 შილინგს შეადგენდეს, მას კი ეს საქონელი ჩემთვის 1 გირვ. სტერლინგად მოეყიდა, მაინც იგი 10 შილინგით უფრო ღარიბი გახდებოდა იმასთან შედარებით, რაც იგი საქონლის გაყიდვამდე იყო, თუმცა მან უკანვე მიიღო მის მიერ გაცემული მთელი თანხა — ერთი გირვანქა სტერლინგი.)

თუ კაპიტალისტი ა მუშას მისცემდა 1 გირვ. სტერლინგ ხელფასს და შემდეგ მიჰყიდდა მას 10 შილ. ღირებულების საქონელს 1 გირვ. სტერლინგად, მაშინ იგი, რა თქმა უნდა, 10 შილინგ მოგებას მიიღებდა, იმიტომ, რომ მუშას მიჰყიდა საქონელი 10 შილინგით უფრო ძვირად. მაგრამ ბატონ დესტიუტის თვალსაზრისით ამ შემთხვევაშიც კი გაუგებარი იქნებოდა, როგორ უნდა წარმოიქმნას აქედან მოგება ა-სთვის. (მოგება იქიდან მიიღებაო, რომ კაპიტალისტი უხდის მუშას შემცირებულ ხელფასს, რომ მან მუშას მისი შრომის სანაცვლოდ ფაქტიურად მისცა პროდუქტის უფრო მცირე ნაწილი, ვიდრე მას ნ ო მ ი ნ ა ლ უ რ ა დ აძლევს.) თუ იგი მუშას 10 შილინგს მისცემდა და თავის საქონელს 10 შილინგად მიჰყიდდა, იგი ისეთივე მდიდარი იქნებოდა, როგორიც იმ შემთხვევაში, მას რომ 1 გირვ. სტერლინგი მიეცა მისთვის და 1 გირვ. სტერლინგად მიეყიდნა 10 შილინგად ღირებული თავისი საქონელი. ამასთან დესტიუტი თავის მსჯელობაში აუცილებელი ხელფასის ვარაუდიდან გამოდის. საუკეთესო შემთხვევაში მოგების მთელი ახსნა აქ იქნებოდა მხოლოდ ხელფასის მიმართ თაღლითობის დამოწმება.

ამრიგად, ეს მე-2 შემთხვევა გვიჩვენებს, რომ დესტიუტმა სრულიად დაიკიწყა, რა არის მწარმოებელი მუშა, და არავითარი წარმოდგენა მოგების წყაროზე მას არა აქვს. სულ დიდი-დიდი აქ შეიძლებოდა იმის თქმა, რომ კაპიტალისტი მოგებას ქმნის პროდუქტების გაყიდვით მათს ღირებულებაზე მაღლა. რამდენადაც იგი ამ პროდუქტებს მიჰყიდის არა თავის საკუთარ დაქირავებულ მუშებს, არამედ უქნარა კაპიტალისტების დაქირავებულ მუშაკებს. მაგრამ რადგან არამწარმოებელი მუშაკების მოხმარება ნამდვილად უქნარა კაპიტალისტების მოხმარების მხოლოდ ნაწილს შეადგენს, ამიტომ ჩვენ გადავდიოვართ ახლა მე-3 შემთხვევაზე.

3) მესამე, მოქმედი კაპიტალისტი თავის პროდუქტებს მიჰყიდის ძალიან «ძვირად», მათს ღირებულებაზე მაღლა.

«უქნარა კაპიტალისტებს, რომლებიც მას თავიანთი შემოსავლის იმ ნაწილით ისტუმრებენ, რაც მათ არ მიუციათ დაქირავებული მუშაკებისათვის, რომელთაც ისინი უშუალოდ ქირაობენ; ასე რომ მთელი რენტა, რასაც ყოველწლიურად უქნარა კაპიტალისტებს მოქმედი კაპიტალისტები უხდიან, ამა თუ იმ გზით ხელახლა მოედინება ამ უკანასკნელთან».

აქ კვლავ ბავშვური წარმოდგენაა რენტის უკუმოდინებაზე და სხვ., როგორც წინათ — ხელფასის მთელი ჯამის უკუმიღებაზე. ვთქვათ, მაგალითად, ა უხდის 100 გირვ. სტერლ. როგორც მიწის რენტას ან ფულად რენტას უ-ს (უქნარა კაპიტალისტს). 100 გირვ. სტერლინგი გადახდის საშუალებაა ა-სთვის. იგი ყიდვის საშუალებაა უ-სთვის, რომელსაც ამ ფულით ა-ს საწყობიდან მიაქვს 100 გირვ. სტერლინგის საქონელი. ამით ეს 100 გირვ. სტერლინგი უკან უბრუნდება ა-ს როგორც მისი საქონლის გარდაქმნილი ფორმა. მაგრამ მას აქვს ახლა 100 გირვ. სტერლინგით ნაკლები საქონელი, ვიდრე წინათ. ნაცვლად იმისა, რომ უ-სთვის პირდაპირ საქონელი მიეცა. მან მისცა მას 100 გირვ. სტერლინგი ფული, რითაც იგი მისგან ყიდულობს 100 გირვ. სტერლინგის საქონელს. მაგრამ ამ 100 გირვ. სტერლ. თანხის საქონელს უ ყიდულობს ა-ს ფულით და არა საკუთარი ფონდიდან აღებული სახსრებით. და ტრასის წარმოუდგენია, რომ ამ გზით ა-ს უბრუნდება ის რენტა, რაც მან უ-ს გადაუხადა. რა უგუნურობაა! ეს პირველი უაზრობაა.

მეორე, დესტიუტმა ჩვენ თვითონ გვითხრა, რომ მიწის რენტა და ფულადი რენტა მხოლოდ გამონაკლებია მოქმედი კაპიტალისტის მოგებიდან, მაშასადამე, მხოლოდ ამ მოგების ის ნაწილია. რაც უქნარა კაპიტალისტებს მიეცა. თუ ვიგულისხმებთ ახლა, რომ ა-მ რაი-

მე თვალთმაქცობის მეოხებით უკან დაიბრუნა მთელი ეს ნაწილი [404], თუმცა ამის გაკეთება არ შეიძლება არც ერთი და არც მეორე გზით, რაც ტრასიმ აწერა, — სხვა სიტყვებით, თუ ვიგულისხმებთ, რომ კაპიტალისტი კ არავითარ რენტას არ უხდის არც მიწის მესაკუთრეებს, არც ფულად კაპიტალისტებს, რომ იგი თავისთვის იტოვებს მთელ თავის მოგებას მთლიანად, მაშინ სწორედ იმის ახსნა იქნება საჭირო, საიდან მიიღო მან იგი, როგორ შექმნა მან იგი, როგორ წარმოიშვა იგი. და თუ ეს არ აიხსნება იმით, რომ მას იგი აქვს ანდა ის მას თავისთვის იტოვებს, არ აძლევს მის ნაწილს მიწის მესაკუთრესა და ფულად კაპიტალისტს, მაშინ ასევე შეუძლებელია ამის ახსნა იმითაც, რომ მან მთლიანად ან ნაწილობრივ, ამა თუ იმ გზით უქნარა კაპიტალისტის ჯიბიდან თავის საკუთარ ჯიბეში უკან გადმოითრია მოგების ის ნაწილი, რაც მან მისცა მას ამა თუ იმ სახელწოდებით. მეორე უაზრობა!

მაგრამ გვერდი ავუაროთ ამ უაზრობებს. კ-მ უნდა გადაუხადოს უ-ს (უქნარა კაპიტალისტს) რენტა 100 გირვ. სტერლინგის რაოდენობით მიწისათვის ან კაპიტალისათვის, რომელიც პირველმა მეორისაგან აიღო (loué). ამ 100 გირვ. სტერლინგს იგი იხდის თავისი მოგებიდან (თუ საიდან გაჩნდა ეს მოგება, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით). შემდეგ იგი უ-ს მიჰყიდის თავის პროდუქტებს, რომელთაც ან თვით უ შეჭამს უშუალოდ ანდა მისი მუქთამჭამელები (არამწარმოებელი დაქირავებული მუშები); ამასთან კ მიჰყიდის მას ამ პროდუქტებს მეტისმეტად ძვირად, მაგალითად, მათს ღირებულებაზე 25%-ით მაღლა. 80 გირვ. სტერლინგის ღირებულების პროდუქტებს იგი მიჰყიდის უ-ს 100 გირვ. სტერლინგად. ამ შემთხვევაში კ აუცილებლად მიიღებს 20 გირვ. სტერლინგ მოგებას. მან უ-ს მისცა ასიგნება 100 გირვ. სტერლინგის საქონელზე. მაგრამ როცა ის მიღებული ასიგნების რეალიზაციას ახდენს, კ აძლევს მას მხოლოდ 80 გირვ. სტერლ. ღირებულების საქონელს, ადიდებს რა თავისი საქონლის ნომინალურ ფასს 25%-ით უფრო მაღლა მის ღირებულებაზე. თუ უ შეურიგდებოდა ისეთ მდგომარეობას, როცა ის მოიხმარს 80 გირვ. სტერლინგად ღირებულ საქონელს, გადაიხდის კი ამ საქონელში 100 გირვ. სტერლინგს, მაშინ კ-ს მოგება ვერასოდეს ვერ აღემატებოდა 25%-ს. ეს ფასები, ეს მოტყუება განმეორდებოდა წლიდან წლამდე. მაგრამ უ-ს სურს 100 გირვ. სტერლინგის ქვალობაზე ჭამოს, თუ ის მიწათმფლობელია, რა უნდა ქნას? ის გირაოდ აძლევს კაპიტალისტ კ-ს მიწის ნაკვეთს 25 გირვ. სტერლინგად.

კაპიტალისტი კი მას ამ 25 გირვ. სტერლინგში მიაწოდებს 20 გირვ. სტერლინგად ღირებულ საქონელს, რადგან საქონელს ყიდის მის ღირებულებაზე 25%-ით (1/4-ით) უფრო მაღალ ფასად. თუ Უ ფულის მფლობელია და ფულს სესხად იძლევა, მაშინ იგი კაპიტალისტ ბ-ს უთმობს 25 გირვ. სტერლინგს თავისი კაპიტალიდან, რისთვისაც ეს უკანასკნელი მას აწვდის 20 გირვ. სტერლინგის საქონელს.

დავუშვათ, რომ კაპიტალი (ან მიწის ღირებულება) გაცემული იყო სესხად 5 პროცენტის კვალობაზე. ასეთ შემთხვევაში იგი შეადგენდა 2 000 გირვ. სტერლინგს. ახლა ის შეადგენს მხოლოდ 1975 გირვ. სტერლინგს. ამ Უ-ს რენტა უდრის ახლა 98 3/4 გირვ. სტერლინგს. და ასე გაგრძელდებოდა შემდეგ: Უ ყოველთვის მოიხმარდა ნამდვილ საქონლურ ღირებულებას 100 გირვ. სტერლინგის ოდენობით, მისი რენტა კი განუწყვეტლივ შემცირდებოდა, რადგან იმისათვის, რომ 100 გირვ. სტერლინგის საქონელი ჰქონდეს, იგი მუდამ უნდა ხარჯავდეს თვით თავისი კაპიტალის სულ უფრო მეტ ნაწილს. ასე თანდათანობით ‹ თავის ხელში მიიღებდა Უ-ს მთელ კაპიტალს და მიითვისებდა, თვით კაპიტალთან ერთად, მის რენტასაც, ე. ი. ნასესხები კაპიტალისაგან მიღებული მოგების იმ ნაწილს, რასაც იგი წინათ უქნარა კაპიტალისტ Უ-ს აძლევდა. ცხადია, ეს პროცესი ესახება კიდეც ბატონ დესტიუტის წარმოდგენას, რადგან იგი განაგრძობს:

«მაგრამ, იტყვიან, თუ ეს ასეა და თუ წარმოების სხვადასხვა დარგთა მეწარმენი ნამდვილად ი მ ყ ი ა ნ ყ ო ვ ე ლ წ ლ ი უ რ ა დ ი მ ა ზ ე მ ე ტ ს, რ ა ც დ ა თ ე ს ე ს, მაშინ ისინი მოკლე დროში უნდა დაეუფლონ მ თ ე ლ ს ა ზ ო გ ა დ ო ებ რ ივ ს ი მ დ ი დ რ ე ს, და ს ახელმწიფოში სულ მალე დარჩებიან მხოლოდ საკუთრებას მოკლებული დაქირავებული მუშაკები და კაპიტალისტური მეწარმენი. ე ს ს წ ო რ ი ი, და საქმის ეითარება ასეთი იქნებოდა სინამდვილეში, თუკი მეწარმენი და მათი მემკვიდრენი გამდიდრების შემთხვევაში თავს არ დაანებებდნენ თავიანთ საქმეს და, ამრიგად, განუწყვეტლივ არ შეავსებდნენ უქნარა კაპიტალისტების კლასს; და მაინც, მიუხედავად ამგვარი ემიგრაციისა, რასაც ხშირად აქვს ადგილი, ჩვენ ვხედავთ, რომ როცა ამა თუ იმ ქვეყანაში წარმოება გარკვეული დროის განმავლობაში მნიშვნელოვან შეფერხებათა გარეშე ვითარდება, მაშინ მეწარმეთა კაპიტალები ყოველთვის იზრდება არა მარტო საერთო სიმდიდრის პროპორციულად, არამედ გაცილებით უფრო დიდი ოდენობითაც.... ამას შეიძლები დავუშაოთ, რომ ეს შედეგი გაცილებით უფრო საგრძნობი იქნებოდა, ის უზარმაზარი დაბეგვრანი რომ არ ყოფილიყო, რითაც გადასახადების ფორმით ყველა მთავრობა ყოველწლიურად მძიმე ტვირთს აკისრებს წარმოებაში მოქმედ კლასს» (გვ. 240 — 241).

და ბატონი დესტიუტი გარკვეულ პუნქტამდე სავსებით მართალია, თუმცა არა იმაში, რისი ახსნაც მას სურს. დაღმავალი შუა სა-

უკუნეებისა და აღმავალი კაპიტალისტური წარმოების ეპოქაში «მოქმედი კაპიტალისტების» სწრაფი გამდიდრება ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ ისინი პირდაპირ ატყუებდნენ მიწის მესაკუთრეებს. როცა ფულის ღირებულებამ ამერიკაში მომხდარ აღმოჩენათა შედეგად დაიწია, მეიჯარენი განაგრძობდნენ მიწათმფლობელებისათვის წინანდელი რენტის ნომინალურად, მაგრამ არა რეალურად, გადახდას, მაშინ როდესაც მრეწველები იმავე მიწათმფლობელებს საქონელს მიჰყიდდნენ არა მარტო გადიდებული ფულადი ღირებულების მიხედვით. არამედ მის ღირებულებაზე უფრო მაღალ ფასადაც კი. სავსებით ასევე ყველა იმ ქვეყანაში, მაგალითად, აზიის ქვეყნებში, სადაც ქვეყნის მთავარი შემოსავალი მიწის რენტის სახით მიწათმფლობელების, მთავრების და ა. შ. ხელში იმყოფება, მ ც ი რ ე რ ი ც ხ ო ვ ა ნ ი და ამიტომ კონკურენციისაგან დამოუკიდებელი მრეწველები თავიანთ საქონელს მიჰყიდიან მათ მონოპოლიურ ფასებში და ამ გზით ისაკუთრებენ მათი შემოსავლის ნაწილს, მდიდრდებიან [405] არა მარტო იმით, რომ მათ მიჰყიდიან «ფასგადაუხდელ» შრომას, არამედ იმითაც, რომ საქონლის გაყიდვისას მასში მოთავსებულ შრომაზე უფრო მეტ რაოდენობას მიიღებენ. მხოლოდ ბატონი დესტიუტი კვლავ არ არის მართალი, როცა ფიქრობს, რომ ფულის გაცვლისხელელი კაპიტალისტები თავს იტყუებენ ამგვარადვე. პირიქით, ისინი დიდ სარგებელს იღებენ გასესხებულ ფულზე და პირდაპირ. თუ არაპირდაპირ მონაწილენი არიან ამ მაღალი მოგებისა, მონაწილენი ამ მოტყუებისა.

ბატონ დესტიუტს რომ სწორედ ეს მოვლენა ჰქონდა მხედველობაში, ამას გვიჩვენებს მისი შემდეგი ფრაზა:

«საკმარისია მხოლოდ თვალი გადავავლოთ იმას, თუ როგორ სუსტნი იყვნენ ისინი» (მოქმედი კაპიტალისტები) «მთელ ევროპაში სამასი ან ოთხასი წლის წინათ ყოველგვარ ძლევამოსილ პიროვნებათა უზარმაზარ სიმდიდრესთან შედარებით და როგორ გამრავლდნენ და მომაგრდნენ ახლა ისინი, მაშინ როდესაც პირველთა სიმდიდრე შემცირდა» (ციტირ. თხზ., გვ. 241).

ბატონ დესტიუტს უნდოდა განემარტა ჩვენთვის მოქმედი კაპიტალის მ ო გ ე ბ ა, თანაც მ ა ღ ა ლ ი მ ო გ ე ბ ა. ამას გვიხსნიდა იგი ორნაირად. ჯერ ერთი, იმით, რომ ფ უ ლ ი, რასაც ეს კაპიტალისტები ხელფასისა და რენტის ფორმით იხდიან, უკანვე უბრუნდება მათ. რადგან ამ ხელფასითა და რენტით მათგან ყიდულობენ პროდუქტებს. სინამდვილეში ამით ახსნილია მხოლოდ ის, თუ რატომ არ იხდიან ისინი ხელფასსა და რენტას ო რ მ ა გ ა დ — პირველად ფულის ფორმით, შემდეგ კი იმავე ფულადი თანხის სა-

ქონელთა ფორმით. მეორე ახსნა ისაა, რომ ისინი ყიდიან თავიანთ საქონელს მის ფასზე მეტად, ძ ლ ი ე რ ძ ვ ი რ ა დ; ჯერ-ერთი მიჰყიდიან თ ა ვ ი ა ნ თ თ ა ვ ს, მაშასადამე, ატყუებენ თავიანთ თავს და ერთიმეორეს; მეორე — მიჰყიდიან მუშებს, მაშასადამე, კვლავ თავის თავს ატყუებენ, რადგან ბატონმა დესტიუტმა ხომ გვითხრა, რომ დაქირავებული მუშაკების მოხმარება «უნდა განვიხილოთ როგორც მოხმარება, განხორციელებული იმათ მიერ, ვინც ამ დაქირავებულთ ხელფასით ინახავს» (გვ. 235); ბოლოს, მესამე — მ ი ჰ ყ ი ღ ი ა ნ რ ე ნ ტ ი ს მ ი მ ღ ე ბ თ, და მათაც ასევე ატყუებენ; და ამას, მართლაც. შეეძლო აეხსნა, რატომ იტოვებენ თავისთვის მოქმედი კაპიტალისტები თავიანთი მოგების სულ უფრო მეტ ნაწილს, ნაცვლად იმისა, რომ იგი უქნარა კაპიტალისტებს მისცენ. ეს გვიჩვენებდა, თუ რატომ ხდება ე რ თ ო ბ ლ ი ვ ი მ ო გ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა მოქმედ და არამოქმედ კაპიტალისტებს შორის სულ უფრო პირველთა სასარგებლოდ მეორეთა ხარჯზე. მაგრამ ეს ოდნავადაც კი ვერ წაგვწევდა წინ იმის გაგებისაკენ, თუ ს ა ი დ ა ნ მომდინარეობს ეს ერთობლივი მოგება. თუნდაც დავუშვათ, რომ მოქმედი კაპიტალისტები მთლიანად დაეუფლნენ ამ მოგებას, მაინც რჩება საკითხი: საიდან მიიღება იგი?

ამრიგად, დესტიუტმა ვერაფერზე ვერ გასცა პასუხი, არამედ მხოლოდ ის გამოამჟღავნა, რომ ფულის უკუმოდინება თვით საქონლის უკუმოდინებად მიაჩნია. ფ უ ლ ი ს ეს უ კ უ მ ო დ ი ნ ე ბ ა ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ კაპიტალისტები ხელფასსა და რენტას პირველად ფულით იხდიან, ნაცვლად იმისა, რომ ისინი საქონლით გადაიხადონ; რომ ამ ფულით მათგან შემდეგ მათს საქონელს ყიდულობენ და ამრიგად გამოდის, რომ მათ ამ შემოვლილი გზით საქონლით გადაიხადეს. მაშასადამე, ეს ფული შეუწყვეტლივ მათთან უკუმოედინება, მაგრამ მხოლოდ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მათგან მიაქვთ საქონელი, რომელსაც დაქირავებული მუშები და რენტის მიმღებნი მოიხმარენ.

ბატონი დესტიუტი (წმინდა ფრანგულ ყაიდაზე, **პრუდონთანაც** ვხვდებით ჩვენ განცვიფრების ამგვარ წამოძახილებს თავისი საკუთარი მისამართით) პირდაპირ განცვიფრებულია იმ

«სიცხადით», რაც «ჩვენი სიმდიდრის მოხმარების განხილვის ამ წესს... შეაქვს სოციალურ-ზოგადოებრივი ცხოვრების მთელი მსვლელობის გაგებაში. საიდან გამომდინარეობს ეს ჰარმონია და ეს სინათლე? ისინი გამომდინარეობენ იმ გარემოებიდან, რომ ჩვენ აღმოვაჩინეთ ჭეშმარიტება. ეს მოგვაგონებს იმ სარკეთა მოქმედებას, რომლებშიც სხვნები აირეკლება ზუსტად და მათი სწორი პროპორციებით, როცა

დამკვირვებელმა სათანადო ადგილი დაიკავა, და რომლებშიც ყველაფერი არეული და აბნეული მოჩანს, როცა დამკვირვებელი სარკიდან ძალიან ახლოს ან ძალიან შორს იმყოფება» (გვ. 242 — 243).

შემდგომში ბატონი დესტიუტი სრულიად გაკვრით მოიგონებს— იქიდან, რაც მან ა. სმიტის შრომებში წაიკითხა, — საქმის ნამდვილ ვითარებას, მაგრამ არსებითად იგი იმეორებს მხოლოდ საქმის ამ ნამდვილი მდგომარეობის სიტყვიერ ფორმულირებას, მისი ნამდვილი აზრი კი ვერ გაუგია; იმიტომ რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მას, საფრანგეთის ინსტიტუტის[85] ამ წევრს, არასგზით არ შეეძლო ზემოხსენებული «სინათლის ნაკადის» გადმოფრქვევა. დესტიუტი წერს (გვ. 246):

«საიდან იღებენ ეს უქნარა ადამიანები თავიანთ შემოსავალს? განა არა იმ რენტიდან, რომელსაც მათ უხდიან თავიანთ მოგებათაგან მოქმედი კაპიტალისტები, ე. ი. ისინი, ვისაც მოქმედებაში მოჰყავს თავისი კაპიტალი, ვინც თავისი ფონდებით გადაიხდის იმ შრომისათვის, რომელიც უფრო მეტს აწარმოებს, ვიდრე თვითონ ღირს, ერთი სიტყვით საქმიანი ადამიანები?»

{ აჰა! მაშასადამე, რენტა (და აგრეთვე საკუთარი მოგება), რასაც მოქმედი კაპიტალისტები უქნარა კაპიტალისტებს უხდიან ამ უკანასკნელთა მიერ მისესხებული ფონდებისათვის, იქიდან წარმოდგება, რომ ისინი ამ ფონდებით გადაიხდიან შრომისათვის, «რომელიც უფრო მეტს აწარმოებს, ვიდრე თვითონ ღირს», ე. ი. შრომისათვის, რომლის პროდუქტსაც უფრო მეტი ღირებულება აქვს, ვიდრე ის ღირებულებაა, რაც ამ შრომის შემსრულებელ მუშას გადაუხადეს; ანდა მოგება მიიღება, მაშასადამე, იქიდან, რასაც დაქირავებულ მუშები მათი შესანახი ხარჯების გადამეტებით აწარმოებენ, ე. ი. ზედმეტი პროდუქტიდან, რასაც მოქმედი კაპიტალისტი ისაკუთრებს და საიდანაც ეს უკანასკნელი მხოლოდ გარკვეულ ნაწილს აძლევს მიწისა და ფულადი რენტის მიმღებთ. }

ბატონი დესტიუტი აქედან აკეთებს არა იმ დასკვნას, რომ საჭიროა კვლავ განვიხილოთ მწარმოებელი მუშების ქმედება, არამედ იმ დასკვნას, რომ უნდა განვიხილოთ ქმედება კაპიტალისტებისა, რომლებიც მუშებს იყენებენ.

«სწორედ ეს მოქმედი კაპიტალისტები ასაზრდოებენ სინამდვილეში იმ დაქირავებულ მუშაკებსაც კი, რომლებსაც სხვები ამუშავებენ» (გვ. 246).

რა თქმა უნდა. რამდენადაც ისინი შრომას უშუალოდ უწევენ ექსპლოატაციას, უქნარა კაპიტალისტები კი ამას მხოლოდ მათი მე'ო-

ვეობით აკეთებენ. და ამ გაგებით სწორი იქნება მოქმედი კაპიტალი განვიხილოთ როგორც სიმდიდრის წყარო.

[406]. «ამიტომ ყოველთვის საჭიროა ზოგმართოთ მათ» (მოქმედ კაპიტალისტებს), «თუ ჩვენ გვინდა ვიპოვოთ ყოველი სიმდიდრის წყარო» (გვ. 246).

„დროთა ვითარებაში სიმდიდრე დაგროვდა, ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი რაოდენობით, რადგან წარსული შრომის შედეგი არ მოიხმარებოდა მთლიანად მისი წარმოების დამთავრებისთანავე. ამ სიმდიდრეთა მფლობელებმა ეროვნული ეკონომია იმით ამაყოფილდებიან, რომ იქედან მიიღებენ რენტას და მოიხმარენ ამ უკანასკნელს. ესენი არიან ის ადამიანები, რომელთაც ჩვენ უქნარა კაპიტალისტები ეუწოდეთ. სხვები, უფრო აქტიურნი, საქმეში უშვებენ თავიანთ საკუთარ და სხვებისაგან ნასესხებ ფონდებს. ისინი ამ ფონდებით გადაუხდიან შრომისთვის, რომელიც ამ ფონდებს მოგებით აკეთებენ წარმოებას.

| მაშასადამე, ჩვენ აქ გვაქვს არა მარტო ამ ფონდების კვლავწარმოება, არამედ ისეთი ნამეტის წარმოებაც, რომელიც მოგებას ქმნის. |

«ამ მოგებით ისინი ანაზღაურებენ თავიანთ საკუთარ მოხმარებას და ფარავენ სხვების მოხმარების ხარჯებს. და თვით ამ მოხმარების» (მათი საკუთარი და აგრეთვე უქნარა კაპიტალისტების მოხმარების? — კვლავ წინანდელი უაზრობა) «შედეგად მათი ფონდები უკანვე უბრუნდება მათ რამდენადმე გადიდებული, და მოქმედი კაპიტალისტები ხელახლა ამაევე იწყებენ. აი რას წარმოადგენს მიმოქცევა» (გვ. 246—247).

გამოკვლევამ «მწარმოებელი მუშის შესახებ» და ამ გამოკვლევის შედეგმა, რომლის მიხედვითაც მწარმოებელია, როგორც ჩანს, მხოლოდ ის მუშა, რომლის მყიდველიც მოქმედი კაპიტალისტია, მხოლოდ ის მუშა, რომლის შრომაც ამ შრომის უშუალო მყიდველისათვის მოგებას აწარმოებს, — პატონი დესტიუტი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მოქმედი კაპიტალისტები სინამდვილეში ერთადერთი მწარმოებელი მუშაკებია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

«ისინი, ვინც მოგებით ცხოვრობს» (მოქმედი კაპიტალისტები), «ასაზრდოებენ ყველა დანარჩენ ადამიანებს; მხოლოდ ისინი ადიდებენ საზოგადოებრივ სიმდიდრეს და ქმნიან ყველა ჩვენს განცხრომის საშუალებას. ასეც უნდა იყოს, რადგან შრომა ყოველი სიმდიდრის ერთადერთი წყაროა და რადგან მხოლოდ ისინი აძლევენ მიმდინარე შრომას სასარგებლო მიმართულებას და დაგროვილ შრომას სასარგებლოდ იყენებენ» (გვ. 242).

ის გარემოება, რომ ისინი «მიმდინარე შრომას სასარგებლო მიმართულებას აძლევენ», სინამდვილეში მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ

ისინი იყენებენ სასარგებლო შრომას, შრომას, რომლის შედეგი სახმარი ღირებულებაა. მაგრამ ის, რომ ისინი «დაგროვილ შრომას თავის სასარგებლოდ იყენებენ», — თუ ეს კვლავ იმავეს არ უნდა ნიშნავდეს. სახელდობრ იმას, რომ ისინი დაგროვილ სიმდიდრეს იყენებენ ქმედითად, სახმარ ღირებულებათა საწარმოებლად, — ნიშნავს, რომ ისინი იყენებენ «დაგროვილ შრომას თავის სასარგებლოდ» იმისათვის, რათა ამ შრომით უფრო მეტი მიმდინარე შრომა იყიდონ, ვიდრე თვით დაგროვილი შრომის სიდიდეა. ამ ციტირებულ ფრაზაში დესტიუტი გულუბრყვილოდ რეზიუმეს უკეთებს იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც კაპიტალისტური წარმოების დედაარსს შეადგენს. რადგან შრომა ყოველგვარი სიმდიდრის წყაროა. ამიტომ გამოდის, რომ ყოველი სიმდიდრის წყაროა კაპიტალია; და მზარდი სიმდიდრის ნამდვილი შემქმნელია არა ის, ვინც შრომობს, არამედ ის, ვინც სხვების შრომიდან მოგებას იღებს. შრომის მწარმოებლური ძალები კაპიტალის მწარმოებლური ძალებია.

«ჩვენი უნარი ჩვენი ერთადერთი თავდაპირველი სიმდიდრე: ჩვენი შრომა აწარმოებს ყველა სხვა სიმდიდრეს, და ყოველი კარგად წარმართული შრომა მწარმოებლურია» (გვ. 243).

აქედან. დესტიუტის აზრით, თავისთავად გამომდინარეობს, რომ მოქმედი კაპიტალისტები «ასაზრდოებენ დანარჩენ ადამიანებს, რომ მხოლოდ ისინი ადიდებენ საზოგადოებრივ სიმდიდრეს და ქმნიან განცხრომის ყველა საშუალებას». ჩვენი უნარი (facultés) — ჩვენი ერთადერთი თავდაპირველი სიმდიდრეა, ამიტომ შრომის უნარი (სამუშაო ძალა) არ წარმოადგენს სიმდიდრეს. შრომა აწარმოებს ყველა სხვა სიმდიდრეს; ეს ნიშნავს, რომ ის აწარმოებს სიმდიდრეს ყველა დანარჩენისათვის, გარდა საკუთარი თავისა. და თვით იგი კი არ შეადგენს სიმდიდრეს, არამედ მხოლოდ მისი პროდუქტი. ყოველი კარგად წარმართული შრომა მწარმოებლურია; ეს ნიშნავს, რომ ყოველი მწარმოებლური შრომა, ყოველი შრომა, რომელიც კაპიტალისტს მოგებას აძლევს, კარგადაა წარმართული.

დესტიუტის ქვემომოყვანილი შენიშვნები, რომლებიც შეეხება არა მ ო მ ხ მ ა რ ე ბ ე ლ თ ა ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა კ ლ ა ს ს, არამედ მ ო ხ მ ა რ ე ბ ი ს ს ა გ ა ნ თ ა ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ბ უ ნ ე ბ ა ს, ძალიან კარგად გადმოგვცემენ ა. სმიტის შეხედულებას, რომელიც მან გამოთქვა II წიგნის მე-3 თავში, სადაც იგი, თავის დასასრულს, იკვლევს, რომელი სახის (არამწარმოებლური) ხარჯები, ე. ი. ინდივიდუალური მოხმარება, შემოსავლის მოხმარება არის ყვე-

ლაზე ხელსაყრელი და რომელი ნაკლებად ხელსაყრელი. სმიტი ამ გამოკვლევას იწყებს შემდეგი შესავალი სიტყვებით (გარნიეს თარგმანი, ტომი 11, გვ. 345):

«თუ მომჭირნეობა ადიდებს კაპიტალების საერთო მასას, მფლანგველობა კი აზარალებს მას, სამაგიეროდ მოქმედება იმ ადამიანებისა, რომლებიც მთლიანად ხარჯავენ თავიანთ შემოსავალს, ისე რომ თავიანთ ფონდებს არც რაიმეს უმატებენ და არც რაიმეს აკლებენ — ასეთი მოქმედება კაპიტალების საერთო მასას არც ადიდებს და არც ამცირებს. მაგრამ არსებობს შემოსავლის დახარჯვის ზოგიერთი წესი, რომელიც, ეტყობა, სხვებზე უფრო უწყობს ხელს საყოველთაო კეთილდღეობის ზრდას».

დესტიუტი ასეთ რეზიუმეს უკეთებს სმიტის მსჯელობას:

«თუ მოსმარება ფრიად სხვადასხვანაირია მომხმარებლის ხასიათისდა მიხედვით, ამავე დროს იგი იცვლება აგრეთვე მოსახმარი საგნების ბუნების მიხედვითაც მართალია, ყველა საგანი შრომის გამომხატველია, მაგრამ შრომის ღირებულება ერთ რომელიმე საგანში უფრო მეტიცეადა ფიქსირებული, ვიდრე მეორეში. შუშხუნას მოწყობა შეიძლება იმდენივე შრომა ღირდეს, რამდენიც ბრილიანტის მოპოვება და გახეხა, და ამიტომ პირველს შეიძლება იგივე ღირებულება ჰქონდეს, რაც მეორეს. მაგრამ მას შემდეგ, რაც მე ისინი ვიყიდე, მათში ფასი გადავიხადე და ერთიც და მეორეც გამოვიყენე, პირველიდან ნახევარი საათის შემდეგ აღარაფერი დამრჩება, მაშინ როდესაც მეორე შეიძლება ასი წლის შემდეგაც წარშობადგენდეს ჩემი შვილიშვილებისათვის სიმდიდრის წყაროს.. ასეთივე მდგომარეობაა იმ პროდუქტების მიმართაც [407], რომელთაც არამატერიალურ პროდუქტებს უწოდებენ» (ე. ი. უწოდებს ბატონი სეი). «რ ო მ ე ლ ი მ ე ა ღ მ ო ჩ ე ნ ა მ უ დ მ ი ვ ი ს ა რ გ ებ ლ ო ბ ი ს შ ე მ ც ვ ე ლ ი ა. რომელიმე ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიმე სერათი ასევე მეტნაკლებად ხანგრძლივი სარგებლობის შემცველია, მაშინ როდესაც მეჯლისის, კონცერტის სპექტაკლის სარგებლობა წუთიერია და მყისვე ქრება. იგივე შეიძლება თქვას ექიმების, ადვოკატების, ჯარისკაცების, შინამოსამსახურეთა და საერთოდ ყველა იმათ პ ი რ ა დ მ ო მ ს ა ხ ურ ე ბ ა ზ ე ც, ვისაც მ ო ს ა მ ს ა ხ ურ ე ს უწოდებენ. მათი მარგებლობა მხოლოდ იმ მომენტში არსებობს, როცა მათ საჭიროებენ... ყველაზე აწრაფი მოხმარება ყველაზე გამჩანაგებელია, რადგან სწორედ იგი დროის თანაბარ მონაკვეთში მეტ შრომას ანადგურებს ან უფრო მოკლე დროში შრომის იმავე რაოდენობას ანადგურებს; მასთან შედარებით ყოველი უფრო ნელი მოხმარება არის თავისებური სახე გ ა ნ ძ ი ს შ ე ქ მ ნ ი ს ა, რადგან იგი შესაძლებლობას გვაძლევს დაეტაკებთ მომავალში იმის ნაწილით, რაც დღეს ჩვენ მსხვერპლად გავიღეთ... თვითეულმა ადამიანმა იცის, რომ გაცილებით ეფრო ხელსაყრელი ი მ ა ვ ე ფ ა ს შ ი იქონიოს ტანსაცმელი, რომელიც სამ წელიწადს ძლებს, ვიდრე ტანსაცმელი, რომელიც უკვე სამ თვეში ცვდება» (გვ. 243 — 244).

[15) მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის სმიტისეული განსხვავების წინააღმდეგ მიმართული პოლემიკის ზოგადი დახასიათება. პოლოგეტიკური შეხედულება არამწარმოებლურ მოხმარებაზე როგორც წარმოების აუცილებელ სტიმულზე]

იმ მწერალთა უმრავლესობა, რომლებიც მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის სმიტისეული განსხვავების წინააღმდეგ კამათობდნენ. მ ო ხ მ ა რ ე ბ ა ს განიხილავს როგორც წარმოების აუცილებელ სტიმულს. ა მ ი ტ ო მ მათს თვალში ის დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ ი მ უ შ ა კ ე ბ ი, რომლებიც შემოსავლით ცხოვრობენ, ე. ი. არამწარმოებელი მუშაკები, რომელთა დაქირავებაც სიმდიდრეს არ აწარმოებს, არამედ თვით არის სიმდიდრის ახალი მოხმარება, ისევე მწარმოებელნი არიან მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი ს ი მ დ ი დ რ ი ს შ ე ქ მ ნ ი ს ა ზ რ ი თ ა ც კ ი, როგორც მწარმოებელი მუშები, იმიტომ რომ ისინი აფართოებენ მატერიალური მოხმარების სფეროს, და ამით წარმოების სფეროსაც. მეტწილად ეს იყო, მაშასადამე, პოლოგია, ბურჟუაზიულ-ეკონომიური თვალსაზრისით, ნაწილობრივ უქნარა მდიდრებისა და იმ «არამწარმოებელი მუშაკებისა», რომელთა მ ო მ ს ა ხ უ რ ე ბ ა ს ისინი მოიხმარენ, ნაწილობრივ, «ძლიერი მთავრობებისა», დიდ ხარჯებს რომ ეწევიან, პოლოგია სახელმწიფო ვალების ზრდისა, პოლოგია იმათი, ვისაც შემოსავლიანი ადგილი უჭირავს ეკლესიასა და სახელმწიფოში, პოლოგია ყოველგვარ სინეკურათა და ა. შ. ვინაიდან მთელ ამ «არამწარმოებელ მუშაკებს», რომელთა მომსახურებანი უქნარა მდიდართა ხარჯებს მიეკუთვნება, — ერთმანეთს შორის ის აქვთ საერთო, რომ «ა რ ა მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი პ რ ო დ უ ქ ტ ე ბ ი ს» წ ა რ მ ო ე ბ ი ს ა ს, ისინი მოიხმარენ «მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ პ რ ო დ უ ქ ტ ე ბ ს», ე. ი. მწარმოებელი მუშების შრომის პროდუქტებს.

სხვა ეკონომისტები, როგორც, მაგალითად, მალთუსი, ურიგდებიან განსხვავებას მწარმოებელ და არამწარმოებელ მუშაკებს შორის, მაგრამ «მოქმედ კაპიტალისტებს» უმტკიცებენ, რომ უკანასკნელნი ისევე აუცილებელნი არიან მისთვის მატერიალური სიმდიდრის საწარმოებლადაც კი, როგორც პირველნი.

აქ საქმეს სრულიად არ შველის ფრაზები იმის შესახებ, რომ წარმოება და მოხმარება იდენტურია, ან რომ მოხმარება ყოველი წარმოების მიზანია ანდა რომ წარმოება ყოველი მოხმარების წანა-

მძღვარია. მთელ პოლემიკას — გარდა აღნიშნული ტენდენციისა — საფუძვლად უდევს პირველ რიგში შემდეგი:

მუშის მოხმარება უდრის საშუალოდ ძოლოდ მის წარმოების ხარჯებს და არა მის პროდუქტს. მაშასადამე, მთელ ნამეტს იგი აწარმოებს სხვებისთვის და ამრიგად მისი პროდუქტის მთელი ეს ნაწილი არის წ ა რ მ ო ე ბ ა ს ხ ვ ე ბ ი ს თ ვ ი ს. შემდეგ, «მოქმედი კაპიტალისტი», რომელიც მუშას აიძულებს შეასრულოს ეს ჭ ა რ ბ წ ა რ მ ო ე ბ ა (ე. ი. აწარმოოს მუშის საკუთარ საარსებო მოთხოვნილებათა გადამეტებით) და ყველა საშუალებას ხმარობს იმისათვის, რომ რაც შეიძლება გაადიდოს ეს შეფარდებითი ჭარბწარმოება აუცილებელი წარმოების საპირისპიროდ, უშუალოდ მიითვისებს ზედმეტ პროდუქტს. მაგრამ გაპიროვნებული კაპიტალის სახით იგი აწარმოებს წარმოებისათვის, ესწრაფვის სიმდიდრეს სიმდიდრისათვის. რამდენადაც იგი კაპიტალის ფუნქციათა უბრალო შემასრულებელია, ე. ი. კაპიტალისტური წარმოების მატარებელია, მას აინტერესებს საცვლელი ღირებულება და მისი გადიდება და არა სახმარი ღირებულება და მისი ოდენობის გადიდება. მას აინტერესებს აბსტრაქტული სიმდიდრის გადიდება, სხვისი შრომის მზარდი მითვისება. იგი გამაჭვალულია სავსებით იმავე აბსოლუტური მისწრაფებით გამდიდრებისადმი, როგორც განძის შემგროვებელიც, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ იგი აკმაყოფილებს ამ მისწრაფებას არა ოქროსა და ვერცხლის განძის შექმნის ილუზორული ფორმით, არამედ კაპიტალის შექმნის ფორმით, რაც ნამდვილი წარმოებაა. თუ ჭარბწარმოება მუშისა წ ა რ მ ო ე ბ ა ა ს ხ ვ ე ბ ი ს თ ვ ი ს, მაშინ წარმოება ნორმალური კაპიტალისტისა, «მოქმედი კაპიტალისტისა», როგორიც ეს უკანასკნელი უნდა იყოს, წარმოადგენს წ ა რ მ ო ე ბ ა ს წ ა რ მ ო ე ბ ი ს ა თ ვ ი ს. მართალია, რაც უფრო მეტად იზრდება მისი სიმდიდრე, მით უფრო ღალატობს იგი ამ იდეალს და თვით ხდება მფლანგველი, თუნდაც იმისათვის, რომ საჩვენებლად გამოაფინოს თავისი სიმდიდრე. მაგრამ ეს ყოველთვის მომხმარებელი სიმდიდრეა არაწმინდა სინდისით, ფარული აზრით მომჭირნეობისა და ყირათიანობის შესახებ. მიუხედავად მთელი თავისი მფლანგველობისა, «მოქმედი კაპიტალისტი», როგორც განძის დამგროვებელიც, არსებითად კრიჟანგი რჩება.

თუ სისმონდი ლაპარაკობს. რომ შრომის მწარმოებლური ძალების განვითარება მუშას შესაძლებლობას აძლევს სულ უფრო მეტ განცხრომას მიეცეს, მაგრამ თვით ეს განცხრომანი, თუ ისინი მისი ხვედრი იქნებოდა, მას (როგორც დაქირავებულ მუშას) შრომისათ-

ვის უვარგისად * გახდიდა, მაშინ არანაკლებ მართალია ისიც, რომ «მოქმედი კაპიტალისტი» ხდება ცოტად თუ ბევრად უუნარო თავისი ფუნქციის შესრულების საქმეში, როგორც კი იგი თვით გამოდის მომხმარებელი სიმდიდრის წარმომადგენლად, როგორც კი მისი მისწრაფება შეიქნება განცხრომათა დაგროვება ნაცვლად დაგროვილით განცხრომისა.

ამრიგად, «მოქმედი კაპიტალისტი» ასევე მწარმოებელია ჭარბწარმოებისა, წარმოებისა სხვებისთვის. ამ ჭარბწარმოებას ერთ მხარეზე უნდა უპირისპირდებოდეს ჭარბმოხმარება მეორე მხარეზე, წარმოებას წარმოებისათვის უნდა უპირისპირდებოდეს მოხმარება მოხმარებისათვის. ის, რასაც «მოქმედი კაპიტალისტი» უნდა აძლევდეს მიწის რენტის მფლობელებს, სახელმწიფოს, სახელმწიფოს მევალეებს, ეკლესიას და ა. შ., რომლებიც მხოლოდ შემოსავალს მოიხმარენ [408]. აბსოლუტურად ამცირებს მის სიმდიდრეს, მაგრამ ვერ აცხრობს მის გამდიდრების წყურვილს და ამ გზით ინარჩუნებს მის კაპიტალისტურ სულს. თუ მიწის რენტისა და ფულადი რენტის შემღებნი და ა. შ. ასევე დაიწყებდნენ თავიანთი შემოსავლის ხარჯვას მწარმოებლურ შრომაზე ნაცვლად არამწარმოებლურისა, მიზანი მიუღწეველი დარჩებოდა. ისინი თვითონ გახდებოდნენ «მოქმედი კაპიტალისტები». ნაცვლად იმისა, რომ წარმოედგინათ ფუნქცია მოხმარებისა როგორც ასეთისა. შემდგომში ჩვენ კიდევ გავეცნობით უაღრესად კომიკურ პოლემიკას ამ საკითხის გამო ერთ რიკარდოელსა და ერთ მალთუსელს შორის [86].

წარმოება და მოხმარება შინაგანად [an sich] განუყოფელია. აქედან გამომდინარეობს, რომ რადგან ისინი კაპიტალისტური წარმოების სისტემაში ფაქტიურად გათიშულნი არიან, ამიტომ მათი ერთიანობის აღდგენა ხდება მათი დაპირისპირების მეოხებით, იმ გზით, რომ თუ *A*-მ უნდა აწარმოოს *B*-სთვის, *B*-მ უნდა მოიხმაროს *A*-სთვის. მსგავსად იმისა. როგორც ყველა ცალკეულ კაპიტალისტს, რაც თვით მას შეეხება, სურს, რომ მფლანგველობას იჩენდნენ ისინი, რომლებიც მისი შემოსავლის მონაწილენი არიან, ასევე მთელი ძველი მერკანტილისტური სისტემა იმ იდეაზეა დამყარებული, რომ

* სისმონდი ამბობს: «მრეწველობისა და მეცნიერების პროგრესის შემწეობით მუშას შეუძლია ყოველდღიურად გაცილებით უფრო მეტი აწარმოოს, ვიდრე ეს მისი აუცილებელი მოხმარებისათვის არის საკმარი. მაგრამ იმ დროს, როცა მისი შრომა სიმდიდრეს აწარმოებს, ეს სიმდიდრე, თუ მუშა მოწოდებული იქნებოდა თვითონ მოეხმარა იგი, მუშას ნაკლებად გამოსადეგს გახდიდა შრომისათვის». («Nouveaux Pricipes», ტომი I, გვ. 85).

ერი უნდა იყოს თავდაჭერილი თავის თავის მიმართ, მაგრამ უნდა აწარმოებდეს ფუფუნების საგნებს უცხო ერებისათვის, რომლებიც განცხრომას ეძლევიან. ამიტომ აქ ჩვენ იგივე იდეა გვაქვს: წარმოება წარმოებისათვის ერთ მხარეზე და ამიტომ მოხმარება უცხოური პროდუქციისა მეორე მხარეზე. მერკანტილისტური სისტემის ეს იდეა არის ასახული სხვათა შორის დოქტორ პეილის «Moral Philosophy»-ში, ტომი II, თავი 11:

«ზომიერი და შრომისმოყვარე ხალხი თავის საქმიანობას იქითკენ წარმართავს, რომ დააკმაყოფილოს მოთხოვნილება მდიდარი ერისა, რომელიც ფუფუნებას ეწევა»[87].

* * *

«ისინი» («ჩვენი პოლიტიკოსები», ე. ი. ჯარნიე და სხვ.), ამბობს დესტიუტი, «იმ ზოგად პრინციპს აყენებენ, რომ მოხმარება არის მიზეზი წარმოებისა და ამიტომ რაც უფრო ძლიერია იგი, მით უკეთესია. ისინი ამტკიცებენ, რომ სწორედ ეს ქმნის დიდ განსხვავებას საზოგადოებრივ და კერძო ეკონომიას შორის» (ციტირ. თხზ., გვ. 249 — 250).

ჩინებულია აგრეთვე შემდეგი ფრაზა:

«ღარიბი ერებია ისინი, სადაც ხალხი ჯარგად ცხოვრობს, მდიდარი ერებია კი—ისინი, სადაც ხალხი ჩვეულებრივ ჯარიბია» (იქვე, გვ. 231).

[16)] ანრი შტორხი (ანტიისტორიული მიდგომა მატერიალური და სულიერი წარმოების ურთიერთდამოკიდებულების პრობლემისადმი. კონცეფცია «არამატერიალური შრომისა», რომელსაც გაბატონებული კლასი ასრულებს)

Henri Storch. Cours d'économie politique და ა. შ. ე. ბ. სეის გამოცემა, პარიზი, 1823. (ეს არის დიდი მთავრის ნიკოლოზისათვის წაკითხული და 1815 წელს დამთავრებული ლექციები.) ტომი III.

გარნიეს შემდეგ შტორხი არსებითად პირველი იყო, რომელიც ცდილობდა მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის სმიტისეული განსხვავების წინააღმდეგ მიმართულ პოლემიკაში ახალ ნიადაგზე დამდგარიყო.

მატერიალური დოვლათისაგან, მატერიალური წარმოების შემადგენელი ნაწილებისაგან. იგი განასხვავებს «შინაგან დოვ-

ლ ა თ ს, ანუ ცივილიზაციის ელემენტებს», რომელთა წარმოების კანონებს უნდა სწავლობდეს «ცივილიზაციის თეორია» (დასახელ. თხზ., ტომი III, გვ. 217). (I ტომში, გვ. 136, ჩვენ ვკითხულობთ:

«ცხადია, რომ ადამიანი არასდროს არ იწყებს სიმდიდრეთა წარმოებას, სანამ მას არა აქვს შინაგანი დოელათი, ე. ი. სანამ მას არ განუვითარებია თავისი ფიზიკური, გონებრივი და მორალური უნარი, ეს კი გულისხმობს მათი განვითარების ისეთ საშუალებებს, როგორიცაა ს ა ზ ო გ ა დ ო ებ რ ი ვ ი დ ა წ ყ ე ს ებ უ ლ ე ბ ა ნ ი და ა. შ. მაშასადამე, რაც უფრო ცივილიზებულია ესა თუ ის ხალხი, მით უფრო მეტად შეიძლება იზრდებოდეს მისი ეროვნული სიმდიდრე». სწორედ ასეთია პირიქითაც.)

სმიტის წინააღმდეგ:

«სმიტი... გამორიცხავს მ წ ა რ მ ო ებ ლ ე ერ შ რ ო მ ა თ ა გ ან ყველა იმ შრომას, რომელიც უ შ უ ა ლ ო დ არ მონაწილეობს სიმდიდრეთა წარმოებაში; მაგრამ ამასთან მას მხედველობაში აქვს მხოლოდ ეროვნული ს ი მ დ ი დ რ ე... მისი შეცდომა ისაა, რომ მან ჯეროვნად ვერ გახასხვავა ა რ ა მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი ღირებულებანი და სიმდიდრე» (ტომი III, გვ. 218).

ამით საქმე არსებითად თავდება კიდეც. განსხვავებას შრომის მწარმოებლურ და არამწარმოებლურ სახეობათა შორის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რასაც სმიტი განიხილავს, — მატერიალური სიმდიდრის წარმოებისათვის, თანაც ამ წარმოების გარკვეული ფორმისათვის, კაპიტალისტური წარმოების წესისათვის. სულიერ წარმოებაში მწარმოებლურის სახით სხვაგვარი შრომა გვეელინება, მაგრამ სმიტი არ განიხილავს მას. ბოლოს, ორივე სახის წარმოების ურთიერთმოქმედება და შინაგანი კავშირი ასევე არ შედის მისი განხილვის სფეროში; ამასთან ასეთ განხილვას ცარიელ ფრაზებზე რაიმე მეტის მოცემა მხოლოდ მაშინ შეუძლია, როცა მატერიალური წარმოება განიხილება sub sua propria specie *. თუ სმიტი ისეთ მუშაკებზე ლაპარაკობს, რომლებიც მწარმოებლურნი არიან არა უშუალოდ, ეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი უ შ უ ა ლ ო დ მონაწილეობენ მატერიალური სიმდიდრის მოხმარებაში და არა მის წარმოებაში.

თვით შტორხთან, — თუმცა მის «ც ი ვ ი ლ ი ზ ა ც ი ი ს თ ე ო რ ი ა ს ი» გვხვდება ზოგიერთი გონებამახვილური შენიშვნა, მაგალითად იმის შესახებ, რომ შრომის მატერიალური დანაწილება სულიერი შრომის დანაწილების წანამძღვარია, — «ც ი ვ ი ლ ი ზ ა ც ი ი ს თ ე ო რ ი ა» ვერ გასცილებია ტრივიალურ ზოგად ფრაზებს. თუ რამდენად უ ნ დ ა ჰქონოდა ამას ადგილი შტორხთან, რამდე-

* — თავისი საკუთარი თვალსაზრისით. რ ე დ.

ნად შორს იყო იგი იმისაგან, რომ თუნდაც ჩამოეყალიბებინა თავისთვის ეს ამოცანა, რომ არაფერი ვთქვათ უკვე მის გადაწყვეტაზე, ეს ნათლად ჩანს მხოლოდ ერთადერთი გარემოებიდან. იმისათვის, რომ გამოვიკვლიოთ კავშირი სულიერ [409] და მატერიალურ წარმოებას შორის, უწინარეს ყოვლისა საჭიროა განვიხილოთ თვით ეს მატერიალური წარმოება არა როგორც საყოველთაო კატეგორია, არამედ მის გარკვეულ ისტორიულ ფორმაში. ასე, მაგალითად, კაპიტალისტურ წარმოების წესს შეესაბამება სულიერი წარმოების სხვა სახე, ვიდრე შუა საუკუნეების წარმოების წესს. თუ თვით მატერიალური წარმოება მის სპეციფიკურ ისტორიულ ფორმაში არ განიხილება, შეუძლებელია მისი შესაბამისი სულიერი წარმოების დამახასიათებელ თავისებურებათა და ორივეს ურთიერთმოქმედების გაგება. მაშინ გაცვეთილ ფრაზებს ვერ ვასცილდებით. ეს იმ ფრაზის გამო, რომელიც «ცივილიზაციას» შეეხება.

შემდეგ: მატერიალური წარმოების გარკვეული ფორმიდან გამომდინარეობს, ჯერ-ერთი, საზოგადოების გარკვეული სტრუქტურა, მეორეც, ადამიანთა გარკვეული დამოკიდებულება ბუნებისადმი. ორივე ეს მომენტი განსაზღვრავს ადამიანთა სახელმწიფოებრივ წყობილებას და მათს სულიერ აღქმას და მსოფლგაგებას. მაშასადამე, სწორედ ეს მომენტები განსაზღვრავენ ადამიანთა სულიერი წარმოების ხასიათსაც.

ბოლოს: სულიერი წარმოება შტირნს ესმის ამასთანავე როგორც სხვადასხვა სახის პროფესიული საქმიანობა გაბატონებული კლასის ყველა იმ ფენისა, რომელთათვისაც სოციალური ფუნქციების შესრულება მოსაქმეობას წარმოადგენს. ამ წოდებათა არსებობა, ისევე როგორც მათი ფუნქციები შეიძლება გავიგოთ მხოლოდ მათი წარმოებითი ურთიერთობის გარკვეული ისტორიული განსაზღვრულობიდან.

რადგან შტირნი თვით მატერიალურ წარმოებას განიხილავს არა ისტორიულად, განიხილავს მას როგორც საერთოდ მატერიალური დოვლათის წარმოებას და არა როგორც ამ წარმოების გარკვეულ, ისტორიულად განვითარებულ და სპეციფიკურ ფორმას, ამიტომ იგი ისპობს იმ საფუძველს, რომელზე დაყრდნობის გარეშე არ შეიძლება გავიგოთ არც გაბატონებული კლასის იდეოლოგიური შემადგენელი ნაწილები და არც მოცემული საზოგადოებრივი ფორმაციის თავისუფალი სულიერი წარმოება. მას არ შეუძლია გასცილდეს ზოგადი, უშინაარსო ფრაზების ფარგლებს. ამასთან თვით ეს

ურთიერთობაც არ არის ისე მარტივი, როგორც ეს მას ამთავითვე წარმოუდგენია. მაგალითად, კაპიტალისტური წარმოება მტრულ დამოკიდებულებაშია სულიერი წარმოების ზოგიერთი დარგის მიმართ, მაგალითად, ხელოვნებისა და პოეზიის მიმართ. თუ ამას არ გავითვალისწინებთ, შეიძლება XVIII საუკუნის ფრანგების იმ ილუზიამდე მივიდეთ, რომელსაც ესოდენ კარგად დასცინა ლესინგმა [88]. რაკი მექანიკაში და ა. შ. ძველ ხალხებს გავუსწარით, რატომაც არ უნდა შევქმნათ აგრეთვე ჩვენი ეპოსიც? და აი «ილიადის» ნაცვლად ჩნდება ჰენრიადა» [89].

სწორია, პირიქით, ის, რასაც შტორხი ხაზგასმით აღნიშნავს სპეციალურად გარნიეს წინააღმდეგ, რომელიც არსებითად მამაა სმიტის წინააღმდეგ მიმართული ამ პოლემიკისა. სახელდობრ, აღნიშნავს, რომ სმიტის მოწინააღმდეგენი საკითხს შემცდარ ასპექტში განიხილავენო.

«რას აკეთებენ სმიტის კრიტიკოსები? ისინი ძლიერ შორს არიან იმისაგან, რომ დაადგინონ ეს განსხვავება» («არამატერიალურ ღირებულებასა» და «სიმდიდრეს» შორის), «ისინი საბოლოოდ ურევენ ერთმანეთში ღირებულების ამ ორ სახეობას, რომელნიც ასე აშკარად განსხვავებულნი არიან». (ისინი ამტკიცებენ, რომ სულიერი პროდუქტების წარმოება ან მომსახურებათა წარმოება მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი წარმოებაა). «განიხილავენ რა არამატერიალურ შრომას როგორც მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ს, ისინი ვარაუდობენ, რომ იგი ა წ ა რ მ ო ე ბ ს» (ე. ი. უშუალოდ აწარმოებს) «ს ი მ დ ი დ რ ე ს, ე. ი. მატერიალურ და გაცვლისათვის ვარგის ღირებულებებს; სინამდვილეში კი იგი აწარმოებს მხოლოდ არამატერიალურ და უშუალო ღირებულებებს; სმიტის კრიტიკოსები იმის ვარაუდიდან გამოდიან, რომ არამატერიალური შრომის პროდუქტები იმავე კანონებს ექვემდებარებიან, რომელთაც ექვემდებარებიან მატერიალური შრომის პროდუქტებიც, მაგრამ პირველი კატეგორიის პროდუქტებს სხვა პრინციპები წარმართავენ, ვიდრე მეორე კატეგორიის პროდუქტებს» (ტომი III, გვ. 218).

აღვნიშნავთ შტორხის შემდეგ დებულებებს, რომლებიც მისგან მერმინდელმა ავტორებმა ისესხეს:

«ვინაიდან შინაგანი დოვლათი ნაწილობრივ მომსახურებათა პროდუქტია, აქედან დაასკვნეს, რომ ეს დოვლათი უფრო ხანგრძლივი ოოდია, ვიდრე თვით მომსახურებანი, და რომ იგი აუცილებლად იმავე ზომით მოიხმარება, რა ზომითაც აწარმოება» (ტომი III, გვ. 234). «პირველადი შინაგანი დოვლათი, რომელიც ოდნავაც არ ქრება მისი მოხმარების გამო, იზრდება და მრავლდება ვარჯიშის შემწეობით, ასე რომ თვით მათი მ ო ხ მ ა რ ე ბ ა ადიდებს მათს ღირებულებას» (იქვე, გვ. 236). «შინაგანი დოვლათი, ისევე როგორც სიმდიდრენი, შეიძლება დაგროვდეს და მას შეუძლია წარმოქმნას კაპიტალი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს კეთილწარმოებისათვის» და ა. შ. (იქვე, გვ. 236). «მატერიალური შრომის დანაწილებამდე და მისი პროდუქტების დაგროვებამდე არამატერიალური შრომის დანაწილების შესახებ ფიქრიც კი არ შეიძლება» (გვ. 241).

მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ ყველაზე ზოგადი ზერელე ანალოგიები და პარალელებია სულიერსა და მატერიალურ სიმდიდრეს შორის. სავსებით ასეთივეა, მაგალითად, მისი ის შენიშვნაც, რომ განუვითარებელი ერები თავიანთ სულიერ კაპიტალს უცხოური ქვეყნებიდან ს ე ს ხ ულ ო ბ ე ნ, მსგავსად იმისა, როგორც მატერიალურად განუვითარებელი ერები იქიდან სესხულობენ თავიანთ მატერიალურ კაპიტალს (იქვე, გვ. 306), რომ არამატერიალური შრომის დანაწილება დამოკიდებულია მის მოთხოვნაზე, მოკლედ — ბაზარზე, და ა. შ. (გვ. 246).

და აი ის ადგილები, რომლებიც პირდაპირ გადმოწერილია:

[410] «შინაგანი დოვლათის წ ა რ მ ო ე ბ ა, რომელიც სრულიადაც არ ამცირებს ეროვნულ სიმდიდრეს ამ მატერიალური პროდუქტების მოხმარებით, რომელთაც იგი საჭიროებს, წარმოადგენს, პირიქით, სიმდიდრის გადიდების მძლავრ იარაღს, როგორც, პირიქით, «სიმდიდრეთა წარმოება ცივილიზაციის ზრდის ასეთსავე მძლავრ იარაღს წარმოადგენს» (იქვე, გვ. 517). «ეროვნული კეთილდღეობა იზრდება ამ ორი სახის წარმოების წონასწორობის მეოხებით» (გვ. 521).

შტორხის მიხედვით, ექიმი აწარმოებს ჯანმრთელობას (მაგრამ იგი აწარმოებს აგრეთვე ავადმყოფობასაც), პროფესორები და მწერლები — განათლებას (მაგრამ ისინი აწარმოებენ აგრეთვე ობსკურანტიზმსაც), პოეტები, მხატვრები და სხვ. — გემოვნებას (მაგრამ ისინი აწარმოებენ აგრეთვე უგემოვნობასაც), მორალისტები და ა. შ. — ზნეობას, მქადაგებელნი — რელიგიას, ხელმწიფის შრომა — უშიშროებას და ა. შ. (გვ. 347—350). ამავე წესით შეიძლება ითქვას, რომ ავადმყოფობა აწარმოებს ექიმებს, უგნურება — პროფესორებსა და მწერლებს, უგემოვნობა — პოეტებსა და მხატვრებს, უზნეობა — მორალისტებს, ცრუმორწმუნეობა — მქადაგებელთ, საყოველთაო უშიშროების უქონლობა კი — ხელმწიფეებს. ეს მანერა იმის მტკიცებისა, რომ ყველა ეს საქმიანობა, ეს «მომსახურებანი», აწარმოებენ ნამდვილ ან წარმოსახვითს სახმარ ღირებულებას, გაიმეორეს მერმინდელმა ავტორებმა იმის დასამტკიცებლად, რომ ზემოხსენებული პირები მწარმოებელი მუშაკები არიან სმიტისებური აზრით, ე. ი. უშუალოდ აწარმოებენ არა sui generis * პროდუქტებს, არამედ მატერიალური შრომის პროდუქტებს და, მაშასადამე, უშუალოდ — სიმდიდრეს. შტორხის

* — განსაკუთრებული სახის. რ ე დ.

მსჯელობაში ჯერ კიდევ არა ჩანს ეს უაზრობა, რაც, სხვათა შორის, შემდეგი მომენტებით შეიძლება აიხსნას:

1) ბურჟუაზიულ საზოგადოებაში სხვადასხვა ფუნქციები ერთიმეორეს გულისხმობენ;

2) დაპირისპირებულობანი მატერიალური წარმოების დარგში აუცილებელს ხდიან ზედნაშენს იდეოლოგიური წოდებებიდან, რომელთა საქმიანობა, — კარგია იგი თუ ცუდი, — კარგია იმიტომ, რომ აუცილებელია;

3) ყველა ფუნქცია კაპიტალის სამსახურშია, მის «კეთილდღეობას» ემსახურება;

4) სულიერი წარმოების უმაღლესი სახეობანიც კი აღიარებას პოულობენ და საპატიებელი ხდებიან ბურჟუას თვალში მხოლოდ იმის გამო, რომ ამ სახეობებს გვიხატავენ და მცდარად განმარტავენ როგორც მატერიალური სიმდიდრის უშუალო მწარმოებლებს.

[17)] ნასაუ სენიორი [ბურჟუაზიისათვის სასარგებლო უველა ფუნქციის გამოცხადება მწარმოებლურ ფუნქციად. მონური ქედმოხრა ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული სახელმწიფოს წინაშე]

W. Nassau Senior. Principes fondamentaux de l'économie politique. ჟან არივაბენეს თარგმანი. პარიზი, 1836.

ნასაუ სენიორი მედიდურობს.

«სმიტის მიხედვით, ებრაელთა კანონმდებელი იყო არამწარმოებელი მუშაკი» (დასახელ. ნაწარმ., გვ. 198).

ვინ არის ეს: მოსე ეგვიპტელი თუ მოსე მენდელსონი? მოსე დიდ მადლობას გადაუხდიდა სენიორს, თუ იგი მას სმიტისებურ «მწარმოებელ მუშაკად» მიიჩნევდა. ეს ადამიანები იმდენად შეპყრობილი არიან თავიანთი ბურჟუაზიული აკვიატებული იდეებით, რომ მათი აზრით არისტოტელეს ანდა იულიოს კეისარს ეწყინებოდათ, თუ მათ «არამწარმოებელ მუშაკებს» უწოდებდნენ. ნამდვილად კი არისტოტელე და კეისარი თვით სახელწოდებას «მუშაკები» შეურაცხყოფად მიიჩნევდნენ.

«ვანა ექიმი, რომელიც თავისი მკურნალობის სისტემით ავადმყოფ ბავშვს არ-ჩენს და ამრიგად მას დიდი ხნით სიცოცხლეს უნარჩუნებს, ხანგრძლივ შედეგს არ აწარმოებს?» (იქვე).

სისულელეა! თუ ბავშვი კვდება, შედეგი არანაკლებ ხანგრძლივია. და თუ იგი ავადმყოფად რჩება, ექიმის მ ო მ ს ა ხ უ რ ე ბ ა მაინც უნდა ანაზღაურდეს. ნასაუს თანახმად, ექიმებს გასამრჯელო უნდა მიეცეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი ავადმყოფს განკურნავენ, ადვოკატებს — მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი პროცესებს მოიგებენ, ჯარისკაცებს კი — ბ ნ ო ლ ო დ იმდენად, რამდენადაც ისინი გაიმარჯვებენ.

მაგრამ ახლა იგი ჭეშმარიტად ღრმააზროვანი ხდება:

«განა ჰოლანდიელებმა, როცა ისინი ესპანელთა ტირანიის წინააღმდეგ იბრძოდნენ, ანდა ინგლისელებმა, როცა ისინი აჯახყდნენ ტირანიის წინააღმდეგ, რომელიც მოსალოდნელი იყო კიდევ უფრო საშინელი გახდებოდა, მხოლოდ წუთიერი შედეგები აწარმოეს?» (ციტირ. თხზ., გვ. 196).

ბელეტრისტული აბდაუბდაა! ჰოლანდიელები და ინგლისელები აჯანყებებს ახდენ‌დნენ საკუთარ ხარჯზე. მათთვის არავის არ მიუცია გასამრჯელო იმისათვის, რომ ისინი «რევოლუციაში» შ ერ ო მ ბ დნენ. მწარმოებელი და არამწარმოებელი მუშაკების საკითხის დროს კი მუდამ ლაპარაკია შრომის მყიდველსა და გამყიდველზე. რა სისულელეა!

ამ ვაჟბატონების უხამსი ბელეტრისტიკა, როცა ისინი სმიტს ეკამათებიან, მხოლოდ იმას გვიჩვენებს, რომ ისინი «განათლებული კაპიტალისტების» წარმომადგენლები არიან, მაშინ როდესაც სმიტი აშკარად უნეში მდგომოთაგან გამოსული ბურჟუას გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ე ლ ი იყო. განათლებული ბურჟუა და მისი რუპორი, ორივე იმდენად გონებაჩლუნგია, რომ ისინი ყოველი საქმიანობის შედეგს იმით ზომავენ, თუ რა გაელენას ახდენს იგი [411] ქისაზე. მეორე მხრივ, ისინი იმდენად განათლებული არიან, რომ ისეთ ფუნქციებსა და საქმიანობასაც კ ი ა ღ ი ა რ ე ბ ე ნ, რომელთაც საერთო არაფერი აქვთ სიმდიდრის წარმოებასთან, თანაც აღიარებენ მათ იმიტომ, რომ საქმიანობის ეს სახეობანი მათს სიმდიდრეს «არაპირდაპირ» ამრავლებენ და ა. შ., მოკლედ სიმდიდრისათვის «სასარგებლო» ფუნქციას ასრულებენ.

ადამიანი თვით არის საფუძველი თავისი მატერიალური წარმოებისა, ისევე როგორც მის მიერ შესრულებული ყოველი სხვა წარმოებისაც. ამიტომ ყველა გარემოება, რაც ზეგავლენას ახდენს ადამიანზე, წარმოების ამ ს უ ბ ი ე ქ ტ ზე, სახეს უცვლის ცოტად თუ ბევრად ყველა მის ფუნქციასა და საქმიანობას, მაშასადამე, მის იმ ფუნქციებსა და საქმიანობასაც, რომელთაც იგი ასრულებს, როგორც

მატერიალური სიმდიდრის, საქონლის, შემქმნელი. ამ აზრით შეიძლება მართლაც იმის დამტკიცება, რომ ყველა ადამიანური ურთიერთობა და ფუნქცია, რა ფორმითაც და რაშიც არ უნდა ვლინდებოდნენ ისინი, გაელენას ახდენდნენ მატერიალურ წარმოებაზე და მეტნაკლებად განმსაზღვრელად მოქმედებენ მასზე.

«არსებობს ქვეყნები, სადაც მიწის დამუშავება სრულიად შეუძლებელია ჯარისკაცების მხრივ დაუცველად. მერე რა! სმიტის კლასიფიკაციის თანახმად, მოსავალი არ არის პროდუქტი ერთობლივი შრომისა, რომელსაც ეწევა, ერთი მხრივ, ის ადამიანი, რომელიც გუთანს მისდევს, და, მეორე მხრივ, ადამიანი, რომელიც ირაღით ხელში მის გვერდით მიაბიჯებს; სმიტის აზრით, მხოლოდ მიწათმოქმედია მწარმოებელი მუშაკი, ჯარისკაცის საქმიანობა კი არამწარმოებლურია» (ციტირ. თხზ., გვ. 202).

ჯერ-ერთი, ეს სწორი არ არის. სმიტი იტყოდა, რომ ჯარისკაცის საქმიანობა აწარმოებს დაცვას, მაგრამ არა ხორბალს. თუ ქვეყანაში წესრიგი დამყარდებოდა, მიწათმოქმედი უწინდებურად განაგრძობდა ხორბლის წარმოებას და არ იქნებოდა იძულებული ეწარმოებინა გარდა ამისა კიდევ საშუალებანი ჯარისკაცის შესანახად და, მაშასადამე, ეწარმოებინა მისი სიცოცხლეც. ჯარისკაცი ეკუთვნის წარმოების faux frais *, ისევე როგორც დიდი ნაწილი იმ არამწარმოებელი მუშაკებისა, რომლებიც თვითონ არაფერს არ აწარმოებენ — არც სულიერი, არც მატერიალური წარმოების დარგში — და მხოლოდ მანკიერი სოციალური სტრუქტურის გამო არიან სასარგებლონი, აუცილებელნი, და თავიანთ არსებობას სოციალურ უბედურებას უნდა უმადლოდნენ.

მაგრამ ნასაუს შეეძლო ეთქვა, რომ ისეთი მანქანის გამოგონებით, რომელიც ოცი მუშიდან ცხრამეტს ზედმეტად ხდის, ეს ცხრამეტიც წარმოების faux frais გახდება. მაგრამ ჯარისკაცი შეიძლება ზედმეტი აღმოჩნდეს, მიუხედავად იმისა, რომ წარმოების მატერიალური პირობები, პირობები მიწათმოქმედებისა როგორც ასეთისა, იგივე რჩება. ცხრამეტი მუშა კი შეიძლება ზედმეტი აღმოჩნდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარჩენილი ერთი მუშის შრომა ოცჯერ უფრო ნაყოფიერი გახდება, მაშასადამე, მხოლოდ წარმოების მოცემულ პირობებში მომხდარი რევოლუციის შედეგად. თანაც, უკვე ბიუკენენი შენიშნავს:

«თუკი, მაგალითად, ჯარისკაცს მწარმოებელი მუშაკი უნდა ეწოდოს იმის გამო, რომ მისი შრომა წარმოებას ხელს უწყობს, მაშინ მწარმოებელ მუშას ასე-

* იხ. შენიშვნა 174, გვერდზე. რედ.

თავე უფლებით შეეძლო სამხედრო პატივის პრეტენზია წამოეყენებინა, რადგან უეჭველია, რომ მის დაუხმარებლად ვერც ერთი არმია ვერ შეძლებდა სალაშქროდ წასვლას, რათა ბრძოლები ეწარმოებინა და გამარჯვებანი მოეპოვებინა» (D. Buchanan. Observations on the subjects treated of in Dr. Smith's Inquiry etc. Edinburgh, 1814, გვ. 132).

«ერის სიმდიდრე დამოკიდებულია არა მომსახურებათა მწარმოებელ და ორგანულებათა მწარმოებელ ადამიანთა შორის არსებულ რიცხობრივ შეფარდებაზე, არამედ იგი დამოკიდებულია იმ პროპორციაზე მათ შორის, რომელიც ყველაზე უფრო ხელს უწყობს იმას, რომ თვითეულის შრომა რაც შეიძლება უფრო ქმედითი გახადოს» (სენიორი, ციტირ., თხზ., გვ. 204).

ამას არასოდეს არ უარყოფს სმიტი, რადგან მას სურს ამ «აუცილებელი» არამწარმოებელი მუშაკების რაოდენობა, როგორიც არიან სახელმწიფო მოხელენი, ადვოკატები, ხუცები და ა. შ., შემცირდეს იმ ზომამდე, რა ზომითაც საჭიროა მათი მომსახურებანი. ეს კი, ყოველ შემთხვევაში, სწორედ ის პროპორციაა, რა პროპორციითაც ისინი მწარმოებელი მუშების შრომას რაც შეიძლება უფრო ქმედით შრომად ხდიან. მაგრამ რაც შეეხება სხვა «არამწარმოებელ მუშაკებს», რომელთა შრომასაც ყველა მხოლოდ ნებაყოფლობით ·ყიდულობს, რათა მათი მომსახურებანი გამოიყენოს, ე. ი. ყიდულობს როგორც მისთვის სასურველ მოხმარების საგანს, აქ შეიძლება იყოს სხვადასხვა შემთხვევა. შემოსავლით მცხოვრებ ამ მუშაკთა რიცხვი შეიძლება დიდი იყოს «მწარმოებელი» მუშების რიცხვთან შედარებით, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სიმდიდრე საერთოდ მცირეა ანდა ცალმხრივ ხასიათს ატარებს. როგორც, მაგალითად, ეს იყო შუა საუკუნეების ბარონებთან მათი ამალითურთ. ნაცვლად იმისა, რომ მათ სამრეწველო საქონელი რამდენადმე დიდი ოდენობით მოეხმარათ, ისინი ამალასთან ერთად თავიანთ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს სჭამდნენ. როცა კი მათ ამის მაგივრად სამრეწველო საქონლის მოხმარება იწყეს, მათი ამალა იძულებული გახდა ხელი მოეკიდა შრომისათვის. შემოსავლით მცხოვრებ პირთა რიცხვი დიდი იყო მხოლოდ იმიტომ, რომ წლიური პროდუქტის მნიშვნელოვანი ნაწილის მოხმარება ხდებოდა არა კვლავწარმოებისათვის. თანაც გარდა ამისა. მოსახლეობის საერთო რაოდენობა მცირე იყო. მეორე, შემოსავლით მცხოვრებთა რიცხვი შეიძლება დიდი იყოს იმიტომ, რომ მაღალია მწარმოებელი მუშების მწარმოებლობა, მაშასადამე, დიდია მათი ზედმეტი პროდუქტი, რომლითაც მუქთამჭამელები საზრდოობენ. ამ შემთხვევაში მწარმოებელი მუშების შრომა იმიტომ კი არაა მწარმოებლური, რომ ასე ბევრი მუქთამჭამელი არსებობს, არამედ, პირი-

ქით, ასე ბევრი მუქთამჭამელი იმიტომ არსებობს, რომ მწარმოებელი მუშების შრომა ესოდენ მწარმოებლურია.

თუ ავიღებთ თანაბარი მოსახლეობისა და შრომის მწარმოებლურ ძალთა თანაბარი განვითარების მქონე ორ ქვეყანას, მუდამ მართებული იქნება ვთქვათ ა. სმიტთან ერთად, რომ ორივე ქვეყნის სიმდიდრე უნდა იზომებოდეს მწარმოებელ და არამწარმოებელ მუშებს შორის არსებული თანაფარდობით. ვინაიდან ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში, სადაც მწარმოებელი მუშების რიცხვი შედარებით დიდია, წლიური შემოსავლის შედარებით უფრო დიდი რაოდენობა მოიხმარება კვლავწარმოებისათვის და, მაშასადამე, ყოველწლიურად ღირებულებათა უფრო დიდი მასა იწარმოება. ამრიგად, ბატონი სენიორი მხოლოდ თავისი სიტყვებით გადმოგვცემს ადამის დებულებას [412], ნაცვლად იმისა, რომ მას რაიმე ახალი აზრი დაუპირისპიროს. შემდგომ კი თვით ატარებს აქ განსხვავებას «მომსახურებათა მწარმოებლებსა» და «ღირებულებათა მწარმოებლებს» შორის, და ამრიგად მას იგივე ემართება, რაც სმიტისეული განსხვავების ამ მოწინააღმდეგეთა უმრავლესობას: ისინი ეთანხმებიან და თვითონ იყენებენ იმავე განსხვავებას, რასაც თვითონვე უარყოფენ.

დამახასიათებელია, რომ «არამწარმოებელი» ეკონომისტები — ყველანი, სრულიად რომ არაფერს ქმნიან თავიანთ საკუთარ სპეციალობაში, მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის განსხვავების წინააღმდეგ გამოდიან. მაგრამ ბურჟუას მიმართ «არამწარმოებელი» ეკონომისტების ეს პოზიცია გამოხატავს, ერთი მხრივ, მონურ ქედმოხრილობას, მისწრაფებას იმისადმი, რომ ყველა ფუნქცია ბურჟუასათვის წარმოებული სიმდიდრის სამსახურში მყოფად დასახოს; მეორე მხრივ კი, მისწრაფებას იმის დამტკიცებისადმი, რომ ბურჟუაზიული სამყარო საუკეთესოა სამყაროთა შორის, რომ მასში ყველაფერი სასარგებლოა, თვითონ ბურჟუა კი საკმაოდ განათლებულია, რათა ეს დაინახოს და გაიგოს.

მუშების მიმართ კი ეს თვალსაზრისი ნიშნავს მის მტკიცებას, რომ პროდუქტთა დიდი რაოდენობის მოხმარება არამწარმოებელი ელემენტების მიერ სრულიად ბუნებრივია, რადგან არამწარმოებელი მომხმარებლები ისევე უწყობენ ხელს სიმდიდრის წარმოებას, როგორც მუშები, თუმცა კი თავისებური წესით.

მაგრამ ბოლოს ნასაუს წამოსცდება და გვიჩვენებს, რომ მან ერთი სიტყვაც კი ვერ გაიგო, თუ რა არსებითი განსხვავება გამოიკვლია სმიტმა. ნასაუ ამბობს:

«ხანამდეილეში წარმოგვიდგება, რომ ამ შემთხვევაში სმიტმა მთელი თავისი ყურადღება მიაპყრო იმ მსხვილ მიწის მესაკუთრეთა მდგომარეობას, რომელთა მიმართაც შეიძლება მხოლოდ გამოვიყენოთ საერთოდ მისი შენიშვნები მწარმოებელი კლასების შესახებ. სხვანაირად მე არ შემიძლია ავხსნა მისი მტკიცება, რომ **კაპიტალი გამოიყენება მხოლოდ მწარმოებელი მუშაკების შესანახად, მაშინ როდესაც არამწარმოებელნი შემოსავლით ცხოვრობენ.** უდიდესი ნაწილი იმათგან, ვისაც იგი არამწარმოებელს უწოდებს ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, — მასწავლებლები, სახელმწიფოს მმართველნი, — თავს ირჩენს **კაპიტალის ხარჯზე**, ე. ი. **საშუალებებთ, რომლებიც ავანსად გაიღება კვლავწარმოებისათვის»** (იქვე, გვ. 204—205).

აქ, მართლაც, აზრზე ვერ მოსულხარ ადამიანი: ნასაუს აღმოჩენა, რომ სახელმწიფო და სკოლის მასწავლებელი კაპიტალის ხარჯზე ცხოვრობენ და არა შემოსავლის ხარჯზე, არავითარ შემდგომ ახსნა-განმარტებას არ საჭიროებს. თუ ბატონ სენიორს უნდა ამით ის გვითხრას, რომ ისინი ცხოვრობენ კაპიტალის მოგებით, მაშასადამე, კაპიტალის ხარჯზე ამ გაგებით, მაშინ მას ავიწყდება მხოლოდ, რომ კაპიტალის შემოსავალი არ არის თვით კაპიტალი და რომ ეს შემოსავალი, კაპიტალისტური წარმოების შედეგი, არ გაიღება ავანსად კვლავწარმოებისათვის, არამედ, პირიქით, თვით არის მისი შედეგი. ან იგი ასე ფიქრობს იმიტომ, რომ ზოგიერთი გადასახადი შედის გარკვეულ საქონელთა წარმოების ხარჯებში, მაშასადამე, გარკვეულ წარმოებათა ხარჯებში? მაგრამ მან უნდა იცოდეს, რომ ეს შემოსავლიდან გადასახადის ამოღების მხოლოდ ერთ-ერთი ფორმაა.

შტორხის შესახებ ნასაუ სენიორი, ეს ჭკუის კოლოფი, შენიშნავს კიდევ:

«ბატონი შტორხი, უეჭველად, სცდება, როცა კატეგორიულად ამტკიცებს, რომ ეს **შედეგები**» (ჯანმრთელობა, გემოვნება და ა. შ.) «შეადგენენ, მსგავსად ღირებულების მქონე სხვა საგნებისა, ამ შედეგების მფლობელ ადამიანთა **შემოსავლის** ნაწილს, და რომ მათი გაცვლა ამავე წესით შეიძლება» (სახელდობრ, რამდენადაც ამ შედეგების ყიდვა შეიძლება მათი მწარმოებლებისაგან). «ეს რომ ასე იყოს, გემოვნება, ზნეობა, რელიგია რომ ნამდვილად ისეთი **საგნები** იყოს, რომელთა **ყიდვაც** კაცს შეუძლია, მაშინ სიმდიდრეს სულ სხვა მნიშვნელობა ექნებოდა, ვიდრე ეს, რასაც ეკონომისტები... მას მიაწერენ. ეს, რასაც ჩვენ ვყიდულობთ, სულაც არაა ჯანმრთელობა, ცოდნა ან ღვთისმოსაობა. ექიმს, ხუცესს, მასწავლებელს... შეუძლიათ მხოლოდ ისეთი **საშუალებები** აწარმოონ, რომელთა მეშვეობითაც ბოლოს შესაძლებელი ხდება ამ **შედეგების** მიღწევა მეტი ან ნაკლები უტყუარობით და სრულყოფილისტები. თუ ყოველ მოცემულ შემთხვევაში **გამოყენებული** იყო ყველაზე **შესაფერისი საშუალებანი** წარმატების **მისაღწევად, ამ საშუალებათა** მწარმოებელს უფლება აქვს გასამრჯელო

მოითხოვოს იმ შემთხვევაშიც კი, თუ მან წარმატებას ვერ მიაღწია ან მოსალოდნელი შედეგები ვერ მიიღო. გაცვლა დამთავრებულია, როგორც კი რჩევა ან ვაკვეთილი მიცემულ იქნა და მათში გასაგრძელო მიღებულია» (ციტირ. თხზ., გვ. 288—289).

ბოლოს დიდი ნასაუ თვითონ კვლავ იზიარებს სმიტისეულ განსხვავებას. სახელდობრ, იგი განასხვავებს, ნაცვლად მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომისა, «მწარმოებლურ მოხმარებას და არამწარმოებლურ მოხმარებას» (გვ. 206). მოხმარების საგანი კი არის ან საქონელი, — მაგრამ მასზე როდია აქ ლაპარაკი, — ანდა უშუალოდ შრომა.

სენიორის თანახმად, მწარმოებლურია მოხმარება, თუ ამ პროცესში გამოყენებული შრომა ან თვით სამუშაო ძალას აკვლავწარმოებს (და ამის გაკეთება შეუძლია, მაგალითად, სკოლის მასწავლებლის შრომას ან ექიმის შრომას), ანდა აკვლავწარმოებს იმ საქონელთა ღირებულებას, რომლებითაც ამ შრომას ყიდულობენ. არამწარმოებლურია მოხმარება ისეთი შრომისა, რომელიც არ ასრულებს არც ერთს, არც მეორეს. სმიტი კი აცხადებს: შრომას, რომელიც შეიძლება მოვიხმაროთ მხოლოდ მწარმოებლურად (ე. ი. საწარმოო მიზნით), მე ვუწოდებ მწარმოებლურს, იმ შრომას კი, რომელიც შეიძლება მოვიხმაროთ არამწარმოებლურად, რომლის მოხმარებაც თავისი ბუნების მიხედვით არ არის საწარმოო მოხმარება, მე ვუწოდებ არამწარმოებლურ შრომას. აქ, მაშასადამე, ბატონმა სენიორმა დაამტკიცა თავისი გონებამახვილობა nova vocabula rerum-ის * საშუალებით.

საერთოდ ნასაუ შტორხიდან გადმოიწერს.

[18)] ბ. როსი [ეკონომიური მოვლენათა საზოგადოებრივი ფორმის უყურადღებოდ დატოვება. არამწარმოებელი მუშაკების მიერ «შრომის დაზოგვის» ვულგარული კონცეფცია]

[413] P. Rossi. Cours d'economie politique (წაკითხული იქნა 1836/37 წელს), 1842 წლის ბრიუსელის გამოცემა.

აი, სადაა სიბრძნე!

«არაპირდაპირი საშუალებანი» (წარმოებისა) «მოიცავენ ყველაფერ იმას, რაც ხელს უწყობს წარმოებას, ყველაფერს, რაც ხელს უწყობს დაბრკოლებათა თავიდან აცილებას. წარმოებას ანიჭებს მეტ ქმედითობას. სისწ-

* — საგანთა ახალი სახელწოდებები. რ ე დ.

რაფეს, სიადვილეს». (ამის წინ მას ნათქვამი აქვს, გვ. 268: «არსებობს წარმოების პირდაპირი და არაპირდაპირი საშუალებანი. ეს ნიშნავს: არსებობს ისეთი საშუალებანი, რომელნიც წარმოადგენენ სასურველი შედეგის მიღწევის აუცილებელ პირობას, წარმოადგენენ ამ წარმოების შემსრულებელ ძალებს: არსებობს წარმოების სხვა საშუალებებიც, რომლებიც წარმოებას ხელს უწყობენ, მაგრამ მას არ ასრულებენ. პირველთ შეუძლიათ მარტოც კი იმოქმედონ, მეორეებს შეუძლიათ მხოლოდ დაეხმარონ პირველთ წარმოების პროცესში».)... მთავრობის მუშაკთა მთელი შრომა წარმოების არაპირდაპირი საშუალებაა... მან, ვინც ეს ქუდი დაამზადა, უნდა აღიაროს, რომ ჟანდარმი, რომელიც ქუჩაში დადის, მოსამართლე, რომელიც სხდომაზეა სასამართლოში, ციხის ზედამხედველი, რომელიც დამნაშავეს ციხეში მიიღებს და პატიმრობაში ამყოფებს, არმია, ოომელიც მტრის შემოსევისაგან საზღვარს იცავს, — ესენი ყველანი წარმოებას ხელს უწყობენ» (გვ. 272).

როგორი სიამოვნებაა მექუდისათვის იმის შეგნება, რომ მთელი მსოფლიო მოძრაობაში მოდის იმისათვის, რომ მას შეეძლოს ამ ქუდის წარმოება და გაყიდვა! იმით, რომ ციხის ზედამხედველი და ა. შ. პირდაპირ კი არა — არამედ არაპირდაპირ — მატერიალური წარმოების ხელშემწყობად გამოჰყავს, როსი ფაქტიურად იმავე განსხვავებას ადგენს, რასაც ადგენდა ადამი (XII ლექცია).

მომდევნო, მეცამეტე ლექციაში როსი — არსებითად, იმავე უაიდაზე — დაახლოებით, როგორც მისი წინამორბედნიც, — ex professo* ილაშქრებს სმიტის წინააღმდეგ.

სამი მიზეზითაა, ამბობს იგი, გამოწვეული მცდარი განსხვავება მწარმოებელ და არამწარმოებელ ბუშაკებს შორის.

1) «მაყიდველებს შორის ზოგნი პროდუქტებს ან შრომას უშუალოდ პირადი მოხმარების მიზნით ყიდულობენ; ზოგნი კი მათ იმისათვის ყიდულობენ, რომ გაყიდონ ახალი პროდუქტები, რომელთაც ისინი მათ მიერ შეძენილი პროდუქტებისა და ნაყიდი შრომის მეოხებით ამზადებენ პირველთათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს სახმარ ღირებულებას, მეორეთათვის — საცვლელ ღირებულებას». როცა მხედველობაში იღებენ მხოლოდ საცვლელ ღირებულებას, სმიტის შეცდომას უშვებენ. «ჩემი მსახურის შრომა ჩემთვის, — დავუშვათ ეს ერთი წუთით, — არამწარმოებლურია; მაგრამ განა ეს შრომა არამწარმოებლურია მისთვისაც?» (ციტირ. თხზ., გვ. 275—276).

რადგან მთელი კაპიტალისტური წარმოება იმაზეა დამყარებული, რომ შრომას ყიდულობენ უშუალოდ იმ მიზნით, რომ წარმოების პროცესში გამოყენებული შრომის ნაწილი უყიდლად

* — სპეციალურად. რედ.

მიითვისონ, შემდეგ კი ეს ნაწილიც პროდუქტის სახით გაყიდონ, — რადგან ეს შეადგენს კაპიტალის არსებობის საფუძველს, მის არსებას, — ამიტომ ხომ არ არის კაპიტალის მწარმოებელ შრომასა და მის არ მწარმოებელ შრომას შორის არსებული განსხვავება ბაზისი კაპიტალისტური წარმოების პროცესის გასაგებად? სმიტი არ უარყოფს, რომ მსახურის შრომა მწარმოებლურია თვით მისთვის. ყოველი მომსახურება მწარმოებლურია მისი გამყიდველისათვის. ცრუ ფიცი მწარმოებლურია მისთვის, ვინც მასში ნაღდ ფულს იღებს. დოკუმენტების გაყალბება მწარმოებლურია მისთვის, ვისაც მასში საფასურს აძლევენ. მკვლელობა მწარმოებლურია მისთვის, ვისაც მასში ფულს აძლევენ. სიკოფანტების *, ბაბეზღართა, მუქთახორების, პარაზიტების, პირმოთნეთა მოსაქმეობა მწარმოებლურია მათთვის, თუ ისინი ასეთი სახის «მომსახურებას» ასრულებენ არა უსასყიდლოდ. როსის მიხედვით გამოდის, რომ ისინი ყველანი «მწარმოებელი მუშაკებია», მწარმოებელნი არა მარტო სიმდიდრისა, არამედ კაპიტალისაც ყალთაბანდიც, რომელიც თავის თავს თვითონ უხდის, — ისევე როგორც ამას აკეთებენ სასამართლოები და სახელმწიფო, — «ერთგვარ ძალას ხარჯავს, გარკვეული წესით გამოიყენებს მას, აწარმოებს შედეგს, რომელიც აკმაყოფილებს ადამიანის მოთხოვნილებას» (იქვე, გვ. 275), სახელდობრ ქურდის მოთხოვნილებას და, შეიძლება, გარდა ამისა კიდევ მისი ცოლისა და ბავშვების მოთხოვნილებასაც. გამოდის, რომ იგი მწარმოებელი მუშაკია, თუ მთელი საქმე ისაა, რომ იწარმოებოდეს «შედეგი», რომელიც «მოთხოვნილებას» აკმაყოფილებს, ანდა თუ მომსახურებათა «მწარმოებლური» კატეგორიისადმი მისაკუთვნებლად საჭიროა, როგორც ზემომოყვანილ შემთხვევებში, მხოლოდ ის, რომ ადამიანი თავის «მომსახურებებს» ჰყიდდეს.

2) «მეორე შეცდომა ის იყო, რომ არ განასხვავებდნენ პირდაპირ წარმოებას და არაპირდაპირ წარმოებას. ეი რატომაა, რომ სახელმწიფო მოხელე ა. სმიტს არამწარმოებელ მუშაკად მიაჩნია. მაგრამ თუ წარმოება თითქმის შეუძლებელია» (სახელმწიფო მოხელის შრომის გარეშე), «მაშინ ხომ სრულიად ნათელია, რომ ეს შრომა ხელს უწყობს წარმოებას თუ პირდაპირი და მატერიალური დახმარების მეთხებით არა, ყოველ შემთხვევაში არაპირდაპირი მოქმედებით. მაინც. რომელიც არ შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ» (ციტირ. თხზ., გვ. 276).

ამ შრომას, რომელიც წარმოებაში არაპირდაპირ მონაწილეობს (ის კი არამწარმოებლური შრომის ნაწილია მხოლოდ), ვუწოდებთ

* — «ბლიქნელების», ლაჭიების. რ ე დ.

ჩვენ სწორედ არამწარმოებლურ შრომას. სხვანაირად ჩვენ მოგვიხდებოდა იმის თქმა, რომ რადგან სახელმწიფო მოხელეს აბსოლუტურად არ შეუძლია უგლეხოდ არსებობა, ამიტომ გლეხი იუსტიციის და ა. შ. «არაპირდაპირი მწარმოებელია». სისულელეა! არის კიდევ ერთი თვალსაზრისი, რომელიც შეეხება შრომის დანაწილების საკითხს, მაგრამ ამაზე შემდეგ.

[3)] «საკმაოდ გულდასმით არაა დადგენილი განსხვავება წარმოების სამ მთავარ ფაქტორს შორის: ძ ალ ა ს ა, ა ნ უ მ წ ა რ მ ო ებ ე ლ ს ა შ უ ა ლ ებ ა ს ა, ამ ძალის გ ა მ ო ყ უ ნ ებ ებ ს ა და შ ე დ ე გ ს შორის». ჩვენ მესაათისგან ვყიდულობთ საათს; ამასთან ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ შრომის შ ე დ ე გ ი. ანდა ფერძისაგან ვყიდულობთ სერთუკს; აქ იგივე ხდება. მაგრამ «მოიპოვებიან ჯერ კიდევ ძველი ყაიდის ადამიანები, რომლებიც ასე როდი უყურებენ საქმეს. ისინი მიიყვანენ მუშას და დაავალებენ ამა თუ იმ ტანსაცმლის შეკერვას, მომარაგებენ მას ქსოვილითა და ყველაფრით, რაც ამ სამუშაოსთვის აუცილებელია. რას ყიდულობენ ისინი, ეს ძველი ყაიდის ადამიანები? ისინი ყიდულობენ ძალას» | მაგრამ აგრეთვე «ამ ძალის გამოყენებასაც» («საშუალებას, რომელიც მათი პასუხისმგებლობითა და რისკით გარკვეულ შედეგებს აწარმოებს... ხელშეკრულების ობიექტი ძალის ყიდვა».

(მაგრამ საქმეც ისაა, რომ ეს «ძველი ყაიდის ადამიანები» იყენებენ წარმოების ისეთ წესს, რომელსაც საერთო არაფერი აქვს კაპიტალისტურ წესთან და რომლის პირობებში შეუძლებელია შრომის მწარმოებლურ ძალთა ის განვითარება, რაც თან ახლავს კაპიტალისტურ წარმოებას. დამახასიათებელია, რომ ასეთი სპეციფიკური განსხვავება როსისა და მის მსგავსთათვის არაარსებითია.

«როცა მსახურს ვქირაობ, მე ვყიდულობ ძალას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ასობით მომსახურეთა შესასრულებლად და რომლის მოქმედების შედეგები დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გამოვიყენებ ამ ძალას» (გვ. 276).

ყოველივე ამას საქმესთან არავითარი კავშირი არა აქვს.

[414] მესამე,

«შეიძლება იყიდოთ ან დაიქირავოთ... რომელიმე ძალის გარკვეული გამოყენება... ამ შემთხვევაში თქვენ ყიდულობთ არა პროდუქტს და არა შედეგს, რომელიც მხედველობაში გაქვთ». ადვოკატის მიერ ბრალდებულის დასაცავად წარმოთქმულ სიტყვას შეიძლება შედეგად მოჰყვეს ან არ მოჰყვეს პროცესის მოგება. «ყოველ შემთხვევაში გარიგება თქვენსა და თქვენს ადვოკატს შორის ისაა, რომ გარკვეულ ფასად იგი წავა რომელიმე დღეს რომელიმე ადგილას, რათა» იქ

თქვენს დასაცავად ილაპარაკოს და თქვენს სასარგებლოდ გამოიყენოს **ბოლო** თავისი ინტელექტუალური ძალა» (გვ. 276).

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთი შენიშვნა. XIII ლექციაში, გვ. 273, როსი ამბობს:

«მე აზრადაც არა მაქვს, მწარმოებლებად მივიჩნიო მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც თავიანთ ცხოვრებას კოლენტარის ან წაღების დამზადებაში ატარებენ. მე პატივს ვცემ შრომას, როგორიც არ უნდა იყოს იგი.... მაგრამ ეს პატივისცემა არ უნდა იყოს ფიზიკური შრომის მუშაკის განსაკუთრებული პრივილეგია».

ამას ა. სმიტი არ აკეთებს. ვინც წიგნს, სურათს, მუსიკალურ ნაწარმოებს, ქანდაკებას ქმნის, იგი, მისი აზრით, «მწარმოებელი მუშაკია» მეორე აზრით, თუმცა არც იმპროვიზატორი, არც დეკლამატორი, არც ვირტუოზი და ა. შ. არ არის მწარმოებელი მუშაკი ა. სმიტისათვის. «მომსახურებებს» კი, რამდენადაც ისინი პირდაპირ შედიან წარმოებაში, ა. სმიტი განიხილავს როგორც პროდუქტში მატერიალიზებულთ, სულ ერთია, ფიზიკური შრომის მუშაკის შრომაა ეს, თუ დირიჟორის, ნოტრის, ინჟინრის და მეცნიერისაც კი, თუკი იგი გამომგონებელია, სახელოსნოს მუშაკი, ამ სახელოსნოს კედლებს შიგნით მომუშავეა თუ მის გარეთ. როცა შრომის დანაწილებაზე ლაპარაკობს, სმიტი განმარტავს, როგორ ნაწილდება ეს ოპერაციები სხვადასხვა პირებს შორის, და გვიჩვენებს, რომ პროდუქტი, საქონელი, მათი შრომის ერთობლივი თანამშრომლობის შედეგია და არა ერთი რომელიმე მათგანის შრომისა. მაგრამ როსის აზრით «სულიერი» მუშაკების საზრუნავია მატერიალური წარმოებიდან მათ მიერ მიღებული დიდი წილის გამართლება.

ამ მსჯელობის შემდეგ როსი განაგრძობს:

«ამრიგად, გაცვლითს გარიგებებში წარმოების ამ საში მთავარი ფაქტიდან ხან ერთს ექცევა ყურადღება, ხან მეორეს. ხომ არ შეიძლება გაცვლის ამ სხვადასხვა ფორმების გამო გარკვეულმა პროდუქტებმა დაკარგონ სამდიდრის ხასიათი, ხოლო მწარმოებელთა გარკვეული კლასის ძალღონის ხარჯვამ — მწარმოებლური შრომის თვისებაზე ცხადია, რომ ამ იდეებს შორის არ არსებობს იოანი კუშირი, რომელიც ამგვარ დასკვნას გაამართლებდა. თუ მე, ნაცვლად გარკვეული შედეგის ყიდვისა, ვყიდულობ ძალას, რომელიც აუცილებელია ამ შედეგის საწარმოებლად, განა ამის გამო ამ ძალის მოქმედება არ იქნება მწარმოებლური, ხოლო პროდუქტი არ იქნება სიმდიდრე? ავიღოთ ისევ თერძის მაგალითი. თერძისაგან მზა ტანსაცმელს იყიდით თუ ტანსაცმელს დაამზადებინებთ მკერავ-შუშას, მისცემთ რა ამ უკანასკნელს მასალასა და ხელფასს, — შედეგის მხრივ ორივე შემთხვევაში მუდამ ერთნაირ მდგომა-

რეობა ვექნებათ. ვერავინ იტყვის, რომ პირველი შრომა მწარმოებლური შრომაა, მეორე კი — არამწარმოებლური შრომა; განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მეორე შემთხვევაში ის, ვისაც ტანსაცმლის მიღება სურდა, თავისი საკუთარი მეწარმე იყო. მაგრამ რა განსხვავება იქნება, მწარმოებლური ძალების თვალსაზრისით, შინ სამუშაოდ მიყვანილ იმ მკერავ-მუშასა და თქვენს მსახურს შორის? არავითარი განსხვავება მათ შორის არ არის» (ციტირ. თხზ., გვ. 277).

აქ არის ამ მეოდიდური ლაქლაქას მთელი ყალბი სიბრძნის კვინტესენცია. რამდენადაც ა. სმიტი, თავის მეორე, უფრო ნაკლებად ღრმა განსაზღვრაში, განასხვავებს მწარმოებლურ და არამწარმოებლურ შრომას იმისდა მიხედვით, საგნობრივდება თუ არა შრომა პირდაპირ ისეთ საქონელში, რომლის გაყიდვაც შრომის მყიდველს შეუძლია, — ამდენად იგი თერძს ორივე შემთხვევაში მწარმოებელ მუშაკს უწოდებს. მაგრამ მისი უფრო ღრმა განსაზღვრის თანახმად თერძი, რომელიც მეორე აღნიშნულ შემთხვევაში გამოდის, — «არამწარმოებელი მუშაკია». როსი მხოლოდ იმას გვიჩვენებს, რომ მას «ცხადია» არ ესმის ა. სმიტი.

ის გარემოება, რომ «გაცვლის ფორმები» როსის უმნიშვნელო რამედ ეჩვენება, იმას უდრის, ფიზიოლოგმა რომ თქვას, სიცოცხლის გარკვეულ ფორმათა განსხვავებას მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან ისინი ყველანი მხოლოდ ორგანული მატერიის ფორმებია. მაგრამ სწორედ მხოლოდ ეს ფორმებია ჩვენთვის მნიშვნელოვანი, როცა ლაპარაკია იმაზე, რომ გავიგოთ წარმოების რომელიმე საზოგადოებრივი წესის სპეციფიკური ხასიათი. სერთუკი სერთუკია, მაგრამ თუ იგი იწარმოება გაცვლის პირველი ფორმის პირობებში, მაშინ საქმე გვაქვს კაპიტალისტურ წარმოებასა და თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებასთან; თუ იგი იწარმოება გაცვლის მეორე ფორმის პირობებში, მაშინ ჩვენს წინაშეა ხელით მუშაობის გარკვეული ფორმა, რომელიც შეეთავსება თვით აზიურ ანდა პუასაუკუნეობრივ და სხვ. ურთიერთობას. და ეს ფორმებია განმსაზღვრელი თვით ნივთიერი სიმდიდრისათვის.

სერთუკი სერთუკია, ამაშია როსის მთელი სიბრძნე. მაგრამ პირველ შემთხვევაში მკერავი-მუშა აწარმოებს არა მარტო სერთუკს, იგი აწარმოებს კაპიტალს, მაშასადამე, მოგებასაც; იგი აწარმოებს თავის მეწარმეს როგორც კაპიტალისტს და თავის თავს როგორც დაქირავებულ მუშას. როცა მე მკერავ-მუშას ვაკერვინებ ჩემთვის პირადად შინ სერთუკს, ამით მე ისევე ნაკლებად ვხდები თავისი საკუთარი მეწარმე (გარკვეული ეკონომიური კატეგორიის

მნიშვნელობით), როგორც **პ ე წ ა რ მ ე-მ კ ე რ ა ვ ი** ნაკლებად ხდება მეწარმე იმის გამო, რომ [415] იგი თვით ატარებს და მოიხმარს მისი მუშის მიერ შეკერილ სერთუკს. ერთ შემთხვევაში სამკერავალო შრომის მყიდველი და მკერავი მუშა ერთმანეთს უპირისპირდებიან როგორც უბრალო მყიდველი და უბრალო გამყიდველი. ერთი იხდის ფულს, მეორე აწვდის საქონელს, რომლის სახმარ ღირებულებადაც ჩემი ფული გადაიქცევა. ეს არაფრით არ განსხვავდება იმ შემთხვევისაგან, როცა მე სერთუკს ვყიდულობ მაღაზიაში. აქ ერთმანეთს უპირისპირდებიან გამყიდველი და მყიდველი მხოლოდ როგორც ასეთნი. მეორე შემთხვევაში, პირიქით, ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან როგორც კაპიტალი და დაქირავებული შრომა. რაც შეეხება მსახურს, მას № 2 მუშა-მკერავთან, რომლის შრომას მე თვითონ ვყიდულობ მისი სახმარი ღირებულების გამო, ის საერთო აქვს, რომ მათ ორივეს ერთი და იგივე საზოგადოებრივი ფორმა ახასიათებს. ორივენი — უბრალო გამყიდველები და მყიდველები არიან. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ აქ, ნაყიდი სახმარი ღირებულების სპეციფიკური გამოყენების გამო, ჯერ კიდევ არსებობს გარკვეული პატრიარქალური ურთიერთობა, ბატონობისა და მომსახურების ურთიერთობა, რაც სახეს უცვლის და საძაგელს ხდის მარტივი ყიდვა-გაყიდვის ამ ურთიერთობას, მართალია არა მისი ეკონომიური ფორმის, არამედ მისი შინაარსის მიხედვით.

ამასთან როსი მხოლოდ სხვა გამოთქმებით იმეორებს გარნიეს.

«როცა სმიტი. ამტკიცებს მსახურის შრომა არაკვითარ ნიშანკვალს თავის შემდეგ არ ტოვებსო, იგი — აშკარად უნდა ითქვას, — უფრო მეტად სცდება, ვიდრე ეს დასაშვებია ადამ სმიტისათვის, დაეუშვათ, რომ რომელიმე მეფაბრიკე თვით მართავს დიდ ფაბრიკას, რომლის ზედამხედველობაც დიდ აქტიურობასა და ბევრ შრომას მოითხოვს... და ამ ადამიანს, რომელსაც თავის გვერდით არამწარმოებელი მუშაკები ვერ აიტანია, არა ჰყავს შინამსახურნი. იგი, მაშასადამე, იძულებულია თვით მოემსახუროს თავის თავს... რა დაემართება მის მწარმოებლურ შრომას იმ დროის განმავლობაში, რომელიც მან ამ ვითომდა არამწარმოებლურ შრომას უნდა მოანდომოს? განა ცხადი არაა, რომ თქვენი მსახურნი ასრულებენ შრომას, რომელიც თქვენ შესაძლებლობას გაძლევთ ისეთი შრომა გასწიოთ, რაც თქვენს უნარს უფრო შეეფერება? ამიტომ როგორ შეიძლება იმის თქმა, რომ მათი მომსახურებიდან არავითარი ნიშანკვალი არ რჩება? რჩება. ყოველივე ის, რასაც თქვენ აკეთებთ და რის გაკეთებასაც თქვენ ვერ შეძლებდით, თქვენი პროფენებისა და თქვენი სახლის მომსახურებაში თქვენს მაგიერობას მსახურნი რომ არ გწევდნენ» (ციტირ. თხზ., გვ. 277).

ეს კვლავ ის შ რ ო მ ი ს დ ა ზ ო გ ვ ა ა, რომელზეც ლაპარაკობდნენ გარნიე, ლოდერდელი და განილი. ამ შეხედულებიხ თა-

ნახმად, შრომის არამწარმოებლური სახეობანი მწარმოებლურია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი შრომას უზოგავენ და მეტ დროს უტოვებენ საკუთარი შრომისათვის «ბოქმედ კაპიტალისტს» თუ მწარმოებელ მუშას, — მათ ორივეს უფრო მეტი მნიშვნელობის შრომის შესრულება შეუძლიათო იმის მეოხებით, რომ ნაკლები მნიშვნელობის შრომის დარგში მათ მაგიერობას სხვები ეწევიან. ამით გამორიცხულია არამწარმოებელი მუშაკების მნიშვნელოვანი ნაწილი — შინამსახურნი, რამდენადაც ისინი მხოლოდ ფუფუნების საგნებია, და ყველა ის არამწარმოებელი მუშაკი, რომლებიც მარტოოდენ განცხრომას აწარმოებენ და რომელთა შრომითაც მე შემიძლია ვისარგებლო მხოლოდ მაშინ, თუ მე მ ი ს გ ა მ ო ყ ე ნ ებ ა ზ ე ს წ ო რ ე დ ი მ დ ე ნ ს ა ვ ე დ რ ო ს ვ ხ ა რ ჯ ა ვ, რამდენიც ა მ შ რ ო მ ი ს გ ა მ ყ ი დ ვ ე ლ ს ე ს ა ჭ ი რ ო ებ ა ი მ ი ს ა თ ვ ი ს, რ ა თ ა ა წ ა რ მ ო ო ს ი გ ი, შეასრულოს იგი. ორივე შემთხვევაში შრომის „დაზოგვაზე“ ლაპარაკიც არ შეიძლება. ბოლოს, ნამდვილად შრომის დამზოგველი პირადი მომსახურებანიც კი მწარმოებლურნი იქნებოდნენ იმდენად, რამდენადაც მათი მომხმარებელი მწარმოებელი მუშაკია. თუ იგი უქნარა კაპიტალისტია, ისინი მას შრომას უზოგავენ იმ აზრით, რომ ათავისუფლებენ მას საერთოდ რაიმეს გაკეთების აუცილებლობისაგან. ლორულად ფეთხუმი ქალბატონი სხვას ავარცხნინებს თმას და აჭრევინებს ფრჩხილებს, ნაცვლად იმისა, რომ თვითონ გააკეთეს ეს; პროვინციელი აზნაური მეჯინიბეს ქერაობს, ნაცვლად იმისა, რომ თვითონ იყოს თავისი საკუთარი მეჯინიბე. ადამიანს, რომლის ერთადერთი საქმე ჭამაა, მზარეული ჰყავს, ნაცვლად იმისა, რომ თვითონ დაიმზადოს საჭმელი.

ამ მუშაკების რიცხვს მიეკუთვნებოდნენ აგრეთვე ისინი, ვინც შტორხის გამოთქმით (ციტირ. თხზ.) «მ ო ც ა ლ ე ო ბ ა ს» აწარმოებს, რითაც ზოგიერთს საშუალება ეძლევა შეავსოს თავისი თავისუფალი დრო განცხრომით, გონებრივი შრომით და ა. შ. პოლიციელი მიზოგავს იმ დროს, რომელიც იმისთვის დამჭირდებოდა, რომ საკუთარი თავის ჟანდარმი ვყოფილიყავი, ჯარისკაცი მიზოგავს დროს, რომელიც აუცილებელია თვითდაცვისათვის, მთავრობის მოხელე მიზოგავს დროს, რომელიც იმისათვის მჭირდება, რომ ჩემი თავი ვმართო, ფეხსაცმელების მწმენდავი — იმ დროს, რომელიც ფეხსაცმლის გასაწმენდად მჭირდება, მღვდელი — იმ დროს, რომელიც ფიქრისათვის მჭირდება და ა. შ.

ამ მსჯელობაში სწორია მხოლოდ აზრი შ რ ო მ ი ს დ ა ნ ა-

წ ი ლ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ. გარდა თავისი მწარმოებლური შრომისა ან მწარმოებლური შრომის ექსპლოატაციისა, თვითეულს მრავალი ისეთი ფუნქციის შესრულება მოუხდებოდა, რომლებიც არამწარმოებლური ხასიათისა იქნებოდნენ და რომლებიც ნაწილობრივ შედიან მოხმარების ხარჯებში. (საკუთრივ მწარმოებელმა მუშებმა თვითონ უნდა გაიღონ მოხმარების ხარჯები და თვითონ შეასრულონ თავისთვის არამწარმოებლური შრომა). თუ ეს «მომსახურებანი» სასიამოვნოა, ბატონი ხშირად ასრულებს მათ ყურმოჭრილი მონის მაგივრად, როგორც ამას ამტკიცებს jus primae noctis * ანდა მმართველობის შრომა და სხვ., რომელსაც ბატონები უძველესი დროიდან თვითონ კისრულობენ. მაგრამ ეს სრულიადაც არ სპობს განსხვავებას მწარმოებლურსა და არამწარმოებლურ შრომას შორის; პირიქით, თვით ეს განსხვავება გვევლინება როგორც შ რ ო მ ი ს დ ა ნ ა წ ი ლ ებ ი ს შედეგი და ამდენად იგი ხელს უწყობს შრომის საერთო ნაყოფიერების განვითარებას — ხელს უწყობს იმით, რომ შრომის დანაწილება არამწარმოებლურ შრომას აქცევს მუშაკთა ერთი ნაწილის განსაკუთრებულ ფუნქციად, მწარმოებლურ შრომას კი — მეორე ნაწილის განსაკუთრებულ ფუნქციად.

მაგრამ როსი ამტკიცებს, რომ იმ მრავალი შინამსახურის «შრომაც» კი, რომელთა დანიშნულება მხოლოდ ისაა, რომ თავიანთი ბატონების სიმდიდრე საქვეყნოდ გამოაფინონ, რათა მათი პატივმოყვარეობა დაკმაყოფილონ, «არ არის არამწარმოებლური შრომა». რატომ? იმიტომ, რომ იგი აწარმოებს რ ა ი მ ე ს: პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებას, ტრაბახობის, სიმდიდრის საქვეყნოდ გამოფენის შესაძლებლობას (ციტირ. თხზ., გვ. 277). აქ ჩვენ კვლავ მივდივართ იმ უაზრობამდე, თითქოს ყოველი სახის მომსახურება რაიმეს აწარმოებს: მეძავი აწარმოებს ავხორცობას, მკვლელი — მკვლელობას და ა. შ. თანაც სმიტმა თქვა, რომ ამ ყოველი სახის სისაძაგლეს თავისი ღ ი რ ებ უ ლ ებ ა აქვსო. ისღა გვაკლდა, რომ ამ «მომსახურებებს» უსასყიდლოდ ასრულებდნენ. ამაზე ლაპარაკიც არაა. მაგრამ ეს მომსახურებანი რომ კიდეც უსასყიდლოდ სრულდებოდეს, ისინი მაშინაც კი ერთი ბეწოთიც ვერ გაადიდებდნენ სიმდიდრეს (მატერიალურს).

შემდეგ იწყება ბელეტრისტული ანდა-უბდა:

«ამბობენ, რომ მომღერალი, როცა მან სიმღერა შეწყვიტა, არაფერს არ გვიტოვებს. — არა, იგი გვიტოვებს მოგონებას!» (ძალიან კარგია!). «როცა თქვენ

*—პირველი ღამის უფლება. რ ე დ.

შამპანური დალიეთ, რაღა რჩება ამის შემდეგ?.. ეკონომიური შედეგები შეიძლება იყოს სხვადასხვა, იმისდა მიხედვით, მოხმარება წარმოების აქტია- წაშინვე მოსდევს თუ არა: იგი შეიძლება უფრო სწრაფად ან უფრო ნელა შესრულდეს, მაგრამ თვით მოხმარების ფაქტს, როგორიც არ უნდა იყოს, იგი, არ შეუძლია პროდუქტს წარართვას სიმდიდრის ხასიათი. არსებობს არამატერიალური პროდუქტები, რომლებიც უფრო დიდხანს ძლებენ, ვიდრე ზოგიერთი მატერიალური პროდუქტი. სასახლე დიდხანს არსებობს, მაგრამ «ი ლ ი ა დ ა» — სიამოვნების კიდევ უფრო ხანგრძლივი წყაროა» (გვ. 277—278).

რა უაზრობაა!

იმ აზრით, რა აზრითაც როსის აქ სიმდიდრე ესმის, ე. ი. სახმარი ღირებულების აზრით, საქმის ვითარება ისეთია კია, რომ მხოლოდ მოხმარება ხდის პირველად პროდუქტს სიმდიდრედ, სულ ერთია, როგორც არ უნდა ხდებოდეს ეს მოხმარება: ნელა თუ სწრაფად (მოხმარების ხანგრძლიობა დამოკიდებულია მის საკუთარ ბუნებასა და საგნის ბუნებაზე). სახმარ ღირებულებას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მოხმარებისათვის, და მისი არსებობა მოხმარებისათვის არის მხოლოდ არსებობა როგორც მოხმარების საგნისა, მისი არსებობა მოხმარებაში. როგორც შამპანურის დალევა არ არის მწარმოებლური მოხმარება, თუმცა იგი აწარმოებს კიდეც «ნაბახუსევს». ასევე არ არის მწარმოებლური მოხმარება მუსიკის მოსმენაც, თუმცალა იგი გვიტოვებს «მოგონებას». თუ მუსიკა კარგია და მსმენელი გაიგებს მუსიკას, მაშინ მუსიკის მოხმარება უფრო ამაღლებულია, ვიდრე შამპანურის მოხმარება, თუმცა უკანასკნელის წარმოება «მწარმოებლური შრომაა», პირველის წარმოება კი — არამწარმოებლური.

* * *

თუ შევაჯამებთ მთელ იმ უაზრობას, რომელიც მიმართულია მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის სმიტისეული განსხვავების წინააღმდეგ, შეიძლება ითქვას, რომ გარნიემ და კიდევალბათ, ლოდერდერმა და განილმა (ამ უკანასკნელს კი ახალი არაფერი მოუცია) ამოსწურეს ამ პოლემიკის მთელი შინაარსი. მერმინდელი ავტორები (შტორხის წარუმატებელი ცდის გამოკლებით) იძლევიან ძხოლოდ ბელეტრისტულ მსჯელობას, განათლებულ ყბედობას. გარნიე დირექტორიისა და საკონსულოს ეკონომისტია, ფერრიე და განილი იმპერიის ეკონომისტები არიან. მეორე მხრივ — ლოდერდელი, ბრწყინვალე გრაფი, რომელიც მიზნად უფრო იმას

ისახავდა, რომ ა პ ო ლ ო გ ე ტ უ რ ა დ წ ა რ მ ო ე დ გ ი ნ ა მ ო მ ხ მ ა რ ე ბ ლ ე ბ ი რ ო გ ო რ ც მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ნ ი «ა რ ა მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი შ რ ო მ ი ს ა». მლიქვნელობის, ლაქიობის გ ა ნ დ ი დ ე ბ ა, გადასახადების ამკრეფთათვის, პარაზიტებისათვის ხ ო ტ ბ ი ს შ ე ს ხ ვ ა მ წ ი თ ე ლ ზ ო ლ ა დ გასდევს ყ ვ ე ლ ა ამ ქოფაკთა ნაწერს. ამასთან შედარებით კლასიკური პოლიტიკური ეკონომიისათვის დამახასიათებელი უხეში ცინიკური ხასიათი არსებული წესწყობილების კრიტიკად გვეჩვენება.

[19) მდიდართა მფლანგველობის აპოლოგია მალთუსელ ჩალმერსის მიერ]

ერთ-ერთი ყველაზე ფანატიკური მალთუსელი არის მ ი ს ი მ ა ღ ა ლ ღ ი რ ს ე ბ ა ტ. ჩ ა ლ მ ე რ ს ი, თეოლოგიის პროფესორი, ავტორი წიგნისა «On Political Economy in connexion with the Moral State and Moral Prospects of Society» (2nd edition, London, 1832). ჩალმერსის აზრით, ყველა სოციალური მოუწყობლობის წინააღმდეგ სხვა რამ საშუალება არ არის, გარდა მუშათა კლასის რელიგიური აღზრდისა (ამით იგი გულისხმობს მალთუსისეული მოსახლეობის თეორიის თავში ჩადებას ქრისტიანულად შელამაზებული, ხუცურად-დამრიგებლური ჩიჩინით). ამავე დროს იგი ყოველგვარი ბოროტმოქმედების, სახელმწიფოს მფლანგველური ხარჯვების, ხუცების დიდი ჯამაგირებისა და მდიდართა ბედოვლათობის დიდი დამცველია. იგი წუხს (გვ. 260 და შემდგომი) «დროის სულისკვეთებას», «სასტიკ, შიმშილის მოსაზღვრე, მომჭირნეობას». მოითხოვს დიდ გადასახადებს, უხვ შესასანსლავს «მაღალი» და არამწარმოებელი მუშაკებისათვის, ხუცებისათვის და ა. შ. (იქვე) და რა თქმა უნდა, იგი ხმაურს ტეხს სმიტისეული განსხვავების გამო. ამ განსხვავებას დაუთმო მან მთელი თავი (მეთერთმეტე), რომელიც არაფერ ახალს არ შეიცავს, გარდა იმის მტკიცებისა, რომ მომჭირნეობა და ა. შ. მხოლოდ ზიანს აყენებს «მწარმოებელ მუშაკებს». აქ თავის ტენდენცია დამახასიათებლადაა მოცემული რეზიუმეს სახით შემდეგი სიტყვებით:

«ეს განსხვავება უსარგებლოა და თანაც მისი გამოყენება დამღუპველი» (ციტირ. თხზ., გვ. 344).

და რას წარმოადგენს ეს დამღუპველობა?

«ეს არგუმენტი ასე დაწვრილებით ჩვენ იმიტომ განვიხილეთ, რომ, ჩვენი აზრით, თანამედროვე პოლიტიკური ეკონომია მეტად სასტიკად და მტრულად არის განწყობილი დაწესებული ეკლესიის მიმართ, და ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ამას დიდად შეუწყო ხელი მავნე სმიტისეულმა განსხვავებამ» (გვ. 346).

«დაწესებულ ეკლესიად» ეს ხუცესი გულისხმობს თავის საკუთარ ეკლესიას, ანგლიკანურ ეკლესიას როგორც კანონით «დაწესებულს». ამასთან იგი იყო ერთ-ერთი იმ ვაჟბატონთაგანი, რომლებმაც ხელი შეუწყეს ამ «დაწესებულების» გავრცელებას ირლანდიაში. ყოველ შემთხვევაში, ეს ხუცესი გულახდილობით გამოირჩევა.

[20) დასკვნითი შენიშვნები ადამ სმიტისა და მწარმოებლურ და არამწარმოებლურ შრომაზე მისი შეხედულებების შესახებ]

[417] ვიდრე იმ განყოფილებას დავამთავრებდეთ, სადაც ადამ სმიტზეა ლაპარაკი, მოვიყვანთ მისი წიგნიდან კიდევ ორ ადგილს: პირველში იგი გამოხატავს თავის სიძულვილს არამწარმოებელი მთავრობის მიმართ; მეორეში იგი ცდილობს დაამტკიცოს, თუ რატომ გულისხმობს მრეწველობის პროგრეესი და ა. შ. თავისუფალ შრომას. ხუცების მიმართ სმიტის სიძულვილზე[19]

პირველი ადგილი გვაუწყებს:

«ამიტომ უდიდესი უსირცხვილობა და თავხედობაა, როცა მეფეები და მინისტრები იმას ჩემულობენ, რომ მათ უფლება აქვთ თვალუყური ადევნონ კერძო პირთა მომგებიანობას და შეზღუდონ მათი ხარჯები ფუფუნების საწინააღმდეგო კანონებით ანდა საზღვარგარეთული ფუფუნების საგნების შემოზიდვის აკრძალვით. ისინი თვითონ ყოველთვის და ყოველივე გამონაკლისის გარეშე უდიდესი მფლანგველები არიან მთელ საზოგადოებაში. დე მათ კარგად ადევნონ თვალუყური თავიანთ საკუთარ ხარჯებს, კერძო პირთა ხარჯებზე ზრუნვა კი მათ შეუძლიათ დამშვიდებით კერძო პირებსვე მიანდონ. თუ მათი საკუთარი მფლანგველობა არ ანადგურებს სახელმწიფოს, მას ეერასოდეს ვერ გაანადგურებს მათი ქვეშევრდომების მფლანგველობა» (წიგნი 11, თავი მე-3, მაკაკულოხის გამოცემა, ტომი II, გვ. 122).

და ერთხელ კიდევ შემდეგი ადგილი*:

«საზოგადოების ზოგიერთი ყველაზე პატივცემული წოდების შრომა, მსგავსად შინამსახურთა შრომისა, არ აწარმოებს არაეითარ ღირებულებას». მას აქვს ღირებულება, მაშასადამე, გარკვეული ეკვივალენტის ღირებულებისა», მაგრამ იგი არ აწარმოებს არავითარ ღირებულებას [«და არ ფიქ-

* ან. ეს ტომი, გვ. 164, 165—166, 306. რედ.

სიდიდეა ან არ საგნობივრდება არც ერთ ხანგრძლივად არსებულ საგანში, ანუ გასაყიდად ვარგის საქონელში... მაგალითად, ხელმწიფე მთელი თავისი ხელქვეითი სასამართლოს მოხელეებითა და ოფიცრებით, მთელი არმია და ფლოტი არამწარმოებელი მუშაკებია. ისინი საზოგადოების მსახურნი არიან და მათ ინახავს სხვა ადამიანთა შრომის წლიური პროდუქტის ნაწილი... ამავე კლასს მიეკუთვნებიან... სასულიერო პირნი, იურისტები, ექიმები, ყველა სახის მწერლები; მსახიობები, ხუმარები, მუსიკოსები, ოპერის მომღერლები, ბალეტის მოცეკვავენი და ა. შ.». (იქვე, გვ. 94—95).

ეს არის ენა ჯერ კიდევ რევოლუციური ბურჟუაზიისა, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუმორჩილებია მთელი საზოგადოება, სახელმწიფო და ა. შ. ყველა ეს ტრანსცენდენტული მოსაქმეობა, ძველთაგანვე პატივისცემას რომ იმსახურებდა, — ხელმწიფე, მოსამართლენი, ოფიცრები, ხუცები და ა. შ., — მთელი ერთობლიობა ძველი იდეოლოგიური წოდებებისა, რომელთაც ისინი წარმოშობენ, მათი სწავლულნი, მაგისტრები და ხუცები... ეკონომიურად გათანაბრებულნი არიან ბურჟუაზიის საკუთარი ლაქიებისა და მასხარათა ბრბოსთან, რომლებსაც იგი და უშრომოდ მითვისებული სიმდიდრის წარმომადგენლები — მიწათმოქმედი თავადაზნაურობა და უქნარა კაპიტალისტები არჩენენ. ისინი უბრალოდ საზოგადოების მსახურნი არიან, ისევე როგორც სხვები მათი მსახურებია. ისინი სხვა ადამიანთა შრომის პროდუქტით ცხოვრობენ. ამიტომ მათი რიცხვი აუცილებელ მინიმუმამდე უნდა შემცირდეს. სახელმწიფო, ეკლესია და ა. შ. უფლებამოსილნი არიან მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი მწარმოებელი ბურჟუების საერთო ინტერესების მართვის ან მომსახურების კომიტეტებს წარმოადგენენ; და ამ დაწესებულებათა შესანახი ხარჯები აუცილებელ მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი, რადგან თავისთავად ისინი წარმოების faux frais* ეკუთვნიან. ეს შეხედულება ისტორიულად საინტერესოა იმის გამო, რომ მკვეთრად ეწინააღმდეგება, ერთი მხრივ, იმ ძველი ანტიკური დროის შეხედულებებს, როცა მატერიალურად მწარმოებლური შრომა მონობის დაღს ატარებს და განიხილება მხოლოდ როგორც კვარცხლბეკი უქნარა მოქალაქისათვის, მეორე მხრივ კი — შუა საუკუნეების დაშლიდან წარმოშობილი აბსოლუტური თუ. არისტოკრატიულ-კონსტიტუციური მონარქიის შეხედულებას, რომელსაც მონტესკიე, თვითონ ჯერ კიდევ მის ტყვეობაში მყოფი, ასე გულუბრ-

* იხ. სქოლიო 174 გვერდზე. რ ე დ.

ყველოდ გამოხატავს შემდეგი დებულებით («Esprit des lois», წიგნი VII, თავი მე-4):

«თუ მდიდრები ბევრს არ დახარჯავენ, ღარიბები შიმშილით მოკვდებიან».

პირიქით, მას შემდეგ, რაც ბურჟუაზია სარბიელს დაეუფლა და ნაწილობრივ თვით დაეპატრონა სახელმწიფოს, ნაწილობრივ კი დათმობაზე წავიდა მის წინანდელ ბატონ-პატრონებთან; მას შემდეგ, რაც მან იდეოლოგიური წოდებანი მიიჩნია როგორც თავისი ხორცი ხორცთაგანი და ისინი ყველგან თავის ნოქრებად გადააქცია და თავისი ბუნების შესაბამისად გარდაქმნა; მას შემდეგ, რაც თვით იგი არ უპირისპირდება მათ როგორც მწარმოებლური შრომის წარმომადგენელი, არამედ მის წინაალმდეგ ჯანყდებიან ნამდვილი მწარმოებელი მუშები და სავსებით ასევე მას უცხადებენ, რომ იგი სხვა ადამიანების შრომის შედეგებით ცხოვრობს; მას შემდეგ, რაც იგი საკმაოდ განათლებული გახდა იმისათვის, რომ მთლიანად წარმოებას აღარ მიეცეს, არამედ აგრეთვე «განათლებულ» მოხმარებასაც ესწრაფვის; მას შემდეგ, რაც გონებრივი შრომა სულ უფრო მეტად და მეტად თვით მისი მ ო მ ს ა ხ უ რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს სრულდება, კაპიტალისტური წარმოების სამსახურში დგება, — მას შემდეგ საქმის ვითარება იცვლება, და ბურჟუაზია ცდილობს «ეკონომიურად» თავისი საკუთარი თვალსაზრისით გაამართლოს ის, რის წინააღმდეგაც უწინ იგი თავისი კრიტიკით იბრძოდა. მისი რუპორები და მისი სინდისის დამამშვიდებელნი ამ მხრივ არიან გარნიე და სხვები. ამას ემატება კიდევ გულმოდგინე ცდა ამ ეკონომისტებისა (რომლებიც თვით არიან ხუცები, პროფესორები და ა. შ.) დაამტკიცონ თავიანთი «მწარმოებლური» სარგებლიანობა, «ეკონომიურად» გაამართლონ თავიანთი ჯამაგირები.

[418] მეორე ადგილი, რომელიც მონობას ეხება, გვაუწყებს:

«მსგავსი პროფესიები» (ხელოსნისა და მანუფაქტურის მუშაკის პროფესიები) «ითვლებოდა» (ბევრ ანტიკურ სახელმწიფოში) «ძხოლოდ მონებისათვის შესაფერ პროფესიებად, და მოქალაქეებს ეკრძალებოდათ მათთვის ხელის მოკიდება ისეთ სახელმწიფოებშიც კი, სადაც ასეთი მოსაქმეობა აკრძალული არ იყო, როგორც, მაგალითად, ათენსა და რომში, ხალხი ფაქტიურად ჩამოშორებული იყო ყველა იმ მოსაქმეობას, რასაც ამჟამად ჩვეულებრივ ქალაქის მოსახლეობის დაბალი კლასები ეწევიან. ამ მოსაქმეობას ათენსა და რომში ეწევოდნენ მდიდართა მონები, ამასთან ისინი მას ასრულებდნენ თავიანთი ბატონების სასარგებლოდ, რომელთა სიმდიდრე, ძალიერება და მფარველობა თითქმის შეუძლებელს ხდიდა თავისუფალი ღარიბებისათვის თავიანთი ნაწარმის გასაღებას, როცა ეს ნაწარმი კონ-

კურენციას უწევედა მდიდართა მონების ნაწარმს. მაგრამ მონებს იშვიათად შესწევდა გამომონებლობის უნარი, და ყველა უმნიშვნელოვანესი გაუმჯობესება მრეწველობაში, რაც კი შრომას აადვილებს და ამოყლებს, მანქნების მეოხებით იქნება ეს თუ შრომის უკეთესი ორგანიზაციისა და დანაწილების მეოხებით, გამოგონებული იყო თავისუფალი ადამიანების მიერ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ რომელიმე მონა მოიფიქრებდა და რაიმე ამგვარი გაუმჯობესების წინადადებას წამოაყენებდა, მისი ბატონი ამაში დაინახავდა მისი სიზარმაცის გამოვლენას და სურვილს, რომ მას ბატონის ხარჯზე თავისი შრომა დაეზოგა. ღარიბ მონას ჯილდოს ნაცვლად მოელოდა, ალბათ, მხოლოდ ლანძღვა-გინება და, შესაძლოა, ცემაც კი. ამიტომ იმ საწარმოებში, სადაც მონების შრომას იყენებენ, პროდუქტთა ერთი და იმავე რაოდენობის დასამზადებლად, როგორც წესი, საჭიროა მეტი შრომის ხარჯვა, ვიდრე საწარმოებში, სადაც თავისუფალ ადამიანთა შრომაა გამოყენებული. ამის გამო პირველი სახის საწარმოთა ნაკეთობანი, როგორც წესი, უფრო ძვირია, ვიდრე მეორე სახის საწარმოებისა. მონტესკიე შენიშნავს, რომ უნგრეთის მაღაროების ექსპლოატაცია, თუმცა ისინი არ არიან უფრო მდიდარი, ვიდრე მათ მეზობლად მდებარე თურქეთის მაღაროები, ყოველთვის წარმოებდა უფრო ნაკლები ხარჯებით და, მაშასადამე, მეტი მოგებით. თურქეთის მაღაროების ექსპლოატაცია წარმოებს მონების მეოხებით, და ამ მონების ხელები ერთადერთი მანქანებია, რისი გამოყენებაც თურქებმა მოიფიქრეს. უნგრეთის მაღაროების ექსპლოატაცია წარმოებს თავისუფალი ადამიანების მეოხებით, რომლებიც მანქანების დიდ რაოდენობას იყენებენ თავიანთი შრომის შესამსუბუქებლად და შესამცირებლად. თუ იმ ცოტაოდენი მონაცემების მიხედვით ვიმსჯელებთ, რაც ჩვენთვის ცნობილია მანუფაქტურულ ნაკეთობათა ფასების შესახებ ბერძენთა და რომაელთა ეპოქაში, მაღალი ხარისხის ნაკეთობანი, ტყობა, უაღრესად ძვირი ყოფილა» (ციტირ. თხზ., წიგნი IV, თავი მე-9; გარნიეს თარგმანი, ტომი III, გვ. 549—551).

* * *

ა. სმიტი თვით წერს IV წიგნის 1-ლ თავში[91]:

«ბატონი ლოკი შენიშნავს, რომ საჭიროა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან ფული და სხვა მოძრავი ქონება. ყველა სხვა მოძრავი საგანი, ამბობს იგი, იმდენად წარმავალი ბუნებისაა, რომ ასეთი საგნებისაგან შემდგარი სიმდიდრე მაინცა და მაინც საიმედო არ არის... ფული, პირიქით, საიმედო მკვლობარია» და ა. შ. (იქვე, ტომი III, გვ. 5).

და შემდეგ იქვე, 24 — 25 გვერდებზე:

«მოხმარების საგნები, გვეუბნებიან, მალე ნადგურდებიან, მაშინ როდესაც ოქრო და ვერცხლი თავისი ბუნების გამო უფრო ხანგრძლივად არსებობენ, და ისინი მუდამ რომ არ გაქმნდეთ საზღვარგარეთ, მაშინ მრავალი ასეული წლის მანძილზე ეს ლითონი შეიძლებოდა დაგროვილიყო, ასე რომ ქვეყნის ნამდვილი სიმდიდრე წარმოუდგენლად გაიზრდებოდა».

მონეტარული სისტემის მომხრე ადამიანი ოცნებობს ოქროსა და ვერცხლზე იმიტომ, რომ ისინი ფულია, საცელელი ღირებულე-

ბის თავისთავადი ყოფიერება, მისი ხელშესახები ყოფიერება, თანაც მისი ურღვევადი, მარადი ყოფიერება, რამდენადაც ფული არ იქცევა მიმოქცევის საშუალებად, საქონელთა საცვლელი ღირებულების უბრალო წარმავალ ფორმად. ოქროსა და ვერცხლის დაგროვება, თავმოყრა, განძის შექმნა ამიტომ გამდიდრების ის ხერხია, რომელსაც მონეტარული სისტემა ქადაგებს. და, როგორც ეს პეტიდან აღებული ციტატის [92] საშუალებით ნათელვყავი; სხვა საქონელიც კი აქ იმდენად ფასდება, რამდენადაც იგი მეტ-ნაკლებად ხანგრძლივია, ე. ი. რამდენადაც იგი საცვლელ ღირებულებად რჩება.

ადა ა. სმიტი, ჯ ე რ-ე რ თ ი, იმეორებს იმავე მოსაზრებას საქონელთა შეფარდებით მეტ-ნაკლებ ხანგრძლიობაზე იმ ადგილას, სადაც იგი ლაპარაკობს, რომ მოხმარება შეიძლება იყოს უფრო მეტად ან უფრო ნაკლებად სასარგებლო სიმდიდრის შესაქმნელად იმისდა მიხედვით, უფრო მეტად თუ უფრო ნაკლებად ხანგრძლივია მოხმარების საგანთა არსებობა[93]. ამრიგად, აქ მის მსჯელობაში გამოსჭვივის მონეტარული სისტემის წარმოდგენანი; და ეს ასეც უნდა იყოს, რადგან უშუალო მოხმარების დროსაც კი საქონლის მფლობელს მაინც უტრიალებს ფარული აზრი იმის შესახებ, რომ [419] მოხმარების საგანი რჩება ს ი მ დ ი დ რ ე დ, საქონლად, ანუ-სადამე, სახმარი და საცვლელი ღირებულების ერთიანობად, ეს უკანასკნელი კი დამოკიდებულია სახმარი ღირებულების ხანგრძლიობაზე. მაშასადამე, იმაზე, რომ რიგ შემთხვევებში მოხმარება მხოლოდ თანდათანობით და ნელა უსპობს სახმარ ღირებულებას იმის შესაძლებლობას, რომ იგი წარმოადგენდეს ს ა ქ ო ნ ე ლ ს, ანუ იყოს საცვლელი ღირებულების მატარებელი.

მ ე ო რ ე: მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის განსხვავების მეორე კონცეფციის დადგენით სმიტი მთლიანად უბრუნდება — უფრო ფართო ფორმით — მონეტარული სისტემის მიერ წამოყენებულ განსხვავებას.

მწარმოებლური შრომა «ფიქსირდება და საგნობრივდება რომელიმე განსაკუთრებულ საგანში, ანუ გასაყიდად ვარგის საქონელში, რ ო მ ე ლ ი ც ა რ ს ებ ობ ს, ყ ო ვ ე ლ ს შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა ში, გ ა რ კ ვ ე ულ ი დ რ ო ს ს ა ნ მ ა ე ლ ობ ა ში მ ას შ ე მ დ ე ვ, რ ა ც თ ვ ი თ ეს შ რ ო მ ა უ კ ვ ე შ ე წ ყ ვ დ ა. ეს არის, ასე ვთქვათ, შრომის გარკვეული რაოდენობა, დაგროვილი მისი გასაგნობრივების პროცესში და მარაგად შენახული, რათა შემდეგომში, თუ საჭირო იქნება, გამოყენებულ იქნეს». პირიქით, არამწარმოებლური შრომის შედეგები, ანუ მის მიერ შესრულებული მომსახურებანი, «ჩვეულებრივ თვით მათი შესრულების მომენტში ქრებიან და იშვიათად ტოვებენ თავის შემდეგ რაიმე

ყველს ან რაიმე ღ ი რ ებ უ ლ ებ ა ს, რომლითაც შემდგომში თანაბარი რაოდენობის მომსახურებათა მიღება შეიძლებოდეს» (წიგნი II, თავი მე-3, მაკ-კულოხის გამოცემა, ტომი II, გვ. 94).

მაშასადამე, სმიტი საქონელსა და მომსახურებათა შორის ისეთსავე განსხვავებას ატარებს, როგორსაც მონეტარული სისტემა ატარებს ოქრო-ვერცხლსა და ყველა სხვა საქონელს შორის. სმიტიც ამ განსხვავებას აგრეთვე განიხილავს დაგროვების თვალსაზრისით, მაგრამ დაგროვება გააზრებულია უკვე არა განძის შექმნის ფორმით, არამედ კლავწარმოების რეალური ფორმით. საქონელი ისპობა მოხმარებისას, მაგრამ ამასთან იგი ახლად წარმოშობს უფრო მაღალი ღირებულების საქონელს ან, სხვაგვარი გამოყენების შემთხვევაში, თვით წარმოადგენს ისეთ ღირებულებას, რომლითაც სხვა საქონელთა ყიდვა შეიძლება. თვით შრომის პროდუქტის თვისება ისაა, რომ იგი არსებობს მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი და ამიტომ განმეორებით გასასხვისებელი სახმარი ღირებულების სახით, ისეთი სახმარი ღირებულების სახით, როდესაც იგი წარმოადგენს გასაყიდად ვარგის სასარგებლო საგანს, საცვლელი ღირებულების მატარებელს, ს ა ქ ო ნ ე ლ ს, ანუ, არსებითად ფ უ ლ ს. არამწარმოებელი მუშაკების მომსახურებანი არ იქცევა ხელახლა ფულად. იმ მომსახურებით, რისთვისაც მე გასამრჯელოს ვაძლევ ადვოკატს, ექიმს, ხუცესს, მუსიკოსს და ა. შ., სახელმწიფო მოღვაწეს, ჯარისკაცს და ა. შ., მე არ შემიძლია არც ვალის გასტუმრება, არც საქონლის და არც ზედმეტი ღირებულების შემქმნელი შრომის ყიდვა. ეს მომსახურებანი გამქრალია სავსებით ისევე, როგორც წარმავალი მოსახმარი საგნები ქრება.

ამრიგად, სმიტი არსებითად იმასვე ამტკიცებს, რასაც მონეტარული სისტემა. ამ უკანასკნელს მწარმოებლურ შრომად მხოლოდ ის შრომა მიაჩნია, რომელიც ფ უ ლ ს, ოქროსა და ვერცხლს აწარმოებს. სმიტის მიხედვით მწარმოებლურია მხოლოდ ის შრომა, რომელიც ფ უ ლ ს აწარმოებს თავისი მყიდველისათვის; განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ სმიტი ყველა საქონელში ხედავს მათთვის დამახასიათებელ ფულად ხასიათს, რაგინდ დაფარულიც არ უნდა იყოს იგი მათში, მაშინ როდესაც მონეტარული სისტემა მას მხოლოდ იმ საქონელში ხედავს, რომელსაც საცვლელი ღირებულების თავისუფალი ყოფიერება გააჩნია.

ეს განსხვავება დამყარებულია თვით ბურჟუაზიული წარმოების არსებაზე, რადგან სიმდიდრე არ არის სახმარი ღირებულების იგი-

ვეობრივი და სიმდიდრეს წარმოადგენს მხოლოდ ს ა ქ ო ნ ე ლ ი, სახმარი ღირებულება როგორც მატარებელი საცვლელი ღირებულებისა, როგორც ფული. მონეტარულ სისტემას არ ესმოდა, რომ ეს ფული იქმნება და მრავლდება იმით, რომ საქონელი მოიხმარება, და არა იმით, რომ იგი გადაიქცევა ოქროდ და ვერცხლად, რომელშიც საქონელი კრისტალიზებული ხდება როგორც თავისთავადი საცვლელი ღირებულება, მაგრამ რომელშიც იკარგება არა მარტო მისი სახმარი ღირებულება, არამედ უცვლელი რჩება აგრეთვე მისი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ს ი დ ი დ ე.

[თავი მეხუთე]

ნეკერი

[ცდა კაპიტალიზმის დროს კლასთა დაპირისპირებულობის წარმოდგენისა სიღარიბესა და სიმდიდრეს შორის დაპირისპირებულობად]

უკვე ზემოთმოყვანილი ციტატები ლენგეედან ამტკიცებენ, რომ მისთვის ნათელია კაპიტალისტური წარმოების რაობა[94]. მიუხედავად ამისა, აქ ნეკერის შემდეგ, შეიძლება ერთხელ კიდევ შევეხოთ ლენგეს[95].

თავის ორივე თხზულებაში, «Sur la Législation et le Commerce des Grains»-ში, რომელიც პირველად 1775 წელს გამოვიდა, და «De l' Administration des Finances de la France»-ში და ა. შ., ნეკერი ამტკიცებს, თუ როგორ უწყობს ხელს შრომის მწარმოებლურ ძალთა განვითარება მხოლოდ იმას, რომ მუშას ნაკლები დრო სჭირდება თავისი საკუთარი ხელფასის კვლავწარმოებისთვის. რომ იგი, მაშასადამე, მეტ დროს მუშაობს თავისი დამქირავებლისათვის აუნაზღაურებლად. ამასთან ნეკერი მართებულად იღებს საფუძვლად საშუალო ხელფასს, ხელფასის მინიმუმს. მაგრამ არსებითად მას აინტერესებს არა თვით შრომის გადაქცევა კაპიტალად და არა კაპიტალის დაგროვება ამ პროცესის მეშვეობით, არამედ უფრო საერთო განვითარება დაპირისპირებულობისა სიღარიბესა და სიმდიდრეს შორის, სიღარიბესა და ფუფუნებას შორის. ეს დაპირისპირებულობა იმ გარემოებას ემყარება, რომ აუცილებელ საარსებო საშუალებათა წარმოებისათვის საჭირო შრომის რაოდენობა მცირდება და ამ ნიადაგზე შრომის ნაწილი სულ უფრო მზარდი ოდენობით გადანამეტი ხდება და ამიტომ შეიძლება მისი გამოყენება ფუფუნების საგნების საწარმოებლად, წარმოების სხვა რომელიმე სფეროში. ფუფუნების საგნების ნაწილი ხანგრძლივი სარგებლობისათვის ვარგისია. ამრიგად. ფუფუნების საგნები გროვ-

დება იმათ ხელში, ვის განკარგულებაშიც ზედმეტი შრომა ასეული წლების განმავლობაში იმყოფება, და აღნიშნული დაპირისპირებულობა ამის გამო სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

მნიშვნელოვანი ისაა, რომ არამშრომელ წოდებათა [420] სიმდიდრე — მოგება და რენტა — ნეკერს საერთოდ ზედმეტი შრომიდან გამოჰყავს. ზედმეტი ღირებულების განხილვისას კი მას მხედველობაში აქვს შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება, რომელიც წარმოდგება არა მთელი სამუშაო დღის გაგრძელებიდან, არამედ აუცილებელი სამუშაო დროის შემოკლებიდან. შრომის მწარმოებლური ძალა შრომის პირობების მფლობელთა მწარმოებლურ ძალად იქცევა. თვით ეს მწარმოებლური ძალა კი გამოიხატება იმ სამუშაო დროის შემოკლებით, რომელიც აუცილებელია გარკვეული შედეგის მისაღებად. მთავარი ადგილები შემდეგია:

ჯერ-ერთი, «De L'Administration des Finances de la France» და ა. შ. («Oeuvres», ტომი II, ლოზანა და პარიზი, 1789):

«მე ვხედავ, რომ საზოგადოების კლასებიდან ერთის შემოსავალი თითქმის მუდამ უცვლელი რჩება; ვამჩნევ აგრეთვე, რომ მეორე კლასის სიმდიდრე გარდუვალად იზრდება. ამრიგად, ფუფუნება, რასაც საფუძვლად უდევს ურთიერთდაპირისპირება და შედარება, აუცილებლად თან უნდა სდევდეს ამ შეუსაბამობის განვითარებას და დროთა ვითარებაში სულ უფრო თვალსაჩინო უნდა ხდებოდეს...» (დასახელ. თხზ., გვ. 285 — 286).

(უკვე აქ მშვენივრად არის შემჩნეული დაპირისპირებულობა ორივე კლასისა როგორც კლასებისა.)

«საზოგადოების ის კლასი, რომლის ბედიც სოციალური კანონების მოქმედებით ერთგვარად განსაზღვრულია, შედგება ყველა იმითგან, ვინც თავისი ხელების შრომით ცხოვრობს და ძალაუნებურად ემორჩილება მესაკუთრეთა» (წარმოების პირობების მესაკუთრეთა) «კანონებსა და იძულებულია დაკმაყოფილდეს ხელფასით, რომელიც მხოლოდ ცხოვრების აუცილებელ მოთხოვნილებებს შეესაბამება; კონკურენცია ამ ადამიანებს შორის და მძიმე გაჭირვება განაპირობებს მათს დამოკიდებულ მდგომარეობას; და ამ ურთიერთობის შეცვლა შეუძლებელია» (იქვე, გვ. 286).

«სულ ახალ-ახალი იარაღების განუწყვეტელმა გამოგონებამ, რომელთაც ყველა მექანიკური სამუშაო გაამარტივეს, გაადიდა, მაშასადამე, სიმდიდრე და კეთილდღეობა მესაკუთრეების; ამ იარაღების ნაწილმა, რომელმაც მიწის დამუშავების ხარჯები შეამცირა, გაადიდა შემოსავალი, რომელიც ამ მიწის მფლობელებს შეუძლიათ თავის განკარგულებაში მიიღონ. ადამიანის გონების აღმოჩენათა მეორე ნაწილმა იმდენად გააადვილა შრო-

მა მრეწველობაში, რომ ადამიანებს, რომელნიც იმათთან მუშაობენ, ეინც არსებობის საშუალებებს ანაწილებს» (ე. ი. კაპიტალისტებთან), «შეუძლიან იმავე დროის განმავლობაში და იმავე ხელფასით ყოველგვარი ნაწარმი უფრო მეტი რაოდენობით დაამზადონ» (ციტირ. თხზ., გვ. 267). «დავუშვათ, რომ გასულ სუკუნეში ასითასი მუშა იყო საჭირო იმის გასაკეთებლად, რასაც ამჟამად ოთხმოცი ათასი მუშა აკეთებს; დანარჩენი ოცი ათასი კაცი იძულებული იქნება ამ შემთხვევაში, უხელფასოდ რომ არ დარჩნენ, სხვა მოსაქმეობას მოჰკიდოს ხელი; და ამის შედეგი ის იქნება, რომ შეიქმნება ხელით შრომის ახალი პროდუქტები, რომლებიც გაამრავლებენ მდიდართა განცხრომასა და ფუფუნებას» (გვ. 267—268).

«ამიტომ, რომ», — განაგრძობს ნეკერი, — «მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ, რომ ანაზღაურება ყველა იმ სამუშაოსი, რომლებიც განსაკუთრებულ დახელოვნებას არ მოითხოვენ, მუდამ შეესაბამება ყოველი მუშისათვის აუცილებელ საარსებო საშუალებათა ფასს; ამიტომ ნაწარმთა დამზადების დაჩქარებას, როცა საქმის ცოდნა საყოველთაო მოვლენად იქცევა, სრულიად არ მოაქვს სარგებლობა შრომის ადამიანებისათვის, არამედ იგი იწვევს მხოლოდ ისეთ საშუალებათა გადიდებას, რომლებიც ამათ გემოვნებისა და ქედმაღლობის დაკმაყოფილებას ემსახურებიან, ვის განკარგულებაშიც მიწის პროდუქტებია» (იქვე, გვ. 288). «ბუნების სხვადასხვა დოვლათს შორის, რომელთაც ადამიანის დახელოვნება ფორმას აძლევს და სახეს უცვლის, ბევრია ისეთი, რომელნიც თავისი ხანგრძლივობით მნიშვნელოვნად აღემატებიან ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობას: თვითეული თაობა მემკვიდრეობით იღებს იმის ნაწილს, რაც წინა თაობათა შრომითაა შექმნილი».

{ ნეკერი აქ განიხილავს მხოლოდ იმის დაგროვებას, რასაც ა. სმიტი მოხმარების ფონდს უწოდებს. }

«და თანდათანობით ყველა ქვეყანაში გროვდება სულ უფრო დიდი რაოდენობა დახელოვნებული შრომის პროდუქტებისა; და რადგან მთელი ეს რაოდენობა მუდამ მესაკუთრეთა შორის ნაწილდება, ამიტომ შეუსაბამობა მათი ცხოვრების პირობებსა და იმ პირობებს შორის, რაშიც მოქალაქეთა მრავალრიცხოვანი კლასი იმყოფება, გარდუვალად სულ უფრო თვალსაჩინო და სულ უფრო შესამჩნევი ხდება» (გვ. 289).

მაშასადამე:

«სამუშაოთა დაჩქარება მრეწველობაში, რამაც გადიდადედამიწაზე ფუფუნებისა და განცხრომის საგანთა რიცხვი, ხანგრძლივობა დროის პერიოდისა, რომლის განმავლობაშიც მათი დაგროვება ხდებოდა, და საკუთრების კანონები, რომლებმაც მთელ ამ დოვლათს საჭოგადოების მხოლოდ ერთი კლასის ხელში მოუყარა თავი,... ყველა ეს უზარმაზარ ფუფუნები-

სა სულ ერთია იარსებებდა, როგორიც არ უნდა იყოს ამასთან მიმოქცევაში მყოფი ფულის რაოდენობა» (გვ. 291).

(უკანასკნელი შენიშვნა პოლემიკურად მიმართულია იმათ წინააღმდეგ, ვისაც ფუფუნება ფულის გაზრდილი რაოდენობიდან გამოჰყავს.)

მეორე, «Sur la Législation et le Commerce des Grains» და ა. შ. («Oeuvres», ტომი IV):

«როგორც კი ხელსანი ან მიწათმოქმედი მარაგს დაკარგავს, ის უმწეო ხდება; მან უნდა იმუშაოს დღეს, რომ ხვალ შიმშილით არ მოკვდეს; და ინტერესთა ამ ბრძოლაში მესაკუთრეთა და მუშას შორის [421] ვრთი საფრთხეში აგდებს თავის საკუთარ სიცოცხლეს და თავის ოჯახს, მეორისათვის კი საქმე შეეხება მხოლოდ მისი ფუფუნების ზრდის შესაძლებელ შეფერხებას» (დასახ. თხზ., გვ. 63).

ეს დაპირისპირებულობა არამშრომელის სიმდიდრისა და იმის სილარიბეს შორის, რომელიც შრომობს, რათა იცხოვროს, წარმოშობს აგრეთვე ცოდნის დაპირისპირებულობასაც. ცოდნა და შრომა ეთიშებიან ერთმანეთს; პირველი უპირისპირდება მეორეს უკვე როგორც კაპიტალი ან როგორც მდიდართა ფუფუნების საგანი:

«ცოდნისა და გაგების უნარი საერთოდ ბუნებით მონიჭებულია, მაგრამ იგი მხოლოდ სწავლის მეშვეობით ვითარდება; საკუთრება რომ თანაბრად იყოს განაწილებული, თვითეული ზომიერად იმუშავებდა».

(მაშასადამე, გადამწყვეტია კვლავ სამუშაო დროის რაოდენობა).

«და თვითეულ ადამიანს ექნებოდა გარკვეული ცოდნა, იმიტომ, რომ თვითეულს დარჩებოდა გარკვეული დრო» (თვისუფალი დრო) «სასწავლო მეცადინეობისათვის და მოსაფიქრებლად; მაგრამ ქონებათა ამ უთანასწორობის პირობებში, რომელიც საზოგადოებრივმა წყობილებამ წარმოშვა, განათლების გზა ყველა იმათთვის, ვისაც საკუთრება არ გააჩნია, დახშულია. რადგან არსებობის ყველა საშუალება ერის იმ ნაწილის ხელში იმყოფება, რომელსაც ფული ან მიწა აქვს, და რადგან არავინ არაფერს არ იძლევა მუქთად, ამიტომ ადამიანი, რომელსაც დაბადების დღიდან არავითარი სხვა მარაგი არ გააჩნია, გარდა საკუთარი ძალისა, იძულებულია ეს ძალა, — როგორც კი იგი განვითარებას იწყებს, — მესაკუთრეთა სამსახურში ჩააყენოს, და ასე განაგრძოს მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, დღიდან დღემდე, მზის ამოსვლიდან იმ მომენტამდე, როცა ეს ძალა მთლიანად იფიტება და მის აღსადგენად საჭირო ხდება ძილი» (გვ. 112). «და, ბოლოს, განა უდავო არაა, რომ ცოდნათა ასეთი უთანასწორობა აუცილებელი ვახდა ყველა იმ საზოგადოებრივი უთანასწორობის შესანარჩუნებლად, რომლებმაც იგი წარმოშვეს?» (იქვე, გვ. 113; შეად. გვ. 118, 119).

ნეკერი სასაცილოდ იღებს ეკონომიურ ცნებათა აღრევას, რომელიც ახასიათებს ფიზიოკრატებს მიწის მიმართ, და ყველა მერმინ-

დელ ეკონომისტს კაპიტალის ნივთიერი ელემენტების მიმართ, — აღრევას, რაც გამოიხატება წარმოების პირობების მესაკუთრეთა განდიდებით იმიტომ, რომ ეს პირობები — მაგრამ არა თვით მესაკუთრენი — აუცილებელია შრომის პროცესისათვის და სიმდიდრის საწარმოებლად.

«იწყებენ იმით, რომ მიწის მესაკუთრის (ესოდენ ადვილად შესასრულებელი ფუნქციის) მნიშვნელობას ურევენ იმ მნიშვნელობაში, რაც მიწას აქვს» (იქვე, გვ. 126). [IX — 421]

[თავი მეექვსე]

კენეს ეკონომიური ცხრილი (გადახვევა)

[I) კენეს მიერ ერთობლივი კაპიტალის კვლავწარმოებისა და მიმოქცევის პროცესის წარმოდგენის ცდა]

[X — 422] ეკონომიური ცხრილი კენეს მიხედვით[96]:

5 მილიარდი წლიური მთლიანი პროდუქტი
(ტურის ლივრებით)

თავდაპირველი და ყოველწლიური ავანსების სახით ფერმერები ხარჯავენ	საიჯარო ქირის სახით მიწის მესაკუთრენი იღებენ	უნაყოფო კლასის განკარგულებაშია შემდეგი ოდენობის ფონდი
a) 2 მილიარდი		
a′) 2 მილიარდი		a″) 1 მილიარდი
b) 1 მილიარდი		
b″) 1 მილიარდი		c) 1 მილიარდი
d) 1 მილიარდი		b′) 1 მილიარდი
5 მილიარდი		2 მილიარდი საიდანაც ნაზეევარი რჩება უნაყოფო კლასის კუთვნილი ფონდის სახით

ცხრილი რომ უფრო თვალსაჩინო გახდეს, მე აღვნიშნავ იმას, რაც კენეს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გააზრებული აქვს როგორც ამოსავალი წერტილი მიმოქცევისა, a, a′, a″-თი, შემდგომ

რგოლებს კი მოცემულ მიმოქცევაში — b, c, d-თი და შესაბამისად b′, b″-ით[97].

ის, რაც ამ ცხრილში უწინარეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს და რასაც არ შეეძლო დიდი შთაბეჭდილება არ მოეხდინა თანამედროვეებზე, ეს არის ის წესი, რომლის მიხედვითაც ფულის მიმოქცევა გვევლინება როგორც მთლიანად საქონელთა მიმოქცევით და საქონელთა კვლავწარმოებით, ნამდვილად კი — კაპიტალის მიმოქცევით განსაზღვრული მოვლენა.

[2) მიმოქცევა მოიჯარეებსა და მიწის მესაკუთრეთა შორის. ფულის უკუმოდინება მოიჯარეებთან, რაც კვლავწარმოებას არ გამოსცდია]

მოიჯარე უწინარეს ყოვლისა ფულით უხდის 2 მილიარდს მიწის მესაკუთრეს (propriétaire). უკანასკნელი ამ ფულის 1 მილიარდით მოიჯარისაგან ყიდულობს საარსებო საშუალებებს. ამრიგად, მოიჯარესთან უკუმოედინება 1 მილიარდი ფულადი თანხა, ამით რეალიზებულია საერთო პროდუქტის 1/5, რომელიც საბოლოოდ გადადის მიმოქცევის სფეროდან მოხმარების სფეროში.

შემდეგ მიწის მესაკუთრე 1 მილიარდი ფულით ყიდულობს 1 მილიარდი დირებულების სამრეწველო საქონელს, არასამიწათმოქმედო პროდუქტებს. ამით კიდევ პროდუქტის ერთი მეხუთედი ნაწილი (უკვე გარდაქმნილი ფორმით) მიმოქცევის სფეროდან მოხმარების სფეროში გადადის. ეს მილიარდი ფული აღმოჩნდება უნაყოფო კლასის ხელში, რომელიც ამ ფულით საარსებო საშუალებებს ყიდულობს მოიჯარისაგან. ამასთანავე მეორე მილიარდიც, რომელიც მოიჯარემ რენტის ფორმით მიწის მესაკუთრეს გადაუხადა, უკან უბრუნდება მოიჯარეს. მეორე მხრივ, მისი პროდუქტის მეორე 1/5 ნაწილი ერგო უნაყოფო კლასს, მიმოქცევის სფეროდან გადავიდა მოხმარების სფეროში. ამ პირველი მოძრაობის დასასრულს ჩვენ ვხედავთ, მაშასადამე, რომ ეს 2 მილიარდი ფული კვლავ მოიჯარის ხელშია. ამ ფულმა ოთხნაირი მიმოქცევის პროცესი შეასრულა.

ჯ ე რ-ე რ თ ი, მან შეასრულა რენტის გადახდისათვის საჭირო გადახდის საშუალების ფუნქცია. ამ ფუნქციის მიხედვით იგი არ წარმოადგენს წლიური პროდუქტის რომელიმე ნაწილის მიმოქცევის საშუალებას, არამედ მხოლოდ მიმოქცევადი ასიგნებაა საერთო პროდუქტის რენტად ქცეული ნაწილისათვის.

მ ე ო რ ე, 2 მილიარდის ნახევრით, ერთი მილიარდით, მიწის მესაკუთრე საარსებო საშუალებებს ყიდულობს მოიჯარისაგან; მაშა-

სადამე, მიწის მესაკუთრე თავისი მილიარდის რეალიზაციას ახდენს საარსებო საშუალებათა სახით. ამ მილიარდი ფულის სახით მოიჯარე სინამდვილეში მხოლოდ უკან იღებს თავისი პროდუქტის $^2/_5$-ისათვის იმ ასიგნების ნახევარს, რომელიც მან მიწის მესაკუთრეს მისცა. ამ შემთხვევაში ეს მილიარდი, რადგან იგი ყიდვის საშუალებაა. ახორციელებს ამავე ღირებულების საქონლის მიმოქცევას, საქონლისა, რომელიც საბოლოოდ გადადის მოხმარებაში. ეს მილიარდი აქ მიწის მესაკუთრისათვის მხოლოდ ყ ი დ ვ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ა; მიწის მესაკუთრე ფულს ხელახლა გადააქცევს სახმარ ღირებულებად (საქონლად, მაგრამ ეს საქონელი საბოლოო მოხმარებაში გადადის, მას ყიდულობენ როგორც სახმარ ღირებულებას).

თუ ჩვენ მხოლოდ ამ ცალკეულ აქტს განვიხილავთ, მასში ფული მოიჯარისათვის მხოლოდ იმ როლს ასრულებს, რა როლშიაც იგი, როგორც ყიდვის საშუალება, მუდამ გამოდის გამყიდველისათვის. სახელდობრ, იგი წარმოადგენს მისი საქონლის გარდაქმნილ ფორმას. მიწის მესაკუთრემ თავისი მილიარდი ფული გადააქცია პურად, მოიჯარემ კი 1 მილიარდად ღირებული პური გადააქცია ფულად, მოახდინა მისი ფასის რეალიზაცია. მაგრამ თუ ჩვენ ამ აქტს განვიხილავთ მიმოქცევის წინა აქტთან დაკავშირებით, მაშინ ფული გვევლინება აქ არა როგორც მარტივი მეტამორფოზი მოიჯარის საქონლისა, არა როგორც ოქროს ეკვივალენტი მისი საქონლისა. ეს მილიარდი ფული ხომ იმ 2 მილიარდი ფულის მხოლოდ ნახევარს შეადგენს, რომელიც მოიჯარემ [423] მიწის მესაკუთრეს გადაუხადა მიწის რენტის ფორმით. 1 მილიარდის საქონელში მოიჯარე, მართალია, 1 მილიარდ ფულს ღებულობს, მაგრამ ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე ს ი ნ ა ა მ ბ ზ ი თ ი ბ ი გ ა მ ო ი ს ყ ი დ ი ს მ ხ ო ლ ო დ ი მ ფ უ ლ ს, რ ო მ ლ ი თ ა ც მ ა ნ მ ი წ ი ს მ ე ს ა კ უ თ რ ე ს რ ე ნ ტ ა გ ა დ ა უ ხ ა დ ა; ს ხ ვ ა ს ი ტ ყ ვ ე ბ ი თ: მ ი წ ი ს მ ე ს ა კ უ თ რ ე ი მ მ ი ლ ი ა რ დ ი თ, რ ო მ ლ ი ც მ ა ნ მ ო ი ჯ ა რ ი ს ა გ ა ნ მ ი ი ღ ო, ა მ უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი ს ა გ ა ნ ყ ი დ უ ლ ო ბ ს 1 მ ი ლ ი ა რ დ ი ღ ი რ ებ უ ლ ებ ის ს ა ქ ო ნ ე ლ ს. მ ი წ ი ს მ ე ს ა კ უ თ რ ე მ ო ჯ ა მ ა გ ი რ ეს ი ს ტ უ მ რ ებ ს ი მ ფ უ ლ ი თ, რ ო მ ლ ი ც მ ა ნ მ ი ი ღ ო მ ო ი ჯ ა რ ი ს ა გ ა ნ მ ი ს თ ვ ი ს ე კ ვ ი ვ ა ლ ე ნ ტ ი ს მ ი უ ც ე მ ლ ა დ.

ფულის ეს უკუდაბრუნება მოიჯარესთან განაპირობებს, უწინარეს ყოვლისა, იმას, რომ ფული აქ, პირველ აქტთან დაკავშირებით, არ წარმოადგენს მოიჯარისათვის უბრალო მიმოქცევის საშუალებას. შემდეგ კიდევ ეს უკუდაბრუნება არსებითად განსხვავდება



კ. მარქსის «ზედმეტი ღირებულების თეორიების» ხელნაწერის გვერდი, სადაც მოცემულია კენეს «ეკონომიური ცხრილის» სქემა.

ამოსავალ წერტილთან უკუმოდინების იმ მოძრაობისაგან, რომელიც კვლავწარმოების პროცესს გამოხატავს.

მაგალითად: კაპიტალისტი ან, — სრულიად მხედველობის გარეშე რომ დავტოვოთ აქ ის, რაც დამახასიათებელია მხოლოდ კაპიტალისტური კვლავწარმოებისათვის, — მწარმოებელი ხარჯავს 100 გირვ. სტერლინგს და იძენს მთელი მისი მუშაობის დროისათვის საჭირო ნედლეულს, შრომის იარაღებს და საარსებო საშუალებებს. დავუშვათ, რომ იგი არ მიუმატებს წარმოების საშუალებებს იმაზე მეტ შრომას, რაც მან დახარჯა საარსებო საშუალებებზე, თავის ხელფასზე, რასაც იგი თავის თავს უხდის. თუ ნედლეული და ა. შ. = 80 გირვ. სტერლინგს, მიმატებული შრომა კი = 20 გირვ. სტერლინგს (ამდენსავე გირვანქა სტერლინგს უდრის მის მიერ მოხმარებული საარსებო საშუალებანიც), მაშინ პროდუქტი = 100 გირვ. სტერლინგს. და თუ მწარმოებელი, თავის მხრივ, ამ პროდუქტს ყიდის, მაშინ 100 გირვ. სტერლინგი კვლავ მოედინება მასთან ფულის სახით — და ასეულ ახლად და ახლად. ფულის ეს უკუმოდინება მის ამოსავალ წერტილთან გამოხატავს აქ მხოლოდ მუდმივ კვლავწარმოებას. ჩვენ აქ გვაქვს მარტივი მეტამორფოზი Ფ — ს — Ფ, ფულის გადაქცევა საქონლად და საქონლის უკუგადაქცევა ფულად. საქონლური და ფულადი ფორმის ეს უბრალო ცვლა წარმოადგენს აქ ამასთანავე კვლავწარმოების პროცესს. ფული გადაიქცევა საქონლად — წ ა რ მ ო ე ბ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ე ბ ა დ და არსებობის საშუალებებად; შემდეგ ეს საქონელი შედის შრომის პროცესში მისი ელემენტის სახით და გამოდის იქიდან პროდუქტის სახით; ამრიგად, პროცესის შედეგი კვლავ საქონელია, სწორედ იმ მომენტიდან, როცა მზა პროდუქტი ისევ შედის მიმოქცევის პროცესში და კვლავ უპირისპირდება ფულს როგორც საქონელი; და, ბოლოს, საქონელი უკუგარდაიქმნება ფულად, რადგან მზა საქონელი შეიძლება ხელახლა გაიცვალოს მისი წარმოების ელემენტებზე მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წინასწარ გადაქცეულია ფულად.

ფულის მუდმივი უკუმოდინება მის ამოსავალ პუნქტთან გამოხატავს აქ არა მარტო ფულის საქონლად და საქონლის ფულად ფორმალურ გადაქცევას — იმ სახით, როგორც ეს გადაქცევა წარმოგვიდგება მარტივი მიმოქცევის პროცესში, ანუ მარტივ საქონელგაცვლაში, — ა რ ა მ ე დ ა მ ა ს თ ა ნ ა ვ ე ს ა ქ ო ნ ლ ი ს მ უ დ მ ი ვ კ ვ ლ ა ვ წ ა რ მ ო ე ბ ა ს ა ც ი მ ა ვ ე მ წ ა რ მ ო ე ბ ლ ი ს მ ხ ა რ ე ზ ე. საცვლელი ღირებულება (ფული) გადაიქცევა საქონლად, რომელიც შედის მოხმარებაში, გამოიყენება როგორც სახმარი ღირებულება,

და თანაც შედის კვლავწარმოებრივ, ანუ საწარმოო მოხმარებაში. მაშასადამე აღადგენს, თავდაპირველ ღირებულებას და ამის გამო კვლავ გადაიქცევა ფულის ი მ ა ვ ე ჯამად (ზემომოყვანილ მაგალითში, სადაც მწარმოებელი მხოლოდ თავისი არსებობის შესანარჩუნებლად მუშაობს). ფორმულა Ф — ს — Ф აღნიშნავს აქ მხოლოდ იმას, რომ Ф არა მარტო ფორმალურად გადაიქცევა ს-დ, არამედ რომ ს ნამდვილად მოიხმარება როგორც სახმარი ღირებულება, გადადის მიმოქცევის სფეროდან მოხმარების სფეროში, მაგრამ ეს არის საწარმოო მოხმარება, ასე რომ მასში საქონლის ღირებულება შეინახება და იკვლავწარმოება, რის გამოც Ф კვლავ გვევლინება პროცესის დასასრულს და შეინახება მოძრაობაში Ф — ს — Ф.

პირიქით, მიწის მესაკუთრიდან მოიჯარესთან ფულის ზემოაღნიშნულ უკუმოდინებაში არავითარი კვლავწარმოების პროცესი არ ხდება. საქმის ვითარება ისეთია, თითქოს მოიჯარეს მიწის მესაკუთრისათვის მიეცეს მარკები ან. ტალონები 1 მილიარდი პროდუქტისა. როცა მიწის მესაკუთრე ამ ტალონებს ხარჯავს, ისინი უკან უბრუნდება მოიჯარეს, უკანასკნელი მათ გამოისყიდის. მიწის მესაკუთრე რომ იმას დათანხმდებოდეს, რომ მას რენტის ნახევარი ერთბაშად in natura* გადაუხადონ, მაშინ არავითარი ფულის მიმოქცევა არ იქნებოდა. მთელი მიმოქცევა იმით შემოისაზღვრებოდა, რომ მოხდებოდა უბრალო გადაცემა ხელიდან ხელში, მოიჯარის ხელიდან პროდუქტი გადავიდოდა მიწის მესაკუთრის ხელში. მაგრამ ჯერ მოიჯარე მიწის მესაკუთრეს საქონლის ნაცვლად აძლევს ფულს, შემდეგ კი მიწის მესაკუთრე ფულს უკან უბრუნებს მოიჯარეს, რათა თვით საქონელი მიიღოს. მოიჯარისათვის ფული წარმოადგენს გ ა დ ა ხ დ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ს მის ურთიერთობაში მოიჯარესთან. პირველი ფუნქციის შესრულებისას ფული სცილდება მოიჯარეს, მეორე ფუნქციის შესრულებისას კი იგი უკან უბრუნდება მას.

ფულის ამგვარი უკუმოდინება მწარმოებელთაა უნდა ხდებოდეს ყოველთვის, როცა მწარმოებელი, იმის ნაცვლად, რომ თავისი პროდუქტის ნაწილი მისცეს, თავის კრედიტორებს ამ პროდუქტის ღირებულებას უხდის ფულით; კრედიტორად კი აქ გამოდის ყოველი ადამიანი, ვინც კი მისი ზედმეტი პროდუქტის თანამესაკუთრეა. ამის მაგალითია შემდეგი. ყველა გადასახადს მწარმოებლები იხდიან ფულით. ფული აქ მათთვის წარმოადგენს გადახდის საშუალებას სახელმწიფოს მიმართ. სახელმწიფო ამ ფულით მწარმოებლებისაგან ყი-

* — ნატურით, ნატურალური ფორმით. რ ე დ.

დულობს საქონელს. სახელგწიფოს ხელში ფული ხდება ყიდვის საშუალება და ამრიგად უკან უბრუნდება მწარმოებლებს იმდენად, რამდენადაც მათ საქონელი შორდება.

ფულის უკუმოდინების ამ მომენტს — ფულის ამ თავისებურ უკუმოდინებას, რასაც კვლავწარმოება არ განსაზღვრავს, — ყოველთვის უნდა ჰქონდეს ადგილი, როცა შემოსავალი კაპიტალზე იცვლება. აქ ფულის უკუმოდინება გამოწვეულია არა კვლავწარმოებით, არამედ მოხმარებით. შემოსავალი გადახდილია ფულით, მაგრამ მისი მოხმარება შეიძლება მხოლოდ საქონელთა სახით. ფული, რომელიც შემოსავლის სახით არის მიღებული მწარმოებელთაგან, მაშასადამე, უკანვე უნდა გადაუხადო მწარმოებლებს, რათა მათგან იგივე ღირებულება მიიღო საქონლის სახით, რათა, მაშასადამე, შესაძლებლობა გქონდეს შემოსავალი მოიხმარო. ფულს, რომლითაც გადაიხდება შემოსავალი, — მაგალითად, რენტა არ სარგებელი ანდა გადასახადი,—გადახდის საშუალების საყოველთაო ფორმა აქვს. [424] { მრეწველი კაპიტალისტი თვით უხდის თავის თავს თავის შემოსავალს პროდუქტით ანდა, როცა პროდუქტს გაჰყიდის, უხდის თავის თავს პროდუქტში მიღებული ფულის იმ ნაწილს, რომელიც მის შემოსავალს შეადგენს. } იგულისხმება, რომ ვინც ამ შემოსავალს იხდის, მან წინათ თავისი კრედიტორისაგან მიიღო თავისი საკუთარი პროდუქტის ნაწილი, მაგალითად, მოიჯარემ — პროდუქტის ის $^2/_5$, რაც, კვენეს მიხედვით, რენტას შეადგენს. მოიჯარე არის ამ რენტის მხოლოდ ნომინალური მესაკუთრე, ანუ მფლობელი მხოლოდ de facto *.

ამრიგად, მოიჯარის პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც მის მიერ გადასახდელ რენტას შეადგენს, მოითხოვს თავისი მიმოქცევისათვის მოიჯარესა და მიწის მესაკუთრეს შორის ფულის მხოლოდ ისეთ რაოდენობას, რომელიც პროდუქტის ღირებულებას უდრის, თუმცა ეს ღირებულება ორჯერ მიმოიქცევა. პირველად მოიჯარე რენტას იხდის ფულით; შემდეგ მიწის მესაკუთრე იმავე ფულით ყიდულობს პროდუქტს. პირველი ფულის უბრალო გადაცემაა, რადგან ფული აქ მხოლოდ გადახდის საშუალების ფუნქციას ასრულებს; მაშასადამე, იგულისხმება, რომ საქონელი, რაშიც ფულს იხდიან, უკვე გადამხდელის მფლობელობაშია და ფული არ წარმადგენს მისთვის ყიდვის საშუალებას, იგი არ იღებს ამ ფულში ეკვივალენტს, —

* ფაქტიურად (და არა de jure — იურიდიულად, კანონის საფუძველზე). — რედ.

პირიქით, ეს ეკვივალენტი უკვე წინასწარ მის ხელშია. მეორე შემთხვევაში ფული, პირიქით, მოქმედებს როგორც ყიდვის საშუალება, როგორც საქონლის მიმოქცევის საშუალება. საქმის ვითარება ისეთია, თითქოს მოიჯარეს იმ ფულით, რითაც იგი რენტას ისტუმრებს, მიწის მესაკუთრისაგან გამოესყიდოს პროდუქტის ის ნაწილი, რაც მიწის მესაკუთრეს ეკუთვნის. უკანასკნელი იმავე ფულით, რომელიც მან მიიღო მოიჯარისაგან (რომელმაც ეს ფული სინამდვილეში ეკვივალენტად მისცა), კვლავ ყიდულობს პროდუქტს მოიჯარისაგან.

მაშასადამე, ფულის იგივე თანხა, რასაც მწარმოებელი შემოსავლის მფლობელებს უხდიან გადახდის საშუალების ფორმით, შემოსავლის მფლობელთათვის წარმოადგენს ყიდვის საშუალებას მწარმოებელთაგან საქონელთა შესაძენად. ფულის ეს ორგზისი ადგილცვლა, მწარმოებლის ხელიდან შემოსავლის მფლობელის ხელში და ამ უკანასკნელის ხელიდან მწარმოებლის ხელში გადასვლა, გამოხატავს, მაშასადამე, საქონლის მხოლოდ ერთგზის გადაადგილებას, სახელდობრ — მწარმოებლის ხელიდან შემოსავლის მფლობელის ხელში. რადგან იგულისხმება, რომ მწარმოებელი — თავისი პროდუქტის ნაწილის მიმართ — შემოსავლის მფლობელის მოვალეა, ამიტომ მწარმოებელი ფულადი რენტის სახით სინამდვილეში შემოსავლის მფლობელს ადრინდელი რიცხვით უხდის მხოლოდ იმ საქონლის ღირებულებას, რომელსაც იგი, მწარმოებელი, უკვე ფლობს. საქონელი მის ხელშია. მაგრამ საქონელი მას არ ეკუთვნის. იმ ფულით, რასაც მწარმოებელი შემოსავლის ფორმით იხდის, იგი, მაშასადამე, გამოისყიდის ამ საქონელს თავის საკუთრებად. საქონელი ამიტომ არ გადადის ხელიდან ხელში. ფულის გადასვლა ხელიდან ხელში გამოხატავს მხოლოდ საკუთრების უფლების შეცვლას იმ საქონლის მიმართ, რომელიც უწინდებურად მწარმოებლის ხელში რჩება. აქედან წარმოდგება ფულის ეს ორგზისი ადგილცვლა მაშინ, როცა საქონელი მხოლოდ ერთხელ გადადის ერთი ხელიდან მეორეში. ფული მიმოიქცევა ორჯერ, რათა საქონლის ერთჯერადი მიმოქცევა გამოიწვიოს. მაგრამ ფულიც მხოლოდ ერთჯერ მიმოიქცევა მიმოქცევის საშუალების (ყიდვის საშუალების) სახით, მაშინ როდესაც მეორეჯერ მან შეასრულა თავისი მიმოქცევა გადახდის საშუალების სახით; ამ უკანასკნელი მიმოქცევის დროს, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნე, არ ხდება საქონლისა და ფულის ერთდროული ადგილცვლა.

მართლაც, თუ მოიჯარეს ფული არ გააჩნია, არამედ მხოლოდ

პროდუქტი აქვს, მაშინ მას თავისი პროდუქტის ფასის გადახდა შეუძლია ჰხოლოდ თავისი საქონლის წინასწარ გაყიდვის შემდეგ. მაშასადამე, სანამ მოიჯარე მიწის მესაკუთრეს თავის საქონელში ფულს გადაუხდიდეს, ამ საქონელმა უკვე უნდა განვლოს თავისი პირველი მეტამორფოზი. მაგრამ საქმის ასეთი ვითარების დროსაც კი ჩვენ ფულის მხარეზე უფრო მეტი ადგილცვლა გვაქვს, ვიდრე საქონლის მხარეზე. ჯერ გვაქვს ს — შ: საქონლის $^2/_5$ გაიყიდება და გადაიქცევა ფულად. აქ ხდება საქონლისა და ფულის ერთდროული ადგილცვლა. შემდეგ კი იგივე ფული, საქონლის ადგილის შეუცვლელად, მოიჯარის ხელიდან გადადის მიწის მესაკუთრის ხელში. აქ ხდება ფულის ადგილცვლა საქონლის ადგილცვლის გარეშე. საქმის ვითარება ისეთია, თითქოს მოიჯარეს მოზიარე ჰყავდეს. მან მიიღო ფული, მაგრამ ის უნდა გაუნაწილოს თავის მოზიარეს. უფრო მართებული იქნება ვთქვათ, რომ პროდუქტის ხსენებული $^2/_5$-ის მიმართ საქმის ვითარება ისეთია, თითქოს ფული მოიჯარის ნოქარს მიეღოს. ამ ნოქარმა ფული უნდა გადასცეს მოიჯარეს, მას უფლება არა აქვს იგი თავის ჯიბეში დაიტოვოს. ფულის გადასვლა ერთი ხელიდან მეორეში არ გამოხატავს აქ საქონლის არავითარ მეტამორფოზს, არამედ იგი ფულის გადაცემაა მხოლოდ მისი უშუალო მფლობელის ხელიდან მისი მესაკუთრის ხელში. მაშასადამე, საქმის ვითარება შეიძლება ასეთი იყოს იმ შემთხვევაში, როცა ფულის პირველი მიმღები მხოლოდ აგენტია, რომელიც ფულს იღებს თავისი ბატონისათვის. ამ შემთხვევაში ფული გადახდის საშუალებაც კი არაა: ხდება ფულის უბრალო გადასვლა მიმღების ხელიდან, რომელსაც ფული არ ეკუთვნის, მისი მესაკუთრის ხელში.

ფულის ასეთ ადგილცვლას აბსოლუტურად არაფერი აქვს საერთო საქონლის მეტამორფოზთან, ისევე როგორც მასთან არაფერი აქვს საერთო ისეთ ადგილცვლას, როცა ფულის ერთი სახეობა მეორე სახეობაზე გადაიცვლება. მაგრამ როცა ფული მოქმედებს როგორც გადახდის საშუალება, მუდამ იგულისხმება, რომ გადამხდელმა უფრო ადრე მიიღო ის საქონელი, რომლის ფასსაც იგი შემდეგ იხდის. რაც შეეხება მოიჯარეს და ა. შ., მას ეს საქონელი არ მიუღია: ეს საქონელი, — ვიდრე იგი მიწის მესაკუთრის ხელში მოხვდება, — მოიჯარის ხელშია და მისი პროდუქტის ნაწილს წარმოადგენს. მაგრამ იურიდიულად მოიჯარე ამ საქონლის მესაკუთრე მხოლოდ მაშინ ხდება, როცა იგი საქონელში მიღებულ ფულს მიწის მესაკუთრეს გადასცემს. ცვლილება ხდება მის უფლებაში საქონლის მიმართ; თვით საქონელი კი უწინდებუ-

რად მის ხელშია. მაგრამ უწინ საქონელი მის ხელში იყო როგორც ისეთი რამ, რასაც იგი ფლობდა, მაგრამ რის მესაკუთრედაც მიწის მესაკუთრე ითვლებოდა. ახლა კი საქონელი მის ხელშია როგორც მისი კუთვნილი საკუთრება. როცა საქონელი იცვლის იმ იურიდიულ ფორმას, რომელშიც ის იმყოფება, ხოლო ამავე დროს რჩება ერთსა და იმავე ხელში, ეს არ იწვევს, რა თქმა უნდა, თვით საქონლის გადასვლას ერთი ხელიდან მეორეში.

[3) კაპიტალისტსა და მუშას შორის ფულის მიმოქცევის საკითხისათვის]

[ა) უხამსი შეხედულება ხელფასზე როგორც კაპიტალისტის მიერ მუშისათვის მიცემულ ავანსზე. გურუუაზიული წარმოდგენა მოგებაზე როგორც გაწეული რისკისათვის მილებულ პრემიაზე]

[425] { ითქვამიდან ამასთანავე ვხედავთ, თუ რა უხამსია ფრაზა, რომელიც კაპიტალისტის მოგებას იმით «ხსნის», რომ თითქოს კაპიტალისტი მუშას ავანსად აძლევს ფულს ჯერ კიდევ საქონლის ფულად გადაქცევამდე.

ჯერ-ერთი, როცა მე საქონელს ვყიდულობ პირადი მოხმარებისათვის, არავითარ «მოგებას» არ ვღებულობ იმის გამო, რომ მე მყიდველი ვარ, საქონლის მფლობელი კი — «გამყიდველია», რომ ჩემს საქონელს ფულის ფორმა აქვს, მისი საქონელი კი ჯერ კიდევ ფულად უნდა გადაიქცეს. კაპიტალისტი შრომის საზღაურს იხდის მხოლოდ მას შემდეგ, რაც მან ეს შრომა მოიხმარა, მაშინ როდესაც სხვა საქონელთა ფასს მანამდე იხდის, ვიდრე მათ მოიხმარს. ეს გამომდინარეობს იმ საქონლის თავისებური ბუნებიდან, რომელსაც იგი ყიდულობს; ეს საქონელი სინამდვილეში მყიდველის ხელში მთლიანად მხოლოდ მოხმარების შემდეგ გადადის. ფული აქ გამოდის როგორც გადახდის საშუალება. კაპიტალისტი საქონელ «შრომას» ყოველთვის უფრო ადრე მიითვისებს ხოლმე, ვიდრე მის საფასურს გადაიხდის. მაგრამ ის გარემოება, რომ იგი აქ საქონელს მხოლოდ იმ მიზნით ყიდულობს, რათა ამ შრომის პროდუქტის გაყიდვით მოგება მიიღოს, სრულიადაც არ შეიძლება თვით ამ მოგების მიღების მიზეზი იყოს. ეს მხოლოდ მოტივია. და ასეთ შემთხვევაში ყველაფერი გათავდებოდა შემდეგით: დაქირავებულ

შრომას რომ ყიდულობს. კაპიტალისტი მოგებას იღებს ი მ ი ტ ო მ. რ ო მ მას სურს მოგება მიიღოს ამ შრომის პროდუქტის გაყიდვით.

მ ე ო რ ე. მაგრამ, გვეუბნებიან, კაპიტალისტი ხომ მუშას ავანსად აძლევს ფულის ფორმით პროდუქტის იმ ნაწილს, რომელიც მას წელად უწევს ხელფასის სახით, და ამრიგად ათავისუფლებს მას იმ ზრუნვისაგან, რისკისაგან და დროის დაკარგვისაგან, რაც აუცილებელი იქნებოდა მუშისათვის, მას რომ თვითონ გადაექცია ფულად ხელფასის სახით მისი კუთვნილი ნაწილი წარმოებული საქონლისა. უნდა უხდიდეს თუ არა მუშა კაპიტალისტს საფასურს ამ ზრუნვის, რისკისა და დროის დაკარგვის თავიდან აცილებისათვის? მაშასადამე, უნდა ღებულობდეს თუ არა მუშა პროდუქტის უფრო მცირე წილს იმასთან შედარებით, რაც მას, აღნიშნული ვითარების გარეშე მოუწევდა?

საკითხის ამგვარი დაყენებით, დაქირავებული შრომისა და კაპიტალის მთელი ურთიერთობა არარად იქცევა და ზედმეტი ღირებულების ეკონომიური დასაბუთება საფუძველშივე ისპობა. მართალია, პროცესის შედეგი ისაა, რომ ფონდი, საიდანაც კაპიტალისტი დაქირავებულ მუშას საზღაურს უხდის, სინამდვილეში ამ უკანასკნელის საკუთარი პროდუქტია მხოლოდ და რომ ამრიგად კაპიტალისტი და მუშა ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ პროდუქტს ერთმანეთს შორის ინაწილებენ გარკვეული პროპორციის მიხედვით. მაგრამ ამ ფაქტიურ შედეგს აბსოლუტურად არაფერი აქვს საერთო კაპიტალისტსა და დაქირავებულ შრომას შორის გარიგებასთან (გარიგებასთან, რასაც ემყარება ზედმეტი ღირებულების ეკონომიური დასაბუთება, რომელიც თვით საქონელგაცვლის კანონებიდან გამომდინარეობს). კაპიტალისტი ყიდულობს მხოლოდ დროებით განკარგულებას სამუშაო ძალაზე; იგი სამუშაო ძალის საფასურს იხდის მხოლოდ მას შემდეგ, რაც სამუშაო ძალამ იმოქმედა, რაც იგი პროდუქტში გასაგნობრივდა. როგორც ყველგან, სადაც ფული გადახდის საშუალების ფუნქციას ასრულებს, ისე აქაც ყიდვა და გაყიდვა წინ უძღვის ფულის რეალურ გასხვისებას მყიდველის მხრიდან. მაგრამ ამ გარიგების შემდეგ, რომელიც ჯერ კიდევ ნამდვილი წარმოების პროცესის დაწყებამდე დამთავრდა. შრომა უკვე კაპიტალისტს ე კ უ თ ვ ნ ი ს. მასვე ეკუთვნის მთლიანად ს ა ქ ო ნ ე ლ ი ც, რომელიც ამ პროცესიდან პროდუქტის სახით გამოდის. კაპიტალისტმა აწარმოვა იგი. მის საკუთრებაში მყოფი წარმოების საშუალებებით, და მის მიერ ნაყიდი, მაშასადამე მისი კუთვნილი — თუმცა ჯერ კიდევ ფასვადა-

უხდელი, — შრომით. საქმის ვითარება ისეთია, თითქოს მას სრულიად არ მოეხმაროს სხვისი შრომა საქონლის საწარმოებლად.

მოგება, რომელსაც კაპიტალისტი იღებს, ზედმეტი ღირებულება, რომლის რეალიზაციასაც იგი ახდენს, სწორედ იქიდან წარმოდგება, რომ მუშამ მიჰყიდა მას როგორც საქონელი არა საქონელში განხორციელებული შრომა, არამედ თვით თავისი სამუშაო ძალა. კაპიტალისტს რომ მუშა უპირისპირდებოდეს როგორც საქონელმფლობელი პირველი გაგებით [98], მაშინ კაპიტალისტი ვერ მიიღებდა ვერავითარ მოგებას, ვერ მოახდენდა ვერავითარი ზედმეტი ღირებულების რეალიზაციას, რადგან ღირებულების კანონის თანახმად იცვლებიან ეკვივალენტები, შრომის თანაბარი რაოდენობა გაიცვლება შრომის თანაბარ რაოდენობაზე. კაპიტალისტის ზედმეტი ღირებულება სწორედ იქიდან წარმოდგება, რომ იგი მუშისაგან ყიდულობს არა საქონელს, არამედ თვით მის სამუშაო ძალას, რომელსაც უფრო ნაკლები ღირებულება აქვს, ვიდრე მის პროდუქტს, ანდა, რაც იგივეა, რომელიც გასაგნობრივებული შრომის უფრო მეტ რაოდენობაში ხორციელდება, ვიდრე თვით მასშია განხორციელებული. და აი, მოგების გამართლების მიზნით მიჩქმალულია თვით მისი წყარო და უკუგდებულია მთელი გარიგება, საიდანაც იგი წარმოიშვება. რადგან ფაქტიურად, — რამდენადაც პროცესი უწყვეტია, — კაპიტალისტი მუშას გასამრჯელოს მხოლოდ მისი საკუთარი პროდუქტიდან უხდის, ასე რომ მუშას საზღაურად მისივე საკუთარი პროდუქტის ნაწილი ეძლევა და, მაშასადამე, ავანსის მიცემა მუშისათვის უბრალო მოჩვენებითობაა, — ამიტომ ახლა გვეუბნებიან: მუშამ კაპიტალისტს პროდუქტიდან მისაღები თავისი წილი მიჰყიდა უ ფ რ ო ა დ რ ე, ვ ი დ რ ე ე ს პ რ ო დ უ ქ ტ ი ფ უ ლ ა დ გ ა დ ა ი ქ ც ე ო დ ა. (შეიძლება, უფრო ადრეც კი, ვიდრე პროდუქტი ფულად გადაქცევის უნარს მიიღებდა, რადგან შეიძლება მოხდეს, რომ თუმცა მუშის შრომა მატერიალიზებულია რომელიმე პროდუქტში, მაგრამ მოცემულ მომენტში დამზადებულია მხოლოდ ნაწილი გასაყიდად ვარგისი საქონლისა, — მაგალითად, სახლის ნაწილი.) თუ საქმის ვითარებას ასე შევხედავთ, მაშინ კაპიტალისტი აღარ არის უკვე პროდუქტის მესაკუთრე და ამით ისპობა მთელი ის პროცესი, რომლის მეშვეობითაც იგი უ ს ა ს ყ ი დ ლ ო დ ითვისებდა სხვის შრომას. გამოდის, რომ ახლა ერთმანეთს უპირისპირდებიან საქონელმფლობელნი. კაპიტალისტის ხელშია ფული, მუშამ კი მას უნდა მიჰყიდოს არა თავისი სამუშაო ძალა, არამედ საქონე-

ლი, სახელდობრ პროდუქტის ის ნაწილი, რომელშიც გასაგნობრივებულია მისი საკუთარი შრომა.

მუშას შეუძლია ასეთ შემთხვევაში კაპიტალისტს უთხრას: «ამ 5 გირვანქა პროდუქტიდან (მაგალითად, ნართიდან) $^3/_5$ წარმოადგენს მუდმივ კაპიტალს. ის შენ გეკუთვნის. $^2/_5$, ე. ი. 2 გირვანქა, წარმოადგენს ჩემს ახლადმიმატებულ შრომას. მაშასადამე, შენ უნდა მომცე მე 2 გირვ. ნართის ფასი. მაშ გადამიხადე ამ ორი გირვანქის ღირებულება». ამ შემთხვევაში მუშა ჯიბეში ჩაიდებდა არა მარტო ხელფასს, არამედ მოგებასაც, მოკლედ, ფულის მთელ რაოდენობას, რომელიც უდრის მის მიერ 2 გირვ. ნართის ფორმით ახლადმიმატებული, მატერიალიზებული შრომის რაოდენობას.

— «მაგრამ», — ამბობს კაპიტალისტი, — «განა მე არ გავიღე ავანსად მუდმივი კაპიტალი?»

— «დაე აგრე იყოს», — უპასუხებს მუშა, — «სამაგიეროდ იღებ კიდეც შენთვის სამ გირვანქას, მე კი მხოლოდ ორის ფასს მიხდი».

— «მაგრამ შენ ხომ არ შეგეძლო», — დაჟინებით უმტკიცებს კაპიტალისტი, — «მოგეხდინა შენი შრომის მატერიალიზაცია, არ შეგეძლო დაგერთო, თუ ჩემი ბამბა და ჩემი თითისტრები არ გექნებოდა. ამისათვის შენ ცალკე უნდა გადამიხადო»

— «კმარა!», — უპასუხებს მუშა, — «ბამბა დალპებოდა, თითისტრები კი დაჟანგდებოდა, მე რომ ისინი დასართავად არ გამომეყენებია. [426] მართალია, ის 3 გირვანქა ნართი, რასაც შენთვის იტოვებ, იმ შენი ბამბისა და შენი თითისტრების ღირებულებას წარმოადგენს, რომლებიც ხუთი გირვანქა ნართის წარმოების პროცესში იქნა მოხმარებული და რომელთაც, მაშასადამე, ეს ხუთი გირვანქა ნართი შეიცავს. მაგრამ მხოლოდ ჩემმა შრომამ, იმით, რომ ეს წარმოების საშუალებანი მოიხმარა როგორც წარმოების საშუალებანი, შეინახა ბამბისა და თითისტართა ღირებულება. ჩემს შრომას რომ ღირებულების შენახვის ეს ძალა აქვს, მე ამ ძალისათვის შენგან არაფერს არ მოვითხოვ, რადგან, — გარდა თვით რთვისა, რისთვისაც მე 2 გირვანქას ვიღებ, — იგი მე არავითარი დამატებითი სამუშაო დრო არ მიღირდა. ეს ბუნებით თანდაყოლილი თვისებაა, ჩემი შრომის თვისება, რომელიც მე არაფერი მიღირს, მაგრამ რომელიც მუდმივი კაპიტალის ღირებულებას ინახავს. და თუ მე ამისათვის შენგან არაფერს არ მოვითხოვ, მაშინ არც შენ გაქვს არავითარი საფუძველი ჩემგან გასამრჯელო მოითხოვო იმისათვის, რომ მე თითისტრებისა და ბამბის გარეშე ვერ შევძლებდი რთვას. რთვა რომ არ ჩა-

ტარდეს, შენი თითისტრები და ბამბა გახვრეტილი გროშიც კი არ ეღირებოდა».

ჩიხში მომწყვდეული კაპიტალისტი ამბობს: «ორი გირვანქა ნართი, მართლაც, 2 შილინგი ღირს. იგი წარმოადგენს სწორედ შენი სამუშაო დროის ამ რაოდენობას. მაგრამ მე ხომ ამ საქონლისთვის ჯერ კიდევ მანამდე უნდა გადაგიხადო, სანამ მას გავყიდი. შესაძლოა, მე სულაც ვერ გავყიდო იგი. ეს არის რისკი № 1. მეორე. შესაძლებელია, რომ მე მასში სრული ფასი ვერ მივიღო. ეს არის რისკი № 2. მესამე კი, რაც არ უნდა მოხდეს, მე კიდევ გარკვეული დროის დახარჯვა მომიხდება მის გაყიდვაზე. შენი გულისათვის მე მუქთად უნდა გავწიო ეს ორი რისკი და, გარდა ამისა, კიდევ დრო დავკარგო? მუქთად, გარდა სიკვდილისა, ვერაფერს მიიღებთ».

— «მოითმინე», — უპასუხებს მუშა, — «როგორია ჩვენი ურთიერთობა? ჩვენ ვუპირისპირდებით ერთმანეთს როგორც საქონელმფლობელნი, შენ—როგორც მყიდველი, ჩვენ—როგორც გამყიდველნი, იმიტომ რომ შენ ხომ გინდა ჩვენგან იყიდო ჩვენი პროდუქტის ჩვენი კუთვნილი წილი, ე. ი. 2 გირვანქა, ხოლო ის რასაც ეს ორი გირვანქა შეიცავს, — ეს სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი საკუთარი გასაგნობრივებული სამუშაო დრო. და აი შენ აცხადებ, რომ ჩვენ უნდა მოგყიდოთ შენ ჩვენი საქონელი მის ღირებულებაზე დაბლა, რათა შენ ამის შედეგად მეტი ღირებულება მიიღო საქონლის სახით, ვიდრე ახლა გაქვს ფულის სახით. ჩვენი საქონლის ღირებულება უდრის 2 შილინგს. შენ გინდა მასში გადაიხადო მხოლოდ ერთი შილინგი. რითაც შენ, — რადგან ერთი შილინგი იმდენსავე სამუშაო დროს შეიცავს, რამდენსაც 1 გირვანქა ნართი. — მიიღებ გასაცვლელად გამოჭანილი საქონლის ღირებულების სანაცვლოდ ორჯერ მეტ ღირებულებას. ჩვენ კი, ჰირიქით, ეკვივალენტის ნაცვლად მივიღებდით ეკვივალენტის ნახევარს, ორი გირვანქა ნართის ეკვივალენტის ნაცვლად—მხოლოდ ერთი გირვანქის ეკვივალენტს. რა საფუძველი აქვს შენს ამ მოთხოვნას, რომელიც ეწინააღმდეგება ღირებულების კანონს და კანონს საქონელთა გაცვლისა მათი ღირებულების შესაბამისად? რა საფუძველი აქვს? ის ხომ არა, რომ შენ მყიდველი ხარ, ჩვენ კი — გამყიდველები, რომ ჩვენი ღირებულება არსებობს ნართის, საქონლის ფორმით, შენი ღირებულება კი — ფულის ფორმით, რომ გარკვეული ღირებულება ნართის ფორმით უპირისპირდება იმავე ოდენობის ღირებულებას ფულის ფორმით. მაგრამ, პატიოსანმოლოდინ მოკამათეო! ეს ხომ მხოლოდ ფორმაცვლაა, რომელიც ეხება ღირებუ-

ლების გამოხატულებას, მაგრამ არ ცვლის ღირებულების სიდიდეს. ანდა შენ ხომ იმ ბავშვური შეხედულებისა არ ხარ, რომ ყოველი საქონელი უნდა იყიდებოდეს თავის ფასზე დაბლა, — მისი ღირებულების გამომხატველი ფულის რაოდენობაზე ნაკლებად, — იმიტომ რომ ფულის ფორმით იგი თითქოს უფრო მეტ ღირებულებას იძენს? მაგრამ არა, ჩემო კარგო, იგი სრულიადაც არ იძენს უფრო მეტ ღირებულებას; მისი ღირებულების სიდიდე არ იცვლება, ეს ღირებულება ახლა მხოლოდ საცვლელი ღირებულების წმინდა სახითაა წარმოდგენილი.

აბა წარმოიდგინე, ჩემო კარგო, რა უსიამოვნებას აყენებ შენს თავს თვითონ შენ! შენი მტკიცება იმას ნიშნავს, რომ გამყიდველმა ყოველთვის უნდა მიჰყიდოს მყიდველს საქონელი მის ღირებულებაზე დაბლა. მართლაც, ასეც იყო საქმის ვითარება შენს მხარეზე, როცა ჩვენ ჯერ კიდევ მოგყიდდით შენ არა ჩვენ მიერ დამზადებულ საქონელს, არამედ თვით ჩვენს სამუშაო ძალას. შენ, მართალია, ამ ძალას მისი ღირებულების მიხედვით ყიდულობდი, მაგრამ თვით ჩვენი შრომა შენ იყიდე იმ ღირებულებაზე დაბლა, რომელშიც იგი თავის გამოხატულებას პოულობს. მაგრამ დავანებოთ თავი ამ არასასიამოვნო მოგონებას. ჩვენ, მადლობა ღმერთს, გამოვედით ამ მდგომარეობიდან მას შემდეგ, რაც შენ თვითონ კეთილინებე და გადაწყვიტე, რომ ჩვენ უნდა მოგყიდოთ შენ უკვე არა ჩვენი სამუშაო ძალა როგორც საქონელი, არამედ თვით საქონელი, ჩვენი შრომის პროდუქტი. დავუბრუნდეთ იმ უსიამოვნებას, რასაც შენ ამით შენს თავს აყენებ. შენ წამოაყენე ახალი კანონი, რომლის თანახმად გამყიდველი თავისი საქონლის ფულად გადაქცევისათვის იხდის არა უბრალოდ თავისი საქონლით, არა იმით, რომ ცვლის თავის საქონელს ფულზე, არამედ იმით, რომ საქონელს მის ფასზე დაბლა ყიდის, — კანონი, რომლის მიხედვითაც მყიდველი ყოველთვის ატყუებს, ანგარიშში აკლებს გამყიდველს; ამ კანონს ხომ ერთნაირი ძალა უნდა ჰქონდეს ყოველი მყიდველისა და გამყიდველისათვის. ვთქვათ, ჩვენ მივიღეთ შენი წინადადება — მხოლოდ იმ პირობით, რომ შენ თვითონ დაემორჩილები შენგანვე გამოგონებულ კანონს, სახელდობრ იმ კანონს, რომლის თანახმად გამყიდველი მუქთად უნდა აძლევდეს თავისი საქონლის ნაწილს მყიდველს იმისათვის, რომ ეს უკანასკნელი გამყიდველისათვის მის საქონელს ფულად აქცევს. ამრიგად, შენ ყიდულობ 2 შილინგად ღირებულ ჩვენს 2 ვირვანქა ნართს 1 შილინგად და, მაშასადამე, მოგებას იღებ 1 შილინგს, ე. ი. 100%-ს. მაგრამ ახლა, მას შემდეგ რაც შენ ჩვენგან

ჩვენი კუთვნილი 2 გირვანქა იყიდე, შენს ხელშია 5 შილინგად ღირებული 5 გირვანქა ნართი. შენ, რა თქმა უნდა, სარფიანი ოპერაციის ჩატარებას ფიქრობ. 5 გირვანქა ნართი შენ გიღირს მხოლოდ 4 შილინგი, შენ კი გინდა ის 5 შილინგად გაყიდო. «შეჩერდი! — ამბობს შენი მყიდველი. — შენი 5 გირვანქა ნართი საქონელია, შენ კი — გამყიდველი. მე იგივე ღირებულება მაქვს ფულის სახით, მე—მყიდველი ვარ. მაშასადამე, შენ მიერ აღიარებული კანონის თანახმად, შენთან გარიგებამ მე უნდა მომიტანოს 100% მოგება. ამიტომ 5 გირვანქა ნართი შენ უნდა მომყიდო მის ღირებულებაზე დაბლა 50%-ით, ე. ი. $2^1/_2$ შილინგად. მე გაძლევ $2^1/_2$ შილინგს. მათში ვღებულობ 5 შილინგად ღირებულ საქონელს და, ამრიგად, შენთან გარიგება მაძლევს 100% მოგებას, — იმიტომ რომ რაც ერთისთვის მართებულია, ის მართებულია მეორისთვისაც».

შენ, ჩემო კარგო, თვითონ ხედავ, — [განაგრძობს მუშა], — სადამდე მივყავართ შენს ახალ კანონს; შენ მხოლოდ შენს თავს მოატყუებდი, — ვინაიდან თუმცა ერთი წუთით გახდი მყიდველი, მაგრამ შემდეგ კვლავ გამყიდველი იქნები. მოცემულ შეთხვევაში როგორც გამყიდველი უფრო მეტს დაკარგავდი, ვიდრე მყიდველის როლში მოიგებდი. კარგად მოიფიქრე! განა მანამდე, იმ 2 გირვანქა ნართის წარმოებამდე, რომელიც შენ გინდა ახლა ჩვენგან იყიდო, არ გიყიდია სხვა რაიმე, რის გარეშეც საერთოდ არ იარსებებდა აქ მოხსენებული 5 გირვანქა ნართი? [426 a] განა შენ წინასწარ არ იყიდე ბამბა და თითისტრები, რომლებიც ახლა წარმოდგენილია 3 გირვანქა ნართით? მაშინ ლივერპულელი ბამბით ბითუმად მოვაჭრე და ოლდემელი სართავი მანქანების ფაბრიკანტი გიპირისპირდებოდნენ შენ გამყიდველთა სახით, შენ კი მათ უპირისპირდებოდი მყიდველის სახით; ისინი გამოდიოდნენ როგორც საქონლის წარმომადგენელნი, შენ კი — როგორც ფულის წარმომადგენელი — სავსებით ისეთივე ურთიერთობაა, როგორითაც ახლა ჩვენ — სპატიოდ თუ საუბედუროდ — ერთმეორეს ვუპირისპირდებით. განა შენ არ დაგცინებდნენ გაქნილი ბამბიან მოვაჭრე და შენი ენერგიული მეგობარი ოლდემიდან, თუ შენ მათ მოსთხოვდი, რომ მუქთად დაეთმოთ შენთვის ბამბისა და თითისტართა ნაწილი, ანდა, რაც იგივეა, მოეყიდათ შენთვის ეს საქონელი მის ფასზე (და მის ღირებულებაზე) დაბლა, იმ საფუძვლით, რომ შენ მათთვის საქონელს აქცევ ფულად, ისინი კი შენთვის ფულს საქონლად აქცევენ, რომ ისინი გამყიდველები არიან, შენ კი — მყიდველი? მათ ხომ არავითარი რისკი არ გაუწევიათ, ისინი ღებულობდნენ ნაღდ ფულს, საცვლელ

ღირებულებას წმინდა თავისთავადი ფორმით. სამაგიეროდ შენი მხრივ — როგორი რისკია! ჯერ გამომუშავება ნართისა თითისტრებისა და ბამბისაგან, წარმოების პროცესთან დაკავშირებული მთელი რისკის გაწევა და შემდეგ კიდევ, გარდა ამისა, გასწიო ნართის გაყიდვასთან, ფულად მის უკუგარდაქმნასთან დაკავშირებული რისკი. გასწიო იმის რისკი — გაიყიდება თუ არა იგი თავისი ღირებულების მიხედვით, ღირებულებაზე მაღლა თუ დაბლა? რისკი იმისა, რომ შეიძლება სულ ვერ გაყიდო, სრულიად ვერ გადააქციო იგი ხელახლა ფულად რაც შეეხება ნართს როგორც ასეთს, იგი შენ სრულიად არ გაინტერესებს. ნართს შენ არც ჭამ, არც სვამ, მისი სხვაგვარად გამოყენება, გარდა გაყიდვისა, შენ არ შეგიძლია. და ყოველ შემთხვევაში უნდა ანაზღაურდეს დროის დაკარგვა, რაც ნართის ფულად უკუგადაქცევასთან არის დაკავშირებული და რაც, ფარული სახით, შეიცავს თითისტარებისა და ბამბის ფულად უკუგადაქცევას! — მეგობარო! — გიპასუხებდნენ შენი კოლეგები, — ნუ მიჰქარავ! სისულელეს ნუ როშავ! რა ჩვენი საქმეა, ეშმაკსაც წაუღიხარ, თუ როგორ ფიქრობ შენ გამოიყენო ჩვენი ბამბა და ჩვენი თითისტრები? რაც გინდა ის უყავი მათ! დასწვი ისინი, გადაყარე, რაც გენებოს უქენი, მხოლოდ მათი საფასური გადაიხადე! რა იდეაა! ჩვენ უნდა საჩუქრად მოგართვათ ჩვენი საქონელი იმიტომ, რომ შენ ბამბისმრთველი ფაბრიკანტი გახდი და, გეტყობა, მოსაქმეობის ამ დარგში სულ კარგად ვერ გრძნობ თავს, რაკი ასე ძლიერ აზვიადებ მასთან დაკავშირებულ რისკსა და საშიშროებას! გაანებე თავი ბამბის რთვას ანდა არ გამოჩნდე ბაზარზე ასეთი სულელური იდეებით!»

მუშების ამ შეკამათებაზე კაპიტალისტი აბუჩადამგდები ღიმილით უპასუხებს: «ჩანს თქვენ, ჩერჩეტებო, გაგიგონიათ—ალია მოკვდაო და ის კი არ იცით, რომელი ალია. თქვენ მსჯელობთ საგნებზე, რომლებიც არ გაგეგებათ. თქვენ ფიქრობთ, რომ მე ლივერპულელ გაიძვერას და ოლდემელ ვაჟბატონს ნაღდი ფულით გადავუხადე? ნურას უკაცრავად! მე გადავუხადე მათ თამასუქებით, და ლივერპულელი გაიძვერას ბამბა სინამდვილეში ჯერ კიდევ მანამდე გადამუშავდა ნართად და გაიყიდა, ვიდრე მისთვის მიცემული თამასუქის განაღდების ვადა დადგებოდა. თქვენი საქმე კი სულ სხვაა. თქვენ გსურთ ნაღდი ფული მიიღოთ».

— «ძალიან კარგი, მაგრამ რა უქნეს ლივერპულელმა გაიძვერამ და ოლდემელმა ვაჟბატონმა შენს თამასუქებს?»

— «რა უქნეს მათ თამასუქებს?!» — წამოიძახებს კაპიტალის-

ტი. — «სულელური კითხვაა! მათ თამასუქები პიუტანეს ბანკირებს, ამ უკანასკნელებმა კი მათი დისკონტირება მოახდინეს».

— «რამდენს უხდიან ისინი ამისათვის ბანკირს?»

— «ახლავე გიპასუხებთ! ფული ახლა ძალიან იაფია. ვფიქრობ, რომ მათ გადაიიადეს დისკონტიორებისათვის 3%, ე. ი. არა თამასუქის მთელი თანხის სამი პროცენტი, არამედ იმდენი, რაც თამასუქის ვადის გასვლამდე დარჩენილი დროისთვის მოუწევს წლიური 3%-ის კვალობაზე».

— «მით უკეთესი», — ეუბნებიან მუშები. — «გადაგვიხადე ჩვენ 2 შილინგი, სწორედ ჩვენი საქონლის ღირებულება, ანდა, ვთქვათ, 12 შილინგი კვირაში, რადგან ჩვენ გვინდა არა ყოველდღიური, არამედ ყოველკვირეული ანგარიშსწორება, და დაგვიკავე ამ თანხიდან 3% წლიური სარგებელი 14 დღისათვის».

— «მაგრამ ეს თამასუქი იმდენად მცირეა», — ამბობს კაპიტალისტი, — «რომ არც ერთი ბანკირი არ მოახდენს მის დისკონტირებას».

— «ძალიან კარგი», — ამბობენ მუშები, — «ჩვენ 100 კაცი ვართ. მაშასადამე, შენ უნდა გადაგვიხადო 1200 შილინგი. მოგვეცი ამის თამასუქი. ეს შეადგენს 60 გირვ. სტერლინგს, რაც არც ისე მცირე თანხაა, რომ თამასუქის დისკონტირება არ შეიძლებოდეს. გარდა ამისა, შენ ხომ თვითონ ახდენ მის დისკონტირებას, და ეს თანხა არ უნდა იყოს ძალიან პატარა შენთვის, რადგან სწორედ ის თანხაა, საიდანაც შენ, შენივე სიტყვებით, ჩვენგან მოგებას იღებ. გამოქვითვა უმნიშვნელო იქნებოდა. და რადგან ასეთ შემთხვევაში ჩვენ მთლიანად მივიღებდით ჩვენი პროდუქტის უდიდეს ნაწილს, ამიტომ სულ მალე შენი დისკონტი აღარ დაგვჭირდებოდა. რა თქმა უნდა, ჩვენ იმაზე მეტ კრედიტს არ გაგიხსნით, რასაც ბირჟის მაკლერი გაძლევს, — სულ მხოლოდ 14 დღით».

თუ ხელფასს (ნამდვილი ურთიერთობის სრული დამახინჯებით) ერთობლივი პროდუქტის იმ ნაწილის დისკონტირებიდან გამოვიყვანთ, რომელიც მუშებს ეკუთვნის, გამოვიყვანთ იქიდან, რომ კაპიტალისტი ამ ნაწილს მუშებს წინასწარ უხდის ფ უ ლ ი თ, — მაშინ კაპიტალისტს უნდა მიეცა მათთვის მეტად მოკლევადიანი თამასუქები, როგორსაც იგი თვითონ აძლევს, მაგალითად, ბაშმით მოვაჭრეს და ა. შ. მუშა მიიღებდა თავისი პროდუქტის უდიდეს ნაწილს, კაპიტალისტი კი სულ მალე უკვე კაპიტალისტი აღარ იქნებოდა. პროდუქტის შესაკუთრიდან იგი მუშების მიმართ მხოლოდ ბანკირი გახდებოდა.

ამასთან, თუ კაპიტალისტს ის საფრთხე ელის, რომ საქონელი [427] ღირებულებაზე დაბლა გაიყიდება, სამაგიეროდ მას აგრეთვე იმის შესაძლებლობაც აქვს, რომ საქონელი მის ღირებულებაზე მაღალ ფასში გაყიდოს. თუ პროდუქტის გაყიდვა არ ხერხდება, მუშებს ქუჩაში გამოყრიან. თუ პროდუქტის ფასი დიდი ხნის განმავლობაში საბაზრო ფასზე დაბალი რჩება, მუშის ხელფასი საშუალო დონეზე დაბლა ეცემა, და ფაბრიკები მთელ სამუშაო დროს არ მუშაობენ. მაშასადამე, ყველაზე დიდ რისკს მუშა ეწევა.

მ ე ს ა მ ე. არავის აზრად არ მოსდის, რომ მოიჯარეს, რაკი იგი რენტას ფულით იხდის, ან მრეწველ კაპიტალისტს, რაკი იგი სარგებელს ფულით იხდის, შეუძლია გამოქვითონ და თავისთვის დაიტოვონ მათ მიერ გასაცემი რენტის ან სარგებლის ნაწილი მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ მათ, — ამ გადახდებისთვის საჭირო თანხის მიღების მიზნით, — თავიანთი პროდუქტი წინასწარ ფულად უნდა გადააქციონ. }

[ბ) საქონელი, რომელსაც მუშა კაპიტალისტისაგან ყიდულობს, ფულის უკუმოდინება, რომელიც კვლავწარმოებას არ ბამოხატავს]

ფულის უკუდაბრუნება ამოსავალ წერტილთან ხდება კაპიტალის იმ ნაწილშიც, რომელიც მრეწველ კაპიტალისტსა და მუშას შორის მიმოიქცევა (მაშასადამე, საბრუნავი კაპიტალის იმ ნაწილში, რომელიც ცვალებად კაპიტალს შეადგენს). კაპიტალისტი მუშას ხელფასს უხდის ფულით; მუშა ამ ფულით კაპიტალისტისაგან ყიდულობს საქონელს, და ამრიგად ფული უკანვე უბრუნდება კაპიტალისტს. (პრაქტიკულად — კაპიტალისტის ბანკირს. მაგრამ სინამდვილეში ბანკირები ცალკეული კაპიტალისტების მიმართ ერთობლივი კაპიტალის, მთლიანად აღებული კაპიტალის წარმომადგენელნი არიან, რამდენადაც ეს კაპიტალი ფ უ ლ ი ს სახეს ღებულობს.) ფულის ეს უკუმოდინება თავისთავად სრულიად არ გამოხატავს კვლავწარმოებას. კაპიტალისტი მუშისაგან ყიდულობს ფულზე გაცვლით შრომას, მუშა კი ამ ფულით კაპიტალისტისაგან ყიდულობს საქონელს. ერთი და იგივე ფული ჯერ გამოდის როგორც შრომის ყიდვის საშუალება, შემდეგი კი — როგორც საქონლის ყიდვის საშუალება. ფულის უკუმოდინება კაპიტალისტთან გაპირობებულია იმით, რომ ერთი და იმავე პირების მიმართ კაპიტალისტი ჯერ შემოდის მყიდველის როლში. შემდეგ კი — გამყიდველის როლში. ფული გა-

ნერიდება მას როგორც მყიდველს და უბრუნდება მას როგორც გამყიდველს. მუშა, პირიქით, ჯერ გამოდის როგორც გამყიდველი, შემდეგ კი — როგორც მყიდველი, იგი ჯერ ღებულობს ფულს, შემდეგ კი ხარჯავს მას, მაშინ როდესაც კაპიტალისტი, მუშის საპირისპიროდ, ჯერ ხარჯავს ფულს, შემდეგ კი მას უკანვე იღებს.

კაპიტალისტის მხარეზე აქ ხდება მოძრაობა Ф — ს — Ф. იგი ფულით ყიდულობს საქონელს (სამუშაო ძალას); ამ სამუშაო ძალის პროდუქტის საშუალებით, საქონლის საშუალებით ის ყიდულობს ფულს, ანუ უკანვე მიჰყიდის ამ პროდუქტს მუშას, რომელიც მას წინაათ გამყიდველის სახით უპირისპირდებოდა. მუშა, პირიქით, გამოსახავს მიმოქცევას ს—Ф—ს. იგი ყიდის თავის საქონელს (სამუშაო ძალას) და მასში მიღებული ფულით გამოისყიდის თავისი საკუთარი პროდუქტის, მის მიერ წარმოებული საქონლის ნაწილს. რასაკვირველია, შეიძლებოდა გვეთქვა: მუშა ყიდის საქონელს (სამუშაო ძალას) ფულზე, ამ ფულს ხარჯავს საქონლის საყიდლად და შემდეგ ისევ ყიდის თავის სამუშაო ძალას, ასე რომ პროცესი Ф — ს — Ф წარმოდგენილია აგრეთვე მუშის მხარეზეც; და რადგან ფული მუდამ მიმოიქცევა მუშასა და კაპიტალისტს შორის, შეიძლებოდა იმავე უფლებით გვეთქვა, იმისდა მიხედვით, თუ ვისი მხრიდან განვიხილავთ პროცესს, რომ მუშა — ისევე, როგორც კაპიტალისტიც — გამოსახავს მოძრაობას Ф — ს — Ф. მაგრამ მყიდველი არის კაპიტალისტი. პროცესის განახლება იწყება კაპიტალისტიდან და არა მუშიდან; ფულის უკუმოდინება კაპიტალისტთან გამოწვეულია იმით, რომ მუშამ უნდა იყიდოს საარსებო საშუალებანი. აქ, როგორც ყველა პროცესშიც, სადაც Ф — ს — Ф წარმოადგენს მიმოქცევის ფორმას ერთ მხარეზე, ს — Ф — ს კი — მიმოქცევის ფორმას მეორე მხარეზე, მეღავნდება, რომ გაცვლის პროცესის მიზანი ერთი მხარისათვის არის საცვლელი ღირებულება, ფული, მაშასადამე, ღირებულების გადიდებაც, მეორე მხარისათვის კი — სახმარი ღირებულება, მოხმარება. იგივე ხდება ფულის უკუმოდინების დროსაც პირველ განხილულ შემთხვევაში, სადაც პროცესი Ф — ს — Ф მიმდინარეობს მოიჯარის მხარეზე, ს — Ф — ს კი — მიწის მესაკუთრის მხარეზე; ეს ცხადია, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ Ф, რომლითაც მიწის მესაკუთრე საქონელს ყიდულობს მოიჯარისაგან, მიწის რენტის ფულადი ფორმაა და, მაშასადამე, უკვე შედეგი ს — Ф-სა, გარდაქმნილი ფორმა პროდუქტის იმ ნაწილისა, რომელიც არსებითად მიწის მესაკუთრეს ეკუთვნის in natura.

Ф — ს — Ф-ის პროცესის ეს სახესხვაობა, — რაც მუშასა და კა-

პიტალისტს შორის არსებულ ურთიერთობაში მხოლოდ იმის გამოხატულებაა, რომ კაპიტალისტს უკან უბრუნდება ის ფული, რომელიც მან ხელფასზე დახარჯა, — თავისთავად არ გამოხატავს კვლავწარმოების პროცესს, არამედ იგი გამოხატავს მხოლოდ იმ გარემოებას, რომ მყიდველი თავის მხრივ გამყიდველი ხდება იმავე პირების მიმართ. იგი არ გამოხატავს აგრეთვე ფულს როგორც კაპიტალს, სწორედ იმ პროცესს — Ф—ს—Ф'-ს, სადაც მეორე Ф უფრო მეტი ფულადი თანხაა, ვიდრე პირველი Ф და სადაც Ф, მაშასადამე, წარმოადგენს თვითმზარდ ღირებულებას (კაპიტალს). პირიქით, ეს არის გამოხატულება მხოლოდ ი მ ა ვ ე ფულადი თანხის (ნაშრად უფრო ნაკლებისაც) ფორმალური უკუმოდინებისა ამოსავალ წერტილთან. (კაპიტალისტად აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება კაპიტალისტთა კლასი.) მაშასადამე, ჩემი მხრივ არ იყო სწორი, როცა პირველ ნაწილში [99] ვთქვი, რომ ფორმას Ф — ს — Ф უეჭველად Ф — ს — Ф'-ის სახე უნდა ჰქონდეს. მას შეუძლია გამოხატოს უბრალოდ ფულის უკუმოდინების ფორმა, რაზეც მე უკვე მივუთითე, როცა ფულის წრიული მოძრაობა — იმავე ამოსავალ წერტილს რომ უბრუნდება — იმ გარემოებით აკვხენი, რომ მყიდველი. თავის მხრივ, გამყიდველი ხდება [100].

მაგრამ კაპიტალისტი ფულის ა მ უკუმოდინებით როდი მდიდრდება. მაგალითად, მან გადაიხადა 10 შილინგი ხელფასად. ამ 10 შილინგით მუშა ყიდულობს მისგან საქონელს. კაპიტალისტმა მუშას მისცა 10 შილინგის საქონელი მის სამუშაო ძალაში. მას რომ მუშისთვის 10 შილინგად ღირებული საარსებო საშუალებანი in natura მიეცა, მაშინ არავითარი ფულის მიმოქცევა არ იქნებოდა, მაშასადამე, არ იქნებოდა არც ფულის უკუმოდინება. ფულის უკუმოდინების ამ მოვლენას, მაშასადამე, არაფერი აქვს საერთო კაპიტალისტის გამდიდრებასთან, რაც მხოლოდ იქიდან გამომდინარეობს, რომ თვით წარმოების პროცესში კაპიტალისტი ისაკუთრებს უფრო მეტ შრომას, ვიდრე ხელფასის სახით დახარჯა, და რომ მისი პროდუქტი ამიტომ აღემატება ამ პროდუქტის წარმოების ხარჯებს, — მაშინ როდესაც ფული, რასაც კაპიტალისტი მუშას უხდის, არასგზით არ შეიძლება ფულის იმ რაოდენობაზე ნაკლები იყოს, რითაც მუშა კაპიტალისტისაგან საქონელს ყიდულობს. ფულის ამ ფორმალურ უკუმოდინებას არაფერი აქვს საერთო აქ გამდიდრებასთან, მაშასადამე, არ გამოხატავს [428] ფულს როგორც კაპიტალს, — სავსებით ისევე, როგორც იმ შემთხვევაში, როცა რენტის, სარგებლისა და გადასახადის გასასტუმრებლად დახარჯული ფული უკანვე უბრუნდე-

ბა მიწის რენტის, სარგებლისა და გადასახადის გადამხდელს, ეს უკუმოდინება არ შეიცავს ღირებულების გადიდებას ან [თუნდაც] ანაზღაურებას.

Ფ — ს — Ფ, რამდენადაც ეს მოძრაობა კაპიტალისტთან ფულის ფორმალურ უკუმოდინებას გამოსახავს, მხოლოდ იმ გარემოებას გამოხატავს, რომ კაპიტალისტის მიერ გაცემული ფულადი ასიგნება რეალიზებულია მის საკუთარ საქონელში.

ფულის ამ დინების — ამოსავალ წერტილთან ფულის ამ უკუდაბრუნების — არასწორი ახსნა-განმარტების მაგალითი იხილე ზემოთ განყოფილებაში, სადაც ლაპარაკია დესტიუტ დე ტრასიზე[101]. მეორე მაგალითად — განსაკუთრებით მუშასა და კაპიტალისტს შორის ფულის მიმოქცევასთან დაკავშირებით — შეიძლება დავასახელოთ შემდეგში ბრეი[102]. ბოლოს, რაც შეეხება ფულის გამსესხებელ კაპიტალისტს, აქ უნდა დავასახელოთ პრუდონი[103].

უკუმოდინების ეს ფორმა Ფ — ს — Ფ გვხვდება ყველგან, სადაც კი მყიდველი თავის მხრივ გამყიდველი ხდება; მაშასადამე, ამ ფორმას ვხედავთ მთელი სავაჭრო კაპიტალის მხარეზე, სადაც ვაჭრები ყველანი ერთმანეთისაგან ყიდულობენ, რათა გაყიდონ, და ყიდიან, რათა იყიდონ. შესაძლოა, რომ მყიდველმა — Ფ — ვერ გაყიდოს საქონელი, მაგალითად ბრინჯი, უფრო ძვირად, ვიდრე იყიდა; იგი, შეიძლება, იძულებულიც კი შეიქნეს საქონელი მის ფასზე დაბლა გაყიდოს. ასეთ შემთხვევაში ჩვენ გვექნება მხოლოდ ფულის უბრალო უკუდაბრუნება, რადგან ყიდვა გადადის აქ გაყიდვაში ისე, რომ ფული არ ვლინდება როგორც თვითმზარდი ღირებულება, როგორც კაპიტალი.

იგივე ხდება, მაგალითად, მუდმივი კაპიტალის გაცვლისას. მანქანათმშენებელი რკინას ყიდულობს რკინის მწარმოებლისაგან და მიჰყიდის მას მანქანას. ამ შემთხვევაში ფული უკან უბრუნდება მანქანათმშენებელს. ფული დაიხარჯა როგორც ყიდვის საშუალება რკინის შესაძენად. ამის შემდეგ ფული წარმოადგენს რკინის მწარმოებლისათვის ყიდვის საშუალებას მანქანების შესაძენად და ამრიგად იგი უკუმოედინება მანქანათმშენებელთან. გაცემულ ფულში მანქანათმშენებელმა მიიღო რკინა, მიღებულ ფულში კი მან გასცა მანქანა. ფულის ერთმა და იმავე რაოდენობამ შესაძლებელი გახადა აქ ორჯერ მეტი ღირებულების მიმოქცევა. მაგალითად, 1000 გირვ. სტერლინგით მანქანათმშენებელმა იყიდა რკინა; იმავე 1000 გირვ. სტერლინგით რკინის მწარმოებელი ყიდულობს მანქანებს. რკინისა და მანქანების ღირებულება ერთად = 2000 გირვ. სტერლინგს. მაგ-

რამ ამრიგად მოძრაობაში უნდა იმყოფებოდეს 3000 გირვ. სტერლ.: 1000 გირვ. სტერლ. — ფული, 1000 გირვ. სტერლ. — მანქანები და 1000 გირვ. სტერ. — რკინა. კაპიტალისტები რომ გაცვლას in natura ეწეოდნენ, საქონელი ხელიდან ხელში გადავიდოდა ისე, რომ არც ერთი ფარტინგი მიმოქცევაში არ იქნებოდა.

ასევე ხდება მაშინაც, როცა კაპიტალისტები ერთმანეთს შორის ანგარიშს ასწორებენ და ფული მათთვის გადახდის საშუალებას წარმოადგენს. თუ მიმოქცევაშია ქაღალდის ფული ან საკრედიტო ფული (ბანკნოტები), მაშინ საქმის ვითარება იცვლება მხოლოდ ერთი მიმართებით. ამ შემთხვევაში კიდევ არის 100 გირვ. სტერლ. ბანკნოტებით, მაგრამ ისინი მოკლებულია «შინაგან ღირებულებას». ასეა თუ ისე, აქაც აგრეთვე არის 3000 გირვ. სტერლ.: 1000 გირვ. სტერლ. რკინის სახით, 1000 გირვ. სტერლ. მანქანების სახით და 1000 გირვ. სტერლ. ბანკნოტების სახით. მაგრამ ეს 3000 გირვ. სტერლ. არსებობს, როგორც პირველ შემთხვევაშიც, მხოლოდ იმიტომ, რომ მანქანათმშენებელს თავის ხელში ჰქონდა 2000 გირვ. სტერლ.: 1000 გირვ. სტერლ. მანქანების სახით და 1000 გირვ. სტერლ. (ოქროთი და ვერცხლით ანდა ბანკნოტებით) — ფულის სახით. ორივე შემთხვევაში რკინის მწარმოებელი მხოლოდ უკან უბრუნებს მანქანათმშენებელს ამ უკანასკნელს (ე. ი. ფულს), რადგან რკინის მწარმოებელმა მიიღო ფული საერთოდ მხოლოდ იმიტომ, რომ მანქანათმშენებელი, მყიდველის სახით, არ წარმოადგენდა — უშუალოდ იქვე — თავის მხრივ გამყიდველს: მან გადაიხადა პირველი საქონლის, რკინის, საფასური არა საქონლით, არამედ ფულით. როცა იგი საქონლით იხდის, ე. ი. თავის საქონელს რკინის მწარმოებელს მიჰყიდის, უკანასკნელი უკან უბრუნებს მას ფულს, რადგან გადახდა ხდება ორჯერ, ერთხელ ფულით, მეორედ — საქონლით.

ორივე შემთხვევაში ოქრო ან ბანკნოტი გარდაქმნილი ფორმაა იმ საქონლისა, რომელიც მანქანათმშენებელმა იყიდა, ან იმ საქონლისა, რომელიც ამის შემდეგ იყიდა მისგან მისმა კონტრაგენტმა; ანდა ოქრო ან ბანკნოტი ისეთ საქონელს წარმოადგენს, რომელიც თუმცა ნაყიდი არ ყოფილა, მაინც ფულად გადაიქცა, როგორც ეს ხდება ხოლმე, როცა შემოსავალს ღებულობს მიწის მესაკუთრე (მისი წინაპრები და ა. შ.)[104]. აქ ფულის უკუმოდინება გამოხატავს, მაშასადამე, მხოლოდ იმ გარემოებას, რომ ის, ვინც საქონელში ფული გადაიხადა და ეს ფული მიმოქცევაში გაუშვა, აქედან უკანვე იღებს ფულს სხვა საქონლის გაყიდვით, ამ საქონლის მიმოქცევაში გაშვებით.

იმავე 1000 გირვ. სტერლინგს, რომელზეც ახლახან ლაპარაკი იყო, შეეძლო, თუ კაპიტალისტებს შორის მიმოქცევაში იქნებოდა, ერთი დღის განმავლობაში გაეკეთა ორმოცსა და ორმოცდაათ ხელში, და ეს იქნებოდა მხოლოდ კაპიტალის გადასვლა ერთი ხელიდან მეორეში. მანქანა გადავიდოდა რკინის მწარმოებლის ხელში, რკინა — გლეხის ხელში, მარცვალი — სახამებლის ან სპირტის ფაბრიკანტის ხელში და ა. შ. საბოლოოდ 1000 გირვ. სტერლინგი შეიძლებოდა კვლავ აღმოჩენილიყო მანქანათმშენებლის ხელში, აქედან გადასულიყო რკინის მწარმოებლის ხელში და ა. შ. და ამრიგად ამ 1000 გირვ. სტერლინგის მეშვეობით მიმოქცევაში იქნებოდა კაპიტალი 40000 და კიდევ მეტი გირვანქა სტერლინგის რაოდენობით, ამასთან ფული შეიძლებოდა მუდამ უკან დაბრუნებოდა იმას, ვინც იგი პირველმა გაუშვა მიმოქცევაში. ამ 40000 გირვ. სტერლინგიდან მიღებული მოგების ნაწილი გადაიქცევა სარგებლად, რომელსაც იხდიან სხვადასხვა კაპიტალისტები, მაგალითად, მანქანათმშენებელი უხდის იმ პირს, რომელმაც მას სესხად მისცა 1000 გირვ. სტერლინგი, რკინის მწარმოებელი — იმას, ვინც მას ასესხა 1000 გირვ. სტერლინგი, რაც მან უკვე დიდი ხანია დახარჯა ნახშირზე და ა. შ. ანდა ხელფასზე, და ა. შ. აქედან ბატონი პრუდონი იმ დასკვნას აკეთებს, რომ ეს ათასი გირვანქა სტერლინგი იძლევა 40000 გირვ. სტერლინგიდან მისაღები სარგებლის მთელ ჯამს. ამრიგად, თუ სარგებლის ნორმა ხუთი იქნებოდა, მთელი სარგებელი შეადგენდა 2000 გირვ. სტერლინგს. რაკი ეს იგულისხმება, მან სწორად გამოიანგარიშა, რომ 1000 გირვ. სტერლინგი მოიტანდა 200%-ს. ასეთია პოლიტიკური ეკონომიის სახელგანთქმული კრიტიკოსი!*

---

* [437] პრუდონის ნაშრომის იმ ადგილას, რომელიც ზემოთ იგულისხმებოდა, ნათქვამია:

«პროთოკეური ვალების ჯამი აღწევს, საუკეთესოდ ინფორმირებული ავტორებს თანახმად, 12 მილიარდს, სხვების თანახმაც კი — 16 მილიარდს; ვალების ჯამი უბრალო თამასუქების მიხედვით არის სულ ცოტა 6 მილიარდი; კომანდიტური ანბარები — დაახლოებით 2 მილიარდი, სახელმწიფო ვალი — 8 მილიარდი; სულ 28 მილიარდი. მხედველობაში მისაღებია, რომ ყველა ამ ვალს შეადგენენ ის ფულადი თანხები, რომლებიც სესხადაა აღებული, ან ასეთად ითვლება, 4, 5, 6, 8, 12 და 15 პროცენტის კვალობაზე. ამ ვალების პირველი სამი კატეგორიისათვის მე ვიღებ სარგებლის საშუალო ნორმად 6 პროცენტს; 20 მილიარდზე ეს იძლევა 1200 მილიონს. ამას უნდა დაემატოს სახელმწიფო ვალის სარგებელი, დაახლოებით 400 მილიონი; სულ — 1600 მილიონი წლიური სარგებელი 1 მილიარდ კაპიტალზე» (გვ. 152). მაშასადამე, 160%. ვინაიდან «ნაღდი ფულის ჯამი, — მე არ მწამდა ეთქვა: საერთოდ საფრანგეთში არსებული ფულისა, მაგრამ მიმოქცევაში

თუმცა პროცესი Ფ — ს — Ფ იმ სახით, რა სახითაც იგი კაპიტალისტსა და მუშას შორის ფულის მიმოქცევას წარმოადგენს, თავისთავად არ გამოხატავს კვლავწარმოების არავითარ აქტს, მაგრამ მაინც ამ პროცესის მუდმივი გამეორება, ფულის უკუმოდინების უწყვეტობა, კვლავწარმოებაზე მიგვითითებს. არც ერთ მყიდველს არ შეუძლია საერთოდ მუდამ გამოსვლა გამყიდველის როლში, თუ იგი არ აკვლავწარმოებს იმ საქონელს, რომელსაც ყიდის. მართალია, ეს ითქმის ყველას მიმართ, ვინც რენტით, სარგებლით ან გადასახადით არ ცხოვრობს. მაგრამ ერთ კონტრაგენტთან ყოველთვის ხდება, პროცესის დამთავრებისას, ფულის უკუმოდინება Ფ — ს — Ფ, როგორც ეს ხდება კაპიტალისტთან მის ურთიერთობაში მუშასთან ან მიწის მესაკუთრესთან ანდა რანტიესთან (ორი უკანასკნელის მხრივ ადგილი აქვს მხოლოდ ფულის უკუმოდინებას). მეორე კონტრაგენტთან კი პროცესი მთავრდება საქონლის ყიდვით, ე. ი. წარმოებს პროცესი ს — Ფ — ს, როგორც ეს მუშასთან ხდება. ამ პროცესს მუშა მუდამ განაახლებს. ინიციატივა ეკუთვნის ყოველთვის მას როგორც გამყიდველს და არა როგორც მყიდველს. იგივე ითქმის ფულის მთელ იმ მიმოქცევაზე, [429] რომელიც მხოლოდ შემოსავლის ხარჯვას გამოხატავს. კაპიტალისტი, მაგალითად, თვით მოიხმარს წლის განმავლობაში პროდუქტების გარკვეულ რაოდენობას მან თავისი საქონელი ფულად გადააქცია, რათა ეს ფული იმ საქონლის საყიდლად დახარჯოს, რომლის საბოლოო მოხმარებაც მას სურს. აქ გვაქვს ს — Ფ — ს და არ ხდება ფულის უკუმოდინება კაპიტალისტთან, მაგრამ ფული უკან უბრუნდება გამყიდველს (მაგალითად. მედუქნეს), რომლის კაპიტალი იმით ნაზღაურდება. რომ კაპიტალისტი თავის შემოსავალს ხარჯავს.

მაგრამ ჩვენ ვნახეთ აგრეთვე, რომ ხდება შემოსავლის გაცვლა შემოსავალზე, შემოსავალთა მიმოქცევა. სასაკლაოს მეპატრონე პურს ყიდულობს პურის ქარხნის მეპატრონისაგან, ეს უკანასკნელი ხორცს ყიდულობს პირველისაგან; ორივე მოიხმარს თავის შემოსა-

---

მყოფი ფულის ჯამი კი, ბანკის სალაროში მყოფი ნაღდი ფულის ჩათვლით, — არ აღემატება ყველაზე გაურცელებელ შეფასებათა მიხედვით, ერთ მილიარდს» (გვ. 151). «როცა გაცვლა მთავრდება, ფული კვლავ თავისუფალია და, ბაშასადამე, მისი გასესხება ხელახლა შეიძლება... ფული — კაპიტალი, როცა იგი მთელ რიგ გაცვლას შეასრულებს, ყოველთვის უბრუნდება თავის წყაროს, და აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ამ ფულის ყოველ ხელახლა გასესხებას, რასაც ერთი და იგივე ხელი ეწევა, მოგება მოაქვს ყოველთვის იმაივე პირისათვის» (გვ. 153—154). «Gratuité du Crédit, Discussion entre M. F. Bastiat et M. Proudhon». Paris, 1850.[105] [437.]

ვალს. ხორცში, რომელსაც თვით სასაკლაოს მეპატრონე ჭამს, იგი ფასს არ იხდის; სწორედ ასევე პურის საცხობის მეპატრონე ფასს არ იხდის იმ პურში, რომელსაც თვითონ სჭამს. შემოსავლის ამ ნაწილს თვითეული მათგანი მოიხმარს in natura. მაგრამ შესაძლებელია, რომ ხორცი, რომელსაც პურის ქარხნის მეპატრონე სასაკლაოს მეპატრონისაგან ყიდულობს, ამ უკანასკნელს უნაზღაურებს არა კაპიტალს, არამედ შემოსავალს, ე. ი. მის მიერ გაყიდული ხორცის გარკვეულ ნაწილს, რომელიც განსახიერებულია არა მოგებაში საერთოდ, არამედ მისი მოგების სწორედ იმ ნაწილში, რომელიც მას განზრახული აქვს თვით მოიხმაროს როგორც შემოსავალი. პური, რომელსაც სასაკლაოს მეპატრონე პურის ქარხნის მეპატრონისაგან ყიდულობს, ასევე სასაკლაოს მეპატრონისათვის მისი შემოსავლის ხარჯვაა. ანგარიშსწორებისას ერთმა ან მეორემ უნდა გადაიხადოს მხოლოდ საბალანსო სხვაობა. მათი ურთიერთ ყიდვა-გაყიდვათა დაბალანსებული ნაწილი არ შედის ფულის მიმოქცევაში. მაგრამ დავუშვათ, რომ პურის ქარხნის მეპატრონემ უნდა გადაიხადოს საბალანსო სხვაობა და რომ ეს სხვაობა სასაკლაოს მეპატრონისათვის წარმოადგენს შემოსავალს. მაშინ სასაკლაოს მეპატრონე პურის ქარხნის მეპატრონის ფულს დახარჯავს სხვა მოხმარების საგნების შესაძენად. დავუშვათ, რომ ეს იქნება 10 გირვ. სტერლ., რასაც იგი მკერავს უხდის. თუ ეს 10 გირვ. სტერლინგი მკერავისათვის შემოსავალს წარმოადგენს, მაშინ მკერავი მას იმავე წესით დახარჯავს. იგი, თავის მხრივ, ამ ფულით იყიდის პურს და ა. შ. ამით ფული უკანვე უბრუნდება პურის ქარხნის მეპატრონეს, მაგრამ იგი უნაზღაურებს მას უკვე არა შემოსავალს, არამედ კაპიტალს.

შეიძლება დაისვას კიდევ შემდეგი საკითხი: პროცესში Ф—s—Ф, რომელსაც კაპიტალისტი ასრულებს და რომელიც თვითმზარდ ღირებულებას გამოხატავს, კაპიტალისტს მიმოქცევიდან უფრო მეტი ფული გამოაქვს, ვიდრე მან მიმოქცევაში გაუშვა. (ამის წადილი ჰქონდა სწორედ განძის დამგროვებელს, მაგრამ ამას მან ვერ მიაღწია, იმიტომ რომ მიმოქცევიდან მას ოქროსა და ვერცხლის ფორმით ვერ გამოაქვს იმაზე მეტი ღირებულება, რაც მან მასში საქონლის სახით შეიტანა. მას ახლა მეტი ღირებულება აქვს ფულის ფორმით, მაშინ როდესაც უწინ მას მეტი ღირებულება ჰქონდა საქონლის ფორმით.) ვთქვათ, კაპიტალისტის საქონლის მთელი წარმოების ხარჯები შეადგენს 1000 გირვ. სტერლინგს. იგი თავის საქონელს ყიდის 1200 გირვ. სტერლინგად, რადგან ეს საქონელი შეიცავს ახლა ფასგადა-

უხდელი შრომის 20%-ს, ანუ 1/5-ს, — შრომისა, რომელსაც იგი ყიდის, თუმცა მასში ფასი არ გადაუხდია. როგორაა შესაძლებელი, რომ ყველა კაპიტალისტს, მრეწველი კაპიტალისტების კლასს, მიმოქცევიდან მუდამ მეტი ფული გამოაქვს, ვიდრე მასში შეაქვს? მეორე მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ კაპიტალისტს მუდამ მეტი ფული შეაქვს მიმოქცევაში, ვიდრე იქიდან გამოაქვს. მას უნდა აენაზღაურებინა თავისი ძირითადი კაპიტალი. მაგრამ იგი ყიდის ამ ძირითად კაპიტალს მხოლოდ მოხმარების კვალობაზე, მხოლოდ ნაწილ-ნაწილ. საქონლის წარმოების პროცესში ძირითადი კაპიტალი მთლიანად შედის, მაშინ როდესაც საქონლის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა შ ი იგი მუდამ მხოლოდ გაცილებით უფრო მცირე ნაწილით შედის. თუ ძირითადი კაპიტალის მიმოქცევის პერიოდი 10 წელიწადს უდრის, საქონელში ყოველწლიურად შედის მისი მხოლოდ ერთი მეათედი ნაწილი, დანარჩენი $^{9}/_{10}$ კი არ შედის ფულის მიმოქცევაში, რადგან ეს $^{9}/_{10}$ საერთოდ არ შედის მიმოქცევაში საქონლის ფორმით. ასეთია ერთი საკითხი.

ამ პრობლემას ჩვენ განვიხილავთ უფრო გვიან [106], ჯერჯერობით კი დავუბრუნდეთ კენეს.

მაგრამ წინასწარ — კიდევ ერთი საკითხის შესახებ. ბანკნოტების უკან დაბრუნება ბანკში, რომელიც თამასუქების დისკონტირებას აწარმოებს ანდა სესხს იძლევა ბანკნოტებით, სრულიად სხვა მოვლენაა, ვიდრე ჩვენ მიერ აქამდე განხილული ფულის უკუმოდინებანი. ამ შემთხვევაში საქონლის გადაქცევა ფულად წინასწარ მომხდარია. ფულის ფორმას საქონელი იღებს ჯერ კიდევ გაყიდვამდე, შეიძლება მის წარმოებამდეც კი. მაგრამ შესაძლებელია, რომ იგი უკვე გაყიდულია (თამასუქით). ყ ო ვ ე ლ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი იგი ჯერ კიდევ არაა ა ნ ა ზ ღ ა უ რ ე ბ უ ლ ი, ჯერ კიდევ არაა უკუგარდაქმნილი ფულად. ამრიგად, ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს ამ გარდაქმნის ანტიციპაციას. როგორც კი საქონელი გაიყიდა (ან გაყიდულად ი გ უ ლ ი ს ხ მ ე ბ ა), ფული უკუმოედინება ბანკში — ან მისი საკუთარი ბანკნოტების სახით, რომლებიც მაშინ მიმოქცევიდან ბრუნდებიან; ან სხვისი ბანკნოტების სახით, რომლებიც გაიცვლებიან მაშინ მის საკუთარ ბანკნოტებზე (ბანკირებს შორის), ასე რომ წარმოებს ორივე სახის ბანკნოტების, ან კიდევ ოქროსა და ვერცხლის ამოღება მიმოქცევიდან და უკუდაბრუნება მათს ამოსავალ წერტილთან; თუ ეს ოქრო და ვერცხლი მესამე პირთა ხელში მყოფ ბანკნოტებზე გადაიცვლება, ბანკნოტები ბრუნდება ბანკში. თუ ბანკნოტებს გადასაცვლელად არ წარადგენენ, მიმოქცევაში მყოფი ოქ-

რო და ვერცხლი შემცირდება იმავე რაოდენობით, რა რაოდენობაც ახლა, ბანკნოტების ნაცვლად, ისინი ბანკის საკავებში იმყოფებიან.

ყველა ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს შემდეგი პროცესი:

ფულის მყოფობა (საქონლის გადაქცევა ფულად) ანტიციპირებული იყო. როგორც კი საქონელი ნამდვილად გადაიქცევა ფულად, იგი გადაიქცევა ფულად მეორეჯერ. მაგრამ საქონლის ეს მეორე ფულადი მყოფობა უბრუნდება ამოსავალ წერტილს, ფარავს, შეენაცვლება მის პირველ ფულად მყოფობას, მიმოქცევიდან ბანკში ბრუნდება. შესაძლებელია, რომ საქონლის ეს მეორე ფულადი მყოფობა გამოხატოს ბანკნოტების ი მ ა ვ ე, ს რ უ ლ ი ა დ ი დ ე ნ ტ უ რ მა რაოდენობამ, რა რაოდენობაც მის პირველ ფულად მყოფობას გამოხატავდა. მაგალითად, მოახდინეს დისკონტირება ნართის ფაბრიკანტის თამასუქისა. ეს თამასუქი მან მიიღო მქსოველისაგან. მიღებული 1000 გირვ. სტერლინგით ნართის ფაბრიკანტმა გადაიხადა ნახშირის, ბამბის ფასი და ა. შ. სხვადასხვა პირები, რომელთა ხელშიც ეს ბანკნოტები გაივლის მათი საქონლის ფასის გადახდისას, ამ ბანკნოტებს ხარჯავენ, ბოლოს, ტილოს საყიდლად, და ამრიგად ბანკნოტები მოხვდება მქსოველის ხელში, რომელიც თამასუქის ვადის გასვლის დღეს მრთველს უნაღდებს ამ თამასუქს იმავე ბანკნოტებით, მრთველი კი ამ ბანკნოტებს უბრუნებს ბანკს. სულაც არაა აუცილებელი, რომ საქონლის მეორე (სიკვდილშემდგომი) გადაქცევა ფულად — მისი ანტიციპირებული გადაქცევის შემდეგ — [430] სრულდებოდეს სხვა ფულის საშუალებით და არა იმ ფულით, რომელიც პირველი გადაქცევის მონაწილე იყო. და ამრიგად ისე გვეჩვენება, თითქოს მრთველს სინამდვილეში არაფერი არ მიუღია. რადგან დასაწყისში მან ბანკნოტები ისესხა, პროცესი კი იმით მთავრდება, რომ მრთველი უკანვე ღებულობს ამ ბანკნოტებს და უბრუნებს ბანკს, რომელმაც ისინი გასცა. მაგრამ სინამდვილეში ერთი და იგივე ბანკნოტი ამ ხნის განმავლობაში მიმოქცევის საშუალებისა და გადახდის საშუალების როლს ასრულებდა, და მრთველი ამ ბანკნოტით ნაწილობრივ თავის ვალებს იხდიდა, ნაწილობრივ კი ყიდულობდა ნართის კვლავწარმოებისათვის საჭირო საქონელს, და ამრიგად მიიღებდა მუშის ექსპლოატაციის გზით შექმნილ ზედმეტ ღირებულებას, რომლის ნაწილიც მას ახლა შეუძლია ბანკს გადაუხადოს. თანაც — აგრეთვე ფულით, რადგან მას უკან უბრუნდება მეტი ფული, ვიდრე მან დახარჯა, ავანსად გასცა. რანაირად? ეს კვლავ იმ საკითხს ეკუთვნის, რომლის განხილვაც ჩვენ გადავდევით [107].

[4) მიმოქცევა მოიჯარეებსა და მრეწველებს შორის «ეკონომიურ ცხრილში»]

ამრიგად, ვუბრუნდებით კენეს. გადავდივართ მიმოქცევის მესამე და მეოთხე აქტებზე.

P — მიწის მესაკუთრე --- ყიდულობს 1 მილიარდის სამრეწველო საქონელს *S*-საგან [108] («მანუფაქტურაში დასაქმებული უნაყოფო კლასი»; ცხრილში — ხაზი $a-c$ [109]). აქ 1 მილიარდ ფულს მოძრაობაში მოჰყავს იმავე ღირებულების მქონე საქონელი. { ეს იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ხდება ერთგზისი გაცვლა. *P*-ს რომ საქონელი *S*-საგან ნაწილ-ნაწილ ეყიდნა და ასევე ნაწილ-ნაწილ მიეღო თავისი რენტა *F*-საგან (ფერმერისაგან), მაშინ 1 მილიარდის სამრეწველო საქონლის ყიდვა შეიძლებოდა, ვთქვათ, 100 მილიონით. ეს მაშინ, თუ *P* ყიდულობს 100 მილიონის სამრეწველო საქონელს *S*-საგან, *S* ყიდულობს 100 მილიონის საარსებო საშუალებებს *F*-საგან, *F* კი 100 მილიონ რენტას უხდის *P*-ს; და ეს რომ 10-ჯერ განმეორებულიყო, მაშინ *S*-დან *P*-სთან და *F*-დან *S*-თან გადავიდოდა საქონელი 100 მილიონ×10, *F*-დან *P*-სთან კი გადავიდოდა რენტა ოდენობით 100 მილიონ×10. მთელი მიმოქცევა შესრულდებოდა 100 მილიონის საშუალებით. მაგრამ თუ *F* მთელ რენტას ერთბაშად იხდის, მაშინ იმ 1 მილიარდიდან, რომელიც *S*-ხელშია, და იმ 1 მილიარდიდან, *F*-ს რომ უკან უბრუნდება, შეიძლება ნაწილი სკივრში ინახებოდეს, მეორე ნაწილი კი მიმოქცევაში იმყოფებოდეს. { 1 მილიარდის საქონელი გადავიდა ახლა *S*-დან *P*-სთან, და, პირიქით, ფული 1 მილიარდის ოდენობით გადავიდა *P*-დან *S*-სთან. ეს არის მარტივი მიმოქცევა. ფული და საქონელი გადადის მხოლოდ ერთი ხელიდან მეორეში ურთიერთ საპირისპირო მიმართულებით. მაგრამ გარდა 1 მილიარდის საარსებო საშუალებებისა, რომლებიც მოიჯარემ *P*-ს მიჰყიდა და რომლებიც ამ გზით მიმოქცევის სფეროში გადავიდა, მოხმარებაში გადავიდა კიდევ *S*-ის მიერ *P*-სთვის მიყიდული 1 მილიარდის სამრეწველო საქონელი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საქონელი ახლა მოსავლამდე უკვე არსებობდა (სხვანაირად *P*-ს არ შეეძლო მისი ყიდვა ახალი მოსავლის პროდუქტზე გაცვლის გზით).

S, თავის მხრივ, *F*-საგან ყიდულობს 1 მილიარდის საარსებო საშუალებებს. ამრიგად, ახლა მიმოქცევიდან მოხმარებაში გადავიდა კიდევ საერთო პროდუქტის ერთი მეხუთედი ნაწილი. ეს ერთი მილიარდი *S*-სა და *F*-ს შორის ურთიერთობაში მიმოქცევის საშუალების ფუნქციას ასრულებს. მაგრამ ამავე დროს აქ ადგილი აქვს ორ მოვ-

ლენას, რასაც ჩვენ ვერ ვხედავთ პროცესში S-სა და P-ს შორის. ამ უკანასკნელ პროცესში S-მა ხელახლა გადააქცია ფულად თავისი პროდუქტის ნაწილი, სახელდობრ 1 მილიარდის სამრეწველო საქონელი. F-სთან გაცვლაში კი იგი ფულს ხელახლა გადააქცევს საარსებო საშუალებებად, — რაც კენეს მიხედვით ნიშნავს: ხელფასად,— მაშასადამე, ანაზღაურებს ამ პროცესით ხელფასზე დახარჯულ და მოხმარებულ კაპიტალს. 1 მილიარდის ეს უკუგადაქცევა საარსებო საშუალებებად გამოხატავს P-სთან უბრალო მოხმარებას, S-სთან კი — საწარმოო მოხმარებას, კვლავწარმოებას, იმიტომ რომ S ხელახლა გადააქცევს თავისი საქონლის ნაწილს წარმოების ერთ-ერთ ელემენტად — საარსებო საშუალებებად. მაშასადამე, საქონლის ერთი ამ მეტამორფოზათაგანი, მისი უკუგადაქცევა ფულიდან საქონლად, გამოხატავს აქ ამასთანავე მისი ნ ა მ დ ვ ი ლ ი, და არა მხოლოდ ფ ო რ მ ა ლ უ რ ი, მეტამორფოზის დასაწყისს, მისი კვლავწარმოების დასაწყისს, მისივე წარმოების საკუთარ ელემენტებად მისი უკუგადაქცევის დასაწყისს. აქ ხდება ამასთანავე კაპიტალის მეტამორფოზიც. პირიქით, P-ს მხარეზე კი ეს არის მხოლოდ შემოსავლის გადაქცევა ფულის ფორმიდან საქონლის ფორმად. ეს მხოლოდ მოხმარებას გამოხატავს.

მეორე, როცა S ყიდულობს 1 მილიარდის საარსებო საშუალებებს F-საგან, ამ უკანასკნელს უბრუნდება მეორე მილიარდი, რომლითაც მან P-ს რენტა გადაუხადა ფულადი ფორმით. მაგრამ ეს ფული მას უკან უბრუნდება მხოლოდ იმიტომ, რომ მას იგი ხელახლა გამოაქვს მიმოქცევიდან, გამოისყიდის 1 მილიარდად ღირებულ საქონელთა ეკვივალენტის საშუალებით. ეს იგივეა, მიწის მესაკუთრეს რომ მისგან ერთი მილიარდის (პირველი მილიარდის გარდა) საარსებო საშუალებანი ეყიდნა, ე. ი. თავისი ფულადი რენტის მეორე ნაწილი მოიჯარისაგან საქონლის სახით მიეღო, შემდეგ კი ეს საქონელი გაეცვალა საქონელზე, რომელიც S-ს ეკუთვნის. ეს უკანასკნელი ამოიღებს P-ს ნაცვლად საქონლის ნაშვეობით იმ ორი მილიარდის მეორე ნახევარს, რომელიც F-მა P-ს გადაუხადა ფულით. გადახდა რომ ნატურალური ფორმით წარმოებდეს, F მისცემდა P-ს 2 მილიარდის საარსებო საშუალებებს, საიდანაც 1 მილიარდს P მოიხმარდა თვითონ, მეორე მილიარდს კი გაუცვლიდა S-ს მის სამრეწველო საქონელზე. ამ შემთხვევაში მოხდებოდა მხოლოდ შემდეგი: 1) 2 მილიარდის საარსებო საშუალებათა გადასვლა F-დან P-სთან; 2) გაცვლითი ვაჭრობა P-სა და S-ს შორის, ამასთან პირველი გაცვლის 1 მი-

ლიარდის საარსებო საშუალებებს 1 მილიარდის სამრეწველო საქონელზე, მეორე კი — პირიქით.

ამის ნაცვლად შესრულდა ოთხი შემდეგი აქტი: [431] 1) 2 მილიარდი ფულის გადასვლა F-დან P-სთან; 2) P ყიდულობს 1 მილიარდის საარსებო საშუალებებს F-საგან. ფული უბრუნდება F-ს, ასრულებს მიმოქცევის საშუალების ფუნქციას; 3) P ყიდულობს 1 მილიარდ ფულზე სამრეწველო საქონელს S-საგან. ფული მოქმედებს როგორც მიმოქცევის საშუალება, გადადის ერთი ხელიდან მეორეში საქონლის მოძრაობის საპირისპირო მიმართულებით; 4) S ყიდულობს ამ მილიარდი ფულით საარსებო საშუალებებს F-საგან. ფული მოქმედებს როგორც მიმოქცევის საშუალება. ამასთანავე S-თვის იგი მიმოიქცევა როგორც კაპიტალი. იგი უკანვე უბრუნდება F-ს, იმიტომ რომ მას გადაახდევინეს საარსებო საშუალებათა მეორე მილიარდი, რის ასიგნებაც მიწის მესაკუთრეს მისგან ჰქონდა. მაგრამ ფული უკუმოედინება F-თან არა პირდაპირ მიწის მესაკუთრისაგან, არამედ, მხოლოდ მას შემდეგ, რაც მან P-სა და S-ს შორის მიმოქცევის საშუალების ფუნქცია შეასრულა, მას შემდეგ, რაც მან, ჯერ კიდევ F-საგან 1 მილიარდის საარსებო საშუალებათა მიღებამდე, თან წაიღო თავის გზაზე 1 მილიარდის სამრეწველო საქონელი და იგი მრეწველიდან მიწის მესაკუთრეს გადასცა. ამ საქონლის გადაქცევა ფულად (მიწის მესაკუთრესთან გაცვლისას), ისევე როგორც ფულის მომდევნო გადაქცევა საარსებო საშუალებებად (მოიჯარესთან გაცვლისას), S-ს მხარეზე მეტამორფოზია მისი კაპიტალისა, რომელიც ჯერ ფულის ფორმას იღებს, შემდეგ კი კაპიტალის კვლავწარმოებისათვის საჭირო შემადგენელი ელემენტების ფორმას.

აქამდე განხილული მიმოქცევის ოთხი აქტის შედეგი, მაშასადამე, ასეთია: მიწის მესაკუთრემ დახარჯა თავისი შემოსავალი, მისი ერთი ნახევარი დახარჯა საარსებო საშუალებებზე, მეორე ნახევარი კი — სამრეწველო საქონელზე. ამით დაიხარჯა 2 მილიარდი, რაც მან ფულადი რენტის სახით მიიღო. ამ თანხის ნახევარი მისგან დაუბრუნდა მოიჯარეს პირდაპირი გზით, მეორე ნახევარი — შემოვლილი გზით, S-ს მეშვეობით. მაგრამ S განთავისუფლდა თავისი მზა საქონლის ნაწილისაგან და მის ნაცვლად მიიღო საარსებო საშუალებები, მაშასადამე, კვლავწარმოების ერთ-ერთი ელემენტი. ამ პროცესებით მთავრდება მიმოქცევა, რამდენადაც მასში გამოდის მიწის მესაკუთრე. მაგრამ მიმოქცევიდან გადავიდა მოხმარებაში (ნაწილობრივ არამწარმოებლურ, ნაწილობრივ საწარმოო მოხმარებაში, რამდენადაც მიწის მესაკუთრემ თავისი შემოსავლით ანაზღაუ-

რა ნაწილობრივ S-ის კაპიტალი): 1) 1 მილიარდის საარსებო საშუალებანი (ახალი მოსავლის პროდუქტი); 2) 1 მილიარდის სამრეწველო საქონელი (წინა წლის მოსავლის პროდუქტი); 1 მილიარდის საარსებო საშუალებანი, რომლებიც შედის კვლავწარმოებაში, ე. ი. იმ საქონლითა წარმოებაში, რომელნიც S-მა შემდგომ წელს უნდა გაცვალოს მიწის მესაკუთრის რენტის ნახევარზე.

2 მილიარდი ფული კვლავ მოიჯარის ხელშია. ახლა იგი ყიდულობს S-საგან 1 მილიარდის საქონელს თავისი «ყოველწლიური და თავდაპირველი ავანსების» ასანაზღაურებლად, რამდენადაც ისინი შედგება ნაწილობრივ შრომის იარაღებისაგან და ა. შ., ნაწილობრივ — სხვა სამრეწველო საქონლისაგან, რომელიც წარმოების დროს მოიხმარება. ეს არის მარტივი მიმოქცევის პროცესი. ამით 1 მილიარდი გადადის S-ს ხელში, და ამრიგად ფული გადაიქცევა საქონლის სახით არსებული მისი პროდუქტის მეორე ნახევარი. ორივე მხარეზე ადგილი აქვს კაპიტალის მეტამორფოზს. მოიჯარის 1 მილიარდი უკუგადაიქცევა კვლავწარმოებისათვის საჭირო წარმოების ელემენტებად. S-ის მზა საქონელი უკუგადაიქცევა ფულად, გაცვლის საქონლის ფულად გადაქცევის ფორმალურ მეტამორფოზს. ფორმალისოდაც კაპიტალს არ შეუძლია თავისი წარმოების ელემენტებად უკუგადაქცევა, მაშასადამე, არ შეუძლია თავისი კვლავწარმოება. ეს არის მიმოქცევის მეხუთე პროცესი. მიმოქცევიდან კვლავწარმოებითს მოხმარებაში გადადის 1 მილიარდის სამრეწველო საქონელი (წინა წლის მოსავლის პროდუქტი) (a′ b′) [110].

ბოლოს, S უკუგადააქცევს 1 მილიარდ ფულს, რომლის სახითაც ახლა მისი საქონლის ნახევარი არსებობს. ამ საქონლის წარმოების პირობების მეორე ნახევრად. — ნედლეულად და ა. შ. ($a''-b''$). ეს არის მარტივი მიმოქცევა. S-სთვის ეს არის ამასთანავე მისი კაპიტალის მეტამორფოზი კვლავწარმოებისათვის გამოსადეგ ფორმად. F-სთვის კი — მისი პროდუქტის უკუგადაქცევა ფულად. ახლა მიმოქცევიდან მოხმარებაში გადადის «მთლიანი პროდუქტის» უკანასკნელი მეხუთედი ნაწილი.

ამრიგად: $^1/_5$ მოიჯარესთან შედის კვლავწარმოების პროცესში და არ ჩაერთვის მიმოქცევაში; $^1/_5$-ს მოიხმარს მიწის მესაკუთრე; სულ — $^2/_5$; $^2/_5$-ს იღებს S; სულ ერთად — $^4/_5$ [111].

აქ გაანგარიშებაში აშკარა ხარვეზია. კენე, ეტყობა, ასე ანგარიშობს: F აძლევს P-ს ერთი მილიარდის საარსებო საშუალებებს (ხაზი a — b). ერთი მილიარდის ნედლეულით იგი ანაზღაურებს S-ს

კაპიტალს (a''—b''). 1 მილიარდის საარსებო საშუალებანი შეადგენენ S-თვის ხელფასს. რომლის ღირებულებასაც იგი საქონელს უმატებს და რომელიც უდრის მის მიერ ამ მომატების პროცესში მოხმარებულ საგანთა ღირებულებას (c — d). 1 მილიარდი კი რჩება კვლავწარმოების პროცესში (a') და აი შედის მიწოქცევაში, ბოლოს, 1 მილიარდის პროდუქტები აღადგენენ «ავანსებ'ი» (a'—b'). მაგრამ კენე მხედველობიდან უშვებს, რომ S ამ 1 მილიარდი ღირებულების სამრეწველო საქონლით არ ყიდულობს მოიჯარისაგან არც საარსებო საშუალებებს, არც ნედლეულს: S, თავის ფულად ანგარიშებში მოიჯარესთან, მხოლოდ უბრუნებს მოიჯარეს მის საკუთარ ფულს. კენე ხომ თავიდანვე იმ ვარაუდიდან გამოდის, რომ მოიჯარეს, გარდა თავისი საერთო პროდუქტისა, კიდევ აქვს 2 მილიარდი ფულად და რომ ეს არის საერთოდ ის ფონდი, საიდანაც მომდინარეობს ფული მიმოქცევისათვის.

გარდა ამისა, კენეს ავიწყდება, რომ ამ 5 მლრდ. მთლიანი პროდუქტის გარდა კიდევ არსებობს 2 მლრდ. მთლიანი პროდუქტი სამრეწველო საქონელთა სახით, რომლებიც წარმოებული იყო ახალ მოსავლამდე. იმიტომ რომ 5 მლრდ. წარმოადგენს მოიჯარეთა მხოლოდ მთელ წლიურ პროდუქციას, [432] მოიჯარეთა მიერ მიღებულ მთელ მოსავალს, მაგრამ სრულიად არ შეიცავს მრეწველობის საერთო პროდუქტს, მრეწველობისა, რომელმაც ამ მოსავლიდან უნდა აანაზღაუროს კვლავწარმოებისათვის საჭირო ელემენტები.

ამრიგად, არსებობს: 1) 2 მლრდ. ფული მოიჯარის მხარეზე; 2) 5 მლრდ. მთლიანი პროდუქტი მიწისა; 3) 2 მლრდ. ღირებულების სამრეწველო საქონელი. მაშასადამე, 2 მლრდ. ფულად და 7 მლრდ. პროდუქტებით (მიწათმოქმედებისა და მრეწველობის პროდუქტებით). მიმოქცევის პროცესი, მოკლედ რომ გამოვხატოთ, წარმოგვიდგება შემდეგი სახით (F—მოიჯარე, P—მიწის მესაკუთრე, S — მრეწველი, უნაყოფო კლასი):

F უხდის P-ს 2 მლრდ. რენტას ფულის ფორმით, P კი ყიდულობს F-საგან 1 მილიარდის საარსებო საშუალებებს. ამ გზით ხდება მოიჯარის მთლიანი პროდუქტის $^1/_5$ ნაწილის რეალიზაცია. ამასთანავე მასთან უკუმოედინება 1 მლრდ. ფული. შემდეგ P ყიდულობს S-საგან 1 მილიარდის საქონელს. ამით ხდება S-ის მთლიანი პროდუქტის $^1/_2$-ის რეალიზაცია. ამასთანავე მასთან უკუმოედინება 1 მილიარდი ფულად. ამ ფულით იგი F-საგან ყიდულობს 1 მლრდ. ღირებულების საარსებო საშუალებებს. ამით S ანაზღაურებს თავისი კაპიტალის კვლავწარმოების ელემენტების $^1/_2$-ს. ამ გზით რეა-

ლიზებული ხდება კიდევ მოიჯარის მთლიანი პროდუქტის $^1/_5$ ნაწილი. ამასთანავე მოიჯარის ხელში კვლავ 2 მლრდ. ფულია, რაც შეადგენს 2 მილიარდის საარსებო საშუალებათა ფასს, რომელიც მან *P*-სა და *S*-ს მიჰყიდა. შემდეგ *F* ყიდულობს *S*-საგან 1 მილიარდის საქონელს თავისი «ავანსების» ნახევრის ასანაზღაურებლად. ამით რეალიზებულია მრეწველის მთლიანი პროდუქტის მეორე ნახევარი. ბოლოს, *S* უკანასკნელი მილიარდი ფულით ყიდულობს ნედლეულს მოიჯარისაგან, — ამით რეალიზებულია მოიჯარის მთლიანი პროდუქტის მესამე $^1/_5$ ნაწილი, ნაზღაურდება *S*-ის კაპიტალის კვლავწარმოების ელემენტების მეორე ნახევარი, 1 მილიარდი კი უკან უბრუნდება მოიჯარეს. ამ უკანასკნელის განკარგულებაში კვლავ აღმოჩნდება 2 მილიარდი, რაც ბუნებრივია, იმიტომ რომ კენე განიხილავს მოიჯარეს როგორც კაპიტალისტს, რომლის მიმართაც *P* მხოლოდ შემოსავლის მიმღებია, *S* კი — მხოლოდ ხელფასის მიმღები. მოიჯარე რომ *P*-სა და *S*-ს უშუალოდ თავისი პროდუქტით უხდიდეს, იგი სრულიად არ დახარჯავდა ფულს. მაგრამ რადგან იგი ფულს ხარჯავს, *P* და *S* ყიდულობენ მის პროდუქტს ამ ფულით, და ფული უკუმოედინება მასთან. ეს არის ფულის ის ფორმალური დაბრუნება, რასაც ადგილი აქვს მრეწველ კაპიტალისტთან, რომელიც მთელ ოპერაციას იწყებს მყიდველის სახით და შემდგომ ამთავრებს მას. შემდეგ, მოიჯარის მთლიანი პროდუქტის ის $^1/_5$, რომელიც მის «ავანსებს» ანაზღაურებს, ეკუთვნის კვლავწარმოებას. სარეალიზაციოდ რჩება მთლიანი პროდუქტის ის $^1/_5$ საარსებო საშუალებათა სახით, რომლებიც მიმოქცევაში არ შედიან.

[5) საქონლის მიმოქცევა და ფულის მიმოქცევა «ეკონომიურ ცხრილში». ამოსავალ წერტილთან ფულის უკუდაბრუნების სხვადასხვა შემთხვევა]

S ყიდულობს მოიჯარისაგან 1 მილიარდის საარსებო საშუალებებს და 1 მილიარდის ნედლეულს, *F* კი, პირიქით, ყიდულობს *S*-საგან მხოლოდ 1 მილიარდის საქონელს თავისი «ავანსების» ასანაზღაურებლად. ამრიგად, *S*-მა უნდა გადაიხადოს 1 მილიარდის თანხის საბალანსო სხვაობა, რასაც საბოლოო ანგარიშით იხდის იმ მილიარდით, რომელიც *S*-მა მიიღო *P*-საგან. ამ 1 მილიარდის გადახდას მოიჯარისათვის კენე, ეტყობა, ურევს მოიჯარისაგან 1 მლრდ. ოდენობით პროდუქტის ყიდვაში. იმის შესახებ, თუ როგორ წარმოედგინა ეს კენეს, უნდა ვნახოთ ბოდოს შენიშვნები [112].

მართლაც (ჩვენი გაანგარიშების თანახმად), 2 მილიარდი გამოყენებულ ჭენა შემდეგისათვის: 1) რენტის გადასახდელად 2 მილიარდი ფულის ოდენობით; 2) მოიჯარის მთლიანი პროდუქტის მიმოქცევისათვის 3 მილიარდის ოდენობით (სახელდობრ, 1 მილიარდის საარსებო საშუალებანი, რომლებიც *P*-სთან გადადის, და 2 მილიარდის საარსებო საშუალებანი და ნედლეული, რომლებიც *S*-თან გადადის) და *S*-ს 2 მლრდ. მთლიანი პროდუქტის მიმოქცევისათვის (აქედან 1 მილიარდის პროდუქტები *P*-სათვის, მისი მოხმარებისათვის, და 1 მილიარდის პროდუქტები F-სათვის, რომელიც ამ პროდუქტებს კვლავწარმოების მიზნით მოიხმარს).

უკანასკნელი ყიდვის დროს (*a″—b″*) *S*, რომელიც ნედლეულს *F*-საგან ყიდულობს, საქონელში მას უულს უხდის.

[433] ამრიგად, ერთხელ კიდევ:

S-მა მიიღო *P*-საგან 1 მლრდ. ფული. ამ მილიარდი ფულით ის ყიდულობს *F*-საგან 1 მილიარდად ღირებულ საარსებო საშუალებებს. ამავე მილიარდი ფულით *F* ყიდულობს *S*-საგან საქონელს. იმავე მილიარდი ფულით *S* ყიდულობს *F*-საგან ნედლეულს.

ანდა საქმის ვითარება ასეთია: *S* ყიდულობს *F*-საგან 1 მილიარდი ფულით საქონელს და 1 მილიარდი ფულით საარსებო საშუალებებს. *F* ყიდულობს *S*-საგან საქონელს 1 მილიარდი ფულით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში 1 მილიარდი უკან დაუბრუნდა *S*-ს. მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ *S*-ს, ვარაუდის თანახმად, გარდა მიწის მესაკუთრისაგან მიღებული 1 მილიარდი ფულისა, და გასაყიდად დარჩენილი 1 მლრდ. საქონლისა, თავის განკარგულებაში ჰქონდა კიდევ ერთი მილიარდი ფული, რომელიც მან თვითონ გაუშვა მიმოქცევაში. ამ ვარაუდის თანახმად, *S*-სა და მოიჯარეს შორის საქონელთა მიმოქცევისათვის, 1 მილიარდი ფულის ნაცვლად, საჭირო გახდა 2 მილიარდი. მიმოქცევის შედეგად 1 მილიარდი დაუბრუნდა *S*-ს. ეს იმიტომ, რომ უკანასკნელი მოიჯარისაგან ყიდულობს საქონელს 2 მილიარდი ფულით, მოიჯარე კი *S*-საგან ყიდულობს 1 მილიარდის საქონელს და ამისათვის უხდის მას მისგანვე მიღებული ფულიდ ნახევარს.

პირველ შემთხვევაში *S* ყიდულობს ორჯერ. პირველად იგი ხარჯავს 1 მილიარდს; ეს მილიარდი უკანვე უბრუნდება მას F-საგან, შემდეგ კი იგი ერთხელ კიდევ ხარჯავს ამ მილიარდს — უკვე საბოლოოდ, — უხდის რა ამ თანხას *F*-ს, და ამრიგად მას უკვე აღარაფერი არ უბრუნდება.

პირიქით, მეორე შემთხვევაში *S* ერთბაშად ყიდულობს 2 მილი-

არდის საქონელს. და როცა F, თავის მხრივ, 1 მილიარდის საქონელს ყიდულობს S-საგან. ეს მილიარდის საქონელი რჩება S-სთან. მიმოქცევისათვის ამ შემთხვევაში საჭირო იქნებოდა 2 მილიარდი ერთის ნაცვლად. პირველ შემთხვევაში 1 მილიარდმა ფულმა ორი ბრუნვის მეშვეობით 2 მილიარდის საქონლის რეალიზაცია მოახდინა. მეორე შემთხვევაში 2 მილიარდმა ფულმა რეალიზაცია უყო ასევე 2 მილიარდის საქონელს ერთი ბრუნვის მეშვეობით. და როცა მოიჯარე უნდის ახლა ხელახლა 1 ძილიარდს მრეწველ S-ს, ეს უკანასკნელი ამით არ ღებულობს იმაზე მეტს, რაც პირველ შემთხვევაში მიიღო. ეს იმიტომ, რომ, გარდა 1 მილიარდის საქონლისა, მან მიმოქცევაში გაუშვა კიდევ 1 მილიარდი ფული თავისი საკუთარი ფონდიდან, რომელიც ჯერ კიდევ ამ მიმოქცევის პროცესის დაწყებამდე არსებობდა. მან იგი გაიღო მიმოქცევის საჭიროებისათვის, და ამიტომ ფული მასთან მოედინება უკანვე.

პირველ შემთხვევაში. S მილიარდი ფულის საშუალებით 1 მილიარდის საქონელს ყიდულობს F-საგან. უკანასკნელი 1 მილიარდი ფულის საშუალებით S-საგან ყიდულობს 1 მილიარდის საქონელს. 1 მილიარდი ფულის მეშვეობით S ყიდულობს F -საგან 1 მილიარდის საქონელს, ასე რომ F-ს რჩება 1 მილიარდი ფული.

მეორე შემთხვევაში: S ყიდულობს 2 მილიარდი ფულით 2 მილიარდის საქონელს F-საგან. F კი 2 მილიარდი ფულიდან 1 მილიარდის საქონელს ყიდულობს S-საგან. მოიჯარე წინანდებურად თავისთვის იტოვებს 1 მილიარდ ფულს. S კი უკანვე ღებულობს იმ მილიარდს, რომელიც მის მიერ მიმოქცევაში ავანსად შეტანილი ფული იყო, და რომელიც ახლა მას მიმოქცევიდან უკან უბრუნდება. S ყიდულობს 2 მილიარდის საქონელს F-საგან. F ყიდულობს 1 მილიარდის საქონელს S-საგან. მაშასადამე, ყველა გარემოებაში S-მ უნდა გადაიხადოს საბალანსო სხვაობა არა უმეტეს 1 მილიარდისა. რადგან S-მ, აღნიშნული საბალანსო სხვაობის გადახდის წესით, მიმოქცევის ამ სახეობის თავისებურებათა გამო მოიჯარეს 2 მილიარდი გადაუხადა, მოიჯარე მას უკან უბრუნებს 1 მილიარდს, მაშინ როდესაც პირველ შემთხვევაში იგი მას არავითარ ფულს არ უბრუნებს.

სახელდობრ, პირველ შემთხვევაში S ყიდულობს F-საგან 2 მილიარდით, F კი — 1 მილიარდით S-საგან. მაშასადამე, საბალანსო სხვაობა უწინდებურად შეადგენს 1 მილიარდს F-ის სასარგებლოდ. მაგრამ ამ სხვაობას მას უხდიან ისე, რომ მასთან უკუმოედინება მისი საკუთარი ფული, რადგან ჯერ S ყიდულობს 1 მილიარდით F-სა-

გან, შემდეგ F ყიდულობს 1 მილიარდით S-საგან და, ბოლოს, S ყიდულობს 1 მილიარდით F-საგან. ერთმა მილიარდმა აქ 3 მილიარდის საქონლის მიმოქცევის მოსაშუალეობა შეასრულა. სულ მიმოქცევაში იყო 4 მილიარდის ტოლი ღირებულება (თუ ფული რეალური ფული იყო): 3 მილიარდის საქონელი და 1 მილიარდი ფული. მიმოქცევაში მყოფი და თავდაპირველად (მოიჯარის გასასტუმრებლად) მიმოქცევაში გაშვებული ფულადი თანხა არც ერთხელ არ აღემატებოდა 1 მილიარდს, ე. ი. არც ერთხელ არ აღემატებოდა იმ საბალანსო სხვაობას, რაც S-ს უნდა გადაეხადნა F-სთვის. იმის გამო, რომ F უფრო ადრე ყიდულობს S-საგან 1 მილიარდით, ვიდრე უკანასკნელი მეორეჯერ ყიდულობს F-საგან 1 მილიარდით, S-ს შეუძლია ამ მილიარდით გადაიხადოს ჩსენებული საბალანსო სხვაობა.

მეორე შემთხვევაში S მიმოქცევაში გადაისვრის 2 მილიარდს. იგი, მართალია, ამით F-საგან ყიდულობს 2 მილიარდის საქონელს. აქ ეს 2 მილიარდი საჭიროა როგორც მიმოქცევის საშუალება, და გაიცემა საქონელ-ეკვივალენტზე. მაგრამ F, თავის მხრივ, უკანვე ყიდულობს S-საგან 1 მილიარდით. მაშასადამე, S-ს უბრუნდება 1 მილიარდი, რადგან საბალანსო სხვაობა, რაც მან მოიჯარეს უნდა გადაუხადოს, შეადგენს არა ორ მილიარდს, არამედ მხოლოდ ერთს. S-მა ახლა მოიჯარეს ერთი მილიარდი საქონლით აუნაზღაურა, ამიტომ F-მა უნდა დაუბრუნოს S-ს ის მილიარდი, რომელიც S-მა, როგორც ა ხ ლ ა გამოირკვა, ზედმეტად გადაუხადა მას ფულით. ეს შემთხვევა საკმაოდ შესამჩნევია და ღირსია, რომ მასზე მოკლედ შევჩერდეთ.

ზემოთ ნავარაუდევი 3 მილიარდის საქონლის მიმოქცევისას, საიდანაც 2 მილიარდს შეადგენენ საარსებო საშუალებანი [და ნედლეული], 1 მილიარდს კი — სამრეწველო ნაკეთობანი, შესაძლებელია სხვადასხვა შემთხვევა; მაგრამ აქ მხედველობაში მისაღებია, ჯ ე რ ე რ თ ი, ის, რომ კენეს ვარაუდით S-სა და F-ს შორის მიმოქცევის პროცესის დასაწყისს 1 მილიარდი ფული S-ს ხელშია და 1 მილიარდი — F-ს ხელში; მ ე ო რ ე, ილუსტრაციის წესით, დავუშვათ, რომ S-ს, გარდა P-საგან მიღებული 1 მილიარდი ფულისა, კიდევ აქვს 1 მილიარდი ფული სალაროში.

[434] I) ჯ ე რ-ე რ თ ი, შემთხვევა, რომელსაც კენე იხილავს. S 1 მილიარდი ფულით F-საგან ყიდულობს 1 მლრდ. საქონელს; F 1 მილიარდი ფულით, რომელიც S-საგან მიიღო, უკანასკნელისაგან ყიდულობს 1 მლრდ. საქონელს; ბოლოს, S უკან დაბრუნებული 1 მილიარდი ფულით F-საგან ყიდულობს 1 მლრდ. საქონელს. მაშასა-

დამე, *F*-ს რჩება ის მილიარდი ფული, რომელიც მისთვის კაპიტალს წარმოადგენს (ფაქტიურად ეს მილიარდი, იმ მეორე მილიარდ ფულთან ერთად, რომელიც მან უკან მიიღო *P*-საგან, შეადგენს შემოსავალს, რომლითაც იგი შემდგომ წელს ხელახლა იხდის რენტას ფულით, — სახელდობრ, 2 მლრდ. ფულს). აქ 1 მილიარდი ფული სამჯერ მიმოიქცა: *S*-დან *F*-თან, *F*-დან *S*-სთან, *S*-დან *F*-თან, — და ყოველთვის 1 მლრდ. საქონლის რეალიზაციისათვის, მაშასადამე, სულ 3 მლრდ. საქონლის რეალიზაციისათვის. თუ თვით ფულს ღირებულება აქვს, მიმოქცევაში იქნება 4 მილიარდის ღირებულება. ფული აქ მოქმედებს მხოლოდ როგორც მიმოქცევის საშუალება, მაგრამ *F*-სათვის, — რომლის ხელშიც საბოლოო ანგარიშით იგი რჩება, — ის გადაიქცევა ფულად და eventualiter* — კაპიტალად.

11) მ ე ო რ ე. ფული მოქმედებს მხოლოდ როგორც გადახდის საშუალება. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ურთიერთ ბალანსირებას: *F*-საგან 2 მილიარდის საქონლის მყიდველ *S*-სა და *S*-საგან 1 მილიარდის საქონლის მყიდველ *F*-ს შორის. საბალანსო სხვაობა 1 მილიარდის ოდენობით *S*-მა უნდა გადაიხადოს, გარიგების დამთავრების შემდეგ, ფულით. როგორც წინა შემთხვევაში, 1 მილიარდი ფული შედის *F*-ს სალაროში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქამდე იგი არ ასრულებდა მიმოქცევის საშუალების ფუნქციას. ეს ფული *F*-სთვის წარმოადგენს კაპიტალის გადაცემას, რადგან იგი მხოლოდ უხაზღაურებს მას კაპიტალს, რომელიც 1 მლრდ. საქონლისაგან შედგება. ამრიგად, მიმოქცევაში შევიდა, ისევე როგორც პირველ შემთხვევაში 4 მილიარდის ღირებულება. მაგრამ ერთი მილიარდი ფულის სამი მოძრაობის ნაცვლად შესრულდა მხოლოდ ერთი მოძრაობა, და ფულით გადახდილ იქნა თვით ამ ფულის ტოლ საქონელღირებულებათა ჯამი. პირველ შემთხვევაში კი ფულით მის საკუთარ ღირებულებაზე სამჯერ მეტი ღირებულება იქნა გადახდილი. პირველ შემთხვევასთან შედარებით აქ აღარ არის საჭირო მიმოქცევის ორი ზედმეტი აქტი.

111) მ ე ს ა მ ე. *F*, რომლის განკარგულებაშიც ერთი მილიარდი ფულია (P-საგან მიღებული), გამოდის დასაწყისში როგორც მყიდველი, ყიდულობს 1 მილიარდის საქონელს *S*-საგან. ეს მილიარდი ფული — იმის ნაცვლად, რომ უქმად დებულიყო *F*-თან, განძის სახით, შემდგომი წლისათვის რენტის შეტანამდე — შედის აძრიგად მიმოქცევაში. მაშასადამე, *S*-ს აქვს 2 მილიარდი ფული (ერთი მილი-

*—შესაძლებლობაში, გარკვეულ პირობებში. რ ე დ.

არდი ფული P-საგან მიღებული, 1 მილიარდი კი — F-საგან მიღებული). ამ 2 მილიარდი ფულით იგი ყიდულობს F-საგან 2 მილიარდად ღირებულ საქონელს. ახლა მიმოქცევაში იმყოფება 5 მლრდ. ღირებულება (3 მლრდ. საქონელი და 2 მლრდ. ფული). მოხდა მიმოქცევა 1 მლრდ. ფულისა და 1 მლრდ. საქონლისა და მიმოქცევა 2 მლრდ. ფულისა და 2 მლრდ. საქონლისა. ამ 2 მლრდ. ფულიდან ის მილიარდი, რომელიც მოიჯარიდან მომდინარეობს, მიმოიქცევა ორჯერ, ის მილიარდი კი, რომელიც S-დან მომდინარეობს, მიმოიქცევა მხოლოდ ერთჯერ. ახლა F-ს უკან უბრუნდება 2 მილიარდი ფული, მაგრამ აქედან მისი ბალანსის სხვაობას ფარავს მხოლოდ 1 მილიარდი, მეორე მილიარდი ფული კი, — რომელიც თვითონ შეიტანა მიმოქცევაში, რადგან მან პირველმა გამოიჩინა ინიციატივა როგორც მყიდველმა, — უკან უბრუნდება მას მიმოქცევის პროცესის მეშვეობით.

IV) მ ე ო თ ხ ე. S 2 მლრდ. მანეთით (1 მილიარდი მანეთი, რომელიც P-საგან მიიღო, და 1 მილიარდი, რომელსაც თვით იგი თავისი სალაროდან გადაისვრის მიმოქცევაში) ყიდულობს ერთბაშად F-საგან 2 მილიარდად ღირებულ საქონელს. თავის მხრივ, F ყიდულობს 1 მილიარდის საქონელს S-საგან, მაშასადამე, უკან უბრუნდება მას 1 მლრდ. მანეთს, იტოვებს კი, როგორც წინა შემთხვევაში, 1 მლრდ. ფულს მას და S-ს შორის საბალანსო სხვაობის დასაფარავად. ახლა მიმოქცევაში იყო 2 მლრდ. ღირებულება. მიმოქცევის აქტები კი — ორი.

III შემთხვევაში — 2 მლრდ. ფულიდან, რომელსაც S აძლევს F-ს, 1 მილიარდი იმ ფულს წარმოადგენს, რომელიც F-მა თვითონ გადაისროლა მიმოქცევაში, და მხოლოდ 1 მილიარდი წარმოადგენს იმ ფულს, რომელიც მიმოქცევაში გადაისროლა S-მა. აქ F-თან უკუმოედინება 2 მილიარდი ფული 1 მილიარდის ნაცვლად, მაგრამ ფაქტიურად მან მიიღო მხოლოდ 1 მილიარდი, რადგან მეორე მილიარდი მან თვით გადაისროლა მიმოქცევაში. IV შემთხვევაში—S-ს უკან უბრუნდება 1 მილიარდი ფული, მაგრამ ეს ის მილიარდია, რომელიც თვითონ მან გადაისროლა მიმოქცევაში, თავისი სალაროდან და რომელიც მას არ მიუღია მოიჯარისათვის საქონლის მიყიდვის შედეგად.

თუ I შემთხვევაში, ისევე როგორც II შემთხვევაში, მიმოქცევაში არც ერთჯერ არ არის I მილიარდზე მეტი ფული, მაგრამ ამასთან პირველ შემთხვევაში იგი შეასრულებს სამ ბრუნვას, სამჯერ გადადის ხელიდან ხელში, II შემთხვევაში კი მხოლოდ ერთჯერ, — ეს აიხსნება უბრალოდ იმით, რომ II შემთხვევაში იგულისხმება განვი-

თარებული კრედიტი, მაშასადამე, ეკონომია გადახდათა რაოდენობაში, მაშინ როდესაც I შემთხვევაში წარმოებს სწრაფი მოძრაობა, მაგრამ ამასთანავე ფული ყოველთვის გამოდის როგორც მიმოქცევის საშუალება, ასე რომ ღირებულება ყოველთვის უნდა გვეკვლინებოდეს ორივე პოლუსზე ორნაირი სახით: ერთ პოლუსზე—ფულის სახით, მეორე პოლუსზე — საქონლის სახით. თუ III და IV შემთხვევებში 2 მილიარდი ფული მიმოიქცევა — ნაცვლად 1 მილიარდისა, როგორც ეს I და II შემთხვევებში იყო, — ეს მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ ორივე შემთხვევაში მიმოქცევაში შედის ერთბაშად 2 მილიარდის საქონელღირებულება (III შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს *S*-სთან როგორც მყიდველთან, რომელიც მიმოქცევის პროცესს აბოლოებს, IV შემთხვევაში კი — *S*-თან როგორც მყიდველთან, რომელიც მიმოქცევის პროცესს იწყებს); მოკლედ რომ ვთქვათ, მიმოქცევაში ერთბაშად შედის 2 მილიარდის საქონელი, ამასთან იგულისხმება, რომ ამ საქონელში ფასს ბალანსის გამოყვანის შემდეგ კი არ იხდიან, არამედ მას დაუყოვნებლივ ყიდულობენ.

ყოველ შემთხვევაში ყველაზე დიდ ინტერესს ამ მოძრაობაში იწვევს ის 1 მილიარდი ფული, რომელსაც III შემთხვევაში თავისთვის იტოვებს მოიჯარე, IV შემთხვევაში კი — მრეწველი, თუმცა ორივე შემთხვევაში საბალანსო სხვაობას უხდიან მოიჯარეს და ეს უკანასკნელი III შემთხვევაში არც ერთი გროშით მეტს, IV შემთხვევაში კი არც ერთი გროშით ნაკლებს არ ღებულობს. აქ, რა თქმა უნდა, ყოველთვის ეკვივალენტების გაცვლა წარმოებს და როცა ჩვენ საბალანსო სხვაობაზე ვლაპარაკობთ, ეს უნდა გვესმოდეს მხოლოდ როგორც ღირებულების ეკვივალენტი, რომლის გადახდა ხდება ფულით და არა საქონლით.

III შემთხვევაში *F* მიმოქცევაში გადაისვრის 1 მილიარდ ფულს და სამაგიეროდ ღებულობს *S*-საგან საქონლურ ეკვივალენტს, ე. ი. ღებულობს 1 მილიარდის საქონელს. მაგრამ შემდეგ *S* ყიდულობს მისგან 2 მილიარდი ფულით საქონელს. ამრიგად, პირველი მილიარდი ფული, რომელიც *F*-მა მიმოქცევაში გადაისროლა, უკან უბრუნდება მას, მაგრამ სამაგიეროდ ის გასცემს 1 მილიარდს საქონლის სახით. ეს მილიარდი საქონელი უნაზღაურდება მას იმ ფულით, რომელიც მანვე დახარჯა. მეორე მილიარდ ფულს *F* ღებულობს მეორე მილიარდი საქონლის საფასურად. ეს ფულადი საბალანსო სხვაობა მის სასარგებლოდ იმიტომ გამოდის, რომ იგი საერთოდ საქონელს ყიდულობს მხოლოდ 1 მლრდ. ფულით, მისგან კი 2 მილიარდად ღირებულ საქონელს ყიდულობენ.

[435] IV შემთხვევაში S ერთბაშად გადაისვრის მიმოქცევაში 2 მლრდ. ფულს და სამაგიეროდ F-საგან ღებულობს 2 მილიარდის საქონელს. F, თავის მხრივ, ღებულობს მისგან 1 მლრდ. საქონელს იმ ფულით, რომელიც თვით S-მა დაბარჯა, და, ამრიგად, 1 მილიარდი ფული უკან უბრუნდება S-ს.

IV შემთხვევაში S ფაქტიურად მოიჯარეს აძლევს საქონლის სახით — 1 მლრდ. საქონელს, რაც 1 მილიარდ ფულს უდრის, და ფულის სახით — 2 მლრდ. ფულს, სულ, მაშასადამე, 3 მლრდ. ფულს. F-საგან კი იღებს მხოლოდ 2 მილიარდის საქონელს. ამიტომ F-ძა უნდა დაუბრუნოს მას 1 მლრდ. ფული.

III შემთხვევაში F აძლევს S-ს, საქონლის სახით, 2 მილიარდის საქონელს (=2 მლრდ. ფულს) და ფულის სახით — 1 მლრდ. ფულს, სულ, მაშასადამე, 3 მილიარდ ფულს, იღებს კი მისგან მხოლოდ 1 მილიარდის საქონელს — 1 მლრდ. ფულს. ამიტომ S-მა უნდა დაუბრუნოს მას 2 მილიარდი ფული; 1 მილიარდს იხდის იგი იმ ფულით, რომელიც მიმოქცევაში გადაისროლა F-მა. 1 მილიარდს კი იგი თვითონ გადაისვრის მიმოქცევაში. F თავისთვის იტოვებს საბალანსო სხვაობის სახით 1 მლრდ. ფულს; ორივე მილიარდის თავისთვის დატოვება მას არ შეუძლია.

ორივე შემთხვევაში S იღებს 2 მილიარდის საქონელს, F კი — 1 მილიარდის საქონელს პლუს 1 მლრდ. ფული, ე. ი. ფულად საბალანსო სხვაობას. თუ III შემთხვევაში F-თან მოედინება, გარდა ამისა, კიდევ 1 მლრდ. ფული, ეს მხოლოდ ის ფულია, რომელიც მან მიმოქცევაში გადაისროლა იმის გადამეტებით, რასაც იგი საქონელთა გაყიდვით მიმოქცევიდან ამოიღებს. ასეთივე მდგომარეობა აქვს S-საც IV შემთხვევაში.

ორივე შემთხვევაში S-ს უხდება საბალანსო სხვაობის გადახდა 1 მილიარდი ფულის ოდენობით, იმიტომ რომ იგი ამოიღებს მიმოქცევიდან 2 მილიარდის საქონელს, გადაისვრის კი მიმოქცევაში მხოლოდ 1 მილიარდის საქონელს. ორივე შემთხვევაში F-მა უნდა მიიღოს ფულის სახით საბალანსო სხვაობა 1 მილიარდი ფულის ოდენობით, იმიტომ რომ იგი მიმოქცევაში გადაისვრის 2 მილიარდის საქონელს, ამოიღებს კი მიმოქცევიდან მხოლოდ 1 მილიარდის საქონელს, ასე რომ მისი მეორე მილიარდი საქონელი ფულით უნდა დაიფაროს. საბოლოო ანგარიშით მხოლოდ ამ ერთ მილიარდ ფულს შეუძლია სწორედ ორივე შემთხვევაში ხელიდან ხელში გადასვლა. მაგრამ რადგან მიმოქცევაში 2 მილიარდი ფულია, ეს თანხა უნდა დაუბრუნდეს იმას, ვინც იგი მიმოქცევაში გადაისროლა, იქნება ეს

F, რომელმაც მიმოქცევიდან ამოიღო საბალანსო სხვაობა 1 მილიარდი ფულის ოდენობით და, გარდა ამისა, მიმოქცევაში გადაისროლა კიდევ მეორე მილიარდი ფული, თუ ეს იქნება *S*, რომელმაც უნდა გადაისროლოს საბალანსო სხვაობის სახით მხოლოდ 1 მილიარდი ფული და რომელმაც, გარდა ამისა, მიმოქცევაში გადაისროლა კიდევ ერთი მილიარდი ფული.

III შემთხვევაში მიმოქცევაში შედის 1 მილიარდი ფულით მეტი, ვიდრე ეს აუცილებელია საქონელთა მასის მიმოქცევისათვის სხვა გარემოებაში, რადგან *F*-მა, რომელიც პირველი გამოდის მყიდველის როლში, ფული მიმოქცევაში უნდა გაუშვას მიუხედავად იმისა, თუ როგორი მდგომარეობა შეიქმნება მისთვის საბოლოოდ. IV შემთხვევაში მიმოქცევაში შედის აგრეთვე 2 მილიარდი ფული — ნაცვლად მხოლოდ ერთი მილიარდისა, როგორც II შემთხვევაშია,— რადგან IV შემთხვევაში, ჯერ ერთი, ჯასაწყისშივე *S* გამოდის როგორც მყიდველი, და, მეორე, იგი ყიდულობს 2 მილიარდის საქონელს ერთბაშად. III და IV შემთხვევებში ფულადი მასა, ამ მყიდველებსა და გამყიდველებს შორის რომ მ ი მ ო ი ქ ც ე ვ ა, საბოლოო ანგარიშით შეიძლება უდრიდეს მხოლოდ საბალანსო სხვაობას, რომელიც ერთ-ერთმა მხარემ უნდა გადაიხადოს. ვინაიდან იმ ფულს, რომელიც *S*-მა ან *F*-მა გასცა ამ თანხის გადამეტებით, უკანვე უხდიან მათ — ან ერთს ან მეორეს.

დავუშვათ, რომ *F* ყიდულობს *S*-საგან 2 მილიარდის საქონელს. ამ შემთხვევაში საქმის ვითარება შეიქმნებოდა ასეთი: F აძლევს S-ს 1 მილიარდ ფულს საქონელში. *S* ყიდულობს საქონელს 2 მილიარდი ფულით *F*-საგან, რის გამოც უკანასკნელს უკან უბრუნდება პირველი მილიარდი და გარდ ამისა კიდევ ერთი მილიარდი ფული. F ხელახლა ყიდულობს *S*-საგან საქონელს 1 მლრდ. ფულით, რის გამოც ეს თანხა უკან უბრუნდება *S*-ს. პროცესის დასასრულს *F*-ს ექნებოდა 2 მილიარდის საქონელი და ის მილიარდი ფული, რომელიც მის განკარგულებაში იყო თავდაპირველად, ჯერ კიდევ მიმოქცევის პროცესის დაწყებამდე; *S*-საც ექნებოდა 2 მილიარდის საქონელი და 1 მილიარდი ფული, რომელიც ასევე მის განკარგულებაში იყო თავიდანვე. ის მილიარდი ფული, რომელიც *F*-ს ეკუთვნის, და ის მილიარდი ფული, რომელიც *S*-ს ეკუთვნის, შეასრულებდნენ მხოლოდ მიმოქცევის საშუალების როლს, რათა შემდეგ უკან დაბრუნებოდნენ ორივე მხარეს, რომელთაც ეს ფული მიმოქცევაში გაუშვეს ფულის სახით ანდა, მოცემულ შემთხვევაში, აგრეთვე კაპიტალის სახითაც. ორივე მხარეს რომ ფული გადახდის საშუალებად

გამოეყენებინათ, მაშინ 2 მილიარდის საქონელით ასევე 2 მილიარდის საქონლისთვის ერთმანეთს ანგარიშს გაუსწორებდნენ; მათი ანგარიშები ერთიმეორეს დაფარავდა; მათ შორის მიმოქცევაში არც ერთი გროში აღარ იქნებოდა.

მაშასადამე, ფული, რომელიც მიმოქცევის საშუალების სახით მიმოიქცევა ორივე ამ მხარეს შორის, რომელთაგანაც თვითეული უპირისპირდება მეორეს ორნაირად — როგორც მყიდველი და როგორც გამყიდველი, — ეს ფული უკან ბრუნდება. ამასთან შესაძლებელია ამ მიმოქცევის სამი შემთხვევა.

[ჯ ე რ-ე რ თ ი.] მიმოქცევაში შესული საქონელღირებულებანი აწონასწორებენ ერთმანეთს. ამ შემთხვევაში ფული უკან უბრუნდება იმას, ვინც იგი ავანსად გაუშვა მიმოქცევის პროცესში და ამრიგად თავისი კაპიტალით მიმოქცევის ხარჯები დაფარა. ასე, მაგალითად, თუ F და S ერთიმეორისაგან, თვითეული 2 მილიარდის საქონელს ყიდულობს, ამასთან სცენაზე პირველი გამოდის S, მაშინ ეს უკანასკნელი საქონელს ყიდულობს F-საგან ერთბაშად 2 მლრდ. ფულით. F უკან უბრუნებს მას ამ 2 მილიარდ ფულს, და გამოისყიდის მისგან 2 მილიარდის საქონელს. ამრიგად S-ს — როგორც გარიგების წინ, ისე მის შემდეგ — აქვს 2 მილიარდი საქონლის სახით და 2 მილიარდი ფულად. ანდა თუ ისინი ორივენი — როგორც ზემომოყვანილ შემთხვევაში — ავანსად გაიღებენ მიმოქცევის საშუალებებს თანაბარი ოდენობით, მაშინ ორივე მხარეზე თვითეულს დაუბრუნდება ის თანხა, რაც მან მიმოქცევაში გაუშვა ავანსად; ასე, მაგალითად, ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ 1 მლრდ. მანეთი უბრუნდება F-ს და 1 მლრდ. მანეთი — S-ს.

მ ე ო რ ე. ორივე მხარის მიერ ურთიერთს შორის გაცვლილი საქონელღირებულებანი არ აწონასწორებენ ერთიმეორეს. იქმნება საბალანსო სხვაობა, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს ფულით. და თუ, როგორც ამას ზემოთ 1. შემთხვევაში ჰქონდა ადგილი, საქონელმიმოქცევა ისე წარიმართებოდა, რომ შედეგად მ ი მ ო ქ ც ე ვ ა შ ი შესული ფულის რაოდენობა არ აღემატებოდა საბალანსო სხვაობის გადასახდელად საჭირო თანხას, — რადგან მხოლოდ ეს თანხა მიმოიქცეოდა ორივე მხარეს შორის, — მაშინ საბოლოოდ იგი მოხვდება იმ უკანასკნელი გამყიდველის ხელში, რომლის სასარგებლოდაც დადგინდა საბალანსო სხვაობა.

მ ე ს ა მ ე. ორივე მხარის მიერ ურთიერთს შორის გაცვლილი საქონელღირებულებანი არ აწონასწორებენ ერთიმეორეს; საჭიროა საბალანსო სხვაობის გადახდა; მაგრამ საქონელმიმოქცევა

ისეთი ფორმით ხდება, რომ მიმოიქცევა მეტი ფული, ვიდრე ეს საჭიროა საბალანსო სხვაობის გადასახდელად; ამ შემთხვევაში, ფული, რომელიც ამ საბალანსო სხვაობას აღემატება, უბრუნდება იმ მხარეს, რომელმაც იგი ავანსად გაიღო. III შემთხვევაში იგი უბრუნდება იმას, ვინც სხვაობას იღებს, IV შემთხვევაში — იმას, ვინც ეს სხვაობა უნდა გადაიხადოს.

შემთხვევებში, რომლებიც გაერთიანებულია რუბრიკით «მეორე», ფული უ ბ რ უ ნ დ ე ბ ა საბალანსო სხვაობის მიმღებს მხოლოდ მაშინ, თუ იგი პირველი გამოდის მყიდველის როლში, როგორც ეს მუშისა და კაპიტალისტის მაგალითში იყო. თუ მეორე მხარე პირველი გამოდის მყიდველის როლში, მაშინ ფული მისგან მიდის მის კონტრაგენტთან, როგორც ეს ხდება II შემთხვევაში.

[436] } ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში ხდება, თუ ვიგულისხმებთ, რომ საქონელთა გარკვეული რაოდენობის ყიდვა და გაყიდვა წარმოებს ერთსა და იმავე პირებს შორის, ასე რომ თვითეული მათგანი მეორე მხარის მიმართ გამოდის ხან როგორც მყიდველი, ხან კი როგორც გამყიდველი. დავუშვათ, პირიქით, რომ 3 ათასის საქონელი განაწილებულია თანაბარი ნაწილებით საქონელმფლობელ-გამყიდველებს A, A' და A''-ს შორის და რომ მათ უპირისპირდებიან მყიდველები B, B' და B''. თუ ყიდვის სამი აქტი აქ სრულდება ერთდროულად, მაგალითად, ერთიმეორის გვერდით სივრცეში, მაშინ მიმოქცევაში უნდა იყოს 3 ათასი ფული, ასე რომ თვითეული A-ს ხელში მოხვდება 1 ათასი ფული და თვითეული B-ს ხელში — 1 ათასი საქონელი. თუ ყიდვის აქტები სრულდება ერთიმეორის მიყოლებით, თანან	მდევრულად დროში, მასში ერთი და იმავე ათასი ფულის მიმოქცევის შესაძლებლობა იქმნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქონელთა მეტამორფოზები გადაეხლართებიან ერთმანეთს, ე. ი. მოქმედ პირთა ნაწილი გამოდის როგორც მყიდველთა, ისე გამყიდველთა როლში, თუმცა არა ერთი და იმავე პირთა მიმართ, როგორც ზემოაღნიშნულ შემთხვევაშია, არამედ ერთთა მიმართ — მყიდველთა როლში, მეორეთა მიმართ კი — გამყიდველთა როლში. ასე, მაგალითად: 1) A მიჰყიდის B-ს 1 ათასის საქონელს; 2) A ყიდულობს ამ ათასით B'-საგან; 3) B' ყიდულობს ამ ათასით A'-საგან; 4) A' ამ ათასით — B''-საგან; 5) B'' ამ ათასით— A''-საგან. ფული ამ შემთხვევაში ხუთჯერ გადავიდოდა ხელიდან ხელში, ადგილს იცვლიდა ექვს პირს შორის, მაგრამ მიმოქცევაში იქნებოდა ამასთან 5 ათასის საქონელიც. თუ მიმოქცევაში იქნებოდა მხოლოდ 3 ათასის საქონელი, მაშინ გვექნებოდა შემდეგი: 1) A ყი-

დულობს 1 ათასის საქონელს B-საგან; 2) B ყიდულობს 1 ათასით A'-საგან; 3) A' ყიდულობს 1 ათასით B'-საგან. სამი ადგილცვლა ოთხ პირს შორის. ეს არის პროცესი Ф—ს.

ზემოთ განხილული შემთხვევები არ ეწინააღმდეგება წინათ განმარტებულ კანონს,

«რომლის თანახმად, თუ მოცემულია ფულის ტრაალის სიჩქარე და საქონელთა ფასების ჯამი, მიმოქცევაში მყოფ საშუალებათა რაოდენობა გარკვეულ სიდიდეს წარმოადგენს» (1, გვ. 85) 113.

ზემომოყვანილ მაგალითში — შემთხვევა I — 1000 ფული [114] მიმოიქცევა სამჯერ და ამასთან მოძრაობაში მოჰყავს 3000-ის ს ა ქ ო ნ ე ლ ი. ამიტომ მიმოქცევაში მყოფი ფულის მასა $= \frac{3000 \text{ ფასების ჯამი)}}{3 \text{ (ბრუნვის სიჩქარე)}}$, ანუ $\frac{3000 \text{ (ფასების ჯამი)}}{3 \text{ ბრუნვა}} = 1000$ ფულს.

III და IV შემთხვევაში მიმოქცევაში მყოფ საქონელთა ფასების ჯამი იგივეა (3000 ფული); მაგრამ ბრუნვის სიჩქარე განსხვავებულია. 2000 ფული მიმოიქცევა ერთჯერ, ე. ი. 1000 ფული პლუს 1000 ფული. მაგრამ ამ 2000 ფულიდან ერთი ათასი ერთ ბრუნვას კიდევ აკეთებს. 2000 ფული მოსაშუალეობს 3000-ად ღირებული საქონლის ორი მესამედის მიმოქცევას, ამ ფულის ნახევარი კი — 1000-ის საქონლის, ე. ი. დარჩენილი მესამედის მიმოქცევას; ერთი ათასი ფული აკეთებს ორ ბრუნვას, მეორე ათასი ფული კი — მხოლოდ ერთ ბრუნვას. 1000 ფულის ორგზისი ბრუნვის მეოხებით სრულდება რეალიზაცია საქონელთა ფასისა 2000 ფულის ოდენობით, 1000 ფულის ერთგზისი ბრუნვის მეშვეობით კი რეალიზაციას პოულობს საქონელთა ფასი 1000 ფულის ოდენობით; სულ გამოდის 3000 საქონელი. ამრიგად, როგორიღაა ფულის ბრუნვის სისწრაფე იმ საქონელთა მიმართ, რომელთა მიმოქცევასაც ეს ფული აქ მოსაშუალეობს? 2000 ფული აკეთებს 1 $^1/_2$ ბრუნვას (ეს იმას ნიშნავს, რომ ჯერ მთელი ჯამი აკეთებს ერთ ბრუნვას, შემდეგ კი მისი ნახევარი — კიდევ ერთს) $= {}^3/_2$. და მართლაც: $\frac{3000 \text{ (ფასების ჯამი)}}{{}^3/_2 \text{ ბრუნვა}} = 2000$ ფულს.

მაგრამ რით განისაზღვრება აქ ფულის ბრუნვის ს ი ს წ რ ა ფ ი ს გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა ნ ი?

როგორც III, ისე IV შემთხვევაში განსხვავებას იწვევს, I შემთხვევის საწინააღმდეგოდ, შემდეგი გარემოება. I შემთხვევაში ყო-

ველ მოცემულ მომენტში მიმოქცევაში მყოფ საქონელთა ფასების ჯამი არასოდეს არ არის ხოლმე საერთოდ მიმოქცევაში მყოფ საქონელთა მასის ფასების ჯამის 1/2-ზე არც მეტი, არც ნაკლები, მიმოქცევაშია ყოველთვის მხოლოდ 1000 ფულის საქონელი. III და IV შემთხვევებში კი, პირიქით, ერთჯერ მიმოიქცევა 2000-ის საქონელი და ერთჯერ — 1000-ისა; მაშასადამე, ერთჯერ მიმოიქცევა მოცემულ საქონელთა მასის 2/3, ერთჯერ კი — 1/3. ამავე მიზეზით საბითუმო ვაჭრობაში უფრო დიდი მონეტები უნდა მიმოიქცეოდეს, ვიდრე საცალო ვაჭრობაში.

როგორც უკვე აღვნიშნე (I, «ფულის მიმოქცევა»), ფულის უკუმოდინება უწინარეს ყოვლისა იმის მაჩვენებელია, რომ მ ყ ი დ ვ ე ლ ი, თ ა ვ ი მ ხ რ ი ვ, გ ა მ ყ ი დ ვ ე ლ ა დ ი ქ ცა [115], ამასთან არსებითად სულ ერთია, იმავე პირებს მიჰყიდის იგი, რომლებისგანაც იყიდა, თუ სხვებს. მაგრამ როცა ეს ერთსა და იმავე პირებს შორის ხდება, მაშინ თავს იჩენენ მოვლენები, რომელთაც ესოდენ მრავალი შეცდომა წარმოშვეს (დესტიუტ დე ტრასი) [116]. ის გარემოება, რომ მყიდველი გამყიდველად იქცევა, გვიჩვენებს, რომ გასაყიდია ახალი საქონელი. საქონელმიმოქცევის უწყვეტობა მოასწავებს მის მუდმივ განახლებას (I, გვ. 79) [117], — მაშასადამე, ჩვენ აქ გვაქვს კვლავწარმოების პროცესი. მყიდველს შეუძლია, თავის მხრივ, გამყიდველად იქცეს — როგორც ფაბრიკანტია მუშის მიმართ — თანაც ისე, რომ ამან არ გამოხატოს კვლავწარმოების რაიმე აქტი. ფულის ამ უკუმოდინების მხოლოდ უწყვეტობა, მისი გამეორება, მიგვითითებს აქ კვლავწარმოების პროცესზე.

ფულის ის უკუმოდინება, რომელიც წარმოადგენს კაპიტალის უკუგადაქცევას მის ფულად ფორმად, მოწმობს აუცილებლად ერთი გადაბრუნების დამთავრებას და კვლავწარმოების განახლებას, თუ კაპიტალი განაგრძობს თავის მოძრაობას როგორც ასეთი. აქაც აგრეთვე, როგორც ყველა სხვა შემთხვევაშიც, კაპიტალისტი იყო გამყიდველი, ს — ფ, შემდეგ კი ხდება მყიდველი, ფ — ს, მაგრამ მხოლოდ ფ-ში აქვს მის კაპიტალს ხელახლა ის ფორმა, რომლითაც იგი შეიძლება გაიცვალოს თავის კვლავწარმოების ელემენტებზე, და ს წარმოადგენს აქ კვლავწარმოების ამ ელემენტებს. ფ—ს წარმოადგენს აქ ფულადი კაპიტალის გადაქცევას მწარმოებლურ, ანუ სამრეწველო, კაპიტალად.

შემდეგ, ფულის უკუმოდინება მის ამოსავალ პუნქტთან შეიძლება, როგორც დავინახეთ, იმას გვიჩვენებდეს, რომ მთელ რიგ ყიდვა-გაყიდვათა შედეგად საბალანსო სხვაობა დადგინდება იმ მყიდველის

სასარგებლოდ, რომელიც ამ პროცესთა რიგს იწყებს. *F* ყიდულობს *S*-საგან 1000 ფულით. *S* ყიდულობს *F*-საგან 2000 ფულით. აქ 1000 ფული უკან უბრუნდება *F*-ს. რაც შეეხება მეორე ათასს, აქ ადგილი აქვს მხოლოდ ფულის უბრალო ადგილცვლას *S*-სა და *F*-ს შორის.

[437] ბოლოს, შეიძლება მოხდეს ფულის უკუმოდინება ამოსავალ წერტილთან ისე, რომ იგი არ გამოხატავდეს საბალანსო სხვაობის გადახდას; ამას შეიძლება ადგილი ექნეს 1) იმ შემთხვევაში, როცა გადახდათა ბალანსი წონასწორდება, ე. ი. როცა საჭირო არაა რაიმე საბალანსო სხვაობის გადახდა ფულით, ისე 2) იმ შემთხვევაშიც, როცა ბალანსი არაა გაწონასწორებული და საჭირო ხდება საბალანსო სხვაობის გადახდა ფულით. იხილე ზემოთ განხილული შემთხვევები. ყველა ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, მაგალითად, *F*-თან ურთიერთობაში ერთი და იგივე *S* შედის თუ არა ერთი და იგივე. აქ *S* წარმოადგენს *F*-ის მიმართ და *F S*-ის მიმართ ყველა იმათ ერთობლიობას, ვინც მას მიჰყიდის ან ვინც მისგან ყიდულობს (სავსებით ისევე, როგორც იმ მაგალითში, სადაც საბალანსო სხვაობის გადახდას ფულის უკუმოდინება გამოხატავს). ყველა ამ შემთხვევაში ფული უკუმოედინება იმასთან, ვინც, ასე ვთქვათ, იგი ავანსად გაიღო მიმოქცევაში. ფულმა, ბანკნოტების მსგავსად, თავისი საქმე გააკეთა მიმოქცევაში და უკან უბრუნდება იმ პირს, ვინც იგი მიმოქცევაში გაუშვა. აქ ფული მხოლოდ მიმოქცევის საშუალებაა. კაპიტალისტები, რომლებიც უკანასკნელნი გამოდიან მიმოქცევის პროცესში, ერთმანეთს გადაუხდიან, და ფული უბრუნდება ამრიგად იმას, ვინც იგი პირველმა გაუშვა მიმოქცევაში.

რჩება კიდევ შემდგომი განხილვისათვის გადადებული საკითხი: კაპიტალისტს მიმოქცევიდან მეტი ფული გამოაქვს, ვიდრე მან მიმოქცევაში გაუშვა[118].

[θ) «ეკონომიური ცხრილის» მნიშვნელობა პოლიტიკური ეკონომიის ისტორიაში]

დავუბრუნდეთ კენეს.

ა. სმიტს ერთგვარი ირონიით მოჰყავს ციტატის სახით მარკიზ მირაბოს ჰიპერბოლური გამონათქვამი:

«სამყაროს წარმოშობის დროიდან სამი დიდი აღმოჩენა მოხდა... პირველი მათგანი არის **დამწერლობის** გამოგონება... მეორე — **ფულის** გამოგონება» (!) «... მესამე — «**ეკონომიური ცხრილი**», რომელიც პირველი ორი გამოგონების შედეგსა და მათს დასრულებას წარმოადგენს» (გარნიეს თარგმანი, ტომი III, წიგნი IV, თავი 9, გვ. 540).

ნამდვილად კი ეს იყო ცდა — წარმოედგინათ კაპიტალის მთელი წარმოების პროცესი როგორც **კვლავწარმოების პროცესი**, მიმოქცევა კი — როგორც მხოლოდ ფორმა ამ კვლავწარმოების პროცესისა; ფულადი მიმოქცევა — როგორც მხოლოდ კაპიტალის მიმოქცევის მომენტი; ამასთანავე ეს იყო ცდა — შეეტანათ კვლავწარმოების პროცესში შემოსავლის წარმოშობა, გაცვლა კაპიტალსა და შემოსავალს შორის, ურთიერთობა კვლავწარმოებითსა და საბოლოო მოხმარებას შორის. ეს იყო ცდა — შეეტანათ კაპიტალის მიმოქცევაში მიმოქცევა მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის (სინამდვილეში — კაპიტალსა და შემოსავალს შორის); დაბოლოს, ეს იყო ცდა — წარმოედგინათ მიმოქცევა მწარმოებლური შრომის ორ დიდ დანაყოფს შორის — ნედლეულის წარმოებასა და მრეწველობას შორის — როგორც კვლავწარმოების პროცესის მომენტები, და ყოველივე ეს ერთ «**ცხრილში**», რომელიც ფაქტიურად შედგება მხოლოდ ხუთი ხაზისაგან, რომელნიც აკავშირებენ ექვს ამოსავალ წერტილს ან უკუდაბრუნების წერტილს. ეს ცდა, რომელიც გაკეთდა XVIII საუკუნის მეორე მესამედში, პოლიტიკურ ეკონომიის სიყმაწვილის პერიოდში, უაღრესად გენიალური იდეა იყო, უდავოდ ყველაზე გენიალური იმ იდეათაგან, რომელნიც კი დღემდე პოლიტიკურ ეკონომიას წამოუყენებია.

რაც შეეხება კაპიტალის მიმოქცევას, მისი კვლავწარმოების პროცესს, სხვადასხვა ფორმებს, რომლებსაც კაპიტალი ღებულობს ამ კვლავწარმოების პროცესში, იმ კავშირს, რომელიც არსებობს კაპიტალის მიმოქცევასა და საერთო მიმოქცევას შორის, მაშასადამე, რაც შეეხება არა მარტო კაპიტალის კაპიტალზე გაცვლას, არამედ კაპიტალსა და შემოსავალს შორის გაცვლასაც, — სმიტმა არსებითად მხოლოდ აითვისა ფიზიოკრატების მემკვიდრეობა და მოგვცა ინვენტარის ცალკეული მუხლების ზუსტი კლასიფიკაცია და დეტალური აღწერა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მას ერთობლივი მოძრაობა ისე მართებულად გადმოეცეს და განემარტოს, როგორც იგი დასახული იყო — საერთო ჩანაფიქრის მიხედვით — «ეკონომიურ ცხრილში», მიუხედავად კენეს მცდარი წანამძღვრებისა.

და თუ სმიტი შემდეგ ფიზიოკრატებზე ამბობს:

«მათმა შრომებმა, უეჭველია, გარკვეული სამსახური გაუწიეს მათს ქვეყანასა»-ო (იქვე, გვ. 538).

ეს კადნიერებამდე თავდაჭერილი შეფასებაა, მაგალითად, ისეთი ადამიანის მნიშვნელობისა, როგორიცაა ტიურგო, რომელიც — პირდაპირი გავლენის თვალსაზრისით — საფრანგეთის რევოლუციის ერთ-ერთი მამაა. [437]

[თავი მეშვიდე]

ლენგე

[მუშის «თავისუფლებაზე» ბურჟუაზიულ-ლიბერალური შეხედულების ადრინდელი კრიტიკა]

[438] Linguet. Théorie des Loix Civiles etc. Londres, 1767.

ჩემი თხზულების გეგმის თანახმად, სოციალისტური და კომუნისტური მწერლები საერთოდ არ შედიან ისტორიულ მიმოხილვებში. ამ მიმოხილვებმა უნდა გვიჩვენონ მხოლოდ, ერთი მხრივ, რა ფორმით აკრიტიკებდნენ თავიანთ თავს ეკონომისტები, მეორე მხრივ კი, რა ისტორიულად გაპირობებული ფორმით იყო პირველად გამოთქმული და შემდგომ განვითარებული პოლიტიკური ეკონომიის კანონები. ამიტომ ზედმეტი ღირებულების განხილვისას მე არ ვეხები XVIII საუკუნის ისეთ მწერლებს, როგორიცაა ბრისო, გოდვინი და ა. შ., და სწორედ ასევე XIX საუკუნის სოციალისტებსა და კომუნისტებს. ის ორიოდე სოციალისტური მწერალი, რომლებზეც მე ამ მიმოხილვაში მექნება ლაპარაკი [119], ან თვით დგებიან ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის თვალსაზრისზე, ანდა ამ უკანასკნელს ებრძვიან თავის საკუთარ თვალსაზრისზე დაყრდნობით.

მაგრამ ლენგე არაა სოციალისტი. მისი პოლემიკა მის თანამედროვე განმანათლებელთა ბურჟუაზიულ-ლიბერალური იდეალების წინააღმდეგ, ბურჟუაზიის ბატონობის წინააღმდეგ, რომელიც მაშინ იწყებოდა, გახვეულია — სანახევროდ სერიოზულად, სანახევროდ ირონიულად — რეაქციულ გარსში. იგი იცავს აზიურ დესპოტიზმს და ილაშქრებს დესპოტიზმის ცივილიზებული ევროპული ფორმების წინააღმდეგ; ასევე იცავს იგი მონობას და ილაშქრებს დაქირავებული შრომის წინააღმდეგ.

ტომი I. უკვე ერთი მისი შენიშვნა მონტესკიეს წინააღმდეგ:

«საკუთრება — აი რა არის კანონების სული» 120 —

გვიჩვენებს მისი შეხედულების სიღრმეს.

პოლიტიკური ეკონომიის მკვლევართა შორის ლენგეს საქმის დაჭერა უხდებოდა მარტოოდენ ფიზიოკრატებთან.

მდიდრებმა, ამტკიცებს ლენგე, ხელი იგდეს წარმოების ყველა პირობა; ეს არის გ ა ნ რ ი დ ე ბ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ს პ ი რ ო ბ ებ ი-ს ა, რომელთაც მათი უმარტივესი ფორმით თვით ბუნების ელემენ-ტები შეადგენენ.

«ჩვენს ცივილიზებულ ქვეყნებში ბუნების ყველა ელემენტი დაპონებულია» (გვ. 188).

მდიდრების მიერ მისაკუთრებულ ამ განძთა ნაწილის მისაღებად საჭიროა იყიდო ისინი მძიმე შრომით, რომელიც ამ მდიდართა სიმ-დიდრეს ამრავლებს.

«ამრიგად, დატყვევებული ბუნება უკვე აღარ აძლევს თავის შვილებს მათი სიცოცხლის შენარჩუნების ადგილად მისაწვდომ წყაროებს. ბუნების სიკეთეები უნ-და ანაზღაურდეს არაჩვეულებრივი ძალღონის დაძაბვით, მისი ნაბოძები კი — მომქანცავი შრომით».

(აქ — «ბუნების ნაბოძებში» — გამოსჭვივის ფიზიოკრატული შეხედულება).

«მდიდარი, რ ო მ ე ლ მ ა ც ი ს ი ნ ი ხ ე ლ თ ი გ დ ო მ ა რ ტ ო ო დ ე ნ თ ა ვ ი ს მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ა შ ი, თანახმაა მხოლოდ ამ ფასად დაიბრუნოს მა-თი უმცირესი ნაწილი საერთო სარგებლობისთვის. მ ი ს ი გ ა ნ ძ ი ს მ ო ნ-წ ი ლ ე რ ო მ გ ა ხ დ ე, ა უ ც ი ლ ებ ე ლ ი ა ა მ გ ა ნ ძ ი ს გ ა მ რ ა ვ-ლ ებ ი ს ა თ ვ ი ს ი შ რ ო მ ო ს» (გვ. 189). «ამრიგად, უნდა ეთქვათ თა-ვისუფლების ქიმერებზე» (გვ. 190). კანონები იმისთვის არსებობენ, რომ «სანქცია მისცენ თავდაპირველ უზურპაციას» (კერძო საკუთრებას) და «არ დაუშვან ახალი უზურპაციები» (გვ. 192). «ისინი წარმოადგენენ თავისებურ შეთქმულებას ადამი-ანთა მოდგმის ყველაზე მრავალრიცხოვანი ნაწილის წინააღმდეგ» (სახელდობრ, უქონელთა წინააღმდეგ — ციტირ. თხზ. [გვ. 195]). «საზოგადოებამ შექმნა კანონები და არა კანონებმა — საზოგადოება» (გვ. 230). «საკუთრება კანონებზე ადრე გა-ჩნდა» (გვ. 236).

თვით «საზოგადოება» — ის ფაქტი, რომ ადამიანი ცხოვრობს საზოგადოებაში და არა როგორც დამოუკიდებელი თავისთავადი ინ-დივიდუუმი, — არის ფესვი საკუთრებისა, მასზე დაფუძნებული კა-ნონებისა და მისგან გარდუვალად წარმომდგარი მონობისა.

ერთი მხრივ, მშვიდად და განცალკევებულად ცხოვრობდნენ მიწათმოქმედნი და მწყემსები. მეორე მხრივ, არსებობდნენ «მონადირენი; მათ ჩვეულად ჰქონდათ მოეპოვებინათ საარსებო საშუალებანი სისხლისღერით და შეერთებულიყვნენ ბანდებად, რათა შესაძლებლობა ჰქონოდათ უფრო ადვილად შეშორტყათ ალაყა და დაეხოცათ ცხოველები, რომელთა ხორცითაც ისინი იკვებებოდნენ; ისინი შეფიანსმდებოდნენ ხოლმე ნადავლის გაყოფაზე» (გვ. 279). «სწორედ მონადირეთა შორის უნდა გამონენილიყო პირველი ნიშნები საზოგადოებისა» (გვ. 278). «ნამდვილი საზოგადოება შეიქმნა მწყემსებისა და მიწათმოქმედთა ინტერესების საზიანოდ, და ამ საზოგადოების საფუძველი იყო მათი დამონება» გაერთიანებულ მონადირეთა ბანდის მიერ (გვ. 289). ყველა მოვალეობა საზოგადოებაში დაიყვანება ბრძანებასა და დამორჩილებაზე. «ადამიანთა მოდგმის ნაწილის ეს დეგრადაცია პირველად საზოგადოების წარმოქმნის მიზეზი იყო, შემდეგ კი მან კანონები წარმოშვა» (გვ. 294).

გაჭირვება აიძულებს მუშებს, რომლებიც მოკლებულნი არიან წარმოების პირობებს, — რათა ცხოვრების შესაძლებლობა ჰქონდეთ, — იშრომონ სხვისი სიმდიდრის გასადიდებლად.

«მხოლოდ სხვაგვარად ცხოვრების შეუძლებლობა აიძულებს ჩვენს დღიურ მუშებს მოხნან მიწა, რომლის ნაყოფსაც ისინი ვერ იგემებენ, ჩვენს კალატოზებს კი — აგონ შენობები, სადაც ისინი ვერ იცხოვრებენ. სიღატაკე ერეკება მათ ბაზარზე, სადაც ისინი ელოდებიან ბატონებს, რომლებიც კეთილინებებენ და ყიდიან მათ. სიღატაკე აიძულებს მათ მუხლმოდრეკილი ეეედრონ მდიდარს, რათა ამ უკანასკნელმა ნება დართოს მათ გაამდიდრონ იგი» (გვ. 274).

«ამრიგად, ძალადობა იყო საზოგადოების წარმოქმნის პირველი მიზეზი, ძალუფლება კი — მისი პირველი დამაკავშირებელი საწყისი» (გვ. 302). «მათთა» (ადამიანებს) «პირველი საბრუნავი იყო, უეჭველია, საბრდოს შოვნა... მეორე საბრუნავი კი უნდა ყოფილიყო ისეთი სამუალებების გამოხახვა, რომლებიც მათ შესაძლებლობას ბისცემდათ უშრომლად ეშოვნათ საბრდო» (გვ. 307—308). «ამის მიღწევა მათ შეეძლოთ მხოლოდ სხვისი შრომის ნაყოფის მითვისებით» (გვ. 308). «პირველმა დამპყრობლებმა მხოლოდ იმ მიზნით დაიწყეს ბატონობა, რომ დაუსჯელად ეცხოვრათ უსაქმურად: ისინი გახდნენ მეფეები, რათა თავიანთ განკარგულებაში ჰქონოდათ საარსებო საშუალებანი. ამით ეტად ვიწრო და მარტივი ხდება... ბატონობის იდეა» (გვ. 309): «საზოგადოება წარმოშვა ძალადობამ, საკუთრება კი — უზურპაციამ» (გვ. 347). «როგორც კი გაჩნდნენ ბატონები და მონები, შეიქმნა საზოგადოება» (გვ. 343). «თავიდანვე სამოქალაქო საზოგადოების ორი (439) ბურჯი არსებობდა, ერთი მხრივ, მეტი წილი მამაკაცების მონობა, მეორე მხრივ კი — ყველა დედაკაცის მონობა... თფისი წევრების საერთო რიცხვის სამი მეოთხედის ხარჯზე საზოგადოებამ უზრუნველყო ბედნიერება, სიმდიდრე, მოცალება მცირერიცხოვანი მესაკუთრეებისა; საზოგადოებაც სწორედ ამ უკანასკნელებზე ზრუნავდა მარტოოდენ» (გვ. 365).

ტომი II.

«მაშასადამე, საქმე ეხება არა იმის გამორკვევას, ეწინააღმდეგება თუ არა მონობა ბუნებას თავისთავად, არამედ იმას, ეწინააღმდეგება თუ არა იგი საზოგადოების ბუნებას... მონობა განუყრელად დაკავშირებულია საზოგადოების არსებობასთან» (გვ. 256). «საზოგადოება და სამოქალაქო დამონება ერთსა და იმავე დროს წარმოიშენენ» (გვ. 257). «სამუდამო მონობა... ასეთია საზოგადოების ურყევი საფუძველი» (გვ. 347).

«ადამიანები, რომლებიც იძულებულნი არიან თავიანთი საარსებო საშუალებანი რომელიმე სხვა ადამიანის გულუხვობის წყალობით მიიღონ, მხოლოდ მაშინ გაჩნდნენ, როცა ეს ადამიანი საკმაოდ გამდიდრდა, ე. ი. მათ იმდენი დოვლათი წაართვა, რომ შეეძლო უკანვე დაებრუნებინა მათთვის ამ დოვლათის მცირე ნაწილი. ამ ადამიანის მოჩვენებითი დიდსულოვნება შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ უკან დაბრუნება მის მიერ მითვისებული მათი შრომის ნაყოფის გარკვეული ნაწილისა» (გვ. 242). «გარა, მონობა სწორედ ი. ტრაა, რომ ადამიანი იძულებულია თესოს, მაგრამ მოსავლით თვითონ ვერ ისარგებლოს, თავისი კეთილდღეობა სხვის კეთილდღეობას შესწიროს, იძულებულია იმუშაოს ისე, რომ მომავლის იმედი არ ჰქონდეს? და განა მონობის ნამდვილი ისტორია იმ მომენტით არ იწყება, როცა გაჩნდნენ ადამიანები, რომელნიც შეიძლებოდა აეძულებინათ მათრახქვეშ ემუშავნათ და მიეღოთ ამისათვის, თავლაში დაბრუნებისას, ქერის გარკვეული რაოდენობა? მხოლოდ განვითარებულ საზოგადოებაში ეჩვენება მშიერ დარბის საარსებო საშუალებანი მისი თავისუფლების საკმაო ეკვივალენტად; საზოგადოებაში კი, რომელიც თავისი განვითარების დაწყებითს პერიოდში იმყოფება, თავისუფალ ადამიანებს რაღაც საშინელ რამედ მოეჩვენებოდათ ასეთი უთანაბრო გაცვლა. მხოლოდ ტყვეებს შეეძლება შესთავაზოს იგი კაცმა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელთა ჩამოართვეს ყოველგვარი ქონებით სარგებლობის უფლება, შეიძლებოდა აეცილებელი გაეხადათ მათთვის ამგვარი გაცვლა» (გვ. 244—245).

«საზოგადოების არსება... ისაა, რომ მდიდარმა თავიდან აიცილოს შრომა, ისაა, რომ მის განკარგულებაში გადავიღეს ახალი ორგანოები, დაუღალავი წევრები, რომელთაც წოლად უწევთ ყველა მძიმე სამუშაო, ბაშინ როდესაც მუშაობის ნაყოფს მდიდარი ისაკუთარებს. ასეთია მიზანი, რომელსაც მონობა აღვილად მისაღწევს ხდიდა მდიდრისათვის. იგი ყიდულობდა ადამიანებს, რომლებსაც მომსახურება უნდა გაეწიათ მისთვის» [461]. «მონობას რომ აუკრძალნენ, სულაც არ ჰქონიათ მხედველობაში არც სიმდიდრისა და არც მის უპირატესობათა მოსპობა... ამიტომაც ყველაფერი, ვარდა სახელწოდებისა, უწინდებურად უნდა დარჩენილიყო. ადამიანთა უდიდეს ნაწილს ხელფასით უნდა ეცხოვრა და დამოკიდებული უნდა ყოფილიყო უმნიშვნელო უმცირესობაზე, რომელმაც მთელი დოვლათი მითვისა. ამრიგად, მონობა პირადიაც გახდა დედამიწაზე, მაგრამ უფრო რბილი სახელწოდებით. იგი ახლა ჩვენს შორის არსებობს შელამაზებული სახელწოდებით domesticité» * (გვ. 462).

---

* — მსახური, მსახურთა ერთობლობა. რ ე د.

ამ «მსახურებში», ამბობს ლენგე, იგი გულისხმობს არა ლაქიებს და ა. შ.:

«ქალაქები და სოფლები მჭიდროდ არიან დასახლებული სხვაგვარი მსახურებით, რომლებიც უფრო მრავალრიცხოვანნი, უფრო სასარგებლონი, უფრო შრომისმოყვარენი არიან, — ისინი ცნობილი არიან «journaliers»-ის (დღიურ მომსახურეთა), «ხელით მომუშავე ადამიანთა» სახელწოდებით და ა. შ. ისინი თავს არ ირცხვენენ ფუფუნების ბრწყინვალებით, ისინი ბინავენ საშინელ ძონძებში, სიღატაკის ამ ლაბირინთში. მათ არასოდეს არ უდევთ წილი იმ სიუხვეში, რომლის წყაროც მათი შრომაა. სიმდიდრე თითქოს მოწყალებას იღებს მათ მიმართ, როცა იგი მათ მიერ მიტანილ საჩუქრებს იღებს. ისინი მაღლობელნი უნდა იყვნენ კიდეც ყმისთვის, რომ ნება ეძლევათ სამსახური გაუწიონ სიმდიდრეს. სიმდიდრე აჯილდოებს მათ უაღრესად შეურაცხმყოფელი უყურადღებობით, როცა ისინი მას მუხლებზე ეხვევიან და თხოვენ სარგებლობის მიტანის ნებართვას. სიმდიდრე აიძულებს ადამიანებს ემუდარონ მას ასეთ ნებართვაზე, და ნამდვილ გულუხვობასა და მოჩვენებითს კეთილმოწყალეობას შორის ამ უაღრესად თავისებური გაცვლის ღრუბ მიმღებნი ქედაღლობასა და სიძულვილს ირჩენენ, მიმცემნი კი მორჩილებას, მზრუნველობას, გულმოდგინებას. სწორედ ამგვარმა მსახურებმა ჩვენთან ნამდვილად შეცვალეს მონები» (გვ. 463—464).

«სავსებითა გაარკვეს, თუ როგორია სინამდვილეში ის სარგებლობა, რაც მათ მონობის მოსპობამ მოუტანა. ვამბობ გულისტკივილით და სავსებით გულახდილად: მთელი მათი სარგებლობა ისაა, რომ ისინი ძრწიან შიშით შიმშილით სიკვდილის წინაშე — უბედურება, რომელიც ყოველ შემთხვევაში მათს წინამორბედებს კაცობრიობის ამ დაბალ საფეხურზე თავს არ დატყდებოდა ხოლმე» (გვ. 464). «იგი [მუშა] თავისუფალია, ამბობთ თქვენ. ვაი რომ სწორედ ესაი მისი უბედურება! მას არაფერი ესაქმება არავისთან, მაგრამ მასთანაც არავის არაფერი ესაქმება, როცა იგი სჭირდებათ, მას ქირაობენ ყველაზე იაფ ფასად. უმნიშვნელო გასამრჯელო, რასაც მას ჰპირდებიან, ძლივს თუ აღწევს იმ საარსებო საშუალებათა ფასს, რაც აუცილებელია მისთვის სამუშაო დღის განმავლობაში, სამუშაო დღისა, რომელსაც იგი გაცვლის წესით დამქირავებელთ აძლევს. მას თავს ადგანან ზედამხედველები» (overlookers), «რომლებიც აიძულებენ მის რაც შეიძლება სწრაფად შეასრულოს თავისი სამუშაო; მას აჩქარებენ, მას მიერეკებიან იმის შიშით, რომ მომიზეზებათა მოხერხებულად გამომგონმა სიზარმაცემ არ დაამალვინოს მას თავისი ძალღონის ნაზვევარი; შიშობენ, რომ მოცემული სამუშაოთი დაკავებული დროის გაქვიანურების სურვილმა არ შეამციროს მისი ხელების სიმარჯვე და არ დაარღვიოს მისი ინსტრუმენტები. ხარბი ეკონომია, რომელიც მას გაფაციცებით თვალყურს ადევნებს, საყვედურებით ავსებს მას სულ მცირეოდენი შესვენებისათვის, რომლის ნებასაც იგი თავის თავს აძლევს, და თუ მუშა ერთ წუთს ისვენებს. მტკაცებას იწყებს, რომ იგი ქურდავს მას. როცა კი მუშაობა მთავრ-

დება, მას დაითხოვენ ისევე გულიცივად, როგორც მიიღეს, — დაითხოვენ და სრულიად არ იწუხებენ თავს იმაზე ფიქრით, **ეყოფა თუ არა მას საცხოვრებლად, — [440] თუ იგი მეორე დღესვე სამუშაოს ვერ იშოვის, — ის** 20 ან 30 სუ, რაც მან დამქანცავი სამუშაო დღისათვის მიიღო» (გვ. 466—467).

«დიახ, იგი თავისუფალია! სწორედ ამიტომაც მეცოდება მე იგი. ამიტომაა კიდეც, რომ მას გაცილებით უფრო ნაკლებად ზოგავენ იმ სამუშაოებზე, სადაც იყენებენ. ამიტომაც იჩენენ სწორედ უფრო მეტ უსირცხვილობას მისი სიცოცხლის ფლანგვაში. მონა თავისი პატრონისათვის გარკვეულ ღირებულებას წარმოადგენდა, იმიტომ რომ პატრონმა მასში ფული გადაიხადა. მუშაში კი მის დამქირავებელ მდიდარ მოქეიფე კაცს არაფერი გადაუხდია. მონობის დროს ადამიანის სისხლს გარკვეული ფასი ჰქონდა. ადამიანებს სულ ცოტა იმ თანხის ტოლი ღირებულება ჰქონდათ, რა თანხაშიც მათ ბაზარზე ჰყიდდნენ. მას შემდეგ, რაც ადამიანთა გაყიდვა შეწყდა, მათ სინამდვილეში უკვე არავითარი შინაგანი ღირებულება აღარა აქვთ. არმიაში მესანგრე უფრო ნაკლებად ფასობს, ვიდრე აღალის ცხენი, იმიტომ რომ ცხენი ძალიან ძვირი ღირს, მესანგრე კი მუქთად იშოვება. მონობის მოსპობამ გამოიწვია ასეთი შეფასების გადატანა სამხედრო ცხოვრებიდან სამოქალაქოში; და მას შემდეგ არ მოიძებნება არც ერთი შეძლებული ბურჟუა, რომელიც ადამიანებს ისევე არ აფასებდეს, როგორც მათ აფასებენ გმირი მეომრები» (გვ. 467).

«დღიური მუშები' იბადებიან, იზრდებიან და იწვრთნებიან» (züchten sich heran) «იმისათვის, რომ სიმდიდრეს ემსახურონ, და ეს, — მსგავსად იმ გარეული ნადირისა, რომელსაც მდიდარი თავის სამფლობელოებში ჰკლავს, — არ მოითხოვს მდიდრისაგან არავითარ ხარჯებს. ისე ჩანს, თითქოს სიმდიდრეს მართლა აქვს ის საიდუმლოება, რომლის ცოდნითაც — სრულიად **უსაფუძვლოდ** — თავს იქებდა ბედკრული პომპეუსი. საკმარისია მხოლოდ სიმდიდრემ ფეხი დაკრას მიწაზე, და იქიდან ამოდიან ლეგიონები შრომისმოყვარე ადამიანებისა, **რომლებიც** ერთმანეთს ეცილებიან იმ პატივის მიღებაში, რომ სიმდიდრეს ემსახურონ. და თუ ამ დაქირავებულთა ბრბოდან, რომლებიც მას სახლებს უშენებენ და მის ბაღებს უვლიან, ერთი ვინმე გაქრება, ცარიელი ადგილი არცა ჩანს — იგი მეოსეს შეივსება ისე, რომ არავინ შეიწუხებს ამისათვის თავს. სამწუხაროა ერაა წვეთი წყლის დაკარგვა დიდი მდინარიდან, რადგან შეუწყვეტლივ მოედინება ახალი ნაკადები. ასეთივე მდგომარეობაა მუშების მიმართაც; ის გარემოება, რომ მათი შენაცვლება სხვებით ადვილია, ასახრდოებს მდიდართა უსულგულო დამოკიდებულებას მათდამი».

(ასეთია ლენგეს მსჯელობის წესი; იგი ჯერ კიდევ არ ლაპარაკობს კაპიტალისტებზე) (გვ. 468).

«მათ, ამბობენ, ბატონები არ ჰყავთო.... მაგრამ ეს არის აშკარად სიტყვის ბოროტად გამოყენება. რას ნიშნავს: მათ არ ჰყავთ ბატონები? მათ ჰყავთ, თანაც ოდესმე არსებულ ბატონთაგან ყველაზე საშინელი, ყველაზე დესპოტური ბატონი: გაჭირვება. გაჭირვება მათ აყენებს უსასტიკეს დამოკიდებულ მდგომარეობაში. ისინი უნდა დაემორჩილონ არა ერთ რომელიმე ცალკეულ ადამიანს, არამედ ყველას საერთოდ.

მაიზე ბატონობს არა ვინმე ერთადერთი ტირანი, რომლის კაპრიზებსაც ისინი უნდა ემორჩილებოდნენ და რომლის კეთილი დამოკიდებულების დამსახურებასაც უნდა ცდილობდნენ, — ეს მათს დამოკიდებულ მდგომარეობას გარკვეულ ზღვარს დაუდებდა და მას უფრო ასატანს გახდიდა. ისინი ხდებიან ყველას მსახურნი, ვისაც კი ფული აქვს, და ამის გამო მათი მონობა შეუზღუდველობითა და სიმკაცრით ხასიათდება. ამბობენ: თუ ისინი ამა თუ იმ ბატონთან ცუდად ცხოვრობენ, ნუგეშად ხომ ის დარჩენიათ, რომ შეუძლიათ ამის შესახებ მას განუცხადონ და სხვა ბატონი მოძებნონ, — მონები კი ვერც ერთ ამ ნაბოჯს ვერ გადადგამენო. მონები, მაშასადამე, კიდევ უფრო უბედურნი არიან. — როგორი სოფიზმია ეს, გაიზიარეთ ის ფაქტი, რომ იმათი რიცხვი, ვინც სხვებს ამუშავებს, მეტად მცირეა, იმათი კი, ეინც მუშაობს, პირიქით, მეტად დიდი» (გვ. 470—471). «რას წარმოადგენს მათთვის ის მოჩვენებითი თავისუფლება, რომელიც თქვენ მათ მიანიჭეთ? ისინი ცხოვრობენ მხოლოდ თავიანთი ხელების გაქირავებით. მაშასადამე, მათ უნდა იპოვონ ვინმე, ვინც მათ დაიქირავებს, ანდა შიმშილით უნდა დაიხოცონ. განა ეს ნიშნავს იყო თავისუფალი?» (გვ. 472).

«ყველაზე საშინელია ის, რომ ამ ხელფასის სიმცირე არის მისი შემდგომი შეკვეცრების მიზეზი. რაც უფრო მძიმეა დღიური მუშის მდგომარეობა, მით უფრო იაფად უნდა გაყიდოს მან თავისი ძალა. რაც უფრო დიდია მისი გაჭირვება, მით უფრო ნაკლებად ნაზღაურდება მისი შრომა. ადამიანები, რომლებიც მას დესპოტების სახით უპირისპირდებიან ამ მომენტში, როცა იგი თავლაცრეშლილნი ეხვეწება მიიღონ მისი სამსახური, არ წოილდებიან სირცხვილისაგან და, ასე ვთქვათ, მას ჰულს უსინჯავენ, რათა დარწმუნდნენ, შერჩენია თუ არა მას კიდევ ძალღონე. ამის შესაბამისად, თუ რამდენად დასუსტებულია იგი, განსაზღვრავენ ისინი მისთვის შეთავაზებულ გასამრჯელოს. რაც უფრო სიკვდილის პირას მისული ეჩვენებათ იგი ძალღონის გამოფიტვის გამო, მით უფრო კვეცენ მის შეოსავალს, რასაც კიდევ შეეძლო მისი ხსნა. ამას, რასაც მას ეს ბარბაროსები აძლევენ, შეუძლია არა იმდენად მისი სიცოცხლის გახანგრძლივება, რამდენადაც მისი სიკვდილის ვადის გადაწევა» (გვ. 482—483). «დამოუკიდებლობა» (დღიური მუშისა).. «ესაა ყველაზე დამლუპველი ეგოიზმი, რომელიც ჩვენი დროის დამახასიათებელმა შელამაზებულმა ფრაზაობამ წარმოშვა. იგი ადიდებს მდიდრის ქონების სიუპრბეს და ღარიბის გაჭირვებას. ერთი ზოგავს ყოველივე იმას, რასაც შეორე თავის გამოსაკვებად ხარჯავს. ღარიბი იძულებულია ეკონომია გასწიოს არა იმისა, რაც ზედმეტია, არამედ იმისა, რაც ყველაზე აუცილებელია» (გვ. 483).

«თუ ამჟამად ასე ადვილია უზარმაზარი არმიების შენახვა, რომლებიც, ფუფუნებასთან შეეერთებულნი, ადამიანთა მოდგმის განადგურებას იწვევენ, ჩვენ ამას მხოლოდ მონობის გაუქმებას უნდა ეუმადლოდეთ.... მხოლოდ მას შემდეგ, რაც მონები უკვე ალარ არიან, გარკვენილება და მათხოვრობა მეიმრეს იძლევა ხუთ ოდ დღეში» (გვ. 484—485).

«მე მიმაჩნია, რომ იგი» (აზიური მონობა) «ისეჯერ უფრო უკეთესია, ვიდრე ყოველგვარი სხვა მდგომარეობა. იმ ადამიანთათვის, რომლებიც იძულებულნ

ინ არსებობას საშუალანი ყოველდღიური შრომით მოიპოვონ» (გვ. 496).

«ბითია» (მონებისა და დაქირავებული მუშების) «ბორკილები გაკეთებულია

ერთი და იმავე მასალისაგან, და განსხვავდებიან მხოლოდ იმით, რომ სხვადასხვა ფერით არიან შეღებილი. ერთ შემთხვევაში ბორკილები მავი ფერისაა და უფრო მძიმედ გვეჩვენება, მეორე შემთხვევაში კი — ნაკლებად მუქი ფერისაა და უფრო მსუბუქად გვეჩვენება. მაგრამ აწონეთ ისინი მოუდგომლად, და თქვენ მათ შორის ვერ შეამჩნევთ ვერავითარ განსხვავებას: ორივენი გამოქედილია გაჭირვების მიერ. ისინი სავსებით ერთი წონის არიან, და უფრო მეტიც: თუ რომელიმე უფრო მძიმეა, ეს სწორედ ისაა, რომელიც შესახედავად უფრო მსუბუქად გვეჩვენება» (გვ. 510).

ლენგე მიმართავს ფრანგ განმანათლებელთ და მუშების შესახებ წამოიძახებს:

«ნუთუ თქვენ ვერ ხედავთ, რომ ფარის ამ ესოდენ დიდი ნაწილის მორჩილება და, პირდაპირ უნდა ითქვას, სრული თვინიერება ქმნის მწყემსთა სიმდიდრესუ.. მერწმუნეთ, მისი» (მწყემსის) «ინტერესები, თქვენი ინტერესები და მათი» (ცხვრეების) «ინტერესებიც კი მას მოითხოვს, რომ დავტოვოთ ისინი იმ მტკიცე რწმენით, თითქოს ძაღლი, მათ რომ უყეფს, მარტოდმარტო ერთი უფრო ძლიერია ერთად აღებულ ყველა ცხვარზე. დაე ისინი უაზროდ გარბოდნენ მისი ჩრდილის პირველ დანახვისთანავე. ამით მოიგებენ ყველანი... მით უფრო იოლი იქნება თქვენთვის გასაპარაკებლად მათი გარეკვა. მით უფრო ნაკლებად მოელის მათ იმის საშიშრობა, რომ მგლებმა შეუპამონ. [441] მართალია, ისინი ამ საშიშროებას თავს აღწევენ მხოლოდ იმისათვის, რომ ადამიანთა კერძი გახდნენ. მაგრამ ასეთია მათი ხვედრი მას შემდეგ, რაც ისინი ფარეხში შევიდნენ. ვიდრე იქიდან მათს გამოყვანაზე ილაპარაკებდეთ, თქვენი ეალია ფარეხის, ე. ი. საზოგადოების დანგრევით დაიწყოთ» (გვ. 512—513). [X—441]

დამაჯებანი

[1) ჰობსი შრომის, ღირებულებისა და მეცნიერების ეკონომიური როლის შესახებ]

[XX—1291a] ხელოვნებათა დედად ჰობსს მიაჩნია მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა დ ა ა რ ა შ ე მ ს რ უ ლ ე ბ ლ ი ს შ რ ო მ ა.

«ხელოვნებანი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საზოგადოებისათვის, როგორც, მაგალითად, ფორტიფიკაცია, სამხედრო მანქანებისა და სხვა საომარი იარაღების დამზადება, წარმოადგენენ ძალას, რადგან ისინი ხელს უწყობენ თავდაცვასა და გამარჯვებას; და თუმცა მათი ნამდვილი დედა მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა ა, ს ა ხ ე ლ დ ო ბ რ კ ი მ ა თ ე მ ა ტ ი კ ა, მაინც, რადგანაც მათი შემქმნელი ხელოსნის ხელია, მათ განიხილავენ როგორც მის ქმნილებას, მსგავსად იმისა, როგორც შდაბიო ხალხში ბებია ქალს დედას უწოდებენ» (**«Leviathan», წიგნში «English Works of Th. Hobbes». edit. by Molesworth, London**, 1839 — 1844, ტომი III გვ. 75).

გონებრივი შრომის პროდუქტი — მეცნიერება — ყოველთვის მის ღირებულებაზე უფრო დაბლა ფასობს. იმიტომ რომ მისი ქვლავწარმოებისათვის საჭირო სამუშაო დრო არავითარ მიმართებაში არაა იმ სამუშაო დროსთან, რომელიც საჭიროა მისი თავდაპირველი წარმოებისათვის. ასე, მაგალითად, ბინომის თეორემა მოსწავლეს შეუძლია ერთი საათის განმავლობაში შეისწავლოს.

ს ა მ უ შ ა ო ძ ა ლ ა:

«ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ა დ ა მ ი ა ნ ი ს ა, ისევე როგორც ყველა სხვა ნივთისაც, — ეს არის მისი ფასი. ე. ი. იგი შეადგენს იმდენს, რამდენის მიცემაც შეიძლება მ ი ს ი ძ ა ლ ი თ ს ა რ გ ებ ლ ო ბ ა შ ი» (იქვე, გვ. 76). «ა დ ა მ ი ა ნ ი ს შ რ ო მ ა» (მაშასადამე, «მისი სამუშაო ძალით სარგებლობა») «ასევე ს ა ქ ო ნ ე ლ ი ა, რომელიც სავსებით ისევე შეიძლება გაიცვალოს მოგების მიღებით, როგორც ყოველი სხვა ნივთი» (იქვე, გვ. 233).

მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი დ ა ა რ ა მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი შ რ ო მ ა:

«არ კმარა, რომ ადამიანი შრომობდეს მხოლოდ თავისი არსებობის შესანარჩუნებლად: იგი უნდა იბრძოდეს აგრეთვე, საკიროების შემთხვევაში, თავისი შრომის დასაცავად. ადამიანები ან ისე უნდა მოიქცნენ, როგორც იქცეოდნენ ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ ებრაელები, როცა ისინი ტაძრის აღდგენისას ერთი ხელით აშენებდნენ, მეორეთი კი მახვილი ეჭირათ; ანდა მათ უნდა დაიქირაონ სხვები, რათა ამ უკანასკნელებმა მათთვის იბრძოლონ» (იქვე, გვ. 333)

[2)] ისტორიიდან: პეტი

[უარყოფითი დამოკიდებულება არამწარმოებლური პროფესიებისადმი. ღირებულების ზრომითი თეორიის ჩანასახები. ცდა ხელფასის, მიწის რენტის, მიწის ფასის და სარგებლის ახსნისა ღირებულების თეორიის საფუძველზე]

[XXII — 1346] Petty. A Treatise of Taxes and Contributions. London, 1667.

ჩვენს მეგობარ პეტის[121] სრულიად სხვა «მოსახლეობის თეორია» აქვს, ვიდრე მალთუსს. პეტის აზრით, საჭიროა საზღვარი დაედოს პასტორების «გამრავლებას» და კვლავ აღდგეს სამღვდელოებისათვის ქორწინების აკრძალვა.

ყოველივე ეს განეკუთვნება განყოფილებას: მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი და ა რ ა მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი შ რ ო მ ა[122]

a) პ ა ს ტ ო რ ე ბ ი:

«რადგან ინგლისში მამაკაცები მეტია ქალებზე..., ამიტომ კარგი იქნებოდა, თუ მღვდლები უ ქ ო რ წ ი ნ ო ბ ა ს დ ა უ ბ რ უ ნ დ ე ბ ო დ ნ ე ნ. სხვა სიტყვებით, თუ ვერაინ, თუ ის ცოლიანი იქნებოდა, ვერ მიიღებდა სასულიერო თანამდებობას... და მაშინ ჩვენს უ ც ო ლ ო პ ა ს ტ ო რ ს საეკლესიო შემოსავლის ნ ა ხ ე ვ რ ი თ ი ისევე კარგად შეეძლო ეცხოვრა, როგორც ეგი ახლა ცხოვრობს მთელი თავისი საეკლესიო შემოსაელითო» (გვ. 7—8).

b) ვ ა ჭ რ ე ბ ი დ ა მ ე დ უ ქ ნ ე ე ბ ი:

«მათი რიცხვიდანაც ასევე შეიძლებოდა დიდი ნაწილის შემცირება; ისინი ბომ, სიმართლე რომ ვთქვათ, არ იმსახურებენ იმას, რომ საზოგადოებისაგან რაიმე მიიღონ, ისინი წარმოადგენენ თავისებური სახის მოთამაშეებს, რომლებიც აზარტულ თამაშს ეწევიან ერთმანეთის შორის [1347] ღარიბთა შრომის შედეგების ხარჯზე. ოვითონ კი არავითარ პროდუქტს არ ქმნიან,

ორამდე მხოლოდ ანაწილებენ სხეულისა მიმართულებით, ვენებისა და არტერიების მსგავსად, საზოგადოებრივი სხეულის სისხლსა და საკვებ წყენს, ე. ი. სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის პროდუქციასა» (გვ. 10).

c) ადვოკატები, ექიმები, მოხელენი და ა. შ.:

«რამდენად უფრო ადვილი იქნებოდა საზოგადოებრივი ხარჯების დაფარვა: მმართველობასთან, მართლმსაჯულებასთან და ეკლესიასთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი თანამდებობანი და ჯამაგირები რომ შემცირებულიყო, აგრეთვე რომ შემცირებულიყო რიცხვი სასულიერო პირების, იურისტების, ექიმების, ვაჭრების და მეფუძენებისა, რომლებიც ყველანი დიდ გასამრჯელოს ღებულობენ საზოგადოებისათვის შესრულებულ უმნიშვნელო შრომაში!» (გვ. 11).

d) პაუპერები: «ჭარბი ადამიანები» [supernumeraries]:

«ვინ უნდა უხადოს ამ ადამიანებს? მე ვუპასუხებ: ყველამ... ჩემთვის ცხადია, რომ ისინი არც შიმშილით უნდა დაზოცონ, არც უნდა ჩამოაბრჩონ და არც საზღვარგარეთ გასცენ» და ა. შ. (გვ. 12). საჭიროა მათ ან «ნამეტი პროდუქტები» მიეცეს ანდა, თუ ასეთი არ არის, «თუ ნამეტი არ არსებობს... ცოტათი შეიკვეცოს რაოდენობის ან ხარისხის მხრივ სხვების შედეგად ნატიფი კვება» (გვ. 12—13). რა სამუშაოც არ უნდა დაეკისროს ამ «ჭარბ ადამიანებს», ეს სულ ერთია, ოღონდ საჭიროა, რომ იგი «არ მოითხოვდეს საზღვარგარეთული საქონლის ხარჯვასა». მთავარი ისაა, რომ «ეს ადამიანები შეეჩვიონ დისციპლინასა და მორჩილებას, მათი სხეული კი — ამტანობას, ანაც მათ მოეთხოვება უფრო სასარგებლო შრომის დროს, როცა ასეთი შრომა საჭირო გახდება» (გვ. 13). «ყველაზე უკეთესია მათი გამოყენება გზების, ხიდების შენებლობაზე, სამთამადნო წარმოებაში და ა. შ.» (გვ. 12).

მოსახლეობა — სიმდიდრე:

«მოსახლეობის მეცირეობა — ეს ნამდვილი სიღარიბეა. ხალხი, რომლის მოსახლეობა 6 მილიონს შეადგენს, ორჯერ და კიდევ უფრო მეტად მდიდარია იმ ხალხზე, რომელიც თანაბარი სიდიდის ტერიტორიაზე მხოლოდ 4 მილიონს ითვლის» (გვ. 16).

ზემოაღნიშნული a პუნქტის შესახებ (პასტორები). მღვდლების შესახებ პეტი ნატიფი ირონიით ამბობს:

«რელიგია ყველაზე უკეთესად იფურჩქნება იქ, სადაც ხუცები ყველაზე მეტად მოაკვდინებენ თავიანთ სხეულს, მსგავსად იმისა, როგორც... სამართალი... ყველაზე უკეთ იქ იფურჩქნება, სადაც ადვოკატებს ყველაზე ნაკლები საქმე აქვთ» (გვ. 57). ყველა გარემოებაში იგი ურჩევს პასტორებს «არ გაამრავლონ სასულიერო პირნი იმაზე მეტად. ვიდრე ამჟამად არსებულ საეკლესიო მრევლ მათი დაკმაყოფილება შეუძლია». მაგალითად,

დავუშვათ, რომ ინგლისსა და უელსში არსებობს 12000 საეკლესიო მრევლი. ასევე შემოხვევაში «ეროვნიული არ იქნებოდა 24000 მღვდლის გამრავლება». ეს ინიტომ, რომ მაშინ ეს 12000 არაუზარუნველყოფილი მღვდელი კონკურენციის გაუწევს იმათ, ვისაც მრევლი აქვს, «და ამას ისინი ყველაზე ადვილად მიაღწევენ იმის ქადაგებით, რომ 12000 მრევლის მფლობელი წამლაეს და სულს უშრომს ადამიანებს» (გადაკვრით ნათქვამი შეეხება ინგლისის რელიგიურ ომს) «და ააცდენენ მათ სასუფეველში მიმავალ გზას» (გვ. 57).

ზედმეტი ღირებულების წარმოშობა და მისი გამოანგარიშება. ამ თემის გადმოცემა რამდენადმე უწესრიგოდ ხდება, ახრი დაძაბულად იბრძვის შესაფერი განზოგქმის მოსაძებნად, მაგრამ აქა-იქ გაბნეული მოხდენილი შენიშვნები გარკვეულ დაკავშირებულ მთლიანობას მაინც ქმნიან.

პეტი განასხვავებს «ბუნებრივ ფასს», «პოლიტიკურ ფასს» და «ეშმარიტ საბაზრო ფასს» (გვ. 67). «ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ფ ა ს ი» მას ესმის არსებითად როგორც ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა და ჩვენ აქ მხოლოდ ეს გვაინტერესებს, რადგან [1348] ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ა ზ ე ა დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ი ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ი ს გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ა ც.

ნაწარმოებში, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ, პეტი არსებითად ს ა ქ ო ნ ლ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს განსაზღვრავს მასში მოთავსებული შ რ ო მ ი ს შეფარდებითი რ ა ო დ ე ნ ო ბ ი თ.

«მაგრამ ვიდრე ჩვენ რ ე ნ ტ ა თ ა შესახებ დაწერილებით ვიტყოდეთ რამეს, უნდა შეეცადოთ აეხსნათ მათი საიდუმლო ბუნება როგორც ფ ე ლ ი მ ი ბ ა რ თ, რ ო მ ლ ი ს რ ე ნ ტ ა ს ა ც ს ა რ გ ებ ლ ი ე ფ ო დ ე ბ ა, ი ს ე ვ ი ფ ი ნ ი ს ნ ა ყ ვ ე თ ე ბ ი ს ა და ს ა ხ ლ ე ბ ი ს რ ე ნ ტ ი ს მ ი მ ა რ თ ა ც» (გვ. 23).

უწინარეს ყოვლისა საკითხავია: რა არის საქონლის — კერძოდ ხორბლის — ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა?

α) «თუ ერთი უნცი ვერცხლის მოპოვება და პერუს სამადნეებიდან ლონდონში მიტანა ადამიანს დ რ ო ი ს ი მ ა ვ ე დ ა ხ ა რ ჯ ვ ი თ შეუძლია, რაც მას ერთი ბუშელი ხორბლის საწარმოებლად სჭირდება, მაშინ პირველი პროდუქტი შეადგენს მეორის ბუნებრივ ფასს; და თუ ახალი, უფრო მდიდარი საბადნეების აღმოჩენის გამო ორი უნცი ვერცხლის მოპოვება მისთვის შესაძლებელი იქნება ისევე ადვილად, როგორც ახლა ერთისა, მაშინ caeteris paribus* ბუშელი ხორბლის ფასი 10 შილინგი ისევე იაფი იქნება, როგორც წინათ ბუშელი ხორბლისათვის 5 შილინგი იყო» (გვ. 31). «დავუშვათ, რომ ერთი ბუშელი ხორბლის წარმოება და ე რ თ ი უ ნ ც ი ვ ე რ ც ხ ლ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ა თ ა ნ ა ბ ა რ შ რ ო მ ა ს საჭიროებს» (გვ. 56). ეს არის უწინარეს ყოველისა

* — სხვა თანაბარ პირობებში. რ ე დ.

«საქონელთა ფასის გამოანგარიშების ნამდვილი და არა მოჩვენებითი გზა» (გვ. 66).

β) მეორე გამოსაკვლევი პუნქტია შ რ ო მ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა.

«კანონმა... უ ნ დ ა მ ი ს ც ე ს მ უ შ ა ს მ ხ ო ლ ო დ ი ს, რ ა ც ყ ვ ე ლ ა ზ ე ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ა მ ი ს ი ა რ ს ე ბ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს; რადგან თუ მუშას აუცილებელზე ორჯერ მეტს მისცემენ, მაშინ იგი მხოლოდ სანახევროდ იმუშავებს იმასთან შედარებით, რამდენიც მას შეეძლო ემუშავნა და ფაქტიურად იმუშავებდა კიდეც ხელფასის ასეთი გაორკეცების გარეშე; ე ს. კ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ნ ი შ ნ ა ვ ს შ რ ო მ ი ს ს ა თ ა ნ ა დ ო რ ა ო დ ე ნ ო ბ ი ს პ რ ო დ უ ქ ტ ი ს დ ა კ ა რ გ ვ ა ს» (გვ. 64).

მაშასადამე, შრომის ღირებულებას განსაზღვრავს აუცილებელი საარსებო სამუშაოლებანი. მუშა მხოლოდ იმიტომ არის იძულებული აწარმოოს ზედმეტი პროდუქტი და გასწიოს ზედმეტი შრომა, რომ მას საქმისათვის გამოსადეგ მთელ თავის სამუშაო ძალას [Arbeitskraft] ახარჯვინებენ იმისათვის, რომ თვითონ მან მიიღოს მ ხ ო ლ ო დ ა რ ს ე ბ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი. მისი შრომის სიიაფეს თუ სიძვირეს კი განსაზღვრავს ორი გარემოება: ნიადაგის ბუნებრივი ნაყოფიერება და ჰავით გაპირობებული ხარჯვების (მოთხოვნილებათა) მოცულობა.

«ბუნებრივი სიძვირე თუ სიიაფე დამოკიდებულია იმაზე, მ ე ტ ი ხ ე ლ ი ა ს ა ჭ ი რ ო თ უ ნ ა კ ლ ე ბ ი ბ უ ნ ე ბ რ ი ვ მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა თ ა დ ა ს ა კ მ ა ყ ო ფ ი ლ ებ ლ ა დ (ასე, მაგალითად, ხორბალი უფრო იაფია იქ, სადაც ერთი კაცი აწარმოებს მას ათისათვის, ვიდრე იქ, სადაც ერთს შეუძლია ეს გაკეთოს ექვსისათვის); და გარდა ამისა დამოკიდებულია ჰავაზე. რამდენადაც ეს უკანასკნელი მათ აიძულებს ერთ შემთხვევაში მეტი ხარჯები გაიღონ, მეორე შემთხვევაში კი — ნაკლები» (გვ. 67).

γ) პეტისათვის ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა არსებობს მხოლოდ ორი ფორმით: მ ი წ ი ს რ ე ნ ტ ა და ფ უ ლ ი ს რ ე ნ ტ ა (სარგებელი). უკანასკნელი მას გამოჰყავს პირველიდან. პირველი მისთვის, როგორც უფრო გვიან ფიზიოკრატებისათვის, ზედმეტი ღირებულების ჭ ე შ მ ა რ ი ტ ი ფ ო რ მ ა ა. (მაგრამ პეტი აქვე აცხადებს, რომ პურში იგი გულისხმობს

«ყოველივე აუცილებელს ცხოვრებისათვის, როგორც ეს ბაგულისხმევა ციტაცვით «პური» ლოცვაში «მამაო ჩვენო»»).

თავის გადმოცემაში იგი არა მარტო განიხილავს რენტას (ზედმეტ ღირებულებას) როგორც მეწარმის მიერ მიღებულ ნამეტს აუცილებელ სამუშაო დროსთან შედარებით, არამედ განმარტავს კიდეც მას როგორც თვით მწარმოებლის ზედმეტი შრომის ნამეტს

მის კუთვნილ ხელფასთან და მისი საკუთარი კაპიტალის ანაზღაურებასთან შედარებით.

«დავუშვათ, რომ რომელიმე ადამიანი თავისი საკუთარი ხელით ამუშავებს გარკვეულ მიწის ნაკვეთს პურეულის მოსაყვანად, ე. ი. ბარავს ან ხნავს მას, ფარცხავს, წმენდს სარეველა ბალახისაგან, მოიმკის, მიიქცევს ძნები შინ, ლეწავს და ანიავებს, როგორც ამას მოითხოვს მოცემული ქვეყნის მიწათმოქმედება, და რომ მას, გარდა ამისა, ამ ნაკვეთის დასათესად საჭირო თესლიც აქვს. მე ვამტკიცებ, რომ როცა ეს ადამიანი გამოაკლებს მიღებული მოსავლიდან თავის თესლს» (ე. ი., ჯერ ერთი, გამოაკლებს პროდუქტიდან შუდმივი კაპიტალის ეკვივალენტს), [1349] «და აგრეთვე ყოველივე იმას, რაც მან თვითონ მოიხმარა და რაც მან სხვას მისცა სხვა საგნებზე გაცვლის წესით ტანსაცმლისა და სხვა აუცილებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, შაშინ დარჩენილი ხორბალი შეადგენს ბუნებრივ და ჭეშმარიტი მიწის რენტას მოცემული წლისათვის; ხოლო საშუალო ნამები შვიდი წლისათვის ან, უფრო სწორად, იმ მთვლი რიგი წლებისათვის, როცა მოუსავლობას კარგი მოსავალი ცვლის, იძლევა ხორბლით გამოხატულ ჩვეულებრივ მიწის რენტას» (გვ. 23—24).

მაშასადამე, რადგან ხორბლის ღირებულება, პეტის მიხედვით, მასში მოთავსებული სამუშაო დროით განისაზღვრება, და რადგან რენტა, მისი აზრით ისაა, რაც ერთობლივი პროდუქტიდან რჩება ხელფასისა და თესლის გამოკლების შემდეგ, ამიტომ ეს რენტა უდრის ზედმეტ პროდუქტს, რომელშიც გასაგნობრივებულია ზედმეტი შრომა. რენტა აქ შეიცავს მოგებას; მოგება ჯერ კიდევ არაა რენტისაგან გამოყოფილი.

ასეთივე გამჭრიახობით აყენებს პეტი შემდეგ საკითხს:

«მაგრამ აქ შეიძლება წამოიჭრას შემდგომი, თუმცა მეორე ხარისხოვანი, საკითხი: ინგლისური ფულის რა რაოდენობას უდრის თავისი ღირებულებით ეს ხორბალი, ანუ ეს რენტა? მე ვუპასუხებ: ფულის ისეთ რაოდენობას, რომელიც თანაბარი დროის განმავლობაში შეუძლია დაზოგოს მეორე პიროვნებამ, მთელი მისი ხარჯების გასტუმრების შემდეგ, თუ იგი მთლიანად ფულის წარმოებას მოჰკიდებს ხელს. მაგალითად, დავუშვათ, რომ მეორე ადამიანი მიემგზავრება ისეთ ქვეყანაში, სადაც ეერცხლია, მოიპოვებს მას მიწიდან, გაწმენდს და მიიტანს მას იმავე ადგილას, სადაც პირველს თავისი ხორბალი მოჰყავს, ჭრის მისგან მონეტებს და ა. შ., და თანაც ეერცხლზე თავისი მუშაობის მთელი დროის განმავლობაში იძენს აუცილებელ საზრდოს, ტანსაცმელს და ა. შ. მაშინ, მე ვიტყოდი, რომ ერთის ვერცხლი თავისი ღირებულებით მეორის ხორბლის ტოლად უნდა შეფასდეს. თუ ეერცხლი შეადგენს, მაგალითად, 20 უნცის, ხორბალი კი — 20 ბუშელს, მაშინ უნცი ვერცხლი იქნება ერთი ბუშელი ხორბლის ფასი» (გვ. 24).

ამასთან პეტი გარკვევით მიუთითებს იმაზე, რომ შრომის სახეობათა განსხვავებას აქ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; ყველაფერი დამოკიდებულია მხოლოდ სამუშაო დროზე:

«თუმცა, შესაძლო. ვერცხლის წარმოება მეტ დახელოვნებას მოითხოვს და უფრო მეტ რისკთანაა დაკავშირებული, ვიდრე ხორბლის წარმოება, მაგრამ საერთო ჯამში ესენი ერთიმეორეზე დიაყვანება. დაუეშვათ, რომ ასი ადამიანი ათი წლის განმავლობაში აწარმოებს ხორბალს და რომ ადამიანთა ამდენივე რაოდენობა იმდენსავე დროს ხარჯავს ვერცხლის მოსაპოვებლად; მე ვამბობ, რომ ვერცხლის წმინდა მოპოვება იქნება ხორბლის მთელი წმინდა მოსავლის ფასი და პირველის თანაბარი ნაწილები შეადგენენ მეორის თანაბარი ნაწილების ფასს» (გვ. 24).

მას შემდეგ, რაც პეტიმ ამწესით განსაზღვრა რენტა, რომელიც აქ უდრის მთელ ზედმეტ ღირებულებას (მოგების ჩათვლით), და მონახა მისი ფულადი გამოხატულება, იგი გადადის მიწის ფულადი ღირებულების განსაზღვრაზე, რაც კვლავ მეტად გენიალურია.

«ამრიგად, ჩვენ მოხარული ვიქნებოდით გაგვესაზღვრა თავისუფლად გასაყიდი მიწის ბუნებრივი ღირებულება, თუნდაც არა უკეთესად, ვიდრე ჩვენ განვსაზღვრეთ ususfructus'-ის* ღირებულება, რაზეც ზემოთ იყო ლაპარაკი... მას შემდეგ, რაც ჩვენ განვსაზღვრეთ რენტა, ანუ ღირებულება ususfructus'-ისა წლის განმავლობაში, ისმის საკითხი, წლიურ რენტათა რა ჯამს უდრის თავისი ღირებულებით თავისუფლად გასაყიდი მიწა? თუ ვიტყოდით: უსასრულო რიცხვს, მაშინ ერთი აკრი მიწის ღირებულება (რადგან ერთეულების უსასრულობა ათასეულთა უსასრულობას უდრის) ასეთივე მიწის ათასი აკრის ღირებულების ტოლი იქნებოდა, რაც უაზრობაა. ამიტომ ჩვენ უნდა ავიღოთ წელთა რაიმე განსაზღვრული რიცხვი, და მე ვფიქრობ, ასეთი რიცხვი იქნება წელთა ის რაოდენობა, რომელთა განმავლობაში შეიძლება ივარაუდებოდეს ერთდროული ცხოვრება ამჟამად ცოცხალი სამი თაობის წარმომადგენლებისა, რომელთაგან ერთი 50 წლისაა, მეორე 28-ისა, მესამე — 7-ის, ე. ი. პაპის, მამის და შვილისა. მეტად უმნიშვნელოა რიცხვი იმ ადამიანებისა, რომელთაც შეუძლიათ იზრუნონ ეფრო შორეული მოდგმისათვის... აი რატომ მიმაჩნია, რომ იმ წლიურ რენტათა რიცხვი, რომელნიც ამა თუ იმ მიწის ნაკვეთის ბუნებრივ ღირებულებას შეადგენენ, უდრის სამი ასეთი პირის ერთდროულად ცხოვრების ჩვეულებრივ [1350] ხანგრძლიობას. ჩვენთან— ინგლისში ანგარიშობენ, რომ ეს ხანგრძლიობა უდრის ოცდაერთ წელიწადს. მაშასადამე, მიწის ღირებულება უდრის დაახლოებით წლიურ რენტათა ასეთივე რიცხვს» (გვ. 25—26).

*—სარგებლობა სხვისი საკუთრებით (უმთავრესად მიწის საკუთრებით); აქ — მიწის წმინდა შემოსავლის აზრით. რედ.

მას შემდეგ, რაც პეტიმ რენტა დაიყვანა ზედმეტ შრომაზე და, მაშასადამე, ზედმეტ ღირებულებაზე, იგი აცხადებს, რომ მიწა სხვა არაფერია, თუ არა კაპიტალიზებული რენტა, ე. ი. წლიურ რენტათა გარკვეული ჯამი, ანუ წელთა გარკვეული რიცხვის განმავლობაში მისაღებ რენტათა ჯამი.

რენტის კაპიტალიზაცია, ე. ი. მისი მიწის ღირებულებად გამოანგარიშება, სინამდვილეში შემდეგნაირად ხდება:

ვთქვათ, აკრი მიწა ყოველწლიურად იძლევა 10 გირვ. სტერლ. რენტას. თუ სარგებლის განაკვეთი უდრის 5-ს, მაშინ 10 გირვ. სტერლ. წარმოადგენს 200 გირვ. სტერლ. კაპიტალის სარგებელს, და რადგან 5%-ის კვალობაზე სარგებელი კაპიტალს 20 წელიწადში ანაზღაურებს, ამიტომ აკრი მიწის ღირებულება იქნებოდა 200 გირვ. სტერ. (20×10), მაშასადამე, რენტის კაპიტალიზაცია დამოკიდებულია სარგებლის განაკვეთის სიდიდეზე. თუ სარგებლის განაკვეთი იქნებოდა 10, მაშინ გირვ. სტერლ. გამოხატავდა 100 გირვ. სტერლ. კაპიტალის სარგებელს, სხვა სიტყვებით — ათი წლის შემოსავლის სარგებელს.

მაგრამ პეტის, — რადგან ამოსავალ წერტილად იგი იღებს მიწის რენტას როგორც ზედმეტი ღირებულების საყოველთაო ფორმას, რომელიც მოგებას შეიცავს, — არ შეუძლია ივარაუდოს კაპიტალის სარგებელი როგორც მოცემული რამ, არამედ მას, პირიქით, ეს სარგებელი უნდა გამოჰყავდეს რენტიდან როგორც მისი განსაკუთრებული ფორმა (როგორც ამას აკეთებს ტიურგოც, რაც სავსებით თანამიმდევრულია მისი თვალსაზრისით). მაგრამ როგორღა განვსაზღვროთ ასეთ შემთხვევაში წლების ის რიცხვი, ე. ი. წლიურ რენტათა რიცხვი, რომელიც მიწის ღირებულებას შეადგენს? ადამიანისათვის [მსჯელობს პეტი] საინტერესოა იყიდოს მხოლოდ იმდენი წლიური რენტა, რამდენი წელიც მან უნდა «იზრუნოს» თავის თავზე და თავის უახლოეს შთამომავლობაზე, ე. ი. რამდენი წელიც ცოცხლობს საშუალო ადამიანი — პაპა, მამა და ბავშვი. ეს კი შეადგენს 21 წელს «ინგლისური» შეფასებით. მაშასადამე, მისთვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, რაც 21 წლიანი «ususfructus»-ის საზღვრებს იქით არის. ამიტომ იგი გადაიხდის ოცდაერთი წლის «ususfructus»-ს, რაც სწორედ მიწის ღირებულებას შეადგენს.

ამ გონებამახვილური წესით პეტი თავს აღწევს სიძნელეს; მაგრამ მნიშვნელოვანია ამასთან ის,

რომ, ჯერ-ერთი, რ ე ნ ტ ა, როგორც გამოხატულება ერთობლივი ს ა ს ო ფ ლ ო-ს ა მ ე უ რ ნ ე ო ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ა, გამოყვანილია არა მიწიდან, არამედ შრომიდან და განსაზღვრულია როგორც შრომით შექმნილი ნამეტი იმასთან შედარებით, რაც აუცილებელია მუშაკის სიცოცხლის შესანარჩუნებლად;

რომ, მეორე, მ ი წ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა სხვა არაფერია, თუ არა წლების გარკვეული რიცხვისათვის წინასწარ შესყიდული რენტა, თვით რენტისავე გ ა რ დ ა ქ მ ნ ი ლ ი ფორმა, რომლითაც ამ-დენი და ამდენი წლის (მაგალითად, 21 წლის) ზედმეტი ღირებულება (ანუ ზედმეტი შრომა) გვევლინება როგორც მ ი წ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა; მოკლედ რომ ვთქვათ, მიწის ღირებულება სხვა არაფერია, თუ არა კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი რ ე ნ ტ ა.

ასე ღრმად იჭრება პეტი საკითხის დედაარსში. რენტის მ ყ ი დ ვ ე ლ ი ს (ე. ი. მიწის მყიდველის) თვალსაზრისით რ ე ნ ტ ა გვევლინება, მაშასადამე, უბრალოდ როგორც ს ა რ გ ებ ე ლ ი მ ი ს ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ა, რომლითაც მან მიწა იყიდა, ამ ფორმაში კი რენტა ხდება სრულიად გამოუცნობი და გვევლინება როგორც კ ა-პ ი ტ ა ლ ი დ ა ნ მ ი ღ ებ უ ლ ი ს ა რ გ ებ ე ლ ი.

მას შემდეგ, რაც ამ გზით მ ი წ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა და წ ლ ი უ რ ი რ ე ნ ტ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა განსაზღვრა, პეტის შეუძლია გამოიყვანოს «ფულის რენტა», ანუ სასესხო კაპიტალის სარგებელი, როგორც მეორადი ფორმა:

«რაც შეეხება ს ა ს ე ს ხ ო კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ს ა რ გ ებ ე ლ ს, იგი, არ შეიძლება იყოს ამ რ ე ნ ტ ა ზ ე ნ ა კ ლ ებ ი, რ ო მ ე ლ ს ა ც მოიტანს გ ა ს ა-ს ე ს ხ ებ ე ლ ი ფ უ ლ ი თ ნ ა ყ ი დ ი მ ი წ ა, თუ ამასთან სესხის უკან დაბრუნება უეჭველად უზრუნველყოფილია» (გვ. 23).

აქ სარგებელი წარმოგვიდგება როგორც რ ე ნ ტ ი ს ფ ა ს ი თ განსაზღვრული, მაშინ როდესაც სინამდვილეში, პირიქით, რ ე ნ-ტ ი ს ფ ა ს ი, ანუ მ ი წ ი ს ს ა ყ ი დ ე ლ ი, ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა, განისაზღვრება სარგებლის დონით. მაგრამ ეს სავსებით თანამიმდევრულია, რადგან პეტის რ ე ნ ტ ა წარმოდგენილი აქვს როგორც ზედმეტი ღირებულების საყოველთაო ფორმა და ამის გამო ფ უ ლ ი ს ს ა რ გ ებ ე ლ ი მას უნდა გამოჰყავდეს რენტიდან როგორც მეორადი ფორმა.

დ ი ფ ე რ ე ნ ც ი უ ლ ი რ ე ნ ტ ა. პეტისთან ჩვენ ვხვდებით აგრეთვე დიფერენციული რენტის ბაგების პირველ ცდასაც. მას იგი გამოჰყავს არა ერთნაირი სიდიდის მიწის ნაკვეთების ს ხ ვ ა დ ა-ს ხ ვ ა ნაყოფიერებიდან, არამედ ამ ნაკვეთთა გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ებ უ-

ლი ადგილმდებარეობიდან, იმ სხვადასხვა მანძილიდან, რითაც ბაზარს დაშორებული არიან ერთნაირი ნაყოფიერების მქონე მიწის ნაკვეთები, რაც, როგორც ცნობილია, დიფერენციული რენტის ერთ-ერთი ელემენტია. იგი ამბობს.

[1351] «როგორც ფულის დიდი მოთხოვნა აამაღლებს ფულის კურსს, ისე ხორბლის დიდი მოთხოვნაც ადიდებს ხორბლის ფასს და ამიტომ იმ მიწიდან მიღებულ რენტასაც, რომელზეც ხორბალი იზრდება».

(აქ, მაშასადამე, პირდაპირ ნათქვამია, რომ ხორბლის ფასი განსაზღვრავს რენტას, მსგავსად იმისა, როგორც უკვე წინა მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ ხორბლის ღირებულებას არ განსაზღვრავს რენტა),

«და, საბოლოო ანგარიშით თვით მიწის ფასს. თუ, მაგალითად, ხორბალი, რომლითაც იკვებება ლონდონი ან რომელიმე არმია, იქ მიაქვთ 40 მილით დაშორებული ადგილებიდან, მაშინ ხორბალი, რომელიც ლონდონიდან ან არმიის განლაგების ადგილიდან მხოლოდ ერთი მილის დაშორებით მოკაფავთ, თავის ბუნებრივ ფასს იმდენით გადაამეტებს, რაშიც 39 მილის მანძილზე ტრანსპორტირების ხარჯები შეადგენს... აქედან გამომდინარეობს, რომ მიწის ნაკვეთები, თუ ისინი ახლოს არიან მეტიდროდ დასახლებულ ადგილებთან და ოუ ამ ადგილების გამოსაკვებად საჭიროა დიდი მოცულობის რჩეინები, ასეთი ნაკვეთები არა მარტო უფრო მეტ რენტას მოიტანენ, არამედ აგრეთვე წლიურ რენტათა მეტ რაოდენობადაც ღირან, ვიდრე საესებით ასეთივე ხარისხის, მაგრამ უფრო შორს მდებარე მიწები და ა. შ.» (გვ. 29).

პეტი იხსენიებს აგრეთვე დიფერენციული რენტის მეორე მიზეზსაც, მიწის განსხვავებულ ნაყოფიერებას და, მაშასადამე, შრომის განსხვავებულ ნაყოფიერებასაც თანაბარი სიდიდის მიწებზე:

«მიწის სიმდიდრე თუ სიმწირე, ანუ მისი ღირებულება, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მიმართულებაშია მის მიერ მოცემული პროდუქტის მეტი თუ ნაკლები წილი, რომელსაც ამ მიწით სარგებლობისათვის იხდიან, ამ პროდუქტის მოყვანაზე დახარჯულ მარტივ შრომასთან» (გვ. 67). ...

ამრიგად, პეტიმ უკეთესად ახსნა დიფერენციული რენტა, ვიდრე ადამ სმიტმა. [XXII—1351]

* * *

[XXII—1397] დამატებანი «A Treatise of Taxes and Contributions»-იდან (1667 წლის გამოცემა).

1) ამა თუ იმ ქვეყანაში მიმოქცევისათვის საჭირო ფულის რაოდენობაზე, გვ. 16—17.

პეტის შეხედულება ერთობლივ წარმოებაზე შემდეგ ფრაზაში მყოვანდება:

«თუ მოცემულ ტერიტორიაზე 1000 კაცი ცხოვრობს და აქედან 100 კაცს შეუძლია აწარმოოს ყველა ათასისათვის აუცილებელი საჭელი და ტანსაცმელი; თუ შემდგომი 200 კაცი იმდენ საქონელს აწარმოებს, რამდენიც სხვა ქვეყნებს სურთ თავიანთ საქონელზე ან ფულზე გაცვლის წესით მიიღონ, და თუ შემდგომი 400 კაცი იმით არის დასაქმებული, რომ მთელი ამ ქვეყნისათვის შექმნას მორთულობა, განცხრომა და ბრწყინვალება; თუ, ბოლოს, 200 კაცის რაოდენობით არიან მმართველები, სასულიერო პირნი, იურისტები, ექიმები, ვაჭრები და მედუქნეები — სულ მაშასადამე, 900 კაცი, — მაშინ ისმის საკითხი» და ა. შ. — პაუპერების («supernumeraries»*) შესახებ (გვ. 12).

რენტისა და მისი ფულადი გამოხატულების გამოკვლევისას, სადაც პეტის საფუძვლად აღებული აქვს «თანაბარი შრომა» (შრომის თანაბარი რაოდენობა)**, იგი შენიშნავს:

«მე ეამტკიცებ, რომ ეს არის საფუძველი დირებულებათა გათანაბრებისა და ურთიერთშეზომვისათვის; მაგრამ უნდა გამოვტყდე, რომ ამ საფუძველზე აღმართული ზედნაშენებისა და მის პრაქტიკულად გამოყენებაში არსებობს ბევრი მრავალფეროვნება და დიდი სირთულე» (გვ. 25).

[1398] 2) რაც პეტის ძლიერ აინტერესებდა, ეს არის «მიწასა და შრომას შორის თანასწორობის ბუნებრივი მიმართება».

«ჩვენს ვერცხლისა და ოქროს მონეტებს სხვადასხვა სახელწოდება აქვთ; ასე, მაგალითად, ინგლისში: გირვანქები, შილინგები, პენსები, და თვითეული ეს მონეტათაგანი შეიძლება გამოიხატოს როგორც ჯამი ან ნაწილი ყველა დასახელებული მონეტისა. მაგრამ ამის შესახებ მე მინდა ეთქვა შემდეგი: ყველა ნივთი უნდა შეფასდეს ორი ბუნებრივი მნიშვნელობით — მიწითა და შრომით; ე. ი. ჩვენ უნდა გვეთქვა: გემის თუ სერთუკის ღირებულება უდრის მიწის ამა და ამ რაოდენობას პლუს შრომის ამდენი და ამდენი რაოდენობა, რადგან ორივე — გემიც და სერთუკიც — შექმნილია მიწისა და ადამიანის შრომის მიერ. და რაკი ეს ასეა, ჩვენთვის მეტად სასურველი იქნებოდა მოგვენახა მიწასა და შრომას შორის თანასწორობის ბუნებრივი მიმართება, რაკი შესაძლებლობა გვქონდა ამ ორი ფაქტორიდან ერთი რომელიმეს მეოხებით გამოგვე-

* — «ჭარბი ადამიანებისა». რ ე დ.

** — იხ. ეს ტომი, ნაწ. I, გვ. 429. რ ე დ.

ხატა ღირებულება არა უარესად (ანდა უკეთესადაც კი), ვიდრე ეს ორივეს მეშვეობით გამოიხატება, და რათა შესაძლებელი ყოფილიყო ასევე ადვილად და სამედოდ ერთი მათგანის მეორედ გადაქცევა, როგორც პენსები გადაიქცევა გირვანქებად».

ამიტომაც იგი ეძებს «თავისუფლად გასაყიდი მიწის ბუნებრივ ღირებულებას», მას შემდეგ, რაც მან რენტის ფულადი გამოხატულება გამონახა (გვ. 25).

პეტის უწესრიგოდ აქვს ერთმანეთში არეული სამგვარი განსაზღვრა:

a) ღირებულების სიდიდე, რომელიც განისაზღვრება თანაბარი სამუშაო დროით, ამასთან შრომა განიხილება როგორც წყარო ღირებულებისა.

b) ღირებულება როგორც საზოგადოებრივი შრომის ფორმა. აქედან ფული როგორც ჭეშმარიტი ფორმა ღირებულებისა, თუმცა ბევრ სხვა ადგილას პეტი თავდაყირა აყენებს მონეტარული სისტემის ყველა ილუზიას. აქ, მაშასადამე, პეტი მიუახლოვდა ცნების განსაზღვრებას.

c) ერთმანეთში არეული შრომა როგორც საცვლელი ღირებულების წყარო და შრომა როგორც სახმარი ღირებულების წყარო, ამასთან შრომა გულისხმობს ბუნების ნივთიერებას (მიწას). არსებითად პეტი, როცა იგი შრომასა და მიწას შორის «თანასწორობის მიმართებას» ადგენს, თავისუფლად გასაყიდი მიწა წარმოდგენილი აქვს როგორც კაპიტალიზებული რენტა — მაშასადამე პეტი აქ არ ლაპარაკობს მიწაზე, როგორც ბუნების ნივთიერებაზე, რომელთანაც საქმე აქვს რეალურ შრომას.

3) სარგებლის განაკვეთის საკითხზე პეტი ამბობს:

«მე სხვა ადგილას გამოვთქვი აზრი იმის შესახებ, თუ რამდენად ამაო და უნაყოფოა პოზიტიური სამოქალაქო კანონების გამოცემა, რომლებიც ეწინააღმდეგება ბუნების კანონებს»

(ე. ი. ბურჟუაზიული წარმოების ბუნებიდან გამომდინარე კანონებს) (გვ. 29).

4) რენტის შესახებ: ზედმეტი ღირებულება როგორც შრომის გადიდებული ნაყოფიერების შედეგი:

«შესაძლებელი რომ იყოს დასახელებული საგრაფოები უფრო ნაყოფიერი გაეხადოთ შრომის უფრო მეტი რაოდენობის გამოყენებით, ეიდრე ახლა გამოიყენება (მაგალითად, იმის მეოხებით, რომ შეიცვალოს მოხენა დაბარვით, თესვა—დარგვით, თესლის განურჩევლად ხმარება — მისი დაჩარისხებით და საუკეთესოს შერჩევით, თესლის გამოყენება ყოველგვარი წინასწარი დამუშავების გარეშე — მათი დალბობით, დამპალი ჩალით ნიადაგის გაპოხიერების ნაცვლად მისი გაპოხიერება მარილებით, და ა. შ.), მაშინ რ ე ნ ტ ა მით უფრო მეტად გაიზრდებოდა, რაც უფრო ა ღ ე მ ა ტ ე ბ ო დ ა გ ა დ ი დ ე ბ უ ლ ი შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი გ ა დ ი დ ე ბ უ ლ შ რ ო მ ა ს» (გვ. 32).

(გადიდებულ შრომად აქ ნაგულისხმევია გადიდებული «შ რ ო მ ი ს ფ ა ს ი», ანუ ხ ე ლ ფ ა ს ი).

5) ფ უ ლ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს გ ა დ ი დ ე ბ ა ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს მ ი ე რ (თავი XIV).

6) ზემოთ ციტირებული* ადგილი: «თუ მუშას აუცილებელზე ორჯერ მეტს მისცემენ, მაშინ იგი მხოლოდ სანახევროდ იმუშავებს...» — უნდა გავიგოთ ასე: მუშა რომ 6 საათის შრომაში იმ ღირებულებას იღებდეს, რაც 6 საათის განმავლობაში იქმნება, მაშინ იგი მიიღებდა ო რ ჯ ე რ მ ე ტ ს იმაზე, რასაც იღებს ახლა, როცა მას 12 საათისათვის უხდიან ღირებულებას, რომელიც 6 საათში იქმნება. ასეთ შემთხვევაში მუშა იმუშავებდა მხოლოდ 6 საათს, რაც «საზოგადოებისათვის ნიშნავს დანაკარგს» და ა. შ.

* * *

Petty: An Essay concerning the Multiplication of Mankind (1682 წელი). შრომის დანაწილება (გვ. 35—36).

* * *

Petty. Political Anatomy of Ireland (1672 წელი) და „Verbum Sapienti“ (1691 წლის ლონდონის გამოცემა).

1) «ამას მივყავარ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ე კ ო ნ ო მ ი ი ს უმნიშვნელოვანეს საკითხთან, სახელდობრ იმ საკითხთან, თუ როგორ შეიძლება დამყარდეს თ ა ნ ა ს წ ო რ ო ბ ი ს მ ი მ ა რ თ ე ბ ა დ ა გ ა ნ ტ ო ლ ე ბ ა მიწასა და შრომას შორის ისე, რომ შეიძლებოდეს ყოველი ნივთის ღირებულებას გამოხატვა ამ ორი ფაქტორიდან მარტოოდენ ერთი ფაქტორის მეშვეობით» (გვ. 63).

* იხ. ეს ტომი, ნაწილი I, გვ. 430. რ ე დ.

არსებითად საკითხის იმგვარ დაყენებას საფუძვლად მხოლოდ ის ამოცანა უდევს, რომ თვით მიწის ღირებულება დაყვანილ იქნეს შრომაზე.

[1399] 2) ეს შრომა ზემოთ განხილულ შრომაზე უფრო მოგვიანებით დაიწერა[123].

«ღირებულების საერთო საზომი არის მოზრდილი ადამიანის საშუალო დღიური საზრდო დაარა მისი დღიური შრომა; ეს საზომი ისევე რეგულარული და მუდმივი ჩანს, როგორც წმინდა ვერცხლის ღირებულება... ამიტომ მე ირლანდიური ქოხის ღირებულება განვსაზღვრე ამ ქოხის მშენებლის მიერ აშენებისას დახარჯულ დღიურ ულუფათა რიცხვით» (გვ. 65).

უკანასკნელი საესებით ფიზიოკრატულად ეღერს.

«არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, რომ ერთნი მეტს ჭამენ, ვიდრე მეორენი, რადგან დღიური ულუფ: ჩვენ გვესმის როგორც მეასედი ნაწილი საშვლის იმ რაოდენობისა, რომელსაც სრულიად სხვადასხვა აგებულობის ასი კაცი მოიხმარს და რომელიც შესაძლებლობას აძლევს მათ იცხოვრონ, იმუშაონ და გამრავლდნენ»(გვ. 64).

მაგრამ ის, რასაც პეტი აქ ირლანდიის სტატისტიკაში ეძებს, არის არა ღირებულების «საერთო საზომი», არამედ ღირებულებათა საზომი იმ აზრით, რა აზრითაც ღირებულებათა საზომი ფულია.

3) ფულის რაოდენობა და ერის სიმდიდრე («Verbum Sapienti», გვ. 13).

4) კაპიტალი:

«ის, რასაც ჩვენ ერის სიმდიდრეს, კაპიტალს ან, მარაგს ვუწოდებთ და რაც წინანდელი, ანუ წარსული, შრომის შედეგია, არ უნდა გვესმოდეს როგორც ამჟამად მოქმედი ძალებისაგან განსხვავებული რამ» (გვ. 9).

5) შრომის მწარმოებლური ძალა:

«ჩვენ ეთქვით, რომ მოსახლეობის ნახევარს შეეძლო შრომის მეტად მცირე რაოდენობის დახარჯვით მნიშვნელოვნად გაემდიდრებინა სამეფო... რა საქონლის წარმოებას უნდა მოიკიდონ ხელი ამ ადამიანებმა? ამ კითხვაზე მე ვუპასუხებ ზოგადი ფორმით: მათ უნდა მოიკიდონ ხელი საშვლისა და პირველი საჭიროების საგნების წარმოებას ქვეყნის მთელი მოსახლეობისათვის ისე, რომ

ადამიანთა მცირე რიცხვის შრომა დაიხარჯოს; ამის მიღწევა შეიძლება ან შრომის უფრო მეტი დაძაბვით, ანდა ისეთი საშუალებების გამოყენებით, რომლებიც ამცირებენ და აადვილებენ შრომას; ეს თანაბარია იმ შედეგისა, რასაც ადამიანები ამაოდ ელოდნენ პოლიგამიისაგან. ვინაიდან, თუ რომელიმე ერთი ადამიანი ხუთის სამუშაოს ასრულებს, იგი იმავე შედეგს აღწევს, თითქოს მას ოთხი მოზრდილი მუშაკი გაეჩინოს ამ ქვეყნად» (გვ. 22). «საზრდო ყველაზე უფრო იაფი იქნება... იმ შემთხვევაში, როცა მას აწარმოებს მუშახელის რაც. შეიძლება მცირე რაოდენობა» (გვ. 23).

6) ადამიანის მიზანი და დანიშნულება (გვ. 24).

7) ფულის შესახებ იხ. აგრეთვე «Quantulumcunque» (1682 წელი). [XXII—1399]

[3)] პეტი, სერ დადლი ნორსი, ლოკი

[XXII—1397] ნორსისა და ლოკის ნაწარმოებთა შედარება პეტის შრომებთან «Quantulumcunque» (1682), «A Treatise of Taxes and Contributions» (1662) და «The Political Anatomy of Ireland» (1672) გვიჩვენებს, რომ ისინი დამოკიდებული არიან პეტიზე 1) სარგებლის განაკვეთის შემცირების საკითხში, 2) სახელმწიფოს მიერ ფულის ღირებულების გადიდებისა და შემცირების საკითხში, 3) იმაში, რომ ნორსი სარგებელს უწოდებს «ფულის რენტას», და ა. შ.

ნორსი და ლოკი თავიანთ შრომებს[124] წერდნენ ერთსა და იმავე დროს, ერთი და იმავე საბაბის გამო: სარგებლის განაკვეთის შემცირება და სახელმწიფოს მიერ ფულის ღირებულების აწევა. მაგრამ ისინი უაღრესად საპირისპირო შეხედულებებს ავითარებენ. ლოკის მიხედვით, ფულის ნაკლებობა მიმოქცევაში მაღალი სარგებლის განაკვეთის მიზეზია; საერთოდ იმის მიზეზია, რომ ნივთები არ იყიდება მათი ნამდვილი ფასის მიხედვით და რომ ისინი არ იძლევიან ყველა იმ შემოსავალს, რაც მათგან უნდა წარმოიშვებოდეს. პირველად მასთან გვხვდება stock-ის *, ანუ კაპიტალის გარკვეული ცნება, ანდა, უფრო სწორად, ცნება ფულისა, რომელიც მხოლოდ კაპიტალის ფორმით მოქმედებს, რამდენადაც ფული არ წარმოადგენს მიმოქცევის საშუალებას. სერ დადლი ნორსის მსჯელობაში, ლოკის შეხედულების საპირისპიროდ, ჩვენ ვხედავთ სარგებლის პირველ სწორ გაგებას. [XXII—1397]

* — მარაგი, ფონდი, კაპიტალი. რედ.

[4)] ლოკი

[რენტისა და სარგებლის განხილვა ბუნებრივი სამართლის ბურჟუაზიული თეორიის თვალსაზრისით]

[XX—1291a] თუ ლოკის შეხედულებას საერთოდ შრომაზე შევადარებთ მის შეხედულებას სარგებლისა და რენტის წარმოშობაზე, — რადგან ზედმეტი ღირებულება მასთან მხოლოდ ამ განსაზღვრულ ფორმებში გვევლინება, — მაშინ აღმოჩნდება, რომ ზედმეტი ღირებულება სხვა არაფერია, თუ არა სხვისი შრომა, ზედმეტი შრომა, რომლის მითვისების შესაძლებლობასაც თავის მესაკუთრეებს აძლევენ შრომის პირობები — მიწა და კაპიტალი. შრომის პირობების საკუთრებად თავმოყრა პიროვნების ხელში იმაზე მეტი რაოდენობით, ვიდრე მას თავისი საკუთარი შრომით შეუძლია გამოიყენოს, წარმოადგენს, ლოკის მიხედვით, პოლიტიკურ გამოგონებას, [1292a] რომელიც ეწინააღმდეგება კერძო საკუთრების ბუნებრივსამართლებრივ საფუძველს.

ჰობსის მიხედვითაც შრომა ერთადერთი წყაროა ყოველგვარი სიმდიდრისა, თუ არ ჩავთვლით ბუნების იმ ნაბოძებს, რომელიც იმთავითვე მოხმარებისათვის ვარგისი ფორმით არსებობს. ღმერთი (ბუნება)

«ან უსასყიდლოდ აძლევს ადამიანთა მოდგმას მისთვის აუცილებელ ნივთებს ანდა მიჰყიდის მათ მას შრომაში» («Leviathan», [გვ. 232]).

მაგრამ ჰობსის თანახმად, მიწის საკუთრებას თავისი ნება-სურვილით სუვერენი ანაწილებს.

ი ამასთან დაკავშირებით შემდეგი ადგილები ლოკის შრომებიდან:

«თუმცა მიწა და ყველა დაბალი ქმნილება ერთობლივ ყველა ადამიანს ეკუთვნის, მაინც ყოველ ადამიანს გააჩნია მის პიროვნებაში მოქცეული გარკვეული საკუთრება, რომლის მეპატრონეა, გარდა თვით ამ პიროვნებისა, არავის არავითარი უფლება არა აქვს. ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს ეთქვათ, რომ მისი სხეულის შრომა და მისი ხელების ნაწარმი ბუნებრივად მას ეკუთვნის. ის, რაც ადამიანმა ბუნების მიერ შექმნილი და ნაბოძები საგნებისაგან მიიღო, მან შეუერთა თავის შრომას და დაუკავშირა ისეთ რამეს, რაც მას განუყოფელად ეკუთვნის; და ამ გზით, იგი თავის საკუთრებად გახადა» («Of Government», წიგნი II, თავი 5; «Works», 7th edition, 1768, ტომი II, გვ. 229).

«ადამიანის შრომამ მისთვის საკნები აიღო ბუნების ხელებიდან, სადაც ისინი საერთო კუთვნილებას წარმოადგენენ და თანაბრად ეკუთვნოდნენ ყველა მის შვილებს, და ამით ისინი მიითვისა» (იქვე, გვ. 230).

«ბუნების იგივე კანონი, რომელიც ამ გზით საკუთრებას გვაძლევს, შემოფარგლავს კიდეევაც ამ საკუთრების სიდიდეს... ადამიანს უფლება აქვს თავისი შრომით საკუთრებად გადააქციოს იმდენი, რამდენის გამოყენებაც მას შეუძლია თავისი არსებობის საჭიროებათათვის მანამდე, ვიდრე ეს საგანი გაფუჭდებოდეს. ხოლო ის, რაც ამ ფარგლებს სცილდება, აღემატება მის წილს და სხვებს ეკუთვნის» (იქვე).

«შაგრამ საკუთრების მთავარი საგანი ახლა არის არა მიწის ნაყოფი და ა. შ., არამედ თვით მიწა... მიწის ნაკვეთი, რომელიც ისეთი სიდიდისაა, რომ ერთ ადამიანს შეუძლია იგი მოხრას, დათესოს, სასუქი შეიტანოს, დაამუშაოს და მისი ნაყოფი მოიხმაროს, შეადგენს ამ ადამიანის საკუთრებას. ადამიანი მას, ასე ვთქვათ, გამოჯნავს თავისი შრომით საერთო კუთვნილებიდან» (იქვე).

«როგორც ეხედავთ, მიწის დამორჩილება ადამიანის შრომის მიერ, ანუ მისი დამუშავება, და მისი მფლობელობა დაკავშირებულია ერთმანეთთან. ერთმა მოგვცა მეორის უფლება». (იქვე, გვ. 231).

«საკუთრების ზომა ბუნებამ მართებულად დაწესა იმის შესაბამისად, თუ რა მოცულობისაა ადამიანის შრომა და მისი საყოფაცხოვრებო პირობები: არავის შეეძლო თავისი შრომით დაემორჩილებინა, ანუ მიეთვისებინა, ყველაფერი, და ვერავინ მოიხმარდა თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ყოველივე ამის უბნიშვნელო ნაწილზე მეტს; ასე რომ ამ გზით ვერც ერთი კაცი ვერ შეძლებდა ღიერღვია სხვისი უფლებები და შეეძინა საკუთრება თავისი მეზობლის საზიანოდ... თავდაპირველად ეს ზომა თვითეული ადამიანის მფლობელობას მეტად ზომიერ ზღვარს უდებდა და ამ მფლობელობას მხოლოდ იმდენით შემოფარგლავდა, რამდენის მითვისებაც მას შეეძლო სხვისთვის ზიანის მიუყენებლად... ჯერ კიდევ ახლაც, თუმცა მსოფლიო ზომაზე მეტად გაესებული ჩანს, შეიძლებოდა თვითეულისთვის საკუთრების მიცემა ამ მოცულობით ისე, რომ სხვა არავინ დაზარალებულიყო» (გვ. 231—232).

შრომა აძლევს ნივთებს თითქმის მთელ მათს ღირებულებას value*, ლოკის მიხედვით, ნიშნავს სახმარ ღირებულებას, და შრომა აღებულია როგორც კონკრეტული შრომა, და არა მისი რაო-

* — ღირებულება, ფასეულობა. რედ.

დენობის მხრივ; მაგრამ საცვლელი ღირებულების გაზომვა შრომით სინამდვილეში იმას ემყარება, რომ მუშაკი ქმნის სახმარ ღირებულებას [. სახმარი ღირებულების ის ნაშთი, რომელიც არ დაიყვანება შრომაზე, არის, ლოკის მიხედვით, ბუნების ნაბოძები, მაშასადამე, თავისთავად ს ა ე რ თ ო ს ა კ უ თ რ ე ბ ა. ამიტომ ლოკი ცდილობს დაამტკიცოს არა ის დებულება, რომ საკუთრების შეძენა გარდა შრომისა კიდევ სხვა გზებითაც შეიძლება, — ეს ეწინააღმდეგება მის ამოსავალ თვალსაზრისს, — არამედ ის დებულება, თუ როგორ შეიძლება, რომ ინდივიდუალურმა შრომამ, ბუნების საგნებზე საერთო საკუთრების მიუხედავად, ინდივიდუალური საკუთრება შექმნას.

«მართლაც, სწორედ შ რ ო მ ა ქ მ ნ ი ს ყ ო ე ლ ი ნ ი ე თ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ს ხ ვ ა ო ბ ა ს... მიწის პროდუქტებიდან, რომლებიც ადამიანის არსებობისათვის სასარგებლნი არიან..., ოთხმოცდა ცხრამეტი მეასედი მთლიანად უნდა მიეკუთვნოს შრომას» (გვ. 234).

«ამრიგად, მიწის ღირებულების მეტ წილს ქმნის შრომა» (გვ. 235).

«თუმცა ბუნების საგნები მიცემული აქვს ყველას თანაბაროად, მაგრამ ადამიანი არის თ ა ვ ი ს თ ა ვ ი ს ბ ა ტ ო ნ ი დ ა თ ა ვ ი ს ი ს ა კ უ თ ა რ ი პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს, თავის მოქმედებათა თუ თავისი შრომის მფლობელი, და როგორც ასეთი იგი თავის თავში ატარებს საკუთრების დიად საფუძველს» (იქვე).

ამრიგად, საკუთრების ერთ ზღვარს წარმოადგენს პ ი რ ა დ ი შ რ ო მ ი ს ზ ღ ვ ა რ ი; მეორე ზღვარი კი ისაა, რომ ადამიანი არ აგროვებდეს იმაზე მეტ საგნებს, ვიდრე შეუძლია გამოიყენოს. ეს მეორე ზღვარი ფართოვდება (თუ მხედველობაში არ მივიღებთ სხვა გაცვლას) ხანმოკლე სარგებლობის პროდუქტების ფ უ ლ ზ ე გაცვლის შედეგად.

«ადამიანს შეუძლია ეს ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ს ა რ გ ე ბ ლ ო ბ ი ს ნ ი ე თ ე ბ ი იმდენი დაგროვოს, რამდენიც მას ნებავს. იმიტომ რომ მისი კანონიერი საკუთრების საზღვრების დარღვევა» [თუ არ ვილაპარაკებთ მისი პირადი შრომით წარმოქმნილ ს ა ზ ღ ვ ა რ ზ ე [«იმას კი არ ნიშნავს, რომ მას. ბევრი ქონება აქვს, არამედ იმას, რომ ამ ქონების ნაწილი ფუჭდება და მისთვის არაკეთილი სარგებლობა არ მოაქვს. ამიტომ შემოიღეს ხმარებაში ხანგრძლივი სარგებლობის ნიეთი, ფული, რომელიც კაცმა შეიძლება შეინახოს ისე, რომ იგი არ გაფუჭდება, და რომელსაც ადამიანები ღებულ ენ, ურთიერთშეთანხმებით, [1293a] ნამდვილად სასარგებლო, მაგრამ ხანმოკლე ხმარების საარსებო საშუალებებზე გასაცვლელად» (გვ. 236).

ასე წარმოიშვება ინდივიდუალური საკუთრების უთანასწორობა, მაგრამ ძალაში რჩება ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს ზ ო მ ა პ ი რ ა დ ი შ რ ო მ ი ს ს ა ხ ი თ.

«ამ უთანასწორობას კერძო მესაკუთრეთა შორის ნიუთების განაწილებაში ადამიანებმა ისეთი მოცულობა მისცეს, რაც — რაიმე განსაკუთრებული შეთანხმების გარეშე — საზოგადოების მიერ დაწესებულ საზღვრებს სცილდება. ადამიანებმა ეს შესაძლებელი გახადეს მხოლოდ იმით, რომ ოქროსა და ვერცხლს ღირებულება მიაწერეს და ფულის ხმარებაზე მდუმარედ წეთანხმდნენ» (გვ. 237).

ამასთან შესადარებელია შემდეგი ადგილი ლოკის თხზულებიდან სარგებლის შესახებ[125], თანაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, მისი აზრით, ბუნებრივი სამართალი საკუთრების საზღვრად ხდის პირად შრომას:

«ახლა ჩვენ გამოვიკვლიოთ, თუ როგორ იძენს ფული იმავე ბუნებას, როგორსაც მიწა, იმით, რომ იძლევა გარკვეულ ყოველწლიურ შემოსავალს, რომელსაც ჩვენ სარგებელს ან ვახშს ეუწოდებთ. მიწა ხომ ბუნებრივად აწარმოებს რაიმე ახალს და სასარგებლოს, კაცობრობისათვის ძვირფასს. ფული კი, პირიქით, უნაყოფო რამაა და არაფერს არ აწარმოებს. მაგრამ სამაგიეროდ მას, ურთიერთშეთანხმების ძალით, ის მოგება, რომელიც ერთი რომელიმე ადამიანის შრომის საკუთარი იყო, მეორის ჯიბეში გადააქვს. ეს გამოწვეულია უთანასწორობით ფულის განაწილებაში, უთანასწორობით, რომელიც იმავე გაკლენას ახდენს აგრარულ ურთიერთობაზე, რა გაკლენაც მას ფულის ურთიერთობაზე აქვს... თუ შენ მეტი მიწა გაქვს, ვიდრე შეგიძლია და გსურს დაამუშაო, მეორეს კი უფრო ნაკლები მიწა აქვს, მაშინ ამ უთანასწორობის შედეგად წარმოიშვება შენი მიწის მოიჯარე; ასეთივე უთანასწორობა ფულის განაწილებაში... წარმოქმნის მოიჯარეს ჩემი ფულისათვის; ამრიგად, ჩემი ფული, მსესხებლის გულმოდგინების მეოხებით, იძენს იმის უნარს, რომ მის საწარმოში მისთვის ექვს პროცენტზე მეტი აწარმოოს, სავსებით ისევე, როგორც შენს მიწას, შენი მოიჯარის შრომის მეოხებით, შესწევს იმის უნარი, რომ შექმნას მისგან მისაღებ რენტაზე მეტი ნაყოფი» (folio edition of Locke's Works, 1740, vol. II [გვ. 197]) [126].

აქ ლოკს ნაწილობრივ პოლემიკური ინტერესი ჰქონდა: მას უნდოდა ეჩვენებინა მიწათმფლობელებისათვის, რომ მათი რენტა არაფრით არ განსხვავდება იმ სარგებლისაგან, რასაც მევახშეები ახდევინებენ. წარმოების პირობების უთანაბრო განაწილების გამო რენტასაც და სარგებელსაც «ის მოგება, რომელიც ერთი რომელიმე ადამიანის შრომის საფასური იყო, მეორის ჯიბეში გადააქვთ».

ლოკის შეხედულებანი მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ იგი კლასიკური გამომხატველია ბურჟუაზიული საზოგადოების სამართლებრივი შეხედულებებისა ფეოდალური საზოგადოების საპირისპიროდ; გარდა ამისა, მისი ფილოსოფია მთელ მერმინდელ ინგლისურ პოლიტიკურ ეკონომიას საფუძვლად ჰქონდა აღებული ყველა თავისი წარმოდგენისათვის. [XX—1293a]

[5)] ნორსი

[ფული როგორც კაპიტალი. ვაჭრობის ზრდა როგორც სარგებლის განაკვეთის შემცირების მიზეზი]

[XXIII — 1418] **Sir Dudley North. Discourses upon Trade. London, 1691** (დამატებითი რეფერენსი C,[127].

ეს თხზულება, ისევე როგორც ლოკის ეკონომიური შრომებიც, უშუალო კავშირშია პეტის თხზულებებთან და პირდაპირ მათ ემყარება.

ნორსის თხზულება შეეხება უმთავრესად სავაჭრო კაპიტალს და ამდენად აქ აღძრულ საკითხს არ შეეკუთვნება. განსახილველ საკითხთა წრის ფარგლებში ნორსი ამჟღავნებს საზრიანობას და ოსტატობას.

უაღრესად საყურადღებოა, რომ ჯარლ II-ის რესტავრაციის დროიდან XVIII საუკუნის შუა ხანამდე განუწყვეტლად გაისმის ლენდლორდების ჩივილი რენტის შემცირების შესახებ (ისევე როგორც პურეულის ფასები, განსაკუთრებით ? წლიდან[128], თანდათან ეცემა). თუმცა (კალპეპერისა და სერ ჯოზაი ჩაილდის დროიდან) მრეწველი კაპიტალისტების კლასი დიდ მონაწილეობას იღებდა სარგებლის განაკვეთის იძულებით დაწევაში, მაგრამ ამ ღონისძიების ნამდვილი სულისჩამდგმელები მიწის პესაკუთრენი იყვნენ. «მიწის ღირებულება» და «ამ ღირებულების გადიდება» წამოყენებულია ეროვნული ინტერესების პირველ პლანზე (სრულიად ისევე, როგორც, პირიქით, დაწყებული დაახლოებით 1760 წლიდან რენტათა ზრდა, მიწის ღირებულების გადიდება, ხორბლისა და კვების სხვა პროდუქტების ფასების გადიდება, და ამის გამო მრეწველი კაპიტალისტების ჩივილი ამ საგნის ეკონომიურ გამოკვლევათა საფუძველს შეადგენს).

ბრძოლა ფულიან ადამიანებსა და მიწათმფლობელებს შორის ავსებს — ცოტაოდენი გამონაკლისის გარდა — მთელ საუკუნეს 1650 წლიდან 1750 წლამდე, რადგან თავადაზნაურები, რომლებიც ხელგაშლილად ცხოვრობდნენ, დიდი უკმაყოფილებით ხედავდნენ, როგორ ჩაიჭირეს ისინი თავიანთ ხელში მევახშეებმა, XVII საუკუნის დასასრულს კრედიტისა და სახელმწიფო ვალის უახლესი სისტემის წარმოშობამ კი ამ მევახშეებს შესაძლებლობა მისცა წარმატებით ებრძოლათ თავადაზნაურობის წინააღმდეგ კანონმდებლობის დარგში და ა. შ.

უკვე პეტი ლაპარაკობს ლენდლორდების ჩივილზე რენტათა შემცირების გამო და მათს ოპოზიციაზე სასოფლო-სამეურნეო გაუმჯობესებათა წინააღმდეგ (იხილეთ სათანადო ადგილი) [129]. იგი იცავს მევახშეს ლენდლორდისაგან და ფულის რენტასა და მიწის რენტას ერთ სიბრტყეზე აყენებს.

ლოკს როგორც ერთი, ისე მეორე რენტაც შრომის ექსპლოატაციამდე დაჰყავს. იგი ისეთსავე პოზიციას იკავებს, როგორსაც პეტი. ორივე ილაშქრებს სარგებლის იძულებითი რეგულირების წინააღმდეგ. მიწის მესაკუთრეებმა შეამჩნიეს, რომ სარგებლის დაწევასთან ერთად მიწის ღირებულება იზრდება. რენტის მოცემული სიდიდის დროს მისი კაპიტალიზებული ვამოხატულება, ე. ი. მიწის ღირებულება, მცირდება ან იზრდება სარგებლის განაკვეთის სიდიდესთან პირუკუ შეფარდებით.

სერ დადლი ნორსი, ზემოაღნიშნულ თხზულებაში მესამე წარმომადგენელია ამ მიმართულებისა, რომელსაც საფუძველი პეტიმ ჩაუყარა.

ეს არის მიწის საკუთრების წინააღმდეგ კაპიტალის აჯანყების პირველი ფორმა. და მართლაც, მევახშობა, ე. ი. მევახშის ხელში ლენდლორდის შემოსავლის ნაწილის გადასვლა კაპიტალის დაგროვების ერთ-ერთი მთავარი საშუალება იყო. მაგრამ ამ ძველი ყაიდის კაპიტალის წინააღმდეგ სამრეწველო კაპიტალი და სავაჭრო კაპიტალი ლენდლორდებთან მეტ-ნაკლებად ხელიხელჩაკიდებულნი გამოდიან.

«როგორც მიწის მესაკუთრე იჯარით გასცემს თავის მიწას, ასევე გასცემენ იჯარით თავიანთ კაპიტალს [stock] ისინი, რომელთაც ვაჭრობისათვის საჭირო კაპიტალი აქვთ, მაგრამ არ გააჩნიათ საკმაო უნარი იმისა, რომ ეს კაპიტალი ვაჭრობაში მოიხმარონ, ანდა არ უყვართ ამ საქმესთან დაკავშირებული დავიდარაბა. იმას, რასაც ისინი ამ იჯარისათვის იღებენ, ეწოდება სარგებელი, მაგრამ ეს არის მხოლოდ კაპიტალის რენტა».

[აქ, ისევე როგორც პეტისთან, ჩვენ ვხედავთ, რომ შუა საუკუნეებიდან ახლახან გამოსულ ადამიანებს რეხტა [1419] წარმოუდგება როგორც ზედმეტი ღირებულების პირველადი ფორმა],

«მსგავსად იმისა, როგორც მიწის მესაკუთრის შემოსავალი მიწის რენტაა. ზოგიერთ ენაზე გამოთქმები «მიწის გაქირავება» და «ფულის გაქირავება» საყოველთაოდ ხმარებული გამოთქმებია; ასეთივეა საქმის მდგომარეობა აგრეთვე ინგლისის ზოგიერთ საგრაფოში. ამრიგად, მიწის მესაკუთრედ [landlord] ყოფნა — ეს იგივეა, რაც კაპიტალისტად [stocklord] ყოფნა. პირველს მხოლოდ ის უპირატესობა აქვს, რომ მისი მიწის მოიჯარეს არ შეუძლია ამ მიწის წაღება, მაშინ როდესაც კაპიტალის მოიჯარისათვის ამის გაკეთება ადვილია. ამიტომაც მიწა უფრო ნაკლებ მოგებას უნდა იძლეოდეს, ვიდრე კაპიტალი, რომლის სესხად გაცემაც უფრო დიდ რისკს მოასწავებს» (გვ. 4).

სარგებელი. ნორსმა, როგორც ჩანს, პირველმა გაიგო სწორად სარგებელი, რადგან, როგორც ამას ქვემოთ მოყვანილი ციტატებიდან დავინახავთ, სიტყვაში stock იგი გულისხმობს არა უბრალოდ ფულს, არამედ კაპიტალს (მსგავსად იმისა, როგორც პეტიც stock-სა და ფულს განასხვავებს. ლოკის მიხედვით, სარგებლის დონეს განსაზღვრავს მხოლოდ მიმოქცევაში მყოფი ფულის რაოდენობა. ასევეა პეტის მიხედვითაც. იხილეთ ამის შესახებ სათანადო ადგილები მასის ნაწერებიდან):

«თუ გამოსახ

�ed მსგავსებულზე შეტი იქნება, მაშინ სარგებლის განაკვეთი [illegible] ეარ აცხოველებს ვაპრობას, არამედ ვაპრო[illegible] ეგის კაპიტალი დაბლა სწევს სარგებ[illegible] მონეტები სხვა არაფერია, თუ [illegible] უფრო ადვილად და მოხერ[illegible] შესაძლებელი იქნებოდა; და გარდა ამისა ისინ [illegible] კაპიტალის ნაშეტის შენახვისათვის გამოსადეგ ტორს წარმოადგენენ» (გვ. 16).

ფასი და ფული. რადგან ფასი სხვა არაფერია, თუ არა ფულით გამოხატული ეკვივალენტი საქონლისა და — როცა გაყიდვაზეა ლაპარაკი — ფულის სახით რეალიზებული საქონელი, ე. ი. რადგან ფასით საქონელი გამოიხატება როგორც საცვლელი ღირებულება, რათა შემდგომ იგი კვლავ გადაიქცეს სახმარ ღირებულებად, ამიტომ ეკონომიური აზრის პირველი ნაბიჯი იმის შეცნობა იყო, რომ ოქრო და ვერცხლი აქ მოქმედებენ არა როგორც ასეთნი, არამედ როგორც თვით საქო-

ნელთა საცვლელი ღირებულების არსებობის ფორმა, როგორც მათი მეტამორფოზის მომენტი. ნორსი ამას თავისი დროისათვის ძლიერ კარგად გამოხატავს:

«რადგან ფული... ყიდვისა და გაყიდვის საყოველთაო საზომს წარმოადგენს. ამიტომ ყოველი ადამიანი, რომელსაც რაიმე გასაყიდელი გააჩნია, მაგრამ ვერ პოულობს მყიდველებს, მაშინვე იმას ფიქრობს, რომ მისი საქონლის გაუსაღებლობის მიზეზია ფულის ნაკლებობა სამეფოში. და აი ყველგან გაისმის ჩივილი ფულის ნაკლებობის გამო. მაგრამ ეს დიდი შეცდომაა...

რა სურთ იმ ადამიანებს, რომლებიც ფულის ნაკლებობას ჩივიან? დაეიწყებ მათ ხოვრიდან... მას ესაჭიროება არა ფული, არამედ პური და სხვა პირველი საჭიროების საგნები... ფულის ნაკლებობას ეჩიჩეს ფერმერიც. იგი ფიქრობს, ქვეყანაში მეტი ფული რომ იყოს, მას შეეძლო თავის საქონელში უკეთესი ფასი მიეღო. მაშასადამე, მას სჭირდება არა ფული, არაუდ კარგი ფასი მის ხორბალსა და პირუტყვში, რომელთა გაყიდვაც მას სურს, მაგრამ ვერ მოუხერხებია... და რატომ არ შეუძლია მათში კარგი ფასი მიიღოს?.. 1) ან იმიტომ, რომ ქვეყანაში ძალიან ბევრი პური და პირუტყვია, ასე რომ ბაზარზე მომსვლელ ადამიანთა უმრავლესობას სჭირდება, როგორც თვით მას, ამ პროდუქტების გაყიდვა, მეორე ნაწილს კი — მათი ყიდვა; 2) ან იმიტომ, რომ საყოველთაოდ ფერხდება ამ პროდუქტების გასაღება საზღვარგარეთ გატანის გზით. როგორც ეს ხდება ხოლმე ომის დროს, როცა ვაჭრობა დაკავშირებულია საფრთხესთან ან არაა ნებადართული; 3) ანდა იმიტომ, რომ მეორდება მოხმარება. როცა ადამიანები სიღარიბის გამო თავის სარჩენად წინანდელზე ნაკლებს ხარჯავენ. ამიტომ ფულის- რაოდენობის გადიდება კი არ გაუადვილებდა ფერმერს მისი საქონლის გასაღებას, არამედ დაძლევა ამ სამი მიზეზისა, რომლებიც სინამდვილეში ბაზრის დაქვეითებას იწვევენ.

ზუსტად ამავე აზრით სჭირდებათ ფული ვაჭარს და მედუქნეს, სახელდობრ — მათ სჭირდებათ იმ საქონლის გაყიდვა, რომლითაც ვაჭრობენ, და ეს — იმის შედეგად, რომ ბაზრებზე საკმაო მოთხოვნა არ არის» (გვ. 11—12)[130].

შემდეგ, კაპიტალი არის თვითმზარდი ღირებულება, მაშინ როდესაც განძის შექმნისას მიზანია საცვლელი ღირებულების კრისტალიზებული ფორმა როგორც ასეთი. ამიტომ კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ერთი უპირველესი აღმოჩენათაგანი ისაა, რომ იგი ხედავს დაპირისპირებულობას განძის შექმნასა და ფულის თვითზრდას შორის, ე. ი. განიხილავს ფულს როგორც კაპიტალს.

«არც ერთი ადამიანი არ ხდება უფრო მდიდარი იმით, რომ იგი მთელ თავის ქონებას ინახავს ფულის, ოქროსა და ვერცხლის ნივთების სახით და ა. შ.: პირიქით, ამით იგი ღარიბდება. ყველაზე მდიდარია ის, ვისი ქონებაც იზრდება». კ. მარქსი, ტ. IV, ნაწ. I.

ბა, იჯარით გაცემული შიწა იქნება ეს, სარგებელზე გასესხებული ფული თუ ვაჭრობაში გაშეებული საქონელი» (გვ. 11).

{აი რას ლაპარაკობს ამის შესახებ ჯონ ბელერსი თავის ნაწარმოებში «Essays about the Poor, Manufactures, Trade, Plantations, and Immorality» etc., London, 1699:

« ფული იზრდება და სასარგებლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გაცვეშელია; და მსგავსად იმისა, როგორც კერძო პირისათვის უსარგებლოა ფული, თუ იგი მას არ გაცვლის უფრო ძვირფას რაიმეზე, ასევე ფულის მთელი რაოდენობა, რომელიც აღემატება შინაგაჭრობისათვის აბსოლუტურად აუცილებელ ოდენობას, მკვდარი კაპიტალია სამეფოსა თუ ერისათვის და არავითარ მოგებას არ აძლევს ამ ფულის შემნახველ ქვეყანას» (გვ. 13). }

«თუმცა ყოველ ადამიანს სურს ჰქონდეს იგი» (ფული), «მაგრამ არავის არ სურს — ანდა ძალიან ცოტას სურს — ნაღდი ფულის სახით შეინახოს იგი, არამედ ყველა ცდილობს დაუყოვნებლივ მოიშოროს იგი თავიდან, რადგან იცის, რომ მკვდარ კაპიტალად მდებარე მთელი ფულიდან უნდა მოველოდეთ არა მოგებას, არამედ მხოლოდ უეკეელ ზარალს» (ა ო რ ს ი, ციტირ. თხზ., გვ. 21).

[1420] ფ ულ ი რ ო გ ო რ ც მ ს ო ფ ლ ი ო ფ ულ ი:

«რაც შეეხება ვაჭრობას, ცალკეულ ქვეყანას.. მსოფლიოში ყოველმხრივ ხელსაყოველ მდგომარეობა უკეთია, როგორიც უპირავს ქალაქს სახელმწიფოში და ოჯახს ქალაქში» (გვ. 14). «ამ სავაჭრო ურთიერთობაში ოქრო და ვერცხლი [illegible] არ განსხვავდება სხვა საქონლისაგან: მათ გამოართმევენ იმათ, ვისაც [illegible] ნაკლებად აქვს, და გადაიქეთ იქ, სადაც მათი ნაკლებობა იგრძნობა [illegible] მეტხოვნილებაა» (გვ. 13).

[illegible] ობას, რ ო მ ე ლ ი ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა მ ი [illegible] ბ ო დ ე ს, გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ა ვ ს ს ა [illegible] ეხება შემოტანონ საზღვარგარეთიდან და რამდენიც [illegible] შიგნით, ყოველივე ის, რაც აღემატება ამ ფულზე ერის ვაჭრობის [illegible] ულ მოთხოვნას, უ ბ რ ა ლ ო დ კ ე თ ი ლ შ ო ბ ი ლ ი ლ ი თ ო ნ შ [illegible] ნახიდება მხოლოდ როგორც ასეთი; მოჭრილ ფულიც, ისევე როგორ[illegible] ოქროსა და ვერცხლის ნივთები, გაიყიდება მხოლოდ მათი ლითონშეკ[illegible]ობის მეხედვით» (გვ. 17—18).

ფულის გადაქცევა ზოდებად, და პირიქით (გვ. 18) (დამატებითი რვეული c, გვ. 13). ფულის შ ე ფ ა ს ე ბ ა დ ა ა წ ო ნ ვ ა. რ ყ ე ვ ი თ ი მ ო ძ ო ბ ა (დამატებითი რვეული c, გვ. 14)[131].

მ ე ვ ა ხ შ ე ო ბ ა, მ ი წ ი ს მ ე ს ა კ უ თ რ ე ნ ი დ ა ვ ა ჭ რ ო ბ ა:

«ჩვენს ქვეყანაში სარგებელზე გაცემული ფულიდან საეკეოა, რომ მეათედ-ნაწილი ჰქონდეს მიცემული საქმის ადამიანებს, რომლებიც სესხს თავიანთ საწარმოებში იყენებენ; მეტწილად ფულის სესხად გაცემა წარმოებს ფუფუნების საგნებისათვის, იმ ადამიანთა ხარჯების დასაფარავად, რომლებიც მართალია მსხვილი მიწის მესაკუთრენი არიან, მაგრამ მამულებიდან აღებულ ფულს უფრო მალე ხარჯავენ, ეიდრე ამ შემოსავალს მათ მიწათმფლობელობა მოუტანდეს, და რადგან თავიანთი ქონებიდან არაფრის გაყიდვა არსურთ, ისინი ამჯობინებენ თავიანთი მამულების დაგირავებას» (ნ ო რ ს ი, ციტირ. თხზ., გვ. 6—7). [XXIII—1420]

[6) ბერკლი შრომითი საქმიანობის როგორც სიმდიდრის წყაროს შესახებ]

[XIII—670a] «განა შეცდომა არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ მიწა თავისთავად სიმდიდრეა? და განა ჩვენ არ უნდა განვიხილავდეთ უწინარეს ყოვლისა ხალხის შრომითი საქმიანობას ისეთ რამედ, რაც სიმდიდრეს შეადგენს, რაც სიმდიდრედ ხდის მიწასა და ვერცხლსაც კი, რომელთაც არავითარი ღირებულება არ ექნებოდათ, შრომითი საქმიანობის საშუალებებსა და სტიმულს რომ არ წარმოადგენდნენ?» (The Querist. By Dr. G. Berkley. London. 1750. საკითხი 38). [XIII—670a]

[7)] იუმი და მასი

[ა) სარგებელი მასისა და იუმის მიხედვით]

[XX—1293a] მასის ანონიმური თხზულება «An Essay on the Governing Causes of the Natural Rate of Interest» გამოქვეყნდა 1750 წელს; იუმის «Essays» მეორე ნაწილი, სადაც მოთავსებულია ნარკვევი «Of Interest», გამოვიდა 1752 წელს, ე. ი. ორი წლით უფრო გვიან. ამრიგად, პრიორიტეტი ეკუთვნის მასის. იუმი გამოდის ლოკის წინააღმდეგ. მასი კი — პეტისა და ლოკის წინააღმდეგ, რომლებიც ორივენი ჯერ კიდევ იმ შეხედულებას იცავენ, რომ სარგებლის განაკვეთის დონე დამოკიდებულია მიმოქცევაში მყოფი ფულის რაოდენობაზე და რომ სინამდვილეში სესხის ნამდვილ საგანს წარმოადგენს ფული (და არა კაპიტალი).

მასი იუმზე უფრო გადაჭრით აცხადებს სარგებელს მხოლოდ მოგების ნაწილად. იუმი უმთავრესად იმას ამტკიცებს, რომ ფულის ღირებულებას არა აქვს მნიშვნელობა სარგებლის განაკვეთის სიდიდისათვის, რადგან, თუ მოცემულია პროპორცია სარგებელსა და ფულად კაპიტალს შორის (მაგალითად, თუ მოცემულია 6%), 6 გირვ. სტერლინგის ღირებულება აიწევს ან დაიწევს 100 გირვ. სტერლინგის ღირებულების აწევასა და დაწევასთან ერთად (მაშასადამე, ერთი გირვანქა სტერლინგის ღირებულების ცვლილებებთან ერთად), მაგრამ თვით პროპორციაზე, რომელსაც ამ შემთხვევაში 6 გამოხატავს, ეს არავითარ გავლენას არ ახდენს.

[ბ) იუმი. მოგებისა და სარგებლის დაცემა ვაჭრობისა და მრეწველობის ზრდასთან დაკავშირებით]

დავიწყოთ იუმით.

«ყველაფერს ამ ქვეყნად შრომით ყიდულობენ» («Essays», vol. I, part II. London, 1764 [«Of Commerce»], გვ. 289).

სარგებლის განაკვეთის დონე დამოკიდებულია, იუმის მიხედვით, მსესხებელთა მოთხოვნასა და გამსესხებელთა მიწოდებაზე, — მაშასადამე, იგი დამოკიდებულია მოთხოვნასა და მიწოდებაზე. შემდეგ კი იგი არსებითად დამოკიდებულია

. «ვაჭრობიდან მომდინარე მოგების სიდიდეზე» (იქვე, [«Of Interest»], გვ. 329). «შრომისა და საქონლის უფრო მეტ თუ უფრო ნაკლებ მარაგს დიდი გავლენა უნდა ჰქონდეს სარგებლის დონეზე, რადგან სინამდვილეში და ფაქტიურად ჩვენ სესხად ვიღებთ შრომასა და საქონელს, როცა ფულს სარგებელზე ვსესხულობთ» (იქვე, გვ. 337). «არც ერთი ადამიანი არ დაკმაყოფილდება დაბალი მოგებით იქ, სადაც მას მაღალი სარგებლის მიღება შეუძლია; და არც ერთი ადამიანი არ დაკმაყოფილდება დაბალი სარგებლით იქ, სადაც მას მაღალი მოგების მიღება შეუძლია» (იქვე, გვ. 335).

მაღალი სარგებელი და მაღალი მოგება, ორივე გამოხატულებაა

«ვაჭრობის და მრეწველობის უმნიშვნელო განვითარებისა და არა ოქროსა და ვერცხლის ნაკლებობისა. დაბალი სარგებელი კი — პირიქით» (გვ. 329).

[1294ა] «ამიტომ ისეთ სახელმწიფოში, სადაც მხოლოდ მიწის მესაკუთრეებია» (ანდა, როგორც იუმი შემდეგ ლაპარაკობს, «მემამულენი და გლეხები») «ყოველთვის უნდა არსებობდეს ბევრი გამსესხებელი, და სარგებლის განაკვეთი უნდა იყოს მაღალი» (გვ. 330),

რადგან მხოლოდ განცხრომაში მყოფი სიმდიდრის წარმომადგენელნი მოწყენილობის გამო მისდევენ სიამოვნებას, მეორე მხრივ კი, წარმოება, მიწათმოქმედების გამოკლებით, მეტად შეზღუდული ოდენობისაა, პირიქით ხდება, როგორც კი ვაჭრობა ვითარდება. ვაჭარი მთლიანად შეპყრობილია სიმდიდრის შეძენის წყურვილით. მისთვის

«ყველაზე დიდი სიამოვნება ისაა, რომ თავისი ქონების ყოველდღიურ ზრდას ხედავდეს» .

(აქ სახმარი ღირებულებით გატაცებას დიდად სჭარბობს გატაცება საცვლელი ღირებულებით, აბსტრაქტული სიმდიდრით).

«და ეს არის იმის მიზეზი, თუ რატომ უწყობს ხელს ვაჭრობა მომჭირნეობის ზრდას ლა რატომაა, რომ ვაჭრებს შორის ძუნწები ისევე სჭარბობენ მფლანგვე-

ლებს, როგორც — ამის საპირისპიროდ — მიწის მესაკუთრეთა წრეში მფლანგველები სჭარბობენ ბუნწებს» (გვ. 333).

[**სარამწარმოებლური შრომა:**

«ადეოკატები და ექიმები არ ეწევიან არავითარ საწარმოო საქმიანობას; უფრო მეტიც, ისინი თავიანთ სიმდიდრეს მხოლოდ სხვების ხარჯზე იძენენ, ასე რომ ეინშვეს ქონებას თავიანთი თანამოქალაქეებიდან უეჭველად ამცირებენ ისეთივე სისწრაფით, რა სისწრაფითაც ისინი თავიანთ ქონებას ადიდებენ». (გვ. 333—334). [

«ამრიგად, ეაქრობის ზრდას თან ახლავს გამსესხებელთა რაოდენობის გადიდება და ამით იგი სარგებლის განაკვეთის შემცირებას იწვევს» (გვ. 334).

«დაბალი სარგებელი და დაბალი მოგება ეაქრობაში — ეს ორი ფაქტორია, რომლებიც ერთმეორეს ხელს უწყობენ; მათ ორივეს თავდაპირველად წარმოშობს ეაქრობის განვითარება, რაც მდიდარ ეაქრებს ქმნის და ფულად კაპიტალს ადიდებს. იქ, სადაც ეაქრებს დიდი კაპიტალი აქვთ,—სულ ერთია, ეს კაპიტალი მონეტების მეტი რაოდენობით იქნება წარმოდგენილი თუ ნაკლებით, — ხშირად ხდება, რომ, როცა ისინი საეაქრო საქმეებით იღლებიან ანდა როცა მათი მემკვიდრენი არ არიან საიმისოდ განწყობილნი ან არ შესწევთ იმის უნარი, რომ ეაქრობას მიჰყონ ხელი, კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი სრულიად ბუნებრივად ეძებს უზრუნველყოფილ წლიურ შემოსავალს. დიდი მიწოდება იწვევს ფასების დაცემას და ფულის გამსესხებელთ აიძულებს სარგებლის დაბალი განაკვეთით დაკმაყოფილდნენ. ეს მოსაზრება ბეეჩს იძულებულს ხდის დატოვოს თავისი კაპიტალი ეაქრობაში და დაბალი მოგება ამჯობინოს კიდევ უფრო დაბალი სარგებლით თავისი ფულის გასესხებას. მეორე მხრივ, როცა ეაქრობა მნიშვნელოვან განვითარებას აღწევს და ძლიერ დიდი კაპიტალის გამოყენებას იწყებს, აუცილებლად უნდა გაძლიერდეს კონკურენცია ეაქრებს შორის, რაც ეაქრობიდან მისაღებ მოგებას იმდენადვე ამცირებს, რამდენადაც თვით ეაქრობას აფართოებს. მოგების დაცემა ეაქრობაში აიძულებს ეაქრებს უფრო სიმაღლენებით დაკმაყოფილდნენ დაბალი სარგებლით, როცა ისინი საეაქრო საქმეებს თავს ანებებენ და მშვიდ უსაქმობაში ატარებენ დროს. ამიტომ უსარგებლოა იმის გამოკვლევა, ამ ორი გარემოებიდან — დაბალი სარგებლიდან და დაბალი მოგებიდან რომელია მიზეზი და რომელი შედეგი. ორივეს წარმოშობს ფართოდ განვითარებული ეაქრობა და ორივენი ერთმანეთის ხელშემწყობია... ფართოდ განვითარებული ეაქრობა ქმნის დიდ კაპიტალებს და ამით ამცირებს როგორც სარგებელს, ისე მოგებასაც, და ყოველთვის, როცა იგი სარგებელს დაბლა სწევს, ამ დაწევაში მას ეხმარება მოგების დაცემა, და პირიქით, მე შემიძლია დაეუმატო, რომ მსგავსად იმისა, როგორც მოგებას წარმოშობს ეაქრობისადამრეწველობის ზრდა, ისე ეს მოგება, თავის მხრივ, ხელს უწყობს ეაქრობის შემდგომ განვითარებას იმ ით, რომ აიაფებს საქონელს, ადიდებს მოხმარებას და სტიმულს აძლევს მრეწველობას. და ამრიგად... სარგებელი სახელმწიფოს მდგომარეობის ნამდვილი ბარომეტრია, სარგებლის დაბალი განაკვეთი კი ხალხის აყვავების თითქმის უტყუარი ნიშანია» (იქვე, გვ. 334—336).

[3) მასი. სარგებელი როგორც მოგების ნაწილი. სარგებლის დონის ახსნა მოგების ნორმით]

[J. Massie.] An Essay on the Governing Causes of the Natural Rate of Interest; wherein the Sentiments of Sir William Petty and Mr. Locke, on that Head, are considered. London, 1750.

«ზემომოყვანილი ამონაწერებიდან 132 ნათელია შემდეგი: ბატონი ლოკი ფიქრობს, რომ სარგებლის ბუნებრივ დონეს განსაზღვრავს ქვეყანაში არსებული ფულის რაოდენობის შეფარდება მეცხოვრებთა ურთიერთდაცალიანებასთან, ერთი მხრივ, და ამ ქვეყნის ვაჭრობასთან, მეორე მხრივ; სერ უილიამ პეტის აზრით კი სარგებლის ეს დონე დამოკიდებულია მხოლოდ ქვეყანაში არსებული ფულის რაოდენობაზე; ასე რომ ისინი განსხვავებული აზრის არიან მხოლოდ დაცალიანების როლის საკითხში» (გვ. 14—15). [XX—1294a]

[XXI—1300] მდიდარი ადამიანები, «იმის ნაცვლად, რომ თვითონ მოიხმარონ საქმეში თავიანთი ფული, ამ უკანასკნელს სხვებს აძლევენ სესხად, რათა მათ ამ ფულიდან მოგება მიიღონ და ამ მოგების გარკვეული ნაწილი ფულის მფლობელებს მისცენ. მაგრამ თუ ქვეყნის სიმდიდრე მრავალი ადამიანის ხელშია გაფანტული და ისე თანაბრადაა განაწილებული, რომ ცოტაოდენი რჩებიან ისეთები, რომლებიც ორი ოჯახის გამოკვებას შეძლებდნენ ვაჭრობაში ფულის დაბანდებით, მაშინ ფულადი სესხი ვერ ჰპოვებს დიდ გავრცელებას; ეს იმიტომ რომ თუ 2 000 გირვ. სტერლ. ერთ პირს ეკუთვნის, ამ უკანასკნელს შეუძლია მათი გასესხება, რადგან ამ ფულიდან მიღებული სარგებლით შეიძლება ოჯახის რჩენა; მაგრამ თუ ეს 2 000 გირვ. სტერლ. ათ ადამიანს ეკუთვნის, მაშინ ამ უკანასკნელთ არ შეუძლიათ მისი გასესხება, რადგან ამ თანხიდან მიღებული სარგებელი ვერ გამოკვებავს ათ ოჯახსი» (გვ. 23—24).

«თუ ამოსავალ წერტილად ავიღებთ სარგებლის იმ ნორმას, რასაც მთავრობა ნასესხებ ფულში იხდის, და აქედან დავასკვნით, რომ იგი სარგებლის ბუნებრივი ნორმაა, ეს იქნება აუცილებლად მცდარი დასკვნა. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სარგებლის ამ ნორმასა და სარგებლის ბუნებრივ ნორმას შორის არ არის არც დამთხვევა და არც შესაბამისობა, გონება კი იმას გვეუბნება, რომ ეს არასოდეს არც შეიძლება იყოს, იმიტომ, რომ სარგებლის ბუნებრივ ნორმას თავისი საფუძველი აქვს მოგებაში, სახელმწიფო სესხთა სარგებლის სიმაღლეს განსაზღვრავს საჭიროება, ამასთან მოგების საზღვარი აქვს, საჭიროებას კი საზღვარი არ გააჩნია. ბანაურისთვის, რომელიც ფულს სესხულობს თავისი მიწის გასაუმჯობესებლად, და ვაჭრისათვის ან მრეწველისათვის, რომელიც ფულს სესხულობს თავისი საწარმოს წარმართვის მიზნით, — არსებობს გარკვეული საზღვრები, რომელთაც ისინი ვერ გასცილდებიან: თუ ნასესხები ფულით მათ შეუძლიათ 10 პროცენტი მოგება მიიღონ, მაშინ მათ შეუძლიათ მიღებულ სესხში მსესხებელს მისცენ 5 პროცენტი, 10 პროცენტს კი ისინი მას არ მისცემენ. პირიქით, ვინც საჭიროების გამო სესხუ-

ლობს, მისთვის ყველაფერი განსაზღვრულია მხოლოდ ამ საჭიროებით, საჭიროება კი არავითარ ნორმებს არ ექვემდებარება» (გვ. 31—32).

«სარგებლის გადახდევინების მართებულობა დამოკიდებულია არა იმაზე. მიიღებს თუ არა მსესხებელი ნასესხები ფულიდან ნამდვილ მოგებას. არამედ იმაზე, შეუძლია თუ არა ამ ფულს მოგების მოტანა, თუ იგი სწორად იქნება გამოყენებული» (გვ. 49). «თუ ის, რასაც მსესხებლები სარგებლის სახით იხდიან ნასესხებ ფულში, იმ მოგების ნაწილია, რომლის მოტანაც ნასესხებ ფულს შეუძლია, მაშინ სარგებლის ნორმის რეგულირება მუდამ უნდა ხდებოდეს ამ მოგების მეთხებით» (გვ. 49).

«ამ მოგების რა ნაწილი ერგება კანონის ძალით მსესხებელს და რა ნაწილი გამსესხებელს? ამის განსაზღვრა საერთოდ შეიძლება მხოლოდ სესხის ამღებთა და სესხის გამცემთა შეხედულებების საფუძველზე. ეს იმიტომ, რომ იმის განსაზღვრა. თუ რა არის აქ მართებული და რა უმართებული, მხოლოდ ადამიანთა შორის შეთანხმების შედეგია» (გვ. 49).

«მაგრამ მოგების განაწილების ეს წესი გამოსადეგია არა ყოველი ცალკეული გამსესხებლისა და მსესხებლის მიმართ, არამედ მხოლოდ გამსესხებელთა და მსესხებელთა მიმართ საერთოდ... განსაკუთრებით დიდ თუ განსაკუთრებით მცირე მოგებას მეწარმე მიიღებს საქმეში წინდახედულობის თუ წინდაუხედაობის შედეგად, რაც გამსესხებელთ სრულიადაც არ ეხებათ; როგორც ეს უკანასკნელნი არავითარ ზარალს არ ნახულობენ აღნიშნული წინდაუხედაობის გამო, ასევე ისინი არავითარ ხეირს არ ნახულობენ აღნიშნული წინდახედულობის გამო. და ის, რაც აქ ნათქვამია ცალკეულ ადამიანებზე ვაჭრობისათვ მრეწველობის ერთსა და იმავე დარგში, მართებულია აგრეთვე ვაჭრობისა და მრეწველობის სხვადასხვა დარგის მიმართაც» (გვ. 50).

«სარგებლის ბუნებრივი ნორმა განისაზღვრება ცალკეულ საკაჭრო თუ სამრეწველო საწარმოთა მოგებით» (გვ. 51).

რატომაა ახლა ინგლისში სარგებლის განაკვეთი 4%. ნაცვლად უწინდელი 8%-ისა? იმიტომ, რომ მაშინ ინგლისელი ვაჭრები

«ორჯერ მეტ მოგებას იღებდნენ, ვიდრე ახლა».

რატომაა სარგებლის განაკვეთი ჰოლანდიაში 3, საფრანგეთსა, გერმანიასა და პორტუგალიაში — 5 და 6, ვესტ-ინდოეთსა და ოსტ-ინდოეთში კი — 9. თურქეთში — 12?

«ყველა ამ შემთხვევისათვის საკმარისია ერთი ზოგადი პასუხის გაცემა. ეს პასუხი ის არის, რომ სავაჭრო მოგება ამ სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავდება ამ მოგებისაგან, რაც ჩვენში მიიღება, და თანაც ისე დიდად განსხვავდება, რომ ეს იწვევს სარგებლის ნორმის ყველა აღნიშნულ სხვაობას» (გვ. 51).

რითია არის გაპირობებული მოგების დაცემა? საგარეო და საშინაო კონკურენციით:

«საგარეო ვაჭრობის შემცირებით» (უცხოეთის კონკურენციის შედეგად) «ანდა იმით, რომ საქმოსნები ერთიმეორის დაპირისპირებით თავიანთი საქონლის ფასებს სულ უფრო უკლებენ...

როგორც იმიტომ, რომ მათ აუცილებლად რაიმე უნდა გაყიდონ, ისე იმიტომაც, რომ ისინი, სიხარბით შეპყრობილნი, ცდილობენ რაც შეიძლება მეტი გაყიდონ» (გვ. 52—53).

«საავაჭრო მოგებას საერთოდ განსაზღვრავს თანაფარდობა ვაჭრების რიცხვსა და ვაჭრობის მოცულობას შორის» (გვ. 55). ჰოლანდიაში, სადაც «ვაჭრობაში მოსაქმე ადამიანთა» რიცხვის შეფარდება «მთელ მოსახლეობასთან ყველაზე მაღალია,.. სარგებლის ნორმა ყველაზე დიდია»; თურქეთში, სადაც პირუკუ შეფარდება უაღრესად დიდია, სარგებლის ნორმა ყველაზე მაღალია» (გვ. 55—56).

[1301] «რით განისაზღვრება თანაფარდობა ვაჭრობის მოცულობასა და ვაჭრების რიცხვს შორისს» (გვ. 57). «ვაჭრობის სტიმულებით: ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე აუცილებლობით, თავისუფლებით, ადამიანების კერძო უფლებათა დაცვით, საზოგადოებრივი უშშრობებით» (გვ. 58).

«არ არსებობს ორი ისეთი ქვეყანა, რომლებიც იძლეოდნენ თანაბარი ოდენობის აუცილებელ საარსებო საშუალებებს თანაბარი სიუხვითა და თანაბარი შრომის დახარჯვით. ადამიანთა მოთხოვნილებანი იზრდება და მცირდება იმ ჰავის სიმკაცრესთან და სირბილესთან დაკავშირებით, რომელშიც მათ ცხოვრება უხდებათ; მაშასადამე, შეფარდებით მოცულობაც ვაჭრობისა, რასაც სხვადასხვა ქვეყნის მცხოვრებნი აუცილებლად უნდა ეწეოდნენ, შეუძლებელია განსხვავებული არ იყოს, და ამ სხვაობათა ხარისხის განსაზღვრა არ შეიძლება სხვანაირად, თუ არა სითბოს ან სიცივის მეტ-ნაკლებობით; აქედან კი შეიძლება იმ ზოგადი დასკვნის გამოტანა, რომ ადამიანთა გარკვეული რიცხვის შესანახად საჭირო შრომის რაოდენობა ყველაზე მეტია ცივი ჰავის მქონე ქვეყნებში და ყველაზე ნაკლებია ცხელჰავიან ქვეყნებში; იმიტომ რომ ცივ ქვეყნებში არა მარტო მეტი ტანსაცმელი სჭირდება ადამიანებს, არამედ მიწაც მეტ დამუშავებას საჭიროებს, ვიდრე ცხელ ქვეყნებში» (გვ. 59). «ვაჭრობის განვითარების განსაკუთრებული სახის აუცილებლობა ახასიათებს ჰოლანდიას... ეს აუცილებლობა იქიდან წარმოდგება, რომ ეს ქვეყანა ზედმეტად მჭიდროდ დასახლებულია. ეს გარემოება, ჯერ ერების აგებასა და ნიადაგის ამოშრობაზე დიდი შრომის დახარჯვის საჭიროებასთან ერთად, ამას იწვევს, რომ ვაჭრობის წარმოების საჭიროება ჰოლანდიაში უფრო მწვავედ დგას, ვიდრე დასახლებული სამყაროს სხვა რომელიმე ნაწილში» (გვ. 60).

[დ) დასკვნა]

მასი კიდევ უფრო გარკვევით, ვიდრე იუმი, წარმოგვიდგენს სარგებელს როგორც მხოლოდ მოგების ნაწილს. ისინი ორივენი სარგებლის განაკვეთის დაცემას ხსნიან კაპიტალის დაგროვებით (მასი სპეციალურად კონკურენციაზე ლაპარაკობს) და აქედან გამომდინარე მოგების დაცემით. ორივეს ნაკლებად აინტერესებს საკითხი თვით «საავაჭრო მოგების» წყაროს შესახებ. [XXI—1301]

[8) დამატებანი თავებისა ფიზიოკრატების შესახებ]

[ა) დამატებითი შენიშვნები «ეკონომიური ცხრილის» შესახებ. კენეს მცდარი წანამძღვრები]

[XXIII — 1433]



ეს არის «ეკონომიური ცხრილის»[123] უმარტივესი ფორმა.

1) ფულის მიმოქცევა (იგულისხმება, რომ გადახდა წარმოებს წელიწადში ერთჯერ). ფულის მიმოქცევის საწყისი წერტილია ხარჯების გამღები კლასი, მესაკუთრეთა კლასი, რომელსაც არავითარი საქონელი არ გააჩნია გასაყიდად, რომელიც ყიდულობს და არაფერს ყიდის.

მიწის მესაკუთრენი მწარმოებელი კლასისაგან ყიდულობენ 1 მილიარდის პროდუქტს და უკან უბრუნებენ მას იმ მილიარდ ფულს, რითაც მან რენტა გადაიხადა. (ამით ხდება სოფლის მეურნეობის პროდუქტის $^1/_5$-ის რეალიზაცია.) ერთი მილიარდისას ისინი

ყიდულობენ უნაყოფო კლასისაგან, რომელსაც ამ გზით უკან უბრუნდება 1 მილიარდი ფულის სახით. (ამასთანავე ხდება მრეწველობის პროდუქტის ½-ის რეალიზაცია.) უნაყოფო კლასი ამ ერთი მილიარდით ყიდულობს საარსებო საშუალებებს მწარმოებელი კლასისაგან, რომელსაც ამ გზით უკან უბრუნდება კიდევ 1 მილიარდი ფული. (ამით ხდება სოფლის მეურნეობის პროდუქტის მეორე ⅕-ის რეალიზაცია.) ამ მილიარდი ფულით მწარმოებელი კლასი ყიდულობს ერთ მილიარდად ღირებულ სამრეწველო ნაწარმს და ამით ივი ინაზღაურებს თავისი «ავანსების» ნახევარს. (ამით ხდება სამრეწველო პროდუქციის მეორე ნახევრის რეალიზაცია.) უნაყოფო კლასი ყიდულობს [1434] ამ მილიარდი ფულით ნედლეულს. (ამით ხდება სოფლის მეურნეობის პროდუქტის კიდევ ⅕-ის რეალიზაცია.) 2 მილიარდი ფული ამრიგად უკუმოედინება მწარმოებელ კლასთან.

რჩება კიდევ, მაშასადამე, სოფლის მეურნეობის პროდუქტის ²/₅. ⅕ მოიხმარება ნატურალური ფორმით. რა ფორმით ხდება მეორე ⅕-ის დაგროვება? ეს უნდა განვიხილოთ შემდგომში[134].

2) თვით კენეს თვალსაზრისითაც კი, რომლის მიხედვით ყველანი, ვინც უნაყოფო კლასს ეკუთვნის, სინამდვილეში მხოლოდ დაქირავებული მუშები არიან, «ცხრილში» ჩანს წანამძღვართა მცდარობა.

იგულისხმება, რომ მწარმოებელ კლასს «თავდაპირველი ავანსები» (ძირითადი კაპიტალი) ისეთი რაოდენობით აქვს, რომელიც ხუთჯერ აღემატება «ყოველწლიურ ავანსებს». უნაყოფო კლასის მიმართ ეს ავანსები სრულიად არ მოიხსენიება, რაც, რა თქმა უნდა, ხელს არ უშლის მის არსებობას.

შემდეგ, არაა სწორი, რომ კვლავწარმოება უდრის 5 მილიარდს. თვით «ცხრილის» მიხედვით, ივი უდრის 7 მილიარდს: 5 — მწარმოებელი კლასის მხარეზე, 2 — უნაყოფო კლასის მხარეზე.

[ბ) ცალკეული ფიზიოკრატების ნაწილობრივი უკუდაბრუნება მერკანტილისტური შეხედულებებისადმი. კონკურენციის თავისუფლების მოთხოვნა ფიზიოკრატების მიერ]

უნაყოფო კლასის პროდუქტი უდრის 2 მილიარდს. ამ პროდუქტს შეადგენს 1 მილიარდის ნედლეული (ეს ნედლეული ნაწილობრივ პროდუქტში შედის, ნაწილობრივ კი ანაზღაურებს. პრო-



ბრიტანეთის მუზეუმის (ლონდონში) სამკითხველო დარბაზი, სადაც მარქსი მუშაობდა „ზედმეტი ღირებულების თეორიებზე"
(XIX საუკუნის შუა ხანების ინგლისური გრავიურიდან)

დუქტის ღირებულებაში შესული მანქანების გაცვეთას) და 1 მილიარდის საარსებო საშუალებანი, მოხმარებული ამ ნედლეულის დამუშავებისას.

მთელ ამ პროდუქტს უნაყოფო კლასი მიჰყიდის მიწის მესაკუთრეთა კლასს და მწარმოებელ კლასს, რათა, ჯერ-ერთი, აანაზღაუროს «ავანსები» (ნედლეულის სახით), მეორე კი, მიიღოს სასოფლო-სამეურნეო საარსებო საშუალებანი. უნაყოფო კლასს, მაშასადამე, სამრეწველო პროდუქტებიდან სრულიად აღარაფერი რჩება საკუთარი მოხმარებისათვის, სარგებელსა და მოგებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ბოდო (ანუ ლეტორნი) ამჩნევს ამას და საქმეს იმით ხსნის, რომ უნაყოფო კლასი თავის პროდუქტს მის ღირებულებაზე მაღლა ყიდის; ის, რასაც იგი 2 მილიარდად ყიდის, უდრის, ამრიგად, 2 მილიარდს მინუს x. მაშასადამე, მოგება და ისიც კი, რასაც ეს კლასი თვითონ მოიხმარს იმ სამრეწველო ნაწარმის სახით, რომელიც მისთვის აუცილებელ საარსებო საშუალებათა რიცხვს ეკუთვნის, — ყოველივე ეს, აღნიშნული ახსნა-განმარტების თანახმად, მხოლოდ იმაზე დაიყვანება, რომ ეს კლასი თავისი საქონლის ფასს მის ღირებულებაზე მაღლა სწევს[135]. მაშასადამე, აქ ფიზიოკრატები აუცილებლად უბრუნდებიან მერკანტილისტურ სისტემას «გასხვისებით მიღებული მოგების» ცნებას.

ამიტომაც ისინი ფიქრობენ, რომ თავისუფალი კონკურენცია მრეწველებს შორის სრულიად აუცილებელია იმისათვის, რომ ამ უკანასკნელებმა ძალიან არ მოატყუონ მწარმოებელი კლასი, სოფლის მეურნეები. მეორე მხრივ, ეს თავისუფალი კონკურენცია საჭიროა იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტი «კარგ ფასში» გაიყიდოს, ე. ი. რომ მისმა ფასმა, საზღვარგარეთ მისი გაზიდვის მეოხებით, მის თავდაპირველ ადგილობრივ ფასზე უფრო მაღლა აიწიოს, რადგან იგულისხმება ისეთი ქვეყანა, რომელსაც პური და სხვ. საზღვარგარეთ გაქვს.

[8) გაცვლისას ღირებულების გადიდების შეუძლებლობის თავდაპირველი ფორმულირება]

«ყოველი ყიდვა არის გაყიდვა, და ყოველი გაყიდვა არის ყიდვა» (Quesnay. Dialogues sur le Commerce et sur les Travaux des Artisans და ა. შ., დერის გამოცემა[136], გვ. 170). «ყიდვა ნიშნავს გაყიდვას, გაყიდვა კი ნიშნავს ყიდვას» (კენე დიუპონ დენემურთან, «Origine» და ა. შ., გვ. 392)[137].

«ფასი ყოველთვის უსწრებს ყიდვასა და გაყიდვას.

თუ გამყიდველთა და მყიდველთა კონკურენცია რაიმე ცვლილებებს არ იწვევს, ფასი რჩება ისეთივე, როგორიც ის ჩამოყალიბდა ვაჭრობისაგან დამოუკიდებელი სხვა მიზეზების ძალით» (გვ. 148)[138].

«ყოველთვის შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი» (გაცვლა) «ხელსაყრელია ორივესთვის» (კონტრაგენტებისათვის), «რადგან ორივე მხარისათვის უზრუნველყოფს ისეთი სიმდიდრით სარგებლობის შესაძლებლობას, რომლის მიღებაც მათ მხოლოდ გაცვლის საშუალებით შეუძლიათ. მაგრამ ამასთან ყოველთვის წარმოებს გაცვლა ერთი გარკვეული ღირებულების სიმდიდრისა თანაბარი ღირებულების სხვა სიმდიდრეზე, და, მაშასადამე, აქ არ შეიძლება იყოს სიმდიდრის რაიმე ნამდვილი გადიდება» (უნდა ეთქვა: ღირებულების რაიმე ნამდვილი გადიდება) (იქვე. გვ. 197) [139].

«ავანსები» და «კაპიტალი» გარკვევით გაიგივებულია. კაპიტალის დაგროვება როგორც მთავარი პირობა:

«კაპიტალის გადიდება, მაშასადამე, შრომის გადიდების მთავარი საშუალებაა და მას საზოგადოებისათვის უდიდესი სარგებლობა მოაქვს» — და ა. შ. (ქენე დიუპონ დე ნემურთან, იქვე, გვ. 391)[140]. [XXIII—1434]

[9) ფიზიოკრატების ეპიგონი გრაფი დიუ ბიუა ხოტბას ასხამს მიწათმფლობელ არისტოკრატიას]

[XXII—1399] **Buat (comte du). Eléments de la politique, ou Recherche des vrais principes de l'e'conomie sociale (6 ტომი). ლონდონი, 1773.**

ეს სუსტი და სიტყვამრავალი მწერალია, რომელსაც ფიზიოკრატიის გარეგნული შესახედაობა მის არსად მიაჩნია და ყოველნაირად ქებადიდებით იხსენიებს მიწათმფლობელ არისტოკრატიას, — მისთვის ფიზიოკრატია ფაქტიურად მისაღებია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი ამგვარ მიზანს შეეფერება, — ეს ავტორი შეიძლებოდა სულაც არ მოგვეხსენებია, იგი რომ უხეშ-ბურჟუაზიულ ხასიათს ისევე მკვეთრად არ ამჟღავნებდეს, როგორც იგი შემდეგში, ვთქვათ, რიკარდომ გამოამჟღავნა. მცდარი შეხედულება, თითქოს «წმინდა პროდუქტი» მარტოოდენ რენტით შემოისაზღვრება, სრულიად არ ცვლის საქმის ვითარებას.

დიუ ბიუა ამბობს იმას, რასაც რიკარდო შემდეგ იმეორებს «წმინდა პროდუქტის» შესახებ საერთოდ [141]. მუშები განეკუთვნებიან faux frais* და არსებობენ მხოლოდ იმისათვის, რომ «წმინდა პროდუქტის» მფლობელები «შეადგენდნენ საზოგადოებას» (იხ. სათანადო ადგილები)[142]. თავისუფალი მუშების მდგომარეობას იგი განიხილავს მხოლოდ როგორც მონობის შეცვლილ ფორმას, რაც, მისი აზრით, აუცილებელია იმისათვის, რომ მაღალი ფენები შეადგენდნენ «საზოგადოებას». { ასევე, არტურ იუნგიც «წმინდა პროდუქტს», ზედმეტ ღირებულებას, განიხილავს როგორც წარმოების მიზანს[143]. }

---

* იხ. სქოლიო 174 გვერდზე. რედ.

[1400] ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ რიკარდოს ნაწერებიდან ის ადგილი, სადაც იგი ეკამათება სმიტს, რომელსაც ყველაზე მწარმოებლურ კაპიტალად ის კაპიტალი მიაჩნდა, რომელიც მუშების ყველაზე დიდ რაოდენობას იყენებს[144]. შეად. ბიუასთან — ტომი VI, გვ. 51—52, 68—70; შემდეგ, მუშათა კლასისა და მონობის შესახებ — ტომი II, გვ. 288, 297, 309; ტომი III, გვ. 74, 95—96, 103; ტომი VI, გვ. 43, 51; იმის შესახებ, რომ ეს მუშები იძულებული არიან ზედმეტი შრომა შეასრულონ, აგრეთვე იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს «ყველაზე აუცილებელი საარსებო საშუალებანი» — ტომი VI, გვ. 52—53.

მოვიყვანთ აქ ერთადერთ ადგილს, რადგან იგი კარგ მოსაზრებას შეიცავს იმათ წინააღმდეგ, ვინც ლაყბობს საერთოდ კაპიტალისტის მიერ გაწეული რ ი ს კ ი ს შესახებ:

«მათ» (ვაჭრებმა) «ამბობენ, დიდი რისკი გასწიეს, რათა დიდი მოგება ენახათ. მაგრამ ისინი რისკს ეწეოდნენ ან ადამიანების, ან საქონლისა და ფულის სახით. როცა სიმდიდრის შეძენის გულისთვის ადამიანებს აშკარა საფრთხეში აგდებდნენ, ისინი მეტად ცუდ საქმეს აკეთებდნენ. რაც შეეხება საქონელს, აქ გარკვეული დამსახურება აქვს იმ ადამიანს, რომელიც მას აწარმოებს; მაგრამ არავითარი დამსახურება არაა ის, რომ ამ საქონელს საჩისკო მდგომარეობას უქმნიან რომელიმე ცალკეული ადამიანის გამდიდრების გულისთვის», და ა. შ. (ტომი II, გვ. 297). [X X II—1400].

[10) პოლემიკა მიწათმფლობელი არისტოკრატიის წინააღმდეგ ფიზიოკრატების თვალსაზრისით (ანონიმური ინგლისელი ავტორი) [145]]

[XXIII—1449] «The Essential Principles of the Wealth of Nations, illustrated, in opposition to some False Doctrines of Dr. Adam Smith, and others». London, 1797.

ეს კაცი იცნობდა ანდერსონის შრომებს, რადგან თავისი წიგნის დამატებაში იგი ბეჭდავს საგრაფო აბერდინის შესახებ ანდერსონის სასოფლო-სამეურნეო ანგარიშიდან ამოღებულ ნაწყვეტს.

ეს არის ერთადერთი მნიშვნელოვანი ინგლისური თხზულება, რომელიც უშუალოდ ფიზიოკრატების მოძღვრებას ემხრობა: უილიამ სპენსის «Britain independent of commerce» (1807 წელი) — პირდაპირ კარიკატურაა. იგივე სპენსი 1814—1815 წლებში მიწათმფლობელთა ერთ-ერთ ყველაზე ფანატიკურ დამცველად გამოდიოდა და მათ ინტერესებს იცავდა ფიზიოკრატული მოძღვრების საფუძველზე, რომელიც... თავისუფალ ვაჭრობას ქადაგებდა. არ უნდა აგვერიოს ეს ვაჟბატონი მიწის კერძო საკუთრების მოსისხლე მტერ ტომას სპენსში.

თხზულება «The Essential Principles» შეიცავს უწინარეს ყოვლისა ფიზიოკრატული მოძღვრების შესანიშნავ მოკლე რეზიუმეს.

ავტორს მართებულად გამოჰყავს ფიზიოკრატულ შეხედულებათა წარმოშობა ლოკისა და ვანდერლინტის შეხედულებებიდან. ფიზიოკრატებს იგი წარმოგვიდგენს ისეთ ავტორებად, რომლებიც

«მეტად სისტემატურად, თუმცა არა საკმაოდ სწორად. ავითარებდნენ» თავიანთ მოძღვრებას (გვ. 4). იხ. ამის შესახებ კიდევ გვ. 6 (ამონაწერები H რვეულში, გვ. 32—33) [146].

ანონიმური ავტორის მიერ ჩამოყალიბებული ფიზიოკრატული მოძღვრების რეზიუმედან ძალიან კარგად ჩანს, რომ დათმენის თეორია, რასაც მერმინდელი ეპოლოგეტები, ნაწილობრივ კი სმიტიც, კაპიტალის შექმნის საფუძვლად ხდიან, სწორედ ფიზიოკრატების იმ შეხედულებიდან წარმოიშვა, რომლის მიხედვით მრეწველობაში და ა. შ. არავითარი ზედმეტი ღირებულება არ იქმნება:

«ხელოსნების, მანუფაქტურისტებისა [147] და ვაჭრების დასაქმებასა და შენახვაზე გაწეულ ხარჯებს შედეგად მოსდევს მხოლოდ დახარჯული თანხების ღირებულების შენახვა და ამიტომ ისინი არამწარმოებლური ხარჯებია» (რადგან ისინი არ აწარმოებენ ზედმეტ ღირებულებას). «ხაზოგადოების სიმდიდრეს ვერასოდეს მეცირე ოდენობითაც კი ვერ გაადიდებენ ხელოსნები, მანუფაქტურისტები და ვაჭრები სხვანაირად, თუ არა მათი ყოველდღიური შენახვისათვის გაწეული პროდუქტის ნაწილის დაზოგვით და დაგროვებით. მაშასადამე, მხოლოდ დათმენითა და ღამზოგველობით» (სენიორის დათმენის თეორია და ადამ სმიტის დაზოგვის თეორია) «შეუძლიათ მათ რაიმე მიუმატონ ერთობლივ კაპიტალს. პირიქით, მიწათმოქმედთ შეუძლიათ მთელი თავიანთი შემოსავალი მოიხმარონ და მიუხედავად ამისა გაამდიდრონ იმავე დროს სახელმწიფო; იმიტომ რომ მათი საქმიანობა იძლევა ზედმეტ პროდუქტს, რომელსაც რენტა ეწოდება» (გვ. 6).

«ადამიანთა კლასს, რომელთა შრომაც თუმცა კი აწარმოებს რაიმეს, მაგრამ არა იმაზე მეტს, რაც ამ შრომის შესანახად დაიხარჯა, სრულიად სამართლიანად შეიძლება ეწოდოს არამწარმოებელი კლასი» (გვ. 10).

ზედმეტი ღირებულების წარმოება საჭიროა ზუსტად განვასხვაოთ «ხელიდან ხელში მისი გადასვლისაგან».

«შემოსავლის გადიდება» (ე. ი. დაგროვება) «მხოლოდ არაპირდაპირ წარმოადგენს ეკონომისტების შესწავლის საგანს [148]... მათი შესწავლის საგანია შემოსავლის წარმოება და კვლავწარმოება» (გვ. 18).

და ესაა სწორედ ფიზიოკრატების დიდი დამსახურება. ფიზიოკრატები ეკითხებიან თავის თავს, თუ როგორ იწარმოება და იკვლავწარმოება ზედმეტი ღირებულება (ანონიმური ავტორი ზედმეტ ღირებულებას უწოდებს «შემოსავალს»). საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ იკვლავწარმოება უფრო დიდი მასშტაბით ზედმეტი ღირებულება, ე. ი. იზრდება იგი, წამო-

იპრება მხოლოდ მეორე რიგში. უწინარეს ყოვლისა საჭიროა ავხსნათ ზედმეტი ღირებულების კატეგორია, (1450) გამოვაჩინაროთ მისი წარმოების საიდუმლოება.

ზედმეტი ღირებულება და საგაჭრო კაპიტალი:

«როცა ლაპარაკია შემოსავლის წარმოებაზე, სრულიად ულოგიკოა ამ საკითხის შეცვლა შემოსავლის ხელიდან ხელში გადასვლის საკითხით; ხოლო ყველა საგაჭრო გარიგება სწორედ მარტოოდენ ამაზე დაფუძნებული» (გვ. 22). «სიტყვა commerce* სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა commutatio mercium**... ზოგჯერ ეს გაცვლა ერთი მხარისათვის უფრო ხელსაყრელია, ვიდრე მეორისათვის; მაგრამ ყოველთვის რასაც ერთი მოიგებს, მეორე მას კარგავს, და საგაჭრო გარიგებას მათ შორის სინაშდილეში სიმდიდრის არავითარი გადიდება არ მოაქვს» (გვ. 23). «თუ რომელიმე ეპრალი გაყიდდა კრონას 10 შილინგად ან დედოფალ ანას დროის ფარტინგს ერთ გინეად[149], იგი, უეჭველია, გაადიდებდა თავის საკუთარ შემოსავალს, მაგრამ ამით ვერ გაადიდებდა ძვირფასი ლითონების არსებულ რაოდენობას; და ამ საგაჭრო გარიგების შუნება იგივე იქნებოდა, იმისდა მიუხედავად, თუ სად ცხოვრობს სიძველეთა მოყვარული მყიდველი: იმავე ქუჩაზე ძველი მონეტების გამყიდველთან ერთად თუ საფრანგეთსა ან ჩინეთში» (გვ. 23).

ფიზიოკრატები სამრეწველო მოგებას განიხილავენ როგორც «გასხვისებით მიღებულ მოგებას», ე. ი. მოგება ახსნილია მერკანტილისტურად. ამიტომ ჩვენი ინგლისელი აკეთებს სწორ დასკვნას, რომ ეს მოგება მხოლოდ მაშინ არის ნამდვილი მოგება, როცა სამრეწველო საქონლის გაყიდვა წარმოებს საზღვარგარეთ. მერკანტილისტური წანამძღვრიდან იგი აკეთებს სწორ მერკანტილისტურ დასკვნას.

«არც ერთი მანუფაქტურისტი, რაგინდ დიდ მოგებასაც არ უნდა ღებულობდეს იგი, არაფერს არ უმატებს ეროვნულ შემოსავალს, თუ მისი საქონელი ქვეყნის შიგნით კაყიდება და მოიხმარება; ეინაიდან მისი საქონლის მყიდველი კარგავს... სწორედ იმდენს, რამდენსაც იძენს მანუფაქტურისტი. აქ წარმოება გაცვლა გამყიდველსა და მყიდველს შორის და არა სიმდიდრის გადიდება» (გვ. 26). «ნამეტის უქონლობის კომპენსაციის მიზნით... მეპატრონე-მეწარმე ხელფასისათვის გაღებულ ხარჯებს უმატებს 50% მოგებას, ანუ 6 პენსს მანუფაქტურის მუშე-

* — ვაჭრობა. რედ.
** — საქონელთა გაცვლა. რედ.

ბისათვის გადახდილ ყოველ შილინგზე... თუ საკონელი საზღვარგარეთ გაყიდეს», ეს «იქნება ხელოსნობაში დახელოვნებული მუშაობა» ამდენი და ამდენი რიცხვიდან მიღებული «ეროვნული მოგება» (გვ. 27).

ავტორი ძალიან კარგად გადმოგვცემს ჰოლანდიის სიმდიდრის მიზეზებს. თევზის ჭერა (აღნიშნული უნდა ყოფილიყო აგრეთვე მეცხოველეობაც). აღმოსავლური ტკბილეულის მონოპოლია. საფრანტო საქმე. ფულის გასესხება უცხოელებისათვის (დამატებითი რვეული H, გვ. 36—37)[150].

მანუფაქტურისტები, — წერს ავტორი, — «წარმოადგენენ აუცილებელ კლასს», მაგრამ ისინი არ წარმოადგენენ «მწარმოებელ კლასს» (ციტირ. თხზ., გვ. 35). ისინი «ახორციელებენ მხოლოდ შენაცვლებას ან გადაადგილებას იმ შემოსავლისა, რომელიც წინასწარ მოიპოვა მიწათმოქმედმა, და ამას ისინი იმით აღწევენ, რომ ამ შემოსავალს ანიჭებენ ხანგრძლივობას ახალი ფორმით» (გვ. 38).

არსებობს პროლოდ ოთხი აუცილებელი კლასი: 1) მწარმოებელი კლასი, ანუ მიწათმოქმედნი; 2) მანუფაქტურისტები; 3) ქვეყნის დამცველნი; 4) «მასწავლებელთა კლასი», რომელთაც იგი ფიზიოკრატების მიერ გამოყვანილ «მეათედის მიმღებთა», ე. ი. მღვდლების ადგილას აყენებს.

«ყოველ სამოქალაქო საზოგადოებას ხომ ესაჭიროება კვება, ტანსაცმელი, დაცვა და განათლება» (გვ. 50—51).

«ეკონომისტებისა» შეცდომა ისაა, რომ «მიწის რენტის მიმღებნი, როგორც უბრალოდ რენტის მიმღებნი, მათ შიაჩნდათ საზოგადოების მწარმოებელ კლასად... რამდენადმე მათ გამოასწორეს თავიანთი შეცდომა იმის გადაკრულად მითითებით, რომ ეკლესიასა და მეფეს უნდა ინახავდეს მიწის მესაკუთრეთა მიერ მიღებული რენტა. დ-რი სმიტი..., რომლის გამოკვლევებსაც იგი» (აღნიშნული შეცდომა «ეკონომისტებისა») «წყვეტ ზოლად გასდევს» (ეს სწორია), «თავის კრიტიკას სწორედ ეკონომისტების სისტემის მართებული ნაწილის წინააღმდეგ მიმართავს» (გვ. 8).

[1451] მიწის მესაკუთრენი როგორც ასეთნი არ წარმოადგენენ არა თუ მწარმოებელ კლასს, საზოგადოების აუცილებელ კლასსაც კი.

«მიწის მესაკუთრენი როგორც უბრალოდ მიწის რენტის მიმღებნი არ შეადგენენ საზოგადოების აუცილებელ კლასს... რამდენადაც მიწის რენტა მოწყდება თავის თავღებირველ მიზანს — ეშსახურის სახელმწიფოს დაცვის საქმეს, ამ რენტის მიმღებნი, ნაცვლად იმისა, რომ აუცილებელ კლასს წარმოადგენდნენ,

გადაიქცევიან ისეთ კლასად, რომელიც საზოგადოებისათვის ყველაზე უსარგებლო და მძიმე ტვირთია» (გვ. 51). იხ. ამის შესახებ დამატებითს *რვეულში H*, გვ. 38—39[51].

ყოველივე ეს ძალიან კარგია, და მიწის რენტის მიმღებთა წინააღმდეგ მიმართული ეს პოლემიკა, ფიზიოკრატული თვალსაზრისით განვითარებული, მეტად მნიშვნელოვანია როგორც ფიზიოკრატების მოძღვრების დაგვირგვინება.

ავტორი აღწერს, რეალური მიწის გადასახადი თურქული ამბავიაო (ციტირ. თხზ., გვ. 59).

მიწის მესაკუთრე გადასახადს ადებს არა მარტო არსებულ «მიწის გაუმჯობესებებს», არამედ ხშირად აგრეთვე «სავარაუდო მომავალ გაუმჯობესებებსაც» (გვ. 63—64). რენტის ვადასახადი (გვ. 65).

საგადასახადო დაბეგვრა ფიზიოკრატული დოქტრინის მიხედვით ხორციელდებოდა ძველად ინგლისში, ირლანდიაში, ფეოდალურ ევროპაში, მოგოლის იმპერიაში (გვ. 93 — 94).

მიწის მესაკუთრე როგორც გადასახადის დამდები (გვ. 116).

ფიზიოკრატული შეზღუდულობა მეღავნდება შემდეგ მსჯელობაში (არ არის შრომის დანაწილების გაგება):

> დავუშვათ, რომ რომელიმე მესაათეს ან ჩითის ფაბრიკანტს არ შეუძლია თავისი საათის ან თავისი ჩითის გაყიდვა; მაშინ იგი მძიმე მდგომარეობაში ვარდება. ეს გვიჩვენებს, «რომ მანუფაქტურისტი მდიდრდება მხოლოდ იმის შემწეობით, რომ იგი გამყიდველია»

(სინამდვილეში ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ იგი თავის პროდუქტს აწარმოებს როგორც საქონელს),

> «და რომ როცა იგი გამყიდველი აღარ იქნება, მისი მოგება დაუყოვნებლივ შეწყდება»

(და რა ემართება ფერმერის მოგებას, რომელიც არ წარმოადგენს გამყიდველს?),

> «იმიტომ, რომ ეს მოგება არის არა ბუნებრივი, არამედ ხელოვნური მოგება მიწათმოქმედს კი... შეუძლია იარსებოს, წარმატებას მიაღწიოს და გაადიდოს თავისი სიმდიდრე ისე, რომ არაფერი გაყიდოს» (გვ. 38—39)

(მაგრამ ასეთი შემთხვევაში იგი ამასთანავე მანუფაქტურისტი უნდა იყოს).

რატომ ლაპარაკობს ავტორი მხოლოდ მესაათეზე და ჩითის ფაბრიკანტზე? ასეთივე უფლებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ

ხახშირის, რკინის, სელის, ინდიგოსა და ა. შ. მწარმოებელს არ შეუძლია ამ პროდუქტების გაყიდვა და რომ ხორბლის მწარმოებელსაც კი არ შეუძლია თავისი ხორბალი გაყიდოს. ამის შესახებ ძალიან კარგად ლაპარაკობს ზემომოხსენებული ბეარდე დე ლ'აბეი[152]. ანონიმური ავტორი იძულებულია საქონელთა წარმოების წინააღმდეგ წამოაყენოს წარმოება უშუალო მოხმარებისათვის, და ამით იგი მკვეთრ წინააღმდეგობაშია ფიზიოკრატების კონცეპციასთან, რომლის მიხედვითაც ყველაზე მთავარი, პირიქით, საცვლელი ღირებულებაა. მაგრამ ეს უკანასკნელი მომენტი წითელ ზოლად გასდევს ჩვენი ვაუბატონის თხზულებას: ბურჟუაზიული შეხედულება საგანზე ბურჟუაზიამდელი წარმოდგენის წესის ფარგლებში[153].

ჩვენი ანონიმური ავტორი ილაშქრებს არტურ იუნგის წინააღმდეგ, რომელსაც მიაჩნდა, რომ მაღალი ფასები მნიშვნელოვანია მიწათმოქმედების აყვავებისათვის; მაგრამ იუნგის წინააღმდეგ წამოყენებული ეს მოსაზრებანი ამასთანავე არის ჯოლემიკა ფიზიოკრატიის წინააღმდეგ (ციტირ. თხზ., გვ. 65—78 და 118).

ზედმეტი ღირებულება არ შეიძლება გამოვიკვანოთ გამყიდველის მიერ ნორმალური ფასის მაღლა აწევიდან.

«პროდუქტის ნორმალური ღირებულების გადიდებას... არ შეუძლია გამყიდველთა გამდიდრება... რადგან ყველაფერ იმას, რასაც ისინი მოიგებენ როგორც გამყიდველნი, კარგავენ როგორც მყიდველნი» (გვ. 66).

ვანდერლინტის ყაიდაზე დაწერილია შემდეგი ადგილი:

«სანამ ყოველი უმუშევრისათვის შეიძლება დამუშავებისათვის ვარგისი მიწის ნაკვეთის გამონახვა, არც ერთი უმუშევარი არ უნდა რჩებოდეს მიწის ნაკვეთის გარეშე. სამუშაო სახლები კარგი რამაა; მაგრამ სამუშაო მინდერები გაცილებით უკეთესია» (გვ. 47).

თუმცა ანონიმური ავტორი საერთოდ საიჯარო სისტემის წინააღმდეგია, მაინც იგი გრძელვადიან იჯარას ანიჭებს უპირატესობას მოკლევადიან იჯარასთან შედარებით, რომლის დროსაც მიწის საკუთრება ხელს უშლის წარმოებას და აბრკოლებს ნიადაგის გაუმჯობესებას (გვ. 118—123). (ირლანდიის საიჯარო სამართალი.)[154]

[XXIII—1451]

[11) ᲣᲕᲔᲚᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲞᲝᲚᲝᲒᲔᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲤᲪᲘᲐ]

[V—182] ფილოსოფოსი აწარმოებს იდეებს, პოეტი — ლექსებს, პასტორი — ქადაგებას, პროფესორი — სახელმძღვანელოებს. დამნაშავე აწარმოებს დანაშაულობას. თუ ჩვენ ახლოს დავაკვირდებით იმ კავშირს, რომელიც არსებობს წარმოების ამ უკანასკნელ დარგსა და მთლიანად აღებულ საზოგადოებას შორის, მაშინ ბევრ ცრურწმენას უკუვაგდებთ. დამნაშავე აწარმოებს არა მარტო დანაშაულობას, არამედ სისხლის სამართალსაც, და ამით აწარმოებს სისხლის სამართლის კურსის წამკითხველ პროფესორსაც, და, ამასთან ერთად, აწარმოებს იმ გარდუვალ სახელმძღვანელოსაც, რომლის სახითაც იგივე პროფესორი თავის ლექციებს გადაისვრის «საქონლის» სახით საყოველთაო ბაზარზე. ამით ვაღწევთო ეროვნული სიმდიდრის გადიდებას, თუ აღარას ვიტყვით იმ პირად სიამოვნებაზე, რასაც ასეთი სახელმძღვანელოს ხელნაწერი, — კომპეტენტური მოწმის, ბატონ პროფესორ როშერის რწმენებით, — ჰგვრის თვით ავტორს.

დამნაშავე აწარმოებს, შემდეგ, მთელ პოლიციას და მთელ სისხლის სამართლის იუსტიციას, მაძებართ, მოსამართლეებს, ჯალათებს, მსაჯულებს და ა. შ., და ყველა ეს განსხვავებული პროფესია, რომელთაგან თვითეული შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გარკვეულ კატეგორიას წარმოადგენს, ავითარებს ადამიანის სულის სხვადასხვა უნარს, ქმნის ახალ მოთხოვნილებებსა და მათი დაკმაყოფილების ახალ წესებს. უკვე მარტო წამებამ ბიძგი მისცა უაღრესად მახვილგონივრულ მექანიკურ გამოგონებებს და სამუშაოთი უზრუნველყო მრავალი პატივცემული ხელოსანი, რომელთაც ხელი მიჰყვეს წამებათა იარაღის წარმოებას.

დამნაშავე აწარმოებს შთაბეჭდილებას — ხან მორალურ-დამრიგებლურს, ხან ტრაგიკულს, გარეგნობისდა მიხედვით, და ამით გარკვეულ «სამსახურს» ეწევა იმ აზრით, რომ საზოგადოებას მორალურსა და ესთეტიკურ გრძნობებს აღუძრავს. იგი აწარმოებს არა მარტო სისხლის სამართლის სახელმძღვანელოებს, არა მარტო სისხლის სამართლის კოდექსებს, მაშასადამე, კანონმდებლობებსაც ამ დარგში, არამედ აგრეთვე ხელოვნებას, მხატვრულ ლიტერატურას — რომანებს და ტრაგედიებსაც კი; ამის დამამტკიცებელია არა მარტო მიულნერის «დანაშაული» და შილერის «ყაჩაღები», არამედ «ოიდიპოსიც» და «რიჩარდ III»-მეც კი. დამნაშავე არღვევს ბურჟუაზიული ცხოვრების ერთფეროვნებას, მის მშვიდ ყოველდღიურ მიმდინარეობას. ამით იცავს იგი მას გაყინვისაგან და წარმოშობს იმ მოუსვენარ დაძაბულობას და მოძრაობას, ურომლისოდაც კონკურენციის ნესტარიც კი დაჩლუნგდებოდა. ამით იგი ბიძგს აძლევს მწარმოებლურ ძალებს. იმ დროს, როდესაც დანაშაული ათავისუფლებს შრომის ბაზარს ჭარბმოსახლეობის ერთი ნაწილისაგან და, ამცირებს რა ამით მუშებს შორის კონკურენციას, რამდენადმე აბრკოლებს ხელფასის დაცემას გარკვეულ მინიმუმამდე ფიბლა, — სწორედ ამავე დროს ბრძოლა დანაშაულთა წინააღმდეგ ნთქავს ჭარბმოსახლეობის მეორე ნაწილს. ამრიგად გამოდის, რომ დამნაშავე ახორციელებს ერთ-ერთს იმ ბუნებრივ «გაწონასწორებათაგან», რომლებიც ამყარებენ სათანადო დონეს და ფართო სარბიელს უქმნიან მთელ წყება «სასარგებლო» პროფესიებს.

დამნაშავის გავლენა მწარმოებლური ძალების განვითარებაზე შეიძლებოდა დეტალურად გაგვეხილა. მიაღწევდნენ თუ არა ბოქლომები თავიანთ ახლანდელ სრულყოფას, ქურდები რომ არ ყოფილიყვნენ? გაჩდება თუ არა ბანკნოტების დამზადება ესოდენ სრულყოფილი იმ შემთხვევაში, თუ არ იარსებებდნენ [183] ფულის გამყალბებელნი? შეიტრებოდა თუ არა მიკროსკოპი ჩვეულებრივ საკაჭრო სფეროში (იხილე ბაბეჯი), ვაჭრობაში მოტყუებას რომ არ ჰქონოდა ადგილი? იმდენადვე უნდა უმადლოდეს თუ არა პრაქტიკული ქიმია თავის წარმატებებს საქონელთა ფალსიფიკაციას და მისი გამომჟღავნებისადმი მისწრაფებას, რამდენადაც იგი ამას უმადლის პატიოსან მწარმოებელთა გულმოდგინებას? საკუთრების ხელყოფის სულ ახალ-ახალი საშუალებების აღმოჩენით დანაშაული იწვევს სულ ახალ საშუალებათა შექმნის აუცილებლობას საკუთრების დასაცავად და ამით იმგვარადვე უწყობს ხელს წარმოებას, როგორც გაფიცვები უწყობენ ხელს მანქანების გამოგონებას. და, —

თუ კერძო პირების დანაშაულთა სფეროს დავტოვებთ, — შეიძლება თუ არა ეროვნულ დანაშაულთა გარეშე მსოფლიო ბაზარი წარმოშობილიყო? შეიძლებოდა თუ არა უმათოდ თვით ერების წარმოშობა? და განა შეცოდების ხე არ წარმოადგენს ადამის დროიდან ამასთანავე შემეცნების ხესაც?

უკვე მანდევილი თავის ნაწარმოებში «იგავი ფუტკრებზე» (1705) ამტკიცებდა ყველა შესაძლებელი პროფესიის შრომის მწარმოებლობას და ა. შ., და მის ნაწარმოებში უკვე ჩანს მთელი ამ მსჯელობის საერთო ტენდენცია.

«ის, რასაც ჩვენ ამ ქვეყნებში ეუწოდებთ ბოროტებას, როგორც მორალურს, ისე ფიზიკურსაც, დიადი პრინციპია, რომელიც ჩვენ **სოციალურ** არსებებად გვხდის, მტკიცე საფუძველია, ცხოველმყოფელი ძალა და საყრდენია გამოუკლებლივ ყველა პროფესიისა და მოსაქმეობისა; აქ უნდა ვეძებდეთ ჩვენ ყველა ხელოვნებისა და მეცნიერების ჭეშმარიტ წყაროს; და სწორედ იმ მომენტში, როცა ბოროტება არსებობას შეწყვეტდა, საზოგადოება დაკნინდებოდა, თუ მთლად არ დაიღუპებოდა»[135].

და მაინც მანდევილი იყო, რა თქმა უნდა, შეუდარებლად უფრო გაბედული და პატიოსანი, ვიდრე ფილისტერული სულისკვეთებით გაჟღენთილი აპოლოგეტები ბურჟუაზიული საზოგადოებისა. [V—183]

[12)] კაპიტალის მწარმოებლობა. მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომა

[ა) კაპიტალის მწარმოებლობა როგორც საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლური ძალის კაპიტალისტური გამოხატულება]

[XXI—1317] ჩვენ დავინახეთ არა მარტო ის, თუ როგორ აწარმოებს კაპიტალი, არამედ ისიც, თუ როგორ აწარმოებენ თვით მას და როგორ წარმოიშვება იგი როგორც არსებითად შეცვლილი ურთიერთობა წარმოების პროცესიდან, როგორ ვითარდება იგი ამ პროცესში[156]. ერთი მხრივ, კაპიტალი სახეს უცვლის წარმოების წესს, მეორე მხრივ კი, წარმოების წესის ეს სახეცვალება და ეს განსაკუთრებული საფეხური მატერიალური მწარმოებლური ძალების განვითარებაში თვით კაპიტალის საფუძველი და პირობაა, მისი საკუთარი ფორმირების წანამძღვარია.

რადგან ცოცხალი შრომა — კაპიტალსა და მუშას შორის გაცვლის შედეგად გადაქცეულია კაპიტალის შემადგენელ ნაწილად და შრომის პროცესის პირველი მომენტიდანვე კაპიტალის კუთვნილ მოქმედებად გვევლინება, ამიტომ საზოგადოებრივი შრომის მთელი მწარმოებლური ძალა იღებს კაპიტალის მწარმოებლურ ძალთა სახეს, სავსებით ისევე, როგორც შრომის საყოველთაო საზოგადოებრივი ფორმა გვევლინება ფულში ამა თუ იმ ნივთის თვისების სახით. სწორედ ასევე საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლური ძალა და ამ შრომის განსაკუთრებული ფორმები თავიანთ გამოხატულებას ღებულობენ როგორც მწარმოებლური ძალები და ფორმები კაპიტალისა. ე. ი. გ ა ს ა გ ნ ო ბ რ ი ვ ებ უ ლ ი შრომისა. შრომის ნივთიერი პირობებისა, რომელნიც ცოცხალ შრომას უპი-

რისპირდებიან, ასეთი გამოცალკევებული, კაპიტალისტში გაპიროვნებული ელემენტების სახით. აქ ჩვენ კვლავ ვხვდებით ურთიერთობის იმ დამახინჯებულ ფორმას, რომელიც იმით გამოიხატება, რასაც ჩვენ უკვე ფულის არსის განხილვისას ფეტიშიზმი ვუწოდეთ[157].

თვით კაპიტალისტის ძალა მხოლოდ კ ა პ ი ტ ა ლ ი ს პ ე რ ს ო ნ ი ფ ი კ ა ც ი ა ს წარმოადგენს. (იტალიურ ბუღალტერიაში ეს მისი როლი კაპიტალისტისა, კაპიტალის პერსონიფიკაციისა, მუდამ უპირისპირდება მას როგორც უბრალოდ პიროვნებას, რომელიც მხოლოდ თავისი საკუთარი კაპიტალის კერძო მომხმარებლისა და მოვალის სახით გამოდის).

კაპიტალის მ წ ა რ მ ო ე ბ ლ ო ბ ა, — მაშინაც კი, თუ კაპიტალისადმი შრომის მხოლოდ ფ ო რ მ ა ლ უ რ დამორჩილებას განვიხილავთ, — ისაა უწინარეს ყოვლისა, რომ იგი ა ი ძ უ ლ ებ ს მუშას შ ე ა ს რ უ ლ ო ს ზ ე დ მ ე ტ ი შ რ ო მ ა, დახარჯოს შრომის უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე უშუალო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად არის საჭირო. კაპიტალისტური წარმოების წესს ეს იძულება საერთო აქვს წინანდელ წარმოების წესთან, მაგრამ კაპიტალისტური წარმოების წესი აზორციელებს, იყენებს იძულებას ისეთი ფორმით, რომელიც უფრო მეტად უწყობს ხელს წარმოებას.

მაშინაც კი, თუ განვიხილავთ მარტოოდენ ამ ფორმალურ ურთიერთობას, ე. ი. კაპიტალისტური წარმოების ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ფორმას, რომელიც საერთოა როგორც მისი ნაკლებად განვითარებული, ისე უფრო განვითარებული სტადიისათვის, — ამ შემთხვევაშიც კი წ ა რ მ ო ე ბ ი ს ს ა შ უ ა ლ ებ ა ნ ი, შრომის ნივთიერი პირობები — შრომის მასალა, შრომის საშუალებანი (აგრეთვე საარსებო საშუალებანი) — გვევლინებიან არა როგორც მუშისადმი დაქვემდებარებულნი; პირიქით, მუშა ექვემდებარება მათ. მუშა კი არ იყენებს მათ, არამედ ისინი იყენებენ მუშას. სწორედ ამის გამო წარმოადგენენ ისინი კაპიტალს. «კაპიტალი ი ყ ე ნ ებ ს შრომას». მუშებისათვის ისინი არ წარმოადგენენ საშუალებებს პროდუქტების საწარმოებლად — უშუალო საარსებო საშუალებები იქნება. ეს პროდუქტები თუ გაცვლის საშუალებები საქონელთა სახით. პირიქით, მუშა წარმოადგენს მათთვის საშუალებას, რომლის მეშვეობითაც მათი ღირებულება შეინახება და ნაწილობრივ მათი ღირებულება გადიდდება. წარმოების საშუალებათა ღირებულება შატულობს იმით, რომ ისინი შეიწოვენ ზედმეტ შრომას.

უკვე თავისი მარტივი სახით ეს უკუღმა შებრუნებული ურთიერთობა არის ნივთთა გაპიროვნება და პიროვნებათა განივთება; ვინაიდან ეს ფორმა ყველა ადრინდელი ფორმისაგან იმით განსხვავდება, რომ კაპიტალისტი გვევლინება მუშის ბატონად არა როგორც ამა თუ იმ პიროვნული თვისების მატარებელი, არამედ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი «კაპიტალის» წარმომადგენელია. მისი ბატონობა სხვა არაფერია, თუ არა გასაგნობრივებული შრომის ბატონობა ცოცხალ შრომაზე, მუშის მიერ შექმნილი პროდუქტის ბატონობა თვით მუშაზე.

ეს ურთიერთობა კიდევ უფრო რთულდება და კიდევ უფრო მისტიკურად გვეჩვენება იმის გამო, რომ სპეციფიკურად კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარებასთან ერთად მუშის წინააღმდეგ გამოდიან და უპირისპირდებიან მას «კაპიტალის» სახით არა მარტო ეს უშუალოდ მატერიალური ნივთები | ისინი ყველანი შრომის პროდუქტებია; სახმარი ღირებულების მხრივ განხილულნი, ისინი, როგორც შრომის პროდუქტები, შრომის ნივთიერი პირობებია; საცვლელი ღირებულების მხრივ განხილულნი, ისინი წარმოადგენენ გასაგნობრივებულ საყოველთაო სამუშაო დროს, ანუ ფულს | ; ავრეთვე საზოგადოებრივად განვითარებული შრომის ფორმებიც — კოოპერაცია, მანუფაქტურა (როგორც ფორმა შრომის დანაწილებისა), ფაბრიკა (საზოგადოებრივი შრომის ისეთი ფორმა, რომელსაც თავის მატერიალურ საფუძვლად აქვს მანქანების სისტემა) — წარმოგვიდგებიან კ ა პ ი ტ ა ლ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ფ ო რ მ ე ბ ა დ, და ამიტომ საზოგადოებრივი შრომის ამ ფორმებიდან განვითარებული შრომის მწარმოებლური ძალები, მაშასადამე, მეცნიერებაც და ბუნების ძალებიც კ ა პ ი ტ ა ლ ი ს მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ძ ა ლ ე ბ ა დ გვევლინებიან. და მართლაც, შრომის ერთნაირ სახეობათა გაერთიანება, კოოპერაციაში რომ ხორციელდება, შრომის სხვადასხვა სახეობათა შეხამება, რასაც ადგილი აქვს შრომის დანაწილებისას, გამოიყენება მანქანურ მრეწველობაში, წარმოების მიზნებისათვის, ბუნების ძალებისა და მეცნიერებისა, ასევე შრომის პროდუქტებისა — ყოველივე ეს უპირისპირდება ცალკეულ მუშებს როგორც მათთვის უ ცხ ო რამ და როგორც ნ ი ვ თ ი ე რ ი რამ, როგორც მარტოოდენ ფორმა მათგან დამოუკიდებელი და მათზე გაბატონებული შრომის საშუალებათა ყოფიერებისა, — მსგავსად იმისა, როგორც თვით ეს შრომის საშუალებანი, მათი მარტივი და ხელშესახები ფორმით, მასალის, ინსტრუმენტისა და სხვ. სახით, უპირისპირდე-

ბიან მუშებს როგორც კ ა პ ი ტ ა ლ ი ს, და, მაშასადამე, აგრეთვე კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ი ს ფუნქციები.

მუშების საკუთარი შრომის საზოგადოებრივი ფორმები — ანუ მათი საკუთარი [1318] საზოგადოებრივი შრომის ფორმები — ცალკეული მუშებისაგან სრულიად დამოუკიდებლად წარმოქმნილი ურთიერთობაა; კაპიტალისადმი დამორჩილებული მუშები იქცევიან ამ საზოგადოებრივ ფორმათა ელემენტებად, მაგრამ ეს საზოგადოებრივი ფორმები მათ როდი ეკუთვნის. მუშებს ისინი უპირისპირდებიან ამიტომ როგორც თვით კაპიტალის ფორმები, როგორც კომბინაციები, რომელნიც — ცალკე აღებული თვითეული ამ მუშის სამუშაო ძალისაგან განსხვავებით — შეადგენენ კაპიტალის კუთვნილებას, მისგან წარმოიშვებიან და მასთან არიან შესისხლხორცებულნი. და ეს ღებულობს სულ უფრო რეალურ ფორმას იმდენად, რამდენადაც, ერთი მხრივ, თვით სამუშაო ძალა ამ მუშებისა აღნიშნული ფორმების ზემოქმედებით ისეთ სახეცვალებას განიცდის, რომ იგი, თავის დამოუკიდებელ არსებობაში, ე. ი. ამ კაპიტალისტური კავშირის გ ა რ ე შ ე, უძლური ხდება და მისი თავისთავადი უნარი წარმოებისადმი ისპობა; მეორე მხრივ კი, მანქანური წარმოების განვითარებასთან ერთად შრომის პირობები სულ უფრო და უფრო გვევლინებიან ისეთ ძალებად, რომლებიც შრომაზე ბატონობენ ტექნოლოგიურადაც, და ამასთანავე ერთად შეენაცვლებიან შრომას, ჩაგრავენ მას, ზედმეტად ხდიან მას მის თვითმყოფად ფორმებში.

ამ პროცესში, რომელშიც მუშების შრომის ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ნიშნთვისებები უპირისპირდებიან მათ როგორც, გარკვეული აზრით, კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი რამ (ასე, მაგალითად, მანქანურ წარმოებაში შრომის ხელშესახები პროდუქტები გამოდიან როგორც შრომაზე გაბატონებულნი), იგივე ემართება, რასაკვირველია, ბუნების ძალებსა და მეცნიერებას, საყოველთაო ისტორიული განვითარების პროცესის ამ პროდუქტს, რომელიც აბსტრაქტულად გამოხატავს ამ განვითარების კვინტესენციას: ბუნების ძალები და მეცნიერება უპირისპირდებიან მუშებს, როგორც კაპიტალის ძ ა ლ ე ბ ი. მეცნიერება და მისი გამოყენება წამდვილად ეთიშება ცალკეული მუშის დახელოვნებას და მის ცოდნას, და თუმცა ისინი, — თუ მათ თვალყურს მივადევნებთ თვით პირველწყაროს აღმოჩენამდე, — კვლავ შრომის პროდუქტებს წარმოადგენენ, მაინც ყველგან, სადაც ისინი შრომის პროცესში შედიან, კ ა პ ი ტ ა ლ თ ა ნ შ ე ს ი ს ხ ლ ხ ო რ ც ე ბ უ ლ ა დ გ ვ ე ვ ლ ი ნ ე ბ ი ა ნ. კაპიტა-

ლისტისათვის, რომელიც მანქანას იყენებს, სავალდებულო არაა გაეგებოდეს ამ მანქანის მოწყობილობა (იხ. იური)[158]. მაგრამ მანქანაში თვით რეალიზებული მეცნიერება უპირისპირდება მუშებს კაპიტალის სახით. და მართლაც, საზოგადოებრივ შრომაზე დამყარებული ყველა ეს გამოყენება მეცნიერებისა, ბუნების ძალებისა და შრომის პროდუქტების დიდი ოდენობისა გვევლინება მხოლოდ როგორც შრომის ექსპლოატაციის საშუალებანი, როგორც ზედმეტი შრომის მითვისების საშუალებანი, მაშასადამე, როგორც ძალები, რომლებიც კაპიტალს ეკუთვნიან და შრომას უპირისპირდებიან. კაპიტალი, რა თქმა უნდა, ყველა ამ საშუალებას მხოლოდ იმისთვის იყენებს, რომ შრომას ექსპლოატაცია გაუწიოს, მაგრამ შრომის ექსპლოატაციისათვის კაპიტალმა აუცილებლად უნდა გამოიყენოს ეს საშუალებანი წარმოების პროცესში. და ასე გვევლინება შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალების განვითარება და ამ განვითარების პირობები კაპიტალის მოქმედებად, რომელიც არა მარტო ცალკეული მუშის ნების გარეშე სრულდება, არამედ სწორედ მის წინააღმდეგაა მიმართული.

თვით კაპიტალს ორადი ხასიათი აქვს, რადგან იგი საქონელთაგან შედგება:

1) საცვლელი ღირებულება (ფული); მაგრამ ეს არის თვითმზარდი ღირებულება, ისეთი ღირებულება, რომელიც — იმის გამო, რომ იგი ღირებულებაა, — ქმნის ღირებულებას, იზრდება როგორც ღირებულება, იღებს ნაზრდს. ღირებულების ეს თვითზრდა დაიყვანება გასაგნობრივებული შრომის განსაზღვრული რაოდენობის გაცვლაზე ცოცხალი შრომის უფრო დიდ რაოდენობაზე.

2) სახმარი ღირებულება. აქ კაპიტალი ვლინდება შრომის პროცესში მისთვის დამახასიათებელ გარკვეულ მიმართებათა მხრივ. მაგრამ სწორედ აქ არ რჩება კაპიტალი ისეთ შრომის მასალად და ისეთ შრომის საშუალებად, რომელთაც ეკუთვნის მხოლოდ მათთან შესისხლხორცებული შრომა: შრომასთან ერთად კაპიტალმა შეისისხლხორცა აგრეთვე შრომის საზოგადოებრივი კომბინაციებიც და შრომის საშუალებათა განვითარების ის საფეხურიც, რომელიც შეესაბამება მის ამ საზოგადოებრივ კომბინაციებს. კაპიტალისტური წარმოება პირველად ავითარებს დიდი მასშტაბით შრომის პროცესის როგორც საგნობრივ,

ისე სუბიექტურ პირობებსაც, ჩამოაშორებს მათ ცალკეულ დამოუკიდებელ მუშაკს, მაგრამ ავითარებს მათ ისეთ ძალებად, რომლებიც ბატონობენ ცალკეულ მუშაზე და მისთვის უცხონი არიან.

ყოველივე ეს კაპიტალს ხდის რაღაც უაღრესად მისტიკურ არსებად. [1318] [159]

* * *

[1320] კაპიტალი, მაშასადამე, მწარმოებლურია: 1) როგორც ზედმეტი შრომისადმი მიიძულებელი ძალა, 2) როგორც ძალა, რომელიც ნთქავს და ისაკუთრებს (მათი გაპირობენების სახით) საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურ ძალებს და საყოველთაო საზოგადოებრივ მწარმოებლურ ძალებს, მაგალითად, მეცნიერებას.

ისმის საკითხი: როგორ და რატომ გვევლინება შრომა, რომელიც კაპიტალს უპირისპირდება, მწარმოებლური შრომის სახით. გვევლინება როგორც მწარმოებლური შრომა, თუმცა შრომის მწარმოებლური ძალები კაპიტალმა მიიღო და თუმცა ერთი და იგივე მწარმოებლური ძალა არ შეიძლება ორჯერ ვიანგარიშოთ, ერთჯერ — როგორც შრომის მწარმოებლური ძალა, მეორედ კი — როგორც კაპიტალის მწარმოებლური ძალა? { შრომის მწარმოებლური ძალა შეადგენს კაპიტალის მწარმოებლურ ძალას. სამუშაო ძალა კი მწარმოებლურია მის ღირებულებასა და იმ ღირებულებას შორის არსებული სხვაობის გამო, რომელსაც ეს სამუშაო ძალა ქმნის. }

[ბ) მწარმოებლური შრომა კაპიტალისტური წარმოების სისტემაში]

მხოლოდ ბურჟუაზიულ შეზღუდულობას, რომელსაც წარმოების კაპიტალისტური ფორმები მის აბსოლუტურ ფორმებად, მაშასადამე წარმოების მარადიულ ბუნებრივ ფორმებად მიაჩნია, შეუძლია საკითხი იმის შესახებ, რა არის მწარმოებლური შრომა კაპიტალის თვალსაზრისით, აურიოს იმ საკითხში, თუ რომელი შრომაა საერთოდ მწარმოებლური, ანდა რა არის მწარმოებლური შრომა საერთოდ; მხოლოდ მას შეუძლია ამიტომ იტრაბახოს, როგორც განსაკუთრებული სიბრძნის გამოვლენით, იმ თავისი პასუხით, რომ ყოველი შრომა, რომელიც საერთოდ რაიმეს აწარმოებს, რაიმე შედეგს იძლევა, სწორედ ამით უკვე მწარმოებლური შრომაა.

მწარმოებლურია მხოლოდ ისეთი შრომა, რომელიც პირდაპირ გადაიქცევა კაპიტალად, ე. ი. მხოლოდ ისეთი შრომა, რომელიც ცვალებად კაპიტალს ცვალებად სიდიდედ ხდის, მთელ კაპიტალ K-ს კი უთანატოლებს $K+\Delta$-ს [160]. თუ ცვალებადი კაპიტალი, ვიდრე იგი შრომაზე გაიცვლება, უდრის x-ს, — ასე რომ ჩვენ გვაქვს განტოლება $y=x$, — მაშინ მწარმოებლურია ის შრომა, რომელიც x-ს გადააქცევს $x+h$-ად, განტოლებას $y=x$ კი გადააქცევს განტოლებად $y'=x+h$. ასეთია პირველი პუნქტი, რომელიც განხილვას მოითხოვს. ლაპარაკია შრომაზე, რომელიც ზედმეტ ღირებულებას ქმნის, ანუ კაპიტალს ემსახურება ზედმეტი ღირებულების წარმოებისათვის გამოსადეგ ძალად, და, მაშასადამე, ძალად, რომელიც ხელს უწყობს კაპიტალს გამოავლინოს თავისი თავი კაპიტალის სახით, თვითმზარდი ღირებულების სახით.

მეორე: შრომის საზოგადოებრივი და საყოველთაო მწარმოებლური ძალები კაპიტალის მწარმოებლური ძალებია; მაგრამ ეს მწარმოებლური ძალები ეხება მხოლოდ შრომის პროცესს, ეხება მხოლოდ სახმარ ღირებულებას. ისინი იღებენ კაპიტალისთვის როგორც ნივთისთვის დამახასიათებელ თვისებათა სახეს, წარმოგვიდგებიან მისი სახმარი ღირებულების სახით. ისინი არ ეხებიან უშუალოდ საცვლელ ღირებულებას. ასი მუშა მუშაობს ერთად თუ თვითეული მათგანი მუშაობს ცალკე, — სულ ერთია, მათ მიერ წარმოებულ პროდუქტთა მასის ღირებულება უდრის ას სამუშაო დღეს, იმისდა მიუხედავად, პროდუქტთა მეტი თუ ნაკლები რაოდენობით არის წარმოდგენილი ეს სამუშაო დღეები; სხვა სიტყვებით, პროდუქტთა მთელი ამ მასის ღირებულება არაა დამოკიდებული შრომის ნაყოფიერებაზე.

[1321] მხოლოდ ერთი მიმართებით ეხება შრომის ნაყოფიერების სხვაობა საცვლელ ღირებულებას.

თუ, მაგალითად, შრომის ნაყოფიერება ვითარდება წარმოების რომელიმე ცალკეულ დარგში, — თუ, ვთქვათ, ქსოვილის წარმოება მექანიკური საქსოვი დაზგების მეოხებით, ნაცვლად ხელის დაზგებისა, უკვე გამონაკლისი აღარაა და ამასთან მექანიკურ დაზგაზე ერთი არშინის დასამზადებლად საჭიროა მხოლოდ ნახევარი იმ სამუშაო დროისა, რომელიც ხელის დაზგაზე მუშაობისას იხარჯება, — მაშინ ხელის დაზგაზე მომუშავე მქსოველის 12 საათი გამოიხატება უკვე არა თორმეტი საათის ღირებულებით, არამედ მხოლოდ ექვსი საათის ღირებულებით, რადგან აუცილებელი

სამუშაო დრო შემოკლდა ახლა 6 საათამდე. ხელით მოძუშავე მქსოველის 12 საათი ახლა უდრის უკვე საზოგადოებრივი სამუშაო დროის მხოლოდ 6 საათს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქსოველი უწინდებურად 12 საათი მუშაობს.

მაგრამ აქ ამაზე არაა ლაპარაკი. თუ ჩვენ, პირიქით, წარმოების რომელიმე სხვა დარგს ავიღებთ, მაგალითად, სასტამბო საქმეში — ასოთამწყობის მუშაობას, სადაც მანქანები ჯერ კიდევ არაა გამოყენებული, 12 საათის შრომა ამ დარგში შექმნის ღ ი რ ებ უ ლ ებ ი ს საკვლევით იმავე რაოდენობას, რამდენსაც 12 საათი ქმნის წარმოების იმ დარგებში, სადაც მანქანებმა და ა. შ. განვითარების ყველაზე მაღალ საფეხურს მიაღწიეს. მაშასადამე, შრომა, როგორც ღ ი რ ებ უ ლ ებ ი ს შემქმნელი, ყოველთვის რჩება ცალკეული მუშის შრომად, ოღონდ იგი ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო შ რ ო მ ი ს საზითაა გამოხატული. ამიტომ მწარმოებლური შრომა როგორც ღირებულების მწარმოებელი შრომა, ყოველთვის უპირისპირდება კაპიტალს როგორც ცალკეული სამუშაო ძალის შრომა, როგორც ი ზ ო ლ ი რ ებ უ ლ ი მ უ შ ი ს შრომა. სულ ერთია როგორ საზოგადოებრივ ურთიერთკავშირებშიც არ უნდა შედიოდნენ ეს მუშები წარმოების პროცესში. ამრიგად, მაშინ როდესაც მუშისადმი დაპირისპირებული კაპიტალი შრომის საზოგადოებრივ მწარმოებლურ ძალას წარმოადგენს, — კაპიტალისადმი დაპირისპირებული მწარმოებლური შრომა ყოველთვის მხოლოდ ც ა ლ კ ე უ ლ ი მ უ შ ი ს შრომას წარმოადგენს.

მ ე ს ა მ ე: თუ კაპიტალის თვისება — იძულებით შეასრულებინოს მუშას ზედმეტი შრომა და მიითვისოს შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალები — გვეჩვენება კაპიტალის ბუნებით თანდაყოლილ და, მაშასადამე, მისი სახმარი ღირებულებიდან გამომდინარე თვისებად, — მაშინ ასევეა პირიქითაც: შრომის ბუნებრივ თვისებად გვეჩვენება ის, რომ გამოავლინოს თავისი საკუთარი საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალები როგორც კაპიტალის მწარმოებლური ძალები, შრომის მიერ წარმოებული ზედმეტი პროდუქტი კი — როგორც კაპიტალის მიერ წარმოებული ზედმეტი ღირებულება, როგორც კაპიტალის თვითზრდა.

საჭიროა ეს სამი პუნქტი ახლა უფრო დაწვრილებით განვიხილოთ და აქედან გამოვიყვანოთ განსხვავება მწარმოებლურ და არამწარმოებლურ შრომას შორის.

1-ლ ი პ უ ნ ქ ტ ი ს შ ე ს ა ხ ებ. კაპიტალის მწარმოებლობა ისაა, რომ იგი უპირისპირებს თავის თავს შრომას როგორც დაქირა-

ვებულ შრომას, შრომის მწარმოებლობა კი ისაა, რომ. იგი უპირისპირებს თავის თავს შრომის საშუალებებს როგორც კაპიტალს.

ჩვენ დავინახეთ, რომ ფული გადაიქცევა კაპიტალად, ე. ი. გარკვეული საცვლელი ღირებულება გადაიქცევა თვითმზარდ ღირებულებად, ღირებულებად პლუს ზედმეტი ღირებულება, იმის მეოხებით, რომ ამ საცვლელი ღირებულების ერთი ნაწილი გადაიქცევა ისეთ საქონლად, რომელიც შრომის პროცესისათვის წარმოადგენს აუცილებელ შრომის საშუალებას (ნედლი მასალა, ინსტრუმენტები, ერთი სიტყვით — შრომის ნივთობრივი პირობები), მეორე ნაწილი კი ხმარდება სამუშაო ძალის ყიდვას. მაგრამ არა ეს თავდაპირველი გაცვლა ფულისა სამუშაო ძალაზე, არა თვით ფაქტი ამ სამუშაო ძალის ყიდვისა გადააქცევს ფულს კაპიტალად. ეს ყიდვა გამოყენებულ სამუშაო ძალას გარკვეული ვადით გადააქცევს კაპიტალის შემადგენელ ნაწილად; სხვა სიტყვებით, ცოცხალი შრომის გარკვეული რაოდენობა იქცევა თვით კაპიტალის ყოფიერების ერთ-ერთ ფორმად, მის, ასე ვთქვათ, ენტელექიად*.

ნამდვილ წარმოების პროცესში ცოცხალი შრომა კაპიტალად გადაიქცევა იმის გამო, რომ ეს შრომა, ერთი მხრივ, აკვლავწარმოებს ხელფასს, — მაშასადამე, აკვლავწარმოებს ცვალებადი კაპიტალის ღირებულებას. — მეორე მხრივ კი, ქმნის ზედმეტ ღირებულებას; ამ გარდაქმნის პროცესის შედეგად მთელი [ავანსად გაღებული] ფულადი თანხა გადაიქცევა კაპიტალად, თუმცა მისი ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ მოქმედებს როგორც ცვალებადი ნაწილი, მხოლოდ ხელფასზე იხარჯება. თუ უწინ ღირებულება უდრიდა $c+v$-ს, ახლა იგი უდრის $c+(v+x)$-ს, ანუ, რაც იგივეა, $(c+v)+x$-ს [161]; სხვა სიტყვებით: თავდაპირველი ფულადი თანხა, ღირებულების თავდაპირველი სიდიდე გაიზარდა შრომის პროცესში, გამოავლინა თავისი თავი ისეთი ღირებულების სახით, რომელიც ერთდროულად კიდეც ინახავს და კიდეც ადიდებს თავის თავს.

უნდა აღინიშნოს შემდეგი: ის გარემოება, რომ კაპიტალის მხოლოდ ცვალებადი ნაწილი ქმნის მის ნაზრდს, არავითარ შემთხვევაში არ ცვლის იმ ფაქტს, რომ ამ პროცესის მეოხებით დიდდება ერთობლივი თავდაპირველი ღირებულება, იზრდება იგი ზედმეტი ღირებულების ოდენობით; მაშასადამე, ძალაში რჩება ის, რომ მთელი თავდაპირველი ფულადი თანხა გადაიქცევა კაპი-

* მოქმედება, სინამდვილე, ქმედითობა. რ ე დ.

ტალად. თავდაპირველი ღირებულება ხომ უდრის $c+v$-ს (მუდმივი კაპიტალი და ცვალებადი კაპიტალი). აღნიშნულ პროცესში იგი გადაიქცევა $c+(v+x)$-ად; გამოსახულება $v+x$ წარმოადგენს ახლადშექმნილ ნაწილს, რომელიც წარმოიშვა იძის გამო, რომ ცოცხალი შრომა გადაიქცა გასაგნობრივებულ შრომად; ეს გადაქცევა გაპირობებულია სამუშაო ძალაზე v-ს გაცვლით და თავის საწყისს იღებს ამ გაცვლიდან, იქიდან, რომ ცვალებადი კაპიტალი ხელფასად იქცევა. მაგრამ $c+(v+x)=(c+v)$ (თავდაპირველი კაპიტალი) $+x$. გარდა ამისა, გადაქცევა v-ისა $v+x$-ად, მაშასადამე, გადაქცევა $(c+v)$-ისა $(c+v)+x$-ად, მხოლოდ იმის მეოხებით განხორციელდა, რომ ფულის ნაწილი გადაიქცა c-დ. ფულის ერთი ნაწილი შეიძლება ცვალებად კაპიტალად გადაიქცეს მხოლოდ იმიტომ, რომ მისი მეორე ნაწილი მუდმივ კაპიტალად იქცევა.

ნამდვილ წარმოების პროცესში შრომა realiter* იქცევა კაპიტალად, მაგრამ ეს გადაქცევა გაპირობებულია სამუშაო ძალაზე ფულის თავდაპირველი გაცვლით. მხოლოდ იმის მეოხებით, რომ შრომა უშუალოდ გადაიქცევა გასაგნობრივებულ შრომად, რომელიც ეკუთვნის არა მუშას, არამედ კაპიტალისტს, ფული გადაიქცევა კაპიტალად, მისი იმ ნაწილის ჩათვლით, რომელმაც მიიღო წარმოების საშუალებათა, შრომის პირობების ფორმა. ამ მომენტამდე ფული მხოლოდ an sich** წარმოადგენს კაპიტალს, სულ ერთია, არსებობს იგი თავისი საკუთარი ფორმით თუ ისეთ საქონელთა (პროდუქტების) სახით, რომელთაც თავიანთი ნატურალური ფორმით შეუძლიათ წარმოადგენდნენ ახალ საქონელთა შესაქმნელად საჭირო წარმოების საშუალებებს.

[1322] მხოლოდ შრომასთან ეს გარკვეული ურთიერთობა გადააქცევს ფულს ან საქონელს კაპიტალად, და მხოლოდ ის შრომა, რომელიც ფულს ან საქონელს კაპიტალად აქცევს, — წარმოების პირობებთან შრომის იმ აღნიშნული ურთიერთობის ძალით, რომელსაც შეესაბამება ნამდვილ წარმოების პროცესში ურთიერთობათა გარკვეული ხასიათი, — მხოლოდ ეს შრომა არის სწორედ მწარმოებლური; სხვა სიტყვებით, მწარმოებლურია მხოლოდ ის შრომა, რომელიც ინახავს და ადიდებს იმ გასაგნობრივებული შრომის ღირებულებას, რომელიც უპირისპირდება სამუშაო ძალას როგორც მისგან გამოცალკევებული. მწარმოებლური შრომა-

* — რეალურად, ნამდვილად. რედ.
** — «თავისთავად», შესაძლებლობით, პოტენციურად. რედ.

ეს არის მხოლოდ შემოკლებული გამოთქმა იმ ურთიერთობის მთელი სისრულის და განსაკუთრებული ხასიათის გამოსახატავად, რომლითაც სამუშაო ძალა გამოდის კაპიტალისტურ წარმოების პროცესში. მაგრამ მწარმოებლურ შრომასა და შრომის სხვა სახეობათა შორის განსხვავების დადგენა უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან ივი გამოხატავს სწორედ შრომის იმ გარკვეულ ფორმას, რომელზეც დამყარებულია მთელი კაპიტალისტური წარმოების წესი და თვით კაპიტალი.

ამრიგად, მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი შ რ ო მ ა კაპიტალისტური წარმოების სისტემაში—ეს არის ისეთი შრომა, რომელიც მისი გამოყენებლისათვის აწარმოებს ზ ე დ მ ე ტ ღ ი რ ებ უ ლ ებ ა ს, ანუ. სხვანაირად, ეს არის შრომა, რომელიც შრომის ობიექტურ პირობებს აქცევს კაპიტალად, მათს მფლობელს კი — კაპიტალისტად; ეს არის, მაშასადამე, შრომა, რომელიც თავის საკუთარ პროდუქტს კაპიტალის სახით აწარმოებს.

ამიტომ როცა ჩვენ მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი შ რ ო მ ა ზ ე ვლაპარაკობთ, ჩვენ ვლაპარაკობთ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ა დ-გ ა რ კ ვ ე უ ლ შრომაზე, შრომაზე, რომელიც შეიცავს სრულიად გარკვეულ ურთიერთობას შრომის მყიდველსა და მის გამყიდველს შორის.

და თუმცა სამუშაო ძალის მყიდველის ხელში მყოფი ფული, ან საქონელი, — როგორც წარმოების საშუალებანი, ისე მუშების საარსებო საშუალებანიც — კაპიტალად იქცევა მხოლოდ აღნიშნული პროცესის მეოხებით, სადაც ივი განიცდის სწორედ ამ გადაქცევას კაპიტალად (პროცესში შესვლამდე კი ეს ნივთები არ არის კაპიტალი, არამედ ისინი ჯერ უნდა გადაიქცნენ კაპიტალად), — მაგრამ მაინც ეს ნივთები «თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ» კაპიტალს წარმოადგენენ. ამას ისინი უნდა უმადლოდნენ იმ ფაქტს, რომ ისინი სამუშაო ძალას უპირისპირდებიან როგორც რაიმე თავისთავადი და რომ სავსებით ასევე უპირისპირდება მათ სამუშაო ძალა, — ჩვენ აქ გვაქვს ის ურთიერთობა, რომელიც განაპირობებს და უზრუნველყოფს გაცვლას სამუშაო ძალაზე და კაპიტალად შრომის ნამდვილი გადაქცევის მომდევნო პროცესს. წარმოების საშუალებებს და საარსებო საშუალებებს მუშებისადმი დამოკიდებულებაში იმთავითვე მოსდგამს ის გ ა რ კ ვ ე უ ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ხ ა ს ი ა თ ი, რომელიც მათ კაპიტალად აქცევს და შრომაზე მბრძანებლობას ანიჭებს. შრომის მიმართ ისინი წარმოადგენენ ამიტომ წ ა ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ს, უპირისპირდებიან რა მას კაპიტალის სახით.

მწარმოებლური შრომა შეიძლება ამიტომ განვსაზღვროთ როგორც ისეთი შრომა, რომელიც პირდაპირ იცვლება ფულზე როგორც კაპიტალზე, ანუ — რაც იმავე გარემოების შემოკლებული გამოხატულებაა — როგორც შრომა, რომელიც უშუალოდ იცვლება კაპიტალზე, ე. ი. ფულზე, რომელიც «თავისთავად» კაპიტალს წარმოადგენს, და რომელიც განკუთვნილია იმისათვის, რომ კაპიტალის სახით იმოქმედოს, სხვა სიტყვებით, რომელიც სამუშაო ძალას უპირისპირდება კაპიტალის სახით. გამოთქმა: «შრომა, რომელიც უშუალოდ იცვლება კაპიტალზე», გულისხმობს, რომ შრომა იცვლება ფულზე როგორც კაპიტალზე და actu* აქცევს ამ ფულს კაპიტალად. თუ რა შედეგები გამომდინარეობს დახასიათებიდან «უშუალოდ», — ამას ახლავე გავარკვევთ უფრო ზუსტად.

მწარმოებლური შრომა არის, მაშასადამე, ის შრომა, რომელიც მუშისათვის აკვლავწარმოებს მხოლოდ მისი სამუშაო ძალის წინასწარ განსაზღვრულ ღირებულებას. მაგრამ ამასთანავე, როგორც ღირებულების შემქმნელი მოქმედება, ადიდებს კაპიტალის ღირებულებას, სხვა სიტყვებით: ის შრომა, რომელიც უპირისპირებს თვით მუშას კაპიტალის სახით ამ შრომით შექმნილ ღირებულებებს.

[ბ) ორი არსებითად განსხვავებული მომენტი კაპიტალსა და შრომას შორის გაცვლაში]

კაპიტალსა და შრომას შორის გაცვლაში უნდა განვასხვაოთ, როგორც ეს წარმოების პროცესის[162] განხილვისას ვიგინახეთ, ორი არსებითად განსხვავებული, თუმცა ერთიმეორის გაკაპირობებელი, მომენტი.

ჯერ-ერთი: თავდაპირველი გაცვლა შრომასა და კაპიტალს შორის არის ფორმალური პროცესი, რომელშიც კაპიტალი გამოდის როგორც ფული, სამუშაო ძალა კი — როგორც საქონელი. სამუშაო ძალის გაყიდვა წარმოებს იდეალურად, ანუ იურიდიულად, ამ პირველ პროცესში, მიუხედავად იმისა, რომ შრომის ანაზღაურება ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი შესრულდა, ე. ი. დღის, კვირის და ა. შ. დასასრულს. ეს არაფერს არ ცვლის გარიგებაში, რომლის მეშვეობითაც სამუშაო ძალის გაყიდვა წარმოებს. მოცემულ შემთხვევაში უშუალოდ იყიდება არა საქონელი, რომელიც უკვე გასაგნობრივებულ შრო-

* — ნამდვილად, საქმით. რედ.

მას შეიცავს, არამედ თვით სამუშაო ძალის მოხმარება, მაშასადამე, ფაქტიურად თვით შრომა, რადგან სამუშაო ძალის მოხმარება არის მისი მოქმედება, ე. ი. შრომა. მაშასადამე, ჩვენ აქ არა გვაქვს საქმე შრომაზე შრომის გაცვლასთან, რომელიც საქონელზე საქონლის გაცვლის მეშვეობით ხდება. თუ A მიჰყიდის B-ს წაღებს, მაშინ ისინი ორივენი გაუცვლიან ერთიმეორეს შრომას: ერთი გაუცვლის წაღებში გასაგნობრივებულ შრომას, მეორე კი — ფულში გასაგნობრივებულ შრომას. აქვე გაიცვლება ერთიმეორეზე, ერთი მხრივ, გასაგნობრივებული შრომა მის საყოველთაო საზოგადოებრივ ფორმაში, ე. ი. ფულის სახით, მეორე მხრივ კი — შრომა, რომელიც ჯერ კიდევ მხოლოდ სამუშაო ძალის სახით არსებობს; ყიდვისა და გაყიდვის საგანს კი შეადგენს ამ სამუშაო ძალის მოხმარება. ე. ი. თვით შრომა, თუმცა მოცემულ შემთხვევაში გასაყიდი საქონლის ღირებულება არის არა შრომის ღირებულება (ირაციონალური გამოხატულება), არამედ სამუშაო ძალის ღირებულება. ამრიგად, აქ ხდება უშუალო გაცვლა გასაგნობრივებულ შრომასა და სამუშაო ძალას შორის, რომელიც de facto* გადაიქცევა ცოცხალ შრომად, — ე. ი. აქ ხდება გაცვლა გასაგნობრივებულსა და ცოცხალ შრომას შორის. ამიტომ ხელფასი, — სამუშაო ძალის ღირებულება, — როგორც ეს ზემოთ დავინახეთ, თავის გამოხატულებას პოულობს შრომის ფასის[163], მისი უშუალო საყიდელი ფასის სახით.

ამ პირველი მომენტის ფარგლებში ურთიერთობა მუშასა და კაპიტალისტს შორის არის ურთიერთობა საქონლის გამყიდველსა და მყიდველს შორის. კაპიტალისტი იხდის სამუშაო ძალის ღირებულებას, ე. ი. მისგან ნაყიდი საქონლის ღირებულებას. მაგრამ ამავე დროს სამუშაო ძალას ყიდულობენ მხოლოდ იმიტომ, რომ შრომის ის რაოდენობა, რომლის შესრულებაც მას შეუძლია და ევალება, უფრო მეტია შრომის იმ რაოდენობაზე, რომელიც საჭიროა სამუშაო ძალის კვლავწარმოებისათვის; ამიტომ შრომა, რომელსაც იგი ასრულებს, გამოიხატება სწორედ უფრო მეტი ღირებულებით, ვიდრე სამუშაო ძალის ღირებულებაა.

[1323] მეორე: კაპიტალსა და შრომას შორის გაცვლის მეორე მომენტს სინამდვილეში საერთო არაფერი აქვს პირველ მო-

---

* — ნამდვილად, ფაქტიურად. რედ.

მენტთან, — არსებითად რომ ვთქვათ, იგი სულაც არ წარმოადგენს გაცვლას.

პირველი მომენტისათვის დამახასიათებელია ფულის გაცვლა საქონელზე — ეკვივალენტების გაცვლა; მუშა და კაპიტალისტი აქ ერთმანეთს უპირისპირდებიან მხოლოდ როგორც საქონელმფლობელნი. ხდება ეკვივალენტების გაცვლა (ეს კი ნიშნავს: არსებული ვითარება არ იცვლება იმით, თუ სახელდობრ რ ო დ ი ს ხორციელდება ფაქტიურად გაცვლა, და შრომის ფასი სამუშაო ძალის ღირებულებაზე უ ფ რ ო მ ა ღ ლ ა თ უ უ ფ რ ო დ ა ბ ლ ა დგას თუ მისი ტოლია, — ამით გარიგების ხასიათი სრულიადაც არ იცვლება. ეს გარიგება შ ე ი ძ ლ ე ბ ა, მაშასადამე, ხორციელდებოდეს საქონელთა გაცვლის საერთო კანონის შესაბამისად).

მეორე მომენტის ფარგლებში სულ არა აქვს ადგილი გაცვლას. ფულის მფლობელი უკვე აღარ არის საქონლის მყიდველი, მუშა კი აღარ არის გამყიდველი. ფულის მფლობელი მოქმედებს ახლა როგორც კაპიტალისტი. იგი მოიხმარს მის მიერ ნაყიდ საქონელს; ამ საქონელს კი მას აწვდის მუშა, რადგან მუშის სამუშაო ძალის მოხმარება სხვა არაფერია, თუ არა თვით მისი შრომა. წინა გარიგების შედეგად შ რ ო მ ა თვით გახდა ნივთიერი სიმდიდრის ნაწილი. მუშა ასრულებს ამ შრომას, მაგრამ ეს მისი შრომა ე კ უ თ ვ ნ ი ს კაპიტალს და ამიერიდან კაპიტალის ფუნქციას წარმოადგენს მხოლოდ. ამიტომ იგი სრულდება კაპიტალის უშუალო კონტროლისა და გამგებლობის ქვეშ, პროდუქტი კი, რაშიც ეს შრომა საგნობრივდება, წარმოადგენს იმ ახალ ფორმას, რომლითაც კაპიტალი გამოდის, ანუ, უფრო ზუსტად, რომლითაც იგი actu თავის თავს ა ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ს კაპიტალის სახით. აი რატომ ს ა გ ნ ო ბ რ ი ვ დ ე ბ ა პირდაპირი აზრით ამ პროცესში შრომა, რატომ გარდაიქმნება უ შ უ ა ლ ო დ კაპიტალად, მას შემდეგ, რაც პირველი გარიგების შედეგად შრომა ფ ო რ მ ა ლ უ რ ა დ უკვე გადაიქცა კაპიტალის შემადგენელ ნაწილად. ამასთან აქ კაპიტალად ქცეული შრომის რაოდენობა აღემატება კაპიტალის იმ რაოდენობას, რომელიც უწინ სამუშაო ძალის საყიდლად დაიხარჯა. ამ პროცესში ხდება ფასგადაუხდელი შრომის გარკვეული რაოდენობის მითვისება, და მხოლოდ ამის გამო გადაიქცევა ფული კაპიტალად.

თუმცა სინამდვილეში აქ არა გვაქვს გაცვლა, მაგრამ, თუ მხედველობის გარეშე დავტოვებთ შუალედურ რგოლებს, დავინახავთ, რომ ამ პროცესში — მისი იმ შედეგის სახით, რომელიც ორივე მომენტს მათს ერთიანობაში მოიცავს, — გასაგნობრივებული შრო-

მის გარკვეული რაოდენობა გაიცვალა ცოცხალი შრომის უფრო მეტ რაოდენობაზე. მთელი პროცესის საბოლოო შედეგის სახით ეს ღებულობს შემდეგ გამოხატულებას: შრომა, გასაგნობრივებული თავის პროდუქტში, უფრო მეტია სამუშაო ძალაში გასაგნობრივებულ შრომაზე და ამიტომ უფრო მეტია იმ გასაგნობრივებულ შრომაზე, რომელიც უწევს მუშას მისი გასასტუმრებელი ხელფასის სახით; სხვა სიტყვებით: პროცესის ნამდვილი შედეგი ისაა, რომ კაპიტალისტი არა მარტო უკან იბრუნებს კაპიტალის იმ ნაწილს, რაც მან ხელფასზე დახარჯა, არამედ გარდა ამისა იღებს კიდევ ზედმეტ ღირებულებასაც, რომელიც მას სრულიად უსასყიდლოდ ერგება. უ შ უ ა ლ ო გაცვლა შრომასა და კაპიტალს შორის ნიშნავს აქ: 1) შრომის უშუალო გადაქცევას კაპიტალად, კაპიტალის ნივთიერ შემადგენელ ნაწილად, — გადაქცევას, რომელიც წარმოების პროცესში ხდება; 2) გასაგნობრივებული შრომის გარკვეული რაოდენობის გაცვლას ცოცხალი შრომის ისეთსავე რაოდენობაზე პლუს ცოცხალი შრომის დამატებითი რაოდენობა, რომლის მითვისება გ ა ც ვ ლ ი ს გ ა რ ე შ ე ხდება.

გამოთქმა: «მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი შ რ ო მ ა არის ისეთი შრომა, რომელიც უ შ უ ა ლ ო დ იცვლება კ ა პ ი ტ ა ლ ზ ე», მოიცავს ყველა აღნიშნულ მომენტს და წარმოადგენს მხოლოდ მეორად ფორმულირებას იმ დებულებისა, რომ ეს არის შ რ ო მ ა, რომელიც ფულს კაპიტალად აქცევს, შრომა, რომელიც იცვლება წარმოების პირობებზე როგორც კ ა პ ი ტ ა ლ ზ ე; მაშასადამე, ამ წარმოების პირობებთან, რომლებიც გვევლინებიან აქ არა მხოლოდ როგორც წარმოების პირობები, შრომა შედის გარკვეულ ურთიერთობაში სრულიადაც არა როგორც შ რ ო მ ა უბრალოდ, სრულიადაც არა როგორც სპეციფიკურ საზოგადოებრივ ხასიათს მოკლებული შრომა.

ეს შეიცავს: 1) ურთიერთობას ფულსა და სამუშაო ძალაზ შორის როგორც საქონელთა შორის ურთიერთობას, ფულის მფლობელსა და სამუშაო ძალის მფლობელს შორის მიმდინარე ყიდვა-გაყიდვას; 2) შრომის პირდაპირ დაქვემდებარებას კაპიტალისადმი; 3) შრომის რეალურ გადაქცევას კაპიტალად, რაც წარმოების პროცესში ხდება, ანუ, რაც იგივეა, ზედმეტი ღირებულების შექმნას კაპიტალისათვის. წარმოებს ო რ გ ვ ა რ ი გ ა ც ვ ლ ა შ რ ო მ ა ს ა და კ ა პ ი ტ ა ლ ს შ ო რ ი ს. პირველი გაცვლა გამოხატავს მხოლოდ სამუშაო ძალის ყიდვას, მაშასადამე, — თუ მხედველობაში ვვექნება ფაქტიური შედეგი, — შრომის ყიდვას, მაშასადამე, მისი

პროდუქტის ყიდვასაც. მეორე გაცვლა არის ცოცხალი შრომის პირდაპირი გადაქცევა კაპიტალად, ანუ ცოცხალი შრომის გასაგნობრივება როგორც კაპიტალის განხორციელება.

[დ) მწარმოებლური შრომის სპეციფიკური სახმარი ღირებულება კაპიტალისათვის]

კაპიტალისტური წარმოების პროცესის შედეგია არა უბრალოდ პროდუქტი (სახმარი ღირებულება) და არა საქონელი, ე. ი. სახმარი ღირებულება, რომელსაც გარკვეული საცვლელი ღირებულება აქვს. მისი შედეგი, მისი პროდუქტი არის ზედმეტი ღირებულების შექმნა კაპიტალისათვის, მაშასადამე, ფულის ან საქონლის ნამდვილი გადაქცევა კაპიტალად, მაშინ როდესაც წარმოების პროცესამდე ფული და საქონელი კაპიტალია მხოლოდ თავიანთი საერთო მიმართულების აზრით, მხოლოდ «თავისთავად», მხოლოდ თავიანთი დანიშნულების მიხედვით. წარმოების პროცესი ნთქავს შრომის უფრო მეტ რაოდენობას, ვიდრე ნაყიდი რაოდენობაა. ეს შთანთქმა, [1324] ეს მითვისება სხვისი ფასგადაუხდელი შრომისა, რაც წარმოების პროცესში ხდება, კაპიტალისტური წარმოების პროცესის უშუალო მიზანია, რადგან კაპიტალის როგორც ასეთის (მაშასადამე, აგრეთვე კაპიტალისტის როგორც ასეთის) ამოცანას არ შეადგენს არც საკუთარი მოხმარებისათვის უშუალოდ განკუთვნილ სახმარ ღირებულებათა წარმოება, არც ისეთი საქონლის წარმოება, რომელიც შემდგომ ჯერ ფულად უნდა გადაიქცეს, შემდეგ კი — სახმარ ღირებულებად. კაპიტალისტური წარმოების მიზანია გამდიდრება, ღირებულების გაზრდა, მისი გადიდება, მაშასადამე, წინანდელი ღირებულების შენარჩუნება და ზედმეტი ღირებულების შექმნა. და კაპიტალისტური წარმოების პროცესის ამ სპეციფიკურ პროდუქტს კაპიტალი მიითვისებს მხოლოდ შრომაზე გაცვლის შედეგად, რის გამოც ამ შრომას მწარმოებლური შრომა ეწოდება.

იმისათვის, რომ საქონელი აწარმოოს, შრომა უნდა იყოს სასარგებლო შრომა, უნდა აწარმოებდეს რაიმე სახმარ ღირებულებას, გამოხატავდეს თავის თავს რაიმე სახმარ ღირებულებაში. და მხოლოდ შრომა, რომელიც თავის თავს საქონელში გამოხატავს, წარმოადგენს ისეთ შრომას, რომელიც კაპიტალზე იცვლება. ეს წანამძღვარი ისეთი რამაა, რაც თავისთავად იგულისხმება. მაგრამ კაპიტალისტისთვის შრომის სპეციფიკურ სახ-

მარ ღირებულებას შეადგენს და კაპიტალისტური წარმოების სისტემაში შრომას მწარმოებლური შრომის ბეჭედს ასვამს არა ეს კონკრეტული ხასიათი შრომისა, არა მისი სახმარი ღირებულება როგორც ასეთი, არა ის გარემოება, მაშასადამე, რომ იგი არის, მაგალითად, შრომა თერძისა, მეწაღისა, მრთველისა, ფეიქრისა და ა. შ., მის სპეციფიკურ სახმარ ღირებულებას კაპიტალისათვის არ შეადგენს მისი გარკვეული სასარგებლო ხასიათი, ასევე არ შეადგენენ მას არც განსაკუთრებული სასარგებლო თვისებანი იმ პროდუქტისა, რომელშიც იგი საგნობრივდება. შრომის სახმარ ღირებულებას კაპიტალისათვის განაპირობებს ხასიათი ამ შრომისა როგორც საცვლელი ღირებულების შემქმნელი ფაქტორისა, განაპირობებს მისთვის დამახასიათებელი აბსტრაქტული შრომის ხასიათი; მაგრამ საქმე ის კი არაა, რომ იგი წარმოადგენს საერთოდ ამ საყოველთაო შრომის გარკვეულ რაოდენობას, არამედ ის, რომ იგი წარმოადგენს აბსტრაქტული შრომის უფრომეტ რაოდენობას, ვიდრე ის რაოდენობაა, რომელსაც შეიცავს შრომის ფასი, ე. ი. სამუშაო ძალის ღირებულება.

კაპიტალისათვის სამუშაო ძალის სახმარი ღირებულება სწორედ ისაა, რომ შრომის ის რაოდენობა, რასაც სამუშაო ძალა იძლევა, აღემატება შრომის იმ რაოდენობას, რომელიც გასაგნობრივებულია თვით ამ სამუშაო ძალაში და რომელიც საჭიროა ამიტომ მისი კვლავწარმოებისათვის. კაპიტალი შრომას მიიღებს, რა თქმა უნდა, იმ გარკვეული ფორმით, რომელიც ახასიათებს მას როგორც განსაკუთრებულ სასარგებლო შრომას — როგორც რთვას, ფეიქრობას და ა. შ.. მაგრამ ეს კონკრეტული ხასიათი შრომისა, რაც მას იმის უნარს ანიჭებს, რომ თავისი თავი საქონელში გამოხატოს, კაპიტალისათვის არ შეადგენს მის სპეციფიკურ სახმარ ღირებულებას. კაპიტალისათვის შრომის ამ სახმარ ღირებულებას შეადგენს მისი ის რაოდენობა, რომელსაც იგი იძლევა როგორც შრომა საერთოდ, ამ სახმარ ღირებულებას შეადგენს ის, რომ შესრულებული შრომის რაოდენობა აღემატება შრომის იმ რაოდენობას, რადაც იგი ღირს.

ფულის გარკვეული თანხა x კაპიტალად იქცევა იმის მეოხებით, რომ თავის პროდუქტში იგი გამოიხატება როგორც $x+h$, ე. ი. იმის მეოხებით, რომ შრომის ის რაოდენობა, რასაც იგი შეიცავს როგორც პროდუქტი, მეტია შრომის იმ რაოდენობაზე, რასაც იგი შეიცავდა თავდაპირველად. და ეს არის სწორედ ფულსა და მწარმოებლურ შრომას შორის გაცვლის შედეგი; სხვა სიტყვებით: მხო-

ლოდ ის შრომა არის მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი, რომელიც გასაგნობრივებულ შრომაზე გაიცვლება და ამით შესაძლებელს ხდის, რომ ამ უკანასკნელმა თავისი გამოხატულება მიიღოს გასაგნობრივებული შრომის გადიდებული რაოდენობის სახით.

ამიტომაცაა, რომ კაპიტალისტური წარმოების პროცესი არ არის უბრალოდ საქონელთა წარმოება. ეს არის ფასგადაუხდელი შრომის შთანმთქმელი პროცესი, პროცესი, რომელიც წარმოების საშუალებებს — მასალას და შრომის საშუალებებს — ფასგადაუხდელი შრომის შთანთქმის საშუალებებად გადააქცევს.

ყოველივე ზემონათქვამიდან გამომდინარეობს, რომ «მწარმოებლური შრომა» — ეს არის შრომის ისეთი დახასიათება, რომელსაც უშუალოდ არა აქვს აბსოლუტურად არაფერი საერთო შრომის გ ა რ კ ვ ე უ ლ შ ი ნ ა ა რ ს თ ა ნ, მის განსაკუთრებულ სარგებლიანობასთან ან სპეციფიკურ სახმარ ღირებულებასთან, რომლითაც იგი გამოიხატება.

ე რ თ ი დ ა ი გ ი ვ ე ს ა ხ ი ს შ რ ო მ ა შეიძლება იყოს როგორც მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი, ისე ა რ ა მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი ც.

მაგალითად, მილტონი, რომელმაც «დაკარგული სამოთხე» დაწერა და მასში 5 გირვ. სტერლ. მიიღო, ა რ ა მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი მ უ შ ა კ ი იყო. პირიქით, მწერალი, რომელიც თავის წიგნით მოვაჭრისთვის ფაბრიკულ ყაიდაზე მუშაობს, მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი მ უ შ ა კ ი ა. მილტონი «დაკარგულ სამოთხეს» ქმნიდა იმავე აუცილებლობით, როგორითაც აბრეშუმის ჭია აბრეშუმს აწარმოებს. ეს იყო მ ი ს ი ბუნების ქმედითი გამოვლენა. შემდეგ მან გაყიდა თავისი ნაწარმოები 5 გირვ. სტერლინგად. ლაიპციგელი ლიტერატორი-პროლეტარი კი, რომელიც თავისი გამომცემლის ბრძანებით წიგნებს თხზავს (მაგალითად, პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოებს), მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი მ უ შ ა კ ი ა, რადგან მისი წარმოება იმთავითვე ექვემდებარება კაპიტალს და ამ კაპიტალის ღირებულების გადიდებისათვის სრულდება. მომღერალი ქალი, რომელიც თავის სიმღერას თავისი პასუხისმგებლობითა და რისკით ყიდის, — ა რ ა მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი მ უ შ ა კ ი ა. მაგრამ იგივე მომღერალი ქალი, მიწვეული ანტრეპრენერის მიერ, რომელიც ფულის შოვნის მიზნით მას აიძულებს იმღეროს, — მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი მ უ შ ა კ ი ა, რადგან იგი კაპიტალს აწარმოებს.

[ე) არამწარმოებლური შრომა როგორც მომსახურებათა გამწევი შრომა. მომსახურებათა ყიდვა კაპიტალიზმის პირობებში. ვულგარული შეხედულება კაპიტალსა და შრომას შორის არსებულ ურთიერთობაზე როგორც მომსახურებათა გაცვლაზე]

[1325] აქ წამოიჭრება სხვადასხვა საკითხი, რომელთა ერთმანეთში არევა არ შეიძლება.

შარვალს ვიყიდი მზა სახით თუ მაუდს ვიყიდი, თერძს დავიქირავებ სახლში სამუშაოდ და ავუნაზღაურებ მას მის მიერ გაწეულ მ ო მ ს ა ხ უ რ ე ბ ა ს (ე. ი. მის სამკერვალო მუშაობას), რაც მაუდის შარვლად გადაქცევაში მდგომარეობს, — ეს ჩემთვის სავსებით სულ ერთია, რამდენადაც ჩემთვის მნიშვნელობა აქვს თვით შარვალს. იმის ნაცვლად, რომ სახლში მივიყვანო მკერავი სამუშაოდ, მე შარვალს ვყიდულობ სამკერვალო სახელოსნოს მფლობელისაგან, და ამას მე იმიტომ ვაკეთებ, რომ პირველი წესი დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან, — შარვლები ხომ ნაკლები შრომა ღირს. მაშასადამე, უფრო იაფი ჯდება, როცა მათ მკერავი-კაპიტალისტი აწარმოებს, ვიდრე მაშინ, როცა მას ჩემთან შინ მკერავი აწარმოებს. მაგრამ ორივე შემთხვევაში მე ფულს, რომლითაც შარვლებს ვყიდულობ, გადავაქცევ არა კაპიტალად, არამედ შარვლებად; და ორივე შემთხვევაში ჩემთვის საქმე შეეხება. იმას, რომ ფული მოვიხმარო უბრალოდ როგორც მიმოქცევის საშუალება, ე. ი. გადავაქციო იგი ამა თუ იმ გარკვეულ სახმარ ღირებულებად. ამრიგად, ფული აქ არ მოქმედებს კაპიტალის სახით, მიუხედავად იმისა, რომ ერთ შემთხვევაში იგი იცვლება ს ა ქ ო ნ ე ლ ზ ე, მეორე შემთხვევაში კი თვით შ რ ო მ ა ს ყიდულობენ როგორც ს ა ქ ო ნ ე ლ ს. ფული მოქმედებს მხოლოდ როგორც ფული, უფრო გარკვევით რომ ვთქვათ — როგორც მიმოქცევის საშუალება.

მეორე მხრივ, ჩემთან შინ მომუშავე მკერავი არ არის მწარმოებელი მუშა, თუმცა მისი შრომა მე მაძლევს პროდუქტს, შარვალს. მას კი — მისი შრომის ფასს, ფულს. შესაძლებელია, რომ შრომის რაოდენობა, რომელსაც ეს მკერავი იძლევა, აღემატება შრომის იმ რაოდენობას, რასაც მის მიერ ჩემგან მისაღები ფასი შეიცავს; ეს სავსებით მოსალოდნელიცაა, რადგან მისი შრომის ფასს განსაზღვრავს იმ მკერავთა მიერ მისაღები ფასი, რომელთა შრომაც მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი შ რ ო მ ა ა. მაგრამ ჩემთვის ეს აბსოლუტურად სულ ერთია. რაკი ფასი დადგენილია, ჩემთვის სავსებით სულ ერთია,

8 საათს მუშაობს ეს მკერავი თუ 10 საათს. ჩემთვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ სახმარ ღირებულებას, შარვალს, ამასთან — იმისდა მიუხედავად, პირველი წესით ვიძენ ამ შარვალს მე თუ მეორე წესით, — მე დაინტერესებული ვარ, რა თქმა უნდა, იმით, რომ მასში რაც შეიძლება ნაკლები გადავიხადო; ამით მე ერთნაირად ვარ დაინტერესებული როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში: ჩემ მიერ გადახდილი ფასი ორივე შემთხვევაში არ უნდა იყოს ნორმალურზე მაღალი. ეს არის ჩემი მოხმარების ხარჯი: არა ნამატი ჩემი ფულისა, არამედ, პირიქით, მისი კლება. ეს სრულიადაც არ არის ვამდიდრების საშუალება, როგორც საერთოდ ფულის არც ერთი დახარჯვა ჩემი პირადი მოხმარებისათვის არ არის ვამდიდრების საშუალება.

ვინმე «სწავლული» პოლ დე კოკის პერსონაჟებიდან, ალბათ, მეტყვის, რომ ამ ყიდვის გარეშე, ისევე როგორც პურის ყიდვის გარეშე, მე არ შემიძლია არსებობა, მაშასადამე, არ შემიძლია გამდიდრებაც; რომ ეს ყიდვა წარმოადგენს, ამრიგად, ჩემი გამდიდრების არაპირდაპირ საშუალებას, ანუ ყოველ შემთხვევაში პირობას. ამავე საფუძვლით შეიძლებოდა ჩაგვეთვალა ჩემი სისხლმიმოქცევა და ჩემი სუნთქვის პროცესი ჩემი გამდიდრების პირობებად. მაგრამ არც ჩემი სისხლმიმოქცევა, არც ჩემი სუნთქვის პროცესი თავისთავად მე სრულებით არ მამდიდრებს, არამედ, პირიქით, ერთიც და მეორეც გულისხმობს ძვირადღირებულ ნივთიერებათა ცვლას, და ეს უკანასკნელი სრულიად აუცილებელი რომ არ იყოს, მაშინ ამ ქვეყნად ღარიბებიც არ იქნებოდა. ამიტომ ფულის უბრალო, უშუალო გაცვლა შრომაზე არც ფულს გადააქცევს კაპიტალად, არც შრომას — მწარმოებლურ შრომად.

მაშ რა არის ყველაზე დამახასიათებელი ამ გაცვლაში? რით განსხვავდება იგი მწარმოებლურ შრომაზე ფულის გაცვლისაგან? ერთი მხრივ — იმით, რომ ფული იხარჯება მოცემულ შემთხვევაში როგორც ფული. როგორც თავისთავადი ფორმა საცვლელი ღირებულებისა, რომელიც უნდა გადაიქცეს რამე სახმარ ღირებულებად, არსებობის საშუალებებად, პირადი მოხმარების საგნად. ფული არ იქცევა აქ კაპიტალად, არამედ, პირიქით, იგი შეწყვეტს საცვლელი ღირებულების სახით არსებობას, რათა დახარჯოს, მოხმარებულ იქნეს სახმარი ღირებულების სახით. მეორე მხრივ, შრომა მაინტერესებს მე აქ მხოლოდ როგორც სახმარი ღირებულება, როგორც მომსახურება, რომლის მეოხებითაც

მაუდი გადაიქცევა შარვლად. — როგორც მომსახურება, რომელსაც მე მიწევს შრომა მისი დამახასიათებელი გარკვეული სასარგებლო ხასიათის გამო.

პირიქით, ის მომსახურება, რასაც იგივე დაქირავებული მკერავი მის დამქირავებელ მკერავ-კაპიტალისტს უწევს, სრულიად არ შეადგენს იმას, რომ იგი მაუდს შარვლად გადააქცევს, არამედ ეს მომსახურება იმაში მდგომარეობს, რომ შარვალში გასაგნობრივებული აუცილებელი სამუშაო დრო უდრის 12 საათს, დაქირავებული მკერავის მიერ მისაღები ხელფასი კი უდრის სულ მხოლოდ 6 საათს. მაშასადამე, მომსახურება, რასაც იგი კაპიტალისტს უწევს, იმაში მდგომარეობს, რომ ის 6 საათი მუშაობს უსასყიდლოდ. ის გარემოება, რომ ეს ხდება შარვლის შეკერვის ფორმით, ფ ა რ ა ვ ს მხოლოდ ნამდვილ ურთიერთობას. ამიტომ პირველი შესაძლებლობისთანავე მკერავი-კაპიტალისტი ცდილობს შარვალი ისევ ფულად გადააქციოს, ე. ი. ისეთ ფორმად, რომელშიც სამკერვალო შრომის გარკვეული ხასიათი უკვალოდ იკარგება, გაწეული მომსახურება კი თავის გამოხატულებას იმაში პოულობს, რომ — ნაცვლად 6 საათის სამუშაო დროისა [1326], რაც გარკვეული ფულადი თანხით არის წარმოდგენილი, — აღმოჩნდება 12 საათის სამუშაო დრო, გამოხატული ორჯერ უფრო მეტი ფულადი თანხით.

მე ვყიდულობ მკერავის შრომას იმ სამსახურისათვის, რაც მან უნდა გამიწიოს სწორედ როგორც მ კ ე რ ა ვ ი ს შ რ ო მ ა მ, მან უნდა დააკმაყოფილოს ჩემი მოთხოვნილება ტანსაცმელზე, მაშასადამე, მოემსახუროს ერთ-ერთ ჩემ მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა ს. მკერავი-კაპიტალისტი ყიდულობს მას როგორც საშუალებას, რომელიც მას შესაძლებლობას აძლევს ერთი ტალერიდან ორი მიიღოს. მე ვყიდულობ მკერავის შრომას იმიტომ, რომ იგი აწარმოებს გარკვეულ სახმარ ღირებულებას, გარკვეულ მომსახურებას ეწევა. კაპიტალისტი ყიდულობს ამ შრომას იმიტომ, რომ იგი იძლევა საცვლელი ღირებულების ისეთ ოდენობას, რომელიც მასზე გაწეულ ხარჯებზე მეტია, ე. ი. იმიტომ, რომ იგი კაპიტალისტისათვის მხოლოდ საშუალებაა ნაკლები შრომის გაცვლისა მეტ შრომაზე.

იმ შემთხვევაში, როცა ფული უშუალოდ იცვლება ისეთ შრომაზე, რომელიც კაპიტალს არ აწარმოებს, ე. ი. ა რ ა მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ შ რ ო მ ა ზ ე, ამ შრომას ყიდულობენ როგორც მ ო მ ს ა ხ უ რ ე ბ ა ს. ეს გამოთქმა საერთოდ სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა იმ განსაკუთრებულ სახმარ ღირებულებას, რომელსაც ეს შრომა იძლევა, მსგავსად ყოველი სხვა შრომისა; მაგრამ ამ შრომის

·განსაკუთრებულმა სახმარმა ღირებულებამ აქ მიიღო სპეციფიკური სახელწოდება «მომსახურებისა» იმიტომ, რომ შრომა მომსახურეობას ეწევა არა ნივთის სახით, არამედ მოქმედების სახით, — რაც, თუმცა სრულებით არ განასხვავებს მას, ვთქვათ, რომელიმე მანქანისაგან, მაგალითად, საათისაგან. Do ut facias, facio ut facias, facio ut des, do ut des [164] თავისი დანიშნულებით აქ სავსებით ერთნაირი ფორმებია ერთი და იმავე ურთიერთობისა, მაშინ როდესაც კაპიტალისტურ წარმოებაში do ut facias გამოხატავს უაღრესად სპეციფიკურ ·ურთიერთობას ნივთობრივი ფორმის მქონე გასაცემ ღირებულებასა და მისათვისებელ ცოცხალ მოქმედებას შორის. ამიტომ, რადგან მომსახურებათა ყიდვა სრულიად არ შეიცავს შრომისა და კაპიტალის სპეციფიკურ ურთიერთობას, — აქ ეს ურთიერთობა ან მთლიანად წაშალა, ანდა სრულიად არ არის, — ამიტომ მომსახურებათა ყიდვა, სეისთვის, ბასტიასთვის და მთელი მათი კომპანიისათვის, რა თქმა უნდა, აჩემებული ფორმაა კაპიტალისა და შრომის ურთიერთობის გამოსახატავად.

თუ როგორ დგინდება ამ მომსახურებათა ღირებულება და როგორ განისაზღვრება თვით ეს ღირებულება ხელფასის კანონებით, — ეს არის საკითხი, რომელიც სრულიად არ ეკუთვნის ჩვენ მიერ აქ შესწავლილი ურთიერთობის გამოკვლევას და რომელიც განხილული იქნება ხელფასის შესახებ მოცემულ თავში.

ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ ფულის მარტოოდენ გაცვლა შრომაზე ჯერ კიდევ ვერ გადააქცევს ამ უკანასკნელს მწარმოებლურ შრომად და რომ, ერთი მხრივ, ამ შრომის შინაარსი, საკითხისადმი პირველი მიდგომისას, უმნიშვნელო რამაა.

მუშას თვით შეუძლია იყიდოს შრომა, ე. ი. საქონელი, რომელიც მომსახურების ფორმით მიიღება, და მისი ხელფასის ხარჯვა ასეთ მომსახურებაზე არაფრით არ განსხვავდება რომელიმე სხვა საქონლის ყიდვაზე ხელფასის დახარჯვისაგან. მომსახურებანი, რომელთაც მუშა ყიდულობს, შეიძლება იყოს უფრო აუცილებელი ან ნაკლებ აუცილებელი: მუშას შეუძლია, მაგალითად, იყიდოს ექიმის მომსახურება ან ხუცესის მომსახურება, სავსებით ისევე, როგორც მას შეუძლია იყიდოს თავისთვის პუერი ან არაყი. როგორც მყიდველი, — ე. ი. როგორც წარმომადგენელი საქონლისადმი დაპირისპირებული ფულისა, — მუშა ეკუთვნის იმავე კატეგორიას, რომელსაც კაპიტალისტი ეკუთვნის იმ შემთხვევებში, როცა იგი გამოდის მხოლოდ მყიდველის როლში, ე. ი. როცა საქმე მხოლოდ

იმაზე დგება, რომ ფული გადაყვანილ იქნეს საქონლის ფორმაში. თუ როგორ განისაზღვრება ამ მომსახურებათა ფასი და როგორია მისი დამოკიდებულება ხელფასისადმი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, რამდენად რეგულირდება იგი ხელფასის კანონებით, რამდენად გადაიხრება იგი მათგან, — ყველა ეს საკითხი განხილული იქნება გამოკვლევაში, რომელიც ხელფასს შეეხება, და ამ გამოკვლევას კი ეს საკითხები არ ეკუთვნის.

თუ, ამრიგად, მარტოოდენ ფულის გაცვლა შრომაზე ჯერ კიდევ ვერ გადააქცევს ამ უკანასკნელს მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ შ რ ო მ ა დ, ანდა, რაც იგივეა, ვერ გადააქცევს ფულს კაპიტალად, — მეორე მხრივ, შრომის შ ი ნ ა ა რ ს ი ც, მისი კონკრეტული ხასიათი, მისი განსაკუთრებული სარგებლიანობა, დასაწყისში რაღაც უმნიშვნელო რამედ გვეგლინება: ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რომ იმავე მკერავის იგივე შრომა ერთ შემთხვევაში წარმოგვიდგება როგორც მწარმოებლური შრომა, მეორეში კი — როგორც არამწარმოებლური.

გარკვეული სახის მ ო მ ს ა ხ უ რ ე ბ ა ნ ი, სხვა სიტყვებით: ს ა ხ მ ა რ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი, რომლებიც გარკვეული სახის მოქმედების ან შრომის შედეგს წარმოადგენენ, განსახიერდებიან ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ს ა ქ ო ნ ე ლ შ ი, სხვა მომსახურებანი კი, პირიქით, არ ტოვებენ ხელშესახებ შედეგებს, რომლებიც ამ მომსახურებათა შემსრულებელთაგან გ ა ნ ც ა ლ კ ე ვ ე ბ ი თ ა რ ს ე ბ ო ბ ე ნ; სხვანაირად რომ ვთქვათ, მათი შედეგი არ არის გ ა ს ა ყ ი დ ა დ ვ ა რ გ ი ს ი ს ა ქ ო ნ ე ლ ი. ასე, მაგალითად, მომსახურება, რომელსაც მე მომღერალი მიწევს, აკმაყოფილებს ჩემ ესთეტიკურ მოთხოვნილებას; მაგრამ ის, რითაც მე ვტკბები, არსებობს მხოლოდ თვით მომღერლისაგან განუყრელი ნოქმედების სახით, და როგორც კი მისი შრომა, ე. ი. სიმღერა, შეწყდება, შეწყდება აგრეთვე დატკბობაც, რასაც მე განვიცდი; მე ვტკბები თვით მოქმედებით — ჩემს სმენაზე მისი ზემოქმედებით. თავისთავად ეს მომსახურებანი, ისევე როგორც ჩემ მიერ ნაყიდი საქონელი, შეიძლება იყვნენ მართლაც აუცილებელნი ანდა გვეჩვენებოდნენ მხოლოდ ასეთებად — როგორც, მაგალითად, ჯარისკაცის, ექიმის, ადვოკატის მომსახურებანი, — ანდა ისინი შეიძლება იყვნენ ისეთი მომსახურებანი, რომლებიც მე სიამოვნებას მგვრიან. მაგრამ ამით სრულიად არ იცვლება მათი ეკონომიური ხასიათი. თუ მე ჯანმრთელი ვარ და ექიმის დახმარება არ მჭირდება ანდა თუ მე ბედი მწყალობს და სასამართლო პროცესების წარმოება არ მიხდება, მაშინ ექიმებისა

და იურისტების მომსახურება'ზე ფულის ხარჯვას ისე ვერიდები, როგორც შავ ჭირს.

[1328][165] მ ო მ ს ა ხ უ რ ე ბ ა შეიძლება აგრეთვე იყოს თავსმოხვეული, მაგალითად, მ ო ხ ე ლ ე თ ა მ ო მ ს ა ხ უ რ ე ბ ა ნ ი და ა. შ.

თუ მე მასწავლებლის მომსახურებას ვყიდულობ — ან სხვები ყიდულობენ მას ჩემთვის — არა იმ მიზნით, რომ ჩემი ნიჭი განვავითარო, არამედ იმ მიზნით, რომ შევიძინო გარკვეული მოხერხება, რაც ფულის შოვნის შესაძლებლობას მომცემს, და თუ მე ამასთან ნამდვილად რაიმეს ვითვისებ, — რაც თავისთავად სრულებით არ არის დამოკიდებული იმ საზღაურზე, რომელსაც მასწავლებელი მის მიერ გაწეული მომსახურებისათვის იღებს, — მაშინ ამ სწავლების ხარჯები, მსგავსად ჩემი შესანახი ხარჯებისა, ჩემი სამუშაო ძალის წარმოების ხარჯებში შედის. მაგრამ ამ მომსახურების განსაკუთრებული სარგებლიანობა ს რ უ ლ ე ბ ი თ ი ა რ ც ვ ლ ი ს მ ო ც ე მ უ ლ ე კ ო ნ ო მ ი უ რ ურ თ ი ერ თ ო ბ ა ს; ფული აქ არ გადაიქცევა კაპიტალად, სხვა სიტყვებით: მომსახურების შემსრულებლის, მასწავლებლის მიმართ მე არ ვხდები კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ი, არ ვხდები მისი მეპატრონე. ამიტომაც ამ ურთიერთობის ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი ხ ა ს ი ა თ ი სრულებით არ არის იმაზე დამოკიდებული, მომარჩენს თუ არა ექიმი, წარმატებით მასწავლის თუ არა მასწავლებელი, მოიგებს თუ არა ჩემს საქმეს ადვოკატი. აქ ნაზღაურდება მომსახურება როგორც ასეთი, მაგრამ თვით მისი ბუნების მიხედვით მისი შედეგი არ შეიძლება გარანტირებული იყოს მომსახურების შემსრულებლის მიერ. მ ო მ ს ა ხ უ რ ე ბ ა თ ა მნიშვნელოვანი ნაწილის ანაზღაურება ეკუთვნის საქონლის მ ო ხ მ ა რ ე ბ ა ს თ ა ნ დაკავშირებულ ხარჯებს; ასეთია, მაგალითად, მზარეულის, დამლაგებელი ქალის და ა. შ. მომსახურებანი.

ა რ ა მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი შ რ ო მ ი ს ყველა სახეობის დამახასიათებელია ის, რომ მე შემიძლია მათი გამოყენება, — როგორც ეს ხდება ყველა დანარჩენი საქონლის ყიდვისას მოხმარების მიზნით, — მხოლოდ იმ ზომით, რა ზომითაც მე მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი მ უ შ ე ბ ი ს ექსპლოატირებას ვეწევი. ამიტომ მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ მ უ შ ა ს ყველაზე ნაკლებად აქვს არამწარმოებელი მუშაკების მ ო მ ს ა ხ უ რ ე ბ ა თ ა გამგებლობის შესაძლებლობა, თუმცა მას ყველაზე მეტის გადახდა უხდება მისთვის თ ა ვ ს მ ო ხ ვ ე უ ლ მომსახურებათათვის (სახელმწიფო, გადასახადები). პირიქით, მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი მ უ შ ე ბ ი ს შრომის გამოყენების შესაძლებ-

ლობა სრულიადაც არ მატულობს ჩემთვის იმის პროპორციულად, თუ რამდენად ვიყენებ მე არამწარმოებელი მუშების შრომას; აქ, პირიქით, ადგილი აქვს უკუპროპორციულ დამოკიდებულებას.

მწარმოებელი მუშებიც კი შეიძლება ჩემს მიმართ არამწარმოებელი მუშაკები იყვნენ. თუ მე, მაგალითად, ჩემი სახლის ოთახებს ქსოვილის შპალერს ვაკრავ, ამასთან მეშპალერეები იმ მეწარმის დაქირავებული მუშები არიან, რომელიც ჩემს შეკვეთას ასრულებს, მაშინ ჩემთვის საქმის ვითარება ზუსტად იგივეა, თითქოს მე უკვე შპალერგაკრული სახლი ვიყიდე, ე. ი. ფული დავხარჯე ისეთ საქონელზე, რომელიც ჩემთვის მოხმარების საგანს წარმოადგენს. მაგრამ მეწარმისათვის, რომელიც ამ მუშებს შპალერს აკერვინებს, ისინი მწარმოებელი მუშები არიან, რადგან მისთვის ზედმეტ ღირებულებას აწარმოებენ. [1328]

* * *

[1333] თუ რამდენად არამწარმოებლურია კაპიტალისტური წარმოების თვალსაზრისით შრომა იმ მუშისა, რომელიც, თუმცა კი აწარმოებს გასაყიდად ვარგის საქონელს, მაგრამ მხოლოდ მისი საკუთარი სამუშაო ძალის ღირებულების ოდენობით, — იმ მუშისა, რომელიც, მაშასადამე, არ ქმნის ზედმეტ ღირებულებას კაპიტალისათვის, — ეს უკვე რიკარდოს ნაწარმოების იმ ადგილებიდან ჩანს, სადაც ნათქვამია, რომ თვით არსებობა ამგვარი ადამიანებისა წარმოადგენს ტვირთს[166]. ასეთია კაპიტალის თეორია და პრაქტიკა:

«როგორც თეორია კაპიტალისა, ისე პრაქტიკაც, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ შრომის ხანგრძლივობა დაიყვანება იმ წერტილამდე, რომელზეც შრომას, გარდა მუშის შესანახი ხარჯებისა, შეუძლია აწარმოოს კიდევ მოგებაც კაპიტალისტისათვის. ეწინააღმდეგება, ჩანს, წარმოების მარგეულირებელ ბუნებრივ კანონებს» (Th. Hodgskin. Popular Political Economy. London, 1827, გვ. 238). [1333]

* * *

[1336] ჩვენ დავინახეთ: კაპიტალისტური წარმოების პროცესი — ეს არა მარტო საქონელთა წარმოების პროცესია, არამედ ზედმეტი ღირებულების წარმოების პროცესიც, ზედმე-

ტი შრომის შთანთქმა და, მაშასადამე, კაპიტალის წარმოების პროცესი. ფულსა და შრომას შორის — ანუ კაპიტალსა და შრომას შორის — გაცვლის პირველი, ფორმალური აქტი მხოლოდ შესაძლებლობით წარმოადგენს სხვისი ცოცხალი შრომის მითვისებას გასაგნობრივებული შრომის სამუალებით. მითვისების ნამდვილი პროცესი მიმდინარეობს მხოლოდ ნამდვილი წარმოების პროცესში, რომლისთვისაც უკვე განვლილ ეტაპს წარმოადგენს აღნიშნული პირველი, ფორმალური გარიგება, სადაც კაპიტალისტი და მუშა ერთმანეთს უპირისპირდებიან უბრალოდ როგორც საქონელმფლობელნი, ურთიერთდამოკიდებულებაში არიან როგორც მყიდველი და გამყიდველი. ამიტომაც ყველა ვულგარული ეკონომისტი, მაგალითად, ბასტია, არ სცილდება ამ პირველ, ფორმალურ გარიგებას, — სწორედ იმიტომ, რომ თაღლითურად დააღწიოს თავი სპეციფიკურად კაპიტალისტურ ურთიერთობას. ფულსა და არამწარმოებლურ შრომას შორის გაცვლაში ეს სხვაობა სრული სიცხადით მეღავნდება. აქ ფულისა და შრომის ერთმანეთზე გაცვლა ხდება მხოლოდ საქონელთა სახით. მაშასადამე. ეს გაცვლა არ ქმნის კაპიტალს, არამედ შემოსავლის ხარჯვას. წარმოადგენს. (1336)

[3) ხელოსნებისა და გლეხების შრომა კაპიტალისტურ საზოგადოებაში]

[1328] როგორია საქმის ვითარება იმ დამოუკიდებელი ხელოსნებისა და გლეხების მიმართ, რომელთაც არ ჰყავთ დაქირავებული მუშები და რომლებიც, მაშასადამე, აწარმოებენ არა, როგორც კაპიტალისტები? ისინი, — რაც ტიპიურია გლეხისთვის [მაგრამ არ შეეხება, ვთქვათ, მებაღეს, რომელსაც პირადად ჩემთვის ვქირაობ], — შეიძლება იყვნენ საქონელმწარმოებელნი, და მაშინ მათგან მე ვყიდულობ საქონელს, ამასთან საქმე სრულებით არ იცვლება იმით, რომ ხელოსანი თავის საქონელს შეკვეთით ამზადებს, გლეხი კი თავის საქონელს მაწვდის იმ საშუალებათა კვალობაზე, რაც მას გააჩნია. ამ შემთხვევაში ისინი ჩემთან გარკვეულ ურთიერთობაში დგებიან როგორც საქონლის გამყიდველნი და არა როგორც შრომის გამყიდველნი, და, მაშასადამე. ამ ურთიერთობას სრულებით არაფერი აქვს საერთო კაპიტალის შრომაზე გაცვლასთან, მაშასადამე, ამ ურთიერთობას არ მიუდგება განსხვავება მწარმოებლურ და არამწარმოებლურ

შ რ ო მ ა ს შორის, — განსხვავება, რომელიც დამყარებულია იმაზე, იცვლება შრომა ფულზე როგორც ასეთზე თუ ფულზე როგორც კაპიტალზე. ამიტომ გლეხებისა და ხელოსნების შრომა არ მიეკუთვნება არც მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი შ რ ო მ ი ს კატეგორიას, არც ა რ ა მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი შ რ ო მ ი ს კატეგორიას, თუმცა ისინი საქონელმწარმოებელნი არიან. მაგრამ ესენი ისეთი საქონელმწარმოებელნი არიან, რომელთა წარმოება არ ექვემდებარება კაპიტალისტურ წარმოების წესს.

შესაძლებელია, საკუთარი წარმოების საშუალებებით მომუშავე მწარმოებელნი არა მარტო აკვლავწარმოებენ თავიანთ სამუშაო ძალას, არამედ ქმნიან კიდეც ზედმეტ ღირებულებას, ამასთან მათი მდგომარეობა შესაძლებლობას აძლევს მათ მიითვისონ თავიანთი საკუთარი ზედმეტი შრომა ანდა ნაწილი ამ შრომისა (რადგან დანარჩენ ნაწილს მათ გადასახადებისა და სხვათა ფორმით ართმევენ). აქ ჩვენ წარმოგვიდგება ერთი თავისებურება, დამახასიათებელი ისეთი საზოგადოებისათვის, რომელშიც გარკვეული წარმოების წესი გაბატონებულია, თუმცა, ჯერ კიდევ მოცემული საზოგადოების ყველა წარმოებითი ურთიერთობა როდი ექვემდებარება ამ წარმოების წესს. ასე, მაგალითად, ფეოდალურ საზოგადოებაში ფეოდალური სახე მიიღო ისეთმა ურთიერთობამაც კი, რომელიც ძლიერ დაშორებულია თვით ფეოდალიზმის დედაარსს (ყველაზე უკეთ ამის შესწავლა შეიძლება ინგლისის მაგალითზე, იმიტომ რომ ფეოდალური სისტემა იქ გადატანილ იქნა ნორმანდიიდან მზა სახით და მისმა ფორმებმა თავიანთი ბეჭედი დაასვეს იქ არსებულ საზოგადოებრივ წყობას, რომელიც მრავალმხრივ განსხვავდებოდა მისგან). მაგალითად, ფეოდალური სახე მიიღო წმინდა ფულადმა ურთიერთობამ, სადაც საქმე სრულიადაც არ შეეხება სიუზერენისა და ვასალის ურთიერთ პირად მომსახურებას. ილუსტრაციად გამოდგება აგრეთვე ფიქცია, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ წვრილი გლეხი თავის მიწის ნაკვეთს ფლობს ლენის სახით.

სავსებით ასეთივე ვითარებაა კაპიტალისტური წარმოების წესის დროს. დამოუკიდებელი გლეხი ან ხელოსანი ორ პიროვნებად იყოფა *. როგორც წარმოების საშუალებათა მფლობელი, იგი კაპიტალისტია, როგორც მუშა — თავისი საკუთარი დაქირავებული მუ-

* «წვრილ საწარმოებში... მ ე წ ა რ მ ე ხშირად არის ხოლმე თავისი ს ა კ უ თ ა რ ი მ უ შ ა» (შ ტ ო რ ხ ი [«Cours d'économie politique»], ტომი I, გვ. 242. პეტერბურგის გამოცემა).

შაა. ამრიგად, იგი, როგორც კაპიტალისტი, თავის თავს უხდის ხელ-ფასს და მოგებას იღებს თავისი კაპიტალიდან, ე. ი. ექსპლოატაციას უწევს თავის თავს როგორც დაქირავებულ მუშას და, ზედმეტი ღირებულების სახით, თავის თავს უხდის იმ ხარკს, რომელიც შრომამ იძულებითი წესით კაპიტალს უნდა აძლიოს. ასევე შეიძლება მოხდეს, რომ იგი, როგორც მიწათმფლობელი, თავის თავს უხდის კიდევ გარკვეულ მესამე ნაწილსაც (რენტას), მსგავსად იმისა, — ჩვენ შემდგომში დავინახავთ ამას [167], — როგორც მრეწველი კაპიტალისტი, რომელიც თავის საწარმოში თავის საკუთარ [1329] კაპიტალს იყენებს, თავის თავს უხდის სარგებელს და ამასთან თვლის, რომ ეს მას ერგება არა როგორც მრეწველ კაპიტალისტს, არამედ როგორც უბრალოდ კაპიტალისტს.

ის გარკვეული საზოგადოებრივი ხასიათი, რომელსაც გარკვეული წარმოებითი ურთიერთობის გამომხატველი წარმოების საშუალებები იძენენ კაპიტალისტური წარმოების პირობებში, იმდენად შეეზარდა ამ წარმოების საშუალებათა — როგორც წარმოების საშუალებათა — მატერიალურ ყოფიერებას, რომ აღნიშნულ საზოგადოებრივ ხასიათს (გარკვეული კატეგორიის სახით გამოხატულს) ისეთ ურთიერთობასაც კი მიაწერენ, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება მას. წარმოების საშუალებანი კაპიტალად იქცევა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი, გამოცალკევებულნი, უპირისპირდებიან შრომას დამოუკიდებელი ძალის სახით. ზემოაღნიშნულ შემთხვევაში კი მწარმოებელი — მუშაკი — თავის წარმოების საშუალებათა მფლობელია. მათი მესაკუთრეა. მაშასადამე, ეს წარმოების საშუალებანი არ წარმოადგენენ კაპიტალს, და მუშაკი არაეთარ შემთხვევაში არ უპირისპირდება მათ როგორც დაქირავებული მუშა. მიუხედავად ამისა ეს წარმოების საშუალებანი კაპიტალად განიხილება, თვით მუშაკი კი გაორებულია, — გამოდის, რომ ი გ ი კაპიტალისტის სახით თავის თავს ქირაობს როგორც მუშას.

წარმოდგენის ასეთი წესი, რაგინდ ირაციონალურადაც გეეჩვენებოდეს იგი პირველი შეხედვით, მაინც ნამდვილად რაღაც მართებულს გამოხატავს შემდეგი აზრით. განსახილველ შემთხვევაში მწარმოებელი ქმნის, მართლაც, თავის საკუთარ ზედმეტ ღირებულებას ⟨ იგულისხმება, რომ მწარმოებელი თავის საქონელს ყიდის ღირებულების მიხედვით ⟩, სხვა სიტყვებით: მთელ მის პროდუქტში გასაგნობრივებულია მხოლოდ მისი საკუთარი შრომა. მაგრამ ის ფაქტი, რომ მას შეუძლია მიითვისოს თ ა ვ ი ს თ ვ ი ს თა-

ვისი საკუთარი შრომის მთელი პროდუქტი, რომ მესამე პირი, მ ე პ ა ტ რ ო ნ ე, არ ითვისებს მისი პროდუქტის ღირებულების ნამეტს მისი შრომის საშუალო ფასთან შედარებით, ვთქვათ, ერთი დღის განმავლობაში, — ეს ფაქტი უნდა მიეწეროს არა მის შრომას (ამ მხრივ იგი არაფრით არ განსხვავდება სხვა მუშებისაგან), არამედ იმ გარემოებას, რომ იგი ფლობს წარმოების საშუალებებს. მაშასადამე, მხოლოდ იმის მეოხებით, რომ იგი წარმოების საშუალებათა მესაკუთრეა, მას ერგება მისი საკუთარი ზედმეტი შრომა, და ამ აზრით იგი როგორც თავისი საკუთარი კაპიტალისტი მიმართებაშია თავის თავთან როგორც დაქირავებულ მუშასთან.

გ ა თ ი შ ვ ა ახლანდელ საზოგადოებაში გვევლინება როგორც ნორმალური ურთიერთობა. ამიტომ იქ, სადაც ეს გათიშვა სინამდვილეში არ არის, იგი იგულისხმება, და, როგორც ეს ახლახან იყო ნაჩვენები, ეს გარკვეული აზრით მართებულია; ვინაიდან (მაგალითად, ძველი რომის, ნორვეგიის და აგრეთვე ამერიკის — შეერთებული შტატების ჩრდილო-დასავლეთში — საზოგადოებრივი ურთიერთობისაგან განსხვავებით) შ ე ე რ თ ე ბ ა გვევლინება აქ როგორც შემთხვევითი რამ, გ ა თ ი შ ვ ა კი — როგორც ნორმალური რამ, და ამიტომ გათიშვა საფუძვლად ედება როგორც გარკვეული ურთიერთობა იქაც კი, სადაც ერთ პიროვნებაში გაერთიანებულია სხვადასხვა ფუნქცია. აქ სავსებით ნათლად მეღავნდება ის ფაქტი, რომ კაპიტალისტი როგორც ასეთი არის მხოლოდ ფუნქცია კაპიტალისა, მუშა კი — ფუნქცია სამუშაო ძალისა. თანაც კანონია ის, რომ ეკონომიური განვითარების პროცესში ეს ფუნქციები იყოფა სხვადასხვა პირებს შორის და რომ ხელოსანი — ან გლეხი, — თავისი საკუთარი წარმოების საშუალებებით რომ აწარმოებს, ან თანდათან გადაიქცევა წვრილ კაპიტალისტად, რომელიც უკვე სხვისი შრომის ექსპლოატაციას ეწევა, ანდა კარგავს თავის წარმოების საშუალებებს ; უფრო ხშირად ხდება ეს უკანასკნელი, თუნდაც რომ იგი დარჩეს კიდეც წარმოების საშუალებათა ნ ო მ ი ნ ა ლ უ რ მესაკუთრედ, როგორც, მაგალითად, გლეხი იპოთეკური დავალიანების დროს ; და გადაიქცევა დაქირავებულ მუშად. ასეთია განვითარების ტენდენცია იმ საზოგადოებრივ ფორმაციაში, რომელშიც კაპიტალისტური წარმოების წესი ბატონობს.

[ზ) დამატებითი დახასიათება მწარმოებლური შრომისა როგორც ისეთი შრომისა, რომელიც მატერიალურ სიმდიდრეში საგნობრივდება]

კაპიტალისტური წარმოების არსებითი ურთიერთობის შესწავლისას შეიძლება, ამრიგად, დავუშვათ, { რადგან კაპიტალისტური წარმოება ამას სულ უფრო უახლოვდება; რადგან ეს პროცესის ძირითადი მიმართულებაა და რადგან მხოლოდ ამ პირობებში აღწევს შრომის მწარმოებლური ძალების განვითარება ყველაზე მაღალ წერტილს }, რომ საქონელთა მთელი სამყარო, მატერიალური წარმოების — მატერიალური სიმდიდრის წარმოების — ყველა დარგი ექვემდებარება (ფორმალურად ან რეალურად) კაპიტალისტურ წარმოების წესს. ამ ვარაუდის მიხედვით, რომელიც აღნიშნული პროცესის ზღვარს გამოხატავს და რომელიც, მაშასადამე, სულ უფრო უახლოვდება იმას, რომ სინამდვილის ზუსტი გამოსახვა გახდეს, საქონელთა წარმოებაში დასაქმებული ყველა მუშა დაქირავებული მუშაა, წარმოების საშუალებანი კი მატერიალური წარმოების ყველა დარგში ამ მუშებს უპირისპირდებიან როგორც კაპიტალი. ამის შესაბამისად მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი მ უ შ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, ე. ი. მუშებისათვის, რომლებიც კაპიტალს აწარმოებენ, შეიძლება დამახასიათებლად მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ მათი შრომა საგნობრივდება ს ა ქ ო ნ ე ლ შ ი, მატერიალურ სიმდიდრეში. და ამრიგად მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი შ რ ო მ ა, — გარდა თავისი გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე, დამახასიათებელი ნიშნისა, რომელიც სრულიად გულგრილია შ რ ო მ ი ს შ ი ნ ა ა რ ს ი ს მიმართ და რომელიც ამ შინაარსზე არ არის დამოკიდებული, — გარდა ამ ნიშნისა, მწარმოებლური შრომა იძენს აღნიშნული ნიშნისაგან განსხვავებულ მეორე, დამატებითს დახასიათებას.

[თ) კაპიტალიზმის გამოვლენანი არამატერიალური წარმოების დარგში]

არამატერიალურ წარმოებაში, — იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი მხოლოდ გაცვლისათვის არის განკუთვნილი და, მაშასადამე, საქონელს აწარმოებს, — შესაძლებელია ორი შემთხვევა:

1) ამ წარმოების შედეგია ისეთი ს ა ქ ო ნ ე ლ ი, ისეთი სახმარი ღირებულებანი, რომელთაც გააჩნიათ თავისთავადი ფორმა, გამოცალკევებული როგორც მწარმოებლის მიმართ, ისე მომხმარებლის

მიმართაც, — რომელთაც, მაშასადამე, შესწევთ იმის უნარი. რომ შეინარჩუნონ თავიანთი არსებობა წარმოებასა და მოხმარებას შორის მდებარე დროის შუალედში და, ამრიგად, შეუძლიათ ამ დროის განმავლობაში გასაყიდად ვარგის საქონელთა სახით შეასრულონ მიმოქცევა; ასეთებია, მაგალითად, წიგნები, სურათები და საერთოდ ხელოვნების ყველა ნაწარმოები, რომლებიც მათი შემქმნელი მხატვრის მხატვრული მოღვაწეობისგან განცალკევებით არსებობენ. აქ კაპიტალისტური წარმოება შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ ძლიერ შეზღუდული მასშტაბით, — მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა რომელიმე ლიტერატორი რაიმე კოლექტიური ნაწარმოებისათვის, ვთქვათ, ენციკლოპედიისათვის, ექსპლოატაციას უწევს მრავალ სხვა ავტორს ხელქვეითი მუშაკების სახით. [1330] უმრავლეს შემთხვევაში აქ საქმე შემოიფარგლება კაპიტალისტურ წარმოებაზე გარდამავალი ფორმით, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ სხვადასხვა სახის მეცნიერულ და მხატვრულ წარმოებაში ჩაბმული ადამიანები, თავიანთი საქმის ხელოსნები ანდა ოსტატები, მუშობენ წიგნით მოვაჭრეთა ერთობლივი სავაჭრო კაპიტალისათვის, — ურთიერთობა, რომელსაც საერთო არაფერი აქვს კაპიტალისტურ წარმოების წესთან ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით და რომელიც ჯერ კიდევ არ ექვემდებარება მას ფორმალურადაც კი. ის გარემოება, რომ სწორედ ამ გარდამავალ ფორმებში შრომის ექსპლოატაცია უაღრეს ხარისხს აღწევს, სრულებით არ ცვლის საქმის არსებას.

2) წარმოებული პროდუქტი განუყრელია იმ აქტისაგან, რომელშიც იგი იწარმოება, როგორც ეს ხდება ყველა მხატვარ-შემსრულებლის, ორატორის, მსახიობის, მასწავლებლის, ექიმის, ხუცესის და ა. შ. მოსაქმეობაში. კაპიტალისტური წარმოების წესი აქაც პოულობს გამოყენებას მხოლოდ მცირე მასშტაბით და ბუნებრივი ამბავია, რომ მისი გამოყენება მხოლოდ ზოგიერთ სფეროში შეიძლება. მაგალითად, მასწავლებლებს შეუძლიათ იყვნენ სასწავლო დაწესებულებებში უბრალო დაქირავებულ მუშებად მეწარმისათვის, სასწავლო დაწესებულების მფლობელისათვის; ასეთი სახის სასწავლო ფაბრიკები ფრიად მრავალრიცხოვანია ინგლისში. თუმცა თავიანთი მოწაფეების მიმართ ამ მასწავლებელთა შრომა სრულებით არ წარმოადგენს მწარმოებლურ შრომას, მაგრამ ასეთია მათი შრომა მათი დამქირავებელი მეწარმის მიმართ. ეს უკანასკნელი თავის კაპიტალს ცვლის მათს სამუშაო ძალაზე და ამ პროცესის მეოხებით მდიდრდება. ამავე გზით მდიდრდებიან აგრეთვე

თეატრების, გასართობ დაწესებულებათა და ა. შ. ანტრეპრენიორები. მაყურებელთა მიმართ მსახიობი გამოდის აქ როგორც ხელოვანი, მაგრამ თავისი მეწარმისათვის იგი მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი მუ შ ა კ ი ა. კაპიტალისტური წარმოების ეს გამოვლენანი მოცემულ სფეროში ისე უმნიშვნელოა შედარებით მთლიანად აღებულ წარმოებასთან, რომ შეიძლება ისინი სრულიად ყურადღების გარეშე დავტოვოთ.

[ი) მწარმოებლური შრომის პროგლემა მატერიალური წარმოების ერთიანი პროცესის თვალსაზრისით]

სპეციფიკური კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარებასთან ერთად, სადაც მუშების მნიშვნელოვანი რიცხვი ერთად აწარმოებს ერთსა და იმავე საქონელს, აუცილებლად მეტად მრავალნაირი ხდება, და თქმა უნდა, ის დამოკიდებულება, რაც უშუალოდ არსებობს ამა თუ იმ მუშების შრომასა და წარმოების საგანს შორის. მაგალითად, ზემოხსენებულ შავ მუშებს ფაბრიკაში[168] სრულებით არა აქვთ პირდაპირი დამოკიდებულება ნედლეულის დამუშავებასთან. რამდენადმე უფრო შორს დგანან მუშები, რომლებიც ახორციელებენ ზედამხედველობას ამ მასალების უშუალოდ გადამმუშავებელ მუშებზე. ინჟინრის დამოკიდებულება კვლავ სხვაგვარია, და იგი უმთავრესად მხოლოდ თავით მუშაობს — და ა. შ. მაგრამ ე რ თ ო ბ ლ ი ო ბ ა ყ ვ ე ლ ა ამ მ უ შ ა კ ე ბ ი ს ა, რომელთაც განსხვავებული ღირებულების სამუშაო ძალა გააჩნიათ (თუმცა გამოყენებული შრომის მთელი მასა დაახლოებით ერთ დონეზე იმყოფება), ისეთ შედეგს აწარმოებს, — თუ განვიხილავთ უბრალოდ აღებული შრომის პროცესის შ ე დ ე გ ს, — რომელიც თავის გამოხატულებას პოულობს ს ა ქ ო ნ ე ლ ს ი, რაიმე მ ა ტ ე რ ი ა ლ ურ პ რ ო დ უ ქ ტ ს ი. ეს მუშები ყველანი ერთად, ერთი საწარმოო კოლექტივის სახით, წარმოადგენენ ცოცხალ მანქანას ამ პროდუქტების საწარმოებლად, — მსგავსად იმისა, როგორც ისინი, თუ მთლიანად აღებულ წარმოების პროცესს განვიხილავთ, თავიანთ შრომას ცვლიან კაპიტალზე და აკვლევწარმოებენ კაპიტალისტის ფულს როგორც კაპიტალს, ე. ი. როგორც თვითმზარდ, მატებად ღირებულებას.

კაპიტალისტური წარმოების წესის დამახასიათებელ ნიშანს სწორედ ის შეადგენს, რომ იგი ერთიმეორისაგან თიშავს შრომის სხვადასხვა სახეობას, მაშასადამე, განაცალკევებს აგრეთვე გონებ-

რივსა და ფიზიკურ შრომას — ანდა შრომის იმ სახეობებს, რომ-ლებშიც ესა თუ ის მხარე ჭარბობს, — და ანაწილებს მათ სხვადა-სხვა ადამიანებს შორის. მაგრამ ეს ხელს არ უშლის იმას, რომ მატერიალური პროდუქტი წარმოადგენდეს ყველა ამ ადამიანის ერთობლივი შრომის პროდუქტს, ანუ — რაც იგი-ვეა — ხელს არ უშლის მათი ერთობლივი შრომის პროდუქტს ვასაგნობრივდეს მატერიალურ სიმდიდრეში; მეორე მხრივ, ეს განცალკევება სრულებით არ უშლის ხელს აგრეთვე იმასაც, რომ ცალკე ალებული თვითეული ამ ადამიანის დამოკიდებულება კაპიტალისადმი უცვლელად რჩება დაქირავებული მუშის დამოკიდებულებად, მწარმოებელი მუშის დამოკიდებულებად ამ სპეციფიკური მნიშვნელობით. ეს ადამიანები ყველანი არა მარტო უშუალოდ მონაწილეობენ მატერიალური სიმდიდრის წარმოებაში, არამედ თავიანთ შრომას უშუალოდ ცვლიან კიდეც ფულზე როგორც კაპიტალზე და ამიტომ არა მარტო აკვლავწარმოებენ თავიანთ ხელფასს, არამედ უშუალოდ ქმნიან კიდევ ზედმეტ ღირებულებას კაპიტალისტისათვის. მათი შრომა შედგება ფასგადახდილი შრომისაგან პლუს ფასგადაუხდელი, ზედმეტი შრომა.

[3) სატრანსპორტო მრეწველობა როგორც მატერიალური წარმოების დარგი. მწარმოებლური შრომა სატრანსპორტო მრეწველობაში]

მომპოვებელი მრეწველობის, მიწათმოქმედებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის გარდა არსებობს კიდევ მატერიალური წარმოების მეოთხე სფერო, რომელიც თავის განვითარებაში გაივლის აგრეთვე წარმოების სხვადასხვა საფეხურს: ხელოსნურს, მანუფაქტურულსა და მანქანურს. ეს არის სატრანსპორტო მრეწველობა. სულ ერთია, ადამიანები გადაჰყავს მას თუ საქონელი გადააქვს. მწარმოებლური შრომის, ე. ი. დაქირავებული მუშის, ურთიერთობა კაპიტალთან აქ საკუთრივ ისეთივეა, რაც მატერიალური წარმოების სხვა სფეროებშიც. შემდეგ, აქ შრომის საგანი განიცდის გარკვეულ მატერიალურ ცვლილებას — სივრცეული ცვლილების, ადგილის შეცვლის მნიშვნელობით. როცა ლაპარაკია ადამიანთა გადაყვანაზე, ეს ადგილცვლა მხოლოდ მომსახურეობაა, რომელსაც მათთვის მეწარმე ასრულებს. მაგრამ ამ მომსახურების მყიდველებსა და მის გამყიდველებს შორის ურთიერთობას ისევე ცოტა საერთო აქვს მწარმოებელი მუშების კაპიტალი-

სადმი დამოკიდებულებასთან, როგორც ნართის გამყიდველებსა და მის მყიდველებს შორის არსებულ დამოკიდებულებას.

თუკი ამ პროცესს საქონელთა მიმართ განვიხილავთ, მაშინ [1331] აქ შრომის პროცესში შრომის საგანი, საქონელი, ნაძდვილად განიცდის გარკვეულ ცვლილებას. იცვლება მისი სივრცეული ყოფიერება და ამით ცვლილებას განიცდის მისი სახმარი ღირებულება, რადგან იცვლება ამ უკანასკნელის სივრცეული ყოფიერება. საქონლის საცვლელი ღირებულება ამასთან იზრდება შრომის იმ რაოდენობის შესაბამისად, რომელიც საჭიროა საქონლის სახმარი ღირებულების ამ შეცვლისათვის, — შრომის იმ ჯამის შესაბამისად, რომელიც განისაზღვრება, ერთი მხრივ, მუდმივი კაპიტალის მოხმარებით, ე. ი. საქონელში შემავალი გასაგნობრივებული შრომის ჯამით, მეორე მხრივ კი, ცოცხალი შრომის ჯამით, — როგორც ეს ხდება ყველა სხვა საქონლის ღირებულების გადიდების პროცესში.

როგორც კი საქონელმა დანიშნულების ადგილს მიაღწია, მისი სახმარი ღირებულების მიერ განცდილი ცვლილება გაქრა, და ეს ცვლილება გამოიხატება კიდევ მხოლოდ საქონლის გადიდებული საცვლელი ღირებულებით, მისი გაძვირებით. და თუმცა რეალურმა შრომამ ამასთან არავითარი კვალი არ დატოვა სახმარ ღირებულებაში, მიუხედავად ამისა, მაინც ეს შრომა განხორციელდა მოცემული მატერიალური პროდუქტის საცვლელ ღირებულებაში. სატრანსპორტო მრეწველობის შესახებ, მაშასადამე, იგივე ითქმის, რაც მატერიალური წარმოების ყველა სხვა სფეროს შესახებაც: შრომა ამ სფეროშიც განივთდება საქონელში, თუმცაღა იგი საქონლის სახმარ ღირებულებაზე არავითარ შესამჩნევ კვალს არ ტოვებს.

* * *

აქ ჩვენ საქმე გვაქვს ჯერ მხოლოდ მწარმოებლურ კაპიტალთან, ე. ი. კაპიტალთან, რომელიც დასაქმებულია უშუალო წარმოების პროცესში. შემდეგ ჩვენ გადავალთ კაპიტალზე მიმოქცევის პროცესში, და მხოლოდ ამის შემდეგ, იმ განსაკუთრებული ფორმის განხილვისას, რომელსაც კაპიტალი იღებს საგაჭრო კაპიტალის სახით, შესაძლებელი იქნება პასუხი გავცეთ კითხვაზე, თუ რამდენად არის ამ კაპიტალით დასაქმებული მუშების შრომა მწარმოებლური ან არამწარმოებლური[169]. [XXI—1331]

[13) «კაპიტალის» I და III ნაწილთა გეგმების მონახაზები[170]]

[ა) «კაპიტალის» I ნაწილის, ანუ I განყოფილების, გეგმა]

[XVIII—1140] პირველი განყოფილება[171] — «კ ა პ ი ტ ა ლ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ი ს პ რ ო ც ე ს ი» — დაიყოს შემდეგნაირად:

1) შესავალი: საქონელი, ფული.

2) ფულის გადაქცევა კაპიტალად.

3) აბსოლუტური ზედმეტი ღირებულება: a) შრომის პროცესი და ღირებულების ზრდის პროცესი; b) მუდმივი კაპიტალი და ცვალებადი კაპიტალი; c) აბსოლუტური ზედმეტი ღირებულება; d) ბრძოლა ნორმალური სამუშაო დღისათვის; e) ერთდროული სამუშაო დღეები (ერთდროულად გამოყენებული მუშების რიცხვი). ზედმეტი ღირებულების ჯამი და ზედმეტი ღირებულების ნორმა (სიდიდე და სიმაღლე?).

4) შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება: a) მარტივი კოოპერაცია; b) შრომის დანაწილება; c) მანქანები და ა. შ.

5) აბსოლუტური და შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების შეხამება. თანაფარდობანი (პროპორცია) დაქირავებულ შრომასა და ზედმეტ ღირებულებას შორის. შრომის ფორმალური და რეალური დაქვემდებარება კაპიტალისადმი. კაპიტალის მწარმოებლობა. მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომა.

6) ზედმეტი ღირებულების უკუგადაქცევა კაპიტალად. თავდაპირველი დაგროვება. უეკფილდის კოლონიზაციის თეორია.

7) წარმოების პროცესის შედეგი.

(გადატრიალება მითვისების კანონის გამოვლენაში შეიძლება განხილულ იქნეს ან მე-6 პუნქტში, ანდა მე-7 პუნქტში.)

8) ზედმეტი ღირებულების თეორიები.

9) მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის თეორიები. [XVIII—1140]

[ბ) «კაპიტალის» III ნაწილის, ანუ III განყოფილების, გეგმა]

[XVIII—1139] მესამე განყოფილება — «კ ა პ ი ტ ა ლ ი და მ ო გ ე ბ ა» — დაიყოს შემდეგნაირად:

1) ზედმეტი ღირებულების გადაქცევა მოგებად. მოგების ნორმა მისი განსხვავებით ზედმეტი ღირებულების ნორმისაგან.

2) მოგების გადაქცევა საშუალო მოგებად. მოგების საერთო ნორმის წარმოქმნა. ღირებულებათა გადაქცევა წარმოების ფასებად.

3) ა. სმიტისა და რიკარდოს თეორიები მოგებისა და წარმოების ფასების შესახებ.

4) მიწის რენტა (ღირებულებასა და წარმოების ფასს შორის არსებული განსხვავების ილუსტრაცია).

5) მიწის რენტის ეგრეთწოდებული რიკარდოსეული კანონის ისტორია.

6) მოგების ნორმის დაცემის კანონი. ა. სმიტი, რიკარდო, კერი.

7) მოგების თეორიები.

(საკითხი, შეეიტანოთ თუ არა სისმონდი და მალთუსი უკვე «ზედმეტი ღირებულების თეორიებში».)

8) მოგების დაშლა სამრეწველო მოგებად და სარგებლად. საკაჭრო კაპიტალი. ფულადი კაპიტალი.

9) შემოსავალი და მისი წყაროები. აქვე უნდა შეეიდეს საკითხიც წარმოების პროცესსა და განაწილების პროცესს შორის დამოკიდებულების შესახებ.

10) ფულის უკუმოდინების მოძრაობანი კაპიტალისტური წარმოების ერთობლივ პროცესში.

11) ვულგარული პოლიტიკური ეკონომია.

12) დასკვნა. კაპიტალი და დაქირავებული შრომა. [XVIII—1139]

[გ) «კაპიტალის» III ნაწილის მე-2 თავის [172] გეგმა]

[XVIII—1109] მესამე ნაწილის მეორე თავი, რომელიც «კ ა პ ი ტ ა ლ ს ა და მ ო გ ე ბ ა ს» იკვლევს, განიხილავს მოგების საერთო ნორმის წარმოქმნას. აქ განსახილველია შემდეგი საკითხები:

1) კაპიტალის სხვადასხვა ორგანული შედგენილობა. იგი გაპირობებულია ნაწილობრივ ცვალებადსა და მუდმივ კაპიტალს შორის არსებული ვანსხვავებით [თანაფარდობით], რამდენადაც ამ განსხვავების წარმომქმნელია წ ა რ მ ო ე ბ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს

გარკვეული ს ა ფ ე ხ ურ ი, აბსოლუტური რ ა ო დ ე ნ ო ბ რ ი ვ ი თანაფარდობანი მანქანებსა და ნედლეულსა, ერთი მხრივ, და მათ მოძრაობაში მომყვან შრომის მასას შორის. ეს განსხვავებანი ეკუთვნის შრომის პროცესს. ასევე აქ აუცილებლად განსახილველია მიმოქცევის პროცესიდან გამომდინარე ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის ის განსხვავებანიც, რომლებსაც ცვლილებები შეაქვთ ღირებულების გადიდებაში დროის მოცემულ პერიოდში სხვადასხვა სფეროებში.

2) განსხვავებანი სხვადასხვა კაპიტალის შემადგენელი ნაწილების ღირებულებათა თანაფარდობაში, რომლებიც არ გამომდინარეობენ მათი ორგანული შედგენილობიდან. ამას წარმოშობს ასეთ შემთხვევაში უმთავრესად განსხვავება ნედლეულის ღირებულებაში, მაშინაც კი, თუ ვივარაუდებთ, რომ ორ სხვადასხვა სფეროში ნედლეული შრომის თანაბარ რაოდენობას ნთქავს.

3) მოგებათა ნორმების სხვაობა კაპიტალისტური წარმოების სხვადასხვა სფეროში, რაც ზემოაღნიშნულ განსხვავებათა შედეგად წარმოიქმნება. მხოლოდ ერთნაირი შედგენილობის კაპიტალებისათვის და ა. შ. არის მართებული ის, რომ მათი მოგების ნორმა ერთი და იგივეა და მოგების მასა გამოყენებული კაპიტალის სიდიდის პირდაპირ პროპორციულია.

4) ერთობლივი კაპიტალის შესახებ კი იგივე ითქმის, რაც პირველ თავშია გადმოცემული. კაპიტალისტურ წარმოებაში თვითეული კაპიტალი გვევლინება როგორც ნაწილაკი ერთობლივი კაპიტალისა, როგორც მისი ერთგვარი წილი. მოგების საერთო ნორმის წარმოქმნა (კონკურენცია).

5) ღირებულებათა გადაქცევა წარმოების ფასებად. განსხვავება ღირებულებასა, ხარჯთფასსა და წარმოების ფასს შორის.

6) ამ საგანზე კიდევ რიკარდოსეულ წარმოდგენათა განხილვის შეტანისათვის საჭიროა დაემატოს ასეთი პუნქტი: ხელფასის საერთო რყევათა გავლენა მოგების საერთო ნორმაზე, აქედან კი — წარმოების ფასებზე. [XVIII—1109]

შენიშვნები
და
საძიებლები

შენიშვნები

1 «ზედმეტი ღირებულების თეორიების» ხელნაწერის ეს სარჩევი მარქსს დაწერილი აქვს 1861 — 1863 წლების ხელნაწერთა VI — XV რვეულების გარეკანზე. ზოგიერთ ამ რვეულთაგანში სარჩევი დაწერილია თვით ტექსტზე უფრო ადრე, რაც იმ შესწორებებიდან და წაშლილი ადგილებიდან ჩანს, რომლებიც გაკეთებულია შემდგომ სარჩევის ჩანაწერებში, როცა სათანადო რვეული უკვე შევსებულ იქნა ტექსტით. XIV რვეულში გარეკანზე მოხაზული სარჩევი დარჩენილია ისე, რომ რვეულის ფაქტიურ შინაარსთან შესაბამისობაში მოყვანილი არ არის: იგი წარმოადგენს იმ გეგმას, რომელიც შესრულებულ იქნა XIV, XV და XVIII რვეულებში. — 1.

2 სათაურის — «ზედმეტი ღირებულების თეორიები» — წინ მარქსს დაუწერია არაბული ციფრი 5. იგი აღნიშნავს კაპიტალის შესახებ იმ გამოკვლევის პირველი თავის მეხუთე, დასკვნითს განყოფილებას, რომელიც მარქსს განზრახული ჰქონდა გამოექვეყნებინა როგორც უშუალო გაგრძელება ნაშრომის «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის» პირველი ნაკვეთისა, სადაც განხილულია საქონელი და ფული. ამ მეხუთე განყოფილებას წინ უძღოდა I — V რვეულებში სამი ზოგად მონახაზებში შესრულებული განყოფილება: 1) ფულის გადაქცევა კაპიტალად, 2) აბსოლუტური ზედმეტი ღირებულება და 3) შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება. V რვეულში, 184 გვერდზე, მარქსი აღნიშნავს, რომ «შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების შემდეგ საჭიროა განვიხილოთ აბსოლუტური და შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება მათს მთლიანობაში». სწორედ ამ განხილვას უნდა შეედგინა მე-4 განყოფილება, მაგრამ ის მაშინ დაუწერელი დარჩა. დაუმთავრებლად დარჩენილი მე-3 განყოფილებიდან მარქსი ერთბაშად გადადის მე-5 განყოფილებაზე — «ზედმეტი ღირებულების თეორიებზე». — 1.

3 ფაქტიურად გამოვიდა, რომ ეს არის არა «დამთავრება», არამედ მხოლოდ «გაგრძელება» განყოფილებისა სიტის შესახებ. ამ განყოფილების დამთავრება მოცემულია მომდევნო, IX რვეულში. — 1.

4 თავი ეკონომისტების მოწინააღმდეგეთა შესახებ XIV რვეულში მხოლოდ დაწყებულია. ამ თავის გაგრძელება მოცემულია XV რვეულის პირველ ნახევარში. — 8.

5 ამონაწერებს ბრეის წიგნიდან «Labour's Wrongs and Labour's Remedy» («უსამართლობანი შრომის მიმართ და მათი აღმოფხვრის სამუალებანი»), მარქსის მეცირეიტზოვანი შენიშვნებით, შეიცავს X რვეული. — 8.

6 თავები რიმსეის, შერბიულესა და რ. ჯონსის შესახებ მოთავსებულია XVIII რვეულში. — 8.

7 შემოსავლებსა და მათს წყაროებს მარქსი განიხილავს XV რვეულის მეორე ნახევარში და ამასთან დაკავშირებით აძყდავნებს ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის კლასობრივ და გნოსეოლოგიურ ფესვებს. ეს «ეპიზოდი» (ე. ი. ექსკურსი) მარქსს განკუთვნილი ჰქონდა «კაპიტალის» მესამე ნაწილისათვის, როგორც ეს ჩანს ამ ნაწილის 1863 წლის იანვარში შედგენილი გეგმიდან; ამ გეგმის თანახმად ამ თავის სათაური უნდა ყოფილიყო «შემოსავალი და მისი წყაროები» (იხ. ეს ტომი, ნაწ. I. გვ. 509). — 8.

8 განყოფილება რეიენსტონის შესახებ იწყება წინა (XIV) რვეულის 861 გვერდზე. ამ განყოფილებას XIV რვეულში წინ უძღვის 1 ნომრით განყოფილება ანონიმურ ბროშურაზე «The Source and Remedy of the National Difficulties» («ეროვნულ სიძნელეთა წყარო და გადაწყვეტა»). — 8.

9 იმ განყოფილების დამთავრებას, რომელიც ჰოდსკინს ეხება, შეიცავს XVIII რვეული (გვ. 1084 — 1086). — 8.

10 ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის ანალიზს მარქსი იძღვნა XV რვეულში შემოსავალთა და მათი წყაროების საკითხის დამუშავებასთან დაკავშირებით. ამ რვეულის 935 გვერდზე იგი იხსენიებს «განყოფილებას ვულგარული ეკონომისტების შესახებ», როგორც თავისი შრომის ჯერ კიდევ დაუწერელ თავს, სადაც ის «დაუბრუნდება» გაკვრით აღნიშნულ პოლემიკას პრუდონსა და ბასტიის შორის. ეს მითითება გვიჩვენებს, რომ მარქსს განზრახვა ჰქონდა სპეციალური თავი მიეძღვნა ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისადმი; მაგრამ ეს უკანასკნელი დაუწერელი დარჩა. XVIII რვეულში, როცა ჰოდსკინის შეხედულებათა გარჩევას ამთავრებს და იხსენებს მის პოლემიკას ბურჟუაზიული აპოლოგეტების თეორიათა წინააღმდეგ, მარქსი შენიშნავს, ავალებს რა თავის თავს: «ეს მოვიტანოთ იმ თაში, რომელიც ვულგარულ ეკონომისტებს შეეხება» (გვ. 1086). ეს შენიშვნა აგრეთვე იმას მოწმობს, რომ მარქსს განზრახვა ჰქონდა დაეწერა შემდეგში სპეციალური თავი ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის შესახებ. «კაპიტალის» მესამე ნაწილის 1863 წლის იანვარში შედგენილ გეგმაში უკანასკნელისწინა მე-11 თავს სათაურად აქვს: «ვულგარული პოლიტიკური ეკონომია» (იხ. ეს ტომი, ნაწ. I, გვ. 509). — 8.

11 XV რვეულის გარეკანზე, სადაც მარქსს დაწერილი აქვს ამ რვეულის სარჩევი, ამ უკანასკნელში შემავალი სათაურებიდან ზოგიერთი მიწერილია გვერდით და ზემოდან. ამ გამოცემაში მოთავსებულ სარჩევის ტექსტში ეს

სათაურები დალაგებულია იმ რიგით, რომელიც რეუელის ფაქტიურ შინაარსს შეესაბამება. — 3.

12 «მესამე თავად» მარქსი აქ გულისხმობს «საერთოდ კაპიტალის» შესახებ თავისი გამოკვლევის მესამე ნაწილს. ამ თავს უნდა ჰქონოდა ასეთი სათაური: «კაპიტალის წარმოების პროცესისა და მიმოქცევის პროცესის ერთიანობა, ანუ კაპიტალი და მოგება». შემდგომში (იხ., მაგალითად, IX რეველი, გვ. 398, და XI რეველი, გვ. 526) მარქსი «მესამე თავის» ნაცვლად ხმარობს გაზოთქმას «მესამე განყოფილება» (dritter Abschnitt). კიდევ უფრო მოგვიანებით ამ მესამე თავს მარქსმა უწოდა «მესამე წიგნი» (მაგალითად, წერილში, რომელიც მან 1865 წლის 31 ივლისს ენგელსს მისწერა). «საერთოდ. კაპიტალის» შესახებ გამოკვლევის «მესამე თავის» დასაწყისი მარქსს გადმოცემული აქვს XVI რეველში.

როგორც ამ «მესამე თავის», ანუ «მესამე განყოფილების», გეგმის მონახაზიდან ჩანს (იხ. ეს ტომი, ნაწ. I, გვ. 509), მარქსს განზრახვა ჰქონია მოეცა იქ მოგების თეორიების ორი სპეციალური ისტორიული ექსკურსი. მაგრამ «ზედმეტი ღირებულების თეორიებზე» თავისი მუშაობის მსვლელობაში მარქსმა უკვე ამ თავისი ისტორიულ-კრიტიკული გამოკვლევის ფარგლებში საფუძვლიანი კრიტიკული ანალიზი გაუკეთა აგრეთვე სხვადასხვა ბურჟუაზიული ეკონომისტის შეხედულებებს მოგებაზე. ამიტომ შემდგომი, უფრო სრული გამომეძიებნება ზედმეტი ღირებულებისა და მოგების ერთმანეთში არევიდან გამომდინარე თეორიული შეცდომებისა მარქსმა განაზორციელა უკვე «ზედმეტი ღირებულების თეორიების ფურცლებზე», გახსაკუთრებით ამ ნაწარმოების მეორე და მესამე ნაწილში. — 4.

13 ორიგინალშია: «Arbeitsvermögen» 1861 — 1863 წლების ხელნაწერში მარქსი უმრავლეს შემთხვევაში ნაცვლად ტერმინისა «Arbeitskraft» ხმარობს ტერმინს «Arbeitsvermögen». «კაპიტალის» I ტომში ამ ორ ტერმინს მარქსი ხმარობს როგორც ერთნაირი მნიშვნელობის მქონე ტერმინებს: «Unter Arbeitskraft oder Arbeitsvermögen verstehen wir den Inbegriff der physischen und geistigen Fähigkeiten, die in der Leiblichkeit, der lebendigen Persönlichkeit eines Menschen existieren und die er in Bewegung setzt, so oft er Gebrauchswerte irgend einer Art produziert» (მე-4 გამოც., გვ. 130). ამ ადგილის ქართული თარგმანი ასეთია: «სამუშაო ძალად, ანუ შრომის უნარად, ჩვენ ვგულისხმობთ იმ ფიზიკურ და სულიერ უნართა ერთობლიობას, რაც ადამიანს სხეულში, მის ცოცხალ პიროვნებაში არსებობს, და რაც ადამიანს მოძრაობაში მოჰყავს ყოველთვის, როცა რაიმე სახეობის სახმარ ღირებულებას აწარმოებს» («კაპიტალი», ტ. I, 1954, გვ. 214). ქართულ თარგმანში «Arbeitsvermögen»-ის შესატყვისად ყველგან ნახმარია «სამუშაო ძალა». — 10.

14 იგულისხმება მეორე თავი გამოკვლევისა «საერთოდ კაპიტალის» შესახებ, რომელიც საბოლოოდ «კაპიტალის» II ტომად იქცა. «კაპიტალის» II ტომის მეათე თავი («ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის თეორიები. ფიზიოკრატები და ა. სმიტი») შეიცავს ძირითად და საბრუნავ კაპიტალზე ფიზიოკრატების შეხედულებათა ანალიზს, ხოლო განყოფილებაში «მთელი საზოგადოებრივი კაპიტალის კლასწარმოება და მიმოქცევა» მოცემულია სპეციალური პარა-

გრაფი ფიზიოკრატებზე მეცხრამეტე თავში: «წინანდელი წარმოდგენანი საგანზე». — 12.

15 მარქსს მხედველობაში აქვს თავისი 1861 — 1863 წლების ხელნაწერის მეორე რვეულის 58 — 60 გვერდები (განყოფილება «ფულის გადაქცევა კაპიტალად», პარაგრაფი «გადაქცევის პროცესის ორი შემადგენელი ნაწილი»). — 12.

16 მარქსს მხედველობაში აქვს თავისი 1861 — 1863 წლების ხელნაწერის III რვეული, გვ. 105 — 106, სადაც იგი გაკვრით იხსენიებს ფიზიოკრატებს (განყოფილება «აბსოლუტური ზედმეტი ღირებულება», პარაგრაფი «ზედმეტი შრომის ხასიათი»). — 19.

17 მარქსს მხედველობაში ჰყავს რადიკალური რიკარდოელები, რომლებიც რიკარდოს თეორიიდან პრაქტიკულ დასკვნებს აკეთებდნენ კერძო საკუთრების არსებობის წინააღმდეგ; ისინი წინადადებას იძლეოდნენ კერძო საკუთრების (მთლიანად ან ნაწილობრივ) ბურჟუაზიული სახელმწიფოს საკუთრებად გადაქცევის შესახებ. ამ რადიკალურ რიკარდოელთა რიცხვს ეკუთვნოდა ჯემს მილი, ჯონ სტიუარტ მილი, ჰილდიჩი და აგრეთვე რამდენადმე შერბიულიე. იხ. ამის შესახებ ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 458 მარქსის ხელნაწერისა, ნაწილი III, გვ. 791, 1120 და 1139 მარქსის ხელნაწერისა; აგრეთვე «ფილოსოფიის სიღატაკე» და მარქსის 1881 წლის 20 ივნისის წერილი ზორგესადმი (კ. მარქსი და ფ. ენგელსი რჩეული წერილები, თბ., 1949, გვ. 381 — 384).—24.

18 XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის საფრანგეთში «ეკონომისტებს» უწოდებდნენ ფიზიოკრატებს. — 27.

19 V ტომი ადამ სმიტის «ხალხთა სიმდიდრის» ფრანგული თარგმანისა, რომელიც ჟერმენ გარნიემ შეასრულა (1802 წლის გამოცემა) შეიცავს «მთარგმნელის შენიშვნებს», ე. ი. ჟერმენ გარნიეს შენიშვნებს. — 38.

20 მამა-მირაბოს მის სიცოცხლეში უწოდებდნენ «L'Ami des hommes» («ადამიანთა მეგობარი», «კაცობრიობის მეგობარი») მისი ერთ-ერთი ნაწარმოების სახელწოდების მიხედვით. — 42.

21 იხ. შენიშვნა 17. — 42.

22 ხელნაწერში ეს აბზაცი სამი აბზაცით უფრო ქვეითი არის მოთავსებული (იმავე 241 გვერდზე). წინა და მომდევნო ტექსტიდან იგი გამოყოფილია ჰორიზონტალური გამყოფი ხაზით, როგორც აბზაცი, რომელიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული არც წინა, არც მომდევნო აბზაცთან. ამიტომ ამ გამოცემაში ეს აბზაცი გადატანილია 240 გვერდის ბოლოში, სადაც იგი მოსათავსებელია თავისი შინაარსის მიხედვით. — 48.

23 შეად. ზემოთ ტექსტის 11 — 14 გვერდები და მე-14 შენიშვნა ამ ადგილის მიმართ. «ზედმეტი ღირებულების თეორიებში» მარქსი უბრუნდება ფიზიოკრატებს X რვეულში, სადაც არის დიდი «გადახვევა», სათაურით «ეკონომიური ცხრილი» (იხ. ამ ტომის I ნაწილის 364 — 414 გვერდები. — 48.

24 XIX საუკუნის 20-იან წლებში გერმანიაში დემაგოგებს უწოდებდნენ ოპოზიციური მოძრაობის მონაწილეებს გერმანიის ინტელიგენციიდან. სიტყვა

ხმარებაში შემოვიდა გერმანიის სახელმწიფოთა მინისტრების კარლსბადის კონფერენციის შემდეგ, რომელიც 1819 წლის აგვისტოში გაიმართა და რომელმაც სპეციალური დადგენილებანი მიიღო «დემაგოგების ხრიკების» წინააღმდეგ სამრძოველად. — 44.

25 შმალცის წიგნის გერმანული ორიგინალი გამოვიდა ბერლინში 1818 წელს შემდეგი სათაურით: «Staatswirthschaftslehre in Briefen an einen deutschen Erbprinzen», Erster und zweiter Theil («პოლიტიკური ეკონომია წერილებში» ერთი გერმანელი მემკვიდრე პრინცისადმი», ნაწილი I და II). — 44.

26 მიწის რენტაზე სმიტის შეხედულებათა ფიზიოკრატულ ელემენტს მარქსი კრიტიკულ ანალიზს უკეთებს «ზედმეტი ღირებულების თეორიების» II ნაწილში (ხელნაწერის 628 — 632 გვერდები, თავი «სმიტის რენტის თეორია». შეად. ზემოთ თავი «ფიზიოკრატები», გვ. 35 — 40. — 48.

27 მარქსს მხედველობაში აქვს თავისი ნაშრომი «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის», პირველი ნაკვეთი. იხ. კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის. სახელგამი, 1953, გვ. 65. — 48.

28 ლაპარაკია რიკარდოს ნაშრომზე «პოლიტიკური ეკონომიისა და საგადასახადო დაბეგვრის საფუძვლები», თავი 1-ლი, განყოფილება I. — 49.

29 «ზედმეტი ღირებულების თეორიების» III ნაწილში, თავში «ტ. რ. მალთუსი» (ხელნაწერის 753 — 781 გვერდებზე), მარქსი იძლევა ღირებულებასა და ზედმეტ ღირებულებაზე მალთუსის შეხედულებათა გაშლილ კრიტიკას (გვ. 753 — 767). — 51.

30 მარქსს ციტატები მოჰყავს თავისი წიგნის «ფილოსოფიის სიღატაკის» პირველი ფრანგული გამოცემიდან (პარიზი — ბრიუსელი, 1847, იხ. კ. მარქსი, «ფილოსოფიის სიღატაკე», თბ., 1938, გვ. 48). — 52.

31 მარქსი იმოწმებს ერთ-ერთს თავისი «ჩასაწერი რვეულებიდან», რომლებშიც მას შეჰქონდა ამონაწერები წაკითხული ლიტერატურიდან. VII ჩასაწერი რვეულის 173 გვერდზე (თუ იმ საკაზეთო ამონაწერების მიხედვით ვემსჯელებთ, რომლებიც VII რვეულის ამ ნაწილშია, 173 გვერდი დაწერილია 1860 წლის ივნაარში) მარქსს მოჰყავს ციტატები სმიტის «ხალხთა სიმდიდრის» I წიგნის მე-6 თავიდან და მათ უკეთებს თავის კრიტიკულ შენიშვნებს, სადაც აღნიშნავს, რომ უაზრობაა «მეწარმის რისკიდან» მოგების გამოყვანის ცდა. რაც შეეხება თავს «მოგების აპოლოგეტიკურ ახსნათა შესახებ», მარქსს განზრახვა ჰქონდა იგი დაეწერა «საერთოდ კაპიტალის» შესახებ თავისი გამოკვლევის მესამე ნაწილისათვის. «ზედმეტი ღირებულების თეორიების» III ნაწილში (ხელნაწერის გვ. 777) მარქსი იმავე აზრით იხსენიებს დასაწერ განყოფილებას «კაპიტალისა და დაქირავებული შრომის ურთიერთობის აპოლოგეტიკური დახასიათება».

ბურჟუაზიულ წარმოდგენას მოგებაზე როგორც «გაწეული რისკისათვის მიღებულ პრემიაზე» მარქსი აკრიტიკებს აგრეთვე 1861 — 1863 წლების ხელნაწერის X რვეულში კენეს «ეკონომიური ცხრილის» ანალიზის დროს (იხ. ეს ტომი, ნაწ. I, გვ. 374 — 383). — 59.

32 ანოლოგეტიკურ შეხედულებას მეწარმის შემოსავალზე როგორც ხელფასზე, რომელსაც კაპიტალისტი «ზედამხედველობისა და შმართველობის შრომისათვის» იღებს, მარქსი აკრიტიკებს «ზედმეტი ღირებულების თეორიების» III ნაწილში (თავი რამსეის შესახებ და ექსკურსი «შემოსავალი და მისი წყაროები. ვულგარული პოლიტიკური ეკონომია»). იხ. აგრეთვე «კაპიტალი», 1954, ტომი I, თავი 11, გვ. 421 — 423, და ტომი III, 1957, თავი 23, გვ. 482 — 491. — 88.

33 საკითხს «კაპიტალის უფრო ძველი ფორმების» შესახებ მარქსი იხილავს ექსკურსში «შემოსავალი და მისი წყაროები. ვულგარული პოლიტიკური ეკონომია» (ხელნაწერის 899 — 901 გვერდები). იხ. აგრეთვე «კაპიტალი» ტომი III, თავი 36: «კაპიტალიზმამდელი ურთიერთობანი». — 64.

34 იხ. შენიშვნა 29. — 71.

35 იხ. შენიშვნა 12. «ზედმეტი ღირებულების თეორიებზე» თავისი შემდგომი მუშაობის მსვლელობაში მარქსმა გააკრიტიკა ამ ნაწარმოებში აგრეთვე რიკარდოელთა შეხედულებანიც მოგებაზე. «ზედმეტი ღირებულების თეორიების» III ნაწილში, თავში «რიკარდოსეული სკოლის დაშლა», მარქსი სპეციალურად ნერდება ამ სკოლასტიკურ ხერხებზე, რომელთა შემწეობითაც რიკარდოელი ჯემს მილი ცდილობდა გადაეწყვეტა მოგების რიკარდოსეული თეორიის წინააღმდეგობანი, და ჯონ სტიუარტ მილის უნაყოფო ცდებზე — გამოეყვანა უშუალოდ ღირებულების თეორიიდან რიკარდოსეული დებულება მოგების ნორმისა და ხელფასის ოდენობას შორის არსებული უკუპროპორციულობის შესახებ. — 73.

36 ტერმინით «საშუალო ფასი» («Durchschnittspreis») მარქსი გულისხმობს იმავეს, რასაც ტერმინით «წარმოების ფასი», ე. ი. წარმოების ხარჯები (c + v) პლუს საშუალო მოგება. საქონელთა ღირებულებასა და მათ «საშუალო ფასს» შორის არსებული თანაფარდობის საკითხს მარქსი იხილავს ზედმეტი ღირებულების თეორიების» II ნაწილში — თავში როდბერტუსის შესახებ და თავში «რიკარდოსა და ადამ სმიტის ხარჯთფასის თეორია». თვით ტერმინი «საშუალო ფასი» იმის მიჩვენებელია, რომ აქ მხედველობაშია «საშუალო ბაზრის ფასი» მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი პერიოდისათვის, ანუ ის ცენტრალური წერტილი, რომლისკენაც მიისწრაფვის ბაზრის ფასი», როგორც მარქსი განმარტავს თავისი ხელნაწერის 605 გვერდზე (თავი «რიკარდოს რენტის თეორია [დასასრული]»). — 81.

37 ტერმინს «ხარჯთფასი» («Kostenpreis» ან «Kostpreis», «Cost price») მარქსი ხმარობს სამი სხვადასხვა აზრით: 1) კაპიტალისტის წარმოების ხარჯების აზრით (c + v), 2) საქონლის «იმანენტური წარმოების ხარჯების» აზრით (c + v + m), რაც ემთხვევა საქონლის ღირებულებას, და 3) წარმოების ფასის აზრით (c + v + საშუალო მოგება). აქ ეს ტერმინი აღებულია მისი მეორე აზრით, ე. ი. იმანენტური წარმოების ხარჯების აზრით. «ზედმეტი ღირებულების თეორიების» II ნაწილში ტერმინს «ხარჯთფასი» მარქსი ხმარობს მისი მესამე აზრით, ე. ი. წარმოების ფასის, ანუ «საშუალო ფასის» აზრით. მარქსი იქ პირდაპირ აიგივებს ამ ტერმინებს. ასე, მაგალითად, ხელნაწერის 529 გვერდზე მარქსი წერს: თვით ღირებულებისაგან განსხვავებული

საშუალო ფასი, ანუ, როგორც ვიტყვით, ხარჯთ ფასი, რომელიც განისაზღვრება არა პირდაპირ საქონლის ღირებულებით, არამედ ამ საქონლისათვის ავანსად გაღებული კაპიტალით პლუს საშუალო მოგება». 624 გვერდზე კი მარქსი განმარტავს: «ფასი, რომელიც აუცილებელი პირობაა საქონლის მიწოდებისათვის, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ იგი საერთოდ იწარმოებოდეს, გვევლინებოდეს ბაზარზე როგორც საქონელი, არის, რა თქმა უნდა, მისი წარმოების ფასი, ანუ ხარჯთ ფასი».

«ზედმეტი ღირებულების თეორიების» III ნაწილში ტერმინს «Kostenpreis» მარქსი ხმარობს ხან წარმოების ფასის აზრით (ამ შემთხვევაში იგი ითარგმნება სიტყვით «ხარჯთფასი»), ხან კაპიტალისტის წარმოების ხარჯების აზრით, ე. ი. c + v-ს აზრით (ამ შემთხვევებში იგი ითარგმნება სიტყვებით «წარმოების ხარჯები»).

სამნაირი ხმარება ტერმინისა «Kostenpreis» იმით აიხსნება, რომ სიტყვა «Kosten» («ხარჯები», «წარმოების ხარჯები») ეკონომიურ მეცნიერებაში იხმარება სამი მნიშვნელობით, როგორც ამას სპეციალურად აღნიშნავს მარქსი «ზედმეტი ღირებულების თეორიების» III ნაწილში (1861 — 1863 წლების ხელნაწერის 788 — 790 და 928 გვერდები): 1) იმის აზრით, რაც კაპიტალისტმა ავანსად გაიღო, 2) იმ აზრით, რასაც გულისხმობს ავანსად გაღებული კაპიტალი პლუს საშუალო მოგება და 3) თვით საქონლის რეალური (ანუ იმანენტური) წარმოების ხარჯების აზრით.

გარდა ამ სამი მნიშვნელობისა, რაც ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კლასიკოსებთან გვხვდება, არის კიდევ მეოთხე, ვულგარული მნიშვნელობა ტერმინისა «წარმოების ხარჯები», რომლითაც მას ხმარობს ჟ. ბ. სეი, რომელიც «წარმოების ხარჯებად» თვლის «იმას, რასაც იხდიან შრომის, კაპიტალის და მიწის მწარმოებლური მომსახურებისათვის (J. B. Say. «Traité d'économie politique». Seconde édition. Tome II, Paris, 1814, p. 453). «წარმოების ხარჯების» ამ ვულგარულ გაგებას მარქსი გადაჭრით უარყოფს (იხ., მაგალითად, ხელნაწერის 506. და 693 — 694 გვერდები «ზედმეტი ღირებულების» II ნაწილში). — **88.**

38 «ზედმეტი ღირებულების თეორიების» II ნაწილში, ვრცელ განყოფილებაში რიკარდოს შესახებ, რასაც მარქსის ხელნაწერში XI, XII და XIII რვეულები უკავია, არის თავი «რიკარდოსა და სმიტის ხარჯთფასის თეორია (უარყოფა)», სადაც მარქსი უბრუნდება «ბუნებრივი ფასისა» სმიტისეული კონცეფციის ანალიზს (ხელნაწერის 549 — 560 გვერდები) — **89.**

39 კრიტიკული ანალიზი სმიტის დებულებისა იმის შესახებ, რომ რენტა პროდუქტის ფასის შედგენილობაში შედის სხვაგვარად, ვიდრე მოგება და ხელფასი, მოცემული აქვს მარქსს «ზედმეტი ღირებულების თეორიების» II ნაწილში, თავში «სმიტის რენტის თეორია». ციტატი სმიტის «ხალხთა სიმდიდრიდან» მარქსს მოჰყავს განილის წიგნის «Des systèmes d'économie politique» (პარიზი, 1821, ტომი II, გვ. 3) მიხედვით. — **84.**

40 იხ. ზემოთ შენიშვნა 12. — **94.**

41 აქ დასმულ პრობლემას მარქსი «კაპიტალის» III ტომში, თავი 49, შემდეგნაირად აყენებს: «როგორ შეიძლება, რომ მუშამ თავისი ხელფასით,

კაპიტალისტმა თავისი მოგებით, მიწის მესაკუთრემ თავისი რენტით იყიდონ საქონელი, რომელთაგანაც თვითეული შეიცავს არა მარტო ერთ ან სამ შემადგენელ ნაწილს, არამედ ყველა სამს, და როგორ შეიძლება ხელფასის, მოგებისა და რენტის, მაშასადამე, შემოსავლის სამივე წყაროს ღირებულების ჯამმა, ერთად აღებულმა, იყიდოს საქონელი, რომელიც შეადგენს ამ შემოსავლის მიმღებთა მთელ მოხმარებას, საქონელი, რომელიც შეიცავს ღირებულების კიდევ ერთ ზედმეტ შემადგენელ ნაწილს, სახელდობრ მუდმივ კაპიტალს? როგორ შეუძლიათ მათ იმ ღირებულებით, რაც სამ შემადგენელ ნაწილს შეიცავს, ისეთი ღირებულება იყიდონ, რაც ოთხ შემადგენელ ნაწილს შეიცავს?» («კაპიტალი», ტომი III$_2$, 1959, გვ. 477 — 478).

ამის მიყოლებთან მარქსი წერს: «ანალიზი მოვახდინეთ II წიგნში, განყოფილება III» (იქვე, გვ. 858). ლაპარაკია განყოფილებაზე «საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალის კვლავწარმოება და მიმოქცევა» («კაპიტალი», ტომი II, 1956, გვ. 439 — 655). — 96.

42 ტერმინი «წარმოების ხარჯები» («Produktionskosten») ნახმარია აქ «იმანენტური წარმოების ხარჯების» აზრით, ე. ი. c + v + m აზრით. იხ. შენიშვნა 37. — 99.

43 სიტყვები «(ფორკადი, პრუდონი)» წარმოადგენენ მინაწერს, რომელიც მარქსს გაუკეთებია ხელნაწერში ფანქრით. მარქსს აქ მხედველობაში აქვს მის მიერ XVI ჩასწორებულში ამოწერილი ადგილი ფრანგი ბურჟუაზიული პუბლიცისტის, ვულგარული ეკონომისტის ფორკადის სტატიიდან «სოციალიზმის ომი» (სტატია მეორე), რომელიც დაიბეჭდა ჟურნალში «Revue des deux Mondes», 1848 (ტომი 24, გვ. 998 — 999). თავისი სტატიის ამ ადგილს ფორკადი აკრიტიკებს პრუდონის თეზისს იმის შესახებ, რომ «მეშას არ შეუძლია თავისი საკუთარი პროდუქტი გამოისყიდოს, იმიტომ რომ მასში შედის სარგებელი, რომელიც ემატება პროდუქციის თვითღირებულებას (ეს თეზისი არის პრუდონის წიგნში «Qu'est-ce que la propriété», Paris, 1840, chapitre IV, § 5). ფორკადი განაზოგადებს იმ სიძნელეს, რომელიც პრუდონმა წამოაყენა ასეთი ვიწროდ შეზღუდული ფორმით, და აღნიშნავს, რომ საქონლის ფასი შეიცავს გადანაშეტს არა მარტო ხელფასზე, არამედ მოგებაზეც, რამდენადაც იგი შეიცავს კიდევ ნედლეულის და ა. შ. ღირებულებასაც. ფორკადი ცდილობს საკითხის გადაწყვეტას ამ განზოგადებული ფორმით და მოუთითებს «ეროვნული კაპიტალის განუწყვეტელ ზრდაზე» როგორც იმეთ რამეზე, რაც თითქოს განმარტავს აღნიშნულ «გამოსყიდვას». «კაპიტალის» III ტომში, თავი 49, შენიშვნა 53, მარქსი ცხადყოფს კაპიტალის ზრდაზე ფორკადის ამ მითითების უსაზრობას და სასტიკად გმობს მას როგორც «ბურჟუაზიული ჭკუანაკლებობის ოპტიმიზმის ნიმუშს».

«Revue des deux Mondes» («ძველი და ახალი ქვეყნის მიმოხილვა») — ორკვირეული ბურჟუაზიული ლიტერატურულ-მხატვრული და პუბლიცისტური ჟურნალი, გამოდის პარიზში 1829 წლიდან. — 103.

44 შემდეგში მარქსი ინარჩუნებს ზემომოყვანილ ციფრობრივ მაჩვენებლებს და ამავე დროს ცვლის წარმოების სფეროთა ასოებით აღნიშვნას (გარდა A-სა). B და C ნიშნებს გარდა მარქსი ხმარობს აგრეთვე ნიშნებს B^1—B^3 (ან B^{1-3}); ნაცვლად ნიშნებისა D, E, F, G, H, I—ნიშნებს C^4—C^6

(ან C^{1-6}); ნაცვლად ნიშნებისა K^1—K^{10}—ნიშნებს D^1—D^{10} (ან D^{1-10}); ნაცვლად ნიშნებისა L^1 — L^{54} — ნიშნებს E^1 — E^{54} (ან E^{1-54}); ნაცვლად ნიშნებისა M^1—M^{162}—ნიშნებს F^1—F^{162} (ან F^{1-162}); ნაცვლად ნიშნებისა N^1—N^{488}—ნიშნებს G^1—G^{488} (ან G^{1-488}).— 111.

45 B და C ნიშნებს მარქსი იმავე მნიშვნელობით იღებს, რა მნიშვნელობითაც ივი მათ ხმარობს 111 გვერდამდე (იხ. შენიშვნა 44). აქ მარქსს მხედველობაში აქვს წარმოების ორი სფერო, რომლებიდანაც თვითეულში ახლადმიმატებული შრომა შეადგენს ერთ სამუშაო დღეს. A, B, C სფეროებში ახლადმიმატებული შრომის ჯამი უდრის სამ სამუშაო დღეს, ე. ი. უდრის A სფეროს პროდუქტში გასაგნობრივებულ შრომას. — 117.

46 მარქსი აქ ასოებით B და C აღნიშნავს უკვე არა ორი წარმოების სფეროს: ამ შემთხვევაში მათი პროდუქტი შეადგენდა სულ მხოლოდ 6 სამუშაო დღეს, მაშინ როდესაც მარქსი აქ ლაპარაკობს 18 სამუშაო დღეზე. მაგრამ მარქსი იღებს ამ ნიშნებს აგრეთვე არა B^1 — B^2-სა და C^1 — C^6-ის ახრით (B^1 — B^2 მარქსის თანახმად ნიშნავს წარმოების ორი სფეროსაგან შემდგარ ჯგუფს; C^1 — C^6 ნიშნავს წარმოების ექვსი სფეროსაგან შემდგარ ჯგუფს; ამ რვა სფეროს ერთობლივი პროდუქტი შეადგენს 24 საათს). აქ მარქსს მხედველობაში აქვს ჯგუფი, რომელიც წარმოების ექვსი სფეროსაგან შედგება. მათი ერთობლივი პროდუქტი შეადგენს 18 სამუშაო საათს და, მაშასადამე, შეიძლება გაიცვალოს D^1—D^{18}-ში ახლადმიმატებულ შრომაზე, რომელიც ეგრეთვე 18 სამუშაო დღეს უდრის. — 117.

47 ჩანართი კვადრატულ ფრჩხილებში გამომდინარეობს მარქსის აზრების მთელი მსვლელობიდან. მარქსის გამოანგარიშებით, წარმოების სფეროთა თვითეულ მომდევნო ჯგუფში ამ სფეროთა რიცხვი ორჯერ უფრო მეტია ყველა წინა სფეროთა რიცხვზე. ასე, მაგალითად, D^1—^{18} ჯგუფში, რომელიც 18 წარმოების სფეროს მოიცავს, ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე ერთად აღებულ ყველა წინა ჯგუფში (A — ერთი სფერო, B^1—^{2} — ორი სფერო, C^1—^{6} — ექვსი სფერო; საბოლოო ანგარიშით — ცხრა სფერო). ამიტომ მარქსი აღნიშვნა D^1—^{18}-ის შემდეგ წერს ფრჩხილებში: 2 × 9. — 118.

48 მარქსს მოჰყავს ციტატები სმიტიდან გარნიეს თარგმნის მიხედვით. განმარტება ტერმინისა «dealers», რომელზეც მარქსი ფრჩხილებში მიუთითებს, ეკუთვნის გარნიეს. — 121.

49 ცალკეულ კრიტიკულ შენიშვნებს სმიტისა და ტუკის მეცდარი დებულების შესახებ მარქსი იძლევა ქვემოთ 141 — 142 და 286 — 287 გვერდებზე.

«კაპიტალის» მეორე ტომში, თავი 20, მარქსი გვიჩვენებს, რომ სმიტისა და ტუკის შეხედულება, თითქოს «წლიური შემოსავლის მიმოქცევისათვის საჭირო ფული საკმარისია მთელი წლიური პროდუქტის მიმოქცევისთვისაც» დაკავშირებულია მჭიდროდ სმიტის დოგმასთან, რომელსაც საზოგადოებრივი პროდუქტის მთელი ღირებულება შემოსავალზე დაყავდა (კ. მარქსი, «კაპიტალი», ტომი II, 1957, გვ. 596 — 598). იხ. აგრეთვე კ. მარქსი, «კაპიტალი», ტომი III$_2$, 1959, თავი 49, გვ. 477 — 478. — 121.

50 წინა გამოანგარიშების თანახმად, 5 $^1/_3$ არშ. ტილო წარმოადგენს მრეველისა და საქსოვი დაზგის ფიზიკანტის ერთობლივ მუდმივ კაპიტალს. ამიტომ

შესელის წილის განსაზღვრისათვის ამოსავალ წერტილად უნდა აეიღოთ არა 5 1/3 არშინი, არამედ ტილოს უფრო ნაკლები რაოდენობა. შემდეგში მარქსი ასწორებს ამ უზუსტობას და გულისხმობს, რომ მრთველის მუდმივი კაპიტალი წარმოადგენს სულ მხოლოდ 4 არშინ ტილოს. — **125.**

51 მარქსი აკრიტიკებს აქ სმიტის დებულებას (ტუკის მიერ ათეისებულს) იმის შესახებ, რომ «იმ საქონელთა ღირებულება, რომლებიც სხვადასხვა საქმიან ადამიანებს შორის მიმოიქცევა, არასოდეს არ შეიძლება აღემატებოდეს იმ საქონელთა ღირებულებას, რომლებიც საქმიან ადამიანებსა და მომხმარებლებს შორის მიმოიქცევა». იხ. ზემოთ გვ. 120 — 142. — **142.**

52 მარქსს მხედველობაში აქვს 140 — 141 გვერდებზე მის მიერ გაკეთებული განმარტება, რომ იგი აქ მხედველობის გარეშე ტოვებს «მოგების იმ ნაწილს, რომელიც ახალ კაპიტალად იქცევა». — **143.**

53 იხ. «კაპიტალი», ტომი II, 1957, გვ. 530 — 533. — **148.**

54 იმ ბურჟუაზიული კონცეფციის კრიტიკას, რომლის თანახმად ყოველივე «ის, რაც ერთისთვის კაპიტალია, მეორისათვის შემოსავალს წარმოადგენს, და პირიქით», მარქსი იძლევა «კაპიტალის» II ტომში, 1957, გვ. 551 — 552. შეად. იქვე, გვ. 474 — 483, 489 — 491 და «კაპიტალი», ტომი III_2, 1959, გვ. 476.— **149.**

55 ფიგურულ ფრჩხილებში ჩასმული ნაწყვეტი მოთავსებულია ხელნაწერის 304-ე გვერდზე, რომელიც IV თავს ეკუთვნის. III თავში ეს ნაწყვეტი გადატანილია მარქსის იმ ჩანაწერების შესაბამისად, რომელიც მის დასაწყისშივეა მოთავსებული: «მე-300 გვერდისთვის». მე-300 გვერდზე არის ნაწყვეტი სეის შესახებ, რომელიც იწყება სიტყვებით: «დამატება ზემონთქვამისადმი». ამ ნაწყვეტების შეპირისპირებისას ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება: 304-ე გვერდზე მოცემული ნაწყვეტი მთავრდება კითხვით: «როგორ შეიძლება, რომ გაყიდული პროდუქტის ღირებულება» და ა. შ. იმ ნაწყვეტის დასასრული, რომელიც სეის ეხება, შეიცავს პასუხს კითხვაზე: «შემოსავალს, რომელიც მხოლოდ მიმატებული შრომისგან შედგება, შეუძლია ამ პროდუქტის ანაზღაურება» და ა. შ. ამის შესაბამისად ხელნაწერის 304-ე გვერდზე მოთავსებული ნაწყვეტი მოცემულია იმ ნაწყვეტამდე, რომელიც სეის ეხება, და როგორც მოთავსებულია III თავის მთელი მეათე პარაგრაფის დასკვნითი ნაწილის სახით. — **152.**

56 იხ. ზემოთ შენიშვნა 18. — **152.**

57 მარქსს მხედველობაში აქვს ის გამოუვალი წრე «ხელფასის ბუნებრივი ნორმისა» სმიტისეულ კონცეფციაში, რომლის შესახებაც იგი ზემოთ წერდა (იხ. გვ. 82). — **153.**

58 იგულისხმება «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის». პირველი ნაკეთი. იხ. ქართ. გამოც., 1953, გვ. 72 და შემდეგ. — **153.**

59 ნაწყვეტი, რომელიც სმიტის წინაალმდეგობათა ზოგად ხასიათს არკვევს, ამ გამოცემაში მოცემულია დასკვნითი შენიშვნის სახით, III თავის ბოლოში. ეს

შეესაბამება იმ ადგილს, რომელიც ამ ნაწყვეტს უკავია მარქსის ხელნაწერში, სადაც უშუალოდ ამ ნაწყვეტის შემდეგ მოთავსებულია მომდევნო თაეის დაწყებითი სტრიქონები. — **158.**

60 მარქსს მხედველობაში აქვს მალთუსის სიტყვები იმის შესახებ, რომ განსხვავება მწარმოებლურ და არამწარმოებლურ შრომას შორის არის ქვაკუთხედი ადამ სმიტის ნაწარმოებში და ის საფუძველი, რომელზეც დამყარებულია მის მსჯელობათა ძაფი (Malthus. «Principles of Political Economy», 2 nd edition, London, 1836, p. 44). — **160.**

61 ბანკირებისა და მათი პარაზიტული როლის შესახებ კაპიტალისტურ საზოგადოებაში იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტომი III₂, 1959, გვ. 23 — 24, 58, 64—66 და 107 — 109. — **170.**

62 კაპიტალის კონცენტრაციაზე როგორც შრომის ნაყოფიერების გადიდების თავდაპირველ პირობაზე მარქსი ლაპარაკობს თავის 1861 — 1863 წლების ხელნაწერის IV რვეულში 171 — 172 გვერდებზე (განყოფილება «შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება», პარაგრაფი «შრომის დანაწილება»). — **175.**

63 მარქსს მხედველობაში აქვს თავისი ნაშრომი «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის». პირველი ნაკვეთი. 1953 წლის ქართულ გამოცემაში მარქსის მიერ მოხსენიებული ციტატი პეტიდან მოთავსებულია 168 — 169 გვერდზე. — **188.**

64 ლაპარაკია ინგლისელი მწერლის მანდევილის სატირაზე «The Fable of the Bees, or Private Vices Publick Benefits», რომლის პირველი გამოცემა გამოვიდა 1705 წელს, მეხუთე გამოცემა — 1728 წელს. — **186.**

65 იგულისხმება ანონიმურად გამოსული თხზულება დავენანტისა «Discourses on the Publick Revenues, and on the Trade of England», part II, London, 1698», რომელსაც დართული აქვს გადანაბეჭდი ერთი წლით ადრე გამოქვეყნებული დავენანტის ტრაქტატისა «An Essay on the East-India Trade».

ტექსტში მოცემული თარგმანი ამ ადგილისა მოყვანილია შესაბამისობაში იმასთან, რასაც მარქსი დავენანტზე ლაპარაკობს თავის ნასაწერ რვეულში, საიდანაც მან აიღო ტექსტში დასახელებული ყველა ციტატი დავენანტის შრომებიდან (ამ რვეულს გარეკანზე აქვს მარქსის მინაწერი: «მანჩესტერი. ივლისი, 1845»). — **189.**

66 უილიამ პეტის ნაშრომიდან «ტრაქტატი გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ» მარქსი ციტატებს იძლევა აქ შარლ განილის წიგნის მიხედვით «Des systèmes d'économie politique», tome II, p. 36 — 37 (Paris, 1821), სადაც ეს ადგილი მოყვანილია განილის ფრანგული თარგმანის შესაბამისად. მოცემული ნაწყვეტის ფრანგული თარგმანის ტექსტი რამდენადმე განსხვავდება ინგლისური ტექსტის ორიგინალისაგან, რომელიც მარქსს მოჰყავს ინგლისურად თავისი ხელნაწერის XXII რვეულში (იხ. ეს ტომი, ნაწ. I, გვ. 430—432).—**198.**

67 გარნიეიდან მოყვანილ ამ ციტატს ტექსტში მოსდევს ვრცელი გადახვევა ჯონ სტიუარტ მილზე (ხელნაწერის 319 — 345 გვერდი). მცირე შენიშვნა მალთუს-

ზე (გვ. 345 — 346) და მცირე ექსკურსი პეტის შესახებ (გვ. 346 — 347). გადახვევა ჯ. სტ. მილზე იწყება შემდეგი სიტყვებით: «ვიდრე გარნიეს შეხედულებებს გავარჩევდეთ, გადმოვცემთ აქ ეპიზოდურად (ე. ი. ექსკურსის სახით) ზოგიერთ რამეს ზემოციტირებული უმცროსი მილის შესახებ. ის, რის თქმაც ჩვენ აქ გვსურს, ეკუთვნის არსებითად გამოკვლევის შემდგომ განყოფილებას, სადაც ლაპარაკი იქნება ზედმეტი ღირებულების რიკარდოსეულ თეორიაზე და არა მოცემულ ადგილს, სადაც ჩვენ ჯერ კიდევ ა. სმიტს ვიხილავთ». XIV რვეულის სარჩევში (იხ. ეს ტომი, ნაწ. I, გვ. 3), ასევე თვით ამ რვეულის ტექსტში, განყოფილება ჯ. სტ. მილის შესახებ შეტანილია თავში «რიკარდოს სკოლის შალი». ყოველივე ამის საფუძველზე ექსკურსი ჯ. სტ. მილის შესახებ ამ გამოცემაში გადატანილია აღნიშნულ თავში, რომელიც «ზედმეტი ღირებულების თეორიების» მესამე ნაწილში შედის. შენიშვნა მალთუსზე გადატანილია თავში მალთუსის შესახებ, ხოლო ექსკურსი პეტის შესახებ მოთავსებულია ზემოთ 192 — 193 გვერდზე. ყველა ამ გადახვევის შემდეგ ხელნაწერში (რვეული VIII, გვ. 347) სწერია: «ახლა ჩვენ ვუბრუნდებით მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის საკითხს. გარნიე. იხ. რვეული VII, გვ. 319». და შემდეგ იწყება გარნიეს შეხედულებათა გარჩევა, დაბეჭდილი 194 — 220 გვერდებზე. — 194.

68 აქამდე მარქსი x ასოთი აღნიშნავდა სახმარი ღირებულების სახით განსახილველ პროდუქტს, z ასოთი კი — პროდუქტის ღირებულებას. ამ ადგილიდან დაწყებული მარქსი ცვლის ასოებით აღნიშნავს: x-ით აღნიშნავს ღირებულებას, z-ით კი — სახმარ ღირებულებას. ამ გამოცემაში ყველგან მოცემულია მარქსის მიერ თავდაპირველად მიღებული აღნიშვნები. — 202.

69 ეს ნაწყვეტი, რომელიც დამატებაა პარაგრაფისა ჟერმენ გარნიეს შესახებ, აღებულია IX რვეულიდან, სადაც ის ჩაწერილია სეისა და დესტუტ დე ტრასის შესახებ მოცემულ პარაგრაფებს შორის. გარნიეს წიგნიდან «Abrégé élémentaire des principes de l'économie politique» მარქსს ციტატები მოპოვაკს დესტუტ დე ტრასის წიგნის — «Elémens d'idéologie». IV-e et V-e parties, Paris. 1826, p. გვ. 250 — 251 — მიხედვით. — 221.

70 რამდენიმე ახბაცი საერთო სათაურით «შმალცი» წარმოადგენს მინაწერს IX რვეულის ბოლოში. თავისი შინაარსით ისინი წარმოადგენენ დამატებას გარნიეს შესახებ მოცემული დამატებითი შენიშვნისადმი, რომელიც მოთავსებულია იმავე რვეულში მე-400 გვერდზე (იხ. ეს ტომი, ნაწ. I, გვ. 220 — 221). — 222.

71 სიმდიდრის განსაზღვრა, რომელსაც კანარი იძლევა, მარქსს ციტატის სახით მოპოვაკს განილის წიგნის — «Des systèmes d'économie politique» — მიხედვით (მე-2 გამოცემა, ტომი I, გვ. 75). კანარის წიგნში იგი მოთავსებულია მე-4 გვერდზე. — 222.

72 განილის ეს მტკიცება მოთავსებულია მისი თხზულების — «Des systèmes d'économie politique» (seconde édition, Paris, 1821), p. 213 — პირველ ტომში.

განილის წიგნი «Théorie de l'économie politique» გამოვიდა 1815 წელს, რიკარდოს «საფუძვლების» პირველ გამოცემამდე ორი წლით ადრე.—226.

73 ზუსტად რომ ვთქვათ, მანქანის ღირებულება, თუ ვივარაუდებთ, რომ იგი 4-ჯერ მეტია კაპიტალის იმ დანაზრჩენ ნაწილზე, რომელიც უდრის 460 გირ. სტერლინგს (150 + 310), უნდა ყოფილიყო 1 840 გირვ. სტერლინგი. მაგრამ ეს რიცხვი საგრძნობლად გაართულებდა გაანგარიშებებს. ამიტომ მარქსი, გაანგარიშებათა გასამარტივებლად, ვარაუდობს, რომ მანქანის ღირებულება უდრის 1 600 გირვ. სტერლინგს. — **236.**

74 რიკარდოს «საფუძვლების» 26-ე თავის შესახებ სეის შენიშვნა მარქსს ციტატის სახით მოჰყავს აქ განილის წიგნის მიხედვით (ტომი I, გვ. 216). — **247.**

75 იხ. ზემოთ შენიშვნა 18. — **248.**

76 მარქსი მიუთითებს განილის წიგნის პირველი ტომის იმ გვერდზე, რომლის მიხედვითაც მას ციტატების სახით მოჰყავს (კონსტანსიოს ფრანგული გამოცემის შესაბამისად) ნაწყვეტები რიკარდოს «საფუძვლების» 26-ე თავიდან. შემდეგში, თავისი ხელნაწერის 377-ე გვერდზე, მარქსს ისევე მოჰყავს იგივე ადგილი რიკარდოს «საფუძვლებიდან», მაგრამ უკვე ინგლისურ ენაზე (მე-3 ინგლისური გამოცემის მიხედვით) და უფრო სრული სახით (იხ. ეს ტომი ნაწ. I, გვ. 253 — 255). — **250.**

77 Vos, non vobis (თქვენ, თქვენთვის როდი ხართ)—სიტყვები ვერგილიუსის ეპიგრამიდან, რომელიც ამბობს: «აი, თქვენ, ფრინველებო, ბუდეებს თვითონ თქვენთვის როდი აკეთებთ; აი, თქვენ, ცხვრებო, მატყლს თვითონ თქვენთვის როდი ატარებთ; აი თქვენ, ფუტკრებო, თაფლს თვითონ თქვენთვის როდი აკეთებთ; აი თქვენ, ხარებო, გუთანს თვითონ თქვენთვის როდი ეწევით». — **252.**

78 მარქსს აქ ციტატი მოჰყავს რიკარდოს[1] «საფუძვლების» 26-ე თავიდან ჯერ კონსტანსიოს ფრანგული თარგმანის მიხედვით (ანილის წიგნიდან, ტომი I, გვ. 214), შემდეგ კი ინგლისური ორიგინალის მიხედვით (მე-3 გამოცემა, გვ. 416). — **252.**

79 შემდეგ ხელნაწერი შეიცავს ფანქრით გადახაზულ 4½ გვერდს (გვ. 372 — 376), სადაც მარქსი დაწვრილებით აჩერებს რიცხობრივ მონაცემებს, რომელთაც შეიცავს რიკარდოს მიერ მოყვანილი მაგალითი «20000 გირვ. სტერლ. კაპიტალის მქონე ადამიანის» შესახებ. მარქსი გვიჩვენებს ამ რიცხობრივი მონაცემების შეუსაბამობას. ერთ შემთხვევაში 20000 გირვ. სტერლ. კაპიტალის მფლობელი იყენებს 100 მუშას და წარმოებულ საქონელს ყიდის 10000 გირვ. სტერლინგად. მეორე შემთხვევაში იგი იყენებს 1000 მუშას და წარმოებულ საქონელს ყიდის 20000 გირვ. სტერლინგად. რიკარდო ამტკიცებს, რომ ამ ორივე შემთხვევაში 20000 გირვ. სტერლ. კაპიტალის მოგება შეიძლება იყოს ერთი და იგივე — 2000 გირვ. სტერლინგი. მარქსი იძლევა დეტალურ გამოანგარიშებას, რომელიც გვიჩვენებს, რომ მოცემულ წანამძღვართა პირობებში ეს შედეგი შეუძლებელია. ამასთან დაკავშირებით მარქსი გამოთქვამს შემდეგ ზოგად დებულებას: «საინფესტრაციო წანამძღვრები არ შეიძლება თავის თავს ეწინააღმდეგებოდნენ. ისინი ისე უნდა იქნენ ფორმულირებული, რომ იყვნენ რეალური წანამძღვრები, რეალური ჰიპოთეზები და არა წამძღვარებული უაზრობანი, არა ჰიპოთეზური არარეალობანი

და შეუძლებლობანი» (გვ. 373). რიკარდოს მაგალითის არადამკმაყოფილებლობა მეღავნდება აგრეთვე იმითაც, რომ ამ მაგალითში მოცემულია მხოლოდ რაოდენობა დასაქმებული მუშებისა, მაგრამ არაა მოცემული ორივე შემთხვევაში წარმოებული მთლიანი პროდუქტის რაოდენობა. ამ ორი შემთხვევის უფრო ღრმა ანალიზის მიზნით მარქსი იღებს უფრო შესაფერ რიცხვებს მუშების რაოდენობისათვის და წარმოებული პროდუქტის რაოდენობისათვის და სათანადო გაანგარიშებას ახდენს. მაგრამ როცა მარქსი პროდუქტის იმ რაოდენობის გამოანგარიშებამდე მიდის, რასაც ამ ორიდან თვითეულ შემთხვევაში მუშები ხელფასის სახით ღებულობენ, იგი შეცდომას ნახულობს თავის გამოანგარიშებებში და ხელს იღებს თავის გამოთვლაზე. ხაზგადასმული ადგილი ხელნაწერში თავდება (376-ე გვერდზე) ასეთი სიტყვებით: «ეს გამოანგარიშება უნდა შეწყდეს. არ არის საფუძველი იმისათვის, რომ ამ რიკარდოსეული სისულელის კონსტრუირებაზე დრო დაიკარგოს». — 258.

20 მარქსს მხედველობაში აქვს სეის მსჯელობანი (მის ნაშრომში «Lettres à Malthus», Paris, 1820, p. 15) იმის შესახებ, რომ თუ, მაგალითად, იტალიაში შეიმჩნევა ინგლისური საქონლით ბაზრის ჭარბად გავსება, ამის მიზეზია არასაკმარისი წარმოება ამ იტალიური საქონლისა, რომელიც შეიძლებოდა გაცვლილიყო ინგლისურ საქონელზე. ეს მსჯელობანი ციტირებულია ანონიმურ ტრაქტატში «An Inquiry into those Principles...» (London, 1821, p. 15) და მოცემულია «An Inquiry into Principles...»-დან მარქსის მიერ გაკეთებულ ამონაწერებში მის XII ჩასაწერ რვეულში, გვ. 12. შედ. აგრეთვე სეის თეზისი იმის შესახებ, რომ «შეფერხებას ზოგიერთი პროდუქტის გასაღებაში იწვევს ზოგიერთი სხვა პროდუქტის იშვიათობა»; ამ თეზისს მარქსი არჩევს ამ ტომის პირველი ნაწილის 309 გვერდზე. — 263.

21 შემდგომი გამოანგარიშებანი რომ არ გაართულოს, მარქსი იღებს მრგვალ ციფრს — 10. ტექსტში აღებული ციფრების მიხედვით (100 წელი როგორც საერთო ჯამი გადაბარუნების პერიოდებისა 14 სხვადასხვა სახეობის ეირითადი კაპიტალისათვის) ძირითადი კაპიტალის საშუალო ბრუნვის ზუსტი გამოანგარიშება (თუ დავუშვებთ, რომ მისი ყველა 14 სახეობა ერთნაირია თვითანთი ოდენობით) იძლევა არა 10 წელიწადს, არამედ მხოლოდ 7,86. — 275.

22 ამ «ინტერმეცოში» აღძრული საკითხებიდან ზოგიერთს მარქსი უბრუნდება თავისი ხელნაწერის X რვეულში კენეს «ეკონომიური ცხრილის» განხილვასთან დაკავშირებით (იხ. ეს ტომი, ნაწ. I, თავი VI). დაწერილებითი სისტემატური პასუხი კი ზემოთ დასმულ ორ კითხვაზე მოცემულია «კაპიტალის» II ტომში (განსაკუთრებით მე-20 თავში, განყოფილება X: «კაპიტალი და შემოსავალი: ცვალებადი კაპიტალი და ხელფასი», და 21-ე თავში: «დაგროვება და გაფართოებული კვლავწარმოება»).

«ზედმეტი ღირებულების თეორიების» II ნაწილში მარქსი უბრუნდება ამ «ინტერმეცოში» განხილულ საკითხებს იმ თავში, სადაც ლაპარაკია რიკარდოს დაგროვების თეორიაზე.

«თეორიების» III ნაწილში მარქსი უბრუნდება კაპიტალსა და შრომას შორის გაცვლის საკითხს თავში «ეკონომისტების პროლეტარულ მოწინააღმდეგეთა შესახებ» (ანონიმური პამფლეტის «The Source and Remedy of the National Difficulties» კრიტიკულ ანალიზთან დაკავშირებით) და თავში

შერბიულეს შესახებ (დაგროვების როგორც გაფართოებული კვლავწარმოების საკითხთან დაკავშირებით). — 288.

83 იხ. შენიშვნა 12. — 305.

84 ლაპარაკია შემდეგ ადგილზე: «ოქრო და ვერცხლი, რომელიც რომელიმე ქვეყნის მიმოქცევაში იმყოფება და რომლის მეწვეობითაც ამ ქვეყნის მიწისა და შრომის წლიური პროდუქტი მიმოიქცევა და სათანადო მომხმარებლებს შორის ნაწილდება, წარმოადგენს, ისევე როგორც ცალკეული კომერსანტის ნაღდი ფული, მკვდარ კაპიტალს. ქვეყნის კაპიტალის ეს მეტად ძვირფასი ნაწილი ამ ქვეყნისათვის არაფერს აწარმოებს» (ადამ სმიტი. «გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ». რუს. გამ., მ.-ლ., 1935, ტომი I, გვ. 270). — 306.

85 ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი ს ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი — უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც შედგება რამდენიმე განყოფილებისაგან, ანუ აკადემიისაგან; არსებობს 1795 წლიდან. დესტიუტ დე ტრასი იყო მორალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი. — 328.

86 თავისი ხელნაწერის XIV რვეულში (ეს რვეული შედის ამ ტომის III ნაწილში) მარქსი მალთუსის შეხედულებათა გარჩევის შემდეგ, ჩერდება ორ ანონიმურ ნაწარმოებზე, რომელთაგან ერთი რიკარდოსეული პოზიციებიდან მალთუსის წინააღმდეგ გამოდის, მეორე კი იცავს მალთუსის შეხედულებებს რიკარდოელთა წინააღმდეგ. პირველის სათაურია: «An Inquiry into those Principles, respecting the Nature of Demand and the Necessity of Consumption, lately advocated by Mr. Malthus, from which it is concluded, that Taxation and the Maintenance of Unproductive Consumers can: be conducive to the Progress of Wealth». London, 1821. მეორეს ეწოდება «Outlines of Political Economy». London, 1832. — 329.

87 ეს ციტატი უილიამ პეიღის წიგნიდან «The Principles of Moral and Political Philosophy» (London, 1785) მარქსს მოჰყავს ფრანგულ ენაზე წიგნიდან: T. R. Malthus. «Essai sur le principe de population». Traduit de l'anglais sur la cinquième édition par P. Prévost et G. Prévost. 3-e édition francaise. Tome IV, Paris—Genève, 1836, p. 109. — 330.

88 მარქსს მხედველობაში აქვს ლესინგის პოლემიკა ვოლტერის წინააღმდეგ ლესინგის «ჰამბურგის დრამატურგიაში» (1767 — 1768). — 336.

89 «ჰ ე ნ რ ი ა დ ა» — ვოლტერის პოემა საფრანგეთის მეფის ჰენრიხ IV შესახებ; პირველად გამოიცა 1723 წელს. — 338.

90 მღვდლებისადმი ადამ სმიტის მტრული განწყობილების შესახებ იხ. «კაპიტალი», ტომი I, თავი 23, შენიშვნა 75. — 352.

91 ამ თავში სმიტი იხილავს მერკანტილიზმის ზოგად თეორიულ წარმოდგენებს. — 355.

92 მარქსს მხედველობაში აქვს პარაგრაფი «განძის შექმნა» თავისი ნაშრომის — «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის» — პირველ ნაკვეთში, სადაც მას

მოჰყავს ციტატი ჰეტის «პოლიტიკური არითმეტიკიდან». ამავე ციტატს იმოწმებს იგი ზემოთ, 325 — 326 გვერდზე, სადაც აღნიშნავს, რომ სმიტი ნაწილობრივ უკან უბრუნდება მერკანტილისტების შეხედულებებს. — **856.**

93 მარქსს მხედველობაში აქვს სმიტის «ხალხთა სიმდიდრის» II წიგნის მე-3 თავის უკანასკნელი ექვსი აბზაცი, სადაც სმიტი იკვლევს, შეეროსავლის ზარჯვის რომელი სახე უფრო მეტად უწყობს ხელს საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდას და რომელი — უფრო ნაკლებად. სმიტი ფიქრობს, რომ ეს დამოკიდებულია მოხმარების საგნების სხვადასხვა ბუნებაზე, მათი ხანგრძლიობის ხარისხზე. სმიტის ამ შეხედულებას მარქსი იხსენებს ზემოთ — პარაგრაფში დესტუტ დე ტრასის შესახებ, 326 გვერდზე. — **856.**

94 V რვეულში, ხელნაწერის 181-ე გვერდზე (პირველი თავი, მესამე განყოფილება: «შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება», პარაგრაფი «შრომის დანაწილება»), მარქსს მოჰყავს ლენგედან შემდეგი ციტატი:

«ხარბი ეკონომია, რომელიც მას» (დღიურ მუშას) გაფაციცებით თვალყურს ადევნებს, საყვედურებით ავსებს მას სულ მცირეოდენი შესვენებისას, რომლის ნებასაც იგი თავის თავს აძლევს, და თუ მუშა ერთ წუთს ისვენებს, მტაცებლას იწყვლს, რომ იგი ქურდავს მას» ([Linguet.] «Thêorie des Loix Civiles». Tome II, Londres, 1767, p. 466).

იგივე ადგილი მოჰყავს მარქსს X რვეულში, ხელნაწერის 439-ე გვერდზე, თავში ლენგეს შესახებ (იხ. ეს ტომი, ნაწ. I, გვ. 418). «კაპიტალის» I ტომში ეს ადგილი — შემოკლებულად — მოცემულია მე-8 თავისადმი 39-ე შენიშვნის სახით (იხ. «კაპიტალი», ტომი I, 1954, გვ. 295). — **859.**

95 მარქსი ათავსებს თავს ლენგეს შესახებ ამ თავის შემდეგ, რომელიც ნეკერს ეხება, მიუხედავად იმისა, რომ, გამოქვეყნების დროის მიხედვით, ლენგეს თხზულება «Thêorie des Loix Civiles» (1767 წ.) წინ უსწრებდა ნეკერის იმ ორივე თხზულებას, რომელთაც აქ მარქსი განიხილავს: «Sur la Législation et le Commerce des Grains» (1775 წ.) და «De l'Administration des Finances de la France» (1784 წ.). მასალის ასეთი დალაგება გაპირობებულია მარქსთან იმით, რომ კაპიტალისტური წარმოების ხასიათის გაგების მხრივ ლენგეს თხზულება უფრო მაღალ საფეხურს წარმოადგენს, ვიდრე ნეკერის აღნიშნული შრომები. — **859.**

96 მარქსმა ისარგებლა აქ «ეკონომიური ცხრილის» იმ გადმოცემით, რომელიც მოცემულია წიგნში: Schmalz. «Economie politique». Ouvrage traduit de l'allemand par Henri Jouffroy. Tome I. Paris, 1826, p. 324).

შმალცის შეხედულებათა კრიტიკა მარქსს მოცემული აქვს VI რვეულში, გვ. 241 — 242 (იხ. ეს ტომი, ნაწ. I, გვ. 44).

დამატებითი შენიშვნები შმალცზე, მისი წიგნიდან ამოღებული ციტატებით მოთავსებულია IX რვეულის სულ ბოლოში, გვ. 421 (იხ. ეს ტომი, ნაწ. I, გვ. 221 — 222). ხელნაწერის მომდევნო გვერდზე (რვეული X, გვ. 422) მარქსი გადადის «გადახვევაზე», რომელიც მიძღვნილია კენეს «ეკონომიური ცხრილის» კრიტიკული გარჩევისადმი; ამ ცხრილს მარქსი იძლევა შმალცის წიგნის მიხედვით.

დამახასიათებელია, რომ თითქმის მთელი «გადახვევის» მანძილზე (ხელნაწერის 422 — 437 გვერდები) მარქსს სრულიდ არ მოჰყავს ციტატები მას

მიერ ნახსენები ავტორების ნაწარმოებებიდან. «გადახვევის» მხოლოდ უკანასკნელ გვერდზეა (გვ. 437) მოყვანილი ციტატები სმიტიდან და მოცემულია ამონაწერი პრუდონიდან მითითებით, რომ იგი ეკუთვნის იმ ადგილს ხელნაწერში (გვ. 428), სადაც ლაპარაკია პრუდონზე (სწორედ მარქსის ამ მითითების შესაბამისად ამონაწერი პრუდონიდან მოთავსებულია ამ ტომის I ნაწილში 388—389 გვერდზე). ყოველივე ამას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ მარქსს, როცა ის «გადახვევას» წერდა, არ ჰქონდა ხელთ კენესა და სხვა აქ მოხსენიებული ავტორების ნაწარმოებები. სავსებით შესაძლებელია, რომ თითქმის მთელი «გადახვევა» (სმიტიდან და პრუდონიდან 437-ე გვერდზე მოყვანილი ციტატებამდე) მარქსის მიერ დაწერილია 1862 წლის აპრილში, მანჩესტერში ენგელსთან ყოფნისას.

ფიზიოკრატების შესახებ იმ დამატებითს შენიშვნებში, რომლებსაც XXIII რეკული შეიცავს, გვ. 1433—1434, მარქსს მოჰყავს «ეკონომიური ცხრილი» იმ სახით, რა სახითაც ის მოცემული აქვს კენეს თავის შრომაში «Analyse du Tableau Economique» (იხ. ეს ტომი, ნაწ. I, გვ. 459). ამავე სახით აძლევა «ეკონომიურ ცხრილს» მარქსი თავის წერილში, რომელიც მან ენგელსს მისწერა 1863 წლის 6 იელისს. — 864.

97 მარქსის მიერ გამოყენებული ასოები (და ნიშნები მათდამი) «ცხრილს» ანიჭებენ თვალსაჩინოებას, რასაც ის მოკლებულია როგორც შმალეთან, ისე კენესთანაც.

თვითეული ხაზის აღნიშვნა ორი ასოთი (ab, ac, cd და ა. შ.) შესაძლებლობას იძლევა გავარკვიოთ მისი მომართულება — რომელი კლასიდან რომლისაკენ მიდის ეს ხაზი (მიმართულებას განსაზღვრავს ასოების ალფაბეტური თანამიმდევრულობა: ab, ac, cd...). ასე, მაგალითად, ab აღნიშნავს იმას, რომ მიწის მესაკუთრეთა კლასსა და «მწარმოებელ კლასს» (ფერმერებს) შორის არსებული მიმოქცევის ამოსავალი წერტილია მესაკუთრეთა კლასი (მესაკუთრეთა მიერ ფერმერებისაგან კეკების პროდუქტების ყიდვა).

თვითეული ხაზის აღნიშვნა ორი ასოთი — ხაზის დასაწყისში და ხაზის ბოლოში — გამოხატავს ერთდროულად ფულის მოძრაობას და საქონლის მოძრაობას. ასე, მაგალითად, ხაზი ab გამოსახავს ფულის მოძრაობას (მიწის მესაკუთრეთა კლასი უხდის 1 მილიარდ ფულს მწარმოებელ კლასს); მაგრამ იგივე ხაზი, საპირისპირო მიმართულებით (ba) განხილული, გვიჩვენებს საქონლეთა მოძრაობას (მწარმოებელი კლასი აძლევს მესაკუთრეთა კლასს 1 მილიარდის კეკების საგნებს).

ტეხილ ხაზს a b c d შეადგენენ შემდეგი რგოლები: 1) მონაკვეთი ab, რომელიც გამოხატავს მიმოქცევას მიწის მესაკუთრეებსა და მწარმოებელ კლასს შორის (მესაკუთრენი ყიდულობენ 1 მილიარდის კეკების საგნებს ფერმერებისაგან); 2) მონაკვეთი ac, რომელიც გამოხატავს მიმოქცევას მესაკუთრეებსა და უნაყოფო კლასს — მრეწველებს შორის (მესაკუთრენი ყიდულობენ მრეწველებისაგან 1 მილიარდის სამრეწველო ნაწარმს); 3) მონაკვეთი cd, რომელიც გამოხატავს მიმოქცევას უნაყოფო კლასსა და მწარმოებელ კლასს შორის (მრეწველები ყიდულობენ ფერმერებისაგან 1 მილიარდის კეკების პროდუქტებს).

ხაზი a′ b′ გამოხატავს მიმოქცევას მწარმოებელ კლასსა და უნაყოფო

კლასს შორის (ფერმერები ყიდულობენ მრეწველებისაგან 1 მილიარდის სამრეწველო ნაწარმს).

ბაზი a"b" გამოხატავს მიმოქცევის უნაყოფო კლასსა და მწარმოებელ კლასს შორის (მრეწველები ყიდულობენ ფერმერებისაგან სამრეწველო წარმოებისათვის საჭირო 1 მილიარდის ნედლეულს). — 365.

98 მარქსი უპირისპირებს მუშას, რომლის ერთადერთ საქონელს სამუშაო ძალა წარმოადგენს, «საქონელმფლობელს პირველი აზრით, ე. ი. ისეთ საქონელმფლობელს, რომელსაც გასაყიდად აქვს «თვით სამუშაო ძალისაგან განსხვავებული საქონელი» (შეად. ზემოთ, გვ. 174 და 179—180). — 370.

99 მარქსს მხედველობაში აქვს პირველი ნაკვეთი თავისი შრომისა «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის», თავი მეორე, განყოფილება მესამე — «ფული», პირველი ორი აბზაცი (იხ. 1953 წ. გამოც., გვ. 158 — 160). — 385.

100 მარქსს მხედველობაში აქვს შემდეგი ადგილი თავისი შრომის — «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის» — პირველ ნაკვეთში: «ფული, რომელიც დახარჯეს მათ როგორც მყიდველებმა, მათვე უბრუნდება, როგორც კი ისინი ხელახლა საქონლის გამყიდველთა სახით გამოდიან. ამრიგად, საქონელმიმოქცევის მუდმივი განახლება იმაში აისახება, რომ ფული არათუ მუდამ გადადის ერთი ხელიდან მეორეში ბურჟუაზიული საზოგადოების მთელს ზედაპირზე, არამედ ამასთანავე ერთად შემოხაზავს ბევრ სხვადასხვა პატარა-პატარა წრეებრეულას, გამოდის რა უსასრულოდ მრავალი პუნქტიდან და უბრუნდება ისევ იმავე პუნქტებს, რათა ივივე მოძრაობა ხელახლა გაიმეოროს» (1953 წ. გამოც., გვ. 123). — 385.

101 იხ. ეს ტომი, ნაწ. I, გვ. 310 — 326 იხ. აგრეთვე კ. მარქსი. «კაპიტალი», ტომი II, თავი 21-ე, განყოფილება XIII: «დესტიუტ დე ტრასის კვლევწარმოების თეორია». — 386.

102 განყოფილება ბრეის შესახებ მოთავსებულია X რვეულში, ხელნაწერის 441—444 გვერდებზე. ეს განყოფილება დაუმთავრებელი დარჩა, და ბრეის შეხედულებანი მუშასა და კაპიტალისტს შორის ფულის მიმოქცევის შესახებ არ ყოფილა მასში განხილული.

ფულის არსსა და როლზე ბრეის შეხედულებათა შესახებ იხილეთ მარქსთან: 1847 წლის ხელნაწერი «ხელფასი» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტომი VI, მეორე რუს. გამოც., გვ. 584); «Grundrisse der Krilik der politischen Oekonomie» (Moskau, 1939), s. 55, 690, 754. მარქსის წერილი ენგელსისადმი 1858 წ. 2 აპრილის თარიღით. «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის» (1953 წლის ქართ. გამოც., გვ. 104). — 386.

103 შემდგომ. X რვეულის 426 და 437 გვერდებზე, მარქსი იძლევა ამ საკითხზე პრუდონის შეხედულებათა მოკლე დახასიათებას (იხ. ეს ტომი, ნაწ. I, გვ. 387 — 388). — 386.

104 ფრანხლებში ჩასმული სიტყვები მიგვითითებენ იმ აზრებზე, რომელთა განვითარებასაც მარქსი შემდგომში ფიქრობდა. მარქსს, ალბათ, მხედველობაში ჰქონდა კენეს პოლოგეტიკური კონცეფცია მიწის კერძო საკუთრების შე-

სახეებ: ამ კონცეფციის მიხედვით, მიწის მესაკუთრეთა მიწის უფლება დამყარებულია იმაზე, რომ მათმა წინაპრებმა ხელეხლებელი მიწა მიწათმოქმედებისათვის ვარგის მიწად აქციეს. «ანტი-დიურინგის» მეორე განყოფილების X თავში, რომელიც მარქსმა დაწერა, ფიზიოკრატების ამ შეხედულებამ შემდეგი დახასიათება ჰპოვა: «... ბუნებითი სამართლის» მიხედვით, მათი (მიწის მესაკუთრეების) ნამდვილი ფუნქცია მდგომარეობს სწორედ «მეზრუნველობაში კარგი მმართველობის დასამყარებლად და ხარჯების გაღებაში თავიანთ სამკვდრო ნაწილის შესანარჩუნებლად, ან... «avances foncières»-ში, ე. ი. ხარჯების გაღებაში, რათა ნიადაგი მომზადდეს და მოიჯარე ყოველი საჭირო ინვენტარით აღიჭურვოს, რაც მას შეაძლებინებს მთელი თავისი კაპიტალი მხოლოდ და მხოლოდ ნამდვილი სასოფლო-სამეურნეო კულტურის საქმეს მოახმაროს» («ანტი-დიურინგი», სახელგამი, 1952, გვ. 295 — 296). — 387.

105 «ზედმეტი ღირებულების თეორიების» III ნაწილში, ექსკურსში «შემოსავალი და მისი წყაროები. ვულგარული პოლიტიკური ეკონომია» (ხელნაწერის 935 — 937), მარქსი აკრიტიკებს პრუდონის იმ ვულგარულ შეხედულებას ფულადი კაპიტალის როლსა და სარგებლის რაობაზე, რომელიც პრუდონმა განავითარა თავის შრომაში «Gratuité du Crédit». იხ. აგრეთვე «კაპიტალი», ტომი III$_1$, 1959, გვ. 436 — 438. — 389.

106 ეს პრობლემა მარქსმა ყოველმხრივ განიხილა «კაპიტალის» II ტომში— თავი 17; თავი 19-20, განყოფილებანი V და XII; თავი 21-ე (განსაკუთრებით განყოფილება 1, პარაგრაფი 1; «გაძის შექმნა»). — 391.

107 იხ. წინა შენიშვნა. — 392.

108 მარქსი აქ იმ კლასებისათვის, რომლებსაც კენესთან ვხვდებით, შემდეგ ნიშნებს ხმარობს: P — classe des propriétaires (მიწის მესაკუთრეთა კლასი), S — classe Stérile (უნაყოფო კლასი — მრეწველები), F — Fermiers, classe productive (ფერმერები, მწარმოებელი კლასი). — 393.

109 იხ. შენიშვნა 97. — 393.

110 იხ. შენიშვნა 97. — 396.

111 მარქსი გულისხმობს აქ შემდეგშიც, რომ, კენეს მიხედვით, მთლიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მხოლოდ ერთი მეხუთედი ნაწილი არ შედის მიმოქცევაში, არამედ მას «მწარმოებელი» კლასი ნატურალური ფორმით იყენებს.

მარქსი უბრუნდება ამ საკითხს XXIII რვეულში, ხელნაწერის 1433 — 1434 გვერდი (იხ. ეს ტომი, ნაწ. 1, გვ. 459 — 460), და «ანტი-დიურინგის» მეორე განყოფილების X თავში, რომელიც მან დაწერა. ამ თავში მოცემულია დაზუსტებული დახასიათება კენეს შეხედულებებისა საბრუნავი კაპიტალის ანაზღაურებაზე სოფლის მეურნეობაში: «მაშასადამე, მთლიანი პროდუქტი ხუთი მილიარდის ღირებულებისა მწარმოებელი კლასის ხელშია, ე. ი. უწინარეს ყოვლისა, მოიჯარეების ხელში, რომელთაც იგი აწარმოებს იმით, რომ ორი მილიარდის წლიური საბრუნავი კაპიტალი გაიღეს, რაც შეესაბამება ათი მილიარდის ძირითად კაპიტალს. სოფლის მეურნეობის პროდუქტები,

საარსებო საშუალებანი, ნედლი მასალა და სხვ., რაც საჭიროა საბრუნავი კაპიტალის ანანაზღაურებლად, მაშასადამე, აგრეთვე მიწათმოქმედებაში პირდაპირ ჩაბმული პირების შესანახად, in natura ერთმევა საერთო მოსავალს და ახალი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის იხარჯება. რადგან, როგორც ვთქვეთ, ნაგულისხმევია მუდმივი ფასები და მარტივი კვლავწარმოება, ერთხელ დადგენილი მასშტაბით, ამ მთლიანი პროდუქტის ამოღებული ნაწილის ფულადი ღირებულება ორ მილიარდ ლივრს უდრის. მაშასადამე, ეს ნაწილი არ შედის საერთო მიმოქცევაში; იმიტომ რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცხრილიდან გამორიცხულია მიმოქცევა, რომელიც ხდება არა სხვადასხვა კლასებსა, არამედ თვითეული განსაკუთრებული კლასის წ რ ე შ ი» («ანტი-დიურინგი», სახელგამი, 1952, გვ. 292). —

აქედან გამომდინარეობს, რომ, კენეს მიხედვით, უნდა ვილაპარაკოთ ფერმერთა მთლიანი პროდუქტის ო რ მ ე ხ უ თ ე დ ზ ე როგორც მათი პროდუქტის იმ ნაწილზე, რომელიც ნატურალური ფორმით ხმარდება მათი საბრუნავი კაპიტალის ანაზღაურებას. — **398.**

112 მარქსს მხედველობაში აქვს ბოდოს კომენტარები «Explication du Tableau Economique» (წიგნში: «Physiocrates». Avec une introduction et des commentaires par E. Daire. Deuxième partie. Paris, 1846, p.822—867). — **398.**

113 ციტატისხმება პირველი ნაკვეთი შრომისა «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის». იხ. კ. მ ა რ ქ ს ი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის. სახელგამი, 1953, გვ. 133. — **409.**

114 კენეს «ეკონომიურ ცხრილში» მოცემული ა თ ა ს ი მ ი ლ ი ო ნ ო ბ ი თ (ე. ი. მილიარდობით) ტურის ლივრების ნაცვლად მარქსი ლაპარაკობს აქ უბრალოდ ა თ ა ს ო ბ ი თ ფულად ერთეულზე, რაც სრულებით არ ცვლის საქმის დედაარსს. — **409.**

115 იხ. კ. მარქსი. «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის». სახელგამი, 1953, გვ. 123 — 124. — **410.**

116 იხ. შენიშვნა 101. — **410.**

117 მარქსი იმოწმებს ნაკვეთს «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის» (იხ. ქართ. გამოც., 1953, გვ. 123 — 124). იხ. შენიშვნა 100. — **410.**

118 იხ. შენიშვნა 106. — **411.**

119 «ზედმეტი ღირებულების თეორიების» III ნაწილში (XIV და XV რვეულებში, 852 — 890 გვერდები) არის თავი: «ეკონომისტების პროლეტარული მოწინააღმდეგენი, რომლებიც რიკარდოს თეორიას ეყრდნობოდნენ». ამავე თავს ეკუთვნის დაუმთავრებლად დარჩენილი განყოფილება ბრეის შესახებ X რვეულში (გვ. 441 — 444) და დასასრული განყოფილებისა ჰოდსკინის შესახებ XVIII რვეულში (გვ. 1084 — 1086). — **414.**

120 [Linguet, N.] «Théorie des Loix Civiles, ou Principes fondamentaux de la Société». Tome I, Londres, 1767, p. 236. — **415.**

121 პეტის ზოგიერთ შეხედულებაზე მარქსი ლაპარაკობდა უკვე ზემოთ, თავში «თეორიები მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის შესახებ», სახელდობრ მის იმ ნაწილში, სადაც ლაპარაკია მწარმოებლურსა და არამწარმოებლურ შრომას შორის განსხვავების დადგენის «დრინდელ ცდებზე» (იხ. ამ ტომის I ნაწილის 190 — 193 გვერდები). — 427.

122 იგულისხმება «კაპიტალის» პირველი ნაწილის უკანასკნელი, მე-9 განყოფილება, როგორც ის დასახული იყო მარქსის იმ გეგმით, რომელიც მოთავსებულია XVIII რვეულის 1140-ე გვერდზე (იხ. «კაპიტალის» პირველი ნაწილის გეგმა ამ ტომის I ნაწილში, გვ. 508). — 427.

123 იგულისხმება «ტრაქტატი გადასახადებისა და გამოსაღებთა შესახებ», რომელიც პირველად 1662 წელს დაიბეჭდა. — 439.

124 ლაპარაკია ნორსის «Discourses upon Trade»-ზე და ლოკის «Some Considerations of the Consequences of the Lowering of Interest, and Raising the Value of Money»-ზე. ორივე შრომა დაიწერა 1691 წელს და გამოქვეყნდა ლონდონში: პირველი — 1691, მეორე — 1692 წელს. — 441.

25 ამ თხზულებას ეწოდება «Some Considerations of the Consequences of the Lowering of Interest, and Raising the Value of Money» (1691). — 445.

126 მარქსს ციტატები ლოკიდან მოჰყავს მესის წიგნის «An Essay on the Governing Causes of the Natural Rate of Interest», p. 10 — 11 მიხედვით. ლოკის თხზულებათა 1768 წლის გამოცემაში ეს ადგილი მოთავსებულია მეორე ტომის 24-ე გვერდზე. — 445.

127 მარქსს მხედველობაში აქვს ერთ-ერთი რვეული იმ თავისი «დამატებითი რვეულებიდან» (Beihefte), რომლებიც მან 1861 — 1863 წლების ხელნაწერს დაურთო; ამ რვეულებში 1863 წლის გაზაფხულზე მას «შეეჭქონდა ამონაწერები პოლიტიკური ეკონომიის ისტორიის ლიტერატურიდან» თავისი შრომის უკვე დაწერილ ნაწილთან დაკავშირებით», როგორც იგი ამის შესახებ 1863 წლის 29 მაისს ენგელსს სწერდა. ჩვენამდე მოაღწია A, B, C, D, E, F, G, H — Beihefte-ბმა. დამატებით რვეულ C-ში ამონაწერებს ნორსის თხზულებიდან უჭირავთ 12 — 14 გვერდები. — 446.

128 ხელნაწერში აქ თავდაპირველად ეწერა «1688 წლიდან», შემდეგ კი ციფრი 1688 წაშლილი და შეცვლილია კითხვის ნიშნით. 1861 — 1863 წლების თავისი ხელნაწერის XI რვეულში, 507 — 508 გვერდებზე, მარქსს მოჰყავს ცნობები ხორბლის ფასების მოძრაობის შესახებ 1641 წლიდან. თუ 1641 — 1649 წლებში 1 კვარტერი ხორბლის საშუალო ფასი შეადგენდა 60 შილ. 5 2/3 პენსს, XVII საუკუნის მეორე ნახევარში 1 კვარტერის საშუალო ფასი დაეცა 44 შილ. $2^1/_5$ პენსამდე, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში კი — 35 შილ. 9 29/50 პენსამდე. — 446.

129 მარქსს, ეტყობა, მხედველობაში აქვს პეტის «პოლიტიკური არითმეტიკის» (1676) IV თავიდან ის ადგილი, რომელიც მას მოჰყავს «ზედმეტი ღირებულების თეორიების» II ნაწილში, თავში «როდბერტუსის შესახებ (ხელნაწერის 494 გვერდი). შეად. «კაპიტალი», ტომი III_2, 1959, გვ. 249: «პეტის და

დავენანტის დროს სოფლის მოსახლეობის და მიწათმფლობელთა ჩივილი დამუშავების გაუმჯობესების და გაფართოების შესახებ; უკეთეს მიწებზე რენტის დაცემა...». — 447.

130 ეს ციტატი (დაწყებული სიტყვებიდან «დავიწყებ მ ა თ ხ ო ვ რ ი დ ა ნ») მოცემულია C დამატებითი რვეულის მიხედვით, გვ. 21 — 13, მარქსის იმ მითითების შესაბამისად, რომელიც მოთავსებულია 1861 — 1863 წლების ხელნაწერის XXIII რვეულის 1419-ე გვერდზე. — 449.

131 C დამატებითი რვეულის მე-14 გვერდზე მოცემულია ამონაწერები ნორსის თხზულებიდან, სადაც ნორსი ლაპარაკობს ქვეყნის ფულის მიმოქცევაში «მოქცევებსა და მიქცევებზე». ერთი ამ ამონაწერთაგანი მარქსს მოჰყავს «კაპიტალის» I ტომის მე-3 თავის 95-ე შენიშვნაში. — 450.

132 ამის წინ მასის მოჰყავს ამონაწერები პეტის «პოლიტიკური არითმეტიკიდან» და ლოკის ტრაქტატიდან «ზოგიერთი მოსაზრებანი სახელმწიფოს მიერ სარგებლის დაწევისა და ფულის ღირებულების გადიდების შედეგების შესახებ». — 456.

133 მარქსი იძლევა აქ (ზოგიერთი შემოკლებებით) «ეკონომიურ ცხრილს» იმ სახით, რა სახითაც იგი მოცემული აქვს კენეს თავის ნაშრომში «Analyse du Tableau Economique» (დერის გამოცემა, ნაწილი I, გვ. 65). — 459.

134 იხ. შენიშვნა 111. — 460.

135 ამ თვალსაზრისს აკითარებდა ფიზიოკრატი ბოდო თავის ნაშრომში «Explication du Tableau Economique», თავი III, პარაგრაფი 12 (დერის გამოცემა, ნაწილი II, გვ. 852 — 854). — 461.

136 ამ სათაურით დერის გამოცემაში, ნაწილი I, გაერთიანებულია ორი დიალოგი, რომლებიც კენეს ეკუთვნის: «Du commerce. Premier dialogue entre M. H. et. M. N.» და «Sur les travaux des artisans. Second dialogue». მარქსის მიერ ციტირებული ადგილი აღებულია პირველი დიალოგიდან. — 461.

137 მარქსის მიერ მოყვანილი ციტატი მოთავსებულია არა თვით დიუპონ დე ნემურის წიგნის «De l'origine et des progrès d'une science nouvelle» ტექსტში, არამედ შინაარსით მასთან დაკავშირებულ ნაშრომში «Maximes du docteur Quesnay, ou Résumé de ses principes d'économie sociale». — 461.

138 ციტატი აღებულია კენეს «Dialogue sur le commerce»-დან. — 462.

139 «Dialogue sur les travaux des artisans»-იდან. — 462.

140 «Maximes du docteur Quesnay»-დან. — 462.

141 მარქსს მხედველობაში აქვს 26-ე თავი («მთლიანი და წმინდა შემოსავლის შესახებ») რიკარდოს «პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლებში». — 468.

142 მარქსს მხედველობაში აქვს თავისი ამონაწერები დიუ ბიუას თხზულებიდან, ჩამოვლილია შეიცავს დამატებითი რვეული A (იხ. ზემოთ 127-ე შენიშვნა),

27 — 32 გვერდებზე. მარქსის შემდგომ ამონაწერებში მითითებანი დამატებითი რვეულის გვერდებზე შეცვლილია თვით ტექსტში მითითებებით დიუ ბუიას თხზულების გვერდებზე. — **463.**

143 იუნგის, როგორც «ზედმეტი პროდუქტის ფანატიკოსის», შესახებ იხ. 34-ე შენიშვნა «კაპიტალის» 1 ტომის მე-7 თავისადმი. — **463.**

144 იხ. შენიშვნა 141. — **464.**

145 შემდეგში გამოირკვა, რომ იმ ანონიმური თხზულების ავტორი, რომელსაც აქ მარქსი არჩევს, არის ვინმე ჯონ გრეი (John Qray), რომლის სიცოცხლის წლები დაუდგენელია. 1802 წელს ამ ავტორმა ლონდონში გამოუშვა კიდევ წიგნი საშემოსაველო გადასახადის შესახებ. — **465.**

146 მარქსს მხედველობაში აქვს თავისი დამატებითი რვეული H (იხ. ზემოთ 127-ე შენიშვნა). თითქმის ყველა ამონაწერი განსახილველი ანონიმური თხზულების მე-6 გვერდიდან, რომლებიც დამატებითი რვეულის — H-ის 32 — 33 გვერდებზეა, მოცემულია შემდგომ ტექსტში. — **466.**

147 «მანუფაქტურისტებად» («manufacturers») ანონიმური ინგლისელი ავტორი გულისხმობს როგორც მანუფაქტურის მუშებს (რომლებსაც იგი ზოგჯერ «labouring manufacturers» — «მომუშავე მანუფაქტურისტებს»—უწოდებს), ისე მრეწველ-მეწარმეებსაც (რომლებსაც იგი ზოგჯერ აღნიშნავს ტერმინით «masters employers» — «მეპატრონე-მეწარმეები»). ტერმინი «ხელოსნები» («artificers») კი მოიცავს, ამ ავტორის მიხედვით, როგორც დაქირავებულ მუშებს, ისე ხელოსნებსაც სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. — **466.**

148 იხ. შენიშვნა 18. — **466.**

149 კ რ ო ნ ი — 5 შილინგიანი მონეტა. ფ ა რ ტ ი ნ გ ი პენსის მეოთხედი ნაწილი, გ ი ნ ე ა უდრის 21 შილინგს. — **467.**

150 H დამატებითი რვეულის 36 — 37 გვერდებზე მოთავსებულია ამონაწერები ანონიმური თხზულების 31 — 33 გვერდებიდან. — **468.**

151 H დამატებითი რვეულის 38 — 39 გვერდებზე მოთავსებულია ამონაწერები ანონიმური თხზულების 51 — 54 გვერდებიდან. მარქსის შემდგომ ამონაწერებში მითითებანი H დამატებითი რვეულის გვერდებზე შეცვლილია თვით ტექსტში ანონიმური თხზულების გვერდებზე მითითებებით. — **469.**

152 თავისი 1861 — 1863 წლების ხელნაწერის 1446-ე გვერდზე (XXIII რვეული) მარქსი იხსენიებს ფიზიოკრატებს წინააღმდეგ მიმართულ ბეარდე დე ლ'აბეის წიგნს «Recherches sur les moyens de supprimer les impôts». Amsterdam, 1770. ამონაწერები ამ წიგნიდან მოთავსებულია H დამატებითი რვეულის 10 — 11 გვერდებზე. ის ადგილი ბეარდე დე ლ'აბეის წიგნიდან, რომელიც მარქსს მხედველობაში აქვს, მოთავსებულია მასში 43-ე გვერდზე. — **470.**

153 იმ ადგილებში, რომლებშიც ლაპარაკია ანონიმური ავტორის «ფიზიოკრატულ შეზღუდულობაზე», რამდენადმე შეცვლილია მარქსის იმ ცალკეული ჩანარ-

თების დალაგება, რომლებიც მას შეტანილი აქვს განსახილველი ტექსტის ციტირებულ ადგილებში (38 — 39 გვერდებიდან). ციტატი მარქსს მოჰყავს შემოკლებული სახით. გამოტოვებული სიტყვები აღდგენილია ციტირებული წიგნის მიხედვით, რაშდენადაც ამ სიტყვების გარეშე შეუძლებელია სრული გაგება იმ კრიტიკისა, რომელსაც მარქსი უკეთებს მის მიერ მოყვანილ ანონიმური ავტორის მსჯელობას. — **470.**

154 «ირლანდიის საიჯარო სამართლის» შესახებ იხ. მარქსის სტატია გაზეთ «New York Daily Tribune»-ს 1853 წ. 11 ივლისის ნომერში. — **470.**

155 [Mandeville, B.] «The Fable of the Bees, or Private Vices, Publick Benefits». The 5th edition. London, 1728, p. 428. ამ წიგნის პირველი გამოცემა გამოვიდა 1705 წელს. — **478.**

156 მარქსს მხედველობაში აქვს განყოფილება «შრომის ფორმალური და რეალური დაქვემდებარება კაპიტალისადმი. გარდამავალი ფორმები» (XXI რვეული, გვ. 1306 — 1316), რომელიც უშუალოდ წინ უძღვის განყოფილებას «კაპიტალის მწარმოებლობა. მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომა». კაპიტალისადმი შრომის ფორმალური და რეალური დაქვემდებარების შესახებ იხ. კ. მ ა რ ქ ს ი. «კაპიტალი», ტომი I, 1954, გვ. 641 — 643 და 924—925. — **474.**

157 უკვე თავისი შრომის — «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის» — პირველ ნაკვეთში (1859 წ.) მარქსმა გვიჩვენა, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი ურთიერთობის მისტიფიკაცია განსაკუთრებით მკვეთრად ვლინდება ფულში, რომ ბურჟუაზიული წარმოების დამახასიათებელია სიმდიდრის — როგორც ფეტიშის — კრისტალიზაცია ძვირფასი ლითონების სახით (იხ. «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის», 1953, გვ. 49 და 206). ბურჟუაზიული ურთიერთობის ფეტიშიზაციის პროცესს მარქსმა ანალიზი გაუკეთა «ზედმეტი ღირებულების თეორიების» III ნაწილში, ექსკურსში «შემოსავალი და მისი წყაროები. ვულგარული პოლიტიკური ეკონომია» (ხელნაწერის 891 — 899 და 910 — 919 გვერდები). — **475.**

158 «კაპიტალის» I ტომის მე-13 თავის 108-ე შენიშვნაში მარქსი წერს: «მეცნიერება კაპიტალისტს საერთოდ «არაფერი» ეღირს, რაც მას სრულიად ხელს არ უშლის, რომ მეცნიერებას ექსპლოატაცია გაუწიოს. კაპიტალი ისევე თვისებას «სხვის» მეცნიერებას, როგორც სხვის შრომას. მაგრამ «კაპიტალისტური» მითვისება და «პირადი» მითვისება — მეცნიერებისა თუ მატერიალური სიმდიდრისა — სრულიად სხვადასხვა რამეა. თვით დ-რი იური ჩიოდა იმ უხეშ უცოდინარობაზე, რომელსაც მანქანების გამომყენებელი მისი ძვირფასი მეფაბრიკენი მექანიკაში იჩენდნენ...». — **478.**

159 თავისი 1861 — 1863 წლების ხელნაწერის 1318-ე გვერდი მარქსმა ამოჭრა (გარდა უკანასკნელი 9 სტრიქონისა) XXI რვეულიდან და მიაწება «კაპიტალის» I ტომის უკანასკნელსწინა ეარიანტის ხელნაწერის 490 გვერდზე (ამ ვარიანტის ჩვენამდე მოღწეული მე-6 თავი გამოქვეყნდა «მარქს-ენგელსის არქივში», ტომი II (VII), 1933 წ.). მარქსს განზრახვა ჰქონდა 1318-ე, 1319-ე და 1320-ე გვერდის პირველი ნახევრის შემდგომი ტექსტი გამოეყენებინა მოგების განსახილველად განკუთვნილი განყოფილებისათვის, როგორც ეს

ჩანს მინაწერიდან «მოგება», რაც ორჯერ გაუკეთებია მას ხელნაწერის კიდეებზე (1318-ე გვერდის ბოლოში და 1320-ის დასაწყისში). — **479.**

160 ბერძნულ ასოს Δ, რომელიც მათემატიკაში ნაზრდის აღსანიშნავად გამოიყენება, მარქსი ხმარობს აქ ზედმეტი ღირებულების აღსანიშნავად. შემდეგ ტექსტში მარქსი იმავე აზრით ხმარობს ლათინურ ასოს *h*. — **480.**

161 აქ, და აგრეთვე შემდეგშიც, მარქსს გამოყენებული აქვს ზედმეტი ღირებულების აღსანიშნავად ლათინური ასო *x*. — **482.**

162 მარქსს მხედველობაში აქვს განყოფილება «გაცვლა კაპიტალსა და შრომას შორის. შრომის პროცესი. ღირებულების ზრდის პროცესი» (რვეული I, გვ. 15 — 53), სადაც მოცემულია ქვეგანყოფილება: «შრომის პროცესისა და ღირებულების ზრდის პროცესის ერთიანობა (კაპიტალისტური წარმოების პროცესი)» (გვ. 49 — 53). — **485.**

163 ლაპარაკია ქვეგანყოფილებაზე: «სამუშაო ძალის ღირებულება. ხელფასის მინიმუმი, ანუ საშუალო ხელფასი» (რვეული I, გვ. 21 — 25) და «გაცვლა ფულსა და სამუშაო ძალს შორის» (იქვე, გვ. 25 — 34). «შრომის ფასის» საკითხს მარქსი უბრუნდება XXI რვეულში, გვ. 1312 — 1314. — **486.**

164 ოთხი ფორმელა სახელშეკრულებო ურთიერთობისა რომის სამართლის მიხედვით: «გაძლევ, რათა გააკეთო»; «ვაკეთებ, რათა გააკეთო»; «ვაკეთებ, რათა მომცე»; «გაძლევ, რათა მომცე». შეად. «კაპიტალი», ტომი I, 1954, გვ. 680.— 389. — **495.**

165 ხელნაწერის გვერდების ნუმერაციაში აქ მარქსს შეცდომა აქვს დაშვებული: «1327-ის ნაცვლად დაწერილი აქვს «1328». — **497.**

166 იხ. შენიშვნა 141. — **498.**

167 იხ. კ. მ ა რ ქ ს ი ი. «კაპიტალი», ტომი III_1, 1959, გვ. 467 — 482. — **501.**

168 ფაბრიკაში შავი მუშების შრომაზე მარქსი წერდა იმავე (XXI) რვეულში, გვ. 1308. — **505.**

169 იხ. «კაპიტალი», ტომი II, თავი მე-6, და ტომი III_1, თავი მე-17. — **507.**

170 გეგმების ეს მონახაზები მარქსმა დაწერა 1863 წლის იანვარში. ისინი მოთავსებულია 1861 — 1863 წლების ხელნაწერის XVIII რვეულში შერბიულიესა და რიჩარდ ჯონსის შესახებ მოცემული თავების ტექსტის შუაში (ამ თავების ტექსტისაგან ისინი გამოყოფილია ხელნაწერში შავი კვადრატული ფრჩხილებით). — **508.**

171 «კაპიტალის» სამ თეორიულ ნაწილს მარქსი უწოდებდა პირველად «თავებს», შემდეგ «განყოფილებებს», ბოლოს «წიგნებს». შეად. შენიშვნა 12. — **508.**

172 ამ გეგმის დაწერის მომენტისათვის «კაპიტალის» III ნაწილის 1-ლი თავი უკვე მოხაზული იყო 1861 — 1863 წლების ხელნაწერის XVI რვეულში. III ნაწილის 1-ლი თავის თემა დასათაურებულია XVI რვეულში შემდეგნაირად: «ზედმეტი ღირებულება და მოგება». — **509.**

სახელთა საძიებელი

ა

ანა (1665 — 1714) — ინგლისის დედოფალი (1702 — 1714). — 467.

ანდერსონი (Anderson), ჯემს (1739 — 1808) — ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი, რომელმაც ზოგადად დაამუშავა დიფერენციული რენტის თეორია. — 465.

არივაბენე (Arrivabene), ჟან (1787 — 1881) — იტალიელი პოლიტიკური ემიგრანტი, ეკონომისტი; სენიორის შრომების ფრანგულ ენაზე მთარგმნელი. — 335.

არისტოტელე (384 — 322 ჩვ. წელთაღრიცხვამდე) — ძველი დროის დიდი მოაზროვნე, ფილოსოფიაში მერყეობდა მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის, მონათმფლობელთა კლასის იდეოლოგი; თავისი ეკონომიური შეხედულებებით ნატურალური მონათმფლობელური მეურნეობის დამცველი; პირველმა მან მოგვცა ღირებულების ფორმის ანალიზი. — 335.

არნდი (Arnd), კარლ (1788—1877)— გერმანელი ბურჟუაზიული ეკონომისტი, ეულგარული პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენელი. — 19.

ბ

ბაბეჯი (Babbage), ჩარლზ (1792 — 1871) — ინგლისელი მათემატიკოსი და მექანიკოსი, ბურჟუაზიული ეკონომისტი. — 472.

ბარტონი (Barton), ჯონ (XVIII საუკუნის დამლევი—XIX საუკუნის დამდეგი)—ინგლისელი ეკონომისტი, კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენელი. — 3, 158.

ბასტია (Bastiat), ფრედერიკ (1801—1850) — ფრანგი ეულგარული ეკონომისტი, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში კლასობრივი ინტერესების ჰარმონიის თეორიის მქადაგებელი. — 495, 499.

ბეარდე დე ლ'აბეი (Béardé de l'Abbaye) (1704 — 1771) — ფრანგი ეკონომისტი და აგრონომი. — 470.

ბელერსი (Bellers), ჯონ (1654 — 1725) — ინგლისელი ეკონომისტი, ხაზგასმით აღნიშნავდა შრომის მნიშვნელობას სიმდიდრის შექმნაში; სოციალური რეფორმების რიგი უტოპიური პროექტების ავტორი. — 450.

ბერკლი (Berkley), ჯორჯ (1685 — 1753) — ინგლისელი რეაქციონერი ფილოსოფოსი, სუბიექტური იდეალიზ-

მის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ეპისკოპოსი; პოლიტიკურ ეკონომიაში — მერკანტილიზმის კრიტიკოსი; შრომა მიაჩნდა სიმდიდრის მთავარ წყაროდ; ფულის ნომინალისტური თეორიის წარმომადგენელი. — 452.

ბ ი უ ა-ნ ა ნ ს ე (Buat-Nançay), ლუი გაბრიელ, გრაფი დ ი უ (1731 — 1787)—ფრანგი ისტორიკოსი და ეკონომისტი, ფიზიოკრატების ეპიგონი. — 463, 464.

ბ ი უ კ ე ნ ე ნ ი (Buchanan), დავიდ (1779 — 1848) — ინგლისელი პუბლიცისტი და ბურჟუაზიული ეკონომისტი, ა. სმიტის მიმდევარი და კომენტატორი. — 20, 337 — 338.

ბ ლ ა ნ კ ი (Blanqui), ჟერომ ადოლფი (1798 — 1854)—ფრანგი ბურჟუაზიული ეკონომისტი და ეკონომიურ მოძღვრებათა ისტორიკოსი, ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენელი. — 37, 40, 183.

ბ ო დ ო (Baudeau), ნიკოლა (1730 — 1792) — ფრანგი აბატი, ეკონომისტი, ფიზიოკრატების სკოლის წარმომადგენელი. — 398, 461.

ბ რ ე ი (Bray), ჯონ ფრენსის (1809 — 1897) — ინგლისელი ეკონომისტი, სოციალისტ-უტოპისტი, რ. ოუენის მიმდევარი; ავითარებდა «შრომითი ფულის» თეორიას. — 2, 3, 386.

ბ რ ი ს ო (Brissot), ჟან პიერ (1754 — 1793) — XVIII საუკუნის დამლევის საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის თვალსაჩინო მოღვაწე, რევოლუციის დასაწყისში იაკობინელთა კლუბის წევრი, შემდეგ ჟირონდისტების პარტიის ბელადი და თეორეტიკოსი. — 414.

ბ რ უ მ ი (Brougahm), ჰენრი პიტერ, ბარონი (1778 — 1868) — ინგლისელი იურისტი და ლიტერატორი, 20 — 30-იან წლებში ვიგების პარტიის თვალსაჩინო მოღვაწე, ლორდი-კანცლერი (1830 — 1834). — 187, 259.

ბ უ ა გ ი ლ ბ ე რ ი (Boisguillebert), პიერ (1646 — 1714) — ფრანგი ეკონომისტი, კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებელი საფრანგეთში, ფიზიოკრატების წინამორბედი. — 22.

ბ

გ ა ნ ი ლ ი (Ganilh), შარლ (1758 — 1836) — ფრანგი ბურჟუაზიული პოლიტიკური მოღვაწე; ვულგარული ეკონომისტი, მერკანტილიზმის ეპიგონი. — 161, 222 — 236, 239, 242, 246, 248, 249, 252, 257, 258, 306, 347, 350.

გ ა რ ნ ი ე (Garnier), ჟერმენ (1754 — 1821) — ფრანგი ეკონომისტი და პოლიტიკური მოღვაწე, მონარქისტი; ფიზიოკრატების სკოლის ეპიგონი; ა. სმიტის მთარგმნელი და კრიტიკოსი.— 38, 39—40, 187, 194, 197, 199, 216—223, 305 — 308, 330, 333, 347, 350, 354.

გ ო დ ე ი ნ ი (Godwin), უილიამ (1756—1836) — ინგლისელი წერილბურჟუაზიული მწერალი და პუბლიცისტი, რაციონალისტი, ანარქიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. — 414.

დ

დ ა ვ ე ნ ა ნ ტ ი (Davenant), ჩარლზ (1656 — 1714) — ინგლისელი ეკონომისტი და სტატისტიკოსი, მერკანტილისტი. — 188 — 189, 190.

დ ე რ ი (Daire), ეჟენ (1798 — 1847)— ფრანგი ბურჟუაზიული ეკონომისტი, პოლიტიკური ეკონომიის თხზულებათა გამომცემელი.—25 — 27, 41, 42, 461.

დ ე ს ტ ი უ ტ დ ე ტ რ ა ს ი (Destutt de Tracy), ანტუან ლუი კლოდ, გრაფი (1754 — 1836) — ფრანგი ვულგარული ეკონომისტი, ფილოსოფოსი-სენსუალისტი; კონსტიტუციური მონარქიის მომხრე. — 196, 310, 313, 315 — 318, 320 — 326, 330, 386, 410.

დიუპონი დე ნემური (Dupont de Nemours), პიერ სამიუელ (1739 — 1817) — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე და ეკონომისტი-ფიზიოკრატი. — 461.

ე

ეპიკურე (დაახლ. 341 — 270 ჩვ. წელთაღრიცხვამდე) — გამოჩენილი ძველი ბერძენი ფილოსოფოსი-მატერიალისტი, ათეისტი. — 42.

ვ

ვანდერლინტი (Vanderlint), ჯეიკობ (გარდაიც. 1740 წ.) — ინგლისელი ეკონომისტი, ფიზიოკრატების წინამორბედი, ფულის რაოდენობრივი თეორიის ერთ-ერთი ადრინდელი წარმომადგენელი. — 465, 470.

ვერგილიუსი (პუბლი ვერგილიუსი მარონი) (70 — 19 ჩვ. წელთაღრიცხვამდე)—გამოჩენილი რომაელი პოეტი. — 252.

ვერი (Verri) პიეტრო (1728—1797)— იტალიელი ბურჟუაზიული ეკონომისტი, ფიზიოკრატების მოძღვრების ერთ-ერთი პირველი კრიტიკოსი. — 34, 45 — 46.

ვოლტერი (Voltaire), ფრანსუა მარი (ნამდვილი გვარი არუე) (1694—1778) — ფრანგი ფილოსოფოსი — დეისტი, მწერალი-სატირიკოსი, XVIII საუკუნის ბურჟუაზიული განმანათლებლობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, იბრძოდა ანსოლუტიზმისა და კათოლიციზმის წინააღმდეგ. — 333.

ჰ

ჰუმი (Hume), დავიდ (1711 — 1776)— ინგლისელი ფილოსოფოსი, სუბიექტური იდეალისტი, ავნოსტიკოსი; ბურჟუაზიული ისტორიკოსი და ეკონომისტი, მერკანტილიზმის მოწინააღმდეგე, ფულის რაოდენობრივი თეორიის ერთ-ერთი ადრინდელი წარმომადგენელი. — 453, 454, 458.

იუნგი (Young), არტურ (1741 — 1820) — ინგლისელი აგრონომი და ბურჟუაზიული ეკონომისტი. — 463, 470.

იური (Ure), ენდრიუ (1778—1857)— ინგლისელი ქიმიკოსი, ვულგარული ბურჟუაზიული ეკონომისტი, მრეწველობის ეკონომიკაში რიგი შრომების ავტორი. — 478.

კ

კალპეპერი (Culpeper), თომას (1578 — 1662) — ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი, მერკანტილიზმის მომხრე. — 446.

კანარი (Canard), ნიკოლა ფრანსუა (1750 — 1833) — ფრანგი ეკონომისტი და მათემატიკოსი. — 222.

კანტილონი (Cantillon) რიჩარდ (1680 — 1734) — ინგლისელი ეკონომისტი, ფიზიოკრატების წინამორბედი. — 52.

კარლოს II (1630 — 1685) — ინგლისის მეფე (1660 — 1685). — 446.

კეზნოვი (Cazenove), ჯონ (XIX საუკ.) — ინგლისელი ვულგარული ბურჟუაზიული ეკონომისტი, მალთუსის მომდევარი. — 52.

კეესარი (გაიუს იულიუს კეესარი) დაახლ. 100 — 44 ჩვ. წელთაღრიცხვამდე) — რომის გამოჩენილი სარდალი და სახელმწიფო მოღვაწე. — 335.

კენე (Quesnay), ფრანსუა (1694 — 1774) — დიდი ფრანგი ეკონომისტი, ფიზიოკრატების სკოლის დამაარსებელი; პროფესიით ექიმი. — 2, 21, 26, 40 — 41, 42, 222, 258, 364, 371, 391— 394, 396 — 398, 400, 401 — 402, 411, 412, 459 — 461.

კერი (Carey), ჰენრი ჩარლზ (1793 —

1879)—ამერიკელი ვულგარული ბურჟუაზიული ეკონომისტი, კაპიტალისტურ საზოგადოებაში კლასობრივი ინტერესების ჰარმონიის რეაქციული თეორიის ავტორი. — 185, 509.

კინგი (King), გრეგორი (1648 — 1712) — ინგლისელი სტატისტიკოსი.— 189.

კოკი (Kock), პოლ დე (დაახლ. 1794 — 1871)—ფრანგი ბურჟუაზიული მწერალი, ფრივოლური გასართობი რომანების ავტორი. — 493.

კოლბერი (Colbert), ჟან ბატისტ (1619 — 1683) — ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე, ფინანსების გენერალური კონტროლიორი, ახორციელებდა მერკანტილიზმის პოლიტიკის აბსოლუტური მონარქიის განმტკიცების მიზნით. — 34, 42.

კონსტანსიო (Constancio), ფრანსისკო სოლანო (1772 — 1846) — პორტუგალიელი ექიმი, დიპლომატი და მწერალი; თარგმნიდა ფრანგულ ენაზე ინგლისელი ეკონომისტების შრომებს. — 246, 248.

კუსტოდი (Custodi), პეტრო (1771—1842) — იტალიელი ეკონომისტი, XVI საუკ. დამლეველ — XIX საუკ. დამლეველ იტალიელი ეკონომისტების თხზულებათა გამომცემელი. — 34, 45.

ლ

ლაჟანტი დე ლავაის (Lagentie de Lavaïsse) — ლოდერდელის წიგნის ფრანგულ ენაზე მთარგმნელი (1808). — 77.

ლენგე (Linguet), სიმონ ნიკოლა ანრი (1736 — 1794) — ფრანგი ადვოკატი, პუბლიცისტი, ისტორიკოსი და ეკონომისტი; გამოდიოდა ფიზიოკრატებისა და ბურჟუაზიული ლიბერალიზმის კრიტიკით ფეოდალურ-აბსოლუტური პოზიციებიდან; გამოთქმული აქვს რიგი ღრმა კრიტიკული შენიშვნები ბურჟუაზიულ თავისუფლებისა და საკუთრებაზე. — 2, 359, 414, 415, 418 — 421.

ლესინგი (Lessing), გოტპოლდ ეფრაიმ (1729 — 1781) — დიდი გერმანელი მწერალი, კრიტიკოსი და ფილოსოფოსი, XVIII საუკუნის ერთ-ერთი თვალსაჩინო განმანათლებელი. — 333.

ლეტრონ (Le Trosne), გიიომ ფრანსუა (1728 — 1780) — ფრანგი ბურჟუაზიული ეკონომისტი, ფიზიოკრატი. — 461.

ლისტი (List), ფრიდრიხ (1789 — 1846)—გერმანელი ვულგარული ბურჟუაზიული ეკონომისტი, უკიდურესი პროტექციონიზმის მქადაგებელი. — 288.

ლო (Law), ჯონ (1671 — 1729) — ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი და ფინანსისტი, საფრანგეთის ფინანსთა მინისტრი (1719 — 1720); ცნობილია თავისი სპეკულაციური მოღვაწეობით ქაღალდის ფულის გამოშვებაში, რაც სრული კრახით დამთავრდა. — 34, 40.

ლოდერდელი (Lauderdale), ჯემს, გრაფი (1759 — 1839) — ინგლისელი ბურჟუაზიული პოლიტიკური მოღვაწე და ეკონომისტი; აკრიტიკებდა სმიტის თეორიას ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის პოზიციებიდან. — 77 — 78, 79, 187, 259, 304, 305 — 306, 347, 350.

ლოკი (Locke), ჯონ (1632 — 1704)— გამოჩენილი ინგლისელი ფილოსოფოსი-დუალისტი, სენსუალისტი; ბურჟუაზიული ეკონომისტი, მერყეობდა ფულის ნომინალისტურ და ლიბონურ თეორიებს შორის. — 77, 355, 441 — 448, 453, 456, 465.

ლუთერი (Luther), მარტინ (1483 — 1546) — რეფორმაციის თვალსაჩინო მოღვაწე, გერმანიაში პროტესტანტიზმის (ლუთერანობის) დამაარსებელი; გერმანელი ბიურგერობის იდეოლოგი; 1525 წლის გლეხთა ომის დროს გლე-

ხებისა და ქალაქის ღარიბ-ღატაკთა აჯანყების წინაალმდეგ გამოვიდა და მხარი დაუჭირა თავადებს. — 3.

მ

მაკ-ულოხი (Mac Culloch), ჯონ რამსეი (1789 — 1864) — ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი, რიკარდოს ეკონომიური მოძღვრების ვულგარიზატორი, კაპიტალიზმის მხურვალე აპოლოგეტი. — 3, 189.

მალთუსი (Malthus), თომას რობერტ (1766 — 1834) — ინგლისელი მღვდელი, ეკონომისტი, გაბურჟუაზებული მიწათმფლობელური არისტოკრატიის იდეოლოგი, კაპიტალიზმის აპოლოგეტი, მოსახლეობის კაცთმოძულე თეორიის მქადაგებელი. — 3, 36, 51, 53, 71, 157, 160, 186, 236, 327, 351, 427, 509.

მანდევილი (Mandeville), ბერნარ (1670 — 1733) — ინგლისელი მწერალი და ეკონომისტი. — 186, 473.

მასი (Massie), ჯოზეფ (გარდაიცვალა 1784 წელს) — ინგლისელი ეკონომისტი, კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენელი. — 448, 453, 456, 458.

მენდელსონი (Mendelssohn), მოზეს (მოსე) (1729 — 1786) — გერმანელი რეაქციული ბურჟუაზიული ფილოსოფოსი-დეისტი. — 335.

მერსიე დე ლა რივერი (Mercier de la Rivière), პოლ პიერ (1720 — 1793) — ფრანგი ბურჟუაზიული ეკონომისტი, ფიზიოკრატი. — 37 — 38, 41, 42.

მილი (Mill), ჯემს (1773 — 1836) — ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი და ფილოსოფოსი, რიკარდოს თეორიის ვულგარიზატორი; ამასთანავე ამ თეორიიდან ზოგიერთ რადიკალურ დასკვნას აკეთებდა. — 3.

მილი (Mill), ჯონ სტიუარტ (1806 — 1873) — ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი და ფილოსოფოსი-პოზიტივისტი, პოლიტიკური ეკონომიის კლასიკური სკოლის ეპიგონი; ჯემს მილის შვილი. — 3, 193.

მილტონი (Milton), ჯონ (1608 — 1674) — დიდი ინგლისელი პოეტი და პუბლიცისტი, ინგლისის XVII საუკუნის ბურჟუაზიული რევოლუციის მონაწილე. — 491.

მირაბო (Mirabeau), ვიქტორ რიკეტი, მარკიზი დე (1715 — 1789) — ფრანგი ეკონომისტი, ფიზიოკრატი; საფრანგეთის XVIII საუკუნის დასასრულის ბურჟუაზიული რევოლუციის თვალსაჩინო მოღვაწის მირაბო, ონორე გაბრიელის მამა. — 17, 21, 42, 411 — 412.

მიულნერი (Müllner), ადოლფ (1774 — 1829) — გერმანელი მწერალი და კრიტიკოსი. — 472.

მოლსუორთი (Molesworth), უილიამ (1810 — 1855) — ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე, ჰობსის ნაწარმოებების გამომცემელი. — 425.

მონტესკიე (Montesquieu), შარლ (1689 — 1755) — გამოჩენილი ფრანგი ბურჟუაზიული - სოციოლოგი, ეკონომისტი და მწერალი, XVIII საუკუნის ბურჟუაზიული განმანათლებლობის წარმომადგენელი; ფეოლის რაოდენობრივი თეორიის მომხრე. — 353 — 354, 355, 415.

ნ

ნაპოლეონ I ბონაპარტე (1769 — 1821) — საფრანგეთის იმპერატორი. — 288.

ნეკერი (Necker), ჟაკ (1732—1804) — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე და ეკონომისტი, XVIII საუკუნის 70 — 80-იან წლებში არაერთხელ დაინიშნა ფინანსების გენერალურ დირექტორად, ბურჟუაზიული რევოლუციის წინა ხანაში ცდილობდა ზოგიერთი რეფორმის განხორციელებას. — I, 359 — 363.

ნიკოლოზ I (1796 — 1855) — რუსეთის იმპერატორი (1825 — 1855). — 330.

ნორსი (North), დადლი (1641 — 1691)—ინგლისელი ეკონომისტი, კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი. — 441, 446 — 451.

პ

პაოლეტი (Paoletti), ფერდინანდო 1717 — 1801) — იტალიელი მღვდელი; ეკონომისტი-ფიზიოკრატი. — 34, 35.

პეილი (Paley), უილიამ (1743 — 1805) — ინგლისელი თეოლოგი, ფილოსოფოსი და ეკონომისტი. — 330.

პეტი (Petty), უილიამ (1623—1687)— გამოჩენილი ინგლისელი ეკონომისტი და სტატისტიკოსი, კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებელი ინგლისში. — 183, 188, 190 — 193, 356, 427 — 441, 446 — 448, 453, 456.

პილატე, პონტელი (გარდაიც. დაახლ. 37 წ.) — რომის პროკურატორი (ნაცვალი) იუდეაში (26 — 25). — 86.

პომპეუსი (გნეი პომპეუსი მაგნუს) (106 — 48 ჩვ. წელთაღრიცხვამდე) — რომის სარდალი და სახელმწიფო მოღვაწე. — 419.

პრევო (Prevost), გიიომ (1799 — 1883) — შვეიცარიელი ბურჟუაზიული ეკონომისტი, რიკარდოს თეორიის ვულგარიზატორი. — 3.

პრუდონი (Proudhon), პიერ ჟოზეფ (1809 — 1865) — ფრანგი პუბლიცისტი, ეკონომისტი და სოციოლოგი, წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგი, ანარქიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. — 40, 103, 322, 386, 388.

ჟ

ჟუფრუა (Jouffroy), ანრი — პრუსიის საიდუმლო მრჩეველი, წარმოშობით ფრანგი, პოლიტიკური ეკონომიისა და სამართლის დარგში რიგი შრომების ავტორი და მთარგმნელი XIX საუკუნის 20—40-იანი წლების). — 44, 222.

რ

რამსეი (Ramsay), ჯორჯ (1800 — 1871)—ინგლისელი ეკონომისტი, კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი. — 3, 92 — 96.

რედერერი (Roederer), პიერ ლუი, გრაფი (1754 — 1835 — ფრანგი ბურჟუაზიული პოლიტიკური მოღვაწე. — 42.

რეივნსტონი (Ravenstone), პიერსი (გარდაიც. 1830 წელს) — ინგლისელი ეკონომისტი-რიკარდოელი, იცავდა პროლეტარიატის ინტერესებს, მალთუსიანობის მოწინააღმდეგე. — 3.

რიკარდო (Ricardo), დავიდ (1772—1823)—ინგლისელი ეკონომისტი, კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის უდიდესი წარმომადგენელი. — 2 — 3, 35, 36, 49, 51, 62, 64, 71 — 73, 77, 83 — 85, 93, 94, 153, 185 — 188, 224, 236, 246, 248 — 257, 463 — 464, 498, 509, 510.

როდბერტუს-იაგეცოვი (Rodbertus-Jagetzow), იოანან კარლ (1805 — 1875) — გერმანელი ვულგარული ეკონომისტი და პოლიტიკური მოღვაწე, გაბურჟუეებული პრუსიის იუნკრების იდეოლოგი, პრუსიის «სახელმწიფო სოციალიზმის» რეაქციული იდეების მქადაგებელი. — 2.

როსი (Rossi), პელეგრინო (1787 — 1848)—იტალიელი ვულგარული ბურჟუაზიული ეკონომისტი, იურისტი და პოლიტიკური მოღვაწე; დიდხანს ცხოვრობდა საფრანგეთში.—187, 259, 341 — 350.

როშერი (Roscher), ვილჰელმ გეორგ ფრიდრიხ (1817 — 1894)—გერმანელი ეულგარული ეკონომისტი, ლიპციგის

უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტიკურ ეკონომიაში ეგრეთწოდებული ისტორიული სკოლის დამაარსებელი. — 471.

ს

სეი (Say), ჟან ბატისტ (1767—1832)—ფრანგი ბურჟუაზიული ეკონომისტი, ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენელი. — 91, 92, 152, 187, 246 — 249, 257, 263, 307 — 310, 326, 495.

სენიორი (Senior), ნასაუ უილიამ (1790 — 1864) — ინგლისელი ვულგარული ბურჟუაზიული ეკონომისტი; კაპიტალიზმის აპოლოგეტი, გამოდიოდა სამუშაო დღის შემოკლების წინააღმდეგ. — 187, 259, 335 — 338, 466.

სისმონდი (Sismondi), ჟან შარლ ლეონარდ სიმონდ დე (1773—1842) — შვეიცარიელი ეკონომისტი, კაპიტალიზმის წვრილბურჟუაზიული კრიტიკოსი, ეკონომიური რომანტიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი. — 187, 329, 509.

სმიტი (Smith), ადამ (1723—1790) — ინგლისელი ეკონომისტი, კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი. — 1, 2, 10, 12, 18, 20, 35, 36, 38, 39 — 40, 46 — 49, 50 — 68, 70—93, 95, 120, 153—160, 164—171, 174 — 185, 187, 194 — 201, 216 — 220, 224, 231, 232, 235, 250, 252 — 254, 286—307, 311, 313, 323, 325—326, 327, 331 — 333, 336—339, 341—349, 352 — 353, 355—358, 361, 411—412, 435, 464, 466 — 468, 509.

სოფოკლე (დაახლ. 497 — 406 ზვ. წელთაღრიცხვამდე) — ძველი საბერძნეთის გამოჩენილი დრამატურგი, კლასიკური ტრაგედიების ავტორი. — 472.

სპენსი (Spence), თომას (1750 — 1814)—ინგლისელი სოციალისტ-უტოპისტი, ქადაგებდა მიწის კერძო საკუთრების გაუქმებას და აგრარული სოციალიზმის დამყარებას. — 465.

სპენსი (Spence), უილიამ (1783 — 1860)—ინგლისელი ენტომოლოგი, მუშაობდა აგრეთვე ეკონომიურ საკითხებზე. — 465.

სტირლინგი (Stirling), პატრიკ ჯემს (1809—1891)—ინგლისელი ვულგარული ეკონომისტი. — 3.

სტიუარტი (Steuart), ჯემს (1712—1780) — ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი, მერკანტილიზმის ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი. — 1, 7 — 10, 19, 22, 59.

ტ

ტიურგო (Turgot), ან რობერ ჟაკ (1727 — 1781) — ფრანგი ეკონომისტი და სახელმწიფო მოღვაწე; ფიზიოკრატების სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი; ფინანსების გენერალური კონტროლიორი (1774 — 1776). — 10, 17, 21, 26, 28, 31, 33, 36, 40 — 43, 413, 433.

ტოკვილი (Tocqueville), ალექსის (1805 — 1859) — ფრანგი ბურჟუაზიული ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე, ლეგიტიმისტი და კონსტიტუციური მონარქიის მომხრე.—259, 306.

ტორენსი (Torrens), რობერტ (1780 — 1864) — ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი; რიკარდოს ეკონომიური მოძღვრების ვულგარიზატორი; უარყოფდა კაპიტალისტური წარმოების წესის მიმართ ღირებულების შრომითი თეორიის გამოყენებას. — 3.

ტუკი (Tooke), თომას (1774—1858)—ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი, ეშხრობოდა პოლიტიკური ეკონომიის კლასიკურ სკოლას, რიკარდოს ფულის თეორიის კრიტიკოსი; ავტორი მრავალტომიანი შრომისა «ფასების ისტორია». — 121, 286.

უ

უეკფილდი (Wakefield), ედუარდ გიბონ (1796 — 1862) — ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, ეკონომისტი, რომელმაც კოლონიზაციის ბურჟუაზიული თეორია წამოაყენა. — 3, 508.

ფ

ფერიე (Ferrier), ფრანსუა ლეონიუს (1777—1861)—ფრანგი ვულგარული ბურჟუაზიული ეკონომისტი, მერკანტილიზმის ეპიგონი.—259, 288, 289, 306, 350.

ფორკადი (Forcade), ეჟენ (1820—1869) — ფრანგი ბურჟუაზიული პუბლიცისტი; ვულგარული ეკონომისტი. — 103.

შ

შერბიულიე (Cherbuliez), ანტუან ელიზე (1797 — 1869)—შვეიცარიელი ეკონომისტი, სისმონდის მიმდევარი, სისმონდის თეორიას აკავშირებდა რიკარდოს თეორიის ელემენტებთან.—3.

შექსპირი (Shakespeare), უილიამ (1564—1616)—დიდი ინგლისელი მწერალი. — 472.

შილერი (Schiller), ფრიდრიხ (1759—1805) — დიდი გერმანელი მწერალი.— 472.

შმალცი (Schmalz), თეოდორ ანტონ ჰენრიხ (1760 — 1831) — გერმანელი იურისტი და ეკონომისტი, ფიზიოკრატების სკოლის ეპიგონი, უკიდურესი რეაქციონერი. — 44, 221 — 222.

შტორხი (Storch), ანდრეა (ანრი ჰენრიხ) კარლოს-ძე (1766 — 1835) — რუსი ეკონომისტი, სტატისტიკოსი და ისტორიკოსი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ეპიგონი. — 91, 92, 184, 187, 259, 330 — 335, 340, 341, 348, 350, 500.

ჩ

ჩაილდი (Child), ჯოზაია (1630 — 1699) — ინგლისელი ეკონომისტი — მერკანტილისტი, ბანკირი და ვაჭარი. — 446.

ჩალმერსი (Chalmers), თომას (1780 — 1847) — ინგლისელი პროტესტანტი თეოლოგი და ბურჟუაზიული ეკონომისტი, მალთუსის მიმდევარი. — 351.

ჯ

ჯონსი (Jones), რიჩარდ (1790 — 1855) — ინგლისელი ეკონომისტი, კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი. — 5, 19.

ჰ

ჰობსი (Hobbes), თომას (1588 — 1679) — გამოჩენილი ინგლისელი ფილოსოფოსი, მექანისტური მატერიალიზმის წარმომადგენელი; ჰობსის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი განირჩეოდა მკვეთრი ანტიდემოკრატიული ტენდენციებით.—54, 425, 442.

ჰოდსკინი (Hodgskin), თომას (1787 — 1869) — ინგლისელი ეკონომისტი და პუბლიცისტი; იცავდა პროლეტარიატის ინტერესებს და აკრიტიკებდა კაპიტალიზმს უტოპიური სოციალიზმის პოზიციებიდან, რიკარდოს თეორია გამოიყენა სოციალისტური დასკვნებისათვის. — 3, 72, 498.

ჰომეროსი — ძველი საბერძნეთის ნახევრადლეგენდარული პოეტი, «ილიადას და ოდისევსის» ავტორი. — 333, 350.

ჰორაციუსი (კვინტუს ჰორაციუს ფლაკ) (65 — 8 ჩვ. წელთაღრიცხვამდე)—გამოჩენილი რომაელი პოეტი.— 186, 311.

ლიტერატურული და მითოლოგიური პერსონაჟები

• **დ ა მ ი** — ბიბლიის გადმოცემით, პირველი ადამიანი, რომელიც ღმერთმა ხიხისაგან შექმნა და რომელმაც შემდგომ შესცოდა. — 473.

მ ო ს ე ე გ ვ ი პ ტ ე ლ ი — ბიბლიის გადმოცემით, წინასწარმეტყველი, რომელმაც ძველი ებრაელები გაათავისუფლა ეგვიპტის ფარაონების დევნისაგან. — 335.

ციტირებული და მოხსენიებული ლიტერატურის საძიებელი*

Arnd, K. Die naturgemässe Volkswirthschaft, gegenüber dem Monopoliengeiste und dem Communismus, mit einem Rückblicke auf die einschlagende Literatur. Hanau, 1845 (არნდი, კ. ბუნების შესაბამისი პოლიტიკური ეკონომია, დაპირისპირებული მონოპოლიათა სულისკვეთებისა და კომუნიზმისადმი, ამ საკანონ დაკავშირებული ლიტერატურის მიმოხილვით. ჰანაუ, 1845).—19.

Barton, J. Observations on the circumstances which influence the condition of the labouring classes of society. London, 1817 (ბარტონ, ჯ. შენიშვნები იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ საზოგადოების მუშათა კლასების მდგომარეობაზე. ლონდონი, 1817).—142, 143—144.

Bastiat, Fr. Gratuité du crédit. Discussion entre M. Fr. Bastiat et M. Proudhon. Paris, 1850 (ბასტია, ფრ. კრედიტის უსასყიდლობა. დისკუსია ბ-ნ ფრ. ბასტიასა და ბ-ნ პრუდონს შორის. პარიზი, 1850).—157—158.

Baudeau, N. Explication du Tableau économique (1767). In: Physiocrates. Avec une introduction et des commentaires par E. Daire. Deuxième partie. Paris, 1846 (ბოდო, ნ. ეკონომიური ცხრილის ახსნა (1767). წიგნში: ფიზიოკრატები. ე. დერის შესავალი სტატიით და კომენტარებით. ნაწილი მეორე. პარიზი, 1846).—398—399, 461.

Béardé de l'Abbaye. Recherches sur les moyens de supprimer les impôts. Amsterdam, 1770 (ბეარდე დე ლ'აბეი. გამოკვლევები გადასახადთა გაუქმების წესების შესახებ. ამსტერდამი, 1770).—470.

Bellers, J. Essays about the poor, manufactures, trade, plantations, and immorality. London, 1699 (ბელერს, ჯ. ნარკვევები ღარიბების, მრეწველობის, ვაჭრობის, კოლონიებისა

* იმ შემთხვევაში, როცა არ მოხერხდა უტყუარად იმის დადგენა, თუ ამა თუ იმ შრომის რომელი გამოცემით სარგებლობდა მარქსი, მოცემულ საძიებელში დასახელებულია მისი პირველი გამოცემა.

კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებულია ანონიმურად გამოსული წიგნების ავ-

და უზნეობის შესახებ. ლონდონი, 1699).—450.

Berkley, G. The Querist, containing several queries, proposed to the consideration of the public. London, 1750 (ბერკლი, ჯ. შეკითხველი. საზოგადოების განსახილველად წამოყენებული საკითხები. ლონდონი, 1750). პირველი გამოცემა გამოვიდა ლუბლიანში 1735—1737 წლებში.—452.

Blanqui, J. A. Histoire de l'économie politique en Europe depuis les anciens jusqu'à nos jours. In: Cours d'économie politique. Bruxelles, 1839 (ბლანკი, ჟ. ა. პოლიტიკური ეკონომიის ისტორია ევროპაში ანტიკური ხანიდან ჩვენს დრომდე. კურსი: პოლიტიკური ეკონომიის კურსი. ბრიუსელი, 1839). ბლანკის წიგნის პირველი გამოცემა გამოვიდა პარიზში 1837 წელს.—37, 40, 183.

[Buat, du.] Eléments de la politique, ou Recherche des vrais principes de l'économie sociale. Tomes I—VI. Londres, 1773 ([ბიუა დიუ.] პოლიტიკის ელემენტები, ანუ სოციალური ეკონომიის ეშვმარიტი პრინციპების გამოკვლევა. ტომები I—VI. ლონდონი, 1773).—463, 464.

Buchanan, D. Observations on the subjects treated of in Dr. Smith's Inquiry into the nature and causes of the wealth of nations. Edinburgh, 1814 (ბიუკენენი, დ. შენიშვნები საგნებზე, რომლებიც განხილულია დ-რ სმიტის შრომაში „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ". ედინბურგი, 1814).—338.

Canard, N. F. Principes d'économie politique. Paris, 1801 (კანარი, ნ. ფ. პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები. პარიზი, 1801).—222.

[Cantillon, R.] Essai sur la nature du commerce en général. Londres, 1755 ([კანტილონი, რ.] ნარკვევი ვაჭრობის ბუნების შესახებ საერთოდ. ლონდონი, 1755).—52.

[Cazenove, J.] Outlines of political economy; being a plain and short view of the laws relating to the production, distribution, and consumption of wealth. London, 1832 ([კეზნოვი, ჯ.] პოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები, რომლებიც წარმოადგენენ სიმდიდრის წარმოების, განაწილებისა და მოხმარების კანონების საყოველთაოდ გასაგებ და მოკლე მიმოხილვას. ლონდონი, 1832).—329.

Cazenove, J. Preface, notes, and supplementary remarks to a new edition of Malthus' Definitions in political economy—იხ. Malthus, Th. R. Definitions in political economy.

Chalmers, Th. On political economy in connexion with the moral state and moral prospects of society. Second edition. Glasgow, Edinburgh, Dublin and London, 1832 (ჩალმერსი, თ. პოლიტიკური ეკონომიის შესახებ საზოგადოების ზნეობრივ მდგომარეობასა და ზნეობრივ პერსპექტივებთან დაკავშირებით. გამოცემა მეორე. გლაზგო, ედინბურგი, დუბლინი და ლონდონი, 1832). პირველი გამოცემა გამოვიდა იქვე 1832 წელსვე.—351.

Considerations on the East-India trade—იხ. [North, D.] Considerations upon the East-India trade.

Daire, E. Introduction sur la doctrine des physiocrates. In: Physiocrates. Avec une introduction et des commentaires par E. Daire. Première partie. Paris, 1846 (დერი, ე. შესავალი სტატია ფიზიოკრატების მოძღვრების შესახებ. წიგნში: ფიზიოკრატები. ე. დერის შესავალი სტატიით და კომენტარებით. ნაწილი პირველი. პარიზი, 1846).—26.

[Davenant, Ch.] Discourses on the publick revenues, and on the trade of England. Part I and II. London, 1698 [დავენანტი, ჩ.] მსჯელობანი ინგლისის საზოგადოებრივ შემოსავალსა და ვაჭრობაზე. ნაწილი I და II. ლონდონი, 1698).—190.

[Davenant, Ch.] An Essay on the East-India trade (1697). In: Discourses on the publick revenues, and on the trade of England. Part II. London, 1698 ([დავენანტი, ჩ.] ნარკვევი ოსტ-ინდოეთის ვაჭრობის შესახებ (1697). წიგნში: მსჯელობანი ინგლისის საზოგადოებრივ შემოსავალსა და ვაჭრობაზე. ნაწილი II. ლონდონი, 1698).—189.

[Davenant, Ch.] An Essay upon the probable methods of making a people gainers in the ballance of trade. London, 1699 ([დავენანტი ჩ.] ნარკვევი იმ მეთოდების შესახებ, რომლებიც საკმაოდ სარწმუნოდ უზრუნველყოფენ ხალხისათვის ხელსაყრელ სავაჭრო ბალანსს. ლონდონი, 1699).—189.

Destutt de Trassy, A. L. C. Eléments d'idéologie. IV-e et V-e parties: Traité de la volonté et de ses effets. Paris, 1826 (დესტიუტ დე ტრასი, ა. ლ. კ. იდეოლოგიის ელემენტებში. ნაწილი IV და V: ტრაქტატი ნებისა და ის მოქმედებათა შესახებ. პარიზი, 1826). პირველი გამოცემა გამოვიდა პარიზში 1815 წელს. «იდეოლოგიის ელემენტების» IV ნაწილი 1823 წელს გაჩნდა პარიზში ცალკე გამოცემად სათაურით «Traité d'économie politique» («ტრაქტატი პოლიტიკური ეკონომიის შესახებ»).—310—314, 316—317, 318, 321—326, 330.

Dupont de Nemours, P. S. De l'origine et des progrès d'une science nouvelle (1767). In: Physiocrates. Avec une introduction et des commentaires par E. Daire. Première partie. Paris, 1846 (დიუპონი დე ნემურ, პ. ს. ახალი მეცნიერების წარმოშობისა და წარმატებების შესახებ (1767). წიგნში: ფიზიოკრატები. ე. დერის შესავალი სტატიით და კომენტარებით. ნაწილი პირველი. პარიზი, 1846).—461.

Dupont de Nemours, P. S. Maximes du docteur Quesnay, ou Résumé de ses principes d'économie sociale. In: Physiocrates. Avec une introduction et des commentaires par E. Daire. Première partie., Paris, 1846 (დიუპონი დე ნემურ პ. ს. დოქტორ კენეს დებულებანი, ანუ სოციალური ეკონომიის ეისი ძირითადი საფუძვლების რეზიუმე. წიგნში: ფიზიოკრატები. ე. დერის შესავალი სტატიით და კომენტარებით. ნაწილი პირველი. პარიზი, 1846).—162.

An Essay on the East-India trade-ის. [Davenant, Ch.] An Essay on the East-India trade.

The Essential principles of the wealth of nations, illustrated, in opposition to some false doctrines of Dr. Adam Smith, and others. London, 1797 (ხალხთა სიმდიდრის ძირითადი ნიშნებიდან განმარტება. დ-რ ადამ სმიტის და სხვების ზოგიერთი უმართებელო ჰიპოთეზების წინააღმდეგ. ლონდონი, 1797).—470.

Ferrier, F. L. A. Du gouvernement considéré dans ses rapports avec le commerce. Paris, 1805 (ფერიე, ფ. ლ. ო. მთავრობის შესახებ ვაჭრობასთან ეისი ურთიერთობის თვალსაზრისით. პარიზი, 1805).—288, 289.

Forcade, E. La guerre du socialisme. II: L'économie politique révolutionnaire et sociale. In: «Revue des deux Mondes», nouvelle série, tome XXIV. Paris, 1843 (ფორკადი, ე. სოციალიზმის ომი. სტატია მეორე: რევოლუციური და სოციალური პოლიტიკური

ეკონომია ჟურნალში «Revue des deux Mondes», ახალი სერია, ტომი XXIV. პარიზი, 1848).—103.

Ganilh, Ch. Des systèmes d'économie politique, de la valeur comparative de leurs doctrines, et de celle qui paraît la plus favorable aux progrès de la richesse. Seconde édition. Tomes I—II. Paris, 1821 (განილი, შ. პოლიტიკური ეკონომიის სისტემები, მათი დოქტრინების შედარებითი ღირებულებისა და მათგან იმ დოქტრინის შესახებ, რომელიც სიმდიდრის ზრდისათვის ყველაზე ხელსაყრელად წარმოგვიდგება. გამოცემა მეორე. ტომები I-II. პარიზი, 1821). პირველი გამოცემა გამოვიდა პარიზში 1809 წელს.—193, 222—235, 239, 246, 248—250, 257, 258.

Ganilh, Ch. La théorie de l'économie politique. Tomes I—II. Paris, 1815 (განილი, შ. პოლიტიკური ეკონომიის თეორია. ტომები I—II. პარიზი. 1815).—239.

[Garnier, G.] Abrégé élémentaire des principes de l'économie politique. Paris, 1796 ([გარნიე, ჟ.] პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი საფუძვლების ნოკლე გადმოცემა. პარიზი, 1796).—220, 221.

Garnier, G. Notes du traducteur. In: Smith, A. Recherches sur la nature et les causes de la richesse des nations. Traduction nouvelle, avec des notes et observations, par Germain Garnier. Tome cinquième. Paris, 1802 (გარნიე, ჟ. მთარგმნელის შენიშვნები. წიგნში: სმიტი, ა. გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. ჟერმენ გარნიეს ახალი თარგმანი, მთარგმნელის სქოლიოებითა, და შენიშვნებით. ტომი მეხუთე. პარიზი, 1802).—38, 39—40, 194—196, 199—200, 201, 216—220, 305—306.

Hobbes, Th. Leviathan, or the Matter, form, and power of a commonwealth, ecclesiastical and civil (1651). In: The English works of Thomas Hobbes; now first collected and edited by Molesworth. Vol. III. London, 1839 (ჰობსი, თ ლევიათანი, ანუ მატერია, ფორმა და ძალაუფლება სახელმწიფოსი, საეკლესიო და სამოქალაქოსი (1651). წიგნში: თომას ჰობსის ინგლისური ნაწარმოებები, პირველად შეკრებილნი და გამოცემულნი ნოლსეორთის მიერ. ტომი III. ლონდონი, 1839).—425, 442.

Hodgskin, Th. Popular political economy. Four lectures delivered at the London Mechanics' Institution. London, 1827 (ჰოდსკინი, თ. სახალხო პოლიტიკური ეკონომია. ლონდონის მუშათა სკოლაში წაკითხული ოთხი ლექცია. ლონდონი. 1827).—72, 498.

Hume, D. Of commerce (1752). In: Hume, D. Essays and treatises on several subjects. In two volumes. Vol. I, containing Essays, moral, political, and literary. A new edition. London, 1764 (იუმი, დ. ნარკვევები და ტრაქტატები სხვადასხვა საკითხებზე, ორ ტომად. ტომი I შეიცავს მორალურ, პოლიტიკურ და ლიტერატურულ ნარკვევებს. ახალი გამოცემა. ლონდონი, 1764).—454.

Hume, D. Of interest (1752). In: Hume, D. Essays and treatises on several subjects In two volumes. Vol. I, containing Essays, moral, political, and literary. A new edition. London, 1764 (იუმი, დ. სარგებლის შესახებ (1752). წიგნში: იუმი, დ. ნარკვევები და ტრაქტატები სხვადასხვა საკითხებზე. ორ ტომად. ტომი I შეიცავს მორალურ, პოლიტიკურ და ლიტერატურულ ნარკვევებს. ახალი გამოცემა. ლონდონი, 1764).—453—455.

An inquiry into those principles, respecting the nature of demand

and the necessity of consumption, lately advocated by Mr. Malthus, from which it is concluded, that taxation and the maintenance of unproductive consumers can be conducive to the progress of wealth. London. 1821 (გამოკვლევა პრინციპებისა, რომელთაც ახლახან ბ-ნი მალთუსი იცავდა, პრინციპებისა, რომლებიც შეეხება ნოთხოვნის ბუნებასა და მოხმარების აუცილებლობას და რომელთაგანაც ის დასკვნა კეთდება, რომ გადასახადებს და არაწარმოებელ მოხმარებელთა შენახვას შეეძლიათ ხელი შეუწყონ სიმდიდრის ზრდას. ლონდონი 1821).—36, 329—330.

Jones, R. An Essay on the distribution of wealth, and on the sources of taxation. Part I: Rent. London, 1831 (ჯ ო ნ ს ი, ნ. ნარკვევი სიმდიდრის განაწილებისა და გადასახადთა წყაროების შესახებ. ნაწილი I. რენტა. ლონდონი, 1831).—19.

Lauderdale, J. An Inquiry into the nature and origin of public wealth, and into the means and causes of its increase. Edinburgh and London, 1804 (ლ ო დ ე რ დ ე ლ ი, ჯ. გამოკვლევა ეროვნული სიმდიდრის ბუნებისა და წარმოშობის შესახებ და მისი გადიდების წესებისა და მიზეზების შესახებ. ედინბურგი და ლონდონი, 1804).—304.

Lauderdale, J. Recherches sur la nature et l'origine de la richesse publique, et sur les moyens et les causes qui concourent à son accroissement. Traduit de l'anglais par E. Lagentie de Lavaïsse. Paris, 1808 (ლ ო დ ე რ დ ე ლ ი, ჯ. გამოკვლევა ეროვნული სიმდიდრის ბუნებისა და წარმოშობის შესახებ და მისი გადიდების წესებისა და მიზეზების შესახებ. თარგმანი ინგლისურიდან ე. ლაჟანტი დე ლავაისისა. პარიზი, 1808).—77, 304, 305—306.

[Linguet, N.] Théorie des loix civiles, ou Principes fondamentaux de la société. Tomes I—II. Londres, 1767 (ლ ე ნ გ ე, ნ.] სამოქალაქო კანონების თეორია, ანუ საზოგადოების ძირითადი საფუძვლები. ტომები I—II. ლონდონი, 1767).—414—421.

Locke, J. Some considerations of the consequences of the lowering of interest, and raising the value of money (1691). In: The Works of John Locke. Folio edition, 1740. Vol. II (ლ ო კ ი, ჯ. ზოგიერთი მოსაზრებანი სახელმწიფოს მიერ სარგებლის დაწევისა და ფულის ღირებულების გადიდების შედეგების შესახებ (1691) წიგნში: ჯონ ლოკის თხზულებანი. 1740 წლის გამოცემა ინ-ფოლიო, ტომი II).—442, 445.

Locke, J. Two treatises of government (1690). In: The Works of John Locke, in four volumes. The 7th edition. Vol. II. London, 1763 (ლ ო კ ი, ჯ. ორი ტრაქტატი სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის. შესახებ (1690). წიგნში: ჯონ ლოკის თხზულებანი, ოთხტომად. გამოცემა მეშვიდე, ტომი II. ლონდონი, 1768).—442—445.

Malthus, Th. R. Definitions in political economy. A new edition with a preface, notes, and supplementary remarks by John Cazenove. London, 1853 (მ ა ლ თ უ ს ი, თ. რ. განსაზღვრანი პოლიტიკურ ეკონომიაში. ახალი გამოცემა, ჯონ კეზნოვის წინასიტყვაობით, შენიშვნებით და დამატებითი მინაწერებით. ლონდონი, 1853).—52—53.

Malthus, Th. R. Essai sur le principe de population. Traduit de l'anglais sur la 5-ème édition par Pierre et Guillaume Prévost. 3-ème édition française. Tomes I—IV. Paris et Genève, 1836 (მ ა ლ თ უ ს ი, თ. რ.) ნარკვევი მოსახლეობის კანონის შესახებ. პიერ და გიომ პრევოს თარგ-

მანი მე-5 ინგლისური გამოცემიდან. მესაზე ფრანგული გამოცემა. ტომები I—IV, პარიზი და ჟენევა, 1836).—329.

Malthus, Th. R. Principles of political economy considered with a view to their practical application. 2nd edition with considerable additions from the author's own manuscript and an original memoir. London, 1836 (მალთუსი, თ. რ. პოლიტიკურ ეკონომიის საფუძვლები, განხილული ნათი პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით. გაბეჭდა ზეთრე: ეზრშენელოვანი დამატებებით ავტორის საკუთარი ხელნაწერიდან და ავტორის ბოლე ბიოგრაფიით. ლონდონი, 1836).—160.

[Mandeville, B.] The Fable of the bees, or Private vices publick benefits. 5th edition. London, 1723 ([მანდევილი, ბ.] ფაბეი ფუტკრებზე, ანუ კერძო ნაკლიერებანი—საზოგადოებრივი სარგებლობაა, გაბეჭდა მეხუთე, ლონდონი, 1728). პირველი გაბეჭდა გაბეჭდილ ლონდონში 1705 წელს.—186, 473.

Marx, K. Misère de la Philosophie. Réponse à la Philosophie de la misère de M. Proudhon. Paris—Bruxelles, 1847 (მარქსი, კ. ფილოსოფიის სიღატაკე. პასუხი ბ-ნ პრუდონის შრომაზე «სიღატაკის ფილოსოფია». პარიზი—ბრიუსელი, 1847).—52.

Marx, K. Zur Kritik der politischen Oekonomie Erstes Heft. Berlin, 1859 (მარქსი, კ. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის. ნაკეთი პირველი. ბერლინი, 1859).—48, 153, 183, 356, 385, 409, 410, 474—475.

[Massie, J.] An Essay on the governing causes of the natural rate of interest: wherein the sentiments of Sir William Petty and Mr. Locke, on that head, are considered. London, 1750 ([მასი, ჯ.] ნარკვევი სარგებლის ბუნებრივი ნორმის განსაზღვრელი მიზეზების შესახებ, სადაც განხილულია სერ უილიამ პეტის და ბატონ ლოკის შეხედულებანი ამ საკითხზე. ლონდონი, 1750).—453, 456—458.

[Mercier de la Rivière, P. P.] L'ordre naturel et essentiel des sociétés politiques. Tomes I—II. Londres et Paris, 1767 ([მერსიე დე ლა რივიერ პ. პ. პოლიტიკურ საზოგადოებათა ბუნებრივი და არსებითი წესრიგი. ტომები I—II. ლონდონი და პარიზი, 1767).—37—38 41, 42.

Mill, J. St. Essays on some unsettled questions of political economy. London, 1844 (მილი, ჯ. სტ. ნარკვევები პოლიტიკური ეკონომიის ზოგიერთი გადაუწყვეტელი საკითხის შესახებ. ლონდონი, 1844). 193, 194.

[Montesquieu, Ch.] De l'esprit des loix. Genève, 1743 ([მონტესქიე, შ.] კანონების სულის შესახებ. ჟენევა, 1748).—353—354.

Necker, J. De l'administration des finances de la France (1784). In: Oeuvres de Necker. Tome deuxième. Lausanne et Paris, 1789 (ნეკერი, ჟ. საფრანგეთის ფინანსების მმართველობის შესახებ (1784). წიგნში: ნეკერის თხზულებანი. ტომი მეორე. ლოზანა და პარიზი, 1789).—359—362.

Necker, J. Sur la législation et le commerce des grains (1775). In: Oeuvres de Necker. Tome quatrième. Lausanne, 1786 (ნეკერი, ჟ. კანონმდებლობისა და პურით ვაჭრობის შესახებ (1775). წიგნში: ნეკერის თხზულებანი. ტომი მეოთხე. ლოზანა, 1786).—359, 362, 363.

[North, D.] Considerations upon the East-India trade. London, 1701 ([ნორსი, დ.] მოსაზრებანი ოსტ-ინდოეთის ვაჭრობაზე. ლონდონი, 1701).—189.

[North, D.] Discourses upon trade. London, 1691 ([ნორსი, დ.] მსჯელობანი ვაჭრობაზე. ლონდონი, 1691).—441, 446—451.

Outlines of political economy—იხ. [Cazenove, J.] Outlines of political economy.

Paley, W. The Principles of moral and political philosophy. London, 1785 (პეილი, უ. ნორალური და პოლიტიკური ფილოსოფიის საფუძვლები. ლონდონი, 1785).—530.

Paoletti, F. Iveri mezzi di render felici le società (1772). In: Scrittori classici italiani di economia politica. Parte moderna. Tomo XX. Milano, 1804 (პაოლეტი, ფ. ქეშნარიტი საშუალებანი ინისათვის, რომ საზოგადოებანი ბედნიერნი გავხადოთ (1772). გამოცემაში: პოლიტიკური ეკონომიის იტალიელი კლასიკოსები. თანამედროვე ეკონომისტები. ტომი XX. მილანი, 1804).—34, 35.

Petty W. An Essay concerning the multiplication of mankind (1682). In: Petty, W. Several essays in political arithmetick. London, 1699 (პეტი, უ. გაზრდილობა ადამიანთა ნოდგმის რიცხვის გადიდების შესახებ (1682). წიგნში: პეტი, უ. ნარკვევში პოლიტიკური არითმეტიკის დარგიდან. ლონდონი, 1699).—438.

Petty, W. The Political anatomy of Ireland (1672). To which is added Verbum sapienti. London, 1691 (პეტი, უ. ირლანდიის პოლიტიკური ანატომია (1672). დანართით: სიტყვა-საკმარისი გაგებისათვის. ლონდონი, 1691).—438—441.

Petty, W. Political arithmetick (1676). In: Petty, W. Several essays in political arithmetick. London, 1699 (პეტი, უ. პოლიტიკური არითმეტიკა (1676). წიგნში: ეეტი, უ. ნარკვევები პოლიტიკური არითმეტიკის დარგიდან. ლონდონი, 1699).—183, 190—193.

Petty, W. Quantulumcunque concerning money, 1682. London, printed in the year 1695 (პეტი, უ. ზოგი რამ ფულის შესახებ, 1682. ლონდონი, დაიბეჭდა 1695 წელს).—439, 441.

[Petty, W.] A Treatise of taxes and contributions. London, 1662 ([პეტი, უ.] ტრაქტატი გადასახადთა ბოსაკრებელთა შესახებ. ლონდონი, 1662).—438, 441.

Idem. London, 1667 (იგივე. ლონდონი, 1667).—427—433, 434—438.

Idem. London, 1679 (იგივე. ლონდონი, 1679).—192.

Petty, W. Verbum sapienti (1665). In: Petty, W. The Political anatomy of Ireland. London, 1691 (პეტი, უ. სიტყვა, საკმარისი გაგებისათვის (1665). წიგნში: (პეტი, უ. ირლანდიის პოლიტიკური ანატომია. ლონდონი, 1691).—438, 439.

Physiocrates. Avec une introduction et des commentaires par E. Daire. Paris, 1846—იხ. Baudeau. Explication..., Daire. Introduction..., Dupont de Nemours. De l'origine..., Dupont de Nemours. Maximes..., Quesnay. Analyse..., Quesnay. Dialogues..., Quesnay. Maximes...

Physiocratie, ou Constitution naturelle du gouvernement le plus avantageux au genre humain. Recueil [d'oeuvres de Quesnay] publié par Du Pont. Leyde et Paris, 1767 (ფიზიოკრატია, ანუ ადამიანთა მოდგმისათვის ყველაზე სასარგებლო მართვა-გაგებეობის ბუნებრივი წყობილება. [კენეს შრომების] კრებული. გამოცემული დიუპონის მიერ. ლეიდენი და პარიზი, 1767).—258.

Proudhon, P. J. Gratuité du crédit—იხ. Bastiat, Fr. Gratuité du crédit. Discussion entre M. Fr. Bastiat et M. Proudhon.

Proudhon, P. J. Qu' est-ce que la propriété? ou Recherches sur le principe du droit et du gouver-

nement. Paris, 1840 (პრუდონი, ჯ. ე. რა არის საკუთრება? ანუ გამოკვლევა სამართლისა და ხელისუფლების პრინციპის შესახებ. პარიზი, 1840).—103.

Proudhon, P. J. Système des contradictions économiques, ou Philosophie de la misère. Tomes I—II. Paris, 1846 (პრუდონი, პ. ჟ. ეკონომიკურ წინააღმდეგობათა სისტემა, ანუ სიღატაკის ფილოსოფია. ტომები I—II. პარიზი, 1846).—40.

Quesnay, F. Analyse du Tableau économique (1766). In: Physiocrates. Avec une introduction et des commentaires par E. Daire. Première partie. Paris, 1846 (კენე, ფ. ეკონომიური ცხრილის ანალიზი (1766). წიგნში: ფიზიოკრატები. ე. დერის შესავალი სტატიით და კომენტარებით. ნაწილი პირველი. პარიზი, 1846).—26, 459.

Quesnay, F. Dialogues sur le commerce et sur les travaux des artisans (1766). Du commerce. Premier dialogue entre M. H. et M. N. Sur les travaux des artisans. Second dialogue. In: Physiocrates, Avec une introduction et des commentaires par E. Daire. Première partie. Paris, 1846 (კენე, ფ. დიალოგები ვაჭრობისა და ხელოსანთა შრომის შესახებ (1766). ვაჭრობის შესახებ. დიალოგი პირველი ბ-ნ ჰ-სა და ბ-ნ ნ-ს შორის. ხელოსანთა შრომის შესახებ. დიალოგი მეორე.—წიგნში: ფიზიოკრატები. ე. დერის შესავალი სტატიით და კომენტარებით. ნაწილი პირველი. პარიზი, 1846).—461—462.

Quesnay, F. Maximes générales du gouvernement économique d'un royaume agricole (1758). In: Physiocrates. Avec une introduction et des commentaires par E. Daire. Première partie. Paris, 1846 (კენე, ფ. სამეწარმოებელი სახელმწიფოს ეკონომიური პოლიტიკის ზოგადი პრინციპები (1758). წიგნში: ფიზიოკრატები. ე. დერის შესავალი სტატიით და კომენტარებით. ნაწილი პირველი. პარიზი, 1846).—41, 42.

Ramsay, G. An Essay on the distribution of wealth. Edinburgh, 1836 (რამსეი, ჯ. ნარკვევი სიმდიდრის განაწილების შესახებ, ედინბურგი, 1836).—93, 94, 97.

Return to an address of the Honourable The House of Commons, dated 24 April 1861. Ordered, by The House of Commons, to be printed, 11 February 1862 (ანგარიში, წარდგენილი დიდებულ-ტივეენული თემთა პალატის მოთხოვნით 1861 წლის 24 აპრილს. დაიბეჭდა თემთა პალატის განკარგულებით 1862 წლის 11 თებერვალს).—219.

Ricardo, D. On the principles of political economy, and taxation. 2nd edition. London, 1819 (რიკარდო, დ. პოლიტიკური ეკონომიისა და საგადასახადო დაბეგვრის საფუძვლების შესახებ. გამოცემა მეორე. ლონდონი, 1819) პირველი გამოცემა გამოვიდა ლონდონში 1817 წელს.—36.

Idem. 3d edition. London, 1821 (იგივე. გამოცემა მესამე. ლონდონი. 1821).—187, 188, 253, 254—255, 463.

Ricardo, D. Des principes de l'économie politique et de l'impôt. Traduit de l'anglais par Constancio, avec des notes explicatives et critiques par J. B. Say. Tomes I—II. Paris, 1819 (რიკარდო, დ. პოლიტიკური ეკონომიისა და საგადასახადო დაბეგვრის საფუძვლების შესახებ. თარგმანი ინგლისურიდან კონსტანსიოსი, ჟ. ბ. სეის ახსნა-განმარტებითი და კრიტიკული შენიშვნებით. ტომები I—II. პარიზი, 1819).—246.

Rossi, P. Cours d'économie politique. Année 1836—1837 (Contenant les deux volumes de l'édition de

Paris). In: Cours d'économie politique. Bruxelles, 1843 (როსი, ჰ. პოლიტიკური ეკონომიის კურსი. წაკითხული ჟენა 1836-37 წელს (შეიცავს პარიზის გამოცემის ორივე ტომს). კრებულში: პოლიტიკური ეკონომიის კურსი. ბრიუსელი, 1843. როსის წიგნის პირველი გამოცემა გამოვიდა ორ ტომად 1840—1841 წლებში.—341—346, 347—350.

Say, J. B. Lettres à M. Malthus, sur différens sujets d'économie politique, notamment sur les causes de la stagnation générale du commerce. Paris—Londres, 1820 (სეი, ჟ. ბ. წერილები ბ-ნ მალთუსს პოლიტიკური ეკონომიის სხვადასხვა საკითხზე, განსაკუთრებით ვაჭრობის საყოველთაო შეფერხების მიზეზების შესახებ. პარიზი-ლონდონი, 1820).—263.

Say. J. B. Traité d'économie politique. Tomes I II. Paris, 1803 (სეი, ჟ. ბ.) ტრაქტატი პოლიტიკური ეკონომიის შესახებ. ტომები I—II. პარიზი, 1803.—257, 307.

Idem. Troisième édition. Tomes I—II. Paris, 1817 (იგივე. გამოცემა მესამე. ტომები I—II. პარიზი, 1817).—91, 152, 307—309.

Schmalz, Th. A. H. Economie politique. Ouvrage traduit de l'allemand par Henri Jouffroy. Tomes I—II. Paris, 1826 (შმალცი, თ. ა. ჰ. პოლიტიკური ეკონომია. თარგმანი გერმანულიდან ანრი ჟუფრუასი. ტომები I—II. პარიზი, 1826). გერმანული გამოცემა გამოვიდა ბერლინში 1818 წელს.—44, 222.

Senior N. W. Principes fondamentaux de l'économie politique, tirés de leçons élites et inédites de Mr. N. W. Senior par le c-te Jean Arrivabene. Paris, 1836. პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი საფუძვლები, ამოღებული გრაფ ჟან არივაბენეს მიერ ბ-ნ ნ. უ. სენიორის როგორც გამოცემული, ისე გამოუცემელი ლექციებიდან. პარიზი, 1836).—335—340.

Sismondi, J. Ch. L. Simonde de. Nouveaux principes d'économie politique, ou De la richesse dans ses rapports avec la population. Seconde édition. Tomes I—II. Paris, 1827 (სისმონდი, ჟ. შ. ლ. სიმონდ დე. პოლიტიკური ეკონომიის ახალი საფუძვლები, ანუ სიმდიდრის შესახებ ნის ნიმართებაში მოსახლეობასთან. მეორე გამოცემა. ტომები I—II. პარიზი, 1827). პირველი გამოცემა გამოვიდა 1819 წელს.—187, 329,

Smith, A. An Inquiry into the nature and causes of the Wealth of nations. In two volumes. London, 1776 (სმიტი ა. გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. ორ ტომად. ლონდონი, 1776).—10, 35, 36, 70, 83—84, 216.

Smith, A. An Inquiry into the nature and causes of the wealth of nations. With a life of the author, an introductory discourse. notes and supplemental dissertations by MacCulloch. In four volumes. Edinburgh and London, 1828 (სმიტი, ა. გამოკვლევა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. ავტორის ბიოგრაფიით, ნაკ-კულოხის შესავალი სტატიით, შენიშვნებით და დამატებითი ისტორიებით. ოთხ ტომად. ედიბურგი და ლონდონი, 1828).—46, 48, 65, 67, 159, 163—164, 166, 353, 356.

Smith, A. Recherches sur la nature et les causes de la richesse des nations. Traduction nouvelle, avec des notes et observations, par Germain Garnier. Tomes I—IV. Paris, 1802 (სმიტი, ა. გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. ჟერმენ

გარნიეს ახალი თარგმანი შთარგნელის შენიშვნებითა და განმარტებებით. ტომები I—IV. პარიზი, 1802).—46, 48, 52—60, 62—66, 73—76, 79, 80, 85—91, 120 167—168, 169, 175—179, 182, 289, 291, 294, 296—307, 326, 355, 411—412, 413.

Spence, W. Britain independent of commerce. London, 1807 (სპენსი, უ. ბრიტანეთი არ არის ეკონომიაზე დამოკიდებული. ლონდონი, 1807).—465.

Steuart, J. An Inquiry into the principles of political oeconomy. In two volumes. London, 1767 (სტიუარტი. ჯ. გამოკვლევა პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლების შესახებ. ორ ტომად. ლონდონი, 1767).—9—10.

Steuart, J. An Inquiry into the principles of political oeconomy. In: The Works of Sir James Steuart, collected by General Sir James Steuart, his son, in six volumes. Vol. I. London, 1805 (სტიუარტი, ჯ. გამოკვლევა პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლების შესახებ. წიგნში: სერ ჯეკს სტიუარტის თხზულებანი, შეკრებილი ძისა შვილის გენერალ სერ ჯეკს სტიუარტის ნაკრ, ექვს ტომად. ტომი I, ლონდონი, 1805).—7—9.

Idem. Vol. III. London, 1805 (იგივე. ტომი III. ლონდონი, 1805).—9—10.

Storch, H. Considérations sur la nature du revenu national (tome V du «Cours d'économie politique»). Paris, 1824 (შტორხი, ა. ნოსაზრებანი ეროვნული შემოსავლის ბუნების შესახებ (პოლიტიკური ეკონომიის კურსის» V ტომი). პარიზი, 1824.—92—93.

Storch, H. Cours d'économie politique; ou Exposition des principes qui déterminent la prospérité des nations. Tomes I—VI. St.-Pétersbourg, 1815 (შტორხი, ა. პოლიტიკური ეკონომიის კურსი, ანუ ხალხთა კეთილდღეობის განმსაზღვრელი საფუძვლების გადმოცემა. ტომები I—VI. ს.-პეტერბურგი, 1815).—500.

Storch, H. Cours d'économie politique, ou Exposition des principes qui determinent la prospérité des nations. Avec des notes explicatives et critiques par J. B. Say. Tomes I—IV. Paris, 1823 (შტორხი, ა. პოლიტიკური ეკონომიის კურსი, ანუ ხალხთა კეთილდღეობის განმსაზღვრელი საფუძვლების გადმოცემა. ჟ. ბ. სეის ახსნა-განმარტებებით და კრიტიკული შენიშვნებით. ტომები I—IV. პარიზი, 1823).—330, 333, 334.

Turgot. Réflexions sur la formation et la distribution des richesses (1766). In: Oeuvres de Turgot. Nouvelle édition par E. Daire. Tome premier. Paris, 1844 (ტიურგო. ფიქრები სიმდიდრეთა შემქმნისა და განაწილებაზე (1766). წიგნში: ტიურგოს თხზულებანი. ე. დერის ახალი გამოცემა. ტომი პირველი, პარიზი, 1844).—10, 27—33, 36, 37, 40—41.

Verri, P. Meditazioni sulla economia politica (1771). In: Scrittori classici italiani di economia politica. Parte moderna. Tomo XV. Miláno, 1804 (ვერი, პ. ფიქრები პოლიტიკურ ეკონომიაზე. გამოცემაში: პოლიტიკური ეკონომიის იტალიელი კლასიკოსები. თანამედროვე ეკონომისტები. ტომი XV. მილანი, 1804).—34—35, 45.

პერიოდული გამოცემები

«Revue des deux Mondes» («ძველი და ახალი ქვეყნის მიმოხილვა»), პარიზი, ახალი სერია, ტომი XXIV, 1848. — 103.

მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებები

ვერგილიუსი. ეპიგრამა. — 252.
ვოლტერი. ჰენრიადა. — 333.
ლესინგი. ჰამბურგის დრამატურგია. — 333.
მანდეევილი. იგავი ფუტკრებზე. — 186, 473.
მილტონი. დაკარგული სამოთხე. — 491.
მიულნერი. დანაშაული. — 472.
სოფოკლე. ოიდიპოსი. — 472.
შექსპირი. რიჩარდ III. — 472.
შილერი. ყაჩაღები. — 472.
ჰომეროსი. ილიადა. — 333, 349 — 350.
ჰორაციუსი. ეპისტოლენი. — 186, 311.

შინაარსი

წინასიტყვაობა V—XXXI

ზედმეტი ღირებულების თეორიების

(«კაპიტალის» IV ტომი)

ნაწილი პირველი

[«ზედმეტი ღირებულების თეორიების» ხელნაწერის შინაარსი] . 1—3
[ზოგადი შენიშვნა] 4

[თავი პირველი] სერ ჯემს სტიუარტი [განსხვავება «გასხვისებით მიღებულ მოგებასა» და სიმდიდრის დადებითს გადიდებას შორის] . 7—10

[თავი მეორე] ფიზიოკრატები . 11—45

[1) ზედმეტი ღირებულების წარმოშობის საკითხის გადატანა სფეროდან წარმოების სფეროში. შეხედულება მიწის რენტაზე როგორც ზედმეტი ღირებულების ერთადერთ ფორმაზე] . . . . . 11—20
[2) წინააღმდეგობანი ფიზიოკრატების სისტემაში: სისტემის ფეოდალური გარეგნობა და მისი ბურჟუაზიული არსება; ზედმეტი ღირებულების ორგვარი გაგება] . . . . . 21—26
[3) კენე საზოგადოების სამი კლასის შესახებ/ ფიზიოკრატული თეორიის შემდგომი განვითარება ტიურგოს მიერ: კაპიტალისტური ურთიერთობის უფრო ღრმა ანალიზის ელემენტები] . . . . 26—34
[4) ღირებულების და ბუნების ნივთიერების ერთმანეთში არევა პოლეტი)] . . . . . 34—35
[5) ფიზიოკრატული თეორიის ელემენტები ადამ სმიტის სისტემაში] . 35—40
[6) ფიზიოკრატები როგორც მსხვილი კაპიტალისტური მწარმოებლების მომხრენი] . . . . . 40—42
[7) წინააღმდეგობანი ფიზიოკრატების პოლიტიკურ შეხედულებებში. ფიზიოკრატები და საფრანგეთის რევოლუცია] . . . . . 42—43
[8) ფიზიოკრატული მოძღვრების ეულგარიზაცია პრუსიული რეაქციონერის შვალცის მიერ] . . . . . 43—44
[9) მიწათმოქმედების საკითხში ფიზიოკრატული ცრურწმენის ადრინდელი კრიტიკა (ვერი)] . . . 45

[თავი მესამე] ადამ სმიტი 46—153

[1) სმიტის მიერ ღირებულების ორი სხვადასხვა განსაზღვრა: ღირებულების განსაზღვრა საქონელში მოქცეული დახარჯული შრომის რაოდენობით და ღირებულების განსაზღვრა ამ საქონელზე გაცვლის გზით საყიდელი ცოცხალი შრომის რაოდენობით] . . . 46—57

[2) ზედმეტი ღირებულების სმიტისეული ზოგადი კონცეფცია. შეხედულება მოგებისა, მიწის რენტისა და სარგებელზე როგორც მუშის შრომის პროდუქტიდან გამონაკლებზე] . . . . . 57—67

[3) ზედმეტი ღირებულების ცნებას სმიტი ავრცელებს საზოგადოებრივი შრომის ყველა სფეროზე] . . . . . 67—68

[4) სმიტმა ვერ გაიგო ღირებულების კანონის სპეციფიკური მოქმედება კაპიტალსა და დაქირავებულ შრომას შორის გაცვლისას] . . 69—72

[5) სმიტი აიგივებს ზედმეტ ღირებულებას და მოგებას. ვულგარული ელემენტი სმიტის თეორიაში] . . . . . 72—77

[6) სმიტის მცდარი შეხედულება მოგებასა, მიწის რენტასა და ხელფასზე როგორც ღირებულების წყაროებზე] . . . . . 77—80

[7) ღირებულებისა და შემოსავლის ურთიერთდამოკიდებულებაზე სმიტის შეხედულებათა ორადობა. მცდარი წრე სმიტის კონცეფციაში, რომლის თანახმად «ბუნებრივი ფასი» წარმოდგენილია როგორც ხელფასის, მოგებისა და რენტის ჯამი] . . . . . 81—84

[8) შეცდომა სმიტისა, რომელსაც საზოგადოებრივი პროდუქტის მთელი ღირებულება შემოსავალზე დაჰყავს. მთლიან და წმინდა შემოსავალზე სმიტის შეხედულებათა წინააღმდეგობანი] . . . 84—91

[9) სეი როგორც სმიტის თეორიის ვულგარიზატორი. სეი აიგივებს საზოგადოებრივ მთლიან პროდუქტს და საზოგადოებრივ შემოსავალს. შტორხი და რამსეი ცდილობენ განასხვაონ ისინი] . . . 91—96

[10) გამოკვლევა იმისა, თუ როგორ შეიძლება, რომ წლიური მოგება და წლიური ხელფასი ყიდულობდნენ წლის განმავლობაში წარმოებულ საქონელთ, რომელნიც, მოგებისა და ხელფასის გარდა, კიდევ მუდმივ კაპიტალსაც შეიცავენ . . . . . 96—153

[ა) შეუძლებელია მოხმარების საგნების მწარმოებელთა მუდმივი კაპიტალის ანაზღაურება ამ მწარმოებელთა შორის გაცვლის გზით] 96—121

[ბ) შეუძლებელია საზოგადოების მთელი მუდმივი კაპიტალის ანაზღაურება მოხმარების საგნების მწარმოებელთა და წარმოების საშუალებათა მწარმოებლებს შორის გაცვლის გზით] . . . 121—137

[გ) კაპიტალის გაცვლა კაპიტალზე წარმოების საშუალებათა მწარმოებლებს შორის. შრომის წლიური პროდუქტი და ამ წელს ახლადმოპატებული შრომის პროდუქტი] . . . . . 137—153

[11) დამატებანი: სმიტის არევ-დარევა ღირებულების საზომის საკითხში; სმიტის წინააღმდეგობათა ზოგადი ხასიათი] 153

[თავი მეოთხე] მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის თეორიები . . . . . 154—358

[1) მწარმოებლური შრომა კაპიტალისტური წარმოების თვალსაზრისით როგორც ზედმეტი ღირებულების შემქმნელი შრომა] . . . 154—156

[2) ფიზიოკრატებისა და მერკანტილისტების შეხედულებანი მწარ-

მოებლურ შრომაზე . . . . . 156—158
[3] მწარმოებლური შრომის სმიტისეული კონცეფციის გაორება. საკითხის პირველი გაგება: შეხედულება მწარმოებლურ შრომაზე როგორც კაპიტალზე გასაცვლელ შრომაზე] . . . . . 158—165
[4] სმიტის მეორე შეხედულება ამ საკითხზე: მწარმოებლური შრომა როგორც საქონელში გასაგნობრივებული შრომა] . . . . . 165—183
[5] ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ვულგარიზაციის პროცესი მწარმოებლური შრომის განსაზღვრის საკითხში] . . . . 183—186
[6] სმიტის შეხედულებათა მომხრენი მწარმოებლური შრომის საკითხში. საკითხის ისტორიისათვის] . . . . . 187—194
[ა) პირველი გაგების მომხრენი: რიკარდო, სისმონდი] . . . 187—188
[ბ) მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის განსხვავების ადრინდელი ცდები (დავენანტი, პეტი)] . . . . . 188—193
[გ) მწარმოებლური შრომის სმიტისეული მეორე გაგების მომხრე — ჯონ სტიუარტ მილი] . . . . . 193—194
[7)] ედმუნდ გარნიე [სმიტისა და ფიზიოკრატების თეორიათა ვულგარიზაცია] . . . . . 194—222
[ა) კაპიტალზე გასაცვლელი შრომისა და შემოსავალზე გასაცვლელი შრომის ერთმანეთში არევა მომხმარებელთა შემოსავლით მთელი კაპიტალის ანაზღაურების მცდარი კონცეფცია] 194—201
[ბ) მუდმივი კაპიტალის ანაზღაურება კაპიტალის კაპიტალზე გაცვლით] . . . . . 201—215
[გ) ვულგარული წანამძღვრები გარნიეს პოლემიკისა სმიტის წინააღმდეგ. გარნიე უბრუნდება ფიზიოკრატულ წარმოდგენებს. უკანგადადგმული ნაბიჯი ფიზიოკრატებთან შედარებით: შეხედულება არამწარმოებელი მუშაკების მოხმარებაზე როგორც წარმოების წყაროზე] . . . . . 216—222
[8)] შარლ განილი [მერკანტილისტური შეხედულება გაცვლასა და საცვლელ ღირებულებაზე. ყოველი დაჭირავებული შრომის შეტანა მწარმოებლური შრომის ცნებაში] . . . . . 222—236
[9) განილი და რიკარდო «წმინდა შემოსავლის» შესახებ. განილი როგორც მწარმოებელი მოსახლეობის შემცირების მომხრე; რიკარდო როგორც კაპიტალის დაგროვებისა და მწარმოებლური ძალების ზრდის მომხრე . . . . . 236—259
[10)] შემოსავლისა და კაპიტალის გაცვლა (წლიური პროდუქტის მთელი მასის ანაზღაურება: ა) შემოსავლის გაცვლა შემოსავალზე; ბ) შემოსავლის გაცვლა კაპიტალზე; გ) კაპიტალის გაცვლა კაპიტალზე] . . . . . 259—288
[11)] ფერიე [პრობექციონისტული ხასიათი ფერიეს პოლემიკისა, რომელიც მიმართულია მწარმოებლური შრომისა და კაპიტალის დაგროვების შესახებ სმიტის თეორიის წინააღმდეგ. სმიტის არევა-დარევა დაგროვების საკითხში. ვულგარული ელემენტი სმიტის შეხედულებებში «მწარმოებელ მუშაკებზე»] . . . . . 288—304
[12)] გრაფი ლოდერდელი [პოლოგეტიკური შეხედულება გაბატონებულ კლასებზე როგორც მწარმოებლური შრომის უმნიშვნელოვანეს წარმომადგენლებზე] . . . . . 304—306

[13] სეის «არამატერიალური პროდუქტების» კონცეფცია. არამწარმოებლური შრომის შეუჩერებელი ზრდის გამართლება] . . . 307—310
[14)] გრაფი დესტიტტ დე ტრასი [მოგების წარმოშობის ვულგარული კონცეფცია. «მოქმედი კაპიტალისტების» გამოცხადება ერთადერთ მწარმოებელ მუშაკებად] . . . . . 310—326
[15] მწარმოებელური და არამწარმოებელური შრომის სმიტისეული განსხვავების წინააღმდეგ მიმართული პოლემიკის ზოგადი დახასიათება. აპოლოგეტიკური შეხედულება არამწარმოებლურ მოხმარებაზე როგორც წარმოების აუცილებელ სტიმულზე] . . . . . 327—330
[16)] ანრი შტორხი [ანტიისტორიული მიდგომა მატერიალური და სულიერი წარმოების ურთიერთდამოკიდებულების პრობლემისადმი. კონცეფცია «არამატერიალური შრომისა», რომელსაც გაბატონებული კლასი ასრულებს] . . . . . 330—335
[17)] ნასაუ სენიორი [ბურჟუაზიისათვის სასარგებლო ყველა ფუნქციის გამოცხადება მწარმოებლურ ფუნქციად. მონური ქედმოხრა ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული სახელმწიფოს წინაშე] . . . . 335—341
[18)] ჰ. როსი [ეკონომიურ მოელენათა საზოგადოებრივი ფორმის უყურადღებად დატოვება, არამწარმოებლური მუშაკების მიერ «შრომის დაზოგვის» ეულგარული კონცეფცია] . . . . . 341—351
[19] მდიდართა მეულანგველობის აპოლოგია მალთუსიანელ ჩალმერსის მიერ] . . . . . 351—352
[20] დასკვნითი შენიშვნები ადამ სმიტისა და მწარმოებლურ და არამწარმოებლურ შრომაზე მისი შეხედულებების შესახებ] . . 352—358

[თავი მეხუთე] ნეკერი [ცდა კაპიტალიზმის დროს კლასთა დაპირისპირებულობის წარმოდგენისა სიღარიბესა და სიმდიდრეს შორის დაპირისპირებულობად] . . . . . 359—363

[თავი მეექვსე] კენეს ეკონომიური ცხრილი (გადახვევა) . . 364—413

[1) კენეს მიერ ერთობლივი კაპიტალის კვლავწარმოებისა და მიმოქცევის პროცესის წარმოდგენის ცდა] . . . . . 364—365
[2) მიმოქცევა მოიჯარეებსა და მიწის მესაკუთრეთა შორის. ფულის უკუმოდინება მოიჯარეებთან, რაც კვლავწარმოებას არ გამოხატავს] 365—374
[3) კაპიტალისტსა და მუშას შორის ფულის მიმოქცევის საკითხისათვის] . . . . . 374—393
[ა) უხამსი შეხედულება ხელფასზე როგორც კაპიტალისტის მიერ მუშისათვის მიცემულ ავანსზე. ბურჟუაზიული წარმოდგენა მოგებაზე როგორც გაწეული რისკისათვის მიღებულ პრემიაზე] . 374—383
[ბ) საქონელი, რომელსაც მუშა კაპიტალისტისაგან ყიდულობს. ფულის უკუმოდინება, რომელიც კვლავწარმოებას არ გამოხატავს] . . . . . 383—392
[4) მიმოქცევა მოიჯარეებსა და მრეწველებს შორის «ეკონომიურ ცხრილში»] . . . . . 393—398
[5) საქონელმიმოქცევა და ფულის მიმოქცევა «ეკონომიურ ცხრილში». ამოსავალ წერტილთან ფულის უკუდაბრუნების სხვადასხვა

შემთხვევა] . . . . . 398—411
[6) «ეკონომიური ცხრილის» მნიშვნელობა პოლიტიკური ეკონომიის ისტორიაში] . . . . . 411—413

[თავი მეშვიდე] ლენგე [მუშის «თავისუფლებაზე» ბურჟუაზიულ-ლიბერალური შეხედულების ადრინდელი კრიტიკა] . . 414—421

დამატებანი

[1) ჰობსი შრომის, ღირებულებისა და მეცნიერების ეკონომიური როლის შესახებ] . . . . . 424—425
[2)] ისტორიიდან: პეტი [უარყოფილი დამოკიდებულება არამწარმოებლური პროფესიებისადმი: ღირებულების შრომითი თეორიის ჩანასახები. ცდა ხელფასის, მიწის რენტის, მიწის ფასის და სარგებლის ახსნისა ღირებულების თეორიის საფუძველზე] . . . . 427—440
[3)] პეტი, სერ დადლი ნორსი, ლოკი 441
[4)] ლოკი [რენტისა და სარგებლის განხილვა ბუნებითი სამართლის ბურჟუაზიული თეორიის თვალსაზრისით] . . . . . 442—445
[5)] ნორსი [ფული როგორც კაპიტალი. ვაჭრობის ზრდა როგორც სარგებლის განაკვეთის შემცირების მიზეზი] . . . . . 446—451
[6) ბერკლი შრომითი საქმიანობის როგორც სიმდიდრის წყაროს შესახებ] 452
[7)] იუმი და მასი . . . . . 453—458
[ა) სარგებელი მასისა და იუმის მიხედვით] 453
[ბ) იუმი. მოგებისა და სარგებლის დაცემა ვაჭრობისა და მრეწველობის ზრდასთან დაკავშირებით] . . . . . 454—455
[გ) მასი. სარგებელი როგორც მოგების ნაწილი. სარგებლის დონის ახსნა მოგების ნორმით] . . . . . 456—458
[დ) დასკვნა] 458
[8) დამატებანი თავებისა ფიზიოკრატების შესახებ] . . . . . 459—462
[ა) დამატებითი შენიშვნები «ეკონომიური ცხრილის» შესახებ. კენეს მცდარი წანამძღვრები] . . . . . 459—461
[ბ) ცალკეული ფიზიოკრატების ნაწილობრივი უკუდგმრუნება მერკანტილისტური შეხედულებებისადმი. კონკურენციის თავისუფლების მოთხოვნა ფიზიოკრატების მიერ] . . . . . 460—461
[გ) გაცვლისას ღირებულების გადიდების შეუძლებლობის თავდაპირველი ფორმულირება] . . . . . 461—462
[9) ფიზიოკრატების ეპიგონი გრაფი დიუ ბიუა ხოტბას ასხამს მიწათმფლობელურ არისტოკრატიას] . . . . . 463—464
[10) პოლემიკა მიწათმფლობელური არისტოკრატიის წინააღმდეგ ფიზიოკრატების თვალსაზრისით (ანონიმური ინგლისელი ავტორი)] . . 465—470
[11) ყველა პროფესიის შრომის მწარმოებლის პოლოგეტიკური კონცეფცია] . . . . . 471—473
[12)] კაპიტალის მწარმოებლობა. მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომა . . . . . 474—507

[ა) კაპიტალის მწარმოებლობა როგორც საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლური ძალის კაპიტალისტური გამოხატულება] . . . . 474—479
[ბ) მწარმოებლური შრომა კაპიტალისტური წარმოების სისტემაში] . 479—485
[გ) ორი არსებითად განსხვავებული მომენტი კაპიტალსა და შრომას შორის გაცვლაში] . . . . . 485—489
[დ) მწარმოებლური შრომის სპეციფიკური სახმარი ღირებულება კაპიტალისათვის] . . . . . 489—491
[ე) არამწარმოებლური შრომა როგორც მომსახურებათა გამწევი შრომა; მომსახურებათ ყიდვა კაპიტალიზმის პირობებში. ვულგარული შეხედულება კაპიტალსა და შრომას შორის არსებულ ურთიერთობაზე როგორც მომსახურებათა გაცვლაზე] . . . . . 492—499
[ვ) ხელოსნებისა და გლეხების შრომა კაპიტალისტურ საზოგადოებაში] . . . . . 499—502
[ზ) დამატებითი დახასიათება მწარმოებლური შრომისა როგორც ისეთი შრომისა, რომელიც მატერიალურ სიმდიდრეში საგნობრივდება] 503
[თ) კაპიტალიზმის გამოვლენანი არამატერიალური წარმოების დარგში] . . . . . 503—505
[ი) მწარმოებლური შრომის პრობლემა მატერიალური წარმოების ერთობლივი პროცესის თვალსაზრისით] . . . . . 505—506
[კ) სატრანსპორტო მრეწველობა როგორც მატერიალური წარმოების დარგი. მწარმოებლური შრომა სატრანსპორტო მრეწველობაში] 506—507
[13) «კაპიტალის» I და III ნაწილთა გეგმების მონახაზები] . 508—510
[ა) «კაპიტალის» I ნაწილის, ანუ I განყოფილების, გეგმა] 508
[ბ) «კაპიტალის» III ნაწილის, ანუ III განყოფილების, გეგმა] . 509
[გ) «კაპიტალის» III ნაწილის მე-2 თავის გეგმა] . . 509—510

შენიშვნები 511

სახელთა საძიებელი 538
ციტირებული და მოხსენიებული ლიტერატურის საძიებელი 547

К. Маркс

ТЕОРИИ ПРИБАВОЧНОЙ СТОИМОСТИ

(IV том «Капитала»)

Часть первая (главы I — VII)

(На грузинском языке)

Издательство „Сабчота Сакартвело“
Тбилиси, Марджанишвили, 5.
1966

რედაქტორი ვ. ფილაძე

ტექრედაქტორი გ. კაკუშაძე

კორექტორები { ე. მაისურაძე, ნ. თავაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/III-66 წ.. ქაღალდის ზომა 60 × 90¹/₁₆. ნაბეჭდი თაბახი 37,38. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 33,06 + 1 ჩაკვრა. ტირ. 2 000. შეკვ. № 524.

ფასი 1 მან. 08 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“,
თბილისი, მარჯანიშვილის, 5.

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.
Комбинат печати. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.